Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

7

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1946

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1949

ვ. ი. ლენინი

ტომი

7

1903 სექტემბერი — *1904* დეკემბერი

წინასიტყვაობა

მეშვიდე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1903 წლის სექტემბრიდან 1904 წლის დეკემბრამდე.

ტომში შედის წიგნი «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», რომელიც წარმოადგენდა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციულ მომზადებას.

ტომში დაბეჭდილ ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი, — «რსდმპ II ყრილობის ამბავი», სტატია «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს», სიტყვები და რეზოლუციები რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე და პარტიის საბჭოს სხდომებზე, პროექტი მიმართვისა «პარტიისადმი», ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» — მიმართულია მენშევიკების ორგანიზაციული და ტაქტიკური ოპორტუნიზმისა და მათი გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ.

ამ ტომში მოთავსებული წერილები, — «წერილი ც. კ-ის წევრებს», «ცენტრალური კომიტეტის ხუთ წევრს», «წერილი ც. კ-ის აგენტებსა და რსდმპ კომიტეტთა წევრებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს II პარტიული ყრილობის უმრავლესობას». «წერილი გლებოვს (ვ. ა. ნოსკოვს)» — გვიჩვენებენ ლენინის ბრძოლას შემარიგებლობასთან.

ნაწარმოებები — «რისთვის ვიღწვით?», «პარტიისადმი», «წერილი ამხანაგებს», «ცნობა საორგანიზაციო კომი-

ტეტის შექმნისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ» — ააშკარავებენ ლენინის ხელმძღვანელობას რსდმპ III ყრილობის მომზადების, უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს და ბოლშევიკური გაზეთის «ვპერიოდის» მოწყობის საქმეში.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველადაა შეტანილი ამ ტომში დაბეჭდილი შემდეგი დოკუმენტები: «განცხადება მარტოვის მოხსენების გამო», წერილი «რსდმპ ცკ.-ს რედაქციას» «ისკრის» რედაქციის შემადგენლობიდან ლენინის გამოსვლის შესახებ, პროექტი რეზოლუციისა პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ და ლენინის მეოთხე სიტყვა პარტიის საბჭოს სხდომაზე პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ და «ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ».

რსდმპ
II ყრილობის ამბავი[1]

დაწერილია 1903 წლის
სექტემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
«ლენინის კრებულში» VI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1 ♣ 7



Этотъ разсказъ назначенъ только для личныхъ знакомыхъ, и поэтому чтеніе его безъ согласія автора (Ленина) равно грубому чужого письма.

Разсказъ I-й собранія С. Д. К. П.

Мы получили довольно сбивчивое свѣдѣніе о составѣ съѣзда, который и будетъ здѣсь разсмотрѣнъ. Присутствовало голосовъ на съѣздѣ всего 51 (33 делегата и 1 консультативный „Искра"). Совѣщательныхъ голосовъ было 8 и аналогичныхъ 10, всего фигурировало 59 человѣкъ. Подробный журналъ велся только въ протоколѣ 20 съѣзда, Тамъ: 5 представителей „Искры", 3 работниковъ (2 от Союза К. Р. и 1 от Петербургскаго Союза), 4 представителя (2 от группы К. Р. и 2 от Харьковскаго Комитета, вполнѣ солидарныхъ съ К. Р.), 6 представителей, кажется.

Первый листъ рукописи В. И. Ленина «Отчетъ II съѣзда С. Д. К. П.»

ПИРВЕЛИ ГВЕРДИ ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ისდმპ II ყრილობის ამბავი». — 1903 წ.

დაპატარავებულია

ეს ამბავი მხოლოდ პირადი ინაცნობებისთვისაა დანიშნული, და ამიტომ მისი წაკითხვა ავტორის (ლენინის) ნებადაურთველად **სხვისი წერილის წაკითხვას უდრის.**

შემდგომი ამბების გასაგებად უწინარეს ყოვლისა ვილაპარაკებ ყრილობის შემადგენლობაზე, თუმცა ეს რაოდენადმე წინ გასწრებაც იქნება. გადამწყვეტი ხმა ყრილობაზე იყო 51 (33 დელეგატი თითო ხმით და 9 ორ-ორი ხმით, 9 «ორხელიანი»)[2]. სათათბირო ხმით, თუ არ ვცდები, იყო 10, მაშასადამე, სულ იყო 52 კაცი. ამ ხმების პოლიტიკური დაჯგუფება, როგორც ეს გამოირკვა მთელი ყრილობის განმავლობაში, ასეთია: გადამწყვეტი ხმები — 5 ბუნდელებისა, 3 რაბოჩეედელოელებისა (2 — რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირისგან და 1 პიტერის «ბრძოლის კავშირისგან»), 4 იუჟნირაბოჩელებისა (2 «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფისგან და 2 ხარკოვის კომიტეტისგან, რომელიც სავსებით სოლიდარულია «იუჟნი რაბოჩისა»), 6 გაუბედავთა, მერყევთა («ჭაობი», როგორც მათ უწოდებდა — ხუმრობით, რა თქმა უნდა, — ყველა ისკრელი), შემდეგ დაახლოებით 33 ხმა ისკრელებისა, რომელნიც თავიანთ ისკრელობაში მეტად თუ ნაკლებად მტკიცენი და თანამიმდევარნი იყვნენ. ერთად ყოფნის დროს ეს 33 ისკრელი ყოველთვის წყვეტდნენ ყოველი საკითხის ბედს ყრილობაზე; ისინი თავის მხრივ, გაითიშნენ 2 ქვეჯგუფად, საბოლოოდ გაითიშნენ მხოლოდ ყრილობის დამთავრებისას: ერთი ქვეჯგუფი, ისკრელთა დაახლოებით 9 ხმით, შესდგებოდა «რბილი, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ზიგზაგოვანი ხაზის» (ანუ ქალური ხაზის, როგორც ოხუნჯობდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, ზოგიერ-

თი ხუმარა) ისკრელებისაგან, რომლებიც (როგორც ქვემოთ დავინახავთ) იცავდნენ სამართლიანობას, ტოლქმედებას etc. *, მეორე ჯგუფი, დაახლოებით 24 ხმით, შესდგებოდა მტკიცე ხაზის ისკრელთაგან, რომლებიც იცავდნენ თანამიმდევარ ისკრიზმს ტაქტიკაშიც და პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა პირად შემადგენლობაშიც.

ვიმეორებ, ასეთი დაჯგუფება საბოლოოდ ჩამოყალიბდა და სავსებით გამოირკვა მხოლოდ **post factum** **, ყრილობის (რომელსაც 40-მდე სხდომა ჰქონდა!) დამთავრებისას, და მე წინ ვუსწრებ ამბებს, როცა დასაწყისშივე ვახასიათებ ამ დაჯგუფებას. შევნიშნავ აგრეთვე, რომ ეს დაჯგუფება გამოხატავს ხმების მხოლოდ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ს რიცხვს, ვინაიდან ცალკეულ წვრილმან საკითხებზე (ხოლო ერთხელ, «ენათა თანასწორუფლებიანობის» საკითხზე, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, დიდი საბაბის გამო) ხმები ხშირად იყოფოდა, ნაწილი თავს იკავებდა, დაჯგუფებანი ერთიმეორეში ირეოდნენ და სხვ.

ყრილობის შემადგენლობა წინასწარ იყო განსაზღვრული საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, რომელსაც ყრილობის წესდებით უფლება ჰქონდა მიეწვია ყრილობაზე ვისაც კი საჭიროდ სცნობდა, სათათბირო ხმით. ყრილობაზე თავიდანვე არჩეულ იქნა მანდატების შემმოწმებელი კომისია და მას (კომისიას) მიენდო ყოველივე, რაც კი ყრილობის შემადგენლობას ეხებოდა. (ფრჩხილებში უნდა ითქვას, რომ ამ კომისიაშიც შევიდა ბუნდელი, რომელმაც პირდაპირ დაქანცა კომისიის ყველა წევრი, ღამის სამ საათამდე გააჭიანურებინა სხდომა და თ ვ ი თ ე უ ლ ს ა კ ი თ ხ შ ი მაინც «განსაკუთრებული შეხედულებისა» დარჩა.)

ყრილობა დაიწყო ყველა ისკრელის მშვიდი და შეთანხმებული მუშაობით; მათ შორის, რა თქმა უნდა, შეხედულებათა სხვადასხვა ელფერი ყოველთვის იყო, მაგრამ ეს ელფერი

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.
** — შემდეგში. რ ე დ.

გარეთ, პოლიტიკურ უთანხმოებათა სახით, არ გამოვლინებულა. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ წინდაწინ, რომ ისკრელთა გათიშვა ყრილობის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური შედეგი იყო, და ვისაც სურს საქმეს გაეცნოს, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ეპიზოდს, რომელიც თუნდაც შორეულად მაინც დაკავშირებულია ამ გათიშვასთან.

საკმაოდ მნიშვნელოვანი აქტი ყრილობის დასაწყისშივე იყო ბიუროს ანუ პრეზიდიუმის არჩევა. მარტოვი მომხრე იყო აერჩიათ 9 კაცი, რომლებიც ყოველი სხდომისათვის სამ-სამ კაცს აირჩევდნენ ბიუროში, და ამ 9 კაცის შემადგენლობაში მას ბუნდელიც კი შეჰყავდა. მე ვიცავდი მხოლოდ სამი კაცის არჩევას მთელი ყრილობისათვის, მასთან ამ სამ კაცს «სასტიკი წესრიგი უნდა დაეცვა». არჩეულ იქნენ: პლეხანოვი, მე და ამხანაგი ტ[3] (მასზე ხშირად გვექნება ლაპარაკი ქვემოთ — ის იყო მტკიცე ხაზის ისკრელი, საორგ. კ-ის წევრი). უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გავიდა ხმების მცირე უმეტესობით ერთი იუჟნირაბოჩელის წინააღმდეგ (ისიც საორგ. კ-ის წევრი იყო). მაგრამ უთანხმოებას ჩემსა და მარტოვს შორის ბიუროს საკითხის გამო (ეს უთანხმოება დამახასიათებელია მთელი შემდგომი ამბების თვალსაზრისით) არავითარი გათიშვა ან კონფლიქტი არ გამოუწვევია: საქმე მოგვარდა როგორღაც მშვიდობიანად, თავისთავად, «შინაურულად», როგორც საერთოდ გვარდებოდა ხოლმე უმეტეს ნაწილად საქმეები «ისკრის» ორგანიზაციასა და «ისკრის» რედაქციაში.

ყრილობის დასაწყისსავე ეკუთვნის «ისკრის» ორგანიზაციის სხდომა (ფარული და არაფორმალური, რა თქმა უნდა) ყრილობაზე მისი მანდატების საკითხის შესახებ. სხდომამ ასევე მშვიდობიანად, «შეთანხმებულად» გადაწყვიტა საკითხი. ამ სხდომას მე მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ დამახასიათებლად მიმაჩნია, ჯერ — 1, ისკრელთა შეთანხმებული მუშაობა ყრილობის დასაწყისში, ხოლო, მე-2, მათი გადაწყვეტილება, რომ როცა საეჭვო და სადავო საკითხები წამოიჭრე-

ბოდა, ყოველთვის მიემართათ «ისკრის» ორგანიზაციის ავტორიტეტისთვის (უფრო სწორად, «ისკრის» ორგანიზაციის იმ წევრთა ავტორიტეტისთვის, რომლებიც ყრილობას დაესწრნენ); რა თქმა უნდა, ამ კრებების გადაწყვეტილებებს სავალდებულო ხასიათი არ ჰქონდა, რადგან წესს: «იმპერატიული მანდატები გაუქმებულია», ყველას შეუძლია და ვალდებულიცაა ყრილობაზე ხმა მისცეს თავისი პირადი, თავისუფალი რწმენით, რომელიმე ორგანიზაციისადმი სრულიად დაუმორჩილებლად, — ამ წესს, ვამბობ მე, ყველა ისკრელი აღიარებდა, და «ისკრის» თითქმის ყველა სხდომის დასაწყისში თავმჯდომარე ხმამაღლა აცხადებდა ამას.

შემდეგ. ყრილობაზე პირველი ინციდენტი, რომელმაც გამოააშკარავა, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო ისკრელებს შორის, და რომელიც ფინალური დრამის (თუ ტრაგიკომედიის?) «კვანძი» გახდა, ეს იყო ყბადაღებული «ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტთან». ამ ინციდენტზე საჭიროა დაწვრილებით შევჩერდეთ. იგი ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ყრილობა გართული იყო თავისი საკუთარი კონსტიტუირებით, როცა ჯერ კიდევ ყრილობის რეგლამენტს იხილავდნენ (რამაც, უნდა ითქვას, უამრავი დრო შეიწირა ბუნდელთა ობსტრუქციის გამო; ბუნდელები შემთხვევას არ უშვებდნენ განზრახ და განუზრახველად შეეფერხებინათ მუშაობა სადაც კი შეიძლებოდა და რითაც შეიძლებოდა). საორგ. კ-თან ინციდენტის არსი ის იყო, რომ საორგ. კ-მა, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ყრილობამდე უკუაგდო პროტესტი «ბორბისა» («ბორბის» ჯგუფისა)[4], რომელიც მოითხოვდა ყრილობაზე დაშვებას, და ეს უკუგდება დაიცვა მანდატების შემმოწმებელ კომისიაშიც; მეორე მხრივ, იმავე საორგ. კ-მა მოულოდნელად განაცხადა ყრილობაზე, სათათბირო ხმით ვიწვევთ რიაზანოვსო, ეს ინციდენტი დატრიალდა შემდეგნაირად.

ჯერ კიდევ ყრილობის სხდომების დაწყებამდე მარტოვმა კონფიდენციურად მაცნობა, რომ «ისკრის» ორგანიზაციისა და საორგ. კ-ის წევრმა (ვუწოდოთ ამ პირს ასო N[5]) გადა-

წყვიტა საორგ. კ-ში დაჟინებით მოეთხოვა სათათბირო ხმით ყრილობაზე ერთი პირის მოწვევა, რომელსაც თვითონ მარტოვი ახასიათებდა ტერმინით «გადამრბენი» [6]. (ეს პირი, მართლაც, ერთ დროს «ისკრისაკენ» იხრებოდა, მაგრამ მერე, და ისიც რამდენიმე კვირის შემდეგ, «რაბოჩეე დელოს» მხარეზე გადავიდა, თუმცა ეს უკანასკნელი უკვე მაშინ სრული დაცემულობის სტადიაში იმყოფებოდა.) მე და მარტოვმა მოვილაპარაკეთ ამის შესახებ და ორივენი აღშფოთებულნი ვიყავით იმით, რომ «ისკრის» ორგანიზაციის წევრი ასეთს ნაბიჯს დგამდა, და, რა თქმა უნდა, შეგნებული ჰქონდა (ვინაიდან მარტოვმა გააფრთხილა ამხანაგი N), რომ ეს მისი ნაბიჯი პირდაპირ სილის გაწვნა იქნებოდა «ისკრისთვის», და მიუხედავად ამისა მაინც საჭიროდ არ თვლიდა მოთათბირებოდა ორგანიზაციას. N-მა მართლაც შეიტანა თავისი წინადადება საორგ. კ-ში, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა ამხანაგ ტ-ს ცხარე პროტესტის გამო, რომელმაც დაასურათა «გადამრბენის» მთელი მერყევი პოლიტიკური ფიგურა. დამახასიათებელია, რომ მარტოვს, როგორც მან თქვა, უკვე მაშინ დალაპარაკებაც კი აღარ შეეძლო N-თან, მიუხედავად იმისა, რომ წინათ კარგი პირადი ურთიერთობა ჰქონდა მასთან: იმდენად განცვიფრებული იყო ამ ნაბიჯით. N-ის მისწრაფება — ხელი შეეშალა «ისკრისთვის» კიდევ იმაში გამოიხატა, რომ მისი დახმარებით საორგ. კ-მა საყვედური გამოუცხადა «ისკრის» რედაქციას, — საყვედური, რომელიც, მართალია, მეტად წვრილმან შემთხვევას შეეხებოდა, მაგრამ მან მაინც დიდად აღაშფოთა მარტოვი. რუსეთიდან მოსული ცნობები, რომლებიც აგრეთვე მარტოვმა გადმომცა, აღნიშნავდნენ ამასთანავე N-ის ტენდენციას ხმების გავრცელების მხრივ, თითქოს უთანხმოება არსებობდა საზღვარგარეთელ და რუსეთის ისკრელებს შორის. ყოველივე ეს დიდ უნდობლობას ბადებდა ისკრელებში N-ის მიმართ, და თან ამას კიდევ ასეთი ფაქტიც დაერთო. საორგ. კ-მა უარჰყო «ბორბას» პროტესტი, საორგ. კ-ის წევრები (ტ და N), მიწვეულნი მანდატების შემმოწმებელ კომისიაში, ორივენი (და მათ შორის

N-იც!!!) ასევე სრულიად გადაჭრით გამოვიდნენ «ბორბას» წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა საორგ. კ-მა უეცრად, ყრილობის დილის სხდომის ერთი შესვენების დროს, იქვე «ფანჯარასთან» გამართა თავისი სხდომა და გადაწყვიტა ამ სხდომაზე სათათბირო ხმით მიეწვია რიაზანოვი! N მ ო წ ვ ე ვ ი ს მ ო მ ხ რ ე ი ყ ო. ტ, რა თქმა უნდა, უცილობლად წინააღმდეგი, და თანაც განაცხადა — საორგ. კ-ის ასეთი გადაწყვეტილება უკანონოაო მას შემდეგ, რაც ყრილობის შემადგენლობის საკითხი უკვე გადაეცა ყრილობის მიერ არჩეულ, განსაკუთრებულ, მანდატების შემმოწმებელ კომისიას. რა თქმა უნდა, საორგ. კ-ის იუჟნირაბოჩელმა წევრებმა + ბუნდელი + N დაამარცხეს ამხანაგი ტ, და საორგ. კ-მა თავისი გადაწყვეტილება გაიტანა.

ეს გადაწყვეტილება ტ-მ აცნობა «ისკრის» რედაქციას, რომელმაც (არა სრული შემადგენლობით, მაგრამ მარტოვისა და ზასულიჩის მონაწილეობით), რა თქმა უნდა, ერთხმად დაადგინა გაელაშქრნა ყრილობაზე საორგ. კ-ის წინააღმდეგ, ვინაიდან ბევრი ისკრელი უკვე საჯაროდ გამოვიდა ყრილობაზე «ბორბის» წინააღმდეგ და უკანდახევა ამ საკითხში შეუძლებელი იყო.

როდესაც საორგ. კ-მა (ნასადილევის სხდომაზე) განუცხადა ყრილობას თავისი გადაწყვეტილება, ტ-მ თავის მხრივ განაცხადა თავისი პროტესტი. მაშინ საორგ. კ-ის იუჟნირაბოჩელმა წევრმა გაილაშქრა ტ-ს წინააღმდეგ და მას დისციპლინის დარღვევა დააბრალა (!), ვინაიდან საორგ. კ-ის გადაწყვეტილი ჰქონდა არ გაემჟღავნებინა ეს ყრილობაზე (sic! *). გასაგებია, რომ ჩვენ (პლეხანოვმა, მ ა რ ტ ო ვ მ ა და მე) მთელი ენერგიით გავილაშქრეთ მაშინ საორგ. კ-ის წინააღმდეგ, დავაბრალეთ მას იმპერატიული მანდატების აღდგენა, ყრილობის სუვერენობის დარღვევა და სხვ.. ყრილობა ჩვენ მოგვემხრო, საორგ. კ-ტი დამარცხდა, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც საორგ. კ-ს, როგორც კოლეგიას, უფ-

* — ასე! რ ე დ.

ლებას ართმევდა გავლენა მოეხდინა ყრილობის შემადგენლობაზე.

ასეთი იყო «ინციდენტი საორგ. კ-თან». ჯერ-ერთი, ამ ინციდენტმა ბევრ ისკრელს საბოლოოდ დაუკარგა პოლიტიკური ნდობა N-სადმი (და განუმტკიცა ნდობა ტ-სადმი), მეორე, მან არათუ დაამტკიცა, არამედ თვალნათლივ ცხადჰყო, როგორ მერყეევია ჯერ კიდევ ისკრული მიმართულება ისეთ ცენტრალურ, ვითომდა არქიისკრულ დაწესებულებაშიც კი, როგორიცაა საორგ. კომიტეტი. ცხადი შეიქნა, რომ ბუნდელის გარდა, საორგ. კ-ში კიდევ არიან 1) იუჟნირაბოჩელები თავიანთი განსაკუთრებული პოლიტიკით; 2) «ისკრელები, რომელთაც რცხვენოდათ ისკრელობისა», და მხოლოდ ნაწილობრივ (3) ისკრელები, რომელთაც ამისი არა რცხვენოდათ. როდესაც იუჟნირაბოჩელებმა მოისურვეს მოლაპარაკება «ისკრის» რედაქციასთან (კერძოდ, რა თქმა უნდა) ამ სავალალო ინციდენტის გამო — ამხანაგ N-ს, ამის აღნიშვნა მეტად მნიშვნელოვანია, მაშინ არავითარი სურვილი არ გამოუთქვამს ახსნა-განმარტების მიცემისა, — რედაქციამ მისცა მათ ახსნა-განმარტება, მასთან მე პირდაპირ ვუთხარი იუჟნირაბოჩელებს, რომ ყრილობამ საბოლოოდ გამოამჟღავნა ეს დიდი პოლიტიკური ფაქტი: პარტიაში ბევრი ისეთი ისკრელის ყოფნა, რომელთაც რცხვენიათ ისკრელობისა, და შეუძლიათ უბრალოდ, «ისკრის» ჯიბრით ისეთ ოინს მიმართონ, როგორიცაა რიაზანოვის მოწვევა. კომისიაში «ბორბას» წინააღმდეგ N-ის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ N-ის ამ ოინმა ისე აღმაშფოთა, რომ ყრილობაზე საჯაროდ ვთქვი: «ამხანაგებმა, რომლებიც საზღვარგარეთულ კონგრესებზე ყოფილან, იციან, რა საშინელ აღშფოთებას იწვევენ ხოლმე იქ ყოველთვის ის ადამიანები, რომლებიც კომისიებში ერთს ლაპარაკობენ, ხოლო ყრილობაზე სხვას» *. ასეთი «ისკრელები», რომელთაც ეშინოდათ ბუნდელთა «საყვედუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 6, გვ. 6[illegible]. რედ.

რებისა» — ««ისკრის» დამქაშები» ხართო, და მხოლოდ ამის გამო მიმართავდნენ პოლიტიკურ ოინს «ისკრის» წინააღმდეგ, რასაკვირველია, ნდობას ვერ მოიხვეჭდნენ.

ისკრელთა საერთო უნდობლობა N-ისადმი უდიდესად გაიზარდა, როცა მარტოვის ცდამ მოლაპარაკებოდა N-ს გამოიწვია N-ის განცხადება მისი, N-ის, «ისკრის» ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ!! ამ მომენტიდან N-ის «საქმე» გადადის «ისკრის» ორგანიზაციაში, რომლის წევრები აღშფოთებული იყვნენ ასეთი გასვლით, და ორგანიზაციას 4 სხდომა ჰქონდა ამ საკითხის გამო. ეს სხდომები, მეტადრე უკანასკნელი, უაღრესად საყურადღებოა, ვინაიდან ამ სხდომებზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა გათიშვა ისკრელებს შორის უმთავრესად ც. კ-ის შემადგენლობის საკითხის გამო.

მაგრამ სანამ «ისკრის» ორგანიზაციის ამ (ერთხელ კიდევ ვიმეორებ, კერძო და არაფორმალური) სხდომების ამბავზე გადავიდოდე, ორიოდე სიტყვას ვიტყვი ყრილობის მუშაობაზე. ეს მუშაობა იმ ხანებში შეთანხმებულად წარმოებდა იმ აზრით, რომ ყველა ისკრელი ერთსულოვნად გამოდიოდა დღის წესრიგის 1-ლ პუნქტზეც (ბუნდის ადგილი პარტიაში), მე-2 პუნქტზეც (პროგრამა) და მე-3 პუნქტზეც (პარტიის ცენტრალური ორგანოს დამტკიცება). ისკრელთა თანხმობა უზრუნველყოფდა დიდ შემჭიდროებულ უმრავლესობას ყრილობაზე (კომპაქტურ უმრავლესობას, როგორც გულისტკენით ამბობდნენ ბუნდელები!), ამავე დროს «გაუბედავნი» (ანუ «ჭაობი») და იუენირაბოჩელები აქაც წვრილმანებში ხშირად ამყღავნებდნენ თავიანთ სრულ მერყეობას. პოლიტიკური დაჯგუფება ყრილობის არა სავსებით ისკრული ელემენტებისა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა.

დავუბრუნდეთ «ისკრის» ორგანიზაციის სხდომებს. პირველ სხდომაზე გადაწყდა ეთხოვნათ N-ისთვის წარმოედგინა ახსნა-განმარტებანი და მიეთითებინა, თუ «ისკრის» ორგანი-

ზაციის რანაირი შემადგენლობის წინაშე მოისურვებდა ის, N, ახსნა-განმარტებას. მე გადაჭრილი პროტესტი განვაცხადე საკითხის ამნაირი დაყენების წინააღმდეგ და მოვითხოვე გამოყოფა პოლიტიკური საკითხისა (ისკრელთა პოლიტიკური უნდობლობა N-ისადმი ამ ყრილობაზე) და პირადი საკითხისა (კომისიის დანიშვნა N-ის უცნაური საქციელის მიზეზების გამოსარკვევად). მე-2 სხდომას მოახსენეს, რომ N-ს სურს ახსნა-განმარტება მისცეს ტ-ს დ ა უ ს წ რ ე ბ ლ ა დ, თუმცა N ფიქრობს არაფერი არა თქვას პირადად ტ-ს შესახებო. მე მეორედ განვაცხადე პროტესტი და უარი ვთქვი მონაწილეობის მიღებაზე ისეთ ახსნა-განმარტებაში, როცა ორგანიზაციის არა-წევრი თუნდაც ერთი წამით აცილებას აძლევს ორგანიზაციის წევრს, თუნდაც მასზე არც ლაპარაკობდეს; მე ეს მიმაჩნდა უღირს თამაშად და სილის გაწვნად N-ის მხრივ ორგანიზაციისთვის. N იმდენადაც კი არ ენდობა ორგანიზაციას, რომ მას მიანდოს ახსნა-განმარტების პირობების განსაზღვრა! მესამე სხდომამ მოისმინა N-ის ახსნა-განმარტება, რომელმაც ვ ე რ დ ა ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ა ახსნა-განმარტების დამსწრეთა უმრავლესობა. მე-4 სხდომა შესდგა ყველა ისკრელის სრული შემადგენლობით, მაგრამ ამ სხდომას წ ი ნ უ ს წ რ ე ბ დ ა ყრილობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

ჯერ-ერთი, აღნიშვნის ღირსია «ენათა თანასწორუფლებიანობის» ეპიზოდი. საქმე ეხებოდა პროგრამის მიღებას, ენების თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის მოთხოვნის ფორმულირებას. (პროგრამის თვითეული მუხლის განხილვა და მიღება ხდებოდა ცალ-ცალკე, ბუნდელები აქ ს ა შ ი ნ ე ლ ობსტრუქციას ახდენდნენ და ყრილობამ თავისი დროის თითქმის $^2/_3$ პროგრამის განხილვას მოანდომა!). ბუნდელებმა აქ შესძლეს ისკრელთა რიგების შერყევა; ისკრელთა ერთ ნაწილს მათ ჩააგონეს, თითქოს «ისკრას» არ სურდა «ენათა თანასწორუფლებიანობა», — მაშინ როდესაც «ისკრის» რედაქციას ნამდვილად არ სურდა მხოლოდ ეს, მისი აზრით, უმეცრული, შეუსაბამო და ზედმეტი ფორმულირება. ბრძოლა გააფთრებული შეიქნა, ყრილობა შ უ ა ზ ე გაიყო,

ორ თანაბარ ნაწილად (ზოგმა თავი შეიკავა): «ისკრის» (და «ისკრის» რედაქციის) მხარეზე იყო დაახლოებით 23 ხმა (შეიძლება 23 — 25-იც, ზუსტად არ მახსოვს), და ამდენივე წინააღმდეგი. საჭირო გახდა საკითხის გადადება, კომისიისთვის გადაცემა, რომელმაც გამონახა ფორმულა, რაც მთელმა ყრილობამ ერთხმად მიიღო. ინციდენტი ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხში იმითია მნიშვნელოვანი, რომ მან კიდევ და კიდევ გამოააშკარავა ისკრიზმის მერყეობა, საბოლოოდ გამოააშკარავა მერყეობა როგორც გაუბედავთა (რომელთაც სწორედ მაშინ, თუ არ ვცდები, და სწორედ მარტოვის ყაიდის ისკრელებმა თვითონ დაარქვეს ჭაობი!), ისე იუჟნირაბოჩელებისა, რომლებიც ყველანი «ისკრის» წინააღმდეგნი იყვნენ. ვნებათაღელვა საშინლად გამძაფრდა და ურიცხვმწვავე სიტყვებს ისროდნენ იუჟნირაბოჩელების წინააღმდეგ ისკრელები, განსაკუთრებით მარტოველები. ერთმა მარტოველთა «ლიდერმა» შესვენების დროს კინაღამ სკანდალი აუტეხა იუჟნირაბოჩელებს, მე მაშინ იძულებული გავხდი სასწრაფოდ განმეახლებინა სხდომა (პლეხანოვის მოთხოვნით, რომელსაც ეშინოდა ჩხუბისა). საჭიროა აღინიშნოს, რომ თვით ამ, ყველაზე უფრო მტკიცე, 23 ისკრელს შორისაც მარტოველები (ე. ი. ის ისკრელები, რომლებიც შემდეგ მარტოვს გაჰყვნენ) უმცირესობას წარმოადგენდნენ.

მეორე ეპიზოდია — ბრძოლა «პარტიის წესდების» § 1-ის გამო. ეს იყო **Tagesordnung**-ის * უკვე მე-5 მუხლი, როცა ყრილობა დასასრულს უახლოვდებოდა. (1 მუხლზე მიღებული იყო რეზოლუცია ფედერალიზმის წინააღმდეგ; მე-2 მუხლზე — პროგრამა; მე-3 მუხლზე — «ისკრის» აღიარება პარტიის ცენტრალურ ორგანოდ **, მე-4 მუხლზე მოსმენილ იქნა

* — დღის წესრიგის. რედ.

** ძლიერ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ყრილობის **Tagesordnung**-ში, რომელიც ჩემი მოხსენების მიხედვით მიიღო საორგ. კ-მ და დაამტკიცა ყრილობამ, იყო ორი ცალკე მუხლი: მ. 3. «პარტიის ც. ორგანოს შექმნა ან მისი დამტკიცება» და მ. 24. «პარ-

«დელეგატთა მოხსენებები», მათი ნაწილი, დანარჩენი კი გადაეცა კომისიას, ვინაიდან გამოირკვა, რომ ყრილობას დრო უკვე აღარ რჩებოდა (ფულადი სახსრები და პირადი ძალა ამოწურული იყო).)

წესდების 1-ლი მუხლი განსაზღვრავს პარტიის წევრის ცნებას. ჩემს პროექტში ეს განსაზღვრა ასეთი იყო: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური სახსრებით, ისე პირადი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ ერთ-ერთ პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ში». მარტოვი კი ხაზგასმული სიტყვების მაგივრად წინადადებას იძლეოდა გვეთქვა: მ უ შ ა ო ბ ი თ ერთ-ერთ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ი თ და ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ. ჩემს ფორმულირებას მხარი დაუჭირა პლეხანოვმა, მარტოვისას — რედაქციის დანარჩენმა წევრებმა (მათ მაგივრად ყრილობაზე ლაპარაკობდა აქსელროდი). ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭიროა პარტიის წევრის ცნების შ ე ვ ი წ რ ო ე ბ ა მომუშავეთა გასარჩევად მოლაყბეთაგან, ორგანიზაციული ქაოსის თავიდან ასაცილებლად, ისეთი სისაძაგლისა და უაზრობის თავიდან ასაცილებლად, რომ

ტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნები». როცა ერთმა რაბოჩეედელოელმა იკითხა (მე-3 მ. გამო), ვის ვამტკიცებთ, სათაურს ხომ არაო? რედაქციას ჩვენ ვერც კი ვიცნობთო! მაშინ მ ა რ ტ ო ვ მ ა აიღო სიტყვა და განმარტა, ვამტკიცებთ «ისკრის» **მიმართულებას**, პირადი შემადგენლობის დამოუკიდებლად და რედაქციის შემადგენლობა ამით წინასწარ სრულიადაც არ წყდებაო, ვინაიდან ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნები უნდა მოხდეს 24-ე მუხლის მიხედვით და ყოველგვარი იმპერატიული მანდატები გაუქმებულიაო.

მარტოვის ეს სიტყვები (მე-3 მუხლის გამო, ი ს კ რ ე ლ ებ ი ს გ ა თ ი შ ვ ა მ დ ე) მეტისმეტად საგულისხმოა.

მარტოვის განმარტება სავსებით შეესაბამებოდა **Tagesordnung**-ის მე-3 და 24-ე მუხლების მნიშვნელობის ჩვენს ს ა ე რ თ ო გაგებას.

მე-3 მუხლის შემდეგ ყრილობაზე მარტოვს სიტყვებში არა ერთხელ უხმარია კიდეც გამოთქმა: «ისკრის» რედაქციის ყ ო ფ ი ლ ი წევრებიო.

შესაძლებელია იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც პარტიის წევრებისგან შესდგებიან, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ და სხვ. მარტოვი იცავდა პარტიის გაფართოებას და ლაპარაკობდა ფართო კლასობრივ მოძრაობაზე, რომელიც მოითხოვს ფართო — უსახო ორგანიზაციასო და სხვ.. კურიოზულია, რომ მარტოვის თითქმის ყველა მომხრენი თავიანთ შეხედულებათა დასაცავად იმოწმებდნენ «რა ვაკეთოთ?»-ს! * პლეხანოვმა ცხარედ გაილაშქრა მარტოვის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ მისი ჟორესისტული ფორმულირება კარს უღებს ოპორტუნისტებს, რომელთაც სწადიათ სწორედ ასეთი მდგომარეობა პარტიაში და ორგანიზაციის გარეთო. «კონტროლით და ხელმძღვანელობით» — ვამბობდი მე — ნამდვილად ნიშნავს არც მეტს, არც ნაკლებს, მხოლოდ: ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე. აქ მარტოვმა გ ა ი მ ა რ ჯ ვ ა: მიღებულ იქნა (დაახლოებით 28 ხმის უმეტესობით 23-ის წინააღმდეგ თუ რაღაც ასე, ზუსტად არ მახსოვს) მისი ფორმულირება, ბუნდის წ ყ ა ლ ო ბ ი თ, რომელიც, რა თქმა უნდა, მყისვე მიხვდა, სად იყო გასაძრომი, და ყველა თავისი ხ უ თ ი ხმით გაიყვანა ის, «რაც უარესი» იყო («რაბოჩეე დელოს» დელეგატმა სწორედ ასე დაასაბუთა თავისი ხმის მიცემა მარტოვისთვის!). ცხარე კამათმა წესდების § 1-ზე და კენჭისყრამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა პოლიტიკური დაჯგუფების არსებობა ყრილობაზე და თვალნათლივ ცხადჰყო, რომ ბუნდს + «რაბოჩეე დელო» შეუძლიათ გ ა დ ა ს ჭ რ ა ნ ბ ე დ ი ყოველგვარი გადაწყვეტილებისა, თუ მხარს დაუჭერენ ისკრელთა უმცირესობას უმრავლესობის წინააღმდეგ.

კამათისა და წესდების § 1-ის კენჭისყრის შ ე მ დ ე გ შესდგა «ისკრის» ორგანიზაციის უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი (მე-4) სხდომა. უთანხმოება ისკრელთა შორის ც. კ-ის პირადი შემადგენლობის საკითხის გამო უკვე სავსებით გამოირკვა და

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 431 — 673. რ ე დ.

გამოიწვია გათიშვა მათ რიგებში: ზოგი მხარს უჭერდა ისკრულ ც. კ-ს (რადგან «ისკრის» ორგანიზაცია და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი დაშლილი იყო და აუცილებელი იყო «ისკრის» დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა), ზოგი მხარს უჭერდა იუჟნირაბოჩელების დაშვებასაც და «ზიგზაგოვანი ხაზის» ისკრელთა მეტი რაოდენობით გაყვანასაც. ზოგი უეჭველად წინააღმდეგი იყო N-ის კანდიდატურისა, ზოგი კი მხარს უჭერდა. და სწორედ იმისთვის, რომ უკანასკნელად გვეცადნა შეთანხმება, მოწვეულ იქნა თ ე ქ ვ ს მ ე ტ თ ა კ რ ე ბ ა («ისკრის» ორგანიზაციის წევრთა, ამასთან, ვიმეორებ, ჩათვლილი იყო სათათბირო ხმებიც). კენჭისყრამ ასეთი შედეგები მოგვცა: N-ის წინააღმდეგ — 9 ხმა, მის სასარგებლოდ — 4, დანარჩენებმა თავი შეიკავეს. შემდეგ უმრავლესობამ, რომელსაც მაინც არ სურდა ომი უმცირესობასთან, წამოაყენა შემარიგებელი სია, 5 პირისაგან, მათ შორის ერთი იყო იუჟნირაბოჩელი (უმცირესობისათვის სასურველი) და ერთიც უმცირესობის მებრძოლი წევრი, დანარჩენნი კი თანამიმდევარი ისკრელები (რომელთაგან — ეს საგულისხმოა — ერთი მონაწილეობას იღებდა ყრილობაზე გამართულ ჩხუბში მხოლოდ მისი დამთავრებისას და, უნდა ითქვას, რომ მიუდგომელი იყო, ორს კი სულაც არ მიუღია მონაწილეობა ჩხუბში და პირად საკითხში ისინი აბსოლუტურად მიუდგომელი იყვნენ). ამ სიის სასარგებლოდ აიმართა 10 ხელი (შემდეგ კიდევ მიემატა ერთი და 11 გახდა), წინააღმდეგ — 1 (მარტოოდენ მარტოვი!), დანარჩენებმა თავი შეიკავეს! მაშასადამე, შემარიგებელი სია ჩააგდო მ ა რ ტ ო ვ მ ა. ამის შემდეგ კენჭი ეყარა კიდევ 2 «მებრძოლ» სიას ორივე მხარისას, მაგრამ ორივემ მხოლოდ ხმების უმცირესობა მიიღო.

ამრიგად, «ისკრის» ორგანიზაციის უკანასკნელ კრებაზე მარტოველები ორივე საკითხში უმცირესობად დარჩნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ მაინც ომი გამოაცხადეს, როცა უმრავლესობის ერთი წევრი (მიუდგომელი თუ თავმჯდომარე) მივიდა მათთან კრების შემდეგ, რათა უკანასკნელად ეცადნა შეთანხმება.

მარტოველების ვარაუდი ნათელი და სწორი იყო: ბუნდელები და რაბოჩეედელოელები, უეჭველად მხარს დაუჭერდნენ ზიგზაგოვანი ხაზის სიას, ვინაიდან ყრილობის სხდომების ერთი თვის განმავლობაში ყველა საკითხი იმდენად გამოირკვა, ყველა პიროვნება იმდენად დახასიათდა, რომ ყრილობის არც ერთ წევრს არ გაუჭირდებოდა აერჩია: რა სჯობდა ან რომელი ბოროტება უფრო ნაკლები იყო. ხოლო ბუნდისთვის + «რაბოჩეე დელო», რასაკვირველია, ზიგზაგოვანი ისკრელები უფრო ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდნენ და მუდამ ასეთად დარჩებიან.

თექვსმეტთა კრების შემდეგ, როცა ისკრელები საბოლოოდ გაითიშნენ და მათ შორის ომი გამოცხადდა, იწყება კრებები ორი პარტიისა, რომლებადაც გაიყო ყრილობა, ე. ი. ყველა ერთნაირად მოაზროვნეთა კერძო, არაოფიციალური შეხვედრები. თანამიმდევარი ხაზის ისკრელები იკრებებოდნენ ჯერ 9 ხმის რაოდენობით (9 თექვსმეტიდან), შემდეგ 15 ხმის რაოდენობით, ბოლოს 24-ის, თუ ჩავთვლით გადამწყვეტ ხმებს და არა პირებს. ასეთი სწრაფი ზრდა იმით აიხსნებოდა, რომ (ც. კ-ის) სიები უკვე გამოქვეყნდა და მარტოველების სიები ერთბაშად და სამუდამოდ აშორებდა მათ ისკრელების დიდ უმრავლესობას, რადგან სუსტი სიები იყო: მარტოვის მიერ წამოყენებულმა კანდიდატებმა ყრილობაზე თავი გამოიჩინეს უცილობლად უარყოფითი მხრივ (მელაკუდობა, მერყეობა, უტაქტობა etc.). ეს, ერთი; მეორეც, როცა ისკრელებს განუმარტავდნენ ხოლმე, თუ რა ხდებოდა «ისკრის» ორგანიზაციაში, ისინი უამრავ შემთხვევაში უმრავლესობის მხარეზე გადადიოდნენ; ყველასა და თვითეულისთვის ნათელი შეიქნა, რომ მარტოვს არ შესწევდა უნარი გარკვეული პოლიტიკური ხაზი გაეტარებინა. ამიტომ 24 ხმა ადვილად და სწრაფად შემჭიდროვდა «ისკრის» თანამიმდევარი ტაქტიკის, ც. კ-ში ასარჩევთა სიის, რედაქციაში სამეულის არჩევის გარშემო (ნაცვლად ძველი, შრომისუუნარო და უსახო ექვსეულის დამტკიცებისა).

ამ დროს ყრილობამ უკვე დაამთავრა წესდების განხილვა, ამასთანავე მარტოვმა და კომპ. ერთხელ კიდევ (ერთხელ კი არა, არამედ რამდენიმეჯერ) დაამარცხეს ისკრელთა უმრავლესობა, რაშიც მათ კეთილშობილურად ეხმარებოდა ბუნდი + «რაბოჩეე დელო» — მაგ., ცენტრების კოოპტაციის საკითხში (ეს საკითხი ყრილობამ გადაწყვიტა მარტოვისებურად).

მიუხედავად წესდების ასე გაფუჭებისა, მთელი წესდება საერთოდ მიღებულ იქნა ყველა ისკრელისა და მთელი ყრილობის მიერ. მაგრამ საერთო წესდების მიღების შემდეგ გადავიდნენ ბუნდის წესდებაზე, და ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით უარჰყო ბუნდის წინადადება (ეცნოთ ბუნდი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად პარტიაში). მგონი, აქ მარტო ბუნდი დაუპირისპირდა თითქმის მთელ ყრილობას. მაშინ ბუნდელებმა დატოვეს ყრილობა, განაცხადეს პარტიიდან გავდიგართო. მარტოველებს გამოაკლდათ ხუთი ერთგული მოკავშირე! შემდეგ რაბოჩეედელოელებიც წავიდნენ, როცა ერთადერთ პარტიულ ორგანიზაციად საზღვარგარეთ აღიარებულ იქნა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგა. მარტოველებს კიდევ გამოაკლდათ ორი ერთგული მოკავშირე! სულ ყრილობაზე დარჩა 44 (51 — 7) გადამწყვეტი ხმა, მათ შორის უმრავლესობას თანამიმდევარი ისკრელები შეადგენდნენ (24); ხოლო კოალიცია მარტოველებისა იუჟნირაბოჩელებსა და «ჭაობთან» ერთად იძლეოდა მხოლოდ 20 ხმას.

ზიგზაგოვანი ხაზის ისკრელებს ისღა დარჩენოდათ — დამორჩილებოდნენ, როგორც მორჩილებას ადგნენ სრულიად უსიტყვოდ მტკიცე ხაზის ისკრელები, როცა მათ ამარცხებდა და დაამარცხა კიდეც მარტოვმა ბუნდთან კოალიციით. მაგრამ მარტოველებმა უკვე ისე შესტოპეს, რომ დამორჩილების ნაცვლად სკანდალი და გათიშვა არჩიეს.

სკანდალს წარმოადგენდა საკითხის აღძვრა ძველი რედაქციის დამტკიცების შესახებ, ვინაიდან საკმაოა თუნდაც ერთი

რედაქტორის განცხადება, რომ ყრილობა ვალდებული გახდეს განიხილოს სავსებით მთელი ც. ორგანოს შემადგენლობის საკითხი, არ დაკმაყოფილდეს უბრალო დამტკიცებით. გათიშვისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო უარის თქმა ც. ორგანოს და ც. კ-ის არჩევაზე.

ჯერ შევჩერდეთ რედაქციის არჩევაზე. **Tagesordnung**-ში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 24-ე მუხლად იდგა: პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევა. ხოლო **Tagesordnung**-ის[7] ჩემს კომენტარში (ამ კომენტარს იცნობდა **ყველა** ისკრელი დიდი ხნით ადრე ყრილობამდე და ყრილობის ყველა წევრი) არეებზე ეწერა: არჩევა 3 **პირისა** ც. ორგანოში და 3-ისა **ც. კ-ში.** მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რედაქციის წიაღიდან მომდინარეობდა სამეულის არჩევის მოთხოვნა და რედაქციის წევრთაგან არავის არ გაუპროტესტებია იგი. მარტოვიცკი და მარტოველთა მეორე ლიდერიც იცავდნენ ამ «ორ სამეულს» მთელი რიგი დელეგატების წინაშე ჯერ კიდევ ყრილობამდე.

მე პირადად, ყრილობამდე რამდენიმე კვირით ადრე, განვუცხადე სტაროვერსა[8] და მარტოვს, ყრილობაზე რედაქციის არჩევას მოვითხოვ-მეთქი; მე დავთანხმდი 2 სამეულის არჩევაზე, ამასთანავე იგულისხმებოდა, რომ სარედაქციო სამეული ან კოოპტაციით მიიწვევდა 7 პირს (შეიძლება მეტსაც), ანდა მარტო დარჩებოდა (უკანასკნელი შესაძლებლობა საგანგებოდ მქონდა აღნიშნული). სტაროვერმა თქვა კიდევაც პირდაპირ, რომ სამეული იქნება: პლეხანოვი + მარტოვი + ლენინი, და მეც დავეთანხმე, — იმდენად ყველასთვის და ყოველთვის ცხადი იყო, რომ მხოლოდ ეს პირნი შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ ხელმძღვანელებად. საჭირო იყო გაბოროტება, განაწყენება და გონების დაკარგვა ყრილობაზე ბრძოლის შემდეგ, რომ უკანა რიცხვით დაეწყოთ თავდასხმა სამეულის მიზანშეწონილობასა და ქმედუნარიანობაზე. ძველი ექვსეული იმდენად მოკლებული იყო ქმედუნარიანობას, რომ სამი წლის განმავლობაში

ი გ ი ე რ თ ხ ე ლ ა ც არ შეკრებილა სრული შემადგენლობით — ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. «ისკრის» 45 ნომრიდან არც ერთი არ შეუდგენია (ამ სიტყვის რედაქციულ-ტექნიკური აზრით) არავის, გარდა მარტოვისა ან ლენინისა. და ა რ ც ე რ თ ხ ე ლ არ აღუძრავს ვინმეს დ ი დ ი თეორიული საკითხი, გარდა პლეხანოვისა. აქსელროდს სრულებით არ უმუშავნია (არც ერთი სტატია «ზარიაში» * და 3 — 4 სტატია «ისკრის» ყველა 45 ნომერში). ზასულიჩი და სტაროვერი კმაყოფილდებოდნენ თანამშრომლობით და რჩევა-დარიგებით, ხოლო წმინდა სარედაქციო მუშაობა ა რ ა ს-დ რ ო ს არ გაუწევიათ. ვინ უნდა აერჩიათ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ე ბ ა დ, **ცენტრში,** — ეს ყრილობის ყოველი წევრისთვის დღესავით ნათელი იყო ყრილობის ერთი თვის მუშაობის შემდეგ.

ძველი რედაქციის დამტკიცების საკითხის ყრილობაზე გადატანა ს კ ა ნ დ ა ლ ი ს უ ა ზ რ ო პ რ ო ვ ო კ ა ც ი ა ს წარმოადგენდა.

უაზროს, — რადგან ეს უმიზნო იყო. თუნდაც რომ დაემტკიცებინათ ექვსეული, — რედაქციის ერთი წევრი (მაგალითად, მე) მოითხოვდა კოლეგიის გადარჩევას, მისი შინაგანი ურთიერთობის განხილვას, და ყრილობაც ვალდებული იქნებოდა თავიდან დაეწყო საქმე.

ეს იქნებოდა სკანდალის პროვოკაცია, — ვინაიდან ა რ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა ს მიიჩნევდნენ **შეურაცხყოფად,** — მაშინ როცა ახლად არჩევა შეურაცხმყოფელს სრულიად არაფერს არ შეიცავდა. თუ კი ც. კ-ს ირჩევენ, — დაე ც. ორგანოც აირჩიონ. თუ საორგ. კ-ის დამტკიცებაზე არ არის ლაპარაკი, — დაე ძველი რედაქციის დამტკიცებაზეც ნუ იქნება ლაპარაკი.

მაგრამ გასაგებია, რომ დამტკიცების მ ო თ ხ ო ვ ნ ი თ მარტოველებმა პროტესტი გ ა მ ო ი წ ვ ი ე ს ყრილობაზე, პროტესტი მიღებულ იქნა როგორც წ ყ ე ნ ი ნ ე ბ ა, შეურაცხყოფა, გ ა გ დ ე ბ ა, გადაყენება... და დაიწყო ყოველგვარ

საშინელებათა შეთხზვა, რითაც იკვებება ახლა მოცლილი ჭორიკანების ფანტაზია!

არჩევის თუ დამტკიცების საკითხის განხილვის დროს რედაქციამ ყრილობა დასტოვა. საშინლად ცხარე დებატების შემდეგ ყრილობამ გადაწყვიტა: **ძველი რედაქცია არ მტკიცდებაო*.**

მხოლოდ ამ გადაწყვეტილების შემდეგ შემოვიდნენ დარბაზში რედაქციის ყოფილი წევრები. მაშინ დგება მარტოვი და თავის მხრივ და თავისი კოლეგების მხრივ უარს ამბობს არჩევაზე, თან ათასგვარ საშინელ და უბადრუკ სიტყვებს ხარჯავს «პარტიაში არსებულ საალყო წესებზე» (აურჩეველ მინისტრთათვის?), «განსაკუთრებულ კანონებზე ცალკეულ პირთა და ჯგუფთა წინააღმდეგ» (იმ პირთა მსგავსისა, რომლებიც «ისკრის» სახელით სთავაზობდნენ მას რიაზანოვს, და კომისიაში ერთს ლაპარაკობენ, ყრილობაზე კი სხვას?).

მე ვუპასუხე მას და აღვნიშნე პოლიტიკურ ცნებათა წარმოუდგენელი აღრევა, ხოლო ეს აღრევა იწვევდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ყრილობას აერჩია თანამდებობის პირთა კოლეგიები, გადაერჩია ისინი **.

არჩევნების შედეგი: გავიდნენ პლეხანოვი, მარტოვი, ლენინი. მარტოვმა კვლავ უარი განაცხადა. უარი განაცხადა აგრეთვე კოლცოვმაც (რომელსაც 3 ხმა ჰქონდა). მაშინ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ც. ორგანოს რედაქციის ორ წევრს ანდობდა კოოპტაციით მიეწვიათ მესამე, როცა შესაფერ პირს გამონახავდნენ.

ამის შემდეგ აირჩიეს ც. კ-ის სამი წევრი და მხოლოდ ერთი მათგანი დაუსახელა ყრილობას ბარათე-

---

* ამ დროს ერთმა მარტოველმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ მისი დამთავრებისას ერთმა დელეგატმა გადასძახა მდივანს: წერტილის ნაცვლად ოქმში ცრემლი დასვიო! ძველ რედაქციას განსაკუთრებით ცხარედ იცავდნენ უკიდურესი «ჭაობელნი».

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 626. რედ.

ბის დამთვლელმა, — აგრეთვე (ფარულად, ბარათებით) აირჩიეს პარტიის საბჭოს მეხუთე წევრი.

მარტოველებს და მათთან ერთად მთელ «ჭაობს» ბ ა რ ა თ ე ბ ი ა რ მ ი უ ც ი ა თ და ამის შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინეს ბიუროს.

ეს იყო აშკარა ნაბიჯი გათიშვისაკენ, ყ რ ი ლ ო ბ ი ს ჩ ა შ ლ ი ს ა კ ე ნ, პარტიის არცნობისაკენ. მაგრამ როცა ერთმა იუჟნირაბოჩელმა პირდაპირ განაცხადა, მეეჭვება (sic!) ყრილობის გადაწყვეტილებათა კანონიერებაო, მარტოვს შერცხვა და მის საწინააღმდეგოდ ს ა ჯ ა რ ო დ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა — გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა თ ა კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ა შ ი ე ჭ ვ ი ა რ მ ე პ ა რ ე ბ ა ო.

სამწუხაროდ, მარტოვის ამ კარგ და ლოიალურ სიტყვებს არ შეეფერებოდა მისი (და მარტოველების) საქმე და საქციელი...

ამის შემდეგ ყრილობამ «საოქმო კომისიას» მიანდო ოქმების გამოქვეყნების საკითხი და მიიღო 11 ტაქტიკური რეზოლუცია:

1) დემონსტრაციების,
2) პროფესიული მოძრაობის,
3) სექტანტებში მუშაობის,
4) მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობის,
5) დაკითხვებზე თავის დაჭერის,
6) საფაბრიკო მამასახლისების,
7) ამსტერდამის 1904 წლის საერთაშორისო კონგრესის,
8) ლიბერალების (სტაროვერისა),
9) ლიბერალების (პლეხანოვისა),
10) სოციალისტ-რევოლუციონერების,
11) პარტიული ლიტერატურის შესახებ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომლითაც მოაგონებდა ყველას ყრილობის გადაწყვეტილე-

ბათა სავალდებულო ხასიათს და ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

როცა ვაკვირდები მარტოველების საქციელს ყრილობის შემდეგ, მათი მხრივ უარისთქმას თანამშრომლობაზე (რასაც მათ ოფიციალურად სთხოვდა **ც. ორგანოს** რედაქცია), უარისთქმას ც. კ-სთვის მუშაობაზე, მათი მხრივ ბოიკოტის პროპაგანდას, — მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის უგუნური, პარტიის წევრთათვის არასაკადრისი ცდა პარტიის გაგლეჯისა... მერე რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ უკმაყოფილონი არიან ცენტრების შემადგენლობით, ვინაიდან ობიექტურად **მხოლოდ** ამისთვის დავშორდით ერთმანეთს, ხოლო სუბიექტური შეფასებანი (როგორც, მაგ., წყენა, შეურაცხყოფა, გაგდება, გადაყენება, ჩირქის მოცხება **etc. etc.**) — შელახული თავმოყვარეობისა და ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია.

ეს ავადმყოფური ფანტაზია და შელახული თავმოყვარეობა პირდაპირ უაღრესად სამარცხვინო ჭორიკანობას იწვევს, როდესაც ჯერ კიდევ არ იციან და არ უნახავთ, თუ რას აკეთებენ ახალი ცენტრები, და უკვე ხმებს ავრცელებენ — მათ «ქმედუნარიანობა აკლიათო», ივანე ივანეს-ძე «სასტიკად იქცევაო», ივანე ნიკიფორის-ძე «მუშტს» ატრიალებსო და სხვ.

ცენტრების «ქმედუუნარობის» მტკიცება მათთვის ბოიკოტის გამოცხადებით — პარტიული მოვალეობის არნახული და გაუგონარი დარღვევაა, და ამის დაფარვა არავითარი სოფიზმებით არ შეიძლება: ბოიკოტი ნაბიჯია პარტიის გათიშვისაკენ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია იძულებულია განიცადოს უკანასკნელი ძნელი გადასვლა წრეობანობიდან პარტიულობაზე, ობივატელობიდან — რევოლუციური მოვალეობის შეგნებაზე, ჭორებისა და წრეების გზით მოქმედებიდან — დისციპლინაზე.

ვინც აფასებს პარტიულ მუშაობასა და ს ა ქ მ ე ს სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ, ის არ მიმართავს ისეთს უბადრუკ სოფიზმებს, როგორიცაა ცენტრე-ბის «კანონზომიერი» და «ლოიალური» ბოიკოტი, ის არ დაუშვებს, რომ საქმე დაზიანდეს და მუშაობა შეფერხდეს ათიოდე პირის უკმაყოფილების გამო იმაზე, რომ ისინი და მათი მეგობრები არ მოხვდნენ ცენტრებში, — ის არ დაუშ-ვებს, რომ პარტიის თანამდებობის პირებზე ზეგავლენა მოახ-დინონ კერძო წესით და ფარულად — თანამშრომლობაზე უარისთქმის მუქარით, ბოიკოტის გზით, ფულადი სახსრების შეწყვეტის გზით, ჭორებისა და ცრუ ლაყბობის გზით.

წამოსცდათ!..

— კარგი, მაგრამ თქვენმა საქვეყნოდ, ენამჭევრად და მაღალფარდოვანად მტკიცებამ რომ უნდობლობა გამოიწვიოს სწორედ მტკიცების ასეთი ხასიათით?

— სხვა არა მინდა რა და დამანახვა — ვინ გაბედავს ჩემს სიტყვებში დაეჭვებას!

— კი, მაგრამ მაინც რომ დაეჭვდნენ?

— ვიმეორებ, არავის მივცემ ნებას დაეჭვდეს რევოლუციონერის სიტყვებში, არაფერს მოვერიდები, ბოლომდე მივალ, მოვითხოვ — ან აშკარად გამომიცხადონ უნდობლობა, ან აშკარად უკან დაიხიონ, მე...

— მერე, რომ დააკმაყოფილონ თქვენი მოთხოვნა და უნდობლობა აშკარად გამოგიცხადონ?

— რაო? რა სთქვი?

— პირდაპირ და გარკვევით რომ გითხრან, თქვენი არა გვჯერაო?

— ვინც ამის თქმას გაბედავს, მე მას საზიზღარ ცილისმწამებელს ვუწოდებ, მთელი ქვეყნის წინაშე გავკიცხავ მის უმაგალითო საქციელს...

— მაგრამ ამის პასუხად სისტემატურად რომ გიმტკიცონ, მთელი თქვენი საქციელი უკვე დიდი ხანია შეუძლებლად ხდის ნდობით მოგეპყრათო?

— მაშინ მე ყველგან შევკრებ პროტესტებს ამ საშინელი ძმათა შორის პოლემიკის წინააღმდეგ, მივმართავ ყველას გრძნობიერი სიტყვით სიმართლისა და ჭეშმარიტების, სიმართლისა და სამართლიანობის შესახებ, ჭუჭყიანი ხელით

გაბინძურებული უმწიკვლო სიწმინდის, წვრილმანი თავმოყვარეობის უხეში და ბინძური ქერქის, გამწმენდი ცეცხლის ალის შესახებ, რომელიც უსაზღვრო ენთუზიაზმით ავსებს ჩემს სულს, მე შევადარებ ჩემს მტრებს პონტოელ პილატეს...

— მერე, ასეთი სიტყვების გამო მუზმუზელა ტარტიუფს რომ შეგადარონ?

— მაშინ მე მოვითხოვ სამედიატორო სასამართლოს!

— თქვენ დაუყოვნებლივ გიპასუხებენ, რომ სიამოვნებით იღებენ თქვენს გამოწვევას და წინადადებას მოგცემენ უწინარეს ყოვლისა დათანხმდეთ, რომ სასამართლომ გაარჩიოს საკითხი, ჰქონდა თუ არა თქვენს მოწინააღმდეგეს უფლება ეჭვი შეეტანა თქვენს განცხადებათა უცილობლობაში.

— მაშინ... მაშინ... მაშინ მე განვაცხადებ, რომ «ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ი მ ი ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც მ ო ხ დ ა», ლაპარაკიც კი სასაცილოა რაღაც «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ზ ე» ვიღაც «მ ხ ა რ ე ე ბ ს» შორის!

* * *

ასეთი იყო, ««რევოლუციონნაია როსსიას» [10] თქმით, უმაგალითო კამპანია ორი აპრილის [11] საქმის გამო». უპატივცემულეს გაზეთს ძალიან არა სურს, ფრიად გასაგები მიზეზების გამო, გამოტყდეს, რომ ეს ისტორია მართლაც ასეთი იყო. უპატივცემულესი გაზეთი ამოჰფარებია მთელ რიგ მომიზეზებას, რომლებიც ჩვენ დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

«რევოლუციონნაია როსსიას», ჯერ-ერთი, უკვირს, რატომ ხდება, რომ «ნაცვლად რუსეთის ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიისა», რომელსაც მიმართეს ბალმაშევის ამხანაგებმა, პასუხს იძლევა «ისკრის» რედაქცია. გვეუბნებიან, ბალმაშევის ამხანაგებს «არ მიუღიათ პასუხი თავიანთ სრულიად გარკვეულ წინადადებაზე, რომელიც სრულიად გარკვეული მისამართით გაიგზავნაო».

არ არის ეს მართალი, ბატონებო. თქვენ, როგორც ყველასა და თვითეულსაც, მშვენივრად მოგეხსენებათ, სახელ-

დობრ რას წარმოადგენს ეს რუსეთის ორგანიზებული სოციალ-დემოკრატია, სახელდობრ რანაირია ყველა ჩვენი ორგანიზაცია. ჩვენში ერთი ღამის განმავლობაში, ზოგიერთი ადამიანისაგან განსხვავებით, ახალი ორგანიზაციები როდი იქმნებიან. ჩვენ გვაქვს პარტიის კომიტეტები, გვაქვს «ისკრა», გვაქვს საორგ. კ., რომელიც დიდი ხანია ამზადებს პარტიის მეორე ყრილობას. მაშ რომელი «გარკვეული მისამართით» მიმართეთ? მეორე ყრილობას? საორგ. კ-ტს? არა; მიუხედავად თქვენი სიტყვებისა გარკვეული მისამართის შესახებ, თქვენ ეს მისამართი აბსოლუტურად არაფრით არ გაგირკვევიათ. თქვენ თვითონვე აღნიშნეთ, «ისკრა» აღიარებულია კომიტეტების უმრავლესობის მიერო, ამიტომ თქვენ ვერავინ ვერ გიპასუხებდათ, გარდა «ისკრისა». თუ ჩვენი პარტიის მეორე ყრილობა სცნობს «ისკრას» პარტიის ორგანოდ, მაშინ «ისკრის» პასუხი პარტიის პასუხი იქნება. თუ არა სცნობს, — მაშინ თქვენ საქმე გექნებათ სხვა ორგანოსთან. ეს ისეთი უბრალო რამაა, რომ ამას ექვსი წლის ბავშვიც კი გაიგებდა.

«რევ. როსსიას» «უკვირს, პირდაპირი პასუხის ნაცვლად ბალმაშევის ამხანაგების პირდაპირ წინადადებაზე» (წინადადებაზე, რომ ვითომცდა, საშუალება მიეცათ სოციალ-დემოკრატიისთვის, რომ იგი გასცნობოდა ორი აპრილის საქმის ნამდვილ დედაარსს) «რატომ გვეუბნებიან ვიცნოთ ჩვენი თავიო და «ისკრა» მხარეებად, რომელთა შორის ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, შეესაძლებელია რაღაც წინასწარი მოლაპარაკება, «შეთანხმება» საკითხის დაყენების შესახებ». ამრიგად, «რევ. როსსია» ახლა ამტკიცებს, რომ ჩვენ გვთავაზობდნენ არა სამედიატორო სასამართლოს, არამედ მხოლოდ საშუალებას გვაძლევდნენ გავცნობოდით. ეს მართალი არ არის. «რ. რ.» № 27-ში შოთავსებული «განცხადება» სიტყვასიტყვით ლაპარაკობს «ცილისწამების შეუმოწმებელ ბრალდებაზე» («ისკრისა»), ბრალდების შემოწმებაზე, «ერთი პირისთვის, რომლის კეთილსინდისიერებას და კონსპირაციულობას ერთნაირად

ვენდობით ჩვენც და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცენ-ტრალური ორგანოც (ეს დაიხსომეთ!), მთელი რიგი დამამ-ტკიცებელი საბუთების მ ი წ ო დ ე ბ ა ზ ე». «ბრალდების შე-მოწმება», «დამამტკიცებელი საბუთების განხილვა» ისეთი პირის მიერ, რომელსაც ენდობიან ბრალმდებელიც და ბრალ-დებულიც, — განა ეს სამედიატორო სასამართლო არ არის? განა ეს მხოლოდ გაცნობის წინადადებაა?? კომიკები ყოფილ-ხართ, ბატონებო. მას შემდეგ, რაც თქვენ წინადადება მოგვე-ცით დავთანხმებულიყავით კეთილსინდისიერი პირის არჩე-ვაზე, ახლა მხილებული ნოზდრევის უაღრესად ამაყი სახით აცხადებთ, რაიმე შეთანხმება შეუძლებელიაო!

«რევ. როსსია» «შემდეგ გვეკითხება, ვის დასცინის «ისკრა», როცა ლაპარაკობს შეთანხმებაზე საკითხის დაყენე-ბაში, ამავე დროს სავალდებულოდ ხდის საკითხის ისე დაყე-ნებას, როგორც მას სურს, და კატეგორიულად აცხადებს, სა-კითხის სხვაგვარი დაყენება შეუძლებელიაო». სასამართლოს წინაშე ყოველი ადამიანი კატეგორიულად გამოთქვამს თავის აზრს და ამტკიცებს, მხოლოდ ეს არის სწორიო. იმის ნაცვ-ლად, რომ საკითხის თავისი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დაყენებაც მოგვცეს, ჩვენი ამაყი მოწინააღმდეგე ბაქიბუქობს და კეთილ-შობილურ სიტყვებს ხარჯავს!

როცა ბაქიბუქობით გული იჯერა, «რევ. როსსიამ» კეთილ ინება და რამდენიმე შენიშვნა მოგვცა საკითხის ჩვენს დასმა-ზეც. მისი აზრით, «ისკრა» ფანდებს მიმართავს და უკან იხევს. საკითხი იმაში როდი მდგომარეობსო, «რომ მებრძოლ-მა ორგანიზაციამ განიზრახა «ისკრისთვის» წაერთმია უფლება თავისუფლად აზროვნებისა (!), პოლიტიკური აქტების თავი-სი თვალსაზრისით შეფასებისა და გულში რამეზე დაეჭვე-ბისაც კი (sic! *)». ეს «გულში დაეჭვება» ჭეშმარიტად, უბად-ლო რამაა. «მებრძოლი ორგანიზაცია» ისე არაჩვეულებრივ ლიბერალურია, რომ მზად არის (ახლა, ერთ წელიწადზე მეტი ბრძოლის შემდეგ!) ნება დაგვრთოს დავეჭვდეთ კ ი დ ე-

* — ასე! რ ე დ.

ვაც, — ოღონდ მხოლოდ გულში, ე. ი., ალბათ, ისე, რომ არავინ, გარდა თვით დაეჭვებულისა, ამის შესახებ არაფერი იცოდეს... შეიძლება, «თავისუფლად შეფასებასაც» ეს მებრძოლი ხალხი ნებას გვრთავს მხოლოდ ჩვენსავე გულში?

«შეიძლება ვინმემ იფიქროს, — ამბობს «რევ. როსსია», — «ისკრას» იმიტომ დავაბრალეთ ცილისწამება, რომ მან უარი თქვა დამორჩილებოდა ასეთ მოთხოვნას». მერე მოყვანილია ციტატები სტატიიდან «რევოლუციური მორალის ტარტიუფები» და შენიშვნა, რომ «აქ ლაპარაკია არა რაღაც მორიდებულ და გაურკვეველ ეჭვებზე, არამედ მეტად მოურიდებელ და მეტად გარკვეულ ბრალდებებზეო».

მოვუწოდებთ მკითხველს გაიხსენოს ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. «ისკრის» № 20-ში (1902 წლის 1 მაისს) ჩვენ ბალმაშევის აქტის შეფასებას ვიძლევით ისე, რომ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს რაიმე მებრძოლ ორგანიზაციაზე. ეს უკანასკნელი გვწერს წერილს და მოითხოვს, რომ ბალმაშევის გადაწყვეტილების მოტივები ვეძიოთ ამ ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებებში. ჩვენ უსიტყვოდ ვაგდებთ უცნობი ორგანიზაციის ამ წერილს უსარგებლო ქაღალდების კალათში. წერილი იბეჭდება «რევ. როსსიას» № 7-ში (1902 წლის ივნისი), რომლის რედაქცია, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვდუმვართ, უკვე გაჰყვირის ვითომ ჩრდილი მივაყენეთ აქტის მორალურ მხარეს, დავამცირეთ მისი მნიშვნელობა და სხვ. ჩვენ ვუპასუხებთ სტატიით «იძულებითი პოლემიკა» («ისკრის» № 23, 1902 წლის 1 აგვისტო), სადაც დავცინით გამწყრალ იუპიტერს, ვიცავთ 2 აპრილის აქტის ჩვენს შეფასებას და ვაცხადებთ, ჩვენთვის «მეტისმეტად საეჭვოა», რომ ბალმაშევი «მებრძოლ ორგანიზაციას» ეკუთვნოდეს. მაშინ ბატონმა სოც.-რევოლუციონერებმა, რაკი მიაღწიეს ჩვენი შინაგანი ეჭვის გარეგნულად გამოთქმას, ასტეხეს ისტერიული გოდება «უმაგალითო საქციელზე» და ლაპარაკობენ უკვე, არც მეტი და არც ნაკლები, — «ტალახზე» და «ინსინუაციაზე» («რევ. როსსია» № 11, 1902 წლის სექტემბერი).

ასეთია, სულ მოკლედ, ჩვენი ლიტერატურული დავის ძირითადი მომენტები. ადამიანი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ მოწინააღმდეგე მის სიტყვებს ჩუმი უნდობლობით უყურებს, ყელში სწვდება მას და საჯაროდ ჩასცემია — აშკარად გამოთქვი ან ნდობა ან უნდობლობაო, და, როცა უნდობლობას ღებულობს, მკერდზე ხელს იცემს და სჩივის **urbi et orbi** *, ასეთი კეთილშობილი არსება ვარ და რა საზიზღრად შეურაცხმყვესო. რა არის ეს, თუ არა ნოზდრეველობა? თუ არა რევოლუციური ბრეტერობა? განა ასეთმა ადამიანმა არ დაიმსახურა ტარტიუფის სახელწოდება?

საიდან გამოჰყავს «რევ. როსსიას», რომ ჩვენ უკან ვიხევთ, რადგან არ გვსურს პასუხი ვაგოთ სტატიასა და სტატიებისთვის ტარტიუფებზე? იქიდან, რომ საკითხის ჩვენს დაყენებაში შეტანილი არ არის ამ სტატიების თეზისები? მაგრამ განა ჩვენ სამართალში გვიწვევდნენ რომელიმე გარკვეული სტატიების გამო და არა «ისკრის» მთელი დამოკიდებულების გამო «სოც.-რევოლუციონერების პარტიის» მტკიცებებისადმი? განა ბალმაშევის ამხანაგების განცხადების დასაწყისშივე «რევ. როსსიას» № 27-ში ციტირებული არ არის მთელი დავის სწორედ გამოსავალი პუნქტი, — «ისკრის» № 23-ის სიტყვები, რომ მისთვის მეტისმეტად საეჭვოა ბალმაშევი «მებრძოლ ორგანიზაციას» ეკუთვნის თუ არაო? ვბედავთ დავარწმუნოთ «რევ. როსსია», რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველა ჩვენი სტატიისთვის, მზადა ვართ დამატებით შევავსოთ სასამართლოსთვის ჩვენი კითხვები «ისკრის» ყ ო ვ ე ლ ი ნომრის დამოწმებით, მზადა ვართ დავამტკიცოთ ვის წინაშეც გნებავთ, რომ ჩვენ სრული ზნეობრივი უფლება და გონივრული საფუძველი გვქონდა ტარტიუფები გვეწოდებინა «რევ. როსსიას» იმ პუბლიცისტებისთვის, რომლებიც იქამდე მივიდნენ, რომ იხმარეს ჩვენს მიერ ზემომოყვანილი გამოთქმები იმის გამო, რომ ჩვენ გავკადნიერდით და ეჭვი შევიტანეთ მისი სიტყვების სიმართლეში.

* — საქვეყნოდ. რ ე დ.

«უკანდახევა და ფანდები» მართალია, მაგრამ ვისი მხრივ? იმათი მხრივ ხომ არა, ვინც ა ხ ლ ა დიდსულოვნად მზად არის სცნოს ჩვენი უფლება — თავისუფლად შევაფასოთ და გულში დავეჭვდეთ და ვინც ე რ თ წ ე ლ ზ ე მ ე ტ ი ა ვარჯიშობს საზიზღარ მაღალფარდოვან დეკლამაციაში იმის გამო, რომ «ისკრა» ჯიუტად განაგრძობდა იჭვნეულობას და ამტკიცებდა — ყოველი სერიოზული ადამიანი მოვალეა რევოლუციურ ბელეტრისტიკას ეჭვით მოეპყრასო. როცა თქვენ დაინახეთ, რომ გრძნობიერი სიტყვები მაღალ პატიოსნებაზე მართლაც აუდიტორიის სიცილს იწვევს და არა ქვითინს, — თქვენ ახალი სენსაცია მოგესურვათ და სასამართლო მოითხოვეთ. საზღვარგარეთის კოლონიის საზოგადოების სკანდალის მოყვარული ნაწილი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა და გატაცებით ჩურჩულებდა: «ძლივს... ისინი სასამართლოში გაიწვიეს! ახლა კი ვნახოთ». და ახლა მათ იხილეს — ოდევილის უკანასკნელი აქტი, რომლის გმირმა კეთილშობილი ადამიანის მეტისმეტად ნაწყენი სახით განაცხადა, «ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა», შეუძლებელია რაიმე შეთანხმება სასამართლოსათვის საკითხების დაყენების შესახებო.

განაგრძეთ მშვიდად ამავე ყაიდაზე, ბატონებო! მაგრამ გახსოვდეთ კი, რომ უბადრუკი სიტყვების ვერავითარი ნიაღვარი ვერ შეგვიშლის ხელს ჩვენი მოვალეობის შესრულებაში: ვამხილოთ ფრაზიორობა და მისტიფიკაცია, სადაც არ უნდა იჩინონ მათ თავი, რევოლუციური ავანტიურისტების «პროგრამებში», მათი ბელეტრისტიკის ზიზილპიპილებში თუ ზეაღმავალ პრედიკებში * სიმართლესა და ჭეშმარიტებაზე, განმწმენდ ალზე, უმწიკვლო სისპეტაკეზე და ბევრ სხვა რამეზე.

«ისკრა» № 48,
1903 წლის 15 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

---

* — ჭადაგებებში. რ ე დ.

გეგმა წერილებისა რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ

წერილები რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ შეიძლებოდა ასეთი გეგმით განაწილებულიყო:

I. რას წარმოადგენს თანამედროვე სტუდენტობა და რაში მდგომარეობს მისი იდეური გაერთიანების ამოცანა?

II. მარქსიზმის მნიშვნელობა სტუდენტობის გარევოლუციურების საქმეში (რევოლუციურ მოძრაობაში).

III. სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები რუსეთში. მათი თეორიული და ტაქტიკური განსხვავებანი. ტერორი.

IV. სტუდენტური ორგანიზაციის საკითხები «სტუდენტობის გარევოლუციურების» თვალსაზრისით.

V. სტუდენტობა და მუშათა კლასი (?).

იდეური გაერთიანება = ერთგვარი უიდეობა. ზოგადი მოსაზრება — სხვადასხვა ჯგუფი სტუდენტობაში. განხილვა, რა ჯგუფებია, მათი შემთხვევითობა **respective** * აუცილებლობა.

მეკულტუროსნეები საზოგადოების სხვადასხვა კლასში.

» ლიბერალების ბაზისი.

ექვსი ჯგუფის არასაკმაო კლასობრივი განსაზღვრულობა: თვითმპყრობელობა ყველაზე მეტად განსაზღვრავს (რეაქციო-

* — შესაბამისად. რ ე დ.

ნერები — მეკულტუროსნეები — ლიბერალები). წვრილი ბურჟუაზია, მუშები, ბურჟუაზია — უკვე ისახება **კლასობრივი** * დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ბ ი.

კლასობრივი (და პოლიტიკური) დიფერენციაციის პროგრესული მნიშვნელობა. მ ა გ ა ლ ი თ ი. ა კ ა დ ე მ ი ს ტ ე ბ ი დ ა მ ა თ ი გ ა მ ო ყ ო ფ ა «ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ». ეს გამოყოფა ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება პოლიტიკურ უტილიზაციას (განვითარებას, ზრდას).

«იდეური გაერთიანება». **Quid est?** ** ვინ ვისთან? აკადემისტები + ლიბერალები? ლიბერალები + სოციალისტები?

მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები?

იდეური გაერთიანება = განსაზღვრული იდეების გავრცელება, კლასობრივი შეღლის გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა, იდეური გამიჯვნა.

იდეური გაერთიანება = წ ი ნ წ ა ყ ვ ა ნ ი ს უ ნ ა რ ი ს მ ქ ო ნ ე იდეების, მოწინავე კლასის იდეების გავრცელება.

რევოლუციური მარქსიზმი, მისი გამოსვლა ევროპაში 1848 წლის წინ, მისი როლი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

ჩაემატოს: «superkluge» *** მსჯელობის შესახებ თითქოს ბურჟუაზიულ სტუდენტობას არ შეუძლია სოციალიზმით გაიმსჭვალოს.

დაწერილია 1903 წლის აგვისტო-სექტემბერში
პირველად დაბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «კრასნაია მოლოდიოჟ» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* არა «უკანასკნელი დღეების» (ქმნილება — სოციალისტური ინტელიგენცია), არამედ ნახევარი საუკუნის ქმნილება, დაახლოებით, პეტრაშეველთა[12] წრით დაწყებული.

** — რა არის ეს? რ ე დ.

*** — «ზეჭკვიანური». რ ე დ.

რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები

წერილი პირველი[13]

გაზეთ «სტუდენტის»[14] სარედაქციო განცხადება, რომელიც, თუ არ ვცდებით, პირველად დაიბეჭდა «ოსვობოჟდენიეს»[15] № 4 (28)-ში და აგრეთვე «ისკრამაც» მიიღო, მოწმობს, ჩვენი აზრით, იმას, რომ რედაქციის შეხედულებებში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული «სტუდენტის» № 1-ის გამოშვების შემდეგ. ბ-ნი სტრუვე არ შემცდარა, როცა საჩქაროდ განაცხადა — არ ვეთანხმები განცხადებაში გამოთქმულ შეხედულებებსო: ეს შეხედულებები, მართლაც, ძირფესვიანად არ ეთანხმება ოპორტუნიზმის იმ მიმართულებას, რომელსაც ასე თანამიმდევრად და გულმოდგინედ ადგია ლიბერალურ-ბურჟუაზიული ორგანო. რადგან «სტუდენტის» რედაქციამ აღიარა, რომ «მ ა რ ტ ო ო დ ე ნ რევოლუციური გრძნობა ვერ გააერთიანებს სტუდენტობას იდეურადო», რომ «საამისოდ აუცილებელია სოციალისტური იდეალი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ამა თუ იმ სოციალისტურ მსოფლმხედველობას», და თან «გარკვეულ, მთლიან», მსოფლმხედველობასო, ამით მან პრინციპულად უკვე უარჰყო იდეური გულგრილობა და თეორიული ოპორტუნიზმი და სწორ ნიადაგზე დააყენა სტუდენტობის გარევოლუციურების საშუალებათა საკითხი.

ისიც მართალია, რომ ვულგარული «რევოლუციონიზმის» გაცვეთილი თვალსაზრისით სტუდენტობის იდეური გაერთია-

ნება მთლიან მსოფლმხედველობას არ მოითხოვს, არამედ გამორიცხავს მას, იდეური გაერთიანება ნიშნავს «შემწყნარებლობას» სხვადასხვაგვარი რევოლუციური იდეების მიმართ, გულისხმობს თავშეკავებას ერთი რომელიმე გარკვეული რიგის იდეათა გადაჭრით აღიარებისაგან, ერთი სიტყვით, იდეური გაერთიანება, პოლიტიკანობის ამ ბრძენთა თვალსაზრისით, გულისხმობს ერთგვარ უიდეობას (რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად ოსტატურად დაფარულს გაცვეთილი ფორმულებით შეხედულებათა სიფართოვეზე, აუცილებელი და დაუყოვნებლივი ერთიანობის დიდმნიშვნელობაზე და სხვ. და ა. შ.). საკითხის ასე დაყენების საკმაოდ თვალსაჩინო და, ერთი შეხედვით, მეტად დამაჯერებელ საბუთს ყოველთვის წარმოადგენს ის საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ფაქტი, რომ სტუდენტობაში არის და არც შეიძლება არ იყოს ფრიად სხვადასხვაგვარი ჯგუფები მათი პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებების მიხედვით, ამიტომ მსოფლმხედველობის მთლიანობისა და გარკვეულობის მოთხოვნა უცილობლად ჩამოგვაშორებს ზოგიერთ ამ ჯგუფსო, — მაშასადამე, ხელს შეუშლის გაერთიანებას, მაშასადამე, ერთსულოვანი მუშაობის ნაცვლად უთანხმოებას გამოიწვევს, მაშასადამე, შეასუსტებს საერთო პოლიტიკური იერიშის ძალასო და ა. შ. დაუსრულებლივ.

დავუკვირდეთ ამ მოხდენილ მსჯელობას. ავიღოთ, მაგალითად, «სტუდენტის» № 1-დან სტუდენტობის დაყოფა ჯგუფებად — ამ პირველ ნომერში გარკვეული და მთლიანი მსოფლმხედველობის მოთხოვნა ჯერ კიდევ არ იყო წამოყენებული რედაქციის მიერ, ამიტომ მას ვერ დავწამებთ მიკერძოებას სოციალ-დემოკრატიული «შეზღუდულობისადმი». «სტუდენტის» № 1 სარედაქციო სტატია თანამედროვე სტუდენტობას ჰყოფს ოთხ დიდ ჯგუფად: 1) გულგრილი მასა — «ის პირნი, რომელნიც სრულიად ინდიფერენტულად არიან განწყობილი სტუდენტთა მოძრაობის მიმართ»; 2) «აკადემისტები» — მომხრენი სტუდენტთა მოძრაობისა მხოლოდ და მხოლოდ აკადემიურ ნიადაგზე; 3) «სტუდენტთა მოძრაობის მოწინააღმდეგენი

საერთოდ — ნაციონალისტები, ანტისემიტები და სხვ.»; 4) «პოლიტიკოსები» — მეფის დესპოტიზმის დამხობისათვის ბრძოლის მომხრენი. «ეს ჯგუფი, თავის მხრივ, შესდგება ორი მოპირდაპირე ელემენტისაგან — რევოლუციურად განწყობილი წმინდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ოპოზიციისაგან და — უკანასკნელი დღეების (და განა მარტო უკანასკნელი დღეებისა? ნ. ლ ე ნ ი ნ ი) ქმნილებისაგან — სოციალისტურად განწყობილი რევოლუციური ინტელიგენტური პროლეტარიატისაგან». თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი ქვეჯგუფი, როგორც ყველას მოეხსენება, იყოფა სოციალისტ-რევოლუციონერ სტუდენტებად და სოციალ-დემოკრატ სტუდენტებად, მაშინ დავინახავთ, რომ თანამედროვე სტუდენტობა იყოფა ე ქ ვ ს პოლიტიკურ ჯგუფად: რეაქციონერები, ინდიფერენტულნი, აკადემისტები, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები.

იბადება კითხვა: შემთხვევითი ხომ არ არის ასეთი დაჯგუფება? ხომ არ არის ეს სულიერ განწყობილებათა დროებითი ხასიათის განაწილება? საკმარისია პირდაპირ დაისვას ეს კითხვა, რომ მას მაშინვე უარყოფითი პასუხი გასცეს ყველამ, ვინც კი რაოდენადმე გაცნობილია საქმის ვითარებას. ჩვენს სტუდენტობაში სხვანაირი დაჯგუფება არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ რომ სტუდენტობა ინტელიგენციის ყველაზე გულისხმიერი ნაწილია, ხოლო ინტელიგენციას იმიტომაც ჰქვია ინტელიგენცია, რომ ის ყველაზე შეგნებულად, ყველაზე გაბედულად და ყველაზე ზედმიწევნით ასახავს და გამოხატავს კლასობრივ ინტერესთა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა განვითარებას მთელ საზოგადოებაში. სტუდენტობა არ იქნებოდა ის, რაც არის, მისი პოლიტიკური დაჯგუფება რომ არ შეეფერებოდეს მთელი საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, — «შეეფერებოდეს» არა სტუდენტთა და საზოგადოებრივი ჯგუფების სრული პროპორციულობის აზრით შათი ძალისა და რაოდენობის მიხედვით, არამედ სტუდენტობაში იმ ჯგუფების აუცილებელი და გარდუვალი არსებობის

აზრით, როგორნიც საზოგადოებაში არსებობენ. და დამახასიათებელია მთელი რუსი საზოგადოებისათვის, მისი კლასობრივი ანტაგონიზმის ჩანასახი (შედარებით) განვითარებით, მისი პოლიტიკური ყრმობით, მოსახლეობის უდიდესი და უზარმაზარი მასების დაბეჩავებით და დათრგუნვით პოლიციური დესპოტიზმის მხრივ სწორედ ასეთი ექვსი ჯგუფი: რეაქციონერები, ინდიფერენტულნი, მ ე კ უ ლ ტ უ რ ო ს ნ ე ე ბ ი, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები. «აკადემისტების» ნაცვლად მე აქ ჩავსვი «მეკულტუროსნეები», ე. ი. მომხრენი ლეგალური პროგრესისა პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, პროგრესისა თვითმპყრობელობის ნიადაგზე. ასეთი მეკულტუროსნეები რუსი საზოგადოების ყველა ფენაშია და ისინი ყველგან, სტუდენტ «აკადემისტთა» მსგავსად, კმაყოფილდებიან პროფესიული ინტერესების ვიწრო ფარგლით, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ან სახელმწიფო და ადგილობრივი მართვა-გამგეობის გაუმჯობესებით, ისინი ყველგან შიშით თავს არიდებენ «პოლიტიკას», ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ (როგორც ვერ არჩევენ აკადემისტებიც) სხვადასხვა მიმართულების «პოლიტიკოსებს» და პოლიტიკას უწოდებენ ყოველივეს და ყველაფერს, რაც... მართვა-გამგეობის ფორმას ეხება. მეკულტუროსნეების ფენა ყოველთვის ჩვენებური ლიბერალიზმის ფართო საფუძველი იყო და დღესაც არის: «მშვიდობიან» დროს (ე. ი., «რუსულად» თუ ვთარგმნით, პოლიტიკური რეაქციის დროს) მეკულტუროსნის და ლიბერალის ცნება თითქმის სრულიად ერთდება; ომიანობის დროსაც კი, საზოგადოებრივი განწყობილების *აღმავლობის დროს, თვითმპყრობელობაზე მზარდი შეტევის დროს, განსხვავება ამ ცნებათა შორის ხშირად ბუნდოვანი რჩება. რუსი ლიბერალი, მაშინაც კი, როცა ის თავისუფალ საზღვარგარეთულ გამოცემაში საზოგადოების წინაშე გამოდის და პირდაპირ და აშკარად პროტესტს აცხადებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაინც ყველაზე უფრო მეტად მეკულტუროსნედ გრძნობს თავს, არ იშლის თავისას და

ისევ მონურად, ან, თუ გნებავთ, ლეგალურად, ლოიალურად, უქვეშევრდომილესად იწყებს მსჯელობას: იხილე «ოსვობოჟდენიე».

რუსი საზოგადოების მთელი პოლიტიკური დაჯგუფების დამახასიათებელია საერთოდ მეკულტურონსნეებსა და ლიბერალებს შორის გარკვეული და ყველასათვის ნათლად დასანახი მიჯნის უქონლობა. ჩვენთვის თითქოს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ზემომოყვანილი ექვს ჯგუფად დაყოფა სწორი არ არის, რადგან იგი არ შეესაბამება რუსი საზოგადოების კლასობრივ დაყოფასო. მაგრამ ასეთი აზრი უსუსური იქნებოდა. რა თქმა უნდა, კლასობრივი დაყოფა პოლიტიკური დაჯგუფების უაღრესად ღრმა საფუძველია; ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ ეს დაყოფა ყოველთვის განსაზღვრავს, რა თქმა უნდა, ამ დაჯგუფებას. მაგრამ ეს ღრმა საფუძველი აშკარავდება მხოლოდ ისტორიული განვითარების მსვლელობის მიხედვით და ამ განვითარების მონაწილეთა და შემოქმედთა შეგნებულობის მიხედვით. ამ «უკანასკნელი ანგარიშის» შეჯამება ხდება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლით, — ზოგჯერ ხანგრძლივი, შეუპოვარი, წლობით და ათწლობით წარმოებული ბრძოლის შედეგით, ბრძოლის, რომელიც ხან მძაფრად იჩენს თავს სხვადასხვა პოლიტიკურ კრიზისში, ხან ნელდება და თითქოს დროებით სწყდება კიდეც. ტყუილად კი არ არის, რომ, მაგალითად, გერმანიაში, სადაც განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იღებს პოლიტიკური ბრძოლა და სადაც განსაკუთრებით შეგნებულად გამოდის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი, — ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი პარტიები (და მძლავრი პარტიები), როგორიცაა ცენტრი, რომელიც თავის მრავალგვაროვან (და საერთოდ უსათუოდ ანტიპროლეტარულ) კლასობრივ შინაარსს ფარავს სარწმუნოებრივი განმასხვავებელი ნიშნით. მით უფრო ნაკლებ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთში თანამედროვე პოლიტიკური ჯგუფების კლასობრივი წარმოშობა უაღრესად იჩქმალება მთელი ხალხის პოლიტიკური უუფლებობით, ჩინებულად ორგანიზებული, იდეურად შემჭიდროებული, ტრადიციულად კარჩაკეტილი ბიუროკრატიის ბატო-

ნობით ხალხზე. უფრო ის უნდა გვიკვირდეს, რა დიდი კვალი დააჩნია უკვე რუსეთის ევროპულ-კაპიტალისტურმა განვითარებამ, მიუხედავად მისი აზიური პოლიტიკური წყობილებისა, საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას.

სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით, იმ პროგრამის დროშით, რომელიც უკვე დიდი ხანია მთელი საერთაშორისო შეგნებული პროლეტარიატის პროგრამა გახდა, ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე კლასი, სამრეწველო პროლეტარიატი უკვე ჩვენშიც გამოვიდა მასობრივი, ორგანიზებული მოძრაობის გზაზე. პოლიტიკის მიმართ გულგრილთა თანრიგი რუსეთში, რა თქმა უნდა, განუზომლად უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, მაგრამ უკვე ჩვენშიც შეუძლებელია ლაპარაკი ამ თანრიგის პრიმიტიულ და პირველყოფილ ყრმობაზე: შეუგნებელი მუშების — ნაწილობრივ გლეხებისაც — გულგრილობას სულ უფრო და უფრო ხშირად სცვლის პოლიტიკური მღელვარებისა და აქტიური პროტესტის უეცარი ნაკადი, რაც თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ა მ გულგრილობას არაფერი აქვს საერთო მაძღარი ბურჟუებისა და წვრილი ბურჟუების გულგრილობასთან. ეს უკანასკნელი კლასი, რომელიც რუსეთში განსაკუთრებით ხალხმრავალია რუსეთის კაპიტალიზმის შედარებით ჯერ კიდევ სუსტი განვითარების გამო, ერთი მხრივ, უკვე უცილობლად იწყებს შეგნებული და თანამიმდევარი რეაქციონერების წარმოშობასაც, — მეორე მხრივ, და ბევრად უფრო ხშირად, ის ჯერ კიდევ სუსტად განირჩევა უბრალო და დაბეჩავებული «მშრომელი ხალხის» მასისგან, ხარისხნაირი ინტელიგენციის ფართო ფენებში პოულობს იდეოლოგებს, რომელთაც სრულიად არავითარი გარკვეული მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ და შეუგნებლად აქვთ არეული ერთმანეთში დემოკრატიული და პრიმიტიული სოციალისტური იდეები. სწორედ ეს იდეოლოგია ახასიათებს რუსეთის ძველ ინტელიგენციას, მისი ლიბერალურ-ნაროდნიკული ნაწილის მემარჯვენე ფრთასაც და ყველაზე მემარცხენესაც: «სოციალისტ-რევოლუციონერებს».

მე ვთქვი: რუსეთის «ძველ» ინტელიგენციას-მეთქი. ჩვენში უკვე ჩნდება ა ხ ა ლ ი ც, რომლის ლიბერალიზმი თითქმის სავსებით გაიწმინდა (რუსული მარქსიზმის დახმარებით, რა თქმა უნდა) პრიმიტიული ნაროდნიკობისა და ბუნდოვანი სოციალიზმისაგან. ჩვენში ნამდვილი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის შექმნა გიგანტური ნაბიჯით მიდის, განსაკუთრებით იმის მეოხებით, რომ ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ ოპორტუნიზმის ყოველგვარი ახალმოდური მიმართულებისადმი გულისხმიერი და ესოდენ მოქნილი ადამიანები, როგორიც არიან ბატონი სტრუვეები, ბერდიაევები, ბულგაკოვები და კომპ.. დასასრულ, რაც შეეხება რუსი საზოგადოების იმ ლიბერალურ და რეაქციულ ფენებს, რომელნიც ინტელიგენციას არ ეკუთვნიან, მათი კავშირი ჩვენი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელთა ამა თუ იმ ჯგუფების კლასობრივ ინტერესებთან საკმაოდ ნათელია ყველასთვის, ვინც რაოდენადმე მაინც იცნობს, მაგალითად, ჩვენი ერობების, ქალაქთა თვითმმართველობის, საბირჟო, საბაზრო კომიტეტებისა და სხვათა მოღვაწეობას.

ამრიგად, ჩვენ იმ უეჭველ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება შემთხვევით კი არა, არამედ აუცილებლად და გარდუვალად სწორედ ისეთია, როგორც ის ჩვენ ზემოთ დავასურათეთ, გაზეთ «სტუდენტის» № 1 თანახმად. რაკი ეს ფაქტი დავადგინეთ, ჩვენ უკვე ადვილად შეგვიძლია გავერკვეთ სადავო საკითხში, თუ სახელდობრ რა უნდა ვიგულისხმოთ «სტუდენტობის იდეურ გაერთიანებად», მის «გარეევოლუციურებად» და სხვ.. ერთი შეხედვით, მეტისმეტად უცნაურიც კია, როგორ გახდა სადავოდ ასეთი უბრალო საკითხი. თუ სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება შეესაბამება საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, ხომ არ ნიშნავს ეს თავისთავად, რომ სტუდენტობის «იდეურ გაერთიანებად» უნდა ვიგულისხმოთ ორში ერთი: ან სტუდენტთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის მიზიდვა სავსებით განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური იდეებისკენ, ანდა რაც

შეიძლება უფრო მჭიდროდ დაახლოება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის სტუდენტებისა და სტუდენტობის გარეშე არსებული ამ ჯგუფის წარმომადგენლებისა? განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ სტუდენტობის გარევოლუციურებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სავსებით გარკვეული შეხედულება არსებობს ამ გარევოლუციურების შინაარსსა და ხასიათზე? მაგალითად, სოციალ-დემოკრატისთვის ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატიულ რწმენათა გავრცელებას სტუდენტობაში და ბრძოლას იმ შეხედულებებთან, რომელთაც თუმცა «სოციალისტურ-რევოლუციურს» უწოდებენ, მაგრამ რევოლუციურ სოციალიზმთან საერთო არაფერი აქვთ, მეორე, ეს ნიშნავს მისწრაფებას — გააფართოო, უფრო შეგნებული და უფრო გაბედული გახადო სტუდენტობის ყოველგვარი დემოკრატიული, მათ შორის აკადემიური მოძრაობაც.

როგორ მოხდა, რომ ასეთი უბრალო და ნათელი საკითხი დაიხლართა და სადავო აღმოჩნდა, — ეს მეტად საინტერესო და მეტად დამახასიათებელი ეპიზოდია. დავა გაჩაღებული იყო «რევოლუციონნაია როსსიასა» (№№ 13 და 17) და «ისკრას» (№ № 31 და 35) შორის გაერთიანებულ სათვისტომოთა და სტუდენტთა ორგანიზაციების კიევის კავშირის საბჭოს «ღია წერილის» გამო (დაიბეჭდა «რევოლუციონნაია როსსიას» № 13-ში და «სტუდენტის» № 1-ში). კიევის კავშირის საბჭომ «ვიწროდ» მიიჩნია სტუდენტთა 1902 წლის სრულიად რუსეთის II ყრილობის დადგენილება იმის შესახებ, რომ სტუდენტთა ორგანიზაციებს ურთიერთობა ჰქონდეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტებთან, ამავე დროს სრულიად აშკარა ფაქტი ზოგიერთი ადგილის სტუდენტობის ერთი ნაწილის თანაგრძნობისა «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისადმი» მოხერხებულად მიჩქმალულ იქნა ფრიად «პირუთვნელი» და ფრიად უმწეო მსჯელობით იმ თემაზე, რომ «სტუდენტობას, როგორც ასეთს, არ შეუძლია მთლიანად მიეკედლოს არც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას და არც სოციალ-დემოკრატთა პარტიას».

«ისკრამ» აღნიშნა ასეთი მსჯელობის უმწეობა, ხოლო «რევოლუციონნაია როსსიამ», რასაკვირველია, თავგამოდებით დაიწყო მისი დაცვა და «დაქსაქსვისა და გათიშვის» ისკრელ «ფანატიკოსებს» «უტაქტობა», პოლიტიკური მოუმწიფებლობა დასწამა.

ზემოთქმულის შემდეგ ასეთი მსჯელობის შეუსაბამობა უკვე მეტისმეტად ცხადია. ლაპარაკია სტუდენტობის ამა თუ იმ პოლიტიკურ როლზე. და აი ჯერ საჭირო ყოფილა თვალის დახუჭვა იმაზე, რომ სტუდენტობა არ არის მოწყვეტილი დანარჩენ საზოგადოებას და ამიტომ მუდამ და უცილობლად გამოხატავს საზოგადოების მთელ პოლიტიკურ დაჯგუფებას. შემდეგ კი, თვალდახუჭულნი, იწყებენ ლაყბობას სტუდენტობაზე, როგორც ასეთზე, ანდა სტუდენტობაზე საერთოდ. ვღებულობთ დასკვნას... რომ მავნებელია განცალკევება და გათიშვა, რასაც იწვევს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან შეერთება. დღესავით ნათელია, რომ ამ კურიოზული მსჯელობის ბოლომდე მისაყვანად საჭირო იყო პოლიტიკური ნიადაგიდან პროფესიულ ან სასწავლო ნიადაგზე გადახტომა. და «რევოლუციონნაია როსსიაც» სტატიაში «სტუდენტობა და რევოლუცია» (№ 17) სწორედ ასეთს სალტო-მორტალეს აკეთებს და თან იმოწმებს, ჯერ-ერთი, სტუდენტობის საერთო ინტერესებს, სტუდენტობის საერთო ბრძოლას, ხოლო, მეორეც, სტუდენტობის სასწავლო მიზნებს, მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადების ამოცანებს, შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლთა აღზრდის ამოცანებს. ორივე ეს დამოწმება ფრიად სამართლიანია, — მხოლოდ ეს საქმეს არ ეხება და საკითხს კი აბუნდოვანებს. საკითხი დგას პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მოღვაწეობის შესახებ, რაც, თავისი არსებით, განუყრელად დაკავშირებულია პარტიათა ბრძოლასთან და გარდუვალად მოითხოვს ერთი განსაზღვრული პარტიის ა რ ჩ ე ვ ა ს. მაშ როგორ შეიძლება ასეთ არჩევანს თავი აარიდო იმით, რომ ყ ო ვ ე ლ ი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საჭიროა ფრიად სერიოზული მეცნიერული მომზადება, მტკიცე რწმენის «გამომუშავებაო», ანდა იმით, რომ ყ ო ვ ე ლ ი

პოლიტიკური მუშაობა მარტოოდენ ამა თუ იმ მიმართულების პოლიტიკოსთა წრეებით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ უნდა შეიჭრას მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენებში, უნდა დაუკავშირდეს თვითეული ფენის პროფესიულ ინტერესებს, პროფესიული მოძრაობა უნდა შეუერთოს პოლიტიკურ მოძრაობას, პირველი უნდა აამაღლოს მეორემდე?? მარტო ის ფაქტი, რომ თავიანთი პოზიციის დასაცავად ადამიანებს უხდებათ ასეთს მომიზეზებას მიმართონ, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად მოკლებულნი არიან თვით ისინი გარკვეულ მეცნიერულ რწმენასაც და მტკიცე პოლიტიკურ ხაზსაც! რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ საქმეს, თქვენ ხედავთ იმ ძველი ჭეშმარიტების ახალ და ახალ დადასტურებას, რომელსაც დიდი ხანია ჰქადაგებენ სოციალ-დემოკრატები, როდესაც ებრძვიან სოციალისტ-რევოლუციონერთა ეკვილიბრისტიკას მეცნიერულ-თეორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც, — ებრძვიან ქანაობას, ერთი მხრივ, მარქსიზმსა, მეორე მხრივ, დასავლეთ-ევროპულ «კრიტიკულ» ოპორტუნიზმსა და, მესამე მხრივ, წვრილბურჟუაზიულ ნაროდნიკობას შორის *.

მართლაც, წარმოიდგინეთ რაოდენადმე განვითარებული პოლიტიკური ურთიერთობანი და შეხედეთ ჩვენი «სადავო საკითხის» პრაქტიკულ დაყენებას. დავუშვათ, რომ ჩვენს წინაშეა კლერიკალების, ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების პარტიები. ისინი მოქმედებენ განსაზღვრულ ადგილებში, ვთქვათ, სტუდენტობის და თუნდაც მუშათა კლასის ზოგიერთ ფენაში. ისინი ცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ ორივე ფენის ყველაზე გავლენიან წარმომადგენელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. იბადება კითხვა, შესაწყნარებელია განა ასეთი ამბავი, რომ ამ წარმომადგენელთა მიერ ერთი

* თავისთავად ცხადია, რომ დებულება სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამისა და ტაქტიკის არათანამიმდევრობისა და შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ მოითხოვს განსაკუთრებულ საფუძვლიან განმარტებას. ჩვენ ვიმედოვნებთ ერთ-ერთ შემდეგომ წერილში ვრცლად შევჩერდეთ ამ საკითხზე.

რომელიმე გარკვეული პარტიის არჩევის წინააღმდეგ გაილაშქრონ ამ პარტიებმა იმ მოსაზრებით, რომ არსებობს მთელი სტუდენტობის და მთელი მუშათა კლასის საერთო სასწავლო და პროფესიული ინტერესებიო? ეს იმას ემსგავსებოდა, რომ პარტიათა ბრძოლის აუცილებლობა სადავოდ გაეხადათ წიგნის ბეჭდვის ხელოვნების დამოწმებით, რასაც ესოდენი სარგებლობა მოაქვს განურჩევლად ყველა პარტიისთვის. არ არსებობს არც ერთი პარტია ცივილიზებულ ქვეყნებში, რომელსაც არ ესმოდეს რაც შეიძლება ფართოდ და მტკიცედ დაყენებული სასწავლო და პროფესიული კავშირების უდიდესი სარგებლობა, მაგრამ ყოველი პარტია იმას ცდილობს, რომ ამ კავშირებში სწორედ მისი გავლენა სჭარბობდეს. ვინ არ იცის, რომ ამა თუ იმ დაწესებულების უპარტიულობის დამოწმება მხოლოდ თვალთმაქცური ფრაზაა მმართველ კლასთა მხრივ, რომელთაც სურთ მიჩქმალონ ის გარემოება, რომ არსებული დაწესებულებები ასიდან 99 შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკური სულისკვეთებით არიან გამსჭვალული? ხოლო ჩვენი ბატონი სოციალისტ-რევოლუციონერები ხომ არსებითად სწორედ «უპარტიულობას» უმღერიან დიფირამბებს. აიღეთ, მაგალითად, «რევოლუციონნაია როსსიას» (№ 17) ასეთი მგრძნობიარე ტირადა: «ეს რა ბეცი ტაქტიკაა, როცა რევოლუციურ ორგანიზაციას ყოველი სხვა დამოუკიდებელი, მისდამი დაუქვემდებარებელი ორგანიზაცია სურს წარმოიდგინოს კ ო ნ კ უ რ ე ნ ტ ა დ, რომელიც განადგურებულ უნდა იქნას და რომელშიც უსათუოდ შეტანილ უნდა იქნას გათიშვა, გაყოფა, დეზორგანიზაცია?». ეს ნათქვამია მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 1896 წლის მოწოდების გამო, ორგანიზაციისა, რომელიც სტუდენტობას უსაყვედურებს, რომ ის უკანასკნელ წლებში ჩაიკეტა თავისი საუნივერსიტეტო ინტერესების ვიწრო რკალშიო, და რომელსაც «რევოლუციონნაია როსსია» ჭკუას ასწავლის, სტუდენტთა ორგანიზაციის არსებობა არასდროს არ უშლის ხელს იმათ, «ვინც გარკვეული რევოლუციური სახე მიიღო», რომ თავისი ძალღონე მუშათა საქმეს მოახმაროსო.

დაუკვირდით, რამდენი არევ-დარევაა აქ. კონკურენცია შესაძლებელია (და აუცილებელია) მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, პოლიტიკურ მისწრაფებასა და პოლიტიკურ მისწრაფებას შორის. ურთიერთდამხმარე საზოგადოებასა და რევოლუციურ წრეს შორის კონკურენცია შეუძლებელიაო, და როცა «რევოლუციონნაია როსსია» უკანასკნელს მიაწერს პირველის უეჭველი მოსპობის სურვილს, იგი აშკარა სისულელეს ლაპარაკობს. მაგრამ თუ იმავე ურთიერთდამხმარე საზოგადოებაში თავი იჩინა გარკვეულმა პოლიტიკურმა მისწრაფებამ, — მაგალითად, არ დაეხმარონ რევოლუციონერებს ან ბიბლიოთეკებიდან ამოიღონ არალეგალური წიგნები, — მაშინ კონკურენცია და პირდაპირი ბრძოლა ყოველი პატიოსანი «პოლიტიკოსისთვის» ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა. თუ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც წრეებს ზღუდავენ უნივერსიტეტის ვიწრო ინტერესებით (ასეთი ადამიანები კი უეჭველად მოიპოვებიან, ხოლო 1896 წელს ისინი ბევრად მეტი იყვნენ!), მაშინ ბ რ ძ ო ლ ა მათსა და იმ ადამიანებს შორის, რომელნიც ჰქადაგებენ ინტერესების არა შევიწროებას, არამედ გაფართოებას, ასევე აუცილებელი და სავალდებულოა. ხოლო კიევის საბჭოს ღია წერილში, რომელმაც «ისკრასთან» «რევოლუციონნაია როსსიას» პოლემიკა გამოიწვია, ლაპარაკი იყო არჩევანზე არა სტუდენტთა და რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის, არამედ სხვადასხვა მიმართულების რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის. მაშასადამე, ა რ ჩ ე ვ ა სწორედ იმათ დაიწყეს, ვინც უკვე «გარკვეული რევოლუციური სახე მიიღო», ხოლო ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერები» უ კ ა ნ ეწევიან მათ იმ საბაბით, რომ კონკურენცია რევოლუციურ და წმინდა სტუდენტურ ორგანიზაციას შორის სიბეცეაო... ეს დიდი აბდაუბდაა, ბატონებო!

სტუდენტობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა ნაწილმა არჩევანი დაიწყო ორ რევოლუციურ პარტიას შორის, მას კი ასეთი ჭკუის სწავლებით უმასპინძლდებიან: «ამ გავლენას», ე. ი. სტუდენტობის სოციალისტური ნაწილის გავლენას დანარჩენ

ნაწილზე, «აღწევდნენ არა გარკვეული» (რა თქმა უნდა, უმჯობესია გაურკვევლობა...) «პარტიული იარლიყის» (ზოგისთვის იარლიყია და ზოგისთვის — დროშა) «თავზე მოხვევით», «არა ამხანაგ-სტუდენტთა გონებრივ სინდისზე ძალადობითო» (ყველა ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული პრესა სოციალ-დემოკრატიის ზრდას მუდამ იმით ხსნის, რომ წინამძღოლნი და წამსისიანებელნი ძალადობას ახდენენ მშვიდობიან ამხანაგთა სინდისზეო...). მე ვფიქრობ, ყოველი რიგიანი სტუდენტი ღირსეულად შეაფასებს ამ ბრალდებას სოციალისტების მიმართ — იარლიყებს «ახვევენ თავს» და «ძალადობას ახდენენ სინდისზეო». და ასეთ უხასიათო, მოდუნებულ და უპრინციპო სიტყვებს ამბობენ რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ ასე უსაზღვროდ სუსტია პარტიული ორგანიზაციის, პარტიული სიმტკიცისა და პატიოსნების, პარტიული დროშის ცნებები!

ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერები» რევოლუციურ სტუდენტობას ნიმუშად უყენებენ წინანდელ სტუდენტთა ყრილობებს, რომელნიც «სოლიდარობას» უცხადებდნენ «საერთო-პოლიტიკურ მოძრაობას და სრულიად უგულებელყოფდნენ რევოლუციურ ბანაკში არსებულ ფრაქციულ უთანხმოებას». რა არის «საერთო-პოლიტიკური» მოძრაობა? ეს არის სოციალისტური მოძრაობა პლუს ლიბერალური მოძრაობა. ამ განსხვავების უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ დადგე უშუალო და უახლოესი, ე. ი. სწორედ ლიბერალური მოძრაობის მხარეზე. და აქეთკენ მოგვიწოდებენ «სოციალისტ-რევოლუციონერები»! პარტიული ბრძოლისაგან ჩამოშორებისაკენ მოგვიწოდებენ ის ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავს ცალკე პარტიას უწოდებენ! განა ეს იმის მაჩვენებელი არ არის, რომ ასეთს პარტიას არ ძალუძს თავისი პოლიტიკური საქონელი თავისი საკუთარი ბაირაღით გაატაროს და იძულებულია კონტრაბანდას მიმართოს? განა აქედან ცხადი არ არის, რომ ეს პარტია მოკლებულია თავის რაიმე გარკვეულ პროგრამულ ბაზისს? ამას ახლავე დავინახავთ.

სტუდენტობასა და რევოლუციაზე სოციალისტ-რევოლუციონერების მსჯელობის შეცდომები არ შეიძლება აიხსნას მარტო ულოგიკობით, რომლის დამტკიცებას ჩვენ ზემოთ ვცდილობდით. რაოდენადმე შეიძლება ამის საწინააღმდეგოს მტკიცება: მათი მსჯელობის ულოგიკობა მათი ძირითადი შეცდომიდან გამომდინარეობს. როგორც «პარტიამ», მათ თავიდანვე ისეთი შინაგანად წინააღმდეგობრივი, ისეთი მოლიპული პოზიცია დაიკავეს, რომ სავსებით პატიოსან და პოლიტიკური აზროვნების სავსებით უნარმქონე ადამიანებს ამ მოლიპულ პოზიციაზე თავის შემაგრება არ შეეძლოთ, მუდამ რყევაში იყვნენ და წარამარა ეცემოდნენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალ-დემოკრატია ამა თუ იმ მწერლების, ამა თუ იმ მოღვაწეების სხვადასხვა შეცდომით კი არა ხსნის იმ ზიანს, რომელსაც «სოციალისტ-რევოლუციონერები» აყენებენ სოციალიზმის საქმეს, არამედ, პირიქით, ყველა ამ შეცდომას იგი თვლის ყალბი პროგრამული და პოლიტიკური პოზიციის აუცილებელ შედეგად. ისეთ საკითხში, როგორც სტუდენტთა საკითხია, ეს სიყალბე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აშკარავდება და ცხადი ხდება წინააღმდეგობა ბ ურ ჟ უ ა-ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ თვალსაზრისსა და რევოლუციური სოციალიზმის ზიზილ-პიპილებიან სამოსელს შორის. მართლაც, ჩაუკვირდით «რევოლუციონნაია როსსიას» პროგრამული სტატიის — «სტუდენტობა და რევოლუცია» — აზრის მსვლელობას. ავტორი სტატიას საფუძვლად უდებს «ახალგაზრდობის» «მისწრაფებათა უანგარობას და უმწიკვლობას», «იდეალური მოტივების ძალას». სწორედ ამაში ეძებს ავტორი ახალგაზრდობის «ნოვატორულ» პოლიტიკურ მისწრაფებათა ახსნას და არა რუსეთის საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების იმ რეალურ პირობებში, რომლებიც, ერთი მხრივ, წარმოშობენ შეურიგებელ წინააღმდეგობას თვითმპყრობელობასა და მოსახლეობის ფრიად ფართო და ფრიად სხვადასხვაგვაროვან ფენებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, — მეტისმეტად აძნელებენ (მალე უკვე უნდა ვთქვათ ხოლმე:

აძნელებდნენ) პოლიტიკური უკმაყოფილების სხვაგვარად გამოხატვას, თუ არა უნივერსიტეტების საშუალებით.

ავტორი შემდეგ ილაშქრებს სოციალ-დემოკრატების ცდების წინააღმდეგ, რომ შეგნებულად მოეკიდონ სტუდენტობის შიგნით პოლიტიკური ჯგუფების სხვადასხვაობას, უფრო შეამჭიდროონ ერთგვაროვანი პოლიტიკური ჯგუფები და გააცალკეონ ის, რაც პოლიტიკურად სხვადასხვაგვაროვანია. ავტორი ამა თუ იმ ცდის უსწორობას კი არ აკრიტიკებს, — სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყველა ეს ცდა ყველაფერში ყოველთვის სწორი იყოს. არა, ავტორისთვის სრულიად უცხოა თვით იდეა, რომ კლასობრივი ინტერესების სხვადასხვაობამ აუცილებლად გავლენა უნდა მოახდინოს პოლიტიკურ დაჯგუფებაზეც, რომ სტუდენტობა არ შეიძლება გამონაკლისს შეადგენდეს მთელ საზოგადოებაში, მიუხედავად მთელი თავისი უანგარობისა, უმწიკვლობისა, იდეალურობისა და სხვ., რომ სოციალისტის ამოცანას შეადგენს არა ამ განსხვავების მიფუჩეჩება, არამედ, პირიქით, მისი განმარტება რაც შეიძლება უფრო ფართო მასისთვის და მისი დამკვიდრება პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ავტორი საგნებს განიხილავს ბურჟუაზიული დემოკრატის იდეალისტური თვალსაზრისით და არა სოციალ-დემოკრატის მატერიალისტური თვალსაზრისით.

ამიტომ ავტორს არ რცხვენია წამოაყენოს და გაიმეოროს რევოლუციური სტუდენტობის მოწოდება «საერთო-პოლიტიკური მოძრაობისაკენ». მისთვის სიმძიმის ცენტრი ძევს სწორედ საერთო-პოლიტიკურ, ე. ი. საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელიც ერთიანი უნდა იყოს. ეს ერთიანობა არ უნდა დაარღვიონ «წმინდა რევოლუციურმა წრეებმა», რომლებიც უნდა ჯგუფდებოდნენ «სტუდენტთა საერთო ორგანიზაციის პარალელურად». ამ ფართო და ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის ინტერესთა თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დანაშაულობაა პარტიული იარლიყების «თავზე მოხვევა» ამხანაგებისთვის და მათს გონებრივ სინდისზე ძალდატანება.

სწორედ ასე უყურებდა საქმეს ბურჟუაზიული დემოკრატია 1848 წელსაც, როცა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობაზე მითითების ცდები «განცალკევებისა და გათიშვის ფანატიკოსთა» «საყოველთაო» გაკიცხვას იწვევდა. სწორედ ასეთი შეხედულებისაა ბურჟუაზიული დემოკრატიის უახლესი სახესხვაობაც, — ოპორტუნისტები და რევიზიონისტები, ესენი მოუთმენლად ელოდებიან ერთიან დიდ დემოკრატიულ პარტიას, რომელიც მშვიდობიანად გასწევს წინ რეფორმების გზით, კლასთა თანამშრომლობის გზით. ყველა ესენი ყოველთვის იყვნენ და არც შეიძლება არ იყვნენ «ფრაქციული» უთანხმოების მტრები და «საერთო-პოლიტიკური» მოძრაობის მომხრენი.

ხომ ხედავთ: სოციალისტ-რევოლუციონერების მსჯელობანი, სასაცილოდ შეუსაბამო და წინააღმდეგობის შემცველი სოციალისტის თვალსაზრისით, სავსებით გასაგები და თანამიმდევარი ხდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით. ეს იმიტომ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია არსებითად ბურჟუაზიული დემოკრატიის ფ რ ა ქ ც ი ა ა და მეტი არაფერი, ფრაქცია, რომელიც თავისი შემადგენლობით უმთავრესად ინტელიგენტურია, თვალსაზრისით — უმთავრესად წვრილბურჟუაზიული, თეორიული მრწამსით — უახლესი ოპორტუნიზმისა და მამაპაპური ნაროდნიკობის ეკლექტიკურად შემაერთებელი.

ბურჟუაზიული დემოკრატის გამაერთიანებელი ფრაზეოლოგიის საუკეთესო უარყოფას წარმოადგენს თვით პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობა. რუსეთში ნამდვილი მოძრაობის ზრდამ უკვე მიგვიყვანა ა ს ე თ უარყოფამდე. მე მხედველობაში მაქვს «აკადემისტების» გამოყოფა სტუდენტობის ცალკე ჯგუფად. ვიდრე ნამდვილი ბრძოლა არ იყო, აკადემისტები არ განირჩეოდნენ «სტუდენტთა საერთო» მასიდან, და სტუდენტობის მთელი «მოაზროვნე ნაწილის» «ერთიანობა» თითქოს ურღვევი ჩანდა.

როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, — სხვადასხვაგვაროვან ელემენტთა გათიშვა უცილობელი გახდა *.

პოლიტიკური მოძრაობისა და თვითმპყრობელობაზე პირდაპირი იერიშის პროგრესი მაშინვე აღინიშნა პოლიტიკური დაჯგუფების გარკვეულობის პროგრესით, — მიუხედავად ყოველგვარი ლაყბობისა ყველას და თვითეულის გაერთიანების შესახებ. არა მგონია ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ აკადემისტებისა და პოლიტიკოსების გაყოფა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს გაყოფა იმას, რომ სოციალ-დემოკრატი სტუდენტები «კავშირს გაწყვეტენ» აკადემისტებთან? «რევოლუციონნაია როსსიას» ჰგონია, რომ ამას ნიშნავს (იხ. № 17, გვ. 3).

მაგრამ ეს მას ჰგონია იმ აბნეულობის გამო, რომელიც ჩვენ ზემოთ გამოვააშკარავეთ. პოლიტიკურ მიმართულებათა სრული გამიჯვნა სრულიადაც არ ნიშნავს პროფესიული და სასწავლო კავშირების «გათიშვას». სოციალ-დემოკრატი, რომელიც ამოცანად დაისახავს სტუდენტობაში მუშაობას, უსათუოდ შეეცდება შეიჭრას თვითონ ან თავისი აგენტების საშუალებით რაც შეიძლება უფრო ფართო «წმინდა სტუდენტურ» და თვითგანათლების რაც შეიძლება მეტ წრეში, შეეცდება გააფართოოს მათი ჰორიზონტი, ვინც მოითხოვს მხოლოდ აკადემიურ თავისუფლებას, შეეცდება გასწიოს სწორედ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროპაგანდა იმათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ეძებს რაიმე პროგრამას.

დასკვნა. სტუდენტობის განსაზღვრულ ნაწილს სურს შეიმუშაოს გარკვეული და მთლიანი სოციალისტური მსოფლმხედველობა. ამ მოსამზადებელი მუშაობის საბოლოო მიზანი

* თუ ზოგიერთ ცნობას დავუჯერებთ, უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ძლიერ იჩინა თავი სტუდენტობის სხვადასხვაგვაროვან ელემენტთა შემდგომმა გათიშვამ, სახელდობრ სოციალისტების გამოყოფამ პოლიტიკოს-რევოლუციონერებისაგან, რომელთაც სოციალიზმის ხსენებაც კი არა სურთ. ამბობენ, ციმბირში ვადასახლებულ სტუდენტებს შორის ამ უკანასკნელ მიმართულებას მეტად ვარკვეულად უჩენია თავი. ვნახოთ, დადასტურდება თუ არა ეს ცნობა.

შეიძლება იყოს რევოლუციურ წრეში ამჟამად ჩამოყალიბებული ორი მიმართულებიდან ერთ-ერთის მხოლოდ შეგნებულად და მტკიცედ არჩევა იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ პრაქტიკულად მიიღონ მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში. ვინც პროტესტს აცხადებს ასეთი არჩევანის წინააღმდეგ სტუდენტობის იდეური გაერთიანების გულისთვის, საერთოდ მისი გარევოლუციურების გულისთვის და სხვ., — ის აბნელებს სოციალისტურ შეგნებას, ნამდვილად ის მხოლოდ უიდეობას ჰქადაგებს. სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება არ შეიძლება არ ასახავდეს მთელი საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, და ყოველი სოციალისტის მოვალეობაა — მიისწრაფოდეს სხვადასხვაგვაროვან პოლიტიკურ ჯგუფთა რაც შეიძლება უფრო შეგნებული და თანამიმდევარი გამიჯვნისაკენ. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის მოწოდება, მიმართული სტუდენტობისადმი — «სოლიდარობა გამოუცხადონ საერთო-პოლიტიკურ მოძრაობას და სრულიად აერიდონ ფრაქციულ განხეთქილებას რევოლუციურ ბანაკში», — არსებითად არის მოწოდება — დ ა ვ ი ხ ი ო თ უ კ ა ნ, სოციალისტური თვალსაზრისიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისისაკენ და მეტი არაფერი. ამაში გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან «სოც.-რევ. პარტია» მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის ფრაქციაა რუსეთში. სოციალ-დემოკრატ სტუდენტის გათიშვა ყველა სხვა მიმართულების რევოლუციონერებთან და პოლიტიკოსებთან სრულიადაც არ ნიშნავს სტუდენტობის საერთო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან კავშირის გაწყვეტას; პირიქით, მხოლოდ სრულიად გარკვეული პროგრამის თვალსაზრისზე დგომით შეიძლება და უნდა ვიმუშაოთ სტუდენტობის უფართოეს წრეებში აკადემიური ჰორიზონტის გაფართოებისათვის და მეცნიერული სოციალიზმის, ე. ი. მარქსიზმის პროპაგანდისათვის.

P. S. * შემდგომ წერილებში მე მინდა ვესაუბრო «სტუდენტის» მკითხველებს მარქსიზმის მნიშვნელობაზე მთლიანი

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სოც.-რევ. პარტიის პრინციპულ და ტაქტიკურ განსხვავებაზე, სტუდენტთა ორგანიზაციის საკითხებზე და სტუდენტობის დამოკიდებულებაზე საერთოდ მუშათა კლასისადმი.

დაიბეჭდა 1903 წლის სექტემბერს
გაზეთ «სტუდენტის» № 2 — 3-ში

ბეჭდება გაზეთ «სტუდენტის»
ტექსტის მიხედვით

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მეორე პარტიული ყრილობა

სტატიის გეგმა[16]

დიდი ხანია ველოდით.

რატომ ნელა? (სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები. ნამდვილი მასობრივი მოძრაობა. ფილისტერობა და პოლიტიკა.)

ყრილობის მთავარი მუშაობა: გაფორმება.

1α პროგრამა. მისი მნიშვნელობა. «ნომადური» პერიოდის დასასრული[17]. დასაყრდენი ბრძოლისა ლიბერალებთან, სოციალისტ-რევოლუციონერებთან etc.*

ხელმძღვანელობა პროპაგანდაში

» » აგიტაციაში.

2β ორგანიზაციული წესდება. მისი მნიშვნელობა. ცენტრალიზმი. ადგილობრივი ავტონომია. (2 ცენტრი.). ამხანაგური დამოკიდებულება ხელმძღვანელებთან. პირადი და პოლიტიკური ურთიერთობანი. წესდების განმარტებისა და მისი გამოყენების ხერხთა გამომუშავება.

3γ რეზოლუციები.

ლიბერალები (ორი)

სოციალისტ-რევოლუციონერები

	დემონსტრაციები პროფესიული ბრძოლა

პარტიული ლიტერატურა

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

1. ლიბერალები 2. ლიბერალები 3. სოციალისტ-რევოლუციონერები 4. პარტიული ლიტერატურა 5. დემონსტრაციები 6. პროფესიული ბრძოლა	მნიშვნელოვანი
7. საფაბრიკო მამასახლისები 8. 1904 წლის კონგრესი 9. კიშინიოვის დარბევა 10. სექტანტები 11. მოსწავლეები 12. ყოფა-ქცევა დაკითხვის დროს	უმნიშვნელო

4 | ბ | ბუნდის გამოსვლა. უმჯობესია ცხადად. ტაქტიკა: განკერძოების მავნებლობის განმარტება. (ბუნდელთა ნაციონალიზმი და ორგანიზაციული ჭორები.)

5 | **ოქმები.**

დაწერილია 1903 წლის სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
«ლენინის კრებულში» VI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ურცხვობის მაქსიმუმი და ლოგიკის მინიმუმი

№ 46-ში ჩვენ გადმოვბეჭდეთ ბუნდის V ყრილობის რეზოლუცია რსდმ პარტიაში ბუნდის მდგომარეობის შესახებ და თან დავურთეთ ჩვენი შეფასება ამ რეზოლუციისა. ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი თავის 9 (22) სექტემბრის ფურცელში ფრიად დაწვრილებით და მეტად გაჯავრებული გვიპასუხებს. ამ გაჯავრებული პასუხის ყველაზე არსებითი ნაწილია შემდეგი ფენომენური აღმოჩენა: «ბ უ ნ დ ი ს მ ე ხ უ თ ე ყ რ ი ლ ო ბ ა მ გ ა რ დ ა წ ე ს დ ე ბ ა-მ ა ქ ს ი მ უ მ ი ს ა, (sic! *) შ ე ი მ უ შ ა ვ ა კ ი დ ე ვ წ ე ს დ ე ბ ა-მ ი ნ ი მ უ მ ი ო», და ეს მინიმუმი სრულად არის მოყვანილი; მასთან ორ შენიშვნაში განმარტებულია, რომ «უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი ს ს ა ხ ი თ წ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს» «ავტონომიის უარყოფა» და იმის მოთხოვნა, რომ პარტიაში შემავალმა სხვა ნაწილებმა ბუნდის ც. კ-სგან თანხმობის მიუღებლად არ მიმართონ ებრაელ პროლეტარიატს. ასე გადაწყვიტა ბუნდის V ყრილობამ.

ხომ მართალია, რარიგ... ლამაზია? ბუნდის ყრილობამ ე რ თ ბ ა შ ა დ ორი წესდება შეიმუშავა, ერთბაშად განსაზღვრა თავის სურვილთა თუ მოთხოვნათა მაქსიმუმიც და მინიმუმიც. ამასთანავე მინიმუმს კეთილგონიერად (ოო, ზედმიწევნით კეთილგონიერად!) მალავენ ჯიბეში. აქვეყნებენ (7 (20) აგვისტოს ფურცელში) მხოლოდ მაქსიმუმს და თან ს ა ჯ ა რ ო დ, პირდაპირ და ნათლად აცხადებენ, წესდების ეს

* — ასე! რ ე დ.

მაქსიმალური პროექტი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობას უნდა წარედგინოს, როგორც ბ ა ზ ი ს ი პარტიაში ბუნდის მდგომარეობის საკითხის განსახილველადო» (ეს დაიხსომეთ!). ოპონენტები, რა თქმა უნდა, ამ მაქსიმუმს თავს ესხმიან განსაკუთრებული მძვინვარებით სწორედ იმიტომ, რომ ეს მაქსიმუმია, რომ ეს მათ მიერ დაგმობილი მიმართულების «უკანასკნელი სიტყვაა» *. მაშინ, ე რ თ ი თ ვ ი ს შ ე მ დ ე გ, ეს ადამიანები სრულიად ურცხვად აძვრენენ ჯიბიდან «მინიმუმს» და მრისხანედ დასძენენ: «უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი ა ო»!

ეს უკვე «უკანასკნელი სიტყვა» კი არა, ნამდვილი უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ფ ა ს ი ა... მაგრამ უკანასკნელი კია, ბატონებო? მეორე ჯიბეში მინიმალური მინიმუმი ხომ არა გაქვთ? ხომ არ იხილავს იგი მზის სინათლეს ასე, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ?

ჩვენ ძლიერ ვშიშობთ, რომ ბუნდელებს ცუდად ესმით ამ მაქსიმუმისა და მინიმუმის მთელი «სიმშვენიერე». სამმაგად დააფასე, შემდეგ 75% დაუკელი და თქვი: «უკანასკნელი ფასიაო», — განა სხვანაირად ვაჭრობა შეიძლება? და განა ჩარჩობასა და პოლიტიკას შორის რაიმე განსხვავებაა?

არის, ბატონებო, გარწმუნებთ, რომ არის. ჯერ-ერთი, პოლიტიკაში ზოგიერთი პარტია სისტემატურად ატარებს გარკვეულ პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ს, ხოლო პრინციპების გამო ვაჭრობა ურიგობაა. მეორეც, როცა ადამიანები, რომელნიც ერთ რომელიმე პარტიას აკუთვნებენ თავს და ზოგიერთ თავის მოთხოვნას ისე უყურებენ, როგორც ულტიმატუმს, ე. ი. თვით

* უნდა ითქვას, მეტისმეტად დამახასიათებელია ბუნდელთა პოლემიკისა, რომ ამ გამოთქმისთვის განსაკუთრებით დაგვესხა თავს «პოსლედნიე იზვესტია» [18]. რატომაა უკანასკნელი სიტყვა, როცა ეს (ფედერაციის მოთხოვნა) ორ წელზე მეტია რაც ითქვაო? «ისკრას» მკითხველის გულმავიწყობის იმედი აქვს!.. დამშვიდდით, დამშვიდდით, ბატონებო: სტატიის ავტორმა თქვენს წესდება-მაქსიმუმს უკანასკნელი სიტყვა სწორედ იმიტომ უწოდა, რომ ე ს ს ი ტ ყ ვ ა ითქვა (დაახლოებით) ორი დღით ადრე «ისკრის» № 46 გამოსვლამდე და არა ორი წლის წინათ.

პარტიაში ყოფნის პირობას, მაშინ პოლიტიკური პატიოსნება მოითხოვს, რომ ეს გარემოება კი არ დაიფაროს, «დ რ ო ე ბ ი თ» ჯიბეში კი არ იქნას შემონახული, არამედ, პირიქით, თავიდანვე აშკარად და გარკვევით იქნას წამოყენებული.

ჩვენ უკვე დიდი ხანია ვუქადაგებთ ბუნდელებს ამ უბრალო ჭეშმარიტებას. ჯერ კიდევ თებერვალში (№ 33) ჩვენ ვწერდით, რომ კეკემალულობას თამაში არც ჭკვიანურია და არც საკადრისი, რომ ბუნდი გამოვიდა ცალკე (განცხადებით საორგ. კ-ტის შესახებ), ვინაიდან უნდოდა გამოსვლა, რ ო გ ო რ ც მ ხ ა რ ე ს, რომელიც პ ი რ ო ბ ე ბ ს უყენებს მთელ პარტიას *. საქმის ვითარების ასეთი შეფასებისთვის მაშინ ჩვენ მთელი გოდორი სპეციფიკურად ბუნდური (ასეთივე უფლებით შეიძლება ითქვას: სპეციფიკურად ბაზრული) ,ლანძღვა-გინებით გაგვიმასპინძლდნენ, მაგრამ ა მ ბ ე ბ მ ა ა ხ ლ ა ც ხ ა დ ჰ ყ ო, რ ო მ ჩ ვ ე ნ მ ა რ თ ა ლ ი ვ ი ყ ა ვ ი თ. სწორედ რომ მ ხ ა რ ე დ გამოდის ბუნდი V ყრილობის გადაწყვეტილებებში, როცა პირდაპირ ულტიმატუმებს უყენებს მთელ პარტიას! ჩვენ სწორედ საკითხის ასეთ დაყენებას მოვითხოვდით ყოველთვის ბუნდელებისაგან და ვამტკიცებდით, რომ ეს აუცილებლად გამომდინარეობდა მათი პოზიციიდან: ბუნდელები მრისხანე პროტესტს აცხადებდნენ, პასუხს გაურბოდნენ და თავს იძვრენდნენ; მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ თავიანთი «მინიმუმი» გამოეჩინათ.

ეს კურიოზულია, მაგრამ კიდევ ბევრად უფრო კურიოზულია ის, რომ ბუნდი ახლაც განაგრძობს თავის დაძვრენას, განაგრძობს ლაპარაკს, რომ «სიცრუეა», «ძველი, ყველასთვის ცნობილი ისკრული მოჩმახული ამბავია, თითქოს ბუნდს უნდოდეს ფედერაციული კავშირი ჰქონდეს რუსეთის პარტიასთანო». ეს ჩმახვა იმიტომ არის სიცრუეო, რომ ბუნდის მიერ წარმოდგენილი წესდების § 1-ში პირდაპირ არის ნათქვამი,

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 391 — 399. რ ე დ.

ბუნდს სურს პარტიის ნაწილი იყოს და არა კავშირში იყოს მასთანო.

ძალიან კარგი, ბატონებო! მაგრამ განა იმავე პარაგრაფში არ არის ნათქვამი, ბუნდი პარტიის ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი ნაწილიაო? განა მთელს წესდება-მაქსიმუმში არ არის ლაპარაკი ხელშეკრულების დამდებ მხარეებზე? განა წესდება-მინიმუმი არ ლაპარაკობს უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ზ ე და «ძირითადი პუნქტების» შეცვლაზე პარტიაში შემავალი ნაწილების მხოლოდ ურთიერთ შორის შეთანხმებით, მასთან არც ადგილობრივი, არც რაიონული ორგანიზაციები ამ მხრივ პარტიის ნაწილებად არ არიან ცნობილი? თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ხელშეკრულების დამდებ მხარედ არ შეიძლება იყოს არც ადგილობრივი, არც რაიონული ორგანიზაცია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ «ისეთივე ხასიათის შეკავშირებული ნაწილი, როგორც ბუნდიაო». თქვენ თვითონ აღნიშნავთ მაგალითისთვის, რომ ასეთი შეკავშირებული ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო «პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის სოციალ-დემოკრატია», «ი ს ი ნ ი რ ო მ პ ა რ ტ ი ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ო დ ნ ე ნ ო», როგორც თქვენ წინდახედულად დასძენთ. კარგი, მაგრამ თუ ისინი პარტიაში არ იმყოფებიან? თუ თქვენთვის სასურველი ნაციონალური ორგანიზაციების ფედერაცია სასურველად არ მიაჩნია მთელ დანარჩენ პარტიას და გადაჭრით უარყოფს მას? თქვენ ხომ მშვენივრად იცით, რომ საქმის ვითარება სწორედ ასეთია, თქვენ თვითონ პირდაპირ აცხადებთ, უკვე აღარ მოვითხოვთ მთელი პარტიის აშენებას ეროვნებათა ფედერაციის ბაზისზეო. იბადება კითხვა, ვ ი ღ ა ს მიმართავთ თქვენ უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი თ? განა ცხადი არ არის, რომ მიმართავთ მთელს პარტიას, ბუნდის გარდა? იმის ნაცვლად, რომ დაამტკიცოთ «ისკრის» ჩმახვის სიყალბე, თქვენ მხოლოდ ლოგიკის მინიმუმს იჩენთ თქვენს ხრიკებში.

მაგრამ, უკაცრავად, — გვიპასუხებენ ბუნდელები, — ჩვენ ხომ ფედერაციაც ამოვაგდეთ ჩვენი წესდება-მინიმუმიდანო! ამ «საშინელი» სიტყვის ამოშლა, მართლაც, ფრიად საინტერესო ეპიზოდია მაქსიმუმიდან მინიმუმზე ყბადაღებულ გადა-

სვლაში. შეიძლება, არსად ასე გულუბრყვილოდ არ გამოეჩინოს ბუნდს თავისი უდარდელობა პრინციპების მიმართ. თქვენ დოგმატიკოსები ხართ, გაუსწორებელი დოგმატიკოსები, თქვენ ქვეყნად არაფრის გულისთვის არ გინდათ აღიაროთ ფედერაციული «პრინციპი ორგანიზაციისა». მაგრამ ჩვენ ხომ დოგმატიკოსები არა ვართ, ჩვენ, «წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე ვაყენებთ საკითხს». თქვენ არ მოგწონთ ეს რაღაც პრინციპი? უცნაურნი ხართ! თუ ეგრეა, ჩვენ სრულიად უპრინციპოდაც ბოლად წავალთ, ჩვენ «ისეთს ფორმულირებას მივცემთ § 1-ს, რომ იგი არ წარმოადგენდეს ორგანიზაციის გარკვეული პრინციპის დეკლარაციას». «საკითხის სიმძიმის ცენტრია არა პრინციპული ფორმულირება, რომელიც წამძღვარებული აქვს წესდებას, არამედ მისი კონკრეტული მუხლები, გამოყვანილი, ერთი მხრივ, ებრაელ მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებათა განხილვიდან და, მეორე მხრივ, მთლიანად აღებული მოძრაობის განხილვიდანო» (9 (22) სექტემბრის ფურცლის 1 გვ.).

ეს მსჯელობა თავისი გულუბრყვილობით იმდენად საუცხოოა, რომ პირდაპირ გინდა დაჰკოცნო მისი ავტორი. ბუნდელმა სერიოზულად დაიჯერა, თითქოს დოგმატიკოსებს მხოლოდ ზოგიერთი საშინელი სიტყვისა ეშინოდეთ, და გადაწყვიტა, თუ ამ სიტყვებს ამოვაგდებთ, დოგმატიკოსი კონკრეტულ მუხლებში ვერაფერს გაიგებსო! და აი ბუნდელიც ჭაპანწყვეტაშია, ადგენს მაქსიმუმს, იმარაგებს (შავი დღისათვის) მინიმუმს, ამზადებს ულტიმატუმს № 1, ულტიმატუმს № 2... **Oleum et operam perdidisti, amice**! მეგობარო, ამაოდ ჰკარგავ დროსა და შრომას. მიუხედავად იმისა, რომ აბრა ოსტატურად გადამალეს (ოო, საკვირველად ოსტატურად!), დოგმატიკოსი ფედერაციულ პრინციპს ხედავს მინიმუმის «კონკრეტულ მუხლებშიც». ამ პრინციპს გვიჩვენებს იმის მოთხოვნაც, რომ პარტიის ნაწილი არ იქნას შეზღუდული არავითარი რაიონული ფარგლებით, ებრაელი პროლეტარიატის «ერთადერთი» * წარმომადგენლობის დაჩემებაც, პარტიის

* «ამ სიტყვას მნიშვნელობა არა აქვსო», გვარწმუნებს ახლა ბუნდი. უცნაურია! რისთვისღა შეიტანეს ეს სიტყვა, რომელსაც მნიშვნელობა არა

ც. კ-ში «წარმომადგენლობის» მოთხოვნაც, ისიც, რომ პარტიის ც. კ-ს უფლება წაართვეს ბუნდის ც. კ-თან შეუთანხმებლად კავშირურთიერთობა იქონიოს ბუნდის ნაწილებთან, იმის მოთხოვნაც, რომ ძირითადი მუხლების შეცვლა ხდებოდეს მხოლოდ პარტიის ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს თანხმობით.

არა, ბატონებო. სიმძიმის ცენტრი პარტიაში ბუნდის მდგომარეობის საკითხისა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, სწორედ ორგანიზაციის გარკვეული პრინციპის დეკლარაციაშია და არა კონკრეტულ მუხლებში. სიმძიმის ცენტრი — გზის ა რ ჩ ე ვ ა შ ი ა. დავაკანონოთ ბუნდის ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებური სახე, თუ პრინციპულად უარვყოთ ის და აშკარად, გარკვევით, გადაჭრით და პატიოსნად დავადგეთ მთელ პარტიასთან უფრო და უფრო მეტად, სულ უმჭიდროესად დაახლოებისა და შეერთების გზას. შევინარჩუნოთ განკერძოება, თ უ შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ ვ ი ბ რ უ ნ ო თ პ ი რ ი. ასეთია დილემა.

ამ დილემის გადაწყვეტა ბუნდის კეთილ ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ვინაიდან «ძალად თავს ვერავის შეაყვარებ», როგორც ვამბობდით ჩვენ ჯერ კიდევ № 33-ში. თუ თქვენ გ ს უ რ თ შეერთებისკენ იბრუნოთ პირი, მაშინ უნდა უარჰყოთ ფედერაცია და მიიღოთ ავტონომია. მაშინ თქვენ მიხვდებით, რომ ავტონომია შეერთების პროცესის ისეთი თანდათანობის გარანტიას იძლევა, როცა ორგანიზაციის გარდაქმნა მოხდება მინიმალური რღვევით და თანაც ისე, რომ ებრაელ მუშათა მოძრაობამ ამ ორგანიზაციის გარდაქმნით და ამ შეერთებით კი არ წააგოს, არამედ მოიგოს კიდეც.

თუ არ გსურთ პირი იბრუნოთ შეერთებისაკენ, — მაშინ თქვენ იცავთ ფედერაციას (მისი მაქსიმალური თუ მინიმალური ფორმით, დეკლარაციით თუ უდეკლარაციოდ), მაშინ

აქვს, მინიმუმშიც და მაქსიმუმშიც? რუსულ ენაზე ამ სიტყვას სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში ეს სიტყვა შეიცავს სწორედ «დეკლარაციას» ფედერალიზმისაც და ნაციონალიზმისაც. ვურჩევთ კარგად ჩაუკვირდნენ ამას ბუნდელები, რომლებიც ვერ ხედავენ ნაციონალიზმისა და ფედერაციის კავშირს.

თქვენ შეგიპყრობთ «მაიორიზირების» შიში, მაშინ თქვენ ფეტიშად გახდით ბუნდის სამწუხარო განცალკევებას და ამ განცალკევების მოსპობის გამო მორთავთ ყვირილს ბუნდის მოსპობის შესახებ, მაშინ თქვენ დაიწყებთ ამ თქვენი განცალკევების დასაბუთების ძებნას და ამ ძებნაში ხან ებრაელი «ე რ ი ს» სიონისტურ[19] იდეას ჩასჭიდებთ ხელს, ხან დემაგოგიას და ჭორებს მიმართავთ.

ფედერალიზმის თეორიული დასაბუთება შეიძლება მხოლოდ ნაციონალისტური იდეებით, და უცნაური იქნებოდა ჩვენ რომ ბუნდელებს ვუმტკიცოთ: შემთხვევითი როდია, რომ ფედერალიზმის დეკლარაცია ეკუთვნის სწორედ იმ IV ყრილობას, რომელმაც მიიღო დეკლარაცია ებრაელი ერის არსებობის შესახებ.

პრაქტიკულად შეერთების იდეის სახელის გატეხა შეიძლება მხოლოდ შეუგნებელი და გაუბედავი ელემენტების წასისიანებით იმის წინააღმდეგ, რომ აი «ისკრას» «საშინელი», «არაკჩეევისებური» ორგანიზაციული გეგმა აქვს, სურს «ერთ ზომაზე გაკრიჭოს» კომიტეტები და «ზევიდან თუ ბრძანება არ იქნება, ერთი ნაბიჯის გადადგმის» ნებაც კი არ მისცესო. რა საშინელებაა! ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ახლა ყველა კომიტეტი დაფაცურდება სისასტიკის, არაკჩეევისებური მუშტისა და სხვათა წინააღმდეგ ასაჯანყებლად... მაგრამ საიდან აიღეთ ცნობები, ბატონებო, ამ მძვინვარე ორგანიზაციული გეგმის შესახებ? ლიტერატურიდან? მაშ რატომ ციტატები არ მოგყავთ? იქნებ ეს გიამბეს მოცლილმა პარტიულმა ჭორიკანებმა, რომლებმაც სრულიად სარწმუნო წყაროებიდან იციან ყველაფერი, პირწმინდად ყოველი წვრილმანი ამ არაკჩეევეულობის შესახებ? უკანასკნელი მოსაზრება, მგონი, ჭკუასთან უფრო ახლოს უნდა იყოს, ვინაიდან ლოგიკის მინიმუმის მქონესაც გაუჭირდებოდა დომხალივით აერია ერთმანეთში ისეთი აუცილებელი მოთხოვნა, რომ ც. კ-ს «შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს მ ი ა ღ წ ი ო ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ადამიანამდე პარტიაში» *, და ისეთი აშკარად მოჭორილი საფრთხობელა,

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 603—604. რ ე დ.

თითქოს ც. კ. თვითონ «გააკეთებს ყველაფერს» და «ყველაფერს მოაწესრიგებს». ან კიდევ: ეს რა აბდაუბდაა იმის შესახებ, რომ «პერიფერიასა და ცენტრს შორის» «lose Organisationen» * იქნებიანო? ჩვენ მიმხვდარი ვართ: ჩვენ კეთილ ბუნდელებს გაუგონიათ ალია მომკვდარაო და ის კი არ იციან, სადა და როგორ. როცა კი შემთხვევა მოგვეცემა ეს დაწვრილებით უნდა განვუმარტოთ მათ.

მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ აჯანყება მოუხდებათ არა მარტო ადგილობრივ კომიტეტებს, არამედ ცენტრალურ კომიტეტსაც. მართალია, ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, მაგრამ ჭორიკანებმა დანამდვილებით იციან არათუ დაბადების დღე, არამედ ახალშობილის მთელი ბედ-იღბალიც. თურმე, ეს იქნება ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც «წ ა რ მ ა რ თ ა ვ ს ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ თ ა ჯ გ უ ფ ი». მართლაცდა, ბრძოლის რა ნაცადი და იაფფასიანი ხერხია ეს? ბუნდელები აქ არც პირველნი არიან და, ალბათ, არც უკანასკნელნი. ეს ც. კ. ან საორგ. კ. რომ რაიმე შეცდომაში ამხილო, საჭიროა დამამტკიცებელი საბუთები იპოვო. ადამიანები რომ ამხილო იმაში, რომ ისინი მოქმედებენ არა საკუთარი რწმენით, არამედ მათს მოქმედებას სხვების ხელი წ ა რ მ ა რ თ ა ვ ს, უნდა შეგწევდეს გამბედაობა გამოხვიდე აშკარა ბრალმდებლად და იკისრო პასუხისმგებლობა მთელი პარტიის წინაშე ასეთი ბრალდებისათვის! ყოველივე ეს მეტისმეტად ძვირია, ყოველმხრივ ძვირია. ხოლო ჭორიკანების ლათაიები იაფია... შეიძლება, წამოეგონ ანკესსო. რარიგ არასასიამოვნოა, როცა ადამიანს (ან დაწესებულებას) სახელი გაუვარდება, რომ მას «მართავენ», ხელით ატარებენ, «ისკრის» პაიკია, კრეატურაა, მისი კაცია... საბრალო, ჩვენი საბრალო მომავალი ც. კ.! ვისთან უნდა ეძიოს მან მფარველობა არაკჩეველობის უღლისაგან? ნუთუ ამ «თვითმოქმედ» და ყოველგვარ «იჭვნეულობას» მოკლებულ ბუნდელებთან?

«ისკრა» № 49,
1903 წლის 1 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

* — ფართო, თავისუფალი ორგანიზაციები. რ ე დ.

პროექტი ც.კ.-ისა და ც. ო.-ს რედაქციის მიმართვისა ოპოზიციის წევრებისადმი

ვარიანტი

პარტიის ც. კ. და ც. ო.-ს რედაქცია თავიანთ მოვალეობად თვლიან ცალკეული პირადი ახსნა-განმარტების მთელი რიგი უნაყოფო ცდების შემდეგ მოგმართოთ თქვენ ოფიციალური ცნობით იმ პარტიის სახელით, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან. უარისთქმა რედაქციის წევრობასა და «ისკრაში» თანამშრომლობაზე ამხ. მარტოვის მხრივ, «ისკრის» რედაქციის ყოფილი წევრების უარისთქმა თანამშრომლობაზე, რამდენიმე ამხანაგ-პრაქტიკოსის მტრული დამოკიდებულება ჩვენი პარტიის ცენტრალური დაწესებულებებისადმი ამ ეგრეთწოდებული «ოპოზიციის» სრულიად არანორმალურ დამოკიდებულებას ჰქმნის მთელი პარტიის მიმართ. პასიური ჩამოშორება პარტიული მუშაობისაგან, პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა «ბოიკოტის» ცდა (რაც გამოიხატა, მაგალითად, როგორც «ისკრაში» თანამშრომლობის შეწყვეტით № 46-დან, ისე ამხ. ბლუმენფელდის სტამბიდან წასვლით), ც. კ-ის წევრთან[20] საუბრის დროს თავის თავისთვის დაჟინებით «ჯგუფის» წოდება, წინააღმდეგ პარტიის წესდებისა, მკაცრი თავდასხმანი ცენტრების პირად შემადგენლობაზე, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა, ამ შემადგენლობის შეცვლის მოთხოვნა, როგორც ბოიკოტის შეწყვეტის პირობა, — მთელი ეს საქციელი არ შეიძლება ჩაითვალოს პარტიული მოვალეობის შესაფერ საქციელად. მთელი ეს საქციელი დისციპლინის პირ-

დაპირი დარღვევის ზღვარზე დგას და არარად აქცევს ყრილობის მიერ (პარტიულ წესდებაში) მიღებულ დადგენილებას, რომ პარტიის ძალებისა და სახსრების განაწილება ევალება ცენტრალურ კომიტეტსო.

ამიტომ ც. კ. და ც. ო.-ს რედაქცია მოაგონებს ეგრეთწოდებული «ოპოზიციის» ყველა წევრს მათს პარტიულ მოვალეობას. ცენტრების პირადი შემადგენლობით უკმაყოფილება, პირადი გაღიზიანებიდან გამომდინარეობს ის თუ უთანხმოებათაგან, რომლებიც პარტიის ამა თუ იმ წევრს სერიოზულად ეჩვენება, არ შეიძლება და არც უნდა გახდეს არალოიალური მოქმედების მიზეზი. თუ ცენტრები, ამა თუ იმ პირთა აზრით, ამა თუ იმ შეცდომებს სჩადიან, პარტიის ყველა წევრის მოვალეობას შეადგენს აღნიშნონ ეს შეცდომები პარტიის ყველა წევრის წინაშე და, უწინარეს ყოვლისა, მიუთითონ ამაზე თვით ცენტრებს. ც. კ. და ც. ო.-ს რედაქცია აგრეთვე ვალდებული არიან, პარტიული მოვალეობის გამო, დიდი გულმოდგინებით განიხილონ ყველა ასეთი მითითებანი, ვისგანაც არ უნდა იყოს ისინი შემოსული. ეგრეთწოდებული ოპოზიციისგან კი არც ც. ო.-ს რედაქციას და არც ც. კ.-ს არ მიუღიათ არავითარი პირდაპირი და გარკვეული მითითებები შეცდომებზე და არც რაიმე უკმაყოფილებასა და უთანხმოებაზე; ამხ. მარტოვი იმაზედაც კი უარს ამბობს, რომ ადგილი დაიკავოს ც. ო.-ს რედაქციაში და პარტიის უმაღლეს საბჭოში, თუმცა მხოლოდ ამ პოსტზე შეეძლო მას გამოეაშკარავებინა პარტიის წინაშე ყველა ის შეცდომა, რასაც ის ცენტრების მოქმედებაში ხედავს.

ც. კ. და ც. ო.-ს რედაქცია მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ნებას არავის მისცემს გავლენა მოახდინონ მის მიერ შექმნილ დაწესებულებებზე ზედმოქმედების და ბოიკოტის უკანონო, ფარული (პარტიის მიმართ ფარული) და არალოიალური გზით. ც. კ. და ც. ო.-ს რედაქცია აცხადებენ, რომ ისინი, რადაც არ უნდა დაჯდეს, დარჩებიან თავიანთ პოსტზე, სანამ პარტია არ გადააყენებს მათ, რომ ისინი შეასრულებენ თავიანთ მოვა-

ლეობას და ყველა ღონისძიებას მიმართავენ ყოველივე იმის შესასრულებლად, რაც მათ დაკისრებული აქვთ. «ბოიკოტის» ცდები ოდნავადაც ვერ გადაახვევინებს ვერც ც. ო.-ს რედაქციას და ვერც ც. კ.-ს იმ გზიდან, რომელსაც ისინი ადგიან ყრილობის ნება-სურვილის თანახმად, — ეს ცდები მოგვაყენებენ მხოლოდ წვრილმან უსიამოვნებას და დიდ ზიანს პარტიული მუშაობის ცალკეულ დარგებში, ეს ცდები მხოლოდ ცხადჰყოფენ პარტიული მოვალეობის შეუგნებლობას და ამ მოვალეობის დარღვევას იმის მიერ, ვინც მოისურვებდა ამ ცდების განგრძობას.

დაწერილია 1903 წლის ოქტომბრის
პირველ ნახევარს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის II ყრილობა [21]

1903 წლის 13 — 18 (26 — 31) ოქტომბერი

დაიბეჭდა 1904 წლის იანვარს
წიგნში: «რუსეთის რევოლუციური
სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული
ლიგის II მორიგი ყრილობის ოქმები». ჟენევა

იბეჭდება «ოქმების»
ტექსტის მიხედვით

1

წინასწარი შენიშვნები მოხსენებისათვის რსდმპ II ყრილობის შესახებ 13 (26) ოქტომბერს

I

ლენინი აკეთებს წინასწარ შენიშვნებს თავისი მოხსენებისათვის. ჩემი წინადადებაა, ჯერ-ერთი, შევინარჩუნოთ ფსევდონიმები, რომლებიც ყრილობაზე იხმარებოდა, რადგან მეტად შევეჩვიე მათ და ჩემთვის უფრო ადვილი იქნება მათი ხმარება, ვიდრე ყოველთვის იმაზე ფიქრი, თუ რომელი ორგანიზაციიდან იყო დელეგატი. მეორე, მე ვფიქრობ შევეხო «ისკრის» ორგანიზაციის იმ სხდომებსაც, რომლებიც იმართებოდა ყრილობის სხდომებს შუა, როგორც, ასე ვთქვათ, კერძო სხდომები. მე ვფიქრობ, შეიძლება ასე მოვიქცეთ, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ლიგა იყო «ისკრის» ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილება, მეორეც, იმიტომ, რომ «ისკრის» ორგანიზაცია ახლა დაშლილია, მესამე, იმიტომ, რომ ამ ცნობების გარეშე ჩემთვის უფრო ძნელი იქნება პარტიის ყრილობის ამბების ნამდვილი აზრის გარკვევა.

II

ამხ. მარტოვი წინააღმდეგია იმისა, რომ შევეხოთ «ისკრის» ორგანიზაციის კერძო სხდომებს, რადგან ამ სხდომების ოქმები არ იწერებოდა. მაგრამ ახლა ჯერ არც პარტიული ყრილობის ოქმები გვაქვს და ვეღარც მათ დავიმოწმებ. ამხ. მარტოვი ხომ აქ ესწრება; თუ რაიმე უსწორობა შეგვეპარა, მას შეუძლია შესწორებები შეიტანოს. თუ «ისკრის» კერძო სხდომებს საქმისთვის მნიშვნელობა აქვთ, მე მათ გადმოვშლი

უფრო ფართო საზოგადოების წინაშეც — სულ ერთია, ამხ. მარტოვი მათ დაფარვას ვერ შესძლებს («ოჰო!»). მე მშვენივრად მახსოვს, ვინ არ დავუშვი ამ სხდომებზე და ვინ დასტოვა სხდომები, — ამაზე მე ბევრს ვილაპარაკებ. შეცდომებს, რა თქმა უნდა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს და ყველაფრის აღდგენა ზეპირად მე არ შემიძლია. ყველაზე მნიშვნელოვანია — პიროვნებათა პოლიტიკური დაჯგუფება. დაჯგუფება ყოველი ცალკე ხმის მიცემისას, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაახლოებით შემიძლია აღვადგინო, მაგრამ, საერთოდ, ის ჩემთვის სავსებით ნათელია. საქმის ინტერესი არ მოითხოვს ლიგას დავუმალოთ ის, რაც ეხება «ისკრის» ორგანიზაციას, რომელიც უკვე დაშლილია, და რაც უკვე პარტიისათვის ცნობილი გახდა. რაც შეეხება საოქმო ფსევდონიმებს, რა თქმა უნდა, მათი ხმარება აჯობებდა, მაგრამ მე ისინი არ ვიცი, რადგან ოქმები არ წამიკითხავს.

III

ამხ. მარტოვი შიშობს, «ისკრის» კერძო სხდომებზე ლაპარაკისას შეიძლება ჭორების სფეროში გადავიდეთო. მე არ ვაპირებ ჭორების სფეროს შევეხო, და «ჩვენ დავინახავთ», ვინ შესძლებს პრინციპული კამათის სიმაღლეზე დგომას, და ვინ ჩამოქვეითდება ამ შავბნელ სფერომდე («ოჰო!»). «ჩვენ დავინახავთ», «ჩვენ დავინახავთ»! მე სრულიად თავისუფლად შემიძლია შევეხო რედაქციის სხდომებს და საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუ ამხ. მარტოვიც შეეხება ამ სხდომებს, მაგრამ მე მაინც უნდა შევნიშნო, რომ ყრილობის დროს ჩვენ ერთხელაც არ გვქონია სპეციალურად სარედაქციო კრება.

IV

ჩემი მოხსენების მთავარი მიზანია დავამტკიცო, რომ ამხ. მარტოვი ცდებოდა, მაგრამ მის გადაკრულ სიტყვაში ამხ. პლეხანოვის შესახებ მე სულ სხვა რამეს ვხედავ. მოგაგონებთ ჩემს ფრაზას, რომელიც მე ვთქვი პარტიულ ყრილობაზე ერ-

თი გარემოების გამო: «რა დიდ აღშფოთებას იწვევენ, ჩვეულებრივ, ის ადამიანები, რომელნიც კომისიაში ერთს ამბობენ, ხოლო სხდომაზე — მეორეს»-მეთქი *. ასეთ საქციელზე გადაკრულად ლაპარაკი — ეს არის უკვე არა პოლიტიკური ქცევის განხილვა, არამედ პიროვნებაზე გადასვლა. რაც შეეხება პ. ბ. აქსელროდის განცხადებას, X საქმის ვითარების სრულიად გაუცნობლად წავიდაო, შემიძლია განვაცხადო, რომ ეს სრულიად არ არის მართალი. მან თვითონ მომმართა წერილით, რომლითაც მატყობინებდა, რომ მისი აზრით, მთელ ამ დაშორებაში ბევრი რამ არის პირადული და ცოტა — პრინციპული. აქედან მე დავასკვნი, რომ ის უკვე გაცნობილი იყო საქმის ვითარებას. და მისი თხოვნის გამო, გამომეთქვა ჩემი აზრი ყრილობის შესახებ, მე მქონდა შემთხვევა არა ერთხელ მიმეწერა მისთვის.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 600. რ ე დ.

2

მოხსენება რსდმპ II ყრილობის შესახებ 14 (27) ოქტომბერს

ლენინი, სანამ მოხსენებას დაიწყებდა, შეჩერდა წინა სხდომის დებატებზე, რომლებიც ეხებოდა საკითხს, თუ რამდენად შეიძლება შევეხოთ ისკრელთა კერძო სხდომებს, რომლებიც პარტიის ყრილობის დროს იმართებოდა. ყრილობის გუშინდელი გადაწყვეტილება მას იმ აზრით ესმის, რომ მომხსენებლები მინიმალურად უნდა შეეხონ ოქმში შეუტანელ ფაქტებსო; ამიტომ «ისკრის» ორგანიზაციის წევრთა კრებების შესახებ ლაპარაკის დროს ის ფიქრობს შეეხოს მხოლოდ კენჭისყრის შედეგებს.

ამ შესავლის შემდეგ ლენინი ლაპარაკობს იმ პერიოდზე, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა პარტიულ ყრილობას. საორგანიზაციო კომიტეტში, რომლის ამოცანას შეადგენდა ყრილობის მომზადება, ისკრელები სჭარბობდნენ და მისი მუშაობა სწორედ ისკრული მიმართულებით წარმოებდა. მაგრამ უკვე ყრილობის მომზადების დროს გამოირკვა, რომ საორგ. კ-ში აღარ იყო სრული ერთიანობა. უწინარეს ყოვლისა მის შემადგენლობაში შედიოდა ბუნდელი, რომელიც ცდილობდა ყოველივე საბაბით ესარგებლნა, რათა შეეფერხებინა ისკრული მიმართულების ყრილობის მოწვევის საქმე; საორგ. კ-ის ეს წევრი ყოველთვის თავის საკუთარ ხაზს ატარებდა. საორგ. კ-ში კიდევ შედიოდა «იუჟნი რაბოჩის» ორი წევრი; თუმცა ისინი თავიანთ თავს ისკრელებად თვლიდნენ და კიდევაც გამოაცხადეს «ისკრას» ვუერთდებითო, რის შე-

სახებაც დიდხანს წარმოებდა მოლაპარაკება, მაგრამ მათი საკუთარი ისკრელებად ცნობა მაინც არ შეიძლებოდა. დასასრულ, თვით საორგ. კ-ში შემავალ ისკრელებს შორისაც არ იყო სრული ერთიანობა, თვით მათ შორის იყო უთანხმოება. მნიშვნელოვანია კიდევ აღინიშნოს საორგ. კ-ის გადაწყვეტილება იმპერატიული მანდატების საკითხის გამო. ეს საკითხი წამოიჭრა დიდი ხნით ადრე ყრილობამდე და იმ აზრით გადაწყდა, რომ იმპერატიული მანდატები უნდა გაუქმდესო. ამავე აზრს და თანაც სრულიად გარკვეულად დაადგა ამ საკითხში რედაქციაც. ეს გადაწყვეტილება თვით მასზედაც ვრცელდებოდა. დადგენილ იქნა, რომ ყრილობაზე, რომელიც პარტიის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს, პარტიის არც ერთი წევრი, აგრეთვე რედაქციის წევრებიც არ უნდა თვლიდნენ თავს შებოჭილად რაიმე ვალდებულებით იმ ორგანიზაციის წინაშე, რომელმაც ის გაგზავნა. ამ გადაწყვეტილების გამო შევიმუშავე ყრილობის Tagesordnung-ის * პროექტი მისი კომენტარიებითურთ და გადავწყვიტე შემეტანა ყრილობაზე ჩემი სახელით. ამ პროექტში, 23-ე მუხლის არეზე მიწერილი იყო შენიშვნა რედაქციასა და ც. კ-ში სამ-სამი პირის არჩევის შესახებ. ამ მუხლთან დაკავშირებულია კიდევ ერთი გარემოება. რადგან რედაქცია 6 პირისაგან შესდგებოდა, საერთო თანხმობით გადაწყდა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ყრილობის დროს საჭირო შეიქნებოდა რედაქციის თათბირის გამართვა და ხმები შუაზე გაიყოფოდა, თათბირზე გადამწყვეტი ხმით მიგვეწვია ამხ. პავლოვიჩი.

დელეგატებმა ჩამოსვლა იწყეს ბევრად ადრე ყრილობის დაწყებამდე. საორგ. კ-მა შესაძლებლობა მისცა მათ წინასწარ გასცნობოდნენ რედაქციას. სრულიად ბუნებრივია, რომ ისკრელებს სურდათ ყრილობაზე სოლიდარულნი, შეთანხმებულნი გამოცხადებულიყვნენ და ამ მიზნით ჩამოსულ დელეგატებთან ეწყობოდა კერძო საუბრები, აგრეთვე იმართებოდა კრებები შეხედულებათა ერთიანობის შესამუშავებლად. ამ კრებებზე ზოგიერთი დელეგატის ფიზიონომია საკმაოდ გა-

* — დღის წესრიგის. რ ე დ.

მოირკვა. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ კრებაზე, როდესაც მე წავიკითხე რეფერატი ნაციონალურ საკითხზე[22], სამთო-სამრეწველო რაიონის დელეგატი პპს-ის[23] სულისკვეთებით გამოვიდა და საერთოდ შეხედულებათა უკიდურესი დაბნეულობა გამოიჩინა.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც წინ უძღოდა ყრილობას.

ახლა აგიხსნით, როგორ მოხდა, რომ მე ერთადერთი დელეგატი ამომჩენდი ლიგიდან, მაშინ როცა უკანასკნელმა ორი აირჩია. გამოირკვა, რომ «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციიდან, რომელსაც აგრეთვე ორი დელეგატი უნდა გამოეგზავნა, არც ერთი არ ჩამოსულა ყრილობაზე. მაშინ ყრილობის დაწყების წინ, ისკრელთა კრებაზე გადაწყდა, რომ ლიგის მიერ არჩეული ორი დელეგატიდან ერთს უარი ეთქვა თავის მანდატზე და მეორე დელეგატისთვის გადაეცა ის, თვითონ კი «ისკრის» ორგანიზაციის დელეგატად გამოსულიყო, «ისკრის» ორი მანდატით, იმ ვარაუდით, რომ თუ რუსეთიდან ჩამოვიდოდა იქ არჩეული დელეგატი, «ისკრის» ორგანიზაციის ორი მანდატიდან ერთი მანდატი მისთვის გადაეცა. მეც და მარტოვსაც, ბუნებრივია, გვინდოდა «ისკრის» დელეგატობა იმ როლის მცირე მნიშვნელობის გამო, რომელსაც ლიგა ასრულებდა. ეს დავა ჩვენ გადავწყვიტეთ წილის ყრით.

პირველმა წინასწარმა საკითხმა — ყრილობის ბიუროს არჩევის შესახებ — გამოიწვია ერთგვარი, თუმცა უმნიშვნელო, უთანხმოება ჩემსა და მარტოვს შორის. უკანასკნელი დაჟინებით მოითხოვდა ცხრა კაცის არჩევას და მათ რიცხვში ბუნდელიც კი შეჰყავდა. მე კი აუცილებლად ვთვლიდი აგვერჩია ისეთი ბიურო, რომელიც გამოიჩენდა მტკიცე, ურყევ პოლიტიკას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესძლებდა ეგრეთწოდებული «მაგარი ხელის» გამოჩენასაც. არჩეულ იქნენ: პლეხანოვი, ლენინი და პავლოვიჩი.

ხუთ ბუნდელს გარდა ყრილობაზე იყვნენ ორი დელეგატი რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირისაგან და პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» დელეგატი,

რომელიც თითქმის ყოველთვის მათთან ერთად აძლევდა ხმას. ეს პირნი თავიდანვე ძალზე აჭიანურებდნენ კამათს. უკვე ყრილობის მარტოოდენ რეგლამენტმა აუარებელი დრო დაგვაკარგვინა. დაუსრულებელი კამათი ატყდა პარტიაში ბუნდის ადგილის შესახებ, რაც რამდენიმე სხდომაზე გაგრძელდა. ასეთსავე დაბრკოლებებს ჰქმნიდა ბუნდელიც, რომელიც მოხვდა მანდატების შემმოწმებელ კომისიაში. იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ობსტრუქციას ახდენდა, არც ერთ საკითხში არ ეთანხმებოდა კომისიის სხვა წევრებს, რომელშიც მეც შევდიოდი, და მუდამ «განსაკუთრებულ აზრზე» რჩებოდა. ჩვენს შენიშვნაზე, რომ ასე ყრილობა გაჭიანურდებოდა, ბუნდელმა გვიპასუხა: «დაე გაჭიანურდეს», მე მზადა ვარ კომისიის სხდომებს რამდენი ხანიც გნებავთ მოვანდომოო. შუაღამე კარგა გადასული იყო, როცა მოხერხდა მანდატების შესამოწმებელი მუშაობის დამთავრება.

ყრილობის სხდომების პირველსავე დღეებში მოხდა ინციდენტი საორგ. კ-თან. მის მიერ შემუშავებული წესდების მიხედვით ყრილობაზე სათათბირო ხმით მოწვევა შეიძლებოდა მხოლოდ «პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებისა». მანდატების შემმოწმებელმა კომისიამ უარჰყო «ბორბას» ჯგუფის თხოვნა — დაეშვათ მისი მანდატი. ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდა საორგ. კ-ის ორი წევრი, რომლებმაც კატეგორიულად გაილაშქრეს «ბორბას» წარმომადგენლის ყრილობაზე დაშვების წინააღმდეგ. როცა კომისიის მომხსენებელმა ეს გადაწყვეტილება აცნობა ყრილობას, ატყდა ხანგრძლივი კამათი დაშვების «სასარგებლოდ» და «წინააღმდეგ», მასთან ერთ-ერთმა ისკრელმა ის აზრი გამოთქვა, რომ «ბორბას» წარმომადგენელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას მოწვეული ყრილობაზე, რადგან ეს ჯგუფი მხოლოდ ინტრიგებს ეწეოდა, ცდილობდა ყოველგვარ ხვრელში გამძვრალიყო, ყველგან უთანხმოება შეჰქონდაო და სხვ. (**ტროცკი:** «ტყუილად არ ასახელებთ ორატორის გვარს, — ეს მე ვთქვი». **ბ. აქსელროდი:** «როგორც ჩანს, რეფერენტი არ სცნობს

ამას თავისთვის ხელსაყრელად».) მართალია, სწორედ ამხ. ტროცკი ახასიათებდა ასე მკაცრად «ბორბას» ჯგუფს. «ბორბას» ჯგუფის წარმომადგენლის ყრილობაზე დაშვების შესახებ გაცხარებული კამათის დროს «იუჟნი რაბოჩის» ერთ-ერთმა დელეგატმა, რომელმაც დაიგვიანა ყრილობაზე და მხოლოდ ახლა გამოცხადდა აქ, სთხოვა კრებას მოეწყო შესვენება 5 წუთით, რათა გასცნობოდა ყველა გარემოებას საკამათო საკითხის გარშემო. შესვენების დროს საორგ. კ-ის წევრებმა იქვე ფანჯარასთან გამართეს თათბირი. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე საორგ. კ-ის ზოგიერთი წევრი რაოდენადმე უკმაყოფილო იყო რედაქციისა. ასე, მაგ., ბუნდის წევრი საორგ. კ-ში უკიდურესად აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ რედაქციამ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს არჩევნებისათვის 500 მარკის დახმარება გაუგზავნა თავისი და საორგ. კ-ის სახელით, რაზედაც უკანასკნელისაგან წინასწარ არ ჰქონდა მიღებული ნებართვა. ამ უბრალო აქტში, რომელიც სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან არ შეიძლებოდა სასწრაფოდ დაკავშირება რუსეთში მომუშავე ამხანაგებთან, ბუნდელმა ის გარემოება დაინახა, თითქოს საზღვარგარეთ მყოფი რედაქცია ისე იყენებდეს საორგ. კ-ის სახელს, რომ მას არცკი ეკითხებოდეს ამის შესახებ. საორგ. კ-ში წინადადებაც კი შეიტანეს — საყვედური გამოეცხადოს ამის გამო რედაქციასო, რაც კიდეც გაკეთდა, ვინაიდან ბუნდელს მიემხრო ამხ. NN, რომელიც «ისკრის» ორგანიზაციის წევრი იყო. როცა ეს ამბავი მარტოვს ვაცნობე, უკანასკნელი ძალიან გაბრაზდა და განაცხადა: ეს «საძაგლობაა». (**მარტოვი:** «არა, სიტყვა «საძაგლობა» არ მიხმარია».) სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს. მარტოვმა ისიც კი დაუმატა, «ამას ასე არ დავტოვებო». მე კი ვარწმუნებდი მას, რომ ეს არც იმდენად საგულისხმო იყო, უმჯობესია გავჩუმდეთ და მნიშვნელობა არ მივცეთ ამ ინციდენტს-მეთქი. როცა ფანჯარასთან გამართული საორგ. კ-ის თათბირი დამთავრდა, ამხ. პავლოვიჩმა, რომელიც საორგ. კ-ის შემადგენლობაში შედიოდა, ბიუროს ორ სხვა წევრს აცნობა,

რომ დაგვიანებით მოსული «იუჟნი რაბოჩის» დელეგატის წინადადებით, რომელიც აგრეთვე საორგ. კ-ში შედიოდა, და ხმის უმეტესობით, მისი, პავლოვიჩის, გამოკლებით, მიღებულია გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას ყრილობაზე «ბორბას» წარმომადგენელი, რიაზანოვი, სათათბირო ხმითო. ამხ. პავლოვიჩმა ენერგიულად გაილაშქრა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და, რახან იმპერატიული მანდატები არ იყო, უფლებამოსილად ჩასთვალა თავი პროტესტი განეცხადებინა ყრილობაზე ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ჩვენ, ბიუროს წევრები, აგრეთვე რედაქცია და სხვა ისკრელები დიდად აღგვაშფოთა საორგ. კ-ის ამ დადგენილებამ. საორგ. კ-ის წევრი, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე, ამხ. NN, მანდატების შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე თვითონაც წინააღმდეგი იყო «ბორბას» წარმომადგენლის ყრილობაზე დაშვებისა; ახლა კი, საორგ. კ-ის თათბირზე, ის, პირიქით, დათანხმდა მის მოწვევას. ახლა მას თვითონ გაჰყავდა რიაზანოვი ყრილობაზე. ამრიგად ჩვენ ხაფანგში გავებით. მაშინ გადავწყვიტეთ ენერგიულად შევბრძოლებოდით საორგ. კ-ის ამ აღმაშფოთებელ დადგენილებას. მის წინააღმდეგ ბევრმა ილაპარაკა. მე ჩემს სიტყვაში ამის გამო შემდეგი ვთქვი: «რა საშინელ აღშფოთებას იწვევენ ევროპის კონგრესებზე ის ადამიანები, რომლებიც კომისიებში ერთს ლაპარაკობენ, ხოლო ყრილობაზე მეორეს». როცა ამას ვამბობდი, მხედველობაში მყავდა NN, «ისკრის» ორგანიზაციის წევრი. როცა ამხ. პავლოვიჩმა აცნობა ყრილობას თავისი პროტესტი საორგ. კ-ის ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, «იუჟნირაბოჩელმა» ამაში დაინახა დისციპლინის დარღვევა, დეზორგანიზაციული ფანდი და სხვ. და მოითხოვდა ყრილობას ღირსეულად დაესაჯა ამხ. პავლოვიჩი ასეთი საქციელისათვის. მაგრამ ჩვენ ყველა ეს მოსაზრება დავამსხვრიეთ. საორგ. კ-ის უმრავლესობა დამარცხდა. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომ საორგ. კ-ს, როგორც კოლეგიას, უფლება არა აქვს ზეგავლენა მოახდინოს ყრილობის შემადგენლობაზე მას შემდეგ, რაც ყრილობამ უკვე აირჩია მანდატების შემმოწმებელი კომისიაო.

რიაზანოვის მოწვევის წინადადება უარყოფილ იქნა. მაგრამ მე ყრილობის შემდეგაც მესმოდა ზოგიერთი ისკრელის ეჭვი, რატომ არ უნდა დაგვეშვა ყრილობაზე «პორბას» წევრიო. (**დეიჩი:** «მე ყრილობაზედაც ამავე აზრს გამოვთქვამდი».) სავსებით სწორია, სხვა საკითხებზედაც, რაზედაც მე კიდევ ვილაპარაკებ, ამხ. დეიჩი ყოველთვის როდი აძლევდა ხმას ყველა ისკრელთან ერთად, მაგალითად, ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხში. ზოგიერთი ისკრელი ახლა ისეთს უაღრესად უცნაურ შეხედულებებსაც კი გამოსთქვამს, თითქოს ც. კ. თავის მუშაობაში უნდა ასახავდეს პარტიაში არსებულ ყოველგვარ მერყეობას და პრიმიტიულ შეხედულებებს. ამავე ყაიდაზე ლაპარაკობდა ზოგიერთი არამტკიცე, მერყევი ისკრელი ყრილობაზედაც. ამრიგად გამოდის, რომ ის შეხედულება, თითქოს ყველანი, ვინც თავიანთ თავს ისკრელებს უწოდებენ, მართლაც ასეთები იყვნენ, სრულიად შემცდარი ყოფილა. არიან ისკრელები, რომლებსაც რცხვენიათ კიდევაც ისკრელები უწოდონ თავიანთ თავს, ეს ფაქტია. არიან ისკრელები, რომლებიც ებრძვიან «ისკრას», უქმნიან მას სხვადასხვა დაბრკოლებას, აფერხებენ მის საქმიანობას. «ისკრა» პოპულარული გახდა, ისკრელობა მოდად იქცა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ბევრს იმადვე დარჩეს, რაც წინათ იყო, სანამ «ისკრა» აღიარებული იქნებოდა ბევრი კომიტეტის მიერ. ასეთმა არასაიმედო ისკრელებმა ბევრი ზიანი მიაყენეს მას. ეგ კიდევ არაფერია, პირდაპირ, აშკარად რომ ებრძოდნენ მას... მაგრამ არა, ისინი მოქმედებენ მალულად, კუნჭულიდან, შეუმჩნევლად, საიდუმლოდ.

<u>პარტიულ ყრილობაზე</u> Tagesordnung-ის მეორე მუხლის <u>საგანი იყო პარტიის პროგრამა</u>. «რაბოჩეე დელოს» მომხრეები, ბუნდელები და ზოგიერთი სხვა დელეგატი, რომელთაც ყრილობის დროს მეტსახელად «ჭაობს» ეძახდნენ, არაჩვეულებრივ ობსტრუქციას აწყობდნენ. პროგრამაზე კამათი წარმოუდგენლად გაჭიანურდა. მარტოოდენ აკიმოვმა არა ერთი ათეული შესწორება შემოიტანა. დავობდნენ პირდაპირ ცალკეული სიტყვების გამო, ამა თუ იმ ასოს გამო. ერთმა

ბუნდელმა, რომელიც პროგრამის პროექტის გადამსინჯველ კომისიაში შედიოდა, სრულიად საფუძვლიანად იკითხა, — ვის პროექტს ვიხილავთ, «ისკრის» რედაქციის მიერ წარმოდგენილს, თუ აკიმოვის მიერ შემოტანილსო? იმდენად ბევრი შესწორების განხილვა გვიხდებოდა. ეს შესწორებები უმნიშვნელონი იყვნენ, და პროგრამაც მიღებულ იქნა სრულიად რაიმე სერიოზული ცვლილებების შეუტანლად; მიუხედავად ამისა, დებატებს მის შესახებ ოცამდე სხდომა მოუნდა. აი რამდენად უნაყოფო იყო ყრილობის მუშაობა იმ ოპოზიციის გამო, რომელსაც მას უქმნიდნენ სხვადასხვა ანტი-ისკრელი და **quasi** *-ისკრელი ელემენტები.

მეორე დიდი ინციდენტი, რომელიც მოხდა ყრილობაზე საორგ. კ-თან ინციდენტის შემდეგ, ეს იყო ინციდენტი ენათა თანასწორუფლებიანობის გამო ანუ, როგორც მას ირონიულად უწოდებდნენ ყრილობაზე, «ენათა თავისუფლების შესახებ». (**მარტოვი:** «ანუ ვირების შესახებ»». **სიცილი.**) დიახ, «ვირების შესახებაც». საქმე აი რაშია. პარტიის პროგრამის პროექტში ლაპარაკია ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რელიგიისა და სხვ., ბუნდელები ამით არ დაკმაყოფილდნენ და მოითხოვეს პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო უფლება თვითეული ეროვნებისა ისწავლოს დედაენაზე და აგრეთვე თავისავე ენაზე მიმართოს სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებასო. პასუხად ერთი ყბედი ბუნდელისა, რომელმაც მაგალითისთვის სახელმწიფო ცხენთსაშენზე მიუთითა, ამხ. პლეხანოვმა შენიშნა, რომ ცხენთსაშენზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ცხენები არ ლაპარაკობენ, «ლაპარაკობენ მხოლოდ ვირებიო». ბუნდელებმა ეს იწყინეს, ცხადია, იმიტომ, რომ თავიანთ თავზე მიიღეს ეს ხუმრობა.

განხეთქილებამ პირველად იჩინა თავი ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხში. გარდა ბუნდელებისა, რაბოჩეედელოელებისა და «ჭაობისა», «ენათა თავისუფლებას» მხარი

* — ვითომ. რ ე დ.

დაუჭირა ზოგიერთმა ისკრელმაც. ამხ. დეიჩი ამ საკითხში ხმის მიცემით ჩვენში იწვევდა გაკვირვებას, აღშფოთებას, გულისწყრომას და სხვ. ის ხან თავს იკავებდა, ხან ჩვენს წინააღმდეგ აძლევდა ხმას. ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი მორიგებით და ერთხმად გადაწყდა.

საერთოდ ყრილობის პირველი ნახევრის განმავლობაში ყველა ისკრელი ერთსულოვნად მოქმედებდა. ბუნდელები ამბობდნენ — ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულებااო. ერთმა ბუნდელმა თავის სიტყვაში ყრილობა დაახასიათა, როგორც «კომპაქტური უმრავლესობა». ამის პასუხად მე სურვილი გამოვთქვი, ნეტავი მთელი ჩვენი პარტია ერთ კომპაქტურ უმრავლესობად გადაიქცეოდეს–მეთქი.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა ყრილობის მეორე ნახევარი. ამ დროიდან იწყება მარტოვის ისტორიული შემობრუნება. უთანხმოებანი, რომლებმაც ჩვენს შორის იჩინა თავი, სრულიადაც არ ყოფილან უმნიშვნელონი. ისინი გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ მარტოვმა სწორად ვერ შეაფასა მიმდინარე მომენტი. ამხ. მარტოვმა გადაუხვია იმ ხაზს, რომელსაც ის წინათ მიჰყვებოდა.

Tagesordnung-ის მეხუთე პარაგრაფის საგანი იყო წესდება. მისი პირველი მუხლის გამო ჩემსა და მარტოვს შორის ჯერ კიდევ კომისიაში წარმოიშვა დავა. ჩვენ სხვადასხვა ფორმულირებას ვიცავდით. მაშინ როდესაც მე წინადადებას ვაყენებდი პარტიის წევრად გვეცნო ის, ვინც იზიარებდა პარტიის პროგრამას, მატერიალურ დახმარებას უწევდა მას და რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში შედიოდა, — მარტოვს საკმარისად მიაჩნდა, პირველი ორი პირობის გარდა, მუშაობა ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის კონტროლით. მე ჩემს ფორმულირებას ვიცავდი და აღვნიშნავდი, რომ პარტიის წევრის სხვანაირად განსაზღვრა ჩვენ არ შეგვიძლია, თუ ცენტრალიზმის პრინციპს არ გადავუხვევთ-მეთქი. პარტიის წევრად ისეთი პირის ცნობა, რომელიც არავითარ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედის, ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგი იყო პარტიის ყოველგვარი კონტროლისა. აქ

მარტოვს შემოჰქონდა ახალი პრინციპი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა «ისკრის» პრინციპებს. მარტოვის ფორმულირება აფართოებდა პარტიის ფარგლებს. მარტოვი იმას ეყრდნობოდა, რომ ჩვენი პარტია მასების პარტია უნდა იყოსო. ის ფართოდ უღებდა კარებს ყოველგვარ ოპორტუნისტებს, პარტიის ფარგლებს ისე აფართოებდა, რომ ყოველგვარ სახეს უკარგავდა მას. ჩვენს პირობებში კი ეს დიდად სახიფათოა, რადგან საზღვრის დაწესება რევოლუციონერსა და უქმად მოლაყბეს შორის ძალიან ძნელია; ამიტომ ჩვენთვის აუცილებელი იყო შეგვევიწროებინა პარტიის ცნება. მარტოვის შეცდომა ის იყო, რომ ის ფართოდ უღებდა პარტიის კარებს ყოველ ვიგინდარას, და ეს მაშინ, როცა გამოირკვა, რომ ყრილობაზედაც კი მთელი მესამედი ჩასაფრებულთაგან შესდგებოდა. მარტოვმა ამ შემთხვევაში ოპორტუნიზმი გამოიჩინა. მის ფორმულირებას ყალბი დისონანსი შეჰქონდა წესდებაში: პარტიის თვითეული წევრი უნდა იმყოფებოდეს ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ ისე, რომ ც. კ-ს შესაძლებლობა ჰქონდეს პარტიის უკანასკნელ წევრსაც კი მისწვდეს. ჩემი ფორმულირება ორგანიზების სტიმულს იძლეოდა. ამხ. მარტოვი აქვეითებდა «პარტიის წევრის» ცნებას, ის კი, ჩემის აზრით, მაღლა უნდა იდგეს, ძლიერ მაღლა. მარტოვს მიემხრნენ «რაბოჩეე დელო», ბუნდი და «ჭაობი», რომელთა დახმარებით მან გაიყვანა წესდების პირველი პარაგრაფი.

მაშინ მარტოვმა დაიწყო ლაპარაკი «შემარცხვენელ ხმებზე», რომლებსაც თითქოს მასზე ავრცელებდნენ. იმის აღნიშვნა, თუ ვისი მოკავშირე აღმოჩნდა მარტოვი, საწყენი სრულებითაც არ იყო. მეც ასევე დამძრახეს, როცა ამხ. ბრუკერთან კავშირში მოვხვდი. და სრულიადაც არ მწყენია, როცა მარტოვმა გამომიგზავნა ბარათი, რომელშიც მწერდა: «შეხედე, ვინ აძლევს ხმას შენთან ერთადო». ესეც კია, ჩემი კავშირი ბრუკერთან დროებითი და შემთხვევითი იყო. მარტოვის კავშირი კი ბუნდთან მტკიცე გამოდგა. მე წინააღმდეგი ვიყავი მარტოვის ფორმულირებისა, რადგან ეს ფორ-

მულირება იყო **Versumpfung** *-ი. მე ვაფრთხილებდი მარტოვს ამის შესახებ, და ჩვენი მოწინააღმდეგენიც, რომლებიც, როგორც ერთი კაცი, ისე მიჰყვებოდნენ მარტოვს, ამ შეცდომის მჭევრმეტყველ ილუსტრაციას წარმოადგენდნენ. მაგრამ ყველაზე სახიფათო ის კი არ არის, რომ მარტოვი ჭაობში ჩაეფლო, არამედ ის, რომ, როცა შემთხვევით ჭაობში ჩაეფლო, იქიდან ამოსვლას კი არ ცდილა, არამედ სულ უფრო და უფრო ეფლობოდა შიგ. ბუნდელებმა იგრძნეს, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გახდნენ, და თავიანთი დაღი დაასვეს პარტიის წესდებას.

ყრილობის მეორე ნახევარშიც შესდგა კომპაქტური უმრავლესობა, მაგრამ ეს იყო უკვე კოალიცია მარტოველებისა პლუს «ჭაობი», პლუს «რაბოჩეედელოელთა» და ბუნდელთა კომპაქტური უმცირესობა. და ეს კომპაქტური უმრავლესობა დაუპირისპირდა ისკრელებს. ერთმა ბუნდელმა, ისკრელების შუღლი რომ დაინახა, თქვა: «სასიამოვნოა კამათი, როცა ბელადები ჩხუბობენო». ჩემთვის გაუგებარია, რატომ დასტოვა ბუნდმა ყრილობა ასეთ პირობებში. მდგომარეობის ბატონ-პატრონი ის ხდებოდა და შეეძლო ბევრი რამ გაეყვანა. ალბათ, მას იმპერატიული მანდატი ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც წესდების პირველი პარაგრაფი გააფუჭეს, ჩვენ იძულებული გავხდით გატეხილი ნავი რაც შეიძლება მაგრად, ორმაგი კვანძით შეგვეკრა. ჩვენ ბუნებრივად დაგვებადა შიში, რომ რაიმე ვერაგობას ჩაიდენდნენ ჩვენს მიმართ, გვიმტყუნებდნენ. ამიტომ აუცილებელი იყო შემოგვეღო ურთიერთკოოპტაცია ცენტრალურ დაწესებულებებში, რათა უზრუნველგვეყო პარტიისთვის მათი მოქმედების ერთიანობა. ამ საკითხის გამო კვლავ ატყდა ბრძოლა. აუცილებელი იყო ისე მოვქცეულიყავით, რომ პარტიის III ყრილობის დროისთვის იგივე არ განმეორებულიყო, რაც საორგ. კ-ს მოუვიდა. საჭირო იყო შეგვექმნა თანამიმდევარი, პატიოსანი ისკრული სამინისტრო. მაგრამ ამ მუხლშიც კვლავ

* — ჭაობური. რ ე დ.

დავმარცხდით. ცენტრალურ დაწესებულებებში ურთიერთ-კოოპტაციის მუხლი ჩაიშალა. შეცდომა მარტოვისა, რომელსაც მხარს უჭერდა «ჭაობი», კიდევ უფრო მკაფიოდ გამოაშკარავდა. ამ მომენტიდან კოალიცია სავსებით ჩამოყალიბდა, და დამარცხების საშიშროების გამო იძულებული ვიყავით თოფები ორმაგად გაგვეტენა. ბუნდი და «რაბოჩეე დელო» არხეინად იყვნენ და თავიანთი ხმებით წყვეტდნენ ყრილობის ბედს. აქედან წარმოიშვა შეუპოვარი, გააფთრებული ბრძოლა.

ახლა გადავიდეთ «ისკრის» ორგანიზაციის კერძო სხდომებზე. ამ სხდომებზე ჩვენ უმთავრესად ც. კ-ის შემადგენლობის საკითხს ვიხილავდით. «ისკრის» ორგანიზაციის ყველა ოთხივე სხდომის განმავლობაში კამათი წარმოებდა ამხ. N N-ის გარშემო, რომლისთვისაც ისკრელების ნაწილს უნდოდა პოლიტიკური უნდობლობა გამოეცხადებინა, მაგრამ არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან NN-ს საძრახისს რამეს არავინ აბსოლუტურად არაფერს არ აწერდა, არამედ სპეციალური მნიშვნელობით — რამდენად გამოსადეგი იქნებოდა NN ისკრული სამინისტროსთვის; ამის გამო საშინელი ჩხუბი გაიმართა. 16-თა უკანასკნელ სხდომაზე 9 კაცმა NN-ის წინააღმდეგ მისცა ხმა, 4-მა მის სასარგებლოდ, დანარჩენებმა თავი შეიკავეს. აქვე წყდებოდა საკითხი, რა შემადგენლობით გაეყვანათ ახლა თავისი სამინისტრო.

მარტოვი და მე სხვადასხვა «სამეულებს» ვასახელებდით, ამაზე ვერ შევთანხმდით. რადგან არ გვინდოდა ხმების დაქსაქსვა ყრილობაზე, გადავწყვიტეთ კომპრომისული სიის წარდგენა. ჩვენ ყოველნაირ დათმობაზე მივდიოდით: მე თანახმა ვიყავი ისეთი სიისა, სადაც ორი მარტოველი იქნებოდა. უმცირესობა არ დათანხმდა. სხვათა შორის, «იუჟნი რაბოჩის» წევრმა არ მოისურვა ჩვენს სიაში ყოფილიყო და იმავე დროს დათანხმდა მარტოველთა სიაში ყოფნას. «იუჟნი რაბოჩი» — გარეშე ელემენტი — წყვეტდა ც. კ-ის საკითხს. მას შემდეგ, რაც ისკრელები გაითიშნენ, ჩვენ თავი უნდა მოგვეყარა ჩვენი თანამოაზრეებისათვის და ამიტომ მხურვალე აგიტაცია გავაჩაღეთ. ბუნდის მოულოდნელად წასვლამ ერთბაშად შესც-

ვალა მთელი მდგომარეობა. მისი წასვლით კვლავ შეიქმნა კომპაქტური უმრავლესობა და უმცირესობა. ჩვენ უმრავლესობა გავხდით და ც. კ-ში უკვე ისინი გავიყვანეთ, ვინც გვინდოდა.

აი ის გარემოებანი, რომლებმაც გათიშვამდე მიგვიყვანეს. მარტოვის მხრივ დიდი უტაქტობა იყო «ისკრის» ყველა ექვსივე რედაქტორის დამტკიცების საკითხის ყრილობაზე გამოტანა, როცა მან იცოდა, რომ მე დავიცავდი რედაქციის არჩევითობას. ეს ნიშნავდა რედაქციის არჩევის საკითხისათვის ისეთი ხასიათის მიცემას, რომლითაც რედაქციის ცალკეულ პიროვნებებს უნდობლობა ეცხადებოდათ.

შაბათს, 5 საათზე, არჩევნები დამთავრდა. ჩვენ შევუდექით რეზოლუციების განხილვას. ამისთვის სულ რამდენიმე საათი გვრჩებოდა. «ჭაობის» მხრივ ყოველგვარი დაბრკოლების შექმნისა და გაჭიანურების გამო იძულებული გავხდით **Tagesordnung**-იდან მრავალი მნიშვნელოვანი მუხლი ამოგვეგდო; ამრიგად სრულიად აღარ დაგვრჩა დრო ტაქტიკის ყველა საკითხის განსახილველად.

ყრილობის დამოკიდებულება რეზოლუციებისადმი იმდენად ერთსულოვანი იყო, რომ ჩვენ შეგვექმნა შემარიგებელი განწყობილების დამყარების შთაბეჭდილება: ჩვენ გვეგონა, რომ მომხდარი უთანხმოებანი მარტოვს არ უნდოდა სახელმწიფოებრივ საკითხად გადაექცია. როცა ერთმა «იუჟნირაბოჩელმა» იკითხა — რამდენად კანონიერია არჩევნებიო, მარტოვმა შენიშნა კიდევაც, უმცირესობა ემორჩილება ყრილობის ყველა დადგენილებასო. ყველა რეზოლუციის მიღება ხდებოდა მშვიდობიანად და მეგობრულად; უთანხმოება გამოიწვია მხოლოდ სტაროვერის რეზოლუციამ ლიბერალების შესახებ. ის რაღაც ბუნდოვანი იყო, და მასში კვლავ ოპორტუნიზმი გამოსჭვიოდა. მის წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოლეთ და მივაღწიეთ იმას, რომ გავიყვანეთ კიდევ მეორე რეზოლუცია ამავე საკითხზე.

საერთო შთაბეჭდილება ყრილობის შესახებ ისეთი შეიქმნა, რომ ბრძოლა წარმოებდა ვერაგულ ფანდებთან. ჩვენ

ისეთ პირობებში ვიყავით, რომ მუშაობა შეუძლებელი გახდა. დასკვნა ასეთი იყო: «ღმერთო, დაგვიფარე ასეთი მეგობრებისაგან», ე. ი. **quasi**-ისკრელებისაგან. მარტოვმა სრულებით ვერ გაიგო ეს მომენტი. თავისი შემცდარი პოზიცია მან პრინციპულად აღიარა. პარტიის ნამდვილ საჭიროებებს აშკარად ეწინააღმდეგება მარტოვის მტკიცება — უმრავლესობამ «საალყო წესები» შემოიღოო. მუშაობას რომ მეტი წარმატება ჰქონოდა, აუცილებელი იყო თავიდან მოგვეშორებინა შემაფერხებელი ელემენტები და ისეთ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა ისინი, რომ არ შესძლებოდათ ზიანის მიყენება პარტიისთვის; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენ შემდგომ ყრილობაზე ნაყოფიერ მუშაობას. აი რატომ იყო საჭირო სრული ერთობის დამყარება პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს შორის.

ყრილობის პირველი ნახევარი დიამეტრულად ეწინააღმდეგება მეორეს. მთელი ყრილობის კარდინალური პუნქტები ოთხ დიდ მომენტად ყალიბდება, სახელდობრ: 1) ინციდენტი საორგ. კ-თან; 2) დებატები ენათა თანასწორუფლებიანობის გამო; 3) დებატები წესდების პირველი მუხლის გამო და 4) ბრძოლა პარტიული ცენტრების არჩევნების გამო.

ყრილობის პირველ ნახევარში ჩვენ მარტოვთან ერთად ვიყავით საორგ. კ-ის, ბუნდის, «რაბოჩეე დელოს» და «ჭაობის» წინააღმდეგ, მეორე ნახევარში მარტოვი შემთხვევით ჭაობში ჩაეფლო. შემთხვევითი **Versumpfung**-იდან ახლა, ყრილობის შემდეგ, უკვე ნამდვილი **Versumpfung**-ი მივიღეთ. **(ტ ა შ ი.)**

3

განცხადება მარტოვის მოხსენების გამო 15 (28) ოქტომბერს [24]

მე უაღრესად ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ, როგორც ბრძოლის უბადრუკი ხერხის წინააღმდეგ, წინააღმდეგ მარტოვის მიერ საკითხის დაყენებისა იმის შესახებ, თუ ვინ იცრუა ან ვინ ეწეოდა ინტრიგას ჩემსა, მასსა და სტაროვერს შორის კერძო საუბრის გადმოცემაში. მე აღვნიშნავ, რომ ასეთი ხერხი აშკარაზე-აშკარად ეწინააღმდეგება თვით მარტოვის გუშინდელ განცხადებას — სათაკილოა საქმის მიყვანა იქამდე, რომ კერძო საუბრის გადმოცემის სიმართლე გადაუჭრელ საკითხად იქცესო! მე ვაცხადებ, რომ მარტოვმა სრულიად არასწორად გადმოსცა კერძო საუბარი **en question** *. მე ვაცხადებ, რომ თანახმა ვარ ყოველგვარი სამედიატორო სასამართლოსი და ასეთ სასამართლოში ვიწვევ მარტოვს, თუ მას ნებავს ბრალი დამდოს ისეთ საქციელში, რაც შეუფერებელია პასუხსაგები ადგილის დაკავებასთან პარტიაში. მე ვაცხადებ, რომ ზნეობრივად ვალდებულია მარტოვი, — რომელიც ახლა აყენებს არა პირდაპირ ბრალდებებს, არამედ მიმართავს ბუნდოვან გადაკრულ სიტყვებს, — ვალდებულია იქონიოს გამბედაობა და აშკარად, თავისი ხელმოწერით დაიცვას თავისი ბრალდებები მთელი პარტიის წინაშე; მე, როგორც პარტიის ც. ო.-ს რედაქციის წევრი, მთელი რედაქციის სახელით წინადადებას ვაძლევ მარტოვს დაუყოვნებლივ გამოსცეს ცალკე ბროშურად ყველა თავისი ბრალდება. თუ ამას არ იზამს, მარტოვი მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ მას მარტო სკანდალის გამოწვევა სურდა ლიგის ყრილობაზე და არა პარტიის ზნეობრივი გაწმენდა.

---

* — რომელზედაც ლაპარაკია. რედ.

4

სიტყვა ლიგის წესდების შესახებ
17 (30) ოქტომბერს

შევჩერდები, უმთავრესად, ერთ მუხლზე, სახელდობრ, მომხსენებლის იმ აზრზე, რომ ლიგა თავისი წესდების შემუშავებაში ავტონომიურიაო. ჩემის აზრით, ეს სრულიად არ არის სწორი, ვინაიდან ც. კ., რომელსაც პარტიული წესდების § 6-ის თანახმად უფლება აქვს მოაწყოს კომიტეტები, — ერთადერთი ინსტანციაა, რომელსაც შეუძლია ხელი მოჰკიდოს ლიგის წესდების შემუშავებას; იმიტომ რომ მოწყობა უწინარეს ყოვლისა ნიშნავს წესდების შედგენას. მანამდე კი, სანამ ც.კ. არ დაამტკიცებს ლიგის წესდებას, მას, ლიგას, წესდება ა რ ა ა ქ ვ ს. ავტონომიის ცნება აქ სრულიად გამოუყენებელია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება პარტიულ წესდებას. მე ერთხელ კიდევ ენერგიულად ვუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ, სანამ ც. კ-ს არ დაუმტკიცებია, ლიგას წესდება არა აქვს. რაც შეეხება ლიგის დამტკიცებას პარტიის ყრილობის მიერ, ეს მოხდა არა მისი საქმიანობის გამო, არამედ, შეიძლება უფრო მხოლოდ იმიტომ, რომ, — ყველა მისი დეფექტის მიუხედავად, — ლიგა პრინციპულ სიმტკიცეს იჩენდა.

ᲑᲝᲚᲝᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ [25]

1903 წ. 29 ოქტომბერი

ამხანაგებო! გუშინ (28/X) მე დავტოვე ყრილობის სხდომა, რადგან მეტისმეტად ზიზღის მომგვრელი იყო დასწრება ბინძური ჭორების, ხმების, კერძო საუბრების იმ გამოქექვაზე, რომელიც დაიწყო და გამოიყენა მარტოვმა ისტერიული წკმუტუნით და რამაც სკანდალის ყველა და ყოველგვარ მოყვარულთა ზეიმი გამოიწვია. თითქოს თავის თავს დასცინისო, იგივე მარტოვი ამ სამიოდე დღის წინათ მჭევრმეტყველად ლაპარაკობდა — საკადრისი არაა ისეთი კერძო საუბრების დამოწმება, რომელთა შემოწმება შეუძლებელია და რაც პროვოკაციულად ჰბადებს საკითხს, მოსაუბრეთაგან რომელმა ᲘᲪᲠᲣᲐᲝ. სწორედ ეს არასაკადრისი საქციელი დაგვანახვა გუშინ მარტოვმა, რომელიც გუშინ ისტერიულად მეკითხებოდა, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲠᲣᲐ, მე თუ მან, ყბადაღებული სამეულის შესახებ ყბადაღებული კერძო საუბრის გადმოცემისას.

ეს სკანდალის გამოწვევის ხერხი და საკითხის ასე დაყენება: ᲕᲘᲜ ᲘᲪᲠᲣᲐᲝ, ეკადრება ან მხოლოდ ბრეტერს, იოლ შემთხვევას რომ ეძებს ჩხუბის ასატეხად, ან ისტერიულად აფორიაქებულ ადამიანს, რომელსაც უნარი აღარ შესწევს აწონ-დაწონოს თავისი საქციელის უაზრობა. პოლიტიკური მოღვაწის მხრივ, რომელსაც გარკვეულ პოლიტიკურ შეცდომებს აბრალებენ, ასეთი ხერხის გამოყენება უტყუარად მოწმობს იმას, რომ თავდაცვის სხვა საშუალებები არ მოეპოვება და ისღა დარჩენია, პოლიტიკური უთანხმოებანი უბადრუკად გადაიტანოს კინკლაობისა და ჭორების სფეროში.

იბადება კითხვა, თავდაცვის რა საშუალების გამოყენება შეიძლება საერთოდ ყველა ბრეტერისა და სკანდალისტის ამ ხერხის წინააღმდეგ, კერძო საუბართა საფუძველზე დ ა უ მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ი ბრალდებების წამოყენების წინააღმდეგ? მე ვამბობ «დაუმტკიცებელი» ბრალდებებისა-მეთქი, ვინაიდან ოქმში შეუტანელი კერძო საუბარი, თავისი არსებით, შეუძლებელს ხდის დამტკიცების ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შესაძლებლობას და მის საფუძველზე წამოყენებული ბრალდება იწვევს სიტყვა «სიცრუის» უბრალო განმეორებასა და ბრუნებას. მარტოვმა გუშინ ასეთ განმეორებათა ხელოვნებაში ნამდვილი ვირტუოზობა გამოიჩინა, მე კი მის მაგალითს ვერ მივბაძავ.

გუშინდელ ჩემს განცხადებაში უკვე აღვნიშნე თავდაცვის ე რ თ ი ხერხი და კატეგორიულად მოვითხოვ მის შესრულებას. წინადადებას ვაძლევ ჩემს მოწინააღმდეგეს დაუყოვნებლივ გამოსცეს ცალკე ბროშურად ყველა თავისი ბრალდება ჩემს წინააღმდეგ, რომელთაც ის ისროდა უსაზღვრო და ურიცხვი ბუნდოვანი გადაკრული სიტყვების სახით სიცრუის, ინტრიგანობისა და სხვ. და სხვ. შესახებ. მე მ ო ვ ი თ ხ ო ვ, რომ ჩემი მოწინააღმდეგე გამოვიდეს სწორედ მ თ ე ლ ი პარტიის წინაშე თავისი ხელმოწერით, იმიტომ რომ ის ჩრდილს მაყენებდა მე, როგორც პარტიის ც. ო.-ს რედაქციის წევრს, იმიტომ რომ ის ლაპარაკობდა ზოგიერთ პირებზე, რომ არ შეიძლება მათ პასუხსაგები ადგილი ეჭიროთ პარტიაშიო. მე ვალდებულებას ვკისრულობ გამოვაქვეყნო ჩემი მოწინააღმდეგის ყ ვ ე ლ ა ბრალდება, რადგან სწორედ კინკლაობისა და ჭორების აშკარა გადმოშლა, ეს მე მშვენივრად ვიცი, ჩემი საუკეთესო დაცვა იქნება პარტიის წინაშე. ვიმეორებ, თუ მოწინააღმდეგე არ მიიღებს ჩემს გამოწვევას, ამით იმას დაამტკიცებს, რომ მისი ბრალდებები შესდგება მხოლოდ ბინძური ინსინუაციებისაგან, რაც გამოწვეულია ან არამზადის ცილისწამებით ან წაბორძიკებული პოლიტიკოსის ისტერიული აშლილობით.

მაგრამ მე კიდევ მაქვს თავდაცვის ერთი არაპირდაპირი საშუალება. ჩემს გუშინდელ განცხადებაში ვთქვი, რომ მარტოვმა კერძო საუბარი **en question** * სრულიად არასწორად გადმოსცა. მე აღარ განვაახლებ ამ საუბარს სწორედ იმიტომ, რომ უიმედოა და უაზრო დ ა უ მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ი ს მტკიცება. მაგრამ დაე ყველა ჩაუფიქრდეს იმ «დოკუმენტს», რომელიც მე გუშინ გადავეცი მარტოვს და მან ყრილობაზე წაიკითხა. ეს დოკუმენტია ყრილობის პროგრამა და ჩემი კომენტარი მისდამი, — კომენტარი, დაწერილი «კერძო» საუბრის შ ე მ დ ე გ, გ ა გ ზ ა ვ ნ ი ლ ი ჩ ე მ ს მ ი ე რ მ ა რ ტ ო ვ თ ა ნ და დაბრუნებული მისი შესწორებებით.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ჩვენი საუბრის უ ც ი ლ ო ბ ე ლ დედააზრს, და ჩემთვის სრულიად საკმარისია გავარჩიო მისი ზუსტი ტექსტი, რათა ცხადვყო მარტოვის ბრალდებათა ჭორიკანული ხასიათი. აი ეს ტექსტი მთლიანად:

«მუხლი 23 (ყრილობის **Tagesordnung**-ისა **). პ ა რ ტ ი ი ს ც. კ.-ი ს ა და ც. ო.-ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი».

ჩემი კომენტარი: «ყრილობა ირჩევს **3** კაცს ც. ო.-ს რედაქციაში და **3**-ს ც. კ.-ში. ეს ექვსი კაცი **ერთად**, $^2/_3$-ის უმრავლესობით, შეავსებენ, თუ ეს აუცილებელია, ც. ო.-ს რედაქციისა და ც. კ-ის შემადგენლობას კოოპტაციით და სათანადო მოხსენებას უკეთებენ ყრილობას. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ ც. ო-ს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი შემდგომ კოოპტაციას ახდენენ ცალ-ცალკე».

მარტოვი გვარწმუნებდა, ეს სისტემა მიღებული იყო მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ სარედაქციო ექვსეულის გაფართოების გულისთვისო. ასეთს რწმუნებას პ ი რ დ ა პ ი რ ეწინააღმდეგება სიტყვები: «თუ ეს აუცილებელია». ცხადია, მაშინაც გათვალისწინებული ყოფილა შესაძლებლობა, რომ ასეთი საჭიროება არ იქნებოდა. შემდეგ, თუ კოოპტაციის-

* — რომელზედაც ლაპარაკია. რ ე დ.

** — დღის წესრიგისა. რ ე დ.

თვის საჭირო იყო 6-დან 4-ის თანხმობა, ცხადია, რედაქციის შემადგენლობის შევსება ვერ მოხდებოდა არა-რედაქტორთა თანხმობის მიუღებლად, ყოველ შემთხვევაში ც. კ-ის ერთი წევრის თანხმობის მიუღებლად. მაშასადამე, რედაქციის გაფართოებისათვის საჭირო იყო ისეთი ადამიანის აზრი, რომლის პიროვნებაზე მაშინ (ყრილობამდე ერთი თვის თუ თვენახევრის წინ) შესაძლებელი იყო მხოლოდ სრულიად გაურკვეველი ვარაუდი. მაშასადამე, ცხადია, სარედაქციო ექვსეულს, როგორც ასეთს, მაშინ თვით მარტოვის აზრითაც არ შეეძლო შემდგომი დამოუკიდებელი არსებობა, რაკი გადამწყვეტი ხმა არჩეული სამეულის გაფართოების საკითხში ეძლეოდა არჩეულსავე არა-რედაქტორს. გარედან, რედაქციის გარედან დაუხმარებლად მარტოვიც შეუძლებლად თვლიდა «ისკრის» ძველი რედაქციის გადაქცევას პარტიული ცენტრალური ორგანოს რედაქციად.

გავყვეთ ქვევით. მთელი საქმე რომ მხოლოდ და მხოლოდ ექვსეულის გაფართოება ყოფილიყო, რაღა საჭირო იქნებოდა სამეულზე ლაპარაკი? მაშინ საკმაო იქნებოდა ერთხმივი კოოპტაციის შეცვლა ამა თუ იმ უმრავლესობით მიღებული კოოპტაციით. მაშინ საერთოდ საჭირო არ იქნებოდა რედაქციაზე ლაპარაკი, საკმაო იქნებოდა ლაპარაკი კოოპტაციაზე პარტიული დაწესებულებებისათვის საერთოდ ან ცენტრალური პარტიული დაწესებულებებისთვის კერძოდ. მაშასადამე, ცხადია, საქმე მხოლოდ და მხოლოდ მარტო გაფართოებას არ შეეხებოდა. ცხადია აგრეთვე, რომ შესაძლებელ გაფართოებას ხელს უშლიდა ძველი რედაქციის არა ერთი წევრი, არამედ შეიძლება ორიცა და სამიც, რაკი ექვსეულის გაფართოებისთვის საჭიროდ მიაჩნდათ მისი შემცირება ჯერ სამეულამდე.

დასასრულ, შეადარეთ ერთიმეორეს ცენტრების შემადგენლობის «შევსება», გაფართოება პარტიის ახლანდელი წესდების მიხედვით, რომელიც ყრილობაზეა მიღებული, და იმ

პირვანდელი პროექტის მიხედვით, რომელიც ჩვენ მარტოვთან ერთად აღვნიშნეთ დღის წესრიგის 23-ე მუხლის ზემომოყვანილ კომენტარში. პირვანდელი პროექტის მიხედვით საჭირო იყო ოთხის თანხმობა ორის წინააღმდეგ (ც. ო-ს რედაქციისა და ც. კ-ის გასაფართოებლად), ხოლო ახლანდელი წესდებით საჭიროა, საბოლოო ანგარიშში, სამის თანხმობა ორის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ახლა ცენტრებში შესაყვანთა კოოპტაციის საკითხს საბოლოოდ წყვეტს საბჭო და, თუ რედაქციის ორ წევრს პლუს კიდევ საბჭოს ერთი წევრი უნდათ რედაქციის გაფართოება, მაშასადამე, მათ შეუძლიათ ეს გაფართოება მოახდინონ მესამის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

ამრიგად, ყოველ ეჭვს გარეშეა (ზუსტი დოკუმენტის ზუსტი აზრის მიხედვით), რომ რედაქციის შემადგენლობის სახის შეცვლა განზრახული იყო (ჩემსა და მარტოვის მიერ და რედაქციის არც ერთ წევრს ეს არ გაუპროტესტებია) ყრილობამდე დიდი ხნით ადრე, მასთან ეს ცვლილება უნდა მომხდარიყო ექვსეულის ერთი რომელიმე ან შეიძლება ორი-სამი წევრის ნებისა და თანხმობის მიუხედავად. აქედან შეიძლება განვსაჯოთ, რა ფასი აქვს ახლა უბადრუკ სიტყვებს არაფორმალურ იმპერატიულ მანდატზე, რომელიც თითქოს ჰბოჭავდა ექვსეულს, მის შიგნით არსებულ ზნეობრივ ხუნდებზე, ურყევი კოლეგიის მნიშვნელობაზე და სხვა ასეთს ფანდებს, რომლებიც უხვად მოიპოვებოდა მარტოვის სიტყვაში. ყველა ეს ფანდი პირდაპირ ეწინააღმდეგება კომენტარის ნათელ ტექსტს, რომელიც მოითხოვს რედაქციის შემადგენლობის განახლებას, განახლებას საკმაოდ რთული და, მაშასადამე, გულდასმით მოფიქრებული წესით.

ამ კომენტარიდან კიდევ უფრო უეჭველია, რომ რედაქციის შემადგენლობის შეცვლისათვის საჭირო იყო ყრილობის შიერ არჩეული არანაკლებ ორი რუსეთელი ამხანაგის, ც. კ-ის წევრთა, თანხმობა. მაშასადამე, უეჭველია, რომ მეც და მარტოვსაც იმედი გვქონდა დავარწმუნებდით ც. კ-ის ამ მომავალ წევრთ, რომ აუცილებელი იყო რედაქ-

ციის შემადგენლობის გარკვეული შეცვლა. მაშასადამე, რედაქციის შემადგენლობის საკითხს ჩვენ ვანდობდით გადასაწყვეტად ცენტრის მუშაკებს, რომელთა ვინაობა ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად ცნობილი. მაშასადამე, ჩვენ ბრძოლას ვიწყებდით **იმ იმედით, რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანდით ცენტრის ამ მუშაკებს,** და თუ ახლა გავლენიანი რუსეთელი ამხანაგების უმრავლესობა მე მიჭერს მხარს და არა მარტოვს (ჩვენს შორის წარმოშობილი უთანხმოების გარშემო), უკანასკნელის მხრივ პირდაპირ ურიგობა და ბრძოლის უბადრუკი ფანდია თავისი დამარცხების ისტერიული გლოვა და იმ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის აღძვრა, რომელნიც თავისი არსებით დაუმტკიცებელია.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი (ვ. ი. უ ლ ი ა ნ ო ვ ი)

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს «ლენინის კრებულში» VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

განცხადება პარტიის საბჭოს წევრისა და ც. ო.-ს რედაქციის წევრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ [26]

მე უარს ვამბობ პარტიის საბჭოს წევრისა და ც. ო.-ს რედაქციის წევრის თანამდებობაზე, რადგან არ ვიზიარებ პარტიის საბჭოს წევრისა და ც. ო.-ს რედაქციის წევრის გ. ვ. პლეხანოვის შეხედულებას, რომ ამჟამად მარტოველებისთვის დათმობა და ექვსეულის კოოპტაცია სასარგებლო იყოს პარტიის ერთიანობის ინტერესებისათვის.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1903 წ. 1 ნოემბერი.
ჟენევა

P. S. ყოველ შემთხვევაში მე სრულებითაც არ ვამბობ უარს, რომ ჩემი მუშაობით შეძლებისამებრ დავეხმარო პარტიის ახალ ცენტრალურ დაწესებულებებს.

გადაეცა პლეხანოვს 1903 1/XI

დაიბეჭდა 1904 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბუნდის მდგომარეობა პარტიაში [27]

ასეთი სათაურით ბუნდმა გამოუშვა «Arbeiterstimme»-ს [28] № 34-ის სტატიის თარგმანი. ეს სტატია დართული აქვს ბუნდის V ყრილობის გადაწყვეტილებებს და მათს ერთგვარ ოფიციალურ კომენტარს წარმოადგენს. მასში მოცემულია ცდა ყველა იმ მოსაზრების სისტემატურად გადმოცემისა, რომელთაც მივყავართ დასკვნამდე, რომ ბუნდი «პარტიის ფედერაციული ნაწილი უნდა იყოსო». საინტერესოა განვიხილოთ ეს მოსაზრებები.

ავტორი იმით იწყებს, რომ ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე დგას, გაერთიანების საკითხიაო. რა საფუძველზე შეიძლება მოხდეს ეს გაერთიანება? 1898 წლის მანიფესტმა [29] საფუძვლად მიიჩნია ავტონომიის პრინციპი. ავტორი არჩევს ამ პრინციპს და დაასკვნის, რომ ის ლოგიკურად შეუსაბამოა, შინაგანად კი წინააღმდეგობას შეიცავსო. თუ იმ საკითხებს, რომლებიც სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს ეხება, გავიგებთ მხოლოდ როგორც აგიტაციის წესების საკითხებს (ებრაელთა განსაკუთრებულ ენასთან, განსაკუთრებულ ფსიქოლოგიასთან, განსაკუთრებულ კულტურასთან შეფარდებით), ეს იქნება ტექნიკური (?) ავტონომია. მაგრამ ასეთი ავტონომია ნიშნავს ყოველგვარი დამოუკიდებლობის მოსპობას, ვინაიდან ასეთი დამოუკიდებლობით ხომ პარტიის ყოველი კომიტეტი სარგებლობს, ხოლო ბუნდის გათანაბრება კომიტეტებთან ავტონომიის უარყოფაა. ხოლო თუ ავტონომიას გავიგებთ როგორც ავტონომიას ზოგიერთ პროგ-

რამულ საკითხში. მაშინ უაზრობაა მოვუსპოთ ბუნდს ყოველ-
გვარი დამოუკიდებლობა დანარჩენ პროგრამულ საკითხებში;
დამოუკიდებლობა პროგრამულ საკითხებში აუცილებლად
გულისხმობს ბუნდის, როგორც ასეთის, წარმომადგენლობას
პარტიის ცენტრალურ ორგანოებში, ე. ი. არა ავტონომიას,
არამედ ფედერაციას. ბუნდის მდგომარეობის მტკიცე ბაზი-
სი პარტიაში უნდა ვეძიოთ რუსეთის ებრაელთა რე-
ვოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ეს ისტორია გვიჩვენებს
ებრაელ მუშათა შორის მომუშავე ყველა ორგანიზაციის შე-
ერთებას ერთ კავშირად — ბუნდის სახით და მისი მოქმედე-
ბის გავრცელებას ლიტვიდან პოლონეთზე და შემდეგ სამ-
ხრეთ რუსეთზე. მაშასადამე, ისტორიამ გადააყირავა ყველა
რაიონული ზღუდე და წამოაყენა ბუნდი, როგორც ებრაელი
პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენელი. აი პრინცი-
პი, რომელიც მოცლილი ჭკუის (?) ნაყოფი კი არ არის, არა-
მედ ებრაელ მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის შედეგია:
ბუნდი ერთადერთი წარმომადგენელია ებრაელი პროლეტა-
რიატის ინტერესებისა. ხოლო, რასაკვირველია, მთელი ეროვ-
ნების პროლეტარიატის ორგანიზაციას პარტიაში შესვლა
შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პარტია ფედერა-
ციულად არის აგებული: ებრაელი პროლეტარიატი არის არა
მარტო პროლეტართა მსოფლიო ოჯახის ნაწილი, არამედ ნაწი-
ლი ებრაელი ხალხისაც, რომელსაც განსაკუთრებული მდგო-
მარეობა უჭირავს სხვა ხალხთა შორის. დასასრულ, მჭიდრო
ერთობა პარტიის ნაწილებს შორის გამოხატულებას პოუ-
ლობს სწორედ ფედერაციაში, ვინაიდან ამ უკანასკნელის
ძირითადი ნიშანია პარტიის თვითეული შემადგენელი ნაწი-
ლის უშუალო მონაწილეობა მის საქმეებში; მაშინ პარტიის
ყველა ნაწილი თანასწორუფლებიანად გრძნობს თავს. ავტო-
ნომია კი გულისხმობს პარტიის ნაწილების უუფლებობას,
საერთო საქმეებისადმი გულგრილობას, ურთიერთუნდობ-
ლობას, უთანხმოებასა და შეხლა-შემოხლას.

ასეთია ავტორის არგუმენტაცია, გადმოცემული ჩვენს
მიერ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი სიტყვე-

ბით. ის სამ მუხლს შეიცავს: ზოგადი ხასიათის მოსაზრებას ავტონომიის შინაგანი წინააღმდეგობისა და მისი უვარგისობის შესახებ პარტიის ნაწილების მჭიდრო ერთიანობის თვალსაზრისით; ისტორიის გაკვეთილებს, ისტორიის, რომელმაც ბუნდი წამოაყენა ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად, და, დასასრულ, იმის დამოწმებას, რომ ებრაელი პროლეტარიატი არის პროლეტარიატი მთელი ეროვნებისა, რომელსაც განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიაო. მაშასადამე, ავტორს სურს დაეყრდნოს ზოგად ორგანიზაციულ პრინციპებსაც, ისტორიის გაკვეთილებსაც და ეროვნების იდეასაც. ავტორი ცდილობს — სამართლიანობა მოითხოვს ითქვას ეს — ყოველმხრივ განიხილოს საკითხი. და სწორედ ამიტომაა, რომ მისი გადმოცემა ასე მკაფიოდ გვიხატავს ბუნდის პოზიციას იმ საკითხში, რომელიც ყველას გვაღელვებს.

გვეუბნებიან, ფედერაციის დროს პარტიის ნაწილები თანასწორი უფლებებით არიან აღჭურვილნი და უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საერთო საქმეებშიო; ავტონომიის დროს კი ისინი უუფლებონი არიან და, როგორც ასეთნი, საერთოპარტიულ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებენო. ასეთი მსჯელობა მთლიანად აშკარა შეუსაბამობათა სფეროს ეკუთვნის, — ის, როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს იმ მსჯელობას, რომელსაც მათემათიკოსები მათემათიკურ სოფიზმებს უწოდებენ და რომლითაც, — ერთი შეხედვით, ზუსტი ლოგიკური გზით, — ამტკიცებენ, ორჯერ ორი ხუთიაო, ნაწილი მეტია მთელზეო და სხვ. არსებობს ასეთი მათემატიკური სოფიზმების კრებულები და მათ მოსწავლე ბავშვებისთვის ერთგვარი სარგებლობაც მოაქვთ. მაგრამ უხერხულიც კია იმ ადამიანებს, რომელთაც თავი მოაქვთ ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლებად, ვუმარტავდეთ ისეთ ელემენტარულ სოფიზმს, როგორიცაა «პარტიის ნაწილის» სხვადასხვაგვარი გაგება ერთი და იმავე მსჯელობის ორივე ნახევარში. როცა ფედერაციაზე ლაპარაკობენ, — პარტიის ნაწილი ესმით როგორც სხვადასხვა ადგილის ორგანიზაციების

ჯამი; როცა ავტონომიაზე ლაპარაკობენ, პარტიის ნაწილი ესმით როგორც თვითეული ცალკე ადგილობრივი ორგანიზაცია. დაალაგეთ ერთ სილოგიზმად ეს ვითომდა ერთი და იგივე ცნებანი, და მიიღებთ აუცილებელ დასკვნას, რომ ორჯერ ორი ხუთია. და თუ ბუნდელებისთვის მაინც გაუგებარია მათი სოფიზმის არსი, მათ შეუძლიათ ჩაიხედონ თავიანთ საკუთარ წესდება-მაქსიმუმში და იქ დაინახავენ, რომ სწორედ ფედერაციის დროს ადგილობრივ ორგანიზაციებს კავშირურთიერთობა აქვთ ცენტრთან არაპირდაპირ, ავტონომიის დროს კი — უშუალოდ. არა, უმჯობესია ჩვენმა ფედერალისტებმა სულ არ ილაპარაკონ «მჭიდრო ერთიანობაზე»! იმ დებულების უარყოფას, რომ ფედერაცია ნიშნავს პარტიის ნაწილების გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ ა ს, ხოლო ავტონომია — შ ე ე რ თ ე ბ ა ს, მხოლოდ ადამიანის გაცინება თუ შეუძლია.

დიდად უკეთესი არც ავტონომიის «ლოგიკური შეუსაბამობის» დამტკიცების ის ცდაა, რომელსაც ახდენენ ავტონომიის დაყოფით პროგრამულ და ტექნიკურ ავტონომიად. უკვე თვით ეს დაყოფა უდიდეს შეუსაბამობას წარმოადგენს. რატომ უნდა ვუწოდოთ ტექნიკური იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ებრაელ მუშათა შორის აგიტაციის სპეციალურ წესებს? რა შუაშია აქ ტექნიკა, როცა ლაპარაკია ენის, ფსიქოლოგიის, ყოფაცხოვრების პირობების თავისებურებაზე? როგორ შეიძლება ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე პროგრამულ საკითხებში, მაგალითად, ებრაელთა მოქალაქობრივ თანასწორუფლებიანობის მოთხოვნის გამო? სოციალ-დემოკრატიის პროგრამა აყენებს მხოლოდ ძირითად მოთხოვნებს, საერთოს მთელი პროლეტარიატისთვის, დამოუკიდებლად პროფესიული, ადგილობრივი, ნაციონალური, რასობრივი განსხვავებისა. ამ განსხვავებით აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე მოთხოვნა კანონის წინაშე მოქალაქეთა სრული თანასწორობისა იწვევს აგიტაციის საჭიროებას ერთ ადგილას არათანასწორუფლებიანობის ერთი სახეობის წინააღმდეგ, მეორე ადგილას ან პროლეტარიატის სხვა ჯგუფების მიმართ — არათანასწორუფლებიანობის სხვა სახეობის წინააღმდეგ და ა. შ.. ერთი და

იგივე პროგრამული მუხლი სხვადასხვანაირად გამოიყენება ყოფა-ცხოვრების პირობების განსხვავების, კულტურის განსხვავების, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის განსხვავების მიხედვით და სხვ.. აგიტაცია ერთი და იმავე პროგრამული მოთხოვნისათვის წარმოებს სხვადასხვა წესით, სხვადასხვა ენაზე ყველა ამ განსხვავების შესაბამისად. ავტონომია იმ საკითხებში, რომლებიც სპეციალურად განსაზღვრული რასის, განსაზღვრული ერის, განსაზღვრული რაიონის პროლეტარიატს ეხება, ნიშნავს, მაშასადამე, იმას, რომ საერთო პროგრამის განხორციელებისათვის წამოყენებულ სპეციალურ მოთხოვნებს, აგიტაციის წესებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს სათანადო ორგანიზაცია. პარტია მთლიანად, მისი ცენტრალური დაწესებულებები ადგენენ პროგრამისა და ტაქტიკის ზოგად ძირითად პრინციპებს; ხოლო ამ პრინციპების პრაქტიკაში და აგიტაციაში გატარების სხვადასხვა წესს ადგენენ ცენტრისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციები ადგილობრივ, რასობრივ, ნაციონალურ, კულტურულ და სხვ. განსხვავებასთან შეფარდებით.

იბადება კითხვა, ნუთუ ავტონომიის ასეთი გაგება ნათელი არ არის? და განა ნამდვილ სქოლასტიკას არ წარმოადგენს ავტონომიის დაყოფა პროგრამული და ტექნიკური საკითხების მიხედვით?

შეხედეთ, რა «ლოგიკურადაა გარჩეული» ავტონომიის ცნება ჩვენს მიერ განსახილველ ბროშურაში. «მთელი იმ უამრავი საკითხიდან, რომლებთანაც სოციალ-დემოკრატიას უხდება საქმე იქონიოს, — ამბობს ეს ბროშურა ავტონომიის პრინციპის გამო, რომელიც საფუძვლად დაედო 1898 წლის მანიფესტს, — გამოიყოფა (sic!! *) ზოგიერთი საკითხი, რომელთა შესახებ აღიარებენ, რომ ისინი ეხებიან სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს... ბუნდის ავტონომიურობა თავდება იქ, სადაც იწყება ზოგადი საკითხების სფერო... აქედან წარმოსდგება ბუნდის გაორებული მდგომარეობა პარტიაში: სპე-

* — ასე!! რ ე დ.

ციალურ საკითხებში იგი გამოდის, როგორც ბუნდი... ზოგად საკითხებში იგი ჰკარგავს თავის ფიზიონომიას და უთანაბრდება პარტიის უბრალო კომიტეტს»... სოციალ-დემოკრატიული პროგრამა მოითხოვს ყველა მოქალაქის სრულ თანასწორობას კანონის წინაშე. ამ პროგრამის განსახორციელებლად ებრაელი მუშა ვილნოში აყენებს ერთს სპეციალურ მოთხოვნას, ხოლო ბაშკირი, უფელი მუშა, სრულიად სხვა სპეციალურ მოთხოვნას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ «უამრავი საკითხიდან» «გამოიყოფა ზოგიერთი საკითხი»? თუ თანასწორუფლებიანობის ზოგადი მოთხოვნა ხორციელდება არათანასწორუფლებიანობის სპეციალურ სახეობათა მოსპობის მთელ რიგ სპეციალურ მოთხოვნათა წამოყენებით, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ აქ სპეციალური საკითხები გამოიყოფა ზოგადი საკითხებისაგან? სპეციალური მოთხოვნები ზოგადი მოთხოვნებისაგან კი არ გამოიყოფა, არამედ მათ აყენებენ პროგრამის ზოგადი მოთხოვნების განსახორციელებლად. გამოიყოფა ის, რაც სპეციალურად ეხება ვილნოელ ებრაელს, იმისაგან, რაც სპეციალურად ეხება უფელ ბაშკირს. მათი მოთხოვნების განზოგადება, მათი საერთო კლასობრივი ინტერესების (და არა სპეციალურის, პროფესიულის, რასიულის, ადგილობრივის, ნაციონალურის და სხვ.) წარმომადგენლობა არის მთელი პარტიის საქმე, პარტიული ცენტრის საქმე. თითქოს ეს საკმაოდ ნათელია! ბუნდელებმა კი იგი იმიტომ დახლართეს, რომ ლოგიკური გარჩევის ნაცვლად კიდევ და კიდევ ლოგიკურ შეუსაბამობათა ნიმუშები მოგვცენ. მათ აბსოლუტურად ვერ გაიგეს სოციალ-დემოკრატიის ზოგადი მოთხოვნების დამოკიდებულება სპეციალური მოთხოვნებისადმი. მათ წარმოიდგინეს, რომ «მთელი იმ უამრავი საკითხიდან, რომლებთანაც სოციალ-დემოკრატიას უხდება საქმე იქონიოს, გამოიყოფა ზოგიერთი საკითხი», მაშინ როდესაც ნამდვილად თვითეული საკითხი, რომელსაც ჩვენი პროგრამა ეხება, არის მთელი რიგი სპეციალური საკითხების და მოთხოვნების განზოგადება; თვითეული პროგრამული მუხლი საერთოა მთელი

პროლეტარიატისთვის და იმავე დროს იყოფა სპეციალურ საკითხებად იმისდა მიხედვით, თუ რა განსხვავებაა პროლეტართა პროფესიებს, მათი ყოფა-ცხოვრების პირობებს შორის, ენის მხრივ და სხვ. და სხვ. ბუნდელებს აფიქრებს ბუნდის მდგომარეობის წინააღმდეგურობა და გაორება, რაც, თურმე, იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალურ საკითხებში იგი გამოდის, როგორც ბუნდი, ხოლო ზოგად საკითხებში იგი თავის ფიზიონომიას ჰკარგავს. მცირეოდენი ჩაფიქრება მათ დაანახვებდა, რომ ასეთი «გაორება» არსებობს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ყ ო ვ ე ლ ი მუშა-სოციალ-დემოკრატის მდგომარეობაში, რომელიც სპეციალურ საკითხებში გამოდის როგორც გარკვეული პროფესიის წარმომადგენელი, როგორც გარკვეული ერის წევრი, როგორც გარკვეული ადგილის მცხოვრები, ხოლო ზოგად საკითხებში «ჰკარგავს თავის ფიზიონომიას» და უთანაბრდება ყ ო ვ ე ლ ს ხ ვ ა სოციალ-დემოკრატს. ბუნდის ავტონომია, 1898 წლის წესდების მიხედვით, — ტულის კომიტეტის ავტონომიის სრულიად თანაბარი მოვლენაა; მხოლოდ ამ ავტონომიის ფარგლები რაოდენადმე სხვანაირია და რაოდენადმე უფრო ფართოა პირველ შემთხვევაში, ვიდრე მეორეში. და აშკარა ლოგიკური შეუსაბამობის გარდა სრულიად არაფერს არ შეიცავს შემდეგი დებულება, რომლითაც ბუნდი ასეთ დასკვნას არღვევს: «თუ ბუნდს ენიჭება დამოუკიდებლობა ზოგიერთ პ რ ო გ რ ა მ უ ლ საკითხში, რა უფლებით ესპობა მას ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დამოუკიდებლობა დანარჩენ პროგრამულ საკითხებში?» ეს დაპირისპირება სპეციალური საკითხებისა ზოგად საკითხებთან, როგორც «ზოგიერთისა» — «დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ თ ა ნ», ბუნდისეული «ლოგიკური გარჩევის» უბადლო ნიმუშია! ამ ადამიანებს ვერასგზით ვერ გაუგიათ, რომ ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ ვაშლთა სხვადასხვა ფერი, გემო და სუნი დაუპირისპირო «დანარჩენ» ვაშლთა რ ი ც ხ ვ ს. გარწმუნებთ, ბატონებო, რომ არათუ ზოგიერთს, არამედ თვითეულ ვაშლს აქვს ესა თუ ის სპეციალური გემო, ფერი და სუნი. არათუ «ზოგიერთ», არამედ გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ

ყველა პროგრამულ საკითხში გენიჭებათ თქვენ დამოუკიდებლობა, ბატონებო, მაგრამ სწორედ იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია ამ საკითხების შეფარდებაზე ებრაელი პროლეტარიატის სპეციალურ თავისებურებასთან. **Mein teuerer Freund, ich rat' Euch drum zuerst Collegium logicum!** *

ბუნდელების მეორე არგუმენტია დამოწმება ისტორიისა, რომელმაც ვითომ ბუნდი წამოაყენა, როგორც ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენელი.

ჯერ-ერთი, ეს დებულება არ არის სწორი. ბროშურის ავტორი თვითონ ამბობს, რომ «სხვა ორგანიზაციების (ბუნდის გარდა) მუშაობამ ამ მიმართულებით (ე. ი. მუშაობამ ებრაელ პროლეტარიატში) ან ვერაფერი მოგვცა, ანდა ისეთი შედეგები მოგვცა, რაც ყურადღების ღირსიც კი არ არისო». მაშასადამე, მუშაობა სწარმოებდა, როგორც თვით ბუნდიც აღიარებს, და, მაშასადამე, ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენელი ბუნდი არ ყოფილა; ამ მუშაობის შედეგების შეფასებაში თვითონ ბუნდის მსჯელობას, რა თქმა უნდა, არავინ არ დაეყრდნობა; დასასრულ, ცნობილია, რომ ბუნდი წინააღმდეგობას უწევდა სხვა ორგანიზაციების მუშაობას ებრაელ პროლეტარიატში (საკმარისია დავასახელოთ ცნობილი ეპიზოდი ბუნდის ბრძოლისა პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა პროკლამაციის გამოშვება ებრაელი მუშებისადმი [30]), — მაშასადამე, თუნდაც შედეგები მართლაც ყურადღების ღირსიც არ ყოფილიყო, ამაში ბრალი თვითონ ბუნდსაც მიუძღვის.

შემდეგ. ჭეშმარიტების ის წილი, რომელიც ბუნდის მიერ მოყვანილ ისტორიულ ცნობაში მოიპოვება, სრულიადაც არ ამტკიცებს მისი არგუმენტაციის სისწორეს. ფაქტები, რომელთაც მართლაც ჰქონდა ადგილი და რომლებსაც გულისხმობდა ბუნდი, მეტყველებენ არა მის სასარგებლოდ, არამედ მის

* — ჩემო ძვირფასო მეგობარო, გირჩევთ, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა ლოგიკა შეისწავლოთ! რ ე დ.

წინააღმდეგ. ეს ფაქტები ისაა, რომ ბუნდი არსებობდა და ვითარდებოდა, — იმ ხუთი წლის განმავლობაში, რომელმაც განვლო პირველი ყრილობის დროიდან, — პარტიის დანარჩენი ორგანიზაციებისგან სრულიად დამოუკიდებლად. საერთოდ, ამ ხნის განმავლობაში ფაქტიური კავშირი პარტიის ყველა ორგანიზაციას შორის მეტისმეტად სუსტი იყო, მაგრამ ბუნდის კავშირი პარტიის დანარჩენ ნაწილებთან არათუ ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე კავშირი სხვა ორგანიზაციებს შორის, არამედ სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა კიდეც. ბუნდი რომ თვითონ ა ს უ ს ტ ე ბ დ ა ამ კავშირს, — ამას პირდაპირ ამტკიცებს ჩვენი პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების ისტორია. 1898 წელს ბუნდის წევრები შედიოდნენ ერთს საერთო პარტიულ ორგანიზაციაში საზღვარგარეთ; 1903 წლისათვის ისინი გამოიყვნენ სრულიად დამოუკიდებელ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად. ბუნდის დამოუკიდებლობა ყოველ ეჭვს გარეშეა, ისე როგორც ამ დამოუკიდებლობის თანდათანი გაძლიერება.

მერე რა გამომდინარეობს ამ უეჭველი ფაქტიდან? ბუნდელებისთვის აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ქედი მოიხარონ ამ ფაქტის წინაშე, მონურად დაემორჩილონ მას, გადააქციონ ის პრინციპად, ერთადერთ პრინციპად, რომელიც მტკიცე ბაზისს უქმნის ბუნდის მდგომარეობას, დააკანონონ ეს პრინციპი წესდებაში, რომელმაც ბუნდი უნდა აღიაროს ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად პარტიაში. ჩვენის აზრით კი, ასეთი დასკვნა წმინდა წყლის ოპორტუნიზმია, უვარგისი ხარისხის «მაჩანჩალობაა». დაბნეულობის ხუთი წლის ისტორიიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა არა დაბნეულობის დაკანონებისა, არამედ იმის აუცილებლობისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ ამ დაბნეულობას. მაგრამ ნუთუ ვინმეს კიდევ შეუძლია უარჰყოს, რომ ეს მართლაც დაბნეულობა იყო? ამ ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად ვითარდებოდა პარტიის ყ ვ ე ლ ა ნაწილი, — მაგრამ განა აქედან უკვე უნდა გამოვიყვანოთ ფედერაციის «პრინციპი» ციმბირსა, კავკასიასა,

ურალსა, სამხრეთსა და სხვ. შორის?? ბუნდელები თვითონვე ამბობენ, პარტია, როგორც ნაწილების ორგანიზაციული გაერთიანება, ფაქტიურად არ არსებობდაო; — მაშ როგორ შეიძლება იმისგან, რაც ჩამოყალიბდა პარტიის არ-არსებობის დროს, გამოვიყვანოთ დასკვნა ორგანიზაციული ერთიანობის ა ღ დ გ ე ნ ი ს საკითხზე? არა, ბატონებო, თქვენი დამოწმება დაბნეულობის ისტორიისა, რამაც განკერძოებულობა შეჰქმნა, სრულიად არაფერს არ ამტკიცებს, გარდა ამ განკერძოებული მდგომარეობის არანორმალურობისა. რამდენიმე წლის პ ა რ ტ ი უ ლ ი დ ე ზ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი დ ა ნ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი «პრინციპის» გამოყვანა ნიშნავს ისტორიული სკოლის იმ წარმომადგენლების მსგავსად მოქცევას, რომლებიც, მარქსის ცნობილი სარკაზმული შენიშვნით, მზად იყვნენ დაეცვათ მათრახი იმ საბუთით, რომ ეს ისტორიული მათრახიაო.

ამრიგად, არც ავტონომიის «ლოგიკური გარჩევა», არც ისტორიული ცნობები ბუნდის განცალკევებულობის «პრინციპული» დასაბუთების ნასახსაც კი არ იძლევიან. სამაგიეროდ უეჭველი პრინციპული ხასიათი აქვს ბუნდის მესამე არგუმენტს — აპელაციას ებრაელი ერის იდეისადმი. მხოლოდ, სამწუხაროდ, ეს სიონისტური იდეა — არსებითად სრულიად ყალბი და რეაქციულია. «ებრაელები აღარ არსებობენ როგორც ერი, რომელიც წარმოუდგენელია გარკვეული ტერიტორიის გარეშე», — ამბობს ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი მარქსისტი თეორეტიკოსი, კარლ კაუტსკი (იხ. «ისკრა» № 42, და მისი ცალკე ანაბეჭდი: «კიშინიოვის ხოცვა-ჟლეტა და ებრაელთა საკითხი», გვ. 3). ამას წინათაც, როცა იგივე მწერალი არჩევდა ავსტრიის ეროვნებათა საკითხს და ცდილობდა მოეცა ეროვნების ცნების მეცნიერული განსაზღვრა, იგი აღნიშნავდა ამ ცნების ორ ძირითად ნიშანს: ენას და ტერიტორიას («Die Neue Zeit»[31], 1903, № 2). სიტყვასიტყვით ამასვე წერს ერთი ფრანგი ებრაელი, რადიკალი ალფრედ ნაკე, ანტისემიტებთან და სიონისტებთან პოლემიკის

დროს. «თუ ბერნარ ლიაზარს — ამბობს ის გამოჩენილ სიონისტზე — სურს განსაკუთრებული ხალხის მოქალაქედ მიიჩნიოს თავი, ეს მისი საქმეა; მაგრამ მე ვაცხადებ, რომ, თუმცა ებრაელად ვარ დაბადებული,... არ ვცნობ ებრაელთა ეროვნებას... მე არა მაქვს სხვა ეროვნება, გარდა ფრანგთა ეროვნებისა... წარმოადგენენ თუ არა ებრაელები ცალკე ხალხს? თუმცა ძველისძველად ისინი უსათუოდ ცალკე ხალხს წარმოადგენდნენ, მიუხედავად ამისა მე ამ კითხვაზე კატეგორიულად ვუპასუხებ: ა რ ა. ხალხის ცნება გულისხმობს გარკვეულ პირობებს, რომლებიც ამ შემთხვევაში არა გვაქვს. ხალხს უნდა ჰქონდეს ტერიტორია, რომელზედაც ის უნდა ვითარდებოდეს, შემდგომ, ყოველ შემთხვევაში ჩვენს დროს, სანამ მსოფლიო კონფედერაციას ჯერ კიდევ არ გაუფართოებია ეს ბაზისი, ხალხს უნდა ჰქონდეს საერთო ენა. ებრაელებს უკვე აღარა აქვთ არც ტერიტორია, არც საერთო ენა... ბერნარ ლიაზარმა, ალბათ, ისე როგორც მე, ერთი ებრაული სიტყვაც არ იცოდა და სიონიზმმა რომ თავის მიზანს მიაღწიოს, ბ. ლიაზარს გაუჭირდებოდა საერთო ენის გამონახვა ქვეყნიერების სხვა მხარეებიდან მოსულ თანამემამულეებთან (**congénères**)» («**La Petite République**», 24 **sept.** * 1903 წ.). «გერმანელი და ფრანგი ებრაელები სრულიად არა ჰგვანან პოლონელ და რუს ებრაელებს. ებრაელებს ისეთი დამახასიათებელი ნიშნები არაფერი აქვთ, რაც ეროვნების ელფერს (**empreinte**) ატარებდეს. რომ დავუშვათ და დრიუმონთან ერთად ებრაელები ერად აღვიაროთ, ეს იქნებოდა ხელოვნური ერი. თანამედროვე ებრაელი პროდუქტია არაბუნებრივი შერჩევისა, რომელსაც მისი წინაპრები განიცდიდნენ თითქმის 18 საუკუნის განმავლობაში». ბუნდელებს ისღა დარჩენიათ, რომ შეიმუშაონ იდეა რუს ებრაელთა განსაკუთრებული ეროვნებისა, რომლის ენა ჟარგონია, ხოლო ტერიტორია — ბინადრობის ფარგლები.

---

* — «პატარა რესპუბლიკა», 24 სექტემბერი. რ ე დ.

მეცნიერულად * სრულიად უმწეო იდეა განსაკუთრებული ებრაელი ხალხის არსებობისა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით — რეაქციულია. ამის უდავო, პრაქტიკულად დამამტკიცებელი საბუთია ახლო დროის ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკური სინამდვილის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მთელ ევროპაში შუა საუკუნეების რეჟიმის დაცემა და პოლიტიკური თავისუფლების განვითარება მიმდინარეობდა ებრაელთა პოლიტიკურ ემანსიპაციასთან ერთად, ჟარგონიდან იმ ხალხის ენაზე გადასვლასთან ერთად, რომელთან ერთად ისინი ცხოვრობენ, და საერთოდ გარეშემო მოსახლეობასთან მათი ასიმილაციის უეჭველ პროგრესთან ერთად. ნუთუ ჩვენ კვლავ თვითმყოფ თეორიებს უნდა დავუბრუნდეთ და გამოვაცხადოთ, რომ სწორედ რუსეთი იქნება გამონაკლისი, თუმცა ებრაელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრად უფრო ღრმა და ბევრად უფრო ფართოა რუსეთში იმის გამო, რომ ებრაელ პროლეტარიატს გაეღვიძა გმირული თვითშეგნება? ნუთუ შემთხვევითი ხასიათით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სწორედ მთელი ევროპისა და განსაკუთრებით რუსეთის რეაქციული ძალები ილაშქრებენ ებრაელობის ასიმილაციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ცდილობენ განამტკიცონ მისი განცალკევებულობა?

---

* ებრაელობის არათუ ნაციონალურ, არამედ რასობრივ თავისებურებასაც კი უარჰყოფს თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც პირველ რიგში აყენებს ებრაელობის ი ს ტ ო რ ი ი ს თავისებურებას. «გამომდინარეობს თუ არა ებრაელობის თავისებურება მისი რასობრივი ხასიათიდან?» — აყენებს კითხვას კ. კაუტსკი და უპასუხებს, რომ ჩვენ ზუსტად არც კი ვიცით, ნამდვილად რა არის რასაო. «ჩვენ სრულიად არ გვესაჭიროება მივმართოთ რასის ცნებას, რომელიც ნამდვილ პასუხს კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ ახალ საკითხებს აყენებს. საკმარისია გამოვიკვლიოთ ებრაელი ხალხის ისტორია, რომ ცხადვყოთ მისი ხასიათის მიზეზები». და ამ ისტორიის ისეთი მცოდნეც კი, როგორიც რენანია, ამბობს: «ებრაელთა თავისებური თვისებები და მათი ცხოვრების წყობა ბევრად უფრო მეტად წარმოადგენს შედეგს სოციალური პირობებისას (nécessités sociales), რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდნენ მათზე, ვიდრე რასობრივ განსხვავებას (phénomène de race)» [8].

ებრაელთა საკითხი სწორედ ასე დგას: ასიმილაცია თუ განკერძოება? — და ებრაელთა «ეროვნების» იდეა აშკარა რეაქციულ ხასიათს ატარებს არა მარტო მის თანამიმდევარ მომხრეებს (სიონისტებს) შორის, არამედ იმათ შორისაც, ვინც ცდილობს მის შეთავსებას სოციალ-დემოკრატიის იდეებთან (ბუნდელები). ებრაელთა ეროვნების იდეა ეწინააღმდეგება ებრაელი პროლეტარიატის ინტერესებს, უქმნის მას, პირდაპირ და არაპირდაპირ, ასიმილაციისადმი მტრულ განწყობილებას, «გეტოს» განწყობილებას. «როდესაც 1791 წლის ეროვნულმა კრებამ ებრაელთა ემანსიპაციის დეკრეტი გამოსცა, — წერდა რენანი, — ეს კრება მეტად მცირე ყურადღებას აქცევდა რასის საკითხს... XIX საუკუნის საქმეა — ყოველგვარი «გეტოს» მოსპობა, და მე ვერ მივულოცავ იმათ, ვინც «გეტოების» აღდგენას ცდილობს. ებრაულმა რასამ უდიდესი სამსახური გაუწია მსოფლიოს. როდესაც მოხდება მისი ასიმილაცია სხვადასხვა ერთან, როდესაც ის ჰარმონიულად შეუერთდება სხვადასხვა ნაციონალურ ერთეულებს, იგი მომავალშიც ისეთს სამსახურს გასწევს, როგორიც წარსულში გაუწევია». ხოლო კარლ კაუტსკი, რომელსაც მხედველობაში ჰყავს სპეციალურად რუსი ებრაელები, კიდევ უფრო ენერგიულად ლაპარაკობს. მოსახლეობის სხვა ტომთა ფენებისადმი მტრობა შეიძლება აცილებულ იქნას «მხოლოდ იმით, რომ მოსახლეობის სხვა ტომთა ფენები აღარ იქნებიან უცხონი, შეუდუღდებიან მოსახლეობის საერთო მასას. ეს არის ებრაელთა საკითხის ერთადერთი შესაძლებელი გადაჭრა, და ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ებრაელთა განკერძოების მოსპობას». და აი, საკითხის ამ ერთადერთ შესაძლებელ გადაჭრას ეწინააღმდეგება ბუნდი, როცა კი არა სპობს, არამედ აძლიერებს და აკანონებს ებრაელთა განკერძოებას იმით, რომ ავრცელებს ებრაელი «ერის» იდეას და ებრაელი და არაებრაელი პროლეტარების ფედერაციის პროექტს. ეს არის «ბუნდიზმის» ძირითადი შეცდომა, რომელიც უნდა გამოსწორდეს და გამოსწორდება კიდეც

ებრაელი სოციალ-დემოკრატიის თანამიმდევარი წარმომადგენლების მიერ. ამ შეცდომას ბუნდელები მიჰყავს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წრეში ისეთს გაუგონარ საქციელამდე, როგორიცაა ებრაელი პროლეტარების უნდობლობის აღძვრა არაებრაელი პროლეტარებისადმი, ეჭვების მიტანა ამ უკანასკნელებზე, ჭორების გავრცელება მათზე. აი დამამტკიცებელი საბუთი, ამოღებული იმავე ბროშურიდან: «ასეთი უაზრობა (რომ მთელი ეროვნების პროლეტარიატის ორგანიზაცია მოკლებული იყოს წარმომადგენლობას პარტიის ცენტრალურ ორგანოებში) შეიძლება აშკარად იქადაგონ მხოლოდ (ეს დაიხსომეთ!) ებრაელი პროლეტარიატის მიმართ, რომელსაც ებრაელი ხალხის განსაკუთრებული ისტორიული ბედის გამო კიდევ უხდება ბრძოლა თანასწორუფლებიანი მდგომარეობის მოსაპოვებლად (!!) მსოფლიო პროლეტარიატის ოჯახში». ამას წინათ ჩვენ წავაწყდით სწორედ ასეთს გამოლაშქრებას ერთ სიონისტურ ფურცელში, რომლის ავტორები ცოფებსა ჰყრიან «ისკრის» წინააღმდეგ, რადგან, მათი აზრით, «ისკრა» იმიტომ ებრძვის ბუნდს, რომ არა სურს სცნოს ებრაელის თანასწორუფლებიანობა არა-ებრაელთან. და ბუნდელები ახლა იმეორებენ სიონისტების ფანდებს! ვრცელდება ნამდვილი ჭორი, იმიტომ რომ ჩვენ არა «მარტო» ებრაელების მიმართ, არამედ სომხების, ქართველებისა და სხვ. მიმართაც «ვქადაგებდით» «წარმომადგენლობის დაუშვებლობას», ხოლო პოლონელებს მოვუწოდებდით მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ მთელ პროლეტარიატთან დაახლოებისაკენ, ერთობისა და შეერთებისაკენ. ტყუილად როდი გვესხმოდა თავს ასე გააფთრებით პპს (პოლონეთის სოციალისტური პარტია)! ებრაელი ერის სიონისტური *იდეისათვის*, პარტიის ორგანიზაციის ფედერაციული *პრინციპისათვის* ბრძოლას რომ უწოდო «ბრძოლა ებრაელთა თანასწორუფლებიანი მდგომარეობისათვის *მსოფლიო პროლეტარიატის ოჯახში*» — ეს ნიშნავს ბრძოლის ჩამოქვეითებას იდეებისა და პრინციპების სფეროდან ეჭვის მიტანის, წასისიანების, ისტორიულად ჩამოყალი-

ბებულ ცრურწმენათა გაღვივების სფერომდე. ეს ნიშნავს თვალნათლივ გამოააშკარავო ნამდვილი იდეური და პრინციპული იარაღის უქონლობა შენს ბრძოლაში.

* * *

ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბუნდის ვერც ლოგიკური, ვერც ისტორიული, ვერც ნაციონალისტური მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დაქსაქსულობის პერიოდმა, რომელმაც გააძლიერა მერყეობა რუს სოციალ-დემოკრატებს შორის და ცალკეული ორგანიზაციების განკერძოებულობა, ამავე მიმართულებით და კიდევ უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა ბუნდელებზე. იმის ნაცვლად, რომ თავიანთ ლოზუნგად დაესახათ ბრძოლა ამ ისტორიულად ჩამოყალიბებულ (და დაქსაქსულობით გაძლიერებულ) განკერძოებულობასთან, მათ ეს განკერძოებულობა პრინციპად გაიხადეს, რისთვისაც ჩაეჭიდნენ სოფიზმებს ავტონომიის შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ, ებრაელი ერის სიონისტურ იდეას. მხოლოდ ამ შეცდომის გაბედულ და პირდაპირ აღიარებას და შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ი ს საჯაროდ გამოცხადებას შეუძლია გადმოიყვანოს ბუნდი იმ შემცდარი გზიდან, რომელსაც ის დაადგა. და ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეების საუკეთესო წარმომადგენლები ებრაელ პროლეტარებს შორის ადრე თუ გვიან აიძულებენ ბუნდს პირი იბრუნოს განკერძოების გზიდან შეერთების გზისაკენ.

«ისკრა» № 51, 1903 წლის 22 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

მონაროდნიკე ბურჟუაზია და განიავებული ნაროდნიკობა

რუსი მარქსისტები დიდი ხანია უკვე აღნიშნავენ ძველი რუსული, კლასიკური, რევოლუციური ნაროდნიკობის იმ გადაგვარებას, რაც განუხრელად ხდება წარსული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან. იფერფლებოდა რწმენა, თითქოს გლეხური მეურნეობის განსაკუთრებული წყობა, თემი, წარმოადგენდეს სოციალიზმის ჩანასახსა და ბაზისს, თითქოს შესაძლებელი იყოს კაპიტალიზმის გზის აცილება დაუყოვნებლივი სოციალური რევოლუციის საშუალებით, რომლისთვისაც თითქოს უკვე მზად იყო ხალხი. პოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა მხოლოდ გლეხური მეურნეობისა და საერთოდ «წვრილი სახალხო წარმოების» განმტკიცების ყოველგვარ ღონისძიებათა მოთხოვნებმა. ძირითადად ეს იყო უკვე ბურჟუაზიული რეფორმატორობა და მეტი არაფერი; ნაროდნიკობა ლიბერალიზმში ითქვიფებოდა; იქმნებოდა ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება, რომელსაც არ უნდოდა დაენახა ან არ შეეძლო დაენახა, რომ ნავარაუდევი ღონისძიებები (მთელი ეს კრედიტები, კოოპერაციები, მელიორაციები, მიწათმფლობელობის გაფართოება) არ სცილდებოდნენ ა რ ს ე ბ უ ლ ი ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს. ბატონ ვ. ვ-ის, ნიკოლაი—ონის [33] და მათ მრავალრიცხოვან მიმბა-

ძველთა ნაროდნიკული თეორიები მხოლოდ **quasi** * -მეცნიერული საფარი იყო ამ არასასიამოვნო, მაგრამ უეჭველი ფაქტისა. მარქსისტულმა კრიტიკამ დაამსხვრია ეს საფარი, და რუსეთის რევოლუციურ წრეებზე ნაროდნიკული იდეების გავლენამ გასაოცარი სისწრაფით იწყო კლება. ეს იდეები უკვე სინამდვილეშიც იმ ფენის განსაკუთრებულ კუთვნილებად ხდებოდნენ, რომელსაც ისინი ენათესავებოდნენ, — რუსეთის ლიბერალური «საზოგადოებისა».

დასავლეთ-ევროპული ბერნშტეინელობა წარმოადგენდა იმ ახალ ნაკადს, რომელმაც განამტკიცა და იმავე დროს სახე შეუცვალა აღნიშნულ მიმდინარეობას. ტყუილად როდი ამბობენ: «შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო». ბერნშტეინს ბედმა არ გაუღიმა თავის სამშობლოში, მაგრამ სამაგიეროდ მისი იდეები «სერიოზულად მიიჩნიეს» და პრაქტიკულად გამოიყენეს საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის ზოგიერთმა სოციალისტებმა, რომლებიც სწრაფი ევოლუციის შედეგად ბურჟუაზიული რეფორმიზმის წარმომადგენლებად იქცნენ. ამ იდეებით განაყოფიერებულმა ჩვენმა ლიბერალურ-ნაროდნიკულმა მიმართულებამ ახალი მომხრეები შეიძინა **ex** **-მარქსისტებში და, ამასთანავე, შინაგანადაც დავაჟკაცდა, განთავისუფლდა ზოგიერთი პრიმიტიული ილუზიისა და რეაქციული დანართისაგან. ბერნშტეინელობამ თავისი საქმე შეასრულა — არა იმით, თითქოს სოციალიზმი გარდაჰქმნა, არამედ იმით, რომ სახე მისცა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ახალ ფაზას და სოციალიზმის ნიღაბი ჩამოხადა ზოგიერთ **quasi**-სოციალისტს.

ევროპული ოპორტუნისტული და რუსული ნაროდნიკული იდეების დაახლოებისა და შეერთების უაღრესად საინტერესო და საგულისხმიერო ნიმუშს იძლევა ბ-ნ ლ-ს სტატია «აგრარული საკითხისათვის» «ოსვობოჟდენიეს» № 9 (33)-ში. ეს ნამდვილი პროგრამული სტატიაა, რომელიც კეთილსინდი-

---

* — ვითომ. რ ე დ.

** — ყოფილ. რ ე დ.

სიერად გადმოგვცემს ავტორის საერთო **credo** *-საც და ამ **credo**-ს სისტემატურად გამოყენებასაც გარკვეული სფეროს საკითხებში. ეს სტატია კვალს დასტოვებს რუსეთის ლიბერალიზმის ისტორიაში და მოასწავებს დიდი ნაბიჯის გადადგმას მისი ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში.

ავტორი თავის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს მოსავს უახლეს მოდაზე შეკერილი კოსტუმით. ის თითქმის ზუსტად იმეორებს ბერნშტეინის სიტყვებს და სასაცილო სერიოზულობით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ «არამც და არამც არ შეიძლება ლიბერალიზმისა და სოციალიზმის ერთიმეორისაგან დაშორება ანდა ერთიმეორისათვის დაპირისპირებაც კი: თავისი ძირითადი იდეალის მიხედვით ისინი იგივენი და განუყრელნი არიან — სოციალიზმი საფრთხეს როდი უქადის ლიბერალიზმს, როგორც ეს ბევრს აშინებს, იგი მოდის არა იმისთვის, რომ დაარღვიოს ლიბერალიზმის მცნებანი, არამედ იმისთვის, რომ გაახორციელოს ისინი». ცნობილი ამბავია: რაცა გსურს, ის გწამსო, ხოლო ბ-ნ ლ-ს და მის თანამოაზრეებს ძალიან, ძალიან სურთ, რომ სოციალ-დემოკრატები არ ემიჯნებოდნენ ლიბერალებს, რომ მათ სოციალიზმი ესმოდეთ «არა როგორც მზამზარეული დოგმატები და გაყინული დოქტრინები, რომელთაც პრეტენზია აქვთ წინასწარ განჭვრიტონ ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა»... (და სხვ., სავსებით «რევოლუციონნაია როსსიას» სულისკვეთების მსგავსად)..., არამედ «როგორც ზოგადი ეთიკური იდეალი...» (რომელსაც, როგორც ვიცით, ყველა ფილისტერი, და მათ შორის ლიბერალებიც, აკუთვნებენ მიწიერ სააქაოში განუხორციელებლობის სფეროს და საიქიოს ცხოვრებისა და «თავისთავადი საგნების» სფეროს).

ლიბერალებს, ბუნებრივია, სურთ — ბოდიშს ვიხდი ვულგარული თქმისათვის! — საქონელი შნოიანად გვიჩვენონ, პოლიტიკური ლიბერალიზმი რუსეთში გააიგივეონ სოციალურ-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ეკონომიურ დემოკრატიზმთან. ეს აზრი ფრიად «კეთილია», მაგრამ, ამასთანავე, ფრიად დაბნეული და ფრიად ცბიერია. კეთილია, ვინაიდან გამოხატავს ლიბერალების განსაზღვრული ნაწილის კეთილ სურვილს — დაიცვან ფართო სოციალური რეფორმები. დაბნეულია, ვინაიდან ემყარება დემოკრატიული ლიბერალიზმის დაპირისპირებას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან (ისევ და ისევ სრულიად «რევ. როსსიას» ყაიდაზე!); ავტორს, როგორც ჩანს, წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება არ არსებობდნენ განსაზღვრული ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ ფართო დემოკრატიულ და სოციალურ-ეკონომიურ რეფორმებს; ავტორს, ისე როგორც ყველა რუს მილიერანს [34], სურს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რეფორმატორობა მიატოლოს სოციალიზმს, გაგებულს, რა თქმა უნდა, «არა მზამზარეული დოგმატების აზრით» და სხვ.. დასასრულ, ეს აზრი ფრიად ცბიერია, ვინაიდან ავტორი არწმუნებს თავის თავსაც და სხვებსაც, რომ თანაგრძნობა რეფორმებისადმი — «ზრუნვა ხალხის საჭიროებასა და ინტერესებზე, «ნაროდნიკობა» ამ სიტყვის ნამდვილი და მშვენიერი ეთიკური მნიშვნელობით» — ლიბერალების განსაზღვრული ნაწილისათვის განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში წარმოადგენს ან შეიძლება წარმოადგენდეს ლიბერალიზმის მუდმივ თვისებას საერთოდო. ეს გრძნობის ამშლელი გულუბრყვილობაა. ვინ არ იცის, რომ ყოველი გადამდგარი ბურჟუაზიული სამინისტრო, ყოველი «ოპოზიცია მისი უდიდებულესობისა» მუდამ თავის ნამდვილ, მშვენიერ და ეთიკურ «ნაროდნიკობაზე» გაჰყვირის, სანამ ოპოზიციაში რჩება? რუსეთის ბურჟუაზია ნაროდნიკობას ჩემულობს (და ზოგჯერ გულწრფელადაც ჩემულობს) სწორედ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ოპოზიციაში იმყოფება და არა ხელისუფლების სათავეში. რუსეთის პროლეტარიატი ბატონ ოსვობოჟდენიელებს ალერსიან და ცბიერ სიტყვებზე უპასუხებს: **pas si bête, messieurs** არც ისე სულელი ვარ, ბატონებო, რომ ეს დავიჯეროო!

ზოგადი მოსაზრებებიდან ლიბერალიზმისა და სოციალიზმის იგივეობის შესახებ ბ-ნი ლ. გადადის აგრარული საკითხის ზოგად თეორიაზე. ათიოდე სტრიქონის მანძილზე იგი ანადგურებს მარქსიზმს (ისევ და ისევ «რევ. როსსიას» ყაიდაზე), რისთვისაც მარქსიზმს განმარტავს, როგორც ეს მიღებულია, ვულგარულ-გამარტივებული სახით და აცხადებს, იგი არ შეეფერება გამოცდილებას, მეცნიერულად დაუმტკიცებელია და საერთოდ უმართებულოაო! მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად წარმოდგენილია დამოწმება ევროპის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი (ხაზგასმულია ბ-ნ ლ-ს მიერ) ლიტერატურისა, — ცხადია, ბერნშტეინულისა. მეტად დამაჯერებელი დამოწმებაა. თუ კი ევროპელი (ე ვ რ ო პ ე ლ ი!) სოციალისტები იწყებენ ფიქრს და მსჯელობას ბურჟუაზიულად, რუსეთის ბურჟუებს რატომ არ შეუძლიათ გამოაცხადონ თავი ნაროდნიკებად და სოციალისტებად? მარქსისტული შეხედულება გლეხთა საკითხზე, — გვარწმუნებს ბ-ნი ლ. — «უდავო და ერთადერთი შესაძლებელი რომ იყოს, მთელ საერობო (sic! *) რუსეთს საშინელ, ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააყენებდა, უმოქმედობას განუმზადებდა მას, ვინაიდან დამტკიცებულია ის გარემოება, რომ შეუძლებელია პროგრესული აგრარული პოლიტიკის წარმოება და საერთოდ გონივრული, მიზანშეწონილი დახმარების აღმოჩენა გლეხური მეურნეობისათვის». როგორც ხედავთ, დაუძლეველი საბუთია: რ ა დ გ ა ნ მარქსიზმი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის დროს გლეხობის ცოტად თუ ბევრად ფართო ფენების ცოტად თუ ბევრად მტკიცე აყვავება შეუძლებელია, ა მ ი ტ ო მ იგი საშინელ, ტრაგიკულ მდგომარეობაში აყენებს «საერობო» (ბეჭდვითი შეცდომა ხომ არ არის ეს— ნაცვლად «მიწათმფლობელ»?) რუსეთს, ე. ი. რუსეთს, რომელიც ცხოვრობს სწორედ გლეხობის გაღატაკებისა და პროლეტარიზაციის ხარჯზე. დიახ, დიახ, მარქსიზმის ერთ-ერთი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება სწორედ ის არის, რომ

* — ასე! რ ე დ.

მან ერთხელ და სამუდამოდ საშინელ, ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რომლებიც ნაროდნიკობის, სოციალ-ეკონომიური დემოკრატიზმის და სხვ. კოსტიუმში ეწყობიან.

ბ-ნ ლ-ს თეორიულ ვარჯიშობათა ამოსაწურავად მოვიყვანთ კიდევ უკანასკნელ მარგალიტს. «აქაო (ე. ი. სოფლის მეურნეობაში) — გვეუბნებიან — არ არის და არც შეიძლება იყოს ის ავტომატური (!) პროგრესი, რომელიც რაოდენადმე შესაძლებელია მრეწველობაში ტექნიკის ობიექტური (!) განვითარებისდაკვალად». ეს უბადლო ღრმააზროვნება მთლიანად გადმოღებულია ბატონ კაბლუკოვებისა, ბულგაკოვებისა, ე. დავიდებისაგან და **tutti quanti** *, რომლებიც «მეცნიერულ» შრომებში თავიანთ შეხედულებათა ჩამორჩენილობას ამართლებენ მიწათმოქმედების ტექნიკური, ეკონომიური და სოციალური ჩამორჩენილობით. მიწათმოქმედების ჩამორჩენილობა ეჭვგარეშეა, დიდი ხანია აღიარებულია მარქსისტების მიერ და სავსებით გასაგებია, ხოლო აი «ავტომატური (თუნდაც რაოდენადმე) პროგრესი მრეწველობაში» და ტექნიკის ობიექტური განვითარება — ეს უკვე სრული აბდაუბდაა.

მაგრამ ექსკურსიები მეცნიერების სფეროში — ეს ბ-ნ ლ-ს სტატიის მხოლოდ არქიტექტურული სამკაულია და მეტი არაფერი. როგორც ნამდვილი რეალური პოლიტიკოსი, ზოგად მსჯელობაში უდიდეს დაბნეულობასთან ერთად იგი იძლევა უაღრესად ფხიზელ და საქმიან პრაქტიკულ პროგრამას. მართალია, ის მოკრძალებით შენიშნავს — თავის ბიუროკრატიულ-რუსულ ენაზე — პროგრამის დასახვას არ ვკისრულობ და ჩემი დამოკიდებულების გამოხატვით ვკმაყოფილდებიო, მაგრამ ეს მხოლოდ მოკრძალებაა. ნამდვილად კი ბ-ნ ლ-ს სტატიაში გადმოცემულია რუსი ლიბერალების უაღრესად დაწვრილებითი და სრული აგრარული პროგრამა, რომელსაც მხოლოდ სტილისტური რედაქცია და მუხლებად დაყოფა აკლია. ამ პროგრამაში თანამიმდევრად დაცულია ლიბერალური

* — ყველა მათ მსგავსთა. რ ე დ.

მოთხოვნები: პოლიტიკური თავისუფლება, დემოკრატიული საგადასახადო რეფორმა, მიმოსვლის თავისუფლება, გლეხურ-დემოკრატიული აგრარული პოლიტიკა, მიმართული მიწის საკუთრების დემოკრატიზაციისაკენ. ამ დემოკრატიზაციის მიზნით საჭიროა თემიდან გამოსვლის თავისუფლება, თემის გადაქცევა იძულებითი კავშირიდან თავისუფალ კავშირად, მსგავსად ყოველგვარი ეკონომიური ამხანაგობისა, დემოკრატიული საიჯარო სამართლის შექმნა. «სახელმწიფომ» ხელი უნდა შეუწყოს «მიწების გადასვლას მშრომელი მასების ხელში» მთელი რიგი ღონისძიებების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად: საგლეხო ბანკის მოქმედების გაფართოება, საუფლისწულო მამულების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა, «წვრილი შრომითი მეურნეობების შექმნა პიროვნულ ან კოოპერაციულ საფუძვლებზე», დასასრულ, გლეხებისთვის საჭირო მიწების იძულებითი გასხვისება ან სავალდებულო გამოსყიდვა. «რა თქმა უნდა, ეს სავალდებულო გამოსყიდვა კანონიერების მტკიცე ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებული და თვითეულ ცალკე შემთხვევაში საიმედო გარანტიებით უზრუნველყოფილი», მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის უნდა გატარდეს «თითქმის (sic!) უსიტყვოდ», — მაგალითად, «ჩამონაჭრების» მიმართ, რომლებიც ჰქმნიან ბატონყმური დამოკიდებულების მსგავს ურთიერთობას. ნახევრადბატონყმურ დამოკიდებულებათა მოსპობის მიზნით სახელმწიფოს უნდა მიენიჭოს სათანადო ნაკვეთების იძულებითი გასხვისებისა და იძულებითი გამიჯვნის უფლებაო.

ასეთია ლიბერალების აგრარული პროგრამა. პარალელი ამ პროგრამასა და სოციალ-დემოკრატიულ აგრარულ პროგრამას შორის თავისთავად იბადება. მსგავსებაა უახლოესი ტენდენციის ერთნაირობისა და მოთხოვნათა უმრავლესობის ერთგვაროობის მხრივ. განსხვავება მდგომარეობს ორს შემდეგს, კარდინალური მნიშვნელობის მუხლში. ჯერ-ერთი, ბატონყმობის ნაშთების მოსპობა (რასაც, როგორც მიზანს, პირდაპირ აყენებს ორივე პროგრამა) სოციალ-დემოკრატებს სურთ რევოლუციური გზით და რევოლუციური გამბედაობით, ლიბერა-

ლებს კი — რეფორმატორული გზით და გაუბედავად. მეორე, სოციალ-დემოკრატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბატონყმობის ნაშთებისაგან გაწმენდილი წყობილება არის ბურჟუაზიული წყობილება, უკვე წინასწარ და დაუყოვნებლივ ამხელენ ყველა მის წინააღმდეგურობას, ცდილობენ აგრეთვე დაუყოვნებლივ გააფართოონ, უფრო შეგნებული გახადონ ის კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ჩამარხულია ამ ახალი წყობილების წიაღში და უკვე ამჟამადაც თავს იჩენს. ლიბერალები უგულებელჰყოფენ ბატონყმობის ნაშთებისაგან გაწმენდილი წყობილების ბურჟუაზიულ ხასიათს, აფუჩეჩებენ მის წინააღმდეგურობას, ცდილობენ შეანელონ მის წიაღში ჩამარხული კლასობრივი ბრძოლა.

შევჩერდეთ ამ განსხვავებაზე.

ლიბერალური აგრარული პროგრამის რეფორმისტული და გაუბედავი ხასიათი, უწინარეს ყოვლისა, ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი არ მიდის «სავალდებულო გამოყიდვაზე» უფრო შორს, და იმასაც სცნობს მხოლოდ «თითქმის» უსიტყვოდ, — მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამა მოითხოვს ჩამონაჭრების უსასყიდლოდ ჩამორთმევას მათი ძველი მფლობელებისაგან, გამოსყიდვას კი სცნობს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მასთან ეს გამოსყიდვა უნდა მოხდეს თავადაზნაურთა მიწათმფლობელობის ხარჯზე. სოციალ-დემოკრატები, როგორც ცნობილია *, არც მემამულეთა მთელი მიწის ექსპროპრიაციაზე ამბობენ უარს, მხოლოდ შეუწყნარებლად და ავანტიურისტულად მიაჩნიათ ამ, არა ყოველგვარ პირობებში შესაფერისი, მოთხოვნის შეტანა პროგრამაში. სოციალ-დემოკრატები თავიდანვე მოუწოდებენ პროლეტარიატს პირველი რევოლუციური ნაბიჯი გადადგას შეძლებულ გლეხობასთან ერთად, იმ განზრახვით, რომ დაუყოვნებლივ გასწიოს წინ ან გლეხურ

* იხილე პლეხანოვის განცხადება «ზარიას» № 4-ში და ჩემი განცხადება პასუხში იქსისადმი (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 554 — 555. რ ე დ.).

ბურჟუაზიასთან ერთად მემამულეთა კლასის წინააღმდეგ, ან გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თუ ის მემამულეთა კლასს შეუერთდება. ლიბერალები უკვე აქაც, ნახევრადბატონყმურ დამოკიდებულებათა წინააღმდეგ ბრძოლაშიც, გაურბიან კლასობრივ თვითმოქმედებასა და ბრძოლას. მათ სურთ რეფორმა გაატაროს «სახელმწიფომ» (სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს კი ივიწყებენ) თვითმმართველობის ორგანოებისა და «საგანგებო» კომისიების საშუალებით, ჩამონაჭრების იძულებითს გასხვისებას ისინი ადარებენ — ეს მეტისმეტად დამახასიათებელია — მიწების იძულებითს გასხვისებას რკინიგზათა ხაზებისთვის!! უფრო ნათლად გამოხატვა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გ ა მ ო მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა თავიანთი იდუმალი სურვილისა, რათა ახალი რეფორმის გატარება ისევე «ხელსაყრელი» გახადონ მმართველი კლასებისთვის, როგორც ხელსაყრელია ხოლმე ყველგან და ყოველთვის მიწის მიყიდვა რკინიგზებისათვის, — ჩვენს ლიბერალებს აღარ შეუძლიათ. და ეს ხდება მყვირალა ფრაზასთან ერთად — წოდებრივ-არისტოკრატიული აგრარული პოლიტიკა გლეხურ-დემოკრატიული პოლიტიკით უნდა შეიცვალოსო! ასეთი შეცვლა რომ ნამდვილად განვახორციელოთ, უნდა მივმართოთ არა «საზოგადოებრივ ინტერესს», არამედ დაჩაგრულ წოდებას — გლეხობას მჩაგვრელი წოდების — თავადაზნაურობის წინააღმდეგ, უნდა ა ვ ა მ ხ ე დ რ ო თ პირველი მეორის წინააღმდეგ, უნდა მოვუწოდოთ გლეხობას რევოლუციური თვითმოქმედებისაკენ და არა სახელმწიფოს რეფორმატორული საქმიანობისაკენ. შემდეგ. როდესაც ლიბერალები ნახევრადბატონყმურ ურთიერთობათა მოსპობაზე ლაპარაკობენ, ისინი აფუჩეჩებენ იმას, თუ სახელდობრ რანაირ ურთიერთობას სწმენდენ ისინი ბატონყმობისაგან. ბ-ნი ლ., მაგალითად, იმეორებს ბატონ ნიკოლაი — ონის, ვ. ვ-ის და სხვათა სიტყვებს «იმ მიწის მიმართ, რომელსაც მიწათმოქმედნი ამუშავებენ, მათი უფლების აღიარების პრინციპის» შესახებ, გლეხობის «ცხოველუნარიანობის» შესახებ, მაგრამ მორცხვად სდუმს ამ ცხოველუნარიანი გლეხების მიერ

მეურნეობის ბურჟუაზიულად გაძღოლისა და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის «პრინციპის» შესახებ. ბურჟუაზიულ დემოკრატებს არა აქვთ და არც უნდათ ჰქონდეთ წარმოდგენა იმაზე, რომ დემოკრატიზმის თანამიმდევრად გატარება აგრარულ სფეროში ნიშნავს სწორედ გლეხობის წვრილბურჟუაზიულ წარმომადგენელთა აუცილებელ გაძლიერებასა და განმტკიცებას. ბ-ნი ლ. უარს ამბობს (კვლავ ნაროდნიკების მიბაძვით და «რევ. როსსიას» მიხედვით) გლეხობის პროლეტარიზაცია მიიჩნიოს «განვითარების ტიპად», და ამას ხსნის «ბატონყმობის ნაშთებით» და «სოფლის საერთო პათოლოგიური მდგომარეობით»! ალბათ, ჩვენში კონსტიტუციის შემდეგ შეწყდება ქალაქების ზრდა, სოფლებიდან ღარიბი გლეხების ლტოლვა, მემამულეთა გადასვლა შრომამიგების მეურნეობიდან მოჯამაგირეობის მეურნეობაზე და სხვ.! ბ-ნი ლ. გვიხატავს საფრანგეთის რევოლუციის სასიკეთო გავლენას საფრანგეთის გლეხობაზე და პათეთიკურად ლაპარაკობს შიმშილობის მოსპობაზე, მიწათმოქმედების აღმავლობასა და პროგრესზე, მაგრამ იმაზე, რომ ეს იყო ბურჟუაზიული პროგრესი, დამყარებული სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების «მტკიცე» კლასის შექმნასა და გლეხობის დ ა ბ ა ლ ი ფენების მასის ქრონიკულ სიღატაკეზე, ამის შესახებ მონაროდნიკე ბურჟუა, რა თქმა უნდა, კრინტსაც არა სძრავს.

ერთი სიტყვით, ბ-ნ ლ-ს აგრარული პროგრამის განსხვავება სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამისაგან შესანიშნავი სიზუსტით, მცირე მასშტაბით ასახავს ლიბერალური და პროლეტარული დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმებს შორის არსებულ ყველა ზოგად განსხვავებას. ამ პროგრამებს თუ აიღებთ სათანადო იდეოლოგების მიერ მათი თეორიულად დაყენების მხრივ ან სათანადო პარტიებისა და მიმართულებათა მიერ მათი პრაქტიკულად გატარების მხრივ, ან თუ გადაათვალიერებთ ისტორიას, მაგალითად, 1848 წლისას, — დაინახავთ სწორედ ამ ორ ძირითად განსხვავებას უახლოეს პრაქტიკულ ამოცანათა ლიბერალურად და სოციალ-დემოკრატიულად დაყენების თვალსაზრისით: ერთი მხრივ, რეფორ-

მატორული ორჭოფობა ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლაში და «თანამედროვე» საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, მეორე მხრივ — რევოლუციური ბრძოლა ძველი დროის ნაშთებთან ახალი საზოგადოების ნიადაგზე კლასთა ბრძოლის გაფართოების, განვითარებისა და გამწვავების მიზნით. რა თქმა უნდა, ეს ძირითადი განსხვავებანი, რომლებიც თვით განვითარების პროცესში მყოფი კაპიტალისტური საზოგადოების ბუნებას მოსდგამს, სხვადასხვა ნაციონალურ სახელმწიფოში და სხვადასხვა დროს ფრიად სხვადასხვაგვარ ფორმებში გამოიხატება. ახალ და ორიგინალურ ფორმებში «ძველი» ბურჟუაზიული დემოკრატიის დანახვის უნარის უქონლობა დამახასიათებელი ნიშანია ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის თანამიმდევარი და არათანამიმდევარი იდეოლოგებისა. უკანასკნელთ, მაგალითად, არ შეგვიძლია არ მივაკუთვნოთ «განიავებული ნაროდნიკობის» წარმომადგენელი — ბ-ნი პ. ნოვობრანცევი (იხ. «რევ. როსსია» №№ 32 და 33), რომელიც ირონიულად შენიშნავს «ისკრის» თავდასხმის გამო «ოსვობოჟდენიეზე», როგორც კლასობრივ ბურჟუაზიულ გამოცემაზე: «ნახა, რაღა, ბურჟუაზიაო». «ბ-ნი სტრუვე, — გულმოწყალედ გვასწავლის «რევ. როსსია», — «ინტელიგენციის» წარმომადგენელია და არა «ბურჟუაზიისა, როგორც კლასისა», რადგან არავითარ კლასსა და წოდებას ის არ აერთიანებს და არ იზიდავსო». ძალიან კარგი, ბატონებო! მაგრამ, თუ ცოტათი ჩაუფიქრდებოდით საქმის ვითარებას, დაინახავდით, რომ ბ-ნი სტრუვე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ინტელიგენციის წარმომადგენელია. ბურჟუაზიას კი, როგორც კლასს, რუსეთის პროლეტარიატი ისტორიულ ასპარეზზე დაინახავს მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების დროს, როცა მთავრობა თითქმის უშუალოდ იქნება ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფენის «კომიტეტი». და მხოლოდ იმათ, ვინც «გაუგებრობით არიან სოციალისტები», შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მათი მოვალეობაა — თვალი აუხილონ მუშათა კლასს და დაანახვონ ბურჟუაზია როგორც მისი მოქმედებისა, ისე მისი

აზროვნების დროს, როგორც მომწიფებულ ასაკში, ისე მეოცნებე ჭაბუკობის ასაკში.

რაც შეეხება ოცნებობას, აქ ჩვენ სწორედ ბ-ნ ნოვობრანცევს უნდა მივმართოთ. მაგრამ სტატია ისე გაგვიგრძელდა, ხოლო ბ-ნ ნოვობრანცევის მსოფლმხედველობა და აგრარულ-ისტორიული შეხედულება იმდენად ბევრ საინტერესო რასმე წარმოადგენენ, განსაკუთრებით ბ-ნ ლ-ის პარალელურად, რომ ამაზე საუბარი სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ.

დაწერილია 1903 წლის 5 (18) ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთ «ისკრის» № 54-ში, 1903 წლის 1 დეკემბერს
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ ც. ო.-ს რედაქციას

პატივცემულო ამხანაგო! გთხოვთ მოათავსოთ «ისკრაში» შემდეგი განცხადება:

«ნ. ლენინი 1903 წლის 1 ნოემბრიდან (ა. სტ.) აღარ ირიცხება «ისკრის» რედაქციის წევრად».

სოციალ-დემოკრატიული სალამით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1903 წლის 5 (18) ნოემბერს

• იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დაიბეჭდა 1904 წ.

გამოუქვეყნებელი განცხადება [35]

რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1903 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე ჟენევაში ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება.

ამხ. პლეხანოვის მიერ მარტოველების კოოპტაცია რედაქციაში წარმოადგენს პლეხანოვის პირდაპირ გადასვლას პარტიული ყრილობის უმცირესობის მხარეზე, უმცირესობისა, რომელიც, თვითონ პლეხანოვის არაერთგზის საჯაროდ გაკეთებული დახასიათებით, ოპორტუნიზმისა და ანარქიზმისაკენ იხრება. პარტიული ყრილობისა და ლიგის ყრილობის ოქმებიდან ეს სრული სიცხადით გამოჩნდება. ეს გადასვლა პარტიული ყრილობის ნების პირდაპირი დარღვევაა საზღვარგარეთული ლიგის გავლენით და ეწინააღმდეგება პარტიის რუსეთის კომიტეტთა უმრავლესობის მტკიცედ განცხადებულ გადაწყვეტილებას. ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია დაუშვას ყრილობის ნების ასეთი დარღვევა, მით უფრო, რომ ამხ. პლეხანოვმა თავისი ნაბიჯისათვის ისარგებლა ამხ. ლენინის გადადგომით და პირდაპირ დაარღვია ნდობა, ვინაიდან ამხ. ლენინი გადადგა პირობითად, პარტიაში სრული მშვიდობის გულისთვის. მარტოველებმა კი უარყვეს ც. კ-ის 25 ნოემბრის ულტიმატუმი [36], უარყვეს მშვიდობა და ამით ომი გამოაცხადეს.

ამიტომ ც. კ. რევოლუციური გზით ხელთ იღებს პარტიის ც. ო.-ს და აცხადებს, რომ იგი მთელი ძალღონით შეეცდება მიაღწიოს იმას, რომ პარტიის მომავალ ბედს განსაზღვრავდეს ნება პარტიისა მთლიანად და არა საზღვარგარეთული ლიგის ნება და არა ცალკეული პირის ღალატი.

ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1903 წლის 14 (27) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს «ლენინის კრებულში» VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი «ისკრის» რედაქციას [37]

სტატია «რა არ ვაკეთოთ?» ჩვენი პარტიული ცხოვრების სწორედ ამ მომენტის ისეთ მნიშვნელოვან, ისეთ საარსებო საკითხებს აყენებს, რომ ძნელია თავი შეიკავო სურვილისაგან და დაუყოვნებლივ არ გამოეხმაურო რედაქციას, რომელიც თავაზიანად გვეპატიჟება და თავისი ორგანოს ფურცლებს გულგაშლილად გვითმობს; განსაკუთრებით ძნელია ეს «ისკრის» მუდმივი მონაწილისთვის, განსაკუთრებით ძნელია ისეთ მომენტში, როცა ხმის მიწოდების დაგვიანება თუნდაც ერთი კვირით, შესაძლოა, ნიშნავდეს სრულიად უარისთქმას ამ ხმის მიწოდებაზე.

მე კი მინდა მოგაწოდოთ ჩემი სათათბირო ხმა, რათა თავიდან ავიცილოთ ზოგიერთი შესაძლებელი და თითქმის აუცილებელი გაუგებრობა.

უწინარეს ყოვლისა ვიტყვი, რომ სტატიის ავტორი, ჩემი აზრით, ათასჯერ მართალია, როცა ის დაჟინებით მოითხოვს პარტიის ერთიანობის აუცილებლად დაცვას და ახალი გათიშვების თავიდან აცილებას, — მეტადრე იმ უთანხმოების გამო, რომელიც არ შეიძლება მნიშვნელოვან უთანხმოებად მივიჩნიოთ. მოწოდება მშვიდობისმოყვარეობისა, ლმობიერებისა და დათმობისაკენ უაღრესად საქებურია ხელმძღვანელის მხრივ საერთოდ და დღევანდელ მომენტში განსაკუთრებით. შეჩვენება ან პარტიიდან გარიცხვა არათუ ყოფილი ეკონომისტებისა, არამედ იმ სოციალ-დემოკრატთა პაწია ჯგუფებისაც, რომლებიც «ერთგვარი არათანამიმდევრობით» განირჩევიან, უსათუოდ უგუნურება იქნებოდა, იმ ზომამდე უგუნურება,

რომ ჩვენთვის სავსებით გასაგებია სტატიის ავტორის ფიცხი კილო იმათ მიმართ, ვინც მის გონებას წარმოუდგენია მოუქნელ, ჯიუტ, სულელ საბაკევიჩებად, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ გარიცხვას. ჩვენ მეტსაც ვფიქრობთ: როდესაც პარტიული პროგრამა და პარტიული ორგანიზაცია გვექნება, იმ ჯგუფებს ან, ავტორის თქმით, პაწია ჯგუფებს, რომლებიც არათანამიმდევრობის გამო იცავენ რევიზიონიზმის ზოგიერთ დოგმას და რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით დაჟინებით დგანან თავიანთი ჯგუფური თავისებურებისა და ინდივიდუალობის ნიადაგზე, — არა თუ გულგაშლილად უნდა დავუთმოთ პარტიული ორგანოს ფურცლები აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის, არამედ შესაძლებლობაც უნდა მივცეთ მათ სისტემატურად ჩამოაყალიბონ თავიანთი, თუნდაც უმნიშვნელო, უთანხმოებანი. სწორედ იმიტომ, რომ მეტისმეტი მოუქნელობა და საბაკევიჩისებური უხეშობა არ გამოვიჩინოთ «ანარქისტული ინდივიდუალიზმის» მიმართ, ჩვენის აზრით, აუცილებელია ყოველგვარი ზომები მივიღოთ, არ მოვერიდოთ იმასაც კი, რომ ზოგიერთ რამეში გადავუხვიოთ ცენტრალიზმის ლამაზ სქემებს და დისციპლინისადმი უეჭველ დამორჩილებას — რათა ამ პაწია ჯგუფებს შესაძლებლობა მივცეთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი, რათა შესაძლებლობა მივცეთ მთელ პარტიას ასწონ-დასწონოს უთანხმოებათა სიღრმე ან მცირემნიშვნელოვანობა, გამოარკვიოს, სახელდობრ სად, რაში და სახელდობრ ვინ იჩენს არათანამიმდევრობას.

მართლაც, დროა გადაჭრით უკუვაგდოთ სექტანტური წრეობანის ტრადიციები და — მასებზე დაყრდნობილ პარტიაში, — წამოვაყენოთ გაბედული ლოზუნგი: რაც შეიძლება მეტი სინათლე, დაე პარტიამ ყველაფერი იცოდეს, დაე გადაეცეს მას მთელი, უკლებლივ მთელი მასალა ყველა და ყოველგვარი უთანხმოების, რევიზიონიზმისადმი დაბრუნების, დისციპლინის დარღვევის და სხვათა შესაფასებლად. რაც შეიძლება მეტი ნდობა პარტიულ მუშაკთა მთელი მასის დამოუკიდებელი მსჯელობისადმი:

ისინი და მხოლოდ ისინი შესძლებენ შეანელონ გათიშვისადმი მიდრეკილი პაწია ჯგუფების მეტისმეტი სიფიცხე, შესძლებენ თავიანთი ნელი, შეუმჩნეველი, მაგრამ სამაგიეროდ შეუპოვარი ზედმოქმედებით შთააგონონ მათ «კეთილი ნებასურვილი» პარტიული დისციპლინის დაცვისადმი, შესძლებენ შეანელონ ანარქისტული ინდივიდუალიზმის გზნება, შესძლებენ მარტოოდენ თავიანთი გულგრილობის ფაქტით დაასაბუთონ, დაამტკიცონ და ცხადჰყონ იმ უთანხმოებათა მნიშვნელობის არარაობა, რომლებსაც ასე აზვიადებენ გათიშვისადმი მიდრეკილი ელემენტები.

კითხვაზე: «რა არ ვაკეთოთ?» (რა არ ვაკეთოთ საერთოდ და რა არ ვაკეთოთ იმისათვის, რომ გათიშვა არ გამოვიწვიოთ) მე უწინარეს ყოვლისა ვუპასუხებდი: არ დავუმალოთ პარტიას წარმოშობილი და მზარდი საბაბი გათიშვისა, არ დავუმალოთ არაფერი იმ გარემოებიდან და ამბებიდან, რომლებიც ასეთს საბაბს წარმოადგენენ. კიდევ მეტი, არ დავუმალოთ არათუ პარტიას, არამედ, შეძლებისდაგვარად, გარეშე საზოგადოებასაც. მე ვამბობ «შეძლებისდაგვარად»-მეთქი, რადგან მხედველობაში მაქვს ის, რის დამალვაც აუცილებელია კონსპირაციულ მოსაზრებათა გამო, — მაგრამ ჩვენს გათიშვებში ამგვარი გარემოებანი სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობენ. ფართო საჯარობა — აი ყველაზე ნამდვილი და ერთადერთი საიმედო საშუალება იმ გათიშვათა თავიდან ასაცილებლად, რომელთა აცილება შეიძლება, იმ გათიშვათა ზიანის minimum-ამდე შესამცირებლად, რომლებიც უკვე აუცილებელი გახდნენ.

მართლაც, ჩაუფიქრდით იმ მოვალეობას, რომელსაც აკისრებს პარტიას ის გარემოება, რომ მას უკვე საქმე აქვს მ ა ს ა ს თ ა ნ და არა წრეებთან. მარტო სიტყვიერად რომ არ გავხდეთ მასების პარტიად, ყველა პარტიულ საქმეში მონაწილეობის მისაღებად უნდა მივიზიდოთ სულ უფრო და უფრო ფართო მასები, მუდამ უნდა მოვუწოდებდეთ მათ პოლიტიკური გულგრილობიდან პროტესტისა და ბრძოლისაკენ, პროტესტის საერთო განწყობილებიდან სოციალ-დემოკრა-

ტიულ შეხედულებათა შეგნებულად მიღებისაკენ, ამ შეხედულებათა მიღებიდან მოძრაობისათვის მხარისდაჭერისაკენ, მხარისდაჭერიდან პარტიაში ორგანიზაციულად მონაწილეობისაკენ. განა შეიძლება ამ შედეგის მიღწევა, თუ უაღრესად ფართო საჯარობა არ შევიტანეთ საქმეებში, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ესა თუ ის ზედმოქმედება მასებზე? მუშები ველარაფერს გაგვიგებენ და მიგვატოვებენ, როგორც უარმიო შტაბს, თუ უმნიშვნელო უთანხმოებათა გამო გათიშვები მოვახდინეთო — ამბობს ავტორი და ამბობს სრულიად სამართლიანად. ხოლო იმისათვის, რომ მუშებს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გაეგებოდეთ ჩვენი, იმისათვის, რომ მათმა გამოცდილებამ ბრძოლაში და მათმა პროლეტარულმა ალღომ ზ ო გ ი რ ა მ გ ვ ა ს წ ა ვ ლ ო ს ჩ ვ ე ნ ც, «ხელმძღვანელებსაც», — ამისათვის აუცილებელია, რომ ორგანიზებული მუშები შეეჩვიონ გათიშვის გამომწვევ საბაბთა წარმოშობის თვალყურის დევნებას (ასეთი საბაბი ყოველთვის ყოფილა და ყოველთვის განმეორდება ყოველ მასობრივ პარტიაში), შეგნებულად მოეპყრან ამ საბაბს, რუსეთის ან საზღვარგარეთის **რომელ**იმე პოშეხონიეს ამბები შეაფასონ მთელი პარტიის ინტერესების, მთლიანად მთელი მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით.

ავტორი სამგზის მართალია, როცა ხაზგასმით აღნიშნავს, ჩვენს ცენტრს ბევრი რამ მიეცემა, მაგრამ ბევრიც მოეთხოვებაო. სწორედ რომ ასეა. და სწორედ ამიტომაც აუცილებელია, რომ მ თ ე ლ მ ა პ ა რ ტ ი ა მ სისტემატურად, თანდათან და განუხრელად ა ღ ზ ა რ დ ო ს თავისთვის შესაფერისი ადამიანები ცენტრში, რომ იგი თავის წინაშე, როგორც ხელისგულზე, ისე ხედავდეს თვითეული კანდიდატის მ თ ე ლ მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა ს ამ მაღალ პოსტზე, რომ იგი გაეცნოს მათს ინდივიდუალურ თავისებურებასაც კი, მათს ძლიერ და სუსტ მხარეებს, მათს გამარჯვებებს და «დამარცხებებს». ავტორი აკეთებს შესანიშნავად მახვილ და, ცხადია, მდიდარ გამოცდილებაზე დამყარებულ შენიშვნებს ასეთ დამარცხებათა ზოგიერთი მიზეზის შესახებ. და სწორედ იმიტომ, რომ ეს შე-

ნიშვნები ასე მახვილია, საჭიროა, რომ ისინი გამოიყენოს მთელმა პარტიამ, რათა იგი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ხ ე დ ა ვ დ ე ს ამა თუ იმ თავისი «ხელმძღვანელის» თვითეულ, თუნდაც ნაწილობრივ «დამარცხებას». არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ გაუვლია თავისი კარიერა ისე, რომ ესა თუ ის დამარცხება არ განეცადოს, და თუ ჩვენ სერიოზულად ვლაპარაკობთ მასებზე გავლენის შესახებ, ჩვენს მიერ მასების «კეთილი ნებასურვილის» მოპოვებაზე, მთელი ძალღონით უნდა ვეცადოთ, რომ ეს დამარცხებანი არ იმალებოდეს წრეებისა და პაწაწა ჯგუფების დამყაყებულ ატმოსფეროში, რომ ისინი გამოტანილ იქნას ყველას სამსჯავროს წინაშე. პირველი შეხედვით ეს უხერხულად გვეჩვენება, ეს ზოგჯერ «საწყენადაც» კი უნდა გვეჩვენოს ამა თუ იმ ცალკეული ხელმძღვანელისათვის, — მაგრამ უხერხულობის ეს ყალბი გრძნობა ვალდებული ვართ დავძლიოთ, ეს ჩვენი მოვალეობაა პარტიის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე. ამით, და მხოლოდ ამით მივცემთ შესაძლებლობას გავლენიან პარტიულ მუშაკთა მთელ მასას (და არა წრისა თუ ჯგუფის შემთხვევითს შემადგენლობას) გაიცნოს თავისი ბელადები და თ ვ ი თ ე უ ლ მ ა თ გ ა ნ ს ს ა თ ა ნ ა დ ო ა დ გ ი ლ ი მ ი უ ჩ ი ნ ო ს. მხოლოდ ფართოდ გახმაურება აძლევს სწორ მიმართულებას ყველა სწორხაზოვან, ცალმხრივ, ახირებულ გადახრას, მხოლოდ ის გადააქცევს ხოლმე «პაწაწა ჯგუფების» ზოგჯერ უაზრო და სასაცილო უთანხმოებას პარტიული თვითაღზრდის სასარგებლო და საჭირო მასალად.

სინათლე, მეტი სინათლე! ჩვენ გვესაჭიროება უდიდესი კონცერტი; ჩვენ უნდა შევიმუშაოთ გამოცდილება, რათა ამ კონცერტში სწორად გავანაწილოთ როლები, რომ ერთს მივცეთ სენტიმენტალური ვიოლინო, მეორეს მრისხანე კონტრაბასი, მესამეს ჩავაბაროთ დირიჟორის ჯოხი. დაე საქმით განხორციელდეს ავტორის მშვენიერი მოწოდება სტუმართმოყვარეობისაკენ, რომ ყველა შეხედულება აისახოს პარტიული ორგანოს და ყველა პარტიული გამოცემის ფურცლებზე, დაე ყველამ და თვითეულმა განსაჯოს ჩვენი «დავა და დავიდარაბა»

ამა თუ იმ «კილოს» გამო, რომელიც, ზოგის აზრით, მეტისმეტად მკვეთრია, ზოგის აზრით, ყალბია, ზოგის აზრით კი ჩახლეჩილია. მხოლოდ მთელ რიგ ასეთ ღია მსჯელობათა საშუალებით შეიძლება შემუშავდეს ჩვენში ხელმძღვანელთა მართლაც შეთანხმებული კოლეგია, მხოლოდ ამ პირობით იქნებიან მუშები ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ მუდამ შ ე ე ძ ლ ო თ ჩვენი გაგება, მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი «შტაბი» დაყრდნობილი არმიის მართლაც კ ე თ ი ლ და შ ე გ ნ ე ბ უ ლ ნებასურვილზე, არმიისა, რომელიც მიჰყვება შტაბს და იმავე დროს გეზსაც აძლევს თავის შტაბს!

ლ ე ნ ი ნ ი

«ისკრა» № 53, 1903 წ. 25 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან? *

წერილი «ისკრის» რედაქციის [38] მიმართ

ეს სრულებითაც არ არის პირადი საკითხი. ეს არის ჩვენი პარტიული ყრილობის უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობის საკითხი, და მე ვალდებული ვარ დაუყოვნებლივ და აშკარად გავცე პასუხი მასზე, ვალდებული ვარ არა მარტო იმიტომ, რომ უმრავლესობის დელეგატები შეკითხვას შეკითხვაზე მიგზავნიან, არამედ იმიტომაც, რომ სტატია «ჩვენი ყრილობა» «ისკრის» № 53-ში ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ს წ ო რ ა დ აშუქებს იმ არც იმდენად ღრმა, მაგრამ დიდი დეზორგანიზაციის გამომწვევ დაყოფას ისკრელებს შორის, რომელიც ყრილობას მოჰყვა.

სტატია ისე გადმოგვცემს საქმის ვითარებას, რომ მასში გამადიდებელი შუშითაც ვერავინ აღმოაჩენს გაყოფის ვ ე რ ც ე რ თ მართლაც სერიოზულ მიზეზს, ვერავინ ვერ იხილავს იმ მოვლენის ახსნის ნატამალსაც კი, როგორიცაა ც. ო.-ს რედაქციის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება, ვერავინ ვერ იპოვის კოლეგიიდან ჩემი გასვლის საპატიო მიზეზთა მსგავს რამესაც კი. ჩვენ ვერ შევთანხმდით პარტიის

* ეს წერილი რედაქციის მიმართ «ისკრას» გავუგზავნე № 53-ის გამოსვლისთანავე. რედაქციამ უარი განაცხადა № 54-ში მის მოთავსებაზე და მეც იძულებული ვარ ცალკე ფურცლად გამოვუშვა იგი.

ცენტრების ორგანიზაციის საკითხშიო, — ამბობს სტატიის ავტორი, — ც. ო.-ს და ც. კ.-ის ურთიერთობის საკითხშიო, ცენტრალიზმის გატარების წესის, შესაძლებელი და სასარგებლო ცენტრალიზაციის საზღვრებისა და ხასიათის, ბიუროკრატული ფორმალიზმის მავნებლობის შესახებო.

ნუთუ მართლა? განა ჩვენი დ ა შ ო რ ე ბ ი ს მიზეზი ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხი არ იყო, საკითხი იმისა, დასაშვებია თუ არა ყრილობაზე არჩეული შემადგენლობის მიმართ უკმაყოფილების გამო ამ ცენტრების ბოიკოტი, განა მიზეზი არ იყო პრაქტიკული მუშაობის დეზორგანიზაცია, პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა გადაკეთება საზღვარგარეთელ სოციალ-დემოკრატთა რომელიღაც წ რ ი ს გულის მოსაგებად, ისეთისა, როგორიცაა ლიგის უმრავლესობა?

თქვენ მშვენივრად იცით, ამხანაგებო, რომ საქმის ვითარება სწორედ ასე იყო. მაგრამ ყველაზე უფრო გავლენიან და ყველაზე უფრო აქტიურ პარტიულ მუშაკთა უდიდესმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცის ეს, და მე მოკლედ აღვნიშნავ ძირითად ფაქტებს, — მოკლედ იმიტომ, რომ მალე გამოქვეყნდება, როგორც «ისკრის» № 53-ის განცხადებიდან ჩანს, ჩვენი უთანხმოების ისტორიის სრული მასალები.

ჩვენს ყრილობაზე, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ხსენებული სტატიის ავტორიც და ბუნდის დელეგაციაც თავის ახლახან გამოსულ ანგარიშში, დიდ უმრავლესობას «ისკრელები» შეადგენდნენ. ჩემი ანგარიშით ხმების დაახლოებით $^3/_4$-ს ბუნდისა და «რაბოჩეე დელოს» დელეგატების წასვლამდეც კი. ყრილობის პირველ ნახევარში ეს ისკრელები თანხმობით ილაშქრებდნენ ერთად ყველა ანტიისკრელებისა და არათანამიმდევარი ისკრელების წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეს ყრილობის პირველი ნახევრის ორი ინციდენტის დროს, რასაც მნიშვნელობა აქვს ჩვენი უთანხმოების გასაგებად: საორგ. კ-თან ინციდენტისა და ენათა თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული ინციდენტის დროს (ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ისკრელთა კომ-

პაქტური უმრავლესობა $^3/_5$-დან ½-მდე დავიდა). ყრილობის მეორე ნახევარში ისკრელებს შორის დ ა ი წ ყ ო დაშორება და ყრილობის დამთავრებისას მ თ ლ ი ა ნ ა დ დაშორდნენ ერთმანეთს. დავა პარტიის წესდების 1-ლი პარაგრაფისა და ცენტრების არჩევის შესახებ ნათლად გვიჩვენებს ამ დაშორების ხასიათს: ისკრელთა უმცირესობა (მარტოვის მეთაურობით) თავის გარშემო თანდათან იკრებს სულ უფრო და უფრო მეტ არაისკრელებს და მერყეევ ელემენტებს და უპირისპირდება ისკრელების უმრავლესობას (რომელთა შორის ვიყავით პლეხანოვი და მე). წესდების 1-ლი პარაგრაფის გარშემო ეს დაჯგუფება საბოლოო ფორმით კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ მაინც ბუნდელების ხმები და რაბოჩეედელოელთა სამი ხმიდან ორი ხმა ისკრელთა უმცირესობისკენ ხრის სასწორს. ცენტრების არჩევის დროს ისკრელთა უმრავლესობა (ყრილობიდან ხუთი ბუნდელის ხმისა და ორი რაბოჩეედელოელის ხმის წასვლის გამო) პარტიული ყრილობის უმრავლესობად იქცა. და მ ხ ო ლ ო დ ა ქ ვ შ ო რ დ ე ბ ი თ ჩ ვ ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით.

ჩვენ დიდად გვაშორებს ერთმანეთს უწინარეს ყოვლისა ც. კ-ის შემადგენლობა. უკვე საორგ. კ-თან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ყრილობის დასაწყისშივე, ისკრელები გაცხარებით იხილავენ საორგ. კ-ის სხვადასხვა წევრთა (დ ა ა რ ა წ ე ვ რ თ ა) კანდიდატურას ც. კ-ში გასაყვანად და «ისკრის» ორგანიზაციის არაოფიციალურ კრებებზე, ხანგრძლივი და გაცხარებული კამათის შემდეგ, უარყოფენ მარტოვის მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ კანდიდატურას ცხრა ხმით ოთხის წინააღმდეგ, სამის თავშეკავებით; ღებულობენ ათი ხმით ორის წინააღმდეგ, ოთხის თავშეკავებით, ხუთთა სიას, რომელშიც, ჩ ე მ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ, შეყვანილია არაისკრელთა ელემენტების ერთი ლიდერი და ისკრელთა უმცირესობის ერთი ლიდერი. მაგრამ უმცირესობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ხუთიდან სამი მათი იყოს, და ამიტომ სრულ დამარცხებას განიცდის პარტიულ ყრილობაზე. ასევე თავდება ის დიდი

ბრძოლა, რომელიც გაჩაღდა ყრილობაზე იმ საკითხის გარშემო, ძველი ექვსეული დაგვემტკიცებინა, თუ ახალი სამეულა აგვერჩია ც. ო-ს რედაქციაში *.

მ ხ ო ლ ო დ ა მ მ ო მ ე ნ ტ ი დ ა ნ ხდება დაშორება იმდენად სრული, რომ თავისთავად იბადება განხეთქილების აზრი; მხოლოდ ამ მომენტიდან იწყება მანამდე ყრილობაზე არნახული თავშეკავება უმცირესობისა (რომელიც უკვე ნამდვილ «კომპაქტურ» უმცირესობად გადაიქცა) ხმისმიცემისაგან. და ეს დაშორება სულ უფრო და უფრო მწვავდება ყრილობის შემდეგ. უკმაყოფილო უმცირესობა გადადის ბოიკოტზე, რაც მთელი თვეობით გრძელდება. რომ ამ ნიადაგზე წარმოშობილი ბრალდებანი ბიუროკრატიული ფორმალიზმის შემოღებისა, უსიტყვო, მექანიკური მორჩილებისა და სხვა ასეთი აბდაუბდის მოთხოვნის შესახებ წარმოადგენს მხოლოდ ცდას იმისას, რომ სხვას მოახვიონ თავისი ცოდვები, ეს თავისთავად ცხადია და ამას საკმაოდ ასურათებს თუნდაც შემდეგი ტიპიური შემთხვევა. ახალი რედაქცია (ე. ი. პლეხანოვი და მე) ყველა ძველ რედაქტორს სთხოვს ითანამშრომლონ, სთხოვს, რა თქმა უნდა, თავდაპირველად «ფორმალიზმის» გარეშე, სიტყვიერად. ღებულობს უარს. მაშინ ვწერთ «ქალალდს» (ბიუროკრატები!) «პატივცემულ ამხანაგებს» და საერთოდ ვთხოვთ ითანამშრომლონ და კერძოდ თ ა ვ ი ა ნ თ ი უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა ნ ი გ ა მ ო ს თ ქ ვ ა ნ ი მ გ ა მ ო ც ე მ ა თ ა ფ უ რ ც ლ ე ბ ზ ე, რ ო მ ე ლ თ ა რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

* რადგან უამრავი მითქმა-მოთქმა და ჭორები გამოიწვია ამ ყბადაღებულმა «სამეულმა», აქვე შევნიშნავ, რომ ყრილობამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ყველა რაოდენადმე დაახლოებულმა ამხანაგმა იცოდა ჩემი კომენტარი ყრილობის **Tagesordnung**-ის (დღის წესრიგის. რ ე დ.) პროექტისადმი. ამ კომენტარში, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა ყრილობაზე, აღნიშნულია: «ყრილობა ირჩევს სამ პირს ც. ო-ს რედაქციაში და სამს ც. კ-ში. ეს ექვსი პირი ე რ თ ა დ, $^2/_3$-ის უმრავლესობით, თუ ეს აუცილებელია, ც. ო-ს რედაქციისა და ც. კ-ის შემადგენლობას შეავსებენ კოოპტაციით და სათანადო მოხსენებას წარუდგენენ ყრილობას. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ ც. ო.-ს რედაქცია და ც. კ. შემდგომ კოოპტაციას ცალ-ცალკე ახდენენ».

ჩ ვ ე ნ ა ვ ა რ თ. ვღებულობთ «ფორმალურ» განცხადებას — ა რ ა ვ ი თ ა რ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა არა გვსურს «ი ს კ რ ა შ ი ო». მთელი თვეების განმავლობაში არა-რედაქტორთაგან მართლაც არავინ არ მუშაობს «ისკრაში». ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ-ბიუროკრატიული ხდება, — მერე ვისი «ინიციატივით»?

იწყება შექმნა ფარული ლიტერატურისა, რომელიც მოეფინა საზღვარგარეთს, ეგზავნება კომიტეტებს და იწყება ნაწილობრივ უკვე ახლა ამ ლიტერატურის რუსეთიდან დაბრუნება საზღვარგარეთ. ციმბირის დელეგატის მოხსენება, — — ნის წერილი «ოპოზიციის» ლოზუნგების შესახებ, მარტოვის «ერთხელ კიდევ უმცირესობაში» აღსავსეა ფრიად სასაცილო ბრალდებებით ლენინის «თვითმპყრობელობის», დასჯის რობესპიერისეული რეჟიმის (sic! *) შექმნის, ძველი ამხანაგების პოლიტიკურად დასამარების მოწყობის (ცენტრებში აურჩევლობა დასამარება ყოფილა!) შესახებ და სხვა. მოვლენათა მსვლელობით ოპოზიცია მიისწრაფვის ისეთი «პრინციპული» უთანხმოებანი გამოჩხრიკოს ორგანიზაციულ საკითხებში, რომლებიც შეუძლებლად ხდიან ერთად მუშაობას. ამასთანავე განსაკუთრებით სძიძგნიან პარტიის საბჭოს ყბადაღებულ «მეხუთე წევრს». ყველა აღნიშნულ ნაწარმოებში საბჭო წარმოდგენილია ლენინის დიპლომატიად ან ფოკუსად, რუსეთის ც. კ-ის საზღვარგარეთული ც. ო-ს მიერ ჩახშობის იარაღად — სწორედ ისე, როგორც გვისურათებს საქმის ვითარებას ბუნდის დელეგაციაც თავის ანგარიშში ყრილობის შესახებ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს პრინციპული უთანხმოება ისეთივე აბდაუბდაა, როგორც ყბადაღებული ბიუროკრატული ფორმალიზმი: მეხუთე წევრს ყრილობა ირჩევსო; მაშასადამე, საქმე შეეხება პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს, რომელიც იმსახურებს უმრავლესობის ყველაზე მეტ ნდობას; ხოლო პარტიული ყრილობის უმრავლესობის ნება,

* — ასე! რ ე დ.

პარტიული ცენტრების ყოველგვარი ორგანიზების დროს, ყოველთვის გამოვლინდება გარკვეულ პირთა შერჩევით.

თუ როგორ ფართოდ გავრცელდა საზღვარგარეთ მთელი ამგვარი ლიტერატურა, ეს იქიდან ჩანს, რომ კეთილი პარვუსიც კი ამხედრდა იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ ყველა ძაფს ერთ ხელში მოვუყაროთ თავი და «ბრძანებები» ვაძლიოთ (sic!) მუშებს რომელიღაც ჟენევიდან («**Aus der Weltpolitik**», **V. Jahrg.** *, № 48, 1903 წ. 30 ნოემბერი). გაივლის ერთი-ორი თვე, წაიკითხავს თვითმპყრობელობის ჩვენი ახალი მოწინააღმდეგე პარტიისა და ლიგის ყრილობის ოქმებს და დარწმუნდება, რა ადვილია სასაცილო გახდეს, თუ ყოველგვარ **Parteiklatsch**-ს ** ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნევს.

ცენტრების წინააღმდეგ ოპოზიციის საომარ მოქმედებათა აპოგეა ლიგის ყრილობა იყო. მისი ოქმებიდან მკითხველები დაინახავენ, მართალნი იყვნენ თუ არა ისინი, ვინც მას პარტიული ყრილობისათვის ანგარიშის გასწორების ასპარეზი უწოდა, იყო თუ არა ოპოზიციის შემოტევაში ისეთი რამ, რაც პროვოკაციულად აქეზებდა ც. კ-ს სრულიად განსაკუთრებული ზომები მიეღო (როგორც ეს განაცხადა თვითონ ც. კ-მა, როცა რედაქციის შემადგენლობაში ცვლილების შეტანამ იმედი მოგვცა, რომ პარტიაში მშვიდობა დამყარდებოდა). ამ ყრილობის რეზოლუცია ცხადჰყოფს, რა ხასიათისაა «პრინციპული» უთანხმოებანი თვითმპყრობელური ბიუროკრატიზმის საკითხში.

ლიგის ყრილობის შემდეგ გათიშვის ატმოსფერო ისე მრისხანედ ჩამოწვა, რომ პლეხანოვმა გადაწყვიტა ძველი რედაქციის კოოპტაცია მოეხდინა. მე წინასწარ ვხედავდი, რომ ოპოზიცია ამით არ დაკმაყოფილდებოდა, და შეუძლებლად მიმაჩნდა პარტიული ყრილობის გადაწყვეტილების გადაკეთება წ რ ი ს საამებლად. მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებ შესაწყნარებლად ვთვლიდი გზა გადამეღობა პარტიაში შესაძლებე-

* — «მსოფლიო პოლიტიკიდან», გამოცემის V წელი. რ ე დ.

** — პარტიული ჭორი. რ ე დ.

ლი მშვიდობის დამყარებისათვის და. ამიტომ გამოვედი რედაქციიდან «ისკრის» № 51-ის შემდეგ, მასთან განვაცხადე, თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობ და არც იმას მოვითხოვ დაჟინებით, რომ რედაქციიდან ჩემი გამოსვლა გამოაქვეყნოთ, თუ პარტიაში სასურველი მშვიდობა დამყარდება-მეთქი. ოპოზიციამ მოითხოვა (არა არარსებული ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, თვითმპყრობელობის, მექანიზმისა და სხვათა სისტემის შეცვლა, არამედ) ძველი რედაქციის აღდგენა, ცენტრალურ კომიტეტში ოპოზიციის წარმომადგენლების კოოპტაცია, ორი ადგილი საბჭოში და ლიგის ყრილობის აღიარება კანონიერად. ცენტრალურმა კომიტეტმა მშვიდობის უზრუნველსაყოფად შესთავაზა ორი პირის კოოპტაცია ც. კ-ში, ერთი ადგილის დათმობა საბჭოში და ლიგის თანდათან რეორგანიზაცია. ოპოზიციამ ეს პირობებიც უარჰყო. რედაქცია კოოპტირებულ იქნა, ხოლო მშვიდობის საკითხი ღიად დარჩა. ასეთი იყო საქმის მდგომარეობა «ისკრის» № 53-ის გამოსვლის დროისთვის.

პარტიას რომ მშვიდობა და დადებითი მუშაობა სწადია, ამაში ეჭვის შეტანა არა მგონია შეიძლებოდეს. ხოლო ისეთი სტატიები, როგორიცაა «ჩვენი ყრილობა», აფერხებს მშვიდობის დამყარებას, აფერხებს იმით, რომ ათავსებს ისეთ გადაკრულ სიტყვებს და საკითხების ნაწყვეტებს, რომლებიც გაუგებარია და არც შეიძლება მათი გაგება, თუ მთლიანად არ იქნა გადმოცემული დაშორების ყველა პერიპეტია, აფერხებს იმით, რომ საზღვარგარეთული წრის დანაშაულს მიაწერს ჩვენს პრაქტიკულ ცენტრს, რომელიც პარტიის ფაქტიური გაერთიანების მძიმე და ძნელ მუშაობას ეწევა და რომელსაც ისედაც უკვე ბევრი დაბრკოლება შეხვედრია და ხვდება ცენტრალიზმის გატარების გზაზე. რუსეთის კომიტეტები იბრძვიან უმცირესობის დეზორგანიზატორული მოქმედებისა და ბოიკოტის წინააღმდეგ, რაც აბრკოლებს მთელ მუშაობას. ასეთი ხასიათის რეზოლუციები უკვე გამოგზავნეს პეტერბურგის, მოსკოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ტვერის, ოდესის, ტულის კომიტეტებმა და ჩრდილოეთის კავშირმა.

კმარა საზღვარგარეთული **Literatengezänk** *! დაე ახლა იგი რუსეთის პრაქტიკოსებისათვის ნიმუში იყოს იმისა, თუ «რა არ ვაკეთოთ»! დაე პარტიის ცკ-ს რედაქციამ მოუწოდოს ყველას: შეწყვიტონ ყოველგვარი ბოიკოტი რა მხრივაც არ უნდა იყოს, ერთსულოვნად შეუდგნენ მუშაობას პარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობით!

* * *

მერე, ისკრელებს შორის არსებულ ელფერთა განსხვავება? იკითხავს მკითხველი. ჯერ-ერთი, ვუპასუხებთ ჩვენ ამაზე, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, უმრავლესობის აზრით, შესაძლებელიცაა და საჭიროც თავისი აზრების გატარება პარტიაში ცენტრების პირადი შემადგენლობის ცვლილების დამოუკიდებლად. ყოველ წრეს, თუნდაც ის რაბოჩეედელოელებისა იყოს, უფლება აქვს პარტიაში შესვლის შემდეგ მოითხოვოს თავისი აზრების გამოთქმისა და გატარების შესაძლებლობა, მაგრამ არც ერთ წრეს, თუნდაც ის გენერლების წრე იყოს, უფლება არა აქვს მოითხოვოს წარმომადგენლობა პარტიის ცენტრებში. მეორე, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, უმრავლესობის აზრით, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ბრალი იმას ედება, ვინც ჩამოშორდა მუშაობას ცენტრების ხელმძღვანელობით და ამით გააძნელა საქმის არაფორმალისტურად გაძღოლის შესაძლებლობა. მესამე, ჩემთვის ცნობილია ერთი, და მხოლოდ ერთი პრინციპული უთანხმოება ორგანიზაციულ საკითხებში, სახელდობრ ის უთანხმოება, რომელიც გამომჟღავნდა კამათში პარტიის წესდების 1-ლი პარაგრაფის შესახებ. როდესაც ყრილობის ოქმები გამოვა, ჩვენ შევეცდებით დავუბრუნდეთ ამ საკითხს. მაშინ ჩვენ ცხადვყოფთ, რომ მარტოვის ფორმულირება არაისკრელთა და **quasi** **-ისკრელთა ელემენტების მიერ გატარებულ იქნა არა შემთხვევით, არამედ იმიტომ, რომ იგი ნაბიჯია ოპორტუნიზმისაკენ, რომ ამ ნაბიჯს ჩვენ უფრო

* — ლიტერატორთა კინკლაობა. რ ე დ.

** — ვითომ. რ ე დ.

თვალსაჩინოდ ვხედავთ — — ნის წერილში და სტატიაში «ერთხელ კიდევ უმცირესობაში» *. ოქმები დაგვანახვებს სტატიის — «ჩვენი ყრილობის» ავტორის იმ აზრის ფაქტიურ უმართებულობას, თითქოს «დავა პარტიის წესდების განხილვის დროს ტრიალებდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა ორგანიზაციის საკითხის გარშემო». სწორედ პირიქით. ერთადერთი მართლაც პრინციპული დავა, რომელმაც ასე თუ ისე გარკვეულად გაჰყო ორივე «მხარე» (ე. ი. ისკრელთა უმრავლესობა და უმცირესობა), ეს იყო დავა პარტიის წესდების 1-ლ პარაგრაფზე. ხოლო დავა საბჭოს შემადგენლობაზე, ცენტრებში კოოპტაციაზე და სხვა დარჩა დავად ცალკეულ დელეგატებს შორის, ჩემსა და მარტოვს შორის და სხვ., ეს დავა ეხებოდა შედარებით ძალიან კერძო დეტალებს და არავითარ გარკვეულ დაჯგუფებას არ იწვევდა ისკრელებისას, რომლებიც თავიანთი ხმის მიცემით ასწორებდნენ ხან ერთისა და ხან მეორე ჩვენთაგანის გატაცებას. ამ დავამდე დაყვანა უთანხმოებათა წყაროსი იმ საკითხებში, თუ რა წესებით გავატაროთ ცენტრალიზმი, რა ფარგლებში, რა ხასიათი მიეცეს მას და სხვ. — ნიშნავს იმას, რომ პირდაპირ შევალამაზოთ უმცირესობის პოზიცია და ხერხი ბრძოლისა ცენტრების პირადი შემადგენლობის შეცვლის გულისთვის, ბრძოლისა, რომელსაც უმცირესობა ეწეოდა და რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ გამოიწვია ჩვენი უთანხმოება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

დაწერილია 1903 წლის დეკემბრის დამდეგს

დაიბეჭდა 1903 წლის დეკემბერს ცალკე ფურცლად ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

---

* მაშინ ჩვენ აგრეთვე ვთხოვთ აგვიხსნან, რას ნიშნავს სტატიის «ჩვენი ყრილობის» მითითებანი დაუმსახურებელ უყურადღებობაზე არაისკრელებისადმი, წესდების ზუსტი მუხლების შეუსაბამობაზე პარტიის ძალების რეალურ თანაფარდობასთან. რას შეეხება ეს მითითებანი?

წერილი რსდმპ ც. კ.-ისა საზღვარგარეთული ლიგის ადმინისტრაციას, პარტიის ხელშემწყობ ჯგუფებს და პარტიის საზღვარგარეთ მყოფ ყველა წევრს

ამხანაგებო! პარტიის საბოლოოდ გაერთიანება ახლა ჩვენს წინაშე აყენებს საარსებო და უცილობელ ამოცანას — ფართოდ გავაჩაღოთ სოციალ-დემოკრატიის მუშაობა საზღვარგარეთ და მტკიცედ გავაერთიანოთ ამ სარბიელზე მოქმედი ყველა მუშაკი.

პარტიის წესდების (§ 13) თანახმად, პარტიის მთელი საზღვარგარეთული მუშაობა განიყოფება ორგანიზაციის ტიპის მიხედვით განსხვავებულ ორ დიდ დარგად. ერთი მხრივ, პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეს საზღვარგარეთ უშუალოდ განაგებს და თავს უყრის თავის ხელში საზღვარგარეთული ლიგა. ც. კ. ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რათა ხელი შეუწყოს ამ საქმის სრულ ცენტრალიზებას ლიგის ხელში და უზრუნველჰყოს მისი ავტონომია ამ ფუნქციაში. მეორე მხრივ, რუსეთის მოძრაობას ლიგა ხელს უწყობს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირთა და ჯგუფთა მეშვეობით.

ც. კ. მოუწოდებს ლიგის ყველა წევრს, ყველა ხელშემწყობ ჯგუფსა და პარტიის ყველა წევრს, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, ყოველ მხრივ დაეხმარონ ლიგას მის საპროპაგანდო და სააგიტაციო მუშაობაში; ც. კ-ს განზრახვა

აქვს ახლა მთელი ძალღონე მიმართოს ამ მოსაშუალე ჯგუფთა ორგანიზებისაკენ, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეეწყოს ხელი რუსეთის მოძრაობას.

თავისი ამოცანები ამ დარგში ც. კ-ს შემდეგნაირად ესმის.

რუსეთის მოძრაობას საზღვარგარეთიდან ხელი უნდა შეეწყოს უმთავრესად იმით, რომ 1) გაიგზავნოს რუსეთში რევოლუციური მუშაკები; 2) გაიგზავნოს რუსეთში საზღვარგარეთ შეგროვილი ფულადი თანხები; 3) თავმოყრილ იქნას საზღვარგარეთ რუსთა ისეთი კავშირურთიერთობანი, შეიკრიბოს ისეთი ცნობები და მითითებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რუსეთს იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს იქ მოქმედ ამხანაგებს, თავიდან აიცილონ მათ ჩავარდნები და სხვ.; 4) გაიგზავნოს რუსეთში ლიტერატურა და სხვ.

ჩვენ არ ვიჩემებთ იმას, თითქოს ამით ამოიწურებოდეს საზღვარგარეთიდან რუსეთის მოძრაობისათვის უშუალო დახმარების ყველა ფორმა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით საკმარისია დავსახოთ ამ დახმარების მთავარი ფორმები და ამ ფორმებს შევუფარდოთ შესაქმნელი ორგანიზაცია. გამოცდილება დაგვანახვებს, რამდენად საჭირო იქნება ამ ორგანიზაციის ცვლილებანი მომავალში.

დავიწყოთ რუსეთში მუშაობისათვის ადამიანების გაგზავნით. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა წამსვლელთა რაც შეიძლება მეტი ნაწილი უშუალოდ დაკავშირებოდა ც. კ-ის მთავარ აგენტურას საზღვარგარეთ — სახელდობრ ჟენევის აგენტურას, მიეღო მისგან წარგზავნილობის საბუთი, პაროლები, ფული და საჭირო მითითებები. მაგრამ სამუშაოდ მიმავალ მთელ რიგ პირთ არ შეუძლიათ, რა თქმა უნდა, ჟენევაში შევლა, და ამიტომ ც. კ-ს განზრახული აქვს თავისი აგენტები დანიშნოს საზღვარგარეთის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცენტრში: ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში, ვენაში და სხვ.. ყველამ, ვისაც განზრახვა აქვს გაემგზავროს რუსეთში სამუშაოდ, მიმართოს ც. კ-ის ადგილობრივ აგენტს, და ეს აგენტი ყოველგვარ ზომებს მიიღებს,

რომ მიმავალმა რაც შეიძლება მალე და უვნებლად მიაღწიოს დანიშნულების ადგილს, რათა რუსეთში მიმავალის პირველი ნაბიჯები შეესაბამებოდეს ც. კ-ის საერთო გეგმას ძალებისა და სახსრების განაწილების მხრივ და სხვ.. ც. კ. იმედოვნებს, რომ საზღვარგარეთული ლიგა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ც. კ-ის ამ აგენტებს — მაგალითად, იმით, რომ საზღვარგარეთ მყოფ რაც შეიძლება მეტ პირებს გააცნობს ამ აგენტების ფუნქციებს, მათთან კავშირურთიერთობის დამყარების პირობებს და ხელს შეუწყობს რაც შეიძლება უფრო კონსპირაციულად მოეწყოს ეს კავშირურთიერთობა და სხვ.

რადგან ადამიანების გაგზავნა რუსეთში საზღვარგარეთის დიდი ცენტრებიდან ძალიან დიდი საქმეა და რადგან მიმავალთა სათანადოდ გაცნობა ხშირად აღემატება ერთი პირის ძალღონეს, ც. კ., საჭიროებისდა მიხედვით, დანიშნავს არა ერთს აგენტს, არამედ აგენტების ჯგუფს, პარტიის წესდების § 13-ის თანახმად.

შემდეგ. რაც შეეხება ფულის გაგზავნას, აქ ყველაზე მეტად სასურველია მთელი საზღვარგარეთის მასშტაბით ფულის შეკრების სრული ცენტრალიზაცია ლიგის ხელში და ლიგის ადმინისტრაციის მიერ თანხების გადაცემა ცენტრალური კომიტეტისათვის. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევებში, შეიძლება, საჭირო გახდეს, გამოცდილების მიხედვით, განსაზღვრული თანხები გადაეცეს უშუალოდ ლიგის ადგილობრივი სექციებიდან ც. კ-ის ადგილობრივ აგენტებს, როცა, მაგალითად, სასწრაფო გარემოება მოითხოვს დაუყოვნებლივ გაეწიოს დახმარება გაქცევას, კაცის გაგზავნას, ლიტერატურის გადაგზავნას და სხვ.. ც. კ-ს იმედი აქვს, რომ ლიგის ადმინისტრაცია სათანადო მითითებებს მისცემს სექციებს და შეიმუშავებს ფულის შეგროვებისა და ხარჯვის ანგარიშგების საუკეთესო ფორმებს.

შემდეგ, ყველამ იცის, რა თქმა უნდა, რომ ძალიან ხშირად ის პირნი, რომლებიც საზღვარგარეთ ჩამოდიან რუსეთიდან, გვაწვდიან ისეთს ცნობებს, რომლებიც მეტად საყურადღებო იქნებოდა რუსეთის მუშაკებისათვის, — მაგალი-

თად, ცნობები ჩავარდნების ოდენობაზე, იმაზე, რომ აუცილებელია ჩავარდნის ადგილიდან დაშორებული ქალაქის ამა და ამ ამხანაგების გაფრთხილება, რომ აუცილებელია გამოიყენონ რუსეთში ესა და ეს კავშირი, რომლის გამოყენება ვერ მოასწრო ან ვერ შესძლო გამოქცეულმა ან წამოსულმა ამხანაგმა და სხვ. რა თქმა უნდა, იმისდა მიხედვით, რამდენადაც საბოლოოდ გაერთიანდება მთელი პარტიული მუშაობა ც. კ-ის ხელმძღვანელობით, სულ უფრო და უფრო გახშირდება იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ეს ცნობა და მითითება თვით რუსეთშივე იქნას შეკრებილი, ეს ერთადერთი ნორმალური და სასურველი გზაა. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა მიზეზით რუსეთიდან გამოქცეული ან ლეგალურად წამოსული ამხანაგები ვერ ასწრებენ კავშირის გაბმას რუსეთში, ასე რომ აუცილებელი იქნება ვისარგებლოთ ამისთვის მათი ყოფნით საზღვარგარეთ.

დასასრულ, ც. კ., რა თქმა უნდა, შეეცდება ლიტერატურის ტრანსპორტის საქმე რაც შეიძლება სრულად მოაქციოს საგანგებო სატრანსპორტო ჯგუფის ხელში, რომლის წევრთა ერთი ნაწილი მუდამ საზღვარგარეთ იქნება. ამიტომ ც. კ-ის საგანგებო აგენტები იქნებიან დანიშნული საზღვარგარეთის სხვადასხვა ცენტრში პარტიული ლიტერატურის საწყობების გამგეებად, საზღვრებთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად და სხვ. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საუკეთესოდ იქნება დაყენებული ტრანსპორტის საქმე, მუდამ დარჩება, რა თქმა უნდა, ისეთი ხარვეზები მასში, რომელთა შევსება საჭირო იქნება სასწრაფო ღონისძიებებით, (შეიძლება) ჩემოდნების გაგზავნით, სავაჭრო ურთიერთობის, გემთა მიმოსვლის და სხვათა რაიმე ხელსაყრელი შემთხვევების გამოყენებით. ყველა ასეთ საქმეზე ყოველგვარი ცნობები, მითითებები უნდა გაეგზავნოს აგრეთვე ც. კ-ის აგენტებს, რომლებიც ყვლა ასეთს საქმეს თავს მოუყრიან და იმოქმედებენ ც. კ-ის საერთო გეგმისა და მის მითითებათა შესაბამისად.

ც. კ. თავისი მუშაობის გეგმას აცნობებს ლიგის ადმინისტრაციას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ლიგა თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ც. კ-ის აგენტებს საზღვარგარეთ და განსაკუთრებით მიიღებს ზომებს იმისათვის, რომ ამ აგენტებმა შესძლონ და ფართოდ გაეცნონ ხელშემწყობ ჯგუფებს, ახალგაზრდობის წრეებს და სხვ. და სხვ.

დაწერილია 1903 წლის დეკემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ. ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნა ახალი «ისკრის» პოზიციის გამო

იმ პოზიციაში, რომელიც დაიკავა ამჟამად «მარტოვის» «ისკრამ», მე განსაკუთრებით მაშფოთებს შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი-ყ ა ლ ბ ე დ ა ს ი ც რ უ ე, საქმის დედაარსის გვერდის ავლის ცდები, პარტიული საზოგადოებრივი აზრისა და გადაწყვეტილების ესკამოტირების ცდები, ცნებებისა და ფაქტების შ ე-ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს ცდები. და ვფიქრობ მხოლოდ საქმის უცოდინარობით შეიძლება აიხსნას ის სიჩლუნგე და ამ სიცრუისადმი გულგრილობა, უგრძნობლობა, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგი იჩენს. უცოდინარობას ახსნა-განმარტებით უნდა შეებრძოლო, და მეც არავითარ შემთხვევაში ხელს არ ავიღებ ჩემს განზრახვაზე — არქიდაწვრილებით (თუ საჭირო იქნება ყ ვ ე ლ ა დოკუმენტით) განვმარტო მთელი საქმე საგანგებო ბროშურაში, რომელსაც ხელს მოვკიდებ, როგორც კი პარტიისა და ლიგის ყრილობათა ოქმები გამოვა, ე. ი. ძალიან მალე [30].

ძირითადი გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ა, რომლის მეოხებითაც ა ტ-ყ უ ე ბ ე ნ მარტოველები პარტიას (ატყუებენ, შესაძლოა და მოსალოდნელიც კია, უწინარეს ყოვლისა თავიანთ თავს საკუთარი ისტერიულობის გამო), ეს არის, ჯერ-ერთი, ისკ-რელთა დაშორების ნამდვილი წყაროებისა და მიზეზების შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა. მეორე, ეს არის წრეობანისა და დეზორ-განიზაციის, სექტანტობისა და პარტიულობის ცნებათა შ ე-ნ ა ც ვ ლ ე ბ ა.

პირველი შენაცვლება იმაში მდგომარეობს, რომ «პრინციპულ» უთანხმოებად სახავენ იმ, არსებითად, ურთიერთლანძღვას, რომლითაც უმასპინძლდებოდა ერთმანეთს ორივე მხარე ყრილობის შემდეგ, ოპოზიციასთან ცენტრების ბრძოლის დროს. ურთიერთლანძღვა იმაში მდგომარეობდა, რომ ოპოზიცია უმრავლესობას უწოდებდა თვითმპყრობელებს, ფორმალისტებს, ბიუროკრატებს etc. *, ხოლო უმრავლესობა ოპოზიციას უწოდებდა ისტერიულ გაიძვერებს, დაწუნებული მინისტრების ან ისტერიული სკანდალისტების პარტიას (იხ. ლიგის ყრილობა).

და აი ახლა ამ ურთიერთ «კომპლიმენტთა» **ერთი** მხარე ც. ო.-ში გამოაქვთ როგორც პრინციპული უთანხმოება! განა ეს საზიზღრობა არ არის?

ნამდვილად კი დაშორების მიზეზი იყო მარტოველთა შებრუნება ჭაობისაკენ. ეს შებრუნება ნათლად გამოხატა ყრილობაზე კამათმა წესდების § 1-ის გამო და დაჯგუფებამ ცენტრების არჩევის დროს. ამ უთანხმოებას, თავის გარკვეულ ნაწილში უეჭველად პრინციპულ უთანხმოებას, გვერდს უვლიან და აფუჩეჩებენ.

მეორე შენაცვლება იმაში მდგომარეობს, რომ მარტოველები, რომელთაც სამი თვის განმავლობაში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მთელს პარტიასა და მთელს მუშაობაში წრის ინტერესების გულისათვის, ცენტრებში გაძრომის გულისათვის (ვინაიდან არავინ არ ზღუდავდა პოლემიკას არსებითად და აზრთა გამოთქმის თავისუფლებას, პირიქით, მარტოველებს ეპატიჟებოდნენ და სთხოვდნენ ეწერათ), ახლა, ეს მარტოველები, როდესაც უკანა კარებიდან გაძვრნენ რედაქციაში, სიყალბეს სჩადიან უმრავლესობის წინააღმდეგ სასაცილო ბრალდების წაყენებით — ბრალად სდებენ დეზორგანიზაციის გამომწვევ ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს, და სხვ. ამასთან აფუჩეჩებენ თავიანთ ბოიკოტს, თავიანთ გაიძვერობას etc. განა ეს საზიზღრობა არ არის? ორში ერთი: ან დავიწყებას უნდა

* — et cetera — და სხვ. რედ.

მიეცეს მთელი «კინკლაობა» და მაშინ სულ აღარ უნდა ვილაპარაკოთ მასზე, არ უნდა გავაჭაჭანოთ ც. ო.-ში კინკლაობის ნატამალიც კი, რადგან ბიუროკრატიზმზე ყვირილი სწორედ რომ საძაგელი გაიძვერობის ნატამალია. ან უნდა აღიძრას აზრთა სხვადასხვაობის საკითხი — და მაშინ უკვე ყველაფერი უნდა გამოვააშკარავოთ.

დაწერილია 1903 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში X

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წინასიტყვაობა გროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ»

ჩემს მიერ გადმობეჭდილი «წერილი ამხანაგისადმი» * ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაიწერა, — თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1902 წლის სექტემბერს. თავდაპირველად ის ხელიდან ხელში გადადიოდა ასლების სახით და ვრცელდებოდა მთელს რუსეთში, როგორც ისკრულ ორგანიზაციულ შეხედულებათა გადმოცემა. შემდეგ ციმბირის კავშირმა წარსული წლის ივნისში გადაბეჭდა ეს წერილი და გაავრცელა ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობით. ამრიგად ეს წერილი უკვე სავსებით საჯარო კუთვნილებად გადაიქცა, და ახლა არავითარი საფუძველი აღარ არსებობს შევაფერხოთ მისი გამოქვეყნება. ის მოსაზრება, რომლის გამო არ ვბეჭდავდი ამ წერილს წინათ, — სახელდობრ ლიტერატურულად მისი მეტისმეტად დაუმუშავებლობა, მისი სრულიად «შავად ნაწერის» ხასიათი — ახლა მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან სწორედ ასე შავად ნაწერს გაეცნო ამ წერილს უკვე ბევრი რუსი პრაქტიკოსი. გარდა ამისა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ წერილის შავად ნაწერის სახით გადაბეჭდვისათვის (მე მასში მხოლოდ სრულიად აუცილებელი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 281 — 308. რ ე დ.

სტილისტური შესწორებანი შევიტანე) არის მისი მნიშვნელობა ახლა, როგორც «დოკუმენტისა» *. «ისკრის» ახალმა რედაქციამ უკვე № 53-ში წამოაყენა, როგორც ცნობილია, უთანხმოებანი ორგანიზაციული საკითხების გამო. სამწუხაროდ, სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს უთანხმოებანი, რედაქცია არ ჩქარობს გარკვევით აღნიშნოს და მეტწილად სჯერდება გადაკვრით ლაპარაკს იმაზე, რაც არავინ უწყის.

უნდა შევეცადოთ და ახალ რედაქციას შევუმსუბუქოთ ეს ძნელი ამოცანა. დაე «ისკრის» ძველი ორგანიზაციული შეხედულებები ყველასათვის ცნობილი გახდეს დეტალურად, თუნდაც შავად ნაწერის სახით, — შეიძლება, მაშინ მაინც გაუმხილოს ახალმა რედაქციამ თავისი ახალი ორგანიზაციული შეხედულებები იმ პარტიას, რომელსაც ის «იდეურად ხელმძღვანელობს». შეიძლება, ახალმა რედაქციამ მაშინ მაინც გაგვაცნოს იმ ძირითადი ცვლილებების ზუსტი ფორმულირება, რომელთა შეტანას ჩვენს პარტიულ ორგანიზაციულ წესდებაში ის, ალბათ, ივარაუდებდა. ვინაიდან ვის არ ესმის, მართლაც, რომ სწორედ ამ ორგანიზაციულმა წესდებამ აითვისა ჩვენი მუდმივი ორგანიზაციული გეგმები?

თუ მკითხველები «რა ვაკეთოთ?»-ს ** და «ისკრის» სტატიებს ორგანიზაციულ საკითხებზე შეადარებენ ამ «წერილს ამხანაგისადმი», ხოლო ამ უკანასკნელს შეადარებენ მეორე ყრილობაზე მიღებულ წესდებას, მათ შეუძლიათ ნათელი წარმოდგენა იქონიონ იმაზე, თუ რა თანამიმდევრად ვატარებდით ჩვენ, ისკრელთა უმრავლესობა და პარტიული ყრილობის უმრავლესობა, ჩვენს ორგანიზაციულ «ხაზს». ხოლო «ისკრის» ახალი რედაქციისაგან ჩვენ მოველოდებით, და

* მას შემდეგ, რაც ჩემმა ოპონენტებმა არა ერთხელ გამოთქვეს სურვილი გამოეყენებინათ ეს წერილი, როგორც დოკუმენტი, მე ჩემის მხრივ მასში რაიმე ცვლილების შეტანას გადაბეჭდვის დროს პირდაპირ... როგორ ვთქვა უფრო რბილად?.. უხერხულად მივიჩნევდი.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 5, გვ. 431 — 673. რედ.

დიდი მოუთმენლობითაც მოველოდებით მის ახალ ორგანიზაციულ შეხედულებათა გადმოცემას, მოველოდებით მითითებას, სახელდობრ რაზე და სახელდობრ რა მომენტიდან გაუტყდა მას გული და რატომ დაიწყო «დაწვა იმისა, რასაც თაყვანს სცემდა».

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1904 წ. იანვარი.

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში
ნ. ლ ე ნ ი ნ ი. «წერილი ამხანაგს
ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების
შესახებ», ჟენევა

«ბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

ბოლოსიტყვაობა ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ»

«ისკრის» რედაქცია № 55-ში ამბობს, რომ ც. კ. და ოპოზიცია «შეთანხმდნენ დავიწყებას მიეცეს» ის ფაქტები, რომლებიც მოხსენიებულია ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციის მიმართ» («რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?») *. რედაქციის ეს განცხადება «ფუჭი წერაა», ჭეშმარიტად ფორმალისტური, ბიუროკრატული და კანცელარიული (ამხ. აქსელროდის მშვენიერი სტილით რომ ვთქვათ). ნამდვილად კი ასეთი შეთანხმება ა რ ყ ო ფ ი ლ ა, როგორც ამას პირდაპირ აცხადებს ც. კ-ის საზღვარგარეთელი წარმომადგენელი საგანგებო ფურცელში, რომელიც გამოვიდა «ისკრის» № 55-ის გამოსვლისთანავე. ასეთი შეთანხმება ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, როგორც ეს ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ყურადღებით წაიკითხავს ჩემს წერილს, ვინაიდან ოპოზიციამ უ ა რ ჰ ყ ო «კეთილი ზავი», რომელიც წამოაყენა ც. კ-მა და რომელშიც, უ ს ა თ უ ო დ, შეტანილი იქნებოდა პირობა — დავიწყებას მისცემოდა ყველაფერი ის, რაც ღირსია დავიწყებისა. ნუთუ რედაქცია იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ მას შემდეგ, რაც ზავი უარჰყო და № 53-შ ი ო მ ი დ ა ი წ ყ ო ყ ბ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს

* იხ. ეს ტომი, გვ. 131 — 139. რ ე დ.

წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მას იმედი ჰქონდა, რომ მოპირდაპირე მხარე კრინტს არ დაძრავდა ამ ბიუროკრატიზმის ზღაპრების ნ ა მ დ ვ ი ლ წყაროზე?

რედაქციას ძალიან, ძალიან არ მოეწონა, რომ მე ამ ზღაპრების ნამდვილ წყაროს კ ი ნ კ ლ ა ო ბ ა ვუწოდე (**Literatengezänk** — ლიტერატორების კინკლაობა). ოღონდაც! მაგრამ უბადრუკი სიტყვების კორიანტელი ამ მართლაც არასასიამოვნო ფაქტის გამო ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ფაქტის გაბათილებას.

ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ორი შეკითხვა მივცეთ უპატივცემულეს რედაქციას.

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე კ ი თ ხ ვ ა. რატომ არის, რომ ზ ო გ ი ე რ თ ს მხოლოდ თ ა ვ შ ე ს ა ქ ც ე ვ ა დ ეჩვენება, როცა უსასტიკეს ბრალად სდებენ — თვითმპყრობელობას, რობესპიერისებურ რეჟიმს, გადატრიალების მოხდენას და სხვ. და სხვ., ს ხ ვ ე ბ ს კი საშინლად ს წ ყ ი ნ თ მშვიდი ლაპარაკი ფაქტებზე და ფაქტიურად მოთხოვნილ გენერლის ადგილებზე? იმდენად სწყინთ, რომ სრულიად «უმაქნისო» სიტყვებს წარმოთქვამენ «პირადობაზე», «მორალურ ჩრდილზე» და «მდაბალ (საიდან სადაო??) მოტივებზედაც კი»? რატომაა ასეთი განსხვავება, ჩემო მეგობრებო, — ჰა? იმიტომ ხომ არა, რომ გენერლის ადგილი «უფრო მდაბალია», ვიდრე თვითმპყრობელის ადგილი?

მ ე ო რ ე შ ე კ ი თ ხ ვ ა. რატომ არ განუმარტავს მკითხველებს რედაქცია, თუ რ ა ტ ო მ გამოთქვამდა იგი (იმ შორეულ დროს, როცა ის ოპოზიციას ეკუთვნოდა და სინამდვილეში წარმოადგენდა «უმცირესობას») სურვილს დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა ს მ ი ს ც ე მ ო დ ა ზოგიერთი ფაქტი? ხომ არ ფიქრობს რედაქცია, რომ მარტო აზრად გავლებაც კი სურვილისა, რათა «დავიწყებას მისცემოდა» პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი უთანხმოებანი — უაზრობაა და არც ერთ ჭკუათამყოფელ ადამიანს არ მოუვიდოდა თავში?

ხომ ხედავთ, რა მოუხერხებელნი ხართ, ჩემო ძვირფასნო «პოლიტიკურო მოწინააღმდეგენო»! თქვენ გინდოდათ მო-

გესპეთ ბრალდებით, თითქოს მ ე პრინციპული დავა კინკ-ლაობის სფეროში გადამქონდეს, ხოლო ამის ნაცვლად თქვენ დ ა ა დ ა ს ტ ურ ე თ ჩემი მტკიცება ზოგიერთი თქვენი «უთანხმოების» ნამდვილი წყაროს შესახებ.

შემდეგ. თავისი მოუხერხებლობის გამო რედაქციამ აღია-რა კინკლაობა იყოო, მაგრამ არ გაისარჯა განემარტა მკითხვე-ლებისთვის, სად თავდება, მისი აზრით, პრინციპული უთან-ხმოება და სად იწყება კინკლაობა. რედაქცია ყურს იყრუებს იმაზე, რომ მე ჩემს წერილში ვცდილობ ს რ უ ლ ი ა დ ზ უ ს-ტ ა დ გავმიჯნო როგორც ერთის, ისე მეორის სფერო. მე იქ ცხადვყოფ, რომ პრინციპულმა უთანხმოებამ (არც ისე დიდად ღრმამ, რომ ნამდვილი დაშორება გამოეწვია) თავი იჩინა წეს-დების § 1-ის საკითხის გამო და გაფართოვდა ისკრული უმ-ცირესობის არაისკრულ ელემენტებთან დაახლოებით ყრილო-ბის დასასრულს. ცხადვყოფ აგრეთვე იმასაც, რომ ლაპარაკი ბიუროკრატიზმზე, ფორმალიზმზე და სხვ. უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს იმ კინკლაობის უბრალო გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ს, რო-მელსაც ადგილი ჰქონდა ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე მ დ ე გ.

რედაქცია, ალბათ, არ ეთანხმება «პრინციპულობისა» და «დასავიწყებელის» ა მ გ ვ ა რ გამიჯვნას? მაშ რატომ არ გაი-სარჯა, რომ ეცნობებინა თ ა ვ ი ს ი აზრი ამ სფეროთა «სწო-რად» გამიჯვნის შესახებ? იმიტომ ხომ არა, რომ ეს სფეროები ჯერ კიდევ არ გამიჯნულან (და არც შეიძლება გაიმიჯნონ) მის შეგნებაში?

პატივცემული ამხანაგ აქსელროდის ფელეტონის მიხედვით, რომელიც «ისკრის» იმავე № 55-შია მოთავსებული, მკითხვე-ლებს შეუძლიათ განსაჯონ საით მივყავართ ამ... განურჩევლო-ბას და რას ემსგავსება ჩვენი ცენტრალური პარტიული ორგა-ნო. ჩვენს დავაზე წესდების § 1-ის შესახებ ამხ. აქსელროდი კ რ ი ნ ტ ს ა ც არა ძრავს არსებითად და კმაყოფილდება გა-დაკრული სიტყვებით «პერიფერიულ საზოგადოებებზე», რაც აბსოლუტურად გაუგებარია იმისათვის, ვინც ყრილობას არ დასწრებია. ამხ. აქსელროდს, ალბათ, დაავიწყდა, რა დიდხანს და საფუძვლიანად ვდავობდით § 1-ის გამო! სამაგიეროდ ამხ.

აქსელროდმა შეიმუშავა «თეორია», რომლის მიხედვით «ყრილობაზე გამოცხადებულ ისკრელთა უმრავლესობა გამსჭვალული იყო რწმენით, რომ მათი მთავარი ამოცანაა... ბრძოლის გაჩაღება შინაურ მტრებთან». «ამ მისიის გამო» უმრავლესობისათვის «დაიჩრდილა (პატივცემულ ამხ. აქსელროდის მტკიცე რწმენით) მომავალი დადებითი ამოცანა». «დადებითი მუშაობის პერსპექტივამ გადაიწია გაურკვეველი მომავლის ნისლოვან სიშორეში»; პარტიის წინაშე დგას უფრო გადაუდებელი «სამხედრო ამოცანა შინაური მტრების დაცხრობისა». და ამხ. აქსელროდს სიტყვებიც ვერ მოუნახავს, რომ გაჰკიცხოს ეს «ბიუროკრატული * (ანუ მექანიკური) ცენტრალიზმი», ეს «იაკობინური» (!!?) გეგმები, ეს «დეზორგანიზატორები», რომლებიც ვიღაცას «ავიწროებენ და სდევნიან, როგორც «კრამოლნიკებს»».

რათა ცხადვყოთ, რა ფასი აქვს ამ თეორიას, — უფრო ხწორად რომ ვთქვათ, ამ ბრალდებებს ყრილობის უმრავლესობის მიმართ — კრამოლის (ალბათ, წ ა რ მ ო ს ა ხ უ ლ ი კრამოლის) დევნის დეზორგანიზატორული ტენდენციებისა და დადებითი მუშაობის უგულებელყოფის შესახებ, ჩემთვის საკმარისი იქნება მოვაგონო გულმავიწყ ამხ. აქსელროდს ე რ თ ი (ჯერჯერობით ერთი) პატარა ფაქტი. 1903 წლის 6 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც დიდხანს ვარწმუნეთ უმცირესობის წევრები, თუ რა უაზრო და დეზორგანიზატორული ხასიათისა იყო მათი ბოიკოტი, ჩვენ პლეხანოვთან ერთად ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ ვთხოვეთ «კრამოლნიკ» ლიტერატორებს (და მათ შორის ამხ. აქსელროდსაც) ხელი მოეკიდნათ დადებითი მუშაობისთვის და ოფიციალურად განვუცხადეთ, რომ ამ მუშაობაზე უარისთქმა უგუნურებაა როგორც პირადი გაბრაზების თვალსაზრისით, ისე ამა თუ იმ უთანხმოებათა (რომელთა

* მართლა. რედაქციის ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ჩემი ბროშურა გამოდის «დადგენილი სათაურით». როგორც დაჯერებული ცენტრალისტი, მე ვემორჩილები ჩვენი ც. ო-ს «პრინციპულ» მითითებებს; მან № 55-ში შემოიღო განყოფილება პარტიულ გამოცემათა მიმოხილვისა «სათაურთა» თვალსაზრისით (ფორმალიზმთან ბრძოლის გულისთვის).

გადმოსაცემად ჩვენ ვ უ თ მ ო ბ თ ჩვენი გამოცემების ფურცლებს) თვალსაზრისითაც *.

ამხ. აქსელროდმა ეს დაივიწყა. მან დაივიწყა, რომ მაშინ გადაჭრით უარი გვტკიცა მიზეზების სრულიად განუმარტებლად. მან დაივიწყა, რომ მისთვის მაშინ, ამ ძველისძველ დროს, «დადებითი მუშაობა გადაიწეოდა გაურკვეველი მომავლის ნისლოვან სიშორეში», რომელი მომავალიც მხოლოდ 1903 წლის 26 ნოემბერს იქცა სასურველ აწმყოდ [40].

ამხ. აქსელროდმა არათუ «დაივიწყა» ეს, არამედ საერთოდ მისი სურვილი იქნებოდა «დავიწყებისათვის მიეცა» მსგავსი «პიროვნებები», ხომ ასეა?

როცა უმცირესობას მიუთითებენ იმაზე, რომ მას მ თ ე ლ ი თ ვ ე ე ბ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი დეზორგანიზაცია შეჰქონდა პარტიაში, მიტოვებული ჰქონდა დადებითი მუშაობა, უ ა მ რ ა ვ ძ ა ლ ე ბ ს უცდენდა ც. კ-ს თავისი კინკლაობით, — ეს «პირადი ამბებია», ეს ნიშნავს მორალური ჩრდილის მიყენებას, ეს ნიშნავს ტენდენციათა ბრძოლის ჩამოქვეითებას კინკლაობის დონემდე. ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ც. ო-ს ფურცლებზეო.

ხოლო როცა პარტიული ყრილობის უმრავლესობას ბრალს სდებენ იმაში, რომ მან გაბედა და დრო დახარჯა «კრამოლნიკების» შეგონებაზე, რომ მან (წ ა რ მ ო ს ა ხ უ ლ) დეზორგანიზატორებთან ბრძოლით დეზორგანიზაცია შეიტანა პარტიაშიო, — ეს პრინციპული უთანხმოებანია, რასაც უნდა «შემოენახოს» «ისკრის» სვეტებიო. განა ასე არაა, პატივცემულო ამხ. აქსელროდ?

შესაძლოა, გარშემო რომ მიმოიხედოს ამხ. აქსელროდმა, ახლაც ბევრი მაგალითი ნახოს, თუ უმცირესობის პრაქტიკოსებისთვისაც როგორ ხდება «დადებითი მუშაობის» გადაწევა ასევე სასურველის, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი მომავლის ბუნდოვან სიშორეში?

არა, იცით რა, თქვენთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა სრულიად არ შეხებოდით დადებითი მუშაობისადმი უმრავ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 438. რ ე დ.

ლესობისა და უმცირესობის დამოკიდებულების საკითხს! უფრო ხელსაყრელი იქნებოდა არ გაგეხსენებინათ ის, რასაც ლაპარაკობს, მაგალითად, ქალაქ — ვის ერთი ქარხნის მუშა შემდეგს წერილში ჩემდამი:

«ძვირფასო ამხანაგო!

უკანასკნელ დროს, ე. ი. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, გამოგვიცხადეს, ც. კ. ყრილობას ერთსულოვნად არ აურჩევია, ყრილობა ორ ნაწილად გაითიშა ცენტრალური კომიტეტისადმი ცენტრალური ორგანოს დამოკიდებულების საკითხში და შეიქმნა ეგრეთწოდებული უმრავლესობა და უმცირესობაო. ყოველივე ეს მძიმე ლოდივით დაგვატყდა თავს და მთელი თავისი სიმძიმით წელში ძოგვგზნიქა, რადგან თვით საკითხი ც. კ-ისადმი ც. ო-ს დამოკიდებულებისა ჩვენთვის მოულოდნელი ამბავი იყო: ყრილობამდე ხომ ეს საკითხი არათუ არც ერთ წრეში და კრებაზე არ განხილულა, არამედ, რამდენადაც მახსოვს, ლიტერატურაშიც დუმილით გვერდს უელიდნენ მას. აი სწორედ ეს დუმილი ამ საკითხზე ყრილობამდე ჩემთვის გაუგებარია. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს საკითხი სულაც არ არსებულა, უნდა აღვიაროთ, რომ იმ ამხანაგებს, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალღონე შესწირეს პარტიის გაერთიანებას, ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი მისი ორგანიზაცია, ე. ი. მისი აღნაგობა. მაგრამ მეორე მოსაზრება სრულიად შეუძლებელია, რადგან იმ საკითხმა, რომელმაც ახლა პარტია გათიშა, ნათლად დაგვანახვა, რომ შეხედულება პარტიის აღნაგობაზე არსებობდა, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ესმოდა ის. ხოლო თუ ეს ასეა, რატომ მალავდნენ მას? ეს ერთი. მეორეც, თვით ეს საკითხი რომ ავიღოთ, როცა მისი გადაჭრა გვიხდება, ვეკითხები ჩემს თავს: პარტიის რანაირი აღნაგობა უზრუნველჰყოფს მის ორთოდოქსულ მიმართულებას, და იქვე მის გვერდით მებადება აზრი, რომ პარტიის აღნაგობის გარდა მნიშვნელობა აქვს მისი ბელადების შემადგენლობას, ე. ი. თუ ისინი ორთოდოქსები არიან, პარტიის მიმართულებაც ორთოდოქსულია, თუ ოპორტუნისტები არიან, პარტიაც ისეთივეა. ახლა, როცა ასეთი ვარაუდები მაქვს და ვიცი პარტიის ბელადთა შემადგენლობა, უცილობლად ვემხრობი იმას, რომ ც. ო.-ს უპირატესობა ჰქონდეს ც. კ-ის მიმართ პარტიის იდეური ხელმძღვანელობის საქმეში. ამის მომხრეობას კიდევ უფრო მაიძულებს რუსეთის სინამდვილე: რაგინდ ორთოდოქსულიც უნდა იყოს ც. კ., მაგრამ, რაკი ის რუსეთშია, არ შეიძლება დაზღვეული იყოს ჩავარდნისაგან და, მაშასადამე, თავისდა უნებურად ორთოდოქსობის დაკარგვისგანაც, - რადგან შემცვლელნი ყოველთვის როდი არიან იმათი შესაფერნი, ვის ადგილსაც ისინი იკავებენ. ვისაც ცოტათი მაინც კი უმუშავნია კომიტეტებში, მან არ შეიძლება არ იცოდეს ისეთი მოვლენა, როცა საუკეთესო კომიტეტს ერთ-ერთი რაიმე შემთხვევის გამო სცვლის ცუდი და პირიქით. სულ სხვაა ც. ო.: იგი სხვა პირობებშია

ჩაყენებული (თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ც. ო. საზღვარგარეთ იქნება), რაც უზრუნველჰყოფს მის უფრო ხანგრძლივ არსებობას და, მაშასადამე, ღირსეული მემკვიდრეობის მომზადების შესაძლებლობასაც. მაგრამ მე არ ვიცი, ამხანაგო, შეიძლება თუ არა ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა, ე. ი. ან ყოველთვის ც. ო-ს ჰქონდეს უპირატესობა ც. კ-ის მიმართ, ან ც. კ-ს ც. ო-ს მიმართ. მე ვფიქრობ, არ შეიძლება. ავიღოთ ასეთი მდგომარეობა: უეცრად ც. ო-ს შემადგენლობა შეიცვალა და ორთოდოქსულის ნაცვლად ოპორტუნისტული გახდა, როგორც, მაგალითად, «წინ» გერმანიაში; განა შეიძლება მაშინ უპირატესობა მიეცეს მას იდეურ ხელმძღვანელობაში? როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ ჩვენ, რომლებიც ორთოდოქსული სულისკვეთებით ვართ აღზრდილნი, ნუთუ უნდა დავეთანხმოთ მას? არა, ჩვენი მოვალეობა იქნებოდა წაგვერთმია მისთვის უპირატესობის უფლება და გადაგვეცა იგი მეორე დაწესებულებისთვის, და თუ ასე არ მოვიქცეოდით რაიმე საბაბის გამო, სულ ერთია, პარტიული დისციპლინა იქნებოდა ეს საბაბი თუ კიდევ სხვა რამე, ჩვენ ღირსნი ვიქნებოდით მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღალატეთა სახელისა. ასე ვუყურებ მე ამას და არამც და არამც არ შემიძლია დავეთანხმო ზოგიერთ ამხანაგს, რომელიც ამ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ სწყვეტს.

ახლა ჩემთვის სრულიად გაუგებარია ის ბრძოლა, რომელიც ამჟამად წარმოებს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, და ბევრ ჩვენგანს ეს ბრძოლა უმართებულოდ მიაჩნია. აბა, გვითხარით, ამხანაგო! განა ბუნებრივია ისეთი მდგომარეობა, როცა მთელი ძალები უნდება კომიტეტების ჩამოვლას მხოლოდ იმისთვის, რომ უმრავლესობასა და უმცირესობაზე ილაპარაკონ. მართალი გითხრათ, არ ვიცი. ნუთუ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას შეეწიროს მთელი ძალღონე და მისი გულისთვის ერთმანეთს ისე უყურონ, როგორც თითქმის მტრებს? და მართლაც ისე გამოდის, რომ თუ კომიტეტი შერჩეულია, ვთქვათ, ერთი ბანაკიდან, მეორედან მასში უკვე ველარავინ მოხვდება, რაგინდ გამოსადეგიც იყოს მუშაობისათვის, და, თუ გნებავთ, მაშინაც კი ვერ მოხვდება, როცა მისი მუშაობა აუცილებელია, როცა მუშაობა დიდად ზარალობს უმისობით. ამით, რა თქმა უნდა, ის კი არ მინდა ვთქვა, რომ სულ დავანებოთ თავი ბრძოლას ამ საკითხის გამო: სრულიადაც არა, მხოლოდ, ჩემის აზრით, ამ ბრძოლას უნდა მიეცეს სხვა ხასიათი და მისი გულისთვის არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მთავარი ამოცანა, სახელდობრ სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდა მასაში, რადგან მისი დავიწყებით ჩვენ ეაუძლურებთ ჩვენს პარტიას. მე არ ვიცი, პატიოსნებაა თუ არა ეს, მაგრამ როცა ვხედავ, რომ საქმის ინტერესებს ტალახში სვრიან და სრულიად ივიწყებენ, მე მათ პოლიტიკურ ინტრიგანებს ვუწოდებ. როგორღაც გული გტკივა და გეშინია, რა მოუვა საქმეს, როცა ხედავ, რომ ის

ადამიანები, რომლებიც მას სათავეში უდგანან, რაღაც .სხვა რამით არიან გართულნი. უყურებ ამას და ფიქრობ: ნუთუ ჩვენს პარტიას მუდამ გათიშვა უწერია ბედად ასეთი წვრილმანების გამო, ნუთუ უნარი არ შეგვწევს ერთ და იმავე დროს შინაური ბრძოლაც ვაწარმოოთ და საგარეოც. მაშ რისთვისღა იმართება ყრილობები, როცა მათს დადგენილებებს მხედველობაში არ იღებენ და ყველა ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება, ხოლო თავს იმით იმართლებს, ყრილობამ სწორად ვერ გადაწყვიტაო, ც. კ. ქმედუნარიანი არ არისო და სხვ.. და ამას სჩადიან ისინი, ვინც ყრილობამდე მუდამ ცენტრალიზაციაზე, პარტიულ დისციპლინაზე და სხვ. ასეთებზე გაჰყვიროდნენ, ხოლო ახლა თითქოს სურთ დაგვანახვონ, რომ დისციპლინა მხოლოდ უბრალო მომაკვდავთათვის არის საჭირო და არა მათთვის, ზედაფენის ადამიანთათვის. მათ, ალბათ, დაავიწყდათ, რომ მათი მაგალითი საშინლად რყვნის ნაკლებ გამოცდილ ამხანაგებს, უკვე გაისმის ხელახლა მუშათა უკმაყოფილება ინტელიგენციით, რომელიც ურთიერთშორის ჩხუბის გამო ივიწყებს მათ, უკვე ახლა უფრო გულფიცხნი გულზე ხელდაკრეფილნი არიან და არ იციან, რა ჰქნან. ჯერჯერობით ასეა, ხოლო მთელი ჩვენი ცენტრალიზებულად დაყენებული საქმე ცარიელ სიტყვას წარმოადგენს. მარტო იმის იმედი დაგვრჩენია, რომ მომავალში ყოველივე გამოსწორდება» [41].

დაწერილია 1904 წლის იანვარში

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში ნ. ლ ე ნ ი ნ ი. «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ», ჟენევა	იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

პარტიის წევრებს

მიმართვის პროექტი [42]

წრე თუ პარტია? აი საკითხი, რომელიც ჩვენმა ცენტრალურმა ორგანომ განსახილველად წამოაყენა.

ამ საკითხის განსახილველად წამოყენება ჩვენ უაღრესად დროულად მიგვაჩნია. მოვუწოდებთ ჩვენი ცენტრალური ორგანოს რედაქციას უწინარეს ყოვლისა თავის თავს შეხედოს. რას წარმოადგენს ეს რედაქცია? ამდენი და ამდენი წლის განმავლობაში ერთად მსხდომ და ამჟამად ბოიკოტის, დეზორგანიზაციისა და გათიშვის მუქარის გზით რედაქციაში შემძვრალ პირთა წრეს, თუ ჩვენი პარტიის თანამდებობის პირთა კოლეგიას?

ნუ შეეცდებით თავი აარიდოთ ამ კითხვას იმის დამოწმებით, რომ თქვენ კანონიერად, წესდების თანახმად ხართ კოოპტირებულნი. ჩვენ ამ კანონიერებაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ მოგიწოდებთ ფორმალურ თვალსაზრისს კი ნუ დასჯერდებით, არამედ ჩვენს კითხვას არსებითად უპასუხოთ. ჩვენ გვინდა არა მარტო იურიდიული, არამედ პოლიტიკური პასუხი. ჩვენ გვინდა ამ პასუხის მიღება სწორედ თქვენგან, ყრილობის მიერ აურჩეველო და პარტიის მიერ დაუნიშნავო ბატონო «რედაქტორებო», და არა ამხ. პლეხანოვისგან, რომელსაც, შესაძლოა, არც კი ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა თქვენი კოოპტირებისა განხეთქილების თავიდან ასაცილებლად.

წრე თუ თანამდებობრივი პარტიული კოლეგია?

თუ წრე, მაშინ რაღა საჭიროა ეს თვალთმაქცობა და ყალბი ფრაზები რაღაც პარტიის შესახებ? განა თქვენ არ გაგლიჯეთ ნამდვილად ეს პარტია, როდესაც მთელი კვირაობითა და თვეობით დასცინოდით მის დაწესებულებებსა და მის წესდებას? განა თქვენ არ დაფხრიწეთ ნამდვილად ამ პარტიის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებები, განა თქვენ არ მიიყვანეთ საქმე გათიშვამდე, განა თქვენ არა თქვით უარი დამორჩილებოდით ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოს, განა თქვენ თავს პარტიის გარეთ არ აყენებთ თქვენი ლაპარაკით იმის შესახებ, რომ პარტიული ყრილობები თქვენთვის ღვთაება არ არის, ე. ი. სავალდებულო არ არის? თქვენ ფეხით თელავთ პარტიის დაწესებულებებსა და კანონებს და ამავე დროს თავს ირთობთ «ცენტრალური პარტიული ორგანოს» სათაურით!

ხოლო თუ თქვენ პარტიის თანამდებობის პირები ხართ, მაშინ ინებეთ და განუმარტეთ ამ პარტიას, რატომ და რის გულისთვის იღწოდნენ ყრილობის მიერ დაუნიშნავი პირები მოეპოვებინათ ადგილი ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებაში? იქნებ, რედაქტორთა ძველი ოჯახური წრის «თანამომდევნობის» გულისთვის? და იმ ადამიანებს, რომლებიც ლიგის ყრილობაზე ღებულობდნენ რეზოლუციებს ამ ფილისტერული «თანამომდევნობის» შესახებ, ახლა სურთ თვალი აგვიხვიონ პარტიაზე ლაპარაკით! და მერე გაქვთ თქვენ ახლა უფლება პარტიაზე ილაპარაკოთ?

თქვენ ფორმალისტებს უწოდებთ იმათ, ვინც II ყრილობის ფორმალურ გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, — რადგან თქვენ გჭირდებათ იმ ფაქტის მიჩქმალვა და მიფუჩეჩება, რომ დ ა ა რ ღ ვ ი ე თ ნ დ ო ბ ა ამხანაგებისა, რომელთაც, უკლებლივ ყველას, ბევრჯერ და ბევრჯერ მიუციათ ერთმანეთისთვის დაპირება ყრილობის გადაწყვეტილებათა დაცვისა. თქვენ არ ემორჩილებით ფორმალურ გადაწყვეტილებებს, როდესაც ისინი თქვენს წინააღმდეგ არიან მიმართული, და ამავე დროს ურცხვად ეყრდნობით ლიგის ფორმალურ უფლებებს, როდესაც ეს უფლებები სასარგებლოა თქვენთვის, თქვენ ეყრდნობით პარტიის საბჭოს ფორმალურ გადაწყვეტილებებს, როდე-

საც თქვენ, წინააღმდეგ პარტიის ნებისა, მოახერხეთ ამ უმაღლეს პარტიულ დაწესებულებაში გაძრომა!

თქვენ ბიუროკრატებს უწოდებთ იმათ, ვისაც პარტიული თანამდებობა უჭირავს პარტიული ყრილობის ნების თანახმად და არა საზღვარგარეთული ლიტერატურული წრის კაპრიზით. თქვენ გესაჭიროებათ ამით იმ თქვენთვის არასასიამოვნო ფაქტის დაფარვა, რომ სწორედ ბიუროკრატიზმის სულით, ადგილუფროსობის სულით, ჩინებისადმი გამოდევნების სულით გაჟღენთილი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელთაც სრულიად არ შეეძლოთ მუშაობა პარტიაში, თუ ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებათა გარეთ იქნებოდნენ. დიახ, თქვენმა საქციელმა მართლაც თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენი პარტია დაავადებულია ბიუროკრატიზმით, რომელიც ადგილს მუშაობაზე მაღლა აყენებს, არ ერიდება ბოიკოტს და დეზორგანიზაციას ადგილის მოპოვების გულისათვის.

თქვენ უხეშ-მექანიკურს უწოდებთ პარტიული ყრილობის ხმათა უმრავლესობით საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ უხეშ-მექანიკურად და სასკანდალოდ არ მიგაჩნიათ საზღვარგარეთულ კოლონიებში და ლიგის ყრილობაზე ბრძოლის ის ხერხები, რამაც მოგიპოვათ თქვენი სამარცხვინო გამარჯვება ჩვენს პარტიულ რედაქციაზე! თქვენ ვერ ამჩნევთ ფარისევლობას, როდესაც პარტიის აღიარებას გვეფიცებიან ის ადამიანები, რომლებიც იმისათვის იღწოდნენ და მიაღწიეს კიდეც, რომ ცენტრალურ პარტიულ ორგანოს გასძღოლოდნენ, მაშინ როდესაც პარტიული ყრილობის უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს შეადგენდნენ!

და ამ ჭაპანწყვეტას, რომ თქვენი არასაკადრისი, ანტიპარტიული საქციელი თვალთმაქცურად შეალამაზოთ, ანარქიის ამ ქადაგებას, პარტიული ყრილობის ამ სასაცილოდ აგდებას, ფილისტერობისა და წრეობანის ამ ოპორტუნისტულ გამართლებას თქვენს ახალ ორგანიზაციულ თვალსაზრისს უწოდებთ!

ამხანაგებო! ვისაც თავი სერიოზულად მიაჩნია პარტიის წევრად, მან გადაჭრით უნდა აღიმაღლოს პროტესტის ხმა და

ბოლო მოუღოს ამ საზიზღრობას! ვინც სერიოზულად უყურებს «ისკრის» სამი წლის მუშაობას და მის მიერ მომზადებულ პარტიულ ყრილობას, რომელმაც გამოხატა მართლა პრინციპულად მტკიცე და ნამდვილად მომუშავე რუსეთის სოციალ-დემოკრატების ნება, ის ნებას არ მისცემს საზღვარგარეთულ წრეობანას, რომ მან ფეხით გათელოს ყველაფერი, რაც ამ პარტიულ ყრილობას გაუკეთებია.

ორში ერთი.

ან ჩვენ არა გვყავს პარტია, ან ჩვენს მიმართ ყოვლისშემძლეა ლიტერატორთა, რედაქტორთა საზღვარგარეთული წრე, რომელიც უკან დასწია ჩვენმა ყრილობამ, — და მაშინ ძირს ეს თვალთმაქცური სიტყვები პარტიის შესახებ, «პარტიული» გამოცემების, ორგანოებისა და დაწესებულებების ეს ყალბი «სათაურები». ჩვენ სოციალისტ-რევოლუციონერები როდი ვართ, ჩვენ შეფერადებული დეკორაციები არ გვესაჭიროება. პროლეტარიატის პარტია სიმართლეს მოითხოვს. პროლეტარიატის პარტია მოითხოვს დახავსებული წრეობანის ულმობელსა და აშკარა მხილებას. ვიქონიოთ გამბედაობა და აღვიაროთ, რომ პარტია არ არსებობს, და დავიწყოთ თავიდან, სულ თავიდან, ნამდვილი პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის მუშაობა. ჩვენ ვერ შეგვაშფოთებს წრეობანის დროებითი გამარჯვება, ჩვენ გვწამს და ვიცით, რომ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი შესძლებს შეჰქმნას თავისი ნამდვილი პარტია და არა სიტყვიერი პარტია, პარტია ნამდვილი პარტიული დაწესებულებების სახით, და არა ყალბი სათაურების სახით.

ან ჩვენ გვყავს პარტია, — და მაშინ ძირს ყველა წრეობრივი ინტერესი, ძირს სკანდალისტთა საზღვარგარეთული კრებები! მაშინ დაე დაუყოვნებლივ დასტოვონ ჩვენი პ ა რ ტ ი-უ ლ ი რედაქცია იმ პირებმა, რომლებიც ამ თანამდებობაზე პარტიულ ყრილობას არ დაუნიშნავს. მაშინ დაე აღსდგეს ც. ო-ს რედაქცია ყრილობის მიერ არჩეული ამხანაგებისაგან. მაშინ დაე ჩ ვ ე ნ ს პარტიულ ორგანოში გატარდეს პარტიული უმრავლესობის შეხედულებანი, დაე ჩ ვ ე ნ მ ა პარტი-

ულმა ორგანომ დაიცვას პარტიული ორგანიზაცია და პარტიული დაწესებულებანი და არა ტალახში თელოს ისინი.

ძირს წრეობანა და უწინარეს ყოვლისა შორს იგი ჩვენი პარტიული რედაქციისაგან!

ძირს დეზორგანიზატორები!

გაუმარჯოს პროლეტარიატის პარტიას, რომელსაც უნარი შესწევს ნამდვილად დაიცვას პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი და რომელმაც იცის პარტიული დისციპლინისა და ორგანიზაციის პატივისცემა!

ძირს თვალთმაქცური სიტყვები და ყალბი სათაურები!

დაწერილია 1904 წლის
იანვრის მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში X

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ საბჭო

1904 წლის 15 — 17 (28 — 30) იანვარი [43]

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში: ნ შ ა ხ ო ვ ი. «ბრძოლა ყრილობისათვის», ჟენევა

სიტყვები და 1904 წლის 17 (30) იანვარს შეტანილი რეზოლუციების პროექტები; პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში X

რეზოლუციების პროექტები იბეჭდება ხელნაწერთა მიხედვით

სიტყვები და პროექტი რეზოლუციისა რსდმპ III ყრილობის მოწვევის შესახებ — საბჭოს ოქმების ტექსტის მიხედვით

1

პროექტი რეზოლუციისა პარტიაში მუშაობის აღდგენის ზომების შესახებ, შეტანილი 15 (28) იანვარს

პარტიის საბჭო, მხედველობაში აქვს რა პარტიის წევრთა შორის იმ უთანხმოების გამოხატულების ხასიათი და ფორმები, რომელიც დაკავშირებულია მეორე მორიგ ყრილობასთან, აუცილებელ საჭიროებად სთვლის ენერგიულად მოუწოდოს პარტიის ყველა წევრს შეთანხმებული ერთსულოვანი მუშაობისაკენ პარტიის ორივე ცენტრალური დაწესებულების — ც. ო-ს და ც. კ-ის ხელმძღვანელობით.

ისტორიული მომენტი, რომელსაც რუსეთი განიცდის — ქვეყნის შიგნით რევოლუციური მღელვარების უდიდესი გაძლიერება და საერთაშორისო სიძნელენი, რასაც შეუძლია ომი გამოიწვიოს, — განსაკუთრებით სერიოზულ ვალდებულებას აკისრებს შეგნებული პროლეტარიატის პარტიას, პროლეტარიატისა, რომელიც პირველ რიგებში იბრძვის თვითმპყრობელობის უღლისაგან მთელი ხალხის განთავისუფლებისათვის. პარტიის ორივე ცენტრის ხელმძღვანელობით შეთანხმებული ერთსულოვანი მუშაობის აუცილებლობას ჩვენი ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, მუშათა კლასის რაც შეიძლება უფრო ფართო მასების შეგნებისა და დარაზმულობის განვითარებისათვის, ისე დაჟინებით არასდროს არ უჩენია თავი, როგორც ამჟამად.

ესა თუ ის უთანხმოებანი სულ სხვადასხვაგვარ საკითხებში ყოველთვის ყოფილა და კვლავაც გარდუვალად იჩენს

თავს პარტიაში, რომელიც გიგანტურ სახალხო მოძრაობას ემყარება და რომელიც ამოცანად ისახავს ამ მოძრაობის შეგნებული გამომხატველი იყოს, გადაჭრით უარჰყოფს რა ყოველგვარ წრეობანას და ვიწრო-სექტანტურ შეხედულებებს. მაგრამ შეგნებული მებრძოლი პროლეტარიატის ღირსეული წარმომადგენლები, მსოფლიო მუშათა მოძრაობის ღირსეული მონაწილენი რომ ვიყოთ, ჩვენი პარტიის წევრები მთელი ძალღონით უნდა ცდილობდნენ, რათა ჩვენი პარტიული პროგრამით აღიარებული პრინციპების გაგებაში და გატარების ხერხებში არავითარმა კერძო უთანხმოებამ ხელი არ შეუშალოს და ვერც შეუშალოს შეთანხმებულ ერთსულოვან მუშაობას ჩვენი ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელობით. რაც უფრო ღრმად და ფართოდ გვესმის ჩვენი პროგრამა და საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანები, რაც უფრო მეტად ვაფასებთ პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის განვითარებისათვის დადებითი მუშაობის მნიშვნელობას, რაც უფრო შორს ვდგავართ სექტანტობისა, წვრილმანი წრეობანისა და ადგილუფროსობის ანგარიშებისაგან, — მით უფრო მეტი ენერგიით უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის წევრთა უთანხმოების განხილვა ხდებოდეს დინჯად და არსებითად, რომ ამ უთანხმოებამ ხელი ვერ შეუშალოს ჩვენს მუშაობას, დეზორგანიზაცია ვერ შეიტანოს ჩვენს მოღვაწეობაში, ვერ შეაფერხოს ჩვენი ცენტრალური დაწესებულებების სწორი ფუნქციონირება.

პარტიის საბჭო, როგორც პარტიის უმაღლესი დაწესებულება, გადაჭრით გმობს დეზორგანიზაციის ყოველგვარ ცდას, ვისი მხრიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, ყოველგვარ ჩამოშორებას მუშაობისაგან, ყოველგვარ თავის არიდებას ცენტრალური პარტიული სალაროს მატერიალური დახმარებისაგან, ყოველგვარ ბოიკოტს, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ აზრთა, შეხედულებათა და ელფერთა წმინდა იდეურ ბრძოლას აქცევს ტლანქი მექანიკური ზეგავლენის ხერხად, რაღაც უღირს აყალმაყალად. პარტია დაიტანჯა უთანხმოებით, რაც უკვე თითქმის ნახევარი წელია გრძელდება, და დაჟინებით

მოითხოვს მშვიდობას. ვერავითარი უთანხმოებანი პარტიის წევრთა შორის, ვერავითარი უკმაყოფილება ამა თუ იმ ცენტრის პირადი შემადგენლობით ვერ გაამართლებს ბოიკოტს და ბრძოლის სხვა ამგვარ ხერხებს, რაც მომასწავებელია სწორედ პრინციპულობისა და იდეურობის უქონლობისა, მომასწავებელია იმისა, რომ პარტიის ინტერესები მსხვერპლად ეწირება წრის ინტერესებს, მუშათა მოძრაობის ინტერესები — ვიწრო ადგილუფროსობის ინტერესებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს, და დიდ პარტიას ყოველთვის ექნება შემთხვევა, როცა წევრთა ესა თუ ის რაოდენობა უკმაყოფილოა ამა თუ იმ ცენტრის მუშაობის განსაზღვრული ელფერით, მისი მიმართულების განსაზღვრული ხასიათით, ან მისი პირადი შემადგენლობით და სხვა. ასეთ წევრებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა გამოარკვიონ თავიანთი უკმაყოფილების მიზეზები და ხასიათი აზრთა ამხანაგური გაცვლა-გამოცვლით და პოლემიკით პარტიულ გამოცემათა ფურცლებზე, მაგრამ სრულიად შეუწყნარებელი და რევოლუციონერთათვის არასაკადრისი იქნებოდა, რომ უკმაყოფილება გამოხატონ ბოიკოტით ან იმით, რომ განზე გადგნენ და მთელი ძალღონით არ დაეხმარონ მთელ დადებითს მუშაობას, რომელსაც აერთიანებს და წარმართავს პარტიის ორივე ცენტრი. ორივე ცენტრისთვის მხარის დაჭერა, შეთანხმებული მუშაობა მათი უშუალო ხელმძღვანელობით — ჩვენი საერთო და პირდაპირი პარტიული მოვალეობაა.

ბრძოლის ისეთი უიდეო, ტლანქი მექანიკური ხერხები, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ, უეჭველი დაგმობის ღირსია, რადგან მათ შეუძლიათ სულ მთლად დაანგრიონ მთელი პარტია, რომელიც მარტოოდენ და მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონერთა ნება-სურვილით მჭიდროვდება. და პარტიის საბჭო მოაგონებს პარტიის ყველა წევრს, რომ ეს ნება-სურვილი უკვე სრული გარკვეულობით გამოიხატა ჩვენს საერთო გადაწყვეტილებაში, — პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულოდ იქნას ცნობილი მეორე ყრილობის ყველა დადგენილება და მის მიერ ჩატარებული ყველა არჩევნები. ეს გადაწყვეტი-

ლება არავის გაუპროტესტებია. ჯერ კიდევ საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელმაც საყოველთაო მადლობა დაიმსახურა ყრილობის მოწვევისათვის გაწეული მუშაობის გამო, II ყრილობის წესდების § 18-ში მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოიწონა პარტიის ყველა კომიტეტმა:

«ყრილობის ყველა დადგენილება და მის მიერ ჩატარებული ყველა არჩევნები წარმოადგენს პარტიის გადაწყვეტილებას და სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანიზაციისთვის. მათი გაპროტესტება არავის და არავითარი საბაბით არ შეუძლია, მათი გაუქმება ან შეცვლა შეუძლია მხოლოდ პარტიის შემდგომ ყრილობას».

ეს გადაწყვეტილება, მიღებული მთელი პარტიის მიერ ყრილობამდე და რამდენიმეჯერ დადასტურებული თვით ყრილობაზე, უდრის პატიოსან სიტყვას, რომელიც თავისი ნებასურვილით მისცა თავის თავს ყველა სოციალ-დემოკრატმა. მაშ დაე ნუ დაივიწყებენ ისინი ამ პატიოსან სიტყვას! დაე მალე უკუაგდონ მათ ყველა წვრილმანი ურთიერთანგარიში, დაე ერთხელ და სამუდამოდ ჩააყენონ იდეური ბრძოლა ისეთს ჩარჩოებში, რომ მან არ გამოიწვიოს წესდების დარღვევა, არ შეაფერხოს პრაქტიკული მოღვაწეობა და დადებითი მუშაობა!



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ც. კ-ის წარმომადგენელთა განსაკუთრებული
აზრი, შეტანილი პარტიის საბჭოს სხდომაზე
1904 წლის 17 (30) იანვარს»
დაპატარავებულია

2

ც. კ-ის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრი, შეტანილი 17 (30) იანვარს

ც. კ-ის წარმომადგენლები პარტიის საბჭოში თავიანთ მოვალეობად სთვლიან განსაკუთრებული აზრი წარადგინონ ამხ. პლეხანოვის რეზოლუციის საკითხზე.

ც. კ-ის წარმომადგენლებს ღრმადა სწამთ, რომ ეს რეზოლუცია არათუ არ მოსპობს პარტიულ შუღლს, რასაც სრული ფაქტიური გათიშვა შეაქვს პარტიულ ორგანიზაციაში, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს და გააღვივებს მას, ქრონიკულად გადააქცევს მას, შემდგომ დეზორგანიზაციას შეიტანს პარტიის დადებითს მუშაობაში.

ეს რეზოლუცია, არსებითად, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პარტიული ყრილობის უმცირესობის სურვილს ც. კ-ის პირადი შემადგენლობის შეცვლის შესახებ, მასთან უგულებელყოფილია პარტიული ყრილობის უმრავლესობის საწინააღმდეგო სურვილი.

ეს რეზოლუცია, არსებითად, ჩვენი მტკიცე რწმენით, წარმოადგენს საბჭოს შიგნიდან იმ პოლიტიკის განგრძობას, რომელსაც ოპოზიცია ადგა პარტიული ყრილობის შეკრების დღიდანვე, ეს პოლიტიკა კი იყო ბოიკოტის, დეზორგანიზაციისა და ანარქიის პოლიტიკა, რათა შეეცვალათ ცენტრების შემადგენლობა, — შეეცვალათ ისეთი გზით, რომელიც არ შეეფერება რაოდენადმე წესიერი პარტიული ცხოვრების ნორმებს და რომელიც ახლა დაგმობილია რევოლუციური წრის საზოგადოებრივი აზრითაც კომიტეტების უმეტესობის რეზოლუციის სახით.

ეს რეზოლუცია გამოხატავს სურვილს, რომ ც. კ-მა კვლავ გამართოს მოლაპარაკება ოპოზიციასთან. მოლაპარაკება უკვე

5 თვეზე მეტია გრძელდება, რასაც სრული დემორალიზაცია შეაქვს პარტიაში. ც. კ-მა უკვე განაცხადა, რომ მან უკანასკნელი სიტყვა უკვე თქვა, როცა ჯერ კიდევ 1903 წლის 25 ნოემბერს დასთანხმდა ორის კოოპტაციას ამხანაგური ნდობის დასამტკიცებლად.

მოლაპარაკებამ უკვე გამოიწვია დიდი ფულადი სახსრების ხარჯვა მგზავრობაზე და იმ რევოლუციონერთა ძალებისა და დროის გაცილებით უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხარჯვა, რომლებიც თავიანთ სამუშაოს სცდებიან.

ც. კ-ის წარმომადგენლების აზრით, მათ ახლა უფლება არა აქვთ კვლავ განაახლონ ეს დაუსრულებელი მოლაპარაკება, რომელიც ბადებს ახალ უკმაყოფილებას ორივე მხრივ, იწვევს ახალ ადგილუფროსობის ანგარიშებს, რაც საშინლად აფერხებს დადებითს მუშაობას.

ჩვენ ფრიად სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ასეთი მოლაპარაკებანი სრულიად აჩერებს პარტიული ცხოვრების სწორ მიმდინარეობას.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ც. კ. ამ მოლაპარაკებისთვის მთელ პასუხისმგებლობას უმცირესობას აკისრებს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ გადაჭრით და სრულიად ვერ ვხედავთ ვერავითარ სხვა საშუალებას პატიოსნად და წესიერად დავაღწიოთ თავი ახლანდელ პარტიულ შუღლს, სხვა საშუალებას შევწყვიტოთ ეს შეუწყნარებელი ბრძოლა ცენტრების შემადგენლობის გამო, გარდა პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისა.

ამასთანავე ჩვენ ვთვლით, რომ ამხ. პლეხანოვის რეზოლუციის მიღების შემდეგ ჩვენი, წინათ შეტანილი რეზოლუცია არსებითად უარყოფილია და სრულიად უსარგებლო ხდება; ამიტომ უკანვე მიგვაქვს იგი.

საბჭოს წევრები
ნ. ლენინი
ფ. ვასილიევი

3

პროექტი რეზოლუციისა პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ
17 (30) იანვარი

პარტიის საბჭო, დარწმუნებული, რომ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს არ ძალუძთ მოსპონ პარტიის შიგნით არსებული აბსოლუტურად არანორმალური და დეზორგანიზაციის გამომწვევი ურთიერთობა, რომელიც II ყრილობის შემდეგ შეიქმნა და ხუთ თვეზე მეტია გრძელდება, ადგენს — მოწვეულ იქნას პარტიის III ყრილობა.

4

რეზოლუციების პროექტები, შეტანილი 17 (30) იანვარს

I

პარტიის საბჭო სთხოვს ც. ო-ს რედაქციას რაც შეიძ-ლება სასწრაფოდ მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზო-მები, რათა ც. კ-მა სულ უახლოეს მომავალში შესძლოს იმ 5—6 ათასი მანეთის მიღება, რომლის შესახებ მიწერ-მო-წერა წარმოებდა ც. ო-სა და ც. კ-ს შორის და რომელიც ამჟამად უცილობლად ესაჭიროება ცენტრალურ პარტიულ სალაროს რუსეთში უკანასკნელი ჩავარდნებით შექმნილ სა-განგებო გარემოებათა გამო.

II

პარტიის საბჭოს არასწორად მიაჩნია ც. ო-ს რედაქციის მიერ, ც. კ-თან შეუთანხმებლად და მისთვის შეუტყობინებ-ლად, რედაქციის რწმუნებულთა დაგზავნა კომიტეტებში, ვი-ნაიდან ასეთ დაგზავნას დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში და სრულიად არღვევს II ყრილობის მიერ ფუნქციების დაწესებულ განაწილებას ორივე ცენტრს შორის.

III

პარტიის საბჭოს არასწორად მიაჩნია ც. ო-ს რედაქციის მიერ, ც. კ-თან შეუთანხმებლად, ცნობების გაგზავნა კომიტე-ტებში ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

5

სიტყვები პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების შესახებ 15 (28) იანვარი

I

პარტიაში ნამდვილი მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობის აღდგენის ზომების საკითხი სწორედ იმიტომ წამოვაყენე, რომ გაუგებრობათა რაოდენობამ პარტიულ მუშაკთა შორის საშიშ ფარგლებს მიაღწია. მე არა მგონია შესაძლებელი იყოს ნაყოფიერი პარტიული მუშაობა, თუ არ იქნება საერთო ნიადაგი, რათა თავიანთ მუშაობაში მასზე დაყრდნობა შეეძლოთ პარტიის სხვადასხვა წევრებს, რომელთა შორის ამა თუ იმ გარემოების გამო ურთიერთი გაუგებრობა ჩნდება. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ პარტიის ცალკე წევრთა ან ნაწილთა შორის ურთიერთობის არანორმალობა ისეთია, რომ ახლა ძნელი იქნებოდა ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაზე ლაპარაკი, თუ სიტყვებს უბრალოდ არ წამოვისვრით. თუ საჭირო იქნება, მე, რა თქმა უნდა, შემიძლია წარმოვადგინო დაწვრილებითი საბუთები ამ დებულების დასადასტურებლად (გავიხსენოთ, მაგალითად, ც. კ-ისა და ც. ო-ს შორის საქმიანი მიწერ-მოწერის მრავალი ეპიზოდი), მაგრამ, შესაძლოა, იმის გამო, რომ ფაქტი, რომელსაც მე ვამტკიცებ, საყოველთაოდ ცნობილია, უმჯობესი იყოს არ მივმართო ამგვარ საჩოთირო ილუსტრაციებს. ამრიგად, უნდა შევეცადოთ და უფრო გადამწყვეტი ზომები მივიღოთ ძირითადი ბოროტების აღმოსაფხვრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის ისეთ ვითა-

რებას მივიღებთ, როდესაც სულ უბრალო, სრულიად ჩვეულებრივი პარტიული აქტის გამო წამოიჭრება აზრთა უაღრესად არასასურველი გაცვლა-გამოცვლა ფრიად ძლიერი სისტემატური გამოთქმებით და მეტად მაგარი... როგორ ვთქვა უფრო რბილად... კომპლიმენტებით... თუმცა შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, თითქოს განზრახვა მქონდეს ერთგვარი «ენის თავისუფლების» წინააღმდეგ გავილაშქრო, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოქმედების დარგშიც ყველაფერი რიგზე ვერ არის. როგორც საბჭოს წევრები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა პარტიის შიგნით იმის გაერთიანება, რასაც გათიშვის ტენდენცია აქვს, ჩვენ უნდა შევეცადოთ მოვსპოთ ის შეხლა-შემოხლა, რაც ხელს უშლის პარტიული მუშაობის მსვლელობას, ხოლო თუ სურვილი იქნება, ეს შეუძლებელი არ არის. ამრიგად, მე ვკითხულობ, განა არ შეიძლება რაიმე ზომების მიღება პარტიის შიგნით ბრძოლის ზოგიერთი ისეთი ხერხის წინააღმდეგ, რომელსაც პარტია დეზორგანიზებული ჯგუფის მდგომარეობამდე დაჰყავს და რომელიც მას უბრალო ფიქციად აქცევს. შესაძლოა, საბჭომ საერთო საქმის ინტერესების გულისათვის მიიღოს ისეთი რეზოლუცია, რომლის ჩემს მიერ დაწერილ პროექტს ახლავე წავიკითხავ. მე პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია საბჭოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიზანი იქნებოდა მოესპო და დაეგმო მიუღებელი ფორმები ბრძოლისა პარტიის იმ სხვადასხვა ერთეულთა ან ჯგუფთა შორის, რომლებიც ამა თუ იმ საკითხში ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ვიმეორებ, ახლანდელი მდგომარეობა მეტად არანორმალურია და კორექტივებს საჭიროებს. (ა ქ ს ე ლ რ ო დ ი: «ამას ჩვენ ყველანი ვეთანხმებით»). ვთხოვ მდივნებს შეიტანონ ოქმში ამხ. აქსელროდის შენიშვნა.

ახლა მე წავიკითხავ იმ რეზოლუციის პროექტს, რომელსაც მე ვაყენებ *.

აი პროექტი, რომელიც მე შემომაქვს ც. კ-ის სახელით ორივე მისი წარმომადგენლის ხელმოწერით და რომელიც

* იხ. ეს ტომი, გვ. 167 — 170. რ ე დ.

შეიძლება საბაბი გახდეს არა რაიმე კერძო საკითხის გადაწყვეტისა პარტიის წევრების ამა თუ იმ უთანხმოების მოსპობის შესახებ, არამედ იმისა, რომ საერთო ნიადაგი შევუქმნათ ერთი საერთო საქმის ინტერესებისათვის მომუშავე რუს სოციალ-დემოკრატებს.

II

მე სიამოვნებით დავრწმუნდი ც. ო.-ს ორივე წარმომადგენლის სიტყვებიდან, რომ ისინი პრინციპულად იწონებენ პარტიაში ფაქტიური ერთიანობის დამყარებისათვის გადამწყვეტი ზომების მიღების აუცილებლობას. ეს უკვე ერთგვარ საერთო ნიადაგს ჰქმნის ჩვენს შორის. რაც შეეხება ამხ. პლეხანოვის წინადადებას, მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: ამხ. პლეხანოვი წინადადებას მაძლევს რეზოლუციის ჩემი პროექტიდან გამოვყო პარტიის ცხოვრებაში აღნიშნული ბოროტების მოსპობისაკენ მიმართული ყველაზე არსებითი პრაქტიკული ზომები, და ამასთანავე აღნიშნავს, ამ რეზოლუციას მოწოდების ხასიათი აქვსო; დიახ, მართლაც, ჩემს წინადადებას მოწოდების ხასიათი აქვს, მაგრამ ის ხომ სწორედ ამისთვის არის ნავარაუდევი. ამ «მოწოდების» იდეა ის არის, რომ საბჭომ ორივე ცენტრის სახელით მხარი დაუჭიროს პარტიაში დასაშვები ბრძოლის ფორმების გამიჯვნას დაუშვებელი ფორმებისაგან. მე ვიცი, რომ, საერთოდ, თვით ბრძოლა გარდუვალია. მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც. არის ბრძოლის ისეთი ხერხები, რომლებიც სრულიად არანორმალური და მიუღებელია ცოტად თუ ბევრად სიცოცხლისუნარიან პარტიაში. და ამხ. მარტოვმა სამართლიანად სთქვა, რომ იდეათა ბრძოლის გარდა ადგილი ჰქონდა კიდევ იმასაც, რასაც მან «ორგანიზაციული გართულებანი» უწოდა.

ჩვენ კი, რომლებიც აქ შევკრებილვართ არა ბრძოლისათვის, არამედ პარტიის ცხოვრებაში არანორმალური პირობების მოსპობისათვის, შეგვიძლია და კიდეც უნდა ვიმოქმედოთ ჩვენს სხვა ამხანაგებზე ავტორიტეტული მითითებით პარტიის შიგნით დასაშვები ბრძოლის საზღვრებზე. მაგრამ

მე არ ვიცი ზედმოქმედების სხვა საშუალება, გარდა მოწოდებისა. პრაქტიკულ წინადადებათა გამოყოფას აქ აზრი არ ექნებოდა. რაც შეეხება ც. ო.-ს წარმომადგენელთა განცხადებას, რომ მე პარტიულ ცხოვრებაში არანორმალობის აღნიშვნისას არ ვეხები ამგვარი არანორმალობის მიზეზებს, უნდა ვთქვა, რომ მე ეს პოზიცია ავირჩიე არა შემთხვევით, არამედ სრულიად შეგნებულად, რადგან ვშიშობდი, რომ თუ ჩვენ ახლა თუნდაც ოდნავ შევეხებოდით ამ, უიმისოდაც მეტად დახლართულ გორგალს, არამცთუ მას ვერ გავხსნიდით, არამედ მხოლოდ უფრო დავხლართავდით. მართლაც, ხომ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენ ამ გორგალის მიმართ ორი ერთნაირად დაინტერესებული და ფრიად სუბიექტურად განწყობილი მხარე ვართ, ასე რომ თუ ვინმე უნდა შეეცადოს მის გახსნას, ყოველ შემთხვევაში არა ჩვენ, არამედ ისინი, ვისაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მის დახლართვაში. ჩვენის მხრივ კი ასეთი ცდა მიგვიყვანდა ყოველგვარი დოკუმენტების ხელახლა გადათვალიერებამდე, რაც, საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის პირობებში, ზედმეტ... აყალმაყალს გამოიწვევდა.

ჩვენი მსჯელობის გამოსავალ წერტილად ავიღოთ ის, რაც არის, ვინაიდან სინამდვილის ამოშლა არ შეიძლება, და მეც მზადა ვარ ხალისით დავეთანხმო ამხ. მარტოვს, რომ ყველა უთანხმოებისა და შეჯახების მოსპობა რაიმე სულის საცხონებელი სიტყვით შეუძლებელია. ეს მართალია, მაგრამ ვის შეუძლია იყოს მსაჯული ჩვენი პარტიული ცხოვრების ამგვარი სახის სავალალო მხარეებისა? მე ვფიქრობ, ასეთი როლი შეიძლება გვეკუთვნოდეს ყოველ შემთხვევაში არა თვით ჩვენ, არამედ ადამიანთა დიდ რაოდენობას, — საქმისთვის თავდადებულ პრაქტიკულ მუშაკ-რევოლუციონერებს, რომელთაც შეხლა-შემოხლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ფრთხილად ვუვლი გვერდს ჩვენი შუღლის მიზეზების საკითხს, მაგრამ მაინც ნებას მივცემ თავს განვმარტო ჩემი აზრი ჩვენი ახლო წარსულის ერთი მაგალითით. ბრძოლა

უკვე ხუთი თვეა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, მე ვფიქრობ, უკვე 50-მდე შუამავალი იყო, რომლებიც ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ პარტიული უთანხმოებისათვის, მაგრამ მე მხოლოდ ერთი კაცი ვიცი, რომლის მოღვაწეობასაც ამ მიმართულებით ჰქონდა, თუმცა ძალიან მცირე, მაგრამ შედარებით მაინც საბედნიერო შედეგები. მე ვლაპარაკობ ამხ. ტრავინსკიზე [44], რომლის შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს არის ადამიანი, ასე ვთქვათ, ყელამდე ჩაფლული დადებითს პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში, ასე რომ მისი ყურადღება თითქმის მთლიანად მიპყრობილი იყო ამ მუშაობაზე და იგი არ მონაწილეობდა შეხლა-შემოხლაში. მხოლოდ ამ ბედნიერი გარემოებით თუ შეიძლება აიხსნას ერთგვარი არცთუ უნაყოფობა მისი შემარიგებელი ცდებისა. ვფიქრობ, ასეთი სახის ადამიანები რომ მონაწილეობდნენ პარტიული უთანხმოების მიზეზთა ანალიზში, შესაძლებელი იქნებოდა იმ გორგალის გახსნა, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა გაოგნებული ვდგავართ. ჩვენ კი უნდა მოვერიდოთ შეხლა-შემოხლის ამა თუ იმ მიზეზთა გარჩევას, ვინაიდან ამას, ჩვენდა უნებურად, შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, რომ ერთიმეორეს ახალი ჭრილობები მივაყენოთ (ამხ. მარტოვის გამოთქმით), დამატებით მრავალი ძველი ჭრილობისა, რომელთა მოშუშებაც ჯერ კიდევ ძალიან შორსაა. აი რატომ არის, რომ მე მიზეზთა ანალიზის წინააღმდეგი ვარ და ვემხრობი ისეთ ღონისძიებათა გამოძებნას, რომელთაც შეეძლებათ, ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის საშუალებათა მეტ-ნაკლებად დასაშვებ ჩარჩოებში მომწყვდევა. ორში ერთი: თუ ამ მიმართულებით შეიძლება რამე გაკეთდეს, უნდა შეეცადოთ ამის გაკეთებას, ხოლო თუ არ შეიძლება, თუ შეუძლებელია ვიმოქმედოთ მებრძოლ მხარეებზე ავტორიტეტული დარწმუნების გზით, მაშინ ერთი რამ დაგვრჩენია — მივმართოთ იმ მესამე პირთ, რომელნიც საბრძოლო მოქმედებათა სარბიელის გარეშე დგანან და თავიანთ დადებითს პრაქტიკულ ამოცანებს ახორციელებენ, რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე. ვეჭ-

ვობ, რომ ჩვენ თვითონ შეგვეძლოს თავის დარწმუნება ამა თუ იმ მხარის სიმართლეში. ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია.

III

მე კარგად არ მესმის ამხ. პლეხანოვის წინადადება. როდესაც ის ლაპარაკობს, საჭიროა რაიმე პრაქტიკული ზომების მიღებაო, ჩემს პროექტში ხომ უკვე არის აღნიშნული ასეთი პრაქტიკული ზომის შესაძლებლობა. საჭიროა მხოლოდ ვთქვათ, ავტორიტეტულად ვთქვათ, რომ ნორმალური ბრძოლა, იდეური ბრძოლა, ბრძოლა, რომელიც გარკვეულ ფარგლებში წარმოებს, — დასაშვებია, მაგრამ მიუღებელია: ბოიკოტი, ც. კ-ის ხელმძღვანელობით მუშაობაზე უარის თქმა, ცენტრალური პარტიული სალაროსათვის ფულადი სახსრებით დახმარებაზე უარის თქმა და ა. შ.. ამბობენ, სიტყვებით ვერავის დავარწმუნებთო. ვერც მე გავბედავ იმის მტკიცებას, რომ ეს საკმარისი იქნებოდა კარგი ურთიერთობის დასამყარებლად პარტიის ორ ნაწილს შორის, რადგან ის სენი, რომლის მკურნალობაც გვიხდება, მართლაც ძველისძველია, რადგან, როგორც ამხ. მარტოვი ამბობს, პარტიის ორივე ნაწილს შორის მართლაც მეტად მაგარი კედელი აღიმართა. შეიძლება, ეს კედელი ჩვენ, მისმა შემქმნელებმა ვერც კი დავანგრიოთ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ჩვენ, ვინც ყველაზე ძლიერ ვაყენებდით ერთმანეთს ჭრილობებს, — ჩვენ, როგორც საბჭოს წევრებმა, ჩვენი ავტორიტეტული მოწოდებით თავი შევაკავებინოთ ამხანაგებს ბრძოლის არასაკადრისი ფორმებისაგან. კედლის დანგრევის საქმეში კი, ჩემი შეხედულებით, დრო ისეთს როლს შეასრულებს, რომ ყოველივე დანარჩენი თანდათანობით მინელდება. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მოწოდების ზოგიერთი ადგილი ორივე მხარემ შეიძლება თავისებურად განმარტოსო, ჩემი შეხედულებით, აქ რასაც ვიტყვით, შეიძლება ყველაფერი თავისებურად იქნას განმარტებული. (ა ქ ს ე ლ რ ო დ ი: «ამიტომ საჭიროა არა მარტო თქმა, არამედ გაკეთებაც»). შემდეგ, რატომ ფიქრობს ამხ. აქსელროდი, რომ ჩემი წინადადება შეიძ-

ლება ბრძოლის მხოლოდ ახალ წყაროდ იქცეს — ეს მე არ მესმის. ვიმეორებ, პარტიის ორ ნაწილს შორის აღმართულ კედელს ჩვენ ვერ დავანგრევთ, ვინაიდან ჩვენ თვითონ ბევრი ძალღონე მოვანდომეთ მის შექმნას, მაგრამ მისი დანგრევა შეუძლიათ იმ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც პრაქტიკული მუშაობით არიან გართულნი და ჩვენს განხეთქილებათაგან განზე დგანან. ამხ. მარტოვი, როგორც ამაში სიამოვნებით დავრწმუნდი დღეს, პრინციპულად ეთანხმება ამ დებულებას — ჩვენს შეხლა-შემოხლის საქმეში სხვა ამხანაგების, იმ ჩვენი ამხანაგების შესაძლებელი სასარგებლო როლის შესახებ, რომელნიც ამ შეხლა-შემოხლისაგან განზე დგანან. მაგრამ გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ უკვე მარტო ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლების შეთანხმებას იმაზე, რომ ასე და ასე ბრძოლა შეიძლება, ხოლო ასე და ასე არაო, შეეძლო შეენგრია ის კედელი, რომელიც ორივე მხარეს აშორებს ერთმანეთისაგან, რის შემდეგ პარტიულ ცხოვრებაში არსებული არანორმალობა შეიძლებოდა თანდათანობით შემცირებულიყო.

IV

ამხ. პლეხანოვის წინადადებამ ძალიან ნარევი გრძნობა გამოიწვია ჩემში. როდესაც ბრძოლის მიზეზებზე დაიწყო ლაპარაკი, იგი ამ გზით სწორედ იმ ჭრილობებს მიადგა, რომლებსაც ჩვენ ერთი-მეორეს ვაყენებდით, რაც ამხ. მარტოვმაც აღნიშნა. ჩემს პროექტში მე ვცდილობ, რომ ის, რაც ჩვენს ბრძოლაში დასაშვებია, გავმიჯნო დაუშვებელისაგან, ვისი მხრიდანაც უნდა მომდინარეობდეს თავდასხმა. ჩვენ რომ იმაზე დაგვეწყო ლაპარაკი, როდის და ვისგან რა მომდინარეობდა, ამით ჩვენ დასაბამს მივცემდით დასასრულს, ე. ი. ჩვენი საუბრის დასასრულს. საკუთარი თავის განსჯა — ეს სრულიად შეუძლებელია თუნდაც მხოლოდ ფსიქოლოგიურად, მორალურად. თუ ჩვენ კვლავ დავიწყებთ აქ პარტიის წევრთა შორის გამწვავებულ ურთიერთობათა მიზეზების განხილვას, განა ჩვენ შევძლებთ წვრილმან კინკლაობათა

დონეზე მაღლა დადგომას. (ა ქ ს ე ლ რ ო დ ი: «შევძლებთ!».) მე არ ვიზიარებ ამხ. აქსელროდის ოპტიმიზმს. ამხ. პლეხანოვმა პარტიული განხეთქილების გამომწვევი მიზეზების გარჩევის დროს ფაქტები თავისებურად განმარტა, რასაც მე არ ვეთანხმები. ხოლო თუ დავა დავიწყეთ, მაშინ მოგვიხდება ოქმების გადაქექვა ცნობების ამოსაკრებად. მაგალითად; ამხ. პლეხანოვი ამბობს, რომ ცენტრალური დაწესებულებების არჩევის საკითხის გამო ყრილობა თითქმის ორ თანაბარ ნაწილად გაიყოო, რომ ყრილობის ერთმა წევრმა, რომელიც უმრავლესობისაგან უმცირესობის მხარეზე გადავიდა, ამით დაადასტურა პარტიის ორივე ნაწილის თანაბარი რაოდენობა, რომ ამრიგად ც. კ. პარტიის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენსო და სხვა. მაგრამ ასე მსჯელობა ხომ არ შეიძლება; მართლაცდა ხომ არ შეიძლება ლაპარაკი პარტიის ვითომდა მხოლოდ იმ ერთი ნაწილის არსებობაზე, რომელმაც ცენტრალური კომიტეტი აირჩია. ბევრი, შეიძლება, ახლა ზოგიერთ საკითხზე ისე არ მისცემდა ხმას, როგორც ყრილობაზე მისცა. შეიძლება, მეც სხვაგვარად მიმეცა ხმა მრავალი საკითხის გამო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ დარგში შესაძლებელი ცვლილებები და ახალი კომბინაციები წინანდელ კენჭისყრათა რაიმე შედეგებს უარყოფდეს. ხოლო რამდენადაც ლაპარაკია ბრძოლაზე, ყოველთვის არსებობს მთელის ნაწილებად დაყოფა. დიახ, ც. კ. ა ხ ლ ა, და არა ყრილობაზე, არის ნაწილის წარმომადგენელი, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ, ამხანაგების აზრით, იმავე მნიშვნელობით ც. ო.-ც მხოლოდ ერთი ნაწილის წარმომადგენელია. მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შემიძლია აღვიარო მართებულად ამხ. პლეხანოვის გამოთქმა, სახელდობრ ნამდვილად არსებული გათიშვის თვალსაზრისით. ამა თუ იმ ცენტრალური დაწესებულების შემადგენლობის «არანორმალობაზე» ლაპარაკი შეიძლება არა იმიტომ, რომ ყრილობა რაღაცაში დამნაშავე იყოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამა და ამ გარემოების გამო ადამიანებს არ სურთ ერთმანეთთან და ერთად მუშაობა...

ამრიგად, როგორც კი არანორმალობის მიზეზებს შევეხეთ, კვლავ ისეთი გორგალის გამოხსნის აუცილებლობამდე მივედით, რომელსაც არამცთუ ვერ გამოვხსნით, არამედ კიდევ უფრო დავხლართავთ. ც. კ-ის შემადგენლობის უკმაყოფილო რომ ბევრია, ეს მართალია; მაგრამ ასევე მართალია ისიც, რომ არიან მთელი რიგი პირები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან ცენტრალური ორგანოს ახლანდელი შემადგენლობისა. ამხ. მარტოვის კითხვაზე, დასაშვებია თუ არა არსებულ ორგანიზაციათა «დანგრევა», მე ვუპასუხებდი: «დიახ! ორგანიზაციების გარდაქმნა სავსებით დასაშვებია!» დასაშვებია თუ არა კომპეტენტურმა პარტიულმა დაწესებულებამ გადააყენოს ესა თუ ის პირი ამა თუ იმ სახის რევოლუციური მუშაობიდან? — მე ვუპასუხებ: «დიახ, დასაშვებია!». მაგრამ თუ მე შევეკითხები, რატომ და როგორ წარმოიშვა ესა თუ ის «ხელყოფა» რომელიმე ორგანიზაციის მთლიანობასა და დაურღვევლობაზე, რატომ არ დაუშვეს ესა და ეს პირი პარტიული საქმის ამა და ამ დარგში და ა. შ., — მე ამით კვლავ ხელს გავიშვერ იმ გორგალისაკენ, რომლის გამოხსნაც ჩვენ არ ძალგვიძს. ამნაირად, იმ საკითხის გამოც — დასაშვებია თუ არა ორგანიზაციების «დანგრევა», ჩვენ კვლავ უთანხმოებამდე მივდივართ. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ახლა ჩვენი შეხლა-შემოხლის მიზეზებზე მსჯელობა დროის სრულიად უსარგებლო და თან მავნე ხარჯვა იქნებოდა. დავუბრუნდები პროპორციული წარმომადგენლობის საკითხს. მასზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ უკვე არსებული განხეთქილების აღიარებიდან გამოვალთ. ჩვენ აქ ორი მებრძოლი მხარის წარმომადგენლები ვართ... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «ჩვენ აქ შევიკრიბენით, როგორც საბჭოს წევრები, და არა როგორც მებრძოლი მხარეები».) ამხ. პლეხანოვის შენიშვნა ეწინააღმდეგება მის საკუთარ რეზოლუციას, რომელშიც ლაპარაკია პარტიის შიგნით არსებულ შეხლა-შემოხლაზე, რამაც პარტია ორ ნაწილად გათიშა, ამასთან, რეზოლუციის სიტყვით, ერთი ნახევარი სრულიად არ არის წარმოდგენილი ისეთს ცენტრა-

ლურ დაწესებულებაში, როგორიცაა ცენტრალური კომიტეტი. რა თქმა უნდა, ოფიციალურად ჩვენ ორი მებრძოლი მხარის წარმომადგენელნი არა ვართ, მაგრამ, რამდენადაც ეს წარმომადგენლობა ჩვენი დებატების მსვლელობიდან გამომდინარეობს, მე ლოგიკური უფლება მქონდა მასზე მელაპარაკნა. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «თქვენ თქვით, ჩვენ აქ შევიკრიბენით როგორც ორი მებრძოლი მხარის წარმომადგენლებიო, და მეც ამიტომ გავაკეთე ჩემი შენიშვნა».) არ უარვყოფ, შეიძლება, მე საკმაოდ ზუსტად ვერ გამოვთქვი... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «თქვენ არასწორად თქვით».) შეიძლება, მე არასწორადაც ვთქვი, არ გამოვედავები ამას. მე მხოლოდ ვამტკიცებ, რომ ამხ. პლეხანოვის რეზოლუციას დავა გადააქვს გათიშვის ფაქტიური აღიარების ნიადაგზე. ჩვენ გავითიშეთ, მე ამას აღვნიშნავ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რეზოლუცია უკანონო იქნებოდა. პარტიის უმრავლესობა უკმაყოფილოა ც. ო.-ს შემადგენლობისაც, შემადგენლობისა, რომელშიც ხუთიდან ოთხი უმცირესობას ეკუთვნის. ც. კ-ის მხრივ შეიძლებოდა ც. ო-ს შემადგენლობის შეცვლის ისეთივე პრეტენზია წარმოშობილიყო, როგორსაც ახლა ცენტრალურ კომიტეტს უყენებენ. არსებითად ამხ. პლეხანოვის რეზოლუცია მხოლოდ ერთი მხარის პირობების წამოყენებას უდრის... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «მე არც უმრავლესობას ვეკუთვნი და არც უმცირესობას»). ამხ. პლეხანოვმა ჩვენ გვითხრა, არც უმრავლესობას ვეკუთვნი და არც უმცირესობასო, მაგრამ მის გარდა საბჭოში ამას არავინ იტყვის. ფორმალისტურად, წესდების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ამხ. პლეხანოვის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია უკანონოა. მაგრამ, ვიმეორებ, არსებითად იგი შეიძლება გავიგოთ იმდენად, რამდენადაც იგი განხეთქილების ფაქტიდან გამოდის. მაგრამ რაკი ერთი მხარე გამოსთქვამს თავის «პირობებს», მეორე მხარესაც აქვს უფლება სწორედ ასევე წამოაყენოს თავისი «პირობები». ჩვენ «ორივე მხარეზე» მაღლა კი არა ვართ, არამედ სწორედ ეს «ორივე მხარე» ვართ. ამიტომ, რაკი ჩვენ პარტიის უკვე ფაქტიური გათიშვის ნიადაგზე დავდგებით, ჩვენი დავისა და

«გაუგებრობათა» გადასაწყვეტად ჩვენ მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება უნდა აღვიაროთ — მივმართოთ მესამე პირთ. პარტიაში არიან ადამიანები, როგორც მე ამას უკვე წინათაც ვლაპარაკობდი, ადამიანები, რომლებიც დადებით მუშაობას ეწევიან და რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ «უმრავლესობისა» და «უმცირესობის» ბრძოლაში. და სწორედ მხოლოდ ამ ადამიანებს შეიძლება მივმართოთ.

V

მე არც მარტოვს ვეთანხმები და არც პლეხანოვს. ისინი ამბობენ, ამგვარი რეზოლუციის უკანონობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო, და თან ორი საბუთი მოჰყავთ. 1) მარტოვის საბუთი მითითება იყო იმაზე, რომ საბჭო პარტიის უმაღლესი დაწესებულებაა. მაგრამ საბჭოს კომპეტენციახომ შეზღუდულია წესდების სპეციალური დადგენილებებით, რაზედაც თავის დროზე ძალიან იზრუნა თვით ამხ. მარტოვმაც. 2) მეორე საბუთი ისაა, რომ წარმოდგენილი რეზოლუციით საბჭო მხოლოდ თავის აზრსა და სურვილს გამოხატავს. საბჭოს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავისი აზრისა და თავისი სურვილების გამოთქმა, მაგრამ ისე კი, რომ ესა და ეს არ შელახოს. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!») საბჭოს შეუძლია მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის კოოპტაციის წინადადება შემოიტანოს, მაგრამ მაშინ ც. კ. მოითხოვს ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის შეცვლას. მე გარკვეული პირობებით მზადა ვარ დავეთანხმო პროპორციულ წარმომადგენლობას. მაგრამ გეკითხებით, არსებობს განა პროპორციული წარმომადგენლობა ც. ო-ში? ც. ო-ს შემადგენლობა ასეთია: ერთი ოთხზე, და ეს ერთიც არ ეკუთვნის არც უმრავლესობას და არც უმცირესობას. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე წამოაყენა წინადადება: ორი ცხრაზე [48]; ეს იყო სრული დაქსაქსულობის ეპოქაში, გათიშვის წინ. ყოველგვარი უთანხმოება ერთგვარი აზრით გათიშვაა, ხოლო როდესაც ორ ნაწილს არ სურს ერთად მუშაობა, მაშინ ეს ფაქტიური გათიშვაა. მხოლოდ გათიშვის თვალსაზრისით შეგვეძლო ჩვენ იმის აღიარება, რომ ამხ. პლეხანოვის რეზო-

ლუციას აზრი აქვს. იგი შეგვეძლო მიგვეჩნია, როგორც **ultima ratio** *, მაგრამ ამ შემთხვევაში ორივე მხარეს შეეძლო ჰქონებოდა ერთნაირი უფლება ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობის შეცვლისა. მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ ც. კ-იც უკმაყოფილოა ცენტრალური ორგანოს შემადგენლობისა. როგორც კი ჩვენ შევეხებით ყოფილი ყრილობის საკითხს, მოხდება შეჯახება, და ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწევთ. ასე, მაგალითად, პლეხანოვი ამბობს, ყრილობამ რედაქციაში მესამე პირი თითქოს იმიტომ არ აირჩია, რომ ასეთი მესამე პირი არ იყოო. მე ვამტკიცებ, ყრილობამ მესამე პირი იმიტომ არ აირჩია, რომ დარწმუნებული იყო ამხ. მარტოვი რედაქციაში შევიდოდა. იგივე შეიძლება ითქვას საბჭოს შემადგენლობაზეც. ყრილობაზე ბევრს ეგონა, რომ ამხ. მარტოვი საბჭოს შემადგენლობაში შევიდოდა როგორც რედაქციის წევრი. უმრავლესობას შეუძლია თქვას და იტყვის, რომ რაკი ლაპარაკია პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საჭიროა ც. ო-ს შევსება კიდევ ექვსი წევრით ეგრეთწოდებული უმრავლესობიდან. მაგრამ ამგვარი მსჯელობა სასურველ დასასრულს ვერ მიგვაახლოვებს; ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამხ. პლეხანოვის რეზოლუცია ჩემსაზე უარესია. ჩემს რეზოლუციას იმის შესახებ, თუ რა არის «დასაშვები და რა არის დაუშვებელი», ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ჩვენ, როგორც მებრძოლი მხარეების წარმომადგენლები, წინადადებას მივცემდით დანარჩენ ამხანაგებს არ გასცილებოდნენ ბრძოლის დასაშვები ფორმების ჩარჩოებს.

ჩვენ მარტო იურიდიულ თვალსაზრისზე არ უნდა ვიდგეთ, რადგან არსებითად ჩვენი საერთო აღიარება პარტიაში არსებულ ურთიერთობათა არანორმალობისა იმის აღიარებას უდრის, რომ ჩვენ ვართ ორი მებრძოლი მხარე, ცენტრალური ორგანო და ცენტრალური კომიტეტი. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «აქ რედაქციის სხდომა კი არა, საბჭოს სხდომაა»). დიახ, მე ეს არ მავიწყდება. იურიდიული თვალსაზრისით ჩვენ არ შეგვიძ-

* — უკანასკნელი საშუალება. რ ე დ.

ლია ვილაპარაკოთ პროპორციულ წარმომადგენლობაზე ცენტრალურ დაწესებულებებში. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ამ აზრის გამოყენება მიზანშეუწონელია, რადგან ჩვენ მოგვიხდება მხედველობაში მივიღოთ ერთი მხარის სურვილი, მეორე მხარის სურვილის მოუსმენლად. ჩვენს შორის არ არის ის მესამე, რომელსაც შეეძლოს ჩვენი დავის გადაწყვეტა. ამავე დროს კი მხოლოდ ამ მესამის აზრს შეეძლო ჰქონებოდა როგორც პოლიტიკური, ისე მორალური მნიშვნელობა. გათიშვა ფაქტიურად არსებობს, და ჩვენ ფორმალური გათიშვის წინაშე ვდგავართ, თუ უმცირესობა, საშუალებათა განურჩევლად, განაგრძობს უმრავლესობად გადაქცევისათვის ბრძოლას.

6

სიტყვები პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების შესახებ 16 (29) იანვარს

VI

მე აუცილებლად მიმაჩნია ვუპასუხო, უმთავრესად, იმ ვრცელ ჩემს საწინააღმდეგო მოსაზრებებზე, რომლებიც წამომიყენა ამხ. მარტოვმა; მაგრამ ამხ. პლეხანოვის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც რომ უპასუხოდ არ დავტოვო, მოკლედ შევეხები ჯერ ამ უკანასკნელთ. მე ისე მომეჩვენა, რომ ის პრინციპულად პროპორციული წარმომადგენლობის თვალსაზრისზე დგას... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «არა!»). შეიძლება, მე მას ვერ გავუგე, მაგრამ ასე მომეჩვენა. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი მიღებული არ არის, და ამა თუ იმ დაწესებულების, რომლის წევრებიც ყრილობაზე არიან არჩეული, შემადგენლობის კანონიერების ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ყრილობის უმრავლესობის ცხადად გამოხატული ნება. მაგრამ აქ ლაპარაკობენ, რომ ყრილობაზე ჩატარებულმა კანონიერმა არჩევნებმა საქმის ისეთი «კანონიერი» ვითარება შეჰქმნა, რომელიც უკანონოზე უარესიაო. ეს სწორია, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ უმრავლესობა უმნიშვნელო იყო, თუ იმიტომ, რომ უმცირესობამ ფაქტიური გათიშვა შეჰქმნა? როდესაც ამბობენ, ც. კ. არჩეულია მხოლოდ 24 ხმითო, ე. ი. სულ უმნიშვნელო უმრავლესობით, და რომ თითქოს სწორედ ამ გარემოებაშია ჩამარხული პარტიული ცხოვრების ყველა შემდგომი არასასიამოვნო გართულების მიზეზი, მე ვამტკი-

ცებ, რომ ეს მართალი არ არის. რაც შეეხება ამხ. პლეხანოვის შენიშვნას ჩემი «ფორმალისტური აზროვნების» შესახებ, რაც მე თითქოს ნებას არ მაძლევს ჩავსწვდე საქმის ვითარების ფესვს, მე პირდაპირ გაკვირვებული ვარ, კაცმა რომ თქვას, რას ნიშნავს ეს? შეიძლება «საქმის ვითარების ფესვი» ყრილობაშია? მაშასადამე, ჩვენ ყველანი ფორმალისტები ვყოფილვართ, ვინაიდან, თუ ყრილობაზე ვიფიქრებთ, მისი ფორმალური დადგენილებებიდან უნდა გამოვდიოდეთ. მაგრამ თუ «საქმის ვითარების ფესვი» ყრილობის გარეშეა, სახელდობრ სად არის იგი? მართლაც, ისე გამოვიდა, რომ საქმის ვითარება პარტიაში უკანონოზე უარესი შეიქნა (ეს ძალიან სერიოზული სიტყვებია), მაგრამ მთელი საკითხიც სწორედ იმაშია, რატომ გამოვიდა ასე? ამაში ყრილობაა დამნაშავე, თუ ის გარემოებანი, რომლებიც ყრილობას მოჰყვა? სამწუხაროდ, ამხ. პლეხანოვი ასე არ აყენებს საკითხს.

ახლა ამხ. მარტოვის სიტყვებზე გადავალ. ის ამტკიცებს, რომ უმცირესობა არ არის და არც ყოფილა ერთად მუშაობის წინააღმდეგიო. ეს მართალი არ არის. სამი თვის — სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის — განმავლობაში უმცირესობის მრავალმა წარმომადგენელმა ფაქტიურად დაამტკიცა, რომ მათ არ სურთ ერთად მუშაობა. ასეთ შემთხვევებში ბოიკოტირებულ მხარეს მხოლოდ ერთი საშუალება დარჩენია — მიმართოს ხელშეკრულებას, გარიგებას სამუშაოს თავიდან ამცილებელ «ნაწყენ» ოპოზიციასთან, რომელსაც განხეთქილებისაკენ მიჰყავს პარტია, ვინაიდან ერთად მუშაობის თავიდან აცილების თვით ეს ფაქტი უკვე სხვა არა არის რა, თუ არა განხეთქილება. როდესაც ადამიანები პირდაპირ აცხადებენ, ჩვენ არ გვსურს თქვენთან ერთად მუშაობაო, და ამით საქმით ამტკიცებენ, რომ «ერთიანი ორგანიზაცია» უბრალო ფიქციაა, რომ იგი უკვე, კაცმა რომ თქვას, დანგრეულია. ამით ისინი აყენებენ თუ დამარწმუნებელს არა, ჭეშმარიტად, გ ა მ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე ლ საბუთს მაინც... გადავდივარ ამხ. მარტოვის მეორე საწინააღმდეგო მოსაზრებაზე — საბჭოდან ამხ. რუს

გამოსვლის შესახებ. ეს საკითხი ორ ცალკე საკითხად იყოფა. ჯერ-ერთი, კანონიერი იყო თუ არა რუს დანიშვნა საბჭოს წევრად რედაქციისაგან, თუმცა რუ რედაქციის წევრი არ ყოფილა? მე ვფიქრობ, რომ კანონიერი იყო. (მ ა რ ტ ო ვ ი: «რა თქმა უნდა, კანონიერი იყო!»). გთხოვთ ოქმში შეიტანოთ მარტოვის შენიშვნა. მეორე, იცვლებიან თუ არა საბჭოს წევრები მათ წარმომგზავნ დაწესებულებათა ნების მიხედვით? ეს საკითხი რთულია და იგი შეიძლება განმარტებულ იქნას ასედაც და ისედაც. ყოველ შემთხვევაში მივუთითებ იმაზე, რომ პლეხანოვმა, რომელიც რედაქციის ერთადერთ წევრად დარჩა 1 ნოემბრიდან, ა რ გ ა დ ა ა ყ ე ნ ა რუ საბჭოს წევრის თანამდებობიდან 26 ნოემბრამდე, როდესაც მოხდა მარტოვის და კომპანიის კოოპტაცია. რუ თვითონ წავიდა, რომ დაეთმო და არ აეტეხნა დავა მის პიროვნებასთან დაკავშირებით. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «მე მგონია, ახლა უადგილოა ამხ. რუზე დავა. ეს საკითხი ჩვენს დღის წესრიგში არ დგას და არ ვიცი, რატომ უნდა დავხარჯოთ ძვირფასი დრო დებატებზე ასეთს, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უცხო, საკითხზე».) უნდა შევნიშნო, რომ ამხ. მარტოვმა წარსულ სხდომაზე ითხოვა ოქმში შეეტანათ მისი განმარტება ამ საკითხზე, — განმარტება, რომელსაც მე სრულიად არ ვეთანხმები, და თუ მეორე მხარეს საშუალებას არ მისცემენ თავისი აზრი გამოთქვას ამავე საკითხზე, ეს საკითხი, ამრიგად, აქ, საბჭოში, უმართებულოდ, ცალმხრივად იქნება გაშუქებული. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არა დგას და მას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენი თათბირის მთავარ საგანთან».)

ლ ე ნ ი ნ ი პროტესტს აცხადებს ასეთი ფორმულირების წინააღმდეგ და მიმართავს საბჭოს გადასწყვიტოს საკითხი, აქვს თუ არა მას (ლენინს) უფლება მარტოვისათვის პასუხის გაცემის დროს გააშუქოს ის ფაქტი, რომელსაც აქ ასე სხვადასხვაგვარად განმარტავენ. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი კვლავ მიუთითებს, ამ შემთხვევაში კამათი რუს საკითხზე უადგილოაო.)

ლ ე ნ ი ნ ი დაჟინებით იცავს იმ აზრს, რომ მას უფლება აქვს მიმართოს საბჭოს, რათა საბჭომ ნება დართოს ილაპარაკოს იმ საკითხზე, რომელიც უკვე აღძრული იყო საბჭოში და რომელმაც დებატები გამოიწვია. (მ ა რ ტ ო ვ ი: «ვინაიდან ამხ. ლენინი შეეხო მეტად მნიშვნელოვან საკითხს, აქვთ თუ არა საბჭოში წარმოდგენილ კოლეგიებს უფლება გაიწვიონ თავიანთი დელეგატები, ვაცხადებ, რომ შემოვიტან საგანგებო წინადადებას ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად. შეიძლება, ამ განცხადებამ დააკმაყოფილოს ლენინი და აიძულოს იგი ახლანდელი დებატებიდან მოხსნას რუს საკითხი».)

ამხ. მარტოვი არათუ არ უარჰყოფს, არამედ ადასტურებს ჩემი განზრახვის საფუძვლიანობას — ახლავე სათანადოდ გავაშუქოთ საბჭოდან ამხ. რუს გამოსვლის საკითხი. აღვნიშნავ, რომ ჩემი განმარტება ამ საკითხის გამო მხოლოდ პასუხი იყო ამხ. მარტოვის სათანადო შენიშვნებზე. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი მიუთითებს მარტოვსა და ლენინს, რომ რუს საკითხი ახლა არ დგას განსახილველად, რადგან არ შედის იმ საკითხებში, რომლებზედაც მიპყრობილი უნდა იყოს საბჭოს წევრთა ყურადღება საბჭოს ახლანდელ სესიაზე.) მე პროტესტს ვაცხადებ ამხ. პლეხანოვის იმ შენიშვნის წინააღმდეგ, თითქოს აქ უადგილო იყოს ამხ. რუს საკითხის განხილვა, რუს, რომელიც საბჭოს წევრთა შეუცვლელობის ნიადაგზე იდგა, ასე რომ რუს საბჭოდან გამოსვლა უნდა მივიჩნიოთ როგორც მისი დათმობა ოპოზიციისადმი პარტიაში სრული მშვიდობის ინტერესებისათვის. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «რაკი საბჭოს არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო აზრთა გაცვლა-გამოცვლისა ამხ. რუს საკითხის გამო, მე წინადადებას ვაძლევ ლენინს განაგრძოს ამაზე ლაპარაკი».) მე უკვე გავათავე. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «თუ თქვენ გაათავეთ, მე წინადადებას ვაძლევ საბჭოს გადავიდეს ლენინისა და ჩემს მიერ გუშინ წარმოდგენილი რეზოლუციების განხილვაზე».)

მე ვეთანხმები ამხ. მარტოვს, რომ საბჭოს რეზოლუციებს იურიდიული კი არა, მორალური მნიშვნელობა ექნებოდათ.

ამხ. პლეხანოვმა თქვა, სასურველი იქნებოდა რედაქციაში თუ შევიდოდი. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «ეს მე არ მითქვამს».) ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ასე მაქვს ჩაწერილი თქვენი სიტყვები: «ყველაზე უმჯობესი იქნებოდა, ლენინი რომ რედაქციაში შევიდოდესო, ხოლო ც. კ. სამი კაცის კოოპტაციას მოახდენდესო». (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «დიახ, მე ვთქვი, რომ გარკვეულ პირობებში, პარტიის დასამშვიდებლად, დასაშვებია რედაქციაში ამხ. ლენინის შესვლა და უმცირესობის წარმომადგენელთა კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში»).

პასუხად აქ ჩემთვის მოცემულ შეკითხვაზე, სახელდობრ ც. ო-ს რედაქციის შემადგენლობის როგორი ცვლილება ითვლებაო სასურველად, მე ადვილად შემეძლო მიმეთითებინა «უმრავლესობის» აზრზე, რომელიც სასურველად თვლიდა რედაქციიდან ამხ. აქსელროდის, ზასულიჩისა და სტაროვერის გამოსვლას. შემდეგ მე უნდა ვთქვა, რომ ც. კ-ის მოქმედებაში არ ყოფილა არც ერთი ფაქტი პარტიული მუშაობიდან ვისიმე ჩამოცილებისა. სწორედ ასევე არ შემიძლია უპროტესტოდ დავტოვო ამხ. მარტოვის განცხადება, რომ ც. კ. გახდა იარაღი ერთი მხარის ომისა მეორის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტი დანიშნული იყო პარტიული ფუნქციების შესრულების იარაღად და არა იარაღად «ერთი მხარის ომისა მეორის წინააღმდეგ». ამხ. მარტოვის ასეთი მტკიცება სრულიად ეწინააღმდეგება ფაქტებს. ვერავინ ვერც ერთი ფაქტით ვერ დაამტკიცებს, რომ ც. კ. «ომს» იწყებდა და აწარმოებდა უმცირესობის წინააღმდეგ. პირიქით, უმცირესობამ ბოიკოტის დაწყებით გამართა ომი, რამაც აუცილებელი წინააღმდეგობა გამოიწვია. შემდეგ, მე პროტესტს ვაცხადებ იმის მტკიცების წინააღმდეგაც, თითქოს ც. კ-სადმი არსებული უნდობლობა უფრო მეტად უშლის ხელს ც. კ-ს, ვიდრე ც. ო.-სადმი უნდობლობა უშლის ხელს მშვიდობიან დადებითს მუშაობას. რაც შეეხება იმას, თითქოს უთანხმოების ცენტრი საზღვარგარეთ კი არა, რუსეთშია, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებს ამხ. მარტოვი, მე უნდა შევნიშნო, რომ პარტიული დოკუმენტები საწინააღმდეგოს გვიჩვენებენ. ამხ.

მარტოვმა დაიმოწმა 25 ნოემბრის დოკუმენტი და თქვა ც. კ-მა პრინციპულად თვითონ აღიარა თავისი შემადგენლობის ცალმხრივი ხასიათი, როდესაც დათანხმდა უმცირესობიდან ორი კაცის კოოპტაციასო. მე პროტესტს ვაცხადებ ამ დოკუმენტის ასეთი განმარტების წინააღმდეგ, ვინაიდან თვითონაც ვიღებდი მონაწილეობას მის შედგენაში. ც. კ-ის აქტს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ც. კ-მა ორი კაცის კოოპტაცია გადაწყვიტა არა იმის გამო, რომ თავის შემადგენლობას ცალმხრივად აღიარებდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ სრულ ფაქტიურ გათიშვას ვხედავდით პარტიაში. სწორედ გვქონდა თუ არა წარმოდგენილი საქმის ვითარება — ეს სხვა საკითხია... მაშინ ჩვენამდე აღწევდა ხმები, რომ მზადდება ახალი ორგანოს გამოცემაო... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «თუ ჩვენ ხმებს დავიმოწმებთ, ვერაფერ დასკვნამდე ვერ მივალთ». ა ქ ს ე ლ რ ო დ ი: «მე კი გავიგონე, რომ ახლა ახალი ორგანოს გამოცემა მზადდება...»). მე მივმართავ საბჭოს: რაკი ც. კ-ის ქაღალდი[47] ამხ. მარტოვმა გარკვეული აზრით გაიგო, მე იძულებული ვარ ამავე გარემოების გამო ჩემი განმარტება წამოვაყენო... არ მესმის, რატომ გამოიწვია აქ ჩემმა შენიშვნამ ასეთი მღელვარება. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «ლაპარაკია არა მღელვარებაზე, არამედ იმაზე, რომ აქ ხმების დამოწმება უადგილოა».) შეუძლიათ თქვან, რომ ჩემი მოტივები უსაფუძვლოა. შესაძლებელია! მაგრამ მე ყოველ შემთხვევაში უნდა ვთქვა, რომ ამ მოტივებს სწორედ ის ხასიათი ჰქონდა, რაც მე ეს-ეს არის აღვნიშნე.

მე განვაგრძობ არსებითად: ამხ. მარტოვმა ეჭვი შეიტანა ც. კ-ის მოტივებში, ც. კ-ისა, რომელიც ორი კაცის კოოპტაციას ეთანხმებოდა. მე კი აღვნიშნავ, რომ ც. კ. იმ შეხედულებიდან გამოდიოდა, რომ პარტიაში უკვე არსებობს ფაქტიური განხეთქილება და რომ ჩვენ სრული ფორმალური გათიშვის წინ ვიმყოფებით რუსეთში ცალკე ორგანოს გამოცემის, ცალკე ტრანსპორტისა და ცალკე ორგანიზაციის არსებობის აზრით. ახლა კი წესრიგისათვის ვიტყვი: ამხ. მარტოვმა

არსებითი შენიშვნა გააკეთა და არა წესრიგისათვის. ვეკითხები საბჭოს: სწორი იყო თუ არა ამ შემთხვევაში თავმჯდომარის მოქმედება?

VII

ამხ. მარტოვმა განაცხადა, რომ მე თითქოს ერთბაშად პოლემიკა დავიწყე იმის ნაცვლად, რომ მშვიდად და წყნარად შევდგომოდი პარტიის დასამშვიდებელ ღონისძიებათა გამოძებნის საერთო საკითხის განხილვას. მე ამას არ ვეთანხმები, იმიტომ რომ პოლემიკა თვით ამხ. მარტოვმა დაიწყო და არა სხვა ვინმემ. ჩემი რეზოლუციის პროექტში პოლემიკური არაფერია. ტყუილად კი არ უწოდა ამხ. აქსელროდმა ამ რეზოლუციას «სამოძღვრებო მოწოდება». ხოლო როგორც ცნობილია, სამოძღვრებო მოწოდებებში პოლემიკა არ არის ხოლმე. და მართლაც, აქ მე ლაპარაკი მქონდა მხოლოდ იმაზე, თუ რა საზღვრებში უნდა მიმდინარეობდეს შინაპარტიული ბრძოლა, ამ ბრძოლის რომელი ფორმები შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და რომელი უნდა იქნას ცნობილი მიუღებლად და სახიფათოდ არა მარტო პარტიული ცხოვრების ნორმალური მსვლელობისათვის, არამედ თვით პარტიის არსებობისთვისაც. ამასთან მე გულმოდგინედ ვცდილობდი გვერდი ამევლო საკითხის ისეთნაირად დაყენებისათვის, რომელსაც შეეძლო ახალი უნაყოფო პოლემიკა გამოეწვია, — ჩემს წინადადებაში მე ვცდილობდი არ გამოვსულიყავი ბრძოლის იმ ხერხთა შეფასებიდან, რომლებითაც აღინიშნა უკვე თითქმის ნახევარი წლის ომი პარტიის ორ ნაწილს შორის. ამხ. მარტოვმა კი არ მოისურვა ამ ნიადაგზე შეჩერება და პოლემიკა გაშალა. მაგრამ, თუ გნებავთ, მე მაინც მზად ვიქნები შემდეგ კვლავ დავუბრუნდე იმას, რითაც დავიწყე. ახლა კი შემდეგს აღვნიშნავ. ამხ. მარტოვმა დაიმოწმა ის, რომ ტრავინსკი მიესალმა რედაქციის შემადგენლობაში მისი ძველი წევრების კოოპტაციას. მე საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო აქ ის გარემოება, რომ კერძო ლაპარაკს და მოლაპარაკებას მნიშვნელობა არა აქვს. ტრავინსკი მთელ

ოფიციალურ მოლაპარაკებას წერილობით აწარმოებდა. ხოლო მისი კერძო განცხადებანი ამხ. მარტოვს, როგორც ჩანს, სწორად ვერ გაუგია და მე ს ხ ვ ა დ რ ო ს, თუ საჭირო იქნა, შეიძლია ამის დამტკიცება.

შემდეგ ამხ. მარტოვმა განაცხადა, ც. კ-ს თავის მუშაობაში ბევრი სხვადასხვა ნაკლი აქვსო; სწორედ ამით ამხ. მარტოვი კვლავ პოლემიკის სფეროში იჭრება. შეიძლება, ც. კ-ის მუშაობაში კიდევაც იყოს ნაკლოვანებანი, მაგრამ ამ მუშაობის კრიტიკა ც. ო-ს წარმომადგენლის მხრივ სწორედ რომ პოლემიკაა და სხვა არაფერი. მე, მაგალითად, ჩემის მხრივ, ც. ო-ს მუშაობა პირდაპირი გზიდან ამცდარად მიმაჩნია, მაგრამ მე აქ მაინც იმ მიმართულების კრიტიკით კი არ დამიწყია, რომელიც ც. ო-ს მუშაობამ მიიღო, არამედ განცხადებით, რომ ც. კ-სა და ც. ო-ს შორის ურთიერთი უკმაყოფილება არსებობს. შემდეგ მე პროტესტს ვაცხადებ იმის მტკიცების წინააღმდეგ, თითქოს ჩემი რეზოლუცია, თუ მას საბჭო მიიღებდა, ამ უკანასკნელს «ომის იარაღად» გადააქცევდა. ჩემს მოწოდებაში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ ბრძოლის რომელი ფორმებია მისაღები და რომელი არა... მაშ რაღა შუაშია აქ «ომის იარაღი»? ამხ. აქსელროდმა თქვა, რომ მე «საღღეგრძელოთი დავიწყე და სულთათანათი დავამთავრე», და მისაყვედურა ის, რომ მთელი ჩემი ყურადღება პარტიაში განხეთქილების არსებობის დამტკიცებას მივაპყარი. მაგრამ ჩვენ ხომ უკვე გუშინ დავიწყეთ განხეთქილების აღნიშვნით... შემდეგ, იმის დასამტკიცებლად, რომ უთანხმოების ცენტრი საზღვარგარეთ არ არის, ამხ. მარტოვმა ციტატები მოიყვანა ამხ. ვასილიევის 12 დეკემბრის წერილიდან, რომელშიც ლაპარაკია, რუსეთში ნამდვილი ჯოჯოხეთიაო [48]. ამის გამო შევნიშნავ, რომ «ჯოჯოხეთის შექმნა» არა ძლიერ ჯგუფებსაც შეუძლიათ, ვინაიდან მუშაობას დიდ დაბრკოლებებს ყველაზე უფრო ხშირად და ყველაზე ადვილად სწორედ წვრილი და წვრილმანი კინკლაობა უქმნის. მე უკვე მოვიხსენიე ჩემი წერილი 13 სექტემბრის თარიღით ერთ-ერთი ყოფილი რედაქტორისადმი. ამ წერილს მე პრესაში გამოვაქვეყნებ [49]. ამხ.

პლეხანოვი ამბობს, სიტყვა «ჭაობი» შეურაცხმყოფელიაო. მოგაგონებთ, რომ გერმანულ სოციალისტურ ლიტერატურაშიც და გერმანიის პარტიაშიც ყრილობებზე ტერმინი **versumpft** * ზოგჯერ იწვევს დაცინვას, მაგრამ გოდებას შეურაცხყოფის შესახებ — არასოდეს. არც მე, არც ამხ. ვასილიევს ამ სიტყვის ხმარების დროს არავის შეურაცხყოფა არ გვიფიქრნია. როდესაც ლაპარაკობენ გარკვეული მიმართულების მქონე ორ მხარეზე, გაუბედავებსა და ამ ორ მიმართულებას შორის მოქანავეებს ახასიათებენ ტერმინით «ჭაობი», რომლის ნაცვლად შეიძლებოდა გვეთქვა, «წყნარი შუაადგილი».

ც. კ-ისათვის ექსცენტრიულის წოდება, შეიძლება, მოსწრებული სიტყვაც იყოს, მაგრამ ესეც პოლემიკას იწვევს. ასეთივე აზრი მე ხომ ცენტრალურ ორგანოზედაც შემეძლო გამომეთქვა. მიმითითებენ, რომ ჩემი «მოწოდება» ჰომეოპათიური საშუალებაა ალოპათიური ბოროტების წინააღმდეგ. მე იმას არც უარვყოფ, რომ ჩემს მიერ წამოყენებული საშუალება მხოლოდ პალიატივია, მაგრამ ალოპათიურ საშუალებებს ა ქ ჩვენ ვერ ვიპოვით. როდესაც ლაპარაკს იწყებთ არსებული ბოროტების წინააღმდეგ «ალოპათიურ», რადიკალურ საშუალებათა აუცილებლობაზე, მაშ მიდით ბოლომდე. იგი, ასეთი საშუალება, არსებობს, და ეს ერთადერთი რადიკალური საშუალება სხვა არა არის რა, თუ არა ყ რ ი ლ ო ბ ა. ჩვენ უკვე ხუთი თვეა ამაოდ ვცდილობთ შევუთანხმდეთ ერთმანეთს («ეს არ არის მართალი!») ... არა, ეს მართალია, და მე ამას დოკუმენტურად დაგიმტკიცებთ... ჩვენ 15 სექტემბრიდან დავიწყეთ მოლაპარაკება და დღემდეც ვერ შევთანხმებულვართ. ამ შემთხვევაში განა უმჯობესი არ არის მივმართოთ იმ კოლეგიას, რომელზედაც გუშინ ამხ. მარტოვიც ლაპარაკობდა, ასეთი კოლეგია კი შეიძლება იყოს მხოლოდ პარტიულ მუშაკთა ყრილობა. პარტიული ყრილობა — ეს სწორედ ის კოლეგიაა, რომელიც წყვეტს «დირიჟორის ჯო-

* — ჭაობელი. რ ე დ.

ხის» საკითხს. ყრილობას ჩვენ ვესწრებით, რათა, სხვათა შორის, «დირიჟორის ჯოხისათვისაც» «ვიბრძოლოთ» (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის არა უხეში აზრით). იქ ბრძოლა წარმოებს ბილეთების საშუალებით, ამხანაგებთან ურთიერთობის საშუალებით და ა. შ., და იქ ასეთი ბრძოლა ცენტრების შემადგენლობის გამო დასაშვებია, ხოლო ყრილობის გარეთ მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა პარტიულ ცხოვრებაში.

ამრიგად, თუ ჩემი «სამოძღვრებო მიმართვა» პალიატივია, მაშინ სხვა, უფრო რადიკალური საშუალება, ყრილობის გარდა, არ არსებობს, თუ თქვენ არ გსურთ ბოროტება ქრონიკულად გადააქციოთ. ამხ. აქსელროდი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ ევროპაში ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები ანგარიშს უწევენ ოპოზიციას მათი პოლიტიკის მიმართ პარტიის თვით ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც კი და მასთან მოლაპარაკების გზით ცდილობენ წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარებას... მაგრამ ამასვე აკეთებს ჩვენი ცენტრალური კომიტეტიც. ცენტრალურმა კომიტეტმა ამის გამო თავისი ორი წევრი გაგზავნა საზღვარგარეთ[50], ც. კ-ს მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ გაუმართავს მოლაპარაკება ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენელთან, უმტკიცებდა, რომ უაზრო იყო მათი მოსაზრებები, შეთხზული იყო მათი შიში და სხვ. და სხვ. უნდა ითქვას, რომ ეს არის ძალების, ფულისა და დროის შეუწყნარებელი დაკარგვა, და ამ აზრით ჩვენ, მართლაც, პასუხისმგებელი ვართ ისტორიის წინაშე.

კვლავ გადავდივარ პრაქტიკულ წინადადებათა საკითხზე და ვიმეორებ, რომ თქვენ მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება გაქვთ პოლემიკის ამ სავალალო პერიოდის სალიკვიდაციოდ — ყრილობა. ჩემი რეზოლუცია გათვალისწინებული იყო საიმისოდ, რომ პარტიის შიგნით ბრძოლა უფრო ნორმალურ ჩარჩოებში მოგვექცია... ამბობენ, ხიჭვი მაინც დარჩება, ავადმყოფობა უფრო ღრმად არის ფესვგადგმულიო... რაკი ასეა, მთელი ხიჭვის ამოგდება მხოლოდ ყრილობის მოწვევით შეიძლება.

VIII

სასაცილოა გარკვეულობისა და სიზუსტის მოთხოვნის შეურაცხმყოფელობაზე ლაპარაკი. ჩვენ მრავალჯერ გვინახავს (განსაკუთრებით კი ლიგის ყრილობაზე), თუ რა უამრავ გაუგებრობას და სკანდალებსაც კი იწვევს კერძო ლაპარაკის უმართებულოდ გადმოცემა. უცნაური იქნებოდა ამ ფაქტის უარყოფა. მე ვაცხადებ, რომ ამხ. ტრავინსკის კერძო საუბარი უმართებულოდ გაუგიათ ც. ო-ს წარმომადგენელსაც და ნაწილობრივ ამხ. პლეხანოვსაც. აი რასაც მწერს, სხვათა შორის, ამხ. ტრავინსკი 18 დეკემბრის წერილში: «ეს-ეს არის მიღებულია ცნობა, რომ რედაქციას კომიტეტებისათვის დაუგზავნია ფრიად ცუდი (ვარბილებ უფრო მაგარ გამოთქმას) ხასიათის ოფიციალური წერილი. ამ წერილში რედაქცია პირდაპირ ილაშქრებს ც. კ-ის წინააღმდეგ, იმუქრება, რომ საბჭოს საშუალებით მას ახლაც შეეძლო აეძულებინა მათი კოოპტაცია, ვინც კი მას სურს, მაგრამ მას არ სურს ჯერ მიმართოს ასეთ ზომებს და მიუთითებს კომიტეტებს ც. კ-ის ნათელმირონობაზე, ქმედუნარიანობის უქონლობაზე, ლენინის კოოპტაციის უკანონობაზე... უამრავი პირადი ხასიათის გამოსვლები. ერთი სიტყვით, ჩემთვის მოცემული ყველა დაპირების აღმაშფოთებელი და... (კვლავ გამოვტოვებ მეტად მკვახე გამოთქმას) დარღვევა. მე უკიდურესად აღშფოთებული ვარ. ნუთუ პლეხანოვი მონაწილეობას იღებდა ამაში? ეკატერინოსლავის კომიტეტი დიდად აღშფოთებულია ამ წერილით და მან ძალიან მკვახედ უპასუხა... ახლა უმცირესობა გაშმაგებით ჰგლეჯს დამაკავშირებელ ძაფებს. კომიტეტებისათვის დაგზავნილი წერილი, ჩემის აზრით, უკანასკნელი წვეთია და აშკარა გამოწვევაა. რაც შემეხება პირადად მე, ჩემი აზრი ისაა, რომ ლენინს სრული უფლება აქვს «ისკრის» გარეშე გამოსცეს თავისი წერილი. ვფიქრობ, რომ არც სხვა ამხანაგებს ექნებათ რამე ამის საწინააღმდეგო».

აი გარემოებანი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამხ. ტრავინსკის აზრის შესახებ უმართებულო წარმოდგენა შეუდგენიათ. ამხ. ტრავინსკის შეეძლო ეგულისხმებინა კოოპტა-

ცია, პარტიაში სრული მშვიდობის დამყარების იმედით, მაგრამ მისი იმედები სრულიად არ გამართლდა.

აღმოჩნდა, რომ რედაქციამ მარტოვისა და ამხანაგების სახით მშვიდობის ნაცვლად უმრავლესობის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ხოლო ტრავინსკის მშვიდობის იმედი ჰქონდა და შეეძლო ჰქონებოდა.

აღმოჩნდა, რომ პლეხანოვის ცდა შეეკავებინა «ანარქისტული ინდივიდუალისტები» წარმატებით ვერ დამთავრდა (მიუხედავად მისი ცდისა). ამიტომ იმედი, რომელიც მე და ტრავინსკის გვქონდა, იმის იმედი, რომ პლეხანოვი მოახერხებდა შეეკავებინა ახალი რედაქცია უმრავლესობასთან ომისაგან, ეს იმედები არ გამართლდა. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ყველა იმედი როდი მართლდება; თვითონ მე იმის იმედით წავედი რედაქციიდან, რომ ეს ხელს შეუწყობდა მშვიდობას, მაგრამ არც ჩემი იმედები გამართლდა. კერძო მოლაპარაკების ფაქტს არავინ არ უარჰყოფს, საჭიროა მხოლოდ გავარჩიოთ ცალკე პირთა იმედების, მისწრაფების გამოხატულება მთელ კოლეგიათა გადაწყვეტილებისაგან. საბჭოს წევრთათვის არაფერია შეურაცხმყოფელი ჩემს შენიშვნაში იმის შესახებ, რომ აქ უხერხულია დასკვნების გამოტანა კერძო მოლაპარაკებიდან. მე გადაჭრით უარვყოფ იმას, რომ ამხ. ტრავინსკი კატეგორიულად შემპირდა ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციას. უეჭველია, ის წავიდა დაიმედებული, რომ მშვიდობა დამყარდებოდა და ამ მშვიდობის შედეგად მას შეეძლო წარმოედგინა კოოპტაცია, მაგრამ არა მისი კატეგორიულად დაპირება.

ჩემი მოწოდების წინააღმდეგ ამხ. მარტოვი აყენებს იმ არგუმენტს, რომ იგი შეიცავს მხოლოდ ერთი მხარის თავდასხმებსო. სრულებითაც არა. ბოლოს და ბოლოს, მე შემიძლია შემოვიტანო დამატებითი რეზოლუცია და შევცვალო ის გამოთქმები, რომლებიც ამხ. მარტოვს არ მოსწონს, მაგრამ მისი მტკიცება, რომ ჩემი რეზოლუცია ცალმხრივია — ეს რაღაც **nonsens-*** ია. წინათ ჩემს რეზოლუციაზე

* — უაზრობაა. რ ე დ.

ამბობდნენ, იგი სამოძღვრებო მიმართვას წააგავს, ტრუ-იზმებითაა სავსეო და ა. შ., მაგრამ არავის არ მიუწერია მისთვის ახალ ჭრილობათა მიყენების ტენდენცია. ამხ. მარ-ტოვი იმას მისაყვედურებს, რომ მე გავურბივარ პირდაპირ პასუხს ამხ. პლეხანოვის კითხვაზე — სურს თუ არა სურს ც. კ-ს «უმცირესობის» წარმომადგენელთა კოოპტაცია. როგორ შეგვიძლია მოგცეთ პასუხი დასმულ კითხვაზე, თუ არ ვიცით, როგორ უყურებს ახლა ამ კითხვას ცენტრალური კომიტეტის ყველა დანარჩენი 9 წევრთაგანი. (პ ლ ე ხ ა ნ ო-ვ ი: «თქვენ ამხ. მარტოვს ვერ გაუგეთ»). იმის ლაპარაკი, რომ მე განზრახ გავურბივარ, — ეს სასაცილოა. მე არც კი შემეძლო იმ პასუხის გაცემა, რომლის მიუცემლობის გამო მე თავის არიდებას მისაყვედურებენ. მე გარკვევით ვთქვი, რომ ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენ-ლობით ორივე მხარე უკმაყოფილოა-მეთქი. სხვა ამხანაგების აზრსაც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში. მეუბნებიან: უნდა მოვილაპარაკოთო, მაგრამ ჩვენ უკვე ხუთი თვეა რაც მოლა-პარაკებას ვაწარმოებთ. ამიტომ ამხ. მარტოვის ვარაუდი, რომ ც. კ., როდესაც იგი ყრილობის მოწვევის წინადადებას იძლევა, ამით ხელს აწერს თავის საკუთარ უმწეობასა და უძლურებასო — პირდაპირ სასაცილოა. განა ც. კ. ყოველ-ნაირად არ შეეცადა შინაური საშუალებებით გადაეწყვიტა კონფლიქტი? «ცენტრალური კომიტეტი გამოააშკარავებს თავის უუნარობას»... რის უუნარობას? ბრძოლისას? პარტიაში მშვიდობის დამყარებისას? დიახ, რა თქმა უნდა! და ჩემმა, აქ გაკრიტიკებულმა წინადადებამ ეს თვალნათლივ გვიჩვენა. თქვენი რეზოლუცია ლაპარაკობს მოწინააღმდეგისათვის, ასე ვთქვათ, ტერიტორიის წართმევაზე, მაგრამ ასეთი მოთხოვნა ხომ კონტრმოთხოვნებს იწვევს, და მე ასედაც კი დავაყენებ საკითხს: უფლება აქვს თუ არა ც. კ-ს კვლავ დაიწყოს მო-ლაპარაკება ამ საფუძვლებზე? ხომ არიან ისეთი კომიტეტე-ბი, რომლებიც ც. კ-ს ჰ კ ი ც ხ ა ვ დ ნ ე ნ ლიგისათვის დათ-მობათა გამო [51]. თქვენ გსურთ, რომ ანგარიშს ვუწევდეთ უმცირესობას, უმრავლესობისათვის ა ნ გ ა რ ი შ ი ს გ ა უ-

წ ე ვ ლ ა დ. ეს სასაცილოა. ხოლო ყრილობისაგან თავის არიდება ასეთ პირობებში ყრილობის წინაშე შიშს ემსგავსებოდა. აი რატომ აღვიარებთ ჩვენს უძლურებას, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ეს ამხ. მარტოვს ესმის. ცენტრალური კომიტეტი მართლაც უძლურია მოაგვაროს განხეთქილებანი პარტიაში, და სწორედ ამიტომ მივმართავთ საბჭოს წინადადებით — მოიწვიოს ყრილობა. შემდეგ წმინდა იურიდიულ საკითხს საბჭოს მიერ ყრილობის მოწვევის უფლების შესახებ ამხ. მარტოვი განმარტავს უაღრესად უმართებულოდ. წესდებაში ნათქვამია: «ყრილობას იწვევს (შეძლებისდაგვარად ორ წელიწადში ერთხელ მაინც) პარტიის საბჭო». მაშასადამე, საბჭოს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა ქ ვ ს უ ფ ლ ე ბ ა მოიწვიოს ყრილობა. საბჭო ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ყრილობა მოიწვიოს მხოლოდ ერთ გარკვეულ შემთხვევაში. (მ ა რ ტ ო ვ ი: «წესდებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ საბჭო ვალდებულია ყრილობა მოიწვიოს, როდესაც ამას მოითხოვს უფლებაუნარიან ორგანიზაციათა განსაზღვრული რაოდენობა, ან უკანასკნელი ყრილობიდან ორი წლის გასვლის შემდეგ. ამრიგად, ვიდრე ორი წლის ვადა არ გავა და ვიდრე ორგანიზაციების განსაზღვრული რაოდენობა არ განაცხადებს ყრილობის მოწვევის აუცილებლობას, საბჭოს მისი მოწვევა არ შეუძლია». პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «ყრილობის მოწვევის პირობების საკითხს ამჟამად აქ განსახილველად ვერ ჩავთვლი, როგორც გარეშე საკითხს ჩვენი ახლანდელი ამოცანების თვალსაზრისით»).

ამხ. მარტოვმა კი ეს საკითხი აღძრა, და ჩვენ ვერ გადავწყვიტეთ მისი დღისწესრიგიდან მოხსნა. მარტოვი ამბობს, საბჭოს არ შეუძლია ყრილობის მოწვევაო, მე კი ვამბობ, რომ შეუძლია. პარტიის საბჭო ყრილობას იწვევს ყოველგვარი დაკითხვის გარეშე, როდესაც სურს — შეძლებისდაგვარად ორ წელიწადში ერთხელ მაინც. ამხ. მარტოვი ამბობს, ყრილობის მოწვევა, ეს არის **ultima ratio**. დიახ, და ჩვენი ახლანდელი კამათის უნაყოფობაც ამას ამტკიცებს.

მოგაგონებთ, რომ თვითონ ამხ. მარტოვმა პრინციპულად აღიარა, რომ იმ პირთა კოლეგიას, რომლებსაც ჩვენს განხეთქილებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, სასარგებლო როლი შეუძლია ითამაშოს პარტიის დამშვიდების საქმეშიო. ხოლო რადგან ჩვენმა საკუთარმა შემარიგებელმა ცდებმა არავითარი შედეგები არ მოგვცა, რადგან ჩვენ ლიტერატურაშიც კი საეჭვოა პოლემიკის დასაშვებ ფორმათა ნიადაგზე დავრჩეთ, მე ვამტკიცებ, რომ მხოლოდ გარეთ მყოფ ამხანაგებს შეუძლიათ თავიანთი გადამწყვეტი სიტყვის თქმა. ჩვენ, ც. კ-ის წარმომადგენლები, არ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას პარტიის დამშვიდების შემდგომი ცდებისათვის და ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა პატიოსან საშუალებას ბოლო მოვუღოთ ჩვენს განხეთქილებას, გარდა ყრილობისადმი მიმართვისა. გადავდივარ ამხ. პლეხანოვის შენიშვნაზე სიტყვა «ჭაობის» შესახებ. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «მე ვუპასუხე ამხ. ვასილიევს, რომელმაც ეს ტერმინი იხმარა პარტიის ზოგიერთი ნაწილის მიმართ; ვიმეორებ, მე, როგორც თავმჯდომარეს, არ შემიძლია დავუშვა ასეთი გამოთქმები პარტიის საბჭოში».) მე აქ შენიშვნას მიკეთებენ, რომ არაფერს ვამბობ ც. კ-ის არანორმალურ და ცალმხრივ შემადგენლობაზე, მაგრამ მე აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ პარტიაში არსებობს ორი მხარე, რომლებიც შეუწყნარებელი საშუალებებით იბრძვიან. ჩვენ ისეთ ნიადაგზე გადავედით, როცა რაიმე დადებითი მუშაობა შეუძლებელია.

IX

ვიდრე არსებითად დავიწყებდე ლაპარაკს, გაკვრით შევნიშნავ კიდევ, რომ სიტყვა **Sumpf** * არასოდეს არავის არ შეურაცხყოფს.

შემდეგ ტრავინსკისთან მოლაპარაკების გამო. ჩემი სიტყვებიდან აქ ის დასკვნა გამოიტანეს, თითქოს მე ტრავინსკისთან მოლაპარაკების ფაქტს უარვყოფდე. სრულებითაც არა. მე არ უარვყოფდი მოლაპარაკების ფაქტს, მაგრამ

* — ჭაობი. რ ე დ.

ვარკვევდი მხოლოდ განსხვავებას იმ მნიშვნელობას შორის, რომელიც შეიძლება ჰქონდეს კერძო მოლაპარაკებას და როგორიც ოფიციალურს აქვს. მე აქ წავიკითხე თვით ტრავინსკის წ ე რ ი ლ ი იმის დასამტკიცებლად, რომ თუ ამხ. ტრავინსკი წინათ ისეთივე შეხედულებისა იყო, როგორისაც ამხ. პლეხანოვია, შემდეგში მან შეხედულება შეიცვალა. ამის გამო მე სრულიად უადგილოდ ჩავთვლიდი საკითხის დაყენებას, თუ ვის დაუჯერებს საფრანგეთი. სრულიად არ არის საჭირო «საფრანგეთს» მივმართოთ.

ამხ. პლეხანოვმა თქვა, თითქოს ჩემს მშვიდობისმოყვარე «მოწოდებას» თვით ჩემზედაც ვერ უმოქმედნია. ვიმეორებ, რომ ჩემს «მოწოდებაში» მე მხოლოდ გამოვთქვამ ჩემს სურვილს არ მივმართოთ ბრძოლის გარკვეულ ხერხებს, მე მშვიდობისაკენ მოვუწოდებ. მე ც. კ-ზე თ ა ვ დ ა ს ხ მ ი თ მიპასუხებენ, და შემდეგ კი უკვირთ, რომ მე მ ა შ ი ნ თავს ვესხმი ცენტრალურ ორგანოს. მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც თავდასხმა მოახდინეს ც. კ-ზე, მევე მისაყვედურებენ მშვიდობისმოყვარეობის უქონლობას ამ თავდასხმაზე პასუხისათვის! საკმარისია ჩავუკვირდეთ მთელ კამათს ჩვენს საბჭოში, რომ დავინახოთ, თუ ვინ შემოიტანა მშვიდობის წინადადება status quo-ს * ნიადაგზე და ვინ განაგრძობდა ომს ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. მეუბნებიან: ლენინი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ განუწყვეტლივ იმეორებდა ოპოზიციის მიმართ: «მორჩილად იყავ და მსჯელობა არ გაბედოო!»... ეს სავსებით ასე როდია. მთელი ჩვენი სექტემბრისა და ოქტომბრის მიწერ-მოწერა წინააღმდეგს მოწმობს. მოგაგონებთ თუნდაც, რომ ოქტომბრის დამდეგს მე (პლეხანოვთან ერთად) მზად ვიყავი რედაქციაში ორის კოოპტაცია მომეხდინა. შემდეგ, რაც შეეხება ულტიმატუმს, რომელშიც მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას, მაშინ მე თქვენ გითმობდით ორ ადგილს ცენტრალურ კომიტეტში. ამის შემდეგ მე ახალ დათმობაზე წავედი რედაქციიდან გამოსვლის სახით, — გამოსვლისა იმ მიზნით, რომ არ შეშეჩერებინა სხვების შესვლა.

* — წინანდელი მდგომარეობის. რ ე დ.

აქედან გამომდინარეობს, რომ მე არამცთუ არ მითქვამს «მორჩილად იყავ და მსჯელობა არ გაბედო», არამედ დათმობაზეც მივდიოდი. გადავდივარ საქმის დედაარსზე. ჩემი რეზოლუციისადმი დამოკიდებულება ძალიან უცნაურად მეჩვენება. მართლაც, განა იგი ვინმეს ამტყუნებს ანდა მას ვინმეზე თავდასხმის ხასიათი აქვს? მასში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, დასაშვებია თუ არა ასეთი და ასეთი ბრძოლა. ბრძოლა რომ არსებობს — ეს ფაქტია, და მთელი საკითხი მხოლოდ ისაა, რომ ამ ბრძოლის მისაღები ფორმები გამოვყოთ მიუღებელი ფორმებისაგან. და აი მეც გეკითხებით, მისაღებია თუ არა ეს იდეა? ამრიგად, გამოთქმა «ბრძოლის იარაღი», «თავდასხმა უმცირესობაზე» და ა. შ. — ჩემი რეზოლუციის მიმართ სრულიად უადგილოა. შეიძლება, მისი ფორმა უხეიროა — ამის გამო მე განსაკუთრებით დავას არ დავიწყებდი და მზად ვიქნებოდი შემეცვალა მისი რედაქცია, მაგრამ მისი დედაარსი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის შიგნით მებრძოლ მხარეებს მოეთხოვოთ ეს ბრძოლა აწარმოონ გარკვეულ მისაღებ ჩარჩოებში, ამ დედაარსის წინააღმდეგ დავა არ შეიძლება. ისეთი დამოკიდებულება რეზოლუციისადმი, როგორსაც იგი აქ ხვდება, მე ცალმხრივად მიმაჩნია, ვინაიდან ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე მას უარჰყოფს, რადგან მასში თავისთვის რაღაც სახიფათოს ხედავს. (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «მოგაგონებთ, რომ მე აქ უკვე რამდენჯერმე შევნიშნე, რომ საბჭოში ორი მხარე არ არის».) მე შემიძლია შევნიშნო, რომ ვლაპარაკობ ფაქტიურად არსებულ ო რ მ ხ ა რ ე ზ ე და არა საბჭოს იურიდიულად გაყოფაზე ორ ნაწილად. ამხ. პლეხანოვის რეზოლუციისთვის, რაზედაც აქ არსებითად არაფერი არ თქმულა, რედაქციის წარმომადგენლებს არაფერი არ დაუმატებიათ. მე კი მუდამ ველოდი ამ რეზოლუციის ცალმხრივი ხასიათის შეცვლას.

7

სიტყვები პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ 17 (30) იანვარს

I

ყრილობის მოწვევის საკითხს შეიძლება ცოტა რამ დაემატოს. პარტიის საშინლად მძიმე მდგომარეობას საბჭოში კამათის მსვლელობაც ასურათებს. უკვე არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ ყრილობაზე ორი თითქმის თანასწორი ნაწილი შეიქმნა, ასე რომ, როდესაც წავიდა ერთი კაცი «უმრავლესობიდან», სრული თანასწორობა მივიღეთ. მე ვერ ვხედავ, თუ როგორ შეიძლება ამ თანასწორობამ მშვიდობა შეჰქმნას პარტიული ყრილობის მოუწვევლად. არავის არ შედის ეჭვი იმაში, რომ უთანხმოებანი აშკარა არანორმალობას იწვევს. უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ საომარი განწყობილება არსებობს ორივე მხრივ. ყველა ამ მონაცემის თვალსაზრისით შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე სხვაგვარი პატიოსანი და სწორი გამოსავალი, გარდა ყრილობის მოწვევისა. ამხ. მარტოვმა აღნიშნა ყრილობის მოწვევის ჩემი წინადადების განხორციელების ტექნიკური, ფინანსური და სხვ. სიძნელენი, მაგრამ საქმის არსებული ვითარება გაცილებით უარესია, ვიდრე ყველა ეს სიძნელე.

II

მე არ შემიძლია მარტოვს დავეთანხმო; მან უმართებულოდ წარმოგვიდგინა ყრილობის ამოცანები. ის ამბობს, რომ უთანხმოებანი ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია ყველა ამ-

ხანაგს, რომ ყრილობის მოწვევა შეაჩერებდა გამიჯვნისა და ლიტერატურაში ორგანიზაციული კონფლიქტის გაშუქების პროცესს. მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ პრინციპულ უთანხმოებათა თავისუფალი გარკვევისათვის საჭიროა კრიზისის დაძლევა, საჭიროა ატმოსფეროს გაწმენდა კინკლაობისაგან, ხოლო ამისათვის აუცილებელია ყრილობის მოწვევა. III ყრილობა საჭიროა არა ბრძოლის შესაწყვეტად, არამედ იმისთვის, რომ ეს ბრძოლა მოვაქციოთ ნორმალურ ჩარჩოებში. უცნაურია იმაზე ლაპარაკიც კი, თითქოს ყრილობა შესწყვეტს პრინციპულ ბრძოლას. მე მოგაგონებთ II ყრილობაზე თავმჯდომარის მიერ ნათქვამ სიტყვას, რომლის აზრი ის იყო, რომ თვით ჩვენი პროგრამაც შემდგომ განვითარებასა და გარკვევას მოითხოვსო; მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ აზრთა პრინციპული ბრძოლა წარმატებული და ნაყოფიერი იყოს, საჭიროა სწორედ ისეთი პირობები, რომლებიც ამჟამად არ არსებობს. მე პროტესტს ვაცხადებ აქ მოყვანილი ისტორიული პარალელებისა და «რაბოჩეე დელოს» დამოწმების წინააღმდეგ. განსხვავება საქმის ახლანდელ ვითარებასა და იმას შორის, რაც სამი წლის წინათ იყო, ისაა, რომ მაშინ ერთიანი პარტია ჯერ კიდევ არ არსებობდა, ახლა კი იგი უკვე არსებობს. სწორედ მათი თვალსაზრისით, ვინც აქ, გამოთიშულ ნახევარზე ლაპარაკობს, სწორედ მათი თვალსაზრისით არ შეიძლება პროტესტის გამოცხადება წინააღმდეგ ყრილობის მოწვევისა იმ არანორმალობის მოსასპობად, რომლის მოსპობაც ჩვენ ამჟამად საკუთარი ძალებით არ ძალგვიძს. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დადებითი მუშაობა და პრინციპულ უთანხმოებათა გამორკვევა, როდესაც III ყრილობა მოსპობს ამ არანორმალობას და აზრთა ბრძოლას გარკვეულ ჩარჩოებში ჩააყენებს.

III

ამხ. პლეხანოვმა ნათლად გამოთქვა «ძლიერი», მაგრამ უმართებულო მოსაზრება. III ყრილობამ რომ გათიშვა გამოიწვიოს, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ არ არსე-

ბობს უმრავლესობისადმი დამორჩილების სურვილი, არ არსებობს ერთად მუშაობის სურვილი, ე. ი. ნამდვილად ჩვენ პარტია არა გვაქვს. ყველამ აღიარა, რომ ამხ. ტრავინსკი უშედეგოდ არ ცდილა კონფლიქტის მოგვარებას, ხოლო ისეთი ამხანაგი, როგორიც ტრავინსკია, ბევრია, და ყრილობაც სწორედ ასეთი ამხანაგების შეხვედრა და საუბარი იქნება. გააფთრებული ბრძოლა, გადამწყვეტი ბრძოლა, თუნდაც ექსცესებით აღსავსე, ჯერ კიდევ არ არის გათიშვა. თუ ერთად მუშაობის ნამდვილი სურვილი არსებობს, მაშინ უმრავლესობის, ე. ი. ყრილობის ნებისადმი დამორჩილების სურვილიც უნდა არსებობდეს.

8

სიტყვები პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ 17 (30) იანვარს

I

დავიწყებ ბოლოდან. ამხ. მარტოვმა უმართებულოდ გაიგო და გააშუქა ც. კ-ის წერილები, განსაკუთრებით ფულის შესახებ. მან მხედველობიდან გაუშვა, რომ ეს წერილები იმ საუბრის გაგრძელებაა, რომელიც მას, მარტოვს, ტრავინსკისთან ჰქონდა. თვითონ მარტოვი ამ საუბრის შინაარსზე შემდეგს წერდა: «ამხ. ტრავინსკისთან, ისე როგორც პირადად თქვენთან, მე მოვიხსენიე 5—6 ათასი, როგორც ნავარაუდევი მინიმუმი იმისა, რაც შეიძლება მიღებულ იქნას პარტიისათვის წ ე ლ ი წ ა დ შ ი იმ ორი წყაროდან, რომლებიც მისაწვდომია რედაქციის წევრებისათვის». მე ვაცხადებ, რომ ტრავინსკი ჩვენ გვატყობინებდა ამ თანხის ერთდროულად და არა ერთი წლის განმავლობაში მოცემის შესახებ, ასე რომ აქ რაღაც გაუგებრობაა. ფაქტი ისაა, რომ ჩვენ ამ 5 ათასის იმედი გვქონდა და ამისდა მიხედვით გავანაწილეთ სახსრები რუსეთის და საზღვარგარეთის სალაროს შორის.

ამხ. მარტოვი ამბობდა, რომ ფულის ორივე წყარო (სხვათა შორის, თუ რამდენად უმართებულოდ (გულმოსულობის გამო) გადმოსცემს საქმის ვითარებას რედაქცია, ეს იქიდან ჩანს, რომ წერილებში ც. კ-ისადმი მარტოვი ბრჭყალებშიც კი ხმარობდა სიტყვებს — «ფულის ქისები» და ჩვენ გვისაყვედურებდა ასეთ გამოთქმას. ნამდვილად კი ეს გამოთქმა ჩვენ კი არა, მარტოვს ეკუთვნის) — დიახ, ამხ. მარტოვი

ამბობდა, ფულის ორივე წყარო თქვენთვის ცნობილიაო. დიახ, ისინი ცნობილია, მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, რომ ისინი ცნობილია, არამედ იმაში, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ისინი. მე ვიცი, რომ ერთ წყაროს წელიწადში შეუძლია დაახლოებით 10 ათასის მოცემა, მეორეს 40 ათასამდე, მაგრამ ეს მდგომარეობას არ აუმჯობესებს, რადგან ისინი მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ი ა ჩემთვის. ამ წყაროების მისაწვდომიდან მ ი უ წ ვ დ ო მ ლ ა დ გადაქცევაში გამოიხატება სწორედ ფულადი სახსრების ის აღკვეთა, რაც პარტიული ბრძოლის აბსოლუტურად მიუღებელი ხერხია.

გარდა ამისა, სწორედ ახლა, ამას წინათ ჩავარდნენ ის პირნი, რომელთაც ფული უნდა მიეღოთ რუსეთში. აქ ფული არ არის, რუსეთიდან კი მალე ვერ მოვახერხებთ მიღებას, და ეს არა ერთსა და ორ ასეულ მანეთს მოითხოვს სპეციალური აგენტების გასაგზავნად. რა თქმა უნდა, ფულს მაინც მივიღებთ, თუ კვლავ უბედურება არ მოხდა, მაგრამ მივიღებთ არცთუ მალე და არა მგონია სავსებით საკმაო რაოდენობით.

სრულიად არასწორია იმის თქმა, რომ ც. კ-ის წერილში მუქარა იყოო. არავითარი მუქარა არ ყოფილა, ვინაიდან ც. კ. მუდამ ზრუნავდა ცენტრალური ორგანოს გამოცემაზე. გამოცხადებათა შესახებ ამხ. ვასილიევი გიპასუხებთ. ჩვენი ცნობებით, რედაქცია თავის აგენტებს გზავნის ხოლმე მთელს რუსეთში. ეს გულისხმობს განსაკუთრებული სალაროს არსებობასაც ც. ო-ს განკარგულებაში, რაც პარტიის ფაქტიურ განხეთქილებას ნიშნავს. ეს ეწინააღმდეგება წესდებას, რომელიც მოითხოვს ც. კ-ისათვის სრული ცნობების მიწოდებას და როგორც მთელი ს ა ლ ა რ ო ს, ისე პრაქტიკულ საქმეთა მთელი ორგანიზაციის თავმოყრას მ თ ლ ი ა ნ ა დ მის ხელში. ცენტრალური ორგანო აღმაშფოთებლად არღვევს ამ წესდებას, როდესაც ჰქმნის წასვლა-წამოსვლისა და აგენტურის თავის ცენტრს, პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და კომიტეტთა საქმეებში ჩარევის თავის ცენტრს. ასეთ აგენტურას, რაც პარტიის წესდებას ეწინააღმდეგება, პირდაპირი

დეზორგანიზაცია შეაქვს მუშაობაში. ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია პასუხი აგოს საქმის წესიერად გაძღოლის გამო და არც აგებს პასუხს, რაკი მასში უწესრიგობა შეაქვს სისტემატურად თვით ცენტრალურ ორგანოს. აი წერილები ოდესიდან და ბაქოდან, რაც ასურათებს საქმის ვითარებას ამ მხრივ. ოდესიდან 24 დეკემბერს იწერებიან: «გუშინ ჩვენთან იყო ზაგორსკი[52], რომელმაც განაცხადა, რომ იგი გამოგზავნა რედაქციამ როგორც თავისი რწმუნებული დავალებით — გააცნოს კომიტეტებს უკანასკნელი ამბები, მოლაპარაკებანი, რედაქციაში არსებული საქმის ნამდვილი ვითარება, რედაქციის თხოვნა მიაწოდონ მასალები, ითანამშრომლონ, შეუკვეთონ ფურცლები ან მიაწოდონ თემები საერთო ფურცლებისათვის და აგრეთვე ბროშურებისათვის, რომელთა გამოსაცემად შექმნილია ჯგუფიო. იმეორებდა სულ ძველ ამბებს და დაბეჯითებით ამტკიცებდა უმცირესობის სიმართლეს, კეთილშობილებას და «ლოიალობას». კომიტეტმა მოუსმინა, რამდენიმე შეკითხვა მისცა და, სხვათა შორის, ჰკითხა, — ც. კ-მაც იცის თუ არა, რომ მან იკისრა ეს მისია. ზაგორსკიმ ნაცვლად მოკლე და პირდაპირი პასუხისა: ჰო ან არა — დაიწყო თავის მართლება და მტკიცება, რედაქციას სრული უფლება აქვს მიმართოს კომიტეტებს ცენტრალური კომიტეტის უნებართვოდაც. დაჟინებით მოითხოვდა, რომ იქვე, მისი თანდასწრებით განეხილათ ის, რაც მოხსენდათ, და შეედგინათ რეზოლუცია, რაზედაც კომიტეტმა განაცხადა, რომ მოხსენებულს იღებს ცნობად, ხოლო რაც შეეხება განხილვას და რეზოლუციას, ამას კომიტეტი მაშინ გააკეთებს, როდესაც საჭიროდ დაინახავს, ახლა კი მორიგ საქმეებზე გადადის»[53]. აი ახლა რა არის ნათქვამი წერილში ბაქოდან 1 იანვრის თარიღით: «ბაქოს კომიტეტში გამოცხადდა მარტინი[54] მოხსენებით ც. ო-სგან და აშკარა მიზნით, რათა უნდობლობა ჩამოეგდო ცენტრალური კომიტეტისადმი. როდესაც ბოლოს იგი დაინტერესდა გაეგო კომიტეტის აზრი, მას უპასუხეს: ჩვენ უეჭველად ვენდობით ცენტრალურ კომიტეტსო. ხოლო როდესაც მან განა-

ცხადა, მე მაინტერესებს გავიგო ც. ო-დმი დამოკიდებულებაო, მას უყოყმანოდ უპასუხეს, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ეს-ეს არის მოვისმინეთ (მისი მისიის განმარტება) ც. ო-დმი ნდობა «შეირყაო»» [55].

ასევე უკანონო და არაკონსპირაციულია ის, რომ ც. ო. ცნობებს აწვდის ც. კ-ის შემადგენლობის შესახებ არა მარტო კომიტეტებს, არამედ კერძო პირებსაც (მაგალითად, დრუიანს, რაზედაც ც. კ. მიუთითებდა წერილში ცენტრალური ორგანოსადმი). რაც შეეხება «საომარ ურთიერთობას», საქმეც სწორედ ისაა, რომ ამხ. მარტოვი აქ ერთიმეორეში ურევს ორ სრულიად სხვადასხვა რამეს. დადებითი მუშაობისა და სახსრების შოვნის დარგში საომარი ურთიერთობა (ბოიკოტი და სხვ.) უეჭველად მიუღებელია, და ც. კ-ის მხრივ ეს არასოდეს არც ყოფილა. ლიტერატურის დარგში კი «ომი» დასაშვებია, და არავის არასოდეს არ შეუზღუდავს ცენტრალური ორგანოს პოლემიკა. მოგაგონებთ, რომ გაცილებით უფრო ადრეც ც. კ. სრულიად მზად იყო გამოეცა დანის წერილიც ოპოზიციის. ლოზუნგების შესახებ, მარტოვის ბროშურაც «ერთხელ კიდევ უმცირესობაში», მიუხედავად იმისა, რომ ორივე მასალა ცენტრალურ კომიტეტზე თავდასხმას შეიცავს.

ცენტრალურ კომიტეტს სრულიადაც არ შეუწყვეტია ც. ო-ს ლიტერატურის გამოცემა. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ც. კ-ს უმართებულოდ ან მიკერძებით გაეწაწილებინოს ლიტერატურა, რომ მას «ეწყენინებინოს» უმცირესობის კომიტეტებისათვის. პირიქით, ტრავინსკიმ დაადასტურა და დაამტკიცა, რომ ყველაზე ადრე ლიტერატურა უხვად ურიგდებოდა უმცირესობის კომიტეტებს, და ამხ. მარტოვი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ამ დარგში ც. კ-ის მოქმედება უნაკლოა. რაც შეეხება პარტიული ლიტერატურის გაცემაზე უარისთქმას, საქმის ვითარება ასეთია. პარტიის ყ ო ვ ე ლ წევრს გამოუკლებლივ (თუ იგი ნდობას იწვევს თავისი კონსპირაციულობით და სხვ.) უ ფ ა ს ო დ ეძლევა ლიტერატურა რუსეთში გადასატანად და იქ ც. კ-ის აგენტებისა-

თვის ჩასაბარებლად განაწილების მიზნით. მაგრამ როდესაც მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც გამბედაობა შესწევთ თავიანთ თავს პარტიის წევრები უწოდონ და ამავე დროს უარს ამბობენ ლიტერატურის ჩაბარებაზე ც. კ-ის აგენტებისათვის საერთო განაწილების მიზნით, გასაგებია, რომ ც. კ. მოკლებულია შესაძლებლობას (და უფლებასაც კი) საქმე იქონიოს ასეთ ადამიანებთან. ხოლო თუ ეს ადამიანები შემდეგ ყიდულობენ ლიტერატურას საერთო მუშაობაში დეზორგანიზაციის შემტან თავიანთ ცალკეულ კუსტარულ წამოწყებათათვის, მით უარესი მათთვის.

II

პირდაპირ ვერ გამიგია, რა არის კადნიერი ექსპედიტორის პირველ და მეორე წერილში [58]. იგი საქმიანი ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვან ცნობებს სთხოვს, ხოლო რედაქცია, იმის ნაცვლად, რომ ამხანაგური და არსებითი პასუხი გაეცა მის თხოვნაზე, პასუხი, რომელიც მაინც არ გაუცია, წმინდა ბიუროკრატული მიმოწერით კმაყოფილდება. აი მე მოვიყვან ცენტრალური კომიტეტისადმი ც. ო-ს მართლაც კადნიერი წერილის მაგალითს. «ც. ო-ს რედაქცია ც. კ-ის ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ ც. კ-ის სამი წევრის საზღვარგარეთ ყოფნას, რაც არავითარი საქმიანი მოსაზრებით არ შეიძლება გამართლდეს და რაც ისეთი ახალი ორგანიზაციული ცენტრის შექმნას იწვევს, რომელიც არ არის გათვალისწინებული პარტიის წესდებით, უცილობლად პოლიტიკანობა და დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიულ ცხოვრებაში»... ეს ხომ პირდაპირ ლანძღვაა (პოლიტიკანობა), ფაქტებსა და მონაცემთა ნატამალს მოკლებული! ცენტრალურმა კომიტეტმა ამაზე უპასუხა: «რედაქცია რომ უკიდურესად გაგულისებული არ მოქმედებდეს, ის ადვილად შეამჩნევდა იმ თავისი შენიშვნების უკიდურეს უადგილობას, თუ ც. კ-ის რამდენი წევრი იმყოფება საზღვარგარეთ». რედაქციის ამ და სხვა უკადრის გამოსვლებზე (როგორიცაა სასაცილო მითითება რაღაც თითქოსდა «საიდუმლო» ბეჭდვაზე)

ც. კ-ის საზღვარგარეთელი წარმომადგენელი უპასუხებს მხოლოდ მოწოდებით «ნუ დაივიწყებთ პარტიულ მოვალეობას და შეწყვიტეთ ისეთი მოქმედება, რასაც ლიტერატურული პოლემიკიდან განხეთქილების საბაბის შექმნა შეუძლია»...[57]

იმის შესახებ, ვითომ ბურჟუაზიული გამომცემლობანიც კი ასეულ ეგზემპლარებს აძლევენ რედაქტორებს, მე, უნდა გამოვტყდე, არ გამიგონია. დაე სცადოს ამხ. მარტოვმა, თუ ის ტყუილუბრალოდ არ ისვრის სიტყვებს, და შეეკითხოს — დიტცს აძლევს თუ არა იგი კაუტსკის «Neue Zeit»-ის * 400 ეგზემპლარს გასავრცელებლად? ან შეეკითხოს ზინგერს ან ფიშერს, მოითხოვს თუ არა გრადნაუერი «Vorwärts»-ის[58] 200 ეგზემპლარს ასევე თავისი საშუალებებით გასავრცელებლად? გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ესმით განსხვავება ანარქიასა და ორგანიზაციას შორის. ფულის საკითხი ჩავარდნამდე წამოიჭრა, მაგრამ მე ხომ მივუთითებდი მხოლოდ ამ საკითხის დაყენების ცვლილებაზე, რაც ჩავარდნითაა გამოწვეული.

თუ როგორ ურევს ერთმანეთში რედაქცია მისაღებ პოლემიკას და მიუღებელ ბოიკოტს, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს შემდეგიდან: 4 იანვრის წერილში რედაქცია გვიპასუხებს შეკითხვაზე ფულის გამო და იმ «პირობებს» შორის, «რომლებიც უძნელებენ მას ცენტრალური სალაროსათვის აქტიური მხარისდაჭერის პროპაგანდას ნაცნობებს შორის», შემდეგ პირობას აღნიშნავს: «ც. კ-ის აგენტები და ის პირნი, რომლებსაც პროტექციას უწევენ ეს აგენტები, კრებებზე მუქარის შემცველ ფრაზებს ლაპარაკობენ რედაქციის ახლანდელი შემადგენლობის უკანონობაზე (რაზედაც, სხვათა შორის, ლაპარაკია ც. კ-ის წევრის ლენინის წერილშიც...)». აბა ერთი შეხედეთ, პოლიტიკურ ცნებათა რა განსაცვიფრებელი დამახინჯებაა ეს! ფულის წყაროების მოწოდების (თუ შეწყვეტის) საკითხს უკავშირებენ სიტყვებსა

* — «ახალი დროება». რედ.

და ბროშურებში წარმოებული პოლემიკის საკითხს. განა ეს არ არის იდეური ბრძოლის აღრევა ადგილუფროსობის ანგარიშებთან და კინკლაობასთან?! პარტიის წევრთა მიერ რედაქციის შემადგენლობის (და მოქმედების) მოწონების თუ დაწუნების საკითხს «კანონიერების» საკითხში ურ ე ვ ე ნ! განა ეს ბიუროკრატული ფორმალიზმი არ არის?! ბუნებრივია, რომ ც. კ-ის საზღვარგარეთელმა წარმომადგენელმა ამაზე უპასუხა: «...როგორც ც. კ-ის წარმომადგენელს, მე აუცილებლად მიმაჩნია მივუთითო რედაქციას, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს ა დ ა ს ხ ვ. საკითხის აღსაძვრელად საზღვარგარეთ მოწყობილ რეფერატებზე ცხარე სიტყვების წარმოთქმის ანდა ლიტერატურული პოლემიკის გამო... თუ რედაქცია პოლემიკაში ხედავს თავდასხმებს მის მიმართ, მას ხომ სრული და უაღრესად სრული შესაძლებლობა აქვს უპასუხოს. განა გონივრულია გაცხარება ამა თუ იმ მკვახე სიტყვების (რედაქციის თვალსაზრისით) გამო პოლემიკაში, როცა არსად ლაპარაკიც კი არ არის ბოიკოტზე და არც სხვა რაიმე არალოიალურ (ც. კ-ის თვალსაზრისით) მოქმედებაზე»...[50] მართლაცდა, ყოვლად უცნაურია ლაპარაკი ვილაც ადამიანებზე, რომელთაც «პროტექციას უწევენ»... რას ნიშნავს ეს? ეს რა ბიუროკრატული ენაა? რა ესაქმება ც. კ-ს რეფერატებზე წარმოთქმულ სიტყვებთან? ჩვენ ხომ ცენზურა არა გვაქვს, სიტყვების თავისუფლება და პოლემიკის თავისუფლება რომ შევზღუდოთ. ნუთუ ა ს ე თ ი ბრძოლა არ უნდა გავმიჯნოთ ბოიკოტისაგან?

ის, რაც ოდესის კომიტეტზე (რომელიც თითქოს ცენტრალურ კომიტეტს შეეკითხა: ვუგზავნო თუ არა წერილები ცენტრალურ ორგანოსო) ამხ. მარტოვმა მოგვითხრო, მე აშკარა ხუმრობად მიმაჩნია. ამაზე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება.

ვიმეორებ, არასოდეს არ ყოფილა არც ერთი ისეთი ფაქტი, რომ ცენტრალურ კომიტეტს მუშაობიდან ჩამოეცილებინოს უმცირესობა. ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ამხ. მარტოვი

თვითონაც კი აღიარებს, რომ მას არ მოეპოვება ლიტერატურის არასწორად, ცალმხრივად ანუ მიკერძებით განაწილების ფაქტები.

III

ამხ. მარტოვმა ჩვენის მხრივ გადატრიალების საშიშროება დაინახა. ეს სასაცილოა. (მ ა რ ტ ო ვ ი: «ულტიმატუმი?») ც. კ-ის «ულტიმატუმი» პასუხი იყო სტაროვერის ულტიმატუმზე. ულტიმატუმი ჩვენი უკანასკნელი სიტყვაა ნამდვილი მშვიდობის ჩვენთვის მისაღებ პირობათა შესახებ. ეს არის და ეს. მხოლოდ ავადმყოფურ წარმოსახვას შეეძლო გადატრიალებისაკენ მისწრაფება დაენახა ჩვენს პასუხში უმცირესობისადმი, რომელმაც პარტია უეჭველად განხეთქილებამდე მიიყვანა. უმრავლესობას კი გადატრიალებაზე ფიქრი არ ესაჭიროება. რაც შეეხება «ისკრის» განაწილებას, ყველა მისი ნომერი შეძლებისდაგვარად რეგულარულად ნაწილდებოდა, და თუ რომელიმე კომიტეტი ამ მხრივ თავს «დავიწყებულად» მიიჩნევდა, ამის შესახებ საჭირო იყო მხოლოდ უბრალოდ, ამხანაგურად ეცნობებინათ ც. კ-თვის. ასეთი რამ ჩვენთვის დღემდე არავის უცნობებია. ხოლო რედაქციის წერილი კომიტეტებისადმი ამხანაგური კი არა, საომარი მოქმედებაა.

ცენტრალური კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ლიტერატურის განაწილების საქმე ერთის ხელში უნდა იყოს და მეორე გამნაწილებელი ცენტრი ზედმეტი და მავნეა. ახლა რამდენიმე სიტყვა ექსპედიტორის გამო. ვიმეორებ, ექსპედიტორი ბრალდებულთა რიცხვში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება სურდა და საქმიანი შეკითხვა მისცა რედაქციას. ხოლო რედაქციის მოთხოვნა, რომელიც ამას მოჰყვა: «არ გაბედო მსჯელობა!», «მოგვეცი 100 ან 200 ეგზემპლარი» და სხვ. — ატარებს საქმისადმი უაღრესად ხალასი ბიუროკრატული დამოკიდებულების ყველა ნიშანს.

მისამართების შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რედაქციას გადაეცა ყველაფერი, რაც კი მას ეკუთვნოდა. გამო-

ყოფილია მხოლოდ პირადი და ორგანიზაციული მიწერ-მოწერა, დანარჩენი კი რედაქციას გადაეცა. გარდა ამისა მოგაგონებთ, რომ ჯერ კიდევ ლონდონში საორგ. კ-მა მთელი ორგანიზაციული მიწერ-მოწერა ფორმალურად თვითონ იკისრა. ლაპარაკი ახალ ცენტრზე ც. კ-ის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის გამო აშკარა შარის მოდებაა და ბიუროკრატული ჩარევაა იმ დარგში, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დამოუკიდებელ გამგებლობას ექვემდებარება.

IV

ამხ. მარტოვი სრულიად უმართებულოდ განმარტავს წესდებას. ც. ო-ს სრული და ყოველმხრივი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, — ამას მოითხოვს წესდებაც და საქმისთვისაც საჭიროებელია. მაგრამ რწმუნებულთა დაგზავნა საორგანიზაციო მიზნებით — მსგავსად, მაგალითად, Z-ის[60] გაგზავნისა ოდესის კომიტეტში ც. კ-ის შეუტყობინებლად — აშკარად არღვევს ფუნქციათა ბუნებრივ განაწილებას პარტიის ორ ცენტრალურ დაწესებულებას შორის. ასეთი ნაბიჯი სრულიადაც არ არის გამოწვეული არც ინფორმაციის ინტერესებით, ის მხოლოდ პირდაპირ დეზორგანიზაციას იწვევს და სრულიად არღვევს მოქმედების ერთიანობას. სწორედ ასეთი ღონისძიება აძლიერებს ქაოსს პარტიულ საქმეებში და პრაქტიკულად კი ნიშნავს პარტიის პირდაპირ ორად გაპობას — ნაცვლად ორი ცენტრალური დაწესებულების ფუნქციების დანაწილებისა.

პარტიისადმი

მიმართვის პროექტი

ამხანაგებო! ჩვენი პარტია რომ მძიმე კრიზისს განიცდის, ეს ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, ეს პირდაპირ და აშკარადაა განცხადებული ჩვენი ცენტრალური ორგანოს ფურცლებზედაც.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მოვუწოდოთ პარტიის ყველა წევრს აქტიური და შეგნებული მონაწილეობის მისაღებად ყველაფერში, რაც კი აუცილებელია კრიზისიდან შეძლებისამებრ სწრაფად და უმტკივნეულოდ გამოსვლისათვის.

ამხ. პლეხანოვი, რომელიც პარტიის ყრილობაზე და — ამ ყრილობის დროიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე — პარტიული ყრილობის უმრავლესობას ეკუთვნოდა, ახლა «ისკრის» № 57-ში უმცირესობის მოთხოვნებს იცავს და ც. კ-ს სწამებს «ექსცენტრიულობას», დაუთმობლობას, რასაც სარგებლობა მოაქვს მხოლოდ მტრებისათვის, უმცირესობის მომხრეთა კოოპტაციის წინააღმდეგ წასვლას. სწორედ ასეთი კოოპტაცია მიაჩნია ამხ. პლეხანოვს, არც მეტი არც ნაკლები, — «ერთადერთ საშუალებად ჩვენი პარტიის იმ მძიმე კრიზისიდან გამოსაყვანად, რომელიც მეტისმეტად ასუსტებს ჩვენს პოზიციებს და აძლიერებს ჩვენი მრავალრიცხოვანი მტრებისა და მოწინააღმდეგეების პოზიციებს». ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო წესდებას, — ამბობს ამხ. პლეხანოვი, — მხედველობაში აქვს

რა, ალბათ, მძიმე კრიზისის ეს მდგომარეობა, — არამედ საქმეთა ფაქტიურ ვითარებასაც, პარტიაში ძალთა არსებულ თანაფარდობას. საჭიროა წრეობანისა და დოქტრინიორობის იმ თვალსაზრისზე მაღლა დადგომა, რომელიც პირველ რიგში აყენებს იმას, რაც მუშებს სთიშავს, და არა იმას, რაც მათ აერთიანებსო.

ეს ზოგადი დებულებები უეჭველად სამართლიანია, და ყველა სოციალ-დემოკრატს ისღა დარჩენიათ, რომ ზუსტად გაეცნონ ფაქტებს, სერიოზულად ჩაუფიქრდნენ საქმის ვითარებას, რათა სწორად გამოიყენონ ეს ზოგადი დებულებები.

დიახ, რადაც არ უნდა დაჯდეს, ყოველგვარი ძალღონის გამოყენებით, ისე რომ არ შევუშინდეთ ხანგრძლივსა და შეუპოვარ მუშაობას, უნდა განვკურნოთ ჩვენი პარტია წრეობანისაგან, უთანხმოებისა და გათიშვისაგან უმნიშვნელო საბაბთა გამო, არასაკადრისი და შეუფერებელი კინკლაობისაგან დირიჟორის ჯოხის გულისათვის! შეხედეთ იმ ამბებს, რომლებიც დატრიალდა ჩვენს პარტიაში II ყრილობის დროიდან. იქონიეთ გამბედაობა და გამოამზეურეთ ჩვენი იარები, რათა პირმოთნეობისა და ოფიციალური სიყალბის გარეშე დავუსვათ მათ დიაგნოზი და სწორად განვკურნოთ ისინი.

მეორე ყრილობის ოქმები ახლა მთლიანად გამოქვეყნებულია; პარტიის წევრთათვის გამოცემულია აგრეთვე საზღვარგარეთული ლიგის ყრილობის ოქმებიც. პარტიულმა ლიტერატურამ უკვე გამოამზეურა ჩვენი კრიზისის არცთუ ცოტა გამოვლინებანი და სიმპტომები, და თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, მაგრამ უკვე ახლაც შეგვიძლია და კიდეც უნდა შევაჯამოთ ზოგიერთი შედეგი.

მეორე ყრილობა დამთავრდა გააფთრებული ბრძოლით ჩვენი ცენტრების შემადგენლობის გამო. 24 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 20-ისა არჩეულ იქნა ც. ო-ს რედაქციისამი პირისაგან (პლეხანოვი, მარტოვი და ლენინი) და ც. კ.

ასევე სამი ამხანაგისაგან. მარტოვმა უარი თქვა არჩევაზე, უარი თქვა მთელ უმცირესობასთან ერთად ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობაზე. ყრილობიდანვე დაიწყო უმცირესობის გააფთრებული ბრძოლა ცენტრების წინააღმდეგ, ნამდვილი ბრძოლა დირიჟორის ჯოხის გულისთვის, წრეობანის ნამდვილი ბრძოლა პარტიულობასთან, ბრძოლა ძველი რედაქციის აღდგენისათვის, ც. კ-ში წევრთა სათანადო (უმცირესობის შეხედულებით) რაოდენობის კოოპტაციის გულისთვის. ეს ბრძოლა თვეების განმავლობაში წარმოებდა და მას თან სდევდა უმცირესობის სრული ჩამოშორება მუშაობისაგან ცენტრების ხელმძღვანელობით, ბოიკოტი და წმინდა ანარქისტული ქადაგება, რომლის ნიმუშებსაც პარტიის წევრები უხვად იპოვიან ლიგის ყრილობის ოქმებში. ეს ბრძოლა უმთავრესად გაიშალა საზღვარგარეთ, დადებითი მუშაობისაგან და პროლეტარიატის შეგნებულ წარმომადგენელთა მონაწილეობისაგან ყველაზე უფრო დაშორებულ ნიადაგზე. ეს ბრძოლა II ყრილობის მიერ შექმნილ ცენტრებს ართმევდა აუცილებელ ძალას მოგზაურობაზე, შეხვედრებსა და მოლაპარაკებაზე უამრავი წვრილმანი უკმაყოფილების, კონფლიქტისა და კინკლაობის მოსპობის მიზნით. ოპოზიციის მოთხოვნები რომ ანგარიშს არ უწევდა ძალთა არავითარ თანაფარდობას არც II ყრილობაზე, არც პარტიაში საზოგადოდ, ეს იქიდან ჩანს, რომ, მაგალითად, ც. ო-ს რედაქცია (პლეხანოვი და ლენინი) ორი კაცის კოოპტაციასაც კი თანხმდებოდა, ე. ი. პარტიული ყრილობის უმრავლესობისა და უმცირესობის თანაბარ წარმომადგენლობას. ოპოზიცია მოითხოვდა უდიდეს უმრავლესობას რედაქციაში (ოთხს ორის წინააღმდეგ). აუცილებელი და დაუყოვნებლივი განხეთქილების მუქარის გამო, ბოლოს და ბოლოს, ორივე ცენტრი წავიდა მთელ რიგ დათმობებზე, რაც შეეხებოდა მოთხოვნებს დირიჟორის ჯოხის შესახებ: კოოპტირებულ იქნა რედაქცია, რედაქციიდან და საბჭოდან გადადგა ლენინი, საბჭოდან წავიდა უმრავლესობის ერთი წევრი, აღარ მომხდარა რეორგანიზაცია საზღვარგარეთული ლიგისა, რო-

მელმაც თავის ყრილობაზე დაარღვია ყველაფერი, რაც დაწესებული იყო პარტიული ყრილობის მიერ; ოპოზიციას შეესთავაზეს ორი ადგილი ცენტრალურ კომიტეტში.

ოპოზიციამ ეს უკანასკნელი პირობა უარჰყო. როგორც ჩანს, ის მოითხოვს ადგილთა მეტ რაოდენობას და მასთან არა იმ პირთათვის, რომელთაც ც. კ. აირჩევდა, არამედ იმათთვის, ვისზედაც ოპოზიცია მიუთითებს. ამგვარ მოთხოვნებს ვერავითარი ძალთა თანაფარდობა, საქმის ვერავითარი ინტერესები ვერ გაამართლებს: ამ ულტიმატუმებს ამაგრებს მხოლოდ განხეთქილების მუქარა, ზედმოქმედების მხოლოდ უხეში მექანიკური საშუალებები, როგორიცაა ბოიკოტი და ფულადი სახსრების დაკავება.

პარტია უკიდურესად დეზორგანიზებული და დემორალიზებულია ადგილებისათვის ამ ბრძოლით, რაც დადებითი მუშაობისაგან ძალების ჩამოშორებას იწვევს. პარტიის დემორალიზაციას არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, ის იწვევს, რომ უმცირესობის ეგრეთწოდებული პრინციპული უთანხმოებანი ყალბი სამოსელით ფარავენ ამ ბრძოლას.

ყველანი ერთსულოვნად დათანხმდნენ — და მრავალჯერ კატეგორიულად აცხადებდნენ ამას — II ყრილობის ყველა გადაწყვეტილება და ყველა არჩევნები თავისთვის უეჭველად სავალდებულოდ გაეხადათ. ახლა კი უმცირესობამ სინამდვილეში უკვე დაარღვია მთელი წესდება და ყველა არჩევნები, ახლა «ფორმალისტები» აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ერთად მიღებულ გადაწყვეტილებებს იცავენ, — «ბიუროკრატს» უწოდებენ ყველას, ვინც თავისი რწმუნებანი ყრილობისაგან მიიღო, — უხეშ მექანიკურ და კანცელარიულ თვალსაზრისს აბრალებენ იმას, ვინც ემყარება ხმათა უმრავლესობას, რომელმაც გამოხატა (ჩვენი საერთო თანხმობით) ძალთა თანაფარდობა პარტიაში. მას, ვისაც ყრილობაზე, როგორც თანამდებობის პირთა ასარჩევად მოწოდებულს ყველა ამხანაგის მიერ, ზოგიერთი რედაქტორი თანამშრომელთა მდგომარეობაზე და საორგ. კ-ის ზოგიერთი წევრი რიგით მუშაკთა მდგომარეობაზე გადაჰყავდა, თურმე დანაშაული

მიუძღვის იმაში, რომ პარტიის წევრებს პატარა ხრახნებად და ბორბლებად აქცევს და სხვ. და ა. შ. უმცირესობის მიერ ჯერ კიდევ პარტიულ ყრილობაზე დაკავებულმა არასწორმა და მერყეევმა პოზიციამ გარდუვალად მიგვიყვანა ამ სიყალბემდე, რასაც ჩვენ სრულიადაც არ მივაწერთ ვისიმე სუბიექტურ ნება-სურვილს.

განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ამ დაქსაქსულობას? დაე ჩაუფიქრდეს ამას ყველა, ვინც ჩვენი პარტიის ბედს უფრთხილდება.

განა დრო არ არის გადაჭრით ბოლო მოეღოს ამ ბრძოლას ცენტრებისათვის, ამ ადგილუფროსობის ანგარიშებს, რასაც ასეთი გამხრწნელი გავლენა შეაქვს მთელს ჩვენს მუშაობაში? განა დასაშვებია მთელი თვეების განმავლობაში მოლაპარაკების შემდეგ, ისევ და ისევ ახალი მოლაპარაკების დაწყება ოპოზიციასთან, საკითხის აღძვრა ცენტრალური კომიტეტის ცალმხრივობისა თუ ექსცენტრიულობის შესახებ? ამ საკითხის აღძვრას მას შემდეგ, რაც რედაქციის კოოპტაციის მეოხებით მშვიდობა უკვე უზრუნველყოფილი ჩანდა, ხომ ისევ და ისევ გამოაქვს სცენაზე საკითხი ჩვენი ცენტრალური ორგანოს ცალმხრივობისა და ექსცენტრიულობის, თვით ანტიპარტიულობის შესახებაც კი. სანამდე უნდა ვაწარმოოთ ეს არასაკადრისი კინკლაობა ცენტრების შემადგენლობის გულისათვის? და როგორ შეგვიძლია ჩვენ ამა თუ იმ მხარის მოთხოვნათა სამართლიანობის საკითხის გადაწყვეტა? სად არის ამ სამართლიანობის საზომი? რატომ უნდა ჩავთვალოთ ჯიუტებად «ურყევნი», რომლებმაც ძალიან, ძალიან ბევრი რამ დასთმეს იქიდან, რაც გადაწყვეტილი იყო ყრილობაზე, და არა «ლმობიერნი», რომლებიც ნამდვილად არაჩვეულებრივ ურყევნი აღმოჩნდნენ განხეთქილებისაკენ მისწრაფებაში და განხეთქილების პირდაპირ მომზადებაში.

დაე ამხანაგები ჩაუფიქრდნენ იმას, თუ როგორ გამოვიდეთ ამ არანორმალურ მდგომარეობიდან. ცენტრალურ კომიტეტს იმედი ჰქონდა, რომ ც. ო-ში სამინისტროს შეცვლა

მშვიდობას დაამყარებდა. როდესაც მოდავე მხარეებმა უკვე ძალიან შესტოპეს, როდესაც დირიჟორის ჯოხისათვის ბრძოლამ უშუალოდ განხეთქილებამდე მიგვიყვანა, — მხოლოდ ერთიღა იმედი რჩებოდა კიდევ: შესაძლებლობა როგორმე ისე მაინც გამიჯვნისა, რომ ერთიმეორისათვის ხელი არ შეგვეშალა, რომ, რახან ერთ პარტიაში ვმუშაობთ, თანდათანობით შეგვესუსტებინა ყოველგვარი შეხლა-შემოხლა, რომ არ შევხებოდით ან უფრო იშვიათად შევხებოდით «საჭირბოროტო» საკითხებს. ცენტრების გაყოფა თითქოს ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფდა კრიზისის შეწყვეტას: უმცირესობას თავისი ც. ო. ჰქონდა და თავისუფლად შეეძლო მის გარშემო დაჯგუფებულიყო, თავისუფლად გაეტარებინა თავისი შეხედულებანი, თავისუფლად ეწარმოებინა თავისი პარტიული მუშაობა და თავი არ ეგრძნო «უცხოდ» პარტიაში. ცენტრის არსებობა უმრავლესობისთვისაც (ან უმრავლესობის სიჭარბე ც. კ-ში) ერთგვარად მაინც დააკმაყოფილებდა უმრავლესობასაც. ცენტრებისათვის ბრძოლა შეიძლებოდა შეწყვეტილიყო და მიქცეულიყო იგი უთანხმოებათა და ელფერთა წმინდა პრინციპული ახსნა-განმარტებისაკენ.

«ისკრის» მიერ ც. კ-ის კოოპტაციის საკითხის აღძვრა სპობს ამ იმედს. ჩვენ უკვე შესაძლებლად აღარ მიგვაჩნია კვლავ დავიწყოთ ვაჭრობა ადგილებისათვის, რაც ჩვენში ზიზღს იწვევს. თუ სხვა გამოსავალი არ აღმოჩნდა, ჩვენ იმასაც კი ვამჯობინებდით, რომ დირიჟორის ყ ვ ე ლ ა ჯოხი უმცირესობისათვის გადაგვეცა, თუ კი მას სრულიად აღარ შეუძლია მუშაობა პარტიაში სხვაგვარად, თუ არა უმაღლეს ადგილებზე. ასეთი ნაბიჯისათვის მზადყოფნა ძლიერდება ჩვენში იმ გარემოებასთან ერთად, რომ ჩვენი მოძრაობის ეს ახალი, საზიზღარი ავადმყოფობა გაჭიანურებულ ფორმებს იღებს, — წვრილმანი კინკლაობა, რომელიც მით უფრო აუტანელია, რაც უფრო წვრილმანია იგი, ქრონიკული ხდება.

მაგრამ ჩვენი სურვილია ჯერ გავიგოთ, რაც შეიძლება უფრო გარკვეულად, პარტიის აზრი, ჩვენი სურვილია ანგარიში გავუწიოთ რევოლუციური წრის საზოგა-

დოებრივ აზრსაც, განსაკუთრებით რუსეთში. ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს გულდასმით განიხილონ და შეისწავლონ ცნობები ჩვენი «კრიზისის» შესახებ, ყოველმხრივ შეაფასონ საქმეთა ახლანდელი ვითარება პარტიაში და გამოთქვან თავიანთი აზრი ყველა აღძრულ საკითხზე.

დაწერილია 1904 წლის თებერვლის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. ლენინის კრებულში X

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

«ისკრის» რედაქციიდან გასვლის გარემოებათა შესახებ

ჟენევა, 1904 წ. 20 თებერვალი

პატივცემულო ამხანაგებო!

რადგან თქვენს ბროშურაში ეხებით იმ გარემოებებს, რომლებმაც გამოიწვიეს ჩემი გასვლა «ისკრის» რედაქციიდან, გთხოვთ თქვენი ბროშურის დამატებაში ადგილი დაუთმოთ ჩემს პასუხს ამხ. მარტოვისადმი 1904 წ. 29 იანვრის თარიღით მიწერილ ამხ. პლეხანოვის წერილზე, რომელიც დაბეჭდილია მარტოვის ბროშურაში «საალყო წესებთან» ბრძოლის შესახებ.

ამხ. პლეხანოვს ჩემს წერილში რედაქციისადმი საქმის ვითარების გადმოცემა ზუსტად არ მიაჩნია. მაგრამ ის არც ერთს ფაქტიურ შესწორებას არ იძლევა და არც შეეძლო მოეცა. მან მხოლოდ შეავსო ჩემი გადმოცემა ჩემსა და მას შორის კერძო საუბრის არაზუსტი გადმოცემით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერძო საუბრის დამოწმება მე მიმაჩნია სერიოზული არგუმენტების უქონლობის უეჭველ ნიშნად. მე ახლაც იმ აზრისა ვარ, რომელსაც ამას წინათ ადგა ამხ. პლეხანოვიც ამხ. მარტოვის მხრივ კერძო საუბრის დამოწმების გამო (ლიგის ოქმები, გვ. 134), სახელდობრ, რომ ასეთი საუბრის «ზუსტად მოყვანა» არა მგონია შესაძლებელი იყოს და «პოლემიკაც» მის შესახებ «ვერაფერს მოგვცემს».

მაგრამ რაკი ამხ. პლეხანოვმა უკვე მოიყვანა ჩვენი კერძო საუბარი, მე უფლება მაქვს განვმარტო და შევავსო ის,

მით უმეტეს იმიტომ, რომ ამ საუბრებს დაესწრნენ მესამე პირნიც.

პირველი საუბარი, როცა ამხ. პლეხანოვი ლაპარაკობდა თავის გადაწყვეტილებაზე * გადადგომის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მე უეჭველად არ დავთანხმდებოდი კოოპტაციაზე, მოხდა ლიგის ყრილობის დამთავრების დღეს, საღამოს, და მეორე დღეს, დილით, პარტიის საბჭოს ორი წევრის თანადასწრებით. საუბარი ტრიალებდა ოპოზიციისათვის დათმობის საკითხის გარშემო. პლეხანოვი დაჟინებით მოითხოვდა დათმობას, რადგან უეჭველად მიაჩნდა, რომ ოპოზიცია არ დაემორჩილებოდა პარტიის საბჭოს არავითარ დადგენილებას და შეიძლება დაუყოვნებლივ მოხდესო პარტიის სრული გათიშვა. მე დაჟინებით ვიცავდი იმ აზრს, რომ მას შემდეგ, რაც ლიგაში მოხდა, მას შემდეგ, რაც ლიგის ყრილობაზე მიიღეს ც. კ-ის წარმომადგენლის მიერ წამოყენებული ზომები (ხოლო ამხ. პლეხანოვი მონაწილეობას იღებდა თვითეული ამ ზომის განხილვაში და სავსებით იწონებდა მათ) — დათმობა ანარქისტული ინდივიდუალიზმისათვის შეუძლებელია-მეთქი, ხოლო ცალკე ლიტერატურული ჯგუფის გამოსვლა (რაც მე პლეხანოვთან საუბარში არა ერთხელ მიმიჩნევია სავსებით დასაშვებად, წინააღმდეგ მისი აზრისა), შეიძლება ჯერ კიდევ არ ნიშნავდეს უსათუოდ განხეთქილებას-მეთქი. როცა საუბარი ერთ-ერთი ჩვენგანის გადადგომას შეეხო, მე იმ წამსვე ვთქვი: მე გავალ-მეთქი, რადგან არ მსურდა ხელი შემეშალა პლეხანოვისთვის კონფლიქტის მოგვარების ცდაში, იმის ცდაში, რომ თავიდან აგვეშორებინა ის, რაც მას განხეთქილებად მიაჩნდა.

---

* ამხ. პლეხანოვმა სიზუსტისადმი მისწრაფებაში ცოტათი გადააჭარბა, როცა შენიშნა: პლეხანოვს უფლება არ ჰქონდა კოოპტაცია გადაეწყვიტა, რადგან წესდების მიხედვით კოოპტაცია ერთხმივი უნდა იყოსო. ეს შესწორება კი არა, შარია, ვინაიდან წესდებით, როცა ერთხმივობა არ არის, აკრძალულია გარკვეული ორგანიზაციული მოქმედება და არა გადაწყვეტილება, რომელსაც ძალიან ხშირად იღებენ მხოლოდ დასანახად, ნამდვილად კი არ ახორციელებენ.

ამხ. პლეხანოვი ახლა ისეთს თავაზიანობას იჩენს ჩემდამი, რომ ჩემი ნაბიჯისათვის სხვა მოტივები ვერ გამოუნახავს, გარდა უაღრესად ლაჩრული თავდაძვრენისა. ჩემი ამ თვისების მეტად ცოცხალი ფერებით გამოსახატავად ამხ. პლეხანოვი მაწერს სიტყვებს: «ყველა იტყვის: ცხადია, ლენინი მართალი არ ყოფილა, რაკი მას პლეხანოვიც კი არ ეთანხმებაო».

საქმის ვითარება, რაღა თქმა უნდა, გადამლაშებულია! გადამლაშებულია ისე, რომ გამოდის აშკარა შეუსაბამობა, რასაც ამხ. პლეხანოვი ვერც კი ამჩნევს. მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ პლეხანოვს «ყველა» მიიჩნევდა მართლად (როგორც ამას პლეხანოვი მორცხვად ფიქრობს თავის თავზე), და საჭიროდ რომ დამენახა ამ ყველას აზრისთვის ანგარიშის გაწევა, ცხადია, ვერასოდეს ვერ გავბედავდი პლეხანოვთან დაშორებას და ამ შემთხვევაშიც მას გავყვებოდი. ამხ. პლეხანოვს სურდა ჩემი საქციელი რაც შეიძლება ცუდი მხრით და უსაძაგლესი მოტივებიდან გამომდინარედ ეჩვენებინა, რისთვისაც მან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ა ზ რ ს მოკლებული მოტივი მომაწერა. მე თითქოს ისე მეშინოდა რაშიმე დავშორებოდი პლეხანოვს, რომ — დავშორდი მას. რაღაც მარჯვედ ვერ გამოუდის ეს ამხ. პლეხანოვს.

ნამდვილად კი ჩემი აზრი იყო: უმჯობესია ისევ მე გავიდე, იმიტომ რომ წინაალმდეგ შემთხვევაში ჩემი განსაკუთრებული აზრი ხელს შეუშლის ზავის ჩამოგდების ც დ ე ბ ს **პლეხანოვის მხრივ.** მე არ მინდა ხელი შევუშალო ამ ცდებს; **შეიძლება, ჩვენ შევთანხმდეთ ზავის პირობებზედაც,** მაგრამ **პასუხისმგებლობა** რედაქციისთვის, **რომელსაც ა მ გ ვ ა რ ა დ** ახვევს თავს კანდიდატებს საზღვარგარეთული წრეობანა, შეუძლებლად მიმაჩნია-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ მე მართლაც შევიარე პლეხანოვთან, საბჭოს ერთ წევრთან ერთად, და ჩვენმა საუბარმა **პლეხანოვთან** ასეთი მსვლელობა მიიღო:

— იცით, არიან ზოგჯერ ისეთი ჩხუბისთავი ცოლები, — თქვა **პლეხანოვმა,** — **რომ** აუცილებელ ი ხდება დაუთმო, რა-

თა თავიდან აიშორო ისტერიკა და დიდი სკანდალი საზოგადოების წინაშე.

— შესაძლოა, ვუპასუხე მე, — მაგრამ საჭიროა ისე დაუთმო, რომ შეინარჩუნო ძალა, რათა არ დაუშვა კიდევ უფრო დიდი «სკანდალი».

— მაგრამ წასვლა ხომ ყველაფრის დათმობას ნიშნავს, — მომიგო პლეხანოვმა.

— არა ყოველთვის, — შევეკამათე მე, და დავიმოწმე ჩემბერლენის მაგალითი. ჩემი აზრი სწორედ ისეთი იყო, როგორიც პრესაშიც მქონდა გამოთქმული: თუ პლეხანოვი მოახერხებდა ისეთი ზავის ჩამოგდებას, რომელიც მისაღები იქნებოდა უმრავლესობისთვისაც, რომლის რიგებში პლეხანოვი ასე დიდხანს და ასე ენერგიულად იბრძოდა, მაშინ არც მე დავიწყებდი ომს; ხოლო თუ ვერ მოახერხებდა, — მე შენარჩუნებული მექნებოდა მოქმედების თავისუფლება, რათა სააშკარაოზე გამომეყვანა «ჩხუბისთავი ცოლი», თუ მას პლეხანოვიც კი ვერ დაამშვიდებდა და ვერ დააშოშმინებდა.

იმავე საუბარში მე ვუთხარი პლეხანოვს (რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა ოპოზიციის პირობები) ჩემი «გადაწყვეტილება» ც. კ-ში შესვლის შესახებ (მე შემეძლო ეს «გადამეწყვიტა», მაგრამ საჭირო იყო, რასაკვირველია, ც. კ-ის ყველა წევრის თანხმობა). პლეხანოვი სრული თანაგრძნობით შეხვდა ამ გეგმას, როგორც «ჩხუბისთავ ცოლთან» შეწყობის უკანასკნელ ცდას, რანაირ პირობებშიც უნდა ყოფილიყო ეს. როდესაც წერილში პლეხანოვისადმი 1903 წლის 6 ნოემბერს მე გამოვთქვი აზრი, იქნებ, პირდაპირ გადასცეთ რედაქცია მარტოველებს-მეთქი, პლეხანოვმა მიპასუხა (8 ნოემბერს)... «თქვენ, მგონი, ცუდად გაიგეთ ჩემი განზრახვა. მე გუშინ ერთხელ კიდევ ავუხსენი ის ამხ. ვასილიევს» (ც. კ-ის წევრს, რომელიც ლიგის ყრილობაზე იყო). ამავე ამხ. ვასილიევს პლეხანოვი სწერდა 10 ნოემბერს «ისკრის» № 52-ის, რომელშიც მოთავსებული იყო ცნობა ყრილობის შესახებ, გამოშვების დაჩქარების ან შეჩერების საკითხზე: ...«ყრილობის შესახებ ცნობის დაბეჭდვა ნიშნავს: 1) ან იმის დაბეჭდვას, რომ მარ-

ტოვი და სხვები «ისკრაში» მონაწილეობას არ იღებენ, ანდა 2) ამაზე უარი ეთქვას მარტოვს, — და მაშინ ის ამ ცნობას ცალკე ფურცლად დაბეჭდავს. ორივე შემთხვევაში ეს საზოგადოებას აგებინებს განხეთქილების ამბავს, ჩ ვ ე ნ კ ი ახლა ს წ ო რ ე დ ე ს უ ნ დ ა ა ვ ი ც ი ლ ო თ თ ა ვ ი დ ა ნ» (ხაზგასმა ჩემია. ნ. ლ.). 17 ნოემბერს პლეხანოვი იმავე ამხანაგს სწერს: ...«რას ფიქრობთ თქვენ მარტოვისა და სხვების დაუყოვნებლივ კოოპტაციაზე? მე ასე მგონია, რომ ეს იქნებოდა საშუალება საქმის მოგვარებისა უმცირესი დაბრკოლებით. უ თ ქ ვ ე ნ ო დ მ ე ა რ მ ი ნ დ ა ვ ი მ ო ქ მ ე დ ო»... (ხაზგასმა პლეხანოვისაა).

ამ ნაწყვეტებიდან ნათლად ჩანს, რომ პლეხანოვი ცდილობს იმოქმედოს უმრავლესობასთან სოლიდარულად, რედაქციის კოოპტაცია მას სურს მხოლოდ ზავის ჩამოსაგდებად და ზავის პირობებში, და სრულებითაც არა იმისთვის, რომ ომი გაუმართოს უმრავლესობას. თუ წინააღმდეგ მოხდა, ამან მხოლოდ ის დაგვანახვა, რომ ანარქისტული ინდივიდუალიზმის ურემმა მეტისმეტად შესტოპა ბოიკოტისა და დეზორგანიზაციის ტაქტიკაში; უძლიერესმა მუხრუჭებმაც კი ვერა უშველეს რა. ეს, რასაკვირველია, მეტად სამწუხაროა, და პლეხანოვიც, რომელსაც გულწრფელად სწადდა ზავი, არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა; მაგრამ ამის მარტო ჩემთვის დაბრალება რა საკადრისია.

რაც შეეხება პლეხანოვის სიტყვებს, თითქოს მე მისთვის შემეთავაზებინოს დუმილი შესაფერი «ეკვივალენტის» გულისთვის და მის ამაყ განცხადებას: «მე საჭიროდ არ ვცანი მისი დუმილის ყიდვაო», ეს პოლემიკური ხერხი მხოლოდ კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს, როცა მას ადარებ ზემოთ ჩემს მიერ მოყვანილ სიტყვებს ათი ნოემბრის წერილიდან. სწორედ პლეხანოვი აძლევდა უდიდეს მნიშვნელობას დუმილის, საზოგადოებისთვის განხეთქილების ამბის დამალვის საკითხს *. რა არის იმაზე უფრო ბუნებრივი, თუ მე ვაცნო-

* **A propos** (მართლა. რ ე დ.). სწორედ პლეხანოვი მოითხოვდა განსაკუთრებით ენერგიულად, არ გამოექვეყნებინათ ლიგის ოქმები და პარ-

ბებ ჩემს თანხმობას ამაზედაც იმ პირობით, რომ ზავი იქნება ჩამოგდებული? ლაპარაკი დათმობაზე «ეკვივალენტის გულისთვის» და «ყიდვაზე» იძულებულს გვხდის იმის მოლოდინიც ვიქონიოთ, რომ შემდეგში პლეხანოვი აცნობებს საზოგადოებას — ლენინი ყალბ ქაღალდის ფულს ამზადებს ასეთი რამეების საყიდლადო. აკი ხდებოდა ეს ემიგრანტების კინკლაობის დროს — შესაფერისი ატმოსფერო ახლაც არსებობს.

ამხ. პლეხანოვის წერილი უნებურად გაფიქრებინებს: ხომ არ გამხდარა ახლა ის იძულებული ი ყ ი დ ო ს უმცირესობაში ყოფნის უფლება? უმცირესობის ტაქტიკა ჩვენს ეგრეთწოდებულ პარტიულ ორგანოში უკვე გამოირკვა. უნდა ვეცადოთ მივჩქმალოთ ის სადავო საკითხები და ფაქტები, რომლებმაც მართლაც გამოიწვიეს ჩვენი უთანხმოება. უნდა ვეცადოთ დავამტკიცოთ, რომ მარტინოვი ბევრად უფრო ახლოს იდგა «ისკრასთან», ვიდრე ლენინი, — სახელდობრ როგორ, სახელდობრ რაში და სახელდობრ რამდენად, ამის განხილვას ჯერ კიდევ დიდხანს მოუნდება ახალი «ისკრის» დაბნეული რედაქცია. საჭიროა ფარისევლურად გაჰკიცხო პიროვნებანი პოლემიკაში — და სინამდვილეშიც მთელი ბრძოლა უნდა გადააქციო ლაშქრობად პიროვნების წინააღმდეგ, არ უნდა დაერიდო იმასაც კი, რომ «მტერს» მიაწერო ფრიად შეუსაბამო ბოროტი თვისებები, დაწყებული თავშეუკავებელი პირდაპირობით და გათავებული ლაჩრული გაძვრომ-გამოძვრომით. ოღონდ რაც შეიძლება მაგარი გამოვიდეს. და ჩვენს ახალ მოკავშირეებსაც, ამხ. პლეხანოვს და მარტოვს, ისე მაგრად გამოუდით, რომ მალე არაფრით არ ჩა-

---

ტიის ყრილობის ოქმების ის ბ ო ლ ო ნ ა წ ი ლ ი, სადაც პლეხანოვი აცხადებს, მთელ ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვკისრულობ ძველი ეგრეთწოდებული რედაქციის წინააღმდეგ პირდაპირი ხმის მიცემისთვისო, ის ბოლო ნაწილი, სადაც ის იმედს გამოთქვამს — არ გაღარიბებულა პარტია ლიტერატურული ძალებითო, — ამ განცხადებას, უმცირესობის ერთმა წარმომადგენელმა ცრუკლასიკური სტილის საპარადო ფრაზა უწოდა.

მოუვარდებიან ცნობილ ბუნდელებს მათი ცნობილი «ბილწობით». მოკავშირეები ისე გულმოდგინედ მიშენენ ყუმბარებს თავიანთი ჯავშნოსნებიდან, რომ აზრი მებადება: ეს საშინელი სამეულის ორი მესამედის შეთქმულება ხომ არ არის? საჭირო ხომ არ არის მეც თავი მოვაჩვენო, თითქოს ნაწყენი ვარ? იქნებ საჭიროა ყვირილი მოვრთო «საალყო წესებზე»? ეს ხომ ხანდახან ასე მოხერხებული და ასე ხელსაყრელია...

თუმცა, იმისათვის, რომ უმცირესობის ნამდვილი მომხრე გახდეს, ამხ. პლეხანოვს დასჭირდება კიდევ, მგონი, ორი პატარა ნაბიჯი გადადგას: ჯერ-ერთი, უნდა აღიაროს, რომ წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირება, რომელსაც ამხ. მარტოვი და აქსელროდი ყრილობაზე იცავდნენ (და რომელსაც ახლა გულმოდგინედ აფუჩეჩებენ), გამოხატავს არა ოპორტუნიზმისაკენ ნაბიჯის გადადგმას, არა ქედის მოხრას ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის წინაშე, არამედ ახალ, ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიულ, აკიმოვ-მარტოვისებურ და მარტინოვ-აქსელროდისებურ ორგანიზაციულ შეხედულებათა საწყისს. მეორე, უნდა აღიაროს, რომ ყრილობის შემდეგ უმცირესობასთან გაჩაღებული ბრძოლა იყო არა ბრძოლა პარტიული დისციპლინის უხეშად დარღვევის წინააღმდეგ, ისეთ სააგიტაციო ხერხების წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ აღშფოთებას იწვევენ, არა ბრძოლა ანარქიზმისა და ანარქისტული ფრაზის წინააღმდეგ (იხ. ლიგის ოქმების გვ. 17, 96, 97, 98, 101, 102, 104 და ბევრი სხვ.), არამედ ბრძოლა «საალყო წესების», ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და სხვ. წინააღმდეგ.

ამგვარ სადავო საკითხებს დაწვრილებით შეეხები ბროშურაში, რომელსაც ახლა ვამზადებ დასაბეჭდად. ჯერჯერობით კი... ჯერჯერობით კი დავათვალიეროთ გოგოლის ტიპების გალერეა, გახსნილი ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, რომელმაც წესად გაიხადა მკითხველებისათვის გამოცანების მიცემა. ვინა ჰგავს სწორხაზოვან სობაკევიჩს, რომელიც ყველას ფეხს ადგამს თავმოყვარეობაზე, ე. ი. კოჟრებ-

ზე? ვინა ჰგავს გაიძვერა ჩიჩიკოვს, რომელიც მკვდარ სულებთან ერთად დუმილსაც ყიდულობს? ვინა ჰგავს ნოზდრიოვსა და ხლესტაკოვს? მანილოვსა და სკვოზნიკ-დმუხანოვსკის? საინტერესო და ჭკუისსასწავლებელი გამოცანებია... «პრინციპული პოლემიკაა...».

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარი».

ჟენევა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

პირველი მაისი

ფურცლის პროექტი

ამხანაგო-მუშებო! ახლოვდება პირველი მაისის დღე, როდესაც ყველა ქვეყნის მუშები დღესასწაულობენ თავიანთ გამოღვიძებას შეგნებული ცხოვრებისათვის, დღესასწაულობენ თავიანთ გაერთიანებას ბრძოლაში ყოველგვარი ძალადობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ბრძოლაში მილიონობით მშრომელთა განთავისუფლებისათვის შიმშილისა, სიღატაკისა და დამცირებისაგან. ორი სამყარო უპირისპირდება ერთიმეორეს ამ დიად ბრძოლაში: კაპიტალის სამყარო და შრომის სამყარო, ექსპლოატაციისა და მონობის სამყარო, ძმობისა და თავისუფლების სამყარო.

ერთ მხარეზეა ერთი მუჭა მდიდარი მუქთახორები. მათ ხელში ჩაუგდიათ ფაბრიკები და ქარხნები, იარაღები და მანქანები. მათ თავის კერძო საკუთრებად გადაუქცევიათ მრავალი მილიონი დესეტინა მიწა და უამრავი ფული. მათ მთავრობა და ჯარი აიძულეს გამხდარიყვნენ მათი მსახურნი და მათი დაგროვილი სიმდიდრის ერთგული დარაჯნი.

მეორე მხარეზე არიან მილიონობით გაუბედურებულნი. მათ მდიდრებს უნდა გამოსთხოვონ მდიდრებისთვისვე მუშაობის ნებართვა. ისინი ჰქმნიან თავიანთი შრომით მთელ სიმდიდრეს, ხოლო თვითონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვიან ლუკმა პურისათვის, თხოულობენ სამუშაოს, როგორც მოწყალებას, აუტანელი შრომით ძირს უთხრიან თა-

ვიანთ ძალღონეს და სიჯანსაღეს, შიმშილობენ სოფლის ქოხ-მახებში, დიდ ქალაქთა სარდაფებსა და სხვენებში.

და აი ამ გაუბედურებულებმა და მშრომელებმა ომი გამოუცხადეს მდიდრებსა და ექსპლოატატორებს. ყველა ქვეყნის მუშები იბრძვიან შრომის განთავისუფლებისათვის დაქირავებული მონობისა, სიღატაკისა და გაჭირვებისაგან. ისინი იბრძვიან საზოგადოების ისეთი წყობისათვის, რომელშიც საერთო შრომით შექმნილი სიმდიდრე მოხმარდება ყველა მშრომელს და არა ერთ მუჭა მდიდრებს. ისინი იღწვიან მიწების, ფაბრიკების, ქარხნების, მანქანების ყველა მუშაკის საერთო საკუთრებად გადაქცევისათვის. მათ სურთ, რომ აღარ იყვნენ მდიდრები და ღარიბები, რომ შრომის ნაყოფი მას ხვდებოდეს, ვინც შრომობს, რომ ადამიანთა გონების ყველა მონაპოვარი, მუშაობის ყველა გაუმჯობესება აუმჯობესებდეს იმის ცხოვრებას, ვინც მუშაობს და არ წარმოადგენდეს მუშაკის ჩაგვრის იარაღს.

კაპიტალის წინააღმდეგ შრომის დიადმა ბრძოლამ ყველა ქვეყნის მუშათა უამრავი მსხვერპლი შეიწირა. ბევრი სისხლი დაღვარეს მათ, რათა მოეპოვებინათ უფლება უკეთესი ცხოვრებისა და ნამდვილი თავისუფლებისა. განუზომელია მუშათა საქმისათვის მებრძოლთა დევნა მთავრობის მხრივ. მაგრამ მთელი მსოფლიოს მუშათა კავშირი იზრდება და მტკიცდება, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა. მუშები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერთიანდებიან სოციალისტურ პარტიებად, სოციალისტური პარტიების მომხრეთა რიცხვი მილიონებს აღწევს, და ისინი თანდათან განუხრელად მიდიან წინ კაპიტალისტ-ექსპლოატატორთა კლასზე სრული გამარჯვებისაკენ.

ახალი ცხოვრებისათვის გაიღვიძა რუსეთის პროლეტარიატმაც. ისიც მიემხრო ამ დიად ბრძოლას. წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენი მუშა მორჩილად ქედს იხრიდა, ვერ ხედავდა გამოსავალს თავისი მონური ცხოვრებიდან, ვერ ხედავდა სინათლეს თავის კატორღულ ცხოვრებაში. სოციალიზმმა უჩვენა მას ეს გამოსავალი და ათასობით მებრძოლებმა მია-

შურეს წითელ დროშას, როგორც გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს. გაფიცვებმა დაანახვეს მუშებს კავშირის ძალა, ასწავლეს მათ წინააღმდეგობის გაწევა, დაანახვეს რა რისხვაა კაპიტალისათვის ორგანიზებული მუშა. მუშებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ მათი შრომით ცხოვრობენ და მდიდრდებიან კაპიტალისტები და მთავრობა. მუშებმა გაერთიანებული ბრძოლისა, თავისუფლებისა და სოციალიზმისაკენ აიღეს გეზი. მუშებმა შეიგნეს რა ბოროტ და ბნელ ძალას წარმოადგენს მეფის თვითმპყრობელობა. მუშებს ესაჭიროებათ გასაქანი ბრძოლისათვის, მეფის მთავრობა კი მათ ხელფეხს უბორკავს. მუშებს ესაჭიროებათ თავისუფალი კრებები, თავისუფალი კავშირები, თავისუფალი წიგნები და გაზეთები, მეფის მთავრობა კი ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი საპყრობილეთი, მათრახითა და ხიშტით ახშობს. ყიჟინა: «ძირს თვითმპყრობელობა!» მთელს რუსეთში გაისმა. ეს ყიჟინა სულ უფრო და უფრო მეორდებოდა ქუჩებში, მუშათა ხალხმრავალ კრებებზე. გასული წლის ზაფხულზე ათეული ათასობით მუშები ამხედრდნენ მთელს სამხრეთ რუსეთში, ამხედრდნენ უკეთესი ცხოვრებისათვის, პოლიტიკური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ბურჟუაზია და მთავრობა შეძრწუნდნენ მრისხანე მუშათა არმიის დანახვაზე, არმიისა, რომელიც ერთის დაკვრით აჩერებდა უდიდეს ქალაქთა მთელს მრეწველობას. მუშათა საქმისათვის მრავალი მებრძოლი დაეცა, შინაური მტრის წინააღმდეგ გაგზავნილი მეფის ჯარის ტყვიებით განგმირული.

მაგრამ ამ შინაურ მტერს ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს, იმიტომ რომ მხოლოდ მისი შრომით უდგიათ სული მმართველ კლასებსა და მთავრობას. არ არსებობს ისეთი ძალა ქვეყნად, რაც გასტეხდა მილიონობით მუშებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად შეგნებულნი, სულ უფრო და უფრო გაერთიანებულნი და ორგანიზებულნი ხდებიან. მუშების ყოველი დამარცხება მებრძოლთა ახალ წყებებს აჩენს, აიძულებს უფრო ფართო მასებს ახალი ცხოვრებისათვის გაიღვიძონ და ახალი ბრძოლისათვის ემზადონ.

რუსეთი კი ახლა ისეთ ამბებს განიცდის, როდესაც მუშათა მასების ეს გამოღვიძება კიდევ უფრო სწრაფად და უფრო ფართოდ უნდა წარიმართოს, როდესაც ჩვენ მთელი ძალღონე უნდა დავძაბოთ პროლეტარიატის რიგების შესამჭიდროებლად, კიდევ უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოსამზადებლად. ომი პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს უღვიძებს ინტერესს პოლიტიკური საქმეებისა და საკითხებისადმი. ომი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ ამეღავნებს თვითმპყრობელური წესწყობილების მთელ სიდამპლეს, პოლიციისა და სასახლის იმ ბრბოს მთელ დანაშაულს, რომელიც რუსეთს განაგებს. ჩვენი ხალხი ღატაკდება და შიმშილით იხოცება თავის სახლში — იგი კი ჩააბეს გამაჩანაგებელ და უაზრო ომში სხვისი, უცხო ხალხით დასახლებული და ათასეული ვერსით დაშორებული ახალი მიწებისათვის. ჩვენს ხალხს პოლიტიკური მონობა სტანჯავს, — იგი კი ჩააბეს ომში ახალ ხალხთა დასამონებლად. ჩვენი ხალხი შინაური პოლიტიკური წესწყობილების გარდაქმნას მოითხოვს, — მის ყურადღებას კი ზარბაზნების გრიალით მიმართავენ ქვეყნის მეორე კიდეზე. მაგრამ მეფის მთავრობამ ძალზე შესტოპა თავის აზარტულ თამაშში, ხალხის ქონებისა და ახალგაზრდა ძალების დანაშაულებრივ განიავებაში, წყნარ ოკეანეს ნაპირებზე რომ იღუპებიან. ყოველი ომი ხალხთა ძალების დაძაბვას მოითხოვს, ხოლო მძიმე ომი კულტურულ და თავისუფალ იაპონიასთან გიგანტურ დაძაბვას მოითხოვს რუსეთისაგან. და ეს დაძაბვა ისეთ მომენტში ხდება, როდესაც პოლიციური თვითნებობის შენობამ უკვე იწყო ზანზარი გაღვიძების გზაზე შემდგარი პროლეტარიატის დარტყმებით. ომი ამეღავნებს მთავრობის ყველა სუსტ მხარეს, ომი ჰგლეჯს ყალბ აბრებს, ომი ააშკარავებს შინაგან სიდამპლეს, ომს მეფის თვითმპყრობელობის უაზრობა იქამდე მიჰყავს, რომ იგი თვალში ხვდება ყველასა და თვითეულს, ომი ყველას უჩვენებს ძველი რუსეთის, უუფლებო, ბნელი და დაბეჩავებული

რუსეთის, პოლიციური მთავრობის ბატონყმურ დამოკიდებულებაში დარჩენილი რუსეთის აგონიას.

ძველი რუსეთი კვდება. მის ადგილას მოდის თავისუფალი რუსეთი. ბნელი ძალები, რომლებიც მეფის თვითმპყრობელობას იცავდნენ, იღუპებიან. მაგრამ მხოლოდ შეგნებულ, მხოლოდ ორგანიზებულ პროლეტარიატს ძალუძს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ამ ბნელ ძალებს. მხოლოდ შეგნებულ და ორგანიზებულ პროლეტარიატს ძალუძს მოუპოოს ხალხს ნამდვილი, არა ყალბი თავისუფლება. მხოლოდ შეგნებულ და ორგანიზებულ პროლეტარიატს ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს ხალხის მოტყუების, მის უფლებათა შეკვეცის, ბურჟუაზიის ხელში მისი უბრალო იარაღად გადაქცევის ყოველგვარ ცდებს.

ამხანაგო-მუშებო! მაშ გაათკეცებული ენერგიით ვემზადოთ მოახლოებული გადამწყვეტი ბრძოლისათვის! დაე უფრო მტკიცედ შემჭიდროვდეს სოციალ-დემოკრატ პროლეტართა რიგები! დაე სულ უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდეს მათი ქადაგება! დაე უფრო გაბედულად გაჩაღდეს აგიტაცია მუშათა მოთხოვნებისათვის! დაე პირველი მაისის დღესასწაულმა მოიზიდოს ჩვენსკენ ათასობით ახალი მებრძოლნი და გაორკეცოს ჩვენი ძალები დიად ბრძოლაში მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, კაპიტალის უღლისაგან ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს 8-საათიან სამუშაო დღეს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

ძირს დანაშაულებრივი და ავაზაკური მეფის თვითმპყრობელობა!

დაწერილია 1904 წ. აპრილში

დაიბეჭდა ცვლილებებით 1904 წ. აპრილს ცალკე ფურცლად	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

(კრიზისი ჩვენს პარტიაში) [01]

დაწერილია 1904 წლის
თებერვალ-მაისში

დაიბეჭდა ცალკე წიგნად
1904 წლის მაისში. ჟენევა

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
ხელნაწერთან და ტექსტთან კრებულისა:

ვ ლ. ი ლ ი ნ ი. «12 წლის მანძილზე»,
1907 წ.

N. LENIN. Ein Schritt vorwärts, zwei Schritt rückwärts
(Über die Krise in unserer Partei).

Россійская Соціальдемократическая Рабочая Партія.

Н. ЛЕНИНЪ.

Шагъ впередъ, два шага назадъ

(Кризисъ въ нашей Партіи).

ЖЕНЕВА
Типографія Партіи. Rue de la Coulouvreniere, 27.
1904

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა
«ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» — 1904 წ.
დაპატარავებულია

წინასიტყვაობა

როცა ხანგრძლივი, შეუპოვარი, გაცხარებული ბრძოლა წარმოებს, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვეულებრივ გამოსახვას იწყებენ ცენტრალური, ძირითადი სადავო პუნქტები, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, თუ რით დამთავრდება საბოლოოდ კამპანია და რომლებთან შედარებით სულ უფრო და უფრო უკანა რიგში დგება ბრძოლის ყველა და ყოველგვარი წვრილი და წვრილმანი ეპიზოდი.

ასევე დაემართა ჩვენს შინაპარტიულ ბრძოლასაც, რომელიც აი უკვე ნახევარი წელიწადია იპყრობს პარტიის ყველა წევრის ყურადღებას. და სწორედ იმიტომ, რომ მთელი ბრძოლის ამ ნარკვევში, რომელსაც ამჟამად მკითხველს ვუდგენ, მომიხდა შევხებოდი მრავალ წვრილმანს, რომელნიც მეტად უმნიშვნელონი არიან, მრავალ კინკლაობას, რაც არსებითად საინტერესოს სრულიად არაფერს შეიცავს, სწორედ ამიტომ მინდა თავიდანვე მივაქციო მკითხველის ყურადღება ორს მართლაც ცენტრალურ, ძირითად პუნქტს, რომლებიც დიდად საინტერესონი არიან, რომელთაც უეჭველი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და უაღრესად არსებითს პოლიტიკურ საკითხებს წარმოადგენენ ჩვენი პარტიის დღის წესრიგში.

პირველი ასეთი საკითხია — საკითხი ჩვენი პარტიის «უმრავლესობად» და «უმცირესობად» იმ დაყოფის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა პარტიის მეორე ყრილობაზე და რომელმაც შორს მოიტოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატია ყველა წინანდელი დაყოფა.

მეორე საკითხია — ორგანიზაციულ საკითხებში ახალი «ისკრის» პოზიციის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რამდენადაც ეს პოზიცია მართლაც პრინციპული პოზიციაა.

პირველი საკითხია — ჩვენი პარტიული ბრძოლის გამოსავალი პუნქტის, ამ ბრძოლის სათავის, მისი მიზეზების, მისი ძირითადი პოლიტიკური ხასიათის საკითხი. მეორე საკითხია — საკითხი ამ ბრძოლის საბოლოო შედეგების, მისი ფინალის, იმ პრინციპული შედეგის შესახებ, რომელსაც ვღებულობთ, როცა ვაერთებთ ყოველივე იმას, რაც ეხება პრინციპების სფეროს, და ვაკლებთ ყოველივეს, რაც ეხება კინკლაობის სფეროს. პირველი საკითხი წყდება პარტიის ყრილობაზე წარმოებული ბრძოლის ანალიზით, მეორე — ახალი «ისკრის» ახალი პრინციპული შინაარსის ანალიზით. ერთსაც და მეორე ანალიზსაც, რაც ჩემი ბროშურის შინაარსის ცხრა მეათედს შეადგენს, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ «უმრავლესობა» არის რევოლუციური, ხოლო «უმცირესობა» — ოპორტუნისტული ფრთა ჩვენი პარტიისა; უთანხმოებანი, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰყოფს ამ ორ ფრთას ამჟამად, უმთავრესად შეიცავენ არა პროგრამულ და არა ტაქტიკურ, არამედ მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხებს; შეხედულებათა ის ახალი სისტემა, რომელიც მით უფრო ნათლად ისახება ახალ «ისკრაში», რაც უფრო მეტად ცდილობს იგი გაალრმავოს თავისი პოზიცია და რაც უფრო მეტად იწმინდება ეს პოზიცია კინკლაობისაგან კოოპტაციის გამო, — ეს არის ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში.

მთავარი ნაკლი არსებული ლიტერატურისა ჩვენი პარტიული კრიზისის შესახებ ის არის, რომ ფაქტების შესწავლისა და გაშუქების დარგში თითქმის სრულიად არ მოიპოვება პარტიის ყრილობის ოქმების ანალიზი, ხოლო ორგანიზაციული საკითხის ძირითადი პრინციპების გარკვევის დარგში არ არის ანალიზი იმ კავშირისა, რომელიც უეჭველად არსებობს, ერთი მხრივ, ამხ. მარტოვისა და ამხ. აქსელროდის მიერ წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირებისა და ამ ფორმულირების დაცვის ძირითად

შეცდომასა და ორგანიზაციულ საკითხში «ისკრის» ახლანდელ პრინციპულ შეხედულებათა მთელ «სისტემას» შორის (რამდენადაც აქ შესაძლებელია სისტემაზე ლაპარაკი). «ისკრის» ახლანდელი რედაქცია, როგორც ჩანს, ვერც კი ამჩნევს ამ კავშირს, თუმცა «უმრავლესობის» ლიტერატურაში უკვე ბევრჯერ, ბევრჯერ იყო აღნიშნული მნიშვნელობა კამათისა პირველი პარაგრაფის შესახებ. არსებითად, ამხ. აქსელროდი და ამხ. მარტოვი მხოლოდ აღრმავებენ ახლა, ავითარებენ და აფართოებენ თავიანთ პირვანდელ შეცდომას პირველი პარაგრაფის გარშემო. არსებითად, უკვე პირველ პარაგრაფზე კამათში დაისახა ოპორტუნისტების მთელი პოზიცია ორგანიზაციულ საკითხში: მათი დაცვაც უსახო, მტკიცედ შეუკავშირებელი პარტიული ორგანიზაციისა, მათი მტრობაც პარტიის ზევიდან ქვევით მშენებლობის იდეისადმი («ბიუროკრატიული» იდეისადმი), პარტიის ყრილობის და მის მიერ შექმნილ დაწესებულებათა თვალსაზრისის მიხედვით, მათი მისწრაფებაც ქვევიდან ზევით სვლისა, როცა პარტიის წევრად ჩარიცხვის ნება ეძლევა ყოველ პროფესორს, ყოველ გიმნაზიელს და «ყოველ გაფიცულს», აგრეთვე მათი მტრობა «ფორმალიზმისადმი», რომელიც პარტიის წევრისაგან მოითხოვს ეკუთვნოდეს პარტიის მიერ ცნობილ ერთ-ერთს ორგანიზაციას, მათი მიდრეკილებაც იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიისადმი, რომელიც მზადაა მხოლოდ «პლატონურად სცნოს ორგანიზაციული ურთიერთობანი», მათი სიყვარულიც ოპორტუნისტული ღრმაა-ზროვნებისა და ანარქისტული ფრაზებისა, მათი ტენდენციაც ავტონომიზმისადმი (ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ახლა საუცხოოდ გაფურჩქვნილა ახალ «ისკრაში» და სულ უფრო და უფრო უწყობს ხელს თავდაპირველად ჩადენილი შეცდომის სრულსა და თვალსაჩინოდ ვარკვევას.

რაც შეეხება პარტიის ყრილობის ოქმებს, ჭეშმარიტად დაუმსახურებელი უყურადღებობა მათ მიმართ მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენი დავა დანაგვიანებულია

კინკლაობით, და აგრეთვე, შეიძლება იმითაც, რომ ამ ოქმებში ძლიერ ბევრია მეტად მწარე სიმართლე. პარტიული ყრილობის ოქმები იძლევა ჩვენს პარტიაში არსებული საქმის ნამდვილი ვითარების უბადლოსა და თავისი სიზუსტით, სისრულით, ყოველმხრივობით, სიუხვითა და დამაჯერებლობით შეუდარებელ სურათს, შეხედულებათა, განწყობილებათა და გეგმათა სურათს, დახატულს მოძრაობის თვით მონაწილეთა მიერ, პარტიის შიგნით არსებულ პოლიტიკურ ელფერთა სურათს, რომელიც გვიჩვენებს მათს შედარებითს ძალას, მათს ურთიერთდამოკიდებულებასა და მათს ბრძოლას. სწორედ პარტიული ყრილობის ოქმები და მხოლოდ ეს ოქმები გვიჩვენებს, თუ რამდენად შევძელით ნამდვილად აღგვა ძველი, წმინდა წრეობანური კავშირურთიერთობის ყველა ნაშთისა და მათი შეცვლა ერთიანი დიადი პარტიული კავშირურთიერთობით. პარტიის თვითეული წევრი, თუ მას სურს შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა თავისი პარტიის საქმეებში, ვალდებულია გულმოდგინედ შეისწავლოს ჩვენი პარტიული ყრილობა, — სწორედ: შეისწავლოს, იმიტომ რომ მარტოოდენ გადაკითხვა იმ ნედლ მასალათა გროვისა, რომლისგანაც შესდგება ოქმები, კიდევ არ იძლევა ყრილობის სურათს. მხოლოდ გულმოდგინე და დამოუკიდებელი შესწავლით შეიძლება მივაღწიოთ (და უნდა მივაღწიოთ) იმას, რომ სიტყვების მოკლე კონსპექტები, კამათის მშრალი ექსტრაქტები, წვრილმანი შეტაკებანი წვრილმან (თითქოს წვრილმან) საკითხებზე შეერთდნენ მთლიან სურათად, რათა პარტიის წევრთა წინაშე ცოცხალივით წარმოსდგეს თვითეული გამოჩენილი ორატორის ფიგურა, გამოირკვეს პარტიული ყრილობის დელეგატთა თვითეული ჯგუფის მთელი პოლიტიკური ფიზიონომია. ამ სტრიქონების დამწერი თავის შრომას ფუჭად არ ჩათვლის, თუ მან შესძლო თუნდაც ბიძგის მიცემა პარტიული ყრილობის ოქმების ფართოდ და დამოუკიდებლად შესწავლისათვის.

კიდევ ერთი სიტყვაც სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოდ. ისინი ღვარძლიანად ნიშნს გვიგებენ

და იმანჭებიან, როცა ჩვენს დავას ხედავენ; ისინი შეეცდებიან, რა თქმა უნდა, ამოგლიჯონ თავიანთი მიზნებისთვის ცალკე ადგილები ჩემი ბროშურისა, რომლის საგანია ჩვენი პარტიის ნაკლოვანებები და შეცდომები. რუსი სოციალ-დემოკრატები უკვე საკმაოდ გამობრძმედილნი არიან ბრძოლებში, ამიტომ ასეთი წკიპურტები მათ ვერ შეაკრთობენ და ამ წკიპურტების მიუხედავად ისინი განაგრძობენ თავიანთ მუშაობას თვითკრიტიკისა და იმ საკუთარი მინუსების დაუნდობლად გამომჟღავნებისათვის, რომლებიც უსათუოდ და აუცილებლად დაძლეული იქნებიან მუშათა მოძრაობის ზრდის მეოხებით. ხოლო ბატონმა მოწინააღმდეგეებმა დაე სცადონ წარმოგვიდგინონ სურათი საქმის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ვითარებისა თავიანთ «პარტიებში», სურათი, რომელიც თუგინდ შორეულად მაინც უახლოვდებოდეს იმ სურათს, რომელსაც ჩვენი მეორე ყრილობის ოქმები იძლევიან!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1904 წლის მაისი

ა) ყრილობის სამზადისი

ნათქვამია, ყოველ ადამიანს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში წყევლოს თავისი მსაჯულებიო. ჩვენი პარტიული ყრილობაც, როგორც ყოველი პარტიის ყოველი ყრილობა, მსაჯულად მოევლინა ზოგიერთ პირთ, რომელნიც პრეტენზიებს აცხადებდნენ ხელმძღვანელთა თანამდებობაზე და მარცხი განიცადეს. ახლა «უმცირესობის» ეს წარმომადგენელნი გულის ამაჩუყებელი გულუბრყვილობით «სწყევლიან თავიანთ მსაჯულებს» და ცდილობენ ყოველგვარად სახელი გაუტეხონ ყრილობას, დაამცირონ მისი მნიშვნელობა და ავტორიტეტი. შეიძლება ითქვას, ყველაზე რელიეფურად ასეთმა მისწრაფებამ თავი იჩინა «პრაქტიკოსის»[62] სტატიაში «ისკრის» № 57-ში; იგი აღშფოთებულია ყრილობის სუვერენული «ღვთაებრიობის» იდეით. ეს ისეთი დამახასიათებელი ნიშანია ახალი «ისკრისა», რომ მის შესახებ გაჩუმება არ შეიძლება. რედაქცია, რომლის უმრავლესობა ყრილობის მიერ უარყოფილ პირთაგან შესდგება, ერთი მხრივ, ისევ «პარტიულ» რედაქციას უწოდებს თავის თავს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელგაშლილი ეგებება ისეთ პირებს, რომლებიც ამტკიცებენ — ყრილობა ღვთაება როდიაო. მართლაც რომ საუცხოო რამ არის! დიახ, ბატონებო, ყრილობა, რა თქმა უნდა, ღვთაება არ არის, მაგრამ რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ყრილობის «გაცამტვერებას» იწყებენ მას შემდეგ, როცა ისინი ამ ყრილობაზე დამარცხდნენ?

გაიხსენეთ, მართლაც, მთავარი ფაქტები ყრილობის სამზადისის ისტორიიდან.

«ისკრამ» თავიდანვე, 1900 წლის ანონსში, რომელიც გაზეთის გამოშვებას წინ უძღოდა, განაცხადა, სანამ გავე-

რთიანდებოდეთ, უნდა გავიმიჯნოთო. «ისკრა» შეეცადა 1902 წლის კონფერენციაᲔ3 კერძო თათბირად გადაექცია და არა პარტიულ ყრილობად *. «ისკრა» ზედმიწევნით ფრთხილად მოქმედებდა 1902 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა ამ კონფერენციაზე არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტს ანახლებდა. ბოლოს, გამიჯვნის საქმე დამთავრდა, — დამთავრდა ჩვენი საერთო აღიარებით. საორგანიზაციო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1902 წლის დამლევს. «ისკრა» მიესალმა მის განმტკიცებას და განაცხადა, — № 32-ის სარედაქციო სტატიაში, — პარტიული ყრილობის მოწვევა ფრიად აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა **. ამრიგად, ყველაზე ნაკლებად ჩვენზე ითქმის საყვედური მეორე ყრილობის მოწვევის დაჩქარების მხრივ. ჩვენ ვმოქმედებდით სწორედ ამ წესის მიხედვით: შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერიო; ჩვენ სრული ზნეობრივი უფლება გვქონდა დავნდობოდით ამხანაგებს, რომ მას შემდეგ, რაკი მოვჭრიდით, ისინი აღარ მოჰყვებოდნენ წუწუნს და ხელახლა ზომვას.

საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშავა მეორე ყრილობის ზედმიწევნით ზუსტი (ფორმალისტური და ბიუროკრატული, იტყოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ახლა ამ სიტყვებით თავიანთ პოლიტიკურ უხასიათობას ჰფარავენ) წესდება, გაატარა ეს წესდება ყველა კომიტეტში, დასასრულ, დაამტკიცა იგი, და, სხვათა შორის, § 18-ში დაადგინა: «ყრილობის ყველა დადგენილება და ყველა მის მიერ მოხდენილი არჩევნები პარტიის გადაწყვეტილებას წარმოადგენს და სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანიზაციისთვის. მათ ვერავინ და ვერავითარი საბაბით ვერ გააპროტესტებს და შეიძლება შეცვლილ ან გაუქმებულ იქნას მხოლოდ პარტიის შემდგომი ყრილობის მიერ» ***. მართლაც, რა

* იხ. მეორე ყრილობის ოქმები, გვ. 20.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 378 — 379. რედ.

*** იხ. მეორე ყრილობის ოქმები, გვ. 22 — 23 და 380.

უწყინარია თავისთავად ეს სიტყვები, უხმოდ მიღებულნი თავის დროზე, როგორც რაღაც თავისთავად ნაგულისხმევნი, და როგორ უცნაურად ისმის ახლა, თითქოს «უმცირესობის» შიმართ გამოტანილი განაჩენი! რა მიზნით იყო შედგენილი ასეთი პარაგრაფი? მხოლოდღა ფორმალობის დასაცავად? რა თქმა უნდა, არა. ეს დადგენილება მიჩნეული იყო როგორც აუცილებელი და მართლაც აუცილებელი იყო, ვინაიდან პარტია შესდგებოდა მთელი რიგი დაქსაქსული და დამოუკიდებელი ჯგუფებისგან, რომელთაგან მოსალოდნელი იყო ყრილობის არცნობა. ეს დადგენილება გამოხატავდა სწორედ ყველა რევოლუციონერის კ ე თ ი ლ ნ ე ბ ა ს (რომლის შესახებ ასე ხშირად და ასე უადგილოდ ლაპარაკობენ ახლა, ეფემისტურად რომ ახასიათებენ კეთილის ტერმინით იმას, რასაც უფრო შეჰფერის ეპითეტი ჭირვეული). ის უდრიდა პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ი ტ ყ ვ ა ს, რომელიც ერთმანეთს მისცა ყველა რუსმა სოციალ-დემოკრატმა. ის უნდა ყოფილიყო გარანტია იმისა, რომ უდიდესი შრომა, საფრთხე და ხარჯები, დაკავშირებული ყრილობასთან, ფუჭად არ ჩაიკლიდა, რომ ყრილობა კომედიად არ გადაიქცეოდა. ეს დადგენილება წინასწარ აფასებდა ყრილობის გადაწყვეტილებათა და ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს ყოველნაირ არცნობას, როგორც ნ დ ო ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს.

ვისღა დასცინის ახალი «ისკრა», როცა ახალ აღმოჩენას აკეთებს, ყრილობა ღვთაება არ არის და მისი გადაწყვეტილებანი წმიდათა-წმიდა როდიაო? მისი აღმოჩენა «ახალ ორგანიზაციულ შეხედულებებს» შეიცავს თუ მხოლოდღა ახალ ცდას — დაჰფაროს ძველი კვალი?

ბ) ყრილობის დაჯგუფებათა მნიშვნელობა

ამრიგად, ყრილობა მოწვეულ იქნა მეტად გულმოდგინე სამზადისის შემდეგ, უაღრესად სრული წარმომადგენლობის საფუძველზე. ყრილობის შემადგენლობის სისწორისა და მის გადაწყვეტილებათა უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი სავალდებულო

ხასიათის საერთო აღიარებამ გამოხატულება ჰპოვა თავმჯდომარის განცხადებაშიც (ოქმების 54-ე გვ.) ყრილობის ჩამოყალიბების შემდეგ.

რა შეადგენდა ყრილობის მთავარ ამოცანას? *ნამდვილი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ* და *ორგანიზაციულ* საფუძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა «*ისკრამ*». ყრილობას რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ემუშავნა, ეს წინასწარ გადაწყვეტილი იყო «ისკრის» სამი წლის მუშაობით და იმით, რომ «ისკრა» იცნო კომიტეტების უმრავლესობამ. *ისკრული პროგრამა* და *მიმართულება* უნდა გამხდარიყო პარტიის პროგრამად და *მიმართულებად, ისკრული ორგანიზაციული* გეგმები *განმტკიცებული* უნდა *ყოფილიყო* პარტიის *საორგანიზაციო* წესდებაში. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, ასეთი შედეგის მიღწევა არ შეიძლებოდა უბრძოლველად: წარმომადგენლობის სისრულემ ყრილობაზე უზრუნველჰყო მასზე დასწრება ისეთი ორგანიზაციებისაც, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ «ისკრის» წინააღმდეგ (ბუნდი და «რაბოჩეე დელო»), და ისეთებისაც, რომლებიც თუმცა სიტყვიერად სცნობდნენ «ისკრას» ხელმძღვანელ ორგანოდ, მაგრამ საქმით თავის განსაკუთრებულ გეგმებს ისახავდნენ და პრინციპების მერყეობით ხასიათდებოდნენ («იუენი რაბოჩის» ჯგუფი და მისი მომხრე დელეგატები ზოგიერთი კომიტეტისა). ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა ყრილობა არ გადაქცეულიყო *ისკრული მიმართულების გამარჯვებისათვის ბრძოლის ასპარეზად*. ყრილობა რომ მართლაც ასეთ ბრძოლას წარმოადგენდა, — ეს მყისვე ნათელი გახდება ყველასთვის, ვინც კი რაოდენადმე ყურადღებით წაიკითხავს მის ოქმებს. ჩვენი ამოცანა კი ახლა ის არის, რომ დეტალურად გავეცნოთ უმთავრეს დაჯგუფებებს, რომლებმაც თავი იჩინეს ყრილობაზე სხვადასხვა საკითხში, და აღვადგინოთ, ოქმების ზუსტი ცნობების მიხედვით, ყრილობის თვითეული ძირითადი ჯგუფის პოლიტიკური ფიზიონომია. სახელდობრ რას წარმოადგენდნენ ის ჯგუფები, ის მი-

მართულებანი და ის ელფერნი, რომელთაც ყრილობაზე ერთიან პარტიად გაერთიანება მოელოდათ «ისკრის» ხელმძღვანელობით? — აი რა უნდა ნათელვყოთ კამათისა და კენჭისყრათა ანალიზის საშუალებით. ამ გარემოების გარკვევას კარდინალური მნიშვნელობა აქვს იმის შესასწავლადაც, თუ რას წარმოადგენენ ნამდვილად ჩვენი სოციალ-დემოკრატები, და უთანხმოების მიზეზთა გასაგებადაც. აი რატომ იყო, რომ მე ჩემს სიტყვაში ლიგის ყრილობაზე და ჩემს წერილშიც ახალი «ისკრის» რედაქციის მიმართ წინა რიგში სწორედ სხვადასხვა დაჯგუფებათა ანალიზს ვაყენებდი. ჩემმა ოპონენტებმა — «უმცირესობის» წარმომადგენლებმა (და მათმა მეთაურმა მარტოვმაც) სრულიად ვერ გაიგეს საკითხის დედაარსი. ლიგის ყრილობაზე ისინი კმაყოფილდებოდნენ ნაწილობრივი შესწორებებით, «თავს იმართლებდნენ» ოპორტუნიზმისაკენ შებრუნების იმ ბრალდებისაგან, რომელიც მათ მიმართ იყო წამოყენებული, და არც კი ცდილან ჩემთვის დასაპირისპირებლად დაეხატნათ ყრილობის დაჯგუფებათა თუნდაც რაიმე სხვა სურათი. ახლა «ისკრაში» (№ 56) მარტოვი ცდილობს ყრილობის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ზუსტად განსაზღვრის ყოველგვარი ცდა წარმოგვიდგინოს როგორც უბრალო «წრეობრივი პოლიტიკანობა». მაგრად არის ნათქვამი, ამხ. მარტოვ! მაგრამ ახალი «ისკრის» მაგარ სიტყვებს ერთი ორიგინალური თვისება აქვს: საკმარისია ზუსტად აღვადგინოთ უთანხმოების ყველა პერიპეტია, დაწყებული ყრილობით, და ყველა ეს მაგარი სიტყვა მთლიანად დაუწინარეს ყოვლისა ახლანდელი რედაქციის წინააღმდეგ შემობრუნდება. აბა, დააკვირდით თქვენს თავს, ბატონო ეგრეთწოდებულნო პარტიულო რედაქტორებო, რომლებიც აყენებთ წრეობრივი პოლიტიკანობის საკითხს!

მარტოვისთვის იმდენად არასასიამოვნოა ახლა ყრილობაზე ჩვენი ბრძოლის ფაქტები, რომ იგი ცდილობს სრულიად მიჩქმალოს ისინი. «ისკრელი ის არის, — ამბობს იგი, — ვინც პარტიის ყრილობაზე და მის მოწვევამდე გამოხატავდა თავის

სრულ სოლიდარობას «ისკრასთან», იცავდა მის პროგრამას და მის ორგანიზაციულ შეხედულებებს და მხარს უჭერდა მის ორგანიზაციულ პოლიტიკას. ყრილობაზე ასეთი ისკრელი ორმოცზე მეტი იყო — ამდენი ხმა მიიღო «ისკრის» პროგრამამ და რეზოლუციამ პარტიის ცენტრალურ ორგანოდ «ისკრის» ცნობის შესახებ». გადაშალეთ ყრილობის ოქმები და დაინახავთ, რომ პროგრამას ხმა მისცა ყ ვ ე ლ ა მ (გვ. 233), გარდა აკიმოვისა, რომელმაც თავი შეიკავა. ამხ. მარტოვს, სურს, ამრიგად, დაგვარწმუნოს, რომ ბუნდელებმაც, ბრუკერმაც და მარტინოვმაც დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს თავიანთი «სრული სოლიდარობა» «ისკრასთან» და ი ც ა ვ დ ნ ე ნ მის ორგანიზაციულ შეხედულებებს! ეს სასაცილოა. ყრილობის შ ე მ დ ე გ ყ ვ ე ლ ა მისი მონაწილის პარტიის თანასწორუფლებიან წევრებად გადაქცევა (და ისიც არა ყველასი, ვინაიდან ბუნდელები წავიდნენ) არეულია აქ იმ დაჯგუფებასთან, რომელიც იწვევდა ბრძოლას ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე. იმის შესწავლას, თუ რა ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს გ ა ნ შესდგა ყრილობის შემდეგ «უმრავლესობა» და «უმცირესობა», სცვლიან ოფიციალური ფრაზით: პროგრამა აღიარესო!

აიღეთ კენჭისყრა «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ ცნობის შესახებ. თქვენ დაინახავთ, რომ სწორედ მარტინოვი, რომელსაც ამხ. მარტოვი უაღრესი სითამამით, რომელიც უკეთესი გამოყენების ღირსია, მიაწერს ახლა «ისკრის» ორგანიზაციულ შეხედულებათა და ორგანიზაციული პოლიტიკის დაცვას, — მოითხოვს რეზოლუციის ორი ნაწილის გამოყოფას: «ისკრის» დაუსაბუთებლად აღიარებას ცენტრალურ ორგანოდ და მის დამსახურებათა ცნობას. რეზოლუციის პირველი ნაწილის კენჭისყრის დროს («ისკრის» დამსახურებათა ცნობა, მასთან ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ი ს გამოცხადება) მომხრე გამოვიდა მ ხ ო ლ ო დ 35 ხ მ ა, წინააღმდეგი — ორი (აკიმოვი და ბრუკერი), ხოლო თერთმეტმა თავი შეიკავა (მარტინოვმა, ხუთმა ბუნდელმა და რედაქციის ხუთმა ხმამ: ორ-ორი მე და მარტოვს გვეკუთვნოდა, ერთიც პლეხანოვს). ანტიისკრელების ჯგუფს (ხუთ ბუნდელს და სამ რაბოჩეე-

დელოელს) ააშკარავებს, მაშასადამე, სრული სიცხადით ეს მაგალითიც, მარტოვის ახლანდელ შეხედულებათათვის ეს ყველაზე უფრო ხელსაყრელი და თვითონ მის მიერვე არჩეული მაგალითი. აიღეთ კენჭისყრა რეზოლუციის მეორე ნაწილისთვის — «ისკრის» აღიარება ცენტრალურ ორგანოდ სრულიად დაუსაბუთებლად და სოლიდარობის გამოუცხადებლად (ოქმების 147-ე გვერდი): მ ო მ ხ რ ე აღმოჩნდა 44 ხმა, რომელთაც ახლანდელი მარტოვი მიაწერს ისკრელებს. სულ იყო 51 ხმა; თუ გამოვაკლებთ რედაქტორების ხუთ ხმას, რომელთაც თავი შეიკავეს, რჩება 46; ორმა ხმა მისცა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (აკიმოვმა და ბრუკერმა); დანარჩენ 44-ის რიცხვში, მაშასადამე, შედის ყ ვ ე ლ ა ხ უ თ ი ბ უ ნ დ ე ლ ი. ამრიგად, ბუნდელები ყრილობაზე «სრულ სოლიდარობას უცხადებდნენ «ისკრას»» — ასე იწერება ოფიციალური ისტორია «ისკრის» მიერ! წინ გავუსწროთ და ავუხსნათ მკითხველს ამ ოფიციალური სიმართლის ჭეშმარიტი მოტივები: «ისკრის» ახლანდელი რედაქცია შეიძლებოდა ყოფილიყო და კიდეც იქნებოდა ნამდვილი პარტიული რედაქცია (და არა quasi *-პარტიული, როგორც ახლაა), ბ უ ნ დ ე ლ ე ბ ი დ ა რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ე ლ ე ბ ი რ ო მ ა რ წ ა ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ ყ რ ი ლ ო ბ ი დ ა ნ; აი რატომ იყო საჭირო «ისკრელებად» მოენათლათ ახლანდელი ეგრეთწოდებული პარტიული რედაქციის ეს უერთგულესი გუშაგნი. მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

შემდეგ, იბადება კითხვა: თუკი ყრილობა ისკრელთა და ანტიისკრელთა ელემენტების ბრძოლას წარმოადგენდა, ხომ არ ყოფილან შუათანა, მერყეევი ელემენტები, რომლებიც მერყეობდნენ პირველთა და მეორეთა შუა? ყველა, ვინც კი ცოტად თუ ბევრად იცნობს ჩვენს პარტიას და ყოველნაირ ყრილობათა ჩვეულებრივ ფიზიონომიას, უკვე a priori ** განწყობილი იქნება ამ კითხვაზე დადებითად უპასუხოს. ამხ. მარ-

---

* — ვითომ. რ ე დ.

** — წინასწარ. რ ე დ.

ტოვს ძლიერ არ სურს ახლა გაიხსენოს ეს მერყევი ელემენტები, და «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფს მის მიმდევარ დელეგატებთან ერთად გვიხატავს ტიპიურ ისკრელებად, ხოლო ჩვენს უთანხმოებას მათთან — ყოვლად მცირედ და უმნიშვნელოდ. საბედნიეროდ, ახლა ჩვენს წინ ოქმების სრული ტექსტი დევს, და შეგვიძლია გადავჭრათ ეს საკითხი — ფაქტის საკითხი, რასაკვირველია, — დოკუმენტური მასალის საფუძველზე. იმას, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით ყრილობის საერთო დაჯგუფებათა შესახებ, რა თქმა უნდა, ამ საკითხის გადაჭრის პრეტენზია კი არა აქვს, არამედ მხოლოდ მისი სწორად დაყენებისა.

პოლიტიკურ დაჯგუფებათა უანალიზოდ, ყრილობის, როგორც ამა თუ იმ ელფერთა ბრძოლის დაუსურათებლად ჩვენს უთანხმოებას ვერაფერს გავუგებთ. მარტოვის ცდა — მიჩქმალოს ელფერთა სხვადასხვაობა იმით, რომ ბუნდელებსაც კი ისკრელებად ნათლავს, წარმოადგენს მხოლოდ საკითხიდან გადახვევას. **A priori** უკვე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის წინა დროის ისტორიის საფუძველზე, ისახება (შემდგომი შემოწმებისა და დეტალურად შესწავლისათვის) სამი მთავარი ჯგუფი: ისკრელებისა, ანტიისკრელებისა და მერყევი, მოქანავე, არამტკიცე ელემენტებისა.

ბ) ყრილობის დასაწყისი. — ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტთან

ყრილობაზე წარმოებული კამათისა და კენჭისყრათა ანალიზი ყველაზე უფრო მოსახერხებელია ყრილობის სხდომების მიხედვით, რათა თანამიმდევრად აღვნიშნოთ ის პოლიტიკური ელფერნი, რომლებიც სულ უფრო და უფრო ისახებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა ეს უეჭველად აუცილებელია, გადავუხვევთ ქრონოლოგიურ წესს მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხია ან ერთგვაროვან დაჯგუფებათა ერთად განხილვისათვის. მიუდგომლობის გულისთვის ჩვენ ვიცდიბით აღვნიშნოთ ყ ვ ე ლ ა უმთავრესი კენჭისყრა, რა თქმა უნდა, წვრილ-

მანთა გამო მრავალი კენჭისყრის გამოტოვებით, რომლებმაც უზომოდ ბევრი დრო წაართვა ჩვენს ყრილობას (ნაწილობრივ ჩვენი გამოუცდელობისა და უუნარობის გამო — გაგვენაწილებინა მასალა კომისიებისა და პლენუმების სხდომებს შორის, ნაწილობრივ საქმის განგებ გაჭიანურებათა გამო, რაც ობსტრუქციას უახლოვდებოდა).

პირველი საკითხი, რომელმაც ისეთი დებატები გამოიწვია, რომ დაიწყო ელფერთა სხვადასხვაობის გამომჟღავნება, იყო საკითხი პირველ ადგილას (ყრილობის «დღის წესრიგში») დასმულიყო პუნქტი: «ბუნდის მდგომარეობა პარტიაში» (ოქმების 29 — 33 გვ.). ისკრული თვალსაზრისით, რომელსაც ვიცავდით პლეხანოვი, მარტოვი, ტროცკი და მე, ამ მხრივ საეჭვო არაფერი იყო. პარტიიდან ბუნდის გასვლამ თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი მოსაზრებების სისწორე: რაკი ბუნდს არ სურდა ჩვენთან ერთად ევლო და ეღიარებინა ის ორგანიზაციული პრინციპები, რომელთაც «ისკრასთან» ერთად პარტიის უმრავლესობა იზიარებდა, — უსარგებლო და უაზრო იყო «თავის ისე მოჩვენება», თითქოს ერთად მივდიოდეთ, და ამით მხოლოდ ყრილობის გაჭიანურება (როგორც მას ბუნდელები აჭიანურებდნენ). საკითხი უკვე სავსებით გარკვეული იყო ლიტერატურაში, და პარტიის ყოველი ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული წევრისთვის ცხადი იყო, რომ ისღა დაგვრჩენოდა — აშკარად დაგვესვა საკითხი და პირდაპირ, პატიოსნური არჩევანი მოგვეხდინა: ავტონომია (ერთად ვიყოთ) თუ ფედერაცია (გავითიშოთ).

მთელს თავის პოლიტიკაში ორჭოფმა ბუნდელებმა აქაც მოისურვეს თავის დაძვრენა საკითხის გაჭიანურებით. მათ შეუერთდა ამხ. აკიმოვი, რომელმაც ერთბაშად წამოაყენა, ეტყობოდა, «რაბოჩეე დელოს» ყველა მომხრეთა დავალებით, ორგანიზაციული უთანხმოებანი «ისკრასთან» (ოქმების 31-ე გვ.). ბუნდისა და «რაბოჩეე დელოს» მხარეზე დადგა ამხ. მახოვი (ნიკოლაევის კომიტეტის ორი ხმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ «ისკრას» უცხადებდა სოლიდარობას!). ამხ. მახოვისთვის საკითხი სრულიად გაურკვეველი იყო, ხოლო

«ძნელ ადგილად» მას მიაჩნდა «დემოკრატიული მოწყობის საკითხიც ან, პირიქით (ეს დაიხსომეთ!), ცენტრალიზმის საკითხიც» — სწორედ ისევე, როგორც ჩვენი ახლანდელი «პარტიული» რედაქციის უმრავლესობას, რომელსაც ყრილობაზე ჯერ კიდევ ვერ შეენიშნა ეს «ძნელი ადგილი»!

ამრიგად, ისკრელების წინააღმდეგ გამოდის ბუნდი, «რაბოჩეე დელო» და ამხ. მახოვი, რომელთაც ერთად აქვთ სწორედ ის ათი ხმა, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იყო მიცემული (გვ. 33). ისკრელების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ხ მ ა მ ი ს ც ა 30-მ ა — ეს არის ციფრი, რომლის გარშემო, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ხშირად ქანაობს ისკრელთა ხმები. თერთმეტმა ხმამ, როგორც გამოირკვა, თავი შეიკავა — ალბათ, არ მიმხრობიან არც ერთს და არც მეორე მებრძოლ «პარტიას». საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა ჩვენ კენჭი ვუყარეთ ბუნდის წესდების § 2-ს (ამ § 2-ის უარყოფამ გამოიწვია ბუნდის გასვლა პარტიიდან), § 2-ის სასარგებლოდ ხმის მიმცემთა და თავშეკავებულთა რიცხვი აგრეთვე ათი აღმოჩნდა (ოქმების 289-ე გვ.), თავი შეიკავა სწორედ სამმა რაბოჩეედელოელმა (ბრუკერმა, მარტინოვმა და აკიმოვმა) და ამხ. მახოვმა. ცხადია, კენჭისყრას ბუნდის ა დ გ ი ლ ი ს საკითხზე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი დაჯგუფება რ ო დ ი შეუქმნია. ცხადია, მხოლოდ განხილვის წესრიგის ტექნიკური საკითხის გამო კი არა, არამედ ა რ ს ე ბ ი თ ა დ ა ც არ ეთანხმებოდნენ ეს ამხანაგები «ისკრას». «რაბოჩეე დელოს» მხრივ ეს არსებითი უთანხმოება ყველასათვის ნათელია, ხოლო ამხ. მახოვმა შეუდარებლად დაახასიათა თავისი დამოკიდებულება ბუნდის წასვლის გამო წარმოთქმულ სიტყვაში (ოქმების 289 — 290 გვ.). ამ სიტყვაზე ღირს შეჩერება. ამხ. მახოვი ამბობს, რომ იმ რეზოლუციის შემდეგ, რომელმაც ფედერაცია უარჰყო, «რ.ს.-დ.მ.პ-ში ბუნდის ადგილის საკითხი ჩემთვის პრინციპული საკითხიდან გადაიქცა ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაციონალური ორგანიზაციის მიმართ რეალური პოლიტიკის საკითხადო; აქ მე — განაგრძობს ორატორი — არ შემეძლო ანგარიში არ გამეწია ყველა იმ შე-

დეგისთვის, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ჩვენს კენჭისყრას, და ამიტომ მე ხმას მივცემდი მეორე პუნქტის სასარგებლოდ მთლიანად». ამხ. მახოვმა საუცხოოდ შეითვისა «რეალური პოლიტიკის» არსი: პრინციპულად მან უ კ ვ ე უარჰყო ფედერაცია, ა მ ი ტ ო მ პრაქტიკულად ის ხ მ ა ს მ ი ს ც ე მ დ ა წესდების ისეთ პუნქტს, რომელიც ამ ფედერაციას ატარებს! და ეს «პრაქტიკული» ამხანაგი თავის დიდადპრინციპულ პოზიციას შემდეგი სიტყვებით გაგვიმარტავს: «მაგრამ (შჩედრინის განთქმული «მაგრამ»!), რადგან ჩემს ასეთსა თუ ისეთს ხმის მიცემას მხოლოდ პრინციპული ხასიათი (!!) ჰქონდა და არ შეიძლებოდა პრაქტიკული ხასიათი ჰქონოდა, ვინაიდან ყრილობის ყველა დანარჩენმა მონაწილემ თითქმის ერთხმად მისცა ხმა, უმჯობესად ვცანი თავი შემეკავებინა ხმის მიცემისაგან, რათა პრინციპულად»... (ღმერთო, დაგვიფარე ასეთი პრინციპულობისაგან!)... «ხაზი გაგვესვა ამ შემთხვევაში ჩემი პოზიციის განსხვავებისთვის იმ პოზიციისაგან, რომელსაც იცავენ ბუნდის ის დელეგატები, რომლებმაც ხმა მისცეს ხსენებული პუნქტის სასარგებლოდ. და წინააღმდეგ, მე ხმას მივცემდი ამ პუნქტის სასარგებლოდ, ბუნდის დელეგატებს რომ თავი შეეკავებინათ ხმისმიცემისაგან, რასაც ისინი თავდაპირველად მოითხოვდნენ». გაიგე, ვისაც შეგიძლია! პრინციპული კაცი თავს იკავებს იმისგან, რომ ხმამაღლა თქვას: ჰო, ვინაიდან ეს პრაქტიკულად უსარგებლოა, როცა ყველანი ამბობენ: არაო.

მორჩა თუ არა კენჭისყრა იმ საკითხზე, თუ რა ადგილი უნდა დაეჭირა ყრილობის დღის წესრიგში ბუნდის საკითხს, ამოტივტივდა «ბორბის» ჯგუფის საკითხი, რამაც აგრეთვე ფრიად საინტერესო დაჯგუფება გამოიწვია, და რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყრილობის ყველაზე «საჭირბოროტო» საკითხთან, ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხთან. ყრილობის შემადგენლობის გამომრკვევი კომისია წინააღმდეგია «ბორბის» ჯგუფის მოწვევისა, თანახმად საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ო რ ჯ ე რ გამოტანილი დადგენი-

ლებისა (იხ. ოქმები, გვ. 383 და 375) და მისი წარმომადგენლების მოხსენებისა კომისიაში (გვ. 35).

ამხ. ეგოროვი, საორგ. კ-ის წევრი, აცხადებს, ««ბორბის» საკითხი (დაიხსომეთ: «ბორბისა» და არა მისი ამა თუ იმ წევრისა) ჩემთვის ახალიაო», და მოითხოვს სხდომის შეწყვეტას. როგორ მოხდა, რომ საორგ. კ-ის წევრისთვის საორგ. კ-ის მიერ ორჯერ გადაწყვეტილი საკითხი ახალი გამოდგა, ეს გაუგებრობის წყვდიადით რჩება მოსილი. სხდომის შეწყვეტის დროს იმართება საორგ. კ-ის სხდომა (ოქმები, გვ. 40) იმ შემადგენლობით, რომელიც შემთხვევით იმყოფებოდა ყრილობაზე (საორგ. კ-ის რამდენიმე წევრი «ისკრის» ორგანიზაციის ძველ წევრთაგან იმ დროს ყრილობაზე არ იყვნენ) *. იწყება კამათი «ბორბის» შესახებ. რაბოჩეედელოელები გამოდიან მომხრეებად (მარტინოვი, აკიმოვი და ბრუკერი, გვ. 36 — 38). ისკრელები (პავლოვიჩი, სოროკინი, ლანგე [65], ტროცკი, მარტოვი და სხვ.) — წინააღმდეგ. ყრილობა იყოფა ისევ ჩვენთვის უკვე ცნობილ დაჯგუფებად. ბრძოლა «ბორბის» გულისთვის ძალზე შეუპოვარი ხდება; ამხ. მარტოვი გამოდის განსაკუთრებით ვრცელი (გვ. 38) და «რიხიანი» სიტყვით, რომელშიც სამართლიანად აღნიშნავს რუსეთისა და საზღვარგარეთული ჯგუფების «წარმომადგენლობის უთანაბრობას», აღნიშნავს იმას, რომ საეჭვოა «კარგი» იყოს საზღვარგარეთული ჯგუფისთვის «პრივილეგიის» მიცემა (ოქრო სიტყვებია, განსაკუთრებით საგულისხმო ახლა, ყრილობის შემდგომ მომხდარი ამბების თვალსაზრისით!), არ უნდა წავაქეზოთ «პარტიაში ორგანიზაციული ქაოსი, რომელსაც ახასიათებს დაქუცმაცება, რაც არავითარი პრინციპული მოსაზრებით არ არის გამოწვეულიო“ (შიგ გულში ხვდება... — ჩვენი პარტიული ყრილობის «უმცირესობას»!). ორატორთა სია ისე დაიხურა, რომ «რაბოჩეე დელოს» მომხრეებს გარდა არავინ აშკარად და დასაბუთე-

* ამ სხდომის შესახებ იხ. «წერილი» პავლოვიჩისა [64], საორგ. კ-ის წევრისა, რომელიც ერთხმად იყო არჩეული ყრილობამდე რედაქციის რწმუნებულად, მის მეშვიდე წევრად (ლიგის ოქმები, გვ. 44).

ბულად არ გამოდის «ბორბის» სასარგებლოდ (გვ. 40): სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ამხ. აკიმოვისა და მისი მეგობრების შესახებ, რომ ისინი, ყოველ შემთხვევაში, თავს კი არ იკატუნებდნენ და კი არ იმალებოდნენ, არამედ აშკარად ატარებდნენ თავიანთ ხაზს და აშკარად ამბობდნენ იმას, რაც სურდათ.

ორატორთა სიის დახურვის შ ე მ დ ე გ, როცა ა რ ს ე ბ ი თ ა დ უკვე აღარ შეიძლება აზრის გამოთქმა, ამხ. ეგოროვმა «დაჟინებით მოითხოვა მოესმინათ საორგ. კ-ის მიერ ეს-არის ახლა მიღებული დადგენილება». საკვირველი როდია, რომ ყრილობის წევრები აღაშფოთა ასეთმა ხერხმა, და ამხ. პლეხანოვმა, როგორც თავმჯდომარემ, გამოთქვა თავისი «განცვიფრება, როგორ შეუძლია ამხ. ეგოროვს დაიჟინოს ასეთი მოთხოვნაო». თითქოს უდავო იყო ორში ერთი: ან მთელი ყრილობის წინაშე აშკარად და გარკვეულად გამოსვლა საკითხზე არსებითად, ანდა სრულიად არაფრის თქმა. მაგრამ იმის დაცდა, რომ ორატორთა სია დაიხუროს და შემდეგ, «უკანასკნელი სიტყვის» სახით, ყრილობისთვის საორგ. კ-ის ა ხ ა ლ ი დადგენილების წარდგენა — სწორედ იმ საკითხზე, რომელზედაც უკვე დაამთავრეს მსჯელობა — ეს უდრის სამალავიდან მახვილის ჩაცემას!

სხდომა ნასადილევს განახლდა, და ბიურომ, რომელიც ჯერ კიდევ გაოგნებული იყო, გადაწყვიტა გადაეხვია «ფორმალობისთვის» და მიემართნა უკანასკნელი საშუალებისთვის, «ამხანაგური განმარტებისთვის», რომელსაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე ყრილობებზე. საორგ. კ-ის წარმომადგენელი, პოპოვი, აცნობს საორგ. კ-ის დადგენილებას, რომელიც მიღებული იყო ყველა მისი წევრის მიერ წინააღმდეგ ერთისა — პავლოვიჩისა (გვ. 43), და რომელიც წინადადებას აძლევდა ყრილობას მოეწვიათ რიაზანოვი.

პავლოვიჩი აცხადებს, მე უარვყოფდი და უარვყოფ საორგ. კ-ის კრების კანონიერებას, საორგ. კ-ის ახალი დადგენილება «ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა მ ი ს წ ი ნ ა ნ დ ე ლ

გადაწყვეტილებასო». ეს განცხადება აურზაურს იწვევს. ამხ. ეგოროვი, საორგ. კ-ისა და «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის წევრი, გაურბის არსებითს პასუხს და ცდილობს სიმძიმის ცენტრი დისციპლინის საკითხზე გადაიტანოს. თითქოს ამხ. პავლოვიჩმა პარტიული დისციპლინა დაარღვია (!), ვინაიდან საორგ. კ-მა, როცა პავლოვიჩის პროტესტი განიხილა, გადაწყვიტა — «არ ეცნობებინა ყრილობისთვის პავლოვიჩის განსაკუთრებული აზრიო». დებატები გადადის პარტიული დისციპლინის საკითხზე, და პლეხანოვი, ყრილობის ტაშის ხმაურში, ამხ. ეგოროვს დარიგების კილოთი განუმარტავს, «ჩვენ იმპერატიული მანდატები როდი გვაქვსო» (გვ. 42, შეადარე 379-ე გვ., ყრილობის წესდება, § 7: «დეპუტატების რწმუნებულობა არ უნდა იყოს შეზღუდული იმპერატიული მანდატებით. თავიანთ რწმუნებათა შესრულების საქმეში ისინი სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი არიან»). «ყრილობა ყველაზე უმაღლესი პარტიული ინსტანციაა», და, მაშასადამე, პარტიულ დისციპლინას და ყრილობის წესდებას სწორედ ის არღვევს, ვინც რითიმე ხელს უშლის რომელიმე დელეგატს მიმართოს პირდაპირ ყრილობას, პარტიული ცხოვრების ყველა, გამოუკლებლივ და გამოურიცხავად, საკითხზე. ამრიგად, სადავო საკითხი მდგომარეობს დილემაში: წრეობანა თუ პარტიულობა? დელეგატების უფლებათა შეზღუდვა ყრილობაზე სხვადასხვა კოლეგიისა და ჯგუფის წარმოსახულ უფლებათა თუ წესდებათა გულისთვის, თუ ყრილობის წინ სრული, არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმით, დაშლა ყველა დაბალი ინსტანციისა და ძველი ჯგუფისა, სანამ შეიქმნებოდნენ ნამდვილად პარტიული თანამდებობრივი დაწესებულებანი. მკითხველი უკვე აქედან ხედავს, რა დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დავას ყრილობის დასაწყისშივე (მესამე სხდომა), ყრილობისა, რომელიც მიზნად ისახავდა პარტიის ფაქტიურად აღდგენას. ამ დავის გარშემო გაჩაღდა ძველი («იუჟნი რაბოჩის» მსგავსი) წრეებისა და ჯგუფების, ასე ვთქვათ, კონფლიქტი აღორძინების გზაზე მდგომ

პარტიასთან. და ანტიისკრელთა ჯგუფებმაც მყისვე იჩინეს თავი: ბუნდელი აბრამსონიც, ამხ. მარტინოვიც, «ისკრის» ახლანდელი რედაქციის ეს გაქანებული მოკავშირე, ჩვენი ნაცნობი ამხ. მახოვიც — ყველანი მიემხრნენ ეგოროვსა და «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფს პავლოვიჩის წინააღმდეგ. ამხ. მარტინოვი, რომელმაც ახლა მარტოვსა და აქსელროდსაც კი გადააჭარბა ორგანიზაციული «დემოკრატიზმით» კოპწიაობაში, იხსენებს.... არმიასაც კი, სადაც უმაღლეს ინსტანციისადმი მიმართვა მხოლოდ ქვედა ინსტანციის მეშვეობით შეიძლება!! ამ «კომპაქტური» ანტიისკრული ოპოზიციის ნამდვილი აზრი სრულიად ნათელი იყო ყველასთვის, ვინც ყრილობაზე იყო ან გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ჩვენი პარტიის შინაგან ისტორიას ყრილობამდე. ოპოზიციის ამოცანა (რომელიც, შესაძლოა, ყოველთვის არც კი ჰქონდათ შეგნებული ყველა მის წარმომადგენელს, და რომელსაც ზოგჯერ მხოლოდ ინერციით იცავდნენ) იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვათ წვრილი ჯგუფების დამოუკიდებლობა, განსაკუთრებულობა, დაეცვათ სამრეწველო ინტერესები შთანთქმისაგან იმ ფართო პარტიის მიერ, რომელიც «ისკრის» პრინციპებზე შენდებოდა.

სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა საკითხს ამხ. მარტოვიც, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ვერ მოესწრო მარტინოვთან გაერთიანება. ამხ. მარტოვი გაბედულად ილაშქრებს, და სამართლიანადაც ილაშქრებს, იმათ წინააღმდეგ, ვისი «წარმოდგენაც პარტიულ დისციპლინაზე ვერ გასცილებია რევოლუციონერის მოვალეობებს იმ დ ა ბ ა ლ ი რიგის ჯგუფისადმი, რომელშიც თვითონ შედის». «ყოველგვარი ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი (ხაზგასმა მარტოვისაა) დაჯგუფება ერთიანი პარტიის შიგნით დაუშვებელია», განუმარტავს მარტოვი წრეობანის დამცველთ, და იმას კი ვერ ითვალისწინებს, თუ როგორ ამათრახებდა ამ სიტყვებით თავის საკუთარ პოლიტიკურ საქციელს ყრილობის დასასრულს და მის შემდეგ... იძულებითი დაჯგუფება დაუშვებელია. საორგ. კ-თვის, მაგრამ სავსებით დასაშვებია რედაქციისთვის. იძულებითს დაჯგუფებას ჰაიცხავს მარტოვი, როცა ის ცენტრიდან იყუ-

რება, და მასვე იცავს მარტოვი იმ წუთიდანვე, როცა ის უკმაყოფილო შეიქნა ცენტრის შემადგენლობით...

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამხ. მარტოვმა თავის სიტყვაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, ამხ. ეგოროვის «დიდი შეცდომის» გარდა, საორგ. კ-ის მიერ გამომჟღავნებულ პოლიტიკურ მერყეობასაც. «საორგ. კ-ის სახელით — სამართლიანი გულისწყრომით ამბობდა მარტოვი — შემოტანილია წინადადება, რ ო მ ე ლ ი ც ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა კომისიის მოხსენებას (დამყარებულს, დავუმატებთ ჩვენი მხრივ, საორგ. კ-ის წევრთა მოხსენებაზე: გვ. 43, სიტყვები კოლცოვისა) და ს ა ო რ გ. კ-ის წ ი ნ ა ნ დ ე ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ს» (ხაზგასმა ჩემია). როგორც ხედავთ, მარტოვს ნათლად ესმოდა მ ა შ ი ნ, სანამ «შეტრიალდებოდა», რომ «ბორბის» შეცვლა რიაზანოვით ოდნავადაც ვერ სპობდა საორგ. კ-ის მოქმედებათა სრულს წინააღმდეგურობას და მერყეობას (ლიგის ყრილობის ოქმებიდან, გვ. 57, პარტიის წევრებს შეუძლიათ გაიგონ, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეს საქმე მარტოვს მისი შეტრიალების შემდეგ). მარტოვი არ დაკმაყოფილდა მაშინ დისციპლინის საკითხის გარჩევით; იგი პირდაპირ შეეკითხა აგრეთვე საორგ. კ-ს: «ისეთი ახალი რა მოხდა, რომ გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა შეიქნა საჭიროო?» (ხაზგასმა ჩემია). მართლაც, როცა საორგ. კ-მა თავისი წინადადება შემოიტანა, მას საკმაო გამბედაობაც კი არ აღმოაჩნდა, რომ აშკარად დაეცვა თავისი შეხედულება, როგორც იცავდნენ მას აკიმოვი და სხვ. მარტოვი უარყოფს ამას (ლიგის ოქმები, გვ. 56), მაგრამ ყრილობის ოქმების მკითხველები დაინახავენ, რომ მარტოვი ცდება. პოპოვი, რომელსაც შემოაქვს წინადადება საორგ. კ-ის სახელით, კ რ ი ნ ტ ს ა ც არა სძრავს მოტივებზე (პარტიის ყრილობის ოქმები, გვ. 41). ეგოროვს საკითხი გადააქვს დისციპლინის პუნქტზე, ხოლო არსებითად მხოლოდ ამას ლაპარაკობს: «საორგ. კ-ს შეიძლებოდა ახალი მოსაზრებანი დაჰბადებოდა»... (მაგრამ დაებადა თუ არა და რა მოსაზრებანი? — არ ვიცით). «მას შეეძლო დავიწყებოდა ვისიმე შეყვანაო და სხვ.» (ეს «და სხვ.» —

ორატორის ერთადერთი თავშესაფარია, ვინაიდან საორგ. კ-ს არ შეიძლებოდა დ ა ვ ი წ ყ ე ბ ო დ ა «ბორბის» საკითხი, რომელიც ორჯერ ჰქონდა განხილული ყრილობამდე და ერთხელაც კომისიის წინ). «საორგ. კ-მა ეს გადაწყვეტილება მიიღო არა იმიტომ, რომ შესცვალა თავისი დამოკიდებულება «ბორბის» ჯგუფისადმი, არამედ იმიტომ, რომ სურს თავიდან მოიცილოს ზედმეტი დაბრკოლებანი პარტიის მომავალი ცენტრალური ორგანიზაციის გზაზე მისი მუშაობის პირველი ნაბიჯების დროს». ეს მოტივირება კი არ არის, არამედ სწორედ მოტივირებისგან თავდაძვრენაა. ყოველი გულწრფელი სოციალ-დემოკრატი (ჩვენ კი არავითარი ეჭვი არ შეგვაქვს ყრილობის რომელიმე მონაწილის გულწრფელობაში) ცდილობს თავიდან აიშოროს ის, რაც მ ა ს წყალქვეშა კლდედ მ ი ა ჩ ნ ი ა, და აიშოროს იმ ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ, რომლებსაც ი ს მიზანშეწონილად ს ც ნ ო ბ ს. მოტივირება ნიშნავს ახსნას და საგანზე თავისი შეხედულების ზუსტად გამოთქმას, და არა ტრუიზმით დაკმაყოფილებას. მოტივირებაც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა, ««ბორბისადმი» დამოკიდებულების შეუცვლელად», იმიტომ რომ საორგ. კ-ის წინანდელი, საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანიც ზრუნავდა წყალქვეშა კლდეების თავიდან აშორებაზე, მაგრამ ამ «კლდეებად» სწორედ სრულიად საწინააღმდეგო რამ მიაჩნდათ. ამხ. მარტოვიც მეტისმეტად მძაფრად და მეტისმეტად საფუძვლიანად თავს დაეცა ამ საბუთს და უწოდა მას «წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი», «მ ო მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს» სურვილით გამოწვეული, თანაც საორგ. კ-ს ურჩია: «ნ უ შ ე უ შ ი ნ დ ე ბ ი თ ი მ ა ს, თ უ რ ა ს ი ტ ყ ვ ი ა ნ ო». ამ სიტყვებით ამხ. მარტოვმა ჩინებულად დაახასიათა არსი და აზრი იმ პოლიტიკური ელფერისა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ყრილობაზე და რომელიც განირჩევა სწორედ დამოუკიდებლობის უქონლობით, წვრილმანობით, საკუთარი ხაზის უქონლობით, იმის შიშით, თუ რას იტყვიან, მუდმივი ქანაობით ორივე გარკვეულ მხარეს შორის, შიშით თავისი

«credo» *-ს აშკარად გამოთქმისა, — ერთი სიტყვით, «ჭაობიანობით» **.

მერყეევი ჯგუფის ამ პოლიტიკურ უხასიათობას მოჰყვა, სხვათა შორის, ის, რომ ბუნდელ იუდინის გარდა (გვ. 53), ა რ ა ვ ი ს არ შეუტანია ყრილობაზე რეზოლუცია «ბორბის» ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მოწვევის შესახებ. იუდინის რეზოლუციის სასარგებლოდ ხმა მისცა ხუთმა — ცხადია, ყველა ბუნდელმა: მერყეევი ელემენტები ერთხელ კიდევ გადაქანდნენ მეორე მხარეს! თუ რამდენად დიდი იყო დაახლოებით საშუალო ჯგუფის ხმათა რიცხვი, ეს ცხადჰყო ამ საკითხზე კოლცოვისა და იუდინის რეზოლუციებისათვის კენჭისყრამ: ისკრელებს მხარს უჭერდა 32 ხმა (გვ. 47), ბუნდელებს — 16, ე. ი., რვა ანტიისკრელთა ხმის გარდა, ორი ხმა ამხ. მახოეისა (გვ. 46), ოთხი ხმა: «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის წევრებისა და კიდევ ორი ხმა. ჩვენ ახლავე ცხადვყოფთ, რომ ასეთი განაწილება სრულებითაც შემთხვევითი ხასიათისა არ იყო, მაგრამ ჯერ მოკლედ აღვნიშნავთ მარტოვის ა ხ ლ ა ნ დ ე ლ აზრს საორგ. კ-თან ინციდენტის შესახებ. მარტოვი ამტკიცებდა ლიგაში: «პავლოვიჩი და სხვები ვნებათა ღელვას აღვივებდნენო». საკმარისია ჩავიხედოთ ყრილობის ოქმებში იმის დასანახად, რომ ყველაზე ვრცელი, ცხარე და მკვეთრი სიტყვები «ბორბისა» და საორგ. კ-ის წინააღმდეგ თვით მარტოვს ეკუთვნის. მისი ცდა, რომ «ბრალი» პავლოვიჩს დააკისროს, მხოლოდ დემონსტრაციაა მისივე მერყეო-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

** ჩვენ ახლა პარტიაში გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამ სიტყვის გაგონებაზე თავზარი ეცემათ და გაჰყვირიან არაამხანაგურ პოლემიკაზე. ეს უცნაური დამახინჯებაა ალღოსი უადგილო ადგილას გამოყენებული... ოფიციალობის ზეგავლენით! ძნელად თუ მოიძებნება ისეთი თუნდ ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც განეცადოს შინაური ბრძოლა და არ ეხმაროს ეს ტერმინი, რომლითაც ყოველთვის აღნიშნავენ მერყეევ ელემენტებს, მებრძოლთა შორის რომ ქანაობენ. და გერმანელებიც, რომელთაც იციან შინაური ბრძოლის საუცხოო ზომიერ ჩარჩოებში ჩაყენება, არ თაკილობენ სიტყვას «versumpft»-ს («ჭაობიანი». რ ე დ.) და არც თავზარი ეცემათ მის გამო, არც სასაცილო ოფიციალურ pruderie-ს (ქედმაღლობას. რ ე დ.) იჩენენ.

ბისა: ყრილობამდე სწორედ პავლოვიჩს ირჩევდა ის რედაქციის მეშვიდე წევრად, ყრილობაზე სავსებით პავლოვიჩს უერთდებოდა (გვ. 44) ეგოროვის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, როცა დამარცხება განიცადა პავლოვიჩისაგან, იწყებს მისთვის ბრალის დადებას «ვნებათა ღელვის გაღვივებაში». ეს სასაცილოა მხოლოდ.

«ისკრაში» (№ 56) მარტოვი ირონიით ამბობს იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკითხს — იქსი მოვიწვიოთ თუ იგრეკიო. ეს ირონიაც ისევ მარტოვს უბრუნდება, ვინაიდან სწორედ საორგ. კ-თან მომხდარი ინციდენტი იქცა დავის საბაბად ისეთ «მნიშვნელოვან» საკითხზე, როგორიცაა იქსის თუ იგრეკის მიწვევა ცკ-ში და ცო-ში. არ არის კარგი ორი სხვადასხვა ადლით ზომვა, იმისდა მიხედვით, თუ ვის ეხება ეს — თ ა ვ ი ს «დაბალი რიგის ჯგუფს» (დაბალი პარტიის მიმართ), თუ ს ხ ვ ი ს ა ს. სწორედ ეს არის «ფილისტერობა» და წრეობანა, და არა პარტიული დამოკიდებულება საქმისადმი. უბრალო შედარება მარტოვის სიტყვისა ლიგაში (გვ. 57) მისსავე სიტყვასთან ყრილობაზე (გვ. 44) საკმაოდ ამტკიცებს ამას. «ჩემთვის გაუგებარია — თქვა მარტოვმა, სხვათა შორის, ლიგაში — როგორ ახერხებს ზოგი ადამიანი ერთსა და იმავე დროს აუცილებლად ისკრელს უწოდებდეს თავის თავს და თან სასირცხოდაც მიაჩნდეს ისკრელობაო». უცნაური გაუგებლობაა განსხვავებისა — «უწოდებდეს თავის თავს» და «მიაჩნდეს» შორის, სიტყვასა და საქმეს შორის. თვითონ მარტოვი ყრილობაზე თ ა ვ ი ს თ ა ვ ს უ წ ო დ ე ბ დ ა იძულებითი დაჯგუფების მოწინააღმდეგეს, ხოლო ყრილობის შემდეგ კი მათი მოძხრე ი ყ ო...

დ) «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის დაშლა

დელეგატების განაწილება საორგ. კ-ის საკითხში, შესაძლოა, შემთხვევით მოვლენად მოგვეჩვენოს. მაგრამ ასეთი აზრი უმართებულო იქნებოდა, მის გასაბათილებლად გადავუხვიოთ ქრონოლოგიურ წესს და ახლავე განვიხილოთ ის ინცი-

დენტი, რომელიც მოხდა ყრილობის დასასრულს, მაგრამ მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა ამბებთან. ეს ინციდენტია — «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის დაშლა. ისკრული ორგანიზაციული ტენდენციების — პარტიული ძალების სრული შემჭიდროებისა და ძალების დამქსაქსავი ქაოსის მოსპობის წინააღმდეგ აქ თავი იჩინეს ინტერესებმა ე რ თ-ე რ თ ი ჯგუფისა, რომელიც სასარგებლო საქმეს აკეთებდა, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ნამდვილი პარტია, მაგრამ ზედმეტი შეიქნა, როცა ცენტრალისტურად მოეწყო მუშაობა. წრის ინტერესების გულისთვის — «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფს შეეძლო განეცხადებინა «თანამომდევნობის» და თავისი ხელუხლებლობის დაცვის პრეტენზია არანაკლები უფლებით, ვიდრე ძველი «ისკრის» რედაქციას. პარტიის ინტერესების გულისთვის — ეს ჯგუფი უნდა დამორჩილებოდა თავისი ძალების გადანაცვლებას «სათანადო პარტიულ ორგანიზაციებში» (გვ. 313, ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის ბოლო). წრისა და «ფილისტერობის» ინტერესების თვალსაზრისით არ შეიძლებოდა «საჩოთიროდ» (ამხ. რუსოვისა და ამხ. დეიჩის გამოთქმა) არ მოგვჩვენებოდა დაშლა ამ სასარგებლო ჯგუფისა, რომელსაც ისევე არ უნდოდა ეს, როგორც არ უნდოდა «ისკრის» ძველ რედაქციასაც. პარტიის ინტერესების თვალსაზრისით აუცილებელი იყო დაშლა, «გათქვეფა» (გუსევის გამოთქმა) პარტიაში. «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფმა პირდაპირ განაცხადა: «ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია» დაშლილად გამოვაცხადოთ თავი და მოვითხოვთ, რომ «ყრილობამ გადაჭრით განაცხადოს თავისი აზრი» და თანაც «დაუყოვნებლივ: ჰო ან არა». «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფი პირდაპირ იმოწმებდა სწორედ იმ «თანამომდევნობას», რომელსაც «ისკრის» ძველი რედაქცია მიმართავდა... მისი დაშლის შემდეგ! «თუმცა ყველა ჩვენ თვითეულად ერთიან პარტიას შევადგენთ, — თქვა ამხ. ეგოროვმა — მაგრამ იგი მაინც შესდგება მთელი რიგი ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, რ ო გ ო რ ც ი ს ტ ო რ ი უ ლ ს ი-

დიდ ეებს... თუ ასეთი ორგანიზაცია პარტიისათვის საზიანო არაა, რა საჭიროა მისი დაშლაო».

ამრიგად, მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი სრულიად გარკვეულად იყო დასმული, და ყველა ისკრელი — სანამ მათი საკუთარი წრეობანის ინტერესები ჯერ კიდევ არ ამოტივტივებულიყო — გაბედულად აღუდგა წინ მერყევ ელემენტებს (ბუნდელები და ორი რაბოჩეედელოელი ამ დროს უკვე ყრილობაზე აღარ იყვნენ; ისინი უეჭველად თავგამოდებით დაიცავდნენ «ისტორიული სიდიდეებისათვის ანგარიშის გაწევის» აუცილებლობას). კენჭისყრამ მოგვცა 31 ხმა სასარგებლოდ, 5 — წინააღმდეგ, ხუთმა კი თავი შეიკავა (ოთხი ხმა ეკუთვნოდა «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის წევრთ, ერთიც, ალბათ, ბელოვს, თუ მხედველობაში მივიღებთ მის წინანდელ განცხადებებს, გვ. 308). ათი ხმის მქონე ჯგუფი, რომელიც მეტად უარყოფით ექცეოდა «ისკრის» თანამიმდევარ ორგანიზაციულ გეგმას და პარტიულობის წინააღმდეგ წრეობანას იცავდა, სრული გარკვეულობით ისახება. დებატებში «ისკრელები» ამ საკითხს სწორედ პრინციპულად აყენებენ (იხ. ლანგეს სიტყვა, გვ. 315), გამოდიან კუსტარულობისა და დაქსაქსულობის წინააღმდეგ, ანგარიშს არ უწევენ ცალკეული ორგანიზაციების «სიმპათიებს» და პირდაპირ ამბობენ: ««იუჟნირაბოჩელ» ამხანაგებს უფრო პრინციპული თვალსაზრისი რომ ჰქონოდათ უწინ, ჯერ კიდევ ერთი თუ ორი წლის წინათ, პარტიის გაერთიანების საქმე და პროგრამის იმ პრინციპების გამარჯვება, რომლებიც ჩვენ აქ დავადასტურეთ, უფრო ადრე იქნებოდა მიღწეულიო». ასეთი აზრი გამოთქვეს ორლოვმაც, გუსევმაც, ლიადოვმაც, მურავიოვმაც, რუსოვმაც, პავლოვიჩმაც, გლებოვმაცა და გორინმაც. «უმცირესობის» ისკრელები არათუ არ ილაშქრებენ «იუჟნი რაბოჩის», მახოვის და სხვების არასაკმაო პრინციპულ პოლიტიკასა და «ხაზზე» მითითებათა წინააღმდეგ, რაც არა ერთხელ წამოუყენებიათ ყრილობაზე, არათუ არავითარი შენიშვნით არ გამოდიან ამ მხრივ, არამედ, პირიქით, დეიჩის სახით, გადაჭრით უერთდებიან მათ, ჰგმობენ

«ქაოსს» და მიესალმებიან «საკითხის პირდაპირ დაყენებას» (გვ. 315) სწორედ იმავე ამხ. რუსოვის მიერ, რომელმაც ამავე სხდომაზე — ჰოი საშინელებავ! — გამოიჩინა კადნიერება «პირდაპირ დაეყენებინა» ძველი რედაქციის საკითხიც წმინდა პარტიულ ნიადაგზე (გვ. 325).

«იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის დაშლის საკითხმა ამ ჯგუფის საშინელი აღშფოთება გამოიწვია, რომლის ნიშნები ოქმებშიც მოიპოვება (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოქმები კამათის მხოლოდ მკრთალ სურათს იძლევა, ვინაიდან, სრული სიტყვების ნაცვლად, იქ მოყვანილია მეტად შეკუმშული კონსპექტები და ექსტრაქტები). ამხ. ეგოროვმა «სიცრუეც» კი უწოდა «რაბოჩაია მისლის» [60] ჯგუფის სახელის უბრალო ხსენებას «იუჟნი რაბოჩის» სახელთან ერთად; ეს დამახასიათებელი ნიმუშია იმისა, თუ თანამიმდევარი ეკონომიზმისადმი რანაირი დამოკიდებულება სუფევდა ყრილობაზე. გაცილებით უფრო გვიან, 37-ე სხდომაზე, ეგოროვი უდიდესი გულისწყრომითაც კი ლაპარაკობს «იუჟნი რაბოჩის» დაშლის შესახებ (გვ. 356) და მოითხოვს შეიტანონ ოქმში: როცა «იუჟნი რაბოჩის» საკითხს იხილავდნენ, ამ ჯგუფის წევრებს არ შეჰკითხებიან არც გამოცემის სახსრებზე, არც ც. ო-ს და ც. კ-ის კონტროლის შესახებო. ამხ. პოპოვმა «იუჟნი რაბოჩის» შესახებ კამათის დროს ნართაულად ახსენა კომპაქტური უმრავლესობა, რომელმაც თითქოს წინასწარ გადაწყვიტა ამ ჯგუფის საკითხი. «ახლა — ამბობს ის (გვ. 316) — ამხ. გუსევისა და ორლოვის სიტყვების შემდეგ, ყველაფერი ნათელიაო». ამ სიტყვების აზრი უეჭველია: ახლა როცა ისკრელებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს და რეზოლუციაც წარმოადგინეს, ყველაფერი ცხადია, ე. ი. ცხადია, რომ «იუჟნი რაბოჩი» დაშლილი იქნება მისი ნებასურვილის წინააღმდეგ. «იუჟნი რაბოჩის» წარმომადგენელი თვითონ აცალკევებს აქ ისკრელებს (და თანაც ისეთებს, როგორც გუსევი და ორლოვია) თავის მომხრეთაგან, როგორც ორგანიზაციული პოლიტიკის სხვადასხვა «ხაზის» წარმომადგენლებს. და როცა ახლანდელ «ისკრას» «იუჟნი

რაბოჩის» ჯგუფი (და აგრეთვე, ალბათ, მახოვიც?) «ტიპიურ ისკრელებად» გამოჰყავს, ეს მხოლოდ აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ მას დავიწყებია ყრილობის უდიდესი (ამ ჯგუფის თვალსაზრისით) ამბები და რომ ახალ რედაქციას სურს დაფაროს ის კვალი, რომელიც ააშკარავებს, თუ რა ელემენტებისგან შეიქმნა ეგრეთწოდებული «უმცირესობა».

სამწუხაროდ, ყრილობაზე არ წამოჭრილა პოპულარული ორგანოს საკითხი. ყველა ისკრელი მეტისმეტი გაცხარებით მსჯელობდა ამ საკითხზე ყრილობამდეც და ყრილობის დროსაც სხდომების გარეშე; ისინი თანახმანი იყვნენ იმისა, რომ პარტიული ცხოვრების ახლანდელ მომენტში ასეთი ორგანოს გამოცემის წამოწყება ან რომელიმე არსებული ორგანოს გადაქცევა ასეთად — მეტისმეტად არარაციონალური იქნებაო. ანტიისკრელებმა ყრილობაზე ამის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს; ასევე გამოვიდა «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფი თავის მოხსენებაში და მხოლოდ შემთხვევით ან იმით, რომ არ უნდოდათ აღეძრათ «უიმედო საკითხი», შეიძლება აიხსნას, რომ ათი კაცის ხელმოწერილი სათანადო რეზოლუცია არ შემოუტანიათ.

ე) ინციდენტი ენათა თანასწორუფლებიანობის გამო

დავუბრუნდეთ ყრილობის სხდომათა დღის წესრიგს.

ჩვენ დავრწმუნდით ახლა, რომ ჯერ კიდევ საკითხების არსებითად განხილვამდე, ყრილობაზე ნათლად გამოაშკარავდა ანტიისკრელთა არა მარტო სრულიად გარკვეული ჯგუფი (8 ხმა), არამედ აგრეთვე იმ შუალედ, შერყევ ელემენტთა ჯგუფიც, რომლებიც მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ ამ რვიანისთვის და გაედიდებინათ ის დაახლოებით 16 — 18 ხმამდე.

პარტიაში ბუნდის ადგილის საკითხი, რომელიც ყრილობაზე ფრიად და მეტისმეტად დაწვრილებით ირჩეოდა, პრინციპული თეზისის გადაწყვეტამდე დავიდა, ხოლო მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა ორგანიზაციულ ურთიერთობათა გან-

ხილვამდე გადაიდო. ვინაიდან ლიტერატურაში ყრილობამდე საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ამასთან დაკავშირებული თემების გარკვევას, ამის გარჩევამ ყრილობაზე შედარებით ახალი რამ ცოტა მოგვცა. მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ «რაბ. დელოს» მომხრეები (მარტინოვი, აკიმოვი და ბრუკერი) თუმცა დაეთანხმნენ მარტოვის რეზოლუციას, მაგრამ მაინც შენიშვნა გაუკეთეს: საკმაოდ არ მიგვაჩნია ის და მისგან გამომდინარე დასკვნებს არ ვიზიარებთო (გვ. 69, 73, 83, 86).

ბუნდის ადგილის საკითხიდან ყრილობა გადავიდა პროგრამაზე. კამათი აქ მეტწილად ტრიალებდა კერძო შესწორებების გარშემო, რაც ნაკლებად საინტერესო იყო. პრინციპულად ანტიისკრელთა იპოზიცია გამოიხატა მხოლოდ ამხ. მარტინოვის გალაშქრებაში სტიქიურობისა და შეგნებულობის ყბადაღებული საკითხის დაყენების წინააღმდეგ. მარტინოვს მიემხრნენ, რაღა თქმა უნდა, ბუნდელები და რაბოჩეედელოელები მთლიანად. მის მოსაზრებათა უსაფუძვლობა ცხადჰყვეს, სხვათა შორის, მარტოვმა და პლეხანოვმა. კურიოზად უნდა აღინიშნოს, რომ ახლა «ისკრის» რედაქცია (ალბათ, მოფიქრების შემდეგ) მარტინოვის მხარეზე გადავიდა და იმის საწინააღმდეგოს ამბობს, რასაც ყრილობაზე ამბობდა! ალბათ, ეს შეესაბამება «თანამომდევნობის» სახელოვან პრინციპს... მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვუცადოთ, სანამ რედაქცია სავსებით გაერკვეოდეს და ჩვენც გაგვირკვევდეს საკითხს, სახელდობრ რა ზომამდე დაეთანხმა ის მარტინოვს, სახელდობრ რაში და სახელდობრ რა დროიდან. ამის მოლოდინში ჩვენ მხოლოდ შევეკითხებით, გაგონილა კი სადმე ისეთი პ ა რ ტ ი უ ლ ი ორგანო, რომლის რედაქცია ყრილობის შემდეგ სწორედ იმის საწინააღმდეგოს ლაპარაკობდეს, რასაც ის ყრილობაზე ლაპარაკობდა?

გვერდი ავუაროთ კამათს «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ ცნობის შესახებ (ამას უკვე შევეხეთ ზემოთ) და დებატების დასაწყისს წესდების შესახებ (მათი განხილვა უფრო მოხერხებული იქნება წესდების მთლიანად გარჩევას-

თან დაკავშირებით) და გადავიდეთ პროგრამის განხილვის დროს გამომჟღავნებულ პრინციპულ ელფერთა გარჩევაზე. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ მეტისმეტად დამახასიათებელი თვისების ერთი დეტალი: კამათი პროპორციული წარმომადგენლობის საკითხზე. «იუჟნირაბოჩელი» ამბ. ეგოროვი იცავდა მის შეტანას პროგრამაში და იცავდა ისე, რომ გამოიწვია პოსადოვსკის (მეუმცირესე ისკრელი) სამართლიანი შენიშვნა «სერიოზული უთანხმოების» შესახებ. «უეჭველია, — თქვა ამბ. პოსადოვსკიმ, — ჩვენ ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს შემდეგს ძირითად საკითხში: საჭიროა თუ არა ჩვენი მომავალი პოლიტიკა დავუმორჩილოთ ამათუიმ ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს, მათთვის აბსოლუტური ღირებულების მინიჭებით, თუ ყველა დემოკრატიული პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტიის სარგებლობას უნდა დავუქვემდებაროთ? მე გადაჭრით მომხრე ვარ უკანასკნელისაო». პლეხანოვი «სავსებით უერთდება» პოსადოვსკის და კიდევ უფრო გარკვეულად და უფრო გადაჭრით ილაშქრებს «დემოკრატიული პრინციპების აბსოლუტური ღირებულების» წინააღმდეგ, მათი «განყენებულად» განხილვის წინააღმდეგ. «ჰიპოთეზურად წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, — ამბობს პლეხანოვი, — როცა ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, შეიძლება საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგ გამოვიდეთ. იტალიის რესპუბლიკების ბურჟუაზია ოდესღაც პოლიტიკურ უფლებებს ართმევდა ისეთ პირთ, რომლებიც თავადაზნაურობას ეკუთვნოდნენ. რევოლუციურ პროლეტარიატს შეუძლია შეზღუდოს უმაღლეს კლასთა პოლიტიკური უფლებები სწორედ ისე, როგორც უმაღლესი კლასები ზღუდავდნენ ოდესღაც მის პოლიტიკურ უფლებებს». პლეხანოვის სიტყვას ტაშითა და სტვენით შეხვდნენ, და როცა პლეხანოვი აპროტესტებს Zwischenruf-ს *, «თქვენ არ უნდა უსტვენდეთო» და სთხოვს ამხანაგებს ნუ გერიდებათო, ამბ. ეგოროვი დგება და ამბობს: «რაკი ასეთი

* — შენიშვნა ადგილიდან ორატორის სიტყვის დროს. რ ე დ.

სიტყვები ტაშს იწვევს, ჩემი მოვალეობაა ვუსტვინოო». ამხ. გოლდბლატთან ერთად (ბუნდის დელეგატი) ამხ. ეგოროვი გამოდის პოსადოვსკისა და პლეხანოვის შეხედულებათა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, დებატები შეწყდა და ამ დებატების დროს წამოჭრილი საკითხიც მაშინვე მოიხსნა. მაგრამ ამხ. მარტოვი ამაოდ ცდილობს ახლა შეასუსტოს და არარად აქციოს კიდეც მისი მნიშვნელობა, როცა ლიგის ყრილობაზე ამბობს: «(პლეხანოვის) ამ სიტყვებმა გამოიწვია დელეგატთა ერთი ნაწილის აღშფოთება, რისი თავიდან აცილება ადვილი იქნებოდა, ამხ. პლეხანოვს რომ დაერთო: რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმის ისეთი ტრაგიკული მდგომარეობა, როცა პროლეტარიატი თავისი გამარჯვების განსამტკიცებლად იძულებული იქნებოდა გაეთელა ისეთი პოლიტიკური უფლებები, როგორიცაა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება... (პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: «merci») (ლიგის ოქმები, გვ. 58). ეს განმარტება პ ი რ დ ა პ ი რ ეწინააღმდეგება ამხ. პოსადოვსკის სრულიად კატეგორიულ განცხადებას ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე «ძირითად საკითხში» «სერიოზული უთანხმოებისა» და აზრთა სხვადასხვაობის შესახებ. ამ ძირითად საკითხში ყრილობაზე ყველა ისკრელნი გამოვიდნენ «მემარჯვენე» ანტიისკრელების (გოლდბლატი) და ყრილობის «ცენტრის» წარმომადგენლების (ეგოროვი) წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს ფაქტია, და თამამად შეიძლება ითქვას, «ცენტრი» რომ (იმედია, ეს სიტყვა უფრო ნაკლებად ეჩოთირებათ ლმობიერების «ოფიციალურ» მომხრეებს, ვიდრე სხვა რომელიმე...), «ცენტრი» რომ (ამხ. ეგოროვის ან მახოვის სახით) «ძ ა ლ დ ა უ ტ ა ნ ე ბ ლ ა დ» გამოსულიყო ამ ან სხვა ანალოგიურ საკითხებზე, დაუყოვნებლივ იჩენდა თავს სერიოზული უთანხმოება.

მან თავი იჩინა კიდევ უფრო რელიეფურად «ენათა თანასწორუფლებიანობის» საკითხის გამო (ოქმები, გვ. 171 და შემდგ.). ამ პუნქტის გამო მჭევრმეტყველურია იმდენად კამათი კი არა, რამდენადაც კენჭისყრა: თუ დავთვლით ყველა ხმას, მივიღებთ დაუჯერებელ რიცხვს — თექვსმეტს! ეს

რის გამო? — იმის გამო, საკმარისია თუ არა პროგრამაში შეტანილ ... ...

თვისებისა (გვ. 178). ამხ. პოპოვიც კი «გამოთქვამდა სინანულს, რომ უმნიშვნელო რამეების გამო იქმნება ი ს ე თ ი ა ტ მ ო ს ფ ე რ ო» (ხაზგასმა ჩემია, გვ. 182), რომელიც სამი სხდომის განმავლობაში სუფევდა (16, 17 და 18).

ყველა ეს გამოთქმა უაღრესად გარკვეულად და კატეგორიულად მოწმობს იმ მჭევრმეტყველ ფაქტს, რომ «ეჭვიანობისა» და ბრძოლის უაღრესად მწვავე ფორმების («ჩამოგდება») ატმოსფერო, — რომლის შექმნაში ბრალს სდებდნენ შემდეგ, ლიგის ყრილობაზე, ისკრელთა უმრავლესობას! — ნამდვილად გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ა დ რ ე შეიქმნა, ვ ი დ რ ე უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა დ დ ა უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა დ გ ა ვ ი თ ი შ ე ბ ო დ ი თ. ვიმეორებ, ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, ძირითადი ფაქტი, რომლის გაუგებლობა ბევრში, ძალიან ბევრში ბადებს უკიდურესად მოუფიქრებელ აზრს, თითქოს უმრავლესობა ყრილობის დასასრულს ხელოვნური ყოფილიყოს. ამხ. მარტოვის ახლანდელი თვალსაზრისით, მარტოვის, რომელიც გვარწმუნებს, ყრილობაზე $^{9}/_{10}$ ისკრელები იყვნენო, აბსოლუტურად გაუგებარი და უაზროა ის ფაქტი, ვითომც «წვრილმანების», «უმნიშვნელო» საბაბის გამო შეიძლებოდა მომხდარიყო შეტაკება, რომელმაც «პრინციპული ხასიათი» მიიღო და კინაღამ ყრილობის კომისიის ჩამოგდება გამოიწვია. სასაცილო იქნებოდა ამ ფ ა ქ ტ ი ს მიჩქმალვა წუწუნითა და სინანულით «მავნე» მოსწრებული სიტყვების გამო. პ რ ი ნ ც ი პ უ ლ მნიშვნელობას შეტაკება ვერ მიიღებდა ვერავითარი მწვავე მოსწრებული სიტყვების გამო, ასეთი მნიშვნელობა შეიძლება მისცემოდა ამ შეტაკებას მხოლოდ და მხოლოდ ყრილობაზე არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ხასიათის გამო. სიმწვავემ და მოსწრებულმა სიტყვებმა კი არ შეჰქმნეს კონფლიქტი, — ესენი მხოლოდ ს ი მ პ ტ ო მ ი იყო იმისა, რომ თვით ყრილობის პოლიტიკურ დაჯგუფებაში არის «წინააღმდეგურობა», არის ყველა პირობა კონფლიქტისთვის, არის შინაგანი არაერთგვარობა, რომელიც იმანენტური ძალით გადმოხეთ-

ქავს ხოლმე ყოველი, თუ გინდ უმნიშვნელო საბაბის გამო.

პირიქით, იმ თვალსაზრისით, რომლითაც მე ვუყურებ ყრილობას და რომლის დაცვაც, როგორც ამბების გარკვეული პოლიტიკური გაგება, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თუნდაც ეს გაგება ვისმესთვის საწყენიც დარჩეს, — ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგებია და აუცილებელი პრინციპული ხასიათის საშინლად მწვავე კონფლიქტი «უმნიშვნელო» საბაბის გამო. რაკი ჩვენს ყრილობაზე განუწყვეტლივ წარმოებდა ბრძოლა ისკრელებისა ანტიისკრელების წინააღმდეგ, რაკი მათ შორის მერყეევი ელემენტები იდგნენ, რაკი ეს უკანასკნელნი ანტიისკრელებთან ერთად ხმების $^1/_3$-ს შეადგენდნენ (8+10=18 51-დან, ჩემი, ცხადია, დაახლოებითი ანგარიშით), — ამიტომ სავსებით გასაგები და ბუნებრივია, რომ ყოველგვარი ჩამოშორება ისკრელებისაგან თუნდაც მათი პატარა უმცირესობისაც კი ანტიისკრელთა მიმართულების გამარჯვების შესაძლებლობას ჰქმნიდა და ამიტომ «გააფთრებულ» ბრძოლას იწვევდა. ეს უადგილო მწვავე გალაშქრების და თავდასხმების შედეგი კი არ არის, არამედ პოლიტიკური კომბინაციის შედეგია. მწვავე გამოსვლები კი არ ჰქმნიდა პოლიტიკურ კონფლიქტს, არამედ თვით ყრილობის დაჯგუფებაში პოლიტიკური კონფლიქტის არსებობა იწვევდა გამწვავებასა და თავდასხმებს, — ამ დაპირისპირებაში მდგომარეობს ძირითადი პრინციპული დაშორება ჩვენსა და მარტოვს შორის ყრილობის პოლიტიკური მნიშვნელობისა და ყრილობის შედეგების შეფასებაში.

მთელი ყრილობის განმავლობაში სამი ყველაზე დიდი შემთხვევა იყო, როცა ისკრელთა უმრავლესობას ჩამოშორდა მათი უმნიშვნელო რიცხვი, — ენათა თანასწორუფლებიანობა, წესდების § 1 და არჩევნები — და ყველა ამ სამს შემთხვევაში ჩაღდებოდა გააფთრებული ბრძოლა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს პარტიის ახლანდელი მძიმე კრიზისი გამოიწვია. ეს კრიზისი და ეს ბრძოლა რომ პოლიტიკურად შე-

ვიცნოთ, მხოლოდ ფრაზებით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ შეუწყნარებელ მოსწრებულ სიტყვებზე, არამედ უნდა განვიხილოთ იმ ელფერთა პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომლებიც ერთმანეთს შეეჯახნენ ყრილობაზე. ამიტომ ინციდენტი «ენათა თანასწორუფლებიანობის» გამო ორმაგ ინტერესს წარმოადგენს უთანხმოების მიზეზის გარკვევის თვალსაზრისით, ვინაიდან აქ მარტოვი ჯერ კიდევ ისკრელი იყო (ჯერ კიდევ იყო!) და თითქმის ყველაზე მეტად იბრძოდა ანტიისკრელთა და «ცენტრის» წინააღმდეგ.

ომი დაიწყო ამხ. მარტოვის კამათით ბუნდელთა ბელადთან, ამხ. ლიბერთან (გვ. 171 — 172). მარტოვი ამტკიცებს, საკმარისია «მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის» მოთხოვნაო. «ენის თავისუფლება» უარყოფილია, მაგრამ იმწამსვე აყენებენ «ენათა თანასწორუფლებიანობას», და ლიბერთან ერთად საომრად გამოდის ამხ. ეგოროვი. მარტოვი აცხადებს: ეს ფ ე ტ ი შ ი ზ მ ი ა ო, «როცა ორატორები დაჟინებით მოითხოვენ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას და არათანასწორუფლებიანობა ენის დარგში გადააქვთო. საკითხი კი სწორედ სხვა მხრიდან უნდა იქნას განხილული: არსებობს ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობა, რაც, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატება, რომ ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ერს ეკუთვნიან, მოკლებული არიან უფლებას დედაენით ისარგებლონ» (გვ. 172). მარტოვი მაშინ სრულიად მართალი იყო. მართლაც, რაღაც ფეტიშიზმს წარმოადგენდა ლიბერისა და ეგოროვის აბსოლუტურად უილაჯო ცდა — დაეცვათ თავიანთი ფორმულირების სისწორე და დაემტკიცებინათ, ვითომც ჩვენ არ გვსურდა ან არ შეგვეძლო ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გატარება. ნამდვილად კი ისინი, როგორც «ფეტიშისტები», სწორედ სიტყვას იცავდნენ და არა პრინციპს, მოქმედებდნენ არა იმის შიშით, რაიმე პრინციპული შეცდომა არ ჩავიდინოთო, არამედ იმის შიშით, რას იტყვის ხალხიო. სწორედ ეს მერყეობის ფსიქოლოგია (რაღა ვქნათ, «სხვებმა» რომ ამისთვის გაგვამტყუნონო?), — რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ საორგანი-

ზაციო კომიტეტის ინციდენტში, — სრული სიცხადით გამოამჟღავნა აქ მთელმა ჩვენმა «ცენტრმაც». მისი მეორე წარმომადგენელი, «იუჟნი რაბოჩისთან» ახლო მდგომი სამთამადნო რაიონის დელეგატი ლვოვი, «ენათა ჩაგვრის საკითხს, რომელიც განაპირა მხარეებმა წამოაყენეს, ფრიად სერიოზულ საკითხად თვლის. მნიშვნელოვანია ის, რომ რაკი ჩვენს პროგრამაში შევიტანეთ პუნქტი ენის შესახებ, თავიდან ავიშოროთ რუსიფიკატორობის ყოველგვარი ვარაუდი, რაშიც შეიძლება ეჭვი მიიტანონ სოციალ-დემოკრატებზეო». აი საკითხის «სერიოზულობის» შესანიშნავი დასაბუთება. საკითხი ფრიად სერიოზულია ი მ ი ტ ო მ, რომ საჭიროა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი დაეჭვება განაპირა მხარეების მხრითო! ორატორი სრულებით არაფერს ამბობს არსებითად, ის პასუხს არ იძლევა ფეტიშიზმის დაბრალებაზე, პირიქით, სავსებით ადასტურებს მას, სრულებით არ მოჰყავს თავისი მოსაზრებები და კმაყოფილდება იმაზე მითითებით, თუ რას იტყვიან განაპირა მხარეებიო. ყველაფერი, რისი თქმაც მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ, ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს ო — ეუბნებიან მას. იმის ნაცვლად, რომ გაარჩიოს სწორია ეს თუ არასწორი, ის უპასუხებს: «შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე ჭ ვ ი მ ი ი ტ ა ნ ო ნ ო».

საკითხის ა ს ე თ ი დაყენება და თანაც პრეტენზიის განცხადება მის სერიოზულობასა და მნიშვნელობაზე, მართლაც პრინციპულ ხასიათს იღებს, მხოლოდ სრულებითაც არა ისეთს, როგორიც უნდოდათ აღმოეჩინათ აქ ლიბერებს, ეგოროვებს, ლვოვებს. პრინციპული ხდება საკითხი: უნდა მივანიჭოთ თუ არა ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს უფლება გამოიყენონ პროგრამის ზოგადი და ძირითადი დებულებანი, გამოიყენონ ისინი კონკრეტული პირობების მიმართ და განავითარონ ასეთი გამოყენების ხაზით, თუ იმის უბრალო შიშით, ეჭვი არ აღეძრათო, ავავსოთ პროგრამა წვრილმანი დეტალებით, კერძო მითითებებით, განმეორებებით, კაზუისტიკით. პრინციპული ხდება საკითხი, თუ როგორ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატებს კაზუისტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინახონ («ეჭვით ივარაუდონ») ელემენტარულ დემოკ-

რატიულ უფლებათა და თავისუფლებათა შეკვეცის ცდა. ბოლოს და ბოლოს, როდისღა გადავეჩვევით ამ ფეტიშისტურად ქედის მოხრას კაზუსების წინაშე? — აი ის აზრი, რომელიც მოგვდიოდა თავში, როცა «ენათა» გამო ატეხილ ბრძოლას ვუყურებდით.

დელეგატების დაჯგუფება ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ნათელია, სახელობითი კენჭისყრის სიუხვის გამო ასეთი რამ სამჯერ მოხდა. ისკრული ბირთვის წინააღმდეგ მუდამ კლდესავით დგანან ყველა ანტიისკრელი (8 ხმა) და, მცირეოდენი მერყეობით, მთელი ცენტრი (მახოვი, ლვოვი, ეგოროვი, პოპოვი, მედვედევი, ივანოვი, ცარიოვი, ბელოვი,— მხოლოდ უკანასკნელი ორი მერყეობდა პირველად: ხან თავს იკავებდნენ, ხან ჩვენთან ერთად აძლევდნენ ხმას, და მხოლოდ მესამე კენჭისყრისას გამოერკვნენ სრულად). ისკრელებს ჩამოშორდა ნაწილი — უმთავრესად კავკასიელები (სამნი — ექვსი ხმით) — და ამის გამო, ბოლოს და ბოლოს, უპირატესობა მიიღო «ფეტიშიზმის» მიმართულებამ. მესამე კენჭისყრისას, როცა ორივე ტენდენციის მომხრეებმა უფრო ცხადი გახადეს თავიანთი პოზიციები, უმრავლესობის ისკრელებს ჩამოშორდა და მოწინააღმდეგე მხარეს მიეკედლა სამი კავკასიელი ექვსი ხმით; უმცირესობის ისკრელებს ჩამოშორდა ორი ორი ხმით — პოსადოვსკი და კოსტიჩი; პირველი ორი კენჭისყრისას მოწინააღმდეგე მხარეზე გადადიოდნენ ან თავს იკავებდნენ: ლენსკი, სტეპანოვი და გორსკი უმრავლესობის ისკრელებიდან, დეიჩი — უმცირესობიდან. ისკრელთა რვა ხმის ჩამოშორებამ (სულ იყო 33) უპირატესობა მისცა ანტიისკრელთა და მერყევი ელემენტების კოალიციას. ეს არის სწორედ ყრილობის დაჯგუფების ის ძირითადი ფაქტი, რომელიც განმეორდა (მხოლოდ სხვა ისკრელების ჩამოშორებისას) წესდების § 1-ის კენჭისყრის დროსაც და არჩევნების დროსაც. გასაკვირველი როდია, რომ არჩევნებში დამარცხებულნი ახლა დიდი სიბეჯითით ხუჭავენ თვალს ამ დამარცხების პოლიტიკურ მიზეზებზე, ელფერთა იმ ბრძოლის

გამოსავალ პუნქტებზე, რომელიც სულ უფრო და უფრო ნათელს ჰფენდა და სულ უფრო დაუნდობლად ააშკარავებდა პარტიის წინაშე მერყევ და პოლიტიკურად უხასიათო ელემენტებს. ინციდენტი ენათა თანასწორუფლებიანობის გამო ამ ბრძოლას უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენს, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ამხ. მარტოვსაც ვერ მოესწრო დაემსახურებინა აკიმოვისა და მახოვის ქება და მოწონება.

3) აგრარული პროგრამა

ანტიისკრელთა და «ცენტრის» პრინციპულმა მერყეობამ რელიეფურად იჩინა თავი აგრარულ პროგრამაზე კამათშიც, რომელსაც ცოტა დრო არ წაურთმევია ყრილობისთვის (იხ. ოქმები, გვ. 190 — 226) და რომელმაც ბევრი მეტად საინტერესო საკითხი წამოაყენა. როგორც მოსალოდნელიც იყო, ლაშქრობას პროგრამის წინააღმდეგ იწყებს ამხ. მარტინოვი (ამხ. ლიბერისა და ეგოროვის წვრილმანი შენიშვნების შემდეგ). ის აყენებს ძველ საბუთს «სწორედ ამ ისტორიული უსამართლობის» გამოსწორების შესახებ, რითაც თითქოს არაპირდაპირ ჩვენ «ვაკანონებთ სხვა ისტორიულ უსამართლობებს» და სხვ. მას მხარს უჭერს ამხ. ეგოროვიც, რომლისთვისაც «გაურკვეველიც კი არის, თუ როგორია ამ პროგრამის მნიშვნელობა. არის თუ არა ეს — პროგრამა ჩვენთვის, ე. ი. განსაზღვრავს თუ არა ის იმ მოთხოვნებს, რომელთაც ჩვენ ვაყენებთ, თუ ჩვენ გვსურს გავხადოთ იგი პოპულარული» (!?!?). ამხ. ლიბერს «სურდა გაეკეთებინა იგივე მითითებანი, რაც ამხ. ეგოროვმა გააკეთა». ამხ. მახოვი გამოდის მისთვის ჩვეული რიხიანობით და აცხადებს: «მათს უმრავლესობას (?), ვინც უკვე ილაპარაკა, სრულიად არ გაეგება, თუ რას წარმოადგენს წამოყენებული პროგრამა და რა მიზნებს ისახავს ის». და აი, თურმე, წარმოდგენილი პროგრამა «ძნელია სოც.-დემ. აგრარულ პროგრამად ჩავთვალოთ»; მას... «ისტორიულ უსამართლობათა გამოსწორების თამაშობის ერთგვარი სუნი ასდის», «დემაგოგიისა

და ავანტიურიზმის ელფერი» აზისო. ამ ღრმააზროვნების თეორიულად დადასტურება არის ვულგარული მარქსიზმის ჩვეულებრივი გადამლაშება და გამარტივება: ისკრელებს თითქოს «სურთ გლეხებს მიუდგნენ, როგორც შემადგენლობით რაღაც ერთიანს; ხოლო რადგან გლეხობა უკვე დიდი ხანია (?) დანაწილებულია კლასებად, ამიტომ ერთიანი პროგრამის წამოყენებას აუცილებლად მოსდევს ის, რომ პროგრამა საერთოდ დემაგოგიური გამოდის და განხორციელების დროს ავანტიურად გადაიქცევაო» (202). ამხ. მახოვს აქ «წამოსცდა» ჩვენი აგრარული პროგრამისადმი იმ უარყოფითი დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზი, რასაც ბევრი სოციალ-დემოკრატი იჩენს და მზადაც არის «აღიაროს» «ისკრა» (როგორც აღიარა ის თვით მახოვმა), მაგრამ სრულიად ვერ ჩაჰფიქრებია მის მიმართულებას, მის თეორიულ და ტაქტიკურ პოზიციას. ამ პროგრამის გაუგებლობას იწვევდა და იწვევს სწორედ მარქსიზმის ვულგარიზაცია მისი ისეთი რთული და მრავალმხრივი მოვლენისადმი მიყენებისას, როგორიცაა რუსეთის გლეხური მეურნეობის თანამედროვე წყობა, და სრულიადაც არა ცალკეულ წვრილმანთა გამო წარმომდგარი უთანხმოება. და ამნაირ ვულგარულ-მარქსისტულ თვალსაზრისზე მყისვე შეთანხმდნენ ანტიისკრელ ელემენტთა ლიდერები (ლიბერი და მარტინოვი) და «ცენტრის» ლიდერები — ეგოროვი და მახოვი. ამხ. ეგოროვმა გულახდილად გამოხატა აგრეთვე «იუჟნი რაბოჩის» და მისი მომხრეჯგუფებისა და წრეების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, სახელდობრ — გლეხთა მოძრაობის მნიშვნელობის გაუგებლობა, გაუგებლობა იმისა, რომ არა გადაჭარბებული შეფასება, არამედ, პირიქით, შეუფასებლობა ამ მნიშვნელობისა (და ძალთა ნაკლებობა მოძრაობის გამოსაყენებლად) შეადგენდა ჩვენი სოციალ-დემოკრატების სუსტ მხარეს გლეხთა განთქმული პირველი აჯანყების დროს. «მე შორსა ვარ რედაქციის გატაცებისაგან გლეხთა მოძრაობით, — ფქვა ამხ. ეგოროვმა, — გატაცებისავან, რამაც მოიცვა ბევრი სოციალ-დემოკრატი გლეხთა მღელვარების შემდეგ». ამხ. ეგოროვი მხოლოდ

არ გაისარჯა, სამწუხაროდ, ყრილობისთვის რაოდენადმე სისწორით გაეცნო ის, თუ რაში გამოიხატა **რედაქციის** ეს გატაცება, არ გაისარჯა კონკრეტულად მიეთითებინა «ისკრის» მიერ მოცემულ ლიტერატურულ მასალაზე. ამას გარდა, მას დაავიწყდა, რომ ჩვენი აგრარული პროგრამის **ყველა** ძირითადი პუნქტი განვითარებული იყო «ისკრის» მიერ ჯერ კიდევ მის მესამე ნომერში*, ე. ი. გლეხთა მღელვარებებზე **ბევრად უფრო ადრე**. ვინც «ისკრას» «აღიარებდა» არა მარტო სიტყვით, იმას არაფერი დაუშავდებოდა ცოტა მეტი ყურადღება გამოეჩინა მისი თეორიული და ტაქტიკური პრინციპებისადმი!

«არა, გლეხობაში ჩვენ ბევრს ვერაფერს გავაწყობთ!» — გაიძახის ამხ. ეგოროვი და შემდეგ ამას განმარტავს არა იმ აზრით, რომ ეს არის პროტესტი ამა თუ იმ ცალკე «გატაცების» წინააღმდეგ, არამედ მთელი ჩვენი პოზიციის უარყოფის აზრით: «ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ლოზუნგს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ავანტიურისტულ ლოზუნგს». საქმისადმი უპრინციპო დამოკიდებულების მეტად დამახასიათებელი ფორმულირებაა, რასაც ყველაფერი დაჰყავს მარტო **სხვადასხვა** პარტიის ლოზუნგების «კონკურენციამდე»! და ამას ლაპარაკობენ მას შემდეგ, როცა ორატორს თავი «დაკმაყოფილებულად» მიაჩნია იმ თეორიული ახსნა-განმარტებით, სადაც მითითებული იყო, რომ ჩვენ მივისწრაფით აგიტაციის საქმეში მტკიცე წარმატებისკენ, ვერ შეგვაკრთობს დროებითი წარუმატებლობანი და რომ მტკიცე წარმატება (წინააღმდეგ ერთწუთიანი... «კონკურენტების» დიდი ყვირილისა) შეუძლებელია პროგრამის მტკიცე თეორიული ბაზისის უქონლად (გვ. 196). რა დომხალს ამყრავნებს ხოლმე ასეთი რწმუნება «დაკმაყოფილებულობის» შესახებ და იმ ვულგარულ დებულებათა დაუყოვნებლივ განმეორება, რომლებიც მემკვიდრეობად არის მიღებული ძველი ეკონომიზმისაგან. ამ უკანასკნელისთვის კი «ლოზუნგების კონკურენცია» წყვეტდა არა მარტო აგრარული, არამედ მთელი პროგრამისა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, 517 — 527. **რედ.**

და ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის მთელი ტაქტიკის ყველა საკითხს. «თქვენ მოჯამაგირეს ვერ აიძულებთ — ამბობდა ამხ. ეგოროვი — იბრძოლოს მდიდარ გლეხთან ერთად ჩამონაჭრებისათვის, რომელთა არც თუ მცირე ნაწილი უკვე ამ მდიდარი გლეხის ხელშია».

ისევ იგივე გამარტივებაა, რაც უსათუოდ ენათესავება ჩვენს ოპორტუნისტულ ეკონომიზმს, რომელიც ამტკიცებდა: შეუძლებელია «ვაიძულოთ» პროლეტარი იბრძოლოს იმისათვის, რისი არც თუ მცირე ნაწილი უკვე ბურჟუაზიის ხელშია და კიდევ უფრო დიდი ნაწილი ხელში ჩაუვარდება მას მომავალშიო. ისევ იგივე ვულგარიზაციაა, რომელსაც ავიწყდება მოჯამაგირესა და მდიდარ გლეხს შორის არსებული ზოგად-კაპიტალისტური ურთიერთობის რუსული თავისებურებანი. ჩამონაჭრები ამჟამად ახრჩობს, ახრჩობს ნამდვილად მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ს ა ც, რომლის «იძულება» არც დაგვჭირდება, რომ იბრძოლოს კაბალისაგან განთავისუფლებისათვის. «უნდა ვაიძულოთ» ზოგიერთი ინტელიგენტი — ვაიძულოთ უფრო ფართოდ შეხედოს თავის ამოცანებს, ვაიძულოთ უკუაგდოს შაბლონი კონკრეტული საკითხების განხილვისას, ვაიძულოთ ანგარიში გაუწიოს ისტორიულ კონიუნქტურას, რომელიც ართულებს და ასხვაფერებს ჩვენს მიზნებს. სწორედ იმ ცრურწმენით, რომ გლეხი სულელია, — ცრურწმენით, რომელიც, ამხ. მარტოვის სამართლიანი შენიშვნით (გვ. 202), გამოსჭვივის ამხ. მახოვისა და აგრარული პროგრამის სხვა მოწინააღმდეგეთა სიტყვებში, — მხოლოდ ცრურწმენით შეიძლება იმის ახსნა, რომ ამ მოწინააღმდეგეებს ჩვენებური მოჯამაგირის ყოფა-ცხოვრების რეალური პირობები ავიწყდებათ.

საკითხის მეტისმეტად გამარტივებული დაპირდაპირებით: მუშა და კაპიტალისტიო, — ჩვენი «ცენტრის» წარმომადგენლები ცდილობდნენ, როგორც ჩვეულნი არიან, თავიანთი შეზღუდულობა გლეხისათვის გადაებრალებინათ. «სწორედ იმიტომ, — ამბობდა ამხ. მახოვი, — რომ გლეხი მისი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისის საზომით ჭკვიანად მიმაჩნია, მე

ვფიქრობ, ის მხარს დაუჭერს დატაცებისა და დაყოფის წვრილბურჟუაზიულ იდეალს». აქ აშკარად არეულია ერთმანეთში ორი რამ: გლეხის, როგორც წვრილი ბურჟუის, კლასობრივი თვალსაზრისის დახასიათება, და ამ თვალსაზრისის დ ა ვ ი წ რ ო ე ბ ა, მ ი ს ი დაყვანა «ვიწრო საზომამდე». აი სწორედ ამ დაყვანაში მდგომარეობს ეგოროვებისა და მახოვების შეცდომა (ისევე როგორც პროლეტარის თვალსაზრისის «ვიწრო საზომამდე» დაყვანაში მდგომარეობდა მარტინოვების და აკიმოვების შეცდომა). მაგრამ ლოგიკაც და ისტორიაც გვასწავლის, რომ წვრილბურჟუაზიული კლასობრივი თვალსაზრისი შეიძლება იყოს ცოტად თუ ბევრად შეზღუდული, ცოტად თუ ბევრად პროგრესული, სწორედ წვრილი ბურჟუის ორჭოფი მდგომარეობის გამო. და ჩვენი ამოცანა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გლეხის შეზღუდულობის («სისულელის») ან მასზე «ცრურწმენის» ბატონობის გამო ხელის ჩაქნევა, არამედ, პირიქით, მის თვალსაზრისს დაუღალავად უნდა ვაფართოებდეთ და ხელს ვუწყობდეთ, რომ მასში გონიერებამ დასძლიოს ცრურწმენას.

ვულგარულ-«მარქსისტულმა» თვალსაზრისმა რუსეთის აგრარულ საკითხზე თავისი კულმინაციური გამოხატულება ჰპოვა ამხ. მახოვის, «ისკრის» ძველი რედაქციის ერთგული დამცველის, პრინციპული სიტყვის დასკვნითს ნაწილში. ტყუილად კი არ შეხვდნენ ამ სიტყვებს ტაშით... თუმცა, ირონიულით. «მე, რა თქმა უნდა, აღარ ვიცი, თუ რას ვუწოდო უბედურება», — ამბობს ამხ. მახოვი, აღშფოთებული პლეხანოვის მითითებით, რომ მოძრაობა მიწის გადანაწილების **(черный передел)** სასარგებლოდ ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს, რომ ჩვენ ხელს არ შევუშლიდით ამ პროგრესულ (ბურჟუაზიულ-პროგრესულ) მოძრაობასო. — «მაგრამ ეს რევოლუცია, თუ კი შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, რევოლუციური არ იქნება. მე უფრო სწორედ ვიტყოდი, ეს იქნება უკვე არა რევოლუცია, არამედ რეაქცია (ს ი ც ი ლ ი), რევოლუცია ამბოხების მსგავსი... ამნაირი რევოლუცია ჩვენ უკან დაგვაქანებს და განსაზღვრული დრო

დაგვჭირდება იმისათვის, რომ ხელახლა დავუბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რომელიც ახლა გვაქვს. ახლა კი ჩვენ გაცილებით მეტი რამ გვაქვს, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის დროს ჰქონდათ (ი რ ო ნ ი უ ლ ი ტ ა შ ი), ჩვენ გვყავს სოციალ-დემოკრატიული პარტია (ს ი ც ი ლ ი)»... დიახ, ისეთი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც იმსჯელებდა მახოვისებურად, ან ექნებოდა ისეთი ცენტრალური დაწესებულებები, რომლებიც დაეყრდნობიან მახოვებს, მართლაც სიცილის ღირსი იქნებოდა მხოლოდ....

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ აგრარული პროგრამით აღძრული წმინდა პრინციპული საკითხების გარშემო მყისვე თავი იჩინა ჩვენთვის უკვე ცნობილმა დაჯგუფებამ. ანტიისკრელები (8 ხმა) ლაშქრობაში მიდიან ვულგარული მარქსიზმის გულისთვის, მათ მიჩანჩალებენ «ცენტრის» ბელადები — ეგოროვები და მახოვები, რომლებიც დაბნეული არიან და მუდამ იმავე ვიწრო თვალსაზრისს ადგებიან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ კენჭისყრა აგრარული პროგრამის ზოგიერთი პუნქტის გამო იძლევა 30 და 35 ხმას მის სასარგებლოდ (გვ. 225 და 226), ე. ი. სწორედ დაახლოებით იმავე რიცხვს, რაც გვქონდა დავის დროს ბუნდის ადგილის საკითხის განხილვის გარშემო, აგრეთვე როცა ირჩეოდა ინციდენტი საორგ. კ-თან და «იუჟნი რაბოჩის» დახურვის საკითხი. საკმარისია წამოიჭრას საკითხი, რომელიც რაოდენადმე შორდება ჩვეულებრივი და უკვე დაწესებული შაბლონის ჩარჩოებს და რომელიც რაოდენადმე მოითხოვს მარქსის თეორიის დამოუკიდებელ შეფარდებას თავისებურ და ახალ (გერმანელებისთვის ახალ) სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობასთან, — რომ მაშინვე იმ ისკრელების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ ამოცანის სიმაღლეზე დადგომა, უდრიდეს ხმების მხოლოდ $^3/_5$-ს, მყისვე მთელი «ცენტრი» პირს იბრუნებდეს ლიბერებისა და მარტინოვებისაკენ. ამხ. მარტოვი კი ცდილობს კიდევ მიაფუჩეჩოს ეს აშკარა ფაქტი, შიშით უვლის გვერდს იმ კენჭისყრებს, სადაც ნათლად იჩინა თავი სხვადასხვა ელფერმა!

აგრარული პროგრამის გარშემო გაჩაღებული კამათიდან ნათლად ჩანს ისკრელების ბრძოლა ყრილობის მთელი ორი მეხუთედის წინააღმდეგ. კავკასიელ დელეგატებს აქ სრულიად სწორი პოზიცია ეჭირათ, — ალბათ, უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი ახლო იცნობდნენ ბატონყმური მრავალრიცხოვანი ნაშთების ადგილობრივ ფორმებს და ეს იცავდა მათ აბსტრაქტულ-მოწაფურ შიშველ დაპირისპირებათაგან, რომლებიც აკმაყოფილებდა მახოვებს. მარტინოვისა და ლიბერის, მახოვისა და ეგოროვის წინააღმდეგ გაილაშქრეს პლეხანოვმაც, გუსევმაც (რომელმაც დაადასტურა, რომ «ისეთი პესიმისტური შეხედულება ჩვენს მუშაობაზე სოფლად»... როგორიცაა ამხ. ეგოროვის შეხედულება... მას «ხშირად სმენია რუსეთში მომუშავე ამხანაგებს შორის»), კოსტროვმაც[67], კარსკიმაც, ტროცკიმაც. ეს უკანასკნელი სწორად შენიშნავს, რომ აგრარული პროგრამის კრიტიკოსთა «კეთილმოსურნე რჩევას» «მეტისმეტი ფ ი ლ ი ს ტ ე რ ო ბ ი ს სუნი უდისო». ყრილობაზე არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შესწავლის საკითხისათვის უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ მისი სიტყვის ამ ადგილას (გვერდი 208) არა გვგონია სამართლიანი იყოს ეგოროვისა და მახოვის გვერდით ამხ. ლანგეს დაყენება. ვინც გულდასმით წაიკითხავს ოქმებს, დაინახავს, რომ ლანგეს და გორინს სრულიად არ უჭირავთ ის პოზიცია, რომელზედაც ეგოროვი და მახოვი დგანან. ლანგეს და გორინს არ მოსწონთ ჩამონაჭრების შესახებ წარმოდგენილი პუნქტის ფორმულირება; მათ სავსებით ესმით ჩვენი აგრარული პროგრამის იდეა, ოღონდ ცდილობენ ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ გააზორციელონ ის, მუშაობენ დადებითად იმაზე, რომ გამონახონ მათი თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი ფორმულირება, შემოაქვთ რეზოლუციების პროექტები, რათა დაარწმუნონ პროგრამის ავტორები ან მიემხრონ მათ ყველა არაისკრელთა წინააღმდეგ. საკმაოა ერთმანეთს შევადაროთ, მაგ., მახოვის წინადადება მთელი აგრარული პროგრამის (გვ. 212, მომხრე ც ხ რ ა, წინააღმდეგი 38) და მისი ცალკე პუნქტების უარყოფის შესახებ (გვ. 216 და სხვ.) და პოზიცია ლანგესი, რომელ-

საც შ ე მ ო ჰ ქ ო ნ დ ა დამოუკიდებელი რედაქცია პუნქტისა ჩამონაჭრების შესახებ (გვ. 225), რომ დავრწმუნდეთ მათ შორის ძირითადი განსხვავების არსებობაში *.

როცა შემდეგ ამხ. ტროცკი ლაპარაკობდა იმ საბუთების შესახებ, რომელთაც «ფილისტერული» სუნი უდიოდათ, მან აღნიშნა, «მომავალ რევოლუციურ პერიოდში ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ გლეხობასო»... «ამ ამოცანის წინაშე მახოვისა და ეგოროვის სკეპტიციზმი და პოლიტიკური «შორსმჭვრეტელობა» ყოველგვარ სიბეცეზე უფრო საზიანოაო». ამხ. კოსტიჩმა, უმცირესობის მეორე ისკრელმა, მეტად მოსწრებულად აღნიშნა: ამხ. მახოვს «არა აქვს რწმენა თავისი თავისა, თავისი პრინციპული სიმტკიცისაო», — ეს ისეთი დახასიათებაა, რომელიც ჩვენს «ცენტრს» შიგ გულში ხვდება. «პესიმიზმში ამხ. მახოვი შეუერთდა ამხ. ეგოროვს, თუმცა მათ შორის არის სხვადასხვა ელფერი, — განაგრძობდა ამხ. კოსტიჩი. — მას ავიწყდება, რომ ამჟამად სოციალ-დემოკრატები უკვე მუშაობენ გლეხობაში, უკვე ხელმძღვანელობენ მათს მოძრაობას ისე, როგორც ეს შესაძლებელია. და ამ თავისი პესიმიზმით ისინი კვეცავენ ჩვენი მუშაობის გაქანებასო» (გვ. 210).

რომ მოვათავოთ პროგრამული საკითხის გარშემო ყრილობაზე გამართული კამათის ამბავი, ღირს კიდევ აღვნიშნოთ მოკლე დებატები ოპოზიციურ მიმდინარეობათათვის მხარდაჭერის შესახებ. ჩვენს პროგრამაში ნათლად არის ნათქვამი, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს «ყოველგვარ ო პ ო ზ ი ც ი უ რ და რევოლუციურ მოძრაობას, მ ი მ ა რ თ უ ლ ს რ უ ს ე თ შ ი ა რ ს ებ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ებ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ»[68]. თითქოს, ეს უკანასკნელი შენიშვნა საკმაო სისწორით გვიჩვენებს, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო მ ე ლ ოპოზიციურ მიმდინარეობებს ვუჭერთ მხარს. მიუხედავად ამისა იმ ელფერთა სხვადასხვაობა, რომელნიც დიდი ხანია ჩამოყალიბდა უკვე ჩვენს პარტიაში, უცბად გა-

* შეად. გორინის სიტყვა, გვ. 213.

მომაღლავნდა ა ქ ა ც, თუმცა ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა «მიუხვედრელობა და გაუგებრობა» იმ საკითხში, რომელიც ესოდენ გადაღეჭილია! ცხადია, საქმე ეხებოდა სწორედ არა გაუგებრობას, არამედ სხვადასხვა ე ლ ფ ე რ ს. მახოვმა, ლიბერმა და მარტინოვმა მაშინვე ასტეხეს განგაში და კვლავ ისეთ «კომპაქტურ» უმ-ცირესობაში მოექცნენ, რომ ამხ. მარტოვს, შეიძლება, აქაც დასჭირებოდა ამისი ახსნა ინტრიგით, საქმის მოჭახრაკებით, დიპლომატიით და სხვა ასეთი სანუკვარი რამეებით (იხ. მისი სიტყვა ლიგის ყრილობაზე), რომლებსაც ის ადამიანები მიმარ-თავენ, ვისაც უნარი რომ არ შესწევთ ჩაუფიქრდნენ როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის «კომპაქტური» ჯგუფების გაჩენის პოლიტიკურ მიზეზებს.

მახოვი კვლავ მარქსიზმის ვულგარული გამარტივებით იწყებს. «ჩვენ ერთადერთი რევოლუციური კლასი გვყავს — პროლეტარიატი, — აცხადებს ის, და ამ სამართლიანი დებუ-ლებიდან მაშინვე გამოჰყავს უსამართლო დასკვნა: — დანარ-ჩენნი ისე რაღა, მიტმასნებული არიანთ (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი-ლ ი)... დიახ, მიტმასნებული და სურთ მხოლოდ რითიმე ისარ-გებლონ. მე წინააღმდეგი ვარ მათთვის მხარისდაჭერისა» (გვ. 226). ამხ. მახოვის მიერ თავისი პოზიციის ასეთმა უბადლო ფორმულირებამ ბევრი (მისი მომხრე) დაარცხვინა, მაგრამ არსებითად მას შეუთანხმდნენ ლიბერიც და მარ-ტინოვიც, რომლებმაც წინადადება შეიტანეს მოეხსნათ სი-ტყვა «ოპოზიციური» ან განესაზღვრათ იგი დამატებით — «დემოკრატიულ-ოპოზიციური». მარტინოვის ამ შესწორების წინააღმდეგ სამართლიანად გაილაშქრა პლეხანოვმა. «ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ ლიბერალები, — ამბობდა ის, — ვამხი-ლოთ მათი ორჭოფობა. ეს სწორია... მაგრამ, როცა ჩვენ ვამხელთ ყველა სხვა მოძრაობის, გარდა სოციალ-დემოკრა-ტიულისა, სივიწროვეს და შეზღუდულობას, ჩვენ ვალდე-ბული ვართ განვუმარტოთ პროლეტარიატს, რომ, აბსოლუ-ტიზმთან შედარებით, ისეთი კონსტიტუციაც კი, რომელიც არ იძლევა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, წინგადა-

დგმული ნაბიჯია და ამიტომ მას არ უნდა ერჩივნოს არსებული წესწყობილება ასეთ კონსტიტუციასო». ამხანაგი მარტინოვი, ლიბერი და მახოვი არ ეთანხმებიან ამას და იცავენ თავიანთ პოზიციას, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ აქსელროდი, სტაროვერი, ტროცკი და ერთხელ კიდევ პლეხანოვი. ამასთანავე ამხ. მახოვმა მოასწრო ერთხელ კიდევ გაემათრახებინა თავისი თავი. ჯერ თქვა, დანარჩენი კლასები (პროლეტარიატის გარდა) «ისე რაღაო» და «წინააღმდეგი ვარ მათთვის მხარისდაჭერისო». შემდეგ კი მოწყალება მოიღო და აღიარა: «თუმცა ბურჟუაზია არსებითად რეაქციულია, მაგრამ ხშირად რევოლუციურიც არისო, — როცა, მაგ., ლაპარაკია ფეოდალიზმისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაზეო». «მაგრამ არიან ჯგუფები, — განაგრძობდა იგი, უხეიროდ ცდილობდა რა გამოესწორებინა საქმე, — რომლებიც ყოველთვის (?) რეაქციულნი არიან, — ასეთები არიან ხელოსნებიო». პრინციპულობის რა მარგალიტები გადმოალაგეს ჩვენი «ცენტრის» სწორედ იმ ლიდერებმა, რომლებიც შემდეგ პირზე დორბლმორეულნი იცავდნენ ძველ რედაქციას! სწორედ ხელოსნებმა დასავლეთ ევროპაშიც კი, სადაც ამქრული წყობა ასე ძლიერი იყო, გამოიჩინეს, ისე როგორც სხვა წვრილმა ბურჟუებმა ქალაქებში, განსაკუთრებული რევოლუციურობა აბსოლუტიზმის დაცემის ეპოქაში. სწორედ რუსი სოციალდემოკრატისთვის განსაკუთრებით უაზრობაა მოუფიქრებლად იმეოროს ის, რასაც დასავლეთელი ამხანაგები ამბობენ ახლანდელ ხელოსნებზე იმ ეპოქაში, რომელიც აბსოლუტიზმის დაცემისაგან ერთი საუკუნით და ნახევარი საუკუნით დაშორებულია. რუსეთის ხელოსნების რეაქციულობა ბურჟუაზიასთან შედარებით პოლიტიკური საკითხების სფეროში — ეს არის შაბლონურად გაზეპირებული ფრაზა და სხვა არაფერი.

სამწუხაროდ, ოქმებში არაფერია ნათქვამი იმ ხმების რაოდენობაზე, რომლებიც შეკრიბა მარტინოვის, მახოვისა და ლიბერის მიერ წარმოდგენილმა და უარყოფილმა

შესწორებებმა ამ საკითხზე. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიისკრული ელემენტების ლიდერები და «ცენტრის» * ერთ-ერთი ლიდერი აქაც შემჭიდროვდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილ დაჯგუფებად ისკრელების წინააღმდეგ. პ რ ო გ რ ა მ ი ს გარშემო მ თ ე ლ ი კამათის შეჯამებისას არ შეიძლება არ გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ ა რ ც ე რ თ ხ ე ლ არ ყოფილა რაოდენადმე გაცხოველებული, საერთო ინტერესის აღმძვრელი კამათი, რომელსაც არ გამოეაშკარავებინოს ელფერთა ის განსხვავება, რის შესახებაც ამჟამად სდუმს ამხანაგი მარტოვი და «ისკრის» ახალი რედაქცია.

ზ) პ ა რ ტ ი ი ს წ ე ს დ ე ბ ა. ა მ ხ. მ ა რ ტ ო ვ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

პროგრამიდან ყრილობა გადავიდა პარტიის წესდებაზე (გვერდს ვუვლით ზემოთ განხილულ საკითხს ც. ო-ს შესახებ და დელეგატთა მოხსენებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, დელეგატების უმრავლესობის მიერ ვერ იქნა დამაკმაყოფილებელი სახით წარმოდგენილი). ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ წესდების საკითხს ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, «ისკრა» ხომ თავიდანვე გამოვიდა არა მარტო როგორც ლიტერატურული ორგანო, არამედ აგრეთვე როგორც ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო უ ჯ რ ე დ ი. მეოთხე ნომრის სარედაქციო სტატიაში («რით დავიწყოთ?») «ისკრამ» წამოაყენა მთელი ორგანიზაციული გეგმა **, და

* იმავე ჯგუფის, «ცენტრის», მეორე ლიდერმა, ამხ. ეგოროვმა, ილაპარაკა ოპოზიციურ მიმდინარეობათათვის მხარდაჭერაზე სხვა ადგილას, აქსელროდის რეზოლუციის გამო სოციალისტ-რევოლუციონერების შესახებ (გვ. 359). ამხ. ეგოროვმა «წინააღმდეგურობა» დაინახა პროგრამის მოთხოვნასა — მ ხ ა რ ი დ ა ე ჭ ი რ ო ს ყოველგვარ ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობას — და სოციალისტ-რევოლუციონერებისა და ლიბერალებისადმი უ ა რ ყ ო ფ ი თ ს დამოკიდებულებას შორის. ამხ. ეგოროვი სხვა ფორმით და რამდენადმე სხვა მხრივ მიუდგა საკითხს და აქაც მარქსიზმის ისეთივე ვიწრო გაგება და ისეთივე მერყევი, ნახევრად-მტრული დამოკიდებულება გამოიჩინა «ისკრის» (მის მიერ «აღიარებული») პოზიციისადმი, როგორც ამხანაგებმა — მახოვმა, ლიბერმა და მარტინოვმა.

** თავის სიტყვაში «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ აღიარების შესახებ ამხ. პოპოვი, სხვათა შორის, ამბობდა: «მე მაგონდება «ისკრის» მე-3

სისტემატურად, განუხრელად ატარებდა ამ გეგმას სამი წლის განმავლობაში. როცა პარტიის მეორე ყრილობამ «ისკრა» ცენტრალურ ორგანოდ აღიარა, სათანადო რეზოლუციის დასაბუთების სამი პუნქტიდან (გვ. 147) ორი პუნქტის საგანი იყო «ისკრის» სწორედ ეს ორგანიზაციული გეგმა და ორგანიზაციული იდეები: «ისკრის» როლი პრაქტიკული პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში და ხელმძღვანელი როლი გამაერთიანებელ მუშაობაში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ «ისკრის» მუშაობა და პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმე, პარტიის ფაქტიური აღდგენის მთელი საქმე არ შეიძლებოდა დამთავრებულად ჩათვლილიყო, სანამ მთელი პარტიის მიერ აღიარებული და ფორმალურად განმტკიცებული არ იქნებოდა განსაზღვრული ორგანიზაციული იდეები. ეს ამოცანა უნდა შეესრულებინა სწორედ პარტიის საორგანიზაციო წესდებას.

ძირითადი იდეები, რომელთა პარტიული ორგანიზაციის საფუძვლად დადებას ცდილობდა «ისკრა», არსებითად ორ შემდეგ იდეას შეიცავდა. პირველი, ცენტრალიზმის იდეა, პრინციპულად განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო კერძო და დეტალური ორგანიზაციული საკითხების მთელი მასა. მეორე — იდეურად ხელმძღვანელი ორგანოს, გაზეთის, განსაკუთრებული როლი, მხედველობაში იღებდა სწორედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის დროებითსა და განსაკუთრებულ საჭიროებებს პოლიტიკური მონობის ვითარებაში, იმ პირობით, თუ რევოლუციური შეტევის თავდაპირველი საოპერაციო ბაზა შეიქმნე-

---

თუ მე-4 ნომერში მოთავსებული სტატია — «რით დავიწყოთ?». რუსეთში მომუშავე ბევრმა ამხანაგმა ეს სტატია უტაქტობად მიიჩნია; სხვებს ეს გეგმა ფანტასტიკურად ეჩვენებოდა, და უმრავლესობა (? ალბათ, ამხ. პოპოვის გარშემო შემოკრებილ პირთა უმრავლესობა) ხსნიდა მას მხოლოდ პატივმოყვარეობით» (გვ. 140). როგორც მკითხველი ხედავს, მე შეჩვეული ვარ იმას, რომ ჩემი პოლიტიკური შეხედულებანი ახსნან პატივმოყვარეობით, ასეთ ახსნას ახლა აღვივებენ ამხ. აქსელროდი და ამხ. მარტოვი.

ბოდა საზღვარგარეთ. პირველ, როგორც ერთადერთს პრინციპულ, იდეას უნდა განემსჭვალა მთელი წესდება. მეორე, როგორც კერძო, ადგილისა და მოქმედების დროებითი გარემოებით წარმოშობილი, გამოიხატებოდა ცენტრალიზმიდან მოჩვენებითს გადახვევაში, ორი ცენტრის, ც. ო-ს და ც. კ-ის შექმნაში. პარტიის ისკრული ორგანიზაციის ორივე ეს ძირითადი იდეა მე განვავითარე «ისკრის» (№ 4) სარედაქციო სტატიაშიც «რით დავიწყოთ?» * და «რა ვაკეთოთ?»-შიც ** და, ბოლოს, ვრცლად არის განმარტებული თითქმის წესდების სახით «წერილში ამხანაგისადმი» ***. დარჩა მხოლოდ, არსებითად, სარედაქციო მუშაობა იმისათვის, რომ ჩამოგვეყალიბებინა პარაგრაფები წესდებისა, რომელსაც ხორცი უნდა შეესხა სწორედ ამ იდეებისთვის, თუ «ისკრის» აღიარება არ დარჩებოდა ქაღალდზე, თუ იგი მხოლოდ პირობითი ფრაზა არ იქნებოდა. წინასიტყვაობაში ჩემს მიერ ხელახლა გამოცემული ბროშურისა «წერილი ამხანაგისადმი» მე უკვე აღვნიშნავდი: საკმაოა პარტიის წესდების უბრალო შედარება ამ ბროშურასთან, რომ დადგენილ იქნას ორგანიზაციული იდეების სრული იგივეობა იქაც და აქაც-მეთქი ****.

წესდების ისკრული ორგანიზაციული იდეების ფორმულირების სარედაქციო მუშაობის გამო მე უნდა შევეხო ერთ ინციდენტს, რომელიც ასტეხა ამხ. მარტოვმა. «...ფაქტიური ცნობა დაგანახვებთ, — ამბობდა მარტოვი ლიგის ყრილობაზე (გვ. 58), — რამდენად მოულოდნელი იყო ლენინისთვის ოპორტუნიზმში ჩემი გადავარდნა ამ (ე. ი. პირველი) პარაგრაფის გამო. 1½ — 2 თვით ყრილობის წინ ლენინს ვაჩვენე ჩემი პროექტი, სადაც § 1 გადმოცემული იყო სწორედ ისე, როგორც მე იგი წარვადგინე ყრილობაზე. ლენინი წინააღმდეგი იყო ჩემი პროექტისა, როგორც მეტისმეტად დეტალუ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 1 — 15. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 431 — 673. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 281 — 308. რ ე დ.

**** იხ. ეს ტომი, გვ. 148 — 150. რ ე დ.

რისა, და მითხრა: მომწონს მხოლოდ § 1-ის იდეა — წევრობის განსაზღვრა, რომელსაც ჩემს წესდებაში შევიტან ზოგი ცვლილებით, რადგან შენს ფორმულირებას უხეიროდ ვცნობო. ამრიგად, ლენინი გაცნობილი იყო ჩემს ფორმულირებას უკვე დიდი ხანია, მან იცოდა ჩემი შეხედულებები ამ საკითხზე. ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ყრილობაზე მე წავედი გულგაშლილი, არ ვფარავდი ჩემს შეხედულებებს. წინასწარ გავაფრთხილე, რომ ვიბრძოლებდი ურთიერთი კოოპტაციის წინააღმდეგ, ერთხმივობის პრინციპების წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს კოოპტაციის დროს და სხვა».

რაც შეეხება წინასწარ გაფრთხილებას ურთიერთი კოოპტაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ჩვენ თავის ალაგას დავინახავთ, თუ როგორ იყო საქმე. ახლა კი შევჩერდეთ მარტოვის წესდების ამ «გულგაშლილობაზე». მეხსიერებით გადმოსცემს რა ლიგაში ეპიზოდს თავისი უხეირო პროექტის გამო (რომელიც მარტოვმა ყრილობაზე თვითონ წაიღო უკან, როგორც უხეირო, ყრილობის შემდეგ კი, მისთვის ჩვეული თანამიმდევრობით, ხელახლა გამოიტანა დღის სინათლეზე), — მარტოვმა, როგორც ეს ხდება ხოლმე, ბევრი რამ დაივიწყა და ამიტომ კვლავ აურ-დაურია. თითქოს, უკვე საკმაო იყო ფაქტები, რომ არ დაყრდნობოდა კერძო ლაპარაკს და თავის მეხსიერებას (კაცს უნებლიეთ აგონდება მხოლოდ ის, რაც მისთვის ხელსაყრელია!), — და მაინც ამხ. მარტოვი, სხვა მასალის უქონლობის გამო, უვარგისით სარგებლობს. ახლა ამხ. პლეხანოვიც კი იწყებს მის მიბაძვას — ჩანს, ცუდი მაგალითი გადამდებია.

პირველი პარაგრაფის «იდეა» მარტოვის პროექტში არ შეიძლებოდა «მომწონებოდა», ვინაიდან ა რ ა ვ ი თ ა რ ი ი დ ე ა, ამოტივტივებული ყრილობაზე, მის პროექტში არ ყოფილა. მეხსიერებამ უღალატა მას. მე ბედმა გამიღიმა და ქაღალდებში აღმოვაჩინე მარტოვის პროექტი, სადაც «პ ი რ ვ ე ლ ი პ ა რ ა გ რ ა ფ ი გ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ს წ ო რ ე დ **არ**»

ისე, როგორც ეს მან ყრილობას წარმოუდგინა»! «გულგაშლილობაც» ასეთი უნდა!

§ 1 მარტოვის პროექტით: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ეკუთვნის ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას, აქტიურად მუშაობს მისი ამოცანების განსახორციელებლად პარტიის ორგანოების (sic! *) კონტროლითა და ხელმძღვანელობით».

§ 1 ჩემი პროექტით: «პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური სახსრებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში».

§ 1 იმ ფორმულირებით, რომელიც მარტოვმა წამოაყენა ყრილობაზე და მიიღო ყრილობამ: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას, ეხმარება პარტიას მატერიალური სახსრებით და რეგულარულ პირად დახმარებას უწევს მას მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით».

ამ დაპირისპირებიდან ნათლად ჩანს, რომ მარტოვის პროექტში სწორედ რომ არ მოიპოვება არავითარი იდეა, არის მხოლოდ ცარიელი ფრაზა. პარტიის წევრები რომ პარტიის ორგანოების კონტროლითა და ხელმძღვანელობით მუშაობენ, ეს თავისთავად ცხადია, ესსხვანაირად შეუძლებელიცაა; ამის შესახებ მხოლოდ ისეთი ადამიანები ლაპარაკობენ, რომელთაც ლაპარაკი იმისთვის უყვართ, რომ არაფერი თქვან, უყვართ, რომ «წესდება» ენაწყლიანობითა და ბიუროკრატული (ე. ი. საქმისათვის უსარგებლო და თითქოს პარადისთვის საჭირო) ფორმულებით გაავსონ. პირველი პარაგრაფის იდეა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დგება საკითხი: შეუძლიათ თუ არა პარტიის ორგანოებს საქმით განახორციელონ ხელმძღვანელობა პარტიის იმ წევრების მიმართ, რომლებიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედიან. ამ იდეის კვალიც

* — ასე! რედ.

კი არ მოიპოვება ამხ. მარტოვის პროექტში. მაშასადამე, მ ე ა რ შ ე მ ე ძ ლ ო მ ც ო დ ნ ო დ ა ამხ. მარტოვის «შეხედულებები» «ამ საკითხზე», ვინაიდან, ამხ. მარტოვის პროექტში ა მ ს ა კ ი თ ხ ზ ე ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ა რ მ ო ი პ ო ვ ე ბ ა. ამხ. მარტოვის ფაქტიური ცნობა მხოლოდ დ ო მ ხ ა ლ ი ა.

პირიქით, სწორედ ამხ. მარტოვზე უნდა ითქვას, რომ ჩემი პროექტიდან მან «იცოდა ჩემი შეხედულებები ამ საკითხზე» და პროტესტი არ განუცხადებია, არ უარუყვია ისინი არც სარედაქციო კოლეგიაში, თუმცა ჩემს პროექტს ყველა გაეცნო 2 — 3 კვირით ადრე ყრილობამდე, არც დელეგატების წინაშე, რომლებიც მ ხ ო ლ ო დ ჩემს პროექტს ეცნობოდნენ. ეგ კიდევ არაფერი. ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ც კი, როცა მე წესდების * ჩემი პროექტი წარვადგინე და ვიცავდი მას, ვ ი დ რ ე ს ა წ ე ს დ ე ბ ო კ ო მ ი ს ი ა ს ა ი რ ჩ ე ვ დ ნ ე ნ, — ამხ. მარტოვმა პირდაპირ განაცხადა: «ვუერთდები ამხ. ლენინის დასკვნებს. მ ხ ო ლ ო დ ო რ ს ა კ ი თ ხ შ ი ა რ ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს ო» (ხაზგასმა ჩემია) — საბჭოს შედგენის წესისა და ერთხმივი კოოპტაციის საკითხშიო (გვ. 157).

---

* უნდა ითქვას, რომ საოქმო კომისიამ XI დამატებაში დაბეჭდა წესდების პროექტი, «წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ლ ე ნ ი ნ ი ს მ ი ე რ» (გვ. 393). საოქმო კომისიამ აქაც ცოტათი აურ-დაურია საქმე. მან ერთმანეთში აურია ჩემი თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი პროექტი, რომელიც გაცნობილი ჰქონდა ყველა დელეგატს (და ძალიან ბევრს ყრილობამდე) და ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე წ ა რ დ გ ე ნ ი ლ ი პროექტი (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 590 — 592. რ ე დ.) და დ ა ბ ე ჭ დ ა პირველი მეორის სახით. მე, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ჩემი პროექტების გამოქვეყნებისა, თ უ გ ი ნ დ მ ა თ ი მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს ყ ვ ე ლ ა ს ტ ა დ ი ა შ ი ც კ ი, მაგრამ არევ-დარევის შეტანა მაინც საჭირო არ არის. არევ-დარევა კი გამოვიდა, ვინაიდან პოპოვი და მარტოვი (გვ. 154 და 157) ჩემს მიერ ყრილობაზე მართლა წარდგენილი პროექტის ისეთ ფორმულირებებს აკრიტიკებენ, რ ო მ ლ ე ბ ი ც ა რ ა რ ი ს საოქმო კომისიის მიერ (შეად. გვ. 394, §§ 7 და 11) დაბეჭდილ პ რ ო ე ქ ტ შ ი. საქმეს რომ უფრო გულდასმით მოპყრობოდნენ, შეცდომის შემჩნევა ადვილი იყო ჩემს მიერ აღნიშნული გვერდების უბრალო შედარებით.

უთანხმოებაზე § 1-ის გამო აქ ჯერ კიდევ სიტყვაც არ არის დაძრული.

თავის ბროშურაში საალყო წესების შესახებ ამხ. მარტოვმა ერთხელ კიდევ საჭიროდ მიიჩნია განსაკუთრებით დაწვრილებით გაეხსენებინა თავისი წესდება. ის გვარწმუნებს, რომ მისი წესდება, რომელზედაც ის ახლაც კი (1904 წლის თებერვალს — არ ვიცით, რა იქნება სამი თვის შემდეგ) მზად არის ხელი მოაწეროს, ზოგიერთ მეორეხარისხოვან წვრილმანთა გამოკლებით, «საკმაოდ ნათლად გამოხატავდა მის უარყოფითს დამოკიდებულებას ცენტრალიზმის ჰიპერტროფიისადმი» (გვ. IV). ამ პროექტის წარუდგენლობას ყრილობაზე ამხ. მარტოვი ხსნის ახლა, ჯერ-ერთი, იმით, რომ «ისკრულმა აღზრდამ მას ჩააგონა წესდებათა არადჩაგდება» (როცა ეს ამხ. მარტოვს მოსწონს, მაშინ სიტყვა «ისკრული» მისთვის ნიშნავს არა ვიწრო წრეობანას, არამედ ყოვლად მტკიცე მიმართულებას! სამწუხაროა მხოლოდ, რომ ისკრულმა აღზრდამ სამი წლის განმავლობაში ვერ ჩააგონა ამხ. მარტოვს არადჩაეგდო ანარქისტული ფრაზა, რომლითაც ინტელიგენტურ მერყეობას შეუძლია გაამართლოს ერთად მიღებული წესდების დარღვევა). მეორე, თურმე, ის, ამხ. მარტოვი, ერიდებოდა «შეეტანა რაიმე დისონანსი» იმ ძირითადი ორგანიზაციული ბირთვის ტაქტიკაში, როგორიც იყო «ისკრა»». რა შესანიშნავად და დალაგებულად გამოდის! § 1-ის ოპორტუნისტული ფორმულირების ან ცენტრალიზმის ჰიპერტროფიის პრინციპულ საკითხში ამხ. მარტოვს ისე ეშინოდა დისონანსისა (რომელიც საშიშია მხოლოდ უაღრესად ვიწრო წრეობრივი თვალსაზრისით), რომ თავისი უთანხმოებანი არ გამოიტანა ისეთი ბირთვის წინაშეც კი, როგორიცაა რედაქცია! ცენტრების შემადგენლობის პრაქტიკულ საკითხზე «ისკრის» ორგანიზაციის (ამ ნამდვილი ძირითადი ორგანიზაციული ბირთვის) უმრავლესობის ვოტუმის შემდეგ ამხ. მარტოვმა დახმარებისთვის მიმართა ბუნდსა და რაბოჩეედელოელებს. ამხ. მარტოვი ვერ ამჩნევს «დისონანსს» თავის ფრაზებში, რომელთაც

წრეობანა შეაქვთ **quasi**-რედაქციის დასაცავად და «წრეობანას» უარსაყოფად საკითხის შეფასებაში იმათ მიერ, ვინც ყველაზე უფრო კომპეტენტურია. მის გასაწბილებლად ჩვენ სრულად მოვიყვანთ წესდების მის პროექტს, და ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, თუ რანაირ შეხედულებებსა და რანაირ ჰიპერტროფიას ააშკარავებს ის: *

«პარტიის წესდების პროექტი. — I. ვინ ეკუთვნის პარტიას. — 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ეკუთვნის ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას, აქტიურად მუშაობს მისი ამოცანების განსახორციელებლად პარტიის ორგანოების კონტროლით და ხელმძღვანელობით. — 2) პარტიიდან წევრის გარიცხვას ისეთი დანაშაულისთვის, რაც შეუთავსებელია პარტიის ინტერესებთან, ადგენს ცენტრალური კომიტეტი. [დასაბუთებული განაჩენი გარიცხვის შესახებ ინახება პარტიის არქივში და ეცნობება მოთხოვნისამებრ პარტიის ყოველ კომიტეტს. ც. კ-ის გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ყრილობაზე, თუ ამას მოითხოვს ორი ან მეტი კომიტეტი]»... ფრჩხილებში მე მოვიყვან მარტოვის პროექტის აშკარად უშინაარსო დებულებებს, რომლებიც არ შეიცავენ არათუ არავითარ «იდეას», არამედ არავითარ განსაზღვრულ პირობას «ნ მოთხოვნასაც, — მსგავსად უბრალო აღნიშვნისა «წესდებაში», სახელდობრ სად უნდა ინახებოდეს განაჩენი, ან მითითება, რომ ც. კ-ის გადაწყვეტილებანი გარიცხვის შესახებ (და არა საერთოდ ყველა და ყოველგვარი მისი გადაწყვეტილება?) შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ყრილობაზე. აი ეს არის სწორედ ფრაზის ჰიპერტროფია, ანუ ნამდვილი ბიუროკრატული ფორმალიზმი იმ მხრივ, რომ შეთხზულ იქნას ზედმეტი, აშკარად უსარგებლო ან საქმის გამუჭიანურებელი პუნქტები და პარაგრაფვბი. «... II. ადგილობრივი კომიტეტები. — 3) პარტიის წარმომადგენლებად მის ადგილობრივ მუშაობაში არიან პარტიის კომიტეტები...» (ახალი ამბავიცაა და ჭკვიანურიც!) «...4) [პარტიის კომიტეტებად აღიარებული იქნება მეორე ყრილობის მომენტში ყრილობაზე წარმოდგენილი კომიტეტების არსებული შემადგენლობა]. — 5) პარტიის ახალ კომიტეტებს, გარდა § 4-ში აღნიშნულისა, ნიშნავს ცენტრალური კომიტეტი [რომელიც ან კომიტეტად აღიარებს ამა თუ იმ ადგილობრივი ორგანიზაციის არსებულ შემადგენლობას, ან ადგენს ადგილობრივ კომიტეტს უკანასკნელის რეფორმის გზით]. — 6) კომიტეტები თავიანთ შემადგენლობას შეავსებენ კოოპტაციით. — 7) ც. კ-ს უფლება

* შევნიშნავ, რომ, სამწუხაროდ, მე ვერ ვიპოვე მარტოვის პროექტის პირველი ვარიანტი, რომელიც შესდგებოდა რაღაც 48 პარაგრაფისაგან, და კიდევ უფრო ფუჭი ფორმალიზმის «ჰიპერტროფიით» იყო დაავადებული.

აქვს შეავსოს ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობა იმდენი (მისთვის ცნობილი) ამხანაგებით, რომ ამ უკანასკნელთა რაოდენობა შეადგენდეს მთელი შემადგენლობის არა უმეტეს $^1/_3$-ისა...» კანცელარობის ნიმუშია: რატომ არა უმეტეს $^1/_3$-ისა? რის მაქნისია ეს? რა აზრი აქვს ამ შეზღუდვას, რომელიც ვერაფერს ზღუდავს, ვინაიდან შ ე ვ ს ე ბ ა შეიძლება ბევრჯერ განმეორდეს? «...8) [იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი კომიტეტი დაიშალა ან დაინგრა» (ე. ი. მთლად არ დაუპატიმრებიათ?) «დევნით, ც.კ. აღადგენს მას»]... (უკვე ანგარიშს აღარ უწევთ § 7-ს? განა ვერა ხედავს ამხ. მარტოვი მსგავსებას § 8-სა და რუსეთის იმ კანონებს შორის კეთილწესიერების შესახებ, რომლებითაც ნაბრძანებია საქმის დღეს ვიმუშაოთ და უქმეებში კი დავისვენოთ?) «...9) [პარტიის მორიგ ყრილობას შეუძლია მიანდოს ც. კ-ს გადაახალისოს რომელიმე ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობა, თუ ამ უკანასკნელის საქმიანობა აღიარებულია პარტიის ინტერესებთან შეუთავსებლად. უკანასკნელ შემთხვევაში კომიტეტის არსებული შემადგენლობა დაშლილად ითვლება და ამხანაგები მისი მოქმედების ადგილას თავისუფლდებიან მისდამი დაქვემდებარებისაგან.» *]... წესი, რომელსაც ეს § შეიცავს, ისევე დიდადსასარგებლოა, როგორც აქამდე რუსულ კანონებში არსებული მუხლი, რომელიც ამბობს: ლოთობა ყველასა და თვითეულისათვის აკრძალულიაო. «...10) [პარტიის ადგილობრივი კომიტეტები ხელმძღვანელობას უწევენ პარტიის მთელ ადგილობრივ საპროპაგანდო, სააგიტაციო და ორგანიზაციულ საქმიანობას და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ პარტიის ც. კ.-სა და ც. ო-ს მათზე დაკისრებული საერთო-პარტიული ამოცანების შესრულებაში.»]... უჰ! რისთვისაა საჭირო ყველაფერი ეს, თუ ღმერთი გწამთ?.. 11) [«ადგილობრივი ორგანიზაციის შინაგანი წესები, ურთიერთდამოკიდებულება კომიტეტსა და მისდამი დაქვემდებარებულ» (გესმით, გესმით, ამხ. აქსელროდ?) «ჯგუფებს შორის და ამ ჯგუფთა კომპეტენციისა და ავტონომიის ზღვარს» (და განა კომპეტენციის ზღვარი იგივე არ არის, რაც ავტონომიის ზღვარი?) «აწესებს თვით კომიტეტი და ეუწყება ცნობად ც. კ-ს და ც. ო-ს რედაქციას»]... (ხარვეზი: არ არის ნათქვამი, თუ სად უნდა ინახებოდეს ეს ცნობები)... «12) [კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ჯგუფს და პარტიის ცალკეულ წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათი აზრი ან სურვილი ამა თუ იმ საკითხზე ეცნობოს პარტიის ც. კ-ს და მის ცენტრალურ ორგანოებს]. — 13) პარტიის «დგილობრივი კომიტეტი ვალდებულია თავისი შემოსავლიდან ც. კ-ის სალაროში გადარიცხოს ის წილი, რაც მას ეკისრება ც. კ-ის გაწერის თანახმად. — III. ორგანიზაციები აგიტაციის მიზნებისთვის სხვა ენებზე (გარდა რუსულისა). — 14) [აგი-

* მივაქცევთ ამხ. აქსელროდის ყურადღებას ამ სიტყვაზე. ეს ხომ რაღაც საშინელებაა! აი სად მარხია ფესვები «იაკობინელობისა», რომელიც იქამდეც კი მიდის... რომ რედაქციის შემადგენლობას ცვლის...

ტაციის მიზნებისთვის ერთ-ერთ არა რუსულ ენაზე და იმ მუშების შეკავშირებისთვის, რომელთა შორის ასეთი აგიტაცია წარმოებს, შეიძლება დაარსდეს ცალკე ორგანიზაციები იმ პუნქტებში, სადაც საჭიროება მოითხოვს ასეთი აგიტაციის სპეციალიზებას და ამნაირი ორგანიზაციის გამოყოფას]. — 15) იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად არსებობს ასეთი მოთხოვნილება, ენდობა პარტიის ც. კ-ს, სადავო შემთხვევებში კი — პარტიის ყრილობას»... პარაგრაფის პირველი ნაწილი ზედმეტია, თუ მხედველობაში მივიღებთ წესდების შემდგომ დადგენილებებს, მეორე ნაწილი კი სადავო შემთხვევების შესახებ პირდაპირ სასაცილოა... «16) [ადგილობრივი ორგანიზაციები, აღნიშნულნი § 14-ში, თავიანთ სპეციალურ საქმეებში ავტონომიურნი არიან, მაგრამ მოქმედებენ ადგილობრივი კომიტეტის კონტროლით და ემორჩილებიან მას, მასთან ამ კონტროლის ფორმებს და ორგანიზაციულ დამოკიდებულებათა ნორმას ამ კომიტეტსა და ამ სპეციალურ ორგანიზაციას შორის აწესებს ადგილობრივი კომიტეტი»... (მადლობა ღმერთს! აი ახლა ჩანს, რომ სრულიად ზედმეტი იყო ამ ცარიელი სიტყვების კორიანტელის დაყენება.)... «პარტიის საერთო საქმეების მიმართ ასეთი ორგანიზაციები მოქმედებენ, როგორც კომიტეტის ორგანიზაციის ნაწილი.] — 17) [§ 14-ში აღნიშნულ ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნან ავტონომიური კავშირი თავიანთი სპეციალური ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად. ამნაირ კავშირს შეუძლია ჰქონდეს თავისი სპეციალური ლიტერატურული და ადმინისტრაციული ორგანოები; მასთან ეს ორგანოები იმყოფებიან პარტიის ც. კ-ის უშუალო კონტროლის ქვეშ. ასეთი კავშირის წესდებას ის თვითონ იმუშავებს. მაგრამ მას ამტკიცებს პარტიის ც. კ.] — 18) [§ 17-ში აღნიშნული ავტონომიური კავშირის შემადგენლობაში შესვლა შეუძლიათ პარტიის ადგილობრივ კომიტეტებსაც, თუ ისინი ადგილობრივი პირობების მიხედვით უმთავრესად აგიტაციას ეწევიან ამა თუ იმ ენაზე. შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთი კომიტეტი, როგორც ავტონომიური კავშირის ნაწილი, რჩება პარტიის კომიტეტად»]... (მთელი ეს პარაგრაფი მეტისმეტად სასარგებლო და უაღრესად ჭკვიანურია, შენიშვნა ხომ კიდევ უფრო მეტად)... «19) [ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელნიც ავტონომიური კავშირის შემადგენლობაში შედიან, თავიანთ ურთიერთობაში კავშირის ცენტრალურ ორგანოებთან ადგილობრივი კომიტეტების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.] — 20) [ავტონომიურ კავშირთა ცენტრალური ლიტერატურული და ადმინისტრაციული ორგანოები პარტიის ც. კ-ის მიმართ იმავე ურთიერთობაში იმყოფებიან, როგორც პარტიის ადგილობრივი კომიტეტები.] — IV. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ლიტერატურული ორგანოები. — 21) [პარტიის წარმომადგენლებად მთლიანად ითვლებიან მისი ც. კ. და ლიტერატურული ორგანოები — პოლიტიკური და სამეცნიერო.] — 22) ც. კ-ს ევალება პარტიის მთელი პრაქტიკული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა; პარტიის მთელი ძალების სწორად გამო-

ყენებასა და განაწილებაზე ზრუნვა; პარტიის ყველა ნაწილის საქმიანობის კონტროლი; ადგილობრივი ორგანიზაციების ლიტერატურით მომარაგება; პარტიის ტექნიკური აპარატის მოწყობა; პარტიული ყრილობების მოწვევა. — 23) პარტიის ლიტერატურულ ორგანოებს ევალებათ პარტიული ცხოვრების იდეური ხელმძღვანელობა; პარტიული პროგრამის პროპაგანდა და სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობის მეცნიერული და პუბლიცისტური დამუშავება. — 24) პარტიის ყველა ადგილობრივ კომიტეტს და ავტონომიურ კავშირს უშუალო კავშირი აქვთ გაბმული როგორც პარტიის ც. კ-თან, ისე პარტიული ორგანოების რედაქციასთან, და პერიოდულად აწვდიან მათ ცნობებს ადგილებზე მოძრაობის მსვლელობისა და ორგანიზაციული მუშაობის შესახებ. — 25) პარტიის ლიტერატურული ორგანოების რედაქციას ნიშნავს პარტიის ყრილობა და ეს რედაქცია მოქმედებს შემდგომ ყრილობამდე. — 26) [რედაქცია ავტონომიურია თავის შინაურ საქმეებში] და მას შეუძლია ორი ყრილობის შუახანებში შეავსოს და შესცვალოს თავისი შემადგენლობა, რის შესახებაც ყოველთვის აცნობებს ც. კ-ს. — 27) ყველა განცხადება, რომლებიც გამომდინარეობენ ც. კ-ისაგან ან რომელთაც მისი სანქცია მიუღიათ, ც. კ-ის მოთხოვნით იბეჭდება პარტიულ ორგანოში. — 28) პარტიული ორგანოების რედაქციასთან შეთანხმებით ც. კ. ჰქმნის სპეციალურ ლიტერატურულ ჯგუფებს ამა თუ იმ სახის ლიტერატურული მუშაობისთვის. — 29) ც. კ. ინიშნება პარტიის ყრილობაზე და მოქმედებს შემდგომ ყრილობამდე. ც. კ. თავის შემადგენლობას ავსებს კოოპტაციით განუსაზღვრელი რაოდენობით, რასაც ის ყოველთვის აცნობებს პარტიის ცენტრალური ორგანოების რედაქციას. — V. პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია. — 30) პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია განაგებს პროპაგანდას საზღვარგარეთ მცხოვრებ რუსებს შორის და მათი სოციალისტური ელემენტების შეკავშირებას. მას სათავეში უდგას არჩეული ადმინისტრაცია. — 31) პარტიის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ კავშირებს შეუძლიათ ჰქონდეთ საზღვარგარეთ თავიანთი განყოფილებები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ამ კავშირების სპეციალურ ამოცანებს. ეს განყოფილებები, როგორც ავტონომიური ჯგუფები, შედიან საერთო საზღვარგარეთული ორგანიზაციის შემადგენლობაში. — VI. პარტიის ყრილობები. — 32) უმაღლესი პარტიული ინსტანცია არის მისი ყრილობა. — 33) [პარტიის ყრილობა აწესებს მის პროგრამას, წესდებას და მისი საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს, კონტროლს უწევს ყველა პარტიული ორგანოს მუშაობას და არჩევს კონფლიქტებს მათ შორის.] — 34) წარმომადგენლობა ყრილობაზე ეკუთვნის: ა) პარტიის ყველა ადგილობრივ კომიტეტს; ბ) პარტიის შემადგენლობაში შემავალი ყველა ავტონომიური კავშირის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს; გ) პარტიის ც. კ-ს და მისი ცენტრალური ორგანოების რედაქციებს; დ) პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციას. —

35) მანდატების გადაცემა დასაშვებია, მაგრამ ისე, რომ ერთი დელეგატი არ წარმოადგენდეს სამ ნამდვილ მანდატზე მეტს. დასაშვებია მანდატის გაყოფა ორ წარმომადგენელს შორის. იმპერატიული მანდატები არ დაიშვება. — 36) ც. კ-ს ნება ეძლევა მოიწვიოს ყრილობაზე სათათბირო ხმით ის ამხანაგები, რომელთა დასწრებაც სასარგებლოდ იქნება მიჩნეული. — 37) პარტიის პროგრამის ან წესდების შეცვლის საკითხებში საჭიროა დამსწრეთა ხმების $^2/_3$; სხვა საკითხები წყდება უბრალო უმრავლესობით. — 38) ყრილობა ჩაითვლება კანონიერად, თუ იქ წარმოდგენილია ყრილობის მომენტში არსებული პარტიის ყველა კომიტეტის ნახევარზე მეტი. — 39) ყრილობას იწვევენ — შეძლებისდაგვარად — ერთხელ ორ წელიწადში. [თუ ც. კ-ს მისგან დამოუკიდებელი დაბრკოლებანი ხელს შეუშლის ამ ვადაში მოიწვიოს ყრილობა, ის თავისი პასუხისმგებლობით გადასდებს მას».]

მკითხველი, რომელსაც, გამონაკლისის სახით, მოთმინება ეყო ბოლომდე წაეკითხა ეს ეგრეთწოდებული წესდება, უეჭველია არ მოითხოვს ჩვენგან ქვემოთ მოყვანილი დასკვნების განსაკუთრებულ განხილვას. პირველი დასკვნა: წესდება ძნელად განსაკურნებელი წყალმანკით არის დაავადებული. მეორე დასკვნა: ისეთი განსაკუთრებული ელფერის ორგანიზაციული შეხედულებების აღმოჩენა ამ წესდებაში, რომელიც მოწმობდეს უარყოფითს დამოკიდებულებას ცენტრალიზმის ჰიპერტროფიისადმი, შეუძლებელია. მესამე დასკვნა: ამხ. მარტოვი უაღრესად კეთილგონიერად მოიქცა, როცა საზოგადოებას დაუმალა (და არც ყრილობაზე გამოიტანა განსახილველად) თავისი წესდების $^{38}/_{39}$-ზე მეტი. რაოდენადმე ორიგინალურია მხოლოდ ის, რომ სწორედ ამ დამალვის გამოა ლაპარაკი გულგაშლილობაზე.

თ) კამათი ცენტრალიზმის შესახებ ისკრელებს შიგნით მომხდარ განხეთქილებამდე

ვიდრე გადავიდოდეთ წესდების § 1-ის ფორმულირების მართლაც საინტერესო საკითხზე, რომელიც უეჭველად ააშკარავებს შეხედულებათა სხვადასხვა ელფერს, ცოტა ხანს კიდევ შევჩერდეთ წესდების გარშემო გამართულ იმ მოკლე ზოგად კამათზე, რომელსაც მოანდომეს ყრილო-

ბის მე-14 სხდომა და მე-15 სხდომის ნაწილი. ამ კამათს გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ის წინ უსწრებდა «ისკრის» ორგანიზაციის სრულ უთანხმოებას ცენტრების შემადგენლობის საკითხზე. პირიქით, შემდგომ კამათს წესდების შესახებ საერთოდ, და კოოპტაციაზე განსაკუთრებით, ადგილი ჰქონდა ჩვენი უთანხმოების შემდეგ «ისკრის» ორგანიზაციაში. ბუნებრივია, რომ უთანხმოებამდე ჩვენ შეგვეძლო ჩვენი შეხედულებების უფრო მიუდგომლად გამოთქმა ისე, რომ ჩვენი მოსაზრებები უფრო დამოუკიდებელი ყოფილიყო ც. კ-ის პირადი შემადგენლობის იმ საკითხზე, რომელიც ყველას აღელვებდა. ამხ. მარტოვი, როგორც უკვე აღვნიშნე, შეუერთდა (გვ. 157) ჩემს ორგანიზაციულ შეხედულებებს, თანახმა არ იყო მხოლოდ ორ წვრილმან რამეზე. პირიქით, ანტიისკრელებმაც და «ცენტრმაც» იმწამსვე გაილაშქრეს «ისკრის» მთელი ორგანიზაციული გეგმის ორივე ძირითადი იდეის წინააღმდეგ (და, მაშასადამე, მთელი წესდების წინააღმდეგაც): ცენტრალიზმის წინააღმდეგაც, და «ორი ცენტრის» წინააღმდეგაც. ამხ. ლიბერმა ჩემს წესდებას უწოდა «ორგანიზებული უნდობლობა», დეცენტრალიზმად მიიჩნია ორი ცენტრი (ისე, როგორც ამხ. პოპოვმა და ეგოროვმა). ამხ. აკიმოვმა სურვილი გამოთქვა ადგილობრივი კომიტეტების კომპეტენციის სფერო განესაზღვრათ უფრო ფართოდ, კერძოდ თვითონ მათთვის მიენიჭებინათ «თავისი შემადგენლობის შეცვლის უფლება». «აუცილებლად უნდა მიენიჭოთ მათ მოქმედების მეტი თავისუფლება... ადგილობრივი კომიტეტები არჩეული უნდა იქნან ადგილობრივი აქტიური მუშაკების მიერ, ისე როგორც ირჩევენ ც. კ-ს რუსეთის ყველა აქტიური ორგანიზაციის წარმომადგენლები. ხოლო თუ ამის დაშვებაც არ შეიძლება, მაშინ დაე შეიზღუდოს ადგილობრივ კომიტეტებში ც. კ-ის მიერ დანიშნულ წევრთა რიცხვი...» (158). ამხ. აკიმოვი, როგორც ხედავთ, უკარნახებს საბუთს «ცენტრალიზმის ჰიპერტროფიის» წინააღმდეგ, მაგრამ ამხ. მარტოვი ყურს იყრუებს ამ ავტორიტეტული მითითებებისადმი, ვიდ-

რე დამარცხებამ ცენტრების შემადგენლობის საკითხში ჯერ კიდევ იძულებული არ გახადა ის გაჰყოლოდა აკიმოვს. ის ყრუ რჩება მაშინაც კი, როცა ამხ. აკიმოვი ჩუმად უკარნახებს მას მ ი ს ი ვ ე წ ე ს დ ე ბ ი ს «ი დ ე ა ს» (§ 7 — ც. კ-ის უფლებების შეზღუდვა კომიტეტებში წევრთა დანიშვნის მხრივ)! მაშინ ამხ. მარტოვს კიდევ არ სურდა «დისონანსი» ჩვენთან და ამიტომ ითმენდა დისონანსს ამხ. აკიმოვთანაც და თავის თავთანაც... მაშინ კიდევ «საშინელი ცენტრალიზმის» წინააღმდეგ იბრძოდნენ მხოლოდ ისინი, ვისთვისაც აშკარად ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა რ ი ყ ო «ისკრის» ცენტრალიზმი: იბრძოდნენ აკიმოვი, ლიბერი, გოლდბლატი, მათ ფრთხილად, წინდახედულად (ისე, რომ ყოველთვის შესაძლებელი ყოფილიყო უკან დაბრუნება) მ ი ჰ ყ ვ ე ბ ო დ ნ ე ნ ეგოროვი (იხ. გვ. 156 და 276) და სხვ. მაშინ კიდევ პარტიის დიდი უმრავლესობისთვის ნათელი იყო, რომ «ბუნდის», «იუჟნი რაბოჩის» და სხვათა სწორედ სამრევლო, წრეობრივი ინტერესები იწვევდა პროტესტს ცენტრალიზმის წინააღმდეგ. ესეც კია, ახლაც პარტიის უმრავლესობისთვის ხომ ცხადია, რომ «ისკრის» ძველი რედაქციის სწორედ წრეობრივი ინტერესები იწვევს მის პროტესტს ცენტრალიზმის წინააღმდეგ...

აიღეთ, მაგ., ამხ. გოლდბლატის სიტყვა (160 — 161). ის იბრძვის ჩემი «საშინელი» ცენტრალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც თითქოს ქვედა ორგანიზაციების «განადგურებისაკენ» მივყავართ და რომელიც «ერთიანად გაჟღენთილია მისწრაფებით, რომ ცენტრს მიენიჭოს განუსაზღვრელი ძალაუფლება, იმის უფლება, რომ განუსაზღვრელად ჩაერიოს ყველაფერში». ორგანიზაციებს კი ანიჭებს «მხოლოდ ერთ უფლებას — უდრტვინველად დაემორჩილონ იმას, რასაც ზევიდან უბრძანებენ» და სხვ. «პროექტით შექმნილი ცენტრი ჰაერში გამოკიდებული დარჩება, მის გარშემო არ იქნება არავითარი პერიფერია, იქნება მხოლოდ რაღაც ამორფული მასა, სადაც იმოძრავებენ მისი აღმასრულებელი აგენტები». ეს ხომ სწორედ ისეთივე ყ ა ლ ბ ი ფ რ ა ზ ი ო რ ო ბ ა ა, რომლითაც ყრილობაზე თავიანთი დამარცხების შემდეგ გვიმასპინძლდე-

ბოდნენ მარტოვები და აქსელროდები. დავცინოდით «ბუნდს», რომელიც ჩვენი ცენტრალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, თვითონ ბუნდი კი თავის ორგანიზაციაში ცენტრს ანიჭებს კიდევ უფრო გარკვევით გამოსახულ განუსაზღვრელ უფლებებს (თუგინდ, მაგ., წევრთა მიღებასა და გარიცხვას, დელეგატების არდაშვებასაც კი ყრილობებზე). როცა საქმეში გაერკვევიან, იცინებენ უმცირესობის მოთქმა-გოდებაზეც, ცენტრალიზმის წინააღმდეგაც რომ გაჰკივის და წესდების წინააღმდეგაც, როცა იგი უმცირესობაშია, და მაშინვე ეყრდნობა წესდებას, როგორც კი უმრავლესობად იქცევა.

დაჯგუფებამ ორი ცენტრის საკითხშიც თავი იჩინა აშკარად: ყველა ისკრელის წინააღმდეგ არიან ლიბერიც, აკიმოვიც (პირველმა გაბა აქსელროდ-მარტოვის ახლანდელი საყვარელი სიმღერა საბჭოში ც. კ-ის მიმართ ც. ო-ს უპირატესობის შესახებ), პოპოვიც და ეგორეოვიც. იმ ორგანიზაციული იდეებიდან, რომელთაც ყოველთვის ავითარებდა ძველი «ისკრა» (და რომლებიც მოიწონეს სიტყვიერად ამხ. პოპოვებმა და ეგოროვებმა!), ორი ცენტრის გეგმა თავისთავად გამომდინარეობდა. «იუჟნი რაბოჩის» გეგმებს, პარალელური პოპულარული ორგანოს შექმნის გეგმებს და ფაქტიურ მთავარ ორგანოდ მის გადაქცევას, ეწინააღმდეგებოდა სწორედ ძველი «ისკრის» პოლიტიკა. აი სად არის ერთი შეხედვით იმ საოცარი წინააღმდეგურობის ფესვი, რომ ერთ ცენტრს, ე. ი. თითქოს მეტ ცენტრალიზმს, იცავენ ყველა ანტიისკრელნი და მთელი ჭაობი. რა თქმა უნდა, იყვნენ (განსაკუთრებით ჭაობელები) ისეთი დელეგატებიც, რომელთაც არც კი ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი, თუ სად მიგვიყვანდა და საქმეთა ვითარების გამო სად უნდა მივეყვანეთ «იუჟნი რაბოჩის» ორგანიზაციულ გეგმებს, მაგრამ მათ ანტიისკრელებისკენ მიერეკებოდა თვით მათივე გაუბედავი, საკუთარი თავის იმედის არმქონე ბუნება.

ისკრელების სიტყვებიდან წესდებაზე ამ (ისკრელებში მომხდარ გათიშვამდე) კამათის დროს განსაკუთრებით შე-

სანიშნავი იყო ამხ. მარტოვისა (ჩემს ორგანიზაციულ იდეებთან «შეერთება») და ტროცკის სიტყვები. უკანასკნელმა ამხ. აკიმოვსა და ლიბერს ისეთი პასუხი გასცა, რომ ამ პასუხის ყოველი სიტყვა ამხელს «უმცირესობის» ყრილობისმერმინდელი მოქმედებისა და ყრილობისმერმინდელი თეორიის მთელ სიყალბეს. «წესდება, ამბობს ის (ამხ. აკიმოვი), საკმაო სიზუსტით ვერ განსაზღვრავს ც. კ-ის კომპეტენციის სფეროსო. მე არ შემიძლია დავეთანხმო მას. პირიქით, ეს განმარტება ზუსტია და ნიშნავს: რამდენადაც პარტია არის ერთი მთელი, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას მისთვის კონტროლი ადგილობრივ კომიტეტებზე. ამხ. ლიბერი ამბობდა, ეს წესდება, — ხმარობდა რა ჩემს გამოთქმას, — «ორგანიზებული უნდობლობა» არისო. ეს სწორია. მაგრამ ეს გამოთქმა მე ვიხმარე «ბუნდის» წარმომადგენლების მიერ წამოყენებული წესდების მიმართ, რომელიც წარმოადგენდა «ორგანიზებულ უნდობლობას» პარტიის ერთი ნაწილის მხრივ — მთელი პარტიისადმი. ჩვენი წესდება კი» (მაშინ ეს წესდება «ჩვენი» იყო, ვიდრე ცენტრების შემადგენლობის საკითხში დავმარცხდებოდით!) «წარმოადგენს ორგანიზებულ უნდობლობას პარტიის მხრივ ყველა მისი ნაწილისადმი, ე. ი. წარმოადგენს კონტროლს ყველა ადგილობრივი, რაიონული, ნაციონალური და სხვა ორგანიზაციის მიმართო» (158). დიახ, ჩ ვ ე ნ ი წესდება ა ქ დახასიათებულია სწორად, და ჩვენც ვურჩევდით ხშირად გაეხსენებინათ ეს დახასიათება იმ ადამიანებს, რომელნიც ახლა დამშვიდებული სინდისით გვარწმუნებენ: ამ მზაკვრულმა უმრავლესობამ მოიგონა და შემოიღო «ორგანიზებული უნდობლობის» ან, რაც იგივეა, «საალყო წესების» სისტემაო. საკმაოა შეადაროთ მოყვანილი სიტყვა საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს, რომ მიიღოთ პოლიტიკური უხასიათობის ნიმუში, იმის ნიმუში, თუ როგორ იცვლებოდა მარტოვისა და კომპ. შეხედულებები იმისდამიხედვით, თუ ვისზე იყო ლაპარაკი — მათ საკუთარზ, თუ სხვისი დაბალი ხარისხის კოლეგიაზე.

ი) წესდების პირველი პარაგრაფი

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ის სხვადასხვა ფორმულირება, რომელთა გამოც გაჩაღდა ყრილობაზე საინტერესო დებატები. ამ დებატებს თითქმის ორი სხდომა მოუნდა და იგი ორი სახელობითი კენჭისყრით დამთავრდა (მთელი ყრილობის განმავლობაში, თუ არ ვცდები, მხოლოდ რვა სახელობითი კენჭისყრა იყო და მას მიმართავდნენ მხოლოდ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან შემთხვევაში, რადგან ხმის მიცემის ამნაირი წესი ძალიან ბევრ დროს მოითხოვს). ეჭვს გარეშეა, აღძრული იყო პრინციპული საკითხი. ყრილობის ინტერესი კამათისადმი დიდი იყო. კენჭისყრაში ყველა დელეგატი იღებდა მონაწილეობას, რაც ჩვენს ყრილობაზე (როგორც საზოგადოდ ყოველ დიდ ყრილობაზე) იშვიათი მოვლენაა და რაც იმასაც მოწმობს, რომ კამათის მონაწილენი დაინტერესებულნი იყვნენ.

იბადება კითხვა, რაში მდგომარეობდა სადავო საკითხის არსი? ყრილობაზედაც ვთქვი და შემდეგაც არა ერთხელ გამიმეორებია, რომ «ჩვენი უთანხმოება (§ 1-ის გამო) სრულიადაც არ მიმაჩნია ისეთ არსებით უთანხმოებად, რომ მასზე იყოს დამოკიდებული პარტიის სიკვდილ-სიცოცხლე. წესდების ცუდი პუნქტისაგან ჩვენ სრულებითაც არ დავიღუპებით!» (250) *. თავისთავად ამ უთანხმოებას, თუმცა იგი სხვადასხვა პრინციპულ ელფერს ამჟღავნებს, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ისეთი უთანხმოება (ფაქტიურად, თუ პირდაპირ ვიტყვით, გათიშვა) გამოეწვია, რომელიც ყრილობის შემდეგ შეიქმნა. მაგრამ ყოველი პატარა უთანხმოება შეიძლება იქცეს დიდად, თუ თავისას დაიჟინებ, თუ მას პირველ რიგში წამოაყენებ, თუ ხელს მიჰყოფ ამ უთანხმოებათა ყველა ფესვის და ტოტის ძიებას. ყოველმა პატარა უთანხმოებამ შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვოს, თუ ის გადაიქცევა გარკვეული შემცდარი შეხედულებებისაკენ შებრუნების გამოსავალ წერტილად

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 621. რედ.



71-ე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან.» — 1904 წ.

დაპატარავებულია

და თუ ეს შემცდარი შეხედულებები დაერთვის, ახალი და დამატებითი უთანხმოების გამო, იმ ანარქისტულ მოქმედებას, რომელსაც პარტია გათიშვამდე მიჰყავს.

სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება ამ შემთხვევაშიც. შედარებით მცირე უთანხმოებამ § 1-ის გამო ახლა უდიდესი მნიშვნელობა მიიღო, რადგან სწორედ ის შეიქნა უმცირესობის ოპორტუნისტული ღრმააზროვნებისა და ანარქისტული ფრაზიორობისაკენ შებრუნების პუნქტი (განსაკუთრებით ლიგის ყრილობაზე, შემდეგ კი ახალი «ისკრის» ფურცლებზეც). სწორედ ამ უთანხმოებამ ჩაუყარა საფუძველი ისკრული უმცირესობის იმ კოალიციას ანტიისკრელებთან და ჭაობთან, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა გარკვეულ ფორმებში არჩევნების დროისთვის და რომლის გაუგებლად შეუძლებელია გავიგოთ მთავარი, ძირითადი უთანხმოება ცენტრების შემადგენლობის საკითხში. მარტოვისა და აქსელროდის პატარა შეცდომა § 1-ის გამო წარმოადგენდა პატარა ბზარს ჩვენს ჭურჭელში (როგორც მე ვთქვი ლიგის ყრილობაზე). შეიძლებოდა ჭურჭელი უფრო მაგრად შეგვეკრა ყრუ კვანძით (და არა ყრუ მარყუჟით, როგორც ეს მოესმა მარტოვს, რომელსაც ლიგის ყრილობის დროს კინაღამ ისტერიკა მოუვიდა). შეიძლებოდა მთელი ძალღონე იქითკენ მიგვემართა, რომ ბზარი გაგვედიდებინა და ჭურჭელი გაგვეხეთქა. გულმოდგინე მარტოველების ბოიკოტისა და სხვა მსგავსი ანარქისტული ზომების წყალობით სწორედ უკანასკნელი მოხდა. უთანხმოებამ პირველი პარაგრაფის გამო მცირედი როლი როდი შეასრულა ცენტრების არჩევის საკითხში, მარტოვის დამარცხებამ კი ამ საკითხში გამოიწვია მისი «პრინციპული ბრძოლა» ტლანქი მექანიკური და სკანდალური საშუალებებითაც-კი სიტყვები, წარმოთქმული რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე).

ახლა, ყველა ამ ამბის შემდეგ, პირველი §-ის საკითხს, ამრიგად, უდიდესი მნიშვნელობა მიეცა; ამიტომ ჩვენს თავს ზუსტი ანგარიში უნდა მივცეთ როგორც ყრილო-

ბის დაჯგუფებათა ხასიათის შესახებ ამ §-ის კენჭისყრის დროს, ისე, — რაც შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია, — შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ი ს იმ ე ლ ფ ე რ თ ა ნამდვილი ხასიათის შესახებ, რომელნიც გამოისახნენ ან რომელთაც გამოსახვა იწყეს პირველი §-ის გამო. ა ხ ლ ა, მკითხველთათვის ცნობილი ამბების შემდეგ, საკითხი დ ა ს მ უ ლ ი ა უკვე ამნაირად: გავლენა იქონია თუ არა მარტოვის ფორმულირებაზე, რომელსაც აქსელროდი იცავდა, მისმა (ან მათმა) მერყეობამ, ქანაობამ და პოლიტიკურმა უსახობამ, როგორც ვამბობდი პარტიის ყრილობაზე (333), მისმა (ან მათმა) გადახრამ ყორესიზმისა და ანარქიზმისაკენ, როგორც ფიქრობდა პლეხანოვი ლიგის ყრილობაზე (102-ე და სხვ. გვ. ლიგის ოქმებისა)? თუ ჩემს ფორმულირებაზე, რომელსაც პლეხანოვი იცავდა, გავლენა იქონია ცენტრალიზმის უმართებულო, ბიუროკრატულმა, ფორმალისტურმა, პომპადურულმა, არა სოციალ-დემოკრატიულმა გაგებამ? ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი და ა ნ ა რ ქ ი ზ მ ი თ უ ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი და ფ ო რ მ ა ლ ი ზ მ ი? — ასე დ გ ა ს საკითხი ა ხ ლ ა, როცა მცირე უთანხმოება დიდად იქცა. ჩემი ფორმულირების სასარგებლო და საწინააღმდეგო საბუთების ა რ ს ე ბ ი თ ა დ განხილვის დროს ჩვენ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი უნდა გ ვ ქ ო ნ დ ე ს სწორედ საკითხის ა მ ნ ა ი რ ი დაყენება, — ამბების მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული, — ისტორიულად მოცემული, ვიტყოდი მე, ეს რომ მეტისმეტად მაღალფარდოვნად არ ისმოდეს.

შევუდგეთ ამ საბუთების გარჩევას ყრილობაზე გამართული კამათის ანალიზით. პირველი სიტყვა, ამხ. ეგოროვისა, საინტერესოა მხოლოდ იმით, რომ მისი დამოკიდებულება საკითხისადმი (**non liquet**, ჩემთვის ჯერ კიდევ ნათელი არ არის, მე ჯერ კიდევ არ ვიცი, სად არის სიმართლე) მეტად დამახასიათებელია ბევრი დელეგატისთვისაც, რომელთათვის ადვილი როდი იყო გარკვეულიყვნენ მართლაც ახალ, საკმაოდ რთულ და დეტალურ საკითხში. შემდეგი სიტყვა, ამხ. აქსელროდისა, უკვე ერთბაშად აყენებს საკითხს პრინციპუ-

ლად. ეს არის პირველი პრინციპული, უფრო სწორად რომ ითქვას, საერთოდ ამხ. აქსელროდის პირველი სიტყვა ყრილობაზე, და ძნელია აღვიაროთ მისი დებიუტი ყბადაღებული «პროფესორის» შესახებ მაინცდამაინც მოსწრებულად. «მე ვფიქრობ, ჩვენ გვესაჭიროება, — ამბობდა ამხ. აქსელროდი, — გავმიჯნოთ ცნებანი — პარტია და ორგანიზაცია. აქ კი ამ ორ ცნებას ერთმანეთში ურევენ. ამნაირი არევა სახიფათოა». ასეთია პირველი საბუთი ჩემი ფორმულირების წინააღმდეგ. დაუკვირდით მას უფრო ახლოს. თუ მე ვამბობ, რომ პარტია უნდა იყოს ორგანიზაციების* ჯამი (და არა უბრალო არითმეტიკული ჯამი, არამედ კომპლექსი), განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე ერთმანეთში «ვურევ» პარტიისა და ორგანიზაციის ცნებას? რა თქმა უნდა, არა. ამით მე სავსებით ნათლად და ზუსტად გამოვთქვამ ჩემს სურვილს, ჩემს მოთხოვნას, რომ პარტია, როგორც კლასის მოწინავე რაზმი, წარმოადგენდეს რაც შეიძლება უფრო ორგანიზებულ რასმე, რომ პარტია თავის რიგებში იზიდავდეს მხოლოდ ისეთ ელემენტებს, რომლებიც დასაშვებად ხდიან

* სიტყვა «ორგანიზაცია» ჩვეულებრივ იხმარება ორი აზრით, ფართო და ვიწრო აზრით. ვიწრო აზრით იგი ნიშნავს ადამიანთა ისეთი კოლექტივის ცალკეულ უჯრედს, რომელიც მინიმალურად მაინც არის ჩამოყალიბებული. ფართო აზრით იგი ნიშნავს ასეთი უჯრედების ჯამს, ერთ მთელს რომ შეადგენენ. მაგ., ფლოტი, არმია, სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს ორგანიზაციათა ჯამიც არის (სიტყვის ვიწრო აზრით) და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახესხვაობაც (სიტყვის ფართო აზრით). სასწავლო უწყება ორგანიზაციაა (სიტყვის ფართო აზრით), სასწავლო უწყება შესდგება მთელი რიგი ორგანიზაციებისაგან (ამ სიტყვის ვიწრო აზრით), სწორედ ასევე პარტიაც ორგანიზაციაა; უნდა იყოს ორგანიზაცია (სიტყვის ფართო აზრით); ამავე დროს პარტია უნდა შესდგებოდეს მთელი რიგი სხვადასხვაგვარი ორგანიზაციებისაგან (სიტყვის ვიწრო აზრით). ამიტომ, როდესაც ამხ. აქსელროდი პარტიისა და ორგანიზაციის ცნებათა გამიჯვნაზე ლაპარაკობდა, მან, ჯერ-ერთი, მხედველობაში არ მიიღო სიტყვა «ორგანიზაციის» ეს ფართო და ვიწრო მნიშვნელობის განსხვავება და, მეორეც, ვერ შეამჩნია, რომ ორგანიზებული და არაორგანიზებული ელემენტები თვითონ აურია ერთმანეთში ერთ გროვად.

ორგანიზებულობის მინიმუმს მაინც. პირიქით, ჩემი ოპონენტი პარტიაში ურევს ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ელემენტებს, ისეთებს, რომელნიც ხელმძღვანელობას ემორჩილებიან და არ ემორჩილებიან, მოწინავეებსა და გაუსწორებელ-ჩამორჩენილებს, ვინაიდან ისეთ ჩამორჩენილებს, რომელთა გასწორება შესაძლებელია, შეუძლიათ ორგანიზაციაში შევიდნენ. აი ასეთი არევა მართლაც სახიფათოა. შემდეგ ამხ. აქსელროდი იმოწმებს «წარსულის უაღრესად კონსპირაციულ და ცენტრალისტურ ორგანიზაციებს» («ზემლია ი ვოლიას» და «ნაროდნაია ვოლიას»): მათ გარშემო «ჯგუფდებოდნენ მთელი რიგი ისეთი პირნი, რომლებიც ორგანიზაციაში არ შედიოდნენ, მაგრამ ასე თუ ისე ეხმარებოდნენ მას და პარტიის წევრებად ითვლებოდნენ... ეს პრინციპი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში კიდევ უფრო სასტიკად უნდა იქნას გატარებულიო». აი სწორედ აქ მივადექით ჩვენ საკითხის ერთ-ერთ დედააზრს: ნამდვილად სოციალ-დემოკრატიულია თუ არა «ეს პრინციპი», რომელიც პარტიის წევრის სახელწოდების უფლებას ანიჭებს იმას, ვინც პარტიის არც ერთ ორგანიზაციაში არ შედის და მხოლოდ «ასე თუ ისე ეხმარება მას»? და ამ კითხვაზე პლეხანოვმა ერთადერთი შესაძლებელი პასუხი გასცა: «აქსელროდი მართალი არ იყო, როდესაც იგი 70-იან წლებს იმოწმებდა. მაშინ არსებობდა კარგად ორგანიზებული და მშვენივრად დისციპლინირებული ცენტრი, მის გარშემო არსებობდა მის მიერვე შექმნილი სხვადასხვა ხასიათის ორგანიზაციები და რაც ამ ორგანიზაციებს გარეთ რჩებოდა, ქაოსი და ანარქია იყო. ამ ქაოსის შემადგენელი ელემენტები თავიანთ თავს პარტიის წევრებს უწოდებდნენ, მაგრამ საქმე ამით კი არ იგებდა, არამედ აგებდა. ჩვენ 70-იანი წლების ანარქიას კი არ უნდა მივბაძოთ, არამედ უნდა მოვერიდოთ მას». ამგვარად, «ეს პრინციპი», რომელიც ამხ. აქსელროდს სურდა სოციალ-დემოკრატიულ პრინციპად გაესაღებინა, ნამდვილად ანარქისტული პრინციპია. ამის უარსაყოფად საჭიროა დაგვანახვონ კონტროლის, ხელმძღვანელობისა

და დისციპლინის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ორგანიზაციის გარეთ, საჭიროა დაგვანახონ იმის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა, რომ «ქაოსის ელემენტებს» პარტიის წევრის სახელწოდება მიეკუთვნოთ. ამხ. მარტოვის ფორმულირების დამცველებმა ვ ე რ ც ე რ თ ი დ ა ვ ე რ ც მ ე ო რ ე ვერ დაგვანახვეს და არც შეეძლოთ დაენახვებინათ. ამხ. აქსელროდმა მაგალითისათვის მოიყვანა «პროფესორი, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატად თვლის და ამას აცხადებს კიდეც». ამ მაგალითის აზრის ბოლომდე მისაყვანად ამხ. აქსელროდს უნდა ეთქვა შემდეგ: თვით ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატებს ეს პროფესორი სოციალ-დემოკრატად მიაჩნიათ თუ არა? ამხ. აქსელროდმა ეს შემდგომი საკითხი არ დასვა და ამით თავისი არგუმენტაცია შუაზე მიატოვა. მართლაც, ორში ერთი. ან ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატებს ჩვენთვის საინტერესო პროფესორი სოციალ-დემოკრატად მიაჩნიათ, — და მაშინ რატომ არ უნდა ჩარიცხონ ის ამა თუ იმ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში? პროფესორის საქმე მის «განცხადებას» მხოლოდ ამნაირი ჩარიცხვით შეეთანხმება, ცარიელი ფრაზა აღარ იქნება (ასეთი ხშირად არის ხოლმე პროფესორების განცხადებანი). ანდა ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატებს პროფესორი სოციალ-დემოკრატად ა რ მიაჩნიათ, — და მაშინ სისულელე, უაზრობა და ს ა ზ ი ა ნ ო ა მას პარტიის წევრის საპატიო და პასუხსაგები სახელწოდების ტარების უფლება მიეცეს. საქმე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის პრინციპი თანამიმდევრად გატარდეს ანდა დაქსაქსულობა და ანარქია დაკანონდეს. პარტიას ვაშენებთ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს იმ უკვე შექმნილი და შემჭიდროებული ბირთვისაგან, რომელმაც, ვთქვათ, პარტიული ყრილობა შეჰქმნა და რომელმაც ყოველგვარი პარტიული ორგანიზაციები უნდა გააფართოოს და გაამრავლოს, თუ მხოლოდ იმ დამამშვიდებელი ფ რ ა ზ ი თ ვკმაყოფილდებით, რომ ყველა დამხმარენი — პარტიის წევრები არიან? «თუ ჩვენ ლენინის ფორმულას მივიღებთ, — განაგრძობდა ამხ. აქსელროდი, — ჩამოვიშორებთ ისეთი ადამიანების ნა-

წილს, რომელთა უშუალოდ მიღება ორგანიზაციაში თუმცა არ შეიძლება, მაგრამ ამისდა მიუხედავად მაინც პარტიის წევრები არიან». ცნებათა არევა, რაც ამხ. აქსელროდს სურდა ჩემთვის დაებრალებინა, აქ სრული სიცხადით თვით მას ემართება: იგი უკვე მოცემულად აღიარებს იმას, რომ ყველა დამხმარენი — პარტიის წევრები ა რ ი ა ნ, მაშინ როდესაც კამათი სწორედ ამის გამო წარმოებს, და ოპონენტებმა ჯერ კიდევ უნდა დ ა ა მ ტ კ ი ც ო ნ ასეთი განმარტების აუცილებლობა და სარგებლობა. რა შინაარსისაა ეს ერთი შეხედვით საშინელი ფრაზა: ჩამოვიშორებთ? თუ პარტიის წევრებად ითვლებიან მხოლოდ იმ ორგანიზაციების წევრები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებად არიან აღიარებული, მაშინ იმ ადამიანებს, რომელთაც არ შეუძლიათ «უშუალოდ» შეკიდნენ არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ხომ შეუძლიათ ისეთ არაპარტიულ ორგანიზაციაში იმუშაონ, რომელიც პარტიას ემხრობა. მაშასადამე, ლაპარაკიც შეუძლებელია ჩამოშორებაზე იმ აზრით, თითქოს მათ ვინმე მუშაობას ან მოძრაობაში მონაწილეობას აშორებდეს. პირიქით, რაც უფრო მტკიცე იქნებიან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ნ ა მ დ ვ ი ლ ი სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებიან, რაც უფრო ნაკლები მერყეობა და ქანაობა იქნება პარტიის შ ი გ ნ ი თ, მით უფრო ფართო, მრავალმხრივი, მდიდარი და ნაყოფიერი იქნება პარტიის გავლენა მის ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მუშათა მ ა ს ე ბ ი ს ელემენტებზე. მართლაცდა, ხომ არ შეიძლება პარტია, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, მთელ კლასში ავურიოთ. ამხ. აქსელროდი კი სწორედ ამნაირ (საერთოდ ჩვენი ოპორტუნისტული ეკონომიზმის დამახასიათებელ) არევას უშვებს, როდესაც ამბობს: «ჩვენ, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ვქმნით პარტიის ყველაზე უფრო აქტიური ელემენტების ორგანიზაციას, რევოლუციონერთა ორგანიზაციას, მაგრამ ჩვენ, რაკი კლასის პარტია ვართ, იმაზედაც უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიის გარეთ არ დავტოვოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეგნებულად, თუმცა შეიძლება არც ისე აქტიურად,

ემხრობიან ამ პარტიას». ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტიურ ელემენტებად ჩაითვლებიან არა მარტო რევოლუციონერთა ორგანიზაციები, არამედ მ თ ე ლ ი რ ი გ ი მუშათა ორგანიზაციებიც, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებად არიან ცნობილი. მეორეც, რა მიზეზით, რომელი ლოგიკით შეგვიძლია იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ — კლასის პარტია ვართ, გამოვიყვანოთ დასკვნა, თითქოს პარტიაში შ ე ს ა ს ლ თ ა და პარტიის მ ო მ ხ რ ე თ ა შორის განსხვავება აღარ უნდა იყოს? სწორედ პირიქით: სწორედ იმიტომ, რომ არსებობს განსხვავება შეგნებულობისა და აქტიურობის დონის მიხედვით, პარტიასთან დაახლოების მიხედვითაც ეს განსხვავება უნდა ჩანდეს. ჩვენ კლასის პარტია ვართ, და ამიტომ თ ი თ ქ მ ი ს მ თ ე ლ ი კ ლ ა ს ი (ხოლო ომიანობის დროს, სამოქალაქო ომის ეპოქაში, საკვლებით მთელი კლასიც) ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით უნდა მოქმედებდეს, რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ უნდა ემხრობოდეს ჩვენს პარტიას, მაგრამ მანილოვობა და «მაჩანჩალობა» იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ოდესმე თითქმის მთელი კლასი ან მთელი კლასი შესძლებს, კაპიტალიზმის დროს, თავისი მოწინავე რაზმის, თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებულობამდე და აქტიურობამდე ამაღლდეს. ჯერ კიდევ არც ერთ გონიერ სოციალ-დემოკრატს არ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს პროფესიულ ორგანიზაციასაც კი (უფრო პრიმიტიულს და განუვითარებელი ფენების შეგნებისათვის უფრო მისაწვდომს) არ ძალუძს მოიცვას თითქმის მთელი ან მთელი მუშათა კლასი. მხოლოდ თავის მოტყუება, ჩვენი ამოცანების სიდიადეზე თვალის დახუჭვა, ამ ამოცანების შეკვეცა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ არსებობს განსხვავება მოწინავე რაზმსა და იმ მასებს შორის, რომლებიც მისკენ მიისწრაფიან, იმის დავიწყება, რომ მოწინავე რაზმის მუდმივი მოვალეობაა სულ უფრო და უფრო ფართო ფენები ა ა მ ა ღ ლ ო ს ამ მოწინავე დონემდე. სწორედ თვალის ასეთი დახუჭვა და დავიწყება არის იმ განსხვავების მოსპობა,

რომელიც პარტიაში შესულთა და მომხრეთა შორის, შეგნებულთა, აქტიურთა და დამხმარეთა შორის არსებობს.

იმის დამოწმება, რომ ჩვენ კლასის პარტია ვართ, ორგანიზაციული უსახობის გასამართლებლად, ორგანიზაციისა და დეზორგანიზაციის არევის გასამართლებლად — ეს ნიშნავს ნადეჟდინის შეცდომის განმეორებას; ნადეჟდინი ერთმანეთში ურევდა «ფილოსოფიურ და სოციალურ-ისტორიულ საკითხს მოძრაობის «სიღრმის» «ფესვების» შესახებ და ტექნიკურ-ორგანიზაციულ საკითხს» («რა ვაკეთოთ?», გვ. 91) *. სწორედ ამ არევას, ამხ. აქსელროდის ლოცვა-კურთხევით, შემდგომ ათეულჯერ იმეორებდნენ ის ორატორები, რომელნიც ამხ. მარტოვის ფორმულირებას იცავდნენ. «რაც უფრო გაფართოვდება პარტიის წევრის სახელწოდება, მით უკეთესი» — ამბობს მარტოვი, თუმცა არ გვიხსნის კი, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოიტანოს სახელწოდების გაფართოებამ, თუ იგი შინაარსს არ შეეფერება. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფიქციაა კონტროლი პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებიც ორგანიზაციაში არ შედიან? ფიქციის ფართოდ გავრცელება სასარგებლო კი არა — საზიანოა. «ჩვენ მხოლოდ სიხარული გვმართებს, თუ ყოველი გაფიცული, ყოველი დემონსტრანტი, პასუხისმგებელი იქნება თავისი მოქმედებისთვის და შესძლებს პარტიის წევრად გამოაცხადოს თავი» (გვ. 239). ნუთუ მართლა? ყოველ გაფიცულს უფლება უნდა ჰქონდეს პარტიის წევრად გამოაცხადოს თავი? ამ დებულებით მარტოვს ერთბაშად აბსურდამდე დაჰყავს თავისი შეცდომა, სოციალ-დემოკრატიზმს გაფიცვის ცხებამდე აქვეითებს და აკიმოვების ბედუკუღმართობას იმეორებს. ჩვენ მხოლოდ სიხარული გვმართებს, როცა სოციალ-დემოკრატია ახერხებს უხელმძღვანელოს ყოველ გაფიცვას, ვინაიდან სოციალ-დემოკრატიის პირდაპირი და უეჭველი მოვალეობაა უხელმძღვანელოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა გამოვლინებას, გაფიცვა კი ამ ბრძოლის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 584. რედ.

ერთ-ერთი უღრმესი და უაღრესად მძლავრი გამოვლინებაა. მაგრამ ჩვენ მაჩანჩალები ვიქნებით, თუ დავუშვებთ ამ პირვანდელი სახის, ipso facto * ბრძოლის მხოლოდ და მხოლოდ ტრედ-უნიონისტური ფორმის გაიგივებას ყოველმხრივ და შეგნებულ სოციალ-დემოკრატიულ ბრძოლასთან. ჩვენ ოპორტუნისტულად დავაკანონებთ აშკარა სიყალბეს, თუ ყოველ გაფიცულს უფლებას მივცემთ «პარტიის წევრად გამოაცხადოს თავი», ვინაიდან ასეთი «გამოცხადება» მრავალ შემთხვევაში ყალბი გამოცხადება იქნება. ჩვენ მანილოვისებური ოცნებებით გავირთობთ თავს, თუ ვიფიქრებთ დავარწმუნოთ ჩვენი თავიც და სხვებიც, რომ ყოველ გაფიცულს შეუძლია იყოს სოციალ-დემოკრატი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იმ უსაზღვრო დაქსაქსულობის, ჩაგვრისა და გამოყეყეჩების პირობებში, რაც კაპიტალიზმის დროს აუცილებლად მოელის «უსწავლელი», არაკვალიფიციური მუშების უფართოეს ფენებს. სწორედ «გაფიცულის» მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რა განსხვავებაა იმას შორის, რომ რევოლუციურად მიისწრაფოდე სოციალ-დემოკრატიულად უხელმძღვანელო ყოველ გაფიცვას და იმ ოპორტუნისტულ ფრაზას შორის, რომელიც ყოველ გაფიცულს პარტიის წევრად აცხადებს. ჩვენ — კლასის პარტია ვართ, რამდენადაც საქმით სოციალ-დემოკრატიულად ვხელმძღვანელობთ პროლეტარიატის მთელ ან თითქმის მთელ კლასს; მაგრამ აქედან მხოლოდ აკიმოვებს შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა, რომ ჩვენ სიტყვიერად უნდა ვაიგივებდეთ პარტიასა და კლასს.

«მე შეთქმულთა ორგანიზაციისა არ მეშინიაო», ამბობდა თავის იმავე სიტყვაში ამხ. მარტოვი, — მაგრამ ამასთან ერთად უმატებდა: «შეთქმულთა ორგანიზაციას ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას ფართო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოიცავს» (გვ. 239). სიზუსტისთვის უნდა ეთქვა: რამდენადაც მას მოი-

* — თვით ფაქტის გამო, არსებითად. რედ.

ცავს ფართო სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. და ამ ფორმითაც ამხ. მარტოვის დებულება არათუ უდავოა, იგი პირდაპირ ტრუიზმია. ამ პუნქტზე მე მხოლოდ იმიტომ ვჩერდები, რომ ამხ. მარტოვის ტრუიზმიდან შემდგომმა ორატორებმა ფრიად გავრცელებული და ფრიად ვულგარული დასკვნა გამოიტანეს, თითქოს, ლენინს სურს «პარტიის წევრთა საერთო რიცხვი შეთქმულთა საერთო რიცხვით განსაზღვროს». ასეთი დასკვნა, რომელსაც მხოლოდ ღიმილის მოგვრა შეუძლია, გამოიტანა როგორც ამხ. პოსადოვსკიმ, ისე ამხ. პოპოვმა, ხოლო როდესაც მას მარტინოვი და აკიმოვი ჩაებღაუჭნენ, მაშინ მისი ნამდვილი ხასიათი, სახელდობრ ოპორტუნისტული ფრაზის ხასიათი, სავსებით გამოიხატა. ამჟამად ამავე მოსაზრებას ახალ «ისკრაში» ავითარებს ამხ. აქსელროდი, რათა მკითხველ საზოგადოებას გააცნოს ახალი რედაქციის ახალი ორგანიზაციული შეხედულებები. ჯერ კიდევ ყრილობის პირველსავე სხდომაზე, როდესაც § 1-ის საკითხი ირჩეოდა, მე შევნიშნე, რომ ოპონენტები ამნაირი იაფფასიანი იარაღით სარგებლობას აპირებდნენ, და ამიტომ ჩემს სიტყვაში ვაფრთხილებდი (გვ. 240): «არ უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიული ორგანიზაციები მხოლოდ პროფესიონალი რევოლუციონერებისაგან უნდა შესდგებოდნენ. ჩვენ გვესაჭიროება ყოველგვარი სახის, რანგისა და ელფერის მრავალფეროვანი ორგანიზაციები, დაწყებული მეტისმეტად ვიწრო და კონსპირაციულით, გათავებული ფრიად ფართო, თავისუფალი lose Organisationen-ით». ეს იმდენად აშკარა, იმდენად ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა, რომ მასზე შეჩერება ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ ახლანდელ დროში, როცა ჩვენ ძალიან, ძალიან ბევრი მხრივ დაგვაქანეს უკან, აქაც გვიხდება «გავიმეოროთ გადაღეჭილი». ამნაირი განმეორებისთვის მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს «რა ვაკეთოთ?»-იდან და «წერილიდან ამხანაგისადმი»:

...«ისეთი კორიფეების წრისთვის, როგორიც იყვნენ ალექსეევი და მიშკინი, ხალტურინი და ჟელიაბოვი, მისაწვდომია

პოლიტიკური ამოცანები ამ სიტყვის სავსებით ნამდვილი, სავსებით პრაქტიკული მნიშვნელობით, მისაწვდომია სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მათი მხურვალე ქადაგება გამოძახილს პოულობს მასაში, რომელიც სტიქიურად იღვიძებს, რამდენადაც მათ დაუცხრომელ ენერგიას ერთვის და მხარს უჭერს რევოლუციური კლასის ენერგია»*. სოციალ-დემოკრატიული პარტია რომ ვიყოთ, უნდა მოვიპოვოთ სწორედ კლასის მხარდაჭერა. პარტია კი არ უნდა მოიცავდეს შეთქმულთა ორგანიზაციას, როგორც ამბ. მარტოვი ფიქრობდა, არამედ რევოლუციურმა კლასმა, პროლეტარიატმა უნდა მოიცვას პარტია, რომელიც აერთიანებს როგორც შეთქმულთა, ისე არაშეთქმულთა ორგანიზაციებს.

...«მუშების ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაციები პროფესიული ორგანიზაციები უნდა იყვნენ. ყოველი სოციალ-დემოკრატი მუშა შეძლებისდაგვარად ხელს უნდა უწყობდეს და აქტიურად მუშაობდეს ამ ორგანიზაციებში... მაგრამ ჩვენს ინტერესს სრულებითაც არ შეადგენს მოვითხოვოთ, რომ «ამქრული» კავშირების წევრებად მარტო სოციალ-დემოკრატები იყვნენ: ეს შეზღუდავდა ჩვენს გავლენას მასაზე. დაე ამქრულ კავშირში მონაწილეობა მიიღოს ყოველმა მუშამ, რომელსაც ესმის გაერთიანების აუცილებლობა მეპატრონეებსა და მთავრობასთან საბრძოლველად. თვით ამქრული კავშირების მიზანი მიუღწეველი იქნებოდა, ისინი რომ არ აერთიანებდნენ ყველას, ვინც კი შეგნების ამ ელემენტარულ საფეხურამდე მაინც მისულა, ეს ამქრული კავშირები რომ მეტად ფართო ორგანიზაციები არ იყვნენ. და რაც უფრო ფართოა ეს ორგანიზაციები, მით უფრო ფართო იქნება ჩვენი გავლენაც მათზე, გავლენა, რომელსაც ახდენს არა მარტო ეკონომიური ბრძოლის «სტიქიური» განვითარება, არამედ აგრეთვე კავშირის სოციალისტ წევრთა პირდაპირი, შეგნებული ზედმოქმედებაც ამხანაგებზე» (გვ. 86) **. აქვე უნდა ითქვას, რომ პროფესიული კავშირების მაგალითი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 566. რ ე დ.
** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 575 — 576. რ ე დ.

განსაკუთრებით დამახასიათებელია § 1-ის სადავო საკითხის შესაფასებლად. ამ კავშირებმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების «კონტროლით და ხელმძღვანელობით» რომ უ ნ დ ა იმუშაონ, — ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს სოციალ-დემოკრატებს შორის. მაგრამ ა მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ასეთი კავშირების ყველა წევრს რომ უფლება მივცეთ «თავი გამოაცხადონ» სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად, ეს იქნებოდა აშკარა უაზრობა და ორგვარ ზიანს მოგვაყენებდა: ერთი მხრივ, ამქრული მოძრაობის ფარგლებს შ ე ზ ღ უ დ ა ვ დ ა და ამ ნიადაგზე მუშების სოლიდარობას შეასუსტებდა. მეორე მხრივ, ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კარს გააღებდა უსახობისა და მერყეობისათვის. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შემთხვევა ჰქონდა ამგვარი საკითხი გადაეწყვიტა კონკრეტულად, როცა წამოიჭრა ცნობილი ინციდენტი ჰამბურგელ კალატოზებთან, რომელნიც ნარდად მუშაობდნენ [69]. სოციალ-დემოკრატია ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა, რომ სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით შტრეიკბრეხერობა უნამუსო საქციელად ეღიარებინა, ე. ი. გაფიცვების ხელმძღვანელობა, მისთვის მხარდაჭერა თ ა ვ ი ს საარსებო საქმედ ეღიარებინა; მაგრამ იმავე დროს მან ასევე გადაჭრით უარჰყო მოთხოვნა — პარტიის ინტერესებისა და ამქრული კავშირების ინტერესების გაიგივება, პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს დ ა კ ი ს რ ე ბ ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს ა ცალკეული კავშირების მიერ გადადგმული ცალკეული ნაბიჯებისათვის. პარტია უნდა ეცადოს და კიდევაც ეცდება თავისი სულისკვეთებით გამსჭვალოს, თავის გავლენას დაუმორჩილოს ამქრული კავშირები, მაგრამ სწორედ ამ გავლენის ინტერესებისათვის მან უნდა გამოჰყოს ამ კავშირთა სავსებით სოციალ-დემოკრატიული ელემენტები (რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედიან) ნაკლებად შეგნებულ და პოლიტიკურად ნაკლებ აქტიურთაგან, და არა ერთმანეთში აურიოს ისინი, როგორც ეს ამხ. აქსელროდს სურს.

...«რევოლუციონერთა ორგანიზაციის მიერ ყველაზე კონსპირაციული ფუნქციების ცენტრალიზაცია კი არ დაასუსტებს, არამედ გაამდიდრებს უამრავი სხვა ორგანიზაციის მოქმედების სიფართოვესა და შინაარსიანობას, იმ ორგანიზაციების, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის არიან განზრახული და ამიტომ რაც შეიძლება ნაკლებად გაფორმებული და რაც შეიძლება ნაკლებად კონსპირაციული არიან; ესენია: მუშათა პროფესიული კავშირები, მუშათა თვითგანვითარებისა და არალეგალური ლიტერატურის კითხვის წრეები, სოციალისტური და აგრეთვე დემოკრატიული წრეები მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა სხვა ფენაში და სხვ. და სხვ. ასეთი წრეები, კავშირები და ორგანიზაციები საჭიროა ყველგან რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი რაოდენობით, სულ სხვადასხვაგვარი ფუნქციებით, მაგრამ უაზრობა და მავნებელი იქნება ა ვ რ ი ო თ ისინი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ორგანიზაციაში, წავშალოთ ზღვარი მათ შორის»... (გვ. 96) *. ამ ცნობიდან ჩანს, თუ როგორ უადგილოდ მომაგონა ამხ. მარტოვმა, რომ რევოლუციონერთა ორგანიზაციას უნდა მ ო ი ც ა ვ დ ნ ე ნ ფართო მუშათა ორგანიზაციები. ამას მე აღვნიშნავდი ჯერ კიდევ «რა ვაკეთოთ?»-ში, ხოლო «წერილში ამხანაგისადმი» კი ამ იდეას უფრო კონკრეტულად ვავითარებდი. საქარხნო წრეებს — ვწერდი მე იქ — «ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: მოძრაობის მთელი მთავარი ძალა ხომ დ ი დ ი ქარხნების მუშათა დარაზმულობაშია, რადგან დიდი ქარხნები (და ფაბრიკები) შეიცავენ მთელი მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც არა მარტო რიცხობრივად არის უპირატესი, არამედ კიდევ უფრო უპირატესია თავისი გავლენით, განვითარებით, ბრძოლის უნარით. ყოველი ქარხანა ჩვენი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს... საქარხნო ქვეკომიტეტი უნდა ცდილობდეს, რათა ყოველნაირი წრეების (ან აგენტების) ქსელში ჩააბას მთელი ქარხანა, მუშათა რაც შეიძლება მეტი ნაწილი... ყველა ჯგუფი, წრე, ქვეკომიტეტი და სხვა უნდა იყოს კომიტეტის დაწესე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 5, გვ. 591 — 592. რ ე დ.

ბულებათა ან კომიტეტის ფილიალურ განყოფილებათა მდგომარეობაში. ზოგი მათგანი პირდაპირ განაცხადებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლის სურვილს და, თუ კომიტეტი დაამტკიცებს, შევა მის შემადგენლობაში, იკისრებს (კომიტეტის დავალებით ან მასთან შეთანხმებით) განსაზღვრულ ფუნქციებს, ვალდებული გახდება დაემორჩილოს პარტიის ორგანოთა განკარგულებებს, მიიღებს პარტიის ყველა წევრის უფლებებს, ჩაითვლება კომიტეტის წევრობის უახლოეს კანდიდატად და ა. შ. ზოგნი არ შევლენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და იქნებიან წრეების მდგომარეობაში, რომლებიც მოწყობილია პარტიის წევრების მიერ, ანდა რომლებიც ემხრობიან პარტიის ამა თუ იმ ჯგუფს და ა. შ.» (გვ. 17 — 18) *. ჩემს მიერ ხაზგასმული სიტყვებიდან განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ § 1-ის ჩემი ფორმულირების იდეა სავსებით გამოსახულია უკვე «წერილში ამხანაგისადმი». პარტიაში შესვლის პირობები აქ პირდაპირ არის ნაჩვენები, სახელდობრ: 1) ორგანიზებულობის განსაზღვრული დონე და 2) პარტიის კომიტეტის მიერ დამტკიცება. ერთი გვერდის შემდეგ მე მივუთითებ დაახლოებით იმასაც, თუ რა ჯგუფები და ორგანიზაციები და რა მოსაზრებით უნდა (ან არ უნდა) იყვნენ შეყვანილნი პარტიაში: «დამტარებელთა ჯგუფები უნდა ეკუთვნოდნენ რსდმპ და იცნობდნენ მის წევრთა და მის თანამდებობის პირთა განსაზღვრულ რიცხვს. ჯგუფი, რომელიც სწავლობს შრომის პროფესიულ პირობებს და იმუშავებს პროფესიულ მოთხოვნათა სახეებს, სავალდებულო არ არის რსდმპ ეკუთვნოდეს. იმ სტუდენტთა, ოფიცერთა, მოსამსახურეთა ჯგუფმა, რომლებიც თვითგანვითარებას ეწევიან პარტიის ერთი ან ორი წევრის მონაწილეობით, ზოგჯერ სრულიადაც არ უნდა იცოდეს, რომ პარტიის ხსენებული წევრი პარტიას ეკუთვნის, და სხვ.» (გვ. 18 —19) **.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 296, 298, 299, 300. რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 301. რედ.

აი კიდევ მასალა «გულგამლილობის» საკითხისათვის! იმ დროს, როცა ამხ. მარტოვის პროექტის ფორმულა სრულიადაც არ ეხება პარტიის დამოკიდებულებას ორგანიზაციისადმი, — მე ყრილობამდე თითქმის ერთი წლით ადრე აღვნიშნავდი, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია უნდა შედიოდეს პარტიაში, ზოგიერთი კი — არა. «წერილში ამხანაგისადმი» ნათლად ჩანს უკვე ის იდეა, რომელსაც მე ყრილობაზე ვიცავდი. საქმის ვითარების თვალსაჩინოდ წარმოდგენა შეიძლებოდა შემდეგნაირად. საერთოდ ორგანიზებულობისა და კერძოდ ორგანიზაციის კონსპირაციულობის მეტნაკლებობის მხრივ შეიძლება განვასხვავოთ, მაგალითად, ასეთი თანრიგები: 1) რევოლუციონერთა ორგანიზაციები; 2) მუშების ორგანიზაციები, რაც შეიძლება უფრო ფართო და სხვადასხვაგვარი (მე აქ ვასახელებ მარტო მუშათა კლასს, რადგან თავისთავად ნაგულისხმევად მიმაჩნია, რომ განსაზღვრულ პირობებში სხვა კლასების განსაზღვრული ელემენტებიც შევლენ ამ ორგანიზაციებში). ეს ორი თანრიგი შეადგენს პარტიას. შემდეგ, 3) მუშების ორგანიზაციები, რომლებიც პარტიას ემხრობიან; 4) მუშების ორგანიზაციები, რომლებიც პარტიას არ ემხრობიან, მაგრამ ფაქტიურად მის კონტროლსა და ხელმძღვანელობას ემორჩილებიან; 5) მუშათა კლასის შეუკავშირებელი ელემენტები, რომელნიც ნაწილობრივ ემორჩილებიან აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობას, ყოველ შემთხვევაში კლასობრივი ბრძოლის უდიდესი გამოხატულების მომენტებში. აი როგორია, დაახლოებით, ჩემი თვალსაზრისით, საქმის მდგომარეობა. პირიქით, ამხ. მარტოვის თვალსაზრისით, პარტიის ზღვარი სრულიად გაურკვეველი რჩება, ვინაიდან «ყოველ გაფიცულს» შეუძლია «პარტიის წევრად გამოაცხადოს თავი». რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამნაირ უსახობას? «სახელწოდების» ფართოდ გავრცელება. მისი ზიანი კი ის არის, რომ შემოაქვს დეზორგანიზაციის გამომწვევი იდეა კლასისა და პარტიის ერთმანეთში არევისა.

ჩვენს მიერ წამოყენებული ზოგადი დებულებების საილუსტრაციოდ ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი იმ კამათს, რომელიც შემდგომ § 1-ის გამო გაიმართა ყრილობაზე. ამხ. ბრუკერი (ამხ. მარტოვის სასიამოვნოდ) ჩემს ფორმულირებას მიემხრო, მაგრამ მ ი ს ი კავშირი ჩემთან, ამხ. აკიმოვის მარტოვთან კავშირისაგან განსხვავებით, გაუგებრობაზე დამყარებული აღმოჩნდა. ამხ. ბრუკერი «არ ეთანხმება მთელ წესდებას, მთელ მის სულისკვეთებას» (გვ. 239) და იცავს ჩემს ფორმულას, რ ო გ ო რ ც დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს, რომელიც ასე სასურველია «რაბოჩეე დელოს» მომხრეთათვის. ამხ. ბრუკერი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იმ თვალსაზრისამდე, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში ზოგჯერ საჭირო ხდება ნ ა კ ლ ე ბ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს არჩევა; ამხ. ბრუკერმა ვერ შეამჩნია, რომ დემოკრატიზმის დაცვა ისეთ ყრილობაზე, როგორიც ჩვენი ყრილობა იყო, ამაოა. ამხ. აკიმოვი უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა. მან სავსებით სწორად დააყენა საკითხი, როდესაც აღიარა, რომ «ამხ. ლენინი და მარტოვი დავობენ, თუ რომელი (ფორმულირება) უკეთ აღწევს მათ საერთო მიზანს» (გვ. 252). «მე და ბრუკერს კი — განაგრძობს იგი — გვინდა ავირჩიოთ ის, რ ო მ ე ლ ი ც მ ი ზ ა ნ ს ნ ა კ ლ ე ბ ა დ ა ღ წ ე ვ ს. ამ მხრივ მე მარტოვის ფორმულირებას ვირჩევო». და ამხ. აკიმოვმა გულახდილად განმარტა, რომ «თვით მათს მიზანს» (პლეხანოვის, მარტოვისა და ჩემს მიზანს — რევოლუციონერთა ხელმძღვანელი ორგანიზაციის შექმნას) ის «განუხორციელებლად და მავნებლად თვლის»; ის, როგორც ამხ. მარტინოვიც *, იცავს ეკონომისტების იდეას, რომ «რევოლუციონერთა ორგანიზაცია» საჭირო

* ესეც კია, ამხ. მარტინოვს სურს განსხვავდებოდეს ამხ. აკიმოვისაგან, სურს დაამტკიცოს, რომ შეთქმულებითი თითქოს არ ნიშნავს კონსპირაციულს, რომ ამ სიტყვების განსხვავება ფარავს ცნებათა განსხვავებასო. თუ რანაირია ეს განსხვავება, ვერც ამხ. მარტინოვმა, ვერც ამხ. აქსელროდმა, რომელიც ახლა მის კვალს მისდევს, ვერ აგვიხსნეს. ამხ. მარტინოვი «თავს ისე გვაჩვენებს», თითქოს მე, მაგალითად, «რა ვაკეთოთ?»-ში გადაჭრით ჩემი აზრი არ გამომითქვამს (ისე როგორც «ამოცანებშიც» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 397 — 431. რ ე დ.), «პოლ-

არ არისო. ის «აღსავსეა რწმენით, რომ ცხოვრება მაინც შემოიჭრება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, დამოუკიდებლად იმისა, მარტოვის ფორმულით გადაუღობავთ თქვენ მას გზას თუ ლენინის ფორმულით». «ცხოვრების» ამ «მაჩანჩალურ» გაგებაზე არც კი ღირდა შეჩერება, ის რომ ჩვენ არ გაგვეგონა აგრეთვე ამხ. მარტოვისაგანაც. ამხ. მარტოვის მეორე სიტყვა (გვ. 245) საერთოდ იმდენად საინტერესოა, რომ ის ღირს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

ამხ. მარტოვის პირველი საბუთი: პარტიული ორგანიზაციების კონტროლი პარტიის იმ წევრებზე, რომლებიც ორგანიზაციებში არ შედიან, «განსახორციელებელია, რამდენადაც კომიტეტს, როცა ის ვისმე რაიმე ფუნქციის შესრულებას ავალებს, შესაძლებლობა აქვს თვალყური ადევნოს მას» (გვ. 245). ეს თეზისი მეტად დამახასიათებელია, ვინაიდან ის «ამეღავნებს», თუ შეიძლება ასე ითქვას, თუ ვ ი ს ესაჭიროება და ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ვის გაუწევს სამსახურს მარტოვის ფორმულირება: ერთეულ ინტელიგენტებს თუ მუშათა ჯგუფებს და მუშათა მასებს. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია მარტოვის ფორმულის ორნაირი განმარტება: 1) პარტიის წევრად უფლება აქვს «თ ა ვ ი გ ა მ ო ა ც ხ ა დ ო ს» (თვით ამხ. მარტოვის სიტყვებია) ყველას, ვინც პარტიას რეგულარულ პირად დახმარებას უწევს მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით; 2) პარტიის ყველა ორგანიზაციას უ ფ ლ ე ბ ა აქ ვ ს პარტიის წევრად ა ღ ი ა რ ო ს ყველა, ვინც მას რეგულარულ პირად დახმარებას უწევს მისი ხელმძღვანელობით. მხოლოდ პირველი განმარტება იძლევა ნამდვილ შესაძლებლობას «ყოველმა გაფიცულმა» პარტიის წევრი უწოდოს თავს, და ამიტომ ლიბერების, აკიმოვებისა და მარტინო-

---

ტიკური ბრძოლის შეთქმულებამდე შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს» წინააღმდეგ. ამხ. მარტინოვს სურს აიძულოს მსმენელნი დ ა ი ვ ი წ ყ ო ნ, რომ მათ, ვისაც მე ვებრძოდი, საჭიროდ ა რ მ ი ა ჩ ნ დ ა თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, როგორც ეს ამჟამადაც საჭიროდ არ მიაჩნია ამხანაგ აკიმოვს.

შესაძლებელიც არის და აუცილებელიც, ამასთან ძალიან, ძალიან ბევრს ამ ორგანიზაციათაგან შეუძლიათ და უნდა შევიდნენ კიდევაც პარტიაში.

ამხ. მარტოვის მეორე საბუთი: «ლენინისთვის სხვა ორგანიზაციები არ არსებობენ პარტიაში, გარდა პარტიული ორგანიზაციებისა»... სავსებით სწორია!.. «ჩემთვის, პირიქით, ასეთი ორგანიზაციები უნდა არსებობდნენ. ცხოვრება ჰქმნის და ამრავლებს ორგანიზაციებს უფრო მალე, ვიდრე ჩვენ მოვასწრებდეთ ჩავაბათ ისინი პროფესიულ რევოლუციონერთა ჩვენი მებრძოლი ორგანიზაციის იერარქიაში»... ეს სწორი არ არის ორი მხრივ: 1) «ცხოვრება» რევოლუციონერთა ბევრად უფრო ნაკლებ საქმიან ორგანიზაციებს ამრავლებს, ვიდრე ჩვენ გვესაჭიროება, ვიდრე ამას მუშათა მოძრაობა მოითხოვს; 2) ჩვენი პარტია უნდა იყოს იერარქია არა მარტო რევოლუციონერთა ორგანიზაციებისა, არამედ მუშათა ორგანიზაციების მასისთვისაც... «ლენინი ფიქრობს, რომ პარტიულებად ც. კ. დაამტკიცებს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სრულიად საიმედონი იქნებიან პრინციპულად. მაგრამ ამხ. ბრუკერს კარგად ესმის, რომ ცხოვრება (sic!) თავისას გაიტანს და ც. კ., პარტიის გარეთ რომ არ დატოვოს მრავალი ორგანიზაცია, იძულებული იქნება მოახდინოს მათი ლეგალიზაცია, მიუხედავად მათი არცთუ სავსებით საიმედო ხასიათისა; სწორედ ამიტომაც უერთდება ამხ. ბრუკერი ლენინს»... აი ჭეშმარიტად «ცხოვრების» მაჩანჩალური გაგება! რა თქმა უნდა, თუ ც. კ. უ ს ა თ უ ო დ ისეთი ადამიანებისაგან იქნებოდა შემდგარი, რომელნიც საკუთარი აზრით კი არ იხელმძღვანელებენ, არამედ იმით, თუ რას იტყვიან სხვები (იხ. ინციდენტი საორგ. კ-თან), მაშინ «ცხოვრება» «თავისას» გაიტანდა იმ აზრით, რომ პარტიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ელემენტები გაიმარჯვებდნენ (რ ო გ ო რ ც ე ს მ ო ხ დ ა ს წ ო რ ე დ ა ხ ლ ა, რ ო დ ე ს ა ც ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე ს დ გ ა პ ა რ ტ ი ულ ი «უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა»). მაგრამ ვერ მოიყვანთ ვერც ერთ გ ა ა ზ რ ე ბ უ ლ მიზეზს, რომელიც გ ო ნ ი ე რ ც. კ-ს

აიძულებდეს პარტიაში «არასაიმედო» ელემენტები შეიყვანოს. თავისი ორგანიზაციული გეგმის ოპორტუნისტულ ხასიათს ამხ. მარტოვი ცხადჰყოფს სწორედ იმით, რომ იმოწმებს «ცხოვრებას», რომელიც არასაიმედო ელემენტებს «ამრავლებს»!.. «მე კი ვფიქრობ, — განაგრძობს იგი, — რომ თუ ასეთი (არა სავსებით საიმედო) ორგანიზაცია თანახმაა მიიღოს პარტიული პროგრამა და პარტიული კონტროლი, ჩვენ შეგვიძლია იგი პარტიაში შევიყვანოთ, მაგრამ ამით პარტიულ ორგანიზაციად არ გავხადოთ. მე ჩვენი პარტიის დიდ გამარჯვებად მივიჩნევდი, მაგალითად, თუ «დამოუკიდებელთა» რომელიმე კავშირი განაცხადებდა, რომ ის იზიარებს სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისს, მის პროგრამას და შედის პარტიაში, რაც, თუმცა იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ასეთ კავშირს პარტიულ ორგანიზაციაში ჩავრიცხავთ»... აი რა დომხალს იწვევს მარტოვის ფორმულა: არაპარტიული ორგანიზაციები, რომლებიც პარტიაში შედიან! აბა ერთი წარმოიდგინეთ მ ი ს ი სქემა: პარტია = 1) რევოლუციონერთა ორგანიზაციები + 2) მუშების ორგანიზაციები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებად არიან მიჩნეული, + 3) მუშების ორგანიზაციები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებად მიჩნეული არ არიან (უმთავრესად «დამოუკიდებელთაგან»), + 4) ცალკეული პირნი, რომლებიც სხვადასხვანაირ ფუნქციებს ასრულებენ, პროფესორები, გიმნაზიელები და სხვ. + 5) «ყოველი გაფიცული». ამ შესანიშნავ გეგმას შეგვიძლია გვერდით ამოვუყენოთ მხოლოდ ამხ. ლიბერის სიტყვები: «ჩვენი ამოცანაა არა მარტო ორგანიზაციის ორგანიზაცია (!!), ჩვენ შეგვიძლია და უნდა მოვაწყოთ კიდეც პარტია» (გვ. 241). დიახ, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გავაკეთოთ ეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა არა აზრს მოკლებული სიტყვები — «ორგანიზაციების ორგანიზაცია», არამედ პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ა პარტიის წევრთაგან, რომ მათ ნამდვილად იმუშაონ ამ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ზ ე. «პარტიის ორგანიზაციაზე» ლაპარაკი და პარტიის ხსენებით

ყოველგვარი არაორგანიზებულობისა და დაქსაქსულობის საფარის დაცვა — ცარიელი სიტყვების ლაპარაკს ნიშნავს.

«ჩვენი ფორმულირება — ამბობს ამხ. მარტოვი — გამოხატავს მისწრაფებას იმისაკენ, რომ რევოლუციონერთა ორგანიზაციასა და მასას შორის იყოს მთელი რიგი ორგანიზაციები». სწორედ რომ არა. სწორედ ამ ნამდვილად სავალდებულო მისწრაფებას არ გამოხატავს მარტოვის ფორმულა, ვინაიდან ის არ იძლევა ორგანიზაციის სტიმულს, არ შეიცავს ორგანიზაციის მოთხოვნას, არ არჩევს ორგანიზებულს არაორგანიზებულისაგან. ის იძლევა მხოლოდ სახელწოდებას*; ამის გამო არ შეიძლება

* ლიგის ყრილობაზე ამხ. მარტოვმა კიდევ ერთი საბუთი წამოაყენა თავისი ფორმულირების სასარგებლოდ, რომელიც ღირსია დაცინვისა. «ჩვენ შეგვეძლო მიგვეთითებინა, — ამბობს ის — რომ ლენინის ფორმულა, სიტყვასიტყვით გაგებული, პარტიიდან რიცხავს ც. კ.-ის აგენტებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არ შეადგენენ ორგანიზაციას» (გვ. 59). ამ საბუთს ლიგის ყრილობაზედაც სიცილით შეხვდნენ, როგორც ეს ოქმებშია აღნიშნული. ამხ. მარტოვი ფიქრობს, მის მიერ აღნიშნული «სიძნელის» გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ ც. კ.-ის აგენტები შედიან «ც. კ.-ის ორგანიზაციაში». მაგრამ საქმე ამაში როდია. საქმე ის არის, რომ თავისი მაგალითით ამხ. მარტოვმა ცხადჰყო, რომ მას სრულიად ვერ გაუგია § 1-ის იდეა, ცხადჰყო წმინდა ასოკირკიტა კრიტიკის მაგალითი, რომელიც მართლაც დაცინვის ღირსია. ფორმალურად მართლაც საკმარისი იქნებოდა «ც. კ.-ის აგენტების ორგანიზაციის» შექმნა, დადგენილების შედგენა პარტიაში მისი შეყვანის შესახებ, და «სიძნელეც», რამაც ამდენი თავსატეხი სამუშაო გაუჩინა ამხ. მარტოვის გონებას, ერთბაშად გაქრებოდა. § 1-ის ჩემი ფორმულირების იდეას კი წარმოადგენს სტიმული: «დაირაზმენით!», რეალური კონტროლისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისთვის. საქმის არსებითი მხარის თვალსაზრისით სასაცილოა თვით საკითხი, შეევლენ თუ არა პარტიაში ც. კ.-ის აგენტები, ვინაიდან რეალური კონტროლი მათზე სავსებით და უეჭველად უზრუნველყოფილია უკვე იმით, რომ ისინი დანიშნული არიან აგენტებად, უკვე იმით, რომ მათ სტოვებენ აგენტების თანამდებობაზე. მაშასადამე, ორგანიზებულისა და არაორგანიზებულის ერთმანეთში არევაზე (მთავარი შეცდომა ამხ. მარტოვის ფორმულირებაში) აქ ლაპარაკიც არ შეიძლება. ამხ. მარტოვის ფორმულის უვარგისობა ისაა, რომ

არ გავიხსენოთ ამხ. აქსელროდის სიტყვები: «არავითარი დეკრეტებით არ შეიძლება ავუკრძალოთ მათ (რევოლუციური ახალგაზრდობის წრეებს და სხვ.) და ცალკეულ პირთ სოციალ-დემოკრატები უწოდონ თავიანთ თავს» (წმინდა ჭეშმარიტებაა!) «და თავიანთი თავი პარტიის ნაწილადაც მიიჩნიონ»... აი ეს კი უეჭველად სწორი არ არის! იმის აკრძალვა, რომ სოციალ-დემოკრატს უწოდებდე თავს — არ შეიძლება და არც საჭიროა, ვინაიდან ეს სიტყვა გამოხატავს უშუალოდ მხოლოდ რწმენის სისტემას და არა გარკვეულ ორგანიზაციულ ურთიერთობას. ცალკე წრეებისა და პირებისათვის იმის აკრძალვა, რომ «თავი ჩათვალონ პარტიის ნაწილად», შეიძლება და ასეც უნდა იყოს, როცა ეს წრეები და პირნი ზიანს აყენებენ პარტიის საქმეს, ხრწნიან მას ან დეზორგანიზაცია შეაქვთ მასში. სასაცილო იქნებოდა ლაპარაკი პარტიაზე, როგორც მთელზე, როგორც პოლიტიკურ სიდიდეზე, თუ ის ვერ შესძლებდა «დეკრეტით აეკრძალა» წრისთვის — მთელის «ნაწილად თავის ჩათვლა»! და რაღა საჭიროა მაშინ განისაზღვროს პარტიიდან გარიცხვის წესი და პირობები? ამხ. აქსელროდმა თვალსაჩინოდ მიიყვანა აბსურდამდე ამხ. მარტოვის ძირითადი შეცდომა; მან ეს შეცდომა ოპორტუნისტულ თეორიადაც კი გახადა, როცა დასძინა: «ლენინის ფორმულირებაში § 1 პირდაპირ პრინციპულ წინააღმდეგობას წარმოადგენს პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვით დედაარსთან (!!), ამოცანებთან შედარებითო» (გვ. 243). ეს ნიშნავს არც მეტს, არც ნაკლებს, თუ არ: უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენებას პარტიისთვის, ვიდრე კლასისთვის, ეს არის პრინციპული წინააღმდეგობა პროლეტარიატის ამოცა-

---

ყველას და თვითეულს შეუძლია გამოაცხადოს თავი პარტიის წევრად, ყოველ ოპორტუნისტს, ყოველ უქმად მოლაყბეს, ყოველ «პროფესორს» და ყოველ «გიმნაზიელს». ამაოდ ცდილობს ამხ. მარტოვი მოგვაწონოს თავისი ფორმულირების ეს აქილესის ტერფი ისეთი მაგალითებით, როცა ლაპარაკიც კი ზედმეტია თავისი თავის წევრად ჩარიცხვის, თავისი თავის წევრად გამოცხადების შესახებ.

ნების თვით დედაარსთან. გასაკვირველი როდია, რომ აკიმოვი თავგამოდებით იცავდა ასეთ თ ე ო რ ი ა ს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამხ. აქსელროდმა, რომელსაც ა ხ ლ ა სურს ეს შემცდარი, ოპორტუნიზმისაკენ აშკარად გადახრილი ფორმულირება ა ხ ა ლ შეხედულებათა ჩანასახად გადააქციოს, — ყრილობაზე, პირიქით, «შევაჭრებისათვის» მზადყოფნა გამოააშკარავა, როცა თქვა: «მაგრამ ვამჩნევ, რომ ღია კარებს ვუკაკუნებ»... (ამასვე ვამჩნევ ახალ «ისკრასაც»)... «იმიტომ რომ ამხ. ლენინი თავისი პერიფერიული წრეებით, რომლებიც პარტიული ორგანიზაციის ნაწილად ითვლებიან, ჩემს მოთხოვნას უახლოვდება»... (არა მარტო პერიფერიული წრეებით, არამედ ყოველგვარი მუშათა კავშირებითაც: შეად. გვ. 242-ე ოქმ., ამხ. სტრახოვის სიტყვიდან, და ზევით მოყვანილი ამონაწერები ბროშურიდან «რა ვაკეთოთ?» და «წერილიდან ამხანაგისადმი»)... «რჩებიან კიდევ ცალკეული პირნი, მაგრამ აქაც შეიძლება კიდევ ვივაჭროთ». მე ამხ. აქსელროდს ვუპასუხე, რომ საერთოდ საწინააღმდეგო არა მაქვს რა შევაჭრებისა, და ახლა უნდა განვმარტო, რა აზრით იყო ეს ნათქვამი. სწორედ ამ კერძო პირთა, ყველა ამ პროფესორის, გიმნაზიელის და სხვათა შესახებ ყველაზე ნაკლებად შემეძლო რაიმე დათმობაზე წავსულიყავი; მაგრამ თუ დაიბადებოდა ეჭვი მუშათა ორგანიზაციების შესახებ (მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ამ ეჭვების სრული უსაფუძვლობა ჩემს მიერ დამტკიცებულია), დავთანხმდებოდი ჩემი პირველი პარაგრაფისთვის ასეთი შენიშვნა დამერთო: «მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამასა და წესდებას იღებენ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით უნდა ჩაირიცხონ პარტიულ ორგანიზაციებში». რა თქმა უნდა, ზუსტად რომ ითქვას, ასეთ სურვილს ადგილი უნდა ჰქონდეს არა წესდებაში, რომელიც იურიდიული განმარტებებით უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ განმარტებითს კომენტარიებსა და ბროშურებში (მე უკვე აღვნიშნე, რომ წესდებაზე ბევრად უფრო ადრე ასეთი განმარტებანი მომყავდა

ჩემს ბროშურებში), მაგრამ ასეთი შენიშვნა, ყოველ შემთხვევაში, არ შეიცავდა ისეთი არასწორი აზრის ნატამალსაც კი, რომელსაც შეეძლო დეზორგანიზაცია გამოეწვია, არ შეიცავდა ისეთი ოპორტუნისტული მსჯელობისა *

* ამნაირ მსჯელობათა რიცხვს, რომლებიც გარდუვალად წამოიჭრება ხოლმე, როდესაც მარტოვის ფორმულის დასაბუთებას შეეცდებიან, ეკუთვნის განსაკუთრებით ამხ. ტროცკის ფრაზა (გვ. 248 და 346): «ოპორტუნიზმი იქმნება უფრო რთული (ან: განისაზღვრება უფრო ღრმა) მიზეზებით, ვიდრე წესდების ესა თუ ის პუნქტია, — ის გამოწვეულია ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის განვითარების შედარებითი დონით»... საქმე ის კი არ არის, რომ წესდების პუნქტებს ოპორტუნიზმის შექმნა შეუძლიათ, არამედ ის, რომ ამ პუნქტების საშუალებით ოპორტუნიზმის საწინააღმდეგოდ ცოტად თუ ბევრად ბასრი იარაღი გამოვიჭედოთ. რაც უფრო ღრმაა მისი მიზეზები, მით უფრო ბასრი უნდა იყოს ეს იარაღი. ამიტომ ოპორტუნიზმის «ღრმა მიზეზებით» გამართლება ფორმულირებისა, რომელიც მას კარს უღებს, წმინდა წყლის მაჩანჩალობაა. როდესაც ამხ. ტროცკი ამხ. ლიბერის წინააღმდეგი იყო, მას ესმოდა, რომ წესდება არის «ორგანიზებული უნდობლობა» მთელისა ნაწილისადმი, მოწინავე რაზმისა ჩამორჩენილი რაზმისადმი; ხოლო როდესაც ამხ. ტროცკი ამხ. ლიბერის მხარეზე აღმოჩნდა, მან ეს უკვე დაივიწყა და გამართლებაც კი დაიწყო ამ უნდობლობის (უნდობლობისა ოპორტუნიზმისადმი) ჩვენი ორგანიზების სისუსტისა და მერყეობისა «რთული მიზეზებით», «პროლეტარიატის განვითარების დონით» და სხვ. ამხ. ტროცკის მეორე საბუთი: «ინტელიგენტური ახალგაზრდობისათვის, ასე თუ ისე ორგანიზებულისთვის, ბევრად უფრო ადვილია შეიტანოს თავისი თავი (ხაზგასმა ჩემია) პარტიის სიებშიო». სწორედ ასეა. ამიტომ აქვს ინტელიგენტური უსახობის ნაკლი იმ ფორმულირებას, რომლის გამოც არაორგანიზებული ელემენტებიც კი აცხადებენ თავს პარტიის წევრებად, და არა ჩემს ფორმულირებას, რომელიც სპობს უფლებას ვინმემ «თავისი თავი შეიტანოს» სიებში. ამხ. ტროცკი ამბობს, რომ თუ ც. კ. «არ სცნობს» ოპორტუნისტების ორგანიზაციას, ამას სჩადის მხოლოდ პიროვნებათა ხასიათის გამო, ხოლო რადგანაც ეს პირნი ცნობილი არიან, როგორც პოლიტიკური ინდივიდუალობანი, ისინი საშიში აღარ არიან, მათი გაძევება შეიძლება საერთოპარტიული ბოიკოტითო. ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევების მიმართ, როცა საჭიროა პარტიიდან გაძევება (და ისიც მხოლოდ სანახევროდაა სწორი, ვინაიდან ორგანიზებული პარტია აძევებს ვოტუმით და არა ბოიკოტით). ეს სრულიად არ არის სწორი ბევრად უფრო ხშირი შემთხვევების მიმართ, როცა უაზ-

და «ანარქისტული კონცეფციების» ნატამალსაც კი, რომლებიც უსათუოდ შედიოდა ამხ. მარტოვის ფორმულირებაში.

ჩემს მიერ ფრჩხილებში მოყვანილი უკანასკნელი გამოთქმა ეკუთვნის ამხ. პავლოვიჩს, რომელმაც მეტად სამართლიანად მიაკუთვნა ანარქიზმს «უპასუხისმგებლობა თავისი თავის პარტიაში ჩამრიცხველ წევრთა აღიარება». «უბრალო ენაზე რომ გადავიტანოთ» — განუმარტავდა ამხ. პავლოვიჩი ჩემს ფორმულირებას ამხ. ლიბერს — ეს ნიშნავს: «რაკი გსურს პარტიის წევრი იყო, შენ მარტო პლატონურად როდი უნდა აღიარებდე ორგანიზაციულ ურთიერთობასაც». რარიგ უბრალო იყოს ეს «გადატანა», ის შაინც ზედმეტი არ იყო (როგორც ეს ყრილობის შემდგომ მომხდარმა ამბებმა დაგვანახვა) არა მარტო სხვადასხვა საეჭვო პროფესორისა და გიმნაზიელისთვის, არამედ პარტიის თვით ნამდვილი წევრებისთვისაც, ზედაფენის ადამიანებისთვის... ამხ. პავლოვიჩმა არანაკლებ სამართლიანად აღ-

---

როა გაძევება, როცა საჭიროა მხოლოდ კონტროლის გაწევა. კონტროლის მიზნით, განსაზღვრულ პირობებში, ც. კ.-ს შეუძლია განგებ შეიყვანოს პარტიაში არცთუ სავსებით საიმედო, მაგრამ მუშაობის უნარმქონე ორგანიზაცია, რათა გამოსცადოს ის, შეეცადოს დაიყენოს ჭეშმარიტების გზაზე, თავისი ხელმძღვანელობით შესწყვიტოს მისი ნაწილობრივი გადახრები და სხვ. პარტიაში ამნაირი შეყვანა საშიში არ არის, თუ საერთოდ არ არის დაშვებული «თავისი თავის შეტანა» პარტიის სიებში. ამნაირი ჩარიცხვა ხშირად სასარგებლო იქნება შემცდარი შეხედულებებისა და შემცდარი ტაქტიკის აშკარა და პასუხსაგებ, საკონტროლო, გამოხატვისათვის (და განხილვისათვის). «მაგრამ თუ იურიდიული განსაზღვრანი უნდა შეესაბამებოდნენ ფაქტიურ ურთიერთობას, მაშინ ამხ. ლენინის ფორმულა უარყოფილ უნდა იქნას», — ამბობს ამხ. ტროცკი და ამბობს კვლავ, როგორც ოპორტუნისტი. ფაქტიური ურთიერთობანი მკვდარი რამ კი არაა, არამედ ცოცხლობენ და ვითარდებიან. იურიდიული განსაზღვრანი შეიძლება შეესაბამებოდნენ ამ ურთიერთობათა პროგრესულ განვითარებას, მაგრამ შეიძლება აგრეთვე (თუ ეს განსაზღვრანი უვარგისია) «შეეხამებოდნენ» რეგრესს ან შეფერხებას. ეს უკანასკნელი შემთხვევა არის სწორედ ამხ. მარტოვის «შემთხვევა».

ნიშნა წინააღმდეგობა ამხ. მარტოვის ფორმულასა და მეცნიერული სოციალიზმის იმ უდავო დებულებას შორის, რომელსაც ასე უხეიროდ იმოწმებდა იგივე ამხ. მარტოვი. «ჩვენი პარტია არის შეუგნებელი პროცესის შეგნებული გამომხატველი». სწორედ ასეა. და სწორედ ამიტომაც არ უნდა გამოვედევნოთ იმას, რომ «ყოველ გაფიცულს» შეეძლოს პარტიის წევრი უწოდოს თავს, ვინაიდან «ყოველი გაფიცვა» რომ იყოს არა მარტო სტიქიური გამოხატულება ძლიერი კლასობრივი ინსტინქტისა და კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აუცილებლად სოციალური რევოლუციისაკენ მივყავართ, არამედ ამ პროცესის შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა, მაშინ... მაშინ საყოველთაო გაფიცვა ანარქისტული ფრაზა აღარ იქნებოდა, მაშინ ჩვენი პარტია მაშინვე და ერთბაშად მთელ მუშათა კლასს დ ა ფ ა რ ა ვ დ ა და, მაშასადამე, მ თ ე ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს ა ც ერთბაშად ბოლოს მოუღებდა. იმისათვის, რომ ს ა ქ მ ი თ შეგნებული გამომხატველი იყოს, პარტიას უნდა შეეძლოს შეიმუშაოს ისეთი ორგანიზაციული ურთიერთობა, რომელიც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ჰ ყ ო ფ დ ა შეგნებულობის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ დ ო ნ ე ს და ამ დონეს სისტემატურად მაღლა ასწევდა. «თუ მარტოვის გზით ვიცლით, — თქვა ამხ. პავლოვიჩმა, — პირველ ყოვლისა უნდა ამოვაგდოთ პუნქტი პ რ ო გ რ ა მ ი ს აღიარების შესახებ, ვინაიდან, პროგრამა რომ მივიღოთ, იგი უნდა შევითვისოთ და გავიგოთ... პროგრამის აღიარება კი გაპირობებულია პოლიტიკური შეგნების საკმაოდ მაღალი დონით». ჩვენ ვერასოდეს ვერ დავუშვებთ, რომ სოციალ-დემოკრატიისთვის მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა, რომ მისი ხელმძღვანელობით წარმოებულ ბრძოლაში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ხელოვნურად ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ო დ ე ს (შეთვისების, გაგების და სხვ.) რაიმე მოთხოვნებით, ვინაიდან თვით ეს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მარტო თავისი გამოხატულების ფაქტითაც კი მ ა ღ ლ ა ს წ ე ვ ს შეგნებულობასაც და ორგანიზაციულ ინსტინქტებსაც, მაგრამ რაკი ჩ ვ ე ნ პ ა რ ტ ი ა დ შ ე ე ვ ე რ თ დ ი თ გეგმაშეწონილი მუშაობისთვის, კიდევაც

უნდა ვიზრუნოთ ამ გეგმაშეწონილობის უზრუნველ-ყოფაზე.

ამხ. პავლოვიჩის გაფრთხილება პროგრამის შესახებ რომ ზედმეტი არა ყოფილა, ეს გამომჟღავნდა მ ა შ ი ნ ვ ე, ი მ ა-ვ ე სხდომის განმავლობაში. ამხ. აკიმოვმა და ლიბერმა, რომლებმაც ამხ. მარტოვის ფორმულირება გაიყვანეს *, მ ა შ ი ნ ვ ე გამოამჟღავნეს თავიანთი ნამდვილი ბუნება, როდესაც მოითხოვეს (გვ. 254 — 255), პროგრამაც (პარტიის «წევრობისათვის») მხოლოდ პლატონურად უნდა აღვიაროთ, უნდა აღვიაროთ მხოლოდ მისი «ძირითადი დებულებანიო». «ამხ. აკიმოვის წინადადება ამხ. მარტოვის თვალსაზრისით სრულიად ლოგიკურია» — აღნიშნა ამხ. პავლოვიჩმა. სამწუ-ხაროდ, ოქმებიდან ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ რ ა მ დ ე ნ ხმას აერთიანებდა აკიმოვის ეს წინადადება, — ალბათ, არანაკლებ შვიდისა (ხუთი ბუნდელი, აკიმოვი და ბრუკერი). და სწორედ შ ვ ი დ ი დელეგატის წასვლამ ყრილობიდან გადააქცია «კომ-პაქტური უმრავლესობა» (ანტიისკრელებისა, «ცენტრისა» და მარტოველებისა), რომელიც ყალიბდებოდა წესდების § 1-ის მიხედვით, კომპაქტურ უმცირესობად! სწორედ შ ვ ი-დ ი დელეგატის წასვლამ გამოიწვია წინადადების ჩაფუშვა ძველი რედაქციის დამტკიცების შესახებ, «ისკრის» გაძღო-ლის «თანამომდევნობის» ეს თითქოს აღმაშფოთებელი დარ-ღვევა! ორიგინალური შ ვ ი დ ე უ ლ ი კი ერთადერთი ხსნა და საწინდარი იყო ისკრული «თანამომდევნობისა»: ამ შვი-დეულს შეადგენდნენ ბუნდელები, აკიმოვი და ბრუკერი, ე. ი. სწორედ ის დელეგატები, რომლებმაც ხმა მისცეს «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ აღიარების მ ო ტ ი ვ ე ბ ი ს

* მან მიიღო 28 ხმა, წინააღმდეგ — 22. რვა ანტიისკრელიდან შვიდი მარტოვის მომხრე იყო, ერთი — ჩემი. ოპორტუნისტების დაუხმარებლად ამხ. მარტოვი ვერ გაიყვანდა თავის ოპორტუნისტულ ფორმულას. (ლიგის ყრილობაზე ამხ. მარტოვი ძალიან უხეიროდ შეეცადა უარეყო ეს ურყევი ფაქტი და რატომღაც მხოლოდ ბუნდელების ხმებით კმაყოფილ-დებოდა და ივიწყებდა ამხ. აკიმოვსა და მის მეგობრებს, — უკეთ რომ ვთქვათ, მათ მ ხ ო ლ ო დ მაშინ იხსენებდა, როდესაც შეეძლო ეს ჩემ წინააღმდეგ გამოეყენებინა — ჩემთან ამხ. ბრუკერის თანხმობა.)

წინააღმდეგ, სწორედ ის დელეგატები, რომელთა ოპორტუნიზმი ერთი ათჯერ მაინც იყო აღიარებული ყრილობის მიერ, აღიარებული იყო, კერძოდ, მარტოვისა და პლეხანოვის მიერაც პროგრამის შესახებ § 1-ის შ ე რ ბ ი ლ ე ბ ი ს საკითხში. «ისკრის» «თანამომდევნობა», რომელსაც ანტიისკრელები იცავენ! — აქ ჩვენ ვუახლოვდებით ყრილობისშემდგომი ტრაგიკომედიის დ ა ს ა წ ყ ი ს ს.

* * *

წესდების პირველი §-ის გარშემო ხმების დაჯგუფებამ სწორედ იმნაირივე ტიპის მოვლენა გამოააშკარავა, როგორც ენათა თანასწორუფლებიანობის ინციდენტმა: ისკრელების უმრავლესობისაგან მისი მეოთხედი (დაახლოებით) ნაწილის ჩამოშორება გამარჯვების შესაძლებლობას აძლევს ანტიისკრელებს, რომელთაც მიჰყვება «ცენტრი». რა თქმა უნდა, აქაც არიან ცალკეული ხმები, რომლებიც სურათის სრულ მთლიანობას არღვევენ, — ისეთ დიდ კრებაში, როგორიც ჩვენი ყრილობაა, აუცილებლად თავს იჩენს ნაწილი «ველურებისა», რომლებიც შემთხვევით ხან ერთს, ხან მეორე მხარეს არიან, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიცაა პირველი პარაგრაფი, სადაც უთანხმოების ნამდვილი ხასიათი მხოლოდ ის-იყო ისახებოდა და ბევრმა პირდაპირ ვ ე რ ც კ ი მ ო ა ს წ რ ო მ ი ს ი გ ა რ კ ვ ე ვ ა (იმის გამო, რომ წინასწარ საკითხი არ ყოფილა დამუშავებული ლიტერატურაში). უმრავლესობის ისკრელებს ჩამოშორდა ხუთი ხმა (რუსოვი და კარსკი — ორ-ორი ხმა და ლენსკი — ერთი ხმა); პირიქით, მათ მიემხრნენ ერთი ანტიისკრელი (ბრუკერი) და სამი ცენტრიდან (მედვედევი, ეგოროვი და ცარიოვი); მივიღეთ ჯამი 23 ხმის რაოდენობით (24 — 5+4), ერთი ხმით ნაკლები არჩევნების მიხედვით მომხდარი საბოლოო დაჯგუფებისა. უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ ა რ ტ ო ვ ს მ ი ს ც ე ს ა ნ ტ ი ი ს კ რ ე ლ ე ბ მ ა, რომელთაგან 7 მას ემხრობოდა და ერთი — მე («ცენტრიდანაც» შვიდი მარტოვის მომხრე იყო, სამი ჩემი). ისკრელების უმცირესობის იმ კოალიციამ ანტიისკრელებთან და «ცენტრთან», რომელმაც ყრილობის ბო-

ლოს და ყრილობის შემდეგ კომპაქტური უმცირესობა შეჰქმნა, ჩამოყალიბება იწყო. პოლიტიკური შეცდომა მარტოვისა და აქსელროდისა, რომელთაც უეჭველი ნაბიჯი გადადგეს ოპორტუნიზმისაკენ და ანარქისტულ ინდივიდუალიზმისაკენ პირველი პარაგრაფის ფორმულირების და განსაკუთრებით ამ ფორმულირების დაცვის დროს, მაშინვე და განსაკუთრებით რელიეფურად გამოაშკარავდა იმიტომ, რომ ყრილობის ასპარეზი თავისუფალი და ღია იყო, გამოაშკარავდა იმით, რომ ყველაზე ნაკლებად მტკიცე და ყველაზე ნაკლებ პრინციპულად გამობრძმედილმა ელემენტებმა ერთბაშად დასძრეს მთელი თავიანთი ძალები იმ ჭუჭრუტანის, იმ ბზარის გასაფართოებლად, რომელმაც თავი იჩინა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებში. იმ ადამიანების ერთად მუშაობამ ყრილობაზე, რომლებიც ორგანიზაციულ დარგში აშკარად ისახავდნენ სხვადასხვა მიზანს (იხ. აკიმოვის სიტყვა), ჩვენი ორგანიზაციული გეგმის და ჩვენი წესდების პრინციპულ მოწინააღმდეგეებს მყისვე ბიძგი მისცა ამხ. მარტოვისა და აქსელროდის შეცდომათა დასაცავად. ისკრელები, რომლებიც ამ საკითხშიც ერთგული დარჩნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებისა, უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ეს უდიდესი მნიშვნელობის გარემოებაა, ვინაიდან მის გაურკვევლად სრულიად შეუძლებელია გავიგოთ რამე იმ ბრძოლისაც, რომელიც წარმოებდა წესდების ამა თუ იმ ნაწილების გამო და იმ ბრძოლისაც, რომელიც წარმოებდა ცენტრალური ორგანოს და ცენტრალური კომიტეტის პირადი შემადგენლობის გამო.

კ) უდანაშაულოდ დასჯილნი ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდებით

ვიდრე გადავიდოდეთ შემდგომ კამათზე წესდების შესახებ, საჭიროა, ცენტრალურ დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის საკითხზე ჩვენი უთანხმოების გასარკვევად, შევე-

ხოთ «ისკრის» ორგანიზაციის იმ კერძო სხდომებს, რომლებიც ყრილობის დროს იმართებოდა. ამ ოთხი სხდომიდან უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი შესდგა სწორედ მას შემდეგ, რაც კენჭი უყარეს წესდების პირველ პარაგრაფს. ამნაირად, ამ სხდომაზე მომხდარი «ისკრის» ორგანიზაციის განხეთქილება ქრონოლოგიურადაც და ლოგიკურადაც შემდგომი ბრძოლის წინასწარი პირობა იყო.

«ისკრის» ორგანიზაციის კერძო სხდომები* დაიწყო მალე საორგ. კომიტეტთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, რამაც საბაბი მოგვცა ც. კ.-ის შესაძლებელი კანდიდატურების საკითხის განხილვისათვის. თავისთავად ცხადია, იმპერატიული მანდატების გაუქმების გამო ამ სხდომებს ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ხასიათი, რომელიც არავის არ ჰბოჭავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მათი მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. ც. კ.-ის წევრთა არჩევა მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენდა იმ დელეგატებისთვის, რომელთაც არ იცოდნენ არც კონსპირაციული სახელები, არც «ისკრის» ორგანიზაციის შინაგანი მუშაობა, — იმ ორგანიზაციისა, რომელმაც შეჰქმნა პარტიის ფაქტიური ერთიანობა, განახორციელა პრაქტიკული მოძრაობის ის ხელმძღვანელობა, რაც ერთ-ერთი მოტივი იყო «ისკრის» ოფიციალური აღიარებისა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ისკრელების ერთიანობის დროს მათთვის ყრილობაზე სავსებით უზრუნველყოფილი იყო დიდი, $^3/_5$-მდე, უმრავლესობა, და ყველა დელეგატს მშვენივრად ესმოდა ეს. ყველა ისკრელი სწორედ იმას ელოდა, რომ «ისკრის» ორგანიზაცია გამოსულიყო ც. კ.-ის განსაზღვრული პირადი შემადგენლობის რეკომენდაციით, და ამ ორგანიზაციის არც ერთ წევრს სიტყვაც არ დაუძრავს იმის წინააღმდეგ, რომ იქ წინასწარ განხილულიყო

* მე უკვე ლიგის ყრილობაზე შევეცადე მომეხაზა რაც შეიძლება ვიწრო ჩარჩოები იმის გადმოცემისა, რაც მოხდა კერძო კრებებზე, გადაუწყვეტელი დავის თავიდან ასაცილებლად. ძირითადი ფაქტები გადმოცემულია ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციისადმი» (გვ. 4). ამხ. მარტოვს თავის «პასუხში» ეს ფაქტები არ გაუპროტესტებია.

ც. კ.-ის შემადგენლობა, არც ერთს კრინტიც არ დაუძრავს საორგ. კ.-ის მთელი შემადგენლობის დამტკიცებაზე, ე. ი. მის ც. კ.-ად გადაქცევაზე, კრინტიც არ დაუძრავს საორგ. კ.-ის მთელ შემადგენლობასთან მოთათბირებაზე და კი ც. კ.-ის კანდიდატების შესახებ. ეს გარემოებაც მეტისმეტად დამახასიათებელია, და ფრიად საჭიროა ის მხედველობაში ვიქონიოთ, ვინაიდან ახლა მარტოველები უკანა რიცხვით გულმოდგინედ იცავენ საორგ. კ.-ს და ამით მხოლოდ მეასედ და მეათასედ ამტკიცებენ თავიანთ პოლიტიკურ უხასიათობას *. ვიდრე ჯერ კიდევ ცენტრების შემადგენლობის გამო გათიშვამ არ გააერთიანა მარტოვი აკიმოვთან, — ყრილობაზე ყველასათვის ნათელი იყო ის, რაშიც ადვილად დარწმუნდება ყრილობის ოქმებიდან და «ისკრის» მთელი ისტორიიდან ყოველი მიუდგომელი ადამიანი, სახელდობრ: რომ საორგ. კ. იყო უმთავრესად ყრილობის მომწვევი კომისია, შედგენილი საგანგებოდ სხვადასხვა ელფერის წარმომადგენელთაგან ბუნდელების ჩათვლით; ხოლო ნამდვილი მუშაობა პარტიის ორგანიზაციული ერთიანობის შესაქმნელად მთლიანად თავის მხრებზე გადაიტანა «ისკრის» ორგანიზაციამ (მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ყრილობას სრულიად შემთხვევით არ დასწრებია საორგ. კ.-ის რამდენიმე ისკრელი წევრი, როგორც დაპატიმრებათა, ისე სხვა «დამოუკიდებელ» გარემოებათა გამო). «ისკრის» ორგანიზაციის ის შემადგენლობა, რომელიც ყრილო-

* ერთი კარგად წარმოიდგინეთ ეს «ზნე-ჩვეულებათა სურათი»: «ისკრის» ორგანიზაციის დელეგატი ყრილობაზე თათბირობს მხოლოდ «ისკრასთან» და კრინტსაც არა ძრავს საორგ. კ.-თან თათბირის შესახებ. ხოლო როცა მარცხდება ამ ორგანიზაციაშიც და ყრილობაზეც, ის სინანულს გამოთქვამს საორგ. კ.-ის დაუმტკიცებლობის შესახებ, აქებს მას უკანა რიცხვით და მედიდურად უგულვებელჰყოფს იმ ორგანიზაციას, რომელმაც მას მანდატი მისცა! შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ანალოგიური ფაქტი არ მოიპოვება არც ერთ ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული და ნამდვილად მუშათა პარტიის ისტორიაში.

ბას დაესწრო, უკვე დასახელებულია ამხ. პავლოვიჩის ბროშურაში (იხ. მისი «წერილი II ყრილობის შესახებ», გვ. 13) [70].

«ისკრის» ორგანიზაციაში ცხარე დებატების საბოლოო შედეგი იყო ორი ვოტუმი, რომლებიც უკვე მოვიყვანე «წერილში რედაქციისადმი». პირველი ვოტუმი: «ერთ-ერთი კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერდა მარტოვი, უარყოფილია ცხრა ხმით ოთხის წინააღმდეგ, სამმა თავი შეიკავა». თითქოს, რა შეიძლება იყოს ამნაირ ფაქტზე უფრო უბრალო და ბუნებრივი: ყრილობის დამსწრე «ისკრის» ორგანიზაციის ყველა თექვსმეტი წევრის საერთო თანხმობით ირჩევა შესაძლებელი კანდიდატურების საკითხი, და ხმის უმეტესობით უარყოფილია ამხ. მარტოვის ერთ-ერთი კანდიდატურა (სახელდობრ ამხ. შტეინის კანდიდატურა, როგორც ახლა ვეღარ მოითმინა და უკვე წამოროშა თვითონ ამხ. მარტოვმაც, გვ. 69 «საალყო წესებისა»)? ჩვენ ხომ პარტიულ ყრილობაზე, სხვათა შორის, სწორედ იმისთვის შევიკრიბენით, რომ გაგვეხილა და გადაგვეწყვიტა საკითხი, თუ ვისთვის ჩაგვებარებინა «დირიჟორის ჯოხი» — და ჩვენი საერთო პარტიული მოვალეობა იყო დღის წესრიგის ამ პუნქტისთვის მიგვექცია უაღრესად სერიოზული ყურადღება, გადაგვეჭრა ეს საკითხი ს ა ქ მ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს თვალსაზრისით, და არა «ობივატელური ნაზნარუქობისა», როგორც ეს შემდეგ სრულიად სამართლიანად თქვა ამხ. რუსოვმა. რა თქმა უნდა, კანდიდატების საკითხის გარჩევის დროს ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე არ შეიძლებოდა არ შევხებოდით განსაზღვრულ პირად ღირსებებსაც, არ შეიძლებოდა არ გამოგვეთქვა ჩვენი მოწონება თუ დაწუნება *,

* ლიგაში ამხ. მარტოვი მწარედ სჩიოდა ჩემი მხრივ დაწუნების სიმკაცრეზე და ვერ ამჩნევდა, რომ მისი საჩივრიდან დასკვნა გამოდიოდა თვით მის წინააღმდეგ. ლენინს თავი ეჭირა, — ვხმარობ მისივე გამოთქმას, — ცოფმორეულადო (გვ. 63 ლიგის ოქმებისა). სწორია. ის კარს აჯახუნებდაო. მართალია. თავისი საქციელით მან აღაშფოთა («ისკრის» ორგანიზაციის მეორე თუ მესამე სხდომაზე) კრებაზე დარჩენილი წევრებიო. ჭეშმარიტებაა. მაგრამ რა გამოდის აქედან? მხოლოდ ის, რომ ჩემი საბუთები სადავო საკითხებზე არსებითად დამარწმუნებელი იყო და დასტურ-

განსაკუთრებით არაოფიციალურ და ვიწრო კრებაზე. მე უკვე ლიგის ყრილობაზეც ვიძლეოდი გაფრთხილებას, რომ სისულელეა კანდიდატურის დაწუნება «სამარცხვინოდ» ჩავთვალოთ (ლიგის ოქმები, გვ. 49), სისულელეა «სცენის» გამართვა და ისტერიკის ატეხა იმის გამო, რაც პარტიული მოვალეობის პირდაპირი შესრულებაა — შეგნებულად და წინდახედულად ავირჩიოთ თანამდებობის პირნი. ჩვენმა უმცირესობამ ხომ სწორედ აქედან ასტეხა ალიაქოთი, მათ ყვირილი მორთეს ყრილობის შემდეგ «რეპუტაციის დამსხვრევის» შესახებ (ლიგის ოქმები, გვ. 70) და ფართო საზოგადოებას პრესის საშუალებით არწმუნებდნენ, რომ ამხ. შტეინი «მთავარი მოღვაწე» იყო ყოფილი საორგ. კ.-ისა და მას უსაფუძვლოდ აბრალებდნენ «რაღაც ჯოჯოხეთურ გეგმებს» («საალყო წესები», გვ. 69). განა ეს ისტერიკა არ არის, როცა კანდიდატების მოწონებისა თუ დაწუნების გამო «რეპუტაციის დამსხვრევაზე» გაჰყვირიან? განა ეს კინკლაობა არ არის, როცა როგორც «ისკრის» ორგანიზაციის კერძო კრებაზე, ისე ოფიციალურ, უმაღლეს პარტიულ კრებაზე, ყრილობაზე დამარცხების შემდეგ — ქუჩას შესჩივიან და უპატივცემულესი საზოგადოების წინაშე რეკომენდაციას უწევენ დაწუნებულ კანდიდატებს, როგორც «მთავარ მოღვაწეებს»? — როცა პარტიას შემდეგ თავს ახვევენ თავიანთ კანდიდატებს გათიშვის გზით და კოოპტაციის მოთხოვნით? ჩვენთან იმდენად არეულია საზღვარგარეთის დამყაყებულ ატმოსფეროში პოლიტიკური ცნებანი, რომ ამხ. მარტოვს უკვე აღარ შეუძლია გაარჩიოს პარტიული მოვალეობა წრეობანისა და ნათლიმა-

---

დებოდა ყრილობის მსვლელობით. მართლაც, თუ ჩემს მხარეზე, ბოლოს და ბოლოს, მაინც აღმოჩნდა «ისკრის» ორგანიზაციის თექვსმეტი წევრიდან ცხრა, აშკარაა, ეს მოხდა მიუხედავად ბოროტი სიმკაცრისა, წინააღმდეგ ამ სიმკაცრისა. მაშასადამე, «სიმკაცრე» რომ არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლება ცხრაზე მეტი ყოფილიყო ჩემს მხარეზე. მაშასადამე, მით უფრო დამარწმუნებელი იყო საბუთები და ფაქტები, რამდენადაც უფრო მეტი «აღშფოთების» გადალახვა მოუხდათ მათ.

მობისაგან! ეს, ალბათ, ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმია — ფიქრი იმაზე, რომ კანდიდატების საკითხის გარჩევა და გადაჭრა მართებულია მ ხ ო ლ ო დ ყრილობებზე, სადაც დელეგატები იკრიბებიან, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებო პრინციპული საკითხების განსახილველად, სადაც თავს იყრიან მოძრაობის წარმომადგენლები, რომელთაც უნარი შესწევთ პიროვნებათა საკითხს მიუდგომლად მოეპყრან, უნარი შესწევთ (და ვალდებულიც არიან) მ ო ი თ ხ ო ვ ო ნ და შეჰკრიბონ ყოველგვარი ცნობები კანდიდატებზე მათთვის გადამწყვეტი ხმის მისაცემად, სადაც განსაზღვრული ადგილის დათმობა კამათისათვის დირიჟორის ჯოხის გამო ბუნებრივი და აუცილებელია. ნაცვლად ამ ბიუროკრატული და ფორმალისტური შეხედულებისა, ჩვენთან შემოღებულია ახლა სხვანაირი ზნე-ჩვეულებანი: ყრილობების შემდეგ ჩვენ წაღმა-უკუღმა ვილაპარაკებთ ივანე ივანეს-ძის პოლიტიკურ დასამარებაზე, ივანე ნიკიფორეს-ძის რეპუტაციის დამსხვრევაზე; კანდიდატებს ბროშურებში რეკომენდაციას გაუწევენ ესა თუ ის ლიტერატორები, ამასთან დაიწყებენ ფარისევლურად მკერდში ხელის ცემას და რწმუნებას: არა წრე, არამედ პარტია... მკითხველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ძალიან მოსწონს სკანდალები, ხარბად დაეწაფება ამ სენსაციურ ახალ ამბავს: აი ესა და ეს იყო საორგ. კ.-ის მთავარი მოღვაწე თვით მარტოვის რწმუნებითო *. ამ მკითხველ საზოგადოებას გაცილებით უფრო მეტი უნარი შესწევს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, ვიდრე ფორმალისტურ დაწესებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, ყრი-

* მეც გამყავდა «ისკრის» ორგანიზაციაში და ვერც მე გავიყვანე, მსგავსად მარტოვისა, ც. კ.-ის ერთი კანდიდატი, რომლის შესახებ მეც შემეძლო მელაპარაკნა მის საუცხოო, განსაკუთრებული ფაქტებით დამტკიცებულ რეპუტაციაზე ყრილობამდე და ყრილობის დასაწყისში. მაგრამ ეს აზრადაც არ მომსვლია. ეს ამხანაგი ს ა კ მ ა ო დ პ ა ტ ი ვ ს ა ს ც ე მ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ს, რომ ვისმეს ნ ე ბ ა მ ი ს ც ე ს წამოაყენოს ყრილობის შემდეგ პრესაში მისი კანდიდატურა, ან იწუწუნოს პოლიტიკურ დასამარებაზე, რეპუტაციის დამსხვრევაზე და სხვ.

ლობები მათი ტლანქი მექანიკური გადაწყვეტილებებით უმ-
რავლესობის მიხედვით... დიახ, საზღვარგარეთული კინკლა-
ობის ჯერ კიდევ დიდი ავგიუსის თავლის გაწმენდა მოუხ-
დებათ ჩვენს ნამდვილ პარტიულ მუშაკებს!

«ისკრის» ორგანიზაციის მეორე ვოტუმი: «მიღებულია
ათი ხმით ორის წინააღმდეგ, ოთხმა თავი შეიკავა, ხუთის სია
(ც. კ.-ში), რომელშიც შეტანილია, ჩემი წინადადებით, არა-
ისკრელთა ელემენტების ერთი ლიდერი და ისკრელთა უმცი-
რესობის ერთი ლიდერი» *. ეს ვოტუმი მეტად მნიშვნელო-
ვანია, ვინაიდან ის ნათლად და უცილობლად ამტკიცებს შემდ-
გომ, კინკლაობის ატმოსფეროში შექმნილი ლათაიების მთელ
სიყალბეს, თითქოს ჩვენ გვინდოდა პარტიიდან გაგვეყარა
ან ჩამოგვეშორებინა არაისკრელები, თითქოს უმრავლესობა
ყრილობის ერთი ნახევრის სახით ირჩევდა მხოლოდ ერთი
ნახევრიდან და სხვ. ყველაფერი ეს — სრული სიყალბეა.
ჩემს მიერ მოყვანილი ვოტუმი გვიჩვენებს, რომ არათუ პარ-
ტიიდან, ც. კ.-დანაც კი არაისკრელები არათუ არ ჩამოგვიშო-
რებია, არამედ ჩვენს ოპონენტებს ფრიად მნიშვნელოვან
უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს ვაძლევდით. მთელი საქმე ის იყო, რომ
მათ ს უ რ დ ა თ ჰ ყ ო ლ ო დ ა თ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა და,
როცა ეს მცირედი სურვილი არ განხორციელდა, ს კ ა ნ დ ა-
ლ ი ასტეხეს, სრულიად უარი თქვეს ცენტრებში მონაწილე-
ობაზე. საქმე რომ სწორედ ასე იყო, წინააღმდეგ ამხ. მარ-
ტოვის მტკიცებისა ლიგაში, ეს ჩანს შემდეგი წ ე რ ი ლ ი-
დ ა ნ, რომელიც გამოგვიგზავნა ჩვენ, ისკრელთა უმრავლე-
სობას (და ყრილობის უმრავლესობას, შვიდის წასვლის შემ-
დეგ) «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობამ ყრილობის მი-
ერ წესდების პირველი პარაგრაფის მიღებისთანავე (უნდა
აღვნიშნოთ, რომ «ისკრის» ორგანიზაციის კრება, რომლის
შესახებაც მე ვლაპარაკობდი, უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი იყო: ამის
შემდეგ ორგანიზაცია ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაიშალა, და ორივე

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 133. რ ე დ.

მხარე ცდილობდა დაერწმუნებინა თავის სიმართლეში ყრილობის დანარჩენი დელეგატები).

აი წერილის ტექსტი:

«მოვისმინეთ რა დელეგატების სოროკინისა და საბლინას[71] ახსნა-განმარტებანი იმ საკითხზე, რომელიც შეეხება რედაქციის უმრავლესობის და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის სურვილს — მონაწილეობა მიიღონ კრებაში (ამა და ამ რიცხვს)* და გამოვარკვიეთ რა ამ დელეგატების დახმარებით, რომ წინა კრებაზე წაკითხულ იქნა, ვითომც ჩვენგან გამომდინარე ც. კ.-ის კანდიდატების სია, რომლითაც სარგებლობდნენ მთელი ჩვენი პოლიტიკური პოზიციის არასწორად დასახასიათებლად, და მხედველობაში გვაქვს რა, რომ, ჯერ-ერთი, ეს სია მოგვაწერეს ისე, რომ სრულიად არ ცდილან შეემოწმებინათ მისი წარმოშობა; რომ მეორეც, ეს გარემოება უეჭველად დაკავშირებულია «ისკრის» რედაქციის უმრავლესობისა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისთვის «ოპორტუნიზმის» აშკარა დაბრალებასთან; რომ, მესამე, ჩვენთვის სრულიად ნთელია ამ ბრალდების კავშირი «ისკრის» რედაქციის შემადგენლობის შეცვლის სრულიად გარკვეულ გეგმასთან, — ჩვენთვის მოცემული განმარტებები კრებაზე არდაშვების მიზეზების შესახებ მიგვაჩნია არადამაკმაყოფილებლად, კრებაზე არდაშვების სურვილი კი — იმის დამამტკიცებლად, რომ არ უნდოდათ საშუალება მოგვცემოდა ზემოთ მოყვანილი ცრუ ბრალდებები გაგვეფანტა.

იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა შესაძლებელ შეთანხმებას ჩვენ შორის ც. კ.-ის კანდიდატების საერთო სიის შესახებ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთადერთი სია, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ, როგორც შეთანხმების საფუძველი, არის ასეთი: პოპოვი, ტროცკი, გლებოვი; ამასთან ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ სიის ხასიათს, როგორც კომპრომისულს, რადგან ამ სიაში ამხ. გლებოვის შეტანას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ

* ჩემი ანგარიშით, წერილში მოყვანილი თარიღი მოდის სამშაბათზე. კრება შესდგა სამშაბათს საღამოს, ე. ი. ყრილობის 28-ე სხდომის შემდეგ. ეს ქრონოლოგიური ცნობა მეტად მნიშვნელოვანია. ის დოკუმენტურად აბათილებს ამხ. მარტოვის აზრს, თითქოს ჩვენ ვერ შევთანხმდით ცენტრების მოწყობის საკითხში და არა მათი პირადი შემადგენლობის საკითხში. ის დოკუმენტურად ამტკიცებს ლიგის ყრილობაზე და «წერილში რედაქციისადმი» ჩემი ნაამბობის სისწორეს. ყრილობის 28-ე სხდომის შემდეგ ამხ. მარტოვი და სტაროვერი ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდებაზე და კრინტსაც არ სძრავენ უთანხმოებაზე საბჭოს შემადგენლობის ან ცენტრების კოოპტაციის საკითხის გამო (რაზედაც ჩვენ დავა გვქონდა 25, 26 და 27-ე სხდომებზე).

როგორც დათმობას უმრავლესობის სურვილისთვის, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ჩვენთვის გამოირკვა ამხ. გლებოვის როლი ყრილობაზე, ჩ ვ ე ნ ა მ ხ. გ ლ ე ბ ო ვ ი ა რ მ ი გ ვ ა ჩ ნ ი ა ისეთად, რომელიც აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ც. კ.-ის კანდიდატს უნდა წაეყენოს.

ამასთან ერთად, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ, ვიწყებთ რა მოლაპარაკებას ც. კ.-ის კანდიდატურებზე, ჩვენ ამას სრულიად არ ვუკავშირებთ ც. ო.-ს რედაქციის შემადგენლობის საკითხს, რადგან ამ საკითხზე (რედაქციის შემადგენლობაზე) ჩვენ თანახმა არა ვართ რაიმე მოლაპარაკება ვაწარმოოთ.

ამხანაგების მაგიერ მარტოვი და სტაროვერი».

ეს წერილი ზედმიწევნით გამოხატავს მოდავე მხარეთა განწყობილებას და დავის მდგომარეობას: მას ერთბაშად შევყავართ დაწყებული განხეთქილების «შუაგულში» და გვიჩვენებს მის ნამდვილ მიზეზებს. «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობამ არ მოისურვა დათანხმებოდა უმრავლესობას, არჩია თავისუფალი აგიტაცია ყრილობაზე (ჰქონდა რა, რა თქმა უნდა, ამის სრული უფლება); მიუხედავად ამისა, იგი უმრავლესობის «დელეგატებისაგან» მაინც ცდილობს მათს კერძო კრებაზე დაშვების თანხმობა მიიღოს! ცხადია, ამგვარმა სასაცილო მოთხოვნამ ჩვენს კრებაზე (წერილი, რა თქმა უნდა, წაკითხულ იქნა კრებაზე) მხოლოდ ღიმილი და მხრების აჩეჩვა გამოიწვია, წამოძახილებმა კი, რაც უკვე ისტერიკაში გადადიოდა, «ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდების» შესახებ — პირდაპირ სიცილი გამოიწვია. მაგრამ ჯერ განვიხილოთ, მუხლობრივად, მარტოვისა და სტაროვერის მწარე ჩივილი.

მათ უსამართლოდ მიაწერეს სია; მათს პოლიტიკურ პოზიციას სწორად არ ახასიათებენ. — მაგრამ როგორც თვითონ მარტოვიც აღიარებს (ლიგის ოქმები, გვ. 64), მე არ მიფიქრნია ეჭვი შემეტანა მისი სიტყვების სიმართლეში, რომ სიის ავტორი ის არ იყო. ავტორობის საკითხი საერთოდ აქ არაფერ შუაშია; თუ ვის მიერ იყო დასახული სია, რომელიმე ისკრელის თუ «ცენტრის» რომელიმე წარმომადგენლის მიერ და სხვ. — ამას სრულიად არავითარი მნიშვნელო-

ბა არა აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სია, რომელიც მთლად ახლანდელი უმცირესობის წევრთაგან შესდგებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა ყრილობაზე, თუგინდ როგორც უბრალო ვარაუდი ან მოსაზრება! ყ ო ვ ე ლ ა ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი, ბოლოს და ბოლოს, ის არის, რომ ამხ. მარტოვს ყრილობაზე უ ხ დ ე ბ ო დ ა ყოველგვარი საშუალებით თავიდან მოეშორებინა ა ს ე თ ი სია, რომელსაც ახლა იგი აღტაცებით უ ნ დ ა შეხვედროდა. შეუძლებელია იმაზე უფრო რელიეფურად დასურათება მერყეობისა ადამიანთა და ელფერთა შეფასებაში, როგორც ამ ნახტომით ორიოდე თვეში: «სამარცხვინო ხმების» შესახებ წუწუნიდან ცენტრში ასარჩევთა თითქოს სამარცხვინო სიის სწორედ ამ კანდიდატების პარტიისთვის თავზე მოხვევამდე! *.

ეს სია, — ამბობდა ამხ. მარტოვი ლიგის ყრილობაზე, — «ნიშნავდა პოლიტიკურად ჩვენსა და «იუჟნი რაბოჩის» კოალიციას ბუნდთან, კოალიციას პ ი რ დ ა პ ი რ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს აზრით» (გვ. 64). ეს სწორი არაა, ვინაიდან, ჯერ-ერთი, ბუნდი არასოდეს არ მოინდომებდა «შეთანხმებას» იმნაირ სიაზე, რომელშიც არც ერთი ბუნდელი არ იყო; მეორეც, პირდაპირ შეთანხმებაზე (რაც მარტოვს სამარცხვინოდ ეჩვენებოდა) არ ყოფილა დ ა ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ლ ა პ ა რ ა კ ი არამცთუ ბუნდთან, არამედ «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფთანაც კი. საქმე ეხებოდა სწორედ არა შეთანხმებას, არამედ კოალიციას, არა იმას, რომ ამხ. მარტოვს საქმე მოეჭახრაკებინა, არამედ იმას, რომ მისთვის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ხ ა რ ი უ ნ დ ა დ ა ე ჭ ი რ ა თ სწორედ იმ ანტიისკრელ და მერყევ ელემენტებს, რომლებსაც ის ებრძოდა ყრილობის პირველი ნახევრის განმავლობაში და რომლებმაც ხელი ჩასჭიდეს მის შეცდომას წესდების § 1-ში. ჩემს მიერ მოყვანილი წერილი სრულიად -უდავოდ ამტკიცებს, რომ «შეურაცხყოფის» ფ ე ს ვ ს წარმოადგენდა

* წინა სტრიქონები უკვე აწყობილი იყო, როცა მივიღეთ ცნობა ამხ. გუსევისა და ამხ. დეიჩის ინციდენტის შესახებ. ჩვენ ამ ინციდენტს ცალკე გავარჩევთ დ ა მ ა ტ ე ბ ა შ ი (იხ. ეს ტომი, გვ. 519 — 530. რ ე დ.).

სწორედ ოპორტუნიზმის აშკარა, და მასთან კიდევ ცრუ ბრალდება. ეს «ბრალდებები», რომელთა გამოც ერთი ალიაქოთი ატყდა, და რომელთაც ახლა ასე გულმოდგინედ გვერდს უვლის ამხ. მარტოვი, მიუხედავად ჩემი გახსენებისა «წერილში რედაქციისადმი», ორგვარი იყო. ჯერ-ერთი, წესდების § 1-ის შესახებ კამათის დროს პლეხანოვმა პირდაპირ სთქვა, რომ § 1-ის საკითხი — ეს არის ჩვენგან «ოპორტუნიზმის ყოველგვარ წარმომადგენელთა ჩამოშორების» საკითხი და რომ ჩემს პროექტს, როგორც დასაყრდენს, რათა ოპორტუნისტები არ შემოიჭრან პარტიაში, «სწორედ მარტო ამიტომ უნდა მისცეს ხმა ოპორტუნიზმის ყველა მოწინააღმდეგემ» (ყრილობის ოქმების 246 გვ.). ამ ენერგიულმა სიტყვებმა, მიუხედავად იმ მცირედი შერბილებისა, რომელიც მე შევიტანე შიგ (გვ. 250) *, სენსაცია გამოიწვია, რაც ნათლად გამოიხატა ამხ. რუსოვის (გვ. 247), ტროცკის (გვ. 248) და აკიმოვის (გვ. 253) სიტყვებში. ჩვენი «პარლამენტის» «კულუარებში» პლეხანოვის თეზისს დაუსრულებელი დავის დროს § 1-ის გამო ათასნაირ კომენტარს უკეთებდნენ და ათასნაირი ვარიაციით აყენებდნენ. და აი, ნაცვლად იმისა, რომ არსებითად თავი დაეცვათ, ჩვენმა ძვირფასმა ამხანაგებმა სასაცილოდ იწყინეს და ხელი მიჰყვეს წერილობითს საჩივრებს «ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდების» შესახებ!

წრეობანის და საოცარი პარტიული მოუმწიფებლობის ფსიქოლოგიამ, რომელსაც არ შეეძლო აეტანა ყველას წინაშე დავის სააშკარაოზე გამოტანის მაცოცხლებელი სიო — აქ თვალნათლივ იჩინა თავი. ესაა რუსი ადამიანისთვის ის ნაცნობი ფსიქოლოგია, რომელიც გამოხატულია ძველებურ თქმაში: ან კბილებს ჩაგიმტვრევ, ან ხელი მიბოძეთო! ეს ხალხი ისე შეეჩვია ვიწრო და თბილი კომპანიის შუშის ხუფქვეშ ყოფნას, რომ გული მისდის თავისი პასუხისმგებლობით თავისუფალ და აშკარა ასპარეზზე პირველ გამოსვლისთანავე.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 6, გვ. 621 — 622. რედ.

ოპორტუნიზმის დაბრალება და მერე ვისთვის? «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისთვის, და ისიც მისი უმრავლესობისთვის, — განა შეიძლება წარმოიდგინოთ ასეთი საშინელება! ან პარტიული განხეთქილება ასეთი წარუხოცელი შეურაცხყოფისათვის, ან ამ «შინაური უსიამოვნების» მიჩქმალვა შუშის ხუფის «თანამომდევნობის» აღდგენით — ეს დილემა უკვე საკმაოდ გარკვეულად არის დასახული ზემოხსენებულ წერილში. ინტელიგენტური ინდივიდუალიზმისა და წრეობანის ფსიქოლოგია შეეჯახა პარტიის წინაშე აშკარა გამოსვლის მოთხოვნას. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, განა გერმანიის პარტიაში შესაძლებელია ისეთი შეუსაბამობა, ისეთი კინკლაობა, როგორიცაა ჩივილი «ოპორტუნიზმის ცრუ დაბრალების» შესახებ! პროლეტარულმა ორგანიზაციამ და დისციპლინამ იქ დიდი ხანია რაც ეს ინტელიგენტური დონდლობა მოსპო. არავინ არ ეპყრობა სხვანაირად, თუ არა უდიდესი პატივისცემით, ვთქვათ, ლიბკნეხტს, მაგრამ იქ სასაცილოდ არ ეყოფოდათ ჩ ი ვ ი ლ ი, რომ მას «აშკარად დააბრალეს ოპორტუნიზმი» (ბებელთან ერთად) 1895 წლის ყრილობაზე, როცა ის აგრარულ საკითხში აშკარა ოპორტუნისტის ფოლმარისა და მისი მეგობრების ცუდ კომპანიაში აღმოჩნდა. ლიბკნეხტის სახელი განუყრელად დაკავშირებულია გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიასთან არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ლიბკნეხტი ოპორტუნიზმში გადავარდა ასეთი შედარებით წვრილმანი და კერძო საკითხის გამო, არამედ მიუხედავად ამისა. და სწორედ ასევე, მიუხედავად ბრძოლის ყოველგვარი გამწვავებისა, სახელი, ვთქვათ, ამხ. აქსელროდისა იწვევს და ყოველთვის გამოიწვევს ყოველ რუს სოციალ-დემოკრატში პატივისცემას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამხ. აქსელროდს შეემთხვა დაეცვა ჩვენი პარტიის მეორე ყრილობაზე ოპორტუნისტული იდეა, შეემთხვა ლიგის მეორე ყრილობაზე გამოექეცა ძველი ანარქისტული აბდაუბდა, არამედ სწორედ მიუხედავად ამისა. მხოლოდ ყოვლად დამყაყებულ წრეობანას თავისი ლოგიკით: ან კბილებს ჩაგიმტვრევ, ან ხელი მიბოძეთო, შე-

ეძლო აეტეხნა ისტერიკა, კინკლაობა და პარტიული გათიშვა ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფის უმრავლესობისთვის ოპორტუნიზმის ცრუ დაბრალების» გამო.

ამ საშინელი ბრალდების მეორე საფუძველი მეტად განუყრელადაა დაკავშირებული წინა ბრალდებასთან (ამხ. მარტოვი გულმოდგინედ ცდილობდა ლიგის ყრილობაზე (გვ. 63) გვერდი აევლო და მიეჩქმალა ამ ინციდენტის ე რ თ-ე რ თ ი მხარე). ის ეხება ამხ. მარტოვთან ანტიისკრელი და მერყევი ელემენტების სწორედ იმ კ ო ა ლ ი ც ი ა ს, რომელიც დ ა ი ს ა ხ ა წესდების § 1-ის გამო. რასაკვირველია, არავითარი არც პირდაპირი, არც არაპირდაპირი შეთანხმება ამხ. მარტოვსა და ანტიისკრელებს შორის არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, და ამაში არც არავის ეჭვი არ შეუტანია: ასეთი რამ მას მხოლოდ შიშის გამო მოეჩვენა. მაგრამ მისმა შეცდომამ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ თავი იჩინა სწორედ იმაში, რომ იმ ადამიანებმა, რომელნიც უეჭველად ოპორტუნიზმისაკენ იხრებოდნენ, მის გარშემო დაიწყეს შექმნა სულ უფრო და უფრო მჭიდრო «კომპაქტური» უმრავლესობისა (რომელიც ახლა უმცირესობად იქცა მ ხ ო ლ ო დ შვიდი დელეგატის «შემთხვევით» წასვლის გამო). ამ «კოალიციაზე» ჩვენ მივუთითებდით, რა თქმა უნდა, ა შ კ ა რ ა დ ვ ე და მაშინვე § 1-ის შემდეგ ყრილობაზედაც (იხ. უკვე ზემოაღნიშნული შენიშვნა ამხ. პავლოვიჩისა, ყრილობის ოქმების გვ. 255) და «ისკრის» ორგანიზაციაშიც (განსაკუთრებით ამაზე მიუთითებდა, როგორც მახსოვს, პლეხანოვი). ეს სიტყვა-სიტყვით იგივე მითითება და იგივე დაცინვაა, რომელიც ხვდა ბებელსაც ლიბკნეხტთან ერთად 1895 წელს, როცა ცეტკინამ უთხრა მათ: **«Es tut mir in der Seele weh, dass ich dich in der Gesellschaft seh,»** (გული მტკივა, რომ გხედავ შენ — ე. ი. ბებელს — ასეთ კომპანიაში — ე. ი. ფოლმარსა და კომპანიასთანო). მართლაც, უცნაურია, რომ ბებელს ლიბკნეხტთან ერთად კაუტსკისა და ცეტკინისთვის არ გაუგზავნია მაშინ ისტერიკული წერილი ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდების შესახებ...

რაც შეეხება ც. კ.-ის კანდიდატების სიას, ეს წერილი გვიჩვენებს ამხ. მარტოვის შეცდომას, ლიგაში რომ ამტკიცებდა, თითქოს უარისთქმა ჩვენთან შეთანხმებაზე ჯერ კიდევ საბოლოო არ ყოფილიყოს, — ეს ზედმეტი მაგალითია იმისა, თუ რა უგუნურებაა პოლიტიკურ ბრძოლაში ცდილობდე მეხსიერებით აღადგინო ნ ა ლ ა პ ა რ ა კ ე ვ ი, ნაცვლად დოკუმენტებით შემოწმებისა. ნამდვილად კი «უმცირესობას» იმდენად თავმდაბლად ეჭირა თავი, რომ «უმრავლესობას» ულტიმატუმს უდგენდა: შეიყვანეთ ორი «უმცირესობიდან» და ერთიც (კომპრომისის სახით და ისიც მ ხ ო ლ ო დ დათმობისთვის!) «უმრავლესობიდანო». ეს საკვირველია, მაგრამ ფაქტია. და ეს ფაქტი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა სისულელეა ახლანდელი ლათაიები, თითქოს «უმრავლესობა» ყრილობის ერთი ნახევრის სახით ირჩევდა მხოლოდ ერთი ნახევრის წარმომადგენლებს. ს წ ო რ ე დ პ ი რ ი ქ ი თ: მარტოველები მხოლოდ დათმობის სახით გვთავაზობდნენ ერთს სამში და განზრახვა ჰქონდათ, მაშასადამე, თუ ჩვენ არ დავთანხმდებოდით ასეთ ორიგინალურ «დათმობაზე», ყ ვ ე ლ ა თავისიანი გაეყვანათ! ჩვენს კერძო თათბირზე ბევრი ვიცინეთ მარტოველების ასეთ თავმდაბლობაზე და შევადგინეთ ჩვენი სია: გლებოვი — ტრავინსკი (შემდეგ ც. კ.-ში არჩეული) — პ ო პ ო ვ ი. ეს უკანასკნელი ჩვენ შევცვალეთ (აგრეთვე 24-ის კერძო კრებაზე) ამხ. ვასილიევით (რომელიც შემდეგ არჩეულ იქნა ც. კ.-ში) მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ, რომ ამხ. პოპოვმა უარი სთქვა ჩვენს სიაში ყოფილიყო, უარი სთქვა ჯერ კერძო საუბარში, შემდეგ კი ყრილობაზეც, აშკარად (გვ. 338).

ა ი რ ო გ ო რ ი ყ ო ს ა ქ მ ე.

თავმდაბალ «უმცირესობას» ჰქონდა თავმდაბლური სურვილი — ყოფილიყო უმრავლესობად. როცა ეს თავმდაბლური სურვილი არ იქნა დაკმაყოფილებული, «უმცირესობამ» ინება სრულიად უარი ეთქვა და სკანდალი დაეწყო. ახლა კი მოიპოვებიან კიდევ ადამიანები, რომლებიც მედიდური მოწყა-

ლებით ლაპარაკობენ «უმრავლესობის» «დაუთმობლობაზე»!

«უმცირესობა» სასაცილო ულტიმატუმებს უყენებდა «უმრავლესობას», როცა თავისუფალი აგიტაციის ლაშქრობას მართავდა ყრილობაზე. მაგრამ რაკი დამარცხდნენ, ჩვენი გმირები ატირდნენ და ყვირილი მორთესაალყოწესების შესახებ. **Voilà tout** *.

საშინელი ბრალდება იმისა, რომ განზრახვა გვქონდა შეგვეცვალა რედაქციის შემადგენლობა, ჩვენ მოვისმინეთ (24-ის კერძო კრებამ) აგრეთვე ღიმილით: ყრილობის დაწყებიდანვე და ჯერ კიდევ ყრილობამდე ყველამ მშვენივრად იცოდა თავდაპირველი სამეულის არჩევით რედაქციის განახლების გეგმა (უფრო დაწვრილებით ამაზე მაშინ ვიტყვი, როცა ლაპარაკი იქნება ყრილობის მიერ რედაქციის არჩევის შესახებ). «უმცირესობას» რომ შეეშინდა ამ გეგმისა მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ ამ გეგმის სისწორის საუკეთესო დამადასტურებელი იყო «უმცირესობის» კოალიცია ანტიისკრელებთან, — ეს ჩვენ არ გაგვკვირვებია, ეს სრულიად ბუნებრივი იყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო სერიოზულად მიგვეჩნია წინადადება ჩვენი ნებით, ვიდრე ყრილობაზე ბრძოლა მოხდებოდა, უმცირესობად გადავქცეულიყავით, არ შეგვეძლო სერიოზულად მიგვეჩნია მთელი წერილი, რომლის ავტორები იმ ზომამდე გაბრაზდნენ, რომ ლაპარაკობდნენ «ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდებაზე». ჩვენ შტკიცედ ვიყავით დაიმედებული, რომ პარტიული მოვალეობა ძალიან მალე გაიმარჯვებდა «გულის მოფხანის» ბუნებრივ სურვილზე.

ლ) კამათის გაგრძელება წესდებაზე. საბჭოს შემადგენლობა

წესდების შემდგომი პუნქტები გაცილებით მეტ დავას იწვევდნენ წვრილმანებზე, ვიდრე ორგანიზაციის პრინციპების შესახებ. ყრილობის 24-ე სხდომა მთლად მოუნდა პარ-

* — ეს იყო და ეს. რ ე დ.

ტიულ ყრილობებზე წარმომადგენლობის საკითხს, ამასთან გადამწყვეტ და გარკვეულ ბრძოლას ყველა ისკრელთათვის საერთო გეგმების წინააღმდეგ ეწეოდნენ ისევ მხოლოდ ბუნდელები (გოლდბლატი და ლიბერი, გვ. 258—259) და ამხ. აკიმოვი, რომელმაც საქებური გულახდილობით აღიარა თავისი როლი ყრილობაზე: «მე ყოველთვის სრული შეგნებით ვლაპარაკობ, რომ ჩემი საბუთებით გავლენას ვერ მოვახდენ ამხანაგებზე, პირიქით, ზიანსაც კი მივაყენებ იმ პუნქტს, რომელსაც ვიცავ» (გვ. 261). ეს მოსწრებული შენიშვნა სწორედ დროულად იყო ნათქვამი მაშინვე წესდების § 1-ის შემდეგ, მხოლოდ სავსებით მართებულად ვერ არის აქ ნახმარი გამოთქმა «პირიქით», ვინაიდან ამხ. აკიმოვს ეხერხებოდა არათუ ზიანის მიყენება განსაზღვრული პუნქტებისთვის, არამედ ამავე დროს და სწორედ ამითვე «გავლენის მოხდენაც ამხანაგებზე»... იმ მეტად არათანამიმდევარი ისკრელებიდან, რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ ოპორტუნისტული ფრაზისადმი.

საერთოდ, წესდების § 3, რომელიც განსაზღვრავდა ყრილობაზე წარმომადგენლობის პირობებს, მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ, თაეი შეიკავა 7-მა (გვ. 263), — ცხადია, ანტიისკრელთა რიცხვიდან.

<u>დავამ საბჭოს შემადგენლობის შესახებ, რასაც ყრილობის 25-ე სხდომის დიდი ნაწილი მოანდომეს, გამო

სხვადასხვა საშუალებას იმ სამი საშუალების დამატებით, რომლებიც წამოაყენა საწესდებო კომისიის ხუთმა წევრმა.

სადავო საკითხები უპირველეს ყოვლისა ეხებოდა საბჭოს ამოცანების განსაზღვრას: სამედიატორო სასამართლო თუ პარტიის უმაღლესი დაწესებულება? პირველს, როგორც უკვე ვთქვი, თანამიმდევრად იცავდა ამხ. პანინი. მაგრამ ის მარტო იყო. ამხ. მარტოვმა გადაჭრით გაილაშქრა მის წინააღმდეგ: «მე წინადადებას ვიძლევი უარყოფილ იქნას წინადადება, რომ ამოვშალოთ სიტყვები: «საბჭო არის უმაღლესი დაწესებულება»: ჩვენი ფორმულირება» (ე. ი. საბჭოს ამოცანათა ფორმულირება, რაზედაც ჩვენ შევთანხმდით საწესდებო კომისიაში) «განზრახ იძლევა იმის საშუალებას, რომ საბჭო განვითარდეს უმაღლეს პარტიულ დაწესებულებად. ჩვენთვის საბჭო მარტო შემარიგებელი დაწესებულება როდია». ნამდვილად კი, ამხ. მარტოვის პროექტით, საბჭოს შემადგენლობა სავსებით და მხოლოდ და მხოლოდ შეეფერებოდა «შემარიგებელ დაწესებულებათა» ანუ სამედიატორო სასამართლოთა ხასიათს: ორ-ორი წევრი ორივე ცენტრისგან და მეხუთე, მოწვეული ამ ოთხის მიერო. საბჭოს არათუ ასეთი შემადგენლობა, არამედ ისიც, რომელიც ყრილობამ მიიღო, ამხ. რუსოვისა და ჰერცის წინადადებით (მეხუთე წევრს ყრილობა ნიშნავსო), შეესაბამება მხოლოდ და მხოლოდ შერიგების ან შუამავლობის მიზნებს. საბჭოს ამნაირ შემადგენლობასა და მის დანიშნულებას შორის — იქცეს პარტიის უმაღლეს დაწესებულებად — შეურიგებელი წინააღმდეგობაა. პარტიის უმაღლესი დაწესებულება უნდა იყოს მუდმივი შემადგენლობისა და არ უნდა იყოს დამოკიდებული ცენტრების შემადგენლობის შემთხვევითს (ზოგჯერ ჩავარდნათა გამო) ცვლილებებზე. უმაღლეს დაწესებუ-

---

და სრულიად თანამიმდევრად შეჰქონდა ისეთი რეზოლუციები, რომელნიც საბჭოს აქცევდა წმინდა სამედიატორო, შემარიგებელ დაწესებულებად, მაშინ როდესაც ამხ. სტაროვერმა არ იცოდა, რა სურდა, როცა ამბობდა: პროექტის თანახმად, საბჭო იკრიბება მხოლოდ მხარეთა სურვილითო» (გვ. 266). ეს აშკარად სწორი არ არის.

ლებას უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს პარტიულ ყრილობასთან, მისგან უნდა ღებულობდეს თავის რწმუნებებს და არა ორი სხვა ისეთი პარტიული დაწესებულებისგან, რომლებიც ყრილობას ემორჩილებიან. უმაღლესი დაწესებულება ისეთი პირებისაგან უნდა შესდგებოდეს, რომელთაც იცნობს პარტიული ყრილობა. ბოლოს, უმაღლესი დაწესებულება არ შეიძლება ისე იყოს ორგანიზებული, რომ თვით მისი არსებობა დამოკიდებული იყოს შემთხვევაზე: ვერ შეთანხმდა ორი კოლეგია მეხუთის არჩევაში, და პარტიასაც არ ეყოლება უმაღლესი დაწესებულება! ამის საწინააღმდეგოდ ამბობდნენ: 1) ხუთში ერთმა რომ თავი შეიკავოს და დანარჩენი ოთხი ორ წყვილად გაიყოს, მდგომარეობა ისევ გამოუვალი შეიქნებაო (ეგოროვი). ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა ხანდახან აუცილებელია ყოველი კოლეგიისთვის, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელი იყოს კოლეგიის შედგენა. მეორე მოსაზრება: «თუ ისეთმა დაწესებულებამ, როგორიცაა საბჭო, ვერ შესძლო მეხუთე წევრის არჩევა, ეს მაშინ იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება საერთოდ არ არის ქმედუნარიანიო» (ზასულიჩი). მაგრამ აქ საქმე ქმედუნარიანობა კი არაა, არამედ უმაღლესი დაწესებულების არარსებობა: თუ მეხუთე წევრი არ იქნება, არ იქნება არავითარი საბჭო, არ იქნება არავითარი «დაწესებულება», და ქმედუნარიანობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნება. ბოლოს, კიდევ გამოსასწორებელი ბოროტება იქნებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ისეთი შემთხვევები, როცა ვერ შესდგება ხოლმე ერთ-ერთი ისეთი პარტიული კოლეგია, რომლის ზევით დგას მეორე, უმაღლესი, ვინაიდან მაშინ ეს უმაღლესი კოლეგია სასწრაფო შემთხვევაში ყოველთვის შესძლებდა ასე თუ ისე შეევსო ხარვეზი. მაგრამ საბჭოს მაღლა არავითარი კოლეგია, გარდა ყრილობისა, არ არის; ამიტომ წესდებაში იმის შესაძლებლობის დატოვება, რომ

საბჭოს შ ე დ გ ე ნ ა ც კ ი შეუძლებელი იყოს — აშკარა ულოგიკობაა.

ორივე ჩემი მოკლე სიტყვა ყრილობაზე ამ საკითხის გამო ეხებოდა მ ხ ო ლ ო დ ა მ ო რ ი მცდარი მოსაზრების გარჩევას (გვ. 267 და 269), რომლებითაც იცავდნენ მარტოვის პროექტს თვითონ ის და სხვა ამხანაგები. ხოლო საბჭოში ც. ო.-ს თუ ც. კ.-ის უპირატესობის საკითხს მ ე ა რ ც კ ი შ ე ვ ხ ე ბ ი ვ ა რ. ამ საკითხს ც. ო.-ს უპირატესობის საფრთხეზე მითითების აზრით პ ი რ ვ ე ლ ა დ შეეხო ამხ. ა კ ი-მ ო ვ ი ჯერ კიდევ ყრილობის მე-14 სხდომაზე (გვ. 157), და მ ხ ო ლ ო დ ამხ. აკიმოვის გზას გაჰყვნენ ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე მ დ ე გ ამხ. მარტოვი, აქსელროდი და სხვები უაზრო და დემაგოგიური ზღაპრის შექმნაში: «უმრავლესობას» სურს ც. კ. გადააქციოს რედაქციის იარაღადო. როცა ამხ. მარტოვი ამ საკითხს შეეხო თავის «საალყო წესებში», მან მორიდებით გვერდი აუარა მის ნამდვილ ინიციატორს!

ვინც მოისურვებს იმის გაცნობას, თუ როგორ იყო პარტიის ყრილობაზე მ თ ლ ი ა ნ ა დ დაყენებული საკითხი ც. კ.-ის მიმართ ც. ო.-ს უპირატესობის შესახებ და არ დაკმაყოფილდება ცალკეული, მთლიანი აზრიდან ამოგლეჯილი ციტატებით, ის ადვილად დაინახავს ამხ. მარტოვის მიერ საქმის დამახინჯებას. ჯერ კიდევ მე-14 სხდომაზე ამხ. პ ო პ ო-ვ ი დ ა ა რ ა ს ხ ვ ა ვ ი ნ მ ე იწყებს პოლემიკას ა მ ხ. ა კ ი-მ ო ვ ი ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ; აკიმოვს სურს «პარტიის მწვერვალზე დაიცვას «ფრიად სასტიკი ცენტრალიზაცია», რ ა თ ა შ ე ა ს უ ს ტ ო ს ც. ო.-ს გ ა ვ ლ ე-ნ ა ო» (გვ. 154, ხაზგასმა ჩემია), «სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი აზრი ასეთი (აკიმოვისეული) სისტემისაო». «ამნაირ ცენტრალიზაციას — დასძენს ამხ. პოპოვი — მე არათუ არ ვიცავ, არამედ მზად ვარ ყოველი ღონისძიებით ვებრძოლო მას, რადგან ის — ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს დ რ ო-შ ა არისო». აი სად არის ფესვი ც. კ.-ის მიმართ ც. ო.-ს უპირატესობის ყბადაღებული საკითხისა, და გასაკვირველიც არ არის, რომ ამხ. მარტოვი ახლა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ამ

საკითხის ნამდვილი წარმოშობა მიაფუჩეჩოს. ამხ. პოპოვსაც კი არ შეეძლო არ დაენახა აკიმოვის მხრივ ც. ო.-ს * უპირატესობის ასეთი განმარტების ოპორტუნისტული ხასიათი და, რათა აშკარად გამოჰყოფოდა ამხ. აკიმოვს, ამხანაგი პოპოვი კატეგორიულად აცხადებდა: «დაე ამ ცენტრში (საბჭოში) სამი წევრი იყოს რედაქციისაგან და ორი წევრი ც. კ.-საგან. ეს მეორეხარისხოვანი საკითხია (ხაზგასმა ჩემია): საყურადღებო კი ისაა, რომ პარტიის ხელმძღვანელობა, უმაღლესი ხელმძღვანელობა მომდინარეობდეს ერთი სათავიდანო» (გვ. 155). ამხ. აკიმოვი უპასუხებს: «პროექტით ც. ო.-ს უპირატესი მდგომარეობა საბჭოში უზრუნველყოფილია უკვე იმით, რომ რედაქციის შემადგენლობა მუდმივია, ც. კ.-ისა კი ცვალებადიო» (გვ. 157), — ეს საბუთი ეხება მხოლოდ პრინციპული ხელმძღვანელობის «მუდმივობას» (ეს მოვლენა ნორმალური და სასურველია), და სრულებითაც არა ისეთ «უპირატესობას», რომელიც ჩარევას ან დამოუკიდებლობის შებღალვას გულისხმობს. ამხ. პოპოვი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა «უმცირესობას», ცენტრების შემადგენლობის გამო უკმაყოფილებას რომ ჰფარავდა ჭორიკანობით, თითქოს

* არც ამხ. პოპოვი, არც ამხ. მარტოვი არ ერიდებოდნენ ეწოდებინათ ამხ. აკიმოვისთვის ოპორტუნისტი; ისინი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს და აღშფოთდნენ მხოლოდ მაშინ, როცა თვით მათ მიმართ იხმარეს ეს სახელწოდება და იხმარეს სამართლიანად «ენათა თანასწორუფლებიანობისა» თუ § 1-ის გამო. მაგრამ ამხ. აკიმოვს, რომლის კვალსაც გაჰყვა ამხ. მარტოვი, უნარი შესწევდა ბევრად უფრო მეტი ღირსებით და ვაჟკაცურად დაეპირა თავი პარტიულ ყრილობაზე, ვიდრე ამხ. მარტოვსა და კომპ. ლიგის ყრილობაზე. «მე აქ, — ამბობდა ამხ. აკიმოვი პარტიის ყრილობაზე — ოპორტუნისტს მიწოდებენ; მე პირადად ეს სიტყვა მიმაჩნია სალანძღავ, შეურაცხმყოფელ სიტყვად, და ვფიქრობ, რომ მე ის სრულიად არ დამიმსახურებია, მაგრამ მე ამის წინააღმდეგ პროტესტს არ ვაცხადებო» (გვ. 296). იქნებ ამხ. მარტოვმა და სტაროვერმა წინადადება მისცეს ამხ. აკიმოვს ხელი მოეწერნა იმათ პროტესტზე, რომელიც შეეხებოდა ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდებას, მაგრამ ამხ. აკიმოვმა კი უარი უთხრა?

ც. კ. დამოუკიდებელი არააო, ამბ. აკიმოვს სრულიად სამართლიანად უპასუხებს: «მე წინადადებას ვიძლევი ჩაითვალოს ის (საბჭო) პარტიის ხელმძღვანელ ცენტრად, და მაშინ სრულიად აღარ არის საყურადღებო საკითხი, საბჭოში ვის უფრო მეტი წარმომადგენელი ეყოლება — ც. ო.-ს თუ ც. კ.-სო» (გვ. 157 — 158. ხაზგასმა ჩემია).

როცა საბჭოს შემადგენლობის საკითხის განხილვა განახლდა 25-ე სხდომაზე, ამბ. პავლოვიჩი განაგრძობს ძველ კამათს და მხარს უჭერს ც. ო.-ს უპირატესობას ც. კ.-ის მიმართ, «რადგან პირველი უფრო მტკიცეაო» (264); მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ პრინციპული სიმტკიცე, რაც სწორედ ასე გაიგო ამბ. მარტოვმაც, რომელმაც ილაპარაკა უმალვე ამბ. პავლოვიჩის შემდეგ; მარტოვს საჭიროდ არ მიაჩნდა «ერთი დაწესებულების მეორის მიმართ უპირატესობის ფიქსირება» და მიუთითებდა, ც. კ.-ის ერთ-ერთი წევრი შესაძლებელია საზღვარგარეთ იმყოფებოდესო: «ამით რაოდენიმედ დაცული იქნება ც. კ.-ის პრინციპული სიმტკიცეო» (264). აქ ჯერჯერობით პრინციპული სიმტკიცის და მისი დაცვის საკითხისა და ც. კ.-ის დამოუკიდებლობის დაცვის საკითხის დემაგოგიური აღრევის ნატამალიც კი არ არის. ამ აღრევას, რაც ყრილობის შემდეგ თითქმის მთავარი საბუთი გახდა ამბ. მარტოვის ხელში, ყრილობაზე დაჟინებით ატარებდა მხოლოდ ამბ. აკიმოვი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკობდა «წესდების არაკჩეევისებურ სულისკვეთებაზე» (268), იმაზე, რომ «თუ პარტიის საბჭოში ც. ო.-ს სამი წევრი აღმოჩნდება, ც. კ. რედაქციის ნების უბრალო შემსრულებლად გადაიქცევაო (ხაზგასმა ჩემია). საზღვარგარეთ მცხოვრები სამი პირი უფლებას მიიღებს განუსაზღვრელად (!!) განაგოს მთელი (!!) პარტიის მუშაობა. ისინი უზრუნველყოფილი არიან უშიშროების მხრივ და ამიტომ მათი ძალაუფლება მუდმივიაო» (268). აი სწორედ ამ, სრულიად უაზრო და დე-

მაგოგიური ფრაზების წინააღმდეგ, რომლებიც ი დ ე უ რ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა ს სცვლიან მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს მ უ შ ა ო ბ ა შ ი ჩ ა რ ე ვ ი თ (და რომლებმაც ყრილობის შემდეგ იაფფასიანი ლოზუნგი მიაწოდეს ამხ. აქსელროდს მისი ლათაიებითურთ «თეოკრატიის» შესახებ), — ა მ ფ რ ა ზ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლაპარაკობდა ისევ ამხ. პავლოვიჩი; მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მხარს უჭერს «იმ პრინციპების სიმტკიცესა და სიწმინდეს, რომელთა წარმომადგენელიც არის «ისკრა». როცა ცენტრალური ორგანოს რედაქციას უპირატესობას ვაძლევ, ამით განვამტკიცებ ამ პრინციპებსო».

აი როგორ დგას ნამდვილად ც. კ.-ის მიმართ ც. ო.-ს ყბადაღებული უპირატესობის საკითხი. ამხ. აქსელროდისა და ამხ. მარტოვის ეს განთქმული «პრინციპული უთანხმოება» სხვა არა არის რა, თუ არა გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა ა მ ხ ა ნ ა გ ა კ ი მ ო ვ ი ს ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი და დ ე მ ა გ ო გ ი უ რ ი ფ რ ა ზ ე ბ ი ს ა, რომელთა ნამდვილ ხასიათს ნათლად ხედავდა ამხანაგი პოპოვიც კი, ხედავდა მაშინ, როცა მას ჯერ კიდევ არ განეცადა დამარცხება ცენტრების შემადგენლობის საკითხში!

* *

საბჭოს შემადგენლობის საკითხის შეჯამება: მიუხედავად ამხ. მარტოვის ცდისა დაემტკიცებინა «საალყო წესებში», რომ ის, რაც მე ვთქვი «წერილში რედაქციისადმი» წინააღმდეგობას შეიცავს და უმართებულოაო, ყრილობის ოქმები ცხადჰყოფს, რომ ეს საკითხი 1-ლ პარაგრაფთან შ ე დ ა რ ე ბ ი თ მართლაც მხოლოდ წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი იყო, რომ ს რ უ ლ ი დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა იყო სტატიაში «ჩვენი ყრილობა» («ისკრა», № 53) გამოთქმული აზრი, ვითომდა ჩვენ ვდავობდით «თითქმის მხოლოდ და მხოლოდ» პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა მოწყობაზე. ეს დამახინჯება მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ სტატიის ავტორმა ს რ უ ლ ი ა დ ბ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ა დ ა ვ ა ს 1-ლ ი პ ა რ ა გ რ ა ფ ი ს შ ე-

ს ა ხ ე ბ. შემდეგ, საბჭოს შემადგენლობის საკითხზე ისკრელთა განსაზღვრული დაჯგუფება რომ არ ყოფილა, ამასაც ოქმები ადასტურებს: სახელობითი კენჭისყრა არ მომხდარა, მარტოვი არ ეთანხმება პანინს, მე კი ვეთანხმები პოპოვს, ეგოროვი და გუსევი განცალკევებულად დგანან და სხვ. დასასრულ, ჩემი უკანასკნელი მოსაზრება (რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე გამოთქმული), რომ მარტოველების კოალიცია ანტიისკრელებთან მტკიცე ხდება-მეთქი, ა გ რ ე თ ვ ე დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ამხ. მარტოვისა და ამხ. აქსელროდის ახლა ყველასათვის თვალსაჩინო შემობრუნებით ამხ. აკიმოვისაკენ ამ საკითხშიც.

მ) დასასრული კამათისა წესდებაზე. ცენტრების კოოპტაცია. «რაბოჩეე დელოს» დელეგატების წასვლა

შემდგომი კამათიდან წესდების გარშემო (ყრილობის 26-ე სხდომა) აღსანიშნავია მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ძალაუფლების შეზღუდვის საკითხი, რაც ნათელს ჰფენს მარტოველების ა ხ ლ ა ნ დ ე ლ გალაშქრებას ჰიპერცენტრალიზმის წინააღმდეგ. ამხ. ეგოროვი და ამხ. პოპოვი მიისწრაფოდნენ ცენტრალიზმის შეზღუდვისაკენ რაოდენადმე უფრო მეტი რწმენით, განურჩევლად მათი საკუთარი ან მათი დახმარებით გასაყვანი კანდიდატურისა. ჯერ კიდევ საწესდებო კომისიაში მათ წინადადება შეიტანეს შეეზღუდათ ც. კ.-ის უფლება ადგილობრივი კომიტეტების დაშლის საქმეში საბჭოს თანხმობის საჭიროებით და, გარდა ამისა, ცალკე ჩამოთვლილი შემთხვევებით (გვ. 272, შენიშვნა 1). საწესდებო კომისიის სამმა წევრმა (გლებოვმა, მარტოვმა და მე) გავილაშქრეთ ამის წინააღმდეგ; ყრილობაზე ამხ. მარტოვი ჩვენს აზრს იცავდა (გვ. 273) და ეგოროვსა და პოპოვს უპასუხებდა, რომ «ც. კ. ისედაც განიხილავს საკითხს, ვიდრე ისეთ სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდეს, როგორიცაა ორგანიზაციის დაშლაო». როგორც ხედავთ, მ ა შ ი ნ ამხ. მარტოვი ჯერ

კიდევ არ ემორჩილებოდა ყოველგვარ ანტიცენტრალისტურ ზრახვებს, და ყრილობამ უარჰყო ეგოროვისა და პოპოვის წინადადება, — მაგრამ, სამწუხაროდ, ოქმებიდან ვერ ვტყობილობთ, — თუ რამდენი ხმით.

პარტიის ყრილობაზე ამხ. მარტოვი აგრეთვე «წინააღმდეგი იყო შეგვეცვალა სიტყვა აწყობს (ც. კ. აწყობს კომიტეტებს და სხვ., პარტიის წესდების § 6) სიტყვით — ამტკიცებს. უფლება უნდა მიეცეს მოაწყოს კიდეცო», — ამბობდა მაშინ ამხ. მარტოვი, რომელსაც ჯერ კიდევ აზრადაც არ მოსვლოდა შესანიშნავი, მხოლოდ ლიგის ყრილობაზე აღმოჩენილი იდეა: დამტკიცება არ შედის «მოწყობის» ცნებაშიო.

ამ ორ პუნქტს გარდა, დანარჩენი, უკვე სრულიად წვრილმანი კამათი წესდების მე-5 — 11 პარაგრაფების კერძო საკითხებზე, არა გვგონია, საინტერესო იყოს (ოქმების 273 — 276 გვ.). მე-12 პარაგრაფი ეხება კოოპტაციის საკითხს ყველა პარტიულ კოლეგიაში საერთოდ და ცენტრებში კერძოდ. კომისია წინადადებას იძლევა კოოპტაციისათვის საჭირო კვალიფიციური უმრავლესობა $^2/_3$-დან $^4/_5$-მდე ავიყვანოთ. მომხსენებელი (გლებოვი) ც. კ.-ში ერთხმივი კოოპტაციის წინადადებას იძლევა. ამხ. ეგოროვს არასასურველად მიაჩნია უხერხულობანი და ის მხარს უჭერს უბრალო უმრავლესობას, როცა მოტივირებული veto * არ არის. ამხ. პოპოვი არ ეთანხმება არც კომისიას, არც ამხ. ეგოროვს და მოითხოვს ან უბრალო უმრავლესობას (veto-ს უფლების გარეშე), ან ერთხმივობას. ამხ. მარტოვი არ ეთანხმება არც კომისიას, არც გლებოვს, არც ეგოროვს, არც პოპოვს, წინააღმდეგია ერთხმივობისა, წინააღმდეგია $^4/_5$-ისა (მხარს უჭერს $^2/_3$-ს), წინააღმდეგია «ურთიერთკოოპტაციისა», ე. ი. ც. ო.-ს რედაქციის უფლებისა — გააპროტესტოს კოოპტაცია ც. კ.-ში და პირიქით («კოოპტაციის ურთიერთი კონტროლის უფლება»).

* — აკრძალვა, აცილება. რედ.

როგორც მკითხველი ხედავს, ვღებულობთ ფრიად ჭრელ დაჯგუფებას, და უთანხმოებანი ქუცმაცდება თვითეული დელეგატის შეხედულებათა თითქმის «ერთხმივ» თავისებურებებად!

ამხ. მარტოვი ამბობს: «მე აღვიარებ არასასიამოვნო პირებთან მუშაობის ფსიქოლოგიურ შეუძლებლობას. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა აგრეთვე, რომ ჩვენი ორგანიზაცია იყოს ცხოველმყოფელი და ქმედუნარიანი... ც. კ.-ისა და ც. ო.-ს რედაქციის ურთიერთი კონტროლის უფლება კოოპტაციის დროს საჭირო არ არის. მე იმიტომ კი არა ვარ ამისი წინააღმდეგი, რომ ვფიქრობდე, ვითომ ისინი კომპეტენტური არ არიან ერთიმეორის სფეროში. არა! ც. ო.-ს რედაქციას, მაგალითად, შეუძლია ც. კ.-ს მისცეს კარგი რჩევა, შესაძლებელია თუ არა, მაგალითად, ბატონი ნადეჟდინის მიღება ც. კ.-ში. მე წინააღმდეგი ვარ იმიტომ, რომ არა მსურს შევქმნა ურთიერთის გამაღიზიანებელი კინკლაობა».

მე ვუპასუხებ მას: «აქ ორი საკითხია. პირველი — კვალიფიციური უმრავლესობის შესახებ, და მე წინააღმდეგი ვარ წინადადებისა შემცირებულ იქნას ის $^4/_5$-დან $^2/_3$-მდე. მოტივირებული პროტესტის შემოღება უანგარიშობაა, და მე მისი წინააღმდეგი ვარ. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მეორე საკითხი — კოოპტაციის მიმართ ც. კ.-ისა და ც. ო.-ს ურთიერთი კონტროლის უფლების შესახებ. ორი ცენტრის ურთიერთი თანხმობა ჰარმონიის აუცილებელი პირობაა. აქ საქმე ეხება ორი ცენტრის გათიშვას. ვისაც გათიშვა არა სურს, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არსებობდეს ჰარმონია. პარტიის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ყოფილან ისეთი ადამიანები, რომელთაც გათიშვა შეჰქონდათ. ეს საკითხი პრინციპული, მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება მასზე იყოს დამოკიდებული პარტიის მთელი მომავალი ბედი» (276 — 277). ასეთია ყრილობაზე ჩაწერილი ჩემი სიტყვის კონსპექტის სრული ტექსტი, რომელსაც განსაკუთრებით სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს ამხ. მარტოვი. სამწუხაროდ, თუმცა მას სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ იგი არ გაისარჯა დაეკავშირებინა ეს სიტყვა მთელ კამათთან და ყრი-

ლობის მთელ იმ პოლიტიკურ მომენტთან, როცა ეს სიტყვა წარმოითქვა.

უწინარეს ყოვლისა, იბადება კითხვა: პირვანდელ ჩემს პროექტში (იხ. გვერდი 394, § 11) * რატომ დავკმაყოფილდი $^2/_3$-ით და არ მოვითხოვე ურთიერთ კონტროლი ცენტრებში კოოპტაციაზე? ამხ. ტროცკიმ, რომელმაც ჩემს შემდეგ ილაპარაკა (გვ. 277), მაშინვე აღძრა ეს საკითხი.

ამ საკითხზე პასუხს იძლევა ჩემი სიტყვა ლიგის ყრილობაზე და ამხ. პავლოვიჩის წერილი II ყრილობის შესახებ. წესდების 1-ლმა პარაგრაფმა «დაამსხვრია ჭურჭელი», და ის უნდა შეგვეკრა «ორმაგი კვანძით» — ვამბობდი მე ლიგის ყრილობაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ, ჯერ ერთი, წმინდა თეორიულ საკითხში მარტოვი ოპორტუნისტი აღმოჩნდა, და მისი შეცდომა დ ა ი ც ვ ე ს ლიბერმა და აკიმოვმა. ეს ნიშნავდა, მეორე, იმას, რომ მარტოველთა (ე. ი. ისკრელთა სულ უმნიშვნელო უმცირესობის) კოალიცია ანტიისკრელებთან უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს უქმნიდა მათ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ცენტრების პირადი შემადგენლობის გაყვანის დროს. მე კი აქ სწორედ ცენტრების პ ი რ ა დ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ზ ე ვლაპარაკობდი, ხაზს ვუსვამდი ჰარმონიის აუცილებლობას და ვ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ დ ი ი ს ე თ ი «ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ა-გ ა ნ, რ ო მ ე ლ თ ა ც გ ა თ ი შ ვ ა შ ე ჰ ქ ო ნ დ ა თ». ამ გაფრთხილებას მართლაც საყურადღებო პრინციპული მნიშვნელობა ეძლეოდა, ვინაიდან «ისკრის» ორგანიზაციამ (უსათუოდ უფრო კომპეტენტურმა ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში, როგორც პრაქტიკულად ყველა საქმისა და ყველა კანდიდატის უფრო ახლოს მცნობმა) უკვე გამოსთქვა თავისი სათათბირო ხმა ამ საკითხზე, მიიღო ჩვენთვის ცნობილი გადაწყვეტილება იმ კანდიდატურების შესახებ, რომლებიც მის შიშს იწვევდნენ. მორალურადაც და არსებითადაც (ე. ი. გადაწყვეტილების გამომტანის კომპეტენტურობის მიხედვით) «ისკრის» ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ საფრთხილო საკითხში. მაგ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 592. რ ე დ.

რამ ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ ამხ. მარტოვს, რასაკვირველია, სრული უფლება ჰქონდა «ისკრის» ორგანიზაციის უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიბერებისა და აკიმოვებისათვის მიემართნა. ამხ. აკიმოვმა კი თავის ბრწყინვალე სიტყვაში 1-ლი პარაგრაფის შესახებ მეტად ნათლად და ჭკუიანად სთქვა: როცა ისკრელთა შორის უთანხმოებას ვამჩნევ მათი საერთო, ისკრული, მიზნის მიღწევის საშუალებათა საკითხში, შეგნებულად და განზრახ ვ ე მ ხ რ ო ბ ი უ ფ რ ო ც უ დ ს ა-შ უ ა ლ ე ბ ა ს, რადგან ჩემი, აკიმოვის, მიზნები დიამეტრულად ეწინააღმდეგება ისკრულ მიზნებსო. ამრიგად, ა რ ა-ვ ი თ ა რ ი ე ჭ ვ ი არ იყო, რომ, ამხ. მარტოვის ნებისა და შეგნების დამოუკიდებლადაც კი, ლიბერები და აკიმოვები მხარს დაუჭერდნენ ც ე ნ ტ რ ე ბ ი ს სწ ო რ ე დ უ ც უ დ ე ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს. მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ ხ მ ა მ ი ს-ც ე ნ, მათ ხმა უნდა მისცენ (თუ ვიმსჯელებთ არა მათი სიტყვების, არამედ მათი ს ა ქ მ ი ს, მათი ხმის მიცემის მიხედვით 1-ლი პარაგრაფის გამო) სწორედ იმ სიას, რომელიც იმედს იძლევა, რომ გავიდოდნენ «გათიშვის შემტანი ადამიანები», ხმა უნდა მისცენ სწორედ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ «გათიშვა შეიტანონ». განა საკვირველია, რომ ამნაირი სიტუაციის დროს მე ვლაპარაკობდი მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხზე (ორი ცენტრის ჰარმონია), რომელზედაც შეიძლება დამოკიდებული იყოს პარტიის მთელი მომავალი ბედი?

არც ერთ სოციალ-დემოკრატს, რომელიც რაოდენადმე მაინც იცნობს ისკრულ იდეებს, გეგმებსა და მოძრაობის ისტორიას და რაოდენადმე მაინც გულწრფელად იზიარებს ამ იდეებს, არ შეეძლო ერთი წუთითაც კი დაეჭვებულიყო, რომ ლიბერებისა და აკიმოვების მიერ «ისკრის» ორგანიზაციის შიგნით ცენტრების შემადგენლობის საკითხზე არსებული დავის გადაჭრა ფორმალურად სწორი იყო, მაგრამ უზრუნველჰყოფდა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ა რ ე ს შესაძლებელ შედეგებს. ამ ყველაზე უარესი შე-

საძლებელი შედეგების წინააღმდეგ უეჭველად უნდა გვებრძოლნა.

იბადება კითხვა: როგორ გვებრძოლნა? ჩვენ ვიბრძოდით არა ისტერიკით და არა სკანდალით, რა თქმა უნდა, არამედ ისეთი საშუალებებით, რომლებიც სრულიად ლოიალური და სრულიად კანონიერია: რაკი ვგრძნობდით, რომ უმცირესობაში ვიყავით (როგორც 1-ლი პარაგრაფის გამოც), ჩვენ ყრილობის წინაშე ვიშუამდგომლეთ უმცირესობის უფლებათა დაცვა. წევრთა მიღების დროს კვალიფიკაციის მეტი სიმკაცრით მოთხოვნასაც ($^4/_5$ ნაცვლად $^2/_3$-ისა), კოოპტაციის დროს ერთხმივობასაც, ცენტრების კოოპტაციის ურთიერთ კონტროლსაც, — ყოველივე ამას ჩვენ ვიცავდით, როცა უმცირესობაში აღმოვჩნდით ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში. ამ ფაქტს ყოველთვის უგულებელჰყოფენ სხვადასხვა ივანეები და პეტრეები, რომლებიც სიამოვნებით მსჯელობენ და მასლაათობენ ყრილობის შესახებ ზერელედ, ორიოდე მეგობრული ბაასის შემდეგ, ისე, რომ სერიოზულად როდი სწავლობენ ყველა ოქმს და დაინტერესებულ პირთა ყველა «ჩვენებას». და ყველა, ვინც მოისურვებს ამ ოქმებისა და ამ ჩვენებათა კეთილსინდისიერად შესწავლას, გარდუვალად მივა ჩემ მიერ აღნიშნულ ფაქტამდე: ყრილობის ახლანდელ მომენტში დავის ფესვი სწორედ ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში მდგომარეობს, და კონტროლის უფრო მკაცრ პირობებს სწორედ იმიტომ მოვითხოვდით, რომ უმცირესობაში ვიყავით, რომ გვინდოდა «ორმაგი კვანძით შეგვეკრა ჭურჭელი», რომელიც მარტოვმა დაამსხვრია ლიბერებისა და აკიმოვების ზეიმისა და აღტაცებული მონაწილეობის პირობებში.

«საქმე რომ ასე არ ყოფილიყო, — ამბობს ყრილობის ამ მომენტის შესახებ ამხ. პავლოვიჩი, — დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ, როცა ვაყენებდით პუნქტს კოოპტაციის დროს ერთხმივობის შესახებ, ჩვენ ვზრუნავდით ჩვენს მოწინააღ-

მდეგეებზე, ვინაიდან უპირატესობის მქონე პარტიისათვის ამა თუ იმ დაწესებულებაში ერთხმივობა არათუ საჭირო არ არის, არამედ არც ხელსაყრელია» («წერილი II ყრილობის შესახებ», გვ. 14). მაგრამ ამჟამად ხშირად, მეტად ხშირად ივიწყებენ ამბების ქრონოლოგიას, ივიწყებენ, რომ ყ რ ი ლ ო ბ ი ს მ თ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი ახლანდელი უმცირესობა იყო უმრავლესობა (ლიბერებისა და აკიმოვების მონაწილეობის წყალობით) და რომ სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ცენტრების კოოპტაციის გამო წარმოშობილი დავა, რომლის სარჩული იყო უთანხმოება «ისკრის» ორგანიზაციაში ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხზე. ვინც ამ გარემოებაში გაერკვევა, მისთვის გასაგები იქნება ჩვენი დებატების სიცხარეც, მისთვის გასაკვირველი აღარ იქნება ის მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი წინააღმდეგობაც, რომ რაღაც წვრილმანი, მცირე უთანხმოებანი იწვევენ მართლაც მნიშვნელოვან, პრინციპულ საკითხებს.

ამხ. დეიჩი, რომელიც იმავე სხდომაზე ლაპარაკობდა (გვ. 277), დიდად მართალი იყო, როცა განაცხადა: «ეჭვს გარეშეა, ეს წინადადება გათვალისწინებულია ამ მომენტისთვისო». მართლაც, მხოლოდ მაშინ, როცა გაიგებ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ო მ ე ნ ტ ს მთელი მისი სირთულით, შეიძლება გაიგო დავის ნამდვილი მნიშვნელობა. და უაღრესად მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ, როცა ჩ ვ ე ნ უმცირესობაში ვიყავით, ჩვენ ვიცავდით უმცირესობის უფლებებს ი ს ე თ ი ხ ე რ ხ ე ბ ი თ, რომელთაც კანონიერად და დასაშვებად მიიჩნევს ყოველი ევროპელი სოციალ-დემოკრატი: სახელდობრ, შუამდგომლობით ყრილობის წინაშე — უფრო სასტიკი კონტროლი დაეწესებინა ცენტრების პირად შემადგენლობაზე. სწორედ ასევე დიდად მართალი იყო ამხ. ეგოროვიც, როცა ის ლაპარაკობდა ყრილობაზევე, მაგრამ სხვა სხდომაზე: «მე დიდად მაკვირვებს, რომ კამათის დროს კვლავ მესმის პრინციპების დამოწმებაო»... (ეს ითქვა ც. კ.-ის არჩევნების გამო, ყრილობის 31-ე სხდომაზე, ე. ი. თუ არ ვცდები, ხუთშაბათ დილით, 26-ე სხდომა

კი, რომლის შესახებაც ახლა ლაპარაკია, შესდგა ორშაბათ საღამოს)... «მგონი, ყველასთვის ნათელია, რომ უკანასკნელ დღეებში მთელი კამათი ტრიალებდა საქმის არა ამა თუ იმ პრინციპული სახით დაყენების გარშემო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის გარშემო, თუ როგორ უზრუნველგვეყო ან ხელი შეგვეშალა ამა თუ იმ პიროვნების შესვლისათვის ცენტრალურ დაწესებულებებში. უნდა აღვიაროთ, რომ ამ ყრილობაზე პრინციპები დიდი ხანია დაკარგულია და საგნებს მათი ნამდვილი სახელი უნდა ვუწოდოთ. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი. მ უ რ ა ვ ი ო ვ ი: «გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, რომ ამხ. მარტოვი იღიმებოდა».)» (გვ. 337.) გასაკვირველი როდია, რომ ამხ. მარტოვიც და ჩვენც ყველანი ვხარხარებდით ამხ. ეგოროვის ჩივილის გამო, რაც მართლაც სასაცილოა. დიახ, «უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ ღ ე ე ბ შ ი» ბევრი, ძალიან ბევრი რამ ტ რ ი ა ლ ე ბ დ ა ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხის გარშემო. ეს მართალია. ყრილობაზე ეს მართლაც ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ნ ა თ ე ლ ი იყო (და მხოლოდ ა ხ ლ ა ცდილობს უმცირესობა გ ა ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ო ს ეს ნათელი გარემოება). დასასრულ, ისიც მართალია, რომ საგნებს მათი ნამდვილი სახელი უნდა ვუწოდოთ. მაგრამ, ღვთის გულისათვის, რა შუაშია აქ «პრინციპების დაკარგვა»?? ჩვენ ხომ თავი ი მ ი ს თ ვ ი ს მოვიყარეთ ყრილობაზე (იხ. გვ. 10, ყრილობის დღის წესრიგი), რომ პ ი რ ვ ე ლ დ ღ ე ე ბ შ ი მოგველაპარაკნა პროგრამაზე, ტაქტიკაზე, წესდებაზე, გადაგვეჭრა სათანადო საკითხები და უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ ღ ე ე ბ შ ი (დღის წესრიგის მე-18 — 19 მუხლები) მოგველაპარაკნა ცენტრების პირად შემადგენლობაზე და გადაგვეჭრა ე ს საკითხებიც. როცა ადამიანები დირიჟორის ჯოხის გულისთვის ბრძოლას ყრილობების უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ ღ ე ე ბ ს ანდომებენ, ეს მოვლენა ბუნებრივი და სრულიად, სრულიად კანონიერია. (აი, როცა დირიჟორის ჯოხისთვის იბრძვიან ყ რ ი ლ ო ბ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ, ეს უკვე კინკლაობაა). თუ ვინმე ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე დამარცხდა ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში (როგორც

ამხანაგი ეგოროვი), ამის შემდეგ ლაპარაკი «პრინციპების დაკარგვაზე» პირდაპირ სასაცილოა. ამიტომ გასაგებია, რომ ეგოროვს ყველა დასცინოდა. გასაგებია აგრეთვე, თუ რატომ ითხოვა ამხ. მურავიოვმა ოქმში შეეტანათ ამხ. მარტოვის მონაწილეობა ამ სიცილში: როცა ამხ. მარტოვი ამხ. ეგოროვს დასცინოდა, ამით ის თავის თავს დასცინოდა...

ამხ. მურავიოვის ირონიის დასამატებლად შეიძლება ზედმეტი არ იყოს ასეთი ფაქტის აღნიშვნა. როგორც ცნობილია, ყრილობის შემდეგ ამ. მარტოვი ყველას არწმუნებდა მარჯვნივ და მარცხნივ, რომ ჩვენს უთანხმოებაში კარდინალურ როლს ასრულებდა სწორედ ცენტრების კოოპტაციის საკითხიო, რომ «ძველი რედაქციის უმრავლესობა» სასტიკი წინააღმდეგი იყო ცენტრებში კოოპტაციის ურთიერთი კონტროლისაო. ყრილობამდე, როცა ამხ. მარტოვი ღებულობდა ორი სამეულის არჩევის ჩემს პროექტს, იმ პირობით, რომ ორივე მხარეს ჰქონოდა კოოპტაციის უფლება $^2/_3$-ით, ის ამის შესახებ მწერდა: «ვღებულობ რა ურთიერთკოოპტაციის ამნაირ ფორმას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობის შემდეგ თვითეული კოლეგიის შევსება მოხდება რაოდენადმე სხვა საფუძვლებზე (ჩემი რჩევა ასეთი იქნებოდა: თვითეულ კოლეგიას კოოპტაციით შეჰყავს ახალი წევრები და თავის განზრახვას აცნობებს მეორე კოლეგიას; უკანასკნელს შეუძლია პროტესტი განაცხადოს, და მაშინ დავას სწყვეტს საბჭო. საქმის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად ეს პროცედურა ხდება წინასწარ დასახელებული კანდიდატების მიმართ, ყოველ შემთხვევაში ც.კ.-სთვის, და ამ კანდიდატთაგან შევსება უკვე უფრო სწრაფად შეიძლება მოხდეს). რათა ხაზგასმულ იქნას, რომ შემდგომი კოოპტაცია იმ წესით ხდება, რომელიც გათვალის-

წინებული იქნება პარტიის წესდებით, 22-ე პარაგრაფს* უნდა ჩაემატოს: «...რომელიც ამტკიცებს გამოტანილ გადაწყვეტილებებს»» (ხაზგასმა ჩემია).

კომენტარები ზედმეტია.

ჩვენ გავარკვიეთ იმ მომენტის მნიშვნელობა, როცა დავა იყო ცენტრების კოოპტაციაზე; ახლა ცოტა უნდა შევჩერდეთ კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე, რომელიც ამას ეხება, — კ ა მ ა თ ზ ე ლაპარაკი არ გვექნება, რადგან ჩემ მიერ მოყვანილი ამხ. მარტოვის და ჩემი სიტყვების შემდეგ იყო მხოლოდ მოკლე რეპლიკები, რომლებშიც დელეგატების ძალიან მცირე რიცხვი იღებდა მონაწილეობას (იხ. ოქმების 277—280 გვ.). კენჭისყრის გამო ამხ. მარტოვი ამტკიცებდა ლიგის ყრილობაზე, რომ ჩემს გადმოცემაში «უდიდესი დამახინჯება» დავუშვი (ლიგის ოქმების 60 გვ.), «როცა წესდების გარშემო ბრძოლა გადმოვეცი»... (ამხ. მარტოვმა უნებლიეთ დიდი სიმართლე სთქვა: 1-ლი პარაგრაფის შემდეგ ცხარე კამათი იყო სწორედ წესდების გ ა რ შ ე მ ო)... «როგორც «ისკრის» ბრძოლა მარტოველებთან, რომელნიც კოალიციაში შევიდნენ ბუნდთანო».

დავუკვირდეთ ამ საინტერესო საკითხს «უდიდესი დამახინჯების» შესახებ. ამხ. მარტოვი აერთებს საბჭოს შემადგენლობის საკითხზე კენჭისყრას და კოოპტაციის საკითხზე კენჭისყრას; მას მოჰყავს რ ვ ა კენჭისყრა: 1) არჩევა საბჭოში ორ-ორისა ც. ო.-სა და ც. კ.-სგან — მომხრეა 27 (მ), წინააღმდეგია 16 (ლ), თავი შეიკავა — 7-მა**. (ფრჩხილებში

* ლაპარაკია ყრილობის Tagesordnung-ის (დღის წესრიგის. რ ე დ.) ჩემს პირვანდელ პროექტსა და მის კომენტარებზე, რაც ცნობილი იყო ყველა დელეგატისათვის. ამ პროექტის 22-ე პარაგრაფში ლაპარაკი იყო სწორედ ორი სამეულის არჩევაზე ც. ო.-სა და ც. კ.-ში, ამ ექვსეულის მიერ 2/3 უმრავლესობით «ურთიერთკოოპტაციაზე», ამ ურთიერთკოოპტაციის დამტკიცებაზე ყრილობის მიერ და ც. ო.-სა და ც. კ.-ში შემდგომი დამოუკიდებელი კოოპტაციის შესახებ.

** ასოები **მ** და **ლ** ფრჩხილებში უჩვენებენ, თუ რომელ მხარეზე ვიყავით მე (**ლ**) და მარტოვი (**მ**).

შევნიშნავთ, რომ ოქმებში, გვ. 270, თავშეკავებულთა რიცხვი ნაჩვენებია 8, მაგრამ ეს წვრილმანია). — 2) საბჭოს მეხუთე წევრის არჩევა ყრილობის მიერ: — მომხრეა 23 **(ლ)**, წინააღმდეგია 18 **(მ)**, თავი შეიკავა 7-მა. — 3) საბჭოდან გასული წევრების თვითონ საბჭოს მიერ შენაცვლება — წინააღმდეგია 23 **(მ)**, მომხრეა 16 **(ლ)**, თავი შეიკავა 12-მა. — 4) ერთხმივობა ც. კ.-ში — მომხრეა 25 **(ლ)**, წინააღმდეგია 19 **(მ)**, თავი შეიკავა 7-მა. — 5) ერთი დასაბუთებული პროტესტის მოთხოვნა წევრის არმისაღებად — მომხრეა 21 **(ლ)**, წინააღმდეგია 19 **(მ)**, თავი შეიკავა 11-მა. — 6) ერთხმივობა ც. ო.-ს კოოპტაციის დროს — მომხრეა 23 **(ლ)**, წინააღმდეგია 21 **(მ)**, თავი შეიკავა 7-მა. — 7) დასაშვებია თუ არა კენჭისყრა საბჭოს იმ უფლების შესახებ, რომ გააუქმოს ც. ო.-ს და ც. კ.-ის გადაწყვეტილებები ახალი წევრის არმიღების შესახებ — მომხრეა 25 **(მ)**, წინააღმდეგია 19 **(ლ)**, თავი შეიკავა 7-მა. — 8) თვით წინადადება ამის შესახებ — მომხრეა 24 **(მ)**, წინააღმდეგია 23 **(ლ)**, თავი შეიკავა 4-მა. «აქ, ცხადია, — დაასკვნის ამხ. მარტოვი (ლიგის ოქმების 61 გვ.), — ბუნდის ერთ დელეგატს ხმა მიუცია წინადადების სასარგებლოდ, დანარჩენებს თავი შეუკავებიათ». (ხაზგასმა ჩემია).

კითხვა იბადება, რატომ მიაჩნია ამხ. მარტოვს ცხადად, რომ ბუნდელმა მას, მარტოვს, მისცა ხმა, როცა სახელობითი კენჭისყრა არ მომხდარა?

იმიტომ რომ ის მხედველობაში იღებს ხმის მიმცემთა რიცხვს და, როცა ეს რიცხვი გვიჩვენებს ბუნდის მონაწილეობას კენჭისყრაში, მაშინ მას, ამხ. მარტოვს, ეჭვი არ ეპარება, რომ ეს მონაწილეობა მისი, მარტოვის, სასარგებლო იქნებოდა.

სად არის აქ «უდიდესი დამახინჯება» ჩემი მხრივ?

სულ იყო 51 ხმა, ბუნდელების ჩაუთვლელად — 46, რაბოჩეედელოელების ჩაუთვლელად—43. შვიდ კენჭისყრაში რვიდან, რომლებიც ამხ. მარტოვმა აღნიშნა, მონაწი-

ლეობდა 43, 41, 39, 44, 40, 44 და 44 დელეგატი, ერთში მონაწილეობდა 47 დელეგატი (უფრო სწორად — ხმა), და აქ თვითონ ამხ. მარტოვი აღიარებს, რომ მას მხარს უჭერდა ბუნდელი. ამრიგად გამოდის, რომ მარტოვის მიერ წარმოდგენილი სურათი (და, როგორც ახლავე დავინახავთ, არასრულად წარმოდგენილი) მხოლოდ ადასტურებს და აძლიერებს ბრძოლის იმ სურათს, რაც მე აღვნიშნე! ჩანს, ძალიან ბევრ შემთხვევაში თავშეკავებულთა რიცხვი მეტად დიდი იყო: სწორედ ეს მოწმობს, რომ მთელი ყრილობა შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდა განსაზღვრული დეტალებისადმი, რომ არ ყოფილა ისკრელების სავსებით გარკვეული დაჯგუფება ამ საკითხებზე. მარტოვის სიტყვები, რომ ბუნდელები «თავიანთი თავშეკავებით აშკარად ეხმარებიან ლენინსო» (ლიგის ოქმ. 62 გვ.), სწორედ მარტოვის წინააღმდეგ მეტყველებს: მაშასადამე, მხოლოდ მაშინ, თუ ბუნდელები არ იქნებოდნენ, ან თუ ისინი თავს შეიკავებდნენ, მე ზოგჯერ შემეძლო გამარჯვების იმედი მქონოდა. მაგრამ ყოველთვის, როცა ბუნდელებს ხელსაყრელად მიაჩნიათ ბრძოლაში ჩარევა, ისინი მხარს უჭერენ ამხ. მარტოვს, ასეთი ჩარევა კი მოხდა არა მარტო ზემოხსენებულ შემთხვევაში, როცა 47 დელეგატი მონაწილეობდა. ვინც მოისურვებს ყრილობის ოქმების გადათვალიერებას, ის დაინახავს ამხ. მარტოვის სურათის მეტად საოცარ უსრულობას. ამხ. მარტოვმა აიღო და უბრალოდ გამოსტოვა კიდევ მთელი სამი შემთხვევა, როცა ბუნდი მონაწილეობდა კენჭისყრაში, მასთან ყველა ამ შემთხვევაში ამხ. მარტოვი, რასაკვირველია, გამარჯვებული აღმოჩნდა. აი ეს შემთხვევები: 1) იღებენ ამხ. ფომინის შესწორებას, რომლის მიხედვით კვალიფიციური უმრავლესობა მცირდება $^4/_5$-დან $^2/_3$-მდე. მომხრეა 27, წინააღმდეგია 21 (გვ. 278), მაშასადამე, მონაწილეობდა 48 ხმა. 2) მიღებულია ამხ. მარტოვის წინადადე-

ბა ურთიერთი კოოპტაციის დაუშვებლობის შესახებ. მომხრეა 26, წინააღმდეგია 24 (გვ. 279), მაშასადამე, კენჭისყრაში მონაწილეობდა 50 ხმა. ბოლოს, 3) უარყოფილია ჩემი წინადადება ც. ო-სა და ც. კ-ში კოოპტაციის დაშვების შესახებ მხოლოდ საბჭოს ყ ვ ე ლ ა წევრის თანხმობით (გვ. 280). წინააღმდეგია 27, მომხრეა 22 (სახელობითი კენჭისყრაც კი მოხდა, რაც, სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის ოქმებში), მაშასადამე, კენჭისყრაში მონაწილეობდა 49.

შეჯამება: ცენტრებში კოოპტაციის საკითხებზე ბუნდელები მონაწილეობდნენ მ ხ ო ლ ო დ ო თ ხ კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა-შ ი (ს ა მ ი კენჭისყრა მე მოვიყვანე ახლა, 48, 50 და 49 მონაწილით, და ე რ თ ი ც მოიყვანა ამხ. მარტოვმა, 47 მონაწილით). ყ ვ ე ლ ა ა მ კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა შ ი გამარჯვებული აღმოჩნდა ამხ. მარტოვი. ჩ ე მ ი გ ა დ მ ო ც ე მ ა ყ ვ ე ლ ა პ უ ნ ქ ტ შ ი ს წ ო რ ი გ ა მ ო დ ი ს, ბუნდთან კოალიციაზე მითითებაშიც, შედარებით დეტალური ხასიათის საკითხების აღნიშვნაშიც (ბევრი შემთხვევაა, როცა დიდი რაოდენობა თავს იკავებდა), იმის აღნიშვნაშიც, რომ არ არსებობდა ისკრელთა გარკვეული დაჯგუფება (არ არის სახელობითი კენჭისყრა; მეტად მცირე რიცხვმა მიიღო მონაწილეობა კამათში).

ამხ. მარტოვის ცდა — ჩემს გადმოცემაში წინააღმდეგობა აღმოეჩინა, ეს არის ცდა უვარგისი საშუალებებით, ვინაიდან ამხ. მარტოვმა ცალკეული სიტყვები ამოგლიჯა და არ გაისარჯა, რომ სურათი მთლიანად აღედგინა.

წესდების უკანასკნელმა პარაგრაფმა, მიძღვნილმა საზღვარგარეთული ორგანიზაციის საკითხისადმი, კელავ ყრილობის დაჯგუფებათა თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელი კამათი და კენჭისყრა გამოიწვია. საქმე ეხებოდა ლიგის აღიარებას პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციად. ამხ. აკიმოვი, რასაკვირველია, მაშინვე ამხედრდა ამის წინააღმდეგ, მან მოგვაგონა საზღვარგარეთული კავშირი, პირველი ყრილობის მიერ დამტკიცებული, და აღნიშნა საკითხის პრინცი-

პული მნიშვნელობა. «უწინარეს ყოვლისა შევნიშნავ, — განაცხადა მან, — რომ მე განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას. იდეური ბრძოლა, რომელიც აქამდე წარმოებდა ჩვენს პარტიაში, ცხადია, არ დამთავრებულა; მაგრამ ის გაგრძელდება სხვა გზით და ძალთა სხვანაირი დაჯგუფებით... წესდების მე-13 პარაგრაფში ერთხელ კიდევ მეტად მკვეთრად გამოისახა იმის ტენდენცია, რომ ჩვენი ყრილობა გადაექციათ პარტიულიდან ფრაქციულ ყრილობად. ნაცვლად იმისა, რომ აიძულონ რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი ქედი მოიხარონ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა წინაშე პარტიული ერთიანობის გულისთვის, შეაერთონ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყრილობას წინადადებას აძლევენ მოსპოს უმცირესობის ორგანიზაცია, აიძულოს უმცირესობა, რომ იგი გაჰქრეს» (281). როგორც მკითხველი ხედავს, «თანამომდევნობა», რომელიც ასე ძვირფასი შეიქნა ამხ. მარტოვისათვის ცენტრების შემადგენლობის საკითხში მისი დამარცხების შემდეგ, არანაკლებ ძვირფასი იყო ამხ. აკიმოვისთვისაც. მაგრამ ის ხალხი, რომელიც ყრილობაზე სხვადასხვა საზომით უდგებოდა თავის თავს და სხვებს, სასტიკად ამხედრდა ამხ. აკიმოვის წინააღმდეგ. მიუხედავად პროგრამის მიღებისა, «ისკრის» აღიარებისა და თითქმის მთელი წესდების მიღებისა, სცენაზე გამოაქვთ სწორედ ის «პრინციპი», რომელიც «პრინციპულად» აშორებდა ლიგას კავშირისაგან. «თუ ამხ. აკიმოვს სურს საკითხი პრინციპულ ნიადაგზე დააყენოს, — ამბობს ამხ. მარტოვი, — ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს; განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამხ. აკიმოვი ლაპარაკობდა ორ მიმდინარეობასთან ბრძოლაში შესაძლებელ კომბინაციებზე. იმ აზრით კი არ უნდა დ ა ვ ა დ ა ს ტ უ რ ო თ ერთი მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა (დაიხსომეთ, რომ ამას ლაპარაკობენ ყრილობის 27-ე სხდომაზე!), რომ ერთხელ კიდევ თავი დავუკრათ «ისკრას», არამედ იმ აზრით, რომ ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა მ ო ვ ე მ შ ვ ი დ ო ბ ო თ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ კ ო მ ბ ი ნ ა ც ი-

ებს, რომელთა შესახებ ილაპარაკა ამხ. აკიმოვმა» (282. ხაზგასმა ჩემია).

სურათი: ამხ. მარტოვი, ყრილობაზე ყველა საპროგრამო დავის დამთავრების შემდეგ, კვლავ განაგრძობს ყოველგვარ შესაძლებელ კომბინაციებთან საბოლოოდ გამომშვიდობებას... ვიდრე იგი ჯერ კიდევ არ დამარცხებულა ცენტრების შემადგენლობის საკითხში! ამხ. მარტოვი ყრილობაზე «საბოლოოდ ემშვიდობება» იმ შესაძლებელ «კომბინაციას», რომელსაც ის ფრიად არხეინად ახორციელებს ყრილობის მეორე დღესვე. მაგრამ ამხ. აკიმოვი უკვე მაშინ ამხ. მარტოვზე ბევრად უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა; ამხ. აკიმოვმა დაიმოწმა ხუთი წლის მუშაობა «ძველი პარტიული ორგანიზაციისა, რომელიც პირველი ყრილობის ნება-სურვილის თანახმად კომიტეტის სახელს ატარებდა», და დაამთავრა მეტად გესლიანი პროვიდენციული ჩხვლეტით: «რაც შეეხება ამხ. მარტოვის აზრს, რომ ამაოა ჩემი იმედები სხვანაირი მიმდინარეობის გაჩენისა ჩვენს პარტიაშიო, უნდა ვთქვა, რომ თვითონ ისიც კი მაძლევს მე ამის იმედებს» (გვ. 283).

დიახ, უნდა გამოვტყდეთ, ამხ. მარტოვმა ბრწყინვალედ გაამართლა ამხ. აკიმოვის იმედები!

ამხ. მარტოვი გაჰყვა ამხ. აკიმოვის გზას, რადგან დარწმუნდა მის სიმართლეში მას შემდეგ, რაც დაირღვა «თანამომდევნობა» ძველი პარტიული კოლეგიისა, რომელიც სამ წელს ითვლებოდა მომუშავედ. იაფად კი დაუჯდა ამხ. აკიმოვს თავისი გამარჯვება.

მაგრამ ყრილობაზე ამხ. აკიმოვს მხარი დაუჭირეს — და თანამიმდევრად დაუჭირეს მხარი — მხოლოდ ამხ. მარტინოვმა, ბრუკერმა და ბუნდელებმა (8 ხმა). ამხ. ეგოროვს, როგორც «ცენტრის» ნამდვილ ბელადს, ფრთხილად უჭირავს თავი: ის, წარმოიდგინეთ, ეთანხმება ისკრელებს, «თანაუგრძნობს» მათ (გვ. 282) და ამ თანაგრძნობას ამტკიცებს წინადადებით (გვ. 283), სრულიად გვერდი ავუაროთ აღძრულ პრინციპულ საკითხს, არაფერი

ვთქვათ არც ლიგასა და არც კავშირზეო. წინადადება უარჰყვეს 27 ხმით 15-ის წინააღმდეგ. ცხადია, ანტიისკრელებს (8) გარდა თითქმის მთელმა «ცენტრმა» (10) ხმა მისცა ამხ. ეგოროვთან ერთად (სულ ხმისმიმცემი იყო 42, ასე რომ საგრძნობმა ნაწილმა ან თავი შეიკავა, ან არ დასწრებია, როგორც ეს ხშირად ხდებოდა არასაინტერესო და შედეგის მხრივ ეჭვმიუტანელ კენჭისყრათა დროს). როგორც კი სიტყვა ჩამოვარდება ხოლმე ისკრული პრინციპების საქმით გატარებაზე, მაშინვე აღმოჩნდება, რომ «ცენტრის» «თანაგრძნობა» წმინდა სიტყვიერია, და ჩვენ მხარს გვიჭერს არა უმეტეს ოცდაათი ან ოცდაათზე ცოტა მეტი ხმა. კამათი და კენჭისყრა რუსოვის წინადადების გამო (აღიარებულ იქნას ლიგა ერთადერთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად) კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს ამას. ანტიისკრელები · და «ჭაობი» უკვე პირდაპირ პრინციპულ თვალსაზრისზე დგებიან, მასთან მას იცავენ ამხ. ლიბერი და ამხ. ეგოროვი, რომელნიც აცხადებენ, ამხ. რუსოვის წინადადება კენჭისსაყრელად დაუშვებელი და უკანონოაო: «ის ჰკლავს ყველა დანარჩენ საზღვარგარეთულ ორგანიზაციას» (ეგოროვი). და ორატორიც, რომელსაც არ სურს მონაწილეობა მიიღოს «ორგანიზაციის მკვლელობაში», არათუ უარს ამბობს კენჭისყრაზე, არამედ დარბაზსაც კი სტოვებს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას «ცენტრის» ლიდერზე: მან ათწილ უფრო მეტი რწმენა (თავისი შემცდარი პრინციპებისა) და პოლიტიკური სიმამაცე გამოიჩინა, ვიდრე ამხ. მარტოვმა და კომპ., ის ესარჩლებოდა «მოკლულ» ორგანიზაციას არა მარტო მაშინ, როცა საქმე ეხებოდა აშკარა ბრძოლაში დამარცხებულ საკუთარ წრეს.

ამხ. რუსოვის წინადადება კენჭისყრისთვის დასაშვებად შიაჩნია 27 ხმას 15-ის წინააღმდეგ, და შემდეგ ღებულობენ 25 ხმით 17-ის წინააღმდეგ. თუ ამ 17-ს მივუმატებთ ამხ. ეგოროვს, რომელიც მაშინ იქ არ იყო, მივიღებთ ანტი-

ისკრელებისა და «ცენტრის» სრულ კომ-
პლექტს (18).

წესდების მთელ მე-13 პარაგრაფს საზღვარგარეთული ორგანიზაციის შესახებ ღებულობენ მხოლოდ 31 ხმით 12-ის წინააღმდეგ, ექვსმა თავი შეიკავა. ამ რიცხვს, 31, რომელიც გვიჩვენებს ყრილობაზე მყოფი ისკრელების, ე. ი. იმ ადამიანების დაახლოებითს რაოდენობას, რომელნიც თანამიმდევრად იცავენ და საქმით ატარებენ «ისკრის» შეხედულებებს, ჩვენ ვხვდებით მეექვსედ მაინც ყრილობის კენჭისყრათა ანალიზში (ბუნდის საკითხის ადგილი, ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტთან, «იუენი რაბოჩის» ჯგუფის დაშლა და ორი კენჭისყრა აგრარულ პროგრამაზე). ამხ. მარტოვს კი სურს სერიოზულად დაგვარწმუნოს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ისკრელთა ასეთი «ვიწრო» ჯგუფის გამოსაყოფადო!

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე, რომ წესდების მე-13 პარაგრაფის მიღებამ მეტად დამახასიათებელი კამათი გამოიწვია ამხ. აკიმოვის და ამხ. მარტინოვის განცხადების გამო «კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარისთქმის» შესახებ (გვ. 288). ყრილობის ბიურომ განიხილა ეს განცხადება და აღიარა — სრულიად სამართლიანად, — რომ კავშირის პირდაპირი დახურვაც კი არავითარ უფლებას არ მისცემდა კავშირის დელეგატებს უარი ეთქვათ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობაზე. კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარისთქმა — უეჭველად არანორმალური და შეუწყნარებელია, აი ის თვალსაზრისი, რომელსაც დაადგა ბიუროსთან ერთად მთელი ყრილობა, მათ შორის უმცირესობის ის ისკრელებიც, რომელნიც 28-ე სხდომაზე ცხარედ ჰაიცხავდნენ იმას, რაც მათ თვითონ ჩაიდინეს 31-ე სხდომაზე! როცა ამხ. მარტინოვმა დაიწყო თავისი განცხადების დაცვა (გვ. 291), მის წინააღმდეგ ამხედრდნენ პავლოვიჩიც, ტროცკიც, კარსკიც და მარტოვიც. ამხ. მარტოვს განსაკუთრებით ნათლად ჰქონდა შეგნებული უკმაყოფილო უმცირესობის მოვალეობანი (ვიდრე თვითონ ის არ აღმოჩნდა უმ-

ცირესობაში!) და განსაკუთრებული დამრიგებლური კილოთი ორატორობდა იმათ შესახებ. «ან თქვენ ყრილობის წევრები ხართ, — ამბობდა ის ამხ. აკიმოვისა და ამხ. მარტინოვის მიმართ, — მაშინ თქვენ მონაწილეობა უ ნ დ ა მიიღოთ მ თ ე ლ მის მუშაობაში» (ხაზგასმა ჩემია; მაშინ ამხ. მარტოვი ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებაში!), «ან წევრები არა ხართ და აღარც სხდომაზე დარჩენა შეგიძლიათ... თავიანთი განცხადებით კავშირის დელეგატები მაიძულებენ დავაყენო ორი საკითხი: არიან თუ არა ისინი პარტიის წევრნი და არიან თუ არა ისინი ყრილობის წევრნი?» (გვ. 292).

ამ ხ. მ ა რ ტ ო ვ ი ა ს წ ა ვ ლ ი ს ა მ ხ. ა კ ი მ ო ვ ს პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ თ ა მ ო ვ ა ლ ე ო ბ ე ბ ს! მაგრამ ამხ. აკიმოვს ტყუილად კი არ უთქვამს, ერთგვარ იმედებს თვითონ ამხ. მარტოვზე ვამყარებო... მაგრამ ამ იმედების განხორციელება მოხდა მხოლოდ მას შ ე მ დ ე გ, რაც მარტოვი არჩევნებზე დამარცხდა. როცა საქმე ეხებოდა არა თვითონ მას, არამედ სხვებს, ამხ. მარტოვი ყურადაც არ იღებდა საშინელ სიტყვას — «განსაკუთრებული კანონი», რომელიც პ ი რ ვ ე ლ ა დ ხ მ ა რ ე ბ ა შ ი შ ე მ ო ი ღ ო (თუ არ ვცდები) ა მ ხ. მ ა რ ტ ი ნ ო ვ მ ა. «ჩვენთვის მოცემულმა განმარტებამ, — უპასუხებს ამხ. მარტინოვი იმათ, ვინც მას არწმუნებდა უკან წაეღო თავისი განცხადება, — ვერ აგვიხსნა, პრინციპული გადაწყვეტილება იყო ეს თუ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა კავშირის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავშირს შეურაცხყოფა მიაყენეს. ამხანაგმა ეგოროვმა ისევე, როგორც ჩვენ, ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ ეს არის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი (ხაზგასმა ჩემია) კავშირის წინააღმდეგ, და ამიტომ სხდომის დარბაზიც კი დასტოვა» (295). ამხ. მარტოვიც, ამხ. ტროცკიც ენერგიულად ილაშქრებენ, პლეხანოვთან ერთად, იმ უაზრო, მ ა რ თ ლ ა ც უ ა ზ რ ო, იდეის წინააღმდეგ, თითქოს ყრილობის ვოტუმი შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ ა იყოს; და

ამხ. ტროცკიც, როცა იცავს მისი წინადადებით ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას (რომ ამხ. აკიმოვს და ამხ. მარტინოვს შეუძლიათ სრულიად დაკმაყოფილებულად ჩასთვალონ თავი), ირწმუნება: «რეზოლუციას პრინციპული და არა ფილისტერული ხასიათი აქვს, და ჩ ვ ე ნ ი რ ა ს ა ქ მ ე ა, რ ო მ ვ ი ღ ა ც მ ი ს ი თ შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ ი ლ ი დ ა რ ჩ ა ო» (გვ. 296). მაგრამ ძალიან ჩქარა აღმოჩნდა, რომ წრეობანა და ფილისტერობა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია ჩვენს პარტიაში, და ჩემ მიერ ხაზგასმული ამაყი სიტყვები ცარიელი წკრიალა ფრაზა აღმოჩნდა.

ამხ. აკიმოვმა და ამხ. მარტინოვმა უარი სთქვეს უკან წაეღოთ თავიანთი განცხადება და დასტოვეს ყრილობა დელეგატების საერთო ძახილში: «ტყუილად იქცევით ასე!»

6) არჩევნები. ყრილობის დასასრული

წესდების მიღების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია რაიონული ორგანიზაციების შესახებ, მთელი რიგი რეზოლუციები პარტიის ცალკეული ორგანიზაციების შესახებ და, «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფზე მეტად საგულისხმიერო კამათის შემდეგ, რის ანალიზიც ზემოთ მოვახდინე, გადავიდა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნების საკითხზე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ «ისკრის» ორგანიზაცია, რომლისგანაც მთელი ყრილობა მოელოდა ავტორიტეტულ რეკომენდაციას, ამ საკითხის გამო გაითიშა, ვინაიდან ორგანიზაციის უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა მ მოისურვა ყრილობაზე აშკარა და თავისუფალ ბრძოლაში გამოეცადა — იქნებ შევძლო უმ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს მოპოვებაო. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ყრილობამდე დიდი ხნით ადრე და ყრილობაზეც ყველა დელეგატმა უკვე იცოდა რედაქციის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს გეგმა ორი სამეულის არჩევით ც. ო-სა და ც. კ-ში. შევჩერდეთ ამ გეგმაზე უფრო ვრცლად, ყრილობაზე მომხდარი კამათის გასარჩევად.

აი ზუსტი ტექსტი ყრილობის Tagesordnung-ის პროექტის ჩემი კომენტარისა, სადაც მოყვანილი იყო ეს გეგმა*: «ყრილობა ირჩევს სამ პირს ც. ო-ს რედაქციაში და სამს — ც. კ-ში. ეს ექვსი პირი ერთად, $^2/_3$-ის უმრავლესობით, ავსებენ, თუ ეს აუცილებელია, ც. ო-ს რედაქციის და ც. კ-ის შემადგენლობას კოოპტაციით და სათანადო მოხსენებით გამოდიან ყრილობაზე. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ ც. ო-ს რედაქცია და ც. კ. შემდგომ კოოპტაციას ახდენენ ცალ-ცალკე».

ამ ტექსტის მიხედვით გეგმა ისახება სრული გარკვეულობით და არაორაზროვნად: ეს გეგმა ნიშნავს რედაქციის განახლებას პრაქტიკული მუშაობის უაღრესად გავლენიან ხელმძღვანელთა მონაწილეობით. ამ გეგმის ჩემ მიერ აღნიშნული ორივე მხარე მაშინვე აშკარავდება ყველასთვის, ვინც კი ცოტათი თავს შეიწუხებს და გულდასმით წაიკითხავს მოყვანილ ტექსტს. მაგრამ ჩვენს დროში უბრალო საანბანო რამის ახსნა-განმარტებაზეც კი გვიხდება შეჩერება. გეგმა ნიშნავს სწორედ რედაქციის განახლებას, მის წევრთა რიცხვის არა სავალდებულო გადიდებას და არა სავალდებულო შემცირებას, არამედ სწორედ განახლებას, ვინაიდან შესაძლებელი გადიდების ან შემცირების საკითხი ღიად არის დატოვებული: კოოპტაცია გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ეს აუცილებელია. განახლების საკითხზე სხვადასხვა პირთა გამოთქმულ მოსაზრებებს შორის იყო აგრეთვე გეგმები რედაქციის წევრთა რიცხვის შესაძლებელი შემცირების და გადიდებისა შვიდამდე (პირადად მე შვიდეული ყოველთვის ბევრად უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნდა, ვიდრე ექვსეული) და ამ რიცხვის გადიდებისა თერთმეტამდეც კი (მე ეს შესაძლებლად მიმაჩნდა იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიანად მოხდებოდა შეერთება ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან საერთოდ, განსაკუთრებით ბუნდთან და პოლონე-

* იხ. ჩემი «წერილი «ისკრის» რედაქციისადმი», გვ. 5, და ლიგის ოქმები, გვ. 53.

თის სოციალ-დემოკრატიასთან). მაგრამ თავიდათავი, რასაც ჩვეულებრივ მხედველობიდან უშვებენ ის ადამიანები, რომლებიც «სამეულზე» ლაპარაკობენ, ესაა იმის მ ო თ ხ ო ვ ნ ა, რ ო მ ც. კ-ის წ ე ვ რ ე ბ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ დ ნ ე ნ ც. ო-ს შ ე მ დ გ ო მ ი კ ო ო პ ტ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ ის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა შ ი. არც ერთი ამხანაგი ორგანიზაციის წევრთა მთელი რაოდენობიდან და ყრილობის «მეუმცირესე» დელეგატთაგან, რომელთაც იცოდნენ ეს გეგმა და იწონებდნენ მას (იწონებდნენ ან სპეციალურად თანხმობის გამოთქმით, ან დუმილით), არ გარჯილა აეხსნა ამ მოთხოვნის მნიშვნელობა. ჯერ ერთი, რატომ მოხდა, რომ რედაქციის განახლებისათვის გამოსავალ წერტილად მიიჩნიეს სწორედ სამეული და მხოლოდ სამეული? ცხადია, ეს ს რ უ ლ ი უ ა ზ რ ო ბ ა იქნებოდა, მხედველობაში გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ, ან, თუ გინდ, უმთავრესად, კოლეგიის გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა რომ ჰქონოდათ, ანდა ეს კოლეგია მართლაც ცნობილი რომ იყოს როგორც «ჰარმონიული». საოცარი კი იქნებოდა «ჰარმონიული» კოლეგიის გასაფართოებლად გ ა მ ო ვ დ ი ო დ ე თ არა მთელი ამ კოლეგიის თვალსაზრისიდან, არამედ მხოლოდ მ ი ს ი ნ ა წ ი ლ ი ს ა. ცხადია, კოლეგიის ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი რ ო დ ი მიაჩნდათ სავსებით გამოსადეგად იმისათვის, რომ ემსჯელათ და გ ა დ ა ე წ ყ ვ ი ტ ა თ კოლეგიის შემადგენლობის განახლების, რედაქტორთა ძველი წრის პ ა რ ტ ი ულ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა დ გადაქცევის საკითხი. ცხადია, თვითონ ისიც კი, ვისაც პირადად სურდა განახლება გაფართოების სახით, ძველ შემადგენლობას სთვლიდა არაჰარმონიულად, პარტიული დაწესებულების იდეალისათვის შეუფერებლად, რადგან სხვა მხრივ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა ექვსეულის გასაფართოებლად ჯ ე რ დაგვეყვანა ის ს ა მ ე უ ლ ა მ დ ე. ვიმეორებ: ეს ცხადია თავისთავად, და მხოლოდ «პიროვნებებით» საკითხის დროებით მიჩქმალვას შეეძლო გამოეწვია ამის დავიწყება.

მეორეც, ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, რომ ც. ო-ს ყველა სამი წევრის თანხმობაც კი არ იქნებოდა საკმარისი საძეულის გასაფართოებლად. ამასაც მუდამ მხედველობიდან უშვებენ. კოოპტაციისათვის საჭიროა ექვსის $^2/_3$. ე. ი. ოთხი ხმა; მაშასადამე, საკმაოა ც. კ-ის მხოლოდ სამ არჩეულ წევრს ეთქვა «**veto**», და სამეულის არავითარი გაფართოება აღარ იქნებოდა შესაძლებელი. პირიქით, ც. ო-ს რედაქციის სამი წევრიდან ორიც რომ ყოფილიყო წინაალმდეგი შემდგომი კოოპტაციისა, — კოოპტაცია მაინც მოხდებოდა, თუ ამის თანახმა იქნებოდნენ ც. კ-ის ყველა სამი წევრი. ამრიგად, ცხადია, ძველი წრის პარტიულ დაწესებულებად გადაქცევის დროს მხედველობაში ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა მიენიჭებინათ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელებისათვის, რომელთაც ყრილობა აირჩევდა. დაახლოებით თუ რომელი ამხანაგები გვყავდა მხედველობაში ამ დროს, ჩანს იქიდან, რომ რედაქციამ ყრილობამდე თავის შემადგენლობაში მეშვიდე წევრად ერთხმად აირჩია ამხ. პავლოვიჩი, იმ შემთხვევისათვის, თუ ყრილობაზე საჭირო იქნებოდა გამოსვლა კოლეგიის სახელით; ამხანაგ პავლოვიჩს გარდა მეშვიდე წევრის ადგილზე წამოყენებულ იქნა «ისკრის» ორგანიზაციის ერთი ძველი წევრი და საორგანიზაციო კ-ის წევრი, რომელიც შემდგომ ც. კ-ის წევრად აირჩიეს.

ამრიგად, ორი სამეულის არჩევის გეგმა აშკარად ნავარაუდევი იყო: 1) რედაქციის განახლებისათვის, 2) რედაქციაში პარტიული დაწესებულებისათვის შეუფერებელი ძველი წრეობანის ზოგიერთი ნიშნის აღმოფხვრისათვის (აღმოსაფხვრელი რომ არაფერი ყოფილიყო, თავდაპირველი სამეულის გამოგონებაც საჭირო აღარ იქნებოდა!), ბოლოს, 3) ლიტერატორთა კოლეგიის «თეოკრატიული» ნიშნების მოშორებისათვის (მოშორება სამეულის გაფართოების საკითხის გადაწყვეტაში გამოჩენილი პრაქტიკოსების ჩაბმის საშუალებით). ეს გეგმა, რომელსაც ყველა რედაქტორი იცნობ-

და, ცხადია, ემყარებოდა მუშაობის სამი წლის გამოცდილებას და სავსებით ეთანხმებოდა ჩვენს მიერ თანამიმდევრად გატარებულ რევოლუციური ორგანიზაციის პრინციპებს: დაბნეულობის ეპოქაში, როცა «ისკრა» ასპარეზზე გამოვიდა, ცალკეული ჯგუფები ხშირად შემთხვევით და სტიქიურად ყალიბდებოდნენ; ისინი აუცილებლივ დაავადებული იყვნენ წრეობანის ზოგიერთი მავნე გამოვლინებით. პარტიის შექმნა გულისხმობდა და მოითხოვდა ამ ნიშნების თავიდან მოშორებას; გამოჩენილი პრაქტიკოსების მონაწილეობა ამ თავიდან მოშორებაში აუცილებელი იყო, რადგან რედაქციის ზოგიერთი წევრი ყოველთვის ორგანიზაციულ საქმეებს განაგებდა, და პარტიულ დაწესებულებათა სისტემაში უნდა შესულიყო არა მარტო ლიტერატორთა კოლეგია, არამედ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კოლეგიაც. ყრილობისთვის პირვანდელი სამეულის არჩევის მინდობაც ასევე ბუნებრივი იყო იმ პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელსაც მუდამ ადგა «ისკრა»: ჩვენ უაღრესად ფრთხილად ვამზადებდით ყრილობას, ვუცდიდით სავსებით გამოგვერკვია პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის სადავო პრინციპული საკითხები; ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ყრილობა ისკრული იქნებოდა იმ მხრივ, რომ ამ ძირითად საკითხებში დიდი უმრავლესობა სოლიდარული აღმოჩნდებოდა (ამას ნაწილობრივ მოწმობდა რეზოლუციებიც «ისკრის» ხელმძღვანელ ორგანოდ აღიარების შესახებ); ამიტომ ჩვენ უნდა მიგვენდო იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს «ისკრის» იდეის გავრცელების და მისი პარტიად გადაქცევის მომზადების მთელი მუშაობა, — მიგვენდო თვითონ მათ გადაეწყვიტათ საკითხი, თუ ვინ უფრო შესაფერისი კანდიდატი იყო ახალი პარტიული დაწესებულებებისათვის. მხოლოდ «ორი სამეულის» გეგმის ამ ბუნებრიობით, მხოლოდ მისი სრული შესატყვისობით «ისკრის» მთელ პოლიტიკასთან და ყოველივე იმასთან, რაც «ისკრის» შესახებ იცოდნენ საქმესთან რაოდენადმე ახლო

მდგომმა პირებმა, შეიძლება აიხსნას ამ გეგმის საერთო მოწონება და რაიმე სხვა მეტოქე გეგმის უქონლობა.

და აი ყრილობაზე ამხ. რუსოვმა უწინარეს ყოვლისა წინადადება შემოიტანა აგვერჩია ორი სამეული. მარტოვმა წერილობით გვაცნობა ამ გეგმის კავშირი ოპორტუნიზმის ყალბ ბრალდებასთან, მაგრამ მის მომხრეებს არც კი უფიქრნიათ ექვსეულსა და სამეულზე დავა დაეყვანათ საკითხამდე, სწორი იყო თუ არა ეს ბრალდება. არც ერთ მათგანს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს! ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა ერთი სიტყვა მაინც ეთქვა იმ ელფერთა პრინციპულ განსხვავებაზე, რაც დაკავშირებული იყო ექვსეულსა და სამეულთან. იმათ უფრო იოლი და იაფი ხერხი ირჩიეს — მიემართნათ სიბრალულისადმი, დაემოწმებინათ შესაძლებელი შეურაცხყოფა, თავი მოეკატუნებინათ, ვითომ რედაქციის საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილიყოს «ისკრის» ცენტრალურ ორგანოდ დანიშვნით. ეს უკანასკნელი საბუთი, რომელიც ამხ. კოლცოვმა ამხანაგ რუსოვის წინააღმდეგ წამოაყენა, აშკარა სიყალბეს წარმოადგენს. ყრილობის დღის წესრიგში, — რა თქმა უნდა, არა შემთხვევით, — დასმული იყო ორი განსაკუთრებული მუხლი (იხ. ოქმების მე-10 გვ.): მ. 4 — «პარტიის ც. ო.» და მ. 18 — «ც. კ-ის და ც. ო-ს რედაქციის არჩევნები». ეს ერთი. მეორეც, ც. ო-ს დანიშვნისას ყველა დელეგატი კატეგორიულად აცხადებდა, ამით რედაქციას კი არ ვამტკიცებთ, არამედ მხოლოდ მიმართულებასო*, და არც ერთი პროტესტი ამ განცხადებების წინააღმდეგ არ ყოფილა.

* იხ. ოქმების 140 გვ., აკიმოვის სიტყვა: «... მეუბნებიან, რომ ც. ო-ს არჩევნებზე ლაპარაკი გვექნება ბოლოსო»; მურავიოვის სიტყვა აკიმოვის წინააღმდეგ, «რომელიც ძალიან დაინტერესებულია ც. ო-ს მომავალი რედაქციის საკითხით» (გვ. 141); პავლოვიჩის სიტყვა

ამრიგად, განცხადება, რომ განსაზღვრული ორგანოს დამტკიცებით ყრილობამ არსებითად უკვე რედაქციაც დაამტკიცაო, — განცხადება, რომელსაც ბევრჯერ იმეორებდნენ უმცირესობის მომხრენი (კოლცოვი, გვ. 321, პოსადოვსკი, იქვე, პოპოვი, გვ. 322 და მრავალი სხვა), — ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ პ ი რ დ ა პ ი რ ს წ ო რ ი ა რ ი ყ ო. ეს იყო ყველასათვის აშკარა მ ა ნ ე ვ რ ი, რაც ჰფარავდა უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ა ს იმ პოზიციიდან, რომელიც ეჭირათ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყ ვ ე ლ ა ს შეეძლო ცენტრების შემადგენლობის საკითხს მ ა რ თ ლ ა ც მ ი უ დ გ ო მ ლ ა დ მოკიდებოდა. უკანდახევის გამართლება არ შეიძლებოდა არც პრინციპული მოტივებით (ვინაიდან ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდების» საკითხის აღძვრა მეტად ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი იყო უმცირესობისათვის, რომელსაც კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა უ ძ რ ა ვ ს ამაზე), არც ფ ა ქ ტ ი უ რ ი ცნობების დამოწმებით ექვსეულის ან სამეულის ნამდვილი შრომისუნარიანობის შესახებ (ვინაიდან თუ ამ ცნობებს ოდნავაც კი შევეხებოდით, ეს უამრავ მითითებას მოგვცემდა უმცირესობის წინააღმდეგ). იძულებული გახდნენ დასჯერებოდნენ ფ რ ა ზ ა ს «შეხმატკბილებული მთელის», «ჰარმონიული კოლექტივის», «შეხმატკბილებული და კრისტალურად-მთლიანი მთელის» და სხვ. შესახებ. გასაკვირველი როდია,

---

იმაზე, რომ ორგანოს დანიშვნით ჩვენ მივიღეთ «კონკრეტული მასალა, რომლის მიმართ შეგვიძლია ვაწარმოოთ ის ოპერაციები, რომლებზეც ასე ზრუნავს ამხ. აკიმოვი», და იმაზე, რომ «პარტიის გადაწყვეტილებებისადმი» «ისკრის» «დამორჩილებაში» იოტის ოდენი ეჭვის შეტანაც არ შეიძლებაო (გვ. 142); ტ რ ო ც კ ი ს სიტყვა: «რაკი ჩვენ არ ვამტკიცებთ რედაქციას, მაშ რას ვამტკიცებთ «ისკრაში»?... სახელს კი არა, არამედ მიმართულებას... სახელს კი არა, დროშას» (გვერდი 142); მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი ს სიტყვა: ...«მე, როგორც ბევრი სხვა ამხანაგიც, ვფიქრობ, რომ, ამჟამად, როცა ვიხილავთ «ისკრის», როგორც განსაზღვრული მიმართულების გაზეთის, ჩვენს ცენტრალურ ორგანოდ აღიარების საკითხს, ჩვენ არ უნდა შევეხოთ იმ წესს, თუ როგორ ავირჩიოთ ან დავამტკიცოთ მისი რედაქცია; ამაზე ლაპარაკი გვექნება შემდგომ, დღის წესრიგის საათანადო ადგილას»... (გვ. 143).

რომ ამნაირ საბუთებს მაშინვე ეწოდა ნამდვილი სახელი: «უ ბ ა დ რ უ კ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი» (გვ. 328). თვით სამეულის გეგმა უკვე ნათლად მოწმობდა «ჰარმონიულობის» ნაკლებობას, ხოლო იმ შთაბეჭდილებებმა, რაც დელეგატებმა ერთ თვეზე მეტი ხნის ერთად მუშაობის განმავლობაში მიიღეს, ცხადია, დიდძალი მასალა მისცა მათ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მსჯელობისათვის. როცა ამხ. პოსადოვსკიმ სიტყვა გადაუკრა (მისი თვალსაზრისით გაუფრთხილებლად და მოუფიქრებლად: იხ. გვ. 321 და 325 მის მიერ სიტყვის «უხერხულობის» «პირობითად» ხმარების შესახებ) ამ მასალაზე, მაშინ ამხ. მურავიოვმა პირდაპირ განაცხადა: «ჩემი აზრით, ყრილობის უმრავლესობისათვის ამჟამად სრულიად ნათლად ჩანს, რომ ამნაირი* უხერხულობანი უეჭველად არსებობსო» (321). უმცირესობამ მოისურვა სიტყვა «უხერხულობა» (რომელიც იხმარა პოსადოვსკიმ და არა მურავიოვმა) გაეგო მხოლოდ და მხოლოდ რაღაც პირადულის აზრით, და ვერ გაბედა ეპასუხნა ამხ. მურავიოვის გამოწვევაზე, ვერ გაბედა წამოეყენებინა ვ ე რ ც ე რ თ ი ა რ ს ე ბ ი თ ი საბუთი ექვსეულის დასაცავად. გამოვიდა თავისი უნაყოფობით მეტად კომიკური დავა: უმრავლესობა (ამხ. მურავიოვის პირით) აცხადებს, რომ იგი ს რ უ ლ ი ა დ ნ ა თ ლ ა დ ხ ე დ ა ვ ს ექვსეულის და სამეულის ნამდვილ მნიშვნელობას, უმცირესობას კი დაჟინებით არ ესმის ეს და ირწმუნება, «ჩვენ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს ამის გარჩევაში შევიდეთო». უმრავლესობა არათუ შესაძლებლად სთვლის გარჩევაში შევიდეს, არამედ უკვე «შევი-

* სახელდობრ რა «უხერხულობანი» ჰქონდა მხედველობაში ამხ. პოსადოვსკის, ჩვენ ვერც კი გავიგეთ ყრილობაზე. ამხ. მურავიოვი კი იმავე სხდომაზე (გვ. 322) დავობდა თავისი აზრის სწორად გადმოცემის შესახებ, ხოლო ოქმების დამტკიცების დროს მან პირდაპირ განაცხადა, რომ იგი «ლაპარაკობდა იმ უხერხულობაზე, რომელმაც თავი იჩინა ყრილობის კამათში სხვადასხვა საკითხზე, პრინციპული ხასიათის უხერხულობაზე, რომლის არსებობა ამჟამად, სამწუხაროდ, უკვე ისეთი ფაქტია, რასაც ვერავინ ვერ უარყოფსო» (გვ. 353).

და გარჩევაში» და ლაპარაკობს ამ გარჩევის სრულიად ნათელ შედეგებზე მისთვის, უმცირესობას კი, ჩანს, ეშინია განხილვისა და მხოლოდ «უბადრუკ სიტყვებს» ამოფარებია. უმრავლესობა გვირჩევს «ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენი ც. ო. არ არის მხოლოდ ლიტერატურული ჯგუფი», უმრავლესობას «სურს, რომ ც. ო-ს სათავეში ედგნენ სრულიად გარკვეული, ყრილობისთვის ცნობილი პირნი, რომლებიც აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაზედაც მე ვილაპარაკე» (ე. ი. სახელდობრ არა მარტო ლიტერატურულ მოთხოვნებს, გვ. 327, ამხ. ლანგეს სიტყვა). უმცირესობა კვლავ ვერ ბედავს გამოწვევას უპასუხოს და კრინტსაც არ სძრავს იმაზე, თუ ვინ არის, მისი აზრით, გამოსადეგი არა მარტო ლიტერატურული კოლეგიისათვის, ვინ არის «სრულიად გარკვეული და ყრილობისთვის ცნობილი» პიროვნება. უმცირესობა წინანდებურად ამოფარებია ყბადაღებულ «ჰარმონიულობას». ეგ კიდევ არაფერი. უმცირესობას ისეთი საბუთებიც კი შეაქვს არგუმენტაციაში, რომლებიც პრინციპულად აბსოლუტურად უსწორია და ამიტომ სამართლიანად იწვევს სასტიკ წინააღმდეგობას. «ყრილობას, — თურმე ნუ იტყვით, — არც ზნეობრივი, არც პოლიტიკური უფლება არა აქვს გადაახალისოს რედაქცია» (ტროცკი, გვ. 326), «ეს მეტისმეტად საჩოთირო (sic!) საკითხია» (იგივე), «როგორ უნდა შეხვდნენ რედაქციის აურჩეველი წევრები იმას, რომ ყრილობას აღარ სურს ხედავდეს მათ რედაქციის შემადგენლობაში?» (ცარევი, გვერდი 324) *.

ამნაირ საბუთებს უკვე მთლიანად გადაჰქონდა საკითხი შებრალებისა და წყენინების ნიადაგზე; ეს იყო გაკოტრების აშკარა აღიარება ნამდვილად პრინციპული, ნამდვილად პოლიტიკური არგუმენტების სფეროში.

* შეად. ამხ. პოსადოვსკის სიტყვა: ...«ძველი რედაქციის ექვსი პირიდან სამის არჩევით თქვენ დანარჩენ სამს აღიარებთ არასაჭიროდ, ზედმეტად. საამისოდ კი თქვენ არც უფლება გაქვთ და არც საფუძველი».

და უმრავლესობამაც მაშინვე დაახასიათა საკითხის ასე დაყენება ნამდვილად შესაფერისი სიტყვით: ფილისტერობა (ამხ. რუსოვი). «რევოლუციონერების ბაგეთაგან, — სამართლიანად სთქვა ამხ. რუსოვმა, — მოისმის ისეთი უცნაური სიტყვები, რომლებიც პარტიული მუშაობის, პარტიული ეთიკის ცნებასთან სასტიკ დისჰარმონიაში იმყოფებიან. ძირითადი საბუთი, რომელსაც სამეულთა არჩევის მოწინააღმდეგენი ჩაეჭიდნენ, ემყარება წმინდა ფილისტერულ შეხედულებას პარტიულ საქმეებზე» (ხაზგასმა ყველგან ჩემია)... «ამ პარტიულს კი არა, ფილისტერულ თვალსაზრისს რომ დავადგეთ, ჩვენს წინაშე ყოველი არჩევნების დროს წამოიჭრება საკითხი: იქნებ პეტროვს ეწყინოს, რომ ის კი არა, ივანოვი ავირჩიეთ, იქნებ ეწყინოს საორგანიზაციო კ-ის ამა და ამ წევრს, რომ ის კი არა, სხვა ავირჩიეთ ც. კ-ში. სადღა მიგვიყვანს ჩვენ, ამხანაგებო, ეს? თუ ჩვენ აქ შევკრებილვართ არა ერთმანეთის საამური სიტყვების მოსასმენად, არა ფილისტერული ალერსისათვის, არამედ პარტიის შესაქმნელად, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ასეთ შეხედულებას. ჩვენ ვდგავართ თანამდებობის პირთა არჩევის საკითხის წინაშე, და აქ არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ აურჩეველი პირისადმი უნდობლობის საკითხი, არამედ აქ არის საკითხი მხოლოდ საქმის სარგებლობისა და იმისა, თუ რამდენად შეეფერება არჩეული პირი იმ თანამდებობას, რომელზედაც მას ირჩევენ» (გვ. 325).

ჩვენ ვურჩევთ ყველას, ვისაც სურს დამოუკიდებლად გაერკვეს პარტიული განხეთქილების მიზეზებში და მიაგნოს მის ფესვებს ყრილობაზე, გულდასმით წაიკითხოს ამხ. რუსოვის სიტყვა, რომლის საბუთები უმცირესობამ არათუ ვერ უარჰყო, არამედ სადავოდაც კი ვერ გახადა. არც შეიძლება სადავოდ გახადო ისეთი ელემენტარული, საანბანო ჭეშმარიტებანი, რომელთა დავიწყება უკვე თვით ამხ.

რუსოვმა სამართლიანად ახსნა მხოლოდ და მხოლოდ «ნ ე რ ვ უ ლ ი ა ღ გ ზ ნ ე ბ ი თ». და ეს უმცირესობისათვის მართლაც ყველაზე ნაკლებ არასასიამოვნო ახსნაა იმისა, თუ როგორ მოხდა, რომ ისინი პარტიული თვალსაზრისიდან ფილისტერობისა და წრეობანის თვალსაზრისამდე ჩამოქვეითდნენ *.

* ამხ. მარტოვი თავის «საალყო წესებში» ამ საკითხსაც ისევე მოეკიდა, როგორც მის მიერ აღძრულ დანარჩენ საკითხებს. მას თავი არ შეუწუხებია მოეცა დავის მთლიანი სურათი. მან თავმდაბლად გვერდი აუხვია ერთადერთ მართლაც პ რ ი ნ ც ი პ უ ლ საკითხს, რომელიც ამ დავაში ამოტივტივდა: ფილისტერული ალერსი, თუ თანამდებობის პირთა არჩევა? პარტიული თვალსაზრისი, თუ ივან ივანიჩების წყენინება? ამხ. მარტოვი აქაც დასჯერდა ამბებიდან ცალკე და დაუკავშირებელი ნაწყვეტების ამოგლეჯას, რასაც დაერთო ათასგვარი ლანძღვა-გინება ჩემს მიმართ. ეს ხომ არ კმარა, ამხ. მარტოვო!

განსაკუთრებით ჩამციებია მ ე ამხ. მარტოვი კითხვით — რ ა ტ ო მ არ აირჩიეს ყრილობაზე ამხ. აქსელროდი, ზასულიჩი და სტაროვერიო. ფილისტერული თვალსაზრისი, რომელსაც ის დაადგა, ხელს უშლის მას დაინახოს ამ კითხვების ურ ი გ ო ბ ა (რატომ არ შეეკითხება ის თავის რედაქციის კოლეგას, ამხ. პლეხანოვს?). ის წინააღმდეგობას ხედავს იმაში, რომ მე «უტაქტობად» მიმაჩნია უმცირესობის საქციელი ყრილობაზე ექვსეულის საკითხში და ამავე დროს მოვითხოვ პარტიულ საჯაროობას. წინააღმდეგობა აქ არ არის, რასაც ადვილად დაინახავდა თვითონ მარტოვიც, რომ გარჯილიყო და დალაგებულად გადმოეცა საკითხის ყ ვ ე ლ ა პერიპეტია და არა მისი ნაფლეთები. უტაქტობა იყო საკითხის დაყენება ფილისტერული თვალსაზრისით, შებრალებისა და წყენინებისადმი მიმართვა; პარტიული ამბების გამოქვეყნების ინტერესები მოითხოვდა საშეულის მიმართ ექვსეულის უპირატესობის ა რ ს ე ბ ი თ ა დ შეფასებას, თანამდებობის კანდიდატთა შეფასებას, ელფერთა შეფასებას: უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს ა მ ი ს შ ე ს ა ხ ებ კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა უ ძ რ ა ვ ს ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე.

ოქმები რომ გულდასმით შეესწავლა, ამხ. მარტოვი დელეგატების სიტყვებში დაინახავდა მ თ ე ლ რ ი გ საბუთებს ექვსეულის წინააღმდეგ. აი ამონაკრები ამ სიტყვებიდან: ჯერ ერთი, ძველ ექვსეულში ნათლად ჩანს უხერხულობანი პრინციპულ ელფერთა მხრივ; მეორე, სასურველია სარედაქციო მუშაობის ტექნიკური გამარტივება; მესამე, საქმის სარგებლობა ფილისტერულ ალერსზე მაღლა დგას; მხოლოდ არჩევა უზრუნველყოფს იმას, რომ არჩეული პირები შეეფერებოდნენ თავიანთ თანა-

მაგრამ უმცირესობა იმ ზომამდე მოკლებული იყო საშუალებას გამოენახა გონიერი და საქმიანი საბუთები არჩევნების წინააღმდეგ, რომ, გარდა პარტიულ საქმეში ფილისტერობის შეტანისა, ის იქამდე მივიდა, რომ პირდაპირ სკანდალური ხასიათის ხერხებს მიმართა. მართლაც, როგორ არ უნდა ვუწოდოთ ასეთი სახელი ამხ. პოპოვის ხერხს, რომელიც ამხ. მურავიოვს ურჩევდა, «ნუ იკისრებ დელიკატურ მინდობილებებსო» (გვ. 322)? რა არის ეს, თუ არა «სხვის სულში ხელის ფათური», ამხ. სოროკინის სამართლიანი თქმით (გვ. 328)? რა არის ეს, თუ არა სპეკულაცია «პიროვნებით», პოლიტიკური საბუთების უქონლობის გამო? სიმართლე სთქვა თუ ტყუილი ამხ. სოროკინმა, როცა განაცხადა: «ასეთი ხერხების წინააღმდეგ ჩვენ ყოველთვის პროტესტს ვაცხადებდითო»? «განა შესაწყნარებელია ამხ. დეიჩის საქციელი, როცა იგი დემონსტრაციულად ცდილობდა სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ის ამხანაგები, რომლებიც მას არ ეთანხმებოდნენ?» * (გვ. 328).

მდებობას; მეოთხე, არ შეიძლება არჩევის თავისუფლება შევუზღუდოთ ყრილობას; მეხუთე, პარტიას ახლა ც. ო-ში ესაჭიროება არა მარტო ლიტერატურული ჯგუფი, ც. ო-ში აუცილებელია იყვნენ არა მარტო ლიტერატორები, არამედ ადმინისტრატორებიც; მეექვსე, ც. ო-ში უნდა იყვნენ სრულიად გარკვეული პირნი, ყრილობისთვის ცნობილნი; მეშვიდე, ექვსი კაცისაგან შემდგარი კოლეგია ხშირად ქმედუნარიანი ვერ არის, და მისი მუშაობა არანორმალური წესდების წყალობით კი არ განხორციელდა, არამედ მიუხედავად ამისა; მერვე, გაზეთის გაძღოლა პარტიული (და არა საწრეო) საქმეა, და სხვ. — დაე, სცადოს ამხ. მარტოვმა, თუ მას ასე აინტერესებს აურჩევლობის მიზეზთა საკითხი, ჩაუკვირდეს თვითეულ ამ მოსაზრებას და უარჰყოს თუნდაც ერთი მათგანი მაინც.

* ასე გაიგო ამხ. დეიჩის სიტყვები (შეად. გვ. 324 — «მკაცრი დიალოგი ორლოვთან») ამხ. სოროკინმა იმავე სხდომაზე. ამხ. დეიჩი განმარტავს (გვ. 351), «არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამსო», მაგრამ იქვე თვითონვე აღიარებს, რომ რაღაც ფრიად და ფრიად ამის «მსგავსი» ვთქვიო. «მე არ მითქვამს: ვინც გაბედავს-მეთქი, — განმარტავს ამხ. დეიჩი, — არამედ ვთქვი: ჩემთვის საინტერესოა დავინახო, ვინ არიან ის პირნი, რომლებიც გაბედავენ (sic! ამხ. დეიჩი თავს იმართ-

შევაჯამოთ კამათი რედაქციის საკითხზე. უმცირესობამ ვერ უარჰყო (და არც უარჰყოფდა) უმრავლესობის მრავალი მითითება იმაზე, რომ სამეულის პროექტი ცნობილი იყო დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს შ ი ვ ე დ ა ყ ბ ი ლ ო ბ ა მ დ ე ც, რომ, მაშასადამე, ეს პროექტი გამომდინარეობდა იმ მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ბ ი დ ა ნ დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ი დ ა ნ, რ ო მ ე ლ თ ა ც კ ა ვ შ ი რ ი ა რ ჰ ქ ო ნ ი ა თ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე მ ო მ ხ დ ა რ ა მ ბ ე ბ ს ა დ ა დ ა ვ ა ს თ ა ნ. ექვსეულის დაცვის დროს უმცირესობამ დაიკავა ფ ი ლ ი ს ტ ე რ უ ლ მოსაზრებათა პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო და შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი პოზიცია. უმცირესობამ გამოიჩინა პ ა რ ტ ი უ ლ ი თვალსაზრისის სრული დავიწყება თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს პ ი რ თ ა არჩევის მიმართ, არც კი ცდილა შეხებოდა თვითეული კანდიდატის შ ე ფ ა ს ე ბ ა ს თანამდებობისათვის, თუ რამდენად შეეფერებოდა ან არ შეეფერებოდა ის ამა თუ იმ თანამდებობის ფუნქციებს. უმცირესობა გ ა უ რ ბ ო დ ა საკითხის არსებითად განხილვას, იმოწმებდა ყბადაღებულ ჰარმონიულობას, «ცრემლებსა ღვრიდა» და «პათოსში ვარდებოდა» (გვ. 327, ლანგეს სიტყვა), თითქოს ვიღაცის «მოკვლა სურდათ». უმცირესობა «ს ხ ვ ი ს ს უ ლ შ ი ხ ე ლ ი ს ფ ა თ უ რ ა მ დ ე ც» კი მივიდა, მოსთქვამდა არჩევის «დანაშაულებრივობასა» და სხვა ამგვარ შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ხერ-

ლებს და უარესი მოსდის!) მხარი დაუჭირონ ისეთს დანაშაულებრივ (sic!) წინადადებას, როგორიცაა სამის არჩევა» (გვ. 351). ამხ. დეიჩმა არათუ უარჰყო, ა რ ა მ ე დ დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა ამხ. სოროკინის სიტყვები. ამხ. დეიჩმა დაადასტურა ამხ. სოროკინის საყვედური, რომ «ყველა ცნებანი აქ არეულიაო» (უმცირესობის საბუთებში ექვსეულის სასარგებლოდ). ამხ. დეიჩმა დაადასტურა სოროკინის მხრივ შემდეგი ა ნ ბ ა ნ უ რ ი ჭეშმარიტების გახსენების მართებულობა: «ჩვენ პარტიის წევრები ვართ და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდეთო». ყვირილი არჩევნების დ ა ნ ა შ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ო ბ ა ზ ე ნიშნავს არა მარტო ფილისტერობამდე ჩამოქვეითებას, არამედ პირდაპირ ს კ ა ნ დ ა ლ ა მ დ ე მისვლას!

ხებზე, ყოველივე აქამდე მივიდა «ნერვული აღგზნებისა» გავლენით (გვ. 325).

ფილისტერობის ბრძოლა პარტიულობასთან, უცუდესი ხარისხის «პირადი ამბებისა» პოლიტიკურ მოსაზრებებთან, უბადრუკი სიტყვებისა რევოლუციური მოვალეობის ელემენტარულ ცნებებთან — აი რას წარმოადგენდა ექვსეულისა და სამეულის გულისთვის ბრძოლა ჩვენი ყრილობის ოცდამეათე სხდომაზე.

31-ე სხდომაზეც, როცა ყრილობამ 19 ხმის უმრავლესობით 17-ის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) უარჰყო წინადადება მთელი ძველი რედაქციის დამტკიცების შესახებ (იხ. გვ. 330 და ბეჭდვითი შეცდომები) და როცა ყოფილი რედაქტორები დაბრუნდნენ სხდომის დარბაზში, ამხ. მარტოვმა თავის «განცხადებაში ყოფილი რედაქციის უმრავლესობის სახელით» (გვ. 330 — 331) კიდევ უფრო მეტი ზომით გამოიჩინა პოლიტიკური პოზიციისა და პოლიტიკურ ცნებათა იგივე მერყეობა და არასიმტკიცე. განვიხილოთ უფრო ვრცლად კოლექტიური განცხადების და მასზე ჩემი პასუხის ყოველი პუნქტი (გვ. 332 — 333).

«ამიერიდან, — ამბობს ამხ. მარტოვი მას შემდეგ, რაც ძველი რედაქცია არ დაამტკიცეს, — ძველი «ისკრა» აღარ არსებობს, და უფრო მეტი თანამიმდევრობა იქნებოდა მას სახელს რომ შევუცვლიდეთ. ყოველ შემთხვევაში ყრილობის ახალი დადგენილება ჩვენ მიგვაჩნია «ისკრისადმი» ნდობის იმ ვოტუმის არსებით შეკვეცად, რომელიც მიღებულ იქნა ყრილობის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე».

ამხ. მარტოვი თავის კოლეგებთან ერთად აყენებს მართლაც საინტერესო და ბევრის მხრივ საგულისხმო პოლიტიკური თანამიმდევრობის საკითხს. მე ვუპასუხე უკვე იმაზე მითითებით, რასაც ყველანი ამბობდნენ «ისკრის» დამტკიცების დროს (ოქმების 349 გვ. შეად. ზემოთ,

შევაჯამოთ კამათი რედაქციის საკითხზე. უმცირესობამ ვერ უარჰყო (და არც უარჰყოფდა) უმრავლესობის მრავალი მითითება იმაზე, რომ სამეულის პროექტი ცნობილი იყო დელეგატებისათვის ყრილობის დასაწყისშივე და ყრილობამდეც, რომ, მაშასადამე, ეს პროექტი გამომდინარეობდა იმ მოსაზრებებიდან დასაბუთებიდან, რომელთაც კავშირი არ ჰქონიათ ყრილობაზე მომხდარ ამბებსა და დავასთან. ექვსეულის დაცვის დროს უმცირესობამ დაიკავა ფილისტერულ მოსაზრებათა პრინციპულად უმართებულო და შეუწყნარებელი პოზიცია. უმცირესობამ გამოიჩინა პარტიული თვალსაზრისის სრული დავიწყება თანამდებობის პირთა არჩევის მიმართ, არც კი ცდილა შეხებოდა თვითეული კანდიდატის შეფასებას თანამდებობისათვის, თუ რამდენად შეეფერებოდა ან არ შეეფერებოდა ის ამა თუ იმ თანამდებობის ფუნქციებს. უმცირესობა გაურბოდა საკითხის არსებითად განხილვას, იმოწმებდა ყბადაღებულ ჰარმონიულობას, «ცრემლებსა ღვრიდა» და «პათოსში ვარდებოდა» (გვ. 327, ლანგეს სიტყვა), თითქოს ვიღაცის «მოკვლა სურდათ». უმცირესობა «სხვის სულში ხელის ფათურამდეც» კი მივიდა, მოსთქვამდა არჩევის «დანაშაულებრივობასა» და სხვა ამგვარ შეუწყნარებელ ხერ-

---

ლებს და უარესი მოსდის!) მხარი დაუჭირონ ისეთს დანაშაულებრივ (sic!) წინადადებას, როგორიცაა სამის არჩევა» (გვ. 351). ამხ. დეიჩმა არათუ უარჰყო, არამედ დაადასტურა ამხ. სოროკინის სიტყვები. ამხ. დეიჩმა დაადასტურა ამხ. სოროკინის საყვედური, რომ «ყველა ცნებანი აქ არეულიაო» (უმცირესობის საბუთებში ექვსეულის სასარგებლოდ). ამხ. დეიჩმა დაადასტურა სოროკინის მხრივ შემდეგი ანბანური ჭეშმარიტების გახსენების მართებულობა: «ჩვენ პარტიის წევრები ვართ და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდეთო». ყვირილი არჩევნების დანაშაულებრივობაზე ნიშნავს არა მარტო ფილისტერობამდე ჩამოქვეითებას, არამედ პირდაპირ სკანდალამდე მისვლას!

ხებზე, ყოველივე აქამდე მივიდა «ნერვული აღგზნებისა» გავლენით (გვ. 325).

ფილისტერობის ბრძოლა პარტიულობასთან, უცუდესი ხარისხის «პირადი ამბებისა» პოლიტიკურ მოსაზრებებთან, უბადრუკი სიტყვებისა რევოლუციური მოვალეობის ელემენტარულ ცნებებთან — აი რას წარმოადგენდა ექვსეულისა და სამეულის გულისთვის ბრძოლა ჩვენი ყრილობის ოცდამეათე სხდომაზე.

31-ე სხდომაზეც, როცა ყრილობამ 19 ხმის უმრავლესობით 17-ის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) უარჰყო წინადადება მთელი ძველი რედაქციის დამტკიცების შესახებ (იხ. გვ. 330 და ბეჭდვითი შეცდომები) და როცა ყოფილი რედაქტორები დაბრუნდნენ სხდომის დარბაზში, ამხ. მარტოვმა თავის «განცხადებაში ყოფილი რედაქციის უმრავლესობის სახელით» (გვ. 330 — 331) კიდევ უფრო მეტი ზომით გამოიჩინა პოლიტიკური პოზიციისა და პოლიტიკურ ცნებათა იგივე მერყეობა და არასიმტკიცე. განვიხილოთ უფრო ვრცლად კოლექტიური განცხადების და მასზე ჩემი პასუხის ყოველი პუნქტი (გვ. 332 — 333).

«ამიერიდან, — ამბობს ამხ. მარტოვი მას შემდეგ, რაც ძველი რედაქცია არ დაამტკიცეს, — ძველი «ისკრა» აღარ არსებობს, და უფრო მეტი თანამიმდევრობა იქნებოდა მას სახელს რომ შევუცვლიდეთ. ყოველ შემთხვევაში ყრილობის ახალი დადგენილება ჩვენ მიგვაჩნია «ისკრისადმი» ნდობის იმ ვოტუმის არსებით შეკვეცად, რომელიც მიღებულ იქნა ყრილობის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე».

ამხ. მარტოვი თავის კოლეგებთან ერთად აყენებს მართლაც საინტერესო და ბევრის მხრივ საგულისხმო პოლიტიკური თანამიმდევრობის საკითხს. მე ვუპასუხე უკვე იმაზე მითითებით, რასაც ყველანი ამბობდნენ «ისკრის» დამტკიცების დროს (ოქმების 349 გვ. შეად. ზემოთ,

გვ. 82) *. უეჭველია, ჩვენს წინაშეა პოლიტიკური არათანამიმ-დევრობის ერთ-ერთი ყველაზე აღმაშფოთებელი შემთხვევა; ვისი მხრით — ყრილობის უმრავლესობისა, თუ ძველი რედაქ-ციის უმრავლესობის მხრით, — ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია. მკითხველსავე მივანდობთ ამხ. მარტოვის და მისი კოლეგების მიერ მეტად დროულად წამოყენებული ორი სხვა საკითხის გადაჭრასაც: 1) ფ ი ლ ი ს ტ ე რ უ ლ ი თუ პ ა რ-ტ ი უ ლ ი თვალსაზრისი იჩენს თავს იმ სურვილში, რომ ««ისკრისადმი» ნდობის ვოტუმის შეზღუდვა» დაინახოს ყ რ ი ლ ო ბ ი ს გადაწყვეტილებაში — მოახდინოს ც. ო-ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს პ ი რ თ ა ა რ ჩ ე-ვ ა? 2) ნამდვილად რა მომენტიდან ა ღ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ძ ვ ე ლ ი «ი ს კ რ ა»: 46-ე ნომრიდან, როცა მას სათავეში ჩავუდექით მე და პლეხანოვი, თუ 53-ე ნომრიდან, როცა მას სათავეში ჩაუდგა ძველი რედაქციის უმრავლესობა? თუ პირ-ველი საკითხი პ რ ი ნ ც ი პ ი ს ფრიად საინტერესო ს ა კ ი თ-ხ ი ა, მეორე — ფ ა ქ ტ ი ს ფრიად საინტერესო ს ა კ ი თ-ხ ი ა.

«რადგან ახლა გადაწყვეტილია, — განაგრძობდა ამხ. მარტოვი, — არჩეულ იქნას რედაქცია სამი პირისაგან, ამი-ტომ ჩემი და სამი სხვა ამხანაგის სახელით ვაცხადებ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ მიიღებს მონაწილეობას ასეთს ახალ რედაქციაში. პირადად ჩემს შესახებ დავძენ: თუ მართალია, რომ ზოგიერთ ამხანაგს სურდა შეეტანა ჩემი სახელი, რო-გორც ერთ-ერთი კანდიდატისა ამ «სამეულში», ეს მე უნდა მივიჩნიო დაუმსახურებელ შეურაცხყოფად (sic!). ამას ვამ-ბობ იმ გარემოებათა გამო, რომელთა დროს გადაწყდა რედაქციის შეცვლა. ეს გადაწყდა რაღაც «უთანხმოებათა» ** გამო, ყოფილი რედაქციის შრომისუუნარობის გამო, მასთან

* იხ. ეს ტომი, გვ. 380 — 381. რ ე დ.

** ამხ. მარტოვს, ალბათ, მხედველობაში აქვს ამხ. პოსადოვსკის გა-მოთქმა: «უხერხულობანი». ვიმეორებ, ამხ. პოსადოვსკის არ აუხსნია ყრილობისთვის, თუ რა სურდა მ ა ს ამით ეთქვა; ამხ. მურავიოვმა კი, რომელმაც იგივე გამოთქმა იხმარა, განმარტა, რომ იგი ლაპარაკობდა

ყრილობამ ეს საკითხი გადაჭრა გარკვეულად, ისე, რომ რედაქციისათვის არც კი უკითხავს ამ უთანხმოებათა შესახებ და კომისიაც კი არ დაუნიშნავს მისი შრომისუუნარობის საკითხის შესატანად»... (საოცარია, რომ უმცირესობიდან არავის ფიქრად არ მოსვლია წინადადება მიეცა ყრილობისთვის «შეჰკითხებოდა რედაქციას» ან კომისია დაენიშნა! იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ «ისკრის» ორგანიზაციის გათიშვისა და მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, რაზედაც წერდნენ ამხ. მარტოვი და სტაროვერი, ეს უნაყოფო იქნებოდა?)... «ამნაირ გარემოებაში ზოგიერთი ამხანაგის ვარაუდს, რომ მე დავთანხმდებოდი მემუშავნა ამნაირად რეფორმირებულ რედაქციაში, მე ვთვლი ჩემი პოლიტიკური რეპუტაციის ლაქად»... *.

იმ პრინციპულ უხერხულობაზე, რამაც თავი იჩინა ყრილობაზე გამართულ კამათშიო. მკითხველები გაიხსენებენ, რომ ერთადერთი შემთხვევა მართლაც პრინციპული კამათისა, რომელშიც მონაწილეობდა ოთხი რედაქტორი (პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და მე), ეხებოდა წესდების 1-ლ პარაგრაფს და რომ ამხ. მარტოვი და სტაროვერი წერილობით სჩიოდნენ «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდების» გამო, როგორც რედაქციის «შეცვლის» ერთ-ერთ საბუთზე. ამ წერილში ამხ. მარტოვი ხედავდა რედაქციის შეცვლის გეგმასთან «ოპორტუნიზმის» აშკარა კავშირს, ყრილობაზე კი დასჯერდა ბუნდოვან გადაკრულ სიტყვას «რაღაც უთანხმოებაზე». «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდება» უკვე მივიწყებულია!

* ამხ. მარტოვმა დასძინა კიდევ: «ამნაირ როლს რიაზანოვი თუ დასთანხმდება, და არა ის მარტოვი, რომელსაც, როგორც ვფიქრობ, თქვენ იცნობთ მისი მუშაობის მიხედვით». რამდენადაც ეს არის პირადი თავდასხმა რიაზანოვზე, იმდენად ამხ. მარტოვმა იგი უკან წაიღო. მაგრამ რიაზანოვი ყრილობაზე წარმოადგენდა საზოგადო სახელს სრულიადაც არა მისი ამა თუ იმ პირადი თვისების გამო (რაზედაც ლაპარაკი უადგილო იქნებოდა), არამედ «ბორბის» ჯგუფის პოლიტიკური ფიზიონომიის, მისი პოლიტიკური შეცდომების გამო. ამხ. მარტოვი ძალიან კარგად იქცევა, თუ უკან მიაქვს განზრახული თუ ნამდვილად მიყენებული პირადი შეურაცხყოფა, მაგრამ ამის გამო არ უნდა დავივიწყოთ პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც გაკვეთილი უნდა იყოს პარტიისთვის. «ბორბის» ჯგუფს ყრილობაზე აბრალებდნენ «ორგანიზაციული ქაოსის» და «დაქსაქსულობის» შემოტანას,

მე განგებ ამოვწერე მთლიანად ეს მსჯელობა, რომ მკითხველს დავანახო ნიმუში და დასაწყისი იმისა, რაც ასე დიდებულად გაიფურჩქნა ყრილობის შემდეგ და რასაც არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა სახელი, თუ არა კინკლაობა. ეს გამოთქმა მე უკვე ვიხმარე ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციისადმი» და, მიუხედავად რედაქციის უკმაყოფილებისა, იძულებული ვარ გავიმეორო ის, ვინაიდან მისი სისწორე უდავოა. შეცდომით ფიქრობენ, რომ კინკლაობა გულისხმობს «ქვენა მოტივებს» (როგორც ეს დაასკვნა ახალი «ისკრის» რედაქციამ): ყოველ რევოლუციონერს, ვინც რაოდენადმე მაინც იცნობს ჩვენს გადასახლებულთა და ემიგრანტთა კოლონიებს, უეჭველია, უნახავს კინკლაობის ათობით შემთხვევა, როცა წამოუყენებიათ და უღეჭნიათ ხოლმე ყოვლად უაზრო ბრალდებები, ეჭვები, თავისმტყუნებანი, «პირადი ამბები» და ა. შ. «ნერვული აღგზნებისა» და ცხოვრების არანორმალური, დამყაყებული პირობების გამო. ქვენა მოტივებს არც ერთი გონიერი ადამიანი არ დაუწყებს უეჭველად ძებნას ამ კინკლაობაში, რაგინდ მდაბალიც არ უნდა იყოს მათი გამოვლინება. და სწორედ მხოლოდ «ნერვული აღგზნებით» შეიძლება აიხსნას უაზრობათა, პირადი ამბების, ფანტასტიკურ საშინელებათა, სულში ხელის ფათურის, ხელოვნურად შეთითხნილი შეურაცხყოფისა და ლაქის მოცხების ეს ხლართი, როგორიც არის ამხ. მარტოვის სიტყვიდან ჩემს მიერ ამოწერილი აბზაცი. ცხოვრების დამყაყებული პირობები ასობით წარმოშობს ჩვენში ასეთ კინკლაობას, და პოლიტიკური პარტია პატივისცემის ღირსი არ იქნებოდა, თუ ის ვერ გაბედავდა

«რაც არავითარი პრინციპული მოსაზრებით არ ყოფილა გამოწვეული» (გვ. 38, ამხ. მარტოვის სიტყვა). ასეთი პოლიტიკური საქციელი უეჭველად ღირსია გაკიცხვისა არამცთუ მაშინ, როცა ჩვენ მას ვამჩნევთ პატარა ჯგუფს პარტიის ქაოსის პერიოდში, არამედ მაშინაც, როცა მას ვხედავთ პარტიის ყრილობის შემდეგ, ქაოსის მოსპობის პერიოდში, ვხედავთ თუნდაც ««ისკრის» რედაქციის უმრავლესობისა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის უმრავლესობის მხრივ».

ნამდვილი სახელი ეწოდებინა თავისი სენისთვის, შეუბრალებელი დიაგნოზი დაესვა და მკურნალობის საშუალებები გამოენახა.

რამდენადაც შესაძლებელია ამ ხლართიდან რაიმე პრინციპულის გამოყოფა, იმდენად აუცილებელია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ «არჩევნებს საერთო არაფერი აქვთ პოლიტიკური რეპუტაციის შელახვასთან», რომ «უარყოფა ყრილობის უფლებისა — ახალი არჩევნები მოახდინოს, თანამდებობის პირთა შემადგენლობა ყოველგვარად შესცვალოს, მის მიერ რწმუნებამიცემული კოლეგიები გადაარჩიოს», — ნიშნავს საკითხში არევ-დარევის შეტანას და იმას, რომ «ამხ. მარტოვის შეხედულება წინანდელი კოლეგიის ნაწილის არჩევის დაშვებაზე ააშკარავებს პოლიტიკურ ცნებათა უდიდეს აღრევას» (როგორც მე ეს ვთქვი ყრილობაზე, გვ. 332) *.

გამოვტოვებ ამხ. მარტოვის «პირადულ» შენიშვნას იმ საკითხზე, თუ ვისგან მომდინარეობს სამეულის გეგმა, და გადავდივარ მის მიერ იმ მნიშვნელობის «პოლიტიკურ» დახასიათებაზე, რომელიც ძველი რედაქციის დაუმტკიცებლობას აქვს: ...«ის, რაც ახლა მოხდა, — ეს არის უკანასკნელი აქტი იმ ბრძოლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყრილობის მეორე ნახევრის განმავლობაში»... (სწორია! და ეს მეორე ნახევარი იწყება იმ მომენტიდან, როცა მარტოვი წესდების 1-ლი პარაგრაფის საკითხში მაგრად ჩაეკონა ამხ. აკიმოვს.)... «არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ამ რეფორმის დროს საქმე ეხება არა «შრომისუნარიანობას», არამედ ბრძოლას ც. კ-ზე გავლენისათვის» ...(ჯერ ერთი, არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ აქ საქმე ეხებოდა შრომისუნარიანობასაც და უთანხმოებასაც ც. კ-ის შემადგენლობის გამო, ვინაიდან «რეფორმის» გეგმა წამოყენებული იყო მაშინ, როცა მეორე უთანხმოებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მაშინ, როცა ჩვენ ამხ. მარტოვთან

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 627. რედ.

ერთად სარედაქციო კოლეგიის მეშვიდე მონაწილედ ამხ. პავლოვიჩს ვირჩევდით! მეორე, ჩვენ უკვე ცხადვყავით დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ი საბუთებით, რომ საქმე ეხებოდა ც. კ-ის პ ი რ ა დ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს, რომ **à la fin des fins** * საქმე მივიდა მხოლოდ სიების განსხვავებამდე: გლებოვი — ტრავინსკი — პოპოვი და გლებოვი — ტროცკი — პოპოვი)... «რედაქციის უმრავლესობამ დაგვანახა, რომ მას არ სურს რედაქციის იარაღად გადააქციოს ც. კ.»... (იწყება აკიმოვისებური სიმღერა: გავლენის საკითხი, — რომლისთვისაც იბრძვის ყოველი უმრავლესობა ყოველ პარტიულ ყრილობაზე ყოველთვის და ყველგან, რათა გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ო ს ეს გავლენა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი თ ცენტრალურ დაწესებულებებში, — გადააქვთ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი ჭ ო რ ი კ ა ნ ო ბ ი ს სფეროში იმის შესახებ, რომ სურთ გადააქციონ რ ე დ ა ქ ც ი ი ს «იარაღად», რედაქციის «უბრალო დ ა ნ ა მ ა ტ ა დ ო», როგორც ეს თქვა იმავე ამხ. მარტოვმა ცოტა უფრო გვიან, გვ. 334)... «აი რატომ დასჭირდათ რედაქციის წევრთა რიცხვის შემცირება (!!). ამიტომაც არ შემიძლია შევიდე ასეთ რედაქციაში»... (უფრო გულდასმით დაუკვირდით **ამ «ამიტომს»**: როგორ შ ე ე ძ ლ ო რედაქციას ც. კ. გადაექცია დანამატად ან იარაღად? მ ხ ო ლ ო დ ისე და იმ შემთხვევაში, თუ მას ექნებოდა სამი ხმა საბჭოში და ბ ო რ ო ტ ა დ გ ა მ ო ი ყ ე ნ ებ დ ა ამ უპირატესობას? განა ეს ცხადი **არ** არის? და განა ცხადი არ არის აგრეთვე, რომ მესამე წევრად არჩეულ ამხ. მარტოვს ყოველთვის შეეძლო ხელი შეეშალა ყოველგვარი ბოროტად გამოყენებისათვის და თ ა ვ ი ს ი ე რ თ ი ხ მ ი თ მოესპო რედაქციის ყოველი უპირატესობა საბჭოში? მაშასადამე, საქმე ეხება სწორედ ც. კ-ის პირად შემადგენლობას, ხოლო ლაპარაკი იარაღისა და დანამატის შესახებ — ერთბაშად ჭ ო რ ი კ ა ნ ო ბ ა დ იქცევა.) ...«ძველი რედაქციის უმრავლესობასთან ერთად მე ვფიქრობდი, რომ ყრილობა ბოლოს მოუღებდა

* — **ბოლოს** და ბოლოს. რ ე დ.

«საალყო წესებს» პარტიის შიგნით და იქ ნორმალურ წესრიგს დაამყარებდა. ნამდვილად კი საალყო წესები განსაკუთრებული კანონებით ცალკე ჯგუფების წინააღმდეგ გაგრძელებულია და გამწვავებულიც კი. მხოლოდ მთელი ძველი რედაქციის შემადგენლობის დროს შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ რედაქციისათვის წესდებით მინიჭებული უფლებები ზიანს არ მიაყენებენ პარტიას»...

აი მთლიანად ის ადგილი ამხ. მარტოვის სიტყვიდან, რომელშიც მან პირველად წამოისროლა «საალყო წესების» ყბადაღებული ლოზუნგი. აი რა ვუპასუხე მე მას:

...«როცა ვასწორებ მარტოვის განცხადებას «ორი სამეულის» გეგმის კერძო ხასიათის შესახებ, მე არც ვფიქრობ ამით შევეხო იმავე მარტოვის მტკიცებას იმ ნაბიჯის «პოლიტიკური მნიშვნელობის» შესახებ, რომელიც ჩვენ გადავდგით, ძველი რედაქცია რომ არ დავამტკიცეთ. პირიქით, მე სავსებით და უეჭველად ვეთანხმები ამხ. მარტოვს, რომ ამ ნაბიჯს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს — ოღონდ არა ის მნიშვნელობა, რომელსაც მარტოვი მას მიაწერს. ის ამბობდა, რომ ეს არის რუსეთში ცენტრალურ კომიტეტზე გავლენისათვის ბრძოლის აქტიო.' მე მარტოვზე უფრო შორს წავალ. გავლენისათვის ბრძოლა იყო დღემდე «ისკრის», როგორც კერძო ჯგუფის, მთელი მოღვაწეობა, ახლა კი საქმე ეხება უკვე უფრო მეტს, გავლენის ორგანიზაციულ განმტკიცებას, და არა მარტო მისთვის ბრძოლას. თუ რა დიდად ვშორდებით ჩვენ აქ პოლიტიკურად ამხ. მარტოვს, ჩანს იქიდან, რომ ის ბრალად მითვლის ამ სურვილს — გავლენა მოვახდინოთ ცენტრალურ კომიტეტზე, მე კი დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ ვცდილობდი და ვცდილობ განვამტკიცო ეს გავლენა ორგანიზაციულად. თურმე, ჩვენ სხვადასხვა ენაზედაც კი ვლაპარაკობდით! რად ეღირებოდა მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი ღონისძიებანი, მათი გვირგვინი რომ ყოფილიყო იგივე ძველი ბრძოლა გავლენისათვის, და არა გავლენის სრული მოპოვება და განმტკიცება. დიახ, ამხ. მარტოვი სავსებით მართალია: გადადგმული ნაბიჯი, უეჭველად, დიდი პოლიტიკური ნაბიჯია, რომელიც მოწმობს, რომ ახლა დასახულ მიმართულებათაგან არჩეულია ერთ-ერთი მიმართულება ჩვენი პარტიის შემდგომ მუშაობაში. და მე ოდნავადაც არ მაფრთხობენ საშინელი სიტყვები «საალყო მდგომარეობაზე პარტიაში», «განსაკუთრებულ კანონებზე ცალკეული პირებისა და ჯგუფების წინააღმდეგ» და სხვ. მერყეევი და მოქანავე ელემენტების მიმართ ჩვენ არათუ შეგვიძლია, არამედ

ვალდებულნიც ვართ შევქმნათ «საალყო მდგომარეობა», და პარტიის მთელი ჩვენი წესდება, ამიერიდან ყრილობის მიერ დამტკიცებული მთელი ჩვენი ცენტრალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა «საალყო მდგომარეობა» პოლიტიკური უსახობის ესოდენ მრავალრიცხოვანი წყაროების წინააღმდეგ. სწორედ უსახობის წინააღმდეგ არის საჭირო საგანგებო, თუნდაც განსაკუთრებული, კანონები, და ყრილობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა სწორად დასახა პოლიტიკური მიმართულება, როცა მტკიცე ბაზისი შეექმნა ასეთი კანონებისა და ასეთი ზომებისათვის» *.

ყრილობაზე წარმოთქმული ჩემი სიტყვის ამ კონსპექტში მე ხაზი გავუსვი ფრაზას, რომლის გამოტოვება არჩია თავის «საალყო წესებში» (გვ. 16) ამხ. მარტოვმა. გასაკვირველი როდია, რომ ეს ფრაზა მას არ მოეწონა და არ მოისურვა გაეგო მისი ნათელი აზრი.

რას ნიშნავს, ამხ. მარტოვო, გამოთქმა: «საშინელი სიტყვები»?

ეს ნიშნავს დაცინვას, იმათ დაცინვას, ვინც პატარა საგნებს დიდ სახელს არქმევს, ვინც უბრალო საკითხს ხლართავს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზიორობით.

პატარა და უბრალო ფაქტი, რომელიც მარტოოდენ შეიძლებოდა საბაბი გამხდარიყო და გახდა კიდევაც ამხ. მარტოვის «ნერვული აღგზნებისა», —ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოება, რომ ამხ. მარტოვი ყრილობაზე დამარცხდა ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში. ამ უბრალო ფაქტის პოლიტიკური მნიშვნელობა ის იყო, რომ პარტიული ყრილობის უმრავლესობამ, რაკი გაიმარჯვა, თავისი გავლენა განამტკიცა უმრავლესობის გაყვანით პარტიულ გამგეობაში, ორგანიზაციული ბაზისის შექმნით, რათა წესდების საშუალებით ებრძოლნა იმის წინააღმდეგ, რაც ამ უმრავლესობას მიაჩნდა მერყეობად, უმტკიცობად და უსახობად **.

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 629 — 630. რედ.

** რით გამოიხატა ყრილობაზე ისკრული უმცირესობის უმტკიცობა, მერყეობა და უსახობა? ჯერ-ერთი, ოპორტუნისტული ფრაზებით წესდების 1-ლი პარაგრაფის შესახებ; მეორე, კოალიციით ამხ. აკიმოვსა

ამის გამო რაღაც შეშინებული თვალებით ლაპარაკი «ვავლენისათვის ბრძოლაზე» და ჩივილი «საალყო წესებზე» სხვა არა იყო რა, თუ არ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზიორობა, საშინელი სიტყვები.

ამხ. მარტოვი არ ეთანხმება ამას? იქნებ მან სცადოს და დაგვანახოს, რომ ყოფილა ქვეყნად ისეთი პარტიული ყრილობა, რომ საერთოდ წარმოსადგენია ისეთი პარტიული ყრილობა, სადაც უმრავლესობას არ განემტკიცებინოს მოპოვებული გავლენა: 1) უმრავლესობისვე გაყვანით ცენტრებში, 2) მისთვის ძალაუფლების ჩაბარებით უმტკიცობის, მერყეობისა და უსახობის მოსასპობად?

არჩევნების წინ ჩვენს ყრილობას უნდა გადაეწყვიტა საკითხი: ხმების ერთი მესამედი ც. ო-სა და ც. კ-ში პარტიულ უმრავლესობას მიეცეს თუ პარტიულ უმცირესობას? ექვსეული და ამხ. მარტოვის სია იმას ნიშნავდა, რომ ერთ მესამედს მივიღებდით ჩვენ, ორ მესამედს კი — მისი მომხრენი. სამეული ც. ო-ში და ჩვენი სია ნიშნავდა ჩვენთვის ორი მესამედის, ამხ. მარტოვის მომხრეებისთვის კი — ერთი მესამედის მიცემას. ამხ. მარტოვმა უარჰყო ჩვენთან შეთანხმება ან დათმობა და წერილობით გაგვიწვია ბრძოლაში ყრილობის წინაშე; მაგრამ რაკი ყრილობაზე დამარცხდა, ის ატირდა და იწყო ჩივილი «საალყო წესებზე»! მერე და, განა ეს კინკლაობა არ არის? განა ეს ინტელიგენტური დონდლობის ახალი გამოვლინება არ არის?

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამის გამო ამ უკანასკნელი თვისების ბრწყინვალე სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოგვცა კ. კაუტსკიმ. სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიები ახლა ხშირად არიან შეპყრობილი ერთი და იმავე სენით, და ჩვენ-

---

და ლიბერთან, რაც სწრაფად იზრდებოდა ყრილობის მეორე ნახევარში; მესამე, იმით, რომ ც. ო-ში თანამდებობის პირთა არჩევის საკითხი დაჰყავდათ ფილისტერობამდე, უბადრუკ სიტყვებამდე, და სხვის სულში ხელის ფათურამდეც კი. ყრილობის შემდეგ კი მთელი ეს ჩინებული თვისებები გაიფურჩქნა კოკრიდან ყვავილად, ხოლო შემდგომ ნაყოფადაც იქცა.

თვის ფრიად და ფრიად სასარგებლოა ვისწავლოთ უფრო გამოცდილი ამხანაგებისაგან სწორი დიაგნოზის დასმა და სწორი მკურნალობა. კ. კაუტსკის მიერ ზოგიერთი ინტელიგენტის დახასიათება ამიტომ ჩვენი თემიდან მხოლოდ მოჩვენებითი გადახვევა იქნება.

...«ამჟამად ჩვენ კვლავ ძალიან გვაინტერესებს ინტელიგენციასა* და პროლეტარიატს შორის არსებული ანტაგონიზმის საკითხი. ჩემი კოლეგები» (თვითონ კაუტსკი ინტელიგენტი, ლიტერატორი და რედაქტორია) «სულ ერთიანად აღშფოთდებიან იმის გამო, რომ მე აღვიარებ ამ ანტაგონიზმს. მაგრამ ის ხომ ფაქტიურად არსებობს, და ყოვლად მიზანშეუწონელი ტაქტიკა იქნებოდა (აქაც, როგორც სხვა შემთხვევაშიც) ცდა — თავი დაგვეღწია მისგან ფაქტის უარყოფით. ეს ანტაგონიზმი არის სოციალური ანტაგონიზმი, რომელიც თავს იჩენს კლასებში და არა ცალკეულ პიროვნებებში. როგორც ცალკე კაპიტალისტს, ისე ცალკე ინტელიგენტს შეუძლია მთლად ჩაებას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. იმ შემთხვევაში, როცა ამას ადგილი აქვს ხოლმე, ინტელიგენტი თავის ხასიათსაც იცვლის. და შემდეგში ლაპარაკი გვექნება, უმთავრესად, არა ამ ტიპის ინტელიგენტებზე, რომლებიც ახლაც გამონაკლისს შეადგენენ თავის კლასში. შემდგომ გადმოცემაში, თუ განსაკუთრებული შენიშვნა არ გვექნება, ინტელიგენტად მე ვგულისხმობ მხოლოდ ჩვეულებრივ ინტელიგენტს, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე დგას და დამახასიათებელი წარმომადგენელია ინტელიგენციის კლასისა. ეს კლასი განსაზღვრულ ანტაგონიზმში იმყოფება პროლეტარიატის მიმართ.

ეს ანტაგონიზმი სხვანაირია, ვიდრე ანტაგონიზმი შრომასა და კაპიტალს შორის. ინტელიგენტი კაპიტალისტი არ არის. მართალია, მისი ცხოვრების დონე ბურჟუაზიულია და ის იძულებულია დაიცვას ეს დონე, ვიდრე მაწანწალად არ ქცეულა, მაგრამ ამავე დროს ის იძულებულია გაჰყიდოს თავისი შრომის პროდუქტი, ხშირად კი — თავისი სამუშაო ძალაც; ის ხშირად კაპიტალისტის მხრივ ექსპლოატაციას და ერთგვარ სოციალურ დამცირებას განიცდის. ამრიგად, ინტელიგენტსა და პროლე-

* მე ვთარგმნი სიტყვით — ინტელიგენტი, ინტელიგენცია გერმანულ გამოთქმებს **Literat, Literatentum,** რაც მოიცავს არა მარტო ლიტერატორებს, არამედ ყველა განათლებულ ადამიანს, საერთოდ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, გონებრივი შრომის წარმომადგენლებს (**brain worker,** როგორც ინგლისელები ამბობენ) ფიზიკური შრომის წარმომადგენელთაგან განსხვავებით.

ტარიატს შორის არავითარი ეკონომიური ანტაგონიზმი არ **არსებობს**. მაგრამ მისი ცხოვრება, მისი შრომის პირობები პროლეტარული **არ** არის, და აქედან გამომდინარეობს ერთგვარი ანტაგონიზმი განწყობილებასა და აზროვნებაში.

პროლეტარი არარაა, ვიდრე ის იზოლირებულ ინდივიდუუმად **რჩება**. მთელ თავის ძალას, მთელ თავის უნარს პროგრესისადმი, მთელ თავის იმედებსა და სასოებას ის ღებულობს ორგანიზაციიდან, ამხანაგებთან გეგმაშეწონილი ერთობლივი მუშაობიდან. ის თავს დიადად და ძლიერად გრძნობს, როცა ის შეადგენს დიადი და ძლიერი ორგანიზმის ნაწილს. ეს ორგანიზმი მისთვის ყველაფერია, ცალკე ინდივიდუუმი კი მასთან შედარებით მეტად ცოტა რასმე ნიშნავს. პროლეტარი თავის ბრძოლას აწარმოებს უდიდესი თავგანწირვით, როგორც ნაწილი უსახელო მასისა, არ დაეძებს პირად სარგებლობას, პირად დიდებას, თავის მოვალეობას ასრულებს ყველა პოსტზე, სადაც უნდა დააყენონ, ნებაყოფლობით ემორჩილება დისციპლინას, რითაც გამსჭვალულია მთელი მისი გრძნობა, მთელი მისი აზროვნება.

სრულიად სხვაა ინტელიგენტის საქმე. ის იბრძვის ძალის არა ასე თუ ისე გამოყენებით, არამედ — არგუმენტებით. მისი იარაღია მისი პირადი ცოდნა, მისი პირადი ნიჭი, მისი პირადი რწმენა. მას შეუძლია მიაღწიოს ამა თუ იმ მნიშვნელობას მხოლოდ თავისი პირადი ღირსების წყალობით. ამიტომ სრული თავისუფლება თავისი პიროვნების გამოსაჩენად მას წარმოდგენილი აქვს წარმატებითი მუშაობის პირველ პირობად. მხოლოდ გაჭირვებით ემორჩილება ის განსაზღვრულ მთელს, როგორც მისი დამხმარე ნაწილი, ემორჩილება აუცილებლობით და არა თავისი საკუთარი გულისწადილით. დისციპლინის აუცილებლობას ის აღიარებს მხოლოდ მასისთვის და არა რჩეულ პირთათვის. თავის თავს კი ის, რასაკვირველია, რჩეულთ აკუთვნებს....

...ნიცშეს ფილოსოფია, მისი ზეკაცის კულტით, რომლისთვისაც მთელი საქმე ისაა, რომ უზრუნველჰყოს თავისი საკუთარი პიროვნების სრული განვითარება და რომელსაც თავისი საკუთარი პერსონის რაიმე დიადი საზოგადოებრივი მიზნისადმი ყოველგვარი დამორჩილება უგვანობად და საზიზღრობად ეჩვენება, ეს ფილოსოფია ინტელიგენტის ნამდვილი მსოფლმხედველობაა, ეს ფილოსოფია სრულიად უვარგისად ხდის ინტელიგენტს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობისათვის.

ნიცშესთან ერთად, ინტელიგენციის იმ მსოფლმხედველობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც შეეფერება ინტელიგენციის განწყობილებას, — ეს არის იბსენი. მისი დოქტორი შტოკმანი (დრამაში «ხალხის მტერი») — სოციალისტი კი არ არის, როგორც ბევრი ფიქრობდა, არამედ ინტელიგენტის ტიპია, რომელსაც აუცილებლად მოუხდება შეტაკება პროლეტარულ მოძრაობასთან, საერთოდ ყოველგვარ **სახალხო** მოძ-

რაობასთან, რაკი ის შეეცდება იმოქმედოს ამ მოძრაობაში. ეს იმიტომ, რომ პროლეტარული, ისე როგორც ყოველგვარი დემოკრატიული *, მოძრაობის საფუძველია ამხანაგების უმრავლესობისადმი პატივისცემა. ტიპიურ ინტელიგენტს à la ** შტოკმან «კომპაქტური უმრავლესობა» მიაჩნია რაღაც საშინელებად, რომელიც დამხობილ უნდა იქნას.

...ისეთი ინტელიგენტის იდეალური ნიმუში, რომელიც მთლად გაჟღენთილია პროლეტარული განწყობილებით, რომელმაც, როგორც ბრწყინვალე მწერალმა, დაპკარგა ფსიქიკის სპეციფიკური ინტელიგენტური თვისებები, რომელიც უბუზღუნოდ მიაბიჯებდა რიგსა და მწყობრში, მუშაობდა ყველა იმ პოსტზე, სადაც მას ნიშნავდნენ, მთლიანად ემორჩილებოდა ჩვენს დიად საქმეს და ეზიზღებოდა ის მოდუნებული წუწუნი (weiches Gewinsel) თავისი პიროვნების დათრგუნვის თაობაზე, რაც ხშირად გვესმის იმ ინტელიგენტებისაგან, რომელნიც აღზრდილნი არიან იბსენსა და ნიცშეზე, როცა ისინი უმცირესობაში რჩებიან, — ისეთი ინტელიგენტის იდეალური ნიმუში, რანაირიც სოციალისტურ მოძრაობას ესაჭიროება, ლიბკნეხტი იყო. შეიძლება აქ დავასახელოთ მარქსიც, რომელიც არასოდეს არ მიიწევდა პირველ ადგილას და სანიმუშოდ ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას ინტერნაციონალში, სადაც ის არა ერთხელ დარჩენილა უმცირესობაში» ***.

უმცირესობაში დარჩენილი ინტელიგენტის სწორედ ასეთი მოდუნებული წუწუნი იყო და სხვა არაფერი მარტოვისა და მისი კოლეგების უარისთქმა თანამდებობაზე მარტო იმის გამო, რომ ძველი წრე არ დაამტკიცეს, მათი ჩივილი საალყო წესებსა და განსაკუთრებულ კანონებზე «ცალკე ჯგუფთა წინააღმდეგ», რომელნიც არაფრად უღირდნენ მარტოვს «იუჟნი რაბოჩის» და «რაბოჩეე დელოს» დაშლის დროს,

---

* იმ დომხალისთვის, რომელიც ყველა ორგანიზაციულ საკითხში შეეტანეს ჩვენმა მარტოველებმა, მეტად დამახასიათებელია, რომ მათ პირი იბრუნეს აკიმოვისა და უ ა დ გ ი ლ ო დემოკრატიზმისაკენ და იმავე დროს გ ა ბ ო რ ო ტ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ რ ე დ ა ქ ც ი ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ა რ ჩ ე ვ ი თ, ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე არჩევით, რაც წინასწარ დასახული იყო ყველას მიერ! იქნებ, ეს თქვენი პ რ ი ნ ც ი პ ი ა, ბატონებო?

** — მსგავსად. რ ე დ.

*** **K a r l K a u t s k y**: «**Franz Mehring**», «**Neue Zeit**», XXII, I, S. 101 — 103, 1903, № 4 (კ ა რ ლ კ ა უ ტ ს კ ი: «ფრანც მერინგი», «ახალი დროება», XXII, I, გვ. 101 — 103, 1903, № 4. რ ე დ.).

ხოლო ძვირფასი გახდნენ მ ი ს ი კოლეგიის დაშლის დროს.

უმცირესობაში დარჩენილი ინტელიგენტების სწორედ ასეთი მოდუნებული წუწუნი იყო მთელი ეს დაუსრულებელი ჩივილი, საყვედური, სიტყვის გადაკვრა, ყვედრება, ჭორები და ინსინუაციები «კომპაქტური უმრავლესობის» შესახებ, რამაც მდინარესავით გადმოხეთქა ჩვენს პარტიულ ყრილობაზე * (და კიდევ უფრო მეტად ყრილობის შემდეგ) მარტოვის ლოცვა-კურთხევით.

უმცირესობა მწარედ სჩიოდა იმის გამო, რომ კომპაქტურ უმრავლესობას თავისი კერძო კრებები ჰქონდა: მართლაც, უმცირესობას ხომ რითიმე უნდა დაეფარა უსიამოვნო ფაქტი, რომ ის დელეგატები, ვისაც იგი იწვევდა თავის კერძო კრებებზე, უარს ამბობდნენ დასწრებაზე, ისინი კი, ვინც სიამოვნებით დაესწრებოდნენ (ეგოროვები, მახოვები, ბრუკერები), არ შეიძლებოდა მიეწვია უმცირესობას მთელი იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მათ შორის ყრილობაზე გაიმართა.

მწარედ სჩიოდნენ «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდების» გამო: მართლაც, რამენაირად ხომ უნდა დაეფარათ ის არასასიამოვნო ფაქტი, რომ ს წ ო რ ე დ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ მ ა, რომლებიც გაცილებით უფრო ხშირად ანტიისკრელებს მიჰყვებოდნენ, ნაწილობრივ კი თვითონ ამ ანტიისკრელებმა, შეადგინეს კომპაქტური უმცირესობა, ორივე ხელით ჩაეჭიდნენ წრეობანის მხარდაჭერას დაწესებულებებში, ოპორტუნიზმისას — მსჯელობაში, ფილისტერობისას — პარტიულ საქმეში, ინტელიგენტური მერყეობისა და დონდლობის მხარდაჭერას.

შემდეგ პარაგრაფში ჩვენ ცხადვყოფთ, თუ რაში მდგომარეობს იმ უაღრესად საინტერესო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ა ქ ტ ი ს ახსნა, რომ ყრილობის დასასრულს შეიქმნა «კომპაქტური უმრავლესობა», და რატომაა, რომ უმცირე-

* იხ. ყრილობის ოქმები, გვ. 337, 338, 340, 352 და სხვ.

სობა ასე ბეჯითად და გულმოდგინედ, მიუხედავად ყველა გამოწვევისა, გვერდს უვლის მისი შექმნის მიზეზებისა და ისტორიის საკითხს. მაგრამ ჯერ მოვათავოთ ყრილობაზე გაჩაღებული კამათის ანალიზი.

ც. კ-ის არჩევნების დროს ამხ. მარტოვმა შემოიტანა მეტად დამახასიათებელი რეზოლუცია (გვ. 336), რომლის სამ ძირითად ნიშანს მე ვუწოდებდი ხოლმე «შამათს სამი სვლით». აი ეს ნიშნები: 1) კენჭი ეყრება ც. კ-ის კანდიდატების სიებს და არა ცალკეულ კანდიდატებს; 2) სიების წაკითხვის შემდეგ გამოიტოვება ორი სხდომა (ალბათ, განხილვისათვის); 3) თუ აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნება, მეორე კენჭისყრა საბოლოოა. ეს რეზოლუცია ჩინებულად მოფიქრებული სტრატეგიაა (სიმართლე უნდა ითქვას მოწინააღმდეგეზედაც!), რომელსაც არ ეთანხმება ამხ. ეგოროვი (გვ. 337), მაგრამ ეს რეზოლუცია უეჭველად უზრუნველჰყოფდა მარტოვის სრულ გამარჯვებას, ბუნდელებისა და რაბოჩეედელოელების შვიდეულირომარწასულიყო ყრილობიდან. ეს სტრატეგია აიხსნება სწორედ იმით, რომ ისკრულ უმცირესობას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა «პირდაპირი შეთანხმება» (რომელიც ჰქონდა ისკრულ უმრავლესობას) არამცთუ ბუნდთან და ბრუკერთან, არამედ ამხ. ეგოროვებსა და მახოვებთანაც კი.

გაიხსენეთ, რომ ამხ. მარტოვი ცრემლებს ღვრიდა ლიგის ყრილობაზე, თითქოს «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდება» გულისხმობდა მის პირდაპირ შეთანხმებას ბუნდთან. ვიმეორებ, ეს ამხ. მარტოვს შიშით მოეჩვენა, და სწორედ ამხ. ეგოროვის დაუთანხმებლობა სიების კენჭისყრაზე (ამხ. ეგოროვს «ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი «პრინციპები», ალბათ, ის პრინციპები, რომლებიც აიძულებდნენ მას შეერთებოდა გოლდბლატს დემოკრატიული გარანტიების აბსოლუტური მნიშვნელობის შეფასებაში) თვალნათლივ გვიჩვენებს იმ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს, რომ ეგოროვთანაც კი არ შეიძ-

ლებოდა ლაპარაკი «პირდაპირ შეთანხმებაზე». მაგრამ კოალიცია შეიძლებოდა ყოფილიყო და იყო კიდეც ეგოროვთანაც და ბრუკერთანაც, კოალიცია იმ აზრით, რომ მარტოველებისთვის უზრუნველყოფილი იყო მათი მხარდაჭერა ყოველთვის, როცა მარტოველებს ჩვენთან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდათ ხოლმე და როცა აკიმოვს და მის მეგობრებს უხდებოდათ ნაკლები ბოროტება აერჩიათ. სულ მცირეოდენ ეჭვსაც კი არ იწვევდა და არც იწვევს რომ ნაკლებ ბოროტებად, იმად, რაც ნაკლებად აღწევს ისკრულ მიზნებს (იხ. აკიმოვის სიტყვა 1-ლი პარაგრაფის შესახებ და მისი «იმედები» მარტოვზე), ამ ხ. აკიმოვი და ლიბერი უეჭველად აირჩევდნენ ეჭვსეულსაც ც. ო-ში და მარტოვის სიასაც ც. კ-ში. სიების კენჭისყრა, ორი სხდომის გამოტოვება და ხელახალი კენჭისყრა ნავარაუდევი იყო სწორედ იმისთვის, რომ ეს შედეგი თითქმის მექანიკური სისწორით მიეღოთ, ყოველგვარი პირდაპირი შეთანხმების გარეშე.

მაგრამ რამდენადაც ჩვენი კომპაქტური უმრავლესობა კომპაქტურ უმრავლესობად რჩებოდა, — ამხ. მარტოვის შემოსავლელი გზა მხოლოდ შემაფერხებელი რამ იყო, და ჩვენც არ შეგვეძლო არ უარგვეყო იგი. უმცირესობამ წერილობით (განცხადებაში, გვ. 341) გამოსთქვა თავისი ჩივილი ამაზე და უარი სთქვა, მსგავსად მარტინოვისა და აკიმოვისა, კენჭისყრაზე და ც. კ-ის არჩევნებზე «იმ პირობების გამო, რანაირშიც იგი ხდებოდა». ყრილობის შემდეგ ეს ჩივილი არჩევნების არანორმალური პირობების გამო (იხ. «საალყო წესები», გვ. 31) გაისმოდა მარჯვნივ და მარცხნივ ასობით პარტიულ ჭორიკანათა წინაშე. მაგრამ რაში იყო აქ არანორმალობა? იქნებ ფარულ კენჭისყრაში, რომელიც წინდაწინვე გათვალისწინებული იყო ყრილობის რეგლამენტით (§ 6, ოქმები, გვ. 11) და რომელშიც «პირმოთნეობის» ან «უსამართლობის» დანახვა სასაცილოა? იქნებ კომპაქტური უმრავლესობის შექმნა-

ში, დონდლო ინტელიგენტების ამ «საშინელებაში»? ან იქნებ ეს იყო ამ პატივცემული ინტელიგენტების ა რ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ ი სურვილი — გ ა ე ტ ე ხ ა თ ი ს ს ი ტ ყ ვ ა, რომელიც მათ მოგვცეს ყრილობის წინ, როცა აღგვითქვეს, ყველა მის არჩევნებს აღვიარებთო (გვ. 380, ყრილობის წესდების § 18)?

ამხ. პოპოვმა მ ო ს წ რ ე ბ უ ლ ა დ გადაჰკრა ამ სურვილზე, როცა ყრილობაზე არჩევნების დღეს გამოვიდა და პირდაპირ დააყენა კითხვა: «დარწმუნებულია თუ არა ბიურო, რომ ყრილობის გადაწყვეტილება ნამდვილი და კანონიერია, თუ მონაწილეთა ნახევარმა უარი სთქვა კენჭისყრაზეო?» *. ბიურომ უპასუხა: რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვართო, და მოაგონა ინციდენტი ამხ. აკიმოვსა და ამხ. მარტინოვთან. ამხ. მარტოვი შეუერთდა ბიუროს და პირდაპირ განაცხადა, ამხ. პოპოვი ცდება, «ყ რ ი ლ ო ბ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა ო» (გვ. 343). დაე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს ეს, — ალბათ, მეტისმეტად ნორმალური, — პოლიტიკური თანამიმდევრობა, რომელიც აშკარავდება, როდესაც პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ა მ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ს ვუპირისპირებთ ყრილობის მერმინდელ მათ მოქმედებას და «საალყო წესების» იმ ფრაზას, რომ «ჯ ე რ კ ი დ ე ვ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე დ ა ი წ ყ ო პ ა რ ტ ი ი ს ნ ა ხ ე ვ რ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ო» (გვ. 20). იმედებმა, რომელთაც ამხ. აკიმოვი ამყარებდა ამხ. მარტოვზე, გადააჭარბა თვით მარტოვის წუთიერ კეთილ განზრახვებს.

«შ ე ნ გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე», ამხანაგო აკიმოვო!

* * *

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად «საშინელი სიტყვა» იყო ყბადაღებული ფრაზა «საალყო წესების» შესახებ, რომელსაც ახლა სამუდამოდ ტრაგიკომიკური აზრი

---

* გვ. 342. ლაპარაკია საბჭოს მეხუთე წევრის არჩევაზე. მიცემული იყო 24 ბარათი (სულ 44 ხმა), მათგან 2 ცარიელი.

მიეცა, — საკმარისია აღვნიშნოთ ზოგი გარეგნულად წვრილმანი, მაგრამ არსებითად მეტად საყურადღებო ნიშნები ყრილობის დ ა ს ა ს რ უ ლ ი ს ა, იმ დასასრულისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევნების შ ე მ დ ე გ. ამხ. მარტოვი ახლა ჩასციებია ამ ტრაგიკომიკურ «საალყო წესებს» და სერიოზულად არწმუნებს თავის თავსაც და მკითხველებსაც, რომ ეს მის მიერ მოგონილი საფრთხობელა ნიშნავდა რაღაც არანორმალურ დევნას, წასისიანებას, «უმრავლესობის» მიერ «უმცირესობის» გაქელვას. ჩვენ ახლავე ცხადვყოფთ, თუ როგორ იყო საქმე ყრილობის შ ე მ დ ე გ. მაგრამ აიღეთ თუნდაც ყრილობის დასასრული, და თქვენ დაინახავთ, რომ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ «კომპაქტური უმრავლესობა» არათუ არ სდევნიდა საბრალო, გაქელილ, შეურაცხყოფილ და სიკვდილით დასასჯელად გამზადებულ მარტოველებს, არამედ, პირიქით, თ ვ ი თ თ ო ნ ს თ ა ვ ა ზ ო ბ დ ა მათ (ლიადოვის პირით) ო რ ა დ გ ი ლ ს ს ა მ ი დ ა ნ საოქმო კომისიაში (გვ. 354). აიღეთ რეზოლუციები ტაქტიკურ და სხვა საკითხებზე (გვ. 355 და შემდ.) და თქვენ დაინახავთ საკითხის არსებითსა და წმინდა საქმიან განხილვას, როცა იმ ამხანაგების ხელმოწერა, რომელთაც რეზოლუციები შეჰქონდათ, ხშირად გვიჩვენებს, რომ ერთმანეთში არეულან საშინელი კომპაქტური «უმრავლესობის» წარმომადგენლებიც და «დამცირებული და შეურაცხყოფილი» «უმცირესობის» მომხრეებიც (ოქმების გვ. 355, 357, 363, 365, 367). ხედავთ, როგორ ჰგავს ეს «მუშაობისგან ჩამოშორებას» და სხვა ყოველგვარ «გაქელვას»?

ერთადერთი საინტერესო, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებითად მეტად მოკლე დავა წარმოიშვა ლიბერალების შესახებ სტაროვერის რეზოლუციის გამო. როგორც მის ქვეშ ხელმოწერის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ (გვ. 357 და 358), ყრილობამ ის მიიღო იმიტომ, რომ «უმრავლესობის» სამმა მომხრემ (ბრაუნმა, ორლოვმა, ოსიპოვმა[78]) ხმა მისცა მ ა ს ა ც და პლეხანოვის რეზოლუციასაც, რადგან ვერ დაინახა მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა. შეურიგებე-

ლი წინააღმდეგობა, პირველი შეხედვით, მათ შორის არ არის, ვინაიდან პლეხანოვის რეზოლუცია ადგენს ზოგად პრინციპს, გამოხატავს განსაზღვრულ პრინციპულ და ტაქტიკურ დამოკიდებულებას ბურჟუაზიული ლიბერალიზმისადმი რუსეთში; სტაროვერის რეზოლუცია კი ცდილობს გაარკვიოს «ლიბერალურ თუ ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან» «დროებით შეთანხმებათა» დაშვების კონკრეტული პირობები. ორივე რეზოლუციის თემა სხვადასხვაა. მაგრამ სტაროვერის რეზოლუციის ნაკლს შეადგენს სწორედ პოლიტიკური უსახობა, და ამის გამო ის უმნიშვნელო და წვრილმანია. ის არ არკვევს რუსული ლიბერალიზმის კლასობრივ შინაარსს, ის არ აღნიშნავს მის გამომხატველ გარკვეულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს, არ განუმარტავს პროლეტარიატს მისი პროპაგანდისა და აგიტაციის ძირითად ამოცანებს ამ განსაზღვრულ მიმდინარეობათა მიმართ, ის ერთმანეთში ურევს (თავისი უსახობის გამო) ისეთ სხვადასხვანაირ რამეებს, როგორიცაა სტუდენტთა მოძრაობა და «ოსვობოჟდენიე», იგი მეტად წვრილმანად, კაზუისტიკურად აწესებს სამ კონკრეტულ პირობას, როცა დასაშვებია «დროებითი შეთანხმებანი». პოლიტიკური უსახობა ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, იწვევს კაზუისტიკურობას. ზოგადი პრინციპის უქონლობას და «პირობების» ჩამოთვლის ცდას მოსდევს ამ პირობათა წვრილმანი და, ზუსტად თუ ვიტყვით, არასწორი მითითება. მართლაც, დაუკვირდით სტაროვერის ამ სამ პირობას: 1) «ლიბერალურმა თუ ლიბერალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობებმა» «გარკვევით და არაორაზროვნად უნდა განაცხადონ, რომ თავის ბრძოლაში თვითმპყრობელურ მთავრობასთან ისინი გადაჭრით დგებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხარეზე». რა განსხვავებაა ლიბერალურ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის? რეზოლუცია არავითარ მასალას არ იძლევა ამ კითხვის პასუხისათვის. იქნებ განსხვავება ისაა, რომ

ლიბერალური მიმდინარეობანი გამოხატავენ პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებად პროგრესული ბურჟუაზიული ფენების პოზიციას, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი — ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე მეტად პროგრესული ფენების პოზიციას? თუ ეს ასეა, ნუთუ ამხ. სტაროვერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებად პროგრესული (მაგრამ მაინც პროგრესული, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ლიბერალიზმზე ლაპარაკი) ფენები «გადაჭრით დადგებიან სოციალ-დემოკრატიის მხარეზე»?? ეს აბსურდია, და ასეთი მიმდინარეობის წარმომადგენლებმა კიდეც რომ «განაცხადონ ეს გარკვევით და არაორაზროვნად» (რაც სრულიად წარმოუდგენელია), მაშინ ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, ვალდებული ვიქნებოდით არ დაგვეჯერებინა მათი განცხადებები. ლიბერალი იყო და გადაჭრით სოციალ-დემოკრატიის მხარეზე იდგე, — ერთი გამორიცხავს მეორეს.

შემდეგ. დავუშვათ ისეთი შემთხვევა, რომ «ლიბერალურმა თუ ლიბერალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობებმა» გარკვევით და არაორაზროვნად განაცხადონ, რომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ისინი გადაჭრით დგებიან სოციალისტ-რევოლუციონერების მხარეზე. ასეთი ვარაუდი გაცილებით უფრო ნაკლებ წარმოუდგენელია (სოციალისტ-რევოლუციონერთა მიმართულების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსის გამო), ვიდრე ამხ. სტაროვერის ვარაუდი. მისი რეზოლუციის აზრით, ამ რეზოლუციის უსახობისა და კაზუისტიკურობის გამო, გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში დროებითი შეთანხმებანი ამგვარ ლიბერალებთან დაუშვებელია. ამხ. სტაროვერის რეზოლუციიდან ამ აუცილებელ დასკვნას კი მივყავართ პირდაპირ არასწორ დებულებამდე. დროებითი შეთანხმებანი დასაშვებია სოციალისტ-რევოლუციონერებთანაც (იხ. ყრილობის რეზოლუცია მათ შესახებ)

და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, იმ ლიბერალებთანაც, რომლებიც სოციალისტ-რევოლუციონერების მხარეზე დადგებოდნენ.

მეორე პირობა: თუ ეს მიმდინარეობანი «თავიანთ პროგრამებში არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც მუშათა კლასისა და საერთოდ დემოკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან ან მათ შეგნებას აბნელებენ». აქაც იგივე შეცდომაა: არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც თავის პროგრამაში არ აყენებდეს მუშათა კლასის ინტერესების საწინააღმდეგო მოთხოვნებს და არ აბნელებდეს მის (პროლეტარიატის) შეგნებას. ჩვენებური ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ფრაქციაც კი, სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქცია, თავის პროგრამაში, რომელიც ისევე არეულ-დარეულია, როგორც ყველა ლიბერალური პროგრამა, ისეთ მოთხოვნებს აყენებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის ინტერესებს და აბნელებენ მის შეგნებას. ამ ფაქტიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა «ვამხილოთ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობა და უკმარისობა», და სრულიადაც არა ის, რომ დაუშვებლად მივიჩნიოთ დროებითი შეთანხმებანი.

ბოლოს, ამხ. სტაროვერის მესამე «პირობაც» (რომ ლიბერალ-დემოკრატებმა თავიანთი ბრძოლის ლოზუნგად გაიხადონ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი საარჩევნო უფლება) ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს იმ ზოგადი სახით, რომელიც მას აქვს მიცემული: უ გ უ ნ უ რ ე ბ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა ყოვლად შეუწყნარებლად გამოგვეცხადებინა დროებითი და კერძო ხასიათის შეთანხმებანი ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან, რომლებიც წამოაყენებდნენ ცენზიანი კონსტიტუციის, საერთოდ «კუდმოკვეცილი» კონსტიტუციის ლოზუნგს. არსებითად, სწორედ ამას მიუდგება ბატონ «ოსვობოჟდენიელების» «მიმდინარეობა», მაგრამ წელების შებოჭვა, წინდაწინ აკრძალვა «დროებითი შეთანხმებებისა», თუნდაც ყოვლად მხდალ ლიბერალებთან, — ეს

იქნებოდა პოლიტიკური სიბეცე, რომელიც შეუთავსებელია მარქსიზმის პრინციპებთან.

შევაჯამოთ: ამხ. სტაროვერის რეზოლუცია, ხელმოწერილი აგრეთვე ამხ. მარტოვის და ამხ. აქსელროდის მიერ, მ ც დ ა რ ი ა, და მესამე ყრილობა გონიერად მოიქცევა, თუ მას გააუქმებს. მისი ნაკლია თეორიული და ტაქტიკური პოზიციის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ ს ა ხ ო ბ ა, იმ პრაქტიკული «პირობების» კაზუისტიკურობა, რომლებსაც ეს რეზოლუცია მოითხოვს. ის ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი უ რ ე ვ ს ო რ ს ა კ ი თ ხ ს: 1) ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის «ანტირევოლუციურ და ანტიპროლეტარულ» თვისებათა მხილებას და ამ თვისებათა წინააღმდეგ ბ რ ძ ო ლ ი ს აუცილებლობას, და 2) ყოველგვარ ასეთ მიმდინარეობასთან დროებითი და კერძო შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ა ს. ეს რეზოლუცია არ იძლევა იმას, რაც საჭიროა (ლიბერალიზმის კლასობრივი შინაარსის ანალიზს), და იძლევა იმას, რაც საჭირო არ არის («პირობათა» კარნახი). პარტიულ ყრილობაზე საერთოდ უაზრობაა დროებით შეთანხმებათა კონკრეტული «პირობების» შემუშავება, როცა არ ჩანს გარკვეული კონტრაგენტიც კი, — ასეთ შესაძლებელ შეთანხმებათა სუბიექტი; და რომ იყოს კიდეც ამნაირი «სუბიექტი», ასწილ უფრო რაციონალური იქნებოდა დროებითი შეთანხმების «პირობების» განსაზღვრა მიგვენდო პარტიის ცენტრალური დაწესებულებებისათვის, როგორც ეს კიდევაც გააკეთა ყრილობამ ბატონ სოციალისტ-რევოლუციონერების «მიმდინარეობის» მიმართ (იხ. ამხ. აქსელროდის რეზოლუციის ბოლო, პლეხანოვის მიერ სახეშეცვლილი, ოქმების 362 და 15 გვ.).

რაც შეეხება «უმცირესობის» გამოლაშქრებას პლეხანოვის რეზოლუციის წინააღმდეგ, ამხ. მარტოვის ერთადერთი საბუთი იყო: პლეხანოვის რეზოლუცია «თავდება უბადრუკი დასკვნით: უნდა ვამხილოთ ერთი ლიტერატორი. განა ეს იმას არ ემგვანება, რომ «ბუზის წინააღმდეგ კეტით გავილაშქროთო»?» (გვ. 358). ეს საბუთი, რომელშიც აზრის

უქონლობას ჰფარავს მკვახე სიტყვა — «უბადრუკი დასკვნა», — პრეტენციოზული ფრაზის ახალ ნიმუშს გვაძლევს. ჯერ ერთი, პლეხანოვის რეზოლუცია ლაპარაკობს «ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობისა და უკმარისობის მხილებაზე პროლეტარიატის წინაშე ყველგან, სადაც არ უნდა იჩინოს თავი ამ შეზღუდულობამ და უკმარისობამ». ამიტომ სრულიად არაფერს შეიცავს ამხ. მარტოვის მტკიცება (ლიგის ყრილობაზე, ოქმების 88 გვ.), — «მთელი ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ სტრუვეს, ერთ ლიბერალსო». მეორეც, «ბუზთან» ბატონ სტრუვეს შედარება, როცა ლაპარაკია დროებით შეთანხმებათა შესაძლებლობაზე რუს ლიბერალებთან, — ეს იმას ნიშნავს, რომ მკვახე სიტყვას მსხვერპლად შესწირო ელემენტარული პოლიტიკური სინამდვილე. არა, ბ-ნი სტრუვე ბუზი კი არა, პოლიტიკური ფიგურაა, და ის ასეთია არა იმიტომ, რომ ის პირადად ძალიან დიდი ფიგურა იყოს. პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობას მას აძლევს მისი პოზიცია, რუსული ლიბერალიზმის, რაოდენადმე მაინც ქმედუნარიანი და ორგანიზებული ლიბერალიზმის ერთადერთი წარმომადგენლის პოზიცია, არალეგალურ სფეროში. ამიტომ რუს ლიბერალებზე და მათდამი ჩვენი პარტიის დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ისე, რომ მხედველობაში არ გვყავდეს სწორედ ბ-ნი სტრუვე, სწორედ «ოსვობოჟდენიე», — ეს იმას ნიშნავს, რომ ილაპარაკო, რათა არაფერი სთქვა. ან, იქნებ, ამხ. მარტოვი შეეცდება დაგვისახელოს თ უ ნ დ ა ც ე რ თ ა დ ე რ თ ი «ლიბერალური თუ ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა» რუსეთში, რომლის შორეულად შედარება მაინც შეიძლებოდეს ამჟამად «ოსვობოჟდენიელთა» მიმდინარეობასთან? საინტერესო იქნებოდა გვენახა ასეთი ცდა! *

* ლიგის ყრილობაზე ამხ. მარტოვმა კიდევ ასეთი საბუთი მოიყვანა ამხ. პლეხანოვის რეზოლუციის წინააღმდეგ: «მთავარი მოსაზრება მის წინააღმდეგ, მთავარი ნაკლი ამ რეზოლუციისა ისაა, რომ იგი სრულიად უგულებელჰყოფს იმას, რომ ჩვენი მოვალეობაა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში თავი არ ავარიდოთ ლიბერალურ-დემოკრატიულ ელემენტებ-

«სტრუვეს სახელი მუშებს არაფერს არ ეუბნებაო», — ესარჩლებოდა ამხ. მარტოვს ამხ. კოსტროვი. ეს კი უკვე, ნუ გამირისხდებიან ამხ. კოსტროვი და ამხ. მარტოვი, — აკიმოვის საბუთია. ეს უკვე ჩამოჰგავს პროლეტარიატხ ნათესაობითს ბრუნვაში [74].

რომელ მუშებს «არაფერს არ ეუბნება სტრუვეს სახელი» (და «ოსვობოჟდენიეს» სახელი, რომელიც ამხ. პლეხანოვის რეზოლუციაში ნახსენებია ბ-ნ სტრუვეს სახელთან ერთად)? ისეთებს, რომლებიც უაღრესად ნაკლებად იცნობენ, ან სრულიად არ იცნობენ, «ლიბერალურსა და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს» რუსეთში. იბადება კითხვა, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი პარტიული ყრილობის დამოკიდებულება ასეთი მუშებისადმი: იმაში ხომ არა, რომ მიენდოს პარტიის წევრებს გააცნონ ამ მუშებს ერთადერთი გარკვეული ლიბერალური მიმდინარეობა რუსეთში? თუ იმაში, რომ ა რ ა ფ ე რ ი ვ თ ქ ვ ა თ მუშებისთვის ნაკლებად ცნობილი სახელის შესახებ, რადგან თვითონ ისინი ნაკლებად იცნობენ პოლიტიკას? თუ ამხ. კოსტროვი, ამხ. აკიმოვის კვალდაკვალ

თან კავშირს. ამხ. ლენინი ამგვარ ტენდენციას, ალბათ, მარტინოვისებურს უწოდებდა. ახალ «ისკრაში» ეს ტენდენცია უკვე თავს იჩენს» (გვ. 88).

ეს პასუხი — თავისი სიმდიდრით «მარგალიტთა» იშვიათი თაიგულია. 1) უაღრეს დომხალს წარმოადგენს სიტყვები ლიბერალებთან კ ა ვ შ ი რ ი ს შესახებ. არავისაც არ ულაპარაკნია კავშირზე, ამხ. მარტოვო, ლაპარაკობდნენ მხოლოდ დროებითს ან კერძო შეთანხმებათა შესახებ. ეს დიდი განსხვავებაა. 2) თუ პლეხანოვი რეზოლუციაში უგულებელჰყოფს წარმოუდგენელ «კავშირს» და ლაპარაკობს მხოლოდ საერთოდ «მხარდაჭერაზე», ეს მისი რეზოლუციის ნაკლი კი არა, ღირსებაა. 3) იქნებ გაისარჯოს და აგვიხსნას ამხ. მარტოვმა, თუ რა ახასიათებს საერთოდ «მარტინოვის ტენდენციებს»? იქნებ მან გვიამბოს ამ ტენდენციების დამოკიდებულებაზე ოპორტუნიზმისადმი? იქნებ მან თვალი გაადევნოს ამ ტენდენციების დამოკიდებულებას წესდების პირველი პარაგრაფისადმი? 4) მე პირდაპირ ვიწვი მოუთმენლობით ამხ. მარტოვისაგან გავიგონო, თუ რით გამოიხატა «მარტინოვის ტენდენციები» «ახალ» «ისკრაში»? გეთაყვა, ჩქარა მიხსენით ლოდინის ტანჯვისაგან, ამხ. მარტოვო!

პირველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, არ მოისურვებს მეორე ნაბიჯის გადადგმასაც, მაშინ ის ამ საკითხს უსათუოდ პირველი აზრით გადაწყვეტს. ხოლო როცა მას პირველი აზრით გადაწყვეტს, დაინახავს, თუ რა უბადრუკი იყო მისი საბუთი. ყოველ შემთხვევაში პლეხანოვის რეზოლუციაში ნახმარ სიტყვებს: «სტრუვე» და «ოსვობოჟდენიე» — ბევრად უფრო მეტის მიცემა შეუძლიათ მუშებისთვის, ვიდრე სტაროვერის რეზოლუციის სიტყვებს: «ლიბერალური და ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა».

რუს მუშას ამჟამად არ შეუძლია პრაქტიკულად გაეცნოს ჩვენებური ლიბერალიზმის რაოდენადმე აშკარა პოლიტიკურ ტენდენციებს სხვანაირად, თუ არა «ოსვობოჟდენიეს» მიხედვით. ლეგალური ლიბერალური ლიტერატურა აქ უვარგისია სწორედ მისი ბუნდოვანობის გამო. და ჩვენც რაც შეიძლება გულმოდგინედ (და რაც შეიძლება მუშათა უფრო ფართო მასების წინაშე) უნდა მივმართოთ ჩვენი კრიტიკის იარაღი ოსვობოჟდენიელების წინააღმდეგ, რომ მომავალი რევოლუციის მომენტში რუსეთის პროლეტარიატმა შესძლოს იარაღის ნამდვილი კრიტიკით აღკვეთოს ბატონ ოსვობოჟდენიელების აუცილებელი ცდა — შეჰკვეცონ გადატრიალების დემოკრატიული ხასიათი.

გარდა ამხ. ეგოროვის ჩემ მიერ ზემოთაღნიშნული «შეშფოთებისა» ოპოზიციური და რევოლუციური მოძრაობისათვის ჩვენი «მხარდაჭერის» საკითხზე, კამათს რეზოლუციის შესახებ სხვა რამ საინტერესო მასალა არ მოუცია, და, კაცმა რომ სთქვას, კამათი თითქმის არც ყოფილა.

ყრილობის დასასრულს თავმჯდომარემ მოკლედ მოაგონა დამსწრეთ, რომ ყრილობის დადგენილებები სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისთვის.

ოქ) ყრილობაზე ბრძოლის საერთო სურათი. პარტიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთა

ჩვენ დავამთავრეთ ყრილობაზე წარმოებული კამათისა და კენჭისყრათა ანალიზი და ახლა უნდა შევაჯამოთ ყველაფერი, რათა ყრილობის მ თ ე ლ ი მასალის მიხედვით ვუპასუხოთ კითხვაზე: რა ელემენტებისა, ჯგუფებისა და ელფერთაგან ჩამოყალიბდა ის საბოლოო უმრავლესობა და უმცირესობა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ არჩევნებზე და რომელსაც წილად ხვდა რამდენიმე ხნით ყოფილიყო ჩვენს ძირითად პარტიულ დაყოფად? საჭიროა შევაჯამოთ მთელი ის მასალა პრინციპულ, თეორიულ და ტაქტიკურ ელფერთა შესახებ, რომელიც ასე უხვადაა წარმოდგენილი ყრილობის ოქმებში. მთელი ყრილობის მუშაობის საერთო «ჯუმლის», მთელი ყრილობის და ყველა იმ უმთავრეს დაჯგუფებათა საერთო სურათის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა კენჭისყრათა დროს, ეს მასალა მეტად დაქუცმაცებული, გაფანტული რჩება; ასე რომ პირველი შეხედვით ესა თუ ის ცალკეული დაჯგუფებანი შემთხვევითად მოეჩვენება, განსაკუთრებით იმას, ვისაც არ სურს გაისარჯოს და ყრილობის ოქმები დამოუკიდებლად და ყოველმხრივ შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ს (და განა ბევრნი მოიპოვებიან ისეთი მკითხველნი, რომელთაც ასეთი შრომა გასწიეს?).

ინგლისის საპარლამენტო ანგარიშებში ხშირად გვხვდება დამახასიათებელი სიტყვა **division** — დაყოფა. პალატა «დაიყო» ასეთ და ასეთ უმრავლესობად და უმცირესობადო, — ამბობენ განსაზღვრული საკითხის კენჭისყრის გამო. ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პალატის «დაყოფა» სხვადასხვა, ყრილობაზე განხილული საკითხის მიხედვით იძლევა პარტიის შინაური ბრძოლის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ ე რ თ ა დ ე რ თ ს, ს ი ს რ უ ლ ი თ ა დ ა ს ი ზ უ ს ტ ი თ უ ბ ა დ ლ ო სურათს, მის ელფერთა და ჯგუფების სურათს. ეს სურათი რომ თვალსაჩინო გავხადოთ, ნამდვილი ს უ რ ა თ ი რომ

მივიღოთ და არა უთავბოლო, დაქუცმაცებული, იზოლირებული ფაქტების გროვა, ბოლო რომ მოვუღოთ დაუსრულებელ და უაზრო დავას ცალკეულ კენჭისყრათა შესახებ (ვინ, ვის აძლევდა ხმას და ვინ ვის უჭერდა მხარს?), მე გადავწყვიტე შევეცადო ჩვენი ყრილობის «დაყოფის» ყველა ძირითადი ტიპი გამოვხატო დიაგრამის სახით. ამნაირი ხერხი, ალბათ, ძალიან და ძალიან ბევრს უცნაურობად მოეჩვენება, მაგრამ მე ეჭვი მებადება, შეიძლება თუ არა გამონახულ იქნას გადმოცემის სხვა საშუალება, რომელიც მართლაც რაც შეიძლება უფრო სრულად და სწორად განაზოგადებდა და შეაჯამებდა შედეგებს. სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ მისცა ხმა განსაზღვრულ წინადადებას ამა თუ იმ დელეგატმა, — ეს შეიძლება უეჭველი სიზუსტით გამოვარკვიოთ სახელობითი კენჭისყრის დროს, ხოლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი არასახელობითი კენჭისყრის დროს ამის გამორკვევა შეიძლება ოქმების მიხედვით, უდიდესი ალბათობით, ჭეშმარიტებასთან საკმაოდ მიახლოებით. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა სახელობითს და ყველა იმ არასახელობითს კენჭისყრას, რომლებიც ეხებოდნენ რაოდენადმე მნიშვნელოვან საკითხებს (მაგალითად, კამათის მოცულობისა და სიცხარის მიხედვით), მივიღებთ ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის გამოხატულებას, რომელსაც, არსებული მასალის მიხედვით, ახასიათებს რაც შეიძლება მეტი შესაძლებელი ობიექტურობა. ამასთან ფოტოგრაფიული გამოხატულების ნაცვლად, ე. ი. ნაცვლად თვითეული ცალკეული კენჭისყრის გამოხატულებისა, ჩვენ შევეცდებით გადმოვცეთ სურათი; ე. ი. მოვიყვანოთ კენჭისყრათა ყველა მთავარი ტიპი, გვერდს ავუვლით რა შედარებით უმნიშვნელო გადახვევებს და სახესხვაობათ, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ საქმის არევ-დარევა. ყოველ შემთხვევაში ოქმების მიხედვით ყველას ექნება საშუალება შეამოწმოს ჩვენი სურათის ყოველი შტრიხი, შეავსოს ის ამა თუ იმ ცალკეული კენჭისყრით, ერთი სიტყვით, გააკრიტიკოს ის არა მარტო მო-

საზრებათა, დაეჭვებათა და ცალკეულ კაზუსებზე მითითებათა გზით, არამედ იმავე მასალის საფუძველზე სხვა სურათის შედგენითაც.

დიაგრამაზე ჩვენ ვათავსებთ თვითეულ დელეგატს, რომელიც მონაწილეობას იღებდა კენჭისყრაში და განსაკუთრებული შტრიხებით აღვნიშნავთ იმ ოთხ ძირითად ჯგუფს, რომელთაც ჩვენ გულდასმით ვადევნებდით თვალყურს მთელი კამათის მსვლელობის დროს ყრილობაზე, სახელდობრ: 1) უმრავლესობის ისკრელებს; 2) უმცირესობის ისკრელებს; 3) «ცენტრს» და 4) ანტიისკრელებს. პრინციპულ ელფერთა განსხვავება ამ ჯგუფებს შორის ჩვენ დავინახეთ უამრავი მაგალითით, და თუ ვისმე არ მოსწონს ჯგუფების სახელწოდებანი, რომელნიც ზიგზაგების მოყვარულთ მეტისმეტად მოაგონებენ «ისკრის» ორგანიზაციას და «ისკრის» მიმართულებას, ამაზე შევნიშნავთ, რომ საქმე სახელწოდება როდია. ახლა, როცა სხვადასხვა ელფერი ჩვენს მიერ გამორკვეულია ყრილობის ყველა დებატში, ადვილია უკვე განმტკიცებული და შეჩვეული პარტიული მეტსახელები (რაც ზოგიერთების სმენას ეხამუშება) შევცვალოთ ჯგუფებს შორის ელფერთა არსის დახასიათებით. ამნაირი შეცვლის დროს ჩვენ მივიღებდით იმავე ოთხი ჯგუფისთვის შემდეგ სახელწოდებებს: 1) თანამიმდევარი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები; 2) პატარა ოპორტუნისტები; 3) საშუალო ოპორტუნისტები და 4) დიდი (ჩვენი რუსული მასშტაბით დიდი) ოპორტუნისტები. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს სახელები ნაკლებად შეარცხვენს იმათ, ვინც ეს ერთი ხანია არწმუნებს თავის თავსაც და სხვებსაც, თითქოს «ისკრელი» — ისეთი სახელწოდება იყოს, რომელიც მოიცავს მხოლოდ «წრეს» და არა მიმართულებას.

გადავიდეთ იმის დაწვრილებითს გადმოცემაზე, თუ რომელი ტიპის კენჭისყრა არის «გადაღებული» წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა: «ყრილობაზე ბრძოლის საერთო სურათი»).

კენჭისყრათა პირველი ტიპი (ა) მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც ისკრელებთან ერთად გამოდიოდა «ცენტრი» ანტიისკრელების წინააღმდეგ ან მათი ნაწილის წინააღმდეგ. აქ შედის კენჭისყრა პროგრამისთვის მთლიანად (მხოლოდ მარტო ამხ. აკიმოვმა შეიკავა თავი, დანარჩენებმა ხმა მისცეს სასარგებლოდ), კენჭისყრა ფრინციპული რეზოლუციისთვის ფედერაციის წინააღმდეგ (ყველა მომხრეა, ხუთი ბუნდელის გარდა), კენჭისყრა ბუნდის წესდების მე-2 პარაგრაფისათვის (ჩვენს წინააღმდეგ ხუთი ბუნდელი იყო, თავი შეიკავა ხუთმა: მარტინოვმა, აკიმოვმა, ბრუკერმა და მახოვმა ორი ხმით, დანარჩენები ჩვენთან იყვნენ); ს წ ო რ ე დ ე ს კ ე ნ ჭ ი ს-ყ რ ა ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა დ ი ა გ რ ა მ ა ზ ე. შემდეგ, ამავე ტიპისა იყო ს ა მ ი კენჭისყრა პარტიის ცენტრალურ ორგანოდ «ისკრის» დამტკიცების საკითხზე; რედაქცია (ხუთი ხმა) თავს იკავებდა, ყველა სამ კენჭისყრაში წინააღმდეგნი იყვნენ ორნი (აკიმოვი და ბრუკერი) და, ამის გარდა, «ისკრის» დამტკიცების მ ო ტ ი ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს კენჭისყრის დროს თავი შეიკავა ხუთმა ბუნდელმა და ამხ. მარტინოვმა *.

კენჭისყრათა აქ განხილული ტიპი პასუხს იძლევა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხზე: როდის გამოდიოდა ყრილობის «ცენტრი» ისკრელებთან ერთად? ან მაშინ, როცა ა ნ ტ ი ი ს კ რ ე ლ ე ბ ი ც ჩ ვ ე ნ თ ა ნ ი ყ ვ ნ ე ნ, მცირეოდენი გამონაკლისით (პროგრამის მიღება, «ისკრის» დამტკიცება მოტივების მიუხედავად), ან მაშინ, როცა საქმე ეხებოდა ისეთ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ებ ს, რომლებიც ჯერ კიდევ

* რატომ არის დიაგრამაზე გამოსახატავად აღებული სწორედ კენჭისყრა ბუნდის წესდების მე-2 პარაგრაფის შესახებ? იმიტომ რომ კენჭისყრანი «ისკრის» აღიარების შესახებ ნაკლებ სრულია, ხოლო კენჭისყრანი პროგრამისა და ფედერაციის შესახებ ეხება ნაკლებად ფარაგვეულ კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. საერთოდ მთელ რიგ ერთგვაროვან კენჭისყრათაგან ამა თუ იმ საკითხის შერჩევა სრულებითაც ვერ შესცვლის სურათის ძირითად ნიშნებს, რაშიც ადვილად დარწმუნდება ყველა, თუ სათანადო ცვლილებას მოახდენს.

ყრილოგაზე გაჩალებული ბრძოლის საერთო სურათი



ციფრები + -ით და — -ით ნიშნავს იმ ხმების საერთო რიცხვს, რომლებიც მიცემულია განსაზღვრულ კითხვებზე **ხასარგებლოდ** ან **წინააღმდეგ.** ციფრები **ხაზებს** ქვეშ ნიშნავს ხმების **რაოდენობას თვითეულ** ამ ოთხ **ჯგუფში.** ის, თუ **კენჭისყრათა** რა რიგს მოიცავს **ა — ე** ტიპები, მოცემულია ტექსტში.



უშუალოდ არ გვაკისრებს განსაზღვრულ პოლიტიკურ პოზიციას («ისკრის» ორგანიზაციული მუშაობის აღიარება ჯერ კიდევ არ გვხდის ვალდებულად საქმით გავატაროთ კერძო ჯგუფების მიმართ მისი ორგანიზაციული პოლიტიკა; ფედერაციის უარყოფა ჯერ კიდევ ხელს არავის უშლის თავი შეიკავოს ფედერაციის კონკრეტული პროექტის საკითხზე, როგორც ეს დავინახეთ ამხ. მახოვის მაგალითით). ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, როცა საერთოდ ყრილობის დაჯგუფებათა მნიშვნელობაზე ვლაპარაკობდით, თუ რამდენად არასწორად იყო წარმოდგენილი ეს საკითხი ოფიციალური გადმოცემით ოფიციალურ «ისკრაში», რომელიც (ამხ. მარტოვის პირით) შლის და ჩქმალავს განსხვავებას ისკრელებსა და «ცენტრს» შორის, თანამიმდევარ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებსა და ოპორტუნისტებს შორის, ისეთი შემთხვევების დამოწმებით, როდესაც ანტიისკრელებიც კი ჩვენთან იყვნენ! ყველაზე უფრო «მემარჯვენე» გერმანელი და ფრანგი ოპორტუნისტებიც კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში წინააღმდეგ არ აძლევენ ხმას ისეთ პუნქტებზე, როგორიცაა პროგრამის აღიარება მთლიანად.

კენჭისყრათა მეორე ტიპი (ბ) მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა თანამიმდევარი და არათანამიმდევარი ისკრელები ერთად იყვნენ ყველა ანტიისკრელისა და მთელი «ცენტრის» წინააღმდეგ. ეს შემთხვევები ეკუთვნის, უმთავრესად, იმ საკითხებს, როცა საქმე ეხებოდა ისკრული პოლიტიკის კონკრეტული გარკვეული გეგმების ცხოვრებაში გატარებას, როცა ლაპარაკი იყო «ისკრის» აღიარებაზე საქმით და არა მხოლოდ სიტყვიერად. ამასვე მიეკუთვნება ინციდენტი საორგანიზაციო კ-თან*, პარ-

* სწორედ ეს კენჭისყრაა გამოხატული ბ დიაგრამაზე: ისკრელებმა მიიღეს 32 ხმა, ბუნდელის რეზოლუციას ხმა მისცა 16-მა. შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის კენჭისყრათაგან არც ერთი არ არის სახელობითი კენჭისყრა. დელეგატების განაწილებაზე უდიდესი ალბათობით მიგვითითებს მხოლოდ ორგვარი ცნობები: 1) კამათში ისკრელების ორივე ჯგუფის

ტიაში ბუნდის მდგომარეობის საკითხის პირველ ადგილზე დაყენება, «იუენი რაბოჩის» ჯგუფის დაშლა, ორი კენჭისყრა აგრარული პროგრამის შესახებ და, ბოლოს, მეექვსე, — ხმის მიცემა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის («რაბოჩეე დელოს») წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ე. ი. ლიგის აღიარება პარტიის ერთადერთ ორგანიზაციად საზღვარგარეთ. ძველი, პარტიამდე არსებული წრეობანა, ოპორტუნისტული ორგანიზაციების ან პატარა ჯგუფების ინტერესები, მარქსიზმის ვიწრო გაგება ებრძოდა აქ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპულად მტკიცე და თანამიმდევარ პოლიტიკას; უმცირესობის ისკრელები ჯერ კიდევ ჩვენთან ერთად იყვნენ მთელ რიგ შემთხვევებში, მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან (საორგ. კ-ის, «იუენი რაბოჩის», «რაბოჩეე დელოს» თვალსაზრისით) კენჭისყრათა დროს,... ვიდრე საქმე არ შეეხო მ ა თ ს ს ა კ უ თ ა რ წ რ ე ო ბ ა ნ ა ს, მათს საკუთარ არათანამიმდევრობას. განხილული ტიპის «დანაწილება» ნათლად გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ საკითხებში ჩვენი პრინციპების ცხოვრებაში გატარების შესახებ ც ე ნ ტ რ ი ა ნ ტ ი ი ს კ რ ე ლ ე ბ თ ა ნ ი ყ ო, ბევრად უფრო ახლოს იდგა ხოლმე მათთან, ვიდრე ჩვენთან, გაცილებით მეტ მიდრეკილებას იჩენდა ს ა ქ მ ი თ სოციალ-დემოკრატიის ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი, ვიდრე რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ფრთისადმი. ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი თ «ისკრელები», რომელთაც რცხვენოდათ ისკრელებად ყ ო ფ ნ ი ს ა, თავიანთ ბუნებას ამჟღავნებდნენ, და აუცილებელ ბრძოლას

ორატორები მომხრეებად გამოდიან, ანტიისკრელების და ცენტრის ორატორები, — წინააღმდეგ; 2) «მ ო მ ხ რ ე თ ა» ხმების რიცხვი ყოველთვის ძალიან უახლოვდება ციფრს 33-ს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ, როცა ანალიზს ვუკეთებდით ყრილობაზე გაჩაღებულ კამათს, აღვნიშნავდით, ხმის მიცემის გარდა, მ თ ე ლ რ ი გ შემთხვევებს, როდესაც «ცენტრი» გამოდიოდა ანტიისკრელებთან (ოპორტუნისტებთან) ერთად ჩვენს წინააღმდეგ. ამას მიეკუთვნება საკითხები დემოკრატიულ მოთხოვნათა აბსოლუტური ღირებულების შესახებ, ოპოზიციური ელემენტებისთვის მხარდაჭერის, ცენტრალიზმის შეზღუდვისა და სხვ. შესახებ.

ცოტა გაღიზიანება როდი შეჰქონდა, რაც ნაკლებად დაკვირვებულ და უფრო შთაბეჭდილებიან პირთათვის ფარავდა ამ ბრძოლაში გამოაშკარავებულ პრინციპულ ელფერთა მნიშვნელობას. მაგრამ ახლა, როცა ბრძოლის აღტყინება რამდენადმე დაცხრა და ოქმები დარჩა როგორც მთელ რიგ ცხარე შეჯახებათა ობიექტური ექსტრაქტი, ახლა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც თვალს ხუჭავენ, შეუძლიათ არ დაინახონ, რომ მახოვებისა და ეგოროვების შეერთება აკიმოვებსა და ლიბერებთან შემთხვევითი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო. მარტოვს და აქსელროდს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ გვერდი აუარონ ოქმების ყოველმხრივსა და ზუსტ ანალიზს ან შეეცადონ უკანა რიცხვით გადააკეთონ თავიანთი საქციელი ყრილობაზე ათასგვარი სინანულის გამოთქმით. თითქოს სინანულის გამოთქმით შეიძლებოდეს შეხედულებათა განსხვავებისა და პოლიტიკის განსხვავების მოსპობა! თითქოს მარტოვისა და აქსელროდის ახლანდელ კავშირს აკიმოვთან, ბრუკერსა და მარტინოვთან შეეძლოს აიძულოს ჩვენი პარტია, აღდგენილი მეორე ყრილობაზე, დაივიწყოს ის ბრძოლა, რომელსაც ისკრელები ეწეოდნენ ანტიისკრელებთან თითქმის მთელი ყრილობის განმავლობაში!

ყრილობაზე კენჭისყრათა მესამე ტიპი, რომელიც მოიცავს დიაგრამის სამ უკანასკნელ ნაწილს ხუთიდან (სახელდობრ გ, დ და ე, იმით ხასიათდება, რომ ისკრელებს მცირე ნაწილი ეთიშება და გადადის ანტიისკრელების მხარეზე, რომლებიც სწორედ ამიტომ იმარჯვებენ (ვიდრე ყრილობაზე არიან). იმისათვის, რომ მთელი სიზუსტით გავადევნოთ თვალი ისკრელთა უმცირესობის ამ ცნობილ კოალიციას ანტიისკრელებთან, რომლის ხსენებაც კი მარტოვის ისტერიულ ეპისტოლეებს იწვევდა ყრილობაზე, მოყვანილია ამგვარ სახელობით კენჭისყრათა ყველა სამი ძირითადი ტიპი. გ — ეს არის კენჭისყრა ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხზე (ამ პუნქტზე გამართული სამი სახელობითი კენჭისყრიდან აღებულია უკანასკნელი, რო-

გორც ყველაზე სრული) — ყველა ანტიისკრელი და მთელი ცენტრი მაგრად დგანან ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო ისკრელებს გამოეყო უმრავლესობის ნაწილი და უმცირესობის ნაწილი. ჯერ კიდევ არ ჩანს, რომელ ისკრელებს შესწევთ უნარი ყრილობის ოპორტუნისტულ «მემარჯვენე» ფრთასთან საბოლოო და მტკიცე კოალიციისა. შემდეგ მიდის დ ტიპის კენჭისყრა — წესდების პირველი პარაგრაფის შესახებ (ორი კენჭისყრიდან აღებულია უფრო გარკვეული, ე. ი. ისეთი, როცა თავი არავის შეუკავებია). კოალიცია უფრო რელიეფურად ისახება და უფრო მტკიცედ ყალიბდება*: უმცირესობის ისკრელები ყველანი უკვე აკიმოვის და ლიბერის მხარეზე არიან, უმრავლესობის ისკრელთაგან კი მათ მხარეზეა ძალიან მცირე რაოდენობა, რაც ანაზღაურებს «ცენტრიდან» ჩვენს მხარეზე გადმოსულ სამ და კიდევ ანტიისკრელთაგან გადმოსულ ერთს. საკმარისია დიაგრამის უბრალო თვალის გადავლება, რათა დარწმუნდეთ, თუ რა ელემენტები გადადიოდნენ შემთხვევით და დროებით ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე და რა ელემენტები მიილტვოდნენ შეუჩერებელი ძალით აკიმოვებთან მტკიცე კოალიციისაკენ. უკანასკნელი კენჭისყრით (ე — ც. ო-ს, ც. კ-ისა და პარტიის საბჭოს არჩევნები), რომელიც წარმოადგენს სწორედ საბოლოოდ დაყოფას უმრავლესობად და უმცირესობად, ნათლად

* ყველაფრით ჩანს, რომ ამავე ტიპისა იყო კიდევ ოთხი კენჭისყრა წესდებაზე, გვ. 278 — ფომინის მომხრე იყო 27, ჩვენი 21-ის წინააღმდეგ; გვ. 279 — მარტოვის მომხრე იყო 26, ჩვენი 24-ის წინააღმდეგ; გვ. 280 — ჩემი წინააღმდეგი იყო 27, მომხრე — 22; და იქვე — მარტოვის მომხრე იყო 24 ჩვენი 23-ის წინააღმდეგ. ეს ის კენჭისყრა იყო ცენტრების კოოპტაციის საკითხებზე, რომელსაც მე ზემოთ შევეხე. სახელობითი კენჭისყრა არ არის (იყო ერთი, მაგრამ დაიკარგა). ბუნდელები (ყველანი ან ნაწილი), ჩანს, შველიან მარტოვს. მარტოვის მცდარი მტკიცება (ლიგაში) ამ ტიპის კენჭისყრათა შესახებ გასწორებულია ზემოთ.

ჩანს ისკრული უმცირესობის სრული შეერთება მთელს «ცენტრთან» და ანტიისკრელთა ნაშთებთან. რვა ანტიისკრელიდან ამ დროისთვის ყრილობაზე დარჩა მხოლოდ ერთი ამხ. ბრუკერი (რომელსაც ამხ. აკიმოვმა განუმარტა უკვე მისი შეცდომა და რომელმაც დაიკავა ის ადგილი მარტოველთა რიგებში, რომლის დაკავების უფლება მას ჰქონდა). ყველაზე «მემარჯვენე» ოპორტუნისტთა შვიდეულის წასვლამ გადაწყვიტა არჩევნების ბედი მარტოვის წინააღმდეგ *.

და აი ახლა ყოველგვარი ტიპის კენჭისყრათა ობიექტურ საბუთებზე დაყრდნობით შევაჯამოთ ყრილობის მუშაობა.

ბევრი იმსჯელეს ჩვენი ყრილობის უმრავლესობის «შემთხვევითს» ხასიათზე. ამხ. მარტოვი თავის «ერთხელ კიდევ უმცირესობაში» მარტო ამ მოსაზრებით ინუგეშებდა თავს. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი აზრით, მაგრამ მხოლოდ ერთით, შეიძლება ვუწოდოთ უმრავლესობას შემთხვევითი, სახელდობრ იმ აზრით, რომ «მემარჯვენეთა» ყველაზე ოპორტუნისტული ელემენტების შვიდეული შემთხვევით წავიდაო. რამდენადაც შემთხვევითია ეს წასვლა, იმდენად (არა მეტად) შემთხვევითია ჩვენი უმრავლესობაც. დიაგრამის უბრალო თვალის გადავლება გრძელ მსჯელობაზე უკეთ ცხადჰყოფს, თუ ვის მხარეზე იქნებოდა, უნდა ყოფილიყო ეს შვიდეული **.

---

* შვიდი ოპორტუნისტი, რომელნიც მე-2 ყრილობიდან წავიდნენ, იყვნენ ხუთი ბუნდელი (ბუნდი პარტიიდან გავიდა მეორე ყრილობაზე ფედერაციული პრინციპის უარყოფის შემდეგ) და ორი «რაბოჩეედელოელი», ამხ. მარტინოვი და ამხ. აკიმოვი. ეს უკანასკნელნი ყრილობიდან წავიდნენ მას შემდეგ, რაც პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციად აღიარებულ იქნა მხოლოდ ისკრული ლიგა, ე. ი. დაშლილ იქნა «რუსი სოციალ-დემოკრატების» საზღვარგარეთული «კავშირი», რომელიც «რაბოჩეედელური» იყო. (ავტორის შენიშვნა 1907 წ. გამოცემისათვის. რედ.).

** ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ყრილობის შემდეგ ამხ. აკიმოვმაც და ვორონეჟის კომიტეტმაც, რომელიც ყველაზე უფრო ენათესა-

მაგრამ კითხვა იბადება, რამდენად მართლა შემთხვევითად შეიძლება ჩაითვალოს ამ შვიდეულის წასვლა? აი კითხვა, რომლის მიცემა თავის თავისთვის არ უყვართ იმ ადამიანებს, რომლებიც ხალისით ლაპარაკობენ უმრავლესობის «შემთხვევითობაზე». უსიამოვნოა მათთვის ეს საკითხი. შემთხვევითია თუ არა ის, რომ წავიდნენ ჩვენი პარტიის მემარჯვენე და არა მემარცხენე ფრთის ყველაზე უფრო თავგამოდებული წარმომადგენელნი? შემთხვევითია თუ არა ის, რომ წავიდნენ ოპორტუნისტები და არა თანამიმდევარი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები? ეს «შემთხვევითი» წასვლა რაოდენადმე დაკავშირებული ხომ არ არის ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ მთელი ყრილობის განმავლობაში წარმოებულ იმ ბრძოლასთან, რომელიც ასე თვალსაჩინოდ ჩანს ჩვენს დიაგრამაზე?

საკმაოა დაისვას უმცირესობისათვის ეს უსიამოვნო კითხვები, რომ გამოირკვეს, თუ რა ფაქტი იფარება უმრავლესობის შემთხვევითობაზე მითქმა-მოთქმით. ეს ის უეჭველი და უდავო ფაქტია, რომ უმცირესობა შეადგინეს ჩვენი პარტიის იმ წევრებმა, რომელნიც ყველაზე მეტად იხრეგ ოდნენ ოპორტუნიზმისაკენ. უმცირესობა შეადგინეს პარტიის თეორიულად ყველაზე ნაკლებად მტკიცე, პრინციპულად ყველაზე ნაკლებად გამოწრთობილმა ელემენტებმა. უმცირესობა შესდგა პარტიის სწორედ მემარჯვენე ფრთისაგან. უმრავლესობად და უმცირესობად დაყოფა პირდაპირი და აუცილებელი გაგრძელებაა სოციალ-დემოკრატიის იმ დაყოფისა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ სოციალ-დემოკრატიად, მთად და ყირონდად[75], რომელიც გუშინ როდი გაჩენილა არა მარტო რუსეთის მუშათა პარტიაში და რომელიც, ალბათ, არც ხვალ გაქრება.

ვ ე ბ ა ამხ. აკიმოვს, პირდაპირ გამოხატეს თავიანთი თანაგრძნობა «უმ ცირესობისადმი».

ამ ფაქტს კარდინალური მნიშვნელობა აქვს უთანხმოების მიზეზებისა და პერიპეტიათა გარკვევაში. ამ ფაქტის გ ვ ე რ-დ ი ს ა ვ ლ ი ს ცდა ყრილობაზე გაჩაღებული ბრძოლის და მასში გამოვლინებულ პრინციპულ ელფერთა უარყოფით ან მიჩქმალვით, — ეს ნიშნავს საკუთარ თავს მისცე გონებრივი და პოლიტიკური უბადრუკობის სრული მოწმობა. ხოლო ეს ფაქტი რომ უ ა რ ჰ ყ ო, საჭიროა, ჯ ე რ-ე რ თ ი, იმის ცხადყოფა, რომ კენჭისყრათა და «დაყოფათა» საერთო სურათი ჩვენს პარტიულ ყრილობაზე არ იყო ისეთი, როგორიც აღნიშნულია ჩემს მიერ; მ ე ო რ ე, საჭიროა იმის ცხადყოფა, რომ ა რ ს ე ბ ი თ ა დ ყველა იმ საკითხის მიხედვით, რომელთა გამოც ყრილობა «დაიყო», მ ა რ თ ა ლ ი ა რ ი ყ ვ ნ ე ნ ის ყველაზე უფრო თანამიმდევარი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, რომელნიც რუსეთში დაკავშირებულნი არიან ისკრელთა სახელთან *. აბა სცადეთ და დაგვანახეთ ეს, ბატონებო!

იმ ფაქტს, რომ უმცირესობა შესდგა პარტიის ყველაზე უფრო ოპორტუნისტული, ყველაზე ნაკლებად მტკიცე და ყველაზე ნაკლებად გამობრძმედილი ელემენტებისაგან, სხვა-

* შენიშვნა ამხ. მარტოვისთვის. თუ ამხ. მარტოვს ახლა დავიწყნია, რომ ი ს კ რ ე ლ ი ნიშნავს მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ი ს მ ო მ ხ რ ე ს და არა წ რ ი ს წ ე ვ რ ს, ჩვენ მას ვურჩევთ წაიკითხოს ყრილობის ოქმებში ამხ. ტროცკის მიერ ამხ. აკიმოვისთვის ამ საკითხის განმარტება. ყრილობაზე ისკრული წ რ ე იყო (პარტიის მიმართ) სამი: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, «ისკრის» რედაქცია, «ისკრის» ორგანიზაცია. ამ სამი წრიდან ორი იმდენად გონიერი აღმოჩნდა, რომ თვითონ დაშალეს თავისი თავი; მესამემ იმდენი პარტიულობა ვერ გამოიჩინა, რომ ეს ჩაედინა, და იგი ყრილობამ დაშალა. ყველაზე ფართო ისკრულ წრეს, «ისკრის» ორგანიზაციას (რომელიც შეიცავდა რედაქციასაც და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფსაც) ყრილობაზე ჰყავდა სულ 16 კაცი, რომელთაგან მ ხ ო ლ ო დ თ ე რ თ მ ე ტ ს ჰქონდა გადამწყვეტი ხმა. მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ი თ ისკრელები კი, რომელნიც არც ერთ ისკრულ «წრეს» არ ეკუთვნოდნენ, ყრილობაზე იყო, ჩემი ანგარიშით, 27—33 ხ მ ი თ. მაშასადამე, ისკრელთაგან ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე ნ ა კ ლ ებ ი ისკრულ წ რ ე ებ ს ეკუთვნოდა.

თა შორის, გვიჩვენებს პასუხის გაცემა ბევრ გაუგებრობასა და საწინააღმდეგო მოსაზრებაზე, რითაც უმრავლესობას მიმართავენ ის ადამიანები, რომელნიც საქმეს ცუდად იცნობენ ან საკითხს რიგიანად ვერ ჩაჰფიქრებიან. განა წვრილმანი არ არისო, გვეუბნებიან ისინი, უთანხმოება ავხსნათ ამხ. მარტოვისა და ამხ. აქსელროდის პატარა შეცდომით? დიახ, ბატონებო, ამხ. მარტოვის შეცდომა დიდი არ ყოფილა (და მე ჯერ კიდევ ყრილობაზე, ცხარე ბრძოლის დროს, აღვნიშნე ეს), მაგრამ ამ პატარა შეცდომიდან შეიძლებოდა მიგვეღო (და მივიღეთ კიდეც) დიდი ზიანი იმის გამო, რომ ამხ. მარტოვი თავის მხარეზე გადაიბირეს იმ დელეგატებმა, რომელთაც მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს, მთელ რიგ საკითხებში ოპორტუნიზმისადმი მიდრეკილება და პრინციპული მერყეობა გამოიჩინეს. ინდივიდუალური და უმნიშვნელო ფაქტი იყო ამხ. მარტოვისა და ამხ. აქსელროდის მხრივ მერყეობის გამოჩენა, მაგრამ არა ინდივიდუალური, არამედ პარტიული და სრულიადაც არა უმნიშვნელო ფაქტი იყო ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანი უმცირესობის შექმნა ყველა იმ ნაკლებად მტკიცე ელემენტებისაგან, ყველა იმათგან, ვინც ან სრულიად არ აღიარებდა «ისკრის» მიმართულებას და პირდაპირ ებრძოდა მას, ან აღიარებდა სიტყვიერად, ხოლო საქმით მუდამ ანტიისკრელებთან იყო.

განა სასაცილო არ არის უთანხმოების ახსნა დამყაყებული წრეობანისა და რევოლუციური ფილისტერობის ბატონობით «ისკრის» ძველი რედაქციის პატარა წრეში? არა, ეს სასაცილო არ არის, იმიტომ რომ ამ ინდივიდუალური წრეობანის დასაცავად აღსდგა ჩვენს პარტიაში ყველა ის, ვინც მთელი ყრილობის განმავლობაში იბრძოდა ყოველგვარი წრეობანისათვის, ყველა ის, ვისაც საერთოდ არ შეეძლო რევოლუციურ ფილისტერობაზე მაღლა დამდგარიყო, ყველა ის, ვინც იმოწმებდა ფილისტერობისა და წრეობანის ბოროტების «ისტორიულ» ხასიათს ამ ბოროტების გასამართლებლად და

დასაცავად. შემთხვევითად კიდევ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, ვთქვათ, ის, რომ ვიწრო-წრეობრივმა ინტერესებმა გაიმარჯვეს პარტიულობაზე «ისკრის» რედაქციის ერთ პატარა წრეში. მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ ამ წრეობანას თავგამოდებით მხარი დაუჭირეს ამხ. აკიმოვებმა და ამხ. ბრუკერებმა, რომელთათვის არანაკლებ (თუ მეტად არა) ძვირფასი იყო ცნობილი ვორონეჟის კომიტეტის და ყბადაღებული პეტერბურგის «მუშათა ორგანიზაციის»[76] «ისტორიული თანამომდევნობა», მხარი დაუჭირეს ამხ. ეგოროვებმა, რომელნიც სწორედ ისევე მწარედ (თუ კიდევ უფრო მწარედ არა) დასტიროდნენ «რაბოჩეე დელოს» «მკვლელობას», როგორც ძველი რედაქციის «მკვლელობას», მხარი დაუჭირეს ამხ. მახოვებმა და სხვ. და სხვ. მითხარ, ვის იცნობ, და გეტყვი, ვინა ხარო, — ამბობს ცხოვრების სიბრძნე. მითხარი, ვინ არის შენი პოლიტიკური მოკავშირე, ვინ გაძლევს ხმას, — და გეტყვი, როგორია შენი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ი ზ ი ო ნ ო მ ი ა.

ამხ. მარტოვის და ამხ. აქსელროდის წვრილმანი შეცდომა რჩებოდა და შეიძლებოდა დარჩენილიყო წ ვ რ ი ლ მ ა ნ ა დ, ვიდრე ის არ გახდა ჩვენი პარტიის მთელ ოპორტუნისტულ ფრთასთან მათი მ ტ კ ი ც ე კ ა ვ შ ი რ ი ს გამოსავალ წერტილად, ვიდრე მან ამ კავშირის წყალობით არ გამოიწვია ოპორტუნიზმის გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი, ყველა იმათი რ ე ვ ა ნ შ ი, ვისაც ებრძოდა «ისკრა» და ვინც მზად იყო უდიდესი სიხარულით ა ხ ლ ა ჯ ა ვ რ ი ა მ ო ე ყ ა რ ა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თანამიმდევარ მომხრეებზე. ყრილობის შემდგომმა ამბებმა სწორედ იქამდე მიგვიყვანა, რომ ახალ «ისკრაში» ჩვენ ვხედავთ სწორედ ოპორტუნიზმის გამოძახილს, აკიმოვებისა და ბრუკერების რევანშს (იხ. ვორონეჟის კომიტეტის ფურცელი *), მარტინოვების აღტაცებას, რომელთაც როგორც იქნა (როგორც იქნა!) ნება დართეს საძულველ «ისკრაში» ჩაეწიხლათ საძულველი «მტერი» ყველა და ყოველგვარი წინანდელი წყენინებისთვის. ეს განსაკუთრებით

* იხ. ეს ტომი, გვ. 509 — 511. რ ე დ.

თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ««ისკრის» ძველი რედაქციის აღდგენა» (ამხ. სტაროვერის 1903 წ. 3 ნოემბრის ულტიმატუმიდან) ისკრული «თანამომდევნობის» დასაცავად...

თავისთავად ყრილობის (და პარტიის) მემარცხენე და მემარჯვენე, რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთად დაყოფის ფაქტი ჯერჯერობით არათუ რაიმე საშიშარს და კრიტიკულს არ წარმოადგენდა, არამედ მასში სრულებით არც არაფერი იყო არანორმალური. პირიქით, რუსეთის (და არა მარტო რუსეთის) სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მთელ უკანასკნელ ათეულ წელს უცილობლად და გარდუვალად მივყავდით ასეთ დაყოფამდე. დაყოფას რომ საფუძვლად მემარჯვენე ფრთის მთელი რიგი მეტად წვრილმანი შეცდომები, მეტად უმნიშვნელო (შედარებით) უთანხმოებანი ედო, — ეს გარემოება (რომელიც ზერელე მეთვალყურეს და ფილისტერულ გონებას სასირცხოდ ეჩვენება) მთლიანად მთელი ჩვენი პარტიის მიერ წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს მოასწავებდა. წინათ ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა დიდი საკითხები, რომელთაც ზოგჯერ შეეძლოთ გათიშვის გამართლებაც კი, ახლა ჩვენ უკვე შევთანხმდით ყველა დიდ და უმთავრეს საკითხში, ახლა ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს მხოლოდ შეხედულებათა ელფერნი, რომელთა გამო შეიძლება დაუნდა ვიკამათოთ კიდეც, მაგრამ უაზრობა და ბავშვობა იქნებოდა მათ გამო დაშორება (როგორც ეს უკვე სრულიად სამართლიანად სთქვა ამხანაგმა პლეხანოვმა თავის საინტერესო სტატიაში — «რა არ ვაკეთოთ?», რომელსაც ჩვენ ისევ დავუბრუნდებით). ახლა, როცა უმცირესობის ანარქისტულმა მოქმედებამ ყრილობის შემდეგ პარტია თითქმის გათიშვამდე მიიყვანა, ხშირად შეხვდებით ბრძენთ, რომელნიც ამბობენ: საზოგადოდ განა ღირდა ყრილობაზე ბრძოლა ისეთი წვრილმანების გამო, როგორიცაა ინციდენტი საორგანიზაციო კ-თან, «იუჟნი რაბოჩის» ან «რაბოჩეე დელოს» ჯგუფის დაშლა, § 1, ძველი რედაქციის დაშლა და სხვ.? ვინც ასე

მსჯელობს *, მას სწორედ წრეობრივი თვალსაზრისი შეაქვს პარტიულ საქმეებში: ელ ფ ე რ თ ა ბრძოლა პარტიაში გ ა რ დ უ ვ ა ლ ი და ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა, ვიდრე ბრძოლას არ გამოუწვევია ანარქია და განხეთქილება, ვიდრე ბრძოლა წარმოებს ყველა ამხანაგისა და პარტიის ყველა წევრის მიერ ერთობლივად მოწონებულ ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი. და ჩ ვ ე ნ ი ბ რ ძ ო ლ ა ც პარტიის მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე, აკიმოვისა და აქსელროდის, მარტინოვისა და მარტოვის წინააღმდეგ, ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ გ ა ს ც ი ლ ე ბ ი ა ამ ფ ა რ გ ლ ე ბ ს. საკმაოა გავიხსენოთ ორი ფაქტი, რაც ამის უდავოდ დამადასტურებელია: 1) როდესაც ამხ. მარტინოვი და ამხ. აკიმოვი ყრილობიდან მიდიოდნენ, ჩვენ ყ ვ ე ლ ა ნ ი მ ზ ა დ ვ ი ყ ა ვ ი თ ყოველნაირად უკუგვეგდო აზრი «შეურაცხყოფის» შესახებ, ჩ ვ ე ნ ყ ვ ე ლ ა ნ ი ვ ღ ე ბ უ ლ ო ბ დ ი თ (32 ხმით) ამხ. ტროცკის რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებდა ამ ამხანაგებს დაკმაყოფილებულიყვნენ განმარტებებით და უკან წაეღოთ თავიანთი განცხადება; 2) როცა საქმე ცენტრების არჩევაზე მიდგა, ჩვენ ყრილობის უმცირესობას (ანუ ოპორტუნისტულ ფრთას) უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს ვ ა ძ ლ ე ვ დ ი თ ო რ ი ვ ე ც ე ნ ტ რ შ ი: მარტოვს — ც. .ო-ში, პოპოვს — ც. კ-ში. სხვა-

* არ შემიძლია ამის გამო არ გავიხსენო ერთი ჩემი ლაპარაკი ყრილობაზე «ცენტრის» რომელიღაც დელეგატთან. «რა მძიმე ატმოსფერო მეფობს ჩვენს ყრილობაზე!» — სჩიოდა იგი ჩემთან. — «ის ვაფფრებული ბრძოლა, ეს აგიტაცია ერთმანეთის წინააღმდეგ, ეს მკაცრი პოლემიკა, ეს არაამხანაგური დამოკიდებულება!..» «რა ჩინებული რამ არის ჩვენი ყრილობა!» — ვუპასუხე მე. — «აშკარა, თავისუფალი ბრძოლა. შეხედულებანი ყველამ გამოსთქვა. ელფერები გამოისახა. ჯგუფები დაისახნენ. ხელი მაღლაა აწეული. გადაწყვეტილება მიღებულია. ეტაპი განვლილია. წინ! — აი ეს მესმის. ეს ცხოვრებაა. ეს ის დაუსრულებელი, მომამზადებელი ინტელიგენტური პაექრობა როდია, რომელიც თავდება არა იმიტომ, რომ საკითხი გადასწყვიტეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ლაპარაკით დაიღალნენ...»

«ცენტრელი» ამხანაგი გაკვირვებული თვალებით შემომცქეროდა და მხრებს იჩეჩდა. ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით.

ნაირად ჩვენ ა რ შ ე გ ვ ე ძ ლ ო მოვქცეულიყავით პარტიული თვალსაზრისით, რახან ჯერ კიდევ ყრილობამდე გადავწყვიტეთ აგვერჩია ორი სამეული. თ უ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე გ ა მ ო ა შ კ ა რ ა ვ ე ბ უ ლ ე ლ ფ ე რ თ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა დ ი დ ი ა რ ყ ო ფ ი ლ ა, ა რ ც ამ ელფერთა ბრძოლიდან ჩვენს მიერ გამოყვანილი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დასკვნა იყო დ ი დ ი: ეს დასკვნა მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ იმაში მდგომარეობდა, რომ ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი ორივე სამეულში უნდა მისცემოდა პარტიული ყრილობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს.

მხოლოდ იმან, რომ პარტიულ ყრილობაზე უმცირესობა ა რ დ ა ე თ ა ნ ხ მ ა უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა დ ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ც ე ნ ტ რ ე ბ შ ი, გამოიწვია დამარცხებული ინტელიგენტების ჯერ «უსუსური წუწუნი», შემდეგ კ ი ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ფ რ ა ზ ა და ანარქისტული მოქმედებანი.

დასასრულ, ერთხელ კიდევ გადავხედოთ დიაგრამას ცენტრების შემადგენლობის საკითხის თვალსაზრისით. სრულიად ბუნებრივია, რომ ელფერთა საკითხის გ ა რ დ ა დელეგატების წინაშე არჩევნების დროს იდგა აგრეთვე ამა თუ იმ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ვ ა რ გ ი ს ო ბ ი ს, შრომისუნარიანობისა და სხვ. საკითხი. ახლა უმცირესობა მეტად ხალისიანად მიმართავს ამ საკითხების ერთმანეთში არევას. ხოლო ეს საკითხები რომ სხვადასხვაა, — ეს თავისთავად ცხადია და ჩანს თუნდაც იმ უბრალო ფაქტიდან, რომ პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი სამეულის არჩევა ც. ო-ში ნავარაუდევი იყო ჯერ კიდევ ყ რ ი ლ ო ბ ა მ დ ე, როცა მარტოვისა და აქსელროდის კავშირი მარტინოვსა და აკიმოვთან არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა. სხვადასხვა საკითხზე პასუხიც სხვადასხვა წესით უნდა იქნას მიღებული: ელფერთა საკითხზე პასუხი უნდა ვეძიოთ ყ რ ი ლ ო ბ ი ს ო ქ მ ე ბ შ ი, ყველა და ყოველგვარი პუნქტის ა შ კ ა რ ა განხილვასა და კენჭისყრაში. ყრილობაზე ყველა იმ აზრს დაადგა, რომ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ვარგისობის საკითხი ფ ა რ უ ლ ი კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ი თ გადაწყვეტილიყო. რატომ მიიღო მ თ ე ლ მ ა ყ რ ი ლ ო ბ ა მ

ერთხმად ასეთი გადაწყვეტილება? — ეს ისეთი ანბანური საკითხია, რომელზედაც შეჩერება უცნაური იქნებოდა. მაგრამ უმცირესობამ ანბანის დავიწყებაც კი იწყო (არჩევნებში დამარცხების შემდეგ). ჩვენ მოვისმინეთ უამრავი ცხარე, მღელვარე, თითქმის უგონობამდე აღგზნებული სიტყვები ძველი რედაქციის დასაცავად, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერი არ მოგვისმენია ყრილობაზე გამოაშკარავებულ იმ ელფერთა შესახებ, რომლებიც ექვსეულისა და სამეულისათვის ბრძოლასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ყოველი მხრიდან გვესმის მითქმა-მოთქმა და ლათაიები ც. კ-ში არჩეულ პირთა არაქმედუნარიანობის, უვარგისობის, ბოროტგანზრახულობისა და სხვ. შესახებ, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერი არ გვსმენია ყრილობაზე არსებულ ელფერთა შესახებ, რომლებიც იბრძოდნენ ც. კ-ში უმრავლესობის მოსაპოვებლად. მე ვფიქრობ, ურიგობა და არასაკადრისია ყრილობის გარეთ მითქმა-მოთქმა და ლათაიები პიროვნებათა ღირსებასა და მოქმედებაზე (ვინაიდან ეს მოქმედება ასიდან 99-ს შემთხვევაში შეადგენს ორგანიზაციულ საიდუმლოებას, რომელსაც ფარდა ეხდება მხოლოდ პარტიის უმაღლესი ინსტანციის წინაშე). ყრილობის გარეთ ასეთი მითქმა-მოთქმით ბრძოლა, ჩემი აზრით, ჭორიკანობა იქნებოდა. და ერთადერთი პასუხი, რომელიც მე შემეძლო საზოგადოებისთვის მიმეცა ამ მითქმა-მოთქმის გამო, — ეს იქნებოდა მითითება ყრილობაზე გაჩაღებულ ბრძოლაზე: თქვენ ამბობთ, ც. კ. არჩეულია მცირე უმრავლესობითო. ეს სწორია. მაგრამ ეს მცირე უმრავლესობა შესდგა ყველა იმათგან, ვინც უაღრესი თანამიმდევრობით, არა სიტყვიერად, არამედ საქმით იბრძოდა ისკრული გეგმების გატარებისათვის. ამ უმრავლესობის მორალური ავტორიტეტი ამიტომ დაყენებულ უნდა იქნას მის ფორმალურ ავტორიტეტზე კიდევ უფრო გაცილებით მაღლა, — მაღლა ყველა იმათთვის, ვინც «ისკრის» მიმართულების თანამომდევნობას «ისკრის» ამა თუ იმ წრის

თანამომდევნობაზე უფრო მეტად აფასებს. ვის შეეძლო უფრო კომპეტენტური აზრი გამოეთქვა «ისკრის» პოლიტიკის გასატარებლად ამა თუ იმ პირთა ვარგისობის შესახებ? იმათ, ვინც ამ პოლიტიკას ყრილობაზე ატარებდა, თუ იმათ, ვინც მთელ რიგ შემთხვევებში ებრძოდა ამ პოლიტიკას და იცავდა ყოველგვარ ჩამორჩენილობას, ყოველგვარ ხარახურას, ყოველგვარ წრეობანას?

3) ყრილობის შემდეგ. ბრძოლის ორნაირი ხერხი

ყრილობაზე წარმოებული კამათისა და კენჭისყრათა ანალიზი, რაც ჩვენ უკვე დავამთავრეთ, ნათელს ჰფენს თვით in nuce (ჩანასახში) ყველაფერს, რაც ყრილობის შემდეგ მოხდა, და ჩვენ შეგვიძლია მოკლედ აღვნიშნოთ ჩვენი პარტიული კრიზისის შემდგომი ეტაპები.

მარტოვისა და პოპოვის უარმა არჩევნებში მონაწილეობაზე პარტიულ ელფერთა პარტიულ ბრძოლაში ერთბაშად კინკლაობის ატმოსფერო შეიტანა. ამხ. გლებოვს შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აურჩეველ რედაქტორებს სერიოზულად გადაეწყვიტათ აკიმოვისა და მარტინოვისაკენ შემობრუნებულიყვნენ, და ის საქმის ვითარებას უწინარეს ყოვლისა ხსნიდა გაღიზიანებით; ყრილობის მეორე დღესვე მან მე და პლეხანოვს წინადადება მოგვცა საქმე მშვიდობიანად გაგვეთავებინა, «კოოპტაცია» მოგვეხდინა ოთხივესი იმ პირობით, რომ უზრუნველგვეყო წარმომადგენლობა საბჭოში რედაქციისაგან (ე. ი. ორი წარმომადგენლიდან ერთი უეჭველად პარტიული უმრავლესობისგან უნდა ყოფილიყო). ეს პირობა მე და პლეხანოვმა რაციონალურად მივიჩნიეთ, რადგან ამაზე თანხმობა ნიშნავდა ყრილობაზე დაშვებული შეცდომის ჩუმად აღიარებას, ზავის და არა ომის სურვილს, იმის სურვილს, რომ ჩვენთან და პლეხანოვთან უფრო ახლოს ყოფილიყვნენ, ვიდრე აკიმოვსა და მარტინოვთან, ეგოროვსა და მახოვთან. ამრიგად, დათმობა «კოოპტაციის» საქმეში ღებულობდა პირად ხასიათს, ხოლო უარისთქმა პირად დათმო-

ბაზე, რომელსაც უნდა მოესპო გაღიზიანება და აღედგინა მშვიდობა, — არ ღირდა. ამიტომ ჩვენ პლეხანოვთან ერთად დავთანხმდით. რედაქციის უმრავლესობამ უარჰყო პირობა. გ ლ ე ბ ო ვ ი წ ა ვ ი დ ა. ჩვენ დავუცადეთ შედეგებს: შეინარჩუნებდა თუ არა მარტოვი ლოიალურ პოზიციას, რომელსაც ის დაადგა (ცენტრის წარმომადგენლის, ამხ. პოპოვის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ) ყრილობაზე, თუ გაიმარჯვებდნენ მერყევი და გათიშვისადმი მიდრეკილების მქონე ელემენტები, რომელთაც ის გაჰყვა.

ჩვენ ვიდექით დილემის წინაშე: მოისურვებდა თუ არა ამხ. მარტოვი ყრილობაზე შექმნილი თავისი «კოალიცია» ჩაეთვალა ერთეულ პოლიტიკურ ფაქტად (მსგავსად იმისა, როგორც ერთეული შემთხვევა იყო ბებელის კოალიცია ფოლმართან 1895 წელს — **si licet parva componere magnis** *), თუ ის მოისურვებდა გ ა ნ ე მ ტ კ ი ც ე ბ ი ნ ა ეს კოალიცია, ყოველგვარი ღონისძიება ეხმარნა, რათა დაემტკიცებინა ჩ ვ ე ნ ი დ ა პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს შეცდომა ყრილობაზე და ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ფრთის ნამდვილი წინამძღოლი გამხდარიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დილემა ჩამოყალიბებული იყო ასე: კინკლაობა თუ პოლიტიკური პარტიული ბრძოლა? ჩვენ სამში, რომლებიც ყრილობის მეორე დღეს ცენტრალურ დაწესებულებათა ერთადერთი ადგილზე მყოფი წევრნი ვიყავით, გლებოვი ყველაზე უფრო მეტად იხრებოდა დილემის პირველი გადაჭრისაკენ და ყველაზე მეტად ცდილობდა შეერიგებინა წაჩხუბებული ბალღები. საკითხის მეორეგვარად გადაჭრისაკენ ყველაზე მეტად იხრებოდა ამხ. პლეხანოვი, რომელსაც, როგორც იტყვიან, ვერ მიუდგებოდი. მე ამ შემთხვევაში წარმოვადგენდი «ცენტრს» ანუ «ჭაობს» და შევეცადე დარწმუნებისათვის მიმემართნა. ამჟამად იმის ცდა, რომ აღვადგინო სიტყვიერი დარწმუნება — უიმედოდ აბნეული საქმე იქნებოდა, და მე ვერ ავყვები ამხ. მარტოვისა და ამხ. პლეხანოვის ცუდს მაგალითს. მაგრამ ზოგიერთი ადგი-

* — თუ შესაწყნარებელია მცირედი შევადაროთ დიდს. რ ე დ.

ლი ერთი წერილობითი დარწმუნებიდან, რომლითაც მე მივმართე «უმცირესობის» ერთ-ერთ ისკრელს, საჭიროდ მიმაჩნია აღვადგინო:

...«მარტოვის უარი რედაქციაში შესვლაზე, მისი და პარტიის სხვა ლიტერატორების უარი თანამშრომლობაზე, მთელ რიგ პირთა უარი ც. კ-სთვის მუშაობაზე, ბოიკოტის ან პასიური წინააღმდეგობის იდეის პროპაგანდა, — ყოველივე ეს აუცილებლად გამოიწვევს, მარტოვისა და მისი მეგობრების სურვილის წინააღმდეგაც კი, გამოიწვევს პარტიის განხეთქილებას. მარტოვიც რომ შერჩეს ლოიალურ ნიადაგს (რომელზეც ის ასე გადაჭრით დადგა ყრილობაზე), სხვები ვერ შერჩებიან, — და ჩემ მიერ აღნიშნული გამოსავალი აუცილებელი შეიქნება...

... და აი მე ვეკითხები ჩემ თავს: მართლაც, რისთვის უნდა დავშორდეთ ერთმანეთს?... ვიგონებ ყრილობის ყველა ამბავს და შთაბეჭდილებას და უნდა გამოვტყდე, რომ ხშირად ვიქცეოდი და ვმოქმედებდი საშინლად გაღიზიანებული, «გაშმაგებული»; მე მზად ვარ ვის წინაშეც გნებავთ სიამოვნებით აღვიარო ეს ჩემი დანაშაული, თუ კი დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რაც ბუნებრივად გამოიწვია ატმოსფერომ, რეაქციამ, რეპლიკამ, ბრძოლამ etc. მაგრამ ახლა, როცა ყოველგვარი გაშმაგების გარეშე ვაკვირდები მიღწეულ შედეგებს, ყველაფერ იმას, რაც განხორციელდა გაშმაგებული ბრძოლის მეოხებით, ამ შედეგებში მე ვერაფერს, სრულებით ვერაფერს ვხედავ პარტიისთვის საზიანოს და აბსოლუტურად ვერაფერს ვხედავ უმცირესობისთვის საწყენს ან შეურაცხმყოფელს.

რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა საწყენი არ ყოფილიყო უკვე ის, რომ მოუხდათ უმცირესობაში დარჩენა, მაგრამ მე კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს ჩვენ ვისმე «ჩირქს ვცხებდით», თითქოს ჩვენ გ ვ ი ნ დ ო დ ა ვისიმე შეურაცხყოფა ან დამცირება. სრულებითაც არა. და არც შეიძლება იმის დაშვება, თითქოს პოლიტიკურ უთანხმოებას მოჰყოლოდეს მომხდარი ამბების გაშუქება ისე, რომ მეორე მხარეს დავაბრალოთ არაკეთილსინდისიერება, გაიძვერობა, ინტრიგანობა და სხვა ასეთი მშვენიერი რამეები, რომელთა შესახებ ლაპარაკი სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის ხოლმე მოახლოებული გათიშვის ატმოსფეროში. არ შეიძლება ამის დაშვება, ვინაიდან ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, **nec plus ultra** * უგუნურებაა.

ჩვენ პოლიტიკურად (და ორგანიზაციულადაც) დავშორდით მარტოვს, როგორც არა ერთხელ დავშორებივართ მას. წესდების 1-ლი პარაგრაფის საკითხში დამარცხებულს, მე არ შემეძლო მთელი ენერგიით არ ვცდილიყავი რევანშის აღებას იმით, რაც მე (და ყრილობას) დამრჩენოდა. მე

---

*— უაღრესი. რ ე დ.

არ შემეძლო არ მქონებოდა მისწრაფება, ერთი მხრით, მტკიცე ისკრული ც. კ-საკენ, მეორე მხრით — სარედაქციო სამეულისაკენ... ეს სამეული მე მიმაჩნია ერთადერთ ორგანოდ, რომელსაც უნარი შესწევს იყოს თანამდებობრივი დაწესებულება და არა კოლეგია, დამყარებული შინაურულობასა და გულგრილობაზე, ერთადერთი ნამდვილი ცენტრი, რომელშიც თვითეული ყოველთვის შეიტანდა და დაიცავდა თავის პარტიულ თვალსაზრისს, ერთი ბეწოთიც კი არაფერს მეტს და **irrespective** * ყოველივე პირადულისა, ყოველგვარი მოსაზრებისა წყენინების, წასვლის შესახებ და სხვ.

ეს სამეული, ყრილობაზე მომხდარი ამბების შემდეგ, უეჭველად აკანონებდა პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ ხაზს, რომელიც ცალი მხრით მიმართული იყო მარტოვის წინააღმდეგ. ეს უეჭველია. მერე და ამის გამო გავითიშოთ? ამის გამო დავანგრიოთ პარტია?? განა დემონსტრაციების საკითხში მარტოვი და პლეხანოვი ჩემს წინააღმდეგ არ იყვნენ? განა პროგრამის საკითხში მე და მარტოვი პლეხანოვის წინააღმდეგი არ ვიყავით? განა ყოველი სამეული ცალი მხრით მუდამ თვითეული მონაწილის წინააღმდეგ არ არის მიმართული? თუ ისკრელების უმრავლესობამ «ისკრის» ორგანიზაციაშიც და ყრილობაზეც შემცდარად მიიჩნია მარტოვის ხაზის აი ვს სპეციალური ელფერი ორგანიზაციული და პოლიტიკური მხრით, ნუთუ სიგიჟე არ არის, მართლაც, ამისი ახსნის ცდა რაღაც «მოწყობით», «წასისიანებით» და სხვა ასეთებით? ნუთუ სიგიჟე არ იქნებოდა ამ ფაქტზე უარისთქმა მას შემდეგ, რაც უმრავლესობა გამოლანძღეს, — «ნაძირალა» უწოდეს?

ვიმეორებ: მე, ისევე როგორც ყრილობის ისკრელთა უმრავლესობაც. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მარტოვმა შემცდარი გეზი აიღო და ის უნდა გამოგვესწორებინა. ამ გამოსწორების გამო წყენინების გამოგონება და აქედან შეურაცხყოფის გამოყვანა **etc.** — უგუნურებაა. არავისათვის არაფერში ჩვენ «ჩირქი არ მოგვიცხია», «არა ვცხებთ» და არ ვაშორებთ სამუშაოს. ცენტრისაგან ჩამოშორების გამო გათიშვის წამოწყება კი ჩემთვის მიუწვდომელი სიგიჟე იქნებოდა» **.

---

* — დამოუკიდებლად. რედ.

** ეს წერილი (წერილი ა. ნ. პოტრესოვისადმი 1903 წლის 31 აგვისტოს (13 სექტემბრის) თარიღით. რედ.) დაწერილია ჯერ კიდევ სექტემბერში (ახ. სტ.). ამ წერილში გამოტოვებულია ის, რაც, ჩემი აზრით, საქმეს არ ეხება. თუ წერილის ადრესატს სწორედ გამოტოვებული ადგილი მიაჩნია საყურადღებოდ, მისთვის ადვილი იქნება ხარვეზის შევსება. მართლა. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველა ჩემს ოპონენტს ნება მივცე გამოაქვეყნონ ყველა ჩემი კერძო წერილი, თუ ამას საქმისათვის სასარგებლოდ მიიჩნევენ.

ეს ჩემი წერილობითი განცხადებანი საჭიროდ მივიჩნიე აღმედგინა ახლა, რადგანაც ისინი ზუსტად გვიჩვენებენ უმრავლესობის მისწრაფებას ერთბაშად გაავლონ გარკვეული ზღვარი, ერთი მხრით, შესაძლებელ (და ცხარე ბრძოლის დროს აუცილებელ) პირად წყენინებასა, თავდასხმის სისასტიკით, «სიშმაგით» და სხვ. გამოწვეულ პირად გაღიზიანებასა, და, მეორე მხრით, განსაზღვრულ პოლიტიკურ შეცდომასა, პოლიტიკურ ხაზს (კოალიცია მემარჯვენე ფრთასთან) შორის.

ეს განცხადებანი ამტკიცებენ, რომ უმცირესობის პასიური წინააღმდეგობა დაიწყო ყრილობის დამთავრებისთანავე და მყისვე გამოიწვია ჩვენი მხრით გაფრთხილება, რომ ეს არის პარტიის გათიშვისკენ გადადგმული ნაბიჯი; — რომ ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ყრილობაზე გაკეთებულ ლოიალურ განცხადებებს; — რომ ეს იქნებოდა გათიშვა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულებათაგან ჩამოშორების გამო (ესეიგი აურჩევლობის გამო), ვინაიდან არავის არასოდეს არ უფიქრნია პარტიის რომელიმე წევრთაგანი ჩამოეშორებინა მუშაობისაგან; — რომ ჩვენს შორის პოლიტიკური უთანხმოება (აუცილებელი, რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული და გადაწყვეტილი საკითხი, ვინ შესცდა თავის ხაზში ყრილობაზე — მარტოვი თუ ჩვენ) სულ უფრო და უფრო იქცევა კინკლაობად და ლანძღვა-გინებად, ეჭვის მიტანად და სხვ. და სხვ.

გაფრთხილებამ საქმეს ვერ უშველა. უმცირესობის მოქმედებამ ცხადჰყო, რომ მასში იმარჯვებენ ყველაზე ნაკლებად მტკიცე და პარტიის ყველაზე ნაკლებ დამფასებელი ელემენტები. ამან გვაიძულა პლეხანოვთან ერთად უკან წაგვეღო ჩვენი თანხმობა გლებოვის წინადადებაზე: მართლაც, თუ უმცირესობა თავისი საქმიანობით ამტკიცებდა თავის პოლიტიკურ მერყეობას არა მარტო პრინციპების სფეროში, არამედ ელემენტარულ პარ-

ტიული ლოიალობის სფეროშიც, მაშინ რაღა მნიშვნელობა ექნებოდა სიტყვებს ყბადაღებული «თანამომდევნობის» შესახებ? არავის ისე მოსწრებულად საცინლად არ აუგდია, როგორც პლეხანოვს, მთელი უაზრობა იმ მოთხოვნისა, რომ პარტიულ რედაქციაში «კოოპტაციით» შეეყვანათ ისეთ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ თავიანთ ახალ და მზარდ უთანხმოებას! ან კი სად ნახულა ქვეყანაზე, რომ სანამ პრესაში, პარტიის წინაშე, გაარკვევდნენ ახალ უთანხმოებას, პარტიული უმრავლესობა ცენტრალურ დაწესებულებებში თვითონ ხდიდეს თავის თავს უმცირესობად? დაე, ჯერ გაგვაცნონ უთანხმოებანი, დაე, პარტიამ განიხილოს მათი სიღრმე და მნიშვნელობა, დაე, პარტიამ თვითონ გამოასწოროს თავისი შეცდომა, მეორე ყრილობაზე დაშვებული, თუ კი დამტკიცებული იქნება ესა თუ ის შეცდომა! ამნაირი მოთხოვნის მარტო წამოყენებაც კი ჯერ კიდევ უცნობ უთანხმოებათა გულისთვის ცხადჰყოფდა მომთხოვნთა სრულ მერყეობას, პოლიტიკურ უთანხმოებათა სრულ ჩახშობას კინკლაობით, სრულ უპატივცემულობას როგორც მთელი პარტიისადმი, ისე თავისი საკუთარი რწმენისადმი. ჯერ კიდევ ქვეყნად არ ყოფილან და არც არასოდეს იქნებიან ისეთი პრინციპულად დარწმუნებული ადამიანები, რომლებიც უარს იტყვიან დარწმუნებაზე უფრო ადრე, ვიდრე უმრავლესობას მიიღებენ (კერძო წესით) იმ დაწესებულებაში, რომლის გადარწმუნებასაც ისინი ცდილობენ.

ბოლოს, 4 ოქტომბერს ამხ. პლეხანოვი აცხადებს, უკანასკნელად შევეცდები ბოლო მოვუღო ამ სისულელესო. იმართება ძველი რედაქციის ყველა ექვსი წევრის კრება ც. კ-ის ახალი წევრის თანადასწრებით *. მთელი სამი საათის განმავლობაში ამტკიცებს ამხ. პლეხანოვი იმ

* ც. კ-ის ეს წევრი [77], ამას გარდა, სპეციალურად მართავდა მთელ რიგ კერძო და კოლექტიურ საუბრებს უმცირესობასთან, აბათილებდა ათასგვარ შეუსაბამო ლათაიებს და პარტიული მოვალეობისაკენ მოუწოდებდა.

მოთხოვნის უაზრობას, რომ «უმცირესობიდან» «კოოპტაციით» მიწვეულ იქნას ოთხი, როცა «უმრავლესობიდან» მიწვეულია ორი. იგი წინადადებას იძლევა კოოპტირებულ იქნას ორი, რომ, ერთი მხრით, თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი შიში, თითქოს ჩვენ გვსურდეს ვისიმე «გაქელვა», გასრესა, ხმის გაკმენდინება, სიკვდილით დასჯა და დასამარება; მეორე მხრით კი, დავიცვათ პარტიული «უმრავლესობის» უფლებები და პოზიცია. ორის კოოპტაციაც უარყოფილ იქნა.

6 ოქტომბერს ჩვენ პლეხანოვთან ერთად ვწერთ «ისკრის» ყველა ძველ რედაქტორს, აგრეთვე თანამშრომელს, ამხ. ტროცკის, შემდეგი შინაარსის ოფიციალურ წერილს:

«პატივცემულო ამხანაგებო! ც. ო-ს რედაქცია მოვალეობად სთვლის ოფიციალურად გამოთქვას თავისი გულისტკივილი იმის გამო, რომ თქვენ ჩამოშორდით «ისკრასა» და «ზარიაში» მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბევრჯერ მოგიწვიეთ გეთანამშრომლნათ — და პარტიის მეორე ყრილობის დამთავრებისთანავეც და ამის შემდეგაც არა ერთხელ გავიმეორეთ ეს მოწვევა, — ჩვენ არ მიგვიღია თქვენგან არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები. ც. ო-ს რედაქცია აცხადებს, რომ თქვენს მიერ თანამშრომლობაზე ხელისაღება რედაქციის მხრივ არაფრით არ არის გამოწვეული. რაიმე პირადი გაბრაზება არ უნდა იქცეს, რა თქმა უნდა, პარტიის ცენტრალურ ორგანოში მუშაობის შემაფერხებლად. ხოლო თუ თქვენს თანამშრომლობაზე ხელისაღება გამოწვეულია შეხედულებათა ამა თუ იმ უთანხმოებით თქვენსა და ჩვენს შორის, პარტიის ინტერესებისათვის ფრიად სასარგებლოდ მივიჩნევდით დაწვრილებით გაგეცნოთ ჩვენთვის ასეთი უთანხმოებანი. უფრო მეტიც. ჩვენ ფრიად სასურველად ჩავთვლიდით, რომ ამ უთანხმოებათა ხასიათი და სიღრმე რაც შეიძლება სწრაფად იქნას გარკვეული მთელი პარტიის წინაშე ჩვენს მიერ რედაქტირებული გამოცემების ფურცლებზე» *.

---

* ამხ. მარტოვისადმი წერილს დამატებული ჰქონდა კიდევ ერთი ადგილი შეკითხვით ერთი ბროშურის შესახებ და შემდეგი ფრაზა: «დასასრულ, საქმის ინტერესის გულისთვის ერთხელ კიდევ გაცნობებთ, რომ ჩვენ ამჟამადაც მზად ვართ კოოპტაციით მოგიწვიოთ ც. ო-ს რედაქციის წევრად, რათა სრული შესაძლებლობა მოგცეთ ოფიციალურად განაცხადოთ და დაიცვათ ყველა თქვენი შეხედულებანი უმაღლეს პარტიულ დაწესებულებაში».

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენთვის ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი რჩებოდა, პირადი გაბრაზება სჭარბობდა «უმცირესობის» მოქმედებაში, თუ იმის სურვილი, რომ ორგანოს (და პარტიასაც) მისცემოდა ა ხ ა ლ ი გ ე ზ ი, ან საზელდობრ როგორი, სახელდობრ რაში. მე ვფიქრობ, რომ ახლაც, ამ საქმეზე 70 ბრძენი განმმარტებელი რომ დავსვათ ამ საკითხის გასარკვევად რანაირი ლიტერატურის და რანაირ მოწმეთა ჩვენების მიხედვითაც გნებავთ, — ისინიც კი ვერასოდეს ვერ გაერკვევოდნენ ამ დომხალში. არა მგონია ოდესმე შეიძლებოდეს კინკლაობის გახსნა: ის ან უნდა გასჭრათ, ან თავი უნდა აარიდოთ მას *.

6 ოქტომბრის წერილზე აქსელროდმა, ზასულიჩმა, სტაროვერმა, ტროცკიმ და კოლცოვმა გვიპასუხეს ორიოდე სტრიქონით: ახალი რედაქციის ხელში «ისკრის» გადასვლის დროიდან ქვემორე ხელისმომწერნი მასში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთო. ამხ. მარტოვი უფრო ლაპარაკის მოყვარული აღმოჩნდა და პატივი გვცა ასეთი პასუხით:

«რსდმპ ც. ო-ს რედაქციას. პატივცემულო ამხანაგებო! პასუხად თქვენი 6 ოქტომბრის წერილისა მე შემდეგს ვაცხადებ: ყველა ჩვენს ახსნა-განმარტებას ერთ ორგანოში ერთად მუშაობის საკითხზე დამთავრებულად ვთვლი იმ თათბირის შემდეგ, რომელიც მოხდა ც. კ-ის წევრის თანადასწრებით 4 ოქტომბერს, რომელზეც თქვენ უარი განაცხადეთ მოგეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რა მიზეზით იყავით იძულებული უკან წაგელოთ ჩვენთვის მოცემული წინადადება რედაქციაში აქსელროდის, ზასულიჩის, სტაროვერისა და ჩემი შესვლის შესახებ იმ პირობით, რომ ვალდებული ვიქნებოდით ჩვენს «წარმომადგენლად» საბჭოში აგვერჩია ამხ. ლენინი. მას შემდეგ, რაც ხსენებულ თათბირზე თქვენ არა ერთხელ აუარეთ გვერდი იმ თქვენს მიერვე ფორმულირებულ განცხადებას, რომელიც მოწმეების თანადასწრებით გააკეთეთ, მე საჭიროდ არ ვთვლი წერილობით აგიხსნათ «ისკრაში» ჩემი მუშაობის უარის მოტივები ახლანდელ ვითარებაში. თუ საჭირო იქნება, ჩემს აზრს ამაზე დაწვრილებით

* ამხ. პლეხანოვი, ალბათ, ამას დაამატებდა: ან დააკმაყოფილოთ კინკლაობის ინიციატორების ყ ვ ე ლ ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა. ჩვენ დავინახავთ, თუ რატომ იყო ეს შეუძლებელი.

გამოვთქვამ მთელი პარტიის წინაშე, რომელიც უკვე მეორე ყრილობის ოქმებიდან გაიგებს, თუ რატომ ვთქვი უარი თქვენს მიერ ახლა განმეორებულ წინადადებაზე, რომ დავიჭიროადგილი რედაქციასა და საბჭოში... *

ლ. მ ა რ ტ ო ვ ი».

ეს წერილი, წინანდელ დოკუმენტებთან ერთად, იძლევა ურყევ განმარტებას ბოიკოტის, დეზორგანიზაციის, ანარქიისა და გათიშვის მომზადების იმ საკითხზე, რომელსაც ასე გულმოდგინედ უვლის გვერდს (გაკვირვების ნიშნებითა და მრავალწერტილებით) ამხ. მარტოვი თავის «საალყო წესებში», — საკითხზე ბრძოლის ლოიალურ და არალოიალურ საშუალებათა შესახებ.

ამხ. მარტოვს და სხვებს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს ა ძ ლ ე ვ ე ნ — გაგვაცნეთ უთანხმოებანიო, ს თ ხ ო ვ ე ნ — სთქვით პ ი რ დ ა პ ი რ, რაშია საქმე და როგორია თქვენი განზრახვებიო, არწმუნებენ — თავი დაანებეთ ჭირვეულობას და გულმშვიდად გაარჩიეთ შეცდომა 1-ლი პარაგრაფის შესახებო (რაც განუყრელად დაკავშირებულია მარჯვნივ გადახრის შეცდომასთან), — ამხ. მარტოვი კი თავისი კომპ.-ით უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ს ლ ა პ ა რ ა კ ზ ე და გაჰყვირის: მე ალყას მარტყამენ, მე მქელავენო! «საშინელი სიტყვისთვის» დაცინვამ ვერ გაანელა ამ კომიკური გოდების ცეცხლი.

ან კი როგორ შეიძლება ა ლ ყ ა შ ე მ ო ა რ ტ ყ ა იმას, ვინც უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ს ე რ თ ა დ მ უ შ ა ო ბ ა ზ ე? — ვეკითხებოდით ამხ. მარტოვს. როგორ შეიძლება აწყენინო, «გაჰქელო» და შეავიწროო უმცირესობა, როცა ის უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ს უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ი ყ ო ს?? უმცირესობაში ყოველგვარი ყოფნა ხომ უეჭველად და აუცილებლად ნიშნავს ერთგვარ არახელსაყრელ პირობებს იმისთვის, ვინც უმცირესობაში დარჩა. ეს არახელსაყრელობა მდგომარეობს ან იმაში, რომ იძულებული იქნები შეხვიდე კოლეგიაში, რომელიც ძალით გაიტანს თავისას განსაზღვრულ საკითხებში,

* აქ არ მომყავს პასუხი მარტოვის ბროშურის შესახებ, რომელიც მაშინ ხელახლა იცემოდა.

ან იძულებული იქნები დარჩე კოლეგიის გარეთ, თავს დაეხხა მას და, მაშასადამე, კარგად გამაგრებული ბატარიებიდან ყუმბარის დაშენის საგანი გახდე.

«საალყო წესებზე» ყვირილით ამხ. მარტოვს იქნებ ის სურდა ეთქვა, რომ მათ, უმცირესობაში დარჩენილთ, ებრძვიან ან განაგებენ უსამართლოდ და არალოიალურად? მ ხ ო ლ ო დ ამნაირ თეზისს ექნებოდა (მარტოვის თვალში) გონიერების ნასახი მაინც, ვინაიდან, ვიმეორებ, უმცირესობად ყოფნას უეჭველად და უსათუოდ თანსდევს განსაზღვრული არახელსაყრელი პირობები. მაგრამ კომიზმიც სწორედ იმაშია, რომ ამხ. მარტოვთან ა რ ა ს გ ზ ი თ არ შეიძლებოდა ბ რ ძ ო ლ ა, სანამ ის უარს ამბობდა ლაპარაკზე! უმცირესობის მ ა რ თ ვ ა ა რ ა ს გ ზ ი თ არ შეიძლებოდა, ვიდრე ეს უმცირესობა უარს ამბობდა უმცირესობაში ყოფნაზე!

ა რ ც ე რ თ ი ფ ა ქ ტ ი ძალაუფლების გადამეტებისა ან ბოროტად გამოყენებისა ამხ. მარტოვს არ დაუმტკიცებია ც. ო-ს რედაქციის მიმართ იმ დროისთვის, როცა ჩვენ პლეხანოვთან ერთად ვიყავით რედაქციაში. ა რ ც ე რ თ ი ფ ა ქ ტ ი არ დაუმტკიცებიათ უმცირესობის პრაქტიკოხებსაც ცენტრალური კომიტეტის მხრივ. თუმცა ახლა ამხ. მარტოვი ძალიან წრიალებს თავის «საალყო წესებში», — მაგრამ სრულიად გაუბათილებელი რჩება, რომ ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ ე რ ი, გ ა რ დ ა «უ ბ ა დ რ უ კ ი წ უ წ უ ნ ი ს ა», ს ა ა ლ ყ ო წ ე ს ე ბ ზ ე გ ო დ ე ბ ა ში ა რ ა მ ო ი პ ო ვ ე ბ ო დ ა რ ა.

ამხ. მარტოვსა და კომპ. რომ სრულებით არ მოეპოვებათ გ ო ნ ი ვ რ უ ლ ი საბუთები ყრილობის მიერ დანიშნული რედაქციის წინააღმდეგ, ეს საუკეთესოდ დასურათებულია მათივე სიტყვით: «ჩვენ ყმები როდი ვართო!» («საალყო წესები», გვ. 34). ფსიქოლოგია ბურჟუაზიული ინტელიგენტისა, რომელიც თავის თავს აკუთვნებს მასობრივ ორგანიზაციასა და მასობრივ დისციპლინაზე მაღლა მდგომ «რჩეულ სულთა» რიცხვს, აქ შესანიშნავი გარკვეულობით წარმოგვიდგება. პარტიაში მუშაობაზე უარისთქმის ა ხ ს ნ ა იმით, რომ «ჩვენ

ყმები როდი ვართო», ნიშნავს სრულიად სააშკარაოზე გამოსვლას, საბუთების სრული უქონლობის აღიარებას, დასაბუთების სრულ უუნარობას, უკმაყოფილების გონიერ მიზეზთა სრულს უქონლობას. ჩვენ პლეხანოვთან ერთად ვაცხადებთ, რომ უარი ჩვენი მხრივ არაფრით არ არის გამოწვეული, ვთხოვთ გაგვაცნონ უთანხმოებანი, ისინი კი გვიპასუხებენ: «ჩვენ ყმები როდი ვართო» (და თან უმატებენ: კოოპტაციის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოვრიგებულვართო).

ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმს, რომელმაც თავი იჩინა უკვე დავაში 1-ლი პარაგრაფის შესახებ, და გამოააშკარავა თავისი მიდრეკილება ოპორტუნისტული მსჯელობისა და ანარქისტული ფრაზისადმი, — ყოველი პროლეტარული ორგანიზაცია და დისციპლინა ბატონყმობად ეჩვენება. მკითხველი საზოგადოება მალე გაიგებს, რომ ახალი პარტიული ყრილობაც «პარტიის» ამ «წევრებს» და პარტიის «თანამდებობის პირთ» «რჩეულ სულთათვის» საშინელ და აუტანელ ბატონყმურ დაწესებულებად ეჩვენებათ... ეს «დაწესებულება» მართლაც საშინელია იმათთვის, ვისაც სურვილი აქვს ისარგებლოს პარტიულობის ტიტულით, მაგრამ გრძნობს ამ ტიტულის შეუსაბამობას პარტიის ინტერესებსა და პარტიის ნება-სურვილთან.

კომიტეტების რეზოლუციები, ჩამოთვლილი ჩემს მიერ წერილში ახალი «ისკრის» რედაქციისადმი და დაბეჭდილი ამხ. მარტოვის მიერ «საალყო წესებში», ფაქტიურად ამტკიცებენ, რომ უმცირესობის საქციელი — ეს იყო ყრილობის დადგენილებებისადმი სრული დაუმორჩილებლობა, დადებითი პრაქტიკული მუშაობის დეზორგანიზაცია. ოპორტუნისტთაგან და «ისკრის» მოძულეთაგან შემდგარი უმცირესობა ჰფლეთდა პარტიას, აფუჭებდა მუშაობას, დეზორგანიზაცია შეჰქონდა მასში, სურდა ამით შური ეძია ყრილობაზე დამარცხებისათვის, გრძნობდა, რომ პატიოსანი დალოიალური საშუალებებით (საქმის გარკვევით პრესაში ან ყრილობაზე) ის ვერასოდეს ვერ შეს-

ძლებდა გაებათილებინა მის წინააღმდეგ მეორე ყრილობაზე წამოყენებული ოპორტუნიზმისა და ინტელიგენტური მერყეობის ბრალდებანი. მათ შეგნებული ჰქონდათ თავიანთი უმწეობა — დ ა ე რ წ მ უ ნ ე ბ ი ნ ა თ პარტია, მათ ზეგავლენა მოახდინეს იმით, რომ პარტიის დ ე ზ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს იწვევდნენ და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მ უ შ ა ო ბ ა ს ხ ე ლ ს უ შ ლ ი დ ნ ე ნ. მათ უსაყვედურებდნენ, თქვენ გაბზარეთ (ყრილობაზე საქმის არევ-დარევით) ჩვენი ჭურჭელიო; საყვედურზე ისინი უპასუხებდნენ იმით, რომ მ თ ე ლ ი ძ ა ლ ღ ო ნ ი თ ცდილობდნენ ს რ უ ლ ი ა დ დ ა ე მ ს ხ ვ რ ი ა თ გაბზარული ჭურჭელი.

ცნებები იმ ზომამდე აირ-დაირია, რომ ბოიკოტს და მუშაობისაგან ჩამოშორებას ბრძოლის «პ ა ტ ი ო ს ა ნ* საშუალებად» აცხადებდნენ. ამხ. მარტოვი ახლა ყოველმხრივ უტრიალებს ამ საჩოთირო პუნქტს. ამხ. მარტოვი ისე «პრინციპულია», რომ იცავს ბოიკოტს,... როცა ბოიკოტს მიმართავს უმცირესობა, და ჰკიცხავს ბოიკოტს, როცა ბოიკოტი ემუქრება თვით მარტოვს, რომელიც უმრავლესობაში მოხვედრილა!

მე ვფიქრობ, გაურჩევლად შეიძლება დავტოვოთ საკითხი, კინკლაობაა ეს თუ «პრინციპული უთანხმოება» ბრძოლის პატიოსან საშუალებათა გამო სოც.-დემ. მუშათა პარტიაში.

იმ უშედეგო ცდების (4 და 6 ოქტომბერს) შემდეგ, რომ ახსნა-განმარტება მიგვეღო იმ ამხანაგებისაგან, რომელთაც მთელი ისტორია ასტეხეს «კოოპტაციის» გამო, ცენტრალურ დაწესებულებებს ისღა დარჩენოდათ, რომ დაეცადნათ და ენახათ, თუ ნამდვილად როგორი იქნებოდა ბრძოლის ლოიალობა, რაც მათ სიტყვიერად აღგვითქვეს. 10 ოქტომბერს ც. კ. ცირკულარით მიმართავს ლიგას (იხ. ლიგის ოქმები, გვ. 3 — 5), აცნობებს მას წესდების შემუშავებას ც. კ-ის მიერ და დახმარებას სთხოვს ლიგის წევრებს. ლიგის ყრი-

---

* სამთამადნო მუშათა რეზოლუცია («საალყო წესები». კ. 38).

ლობა მაშინ უარყოფილ იქნა მისი ადმინისტრაციის მიერ (ორი ხმით ერთის წინააღმდეგ, იხ. გვ. 20 იქვე). უმცირესობის მომხრეთა პასუხმა ამ ცირკულარზე ერთბაშად ცხადჰყო, რომ უბადაღებული ლოიალობა და ყრილობის გადაწყვეტილებათა აღიარება მხოლოდ ფრაზა იყო, რომ სინამდვილეში უმცირესობას გადაწყვეტილი ჰქონდა უეჭველად არ დამორჩილებოდა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს; მათს მოწოდებას გაერთიანებული მუშაობისადმი უპასუხებდა ცარიელი მიწერ-მოწერით, რომელიც სავსე იყო სოფიზმებით და ანარქისტული ფრაზებით. ადმინისტრაციის წევრის, დეიჩის, უბადაღებულ ღია წერილზე (გვ. 10) ჩვენ, პლეხანოვთან და უმრავლესობის სხვა მომხრეებთან ერთად ვუპასუხეთ იმით, რომ გადაჭრით ვაცხადებდით «პროტესტს პარტიული დისციპლინის იმ უხეში დარღვევების წინააღმდეგ, რომელთა საშუალებითაც ლიგის თანამდებობის პირი თავს ნებას აძლევს შეაფერხოს პარტიული დაწესებულების ორგანიზაციული მუშაობა და სხვა ამხანაგებსაც მოუწოდებს დისციპლინისა და წესდების ასეთი დარღვევისაკენ. იმის მსგავსი ფრაზები, რომ «ამგვარ მუშაობაში ც. კ-ის მიწვევით მონაწილეობის მიღება მე არ მიმაჩნია შესაძლებლადო», ან: «ამხანაგებო! ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივანდოთ მას (ც. კ-ს) ლიგის ახალი წესდების შემუშავებაო» და სხვ., — ისეთი საეგიტაციო ხერხია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ აღაშფოთოს ყოველი ადამიანი, ვინც რამდენადმე მაინც ერკვევა იმაში, თუ რას ნიშნავს ცნებანი: პარტია, ორგანიზაცია, პარტიული დისციპლინა. ამგვარი ხერხები მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ მათ იყენებენ მხოლოდ ახლახან შექმნილი პარტიული დაწესებულების მიმართ და, ამრიგად, წარმოადგენენ უეჭველ ცდას — შეარყიონ პარტიისადმი ნდობა პარტიულ ამხანაგებში, ამასთან ამ ხერხებს მიმართავენ ლიგის ადმინისტრაციის წევრის ფირმით და ც. კ-ის ზურგს უკან» (გვ. 17).

მოსალოდნელი იყო, რომ ამნაირ პირობებში ლიგის ყრილობა მხოლოდ სკანდალი იქნებოდა.

ამხ. მარტოვი თავიდანვე განაგრძობს ყრილობაზე გამოყენებულ «სულში ხელის ფათურის» ტაქტიკას ამჯერად ამხ. პლეხანოვის მიმართ, კერძო საუბართა დამახინჯების საშუალებით. ამხ. პლეხანოვი პროტესტს აცხადებს, და ამხ. მარტოვი იძულებულია უკან წაიღოს (გვ. 39 და 134 ლიგის ოქმებისა) მოუფიქრებელი თუ გაბრაზებით გამოწვეული საყვედურები.

რიგი მოხსენებაზე მიდგა. პარტიულ ყრილობაზე ლიგის დელეგატად მე ვიყავი. ჩემი მოხსენების კონსპექტის უბრალო გაცნობა (გვ. 43 და შემდ.) * მკითხველს დაანახვებს, რომ მე წარმოვადგინე ყრილობაზე მომხდარ კენჭისყრათა იმ ანალიზის შავი მონახაზი, რომელიც გადამუშავებული სახით ამ ბროშურის შინაარსს შეადგენს. მოხსენების სიმძიმის მთელი ცენტრი სწორედ იმის დამტკიცება იყო, რომ მარტოვი და კომპ., მათი შეცდომების გამო, ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება გაკეთდა უაღრესად გაბოროტებულ მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის წინაშე, მათ სრულიად ვერაფერი აღმოაჩინეს შიგ ისეთი, რაც პარტიული ბრძოლისა და პოლემიკის ლოიალურ ხერხებს გასცილებოდეს.

მარტოვის მოხსენება, გარდა ჩემი გადმოცემის წვრილმანი, და კერძო «შესწორებებისა» (ამ შესწორებათა უმართებულობა ჩვენ ზემოთ ცხადვყავით), წარმოადგენდა, პირიქით,... ავადმყოფი ნერვების ერთგვარ პროდუქტს.

საკვირველი როდია, რომ უმრავლესობამ უარი სთქვა ეწარმოებინა ბრძოლა ამნაირ ატმოსფეროში. ამხ. პლეხანოვმა პროტესტი განაცხადა «ს ც ე ნ ი ს» წინააღმდეგ (გვ. 68) — ეს, მართლაც, ნამდვილი «სცენა» იყო! — და ყრილობიდან წავიდა, აღარ მოისურვა გამოეთქვა უკვე მომზადებული საწინააღმდეგო მოსაზრებანი მოხსენების არსებით მხარეზე. ყრილობიდან წავიდნენ უმრავლესობის თითქმის ყველა დანარჩენი მომხრენიც, რომელთაც წე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 72 — 85. რ ე დ.

რილობითი პროტესტი შეიტანეს ამხ. მარტოვის «უღირსი საქციელის» წინააღმდეგ (ლიგის ოქმები, გვ. 75).

უმცირესობის ბრძოლის ხერხები ყველას წინაშე მთელი სიცხადით გამოაშკარავდა. უმცირესობას ჩვენ ვაბრალებდით პოლიტიკური შეცდომის დაშვებას ყრილობაზე, ოპორტუნიზმისაკენ გადახრას, ბუნდელებთან, აკიმოვებთან, ბრუკერებთან, ეგოროვებსა და მახოვებთან კოალიციას. უმცირესობა დამარცხდა ყრილობაზე და ახლა «შეიმუშავა» ბრძოლის ო რ ი ხერხი, რომელიც მოიცავს ცალკეული გამოსვლების, იერიშების, თავდასხმების და სხვ. უსაზღვრო სხვადასხვაგვარობას.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი ა — მთელი პარტიული მუშაობის დეზორგანიზაცია, საქმის წახდენა, მისწრაფება — შეაფერხოს ყველაფერი და ყოველივე «მიზეზების აუხსნელად».

მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი ა — «სცენების» გამართვა და სხვ. და სხვ. *

ეს «ბრძოლის მეორე ხერხი» მოჩანს ლიგის ყბადაღებულ «პრინციპულ» რეზოლუციებშიც, რომელთა განხილვაში «უმრავლესობას», რასაკვირველია, მონაწილეობა არ მიუღია. ჩავუკვირდეთ ამ რეზოლუციებს, რომლებიც ამხ. მარტოვმა ახლა გადმობეჭდა თავის «საალყო წესებში».

პირველი რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები ტროცკი, ფომინი, დეიჩი და სხვ., შეიცავს ორ თეზისს, მიმართულს პარტიული ყრილობის «უმრავლესობის» წინააღმდეგ: 1) «ლიგა თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ იმ ტენდენციების წყალობით, რომელთაც თავი

* მე უკვე აღვნიშნე, რომ უაზრობა იქნებოდა ემიგრანტულ და გადასახლების ატმოსფეროში ამ ჩვეულებრივი კინკლაობის გამოხატულების უმდაბლესი ფორმების ახსნა მდაბალი მოტივებით. ეს ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელიც ეპიდემიურად ვრცელდება ცხოვრების განსაზღვრულ არანორმალურ პირობებში, ნერვების ერთგვარი მოშლილობის დროს და სხვ. მე მ ო მ ი ხ დ ა აქ აღმედგინა ბრძოლის ამ სისტემის ნამდვილი ხასიათი, რადგან ამხ. მარტოვმა მ თ ლ ი ა ნ ა დ გ ა ი მ ე ო რ ა ი ს თ ა ვ ი ს «ს ა ა ლ ყ ო წ ე ს ე ბ შ ი».

იჩინეს ყრილობაზე და რომელნიც არსებითად «ისკრის» წინანდელ პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან, პარტიული წესდების შემუშავების დროს სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ იმისთვის, რომ საკმარისი გარანტიები შექმნილიყო ც. კ-ის დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის დასაცავად» (ლიგის ოქმები, გვ. 83).

ეს «პრინციპული» თეზისი, როგორც უკვე დავინახეთ, იგივეა რაც ა კ ი მ ო ვ ი ს ფრაზა, რომლის ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ხასიათს პარტიის ყრილობაზე ამხელდა ამხ. პ ო პ ო ვ ი ც კ ი! არსებითად, იმის მტკიცება, რომ «უმრავლესობა» არ ფიქრობს დაიცვას ც. კ-ის დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი, არასოდეს სხვა არა იყო რა, თუ არ ჭ ო რ ი კ ა ნ ო ბ ა. საკმაოა აღინიშნოს, რომ, როცა პლეხანოვთან ერთად რედაქციაში ვიყავით, ჩვენ ა რ გ ვ ქ ო ნ ი ა ს ა ბ ჭ ო შ ი ც. ო-ს უპირატესობა ც. კ-ის მიმართ, ხოლო როცა მარტოველები შევიდნენ რედაქციაში, საბჭოში შ ე ი ქ მ ნ ა ც. ო-ს უპირატესობა ც. კ-ის მიმართ! როცა ჩვენ ვიყავით რედაქციაში, საბჭოში საზღვარგარეთელ ლიტერატორებს ს ჭ ა რ ბ ო ბ დ ნ ე ნ რ უ ს ი პ რ ა ქ ტ ი კ ო ს ე ბ ი; მარტოველებს კი საწინააღმდეგო გამოუვიდათ. როცა ჩვენ ვიყავით რედაქციაში, საბჭო ა რ ც ე რ თ ხ ე ლ არ ცდილა ჩარეულიყო არც ერთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ საკითხში; ერთხმივი კოოპტაციის დროიდან კი ა ს ე თ ი ჩ ა რ ე ვ ა დ ა ი წ ყ ო, რასაც ამ ახლო ხანში დაწვრილებით გაიგებს მკითხველი საზოგადოება.

აღნიშნული რეზოლუციის შემდეგი თეზისია: «...ყრილობამ პარტიის ოფიციალური ცენტრების დაწესების დროს უგულებელჰყო თანამომდევნო კავშირი ფაქტიურად ჩამოყალიბებულ ცენტრებთან»...

ეს თეზისი მთლიანად შეეხება ცენტრების პ ი რ ა დ ი შემადგენლობის საკითხს. «უმცირესობა» არჩევდა გვერდი აევლო იმისთვის, რომ ძველმა ცენტრებმა ყრილობაზე დაამტკიცეს თავიანთი უვარგისობა და მთელი რიგი შეცდომები ჩაიდინეს. მაგრამ ყველაზე უფრო კომიკურია საორგანიზაციო

კომიტეტის მიმართ «თანამომდევნობის» დამოწმება. ყრილობაზე, როგორც დავინახეთ, კრინტიც არავის დაუძრავს საორგანიზაციო კ-ის მთელი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. ყრილობაზე მარტოვი გააფთრებულიც კი გაიძახოდა, მე მარცხვენს საორგანიზაციო კ-ის სამი წევრისაგან შემდგარი სიაო. ყრილობაზე «უმცირესობა» აყენებდა თავის უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ სიას საორგანიზაციო კ-ის ე რ თ ი წევრით (პ ო პ ო ვ ი, გლებოვი ან ფომინი და ტროცკი), «უმრავლესობამ» კი გაიყვანა სია საორგანიზაციო კ-ის ო რ ი წევრით სამიდან (ტრავინსკი, ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი და გლებოვი). იბადება კითხვა, ნუთუ «თანამომდევნობის» ამ დამოწმებას შეიძლება ეწოდოს «პრინციპული უთანხმოება»?

გადავიდეთ მეორე რეზოლუციაზე, რომელსაც ხელს აწერს ძველი რედაქციის ოთხი წევრი ამხანაგ აქსელროდის მეთაურობით. აქ ჩვენ ვხვდებით ყველა იმ მთავარ ბრალდებას «უმრავლესობის» წინააღმდეგ, რომლებიც არა ერთხელ გაუმეორებიათ შემდეგ პრესაში. მათი განხილვა ყველაზე უფრო მოხერხებულია სწორედ რედაქტორთა წრის წევრთა ფორმულირების მიხედვით. ბრალდება მიმართულია «პარტიის მართვის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული სისტემის» წინააღმდეგ, «ბიუროკრატიული ცენტრალიზმის» წინააღმდეგ, რომელიც, «ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატიული ცენტრალიზმისაგან» განსხვავებით, შემდეგნაირად განისაზღვრება: ის «პირველ რიგში აყენებს არა შინაგან გაერთიანებას, არამედ გარეგან, ფორმალურ ერთიანობას, რომელიც ხორციელდება და დაცულია წმინდა მექანიკური საშუალებებით, ინდივიდუალური ინიციატივისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების სისტემატური ჩახშობით»; მას, ამიტომ, «თვით თავისი არსებით უნარი არ შესწევს ორგანულად გააერთიანოს საზოგადოების შემადგენელი ელემენტები».

თუ რომელ «საზოგადოებაზე» ლაპარაკობს აქ ამხ. აქსელროდი და კომპ., ეს მხოლოდ ალაჰმა უწყის. ამხ. აქსელროდმა, ჩანს, თვითონაც კარგად არ იცოდა, საერობო ადრესს წერდა მართვა-გამგეობის სასურველი რეფორმების შესახებ,

თუ «უმცირესობის» საჩივარს გამოსთქვამდა. რას შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნ ი შ ნ ა ვ დ ე ს «თვითმპყრობელობა» პარტიაში, რის შესახებაც გაჰკივიან უკმაყოფილო «რედაქტორები»? <u>თვითმპყრობელობა არის ერთი პიროვნების უმაღლესი, უკონტროლო, უპასუხისმგებლო, აურჩეველი ძალაუფლება.</u> «უმცირესობის» ლიტერატურიდან ძალიან კარგად ვიცით, რომ ასეთ თვითმპყრობელად მთვლიან მ ე და სხვას არავის. როცა ამ რეზოლუციას წერდნენ და ღებულობდნენ, მე ვიყავი ც. ო-ში პლეხანოვთან ერთად. მაშასადამე, ამხ. აქსელროდი და კომპ. გამოთქვამს თავის რწმენას, რომ პლეხანოვიც და ც. კ-ის ყველა წევრი «მართავდნენ პარტიას» არა ისე, როგორც მათი შეხედულებების თანახმად საქმისათვის სასარგებლოდ მიაჩნდათ, არამედ თვითმპყრობელი ლენინის ნ ე ბ ი ს თანახმად. თვითმპყრობელურად მართვის ბრალდებას აუცილებლად და გარდუვალად მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ მართვა-გამგეობის ყველა დანარჩენი მონაწილენი, გარდა თვითმპყრობელისა, უბრალო იარაღი არიან სხვის ხელში, მაჩანჩალები, სხვისი ნების ამსრულებელნი. და ჩვენ ვეკითხებით კიდევ და კიდევ: ნუთუ ეს მართლაც «პრინციპული უთანხმოებაა» უპატივცემულეს ამხ. აქსელროდისა?

შემდეგ. რა გარეგნულ, ფორმალურ ერთიანობაზე ლაპარაკობენ აქ ჩვენი «პარტიის წევრები», ახლახან დაბრუნებულნი პარტიული ყრილობიდან, რომლის გადაწყვეტილებანი მათ დიდის ამბით აღიარეს კანონიერად? იქნებ მათ იცოდნენ სხვა საიმისო საშუალება, თუ როგორ მიაღწიონ ასე თუ ისე მკვიდრ საფუძველზე დამყარებული პარტიის ერთიანობას, გარდა პარტიული ყრილობისა? თუ ჰო, რატომ არ შესწევთ ვაჟკაცობა პირდაპირ სთქვან, მეორე ყრილობას ჩვენ უკვე აღარ ვცნობთ კანონიერ ყრილობადო? რატომ არ შეეცდებიან გადმოგვცენ თავიანთი ახალი აზრები და ახალი ხერხები ვითომდა ორგანიზებული ვითომდა პარტიის ერთიანობის მისაღწევად?

შემდეგ. «ინდივიდუალური ინიციატივის» რა «ჩახშობაზე» ლაპარაკობენ ჩვენი ინტელიგენტი-ინდივიდუალისტები, რომელთაც პარტიის ც. ო. ეს-ეს არის ემუდარებოდა გაეცნოთ მისთვის თავიანთი უთანხმოებანი და რომელთაც, ნაცვლად ამისა, ვაჭრობა დაიწყეს «კოოპტაციის» შესახებ? როგორ შეგვეძლო საერთოდ მე და პლეხანოვს ან ც. კ-ს ჩაგვეხშო იმ ადამიანთა ინიციატივა და თვითმოქმედება, რომელნიც უარს ამბობდნენ ყოველგვარ «საქმიანობაზე» ჩვენთან ერთად! როგორ შეიძლება ვისიმე «ჩახშობა» ისეთ დაწესებულებასა ან ისეთ კოლეგიაში, რომელშიც მონაწილეობაზე ჩასახშობმა პირმა უარი თქვა? როგორ შეუძლიათ აურჩეველ რედაქტორებს «მართვა-გამგეობის სისტემაზე» ჩივილი, როდესაც მათ უარი განაცხადეს, რომ ისინი «მართონ»? ჩვენ არ შეგვეძლო ჩაგვედინა რაიმე შეცდომები ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობის დროს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ამხანაგებს სრულიადაც არ უმუშავნიათ ჩვენი ხელმძღვანელობით.

თითქოს, ცხადია, რომ ყვირილი ყბადაღებულ ბიუროკრატიზმზე — ეს არის უბრალო საფარი ცენტრების პირადი შემადგენლობით უკმაყოფილებისა, ეს არის ლეღვის ფოთოლი, რომელიც ყრილობაზე დიდის ამბით მიცემული სიტყვის გატეხას ალამაზებს. შენ ბიუროკრატი ხარ, იმიტომ რომ ყრილობამ დაგნიშნა არა თანახმად ჩემი ნებისა, არამედ მის წინააღმდეგ; შენ ფორმალისტი ხარ, იმიტომ რომ ეყრდნობი ყრილობის ფორმალურ გადაწყვეტილებებს და არა ჩემს თანხმობას; შენ მოქმედებ უხეშად და მექანიკურად, რადგან იმოწმებ პარტიული ყრილობის «მექანიკურ» უმრავლესობას და ანგარიშს არ უწევ ჩემს სურვილს შეყვანილ ვიქნე კოოპტაციით; შენ თვითმპყრობელი ხარ, იმიტომ რომ არ გსურს ძალაუფლება ხელში ჩაუგდო ძველ, თბილ კომპანიას, რომელიც მით უფრო ენერგიულად იცავს თავის წრეობანობის «თანამომდევნობას», რაც უფრო არასასიამოვნოა მისთვის ყრილობის მიერ ამ წრეობანის აშკარა დაწუნება.

აღნიშნულს გარდა, არავითარი რ ე ა ლ უ რ ი შინაარსი არა ჰქონია და არცა აქვს ამ ყვირილს ბიუროკრატიზმზე *. და სწორედ ბრძოლის ასეთი ხერხი ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს უმცირესობის ინტელიგენტურ მერყეობას. მას სურდა დაერწმუნებინა პარტია ცენტრების უხეიროდ არჩევაში. დაერწმუნებინა რითი? იმ «ისკრის» გაკრიტიკებით, რომელსაც მე და პლეხანოვი ვუძღვებოდით? არა, ეს მათ არ შეეძლოთ. მათ სურდათ დაერწმუნებინათ იმით, რომ პარტიის ნაწილმა უარი თქვა ემუშავნა საძულველი ცენტრების ხელმძღვანელობით. მაგრამ ქვეყნიერების ვერც ერთი ცენტრალური დაწესებულება ვერც ერთი პარტიისა ვერ შესძლებს დაამტკიცოს თავისი უნარი — უხელმძღვანელოს იმათ, ვისაც არ სურს დაემორჩილოს ხელმძღვანელობას. ცენტრების ხელმძღვანელობისადმი დამორჩილებაზე უარისთქმა უდრის პარტიაში ყოფნაზე უარისთქმას, უდრის პარტიის დანგრევას, ეს არის არა დარწმუნების, არამედ შ ე მ უ ს ვ რ ი ს ლონისძიება. და სწორედ დარწმუნების ეს შეცვლა შემუსვრით ცხადჰყოფს პრინციპული სიმტკიცის უქონლობას, თავისი იდეებისადმი რწმენის უქონლობას.

ლაპარაკობენ ბიუროკრატიზმზე. ბიუროკრატიზმი შეიძლება გადათარგმნილ იქნას სიტყვით: ადგილუფროსობა. ბიუროკრატიზმი ნიშნავს ს ა ქ მ ი ს ინტერესების დაქვემდებარებას კ ა რ ი ე რ ი ს ინტერესებისადმი, უაღრესი ყურადღების მიქცევას ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ა დ მ ი და მუშაობის უგულებელყოფას, დავიდარაბას კ ო ო პ ტ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს, ნაცვლად ი დ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლისა. ამნაირი ბიუროკრატიზმი, მართლაც, უეჭველად არასასურველია და საზიანო პ ა რ ტ ი ი ს თ ვ ი ს, და მე დამშვიდებული ვანდობ მკითხველს განსაჯოს, ახლა ჩვენს პარტიაში მებრძოლი ორი მხარიდან რომელია შეპყრობილი ასეთი ბიუროკრატიზმით... ლაპარაკობენ გაერთიანების უხეშ-მექანიკურ ხერხებზე. რა-

* საკმაოა აღინიშნოს, რომ ამხ. პლეხანოვი უმცირესობის თვალში აღარ არის «ბიუროკრატიული ცენტრალიზმის» მომხრე მას შემდეგ, რაც შან კეთილისმყოფელი კოოპტაცია მოახდინა.

საკვირველია, უხეშ-მექანიკური ხერხები მავნებელია; მაგრამ მე ისევ მკითხველს ვანდობ განსაჯოს, შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ ძველის წინააღმდეგ ახალი მიმართულების ბრძოლის იმაზე უფრო უხეში და უფრო მექანიკური საშუალება, როგორიცაა პარტიულ დაწესებულებებში პიროვნებების შეყვანა მანამდე, ვიდრე პარტია არ დაურწმუნებიათ ახალ შეხედულებათა მართებულობაში, ვიდრე პარტიისთვის არ გაუცვნიათ ეს შეხედულებები?

მაგრამ, იქნებ, უმცირესობის მიერ აჩემებულ სიტყვებს ერთგვარი პრინციპული მნიშვნელობაც აქვთ, იქნებ ეს სიტყვები გამოხატავენ იდეათა ერთგვარ თავისებურ რკალს, მიუხედავად იმ წვრილმანი და კერძო საბაბისა, რომელიც, უეჭველად, ამ შემთხვევაში გამოსავალი წერტილი იყო «გარდატეხისა»? იქნებ, «კოოპტაციისათვის» დავიდარაბას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს სიტყვები შეხედულებათა სხვა სისტემის გამოხატულება მაინც იყოს?

განვიხილოთ საკითხი ამ მხრივ. ამასთან ჩვენ მოგვიხდება უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ საკითხის გარჩევის ამგვარი მიდგომა პირველად გვიჩვენა ამხ. პლეხანოვმა ლიგაში; მან აღნიშნა უმცირესობის შეტრიალება ა ნ ა რ ქ ი ზ მ ი ს ა დ ა ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ, და სწორედ ამხ. მარტოვმა (რომელსაც ახლა მეტად სწყინს ის, რომ ყველას როდი სურს მისი პოზიცია პრინციპულ* პოზიციად აღიაროს) არჩია

* არა არის რა იმაზე უფრო კომიკური, როგორც ახალი «ისკრის» ეს წ უ ე ნ ა იმის გამო, რომ ლენინს არ სურს დაინახოს პრინციპული უთანხმოებანი ან უარჰყოფს მათო. რამდენადაც უფრო პრინციპულად მიუდგებოდით საქმეს, იმდენად უფრო მალე განიხილავდით ჩემს განმეორებითს მითითებებს ოპორტუნიზმისაკენ შეტრიალების შესახებ. რამდენადაც უფრო პრინციპული იქნებოდა თქვენი პოზიცია, იმდენად თქვენ ნაკლებად შეგეძლებოდათ იდეური ბრძოლა დაგეკნინებინათ ადგილუფროსობის ანგარიშებამდე. თქვენს თავსვე დაგაბრალეთ, თუ თქვენ თვითონვე მოიმოქმედეთ ყველაფერი, რათა ხელი შეგეშალათ იმისთვის, რომ პრინციპულ ადამიანებად მიეჩნიეთ. აი, მაგ., როცა ამხ. მარტოვი «საალყო წესებში» ლაპარაკობს ლიგის ყრილობაზე, მაგრამ არაფერს ამბობს პლეხანოვთან დავაზე ანარქიზმის შესახებ, სამაგიეროდ იგი მოგვითხრობს, ლენინი —

სრულიად გვერდი აევლო ამ ინციდენტისთვის თავის «საალყო წესებში».

ლიგის ყრილობაზე წამოყენებული იყო ზოგადი საკითხი: ძალა აქვს თუ არა იმ წესდებას, რომელსაც იმუშავებს თავისთვის ლიგა ან კომიტეტი, თუ ეს წესდება დამტკიცებული არაა ც. კ-ის მიერ? ან მიუხედავად ც. კ-ის მიერ დამტკიცებისა? თითქოს, საკითხი ცხადზე უცხადესია: წესდება არის ორგანიზებულობის ფორმალური გამოხატულება, კომიტეტების ორგანიზების უფლება კი ჩვენი პარტიის წესდების მეექვსე პარაგრაფით კატეგორიულად მინიჭებული აქვს სწორედ ც. კ-ს; წესდება განსაზღვრავს კომიტეტის ავტონომიის ფარგლებს, გადამწყვეტი ხმა კი ამ ფარგლების განსაზღვრაში აქვს პარტიის ცენტრალურ და არა ადგილობრივ დაწესებულებას. ეს — ანაბანაა, და ნამდვილი ბავშვობა იყო ღრმააზროვანი მსჯელობა, — «ორგანიზება» ყოველთვის როდი გულისხმობს «წესდების დამტკიცებასო» (თითქოს თვით ლიგას არ გამოეთქვას დამოუკიდებლად თავისი სურვილი — ორგანიზებული ყოფილიყო სწორედ ფორმალური წესდების საფუძველზე). მაგრამ ამხ. მარტოვმა სოციალ-დემოკრატიის ანბანიც კი დაივიწყა (უნდა ვიმედოვნოთ, დროებით). მისი აზრით, წესდების დამტკიცების მოთხოვნა მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ «წინანდელ რევოლუციურ ისკრულ ცენტრალიზმს სცვლის ბიუროკრატიული ცენტრალიზმი» (გვ. 95 ლიგის ოქმებისა), მასთან ამხ. მარტოვი იმავე სიტყვაში აცხადებს, სწორედ აქ ვხედავ საქმის «პრინციპულ მხარესო» (გვ. 96), ამ პრინციპული მხარისთვის კი თავის «საალყო წესებში» მან ამჯობინა გვერდი აევლო!

ამხ. პლეხანოვი მაშინვე უპასუხებს მარტოვს და სთხოვს თავი შეიკავოს «ყრილობის ღირსების შემბღალველი» ისეთი გამოთქმებისაგან, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, პომპადუ-

---

ეს ზეცენტრიაო, საკმაოა ლენინმა თვალი დაუხამხამოს, რომ ცენტრმა განკარგულება მოახდინოსო, ც. კ. ლიგაში ზარზეიმით შევიდაო და სხვ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამხ. მარტოვმა თემის სწორედ ასეთი არჩევით დაამტკიცა თავისი ღრმა იდეურობა და პრინციპულობა.

რობა და სხვ. (გვ. 96). ხდება შენიშვნათა გაცვლა-გამოცვლა ამხ. მარტოვთან, რომელიც ამ გამოთქმებში ხედავს «ცნობილი მიმართულების პრინციპულ დახასიათებას». ამხ. პლეხანოვი, ისე როგორც უმრავლესობის ყველა სხვა მომხრენი, მ ა შ ი ნ ამ გამოთქმებს განიხილავდა მათი კონკრეტული მნიშვნელობის მიხედვით, ნათლად ესმოდა მათი არა პრინციპული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ «კოოპტაციური», თუ შეიძლება ასე ითქვას, აზრი. მაგრამ ის უთმობს მარტოვებისა და დეიჩების დაჟინებას (გვ. 96 — 97) და გადადის ვითომდა პრინციპულ შეხედულებათა პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ განხილვაზე. «ეს რომ ასე იყოს, — ამბობს ის (ე. ი. კომიტეტები ავტონომიური რომ იყვნენ თავიანთი ორგანიზაციის შექმნაში, თავიანთი წესდების გამომუშავებაში), — ისინი ავტონომიური იქნებოდნენ მთელის მიმართაც, პარტიის მიმართაც. ეს უკვე არა ბუნდისტური, არამედ პირდაპირ ანარქისტული თვალსაზრისია. მართლაც, ანარქისტები ასე მსჯელობენ: ინდივიდუუმთა უფლებები განუსაზღვრელია; ეს უფლებები შეიძლება ერთმანეთს შეეჯახონ; თვითეული ინდივიდუუმი თვითონ განსაზღვრავს თავისი უფლებების ფარგლებსო. ავტონომიის ფარგლები უნდა გაარკვიოს არა თვით ჯგუფმა, არამედ იმ მთელმა, რომლის ნაწილსაც ის შეადგენს. ამ პრინციპის დარღვევის თვალსაჩინო მაგალითია ბუნდი. მაშასადამე, ავტონომიის ფარგლებს არკვევს ან ყრილობა, ან ის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც ყრილობამ შეჰქმნა. ცენტრალური დაწესებულების ძალაუფლება უნდა ეყრდნობოდეს ზნეობრივ და გონებრივ ავტორიტეტს. ამას მე, რა თქმა უნდა, ვეთანხმები. ორგანიზაციის ყოველმა წარმომადგენელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაწესებულებას ჰქონდეს ზნეობრივი ავტორიტეტი. მაგრამ აქედან ის დასკვნა როდი გამომდინარეობს, რომ თუ საჭიროა ავტორიტეტი, საჭირო არ არის ძალაუფლება... იდეის ავტორიტეტისთვის ძალაუფლების ავტორიტეტის დაპირისპირება — ესაა ანარქისტული ფრაზა, რომელსაც აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს» (98). ეს დებულებები მეტისმეტად ელემენტარულია, ეს ჭეშმარიტად აქსიომებია, რომელთა კენჭის-

საყრელად გამოტანა მართლაც უცნაურია (გვ. 102) და რომელთაც ეჭვი გამოიწვიეს მხოლოდ იმიტომ, რომ «ამჟამად ცნებათა აღრევა მოხდა» (იქვე). მაგრამ ინტელიგენტურმა ინდივიდუალიზმმა გარდუვალად გამოიწვია უმცირესობის სურვილი — ჩაშალოს ყრილობა, არ დაემორჩილოს უმრავლესობას; ამ სურვილის გამართლება კი სხვანაირად შეუძლებელი იყო, თუ არა ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ფ რ ა ზ ი თ. მეტად კურიოზულია, რომ პლეხანოვს უმცირესობამ ვერაფერი უპასუხა, გარდა ჩ ი ვ ი ლ ი ს ა — მეტისმეტად მაგარ გამოთქმებს ხმარობთ, როგორიც არის, მაგალითად, ოპორტუნიზმი, ანარქიზმი და სხვაო. პლეხანოვმა სამართლიანად აიგდო სასაცილოდ ეს ჩივილი, როცა ჰკითხა: რატომაა «ჟორესიზმის და ანარქიზმის ხმარება უხერხული, ხოლო **lése-majesté** (უდიდებულესობის შეურაცხყოფა) და პომპადურობა — დასაშვებიო»? ამ კითხვებზე პასუხი არ გაუციათ. ეს ორიგინალური **qui pro quo** * გამუდმებით მოსდით ამხ. მარტოვს, აქსელროდს და კომპანიას: მათ ახალ სიტყვებს ყოველთვის «გულმოსულობის» აშკარა ბეჭედი აზის; ამაზე მითითება მათ სწყინთ, — ჩვენ პრინციპული ხალხი ვართო; მაგრამ თუ თქვენ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ უარჰყოფთ მთელისთვის ნაწილის დამორჩილებას, თქვენ ანარქისტები ყოფილხართო, — ეუბნებიან მათ. ეს კი მათი ახალი წყენინებაა მაგარი გამოთქმით! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მათ სურთ ბრძოლა პლეხანოვთან, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ის მათ სერიოზულად არ დაესხას თავს!

რამდენჯერ ყოფილა, რომ ამხ. მარტოვი და მრავალი სხვა «მენშევიკი» არანაკლებ ბალღურად მამხელდნენ ხოლმე შემდეგს «წინააღმდეგობაში». აიღებენ ციტატას «რა ვაკეთოთ?»-დან, ან «წერილიდან ამხანაგისადმი», სადაც ლაპარაკია იდეურ გავლენაზე, გავლენისათვის ბრძოლაზე და სხვ., და ამას უპირისპირებენ «ბიუროკრატიულ» ზეგავლენას წესდების საშუალებით, ძალაუფლებაზე დაყრდნობის

* — გაუგებრობა. რ ე დ.

«თვითმპყრობელურ» მისწრაფებას და სხვ. გულუბრყვილო ადამიანები! მათ უკვე დავიწყებიათ, რომ წ ი ნ ა თ ჩვენი პარტია არ იყო ფორმალურად ორგანიზებული მთელი, არამედ მხოლოდ კერძო ჯგუფების ჯამი იყო, და ამიტომ სხვა ურთიერთობა ამ ჯგუფებს შორის, გარდა იდეური ზეგავლენისა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ა ხ ლ ა ჩვენ ორგანიზებული პარტია გავხდით, ხოლო სწორედ ეს მოასწავებს ძალაუფლების შექმნას, იდეათა ავტორიტეტის გადაქცევას ძალაუფლების ავტორიტეტად, ზემდგომი პარტიული ინსტანციებისადმი ქვემდგომი ინსტანციების დამორჩილებას. მართლაცდა, უხერხულიც კია უღეჭავდე შენს ძველ ამხანაგებს ასეთ ანაბანას, განსაკუთრებით როცა გრძნობ, რომ საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ უმცირესობას არ სურს დაემორჩილოს უმრავლესობას არჩევნების საქმეში! პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ კი მთელი ეს ჩემი დაუსრულებელი მხილება წინააღმდეგობაში მ თ ლ ა დ ანარქისტულ ფრაზას შეიცავს. ახალ «ისკრას» საწინააღმდეგო არაფერი აქვს პარტიული დაწესებულების ტიტულითა და უფლებით ისარგებლოს, მაგრამ პარტიის უმრავლესობისადმი დამორჩილება მას არა სურს.

თუ კი არის რაიმე პრინციპი ფრაზებში ბიუროკრატიზმზე, თუ ეს არ არის ანარქისტული უარყოფა ნაწილის ვალდებულებისა, რომ დაემორჩილოს მთელს, მაშინ ჩვენს წინაშეა ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, რომელიც ცდილობს შეამციროს ცალკეული ინტელიგენტების პასუხისმგებლობა პროლეტარიატის პარტიის წინაშე, შეასუსტოს ცენტრალურ დაწესებულებათა გავლენა, გააძლიეროს ყველაზე ნაკლებად მტკიცე პარტიული ელემენტების ავტონომია, გადაქცეიოს ორგანიზაციული ურთიერთობანი მათს წმინდა პლატონურ სიტყვიერ ალიარებად. ეს ჩვენ დავინახეთ პარტიის ყრილობაზე, სადაც აკიმოვები და ლიბერები ლაპარაკობდნენ სწორედ იმნაირსავე სიტყვებს «საშინელი» ცენტრალიზმის შესახებ, როგორიც უხვად წარმოითქვა ლიგის ყრილობაზე მარტოვისა და კომპ. ბაგეთაგან. ოპორტუნიზმს რომ შემთხვევით კი არა, არამედ თვით თავისი ბუნებით, და არა მარ-

ტო რუსეთში, არამედ მთელ ქვეყნიერებაზე, მარტოვისა და აქსელროდის ორგანიზაციულ «შეხედულებამდე» მივყავართ, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, როცა გავარჩევთ ამხ. აქსელროდის სტატიას, მოთავსებულს ახალ «ისკრაში».

ჟ) მცირე უსიამოვნებამ ხელი არ უნდა შეუშალოს დიდ სიამოვნებას

ის გარემოება, რომ ლიგამ უარჰყო რეზოლუცია ც. კ-ის მიერ ლიგის წესდების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ (ლიგის ოქმები, გვ. 105), როგორც მაშინვე აღნიშნა პარტიული ყრილობის მთელმა უმრავლესობამ, «პ ა რ ტ ი ი ს წ ე ს დ ე ბ ი ს ა ღ მ ა შ ფ ო თ ებ ე ლ ი დ ა რ ღ ვ ე ვ ა» იყო. ამნაირი დარღვევა, თუ მას განვიხილავთ როგორც პრინციპულ ადამიანთა აქტს, წმინდა წყლის ანარქიზმი იყო, ყრილობის მერმინდელი ბრძოლის პირობებში კი ის აუცილებლად ახდენდა უმცირესობის მხრივ პარტიულ უმრავლესობასთან «ანგარიშის გასწორების» შთაბეჭდილებას (იხ. ლიგის ოქმების გვ. 112), ეს იმას ნიშნავდა, რომ არ სურდათ დამორჩილებოდნენ პარტიას და პარტიაში ყოფილიყვნენ. ლიგის უარმა — ც. კ-ის განცხადების თანახმად მიეღო რეზოლუცია წესდების შეცვლის აუცილებლობის შესახებ (გვ. 124 — 125), — უცილობლად ვამოიწვია იმ კრების ა რ ა კ ა ნ ო ნ ი ე რ ა დ აღიარება, რომელსაც სურდა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო პარტიული ორგანიზაციის კრებად და იმავე დროს არ დამორჩილებოდა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებას. პარტიული უმრავლესობის მომხრეებმაც დაუყოვნებლივ დასტოვეს ეს **quasi**-პარტიული კრება, რათა მონაწილეობა არ მიეღოთ უღირს კომედიაში.

ინტელიგენტური ინდივიდუალიზმი, ორგანიზაციულ ურთიერთობათა პლატონური აღიარებით, რომელმაც თავი იჩინა აზრთა მერყეობით წესდების 1-ლი პარაგრაფის საკითხში, ამრიგად, პრაქტიკულად მივიდა იმ ლოგიკურ ბოლომდე, როგორიც მე ვუწინასწარმეტყველე მას ჯერ კი-

დევ სექტემბერში, ე. ი. 1½ თვის წინათ, — მივიდა პარტიული ორგანიზაციის დ ა რ ღ ვ ე ვ ა მ დ ე. და ამ დროს, იმავე დღის საღამოს, როცა ლიგის ყრილობა დამთავრდა, ამხ. პლეხანოვმა განუცხადა თავის კოლეგებს პარტიის ორივე ცენტრალურ დაწესებულებაში: მე არ ძალმიძს «სროლა ავუტეხო ჩემიანებს», «სჯობს ტყვია ვიკრა შუბლში, ვიდრე გათიშვა მოხდებოდეს», დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მაქსიმალური პირადი დათმობანი, რომელთა გამოც არსებითად (გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე იმ პრინციპების გამო, რამაც თავი იჩინა 1-ლი პარაგრაფის არასწორ პოზიციაში) წარმოებს ეს შემმუსვრელი ბრძოლაო. რათა უფრო ზუსტად დავახასიათოთ ამხ. პლეხანოვის ეს შებრუნება, რასაც ერთგვარი საერთო-პარტიული მნიშვნელობა მიეცა, უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია დავეყრდნო არა კერძო საუბარს და არა კერძო წერილებს (ეს თავშესაფარია უკიდურესი შემთხვევისთვის), არამედ თვით პლეხანოვის ნაამბობს მთელი პარტიის წინაშე, მის სტატიას «რა არ ვაკეთოთ?» «ისკრის» 52-ე ნომერში, დაწერილს სწორედ ლიგის ყრილობის შემდეგ, ც. ო-ს რედაქციიდან ჩემი გამოსვლის მერე (1903 წლის 1 ნოემბერს) და მარტოველების კოოპტაციამდე (1903 წლის 26 ნოემბერს).

მთავარი აზრი სტატიისა «რა არ ვაკეთოთ?» ისაა, რომ პოლიტიკაში საჭირო არ არის ვიყოთ სწორხაზოვანი, უადგილოდ მკაცრი და უადგილოდ დაუთმობელი, რომ ზოგჯერ, გათიშვის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დავუთმოთ რევიზიონისტებსაც (ისეთებს, რომლებიც ჩვენ გვიახლოვდებიან ან არათანამიმდევარნი არიან) და ანარქისტ ინდივიდუალისტებსაც. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ აბსტრაქტულმა ზოგადმა დებულებებმა «ისკრის» მკითხველთა საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. შეუძლებელია სიცილი არ აგიტყდეთ ამხ. პლეხანოვის იმ საუცხოო და ამაყი განცხადებების წაკითხვაზე (შემდგომ სტატიებში), რომ მას ვერ გაუგეს მისი აზრების სიახლის გამო, დიალექტიკასთან გაუცნობლობის გამო. ნამდვილად კი სტატია «რა არ ვაკეთოთ?», როცა ის დაი-

წერა, შეეძლო გაეგო მხოლოდ რაღაც ათიოდე კაცს ჟენევის იმ ორ გარეუბანში, რომელთა სახელი იწყება ორი ერთნაირი პირველი ასოთი. ამხ. პლეხანოვის უბედურება ის იყო, რომ მან ათეული ათასი მკითხველის წინაშე გადმოისროლა გადაკრულ სიტყვათა, საყვედურთა, ალგებრულ ნიშანთა და გამოცანათა ჯამი, მიმართული მხოლოდ ამ ათეულ პირთადმი, რომლებიც მონაწილეობდნენ უმცირესობასთან ყრილობის მერმინდელი ბრძოლის ყველა პერიპეტიაში. ამხ. პლეხანოვი ამ ფათერაკში იმიტომ ჩავარდა, რომ დაარღვია მის მიერვე ასე უადგილოდ მოხსენიებული დიალექტიკის ძირითადი დებულება: განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. სწორედ ამიტომ უადგილო იყო განყენებულ ფორმაში გახვევა ფრიად კონკრეტული აზრისა — ლიგის ყრილობის შემდეგ მარტოველებისათვის დათმობის შესახებ.

დათმობა, წამოყენებული ამხ. პლეხანოვის მიერ როგორც ახალი საბრძოლო სიტყვა, კანონიერი და აუცილებელია ორ შემთხვევაში: ან მაშინ, როცა დამთმობი დარწმუნდა იმათ სიმართლეში, ვინც დათმობას მოითხოვს (პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწენი ამ შემთხვევაში პირდაპირ და აშკარად აღიარებენ თავიანთ შეცდომას), ან მაშინ, როცა საქმისთვის უგუნური და საზიანო მოთხოვნისადმი დათმობა ხდება უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. ხსენებული სტატიიდან სრულიად ნათელია, რომ ავტორს მხედველობაში აქვს მეორე შემთხვევა: ის პირდაპირ ლაპარაკობს დათმობაზე რევიზიონისტებისა და ანარქისტ ინდივიდუალისტების მიმართ (ე. ი. მარტოველების მიმართ, როგორც ეს უკვე იცის ახლა პარტიის ყველა წევრმა ლიგის ოქმებიდან), იმ დათმობაზე, რომელიც სავალდებულოა გათიშვის თავიდან ასაცილებლად. როგორც ხედავთ, ამხ. პლეხანოვის ვითომ ახალი აზრი მთლიანად გამოხატავს არც თუ ისე ახალ ჩვეულებრივ სიბრძნეს: პატარა უსიამოვნებამ ხელი არ უნდა შეუშალოს დიდ სიამოვნებას, პატარა ოპორტუნისტული სისულელე და პატარა ანარქისტული ფრაზა უმჯობესია, ვიდრე დიდი პარ-

ტიული გათიშვაო. ამხ. პლეხანოვი ნათლად ხედავდა, როცა ამ სტატიას წერდა, რომ უმცირესობა წარმოადგენს ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას და რომ ის იბრძვის ანარქისტული საშუალებებით. ამხ. პლეხანოვი გამოვიდა პროექტით — ვებრძოლოთ ამ უმცირესობას პირადი დათმობებით, მსგავსად იმისა (ისევ-ისე **si licet parva componere magnis**), როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატია ებრძოდა ბერნშტეინსო. ბებელი თავისი პარტიის კონგრესებზე საჯაროდ აცხადებდა: მე არ ვიცი ისეთი ადამიანი, რომელიც უფრო ემორჩილებოდეს წრის გავლენას, როგორც ამხანაგი ბერნშტეინიო (არა ბატონი ბერნშტეინი, როგორც წინათ უყვარდა თქმა ამხანაგ პლეხანოვს, არამედ ამხანაგი ბერნშტეინი): შემოვიყვანთ მას ჩვენს წრეში, გავიყვანთ რეიხსტაგის დელეგატად, ვიბრძოლებთ რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მაგრამ არ ვიბრძოლებთ უადგილო სიმკაცრით (**à la** სობაკევიჩ-**Parvus**) რევიზიონისტის წინააღმდეგ, ჩვენ ამ რევიზიონისტს «მოვკლავთ ლმობიერებით» (**kill with kindness**), როგორც ეს დაახასიათა, მახსოვს, ამხ. მ. ბერმა (**M. Beer**) ინგლისის ერთს სოციალ-დემოკრატიულ კრებაზე, როცა იცავდა გერმანელთა დამთმობლობას, მშვიდობისმოყვარეობას, ლმობიერებას, მოქნილობას და წინდახედულობას ინგლისელი სობაკევიჩ-ჰაინდმანის თავდასხმის წინააღმდეგ. აი სწორედ ასევე ამხ. პლეხანოვმაც მოისურვა «ლმობიერებით მოეკლა» ამხ. აქსელროდისა და ამხ. მარტოვის პატარა ანარქიზმი და პატარა ოპორტუნიზმი. მართალია, სრულიად ნათელ გადაკრულ სიტყვებთან ერთად «ანარქისტ ინდივიდუალისტების» შესახებ ამხ. პლეხანოვმა განზრახ გაურკვევლად სთქვა რევიზიონისტებზე, სთქვა ისე, თითქოს მას მხედველობაში ჰყავდა რაბოჩეედელოელები, რომელთაც პირი იბრუნეს ოპორტუნიზმიდან ორთოდოქსიისაკენ, და არა აქსელროდი და მარტოვი, რომელთაც დაიწყეს შებრუნება ორთოდოქსიიდან რევიზიონიზმისაკენ, მაგრამ ეს იყო უბრალო სამ-

ხედრო ხერხი *, ეს იყო უხეირო ფორტიფიკაციული ნაგებობა, რომელიც ვერ გაუმაგრდებოდა პარტიული საჯაროობის საარტილერიო ცეცხლს.

და აი, ვინც გაეცნობა აწერილი პოლიტიკური მომენტის კონკრეტულ კონიუნქტურას, ვინც ჩაუკვირდება ამხ. პლეხანოვის ფსიქოლოგიას, ის გაიგებს, რომ მე არ შემეძლო მაშინ მოვქცეულიყავი სხვანაირად, თუ არა ისე, როგორც მოვიქეცი. ამას ვამბობ უმრავლესობის იმ მომხრეთა გასაგონად, რომლებიც მისაყვედურებდნენ რედაქციის გადაცემისთვის. როცა ამხ. პლეხანოვმა ლიგის ყრილობის შემდეგ პირი იბრუნა და უმრავლესობის მომხრისაგან გადაიქცა მომხრედ შერიგებისა რადაც უნდა დამჯდარიყო, მე ვალდებული ვიყავი ეს შეტრიალება გამეგო მისი საუკეთესო აზრით. იქნებ, ამხ. პლეხანოვს თავის სტატიაში სურდა მოეცა კეთილი და პატიოსანი ზავის პროგრამა? ყოველ ასეთ პროგრამას მივყავართ ორივე მხარის მიერ თავისი შეცდომების გულწრფელ აღიარებამდე. რომელ შეცდომაზე მიუთითებდა ამხ. პლეხანოვი უმრავლესობას? — რევიზიონისტებისადმი უადგილო, სობაკევიჩის შესაფერ სიმკაცრეზე. არავინ იცის, თუ

* ამხ. მარტინოვის, აკიმოვისა და ბრუკერის მიმართ დათმობებზე სიტყვაც არ დაძრულა პარტიის ყრილობის შემდეგ. მე არ გამიგონია, რომ მათაც მოეთხოვოთ «კოოპტაცია». მე ვეჭვობ კიდეც, ჰქონდა თუ არა თათბირი ამხ. სტაროვერს ან ამხ. მარტოვს ამხ. ბრუკერთან, როცა ისინი გვწერდნენ თავიანთ ქაღალდებს და «ნოტებს» «პარტიის ნახევრის» სახელით... ლიგის ყრილობაზე ამხ. მარტოვი შეუდრეკელი პოლიტიკური მებრძოლის უღრმესი აღშფოთებით უარყოფდა თვით აზრსაც კი «რიაზანოვთან ან მარტინოვთან შეერთების» შესახებ, მათთან «მორიგების» ან თუნდაც მათთან ერთად «პარტიისთვის სამსახურის» (რედაქტორად) შესახებ (ლიგის ოქმები, გვ. 53). ამხ. მარტოვი ლიგის ყრილობაზე სასტიკად ჰგმობდა «მარტინოვის ტენდენციებს» (გვ. 88), ხოლო როცა ამხ. ორთოდოქსმა [78] რბილად შენიშნა, ვგონებ, აქსელროდი მარტოვთან ერთად «აღიარებს ამხ. აკიმოვის, მარტინოვის და სხვათა უფლებასაც შეიკრიბონ, შეიმუშაონ თავისთვის წესდება და იმოქმედონ მის თანახმად, როგორც მოესურვებათო» (გვ. 99), მაშინ მარტოველებმა უარჰყვეს ეს, როგორც პეტრემ უარჰყო ქრისტე (გვ. 100 «ამხ. ორთოდოქსის შიშს» «აკიმოვების, მარტინოვების და სხვ. შესახებ» «საფუძველი არა აქვსო»).

რა ჰქონდა აქ მხედველობაში ამხ. პლეხანოვს: თავისი ენამახვილობა სახედრების შესახებ, თუ მეტად გაუფრთხილებელი მოხსენება აქსელროდთან ანარქიზმისა და ოპორტუნიზმისა; ამხ. პლეხანოვმა არჩია აზრის გამოთქმა «განყენებულად» და მასთან პეტრეზე თავის ქნევით. ეს, რა თქმა უნდა, გემოვნების საქმეა. მაგრამ მე ხომ აშკარად აღვიარებდი ჩემს პირად სიმკაცრეს ისკრელისადმი წერილშიც და ლიგის ყრილობაზეც; როგორღა შემეძლო მე არ მეცნო ასეთი «შეცდომა» უმრავლესობისა? რაც შეეხება უმცირესობას, ამხ. პლეხანოვი ნათლად აღნიშნავდა მათს შეცდომას: რევიზიონიზმს (შეად. მისი შენიშვნა ოპორტუნიზმის შესახებ პარტიის ყრილობაზე და ჟორესიზმის შესახებ ლიგის ყრილობაზე) და ანარქიზმს, რამაც გათიშვამდე მიგვიყვანა. განა შემეძლო მე ხელი შემეშალა ცდისთვის, რომ პირად დათმობათა და საერთოდ ყოველგვარი «kindness»-ის (თავაზიანობის, ლმობიერების და სხვ.) გზით მიგვეღწია ამ შეცდომების აღიარებისთვის, მათგან მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისთვის? განა შემეძლო ხელი შემეშალა ამნაირი ცდისთვის, როცა ამხ. პლეხანოვი პირდაპირ გვარწმუნებდა სტატიაში — «რა არ ვაკეთოთ?» «დ ა გ ვ ე ზ ო გ ნ ა მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ნ ი» იმ რევიზიონისტთა რიგებიდან, რომელნიც რევიზიონისტები იყვნენ «მხოლოდ ერთგვარი არათანამიმდევრობის გამო»? და თუ მე არ მწამდა ასეთი ცდა, განა შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი, თუ არა ისე, რომ პირადად დამეთმო ც. ო-ს გამო და გადავბარგებულიყავი, უმრავლესობის პოზიციის დასაცავად, ც. კ-ში? * ასეთი ცდე-

* ამხ. მარტოვმა მეტად მოსწრებულად სთქვა ამის შესახებ, რომ მე გადავბარგდი **avec armes et bagages** (იარაღით და ბაგაჟით. რ ე დ.). ამხ. მარტოვი ხალისით ხმარობს სამხედრო შედარებებს: გალაშქრება ლიგაზე, შეტაკება, განუკურნებელი ჭრილობები და სხვ. და სხვ. უნდა გამოვტყდე, რომ მეც ძალიან მიტაცებს სამხედრო შედარებები, განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთი უდიდესი ინტერესით ადევნებ თვალყურს წყნარი ოკეანიდან მიღებულ ცნობებს. მაგრამ, თუ სამხედრო ყაიდაზე ვილაპარაკებთ, ამხ. მარტოვო, საქმე აი როგორ იყო. ჩვენ დავიპყარით პარტიის ყრილობაზე ორი ფორტი. თქვენ იერიშში მოიტანეთ მათ წინააღმდეგ

ბის შესაძლებლობის აბსოლუტურად უარყოფა და მოსალოდნელი გათიშვისათვის პასუხისმგებლობის აღება მარტო ჩემს თავზე არ შემეძლო თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ მე ნოემბრის წერილში ვფიქრობდი, ეს შეხლაშემოხლა «პირადი გაღიზიანებით» ამეხსნა. უმრავლესობის პოზიციის დაცვა კი მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ჩემს პოლიტიკურ მოვალეობად. ამ მხრივ ამხ. პლეხანოვზე დაყრდნობა ძნელი და სახიფათო იყო, რადგან ყველაფრიდან ჩანდა, რომ თავისი ფრაზა: «პროლეტარიატის ხელმძღვანელს უფლება არა აქვს აჰყვეს თავის საომარ მიდრეკილებებს, როცა ეს ეწინააღმდეგება პოლიტიკურ ანგარიშიანობასო» ამხ. პლეხანოვი მზად იყო დიალექტიკურად განემარტა იმ აზრით, რომ თუ მაინცდამაინც საჭიროა სროლის ატეხა, მაშინ უფრო მეტი ანგარიშიანობაა (ჟენევის ამინდის მიხედვით ნოემბერში) სროლა აუტეხო უმრავლესობასო... უმრავლესობის პოზიციის დაცვა აუცილებელი იყო, იმიტომ რომ ამხ. პლეხანოვმა, — დასაცინად დიალექტიკისა, რომელიც მოითხოვს კონკრეტულსა და ყოველმხრივ განხილვას, — როცა იგი ეხებოდა რევოლუციონერის კეთილი (?) ნების საკითხს, თავმდაბლად გვერდი აუარა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი ს ა დ მ ი ნ დ ო ბ ი ს, «პროლეტარიატის» ისეთი «ხელმძღვანელისადმი» ნდობის საკითხს, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიის განსაზღვრულ ფრთას. როცა ამხ. პლეხანოვი ანარქისტულ ინდივიდუალიზმზე ლაპარაკობდა და გვირჩევდა «ხანდახან» თვალი დაგვეხუჭა დისციპლინის დარღვევაზე, «ხანდახან» დაგვეთმო

ლიგის ყრილობაზე. მცირეოდენი სროლის უმალვე ჩემი კოლეგა, ერთი ციხე-სიმაგრის კომენდანტი, მტერს ჭიშკარს უღებს. მე, ცხადია, თავს ვუყრი ჩემს მცირეოდენ არტილერიას და გადავდივარ მეორე, თითქმის გაუმაგრებელ ფორტზე, — რათა იქ «შევაფარო თავი» მრავალრიცხოვანი მტრისგან დევნილმა. მე ზავის წინადადებასაც კი ვიძლევი: სად შემიძლია ორ სახელმწიფოს ვეომო? მაგრამ ახალი მოკავშირეები, ზავის წინადადებაზე, ყუმბარებს უშენენ ჩემს «უკანასკნელ» ფორტს. მე სროლითვე ვუპასუხებ. მაშინ ჩემი ყოფილი კოლეგა — კომენდანტი — თავმოსაწონი აღშფოთებით იძახის: დახეთ, კეთილო ხალხო, რამდენად აკლია ამ ჩემბ[illegible]ს მშვიდობისმოყვარეობაო!

ინტელიგენტური თავაშვებულობისათვის, რომელსაც «ფესვი აქვს გადგმული იმ გრძნობაში, რასაც საერთო არა აქვს რა რევოლუციური იდეისადმი ერთგულებასთან», ის, ჩანს, ივიწყებდა, რომ საჭიროა აგრეთვე ანგარიში გაეწიოს პარტიის უმრავლესობის კეთილ ნებასაც, რომ საჭიროა ანარქისტ ინდივიდუალისტებისადმი დათმობის ო დ ე ნ ო ბ ი ს საკითხის გადაწყვეტა მიენდოს ს წ ო რ ე დ პ რ ა ქ ტ ი კ ო ს ე ბ ს. რამდენადაც ადვილია ლიტერატურული ბრძოლა ბავშვურ ანარქისტულ სისულელესთან, იმდენადვე ძნელია პრაქტიკული მუშაობა ანარქისტ ინდივიდუალისტთან ერთსა და იმავე ორგანიზაციაში. ლიტერატორი, რომელიც იკისრებდა ანარქიზმისადმი შესაძლებელ დათმობათა ოდენობის პრაქტიკულად გარკვევას, ამით მხოლოდ თავის უზომო, ჭეშმარიტად დოქტრინიორულ, ლიტერატურულ ყოყოჩობას გამოააშკარავებდა. ამხ. პლეხანოვი ზვიადად შენიშნავდა (დიადობის გამოსაჩენად, როგორც ამბობდა ბაზაროვი [70]), ახალი გათიშვის შემთხვევაში მუშები ვეღარ გაგვიგებენ ჩვენო, და ამავე დროს თვითონ უყრიდა საფუძველს ისეთ მთელ რიგ დაუსრულებელ სტატიებს ახალ «ისკრაში», რომლებიც თავისი ნამდვილი, კონკრეტული მნიშვნელობით აუცილებლად გაუგებარი რჩებოდნენ არათუ მუშებისთვის, არამედ საერთოდ მთელი ქვეყნიერებისთვისაც. საკვირველი როდია, რომ ც. კ-ის წევრი, რომელმაც კორექტურაში წაიკითხა სტატია «რა არ ვაკეთოთ?», აფრთხილებდა ამხ. პლეხანოვს: შენი გეგმა ზოგი გამოსაქვეყნებელი მასალის (პარტიის ყრილობის და ლიგის ყრილობის ოქმების) ერთგვარი შემოკლებისა ირღვევა სწორედ ამ სტატიითო; იგი ცნობისმოყვარეობას აღვივებს, ქუჩის სამსჯავროზე გამოაქვს რაღაც პიკანტური და იმავე დროს სრულიად გაურკვეველი *, გარდუვალად იწვევს

* ჩვენ ცხარედ და გატაცებით ვკამათობდით რომელიღაც კარჩაკეტილ შენობაში. უცბად ერთი ჩვენთაგანი წამოხტა, ქუჩის მხარეს ფანჯარა გააღო და დაიწყო ყვირილი სობაკევიჩების, ანარქისტ ინდივიდუალისტების, რევიზიონისტებისა და სხვ. წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ქუჩაში თავი მოიყარა მოცლილმა ცნობისმოყვარე ხალხმა და ჩვენი მტრები ბო-

გაოცების კითხვებს: «რა მოხდა?». საკვირველი როდია, რომ ამხ. პლეხანოვის სწორედ ამ სტატიამ, მის მსჯელობათა აბსტრაქტულობისა და გადაკრული ლაპარაკის ბუნდოვანობის გამო, ზეიმი გამოიწვია სოციალ-დემოკრატიის მტრების რიგებში: უხამსი ბუქნაობა «რევოლუციონნაია როსიის» ფურცლებზე და «ოსვობოჟდენიეს» მხრივ თანამიმდევარი რევიზიონისტების აღფრთოვანებული ქება. ყველა ამ სასეირო და თანაც სამწუხარო გაუგებრობათა წყარო, რომელთაგან თავის დაღწევას ასე სასაცილოდ და ასე სევდიანად ცდილობდა შემდეგ ამხ. პლეხანოვი, მდგომარეობდა სწორედ დიალექტიკის ძირითადი დებულების დარღვევაში: კონკრეტული საკითხები საჭიროა გაარჩიო მთელი მათი კონკრეტულობით. კერძოდ, ბ-ნ სტრუვეს აღტაცება სავსებით ბუნებრივი იყო: მას არა ესაქმებოდა რა იმ «კარგ» მიზნებთან (kill with kindness), რომლებიც დასახული ჰქონდა (მაგრამ შეიძლება ვერც შეესრულებინა) ამხ. პლეხანოვს; ბ-ნი სტრუვე მიესალმა და არც შეეძლო არ მისალმებოდა ი მ შ ე ტ რ ი ა ლ ე ბ ა ს ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი ფ რ თ ი ს ა კ ე ნ, რომელიც დაიწყო ახალ «ისკრაში», რასაც ახლა ყველა და თვითეული ხედავს. მარტო რუსი ბურჟუაზიული დემოკრატები როდი მიესალმებიან ყოველს, თუნდაც სრულიად წვრილმანსა და დროებითს, შეტრიალებას ოპორტუნიზმისაკენ ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჭკვიანი მტრის მხრივ შეფასება იშვიათად რომ მთლად გაუგებრობა იყოს: მითხარ, ვინ გაქებს, და გეტყვი, რაში შემცდარხარ. და ამაოდ აქვს ამხ. პლეხანოვს უყურადღებო მკითხველის იმედი, როცა ფიქრობს საქმე ისე დაგვისახოს,

---

როტად ხარობდნენ. დავის სხვა მონაწილენიც მიდიან ფანჯარასთან, მათ სურთ უამბონ საქმის ვითარება გასაგებად, სულ თავიდან და სიტყვის გადაუკვრელად იმაზე, რაც არავინ იცის. მაშინ ფანჯარას ხურავენ: არ ღირს ლაპარაკი კ ი ნ კ ლ ა ო ბ ა ზ ე ო («ისკრა» № 53, გვ. 8, სვეტი 2, სტრიქონი 24 ქვევიდან). არ ღირდა «ი ს კ რ ა ში» ლაპარაკის დ ა წ ყ ე ბ ა «კინკლაობაზე», ამხ. პლეხანოვო, ?? — აი მართალი თუ გინდა ეს არის!

თითქოს უმრავლესობა უეჭველად წინააღმდეგი ყოფილიყოს პირადი დათმობისა კოოპტაციის შესახებ და არა პარტიის მემარცხენე ფრთიდან მემარჯვენე ფრთაზე გადასვლისა. საქმე ის კი არაა, რომ ამხ. პლეხანოვი, გათიშვის თავიდან ასაცილებლად, პირად დათმობაზე წავიდა (ეს მეტად საქებურია), არამედ ის, რომ, სავსებით აღიარა რა დავის აუცილებლობა არათანამიმდევარ რევიზიონისტებსა და ანარქისტ ინდივიდუალისტებთან, მან არჩია დავა დაეწყო უმრავლესობასთან, რომელსაც ის დაშორდა იმ საკითხის გამო, თუ რა ოდენობით შეიძლებოდა პრაქტიკული დათმობანი ანარქიზმის მიმართ. საქმე ის კი არაა, რომ ამხანაგმა პლეხანოვმა შესცვალა რედაქციის პირადი შემადგენლობა, არამედ ის, რომ მან უღალატა რევიზიონიზმთან და ანარქიზმთან დავის პოზიციას, თავი გაანება ამ პოზიციის დაცვას პარტიის ც. ო-ში.

რაც შეეხება ც. კ-ს, რომელიც მაშინ გამოდიოდა როგორც ერთადერთი ორგანიზებული წარმომადგენელი უმრავლესობისა, — მას (ც. კ-ს) ამხ. პლეხანოვი მაშინ დაშორდა მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხის გამო, თუ რა ოდენობით იყო შესაძლებელი პრაქტიკული დათმობანი ანარქიზმისადმი. თითქმის ერთი თვე გავიდა 1-ლი ნოემბრიდან, როცა მე ჩემი წასვლით ხელი გავუხსენი **kill with kindness**-ის პოლიტიკას. ამხ. პლეხანოვს სრული შესაძლებლობა ჰქონდა მრავალგვარი ურთიერთობით შეემოწმებინა ამ პოლიტიკის გამოსადეგობა. ამხ. პლეხანოვმა ამ ხანებში გამოაქვეყნა თავისი სტატია «რა არ ვაკეთოთ?», რომელიც იყო — და რჩება — მარტოველების ერთადერთ, ასე ვთქვათ, რედაქციაში შესასვლელ ბილეთად. ლოზუნგები: რევიზიონიზმი (რომელსაც უნდა ედავო, მაგრამ უნდა დაინდო მოწინააღმდეგე) და ანარქისტული ინდივიდუალიზმი (რომელსაც უნდა ეფერო, უნდა მოჰკლა ლმობიერებით) ამ ბილეთზე დაბეჭდილია მნიშვნელოვანი ხაზგასმით. მობრძანდით, ბატონებო, კეთილი ინებეთ, მე თქვენ მოგკლავთ ლმობიერებით, — აი რას ეუბნება ამხ. პლე-

ზანოვი ამ მოსაწვევი ბილეთით თავის ახალ კოლეგებს რედაქციის მხრივ. ბუნებრივია, რომ ც. კ-ს ისღა დარჩენოდა, რომ ეთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა (ულტიმატუმი სწორედ ნიშნავს: უკანასკნელ სიტყვას შესაძლებელი ზავის შესახებ), თუ რა ოდენობის პრაქტიკული დათმობანი შეიძლებოდა, მისი თვალსაზრისით, ანარქისტული ინდივიდუალიზმის მიმართ. ან თქვენ გსურთ ზავი, — და მაშინ აი ინებეთ ამდენი და ამდენი ადგილიო, რაც ამტკიცებს ჩვენს ლმობიერებას, მშვიდობისმოყვარეობას, დამთმობლობას etc. (მეტის მოცემა არ შეგვიძლია, რადგან გვსურს მშვიდობის გარანტია იყოს პარტიაში, მშვიდობისა არა იმ აზრით, რომ დავას არ ჰქონდეს ადგილი, არამედ იმ აზრით, რომ პარტია არ დაინგრეს ანარქისტული ინდივიდუალიზმით), ინებეთ ეს ადგილები და ხელახლა შემოტრიალდით ნელ-ნელა აკიმოვისგან პლეხანოვისაკენ. ან თქვენ გსურთ დაიცვათ და განავითაროთ თქვენი თვალსაზრისი, საბოლოოდ შეტრიალდეთ (თუნდაც მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების სფეროში) აკიმოვისაკენ, დაარწმუნოთ პარტია თქვენს სიმართლეში პლეხანოვის წინააღმდეგ, — მაშინ იყოლიეთ თქვენთვის ლიტერატურული ჯგუფი, მიიღეთ წარმომადგენლობა ყრილობაზე და პატიოსანი ბრძოლით, აშკარა პოლემიკით დაიწყეთ უმრავლესობის მიმხრობა. ეს ალტერნატივი, სრულიად ნათლად დაყენებული მარტოველების წინაშე ცენტრალური კომიტეტის 1903 წლის 25 ნოემბრის ულტიმატუმით (იხ. «საალყო წესები» და «კომენტარები ლიგის ოქმებისადმი» *), სრულიად შეესაბამება

* მე, რასაკვირველია, არ შევუდგები იმ ხლართის გახსნას, რომელიც დახვანჯა მარტოვმა «საალყო წესებში» ც. კ-ის ამ ულტიმატუმის გარშემო, იმოწმებდა რა კერძო საუბრებს etc. ეს ჩემს მიერ წინა §-ში დახასიათებული «ბრძოლის მეორე ხერხია», რომლის გარჩევასაც წარმატების იმედით შესძლებდა მხოლოდ ნევროპათოლოგიის სპეციალისტი. საკმაოა ითქვას, რომ ამხ. მარტოვი იქ დაჟინებით მოითხოვს ც. კ-თან შეთანხმებას იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებათა მასალები არ გამოქვეყნდეს. ეს შეთანხმება კი, მიუხედავად დიდი ძებნისა, დღემდე ვერ აღმოაჩინეს. ამხ. ტრავინსკიმ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ც. კ-ის სახელით,

ყოფილი რედაქტორებისადმი ჩემსა და პლეხანოვის წერილს 1903 წლის 6 ოქტომბრის თარიღით: ან პირადი გაბრაზება (და მაშინ შეიძლება უარეს შემთხვევაში, «კოოპტირებაც»), ან პრინციპული უთანხმოება (და მაშინ ჯერ უნდა დაარწმუნოთ პარტია და მხოლოდ შემდეგ ილაპარაკოთ ცენტრების პირადი შემადგენლობის გადაკეთებაზე). ც. კ-ს შეეძლო ამ დელიკატური დილემის გადაჭრა მიენდო თვით მარტოველებისათვის, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ დროს ამხ. მარტოვი თავის **profession de foi**-ში * («კიდევ ერთხელ უმცირესობაში») წერდა შემდეგ სტრიქონებს:

«უმცირესობა პრეტენზიას აცხადებს ერთპატივზე, სახელდობრ, მოგვცეს ჩვენი პარტიის ისტორიაში პირველი მაგალითი იმისა, რომ შეიძლება «დამარცხდე», მაგრამ არ შეჰქმნა ახალი პარტია. უმცირესობის ასეთი პოზიცია გამომდინარეობს ყველა მისი შეხედულებიდან პარტიის ორგანიზაციულ განვითარებაზე; ეს პოზიცია გამომდინარეობს იქიდან, რომ უმცირესობას შეგნებული

წერილობით მაცნობა: უფლება გაქვთ დაბეჭდოთ თქვენი წერილი რედაქციისადმი «ისკრის» გარეშეო.

მე განსაკუთრებით მომეწონა ამხ. მარტოვის მხოლოდ ერთი სიტყვა. ეს არის სიტყვა — «უცუდესი ხარისხის ბონაპარტიზმი». მე ვფიქრობ, ამხ. მარტოვმა ეს კატეგორია სწორედ მეტად დროულად წამოაყენა. მოდით, გავსინჯოთ გულდამშვიდებით, რას ნიშნავს ეს ცნება. ჩემი აზრით, ის ნიშნავს ძალაუფლების მოპოვებას ფორმალურად კანონიერი გზით, მაგრამ არსებითად ხალხის (ან პარტიის) ნების წინააღმდეგ. ასეა ხომ, ამხ. მარტოვო? და თუ ასეა, მე გულდამშვიდებული ვანდობ საზოგადოებას განსაჯოს, ვის მხრივ იყო ეს «უცუდესი ხარისხის ბონაპარტიზმი», ლენინისა და იგრეკის [1] მხრივ, რომელთაც შეეძლოთ დაყრდნობოდნენ II ყრილობის ნებას, ესარგებლნათ თავიანთი ფორმალური უფლებით და არ დაეშვათ მარტოველები, მაგრამ არ ისარგებლეს ამ უფლებით; — თუ იმათ მხრივ, ვინც ფორმალურად მართებულად დაიკავა რედაქცია («ერთხმივი კოოპტაცია»), მაგრამ იცოდა, რომ ეს არსებითად არ შეესაბამებოდა II ყრილობის ნებას, და ეშინოდა III ყრილობის მიერ ამ ნების შემოწმებისა?

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რედ.

აქვს თავისი მტკიცე კავშირი წინანდელ პარტიულ მუშაობასთან. «უმცირესობას» არა სწამს «ქაღალდის რევოლუციების» მისტიკური ძალა და თავის მისწრაფებათა ღრმა სასიცოცხლო დასაბუთებაში ხედავს იმის საწინდარს, რომ პარტიის შიგნით წმინდა იდეური პროპაგანდით მიაღწევს თავისი ორგანიზაციული პრინციპების გამარჯვებას». (ხაზგასმა ჩემია.)

რა მშვენიერი, და ამაყი სიტყვებია! და რა მწარე იყო გამოცდილებით დარწმუნება, რომ ეს — მხოლოდ სიტყვები იყო... მაპატიეთ კი, ამხანაგო მარტოვო, მაგრამ ახლა მე ვაცხადებ პრეტენზიას უმრავლესობისსახელით ამ «პატივზე», რომელიც თქვენ არ დაგიმსახურებიათ. ეს პატივი მართლაც დიდი იქნება და ბრძოლა მისთვის ღირს, იმიტომ რომ წრეობანის ტრადიციებმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა არაჩვეულებრივ იოლი გათიშვები და არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მომარჯვება წესისა: ან კბილებს ჩაგამტვრევ, ან ხელი მიბოძეთო.

უდიდეს სიამოვნებას (ერთიანი პარტიის არსებობას) უნდა დაეძლია და დასძლია კიდეც მცირე უსიამოვნებანი (კოოპტაციის გამო კინკლაობანი). მე გამოვედი ც. ო-დან, ამხანაგი იგრეკიც (ჩემს და პლეხანოვის მიერ ც. ო-ს რედაქციისგან გაგზავნილი პარტიის საბჭოში) გამოვიდა საბჭოდან. მარტოველებმა ც. კ-ის უკანასკნელ სიტყვაზე ზავის შესახებ გვიპასუხეს წერილით (იხ. ციტირებული გამოცემანი), რომელიც ომის გამოცხადებას უდრის. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, მე ვწერ წერილს რედაქციისადმი («ისკრა» № 53) საჯაროობის შესახებ *. თუ ვილაპარაკებთ რევიზიონიზმზე, ვიდავებთ არათანამიმდევრობასა და ანარქისტულ ინდივიდუალიზმზე, სხვადასხვა ხელმძღვანელთა დამარცხებაზე, მაშ მოდით, ბატონებო,

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 125 — 130. რედ.

ვილაპარაკოთ ყველაფერი, დაუფარავად, როგორც იყო საქმე-მეთქი, — აი შინაარსი ამ წერილისა საჯაროობის შესახებ. რედაქცია ამაზე მიპასუხებს ბრაზიანი ლანძღვით და ჩინებული დარიგებით: არ გაბედო «წ რ ე ო ბ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს წ ვ რ ი ლ მ ა ნ ე ბ ი ს ა დ ა კ ი ნ კ ლ ა ო ბ ი ს» აღძვრაო («ისკრა» № 53). აი, თურმე, რა ყოფილა, ვფიქრობ ჩემთვის: «წრეობრივი ცხოვრების წვრილმანები და კინკლაობა»... **es ist mir recht**, ბატონებო, ამას კი ვეთანხმები. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ «კოოპტაციისთვის» დავიდარაბას თქვენ პირდაპირ წ რ ე ო ბ რ ი ვ კ ი ნ კ ლ ა ო ბ ა ს აკუთვნებთ. ეს მართალია. მაგრამ ეს რაღა დისონანსია, თუ იმავე 53-ე ნომრის მოწინავე სტატიაში იგივე (ვითომდა იგივე) რედაქცია იწყებს მითქმა-მოთქმას ბიუროკრატიზმზე, ფორმალიზმზე და სხვ. * არ გაბედო და არ აღძრა საკითხი ც. ო-ში კოოპტაციისთვის ბრძოლის შესახებ, ვინაიდან ეს კინკლაობაა. ჩვენ კი აღვძრავთ ც. კ-ში კოოპტაციის საკითხს და ამას ვუწოდებთ არა კინკლაობას, არამედ პრინციპულ უთანხმოებას «ფორმალიზმის» შესახებო. — მაგრამ არა, ძვირფასო ამხანაგებო, ვფიქრობ გულში, ნება მომეცით ამის ნება არ მოგცეთ. თქვენ გსურთ ყუმბარები დაუშინოთ ჩემს ფორტს, ჩემგან კი მოითხოვთ გადმოგცეთ არტილერია. რა ხუმარები ხართ! მე ვწერ და «ისკრის» გარეშე ვბეჭდავ «წერილს რედაქციისადმი» («რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?») **, იქ მოკლედ ვამბობ, თუ როგორ იყო საქმე და მსურს კიდევ და კიდევ გავიგო, შესაძლებელია თუ არა ზავი ასეთი განაწილების საფუძველზე: თქვენ ცენტრალური ორგანო, ჩვენ — ცენტრალური კომიტეტი. არც ერთი მხარე თავს «უცხოდ» არ იგრძნობს თავის პარტიაში, და ჩვენ ვიდავებთ ხოლმე

* როგორც შემდეგ აღმოჩნდა, «დისონანსი» სულ უბრალოდ აიხსნებოდა ც. ო-ს რედაქციის შემადგენლობის დისონანსით. «კინკლაობაზე» წერდა პლეხანოვი (იხ. მისი აღსარება «სამწუხარო გაუგებრობაში», № 57), ხოლო მოწინავეს «ჩვენი ყრილობა» — მარტოვი («საალყო წესები», გვ. 84). ზოგი ალთას, ზოგი ბალთას.

** იხ. ეს ტომი, გვ. 131 — 139. რ ე დ.

ოპორტუნიზმისაკენ შეტრიალების შესახებ, ვიდავებთ ჯერ ლიტერატურაში, შემდეგ კი, შეიძლება, პარტიის მესამე ყრილობაზეც.

ზავზე ლაპარაკის ჩამოგდებას მოჰყვა ცეცხლი მოწინააღმდეგის ყველა ბატარეიდან თვით საბჭოს ჩათვლით. ყუმბარები სეტყვასავით წამოვიდა. თვითმპყრობელი, შვეიცერი, ბიუროკრატი, ფორმალისტი, ზეცენტრი, ცალმხრივი, სწორხაზოვანი, ჯიუტი, ვიწრო, ეჭვიანი, მოურიგებელი... ძალიან კარგი, მეგობრებო! თქვენ გაათავეთ? მეტი არაფერი გაქვთ შემონახული? არ ვარგებულა თქვენი ყუმბარები...

ახლა სიტყვა ჩემზეა. გადავხედოთ ახალი «ისკრის» ახალ ორგანიზაციულ შეხედულებათა შ ი ნ ა ა რ ს ს და ამ შეხედულებათა დამოკიდებულებას ჩვენი პარტიის იმ დაყოფისადმი «უმრავლესობად» და «უმცირესობად», რომლის ჭეშმარიტი ხასიათი ჩვენ ცხადვყავით მეორე ყრილობის კამათისა და კენჭისყრათა ანალიზით.

რ) ახალი «ისკრა». ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში

ახალი «ისკრის» პრინციპული პოზიციის გარჩევას საფუძვლად უნდა დაედოს, უეჭველად, ამხ. აქსელროდის ორი ფელეტონი*. მისი მთელი რიგი ჩვეულებრივი სიტყვების კონკრეტული მნიშვნელობა ჩვენ უკვე ვრცლად ცხადვყავით ზემოთ, და ახლა უნდა შევეცადოთ განვაყენოთ ეს კონკრეტული მნიშვნელობა, ჩავწვდეთ აზრის იმ მსვლელობას, რამაც «უმცირესობა» აიძულა (ამა თუ იმ წვრილი და წვრილმანი მიზეზის გამო) მისულიყო სწორედ ამ და არა სხვა რომელიმე ლოზუნგებამდე, განვიხილოთ ამ ლოზუნგების პრინციპული მნიშვნელობა განურჩევლად მათი წარმოშობისა, განურჩევლად «კოოპტაციისა». ჩვენ ახლა ვცხოვ-

* ეს ფელეტონები შესულია კრებულში ««ისკრა» ორი წლის მანძილზე», ნაწ. II, გვ. 122 და შემდ. (სპბ. 1906). (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.).

.რობთ დათმობის ვითარებაში: მაშ დავუთმოთ ამხანაგ აქსელროდს და «სერიოზულად მივიჩნიოთ» მისი «თეორია».

ამხ. აქსელროდის ძირითადი თეზისი («ისკრა» № 57) ისაა, რომ «ჩვენი მოძრაობა თავიდანვე შეიცავდა ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციას, რომელთა ურთიერთი ანტაგონიზმი არ შეიძლებოდა არ განვითარებულიყო და ამ მოძრაობაზე გავლენა არ მოეხდინა მისი საკუთარი განვითარების პარალელურად». სახელდობრ: «პრინციპულად, მოძრაობის პროლეტარული მიზანი (რუსეთში) იგივეა, რაც დასავლეთის სოციალ-დემოკრატიისა». მაგრამ მუშათა მასებზე გავლენა ჩვენში მომდინარეობს «მათთვის უცხო სოციალური ელემენტის» — რადიკალური ინტელიგენციის მხრიდან. ამრიგად, ამხ. აქსელროდი აღნიშნავს ანტაგონიზმს პროლეტარულ და რადიკალურ-ინტელიგენტურ ტენდენციებს შორის ჩვენს პარტიაში.

ამაში ამხ. აქსელროდი უეჭველად მართალია. ამ ანტაგონიზმის არსებობა (და არა მარტო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში) ეჭვს გარეშეა. ეგ კიდევ არაფერი. ყველას და თვითეულს მოეხსენება, რომ სწორედ ეს ანტაგონიზმი მნიშვნელოვნად ნათელჰყოფს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იმ დაყოფას რევოლუციურ (იგივე ორთოდოქსალურ) და ოპორტუნისტულ (რევიზიონისტულ, მინისტერიალისტურ, რეფორმისტულ) სოციალ-დემოკრატიად, რამაც სავსებით იჩინა თავი რუსეთშიც ჩვენი მოძრაობის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ყველას მოეხსენება აგრეთვე, რომ სწორედ მოძრაობის პროლეტარულ ტენდენციებს გამოხატავს ორთოდოქსალური, ხოლო დემოკრატიულ-ინტელიგენტურს კი — ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატია.

მაგრამ როცა ამხ. აქსელროდი ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს უშუალოდ მიადგა, შიშით უკანდახევას იწყებს. იგი ოდნავადაც არ ცდილობს ანალიზი გაუკეთოს იმას, თუ როგორ იჩინა თავი აღნიშნულმა დაყოფამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში საერთოდ და ჩვენს პარტიულ ყრილობაზე კერძოდ, — თუმცა ამხ. აქსელროდი სწო-

•

რედ ყრილობის გამო წერს! ამბ. აქსელროდს, ისევე როგორც ახალი «ისკრის» მთელ რედაქციას, ამ ყრილობის ოქმების სიკვდილივით ეშინია. ყველა ზემოთქმულის შემდეგ ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, მაგრამ იმ «თეორეტიკოსის» მხრივ, რომელიც ვითომ ჩვენი მოძრაობის სხვადასხვანაირ ტენდენციას იკვლევს, ეს სიმართლის შიშის ორიგინალური შემთხვევაა. ამბ. აქსელროდმა, ამ თავისი თვისების გამო, სრულიად ახალი და სრულიად ზუსტი მასალა ჩვენი მოძრაობის ტენდენციების შესახებ თავიდან მოიშორა და ხსნას საამურ ოცნებათა სფეროში ეძებს. «ლეგალურმა ანუ ნახევრადმარქსიზმმა აკი მისცა ჩვენს ლიბერალებს ლიტერატურული ბელადი, — ამბობს იგი. — რატომ არ შეუძლია ცელქ ისტორიას ორთოდოქსალური, რევოლუციური მარქსიზმის სკოლიდან მისცეს რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას ასეთივე ბელადი?» ამბ. აქსელროდის ამ საამურ ოცნებათა გამო მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ზოგჯერ ისტორიასაც უხდება ცელქობა, ეს არ ამართლებს იმის აზრის ცელქობას, ვინც ხელს ჰკიდებს ამ ისტორიის ანალიზს. როდესაც ნახევრადმარქსიზმის ბელადის სახით ლიბერალი იჭვრიტებოდა, მაშინ ის ადამიანები, რომელთაც სურდათ (და შეეძლოთ) თვალი გაედევნებინათ მისი «ტენდენციებისათვის», იმოწმებდნენ არა ისტორიის შესაძლებელ სიცელქეს, არამედ ამ ბელადის ფსიქოლოგიისა ლა ლოგიკის ათეულ და ასეულ ნიმუშს, მთელი მისი ლიტერატურული ფიზიონომიის იმ თავისებურებებს, რომლებიც ცხადჰყოფდნენ მარქსიზმის ანარეკლს ბურჟუაზიულ ლიტერატურაში [82]. ხოლო თუ ამბ. აქსელროდმა, რომელმაც იკისრა «ჩვენი მოძრაობის საერთო-რევოლუციური და პროლეტარული ტენდენციების» ანალიზი, ვერაფრით, დიახ, სრულიად ვერაფრით ვერ შესძლო დაემტკიცებინა და დაენახვებინა პარტიის მისთვის საძულველი ორთოდოქსალური ფრთის ამა და ამ წარმომადგენელთა განსაზღვრული ტენდენციები, ამით მან თავის თავს მხოლოდ სიკოტრის საუცხოო მოწმობა მისცა. ალბათ, ამბ. აქსელ-

როდის საქმე ძალიან ცუდადაა, თუ მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ისტორიის შესაძლებელი ცელქობა დაიმოწმოს!

ამხ. აქსელროდის მეორე საბუთი — «იაკობინელების» დამოწმება, კიდევ უფრო საგულისხმოა. ამხ. აქსელროდს, ალბათ, მოეხსენება, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის დაყოფამ რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ნაწილებად უკვე დიდი ხანია, და არა მარტოოდენ რუსეთში, საბაბი მოგვცა «საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის ისტორიული ანალოგიებისათვის». ამხ. აქსელროდს მოეხსენება, ალბათ, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ყირონდისტები ყველგან და ყოველთვის თავიანთ მოწინააღმდეგეთა დახასიათებისათვის მიმართავენ ტერმინებს — «იაკობინელობა», «ბლანკიზმი» და სხვ. ნუ მივბაძავთ ამხ. აქსელროდის შიშს სიმართლის წინაშე და ჩვენი ყრილობის ოქმებში ჩავიხედოთ: იქნებ იქ აღმოჩნდეს მასალა იმ ტენდენციებისა და ანალოგიების ანალიზისა და შემოწმებისთვის, რომლებსაც ჩვენ ვიხილავთ.

<u>მაგალითი პირველი.</u> დავა პროგრამის შესახებ პარტიულ ყრილობაზე. ამხ. აკიმოვი (რომელიც ამხ. მარტინოვს «სავსებით ეთანხმება») აცხადებს: «აბზაცმა პოლიტიკური ძალაუფლების (პროლეტარიატის დიქტატურის) დაპყრობის შესახებ, ყველა სხვა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასთან შედარებით, ისეთი რედაქცია მიიღო, რომ მისი განმარტება შეიძლება და პლეხანოვმა განმარტა კიდეც იმნაირად, თითქოს ხელმძღვანელი ორგანიზაციის როლმა უკან უნდა დასწიოს ის კლასი, რომელსაც ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს და პირველი მეორესაგან განაცალკევოს. ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ამოცანების ფორმულირებაც სავსებით ისეთივეა, როგორც «ნაროდნაია ვოლიასი»» (ოქმები, გვ. 124). ამხ. აკიმოვს ამხ. პლეხანოვი და სხვა ისკრელები უპასუხებენ და მას ოპორტუნიზმს უსაყვედურებენ. ამხ. აქსელროდი იქნებ უკვე ხედავს, რომ ეს დავა გვიჩვენებს (საქმით და არა ისტორიის წარმოსახვითი ცელქობით) სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე იაკობინელებისა და თანამედროვე

ჟ ი რ ო ნ დ ი ს ტ ე ბ ი ს ანტაგონიზმს? ან ამხ. აქსელროდმა იაკობინელების შესახებ იმიტომ ხომ არ დაიწყო ლაპარაკი, რომ ის (მისი შეცდომების წყალობით) სოციალ-დემოკრატიის ჟ ი რ ო ნ დ ი ს ტ ე ბ ი ს კომპანიაში აღმოჩნდა?

მეორე მაგალითი. ამხ. პოსადოვსკიმ აღძრა საკითხი «დემოკრატიული პრინციპების აბსოლუტური ღირებულების» «ძირითად საკითხში» «სერიოზული უთანხმოების» შესახებ (გვ. 169). პლეხანოვთან ერთად იგი ამ პრინციპების აბსოლუტურ ღირებულებას უარჰყოფს. ლიდერები «ცენტრისა» ანუ ჭაობისა (ეგოროვი) და ანტიისკრელებისა (გოლდბლატი) გადაჭრით ილაშქრებენ ამის წინააღმდეგ, პლეხანოვის აზრები «ბურჟუაზიული ტაქტიკის მიბაძვად» მიაჩნიათ (გვ. 170) — ე ს ა რ ი ს წ ო რ ე დ ა მ ხ. ა ქ ს ე ლ რ ო დ ი ს ი დ ე ა ო რ თ ო დ ო ქ ს ი ი ს ა და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ აქსელროდის ეს იდეა ჰაერშია გამოკიდებული, გოლდბლატისა კი განსაზღვრულ დებატებს უკავშირდება. ერთხელ კიდევ ვეკითხებით: ხედავს თუ არა ამხ. აქსელროდი, რომ ეს დავაც თ ვ ა ლ ნ ა თ ლ ი ვ გვიჩვენებს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იაკობინელებისა და ჟირონდისტების ანტაგონიზმს ჩვენს პარტიულ ყრილობაზე? ამხ. აქსელროდი იაკობინელების წინააღმდეგ იმიტომ ხომ არ ჰყვირის, რომ ჟირონდისტების კომპანიაში აღმოჩნდა?

მესამე მაგალითი. კამათი წესდების 1-ლი პარაგრაფის შესახებ. ვინ იცავს «პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ს ჩ ვ ე ნ ს მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი», ვინ აღნიშნავს ხაზგასმით, რომ მუშას ორგანიზაციისა არ ეშინია, რომ პროლეტარი ანარქიას არ თანაუგრძნობს, რომ იგი აფასებს სტიმულს «შეკავშირდით!», ვინ აფრთხილებს, მთლად ოპორტუნიზმით გაჟღენთილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენაში არ მოექცეთო? — ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ი ა კ ო ბ ი ნ ე ლ ე ბ ი. და ვინ ცდილობს პარტიაში რადიკალური ინტელიგენცია შეაპაროს, ვინ ზრუნავს პროფესორებსა, გიმნაზიელებსა, ერთეულებსა და რადიკალურ ახალგაზრ-

დობაზე? — ჟირონდისტი აქსელროდი ჟირონ-
დისტ ლიბერთან ერთად.

ძალიან უხეიროდ კი იცავს თავს ამხ. აქსელროდი «ოპორ-
ტუნიზმის ყალბი ბრალდებისაგან», რომელიც ჩვენს პარ-
ტიულ ყრილობაზე აშკარად ვრცელდებოდა «შრომის განთა-
ვისუფლების» ჯგუფის უმრავლესობის წინააღმდეგ! იგი თავს
იცავს იმნაირად, რომ თავისი გაცვეთილი ბერნშტეინული
მელოდიების გადამღერებით იაკობინელობის, ბლანკიზმისა
და სხვ. შესახებ სავსებით ადასტურებს ამ ბრალდებას! იგი
ჰყვირის რადიკალური ინტელიგენციის საშიშროებაზე, რათა
დაჩრდილოს პარტიულ ყრილობაზე წარმოთქმული თავისი
საკუთარი სიტყვები, რომლებიც გაჟღენთილია ამ ინტელი-
გენციაზე ზრუნვით.

ოპორტუნიზმის მეტს სრულიად არაფერს გამოხა-
ტავენ ეს «საშინელი სიტყვები»: იაკობინელობა და სხვ.
იაკობინელი, განუყრელად დაკავშირებული იმ პროლეტა-
რიატის ორგანიზაციასთან, რომელსაც შეგნებუ-
ლი აქვს თავისი კლასობრივი ინტერესები, — ეს არის სწო-
რედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატი.
ჟირონდისტი, რომელიც დარდობს პროფესორებსა და გიმნა-
ზიელებზე, რომელსაც პროლეტარიატის დიქტატურისა ეში-
ნია, რომელიც ოხრავს დემოკრატიულ მოთხოვნათა აბსოლუ-
ტურ ღირებულებაზე, — ეს არის სწორედ ოპორტუ-
ნისტი. მხოლოდ სწორედ ოპორტუნისტებს შეუძლიათ
შეთქმულთა ორგანიზაციების საშიშროება დაინახონ ამჟამად,
როდესაც ლიტერატურაში ათასჯერ უარყოფილია, ცხოვრე-
ბისგან დიდი ხანია უარყოფილი და უკუგდებულია აზრი პო-
ლიტიკური ბრძოლის შეთქმულებამდე შევიწროებისა, რო-
დესაც გარკვეული და გულის არევამდე გადაღეჭილია მასობ-
რივი პოლიტიკური აგიტაციის კარდინალური მნიშვნელობა.
შეთქმულების, ბლანკიზმის წინაშე შიშის რეალური საფუძ-
ველია არა პრაქტიკული მოძრაობის ესა თუ ის გამომჟღავ-
ნებული თვისება (როგორც ამას ბერნშტეინი და ჯომპ. დიდი
ხანია ამაოდ ცდილობს ცხადჰყოს), არამედ ჟირონდისტული

გაუბედაობა ბურჟუაზიული ინტელიგენტისა, რომლის ფსიქოლოგიაც თანამედროვე სოციალ-დემოკრატებში ესოდენ ხშირად გადმოხეთქავს ხოლმე. იმაზე სასაცილო არაფერია, როგორც ახალი «ისკრის» ეს ჭაპანწყვეტა ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა სთქვას (თავის დროზე ასჯერ ნათქვამი) და ამით ორმოციანი და სამოციანი წლების ფრანგ რევოლუციონერ-შეთქმულთა ტაქტიკისაგან დაგვიფაროს (№ 62, მოწინავე) [83]. «ისკრის» უახლოეს ნომერში თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტები, ალბათ, დაგვისახელებენ ორმოციანი წლების ფრანგ შეთქმულთა ისეთ ჯგუფს, რომლისთვისაც მუშათა მასებში პოლიტიკური აგიტაციის მნიშვნელობა, მუშათა გაზეთების, როგორც კლასზე პარტიის ზეგავლენის საფუძვლის, მნიშვნელობა დიდი ხნის შესწავლილი და დასწავლილი ანაბანა იყოს.

მაგრამ ახალი «ისკრის» მისწრაფება ვითომ ახალი სიტყვებით ძველი აზრები იმეოროს და ანაბანა ღეჭოს, უბრალო შემთხვევა კი არა, გარდუვალი შედეგია იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღმოჩნდნენ ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაში მოქცეული აქსელროდი და მარტოვი. მდგომარეობა ავალდებულებს. იძულებული ხდებიან ოპორტუნისტული ფრაზები იმეორონ, იძულებული ხდებიან უ კ ა ნ დ ა ი ხ ი ო ნ დ ა ე ცადონ შ ო რ ე უ ლ წ ა რ ს უ ლ შ ი ჰპოვონ თუნდაც რაიმე გამართლება თავიანთი პოზიციისა, რომლის დაცვაც შეუძლებელია ყრილობაზე წარმოებული ბრძოლისა და ყრილობაზე ჩამოყალიბებულ პარტიულ ელფერთა და დაყოფათა თვალსაზრისით. აკიმოვის ღრმააზროვნებას იაკობინელობისა და ბლანკიზმის შესახებ ამხანაგი აქსელროდი უმატებს აკიმოვისავე წუწუნს იმის შესახებ, რომ არათუ «ეკონომისტები», არამედ «პოლიტიკოსებიც» «ცალმხრივნი», მეტისმეტად «გატაცებულნი» იყვნენ და სხვ. და სხვ. როდესაც კითხულობ ახალი «ისკრის» მაღალფარდოვან მსჯელობას ამ თემაზე, როდესაც იგი თავმომწონედ პრეტენზიას აცხადებს, ყველა ამ ცალმხრიობასა და გატაცებაზე მაღლა ვდგავარო, გაოცებული ეკითხები შენს თავს: ვის პორტრეტებს ხატა–

ვენ? ასეთი ლაპარაკი სადა სმენიათ? მერე და ვინ არ იცის, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების დაყოფამ ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად დიდი ხანია უკვე თავისი დრო მოსჭამა? გადასინჯეთ პარტიის ყრილობამდე ერთი-ორი წლის წინათ გამოსული «ისკრის» ნომრები და დაინახავთ, რომ «ეკონომიზმის» წინააღმდეგ ბრძოლა ნელდება და სრულიად წყდება ჯერ კიდევ 1902 წელს, დაინახავთ, რომ, მაგალითად, 1903 წლის ივლისში (№ 43) «ეკონომიზმის ხანაზე» ლაპარაკობენ, როგორც «საბოლოოდ დრომოჭმულ» მოვლენაზე, ეკონომიზმს «საბოლოოდ დასამარებულად» თვლიან, პოლიტიკოსების გატაცება აშკარა ატავიზმად მიაჩნიათ. მაშ რაღად უბრუნდება «ისკრის» ახალი რედაქცია ამ საბოლოოდ დასამარებულ დაყოფას? ნუთუ ყრილობაზე აკიმოვებს იმ შეცდომებისთვის ვებრძოდით, რომელთაც ისინი ორი წლის წინათ «რაბოჩეე დელოში» უშვებდნენ? ასე რომ მოვქცეულიყავით, ნამდვილი იდიოტები ვიქნებოდით. მაგრამ ყველამ იცის, რომ ჩვენ ასე არ ვიქცეოდით, რომ ყრილობაზე აკიმოვებს «რაბოჩეე დელოს» ძველი, საბოლოოდ დასამარებული შეცდომების გამო კი არ ვებრძოდით, არამედ იმ ა ხ ა ლ ი შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს გ ა მ ო, რომლებსაც ისინი ყრილობაზე თავიანთ მსჯელობათა და კენჭისყრათა დროს უშვებდნენ. იმის შესახებ, თუ რა შეცდომებია ნამდვილად განვლილი და რა შეცდომები ჯერ კიდევ ცოცხლობენ და დავის საჭიროებას იწვევენ, ჩვენ ვმსჯელობდით არა მათი პოზიციის მიხედვით, რომელიც «რაბოჩეე დელოში» ეჭირათ, არამედ იმ პოზიციისა, რომელიც ყრილობაზე ეჭირათ. ყრილობის მოწვევის დროისთვის ძველი დაყოფა ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ სხვადასხვანაირი ოპორტუნისტული ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინეს მთელი რიგი საკითხების განხილვისა და კენჭისყრის დროს და რომლებმაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვიეს პარტიის ახალი დაყოფა «უმრავლესობად» და «უმცირესობად». მთელი დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ «ისკრის» ახალი რედაქცია ცდილობს, ადვილად გასაგები მიზეზების გამო,

მიჩქმალოს ამ ახალი დაყოფის კავშირი ჩვენს პარტიაში არსებულ თანამედროვე ოპორტუნიზმთან, და ამიტომ იგი იძულებული ხდება ახალი დაყოფიდან ძველი დაყოფისაკენ დაიხიოს. მან არ იცის, როგორ ახსნას ახალი დაყოფის პოლიტიკური წარმოშობა (ან სურვილი აქვს, დათმობის გულისთვის, ამ წარმოშობას საბურველი * გადააფაროს) და ეს უცოდინარობა აიძულებს დეჭოს დიდი ხნის დრომოჭმული ძველი დაყოფის ამბები. ყველას და თვითეულს მოეხსენება, რომ ახალ დაყოფას საფუძვლად უდევს აზრთა სხვადასხვაობა ორგანიზაციულ საკითხებში, რაც დაიწყო კამათით ორგანიზაციის პრინციპების შესახებ (წესდების § 1) და დამთავრდა ანარქისტების შესაფერისი «პრაქტიკით». ძველს დაყოფას ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად საფუძვლად ედო აზრთა სხვადასხვაობა უმთავრესად ტაქტიკურ საკითხებში.

ეს უკანდახევა პარტიული ცხოვრების უფრო რთული, მართლაც თანამედროვე და არსებითი საკითხებიდან უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი და ხელოვნურად გამოქექილი საკითხებისაკენ, ახალი «ისკრა» ცდილობს გაამართლოს იმ საასაცილო ღრმააზროვნებით, რომელსაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არ მაჩანჩალობას. ამხ. აქსელროდის წყალობით

* იხ. პლეხანოვის სტატია «ეკონომიზმის» შესახებ «ისკრის» 53-ე ნომერში. ამ სტატიის ქვესათაურში, ჩანს, პატარა ბეჭდეითი შეცდომა შეპარულა. ნაცვლად სიტყვებისა: «ფიქრები სხვის გასაგონად პარტიის მეორე ყრილობის გამო», ცხადია, უნდა იყოს: «ლიგის ყრილობის გამო» ან, შეიძლება, «კოოპტაციის გამო». რამდენადაც მისაღებია, განსაზღვრულ პირობებში, დათმობა პირადი პრეტენზიების გამო, იმდენად შეუწყნარებელია (პარტიული და არა ფილისტერული თვალსაზრისით) ერთმანეთში არევა იმ საკითხებისა, რომლებიც პარტიას აღელვებს, ორთოდოქსიიდან ოპორტუნიზმისაკენ მიმავალი მარტოვისა და აქსელროდის ახალი შეცდომის საკითხის შეცვლა მარტინოვებისა და აკიმოვების ძველი შეცდომის საკითხით (რასაც ახალი «ისკრის» გარდა ახლა აღარავინ იხსენებს), მარტინოვებისა და აკიმოვებისა, რომლებიც ამჟამად, შეიძლება, მზადაც არიან პროგრამისა და ტაქტიკის მრავალ საკითხში ოპორტუნიზმიდან ორთოდოქსიისაკენ შემოტრიალდნენ.

ახალი «ისკრის» ყველა სტატიაში წითელ ზოლად გადის ის ღრმა «აზრი», რომ შინაარსი ფორმაზე უფრო მნიშვნელოვანია, პროგრამა და ტაქტიკა ორგანიზაციაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ «ორგანიზაციის ცხოველმყოფელობა პირდაპირ პროპორციულია იმ შინაარსის მოცულობისა და მნიშვნელობისა, რომელსაც იგი მოძრაობაში შეიტანს», რომ ცენტრალიზმი არ არის «რაღაც თვითკმარი», არ არის «ყოვლისმხსნელი თილისმა» და სხვა და სხვა. უღრმესი, უდიდესი ჭეშმარიტებანია! პროგრამა, მართლაც, ტაქტიკაზე უფრო მნიშვნელოვანია, ტაქტიკა ორგანიზაციაზე უფრო მნიშვნელოვანია. ანბანი ეტიმოლოგიაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეტიმოლოგია სინტაქსზე უფრო მნიშვნელოვანია, — მაგრამ რა უნდა ითქვას იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩაიჭრნენ სინტაქსის გამოცდაზე და ახლა ყოყოჩობენ და თავი მოაქვთ იმით, რომ უმცროსს კლასში მეორე წელიწადს დარჩნენ? ამხ. აქსელროდი ორგანიზაციის პრინციპულ საკითხებზე მსჯელობდა, როგორც ოპორტუნისტი (§ 1), ხოლო ორგანიზაციაში მოქმედებდა, როგორც ანარქისტი (ლიგის ყრილობა), — ახლა კი სოციალ-დემოკრატიას აღრმავებს: მკვახეა ყურძენი! ნამდვილად რომ ვთქვათ, რა არის ორგანიზაცია? ეს ხომ მხოლოდ ფორმაა; რა არის ცენტრალიზმი? იგი ხომ თილისმა არ არის; რა არის სინტაქსი? ის ხომ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეტიმოლოგია, იგი ხომ მხოლოდ ეტიმოლოგიის ელემენტთა შეერთების ფორმაა... «იქნებ დაგვეთანხმოს ამხ. ალექსანდროვი, — ძლევამოსილად კითხულობს «ისკრის» ახალი რედაქცია, — თუ ვიტყვით, რომ ყრილობამ პარტიული პროგრამის შემუშავებით გაცილებით უფრო მეტად შეუწყო ხელი პარტიული მუშაობის ცენტრალიზაციას, ვიდრე წესდების მიღებით, რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა გვეჩვენოს ეს უკანასკნელი?» (№ 56, დამატება). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კლასიკური გამოთქმა არანაკლებ ფართო და არანაკლებ მტკიცე ისტორიულ სახელს გაითქვამს, ვიდრე ამხ. კრიჩევსკის განთქმული ფრაზა იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატია, კაცობრიობის მსგავსად,

ყოველთვის აყენებს ისეთ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც შეიძლება. ახალი «ისკრის» ეს ღრმააზროვნებაც ხომ სრულიად ასეთივე ყაიდისაა. რატომ დასცინოდნენ ამხ. კრიჩევსკის ფრაზას? იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატების განსაზღვრული ნაწილის შეცდომას ტაქტიკის საკითხებში, პოლიტიკური ამოცანების სწორად დასმის უცოდინარობას იგი ამართლებდა უგვანობით, რომელსაც ფილოსოფიად ასაღებდა. და სწორედ ასევე ახალი «ისკრაც» სოციალ-დემოკრატების განსაზღვრული ნაწილის შეცდომას ორგანიზაციის საკითხებში, ამხანაგების ერთი ნაწილის ინტელიგენტურ მერყეობას, რამაც ისინი ანარქისტულ ფრაზამდე მიიყვანა, — ამართლებს უგვანობით: პროგრამა წესდებაზე უფრო მნიშვნელოვანია, პროგრამული საკითხები ორგანიზაციულ საკითხებზე უფრო მნიშვნელოვანიაო! განა ეს მაჩანჩალობა არ არის? განა ეს ბაქიბუქი არ არის იმის გამო, რომ უმცროსს კლასში მეორე წელიწადს დარჩნენ?

პროგრამის მიღება უფრო შეუწყობს ხელს მუშაობის ცენტრალიზაციას, ვიდრე წესდების მიღებაო. ამ უგვანობას, რომელსაც ფილოსოფიად ასაღებენ, იმ რადიკალური ინტელიგენტის სუნი უდის, რომელიც ბურჟუაზიულ დეკადენტობასთან ბევრად უფრო ახლო დგას, ვიდრე სოციალ-დემოკრატიზმთან! ამ ცნობილ ფრაზაში სიტყვას ცენტრალიზაციას ხომ საესებით ს ი მ ბ ო ლ უ რ ი მნიშვნელობა ეძლევა. თუ ამ ფრაზის ავტორებს არ შეუძლიათ ან არ სურთ ჩაფიქრება, ის უბრალო ფაქტი მაინც გაიხსენონ, რომ პროგრამის მიღებამ ბუნდელებთან ერთად არათუ ჩვენი საერთო მუშაობის ცენტრალიზაცია არ გამოიწვია, არამედ გათიშვისგანაც კი ვერ დაგვიფარა. ერთიანობა პროგრამისა და ტაქტიკის საკითხებში აუცილებელი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისი პირობა არაა პარტიული გაერთიანებისა, პარტიული მუშაობის ცენტრალიზაციისა (უფალო, ღმერთო ჩემო! რა დრო დაგვიდგა, როგორ აირია ყველაფერი, რა ანაბანის ღეჭვა გვიხდება!). პარტიული მუშაობის ცენტრალიზაციისათვის საჭიროა აგრეთვე ორგანიზაციის ერთიანობა, რაც იმ პარტიისთვის, რომე-

ლიც ცოტათი მაინც გასცილებია ოჯახური წრის ფარგლებს, წარმოუდგენელია ისე, თუ არა გვაქვს გაფორმებული წესდება, თუ უმცირესობა უმრავლესობას არ ემორჩილება, თუ ნაწილი მთელს არ ემორჩილება. ვიდრე პროგრამისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებში ერთიანობა არა გვქონდა, პირდაპირ ვამბობდით კიდეც, რომ დაბნეულობისა და წრეობანის ხანაში ვცხოვრობთ, პირდაპირ ვაცხადებდით, რომ, სანამ გაერთიანდებოდეთ, საჭიროა ერთიმეორეს; საერთო ორგანიზაციის ფორმებზე კი არ ვლაპარაკობდით, არამედ ვმსჯელობდით მხოლოდ და მხოლოდ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პროგრამული და ტაქტიკური ბრძოლის ახალ (იმ დროს მართლაც ახალ) საკითხებზე. ამჟამად ამ ბრძოლამ, ჩვენი საერთო აღიარებით, უკვე უზრუნველჰყო საკმაო ერთიანობა, ფორმულირებული პარტიულ პროგრამასა და პარტიულ რეზოლუციებში ტაქტიკის შესახებ; ახლა შემდგომი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, და ეს ნაბიჯი, საერთო შეთანხმებით, კიდეც გადავდგით: შევიმუშავეთ ერთიანი, სხვადასხვა წრის ერთად შემაერთებელი, ორგანიზაციის ფ ო რ მ ე ბ ი. ჩვენ ახლა უკან დაგვწიეს, სანახევროდ უკვე დაარღვიეს ეს ფორმები, უკან დაგვწიეს ანარქისტული მოქმედებისაკენ, ანარქისტული ფრაზისაკენ, პარტიული რედაქციის ნაცვლად წრის აღდგენისაკენ, და ახლა ამ უკანგადადგმულ ნაბიჯს იმით ამართლებენ, რომ სწორ მეტყველებას ანაბანა უფრო უწყობს ხელს, ვიდრე სინტაქსის ცოდნაო!

მაჩანჩალობის ფილოსოფია, რომელიც ამ სამი წლის წინათ ტაქტიკის საკითხებში ჰყვაოდა, ახლა ორგანიზაციის საკითხებშია გამოყენებული და მკვდრეთით სდგება. აიღეთ ახალი რედაქციის ასეთი მსჯელობა: «მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული მიმართულება, — ამბობს ამხ. ალექსანდროვი, — პარტიაში უნდა ტარდებოდეს არა მარტო იდეური ბრძოლით, არამედ ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმებითაც». რედაქცია გვასწავლის: «იდეური ბრძოლისა და ორგანიზაციის ფორმების ეს შედარება ცუდი არ არის. იდეური ბრძოლა არის პროცესი, ხოლო ორგანიზაციის ფორმები მხო-

ლოდ... ფორმებია» (ღმერთმანი, სწორედ ასეა დაბეჭდილი № 56-ის დამატებაში, გვ. 4, 1 სვეტი, ქვევიდან!), «რომლებმაც შინაარსის მიმდინარე განვითარებას, — პარტიის პრაქტიკული მუშაობის განვითარებას სახე უნდა მისცენ». ეს უკვე სავსებით ჰგავს ანეგდოტს იმის შესახებ, რომ ყუმბარა ყუმბარაა, ხოლო ბომბი — ბომბიაო. იდეური ბრძოლა პროცესია, ხოლო ორგანიზაციის ფორმები — მხოლოდ ფორმებია, რომლებიც შინაარსს სახეს აძლევენო! საკითხი ის არის, თუ რა ფორმებს მიიღებს ჩვენი იდეური ბრძოლა — უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ, ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის სავალდებულო ფორმებს, თუ ძველი დაქსაქსულობისა და ძველი წრეობანის ფორმებს. ჩვენ უფრო მაღალი ფორმებიდან უფრო პრიმიტიული ფორმებისაკენ დაგვწიეს და ამას იმით ამართლებენ, რომ იდეური ბრძოლა პროცესია, ხოლო ფორმები — ეს მხოლოდ ფორმებიაო. ოდესღაც ამხ. კრიჩევსკიც სწორედ ამნაირად უკან, ტაქტიკა-გეგმიდან ტაქტიკა-პროცესისკენ გვეწეოდა.

აიღეთ ახალი «ისკრის» ეს პრეტენციოზული ფრაზები «პროლეტარიატის თვითაღზრდის შესახებ», რომლებიც უპირისპირდება იმათ, ვინც ვითომ ფორმის გულისთვის შინაარსს ვეღარ ამჩნევს (№ 58, მოწინავე). განა ეს მეორე ნომერი აკიმოვობა არ არის? პირველი ნომერი აკიმოვობა სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ჩამორჩენილობას ტაქტიკური ამოცანების დასმაში ამართლებდა «პროლეტარული ბრძოლის» უფრო «ღრმა» შინაარსის დამოწმებით, პროლეტარიატის თვითაღზრდის დამოწმებით. მეორე ნომერი აკიმოვობა სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ჩამორჩენილობას ორგანიზაციის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებში ამართლებს ასეთივე ღრმააზროვანი მითითებით იმაზე, რომ ორგანიზაცია მხოლოდ ფორმაა, და რომ მთელი არსი პროლეტარიატის თვითაღზრდაში მდგომარეობსო. უმცროს ძმაზე მზრუნავო ბატონებო, პროლეტარიატს არ ეშინია ორგანიზაციისა და დისციპლინის! პროლეტარიატი არ იზრუნებს იმაზე, რომ ბატონი პრო-

ფესორები და გიმნაზიელები, რომლებსაც არ სურთ ორგანიზაციაში შესვლა, აღიარებულ იქნან პარტიის წევრებად ორგანიზაციის კონტროლით მუშაობისთვის. პროლეტარიატი მთელი თავისი ცხოვრებით ორგანიზაციისთვის უფრო რადიკალურად აღიზრდება ხოლმე, ვიდრე ბევრი წვრილფეხა ინტელიგენტი. პროლეტარიატი, რომელსაც ჩვენი პროგრამა და ტაქტიკა ცოტათი მაინც შეუთვისებია, არ დაიწყებს ორგანიზაციაში ჩამორჩენილობის გამართლებას იმაზე მითითებით, რომ ფორმა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი. არა პროლეტარიატს, არამედ ჩვენი პარტიის ზოგიერთ ინტელიგენტს აკლია თვითაღზრდა ორგანიზაციისა და დისციპლინის, ანარქისტული ფრაზისადმი მტრობისა და სიძულვილის სულისკვეთებით. მეორე ნომერი აკიმოვები ისევე ცილსა სწამებენ პროლეტარიატს ორგანიზაციისთვის მისი მოუმზადებლობის საკითხში, როგორც პირველი ნომერი აკიმოვები სწამებდნენ მას ცილს პოლიტიკური ბრძოლისთვის მოუმზადებლობის საკითხში. პროლეტარი, რომელიც შეგნებული სოციალ-დემოკრატი გახდა და რომელმაც თავი პარტიის წევრად იგრძნო, ისეთივე ზიზღით უარჰყოფს მაჩანჩალობას ორგანიზაციულ საკითხებში, როგორც უარჰყო მაჩანჩალობა ტაქტიკის საკითხებში.

აიღეთ, ბოლოს, ახალი «ისკრის» «პრაქტიკოსის» ღრმაზროვნება. «მართებულად გაგებული იდეა «მებრძოლი» ცენტრალისტური ორგანიზაციისა, — ამბობს იგი, — რომელიც რევოლუციონერთა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს» (გამაღრმავებელი ხაზგასმა!) «აერთიანებს და აცენტრალიზებს, ცხოვრებაში ბუნებრივად მხოლოდ ამ მოქმედების ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა ს ხორციელდება» (ახალიცაა და ჭკვიანურიც); «თვითონ ორგანიზაცია, როგორც ფორმა» (უსმინეთ, უსმინეთ!), «შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ რევოლუციური მუშაობის ზრდასთან ე რ თ ა დ» (ხაზგასმა აქ და მთელ ციტატაში ყველგან ავტორისაა), «რომელიც მის შინაარსს შეადგენს» (№ 57). განა ეს კვლავ და კვლავ არ მოგვაგონებს ხალხური ეპოსის იმ გმირს, რომელიც სამგლოვიარო პროცესიის დანახვისას გაიძა-

ხოდა: ეგ ერთი და სხვა მრავალიო? უეჭველია, ჩვენს პარტიაში არ მოიძებნება არც ერთი ისეთი პრაქტიკოსი (უბრჭყალებოდ), რომელსაც არ ესმოდეს, რომ სწორედ ჩვენი მუშაობის ფორმა (ე. ი. ორგანიზაცია) დიდი ხანია ჩამორჩა და საშინლადაც ჩამორჩა მის შინაარსს, რომ ყვირილი ჩამორჩენილი ადამიანების მიმართ: მიჰყევით ფეხდაფეხ! ნუ გარბიხართ! — მხოლოდ პარტიულ რეგვნებს შეეფერებათ. აბა ერთი სცადეთ და, მაგალითად, ჩვენი პარტია შეადარეთ თუნდაც ბუნდს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი პარტიის მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი* გაცილებით უფრო მდიდარია, მრავალმხრივი, ფართო და ღრმაა, ვიდრე ბუნდისა. თეორიული გაქანება უფრო დიდია, პროგრამა უფრო განვითარებული, მუშათა მასებზე (და არა მხოლოდ შეკავშირებულ ხელოსნებზე) ზეგავლენა უფრო ფართო და ღრმაა, პროპაგანდა და აგიტაცია უფრო მრავალმხრივია, მოწინავეებისა და რიგოსნების პოლიტიკური მუშაობის მაჯისცემა უფრო ჩქარია, ს ა ხ ა ლ ხ ო მოძრაობა დემონსტრაციებისა და საყოველთაო გაფიცვების დროს უფრო დიადია, არაპროლეტარულ ფენებში საქმიანობა უფრო ენერგიულია. ხოლო «ფორმა»? ბუნდის მუშაობის ფორმასთან შედარებით ჩვენი მუშაობის «ფორმა» შეუწყნარებლად ჩამორჩა, იმდენად ჩამორჩა, რომ პირდაპირ თვალში გვეჩხირება, სირცხვილით აწითლებს ყველას, ვინც თავისი პარტიის საქმეებს გულგრილად არ უცქერის. მუშაობის ორგანიზაციის ჩამორჩენა მის შინაარსთან შედარებით — ჩვენი მტკივნეული ადგილია. იგი მტკივნეული ადგილი იყო ჯერ კიდევ ყრილო-

* მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი პარტიული მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი დასახულია (პროგრამაში და სხვ.) ყრილობაზე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთების მიხედვით და მხოლოდ ბ რ ძ ო ლ ი ს მ ე ო ხ ე ბ ი თ, სწორედ იმ ანტიისკრელებისა და სწორედ იმ ჭაობის წინააღმდეგ ბრძოლის მეოხებით, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენს «უმცირესობაში» რიცხვით სჭარბობენ. საინტერესოა აგრეთვე, «შინაარსის» საკითხის მხრივ, შევადაროთ, ვთქვათ, ძველი «ისკრის» ექვსი ნომერი (№ № 46 — 51) ახალი «ისკრის» თორმეტ ნომერს (№ № 52 — 63). მაგრამ ამაზე როდისმე სხვა დროს.

ბის მოწვევამდე დიდი ხნით ადრე, საორგანიზაციო კ-ის შექმნამდე დიდი ხნით ადრე. ფორმის განუვითარებლობა და ნაკლები სიმტკიცე საშუალებას არ გვაძლევს შინაარსის განსავითარებლად შემდგომი სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ, იწვევს სამარცხვინო გაყინვას ერთ წერტილზე, ძალთა განიავებას, სიტყვისა და საქმის შეუთანაბრობას. ყველა დაიტანჯა ამ შეუთანაბრობის გამო, — ამ დროს კი აქსელროდები და ახალი «ისკრის» «პრაქტიკოსები» გვევლინებიან ღრმაზროვანი ქადაგებით: ფორმა ბუნებრივად მხოლოდ შინაარსთან ერთად უნდა ჩნდებოდესო!

აი სადამდე მივყავართ ხოლმე პატარა შეცდომას ორგანიზაციულ საკითხში (§ 1), თუ თქვენ სისულელის გაღრმავებას და ოპორტუნისტული ფრაზის ფილოსოფიურად დასაბუთებას განიზრახავთ. ნელი ნაბიჯით, ფრთხილი ზიგზაგით! — ჩვენ მოვისმინეთ ეს მოტივი ტაქტიკის საკითხებისადმი მიყენებაში; ჩვენ ვისმენთ ახლა მას ორგანიზაციის საკითხებისადმი მიყენებაში. მაჩანჩალობა ორგანიზაციულ საკითხებში ანარქისტ ინდივიდუალისტის ფსიქოლოგიის ბუნებრივი და აუცილებელი პროდუქტია, როდესაც ეს ანარქისტი ინდივიდუალისტი თავის (თავდაპირველად, შესაძლებელია, შემთხვევითს) ანარქისტულ გადახრებს შეხედულებათა სისტემად, განსაკუთრებულ პრინციპულ უთანხმოებად აქცევს. ლიგის ყრილობაზე ჩვენ ვიხილეთ ამ ანარქიზმის დასაწყისი, ახალ «ისკრაში» ჩვენ ვხედავთ შეხედულებათა სისტემად მისი გადაქცევის ცდას. ეს ცდა შესანიშნავად ადასტურებს პარტიის ყრილობაზე უკვე გამოთქმულ მოსაზრებას იმ განსხვავების შესახებ, რაც არსებობს სოციალ-დემოკრატიასთან შეერთებული ბურჟუაზიული ინტელიგენტისა და იმ პროლეტარის თვალსაზრისს შორის, რომელსაც თავისი კლასობრივი ინტერესები შეუგნია. მაგ., ახალი «ისკრის» იგივე «პრაქტიკოსი», რომლის ღრმაზროვნებას ჩვენ უკვე გავეცანით, მამხელს იმაში, რომ პარტია მე წარმოდგენილი მყავს «როგორც უდიდესი ფაბრიკა», რომ-

ლის სათავეშიც, ც. კ-ის სახით, დირექტორი დგას (№ 57, დამატება). «პრაქტიკოსი» ვერც კი მიმხვდარა, რომ მის მიერ წარმოთქმული საშინელი სიტყვა ერთბაშად ამჟღავნებს იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიას, რომელიც პროლეტარული ორგანიზაციის არც პრაქტიკას, არც თეორიას არ იცნობს. სწორედ ფაბრიკა, რაც ზოგიერთისთვის მხოლოდ საფრთხობელად გადაქცეულა, არის სწორედ ის უმაღლესი ფორმა კაპიტალისტური კოოპერაციისა, რომელმაც გააერთიანა პროლეტარიატი, ასწავლა მას დისციპლინა და ორგანიზება, დააყენა იგი მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის ყველა დანარჩენი ფენის სათავეში. სწორედ მარქსიზმი, როგორც კაპიტალიზმის მიერ განსწავლული პროლეტარიატის იდეოლოგია, ასწავლიდა და ასწავლის მერყეულ ინტელიგენტებს, თუ რა განსხვავებაა ფაბრიკის ექსპლოატატორულ მხარესა (დისციპლინა, დამყარებული შიმშილით სიკვდილის შიშზე) და მის მაორგანიზებელ მხარეს შორის (დისციპლინა, დამყარებული ტექნიკურად დიდად განვითარებული წარმოების პირობებით გაერთიანებულ და ერთად შრომაზე). დისციპლინას და ორგანიზაციას, რომელთაც ბურჟუაზიული ინტელიგენტი ასე ძნელად ითვისებს, პროლეტარიატი განსაკუთრებით ადვილად ითვისებს სწორედ ამ ფაბრიკის «სკოლის» შემწეობით. საშინელი შიში ამ სკოლის წინაშე, მისი მაორგანიზებელი მნიშვნელობის სრული გაუგებლობა დამახასიათებელია სწორედ აზროვნების იმგვარი ხერხისათვის, რომელიც გამოხატავს არსებობის წვრილბურჟუაზიულ პირობებს, წარმოშობს ანარქიზმის იმ სახეს, რომელსაც გერმანელი სოციალ-დემოკრატები **Edelanarchismus**-ს, ე. ი. «კეთილშობილი» ბატონის ანარქიზმს უწოდებენ, მე კი ბატონკაცურ ანარქიზმს ვუწოდებდი. რუს ნიჰილისტს ეს ბატონკაცური ანარქიზმი განსაკუთრებით მოსდგამს. პარტიული ორგანიზაცია მას საზარელ «ფაბრიკად» ეჩვენება, ნაწილის დამორჩილება მთელისადმი და უმცირესობისა უმრავლესობისადმი მას «დამონებად» წარმოუდგენია (იხ. აქსელროდის ფელეტონები), ცენტრის ხელმძღვანელობით შრომის

დანაწილება იწვევს მის ტრაგიკომიკურ გოდებას ადამიანების «პატარა ბორბლებად და ხრახნებად» გადაქცევის წინააღმდეგ (მასთან ამ გადაქცევის განსაკუთრებით მომაკვდინებელ სახედ სთვლიან რედაქტორების გადაქცევას თანამშრომლებად), პარტიის ორგანიზაციული წესდების ხსენება მას ზიზღით სახეს უღმეჯს და იწვევს ქედმაღლურ («ფორმალისტების» მიმართ) შენიშვნას, სულ უწესდებოდაც იოლად წავიდოდითო.

ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: «ისკრის» 58-ე ნომერში ამხ. მარტოვი სწორედ ასეთ დარიგებას მაძლევს და, მეტი დამაჯერებლობისათვის, იმოწმებს ჩემსავე სიტყვებს «წერილიდან ამხანაგისადმი». განა ეს «ბატონკაცური ანარქიზმი», მაჩანჩალობა არ არის, როდესაც დაქსაქსულობისა და წრეების ეპოქიდან მოყვანილი მაგალითებით ა მ ა რ თ ლ ე ბ ე ნ წრეობანისა და ანარქიის დაცვასა და ქება-დიდებას პარტიულობის ეპოქაში?

რატომ არ იყო უწინ საჭირო ჩვენთვის წესდებები? იმიტომ რომ პარტია შესდგებოდა ცალკეული წრეებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან არავითარი ორგანიზაციული კავშირით არ იყვნენ დაკავშირებული. წრიდან წრეში გადასვლა მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდუუმის «ნება-სურვილზე» იყო დამოკიდებული და მის წინაშე მთელის ნების არავითარი ჩამოყალიბებული გამოხატულება არა ჩანდა. სადავო საკითხები წრეების შიგნით სწყდებოდა არა წესდების მიხედვით, «ა რ ა მ ე დ ბ რ ძ ო ლ ი თ ა და წ რ ი დ ა ნ გ ა ს ვ ლ ი ს მ უ ქ ა რ ი თ»: ასეთი აზრი გამოვთქვი მე «წერილში ამხანაგისადმი» *, ვემყარებოდი რა მთელი რიგი წრეების გამოცდილებას საერთოდ და ჩვენი საკუთარი სარედაქციო ექვსეულისას კერძოდ. წრეების ხანაში ასეთი მოვლენა ბუნებრივიც იყო და აუცილებელიც, მაგრამ მისი ქება-დიდება და იდეალად აღიარება აზრადაც არავის მოსდიოდა; ყველა ამ დაქსაქსულობას უჩიოდა, ყველას მძიმე ტვირთად აწვა იგი,

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 281 — 308. რ ე დ.

ყველას სწყურიოდა დაქსაქსული წრეების გაფორმებულ პარტიულ ორგანიზაციად შეერთება. და ახლა, როდესაც ეს შეერთება მოხდა, უკან გვეწევიან — ვითომდა უმაღლეს ორგანიზაციულ შეხედულებათა სახით, — ანარქისტული ფრაზით გვიმასპინძლდებიან! ისეთ ადამიანებს, რომელნიც შეჩვეულიან ოჯახურ-წრეობრივი ობლომოვობის თავისუფალ ხალათსა და ფლოსტებს, იდეური ბრძოლის თავისუფალი «პროცესისთვის» ფორმალური წესდება ვიწროდაც ეჩვენებათ, შემზღუდველადაც, ტვირთადაც, მდაბლადაც, ბიუროკრატიულადაც, ბატონყმურადაც, დამაბრკოლებლადაც. ბატონკაცურ ანარქიზმს არ ესმის, რომ ფორმალური წესდება სწორედ იმიტომაა საჭირო, რომ ვიწრო წრეობრივი კავშირურთიერთობა ფართო პარტიული კავშირურთიერთობით შესცვალოს. წრის შიგნით ან წრეებს შორის კავშირის გაფორმება არც საჭირო იყო და არც შესაძლებელი, ვინაიდან ეს კავშირი ან ძეგობრობაზე იყო დამყარებული, ან ანგარიშმიუცემელ, დაუსაბუთებელ «ნდობაზე». პარტიული კავშირურთიერთობა არც ერთს უნდა ემყარებოდეს და არც მეორეს, იგი უნდა დაემყაროს სწორედ ფ ო რ მ ა ლ უ რ, «ბიუროკრატიულად» (თავაშვებული ინტელიგენტის თვალსაზრისით) რედაქტირებულ წესდებას, რომლის სასტიკი დაცვა დაგვიფარავს მხოლოდ წრეობრივი ახირებულობისაგან, წრეობრივი კაპრიზებისაგან, აყალმაყალის წრეობრივი ხერხებისაგან, რასაც იდეური «ბრძოლის» თავისუფალ «პროცესს» უწოდებენ.

ახალი «ისკრის» რედაქცია ალექსანდროვის საწინააღმდეგოდ ჭკუისსასწავლ საბუთს ათამაშებს და მიუთითებს იმაზე, რომ «ნდობა — დელიკატური რამ არის, რომლის ძალით ჩანერგვა გულსა და თავში შეუძლებელიაო» (№ 56, დანართი). რედაქციას არ ესმის, რომ მის ბატონკაცურ ანარქიზმსა და ორგანიზაციულ მაჩანჩალობას კიდევ და ერთხელ კიდევ სწორედ ნდობის, ც ა რ ი ე ლ ი ნდობის კატეგორიის ეს წამოყენება ამჟღავნებს. როდესაც მე მხოლოდ წრის, სარედაქციო ექვსეულის თუ «ისკრის» ორგანიზაციის წევრი ვიყავი, უფლება მქონდა იმის გასამართლებლად, რომ მე, ვთქვათ,

იქსთან მუშაობა არა მსურდა, მხოლოდ ანგარიშმიუცემელი და დაუსაბუთებელი უნდობლობა მომეყვანა. როდესაც პარტიის წევრი გავხდი, მე უფლება არა მაქვს მხოლოდ გაუფორმებელი უნდობლობა დავიმოწმო, ვინაიდან ასეთი დამოწმება ძველი წრეობანის ყოველგვარ ახირებულობას და ყოველგვარ სისულელეს ფართოდ გაუღებდა კარს; მე ვალდებული ვარ ჩემი «ნდობა» ან «უნდობლობა» დავასაბუთო ფორმალური მოსაზრებით, ე. ი. ჩვენი პროგრამის, ჩვენი ტაქტიკის, ჩვენი წესდების ამა თუ იმ ფორმალურად დაწესებული დებულების დამოწმებით; მე ვალდებული ვარ ანგარიშმიუცემელი თქმით — «ვენდობი» ან «არ ვენდობი» კი არ დავკმაყოფილდე, არამედ აღვიარო, რომ ჩემი გადაწყვეტილებანი და საზოგადოდ პარტიის ყოველი ნაწილის ყველა გადაწყვეტილება საქვეანგარიშოა მთელი პარტიის წინაშე; მე ვალდებული ვარ ფორმალურად დადგენილ გზას გავყვე ჩემი «უნდობლობის» გამოსახატავად, იმ შეხედულებათა და სურვილების გასატარებლად, რომლებიც ამ უნდობლობიდან გამომდინარეობენ. ამ ანგარიშმიუცემელი «ნდობის» წრეობრივი თვალსაზრისიდან ჩვენ უკვე ავმაღლდით პარტიულ თვალსაზრისამდე, რომელიც ნდობის გამოსახატავად და შესამოწმებლად მოითხოვს საქვეანგარიშო და ფორმალურად დადგენილი წესები დავიცვათ, რედაქცია კი უკან გვეწევა და თავის მაჩანჩალობას ახალ ორგანიზაციულ შეხედულებებს უწოდებს!

ერთი შეხედეთ, როგორ მსჯელობს ჩვენი ეგრეთწოდებული პარტიული რედაქცია იმ ლიტერატურული ჯგუფების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ წარმომადგენლობა რედაქციაში. — «ჩვენ არ აღვშფოთდებით, არ დავიწყებთ ყვირილს დისციპლინაზე», — გვასწავლიან ბატონკაცი ანარქისტები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ზევიდან ქვევით დასცქეროდნენ ამ რაღაც დისციპლინას. ჩვენ ან «მოვურიგდებით» (sic!) ჯგუფს, თუ იგი საქმიანი იქნება, ანდა მის მოთხოვნებს დავცინებთო.

დახეთ, რა მაღალი კეთილშობილება უპირისპირდება აქ ვულგარულ-«ფაბრიკულ» ფორმალიზმს! ნამდვილად კი ჩვენს წინაშეა წრეობანის განახლებული ფრაზეოლოგია, მიწოდებული პარტიისთვის რედაქციის მიერ, რომელიც გრძნობს, რომ იგი არის არა პარტიული დაწესებულება, არამედ ძველი წრის ნამსხვრევი. ამ პოზიციის შინაგან სიყალბეს აუცილებლად მივყავართ ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ღრმააზროვნებამდე, რომელიც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პრინციპად აცხადებს იმ დაბნეულობას, რაც სიტყვით ფარისევლურად უკვე დრომოჭმულადაა გამოცხადებული. საჭირო არ არის დაბალ და მაღალ პარტიულ კოლეგიათა და ინსტანციათა არავითარი იერარქია, — ბატონკაცურ ანარქიზმს ასეთი იერარქია უწყებების, დეპარტამენტების და სხვ. კანცელარულ გამონაგონად ეჩვენება (იხ. აქსელროდის ფელეტონი), — საჭირო არ არის ნაწილის რაიმე დამორჩილება მთელისადმი, საჭირო არ არის «მორიგებისა» თუ გამიჯვნის პ ა რ ტ ი უ ლ ი წესების რაიმე «ფორმალურ-ბიუროკრატიული» განსაზღვრა, დაე, ძველებური წრეობრივი შეხლა-შემოხლა დააკანონოს ფრაზიორობამ ორგანიზების «ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიული» ხერხების შესახებ.

აი «ფაბრიკის» სკოლაგავლილ პროლეტარს სად შეუძლია მისცეს, და უნდა მისცეს კიდეც, გაკვეთილი ანარქისტულ ინდივიდუალიზმს. შეგნებული მუშა უკვე დიდი ხანია გამოვიდა იმ არტახებიდან, როდესაც იგი ერიდებოდა ინტელიგენტს, როგორც ასეთს. შეგნებული მუშა აფასებს ცოდნის იმ უფრო მდიდარ მარაგს, იმ უფრო ფართო პოლიტიკურ ჰორიზონტს, რომელსაც ის პოულობს სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტებში. მაგრამ იმისდაკვალად, თუ როგორ ყალიბდება ჩვენში ნ ა მ დ ვ ი ლ ი პარტია, შეგნებული მუშა უნდა მიეჩვიოს პროლეტარული არმიის მებრძოლის ფსიქოლოგია გაარჩიოს იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიისაგან, რომელსაც თავი მოაქვს ანარქისტული ფრაზით, უნდა მიეჩვიოს პარტიის წევრის მოვალეობათა შესრულება მ ო ს თ ხ ო ვ ო ს არა მარტო რიგითს წევრებს, არამედ «ზედაფენის ადამია-

ნებსაც», უნდა მიეჩვიოს ისეთივე ზიზღით შეხვდეს მაჩანჩალობას ორგანიზაციულ საკითხებში, რანაირითაც ოდესღაც ასაჩუქრებდა მაჩანჩალობას ტაქტიკის საკითხებში!

ჟირონდიზმსა და ბატონკაცურ ანარქიზმთან განუყრელად დაკავშირებულია ახალი «ისკრის» პოზიციის უკანასკნელი დამახასიათებელი თავისებურება ორგანიზაციულ საკითხებში: ეს არის ავტონომიზმის დაცვა ცენტრალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი პრინციპული აზრი აქვს (თუ კი აქვს *) გოდებას ბიუროკრატიზმსა და თვითმპყრობელობაზე, სინანულს «დაუმსახურებელ უყურადღებობაზე არაისკრელებისადმი» (რომლებიც ყრილობაზე ავტონომიზმს იცავდნენ), კომიკურ ყვირილს «უსიტყვოდ დამორჩილების» მოთხოვნის შესახებ, მწარე ჩივილს «პომპადურობაზე» და ა. შ. ყოველი პარტიის ოპორტუნისტული ფრთა ყოველთვის იცავს და ამართლებს ყოველგვარ ჩამორჩენილობას — პროგრამულსაც, ტაქტიკურსაც და ორგანიზაციულსაც. ახალი «ისკრის» ორგანიზაციული ჩამორჩენილობის (მაჩანჩალობის) დაცვა მჭიდროდაა დაკავშირებული ავტონომიზმის დაცვასთან. მართალია, საზოგადოდ რომ ითქვას, ძველი «ისკრის» სამი წლის ქადაგებით ავტონომიზმი იმდენად სახელგატეხილია, რომ ახალ «ისკრას» მისი აშკარად დაცვა ჯერ-ჯერობით რცხვენია; იგი ჯერ კიდევ გვარწმუნებს — სიმპათიით ვარ გამსჭვალული ცენტრალიზმისადმიო, მაგრამ ეს მხოლოდ იმით მტკიცდება, რომ სიტყვა ცენტრალიზმს ხაზგასმით წერს. ნამდვილად კი საკმარისია კრიტიკა ოდნავ შეეხოს ახალი «ისკრის» «ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიულ» (და არა ანარქისტულ?) quasi-ცენტრალიზმის «პრინციპებს», რომ ყოველ ნაბიჯზე ავტონომიზმის თვალსაზრისი გამოამჟღავნოს. განა ახლა ყველასა და თვითეულისთვის ცხადი არ არის, რომ ორგანიზაციულ საკითხებში აქსელროდი და მარტოვი აკიმოვისკენ გადაიხარნენ? განა ეს თვითონ არ აღიარეს დიდის ამბით და საგულისხმო სიტყვებით «არა-

* მე გვერდს ვუხვევ აქ, როგორც საერთოდ ამ პარაგრაფში, ამ გოდებათა «კოოპტაციური» აზრს.

ისკრელებისადმი დაუმსახურებელი უყურადღებობის» შესახებ? განა აკიმოვი და მისი მეგობრები ჩვენს პარტიულ ყრილობაზე ავტონომიზმს არ იცავდნენ?

ლიგის ყრილობაზე მარტოვი და აქსელროდი სწორედ ავტონომიზმს იცავდნენ (თუ ანარქიზმს არა), როდესაც ისინი სასაცილო გულმოდგინებით ამტკიცებდნენ, ნაწილი მთელს არ უნდა ემორჩილებოდეს, ნაწილი თავის ურთიერთობაში მთელისადმი ავტონომიურია, საზღვარგარეთული ლიგის წესდება, რომელიც ამ ურთიერთობას აყალიბებს, ნამდვილი წესდებაა, წინააღმდეგ პარტიის უმრავლესობის, პარტიული ცენტრის ნებისაო. ახალი «ისკრის» ფურცლებზეც (№ 60) ამჟამად აშკარად სწორედ ავტონომიზმს იცავს ამხ. მარტოვი ცენტრალური კომიტეტის მიერ ადგილობრივ კომიტეტებში წევრთა შეყვანის საკითხში. მე აღარაფერს ვიტყვი იმ ბავშვურ სოფიზმებზე, რომლებითაც ამხ. მარტოვი ავტონომიზმს იცავდა ლიგის ყრილობაზე და იცავს ახალ «ისკრაში» *, — ჩემთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნო აქ უეჭველი ტენდენცია ავტონომიზმის დაცვისა ცენტრალიზმის წინააღმდეგ, როგორც პრინციპული თვისება, რომელიც ოპორტუნიზმს სჩვევია ორგანიზაციულ საკითხებში.

ბიუროკრატიზმის ცნების ანალიზის თითქმის ერთადერთი ცდა არის «ფორმალურ-დემოკრატიულ» (ხაზგასმა ავტორისაა) და «ფორმალურ-ბიუროკრატიულ საწყისთა» დაპირისპირება ახალ «ისკრაში» (№ 53). ეს დაპირისპირება (სამწუხაროდ, ისევე განუვითარებელი და განუმარტებელი, როგორც მითითება არაისკრელებზე) ჭეშმარი-

* როცა ამხ. მარტოვი წესდების სხვადასხვა §§-ს არჩევდა, მან სწორედ ის § გამოსტოვა, სადაც ლაპარაკია ნაწილისადმი მთელის დამოკიდებულებაზე: ც. კ. «ანაწილებს პარტიის ძალებს» (§ 6). შეიძლება თუ არა ძალების ისე განაწილება, რომ მუშაკები კომიტეტიდან კომიტეტში არ გადაიყვანო? ამ ანაბანაზე შეჩერება, მართალი გითხრათ, რაღაც უხერხულია.

ტების მარცვალს შეიცავს. ბიუროკრატიზმი **versus** * დემოკრატიზმი, — ეს არის სწორედ ცენტრალიზმი **versus** ავტონომიზმი, ეს არის სწორედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული პრინციპი სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა ორგანიზაციული პრინციპის მიმართ. უკანასკნელი ქვევიდან ზევითკენ მიისწრაფვის და ამიტომ ყველგან, სადაც კი შეიძლება, და რამდენადაც შეიძლება, იცავს ავტონომიზმს, «დემოკრატიზმს», რაც ანარქიზმამდე მიდის (იმათში, ვინც უგუნურ გულმოდგინებას იჩენს). პირველი მიისწრაფვის ზემდგომიდან გამოვიდეს, იცავს ცენტრის უფლებებისა და რწმუნებათა გაფართოებას ნაწილის მიმართ. დაქსაქსულობისა და წრეობანის ხანაში ეს ზემდგომი ორგანო, რომლიდანაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ცდილობდა ორგანიზაციულად გამოსულიყო, აუცილებლად ერთერთი, თავისი საქმიანობისა და თავისი რევოლუციური თანამიმდევრობის გამო ყველაზე გავლენიანი წრე იყო (ჩვენს შემთხვევაში — «ისკრის» ორგანიზაცია). პარტიის ფაქტიური ერთიანობის აღდგენისა და ამ ერთიანობისას მოძველებული წრეების დაშლის ხანაში, ამნაირ ზემდგომ ორგანოდ აუცილებლად გვევლინება პარტიული ყრილობა, როგორც პარტიის უმაღლესი ორგანო; ყრილობა რამდენადაც შესაძლებელია აერთებს აქტიურ ორგანიზაციათა ყველა წარმომადგენელს და, ცენტრალურ დაწესებულებათა დანიშვნით (რომელთა შემადგენლობაც ხშირად პარტიის მოწინავე ელემენტებს უფრო აკმაყოფილებს, ვიდრე ჩამორჩენილებს, მის რევოლუციურ ფრთას უფრო მეტად მოსწონს, ვიდრე ოპორტუნისტულს), ამ დაწესებულებებს შემდეგ ყრილობამდე ზემდგომ ორგანოდ ხდის. ასე ხდება, ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატიის ევროპელებში, თუმცა ნელ-ნელა, არა გაურჯელად, არა უბრძოლველად და არა უკინკლაოდ, ანარქისტებისათვის პრინციპულად საძულველი ეს ჩვეულება სოციალ-დემოკრატიის აზიელებშიც იწყებს გავრცელებას.

* **versus** — მიმართ.

ფრიად საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოპორტუნიზმის ჩემს მიერ ნაჩვენები პრინციპული თვისებანი ორგანიზაციულ საკითხებში (ავტონომიზმი, ბატონკაცური ანუ ინტელიგენტური ანარქიზმი, მაჩანჩალობა და ჟირონდიზმი) ემჩნევა **mutatis mutandis** (სათანადო ცვლილებებით) მთელი მსოფლიოს ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, სადაც კი არსებობს დაყოფა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთად (ხოლო სად არ არის ეს?). განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაშკარავდა ეს სწორედ სულ უკანასკნელ დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, როდესაც საქსონიის მე-20 საარჩევნო ოლქის არჩევნებში დამარცხებამ (ეგრეთწოდებული ჰიორეს ინციდენტი) * დღის წესრიგში დააყენა პარტიული ორგანიზაციის პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი. აღნიშნული ინციდენტის გამო პრინციპული საკითხის აღძვრას განსაკუთრებით ხელს უწყობდა გერმანელი ოპორტუნისტების გულმოდგინება. ჰიორე (ყოფილი პასტორი, ავტორი საკმაოდ ცნობილი წიგნისა: «**Drei Monate Fabrikarbeiter**» ** და დრეზდენის ყრილობის ერთ-ერთი «გმირი») — თვითონ გააფთრებული ოპორტუნისტია, და თანამიმდევარი გერმანელი ოპორტუნისტების ორგანო «**Sozialistische Monatshefte**» («სოციალისტური ყოველთვეული») მაშინვე «გამოესარჩლა» მას.

ოპორტუნიზმი პროგრამაში ბუნებრივად დაკავშირებულია ოპორტუნიზმთან ტაქტიკაში და ოპორტუნიზმთან ორგა-

* ჰიორე რეიხსტაგში აირჩიეს 1903 წლის 16 ივნისს საქსონიის მე-15 ოლქიდან, მაგრამ დრეზდენის ყრილობის [84] შემდეგ მანდატზე უარი განაცხადა; მე-20 ოლქის ამომრჩეველებმა, იმ ოლქისა, რომელიც ვაკანტური გახდა როზენოვის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ ჰიორეს კანდიდატურის წამოყენება მოისურვეს. პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ და საქსონიის ცენტრალურმა საგიტაციო კომიტეტმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს და, რაკი ფორმალური უფლება არა ჰქონდათ ჰიორეს კანდიდატურა აეკრძალათ, მათ მიაღწიეს იმას, რომ თვითონ ჰიორემ უარი განაცხადა თავის კანდიდატურაზე. არჩევნებში სოციალ-დემოკრატები დამარცხდნენ.

** — «სამი თვე ფაბრიკის მუშად». რ ე დ.

ნიზაციულ საკითხებში. «ახალი» თვალსაზრისის გადმოცემა თავს იდვა ამხ. ვოლფჰანგ ჰეინემ. იმისათვის, რომ მკითხველს დავუხასიათოთ ფიზიონომია ამ ტიპიური ინტელიგენტისა, რომელიც სოციალ-დემოკრატიას მიემხრო და თან აზროვნების ოპორტუნისტული ჩვევები მოიტანა, საკმარისია ითქვას, რომ ამხ. ვოლფჰანგ ჰეინე, — ეს ცოტათი უფრო ნაკლებია, ვიდრე გერმანელი ამხ. აკიმოვი, და ცოტათი უფრო მეტი, ვიდრე გერმანელი ამხ. ეგოროვი.

ამხანაგმა ვოლფჰანგ ჰეინემ «სოციალისტურ ყოველთვეულში» ლაშქრობა დაიწყო არანაკლები ზეიმით, ვიდრე ამხ. აქსელროდმა ახალ «ისკრაში». ჯერ სტატიის მარტო სათაური რად ღირს: «დემოკრატიული შენიშვნები ჰიორეს ინციდენტის გამო» (№ 4, აპრილი, «Sozialistische Monatshefte»). შინაარსიც არანაკლებ მქუხარეა. ამხ. ვ. ჰეინე ილაშქრებს «საარჩევნო ოლქის ავტონომიის შეზღუდვის» წინააღმდეგ, იცავს «დემოკრატიულ პრინციპს», პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ «დანიშნული უფროსები» (ესე იგი პარტიის ცენტრალური გამგეობა) ხალხის მიერ დელეგატების თავისუფალ არჩევნებში ერევიან. საქმე აქ შემთხვევითი ინციდენტი კი არ არის, გვასწავლის ამხ. ვ. ჰეინე, არამედ საერთო «ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს ა და ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ მ ი ს ა დ მ ი პ ა რ ტ ი ა ს ში», ტენდენცია, რომელიც, თურმე, წინათაც ჩანდა, მაგრამ ახლა განსაკუთრებით საშიში ხდებაო. საჭიროა «პრინციპულად აღვიაროთ, რომ პარტიის ადგილობრივი დაწესებულებანი მისი სიცოცხლის მატარებლები არიან» (პლაგიატი ამხ. მარტოვის ბროშურიდან: «ერთხელ კიდევ უმცირესობაში»). არ უნდა «მივეჩვიოთ იმას, რომ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ერთი ცენტრიდან მომდინარეობდეს», პარტია უნდა გავაფრთხილოთ, რომ იგი არ გაიტაცოს «დოქტრინიორულმა პოლიტიკამ, რომელიც კავშირს ჰკარგავს ცხოვრებასთან» (ნასესხებია პარტიის ყრილობაზე წარმოთქმული ამხ. მარტოვის სიტყვიდან იმის შესახებ, რომ «ცხოვრება თავისას გაიტანს»). ...«თუ საქმის ვითარებას ღრმად ჩავუკვირ-

დებით, — აღრმავებს თავის არგუმენტაციას ამხ. ვ. ჰეინე, — თუ დავივიწყებთ პირად შეტაკებებს, რომელთაც აქაც, როგორც ყოველთვის, მცირე როლი არ შეუსრულებიათ, ამ გააფთრებაში რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი ს ტ ებ ი ს წინააღმდეგ (ხაზგასმა ავტორისაა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, გადაკვრით გვანიშნებს, რომ არის განსხვავება ცნებებში: რევიზიონიზმთან ბრძოლა და რევიზიონისტებთან ბრძოლა) დავინახავთ უმთავრესად პარტიის ოფიციალურ პირთა უნდობლობას «გ ა რ ე შ ე ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს ა დ მ ი» (ვ. ჰეინეს, როგორც ეტყობა, ჯერ არ წაუკითხავს ბროშურა საალყო წესების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, და ამიტომ მიმართავს ანგლიციზმს: **Outsidertum**), ტრადიციის უნდობლობას იმისადმი, რაც არაჩვეულებრივია, — უპიროვნო დაწესებულების უნდობლობას იმისადმი, რაც ინდივიდუალურია» (იხ. აქსელროდის რეზოლუცია ლიგის ყრილობაზე ინდივიდუალური ინიციატივის ჩახშობის შესახებ), «ერთი სიტყვით, იმავე ტენდენციას, რომელიც ჩვენ უკვე დავახასიათეთ ზევით, როგორც ტენდენცია ბიუროკრატიზმისა და ცენტრალიზმისადმი პარტიაში».

«დისციპლინის» ცნება ამხ. ვ. ჰეინეს მხრივ არანაკლებ კეთილშობილურ აღშფოთებას იწვევს, ვიდრე ამხ. აქსელროდის მხრივ... «რევიზიონისტებს, — წერს იგი, — დისციპლინის ნაკლებობას უსაყვედურებდნენ იმის გამო, რომ ისინი წერდნენ «სოციალისტურ ყოველთვეულში» — ორგანოში, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ორგანოდაც კი არა სურდათ ეცნოთ, ვინაიდან იგი პ ა რ ტ ი ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ს არ ემორჩილებაო. მარტო ეს ცდა ცნების: «სოციალ-დემოკრატიულის» დავიწროებისა, მარტო ეს მოთხოვნა დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს ა იდეური წარმოების სფეროში, სადაც უეჭველი თავისუფლება უნდა ბატონობდეს» (გაიხსენეთ: იდეური ბრძოლა არის პროცესი, ხოლო ორგანიზაციის ფორმები — მხოლოდ ფორმები), «მოწმობს, რომ არსებობს ტენდენცია ბიუროკრატიზმისადმი და ინდივიდუალობის დათრგუნვისადმი». და დიდხანს, კიდევ დიდხანს აცამტვერებს ყოველნაი-

რად ვ. ჰეინე ამ საძულველ ტენდენციას — შეიქმნას «ერთი ყოვლისმომცველი დიდი, რაც შეიძლება უფრო ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ერთი ტაქტიკა, ერთი თეორია», აცამტვერებს «უეჭველი მორჩილების», «ბრმა მორჩილების» მოთხოვნას, აცამტვერებს «გამარტივებულ ცენტრალიზმს» და სხვ. და სხვ., სიტყვასიტყვით «აქსელროდისებურად».

ვ. ჰეინეს მიერ აღძრული დავა გაცხოველდა, და რადგან გერმანულ პარტიაში მას არ ემატებოდა არავითარი კინკლაობა კოოპტაციის გამო, რადგან გერმანელი აკიმოვები თავიანთ ფიზიონომიას არკვევენ არა მარტო ყრილობებზე, არამედ გამუდმებით არკვევენ განსაკუთრებულ ორგანოშიც, ამიტომ დავა მალე გადაიქცა ორგანიზაციულ საკითხში არსებულ ორთოდოქსიისა და რევიზიონიზმის პრინციპულ ტენდენციათა ანალიზად. რევოლუციური მიმართულების ერთ-ერთ წარმომადგენლად (რომელსაც, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ჩვენში, «დიქტატორობა», «ინკვიზიტორობა» და სხვ. საშინელი რამეები ჰბრალდება) გამოვიდა კ. კაუტსკი (**«Neue Zeit»**, 1904, № 28, სტატია «**Wahlkreis und Partei**» — «საარჩევნო ოლქი და პარტია»). ვ. ჰეინეს სტატია, — აცხადებს იგი, — «მთელი რევიზიონისტული მიმართულების აზროვნების მიმდინარეობას გვიჩვენებს». არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთსა და იტალიაშიც ოპორტუნისტები თავგამოდებით იცავენ ავტონომიზმს, პარტიული დისციპლინის შესუსტებას, მის არარად გადაქცევას, მათ ტენდენციებს ყველგან მივყავართ დეზორგანიზაციამდე, «დემოკრატიული პრინციპის» ანარქიზმად შეცვლამდე და შერყვნამდე. «დემოკრატია ხელისუფლების უქონლობა კი არ არის, — ასწავლის კ. კაუტსკი ოპორტუნისტებს ორგანიზაციულ საკითხში, — დემოკრატია ანარქია კი არ არის, იგი არის მასის ბატონობა თავის რწმუნებულებზე, ხელისუფლების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, როდესაც ხალხის მოჩვენებითი მსახურნი ნამდვილად მისი მბრძანებლები არიან». კ. კაუტსკი დაწვრილებით არკვევს ოპორტუნისტული ავტონომიზმის დეზორგანიზატორულ როლს სხვადასხვა ქვეყანაში, ცხადჰყოფს,

რომ ოპორტუნიზმს, ავტონომიზმსა და დისციპლინის დარღვევის ტენდენციებს აძლიერებს სწორედ «ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ა ს ი ს» * შეერთება სოციალ-დემოკრატიასთან, იგი კვლავ და კვლავ მოგვაგონებს, რომ სწორედ «ორგანიზაცია არის ის იარაღი, რომლითაც პროლეტარიატი გაითავისუფლებს თავს», სწორედ «ორგანიზაცია არის პროლეტარიატისთვის ჩვეული კლასობრივი ბრძოლის იარაღი».

გერმანიაში, სადაც ოპორტუნიზმი უფრო სუსტია, ვიდრე საფრანგეთსა და იტალიაში, «ავტონომისტურმა ტენდენციებმა ჯერჯერობით მიგვიყვანეს მხოლოდ ცოტად თუ ბევრად პათეტიკურ დეკლამაციებამდე დიქტატორებისა და დიდი ინკვიზიტორების წინააღმდეგ, ეკლესიისაგან შერისხვისა ** და მწვალებლობის ძებნის წინააღმდეგ, დაუსრულებელ ჩხირკედელაობამდე და კინკლაობამდე, რომელთა გარჩევაც მხოლოდ დაუსრულებელ ჩხუბს გამოიწვევდა».

გასაკვირველი როდია, რომ რუსეთში, სადაც ოპორტუნიზმი პარტიაში კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე გერმანიაში, ავტონომისტურმა ტენდენციებმა უფრო ნაკლები იდეები და მეტი «პათეტიკური დეკლამაციები» და კინკლაობა წარმოშვა.

გასაკვირველი როდია, რომ კაუტსკი შემდეგ დასკვნამდე მიდის: «შეიძლება, ყველა ქვეყნის რევიზიონიზმი არც ერთ სხვა საკითხში არ იჩენდეს ისეთ ერთგვარობას, მიუხედავად მთელი თავისი ნაირსახეობისა, მთელი თავისი მრავალფეროვნებისა, როგორც სწორედ ორგანიზაციულ საკითხში». ორთოდოქსიისა და რევიზიონიზმის ძირითად ტენდენციებს ამ სფეროში კ. კაუტსკიც გამოხატავს «საშინელი სიტყვით»: ბიუროკრატიზმი **versus** (წინააღმდეგ) დემოკრატიზმისა. ჩვენ

---

* მაგალითისათვის კ. კაუტსკი ე ო რ ე ს ს ასახელებს. რამდენადაც ასეთი ადამიანები ოპორტუნიზმისაკენ იხრებოდნენ, იმდენად «პარტიული დისციპლინა აუცილებლად მათი თავისუფალი პიროვნების შეუწყნარებელ შეზღუდვად უნდა მოსჩვენებოდათ».

** **B a n n s t r a h l** — ანათემა. ეს გერმანული ექვივალენტია რუსული «საალყო წესებისა» და «განსაკუთრებული კანონებისა». იგი გერმანელი ოპორტუნისტების «საშინელი სიტყვაა».

გვეუბნებიან, — წერს კ. კაუტსკი, — რომ თუ პარტიის გამგეობას უფლებას მივცემთ გავლენა მოახდინოს (პარლამენტის დეპუტატობის) კანდიდატის არჩევაზე ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში, ამით «სამარცხვინოდ შევლახავთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც მოითხოვს, რომ მთელი პოლიტიკური საქმიანობა ქვევიდან ზევით მიიმართებოდეს, მასების თვითმოქმედების გზით, და არა ზევიდან ქვევით, ბიუროკრატიული გზით... მაგრამ თუ რაიმე ნამდვილად დემოკრატიული პრინციპი არსებობს, ეს სწორედ ის პრინციპია, რომ უმრავლესობას უპირატესობა უნდა ჰქონდეს უმცირესობის მიმართ, და არა პირიქით»... დეპუტატების არჩევა პარლამენტში რომელიმე ცალკეული საარჩევნო ოლქისგან ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია მთელი პარტიისთვის საერთოდ, რომელმაც კანდიდატების დანიშვნაზე ზეგავლენა უნდა მოახდინოს თუნდაც პარტიის რწმუნებულ პირთა (**Vertrauensmänner**) საშუალებით. «ვისაც ეს მეტისმეტად ბიუროკრატიულად ან ცენტრალისტურად ეჩვენება, სცადოს და წინადადება მოგვცეს, რომ კანდიდატების დასახელება ხდებოდეს საზოგადოდ პარტიის ყველა წევრის პირდაპირი ხმისმიცემით (**sämtliche Parteigenossen**). რაკი ეს განუხორციელებელია, დემოკრატიზმის ნაკლებობასაც ნულარ სჩივიან, როდესაც აღნიშნულ ფუნქციას, მრავალი სხვა ფუნქციის მსგავსად, რომლებიც მთელ პარტიას შეეხება, ერთი ან რამდენიმე პარტიული ინსტანცია ასრულებს». გერმანიის პარტიის «საადათო სამართლის» მიხედვით ცალკეული საარჩევნო ოლქები წინათაც ამა თუ იმ კანდიდატის წამოყენების შესახებ პარტიის გამგეობას «ამხანაგურად უთანხმდებოდნენ». «მაგრამ პარტია უკვე იმდენად გაიზარდა, რომ ეს უსიტყვოდ აღიარებული საადათო სამართალი აღარ კმარა. საადათო სამართალი აღარ არის სამართალი, როდესაც მისი აღიარება, როგორც რაღაც თავისთავად ნაგულისხმევისა, აღარ სურთ, როდესაც მის განსაზღვრათა შინაარსს და თვით მის არსებობასაც კი სადავოდ ხდიან. მაშინ უსათუოდ აუცილებელი ხდება ამ სამართლის ზუსტად ფორმულირება, მისი კოდიფი-

ციაა»,... გადასვლა უფრო «ზუსტ საწესდებო განმტკიცებაზე * (statutarische Festlegung), და მასთან ერთად ორგანიზაციის სიმკაცრის გაძლიერებაზე (grössere Straffheit)».

ამრიგად, თქვენ ხედავთ სხვა ვითარებაში ორგანიზაციული საკითხის გამო იმავე ბრძოლას პარტიის ოპორტუნისტულ და რევოლუციურ ფრთას შორის, იმავე კონფლიქტს ავტონომიზმსა და ცენტრალიზმს, დემოკრატიზმსა და «ბიუროკრატიზმს» შორის, კონფლიქტს ორგანიზაციისა და დისციპლინის სიმკაცრის შესუსტებისა და გაძლიერების ტენდენციებს შორის, მერყეევი ინტელიგენტისა და მტკიცე პროლეტარის ფსიქოლოგიას, ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმსა და პროლეტარულ შემჭიდროებულობას შორის. იბადება კითხვა, როგორ შეხვდა ამ კონფლიქტს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, — არა ის, რომლის ოდესმე ჩვენებასაც ცელქი ისტორია ამხ. აქსელროდს ეს-ეს არის საიდუმლოდ შეჰპირდა, — არამედ ნამდვილი, რეალური ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც გერმანიაშიც იმაზე ნაკლები სწავლული და დაკვირვებული წარმომადგენლები არა ჰყავს, ვიდრე ჩვენებური ბატონი ოსვობოჟდენიელები არიან? გერმანიის ბურჟუაზიული დემოკრატია ამ ახალ დავას ერთბაშად გამოეხმაურა და მყისვე თავგამოდებით გამოესარჩლა, — ისე როგორც რუსეთისა, როგორც ყველგან და ყოველთვის, — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას. გერმანიის საბირჟო კაპიტალის თვალსაჩინო ორგანო, «ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი ს გ ა ზ ე თ ი», გამოვიდა მქუხარე მოწინავე სტატიით («Frankf. Ztg.», 1904, 7 Apr., № 97, Abendblatt **), რომელიც გვიჩვენებს, რომ

* ფრიად საგულისხმოა კ. კაუტსკის ეს შენიშვნები უსიტყვოდ აღიარებული საადათო სამართლის ფორმალურად განმტკიცებული საწესდებო სამართლით შეცვლის შესახებ დავუპირისპიროთ მთელ იმ «შეცვლას», რომელსაც განიცდის საერთოდ ჩვენი პარტია და კერძოდ რედაქციული პარტიული ყრილობის დროიდან. შეად. სიტყვა ვ. ი. ზასულიჩისა (ლიგის ყრილობაზე, გვ. 66 და შემდ.), რომელსაც საეჭვოა წარმოდგენილი ჰქონდეს მთელი იმ შეცვლის მნიშვნელობა, რომელიც ახლა ხდება.

** — «ფრანკფურტის ვაზეთი», 1904, 7 აპრილი, № 97, საღამოს გამოშვება. რ ე დ.

უსინდისო პლაგიატები აქსელროდის ნაწერებიდან პირდაპირ გერმანული პრესის რაღაც სენად იქცა. ფრანკფურტის ბირჟის მრისხანე დემოკრატები ამათრახებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თითქოს არსებულ «თვითმპყრობელობას», «პარტიულ დიქტატურას», «პარტიული უფროსების ავტოკრატიულ ბატონობას», «ეკლესიისაგან შერისხვას», რითაც სურთ «თითქოს მთელი რევიზიონიზმის დასჯა» (მოიგონეთ «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდება»), «ბრმა მორჩილების», «მომაკვდინებელი დისციპლინის», «ლაქიური მორჩილების» მოთხოვნებს, პარტიის წევრების «პოლიტიკურ ლეშებად» გადაქცევის მოთხოვნას (ეს კი უფრო მაგრადაა ნათქვამი, ვიდრე პატარა ბორბლები და ხრახნები!). «ყოველგვარი პიროვნული თავისებურება, — აღშფოთებით ამბობენ ბირჟის რაინდები, როდესაც სოციალ-დემოკრატიის ანტიდემოკრატიულ წესებს ხედავენ, — ყოველგვარი ინდივიდუალობა, თურმე, უნდა იდევნებოდეს, იმიტომ რომ ამ წესებმა შეიძლება მიგვიყვანოს ფრანგულ წესებამდე, ჟორესიზმსა და მილიერანიზმამდე, როგორც პირდაპირ განაცხადა ზინდერმანმა, რომელიც მოხსენებით გამოვიდა ამ საკითხზე» საქსონიის სოციალ-დემოკრატების პარტიულ ყრილობაზე.

ამრიგად, ახალი «ისკრის» ახალ სიტყვებში ორგანიზაციული საკითხის გამო თუ კი რაიმე პრინციპული აზრი არსებობს, ეს აზრი, ყოველ ეჭვს გარეშეა, ოპორტუნისტულია. ასეთ დასკვნას ადასტურებს მთელი ანალიზი ჩვენი პარტიული ყრილობისა, რომელიც რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთად გაიყო, და მაგალითი ყ ვ ე ლ ა ევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელთა ოპორტუნიზმიც ორგანიზაციულ საკითხში იმავე ტენდენციებით, იმავე ბრალდებებით და ხშირად იმავე სიტყვებითაც კი გამოიხატება. რა თქმა უნდა, სხვადასხვა პარტიის ნაციონალური თავისებურებანი და პოლიტიკური პირობების სხვადასხვაობა სხვადასხვა ქვეყანაში თავის დაღს ასვამს, რითაც სრულიად განასხვავებს

გერმანულ ოპორტუნიზმს ფრანგულისაგან, ფრანგულს — იტალიურისაგან, ხოლო იტალიურს — რუსულისაგან. მაგრამ, მიუხედავად პირობების ყველა აღნიშნული განსხვავებისა, ცხადად მოჩანს ერთგვარობა ყველა ამ პარტიის ძირითადი დაყოფისა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთად, ოპორტუნიზმის აზრთა და ტენდენციათა მსვლელობის ერთგვარობა ორგანიზაციულ საკითხში *. რადიკალური ინტელიგენციის წარმომადგენელთა სიმრავლემ ჩვენებური მარქსისტებისა და ჩვენებური სოციალ-დემოკრატების რიგებში აუცილებელი გახადა და აუცილებლად ხდის მისი ფსიქოლოგიის მეოხებით წარმოშობილი ოპორტუნიზმის არსებობას ფრიად სხვადასხვა სფეროში და ფრიად სხვადასხვა ფორმით. ჩვენ ვებრძოდით ოპორტუნიზმს ჩვენი მსოფლმხედველობის ძირითად საკითხებში, პროგრამის საკითხებში, და მიზნების სრულმა სხვადასხვაობამ აუცილებელი გახადა ჩვენი ლეგალური მარქსიზმის წარმყვნელი ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების ერთმანეთისაგან საბოლოო გამიჯვნა. ჩვენ ვებრძოდით ოპორტუნიზმს ტაქტიკის საკითხებში, და უთანხმოება ჩვენსა და ამხ. კრიჩევსკისა და აკიმოვს შორის ამ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი ხასიათისა იყო და მას არავითარი სხვა-

* ამჟამად ეჭვი არავის შეეპარება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატების ძველი დაყოფა ტაქტიკის საკითხებში ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად ისეთივე იყო, როგორიც მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დაყოფა ოპორტუნისტებად და რევოლუციონერებად, თუმცა განსხვავება, ერთი მხრით, ამხ. მარტინოვსა და აკიმოვს და, მეორე მხრით, ამხ. ფონ-ფოლმარსა და ფონ-ელმსა ან ჟორესსა და მილიერანს შორის, ძალიან დიდია. სწორედ ასევე ეჭვს გარეშეა ერთგვაროვნება ძირითადი დაყოფისა ორგანიზაციულ საკითხში, მიუხედავად პოლიტიკურად უუფლებო და პოლიტიკურად თავისუფალი ქვეყნების პირობებს შორის დიდი განსხვავებისა. ფრიად დამახასიათებელია, რომ ახალი «ისკრის» პრინციპული რედაქცია, რომელიც გაკვრით შეეხო კაუტსკის დავას ჰეინესთან (№ 64), შეშინებული ვ ე რ დ ს უ ხ ვ ე ვ ს ორგანიზაციულ საკითხში ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ოპორტუნიზმის და ყოველგვარი ორთოდოქსიის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ტენდენციების საკითხს.

დასხვა პარტიის შექმნა არ მოჰყოლია. ჩვენ ახლა უნდა დავძლიოთ მარტოვისა და აქსელროდის ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში, რომლებიც, რასაკვირველია, უფრო ნაკლებად ძირითადია, ვიდრე პროგრამული და ტაქტიკური საკითხები, მაგრამ რომლებიც ამჟამად ჩვენი პარტიული ცხოვრების ავანსცენაზე ამოტივტივდნენ.

როდესაც ლაპარაკია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მთელი თანამედროვე ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თვისება ყველა და ყოველგვარ სფეროში: მისი გაურკვევლობა, უსახობა, მოუხელებლობა. ოპორტუნისტი, მთელი თავისი ბუნებით, ყოველთვის გაურბის საკითხის გარკვეულად და მტკიცედ დასმას, ტოლქმედ ხაზს ეძებს, ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შორის გველოხკერასავით იკლაკნება, ცდილობს ერთსაც «დაეთანხმოს» და მეორესაც, თავის უთანხმოებას პატარ-პატარა შესწორებებად, ეჭვებად, კეთილ და გულუბრყვილო სურვილებად და სხვ. და სხვ. აქცევს. ოპორტუნისტი პროგრამულ საკითხებში, ამხ. ედ. ბერნშტეინი, «ეთანხმება» პარტიის რევოლუციურ პროგრამას და თუმცა, უეჭველია, მისი «ძირითადი რეფორმა» სურს, მაგრამ ეს უდროოდ, მიზანშეუწონლად მიაჩნია, იმდენად დიდმნიშვნელოვნად არ სთვლის, როგორც «კრიტიკის» «ზოგადი პრინციპების» გარკვევას (რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან პრინციპებსა და სიტყვებს უკრიტიკოდ სესხულობს). ოპორტუნისტი ტაქტიკის საკითხებში, ამხ. ფონ-ფოლმარიც, ეთანხმება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძველ ტაქტიკას, ისიც კმაყოფილდება უფრო დეკლამაციით, შესწორებებით, დაცინვით და არავითარი გარკვეული «მინისტერიალისტური» ტაქტიკით არ გამოდის. ოპორტუნისტებსაც ორგანიზაციულ საკითხებში, ამხ. მარტოვსა და აქსელროდს, მიუხედავად პირდაპირი გამოწვევისა, აქამდე არ მოუციათ არავითარი გარკვეული პრინციპული თეზისები, რომელთა «განმტკიცებაც წესდების გზით» შესაძლებელი იყოს; იმათაც სურთ, უსათუოდ სურთ, ჩვენი ორგანიზა-

ციული წესდების «ძირითადი რეფორმა» მოახდინონ («ისკრა» № 58, გვ. 2, სვეტი 3), მაგრამ უმჯობესად სცნობენ ჯერ-ჯერობით «ორგანიზაციის ზოგადი საკითხებით» დაიწყონ (იმიტომ რომ ჩვენი, მიუხედავად § 1-ისა, მაინც ცენტრალისტური წესდების ნამდვილი ძირითადი რეფორმა აუცილებლად ავტონომიზმამდე მიგვიყვანდა, თუ ამ რეფორმას ახალი «ისკრის» სულისკვეთების მიხედვით მოცახდენდით, ხოლო ამხ. მარტოვს არა სურს, რა თქმა უნდა, თავის თავსაც კი გამოუტყდეს, რომ მასში არსებობს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ტენდენცია ავტონომიზმისა). ამიტომ მათი «პრინციპული» პოზიცია ორგანიზაციულ საკითხში ცისარტყელის ყველა ფერით კამკამებს: სჭარბობს გულუბრყვილო პათეტიკური დეკლამაციები თვითმპყრობელობისა და ბიუროკრატიზმის შესახებ, ბრმა მორჩილების, ხრახნებისა და ბორბლების შესახებ, — იმდენად გულუბრყვილო დეკლამაციები, რომ მათში გამორჩევა ნამდვილი პრინციპული აზრისა ნამდვილი კოპტაციური აზრისაგან ძალიან, ძალიან ძნელი ხდება. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიხარ ამ მხრივ, მით უფრო მეტ წინააღმდეგობებში ვარდები: საძულველი «ბიუროკრატიზმის» ანალიზისა და ზუსტად გარკვევის ცდას აუცილებლად ავტონომიზმამდე მივყავართ, «გაღრმავებისა» და დასაბუთების ცდას გარდუვალად მივყავართ ჩამორჩენილობის გამართლებამდე, მაჩანჩალობამდე და ჟირონდისტულ ფრაზებამდე. დასასრულ, ერთადერთ, ნამდვილად გარკვეულ და ამიტომ პრაქტიკაში განსაკუთრებით მკაფიო პრინციპად (პრაქტიკა ყოველთვის წინ უსწრებს თეორიას) ა ნ ა რ ქ ი ზ მ ი ს პრინციპი გვევლინება. მასხრად აგდება დისციპლინისა — ავტონომიზმი — ანარქიზმი, — აი ის კიბე, რომელზედაც ხან ადის, ხან ჩამოდის ჩვენებური ორგანიზაციული ოპორტუნიზმი, საფეხურიდან საფეხურზე ხტის და თავისი პრინციპების რაიმე გარკვეულ ფორმულირებას ოსტატურად გაურბის *. სწორედ ასეთივე

* ვინც 1-ლი პარაგრაფის გამო ამტყდარ კამათს მოიგონებს, ის ახლა ნათლად დაინახავს, რომ ამხ. მარტოვისა და ამხ. აქსელროდის შეცდომას 1-ლი პარაგრაფის შესახებ, ამ შეცდომის ვანვითარებისა და გაღრმავები-

გრადაცია ემჩნევა ოპორტუნიზმს პროგრამასა და ტაქტიკაში: მასხრად აგდება «ორთოდოქსიისა», მართლმორწმუნეობისა, შეზღუდულობისა და უძრაობისა — რევიზიონისტული «კრიტიკა» და მინისტერიალიზმი — ბურჟუაზიული დემოკრატია.

დისციპლინისადმი სიძულვილთან ფსიქოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებულია წ ყ ე ნ ი ს ის განუწყვეტელი, გულისგამაწვრილებელი კილო, რომელიც გაისმის ყველა თანამედროვე ოპორტუნისტის ყველა ნაწერში საზოგადოდ და ჩვენი უმცირესობის ნაწერებში — კერძოდ. მათ ვითომ სდევნიან, ავიწროებენ, აგდებენ, გასაქანს არ აძლევენ, ჰქელავენ.

სას, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ორგანიზაციულ ოპორტუნიზმამდე მივყავართ. ამხ. მარტოვის ძირითადი იდეა — პარტიაში თვითჩარიცხვა — სწორედ ყალბი «დემოკრატიზმია», ეს არის იდეა პარტიის აგებისა ქვევიდან ზევით. პირიქით, ჩემი იდეა «ბიუროკრატიულია» იმ აზრით, რომ პარტია შენდება ზევიდან ქვევით, პარტიული ყრილობიდან ცალკეული პარტიული ორგანიზაციებისაკენ. და ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიაც, ანარქისტული ფრაზებიც, ოპორტუნისტული, მაჩანჩალური ღრმააზროვნებაც, — ყოველივე ეს უკვე გამოისახა 1-ლი პარაგრაფის გამო ამტყუდარ კამათში. ამხ. მარტოვი «საალყო წესებში» (გვ. 20) ლაპარაკობს ახალი «ისკრის» «აზრის ამუშავებაზე». ეს მართალია იმ მხრივ, რომ 1-ლი პარაგრაფიდან მოყოლებული ისიც და აქსელროდიც აზრს მართლაც ახალი მიმართულებით ეწევიან წინ. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ეს მიმართულება ოპორტუნისტულია. რაც უფრო მეტად «იმუშავებენ» ისინი ა მ მიმართულებით, რაც უფრო სუფთა იქნება ეს მუშაობა კოოპტაციური კინკლაობისაგან, მით უფრო ღრმად ჩაეფლობიან ისინი ჭაობში. ამხ. პლეხანოვი ცხადად ხედავდა ამას უკვე პარტიის ყრილობაზე, და სტატიაში «რა არ ვაკეთოთ?» ხელმეორედ აფრთხილებდა მათ: მე მზად ვარ თქვენი კოოპტირებაც კი მოვახდინო, ოღონდ ნუ გაჰყვებით ამ გზას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ოპორტუნიზმისა და ანარქიზმისაკენ მიჰყავხართო. —მარტოვმა და აქსელროდმა არ შეისმინეს კეთილი რჩევა: როგორ? არ გავყვეთ? დავეთანხმოთ ლენინს, რომ კოოპტაცია მხოლოდ და მხოლოდ კინკლაობაა? არასოდეს! ჩვენ მას ვუჩვენებთ, რომ პრინციპული ხალხი ვართ! — და გვიჩვენეს კიდეც. ნათლად უჩვენეს ყველას, რომ, თუ კი მათ რაიმე ახალი პრინციპები აქვთ, ეს — ოპორტუნიზმის პრინციპებია.

ამ სიტყვებში გაცილებით უფრო მეტი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური სიმართლეა, ვიდრე, ალბათ, ფიქრობდა გაქელილთა და გამქელავთა შესახებ გამოგონილი ამ ლაზათიანი და მოსწრებული ხუმრობის ავტორი. აიღეთ, მართლაც, ჩვენი პარტიული ყრილობის ოქმები და დაინახავთ, რომ უმცირესობა — ესაა ყველა შეურაცხყოფილი, ყველა ისინი, ვისთვისაც რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას როდისმე და რისთვისმე უწყენინებია. აქ არიან ბუნდელები და რაბოჩეედელოელები, რომლებსაც იმდენად «ვაწყენინეთ», რომ ყრილობიდან წავიდნენ; აქ არიან იუჟნირაბოჩელები, რომლებიც საშინლად ნაწყენი არიან ორგანიზაციათა ჩაკვლით საზოგადოდ და მათი საკუთარი ორგანიზაციისა — კერძოდ; აქ არის ამხ. მახოვი, რომელსაც აწყენინებდნენ ხოლმე ყოველთვის, როცა კი იგი სიტყვას აიღებდა (რადგან სულ მუდამ და ყოველთვის თავს ირცხვენდა); დასასრულ, აქ არიან ამხ. მარტოვი და ამხ. აქსელროდი, რომლებსაც წესდების 1-ლი პარაგრაფის გამო «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდებით» და არჩევნებზე დამარცხებით აწყენინეს. და ყველა ეს მწარე წყენინება შემთხვევითი შედეგი კი არ იყო არასაკადრისი ოხუნჯობისა, მკვახე საქციელისა, გააფთრებული პოლემიკისა, კარების ჯახუნისა და მუშტის მოღერებისა, როგორც ახლაც ბევრი და ბევრი ფილისტერი ფიქრობს, არამედ ეს იყო აუცილებელი პოლიტიკური შედეგი «ისკრის» მთელი სამი წლის იდეური მუშაობისა. თუ ჩვენ ამ სამი წლის განმავლობაში უბრალოდ ენას კი არ ვატარტალებდით, არამედ იმ შეხედულებებს გამოვთქვამდით, რომლებიც საქმედ უნდა ქცეულიყო, მაშინ არ შეგვეძლო ყრილობაზე ანტიისკრელებისა და «ჭაობის» წინააღმდეგ არ გვებრძოლნა. ხოლო როდესაც ჩვენ, ამხ. მარტოვთან ერთად, რომელიც პირველ რიგებში გულგაშლილად იბრძოდა, ამდენ ხალხს ვაწყენინეთ, — უკვე საკმარისი იყო სულ ცოტა, სულ მცირეოდენი გვეწყენინებინა ამხ. აქსელროდისა და ამხ. მარტოვისთვის, რომ ფიალა ავსებულიყო. რაოდენობა თვისებად იქცა. უარყოფის უარყოფა მოხდა. ყველამ, ვინც კი ნაწყენი იყო, ურთიერთი ანგარიში დაივიწყა, ერთმანეთს ქვი-

თინით გულში ჩაეკრნენ და «ლენინიზმის წინააღმდეგ აჯანყების» დროშა ააფრიალეს *.

აჯანყება ჩინებული რამაა, თუ აჯანყებას აწყობენ მოწინავე ელემენტები რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ. როდესაც რევოლუციური ფრთა ჯანყდება ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ, — ეს კარგია. როდესაც ოპორტუნისტული ფრთა ჯანყდება რევოლუციური ფრთის წინააღმდეგ, — ეს ცუდია.

ამხ. პლეხანოვს ამ ცუდ საქმეში მონაწილეობის მიღება უხდება, ასე ვთქვათ, როგორც სამხედრო ტყვეს. იგი ცდილობს «გული იჯეროს», «უმრავლესობის» სასარგებლო ამა თუ იმ რეზოლუციაში ავტორთა ცალკეულ უხერხულ ფრაზებს დაეძებს და თანაც გაიძახის: «საბრალო ამხანაგი ლენინი! როგორი ორთოდოქსი მომხრეები ჰყოლია!» («ისკრა» № 63, დამატება).

იცით რა, ამხ. პლეხანოვო, მე თუ საბრალო ვარ, ახალი «ისკრის» რედაქცია ხომ მთლად მათხოვრად ყოფილა გადაქცეული. რაც უნდა ღარიბი ვიყო, მაინც ისეთ აბსოლუტურ სიღატაკემდე არ მივსულვარ, რომ პარტიული ყრილობა ვეღარ დავინახო და ჩემი გონებამახვილობის სავარჯიშოდ მასალა კომიტეტელების რეზოლუციებში ვეძებო. რაც უნდა ღარიბი ვიყო, მე მაინც ათასჯერ უფრო მდიდარი ვარ იმათზე, რომელთა მომხრენიც ამა თუ იმ უხერხულ ფრაზას შემთხვევით კი არ ამბობენ, არამედ ყველა საკითხში, როგორც ორგანიზაციულ, ისე ტაქტიკურ და საპროგრამო საკითხებშიც დაჟინებით და მტკიცედ იცავენ ისეთ პრინციპებს, რომლებიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგებიან. რაც უნდა ღარიბი ვიყო, მაინც ჯერ კიდევ იქამდე არ მივსულვარ, რომ იძულებული ვიყო ამნაირი მომხრეების

* ეს საკვირველი გამოთქმა ეკუთვნის ამხ. მარტოვს («საალყო წესები», გვ. 68). ამხ. მარტოვი ელოდა იმ დროს, როცა ის ერთი-ხუთად იქცეოდა, რათა «აჯანყება» მოეწყო მარტო ჩემს წინააღმდეგ. უხეიროდ კამათობს ამხ. მარტოვი: მას სურს მოსპოს თავისი მოწინააღმდეგე იმით, რომ მას უდიდეს ქათინაურებს ეუბნება.

ჩემდამი მოძღვნილი ქება-დიდება ხალხს დავუმალო, ახალი «ისკრის» რედაქცია კი იძულებული ხდება ასე მოიქცეს.

იცით თუ არა, მკითხველო, რა არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ვორონეჟის კომიტეტი? თუ თქვენ ეს არ იცით, პარტიული ყრილობის ოქმები წაიკითხეთ. ამ ოქმებიდან თქვენ გაიგებთ, რომ ამ კომიტეტის მიმართულებას სავსებით გამოხატავენ ამხ. აკიმოვი და ამხ. ბრუკერი, რომლებიც ყრილობაზე მთელი ხაზით იბრძოდნენ პარტიის რევოლუციური ფრთის წინააღმდეგ და რომლებსაც ათეულჯერ ოპორტუნისტებს აკუთვნებდნენ ყველანი, ამხ. პლეხანოვით დაწყებული და ამხ. პოპოვით გათავებული. და აი, ეს ვორონეჟის კომიტეტი თავის იანვრის ფურცელში (№ 12, 1904 წ., იანვარი) აცხადებს:

«ჩვენს პარტიაში, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება, შარშან პარტიისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: შესდგა რსდმპ — მისი ორგანიზაციების წარმომადგენლების — მეორე ყრილობა. პარტიის ყრილობის მოწვევა ძალიან რთული საქმეა, ხოლო მონარქიის პირობებში — ძალიან სახიფათო და ძნელი; ამიტომ საკვირველი როდია, რომ ყრილობის მოწვევის საქმე სავსებით კარგად ვერ მოეწყო; თვითონ ყრილობამ კი, თუმცა იგი სავსებით მშვიდობიანად ჩატარდა, მაინც ვერ დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნა, რომლებიც მას პარტიამ წაუყენა. ის ამხანაგები, რომლებსაც 1902 წლის კონფერენციამ (თათბირმა) ყრილობის მოწვევა დაავალა, დაატუსაღეს; ამიტომ ყრილობა მოაწყეს ისეთმა პირებმა, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ერთმა — ისკრულმა — მიმართულებამ გამოჰყო. სოციალ-დემოკრატების ბევრი ორგანიზაცია, მაგრამ არა ისკრული მიმდინარეობისა, არ იყო მიწვეული ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად: ნაწილობრივ ამიტომაც ყრილობის ამოცანა პარტიის პროგრამისა და წესდების გამომუშავების მხრივ ფრიად სუსტად შესრულდა; თვითონ ყრილობის მონაწილენიც აღიარებენ, რომ იმ დიდ ხარვეზებს, რომლებიც წესდებაში არის, «შეუძლია სახიფათო გაუგებრობანი გამოიწვიოს». ყრილობაზე თვით ისკრელები გაითიშნენ, და რსდმპ ბევრმა თვალსაჩინო მოღვაწემ, რომელნიც წინათ, თითქოს, სავსებით იზიარებდნენ «ისკრის» სამოქმედო პროგრამას, შეიგნეს, რომ მრავალი მისი შეხედულება, რომლებსაც უმთავრესად ლენინი და პლეხანოვი ატა-

ებენ, ცხოველმყოფელი არ არის. თუმცა ყრილობაზე უკანასკნელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ძალა პრაქტიკული ცხოვრებისა, მოთხოვნები რეალური მუშაობისა, რომლის რიგებშიც ყველა არაისკრელიც დგას, თეორეტიკოსების შეცდომებს სწრაფად ასწორებენ და მათ უკვე ყრილობის შემდეგ სერიოზული შესწორებანი შეიტანეს. «ისკრა» ძლიერ გამოიცვალა და გვპირდება, რომ საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეთა მოთხოვნებს ყურადღებით მოეპყრობა. ამრიგად, თუმცა ყრილობის ნამუშევარი შემდგომ ყრილობაზე გადასინჯულ უნდა იქნას და, როგორც თვითონ ყრილობის მონაწილეთათვისაც ცხადია, დამაკმაყოფილებელი ვერ არის, და ამიტომ ვერც პარტიაში შევა, როგორც გარდუვალი დადგენილებები, მაგრამ ყრილობამ მაინც გამოარკვია საქმის მდგომარეობა პარტიაში, პარტიის შემდგომი თეორიული და ორგანიზაციული მოქმედებისთვის დიდი მასალა მოგვცა და საერთო-პარტიული მუშაობისთვის დიდ ჭკუისსასწავლ გამოცდილებად გადაიქცა. ყრილობის დადგენილებებს და მის მიერ შემუშავებულ წესდებას ყველა ორგანიზაცია მხედველობაში მიიღებს, მაგრამ ბევრი თავს შეიკავებს და მარტოოდენ ამ დადგენილებებით არ იხელმძღვანელებს, ვინაიდან მათ მეტად აშკარა ნაკლოვანებანი აქვთ.

ვორონეჟის კომიტეტს კარგად აქვს შეგნებული საერთო-პარტიული მუშაობის მთელი მნიშვნელობა და ყრილობის მოწყობის ყველა საკითხს ის მხურვალედ ეხმაურებოდა. მას შეგნებული აქვს მთელი მნიშვნელობა ყოველივე იმისა, რაც ყრილობაზე მოხდა და მიესალმება იმ შემობრუნებას, რომელიც ცენტრალურ ორგანოდ (მთავარ ორგანოდ) გადაქცეულ «ისკრაში» მოხდა. თუმცა საქმის მდგომარეობა პარტიასა და ც. კ-ში ჯერ კიდევ არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საერთო ძალღონით პარტიის ორგანიზაციის მძიმე მუშაობა გაუმჯობესდება. ყალბი ხმების გამო ვორონეჟის კომიტეტი ამხანაგებს უცხადებს, რომ პარტიიდან ვორონეჟის კომიტეტის გასვლაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ვორონეჟის კომიტეტს მშვენივრად ესმის, რსდმპ-დან გასვლა მუშათა ისეთი ორგანიზაციისა, როგორიც ვორონეჟის კომიტეტია, რა სახიფათო პრეცედენტად (მაგალითად) გადაიქცეოდა, რა საშაყვედურო გახდებოდა ეს პარტიისათვის და რამდენად არახელსაყრელი იქნებოდა ეს მუშათა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ამნაირ მა-

გალითს მიჰბაძავდნენ. ჩვენ ახალი გათიშვები კი არ უნდა შევქმნათ, არამედ შეუპოვრად უნდა ვეცადოთ ყველა შეგნებული მუშა და სოციალისტი ერთ პარტიად გავაერთიანოთ. მასთან, მეორე ყრილობა იყო მორიგი და არა დამფუძნებელი ყრილობა. პარტიიდან გარიცხვა მხოლოდ პარტიული სასამართლოს საშუალებით შეიძლება, და არავითარ ორგანიზაციას, თვით ცენტრალურ კომიტეტსაც კი, უფლება არა აქვს რომელიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია პარტიიდან გარიცხოს. უფრო მეტიც, მეორე ყრილობამ მიიღო წესდების მერვე პარაგრაფი, რომლის მიხედვით ყოველი ორგანიზაცია თავის ადგილობრივ საქმეებში ავტონომიურია (დამოუკიდებელია); ამიტომ ვ ო რ ო ნ ე ჟ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ს ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ ს თ ა ვ ი ს ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ნ ი გ ა ა ტ ა რ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი დ ა პ ა რ ტ ი ა შ ი».

ახალი «ისკრის» რედაქციამ, რომელმაც 61-ე ნომერში ეს ფურცელი დაიმოწმა, გადაბეჭდა მოყვანილი ტირადის მეორე, მსხვილი შრიფტით აწყობილი, ნაწილი; პირველი, პეტიტით აწყობილი ნაწილი კი რედაქციამ უ მ ჯ ო ბ ე ს ა დ ს ც ნ ო გ ა მ ო ე ტ ო ვ ე ბ ი ნ ა.

შერცხვა.

ს) ცოტა რამ დიალექტიკაზე. ორი გადატრიალება

თუ საერთოდ გადავხედავთ ჩვენი პარტიული კრიზისის განვითარებას, ადვილად დავინახავთ, რომ ორივე მებრძოლი მხარის ძირითადი შემადგენლობა ყოველთვის, მცირედი გამოკლებით, ერთი და იგივე იყო. ეს იყო ჩვენი პარტიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთის ბრძოლა. მაგრამ ამ ბრძოლამ განვლო სულ სხვადასხვა სტადია, და თვითეული ამ სტადიის თავისებურებათა ზუსტი გაცნობა საჭიროა ყველასათვის, ვისაც სურს გაერკვეს უკვე დაგროვილ დიდძალ ლიტერატურაში, უამრავ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მითითებაში, მთე-

ლიდან ამოგლეჯილ ციტატებში, ცალკეულ ბრალდებებში და სხვ. და სხვ.

ჩამოვთვალოთ მთავარი სტადიები, რომლებიც აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: 1) დავა წესდების 1-ლი პარაგრაფის შესახებ. წმინდა იდეური ბრძოლა ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების გამო. მე და პლეხანოვი უმცირესობაში ვართ. მარტოვს და აქსელროდს შემოაქვთ ოპორტუნისტული ფორმულირება და ოპორტუნისტების გავლენის ქვეშ ექცევიან. 2) «ისკრის» ორგანიზაციის გათიშვა ც. კ-ის კანდიდატთა სიების საკითხის გამო: ფომინი თუ ვასილიევი ხუთეულში, ტროცკი თუ ტრავინსკი სამეულში. მე და პლეხანოვი ვიმხრობთ უმრავლესობას (ცხრა შვიდის წინააღმდეგ), — ნაწილობრივ სწორედ იმის წყალობით, რომ 1-ლი პარაგრაფის მიხედვით უმცირესობას წარმოვადგენდით. ოპორტუნისტებთან მარტოვის კოალიციამ საქმით დაადასტურა მთელი ჩემი შიში, გამოწვეული ინციდენტით საორგანიზაციო კ-თან. 3) დავის გაგრძლობა წესდების დეტალებზე. მარტოვი კვლავ ოპორტუნისტებმა იხსნეს. ჩვენ კვლავ უმცირესობაში ვართ და ვიცავთ უმცირესობის უფლებებს ცენტრებში. 4) უკიდურეს ოპორტუნისტთა შვიდეული მიდის ყრილობიდან. ჩვენ უმრავლესობაში ვართ და არჩევნებში ვამარცხებთ (ისკრელთა უმცირესობის, «ჭაობისა» და ანტიისკრელების) კოალიციას. მარტოვი და პოპოვი უარს ამბობენ ადგილების მიღებაზე ჩვენს სამეულებში. 5) ყრილობისშემდგომი დროის კინკლაობა კოოპტაციის გამო. ანარქისტული მოქმედების და ანარქისტული ფრაზის თავაშვებულობა. «უმცირესობაში» ნაკლებად გამოწრთობილი და ნაკლებად მტკიცე ელემენტები იმარჯვებენ. 6) პლეხანოვი, გათიშვის თავიდან ასაცილებლად, «**kill with kindness**»-ის პოლიტიკაზე გადადის. «უმცირესობა» იკავებს ც. ო-ს რედაქციას და საბჭოს და მთელი თავისი ძალებით იერიში მიაქვს ც. კ-ზე. კინკლაობამ კვლავ მოიცვა ყველა და ყოველივე. 7) პირველი იერიში ც. კ-ზე მოგერიებულია. კინკლაობა თითქოს რაოდენიმედ შენელებას იწყებს. ჩნდება შესაძლებლობა შედარებით მშვიდად განვიხილოთ

ორი წმინდა იდეური საკითხი, რომელნიც პარტიას დიდად აღელვებენ: ა) როგორია პოლიტიკური მნიშვნელობა და ახლა ჩვენი პარტიის იმ დაყოფისა «უმრავლესობად» და «უმცირესობად», რომელიც ჩამოყალიბდა მეორე ყრილობაზე და რომელმაც შესცვალა ყველა ძველი დაყოფა? ბ) როგორია ორგანიზაციულ საკითხში ახალი «ისკრის» ახალი პოზიციის პრინციპული მნიშვნელობა?

თვითეული ამ სტადიათაგანი ხასიათდება ბრძოლის არსებითად განსხვავებული კონიუნქტურით და იერიშის უშუალო მიზნით; თვითეული სტადია წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ცალკე შეტაკებას ერთ საერთო სამხედრო ლაშქრობაში. ვერაფერს ვერ გავიგებთ ჩვენი ბრძოლისას, თუ არ შევისწავლეთ თვითეული შეტაკების კონკრეტული ვითარება. როდესაც ამას შევისწავლით, ნათლად დავინახავთ, რომ განვითარება მართლაც დიალექტიკური გზით, წინააღმდეგობათა გზით მიდის: უმცირესობა უმრავლესობად ხდება, უმრავლესობა — უმცირესობად; თვითეული მხარე გადადის თავდაცვიდან თავდასხმაზე და თავდასხმიდან თავდაცვაზე; იდეური ბრძოლის გამოსავალი პუნქტი (§ 1) «უარყოფილია» და ადგილს უთმობს ყველაფრის მომცველ კინკლაობას *, მაგრამ შემდეგ იწყება «უარყოფის უარყოფა» და როცა ასე თუ ისე, ვაივაგლახით, «ვეგუებით» ღვთისგან ბოძებულ ცოლს სხვადასხვა ცენტრში, ვუბრუნდებით წმინდა იდეური ბრძოლის გამოსავალ პუნქტს, მაგრამ ეს «თეზისი» უკვე გამდიდრებულია «ანტითეზისის» მთელი შედეგებით და გადაიქცა უმაღლეს სინთეზისად, როცა იზოლირებული, შემთხვევითი შეცდომა 1-ლი პარაგრაფის გამო გაიზარდა ოპორტუნისტულ შეხედულებათა quasi-სისტემად ორგანიზაციულ საკითხში, როცა ამ მოვლენის კავშირი ჩვენი პარტიის ძირითად, რევოლუციურ

* ძნელი საკითხი კინკლაობისა და პრინციპული უთანხმოების გამიჯვნისა ახლა თავისთავად წყდება: ყველაფერი, რაც კოოპტაციას ეხება, არის კინკლაობა; ყველაფერი, რაც ეხება ყრილობაზე ბრძოლის ანალიზს, დავას § 1-ის შესახებ და შეტრიალებას ოპორტუნიზმისა და ანარქიზმისაკენ, არის პრინციპული უთანხმოება.

და ოპორტუნისტულ ფრთად დაყოფასთან ყველას წინაშე სულ უფრო და უფრო თვალნათლივ იჩენს თავს. ერთი სიტყვით, არა მარტო შვრია იზრდება ჰეგელის მიხედვით, არამედ რუსი სოციალ-დემოკრატებიც იბრძვიან ერთმანეთს შორის აგრეთვე ჰეგელის მიხედვით.

მაგრამ ჰეგელის დიდებული დიალექტიკა, რომელიც მარქსიზმმა გადმოიღო და ფეხზე დააყენა, არასდროს არ უნდა ავურიოთ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა ზიგზაგების გამართლების ვულგარულ ხერხთან, რომელნიც პარტიის რევოლუციური ფრთიდან ოპორტუნისტულ ფრთაზე გადარბიან, ვულგარულ მანერასთან — ერთ გროვად აურიონ ცალკეული განცხადებები, ერთიანი პროცესის სხვადასხვა სტადიის განვითარების ცალკეული მომენტები. ჰეშმარიტი დიალექტიკა პირად შეცდომებს კი არ ამართლებს, არამედ შეისწავლის ხოლმე აუცილებელ შეტრიალებებს, ამტკიცებს მათს აუცილებლობას განვითარების უაღრესად დეტალური შესწავლის საფუძველზე მთელი მისი კონკრეტულობით. დიალექტიკის ძირითადი დებულებაა: აბსტრაქტული ჰეშმარიტება არ არსებობს, ჰეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია... და კიდევ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ჰეგელის ეს დიდებული დიალექტიკა და ცხოვრების ის გაცვეთილი სიბრძნე, რომელიც გამოითქმის იტალიური ანდაზით: **mettere la coda dove non va il capo** (კუდი გააძვრინე იქ, სადაც თავით ვერ გაეტევი).

ჩვენი პარტიული ბრძოლის დიალექტიკური განვითარების შედეგი გამოიხატება ორი გადატრიალებით. პარტიული ყრილობა იყო ნამდვილი გადატრიალება, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ამჰ. მარტოვმა თავის სტატიაში — «ერთხელ კიდევ უმცირესობაში». მართალნი არიან აგრეთვე ის მეუმცირესე ხუმარები, რომლებიც ამბობენ: ქვეყნიერებას რევოლუციები ატრიალებს, და აი ჩვენც მოვახდინეთ რევოლუციაო! ყრილობის შემდეგ მათ მართლაც მოახდინეს რევოლუცია; მართალია ისიც, რომ ქვეყნიერება, ზოგადად რომ ითქვას, რევოლუციებით მოძრაობს. მაგრამ ყოველი კონკრეტული რევოლუციის კონკრეტული მნიშვნელობა ამნაირი ზოგა-

დი თქმით მაინც ვერ განისაზღვრება: არის რეაქციისმაგვარი რევოლუციები, თუ გადავასხვაფერებთ დაუვიწყარ ამხ. მახოვის დაუვიწყარ სიტყვებს. უნდა ვიცოდეთ, პარტიის რევოლუციური თუ ოპორტუნისტული ფრთა იყო ის რეალური ძალა, რომელმაც გადატრიალება მოახდინა; უნდა ვიცოდეთ, მებრძოლებს რევოლუციური თუ ოპორტუნისტული პრინციპები ალაფრთოვანებდნენ იმის გასარკვევად, წინ თუ უკან ეწეოდა «ქვეყნიერებას» (ჩვენს პარტიას) ესა თუ ის კონკრეტული რევოლუცია.

ჩვენი პარტიული ყრილობა ერთგვარად ერთადერთი, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელ ისტორიაში გაუგონარი მოვლენა იყო. კონსპირაციულმა რევოლუციურმა პარტიამ პირველად შესძლო იატაკქვეშეთის ჯურღმულებიდან დღის სინათლეზე გამოსულიყო და ყველასთვის დაენახვებინა მთელი მსვლელობა და შედეგი ჩვენი შინაური პარტიული ბრძოლისა, მთელი სახე ჩვენი პარტიისა და მისი ყოველი, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო, ნაწილისა პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხებში. პირველად შევძელით წრეობრივი თავაშვებულობისა და რევოლუციური ფილისტერობის ტრადიციებისაგან განვთავისუფლებულიყავით, ერთად თავი მოგვეყარა ათეული სრულიად სხვადასხვა ჯგუფისთვის, რომელნიც ხშირად საშინლად მტრობდნენ ერთმანეთს, ერთმანეთთან მხოლოდ იდეათა გამო იყვნენ დაკავშირებულნი და მზად იყვნენ (პრინციპულად მზად იყვნენ) ყველა და ყოველგვარი ჯგუფური თავისებურება და ჯგუფური დამოუკიდებლობა მსხვერპლად შეეწირათ იმ დიადი მთელისთვის, რომელსაც სინამდვილეში პირველად ვქმნიდით: პ ა რ ტ ი ი ს თ ვ ი ს. მაგრამ პოლიტიკაში მსხვერპლს ტყუილ-უბრალოდ არავინ გაიღებს, იგი ბრძოლით უნდა მოიპოვო. ორგანიზაციათა ჩასაკლავად ბრძოლა აუცილებლად საშინლად მძვინვარე შეიქმნა. აშკარა თავისუფალი ბრძოლის გრილი სიო გრიგალად გადაიქცა. ამ გრიგალმა ყოველგვარი წრეობრივი ინტერესების, გრძნობებისა და ტრადიციების, ყველა და ყოველგვარი ნაშთი აღგავა, — და კარგადაც ჰქნა, რომ აღგავა! —

და პირველად შეჰქმნა ჭეშმარიტად პარტიული თანამდებობრივი კოლეგიები.

მაგრამ სახელი ერთია, შინაარსი კი სხვაა. პარტიის სასარგებლოდ პრინციპულად წრეობანის მსხვერპლად მიტანა ერთია, თავის წრეზე უარის თქმა კი — სხვაა. გრილი სიო მეტად გრილი აღმოჩნდა იმათთვის, ვინც ფილისტერობის დახშულ ჰაერს იყო შეჩვეული. «პარტიამ თავისი პირველი კონგრესი ვერ აიტანა», როგორც სამართლიანად (უნებურად სამართლიანად) სთქვა ამხ. მარტოვმა თავის «ერთხელ კიდევ უმცირესობაში». ორგანიზაციათა ჩაკვლით გამოწვეული წყენა მეტად ძლიერი იყო. მძვინვარე გრიგალმა მთელი ჩვენი პარტიული ნაკადი აამღვრია, და ამ სიმღვრივემ რევანში აიღო. ძველმა დახავსებულმა წრეობანამ ჯერ ისევ ახალგაზრდა პარტიულობა დასძლია. პარტიის სასტიკად დამარცხებულმა ოპორტუნისტულმა ფრთამ გაიმარჯვა — დროებით, რა თქმა უნდა, — რევოლუციურ ფრთაზე და წელი გაიმაგრა აკიმოვის შემთხვევითი ნადავლით.

~~შედეგად მივიღეთ ახალი «ისკრა»~~, რომელიც იძულებულია განავითაროს და გააღრმავოს ის შეცდომა, რომელიც მისმა რედაქტორებმა პარტიის ყრილობაზე დაუშვეს. ძველი «ისკრა» რევოლუციური ბრძოლის ჭეშმარიტებებს გვასწავლიდა. ახალი «ისკრა» გვასწავლის ცხოვრების სიბრძნეს: დათმობასა და შემგუებლობას. ძველი «ისკრა» მებრძოლი ორთოდოქსიის ორგანო იყო. ახალი «ისკრა» ოპორტუნიზმის გამოძახილია — უმთავრესად ორგანიზაციულ საკითხებში. ძველმა «ისკრამ» როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის ოპორტუნისტთა საპატიო სიძულვილი დაიმსახურა. ახალი «ისკრა» «დაჭკვიანდა» და მალე მას აღარ შერცხვება იმ ქებადიდებისა, რომელსაც უკიდურესი ოპორტუნისტები უხვად ასხამენ მას. ძველი «ისკრა» განუხრელად მიდიოდა თავისი მიზნისაკენ და მისი სიტყვა საქმეს არ სცილდებოდა. ახალ «ისკრაში» მისი პოზიციის შინაგანი სიყალბე აუცილებლად იწვევს ვისიმე ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლადაც კი — პოლიტიკურ თვალთმაქცობას. ის წრეობანის წინააღმდეგ

გაჰკივის, რათა დაფაროს წრეობანის გამარჯვება პარტიულობაზე. ის ფარისევლურად ჰგმობს გათიშვას, თითქოს შესაძლებელი იყოს წარმოვიდგინოთ სხვა რაიმე საშუალება გათიშვის წინააღმდეგ ოდნავ მაინც ორგანიზებულ ოდნავ მაინც პარტიაში, გარდა იმისა, რომ უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილებოდეს. იგი აცხადებს რევოლუციური საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას და, ჰფარავს რა აკიმოვების ხოტბას, წვრილმან ჭორიკანობას ეწევა პარტიის რევოლუციური ფრთის კომიტეტების შესახებ *. ვაი სირცხვილო! როგორ შეარცხვინეს მათ ჩვენი ძველი «ისკრა»!

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან... ეს ხდება ხოლმე ინდივიდუუმების ცხოვრებაშიც, ერების ისტორიაშიც, პარტიათა განვითარებაშიც. უდიდესი დანაშაულებრივი სულმოკლეობა იქნებოდა ერთი წუთითაც კი დაეჭვება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის, პროლეტარული ორგანიზაციისა და პარტიული დისციპლინის პრინციპების აუცილებელ, სრულ გამარჯვებაში. ჩვენ უკვე ბევრი რამ მოვიპოვეთ, ჩვენ შემდეგაც უნდა ვ ბრძოლოთ, სულით არ უნდა დავეცეთ წარუმატებლობათა დროს, ვიბრძოლოთ მტკიცედ, უნდა გვეზიზღებოდეს წრეობრივი შეხლაშემოხლის ფილისტერული ხერხები, უკანასკნელ შესაძლებლობამდე უნდა დავიცვათ ესოდენი მეცადინეობით შექმნილი რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატის ერთიანი პარტიული კავშირი და ვეცადოთ მედგარი და სისტემატური შრომით სრულად და შეგნებულად გავაცნოთ პარტიის ყველა წევრს და მუშებს განსაკუთრებით პარტიული მოვალეობანი, II პარტიულ ყრილობაზე მომხდარი ბრძოლა, ჩვენი უთანხმოების ყველა მიზეზი და პერიპეტიები, მთელი დამღუპველობა ოპორტუნიზმისა, რომელიც ორგანიზაციული საქმის სფეროშიც ისევე უილაჯოდ ჰყრის იარაღს ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის წინაშე, ისევე არაკრიტიკულად გადმოაქვს

* ამ მშვენიერი მუშაობისთვის უკვე გამომუშავდა სტერეოტიპული ფორმაც: ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი X გვაუწყებს უმრავლესობის Y კომიტეტის შესახებ, რომ ის ცუდად მოეპყრა მეუმცირესე ამხანაგს Z-სო.

ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისი, ისევე აჩლუნგებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იარაღს, როგორც ჩვენი პროგრამისა და ჩვენი ტაქტიკის სფეროში.

ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატს სხვა იარაღი არ მოეპოვება, გარდა ორგანიზაციისა. ბურჟუაზიულ სამყაროში ანარქიული კონკურენციის ბატონობით დაქსაქსულს, კაპიტალისათვის იძულებითი მუშაობით დაბეჩავებულს, მუდამ სრული სიღატაკის, გაველურებისა და გადაგვარების «ფსკერზე» გადატყორცნილს პროლეტარიატს შეუძლია გახდეს და იგი გარდუვალად გახდება კიდეც უძლეველ ძალად მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მარქსიზმის პრინციპებით მის იდეურ გაერთიანებას განამტკიცებს მატერიალური ერთიანობა ორგანიზაციისა, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად. ამ არმიას ვერ გაუძლებს ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის მიხრწნილი ძალაუფლება და ვერც საერთაშორისო კაპიტალის მიხრწნის გზაზე დამდგარი ძალაუფლება. ეს არმია სულ უფრო და უფრო შეამჭიდროვებს თავის რიგებს, მიუხედავად ყოველგვარი ზიგზაგებისა და უკანგადადგმული ნაბიჯებისა, მიუხედავად თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტების ოპორტუნისტული ფრაზებისა, მიუხედავად ჩამორჩენილი წრეობანის თვითკმაყოფილი ქება-დიდებისა, მიუხედავად ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ უ რ ი ანარქიზმის ზიზილ-პიპილებისა და ხმაურისა.

დამატება

ამხ. გუსევისა და ამხ. დეიჩის ინციდენტი

ეს ინციდენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ეგრეთწოდებულ «ყალბ» (ამხ. მარტოვის თქმით) სიასთან, რომელიც მოხსენებულია § i-ს ტექსტში მოყვანილ ამხ. მარტოვისა და ამხ. სტაროვერის წერილში. ინციდენტის დედაარსი შემდეგში მდგომარეობს. ამხ. გუსევმა ამხ. პავლოვიჩს აცნობა: ეს სია, რომელშიც შედიოდნენ ამხ. შტეინი, ეგოროვი, პოპოვი, ტროცკი და ფომინი, მე, გუსევს, გადმომცა ამხ. დეიჩმაო (ამხ. პავლოვიჩის «წერილის» მე-12 გვ.). ამ ცნობის გამო ამხ. დეიჩი ბრალს სდებდა ამხ. გუსევს «წინასწარგანზრახულ ცილისწამებაში»; საამხანაგო სამედიატორო სასამართლომ ამხ. გუსევის «ცნობა» არასწორად მიიჩნია (იხ. სასამართლოს რეზოლუცია «ისკრის» № 62-ში). იმის შემდეგ, რაც «ისკრის» რ ე დ ა ქ ც ი ა მ დაბეჭდა სასამართლოს რეზოლუცია, ა მ ხ. მ ა რ ტ ო ვ მ ა (უკვე არა რედაქციამ) გამოსცა ცალკე ფურცელი სათაურით: «საამხანაგო სამედიატორო სასამართლოს რეზოლუცია», სადაც მთლიანად გადაბეჭდა არა მარტო სასამართლოს რეზოლუცია, არამედ საქმის გარჩევის სრული ანგარიშიც, აგრეთვე თ ა ვ ი ს ი ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა ც. ამ ბოლოსიტყვაობაში ამხ. მარტოვი, სხვათა შორის, «სამარცხვინოს» უწოდებს «ფრაქციული ბრძოლის გულისთვის ყალბი სიის შედგენის ფაქტს». ამ ფურცელს პასუხი გასცეს II ყრილობის დელეგატებმა ამხ. ლიადოვმა და ამხ. გორინმა შემდეგი სათაურის ფურცლითვე: «მეოთხე პირი სამედიატორო სასამართლოში», სადაც ისინი «ენერგიულ პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ამხ. მარტოვი თავს ნებას აძლევს არ დასჯერდეს სასამართლოს გადაწყვე-

ტილებას და ამხ. გუსევს მიაწერს ცუდ მოტივებს», მაშინ როდესაც სასამართლომ არ სცნო წინასწარგანზრახული ცილისწამება; მან მხოლოდ ის დაადგინა, რომ ამხ. გუსევის ცნობა უმართებულოაო. ამხ. გორინი და ამხ. ლიადოვი დაწვრილებით განმარტავენ, რომ ამხ. გუსევის ცნობა შეიძლება გამოეწვია სრულიად ბუნებრივ შეცდომას, და «უ ღ ი რ ს ს» უწოდებენ ამხ. მარტოვის საქციელს, რომელიც თვითონ აკეთებდა (და აკეთებს თავის ფურცელში) მთელ რიგ მცდარ განცხადებებს და თვითნებურად მიაწერს ამხ. გუსევს ცუდ განზრახვას. ცუდი განზრახვა, ამბობენ ისინი, იქ საერთოდ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აი, თუ არ ვცდები, მთელი «ლიტერატურა» ამ საკითხზე, რომლის ახსნის გაადვილება ჩემს მოვალეობად მიმაჩნია.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მკითხველმა თავის თავს ზუსტი ანგარიში მისცეს ამ სიის (ც. კ-ის კანდიდატების სიის) წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. როგორც ტექსტში უკვე აღვნიშნე, «ისკრის» ორგანიზაციამ ყრილობაზე თათბირი გამართა ც. კ-ში ასარჩევი კანდიდატების ისეთი სიის შესახებ, რომელიც მას შეეძლო თანაზიარად წარედგინა ყრილობისთვის. თათბირზე თავი იჩინა უთანხმოებამ; «ისკრის» ორგანიზაციის უმრავლესობამ მიიღო სია: ტრავინსკი, გლებოვი, ვასილიევი, პოპოვი და ტროცკი; უმცირესობამ არ მოისურვა დათმობა და იცავდა სიას: ტრავინსკი, გლებოვი, ფომინი, პოპოვი და ტროცკი. «ისკრის» ორგანიზაციის ორივე ნაწილს თავი არ მოუყრია ერთად უკვე იმ კრების შემდეგ, რომელზედაც წამოყენებული იყო ეს სიები და კენჭისყრაც მოხდა. ორივე ნაწილმა დაიწყო თავისუფალი აგიტაცია ყრილობაზე, მათ სურდათ უთანხმოების გამომწვევი სადავო საკითხის გადაჭრა მთელი პარტიული ყრილობის ვოტუმით და ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი დელეგატი მიემხროთ. ამ თავისუფალმა აგიტაციამ ყრილობაზე ერთბაშად გამოააშკარავა ის პოლიტიკური ფაქტი, რომელსაც ასე დაწვრილებით გავუკეთე ანალიზი ტექსტში, სახელდობრ: ისკრელების უმცირესობისთვის

(მარტოვის მეთაურობით) აუცილებელი იყო დაყრდნობოდა «ცენტრს» (ჭაობს) და ანტიისკრელებს ჩვენზე გასამარჯვებლად. ეს აუცილებელი იყო, იმიტომ რომ დელეგატების უდიდესი უმრავლესობა, რომელიც თანამიმდევრად იცავდა «ისკრის» პროგრამას, ტაქტიკასა და ორგანიზაციულ გეგმებს ანტიისკრელებისა და «ცენტრის» შეტევის წინააღმდეგ, — ძალიან მალე და ძალიან მტკიცედ დადგა ჩვენს მხარეზე. 33 დელეგატიდან (უფრო ზუსტად: ხმიდან), რომლებიც არ ეკუთვნოდნენ არც ანტიისკრელებს, არც «ცენტრს», ჩვენ ძალიან მალე გადმოვიბირეთ 24, დავდეთ მათთან «პირდაპირი შეთანხმება» და შევქმენით «კომპაქტური უმრავლესობა». ამხანაგი მარტოვი კი დარჩა სულ რაღაც ცხრა ხმის ამარა; გამარჯვებისთვის მას ესაჭიროებოდა ანტიისკრელებისა და «ცენტრის» ყველა ხმა; მას შეეძლო ამ ჯგუფებთან ყოფნა (ისე როგორც წესდების 1-ლი პარაგრაფის გამო), შეეძლო «კოალიციის შედგენა», ე. ი. შეეძლო ჰქონოდა მათი მხარდაჭერის იმედი, მაგრამ ა რ შ ე ე ძ ლ ო პირდაპირი შეთანხმების დადება, არ შეეძლო სწორედ იმიტომ, რომ მთელი ყრილობის განმავლობაში ის ჩვენზე ნაკლები სიმკაცრით როდი ებრძოდა ამ ჯგუფებს. სწორედ ეს იყო ამხ. მარტოვის მდგომარეობის ტრაგიკომიზმი! ამხ. მარტოვს სურს გამანადგუროს თავის «საალყო წესებში» მომაკვდინებლად გესლიანი შეკითხვით: «პატივისცემით ვთხოვთ ამხ. ლენინს პირდაპირ გვიპასუხოს კითხვაზე: ვ ი ს თ ვ ი ს იყო ყრილობაზე უცხო «იუჟნი რაბოჩი»?» (გვ. 23, შენიშვნა). ვუპასუხებ პატივისცემით და პირდაპირ: უცხო იყო ამხ. მარტოვის მიმართ. საბუთი: მე ძალიან სწრაფად დავდე პირდაპირი შეთანხმება ისკრელებთან; ამხ. მარტოვმა კი ვერ დასდო და არც შეეძლო დაედო პირდაპირი შეთანხმება არც «იუჟნი რაბოჩისთან», არც ამხ. მახოვთან, არც ამხ. ბრუკერთან.

მხოლოდ მაშინ, თუ გაერკვევი ამ პოლიტიკურ სიტუაციაში, შეიძლება მიხვდე, თუ რა არის დედააზრი ამ ყბადაღებული «ყალბი» სიის მტკივნეული საკითხისა. წარმოიდგინეთ კონკრეტულად საქმის მდგომარეობა: «ისკრის» ორგა-

ნიზაცია გაითიშა და ჩვენ თავისუფალ აგიტაციას ვეწევით ყრილობაზე, ვიცავთ ჩვენ-ჩვენს სიას. ამ დაცვის დროს უამრავ ცალკეულ კერძო საუბარში ხდება სიების ათასგვარი კომბინაცია, ნაცვლად ხუთეულისა ასახელებენ სამეულს, ყოველგვარ წინადადებას იძლევიან ერთი კანდიდატის მეორით შესაცვლელად. მე, მაგალითად, კარგად მახსოვს, რომ უმრავლესობის კერძო საუბრებში წამოაყენეს, მაგრამ განხილვისა და დავის შემდეგ უარჰყვეს ამხ. რუსოვის, ოსიპოვის, პავლოვიჩის, დელოვის [88] კანდიდატურები. ძალიან შესაძლებელია, რომ აყენებდნენ სხვა, ჩემთვის უცნობ, კანდიდატურებსაც. ყრილობის ყოველი დელეგატი საუბარში გამოთქვამდა თავის აზრს, შემოჰქონდა შესწორებები, დავობდა და სხვ. ფრიად ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ უმრავლესობაში. ეჭვს გარეშეცაა, რომ უმცირესობაშიც იგივე ხდებოდა, ვინაიდან მათი პირვანდელი ხუთეული (პოპოვი, ტროცკი, ფომინი, გლებოვი და ტრავინსკი) შემდეგ შეიცვალა, როგორც ამხ. მარტოვისა და ამხ. სტაროვერის წერილიდან დავინახეთ, სამეულით: გლებოვი, ტროცკი და პოპოვი; ამასთან გლებოვი მათ არ მოსწონდათ და მას ხალისით სცვლიდნენ ფომინით (იხ. ამხ. ლიადოვისა და ამხ. გორინის ფურცელი). ნუ დავივიწყებთ, რომ ის ჯგუფები, რომლებადაც მე ვყოფ ყრილობის დელეგატებს ბროშურის ტექსტში, გამიჯნული არიან ჩემს მიერ იმ ანალიზის მიხედვით, რომელიც **post factum** * მოხდა: ნამდვილად კი ეს ჯგუფები წინასაარჩევნო აგიტაციის დროს მხოლოდ დასახული იყო, და აზრთა გაცვლა-გამოცვლა დელეგატებს შორის სრულიად თავისუფლად წარმოებდა; არავითარი «კედელი» ჩვენს შორის არ ყოფილა, და თვითეული ლაპარაკობდა ყოველ დელეგატთან, ვისთანაც კი ის მოისურვებდა კერძო ლაპარაკს. სრულიად არაფერია საკვირველი იმაში, რომ ამნაირ ვითარებაში ყოველგვარი კომბინაციებისა და სიების დროს გაჩნდა, «ისკრის» ორგანიზაციის უმ-

* — შემდგომ. რ ე დ.

ცირესობის სიასთან ერთად (პოპოვი, ტროცკი, ფომინი, გლებოვი და ტრავინსკი), მისგან არცთუ ბევრად განსხვავებული სია: პოპოვი, ტროცკი, ფომინი, შტეინი და ეგოროვი. კანდიდატთა ამნაირი კომბინაციის წარმოშობა უაღრესად ბუნებრივია, იმიტომ რომ ჩვენი კანდიდატები, გლებოვი და ტრავინსკი, აშკარად არ მოსწონდა «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობას (იხ. მათი წერილი § i-ის ტექსტში, სადაც ისინი სამეულიდან აძევებენ ტრავინსკის, გლებოვის შესახებ კი პირდაპირ ამბობენ, — ეს კომპრომისიაო). გლებოვისა და ტრავინსკის შეცვლა საორგანიზაციო კომიტეტის წევრებით — შტეინით და ეგოროვით, სრულიად ბუნებრივი იყო, და უცნაურიც იქნებოდა პარტიული უმცირესობის არც ერთს დელეგატს ასეთი შეცვლის იდეა რომ აზრად არ მოსვლოდა.

განვიხილოთ ახლა ორი შემდეგი საკითხი: 1) ვისგან გამომდინარეობდა სია: ეგოროვი, შტეინი, პოპოვი, ტროცკი, ფომინი? და 2) რატომ იყო ამხ. მარტოვი უაღრესად აღშფოთებული, რომ მას ასეთი სია მიაწერეს? პირველ კითხვაზე ზ უ ს ტ ი პასუხის გასაცემად საჭირო იქნებოდა ყრილობის ყველა დელეგატის დაკითხვა. ახლა ეს შეუძლებელია. საჭირო იქნებოდა განსაკუთრებით იმის გამორკვევა, პარტიული უმცირესობის რომელმა დელეგატებმა (პარტიული უმცირესობა არ უნდა ავურიოთ «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობაში) გაიგონეს ყრილობაზე იმ სიების შესახებ, რომელთაც «ისკრის» ორგანიზაციის გათიშვა გამოიწვიეს? როგორ შეხვდნენ ისინი «ისკრის» ორგანიზაციის უმრავლესობისა და უმცირესობის ორივე სიას? ხომ არ წამოუყენებიათ ან ხომ არ გაუგონიათ რაიმე ვარაუდი ან აზრი იმის შესახებ, რომ სასურველი ცვლილება ყოფილიყო შეტანილი «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობის სიაში? სამწუხაროდ, ეს საკითხები, ჩანს, არ წამოუყენებიათ არც სამედიატორო სასამართლოში, რომლისთვისაც (განაჩენის ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) გაურკვეველიც კი დარჩა, თუ რა «ხუთეულთა» გამო გაითიშა «ისკრის» ორგანიზაცია. მაგალითად, ამხ. ბელოვმა (რომელსაც მე «ცენტრს» ვაკუთვნებ) «აჩვენა: მე

კარგი ამხანაგური ურთიერთობა მქონდა დეიჩთან, რომელიც მიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს ყრილობის მუშაობის გამოო; დეიჩს რომ რაიმე აგიტაცია გაეწია ამა თუ იმ სიის სასარგებლოდ, მეც, ბელოვსაც, მეტყოდა ამის შესახებო». არ შეიძლება მწუხარება არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ გაურკვეველი დარჩა, — უზიარებდა თუ არა ყრილობაზე ამხ. დეიჩი ამხ. ბელოვს თავის შთაბეჭდილებებს «ისკრის» ორგანიზაციის სიების შესახებ? და თუ უზიარებდა, როგორ შეხვდა ამხ. ბელოვი «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობის ხუთკაციან სიას? ხომ არ წამოუყენებია წინადადება ან ხომ არა გაუგონია რა მასში რაიმე სასურველი ცვლილებების შეტანაზე? ამ გარემოების გაურკვევლობის გამო ამხ. ბელოვის და ამხ. დეიჩის ჩვენებებში ვღებულობთ იმ წინააღმდეგობას, რომელიც უკვე აღნიშნეს ამხ. გორინმა და ამხ. ლიადოვმა, სახელდობრ, რომ ამხ. დეიჩი, წინააღმდეგ თავისი მტკიცებისა, «აგიტაციას ეწეოდა ც. კ-ის ამა თუ იმ კანდიდატთა სასარგებლოდ», რომელნიც დასახული ჰყავდა «ისკრის» ორგანიზაციას. ამხ. ბელოვი აჩვენებს შემდეგ: «ყრილობაზე გავრცელებული სიის შესახებ მე გავიგე კერძო წყაროდან, ორი დღით წინ ყრილობის დამთავრებამდე, როცა ამხ. ეგოროვს, პოპოვსა და ხარკოვის კომიტეტის დელეგატებს შევხვდი. მასთან ეგოროვმა გაკვირვებაც კი გამოსთქვა იმის გამო, რომ მისი გვარი მოთავსებულია ც. კ-ის კანდიდატთა სიაში, რადგან მისი, ეგოროვის, აზრით, მის კანდიდატურას არ შეეძლო თანაგრძნობა გამოეწვია ყრილობის არც უმრავლესობის, არც უმცირესობის დელეგატთა შორის». მეტად დამახასიათებელია, რომ, როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია «ი ს კ რ ი ს» ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს უმცირესობაზე, რადგან პარტიული ყრილობის დანარჩენ უმცირესობაში საორგანიზაციო კ-ის წევრისა და «ცენტრის» გამოჩენილი ორატორის ამხ. ეგოროვის კანდიდატურას არათუ შეეძლო, არამედ, უეჭველად უნდა გამოეწვია კიდეც თანაგრძნობა. სამწუხაროდ, სწორედ პარტიული უმცირესობის იმ წევრთა თანაგრძნობის თუ არათანაგრძნობის შესახებ, რომელნიც

«ისკრის» ორგანიზაციას არ ეკუთვნოდნენ, ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ ამხ. ბელოვისაგან. ამავე დროს კი სწორედ ეს საკითხია მნიშვნელოვანი, ვინაიდან ამხ. დეიჩი აღშფოთებული იყო იმით, რომ ეს სია მიაწერეს «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობას, სია კი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ უმცირესობისა, რომელიც ამ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა!

რასაკვირველია, ამჟამად ძალიან ძნელია იმის გახსენება, თუ პირველად ვინ წამოაყენა აზრი კანდიდატების ასეთი კომბინაციის შესახებ და ვისგან გაიგო ეს თვითეულმა ჩვენგანმა. მე, მაგალითად, ვერ გამიხსენებია არათუ ეს, არამედ ისიც კი, თუ სახელდობრ ვინ წამოაყენა უმრავლესობიდან პირველად ჩემ მიერ მოხსენებული კანდიდატურები რუსოვისა, დედოვისა და სხვებისა: ბევრი ლაპარაკიდან, ვარაუდიდან, ხმებიდან კანდიდატთა ყოველგვარი კომბინაციის შესახებ მეხსიერებაში ჩამრჩა მხოლოდ ის «სიები», რომლებსაც პირდაპირ აყენებდნენ კენჭისსაყრელად «ისკრის» ორგანიზაციაში ან უმრავლესობის კერძო კრებებზე. ამ «სიებს» მეტწილად ზეპირად ავრცელებდნენ (ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციისადმი», გვ. 4, სტრიქონი 5 ქვევიდან, მე «სიას» ვუწოდებ სწორედ ჩემ მიერ კრებისთვის ზეპირად წარდგენილ ხუთი კანდიდატის კომბინაციას), მაგრამ კანდიდატებს ძალიან ხშირად სწერდნენ ცალკე ბარათებშიც, რომელთაც საერთოდ უგზავნიდნენ დელეგატები ერთმანეთს ყრილობის სხდომის დროს და სხდომის შემდეგ ჩვეულებრივ სპობდნენ.

რაკი ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება ამ ყბადაღებული სიის წარმოშობაზე, დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ან «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობისთვის უცნობმა პარტიული უმცირესობის დელეგატმა დაუჭირა მხარი კანდიდატების იმგვარ კომბინაციას, რომელიც ამ სიაში გვაქვს, და ეს კომბინაცია, ზეპირად და წერილობითი სახით გავრცელდა ყრილობაზე; ან ამ კომბინაციას ყრილობაზე მხარი დაუჭირა «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობის რომელიმე წევრმა, და შემდეგ მას დაავიწყდა ეს. უფრო შესაძლებლად

მეორე აზრი-მიმაჩნია, და აი რატომ: ამხ. შტეინის კანდიდატურას, უეჭველად, ჯერ კიდევ ყრილობაზე ხვდებოდა თანაგრძნობით «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობა (იხ. ჩემი ბროშურის ტექსტი), ამხ. ეგოროვის კანდიდატურის იდეა კი ამ უმცირესობას, უეჭველია, დაებადა ყრილობის შემდეგ (ვინაიდან ლიგის ყრილობაზეც და «საალყო წესებშიც» გამოთქმულია მწუხარება ცენტრალური კომიტეტის მიერ საორგანიზაციო კომიტეტის დაუმტკიცებლობის გამო, ამხ. ეგოროვი კი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი იყო). განა ბუნებრივი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ ეს აშკარად ხმაგავარდნილი იდეა საორგანიზაციო კ-ის წევრების ც. კ-ის წევრებად გადაქცევისა გამოსთქვა უმცირესობის რომელიმე წევრმა კერძო ლაპარაკში და პარტიის ყრილობაზე?

მაგრამ ამხ. მარტოვი და ამხ. დეიჩი, ნაცვლად ბუნებრივი ახსნისა, მზად არიან დაინახონ უეჭველად რაღაც სიბინძური, ვერაგობა, რაღაც უსინდისობა, გავრცელება «აშკარად ყალბი ხმებისა იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხონ», დაინახონ «სიყალბის ჩადენა ფრაქციული ბრძოლის გულისთვის» და სხვ. ეს ავადმყოფური მისწრაფება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ემიგრანტული ცხოვრების არაჯანსაღი პირობებით ან ნერვების არანორმალური მდგომარეობით, და მე არც კი შევჩერდებოდი ამ საკითხზე, საქმე რომ არ მისულიყო ამხანაგის სახელის უღირსად შელახვამდე. ერთი ჩაუფიქრდით მხოლოდ: რა საბუთი შეიძლებოდა ჰქონოდათ ამხ. დეიჩსა და ამხ. მარტოვს ბინძური, ცუდი განზრახვა ეძებნათ არასწორ ცნობაში, არასწორ ხმებში? მათმა ავადმყოფურმა წარმოდგენამ მათ, ცხადია, ისეთი სურათი დაუხატა, რომ უმრავლესობა «სახელს უტეხდა» მათ არა უმცირესობის პოლიტიკურ შეცდომაზე მითითებით (§ 1 და კოალიცია ოპორტუნისტებთან), არამედ უმცირესობისთვის «აშკარად ყალბი», «ყალბად შედგენილი» სიების მიწერით. უმცირესობამ უმჯობესად მიიჩნია საქმის ვითარება აეხსნა არა თავისი შეცდომით, არა-

მედ უმრავლესობის ბინძური, უპატიოსნო, სამარცხვინო ხერხებით! თუ რამდენად უაზროა ცუდი განზრახვის ძებნა «არასწორ ცნობაში», ეს ჩვენ ზემოთ უკვე ცხადვყავით, როცა საქმის ვითარება დავასურათეთ; ეს ნათლად დაინახა საამხანაგო სამედიატორო სასამართლომაც, რომელსაც არავითარი ცილისწამება, არავითარი ბოროტი განზრახვა, არაფერი სამარცხვინო არ აღუნიშნავს. ეს, ბოლოს, ყველაზე თვალსაჩინოდ მტკიცდება იმ ფაქტით, რომ უკვე პარტიის ყრილობაზე, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობა განმარტებას აძლევდა უმრავლესობას არასწორი ხმების შესახებ, ხოლო ამხ. მარტოვი განმარტებასაც კი იძლეოდა იმ წერილში, რომელიც წაიკითხეს უმრავლესობის ყველა 24 დელეგატის კრებაზე! უმრავლესობას არც უფიქრნია დაეფარა «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობისთვის, ყრილობაზე ასეთი და ასეთი სია ვრცელდებაო: ამხ. ლენსკიმ ეს უთხრა ამხ. დეიჩს (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება), ამხ. პლეხანოვმა კი ეს უთხრა ამხ. ზასულიჩს («მასთან შეუძლებელია ლაპარაკი, მგონი ის ტრეპოვად მთვლის», — მითხრა მე ამხ. პლეხანოვმა და ეს ბევრჯერ განმეორებული ხუმრობა ერთხელ კიდევ მოწმობს უმცირესობის არანორმალურ აღელვებას); მე განვუცხადე ამხ. მარტოვს, რომ მისი მტკიცება (სია მე, მარტოვს, არ მეკუთვნისო) ჩემთვის საკმარისია (ლიგის ოქმები, გვ. 64). მაშინ ამხ. მარტოვმა (როგორც მახსოვს, ამხ. სტაროვერთან ერთად) ბიუროში გამოგვიგზავნა დაახლოებით შემდეგი შინაარსის ბარათი: ««ისკრის» რედაქციის უმრავლესობა გთხოვთ დაუშვათ ის უმრავლესობის კერძო კრებაზე იმ სახელგამტეხი ხმების უარსაყოფად, რაც მის წინააღმდეგ ვრცელდება». მე და პლეხანოვმა ამავე ბარათზე წავაწერეთ ასეთი პასუხი: «არავითარი სახელგამტეხი ხმები ჩვენ არ გაგვიგონია. თუ საჭიროა რედაქციის კრება, ამის შესახებ ცალკე უნდა შევთანხმდეთ. ლენინი. პლეხანოვი». როცა საღამოს უმრავლესობის კრებაზე მივედით, ეს ამბავი ვუთხარით ყველა 24 დელეგატს. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

გადაწყდა ერთად აგვერჩია დელეგატები ყველა 24-საგან და ეს დელეგატები გაგვეგზავნა ამხ. მარტოვსა და ამხ. სტაროვერთან ახსნა-განმარტებისათვის. არჩეული დელეგატები, ამხ. სოროკინი და ამხ. საბლინა, წავიდნენ და განუმარტეს, რომ არავინ სპეციალურად მარტოვს ან სტაროვერს სიას არ მიაწერს, განსაკუთრებით მათი განცხადების შემდეგ და რომ სრულიადაც მნიშვნელოვანი არაა, «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობისაგან გამომდინარეობს ასე თუ ისე ეს სია, თუ ყრილობის იმ უმცირესობისაგან, რომელიც ამ ორგანიზაციას არ ეკუთვნის. მართლაცდა, გამოძიება ხომ არ უნდა მოგვეხდინა ყრილობაზე! ყველა დელეგატს ხომ ვერ გამოვკითხავდით ასეთი სიის ამბავს! მაგრამ ამხ. მარტოვმა და ამხ. სტაროვერმა, ამას გარდა, კიდევ მოგვწერეს ფორმალური უარყოფის წერილი (იხ. § i). ეს წერილი ჩვენმა რწმუნებულებმა, ამხ. სოროკინმა და ამხ. საბლინამ, წაიკითხეს 24-ის კრებაზე. თითქოს, ინციდენტი დამთავრებულად უნდა ჩაგვეთვალა, — დამთავრებულად არა იმის ძიების მხრივ, თუ საიდან წარმოსდგა სია (თუ კი ეს ვისმე აინტერესებს), არამედ იმ მხრივ, რომ სრულიად უკუგდებული ყოფილიყო ყოველგვარი აზრი «უმცირესობისთვის ზიანის მიყენების» ან ვისიმე «სახელის გატეხის», ანდა «ფრაქციული ბრძოლის გულისთვის» სიყალბის გამოყენების რაიმე განზრახვისა. მიუხედავად ამისა ამხ. მარტოვს ლიგაში (გვ. 63 — 64) ხელახლა გამოაქვს ეს ავადმყოფური წარმოდგენის ნაცოდვილარი სიბინძურე და იძლევა მთელ რიგ ა რ ა ს წ ო რ ც ნ ო ბ ე ბ ს (ცხადია, იმის გამო, რომ თვითონ აღელვებულია). ის ამბობდა, სიაში ბუნდელი იყოო. ეს სწორი არ არის. ყველა მოწმე სამედიატორო სასამართლოში, მათ შორის ამხ. შტეინიც და ამხ. ბელოვიც, ადასტურებენ, რომ სიაში იყო ამხ. ეგოროვი. ამხ. მარტოვი ამბობდა, სია ნიშნავდა კოალიციას პირდაპირი შეთანხმების აზრითო. ეს სწორი არ არის, როგორც მე უკვე განვმარტე. ამხ. მარტოვი ამბობს, სხვა სიები, გამომდინარე «ისკრის» ორგანიზაციის უმცირესობისაგან (ისეთები, რომელთა გამოც შესაძლებელი ყოფილიყოს ამ უმცირესობას

ჩამოშორებოდა ყრილობის უმრავლესობა), «მომზადებულიც კი არ ყოფილაო». ეს სწორი არ არის, ვინაიდან პარტიული ყრილობის მთელი უმრავლესობა იცნობდა არანაკლებ სამ სიას, რომლებიც ამხ. მარტოვისა და კომპანიისაგან გამოდიოდა და უმრავლესობამ არ მოიწონა (იხ. ლიადოვისა და გორინის ფურცელი).

საერთოდ რატომ აღშფოთებდა ასე ეს სია ამხ. მარტოვს? იმიტომ, რომ სია ნიშნავდა პარტიის მემარჯვენე ფრთისაკენ შეტრიალებას. მაშინ ამხ. მარტოვი ჰგოდებდა «ოპორტუნიზმის ყალბი ბრალდების» გამო, აღშფოთებული იყო «მისი პოლიტიკური პოზიციის არასწორი დახასიათებით», ახლა კი ყველა და თვითეული ხედავს, რომ ცნობილი სიის ამხ. მარტოვისა და ამხ. დეიჩისათვის მიკუთვნების საკითხს არავითარი პოლიტიკური როლის შესრულება არ შეეძლო, რომ ა რ ს ე ბ ი თ ა დ, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ რ ო გ ო რ ც ა მ, ი ს ე ს ხ ვ ა რ ო მ ე ლ ი მ ე ს ი ი ს ა, ბრალდება ყალბი კი არა, ნამდვილი იყო, პოლიტიკური პოზიციის დახასიათება სრულიად სწორი იყო.

შედეგი ამ მძიმე, ნაცოდვილარი საქმისა ყბადაღებული ყალბი სიის შესახებ ამნაირია:

1) ამხ. მარტოვის მხრივ ამხ. გუსევის პატიოსნების შებღალვის ცდას ყვირილით «ფრაქციული ბრძოლის გულისთვის ყალბი სიის შედგენის სამარცხვინო ფაქტის» შესახებ არ შეიძლება, ამხ. გორინთან და ამხ. ლიადოვთან ერთად, უღირსი არ ვუწოდოთ.

2) ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად და პარტიის წევრების იმ მოვალეობისაგან განსათავისუფლებლად, რომ სერიოზულად მიიჩნიონ ყოველგვარი ავადმყოფური საქციელი, იქნებ, საჭირო იყოს მესამე ყრილობაზე შემოვიღოთ ისეთი წესი, რომელიც არის გერმანიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის საორგანიზაციო წესდებაში. ამ წესდების მე-2 პარაგრაფში ნათქვამია: «პარტიას არ შეიძლება ეკუთვნოდეს ის, ვინც დამნაშავეა პარტიული პროგრამის პრინციპების უხეშად დარღვევაში ან უპატიოსნო საქციელში. პარტიაში დარჩენის

საკითხს სწყვეტს სამედიატორო სასამართლო, რომელსაც იწვევს პარტიული გამგეობა. მოსამართლეთა ნახევარს ნიშნავს ის, ვინც გარიცხვის წინადადებას აყენებს, მეორე ნახევარს — ის, ვისი გარიცხვაც სურთ, თავმჯდომარეს კი ნიშნავს პარტიის გამგეობა. სამედიატორო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება შეიძლება საკონტროლო კომისიაში ან პარტიულ ყრილობაზე». ამნაირი წესი ბრძოლის კარგ იარაღად შეიძლება გამოდგეს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოუფიქრებლად ისვრის ბრალდებას (ან ავრცელებს ხმებს) რაიმე უპატიოსნობის შესახებ. ამნაირი წესის არსებობისას ყველა ასეთი ბრალდება ერთხელ და სამუდამოდ მიჩნეული იქნებოდა უღირს ჭორად, სანამ ის, ვინც ბრალს სდებს, არ გამოიჩენს ზნეობრივ გამბედაობას — პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე გამოვიდეს ბრალმდებლის როლში და შეეცადოს განაჩენი გამოიტანოს სათანადო პარტიულმა დაწესებულებამ.

———

წერილი ც. კ-ის წევრებს

ძვირფასო მეგობრებო! ბორისმა გადმომცა, რომ ც. კ-ის ხუთმა წევრმა (მან, ლოშადმა, ვალენტინმა, მიტროფანმა [ნუ] და ტრავინსკიმ) გამკიცხა ხმის მიცემისთვის საბჭოში ყრილობის სასარგებლოდ და ჩემი აგიტაციისთვის ყრილობის სასარგებლოდვე. მე გთხოვთ თვითეულს ამ ხუთიდან დამიდასტუროთ ეს ფაქტი ან განმიმარტოთ იგი, ვინაიდან ვერ მიმხვდარვარ, რ ო გ ო რ შეიძლება გაჰკიცხო კოლეგიის წევრი იმისთვის, რაც მან ჩაიდინა თავისი უფლებისა და მოვალეობისამებრ. შეიძლება არ დაეთანხმო მას, შეიძლება გაიწვიო ის საბჭოდან, მაგრამ «გაკიცხვა» საოცარია, ვინაიდან სანამ საბჭოში ვიყავი, ა რ შ ე მ ე ძ ლ ო ხმა ა რ მიმეცა ჩემი რწმენის მიხედვით. ასევე პარტიის ყოველ წევრს და ც. კ-ის ყოველ წევრს აქვს უფლება აგიტაცია გასწიოს ყრილობის სასარგებლოდ, ასე რომ კოლეგიის რწმუნებას წევრის მიმართ (არც ფორმალურად და ა რ ც ფ ო რ ა ლ უ რ ა დ) არ შეუძლია ეს უფლება შეუზღუდოს რომელიმე ჩვენთაგანს. მე ვალდებული ვარ მხოლოდ განვაცხადო, რომ ც. კ-ის ნახევარი თუ ნახევარზე მეტიც ყრილობის წინააღმდეგია.

რაც შეეხება საბჭოს, საქმე ახლა ასე მოეწყო: ბორისი დანიშნულია (ხუთი ხმით, როგორც ის ამბობს) კოლას მაგივრად. ჩემი გადადგომა (როგორც ის ამბობს) არ არის მიღებული. მე უკან მიმაქვს ჩემი გადადგომა და საბჭოში ვრჩები. ამ მხრივ კონფლიქტი მოგვარებულია, და მე გთხოვთ მხოლოდ განმარტებას «გაკიცხვის» გამო.

მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი კონფლიქტი: ბორისმა განმიცხადა, შეუძლებლად მიმაჩნია

ც. კ-ში დარჩენა, თუ შენ (1) არ შესწყვეტ აგიტაციას ყრილობის სასარგებლოდ და (2) წინააღმდეგობას არ გაუწევ ყრილობასო. რასაკვირველია, მე არცერთი შემიძლია ჩავიდინო და არც მეორე; ამიტომ ბორისს ვუპასუხე, ც. კ-ელ ყ ვ ე ლ ა კოლეგასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მ ო გ ც ე მ პ ა ს უ ხ ს იმაზე, გავდივარ თუ არა მ ე ც. კ-დან-მეთქი. ამ კონფლიქტის გამო, რამაც შესაძლოა ერთ-ერთი ჩვენგანის (ანდა ც. კ-ის ორი ნაწილიდან ერთ-ერთის) გადადგომა გამოიწვიოს, უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია საფუძვლიანი ახსნა-განმარტება, აუჩქარებლად და საქმის ვითარების ცოდნით. მე დიდი პრეტენზია მაქვს ბორისის მიმართ იმის გამო, რომ მან ისე წამოაყენა თავისი «ულტიმატუმი», რომ არც ს ა ბ ჭ ო ს ო ქ მ ე ბ ი (მეტად მნიშვნელოვანი!) წაუკითხავს და არც ჩემი ბროშურა *, სადაც მე ვარკვევ ჩემს პ რ ი ნ ც ი-პ უ ლ პოზიციას. განა გონივრულია კონფლიქტის გამწვავება ისე, რომ არ გაერკვე მეტად რთულ საკითხში?? განა გონივრულია მისი გამწვავება, როცა ძ ი რ ი თ ა დ ა დ ჩვენ სოლიდარულნი ვართ (ყოველ შემთხვევაში, ის დეკლარაცია ც. კ-ის სახელით, რომელიც ვალენტინმა დაწერა და ჩვენ გამოგვიგზავნეს, მაგრამ ჩვენამდე ა რ მ ო უ ღ წ ე ვ ი ა, და რომლის შესახებაც ბორისმა მიამბო, ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენს საერთო პრინციპულ პოზიციას ორგანიზაციულ საკითხში, უმცირესობის ოპორტუნისტული პოზიციისაგან განსხვავებით)? თვით ყრილობის შესახებაც ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით მხოლოდ ვადის საკითხში, ვინაიდან ბორისი სრულიადაც არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ყრილობა მოვიწვიოთ ნახევარი წლით — ერთი წლით უფრო გვიან. შეხედეთ, რა გამოდის: კანონით ყრილობა უნდა შესდგეს მომავალ ზაფხულს; ჩემის ფიქრით, უ კ ე თ ე ს შემთხვევაში, ჩვენი აგიტაციის სრული წარმატების შემთხვევაში, მისი მოწვევა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ნახევარ წელზე უფრო ადრე, ხოლო შესაძლებელია უფრო შორსაც გადაიდოს. თურმე, ჩვენი

* იხ. ეს ტომი, გვ. 239 — 530. რ ე დ.

«უთანხმოების» საგანი მომენტის განსაზღვრა ყოფილა! გონივრულია განა ამის გამო უთანხმოების ჩამოგდება? შეხედეთ საქმის ვითარებას წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით: ბორისი ამბობს, აგიტაცია ყრილობის სასარგებლოდ შეუთავსებელია დადებითი მუშაობის განმტკიცებასთან და პირველი ვნებს მეორესო. მე არ ვიზიარებ ამ შეუთავსებლობის აზრს, მაგრამ დავუშვათ, რომ ბორისი მართალია. დავუშვათ, მან მიაღწია იმას, რომ ც. კ-დან გავიდნენ ისინი, ვინც მას არ ეთანხმება ამ საკითხში. რა შედეგი მოჰყვება ამას? უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, აგიტაციის საშინლად გამწვავება, უმრავლესობის ურთიერთობის გამწვავება ც. კ-თან, ბორისსაც გაუმწვავდება საქმე მისთვის არასასიამოვნო მუშაობის მხრივ ყრილობის საწინააღმდეგოდ. რა ანგარიშია საქმის ასე გამწვავება? ბორისი ამბობს, ყრილობის წინააღმდეგი ვარ, ვინაიდან ყრილობა გათიშვას ნიშნავსო. მე კი ვფიქრობ, ბორისი აქ სწორად ვერ ითვალისწინებს ახლანდელ და ხვალინდელ სიტუაციას, მაგრამ ბორისი მართალიც რომ იყოს, როგორც კი მიაღწევს იმას, რომ ჩვენ ც. კ-დან გავალთ, ამით ის საშინლად გ ა ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს გათიშვის შესაძლებლობას, სახელდობრ იმით, რომ უსათუოდ გაამწვავებს სიტუაციას. კონფლიქტის გამწვავება ც. კ-ის შიგნით ყოველ მხრივ უანგარიშობაა.

არსებითად, ბორისს ჩვენ არ ვეთანხმებით მ ხ ო ლ ო დ იმაში, რომ მას გათიშვა შე-3 ყრილობაზე გარდუვალად მიაჩნია, მე კი წარმოუდგენლად. ჩვენ ორივენი ვფიქრობთ, რომ მე-3 ყრილობაზე უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იქნება. ბორისი ფიქრობს, უმცირესობა პარტიიდან გავაო: ვერც ჩვენ, ვერც მარტოვი ვერ შევაკავებთ უკიდურესებსო. მე კი ვფიქრობ, რომ ბორისი ვერ ითვალისწინებს სიტუაციის სწრაფ ევოლუციას; ეს სიტუაცია დღეს ის აღარაა, რაც გუშინ იყო, ხოლო ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღესაა. ბორისი დგას გუშინდელი სიტუაციის ნიადაგზე (როცა კინკლაობა უკანა რიგში აყენებდა პრინციპებს, როცა შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა შერბილების, მიჩქმალვის, პირად დათმობათა წარმატების იმედი

გვქონოდა). ამ სიტუაციამ განვლო, როგორც საფუძვლიანად ვამტკიცებ ჩემს ბროშურაში და როგორც ამას ამტკიცებს საყოველთაო უკმაყოფილება ახალი «ისკრით» (უკმაყოფილება თვით ესოდენ ლმობიერი ხალხისაც კი, როგორიცაა ც. კ-თან არსებული ლიტერატურული ჯგუფი რუსეთში). დღევანდელი სიტუაცია უკვე სულ სხვაა: პრინციპები სძლევენ კინკლაობას. საქმე უკვე კოოპტაცია როდია, სრულიადაც არა. საქმე ისაა, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ მ ა რ თ ა ლ ი ა თუ ა რ ა ა ხ ა ლ ი «ი ს კ რ ა»? სწორედ ახალი «ისკრის» პრინციპული პოზიციით უკმაყოფილება, რაც უცილობლად სულ უფრო და უფრო გაიზრდება, იწვევს აგიტაციის გაძლიერებას ყრილობის სასარგებლოდ. ამ გარემოებას სათანადოდ ვერ აფასებს ბორისი. ხვალინდელი სიტუაცია კიდევ უფრო უკან დასწევს კინკლაობას. ერთი მხრივ, უმცირესობაც მორალურად და პოლიტიკურად ვერ შესძლებს წასვლას (გ ა შ ვ ე ბ უ ლ ი ა საამისო მომენტი, რომელიც იყო ლიგის ყრილობის შემდეგ). მეორე მხრით, როგორც მე უ კ ვ ე განვაცხადე ს ა ბ ჭ ო შ ი (ერთხელ კიდევ გთხოვთ ყველას უსათუოდ წაიკითხოთ საბჭოს ოქმები, ვიდრე შეუდგებოდეთ მძიმე საკითხის გადაჭრას), ჩვენ სრულიადაც არა ვართ მორიგების წინააღმდეგნი. მე ვეუბნები ყველას და თვითეულს, რომ პირადად მე უ ც ი ლ ო ბ ლ ა დ მზადა ვარ (1) გარანტია მივცეთ ყველა ძველ რედაქტორს, რომ ყველაფერს გამოვცემთ პარტიის ხარჯზე, რასაც კი ისინი დაწერენ, უცვლელად და უშენიშვნებოდ; (2) შევაჩეროთ მე-4 ყრილობამდე ც. კ-ის უფლება — შეიყვანოს და გარიცხოს ადგილობრივი კომიტეტების წევრები; (3) საგანგებო რეზოლუციით გარანტია მივცეთ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს შევუნარჩუნოთ განსაკუთრებით მტკივნეული უფლებები და (4) პ ი რ ო ბ ი თ ა დ, უ კ ი დ უ რ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, — გავხადოთ «ისკრა» ნეიტრალური, მოვსპოთ მასში ორმხრივი პოლემიკა (ორივე მხარის პრაქტიკოსებისაგან შემდგარი კომისიის საშუალებით და სხვ.). მე ვფიქრობ, მე-3 ყრილობის უმცირესობა, როგორც პატარა უმცირესობა, ვერ შესძლებს ასეთი სიტუაციის დროს

ყრილობიდან წასვლას. მე ვფიქრობ, მე-3 ყრილობაზე ჩვენ საბოლოოდ გავფანტავთ, ფორმალური გადაწყვეტილებებით გავფანტავთ «საალყო წესების» მირაჟს და მივაღწევთ იმას, რათა დავა წარმოებდეს ისე, რომ ხელი აღარ შეუშალოს დადებითს მუშაობას. კრიზისის დედააზრიც ხომ ესაა! ამის მიღწევას ვცდილობდი მე საბჭოში, უსათუოდ ამასვე დაუჭერს მხარს ყრილობის $^{8}/_{10}$! მე მშვენივრად ვიცი, რომ ამის მიღწევა სწადია ბორისსაც, მაგრამ უყრილობოდ ამის მიღწევა შეუძლებელია. ბორისი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ჩვენ დავიწყეთ შეტევა (აგიტაციით ყრილობის სასარგებლოდ) და რომ უმცირესობა გაღიზიანებულია ამით. პირიქით: მხოლოდ მთელი რიგი წერილებისა და მოწოდებების შემდეგ საბჭომდე და საბჭოში ჩვენ ვილაპარაკეთ ყრილობის სასარგებლოდ, და მხოლოდ აგიტაციით ცხადვყავით რაოდენადმე ჩვენი ძალა. ვისაც არ სურს სასაცილო (კიდევ კარგი, თუ მხოლოდ სასაცილო!) მდგომარეობაში ჩავარდეს, მსგავსად პლეხანოვისა (წაიკითხეთ ფელეტონი № 65-ში), მან აშკარად და პირდაპირ უნდა დაიკავოს პოზიცია ბრძოლაში. აგიტაციას ყრილობის სასარგებლოდ ახლა ვერაფრით ვერ შეაჩერებ. უნდა შევხვდეთ მას შეწყნარებით, თუ გნებავთ, ნეიტრალურად, და მაშინ იგი ვერ შეუშლის ხელს დადებითს მუშაობას. ამ აგიტაციის წინააღმდეგ გაცხარება უსარგებლოა.

დაბეჯითებით გთხოვთ თვითეულ ც. კ-ელს მიპასუხოთ. ჩვენ უსათუოდ უნდა შევთანხმდეთ და გავერკვეთ საქმის ვითარებაში, რათა ვიმუშაოთ ერთად ისეთ პირობებში, როცა შესაძლოა ზოგიერთი უთანხმოება გვქონდეს, მაგრამ კონფლიქტები არ მოგვიხდეს და ერთმანეთის გაძევება საჭირო არ იყოს.

დაწერილია 1904 წ. 13 (26) მაისს

დაიბეჭდა ზოგიერთი ცვლილებით 1904 წელს ბროშურაში: ნ. შახოვი. «ბრძოლა ყრილობისათვის», ჟენევა

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ც. კ-ის სამი წევრის განცხადება

ც. კ-ის სამმა წევრმა, გლებოვმა, ზვერევმა[87] და ლენინმა, განიხილეს ც. კ-ის შიგნით არსებული უთანხმოებანი და მივიდნენ შემდეგ დასკვნებამდე, რომლებიც უნდა ეცნობოს ც. კ-ის ყველა წევრს:

1) უთანხმოება დაიწყო ყრილობის მოწვევის საკითხით. მას შემდეგ, რაც ლენინმა და ვასილიევმა პარტიის საბჭოში მოითხოვეს ყრილობის მოწვევა, ც. კ-ის უმრავლესობამ (ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ, მასთან ტრავინსკის ხმა გადაცემული ჰქონდა ამხ. გლებოვს) გაილაშქრა ყრილობის წინააღმდეგ. მაშინ ლენინმა და ვასილიევმა განაცხადეს, დროებით გავდივართ საბჭოდანო. ამჟამად ეს კონფლიქტი მოგვარებულია იმგვარად *, რომ ც. კ-სგან საბჭოს წევრებად ითვლებიან გლებოვი და ლენინი.

2) ამხ. გლებოვმა განუცხადა ამხ. ლენინს, მე, გლებოვი, გავდივარ ც. კ-დან, თუ ლენინი ხელს არ აიღებს აგიტაციაზე (ც. კ-ის გარეთ) ყრილობის სასარგებლოდ და წინააღმდეგობას არ გაუწევს ყრილობასო. ლენინი საკითხის ამგვარად დაყენებას უმართებულოდ და პრინციპულად დაუშვებლად სთვლის და აცხადებს, შევეკითხები ც. კ-ის ყველა წევრს თვითეულად და მაშინ მოგცემთ პასუხს, რომელიც შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, გავდივარ მე, ლენინი, ც. კ-დან თუ არაო. (ის, რაც ლენინს ეხება, ამხ. გლებოვის თვალსაზრისით ეხება აგრეთვე ც. კ-ის ყველა იმ წევრს, რომლებიც ლენინს ეთანხმებიან).

---

* იხ. ამის შესახებ ლენინის წერილი, მოწონებული ამხ. გლებოვის მიერ, რომელიც თან ერთვის. (იხ. ეს ტომი, გვ. 531 — 535. რედ.).

3) ამჟამად ც. კ-ის შიგნით არსებული უთანხმოების ზუსტად დასახასიათებლად აუცილებელია იმის დადგენა, რომ ამხ. ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი და ამხ. ნ ი კ ი ტ ი ჩ ი[48] მათ მიერ მარტში დაწერილ და ამხ. გ ლ ე ბ ო ვ ი ს მიერ მოწონებულ დეკლარაციაში აცხადებდნენ: 1) რომ ისინი გადაჭრით წინააღმდეგნი არიან კოოპტაციისა უმცირესობის მოთხოვნით; 2) რომ ისინი იზიარებენ იმ ორგანიზაციულ შეხედულებებს, რომლებიც გადმოცემულია ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» და 3) რომ ისინი, ან ყოველ შემთხვევაში ორი მათგანი, არ იწონებენ ზოგიერთი პარტიული მწერლის ოპორტუნისტულ პოზიციას. ყრილობის შესახებ კი ამხ. გლებოვი დარწმუნებულია, რომ 1) უთანხმოება ამ საკითხში ორჭოფულ პოლიტიკას ჰქმნის ც. კ-ში და 2) ყრილობას შეუძლია გათიშვამდე მიგვიყვანოსო. მას არ სურს პასუხისმგებლობა იკისროს ამისათვის და აცხადებს კიდეც, აუცილებელია ც. კ-დან ჩემი გამოსვლაო. ლენინი კი ფიქრობს, რომ ც. კ., როგორც ანგარიშვალდებული კოლეგია, ნეიტრალური უნდა იყოს ყრილობის საკითხში და აგიტაციის თავისუფლება უნდა მისცეს ყველა თავის წევრსო. გათიშვა კი წარმოუდგენელია, ვინაიდან უმრავლესობას პრინციპულად დასაშვებად მიაჩნია მორიგება ყრილობაზე, თუნდაც ამისათვის «ისკრის» ნეიტრალიზაციაც გახდეს საჭირო.

4) სანამ აღნიშნული კონფლიქტი მოგვარდებოდეს, ამხ. გ ლ ე ბ ო ვ ი და ამხ. ლენინი ოფიციალურად და მთელი თავისი მოქმედების დროს გამოდიან ც. კ-ის სახელით მხოლოდ საერთო თანხმობით და ერთად ხელმოწერით.

ც. კ-ის წევრები გ ლ ე ბ ო ვ ი
ზ ვ ე რ ე ვ ი
ლ ე ნ ი ნ ი

ჟენევა, 1904 წ. 26 მაისი

დაიბეჭდა ზოგიერთი ცვლილებით 1904 წელს ბროშურაში: ნ. შ ა ხ ო ვ ი. «ბრძოლა ყრილობისათვის», ჟენევა

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პარტიისადმი

მიმართვის გეგმა

I. პასუხი ჭორებზე ბონაპარტიზმის შესახებ. მიქარვაა. პასუხის გაცემა ღირსების დამცირებაა. ყრილობის მოწვევისათვის აგიტაციის თავისუფლება. ცენტრალური კომიტეტი, **qua talis** *, ც. ო-საგან განსხვავებით, თავის აზრს არ გამოსთქვამს.

უნდა გადასწყვიტონ კომიტეტებმა, და ც. კ. მოუწოდებს მათ მშვიდად, ფრთხილად ასწონ-დასწონონ **pro** და **contra's** **, მოუსმინონ ორივე მხარეს, გაეცნონ დოკუმენტებს, აუჩქარებლად, თავიანთ პარტიულ მოვალეობათა შეგნებით.

II. მოწოდება დადებითი მუშაობისაკენ. მომენტის მნიშვნელობა: ომი. ც. კ-ის დელეგატების მოწოდება საბჭოში ***. **Repetitio** ****. იდეურმა ბრძოლამ ხელი არ უნდა შეუშალოს დადებითს მუშაობას. ბრძოლის დაუშვებელი ფორმები. არ უნდა გავაზვიადოთ უთანხმოებანი და აზრთა სხვადასხვაობა.

III. წესიერი ურთიერთობის თანდათანობით მოგვარების ცდა (კარლ კაუტსკის მოწოდება [89]).

ცენტრალური კომიტეტი აყენებს პირობებს **modus vivendi**-ს ***** შესახებ.

(1) ყველა ნ-ს მიენიჭოს უფლება პარტიის შესახებ ყველაფრის გამოცემისა.

---

* — როგორც ასეთი. რ ე დ.

** — სასარგებლოდ და წინააღმდეგ. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, გვ. 167 — 170. რ ე დ.

**** — განმეორება. რ ე დ.

***** — მოქმედების წესი. რ ე დ.

(2) **idem** * — ლიტერატურულ ჯგუფს ყრილობაზე წარმომადგენლობასთან ერთად.

(3) წევრთა შეყვანისა და გარიცხვის ხანგრძლივი პერიოდით შეჩერება.

(4) უმცირესობის ზოგიერთი უფლების გარანტია ხანგრძლივი პერიოდით.

(5) ყ ვ ე ლ ა პარტიული გამოცემის კომიტეტის სურვილის მიხედვით განაწილებისა და მიწოდების გარანტია.

(6) დროებითი ზავი ½ წლით მაინც; ფინალი — 16-გვერდიანი ბროშურა სანახევროდ. უკანასკნელი სიტყვა უმცირესობას.

დაწერილია 1904 წ. 15 (28) მაისზე
უფრო გვიან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ საბჭო

1904 წლის 31 მაისი (13 ივნისი)

და 5 (18) ივნისი [90]

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება საბჭოს ოქმების ტექსტის
მიხედვით

1

სიტყვები პარტიათაშორისო კონფერენციის შესახებ

31 მაისს (13 ივნისს)

I

მოისურვებს თუ არა საბჭო **PPS**-ის * წინადადების წაკითხვას? (პლეხანოვი: «დიახ, ეს სასურველია».) «პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ყოველთვის აუცილებლად მიაჩნდა მჭიდრო დაახლოება პოლონეთისა და რუსეთის სოციალისტურ ბანაკებს შორის საერთო მტერთან — ცარიზმთან უფრო წარმატებითი ბრძოლისათვის. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი დაახლოების განხორციელება შეუძლებელი იყო, რაც მთელ რიგ უხერხულობას ჰბადებდა ორივე მხარის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ამის გამო ჩვენ სიხარულით მივესალმებით რსდმპ-ის აღდგენას როგორც შემჭიდროებული მთელისას, მისი ყოველგვარი მოღვაწეობისათვის პასუხისმგებელი ცენტრალური დაწესებულებებით, რადგან ეს შესაძლებლობას გვაძლევს პირველი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენს მიერ დიდი ხნის წინათ დასახული მიზნის განხორციელების გზაზე. ჩვენთვის ცხადია, რომ თქვენსა და ჩვენს შორის სწორი კავშირურთიერთობის ხანგრძლივმა უქონლობამ წარმოშვა მთელი რიგი ურთიერთგაუგებრობანი და უხერხულობანი, რაც მოსპობილ და გამოსწორებულ უნდა იქნას მანამდე, ვიდრე შევუდგებოდეთ სასურველი შეთანხმების საბოლოო რეგლამენტაციას.

---

* — PPS — პოლონეთის სოციალისტური პარტია. რ ე დ.

ამიტომ ჩვენმა ცენტრალურმა მუშა კომიტეტმა გადაწყვიტა მოგმართოთ წინადადებით — უახლოეს მომავალში საზღვარგარეთ მოწვეულ იქნას კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ თქვენი პარტიის დელეგატები, რათა ჩვენს სამ დელეგატთან ერთად განიხილონ ორივე პარტიის ერთობლივი ბრძოლის საფუძვლები და პირობები. ამ კონფერენციის შედეგები შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მომავალ შეთანხმებას რსდმპ-ისა და პპს-ის სათანადო ინსტანციებს შორის. — რაც შეიძლება სწრაფი პასუხის მოლოდინში და სხვ.»

ამ წერილის პასუხად ც. კ-მა მიმართა PPS-ს თხოვნით — უფრო დაწვრილებით ეცნობებინათ, თუ როგორი კონფერენციის მოწვევას ვარაუდობს PPS, სახელდობრ რომელ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, როდის და სად. გარდა ამისა, იგი სთხოვდა ეცნობებინათ, როგორ შეხვდებოდა PPS პოლონელ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციაში მონაწილეობას.

PPS-მა შემდეგი წერილით გვიპასუხა:

«პატივცემულო ამხანაგებო! ჩვენ ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა თქვენმა წერილმა, ვინაიდან მასში დასმულ კითხვებზე პასუხი, ჩვენის ფიქრით, უკვე მოცემულია ჩვენს პირველ წერილში. ჩვენს მიერ წამოყენებულ კონფერენციას ექნებოდა მოსამზადებელი ხასიათი ჩვენი პარტიების დაახლოების საფუძველთა გამოსარკვევად; მას შეეძლო, მაგალითად, მუდმივი ხელშეკრულების პროექტის შემუშავება.

ჩვენის მხრივ თქვენთან მოსალაპარაკებლად დანიშნულია სამი დელეგატი ც. კ-ის მიერ, რომელიც ყრილობიდან ყრილობამდე უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს ჩვენს პარტიაში. ვფიქრობთ, რომ ჩვენთან მოსალაპარაკებლად თქვენ დანიშნავთ წარმომადგენლებს თქვენი პარტიის სათანადო ინსტანციისაგან, ან იმ დაწესებულებისაგან, რომელსაც აქვს უფლება და სათანადო რწმუნებანი ამგვარ მოლაპარაკებათა საწარმოებლად.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით ყრილობა მოწვეულ იქნას საზღვარგარეთ. ადგილი მეორეხარისხოვანი საკითხია, თუმცა ჩვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ვენა. ჩვენმა ც. კ-მა დელეგატები დანიშნა თქვენს პარტიასთან და არა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მოსალაპარაკებლად; ამიტომ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგატთა მონაწილეობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია».

ეი ჩვენი პარტიისადმი PPS-ის მომართვის ყველა დოკუმენტი. პირადად მე მგონია, PPS-ის წინადადებას იმ პირობით, რომ მის მიერ განზრახულ კონფერენციაზე არ იქნან მოწვეულნი დელეგატები პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან, ჩვენ ვერ მივიღებთ. რაც შეეხება ფინელთა წინადადებას, ჩვენ შეგვიძლია მათ ვუპასუხოთ პრინციპული თანხმობით წინასწარი კონფერენციის მოწვევაზე. ამიტომ, მე ვფიქრობ, ჩვენი რეზოლუცია შეიძლებოდა შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა:

«რსდმპ პრინციპულად თანახმაა წინასწარი კონფერენციისა სხვადასხვა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან — გარკვეულ კერძო საკითხებზე შესათანხმებლად.»

რაც შეეხება ამხ. მარტოვის წინადადებას — მოეწყოს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების წინასწარი კონფერენცია, არა მგონია იგი მიზანშეწონილი იყოს, რადგან გარდა ბუნდისა, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისა და პარტია «პროლეტარიატისა» [81] განაპირა მხარეებში კიდევ არის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელთა მოწვევა, ვფიქრობ, უხერხულია, ხოლო კონფერენციაზე მოუწვევლობა შეიძლება მათ საწყენად დარჩეთ.

II

ამხანაგი აქსელროდი და მარტოვი ამტკიცებენ, ლატვიელებს ორი ფრაქცია აქვთო. (მ ა რ ტ ო ვ ი: «ორი მიმდინარეობა».) ახლა ისე გამოდის, რომ კონფერენციაზე ჩვენ უნდა

შევხვდეთ იმას, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერებისაკენ, «ოსვობოჟდენიესაკენ» მიილტვის და ტერორისაკენ იხრება (ამხ. აქსელროდის სიტყვით), მეორე ფრაქცია კი ძალიან სუსტია. საჭიროა უფრო ზუსტად გავიგოთ საქმის ვითარება. თუ ეს მხოლოდ ორი მიმდინარეობაა, მაშინ ეს ჩვენ არ გვეხება, და ვუერთდებით არსებულ ლატვიის პარტიას. ხოლო თუ იქ ფრაქციები არსებობს, მაშინ შეიძლება მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდეთ უმართებულო არჩევანის გამო. საჭიროა წინასწარ გამოვარკვიოთ ამ ფრაქციების ძალაცა და მიმართულებაც. რაც შეეხება კავკასიას, ჩემი აზრით, იგი აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ კონფერენციაზე. ამისათვის ჩვენ უნდა გავიგოთ, არსებობს თუ არა იქ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენთან ხელიხელ ჩაკიდებული იარონ.

2

სიტყვები კომიტეტების კოოპტაციისა და ც. კ-ის უფლების შესახებ მათში ახალი წევრების შეყვანაზე 5 (18) ივნისს

I

მე წინადადებას წამოვაყენებდი, რომ ამ რეზოლუციაში, მისი პრაქტიკული დასკვნის დამოუკიდებლად, შეიცვალოს მისი დასაწყისი. ვინაიდან არსებითად მოსკოვის კონფლიქტის შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია გარკვეულ გადაწყვეტილებათა გამოტანა საკმარისი ცნობების უქონლობის გამო, ამიტომ არც რეზოლუცია უნდა იქნას დაკავშირებული წინა კონფლიქტებთან. მე წინადადებას შემოვიტანდი, საერთოდ თუ ორგანიზაციის ერთი ნაწილი მოგვმართავდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა მეორე ნაწილის მიმართ, — ეს მომართვა გვეცნობებინა მეორე დაინტერესებული მხარისათვის, რათა შესაძლებლობა მიგვეცა მისთვის თავის მხრივ გამოეთქვა აზრი. მაგალითად: მოსკოვის კონფლიქტის შესახებ საქმე ისე როდი ყოფილა, როგორც ამხ. მარტოვი ამბობს. ჩემი ცნობებით, ხუთიდან სამს სურდა შეევსო კომიტეტი ორი ახალი წევრით, რასაც დანარჩენები ეთანხმებოდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ შეეყვანათ კიდევ ერთი მათი მხრივ, ე. ი. შეენარჩუნებინათ, და კიდევაც გაეძლიერებინათ, გაბატონებული მიმართულება. მხოლოდ უმრავლესობის კატეგორიულმა უარმა დასთანხმებოდა ამ კომბინაციას გამოიწვია მოსკოველი ამხანაგების სურვილი

დაყრდნობოდნენ წესდებას. თუ ც. კ-ის ერთმა წევრმა მხარი დაუჭირა წესდების განმარტებას კომიტეტის უმრავლესობის მიერ, სამაგიეროდ ც. კ-ის მეორე წარმომადგენელმა გაილაშქრა ასეთი განმარტების წინააღმდეგ.

მე ამას გადმოგცემთ მარტო ცნობისათვის და ოქმში შესატანად. ამრიგად, მე წინადადებას ვიძლევი შეცვლილ იქნას ამხ. მარტოვის რეზოლუციის დასაწყისი იმ აზრით, რომ მას მხედველობაში აქვს გარკვეული წესის დადგენა მერმისისათვის, მომავალი დროისათვის. არსებითად კი მე მხარს დავუჭერდი იმას, რომ ყოველი წილადი მთელად ჩაითვალოს.

II

ამ ინციდენტს ერთხელ კიდევ მივყავართ იმ აზრამდე, რომ, თუ ერთმა რომელიმე მხარემ საჩივარი აღძრა, აუცილებელია დაუყოვნებლივ ეცნობოს ეს მეორე მხარესაც, რათა მან შესძლოს თავის ახსნა-განმარტებათა წარმოდგენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება შესაძლებლობა მივიღოთ ესა თუ ის გადაწყვეტილება წარმოშობილ კონფლიქტთა გამო. ჩვენი ცნობებით, საქმე ასე იყო. ნიკოლაევის კომიტეტი უმრავლესობის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. შემდეგ სრული ჩავარდნა მოხდა. ამის შემდეგ ც. კ. ან, შესაძლოა, მისი წარმომადგენელი, ნიკოლაევის კომიტეტში ნიშნავს სამ წევრს, მათ შორის ორს ისეთს, რომლებიც ნიკოლაევში არ ყოფილან, და ერთს ისეთს, რომელიც უკვე მუშაობდა იქ და მთელი რიგი კავშირურთიერთობაც ჰქონდა. შესაძლებელია, რომ ეს ერთიც არ ყოფილა ნიკოლაევში, როდესაც იქ ჩავარდნა მოხდა. როდესაც ც. კ-ის კანდიდატები ნიკოლაევში ჩავიდნენ, მათ იქ უკვე დახვდა მუშაობის მოსურნე ორი წევრი უმცირესობიდან, და ისინიც დათანხმდნენ მათ მიღებას. მაშასადამე, სამმა ორის კოოპტაცია მოახდინა. ასეთია საქმის ვითარება. შემოწმების მიზნით შეიძლება ცნობები მოეთხოვოს კომიტეტის წევრებს, თუ ისინი ჯერ არ ჩავარდნილან... (მ ა რ ტ ო ვ ი: «უკვე ჩავარდნენ...»).

ჩვენი ცნობებით, ეს ფაქტები სრულიად სხვაგვარად ისახება, და მე ვფიქრობ, რომ უმრავლესობის ორი წევრი სწორად მოიქცა. ის გარემოება, თუ სად იმყოფებიან ც. კ-ის მიერ დანიშნული კანდიდატები, არ შეიძლება წარმოადგენდეს საბაბს მათი არმიღებისათვის. კვლავ ვაყენებ რეზოლუციას საჩივრის შემთხვევაში ორივე მხარის მოსმენის შესახებ. შემდეგ, რაც შეეხება საკითხს არსებითად, მე პრინციპულად არ ვეთანხმები ამხ. მარტოვის რეზოლუციას. არ შეიძლება ც. კ-ს წავართვათ კომიტეტებში თავისი კანდიდატების შეყვანის უფლება. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძალაუფლება შეუძლიათ ბოროტად გამოიყენონ, მაგრამ ამ ბოროტებასთან საბრძოლველად არსებობს კონტროლი — მაგალითად, პრესის ან საბჭოს მოქმედების სახით და სხვ. მე ვუერთდები იმ აზრს, რომ ახალი წევრების კოოპტაციის დროს ფრაქციულ ნაირსახეობათა საკითხს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მე დღემდე არ ვიცი ცენტრალური კომიტეტის მიერ წევრთა ძალით შეყვანის არც ერთი ფაქტი. ყოველგვარი ასეთი სიტყვები წევრთა ძალით შეყვანის შესახებ ც. კ-ს აიძულებენ ძალიან ფრთხილად იყოს, და უბრალო ტაქტიც უკარნახებს მას არ ისარგებლოს თავისი უფლებით.

III

მე მსურს რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო. უწინარეს ყოვლისა მსურს აღვნიშნო, რომ მტკიცება, თითქოს ნიკოლაევის კომიტეტში ორი კანდიდატი გამოგზავნილი იყო ოდესიდან ანდა თუნდაც ოდესის კომიტეტის მიერ, რაღაც გაუგებრობაზეა აგებული. ალბათ, ოდესაში იყო ც. კ-ის აგენტი, რომელმაც მიიღო კიდეც ზომები ნიკოლაევის კომიტეტის აღსადგენად მისი ჩავარდნის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სავსებით გარკვევით ვიცით, რომ იქ სამი კაცი დანიშნა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამას ვამბობ, სხვათა შორის, აქ შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ამხ. მარტოვის განცხადება, რომ არც მან იცის ადგილობრივ კომიტეტებში ც. კ-ის მიერ თავისი კანდიდატების ძალით შეყვანის არც ერთი

შემთხვევა, — ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ რედაქცია თავისი აგენტების მეოხებით სავსებით გაცნობილია საქმის ვითარებას პარტიაში. რაც შეეხება ქალიშვილს, რომელიც, ამხ. მარტოვის თქმით, მოითხოვდა მოსკოვის კომიტეტში შეეყვანათ კენჭის უყრელად, ამ მაგალითს საეჭვოა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვინაიდან არც საქმის ვითარებას, არც ამ ქალიშვილის რწმუნებათა ხასიათს ჩვენ არ ვიცნობთ; და, ბოლოს, ეს ქალიშვილი ხომ მაინც იქნა მიღებული კომიტეტში კენჭისყრის შემდეგ. მესამე, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია აგრეთვე ამხ. მარტოვის იმ ფრაზის აღნიშვნა, რომ ნორმალურ პირობებში შეუძლებელია შეზღუდვა ც. კ-ის გავლენისა ადგილობრივ კომიტეტთა შემადგენლობაზეო. თუ აქ აღნიშნავენ იმ ბრალდებას ც. კ-ის მიმართ, რომ იგი კომიტეტების ხელოვნურ «ფაბრიკაციას» ეწევაო, ასეთივე საყვედური ხშირად გაისმის ცენტრალურ ორგანოს მიმართაც. მაგრამ რაკი ნამდვილად ასეთი ფაქტები არ არის, როგორც ამას თვით ამხ. მარტოვიც აღნიშნავს, და მთელი საკითხიც მხოლოდ ასეთი ფაქტების შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს გამოხატავს, მე მგონია, რომ ეს უკანასკნელი მოტივი ჯერ კიდევ არ კმარა ც. კ-ის ძალაუფლების შესაზღუდავად, მით უფრო, რომ პრაქტიკულად უკვე საკითხის მარტო ამგვარი დაყენება ერთგვარ გაღიზიანებას გამოიწვევს. მე მზადა ვარ შევუერთდე ამხ. მარტოვის აზრს, რომ მის მიერ მოხსენებული ორი წევრი ნიკოლაევის კომიტეტისა მეტად დასაფასებელი რევოლუციური მოღვაწეებია, — მაგრამ აკი სწორედ ისინი მიღებულ იქნენ კომიტეტში.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ც. კ., სწორედ ამ უკანასკნელ ხანებში გამოთქმული ყოველგვარი საყვედურების გამო, უდიდესი სიფრთხილით იქცეოდა და არ ჩქარობდა ესარგებლნა ადგილობრივ ორგანიზაციებში ახალი წევრების შეყვანის უფლებით. და მეც არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ფრთხილი ტაქტიკა დროებით განმტკიცებულ იქნას ფორმალურად — ცენტრალური კომიტეტის მიმართ ყალბი ხმების თავიდან აცილებისა და მათი შეწყვეტის მიზნით. შემდეგ, რაც შეეხება ჩვენს მიერ აღძრულ საკითხს, რომ სა-

ჩივრის შემთხვევაში ეს ეცნობოს მეორე დაინტერესებულ მხარეს, მე შემდეგ რეზოლუციას ვაყენებ: «პარტიის საბჭო სთხოვს პარტიულ ორგანიზაციებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის რომელიმე ნაწილი საჩივრით ან შეკითხვით მიმართავს პარტიის საბჭოს, ამ საჩივრის ან ამ შეკითხვის სრული შინაარსი დაუყოვნებლივ ეცნობოს ორგანიზაციის მეორე ნაწილს, ვინაიდან პარტიის საბჭოს დავის გადასაწყვეტად საქმის ვითარება აუცილებლად უნდა ჰქონდეს გადაცემული ორივე მხარის მიერ. იგივე თხოვნა შეეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთი ორგანიზაცია მეორე ორგანიზაციას უჩივის» [62].

3

სიტყვა გაზეთ «რასსვეტის»[23] შესახებ 5 (18) ივნისს

სამწუხაროდ, «რასსვეტის» დასაცავად მე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. დღემდე ეს ცდა სავსებით გამართლებულად მართლაც ვერ ჩაითვლება. ბონჩ-ბრუევიჩი გამოუცდელი ლიტერატორია და მას შეეძლო სხვა პარტიულ ლიტერატორთა დახმარების იმედი ჰქონოდა. ეს დახმარება მან ვერ მიიღო, და ასეთ პირობებში წარუმატებლობისათვის მთელი პასუხისმგებლობის მარტო მისთვის დაკისრება უსამართლობაა. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი თვე გავიდა გამოცემის დაწყების დროიდან. შესაძლოა, ორგანომ ჯერ კიდევ შესძლოს ფეხზე დადგომა, განსაკუთრებით, თუ მას სხვა ლიტერატორები დაეხმარებიან. ცოტა რამ მაინც გაკეთებულია: სექტანტთა შორის კავშირი ფართოვდება ამერიკაშიც და რუსეთშიც. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფულის მხრივ ეს გამოცემა პარტიას არ აწვება კისერზე, რადგან «რასსვეტი» ცალკე სახსრებით იცემა. «რასსვეტის» დახურვა ნაადრევად მიმაჩნია და წინადადებას ვიძლევი განვაგრძოთ ცდა.

რისთვის ვილწვით?

(პარტიისადმი)

ამას წინათ შესდგა რსდმპ 19 წევრის (მათ შორის იყვნენ II ყრილობის დელეგატები, კომიტეტების და სხვ. პარტიული ორგანიზაციების წევრები, აგრეთვე რევოლუციონერები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებში არ შედიან) კერძო კრება. II პარტიული ყრილობის უმრავლესობის თვალსაზრისზე მდგომ თანამოაზრეთა ამ კონფერენციამ განიხილა ჩვენი პარტიული კრიზისის და მისგან თავის დაღწევის საშუალებათა საკითხი და გადასწყვიტა მიმართოს ყველა რუს სოციალ-დემოკრატს შემდეგი მოწოდებით.

ამხანაგებო! პარტიის მძიმე კრიზისი დაუსრულებლად გრძელდება. არეულობა სულ უფრო და უფრო იზრდება და ახალ-ახალ კონფლიქტებს იწვევს, ყველა ხაზით და უაღრესად საშიში მასშტაბით აფერხებს დადებითს მუშაობას, სულ უფრო და უფრო მეტად სწყვეტს კავშირს პარტიასა და მის ცენტრალურ ორგანოს შორის, რომელიც საბოლოოდ გადაიქცა წრის და უმთავრესად კი საზღვარგარეთული წრის ორგანოდ. უთანხმოებათა მიზეზების ძებნა, ძველი, დიდი ხნის წინათ გადაჭრილი და მივიწყებული საკითხების გამოჩხრეკა, თანამიმდევარ ოპორტუნისტებთან ლაქუცი, გაუგონარი არევ-დარევა მსჯელობაში, პარტიული ყრილობის, მისი კამათისა და გადაწყვეტილებების ურცხვად უგულებელყოფა, აბუჩად აგდება პარტიული ორგანიზაციისა და დისციპლინისა, იმ რევოლუციონერთა უმრავლესობისა, რომლებმაც პარტია შეჰქმნეს და ადგილებზე ეწევიან მუშაობას, ღვარძ-

ლიანი და შარიანი დაცინვა, დამყარებული დაუსაბუთებელ-მასალაზე და შეუმოწმებელ ანონიმურ ცნობებზე, ხითხითი-პარტიის რევოლუციური ფრთის კომიტეტთა მუშაობის-ნაკლოვანებათა გამო, — აი რას ვხედავთ ჩვენ ახალ «ისკრა-ში», რომელიც არეულობის კერად გადაიქცა, აი რა მოგვცა ჩვენ ყრილობის მიერ უარყოფილმა რედაქციამ, რომელმაც ისარგებლა პირადი დათმობებით ახალი კინკლაობისათვის-კოოპტაციის გარშემო, პარტიის დანგრევის საქმისათვის.

ამავე დროს კი რუსეთის ახლანდელი ისტორიული მომენ-ტი ჩვენი პარტიისაგან მოითხოვს მთელი ძალების და-ძაბვას. სულ უფრო და უფრო იზრდება რევოლუციური აღ-ტყინება მუშათა კლასში, მღელვარება მოსახლეობის სხვა-ფენებში; ომი და კრიზისი, შიმშილი და უმუშევრობა სულ უფრო და უფრო ღრმად უთხრის ძირს თვითმპყრობელობას, სამარცხვინო ომის სამარცხვინო დასასრული უკვე არც ისე შორსაა, და ეს დასასრული გარდუვალად გააათკეცებს რევო-ლუციურ აღტყინებას, მუშათა კლასს პირისპირ დაუყენებს-მის მტრებს, სოციალ-დემოკრატიისაგან მოითხოვს უაღრესად-გადამწყვეტი შეტევითი ზომების მიღებას. შემჭიდროებული-პარტიული ორგანიზაცია, მტკიცე რევოლუციურ-მარქსის-ტული მიმართულება, შინაპარტიული ბრძოლის წარმართვა-წესიერ და ღირსეულ ჩარჩოებში, ისე რომ ამ ბრძოლამ დეზ-ორგანიზაცია არ შეიტანოს და ხელი არ შეუშალოს დადე-ბითს მუშაობას, — რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობის ეს უცილობელი მოთხოვნები საჭიროა დაუყოვნებლივ და რა-დაც უნდა დაჯდეს განხორციელდეს იმის შიშით, რომ რუსე-თის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ სავსებით არ-დაკარგოს კარგი სახელი და მთელი მის მიერ მოპოვებული-გავლენა.

პირველ ნაბიჯად ამ მიზნის მიღწევისათვის ჩვენ ვთვლით-სრული სიცხადის, გულახდილობისა და პირდაპირობის შე-ტანას ჩვენი პარტიის სხვადასხვა ჯგუფის, მიმართულებებისა-და ელფერთა ურთიერთობაში. უდავოა, არის ხოლმე მომენ-ტები, როცა საქმისთვის სასარგებლოა გაჩუმება წვრილმან

უთანხმოებებზე, მაგრამ უაღრესად სამწუხარო და მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა ასეთად მიგვეჩნია ის მომენტი, რომელსაც ჩვენი პარტია ამჟამად განიცდის. უმცირესობისადმი პირადმა დათმობებმა ვერ შეაჩერეს არეულობა, სადავო საკითხები უკვე გადაჭრითაა. დასმული, მთელ პარტიას ომი აქვს გამოცხადებული, და მხოლოდ მოდუნებულებსა და უმეცრებს შეუძლიათ იოცნებონ დაუბრუნებელი წარსულის დაბრუნებაზე, რაღაცის დაფარვის შესაძლებლობაზე, რისიმე მიჩქმალვასა და მიფუჩეჩებაზე, რაღაცისგან თავის არიდებაზე. არა, ხელის დაბანის პოლიტიკამ, პასიური თავშეკავების პოლიტიკამ, laisser faire, laisser passer-ის * პოლიტიკამ უკვე დაამტკიცა თავისი სრული უვარგისობა ჩვენს პარტიულ ბრძოლაში. შემდგომი თავდაძვრენა, ცბიერება და გაჩუმება არათუ უმიზნო და საზიზღრობა იქნებოდა, არამედ პირდაპირ დანაშაულიც. ჩვენ თაოსნობას ვიჩენთ და პირდაპირ გადმოვცემთ ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის მთელ პროგრამას, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა და ყოველგვარი ელფერის რუსი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებს, როგორც პარტიაში მყოფთა, ისე იმათ წარმომადგენლებს, ვისაც განზრახული აქვთ გარკვეულ პირობებში შევიდნენ პარტიაში, — ასევე გადმოშალონ ბრძოლის თავიანთი პროგრამა. მხოლოდ სრულ სიცხადეს და პირდაპირობას შეუძლია მისცეს ყველა შეგნებულ მუშას და პარტიის ყველა წევრს მასალა პარტიის სადავო საკითხების გონიერად და მტკიცედ გადაჭრისათვის.

ჩვენ პარტიის II ყრილობის უმრავლესობის თვალსაზრისზე ვდგავართ. უმცირესობის უმართებულო პოზიცია ყრილობაზე, პარტიის ნების დამოუკიდებლად ამ პოზიციის დაცვისადმი მისწრაფება ჩვენ მიგვაჩნია ყველა შემდგომი შეცდომისა და მთელი არეულობის ძირითად მიზეზად. ეს უმართებულობა ორგვარი იყო: ჯერ ერთი, «ისკრის» ძველ რედაქტორთა წრეს მხარდაჭერა შეეძლო ეძებნა მხოლოდ

* — ჩაურევლობის. რ ე დ.

ჩვენი ყრილობის და ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაში და სხვაგან არსად. მეორეც, ეს შეერთება აშკარა ოპორტუნისტებთან (რომელთაც მეთაურობდა და ახლაც მეთაურობს ამხ. აკიმოვი) საბოლოოდ განმტკიცდა და პარტიულ დაყოფად იქცა მხოლოდ ისეთ საკითხში, როგორიცაა ცენტრების არჩევა. პირველი უმართებულობიდან ლოგიკური აუცილებლობით წარმოიშვა მთელი ის პრინციპული არევ-დარევა და მთელი ის ოპორტუნისტული მერყეობა, რასაც ჩვენ ვხედავთ ახალი «ისკრის» მსჯელობაში, რამდენადაც შეიძლება ეს მსჯელობა პრინციპულ მსჯელობად მივიჩნიოთ. მეორე უმართებულობიდან წარმოიშვა ძველ რედაქტორთა წრის დაცვა პარტიის ნების წინააღმდეგ, დაცვა და გამართლება წრეობანისა პარტიულობის წინააღმდეგ, ჩვენს დავაში ისეთი ხერხების შემოტანა, როგორიც სავსებით მოსდგამს ფილისტერულ კინკლაობას და წრეობრივ შფოთს და არა პარტიის იმ წევრთა ბრძოლას, რომელთაც იციან როგორც თავიანთი პარტიის, ისე საკუთარი თავის პატივისცემა. პირველი უმართებულობიდან ლოგიკური აუცილებლობით წარმოიშვა ის, რომ უმცირესობის გარშემო შემჭიდროვდა ყველაფერი, რაც კი ოპორტუნიზმისაკენ იხრება, ყველაფერი, რაც კი მიდრეკილებას იჩენდა უკან დაექანებინა პარტია და რევანში აეღო იმ წყენინებისათვის, რაც რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მიაყენა თავის მოწინააღმდეგეებს, ყველაფერი, რაც კი გამოხატავს ჩვენი მოძრაობის ინტელიგენტურ ტენდენციებს, ყველაფერი, რაც კი ორგანიზაციისა და დისციპლინის ინტელიგენტურ-ანარქისტული უარყოფის მიდრეკილებას იჩენდა. მეორე უმართებულობიდან წარმოიშვა საზღვარგარეთული წრის ბატონობა რუსეთის მუშაკთა უმრავლესობაზე და სპეციფიკური ემიგრანტული სკანდალების აღვირახსნილობა, რაც უმცირესობამ დარწმუნების საშუალებად აქცია.

ახლა ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა. არავითარ მერყეობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმათ მხრივ, ვინც მარტო სიტყვიერად არ არის პარტიის წევრი, იმათ მხრივ, ვისაც საქ-

მით სურს დაიცვას ჩვენი მუშათა მოძრაობის საარსებო ინტერესები. ბრძოლა გამოცხადებულია, გამოცხადებულია და მთელი ხაზით წარმოებს უმცირესობის მიერ; ჩვენ ვღებულობთ გამოწვევას და ვაცხადებთ შეურიგებელ ბრძოლას, ბრძოლას ბოლომდე. ჩვენ ვიბრძვით საერთოდ წრეობანის წინააღმდეგ და განსაკუთრებით ძველ რედაქტორთა წრის წინააღმდეგ პარტიულობის გულისათვის. ჩვენ ვიბრძვით რუსეთის მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის საზღვარგარეთული კინკლაობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მოძრაობის რევოლუციურ-პროლეტარული ტენდენციებისათვის ინტელიგენტურ-ოპორტუნისტული ტენდენციების წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მტკიცე მიმართულებისათვის მერყეობისა, ზიგზაგებისა და ღიდი ხნის დრომოჭმული წარსულის დაბრუნების წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მუშათა ავანგარდის შემჭიდროებული პარტიული ორგანიზაციისათვის ინტელიგენტური თავაშვებულობის, დეზორგანიზაციისა და ანარქიის წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით პარტიული ყრილობების პატივისცემისათვის დონდლო უპრინციპობის წინააღმდეგ, საქმეს დაშორებული სიტყვების წინააღმდეგ, ერთად მიღებულ ხელშეკრულებათა და გადაწყვეტილებათა აბუჩად აგდების წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით პარტიული საჯაროობისათვის ახალი «ისკრის» და პარტიის ახალი საბჭოს იმ ტაქტიკის წინააღმდეგ, რომ პირში ბურთი ჩასჩაროონ უმრავლესობას და ცხრაკლიტულში დამალონ თავიანთი ოქმები.

ჩვენი ბრძოლის პროგრამიდან თავისთავად გამომდინარეობს ამ ბრძოლის საშუალებები და მისი უახლოესი მიზნები. პირველი საშუალებაა ყოველმხრივი და უაღრესად ფართო სიტყვიერი და წერილობითი აგიტაცია. ამ პუნქტზე შეჩერება არ ეღირებოდა, რომ უმცირესობის კინკლაობით სავსე ბრძოლას ჩვენს პარტიაში არ წარმოეშვა ის ყბადაღებული (ეკატერინოსლავის კომიტეტის და ბევრი სხვა ორგანიზაციის მიერ უკვე სამართლიანად სასაცილოდ აგდებული) «შემარიგებლობა», რომელსაც თავი ფრთებქვეშ დაუმალავს და

უმრავლესობის მხრივ უმცირესობის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას ქადაგებს. მხოლოდ სულმოკლეობით, დაღლით ან გაველურებით შეიძლება აიხსნას ისეთ ბავშვურ შეხედულებათა არსებობა, რაც არ შეჰფერის პარტიის რაოდენადმე მოზრდილ წევრს. შეიძლება და კიდეც უნდა ვილაპარაკოთ პარტიული ბრძოლის პარტიულ ჩარჩოებში ჩაყენებაზე, შეიძლება და უნდა ვეცადოთ კიდეც მივაღწიოთ ამას არა მარტოოდენ ჩაგონებით, მაგრამ წინადადება — ხელი ავიღოთ იმის დაცვაზე, რასაც მთელი პარტიის წინაშე ვიცავდით ყრილობაზე და რაც აუცილებელ რამედ ითვლება პარტიის საარსებო ინტერესებისათვის, ასეთი წინადადება, რომ გაებედნათ და იგი საჯაროდ წამოეყენებინათ, მხოლოდ საყოველთაო ზიზღს დაიმსახურებდა.

ბრძოლის მეორე და გადამწყვეტ საშუალებად ჩვენ ვთვლით პარტიული ყრილობის მოწვევას. ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ იმ კომიტეტებს, რომლებიც მოითხოვენ მესამე პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია განსაკუთრებით შევჩერდეთ იმ თვალთმაქცურ მოსაზრებებზე, რომლებითაც ახალი «ისკრის» რედაქცია და მისი აშკარა და ფარული ხელშემწყობნი ასაბუთებენ თავიანთ გალაშქრებას ყრილობის წინააღმდეგ და ამ (პარტიულ მოვალეობასთან ძნელად შესათავსებელ) მოსაზრებებს გულმოდგინედ უმალავენ საზოგადოებას (როგორც ამას მალავს საზღვარგარეთული ლიგა და «ისკრის» რედაქცია, რომლის აგიტაცია მხოლოდ ნაწილობრივაა გამოტანილი სააშკარაოზე და მხილებულია კომიტეტების მიერ). მოსაზრება პირველი: ყრილობა გათიშვამდე მიგვიყვანსო. უკვე მარტო ის ფაქტი, რომ უმცირესობა ასეთ მოსაზრებას აყენებს, ააშკარავებს მისი პოზიციის მთელ სიყალბეს. ასეთი განცხადებით უმცირესობა ხომ თვითონვე აღიარებს, რომ პარტია მისი წინააღმდეგია, რომ საზღვარგარეთულმა წრემ თავისი თავი ძალით მოახვია თავს პარტიას, რომ თავის არსებობას იგი ინარჩუნებს მხოლოდ რუსეთის სიშორისა და ნამდვილ რევოლუციონერთა მუშაობის გარეგანი პირობების

სიძნელის წყალობით. ვინც სინიდისიერად იქცევა პარტიის მიმართ, ვისაც გულწრფელად სურს ერთად მუშაობა, მას არათუ ეშინია, არამედ სურს ყრილობის მოწვევა არეულობის მოსასპობად, პარტიასა და მის თანამდებობრივ კოლეგიებს შორის თანაფარდობის დასამყარებლად, უღირსი ორაზროვნობის მოსასპობად. გათიშვის საფრთხობელად წამოყენება ნიშნავს — თვალსაჩინოდ დაანახო ყველას, რომ სინიდისი სუფთა არა გაქვს. უმრავლესობისადმი უმცირესობის დაუმორჩილებლად შეუძლებელია არსებობდეს პარტია, რაოდენადმე ღირსი მუშათა პარტიის სახელწოდებისა, და თუ აუცილებელია ურთიერთი (და არა ცალმხრივი) დათმობანი, თუ ხანდახან საჭიროა მორიგება და შეთანხმება პარტიის ნაწილებს შორის, ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ ყრილობაზეა შესაძლებელი და დასაშვები. არც ერთი რევოლუციონერი, ვინც თავის თავს პატივს სცემს, არ მოისურვებს დარჩეს ისეთ პარტიაში, რომელიც მთლიანობას ინარჩუნებს მხოლოდ პარტიული ყრილობის მოწვევის ხელოვნურად გაჭიანურებით.

მოსაზრება მეორე: ჯერ კიდევ შესაძლებელია მორიგება უყრილობოდო. რაზეა დამყარებული ასეთი აზრი — ეს ჩვენ არ ვიცით. მისი მომხრეები გამოდიან და მოქმედებენ მხოლოდ ფარულად. ნუთუ დრო არ არის უკუვაგდოთ ეს ფარული ინტრიგა, რომელიც მხოლოდ აათკეცებს ურთიერთ უნდობლობას, მხოლოდ ამწვავებს მტრობას და აბუნდოვანებს მდგომარეობას? იმის გამო ხომ არაა, რომ ვერავინ ვერ იჩენს გამბედაობას საჯაროდ გამოვიდეს შერიგების გეგმით, რომ არსებულ პირობებში შეუძლებელიც არის ისეთი გეგმა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში სიცილს არ გამოიწვევდეს? ვისაც უმცირესობის მიერ აჩემებულ პირთა ც. კ-ში კოოპტირება ზავი ჰგონია, მას სურს არა ზავი, არამედ უმრავლესობის გამწვავებული ბრძოლა, მას არ ესმის, რომ პარტიული ბრძოლა უდავოდ წარმოიშვა წმინდა კოოპტაციური კინკლაობიდან. ვისაც ზავი ესმის როგორც დავისა და ბრძოლის შეწყვეტა, იგი უბრუნდება ძველი წრის ფსიქოლოგიას: პარ-

ტიაში ყოველთვის იქნება დავა და ბრძოლა, მხოლოდ ის უნდა ჩავაყენოთ პარტიულ ჩარჩოებში, ეს კი მხოლოდ ყრილობას ძალუძს. ერთი სიტყვით, როგორც უნდა ატრიალოთ ეს ლოზუნგი ზავისა უყრილობოდ, როგორც უნდა აბრუნოთ მებრძოლ მხარეთა მორიგების ეს იდეა ისე, რომ არც ერთი მხარე არ დააკმაყოფილოთ, — თქვენ დაინახავთ, რომ ეს გენიალური იდეა გამოხატავს მხოლოდ დაბნეულობას და უაზრობას, მხოლოდ იმის არცოდნას, რა უნდა გსურდეს და რის მიღწევას უნდა ცდილობდე. თუ ისეთი გავლენიანი (წინათ გავლენიანი) ადამიანის გეგმამ, როგორიც არის პლეხანოვი, მაქსიმალური პირადი დათმობებით ხანძრის დასაწყისშივე ჩაქრობის გეგმამ, — სრული მარცხი განიცადა, განა ახლა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ამგვარ გეგმებზე?

მოსაზრება მესამე: შესაძლებელია ყრილობის გაყალბება. ამ მოსაზრებაზე უკვე გასცა პასუხი პეტერბურგის კომიტეტმა, როცა მას ინსინუაცია უწოდა [94]. და ადგილობრივი კომიტეტის ეს განცხადება დამსახურებული სილის გაწნვა იყო იმათთვის, ვინც ვერაგულად ისროდა ბრალდებებს, ფაქტების ნასახის უქონლად, თუმცა უმცირესობის ხელშია პარტიის უმაღლესი საბჭოც და ბეჭდვითი ორგანოც, ასე რომ უმცირესობას ხელთ უპყრია არა მარტო ეჭვად აღებულ ბოროტმოქმედებათა საჯაროდ მხილების იარაღი, არამედ ადმინისტრაციული გამოსწორებისა და ზეგავლენის იარაღიც. ყველას და თვითეულს ესმის, რომ უმცირესობა დიდი ხნით ადრე გამოგვიჭედდა ყურს ფაქტებზე ყვირილით, ეს ფაქტები რომ ყოფილიყო, და საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული რეზოლუციაც, რომელიც ამტკიცებს ასეთი ფაქტების უქონლობას წარსულში, მათი შეუძლებლობის გარანტიასაც იძლევა მომავლისათვის [95]. «ისკრის» მიერ ამ მოსაზრების წამოყენება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, თუ როგორ შესცვალა მან ახლა პოლემიკა ქუჩური ლანძღვა-გინებით, და გვაიძულებს შევეკითხოთ პარტიის ყველა წევრს: გვაქვს თუ არა ნამდვილად პარტია? ს.-რ.-ების მაგალითისამებრ დეკორა-

ციით და აბრით დაკმაყოფილება გვსურს, თუ ვალდებული ვარო გამოვააშკარაოთ ყოველგვარი სიყალბე?

მოსაზრება მეოთხე: უთანხმოებანი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეულიო. ამ მოსაზრებაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ახალი «ისკრა», რომლის გაცნობა დაანახვებს პარტიას, რომ უთანხმოებებს კი არ არკვევენ, არამედ ეძებენ, რომ არევ-დარევა უსაზღვროდ იზრდება. მხოლოდ ყრილობას შეუძ-ლია, როცა ყველა ამხანაგი აშკარად და სრულად გადმოშლის თავის სურვილებს, გარკვეულობა შეიტანოს წარმოუდგენ-ლად დახლართულ საკითხებსა და დახლართულ მდგომარეო-ბაში.

მოსაზრება მეხუთე: ყრილობა ძალებს და საშუალებებს მოაცდენს დადებითი მუშაობისგანო. ეს მოსაზრებაც სავა-ლალო დაცინვად გაისმის: შეუძლებელია წარმოიდგინო ძა-ლებისა და საშუალებების იმაზე მეტი მოცდენა, ვიდრე ის, რასაც არეულობა იწვევს.

არა, ყველა მოსაზრება ყრილობის წინააღმდეგ მოწმობს ან თვალთმაქცობას, ან საქმის უცოდინარობას და პარტიის ძალებში სულმოკლე დაეჭვებას. ჩვენი პარტია ისევ მძიმედ დაავადებულია, მაგრამ მას შესწევს ძალა კვლავ წამოდგეს და რუსეთის პროლეტარიატის ღირსი გახდეს. ავადმყოფობის მკურნალობის ზომებად ჩვენ მიგვაჩნია სამი შემდეგი ცვლი-ლება, რომელთაც გავატარებთ ყოველგვარი ლოიალური სა-შუალებებით.

პირველი — ც. ო-ს რედაქციის გადაცემა II პარტიული ყრილობის უმრავლესობის მომხრეთა ხელში.

მეორე — საზღვარგარეთული ადგილობრივი ორგანიზა-ციის (ლიგის) ნამდვილი დამორჩილება რუსეთის საერთო ცენტრალური ორგანიზაციისადმი (ცენტრალური კომიტეტი-სადმი).

მესამე — წესდების გზით პარტიული ბრძოლის პარტიუ-ლი მეთოდებით წარმართვის გარანტირება.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ უკვე სულ მცირე რამ დაგ-ვრჩენია სათქმელი ჩვენი პროგრამის ამ სამი ძირითადი პუნ-

ქტის შესახებ. «ისკრის» ძველმა რედაქციამ ამჟამად საქმით რომ დაგვანახა თავისი უვარგისობა, ეს ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია. ისკრელობას კი არ მოუჭამია თავისი დრო, როგორც ეს ამხ. მარტოვმა აღმოაჩინა არჩევნებში მისი დამარცხების შემდეგ, არამედ «ისკრის» ძველმა რედაქციამ მოსჭამა თავისი დრო. ამჟამად უკვე მხოლოდ პირფერობა იქნებოდა პირდაპირ არ გვეთქვა ეს იმ გამოწვევის შემდეგ, რომლითაც წრემ მიმართა მთელ პარტიას. საზღვარგარეთული ორგანიზაციის არანორმალურ მდგომარეობაზე, ორგანიზაციისა, რომელმაც თავისი თავი მეორე (თუ მესამე არა) ცენტრად გადააქცია და სრულიად უგულებელჰყოფს პარტიის ც. კ-ს, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. დასასრულ, ჩვენს პარტიაში უმცირესობის (რა უმცირესობაც უნდა იყოს) იურიდიული მდგომარეობის შესახებ გვაიძულებს ვიფიქროთ ყრილობის შემდგომი ბრძოლის მთელი გამოცდილება. ჩვენი რწმენით, ეს გამოცდილება გვასწავლის, რომ აუცილებელია პარტიის წესდებაში უზრუნველვყოთ ყოველგვარი უმცირესობის უფლებები, რათა უკმაყოფილების, გაღიზიანებისა და ბრძოლის მუდმივი და აურიდებელი წყაროები აყალმაყალისა და კინკლაობის ჩვეულებრივი ფილისტერული კალაპოტიდან გადავიყვანოთ ჩამოყალიბებული და საკუთარი რწმენისათვის ღირსეული ბრძოლის ჯერ კიდევ უჩვეულო არხებში. ასეთს უეჭველ გარანტიებს ჩვენ ვაკუთვნებთ უმცირესობისათვის ერთი (ან მეტი) ლიტერატურული ჯგუფის დაარსების საშუალების მიცემას ყრილობებზე წარმომადგენლობის უფლებით და «ენის» სრული «თავისუფლებით». აუცილებელია უაღრესად ფართო გარანტიები მივცეთ საერთოდ ისეთი პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ, რომელიც მიძღვნილი იქნება პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაობის კრიტიკისადმი. აუცილებელია უფლება მივცეთ კომიტეტებს (საერთო პარტიული ტრანსპორტით) მიიღონ სწორედ ის პარტიული გამოცემები, რომლებიც მათ ნებავთ. აუცილებელია შევაჩეროთ, მე-4 ყრილობამდე, ც. კ.-ის უფლება, გარდა რჩევის მიცემისა, გავ-

ლენა მოახდინოს კომიტეტების პირად შემადგენლობაზე. ჩვენ აქ ჩვენს წინადადებებს დაწვრილებით არ ვამუშავებთ, ვინაიდან წესდების პროექტს კი არ ვწერთ, არამედ მხოლოდ ბრძოლის ზოგად პროგრამას. ჩვენ ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უკმაყოფილოთა ლიტერატურის გამოცემის ის ზომები, რომელთაც ც. კ. სთავაზობდა II ყრილობის უმცირესობას, განმტკიცებულ იქნას წესდებით, რათა უკმაყოფილება გამოითქვას წესიერად, რათა საალყო წესების სულელური მირაჟი (შექმნილი კოოპტაციის გმირთა მიერ) საბოლოოდ გაიფანტოს, რათა აუცილებელმა შინაპარტიულმა ბრძოლამ არ შეაფერხოს დადებითი მუშაობა.

ჩვენ ვალდებული ვართ ვასწავლოთ ჩვენს უმცირესობას, რომ ცენტრების პირადი შემადგენლობისათვის იბრძოლოს მხოლოდ ყრილობებზე და კინკლაობით ხელი არ შეუშალოს ჩვენს მუშაობას ყრილობების შემდეგ, ჩვენ ვალდებული ვართ მივაღწიოთ ამას ჩვენი პარტიის დაღუპვის საფრთხის ასაცილებლად. დასასრულ, ზოგად პროგრამაში ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ წესდების ჩვენთვის სასურველ ნაწილობრივ ცვლილებებს, როგორც, მაგალითად: საბჭოს გადაქცევა სამედიატორო დაწესებულებიდან ყრილობის მიერ არჩეულ დაწესებულებად, წესდების პირველი პარაგრაფის შეცვლა II ყრილობის უმრავლესობის სულისკვეთების შესაბამისად, პარტიული ორგანიზაციების რიცხვში ყველა მუშათა ორგანიზაციის და რუსეთის სოციალ-დემოკრატების ყველა იმ ჯგუფის შეტანით, რომლებიც ცალკე არსებობდნენ წრეების პერიოდში და რომლებიც მოისურვებენ პარტიაში შესვლას, და სხვ. და სხვ.

გამოვდივართ რა ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის ამ პროგრამით, ვთხოვთ პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა ელფერთა წარმომადგენლებს მის შიგნით — გამოთქვან აზრი თავიანთი პროგრამის საკითხზე, რათა შესაძლებლობა

მოგვეცეს თანდათანობით, სერიოზულად, წინდახედულად და გონივრულად მოვემზადოთ ყრილობისათვის.

ჩვენ არა გვყავს პარტია — თავისთვის მსჯელობდნენ ჩვენი რედაქციის სასახლის გადატრიალების მონაწილენი და სპეკულაციას ეწეოდნენ რუსეთის სიშორით, იქაურ მუშაკთა ხშირი ცვლით და თავიანთი თავის შეუცვლელობით. ჩვენში იბადება პარტია! — ვამბობთ ჩვენ, როცა ვხედავთ კომიტეტების გამოღვიძებას საქმეში აქტიურად ჩარევისათვის, როცა ვხედავთ მოწინავე მუშათა პოლიტიკური შეგნებულობის ზრდას. ჩვენში იბადება პარტია, ჩვენში მრავლდებიან ახალგაზრდა ძალები, რომელთაც უნარი შესწევთ კიდევაც გამოაცოცხლონ და კიდევაც შესცვალონ დაძაბუნებული ლიტერატურული კოლეგიები, ჩვენ გვყავს და სულ უფრო და უფრო მატულობს იმ რევოლუციონერთა რიცხვი, რომლებიც ყოველგვარ რედაქტორთა წრეზე მეტად აფასებენ მათი აღმზრდელი ძველი «ისკრის» მიმართულებას. ჩვენში იბადება პარტია, და ახალი «ისკრის» ვერავითარი ხრიკი და დაბრკოლება, ვერავითარი ბებრულ-გაბოროტებული ლანძღვა-გინება ვერ შეაჩერებს ამ პარტიის გადამწყვეტ და საბოლოო განაჩენს.

ჩვენი პარტიის ეს ახალი ძალები გვაძლევენ ჩვენ გამარჯვების რწმენას.

დაწერილია 1904 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის)
თხზულებათა კრებულში, ტომი V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პარტიისადმი

ამას წინათ შესდგა რსდმპ იმ 22 წევრ-თანამოაზრის კერძო კრება [90], რომლებიც II პარტიული ყრილობის უმრავლესობის თვალსაზრისზე დგანან; ამ კონფერენციამ განიხილა ჩვენი პარტიული კრიზისის და მისგან თავის დაღწევის საშუალებათა საკითხი და გადასწყვიტა მიმართოს რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატს შემდეგი მოწოდებით:

ამხანაგებო! პარტიული ცხოვრების მძიმე კრიზისი კიდევ გრძელდება და მას ბოლო არ უჩანს. არეულობა მატულობს და სულ ახალ-ახალ კონფლიქტებს ჰქმნის, ამის გამო პარტიის დადებითი მუშაობა მთელი ხაზით უკიდურესად შეკვეცილია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მოუმაგრებელი პარტიის ძალები უნაყოფოდ ნიავდება საშიში ოდენობით.

ამავე დროს კი ისტორიული მომენტი პარტიას ისეთ დიდ მოთხოვნებს უყენებს, როგორიც წინათ არასოდეს არ წაუყენებია. მუშათა კლასის რევოლუციური აღტყინება იზრდება. მღელვარება ძლიერდება საზოგადოების სხვა ფენებშიც, ომი და კრიზისი, შიმშილი და უმუშევრობა სტიქიური აუცილებლობით უთხრიან ძირს თვითმპყრობელობას. სამარცხვინო ომის სამარცხვინო დასასრული უკვე არც ისე შორსაა; ის კი გარდუვალად გააათკეცებს რევოლუციურ აღტყინებას, გარდუვალად პირისპირ შეაჯახებს მუშათა კლასს თავის მტრებთან და სოციალ-დემოკრატიას მოსთხოვს კოლოსალურ მუშაობას, ძალთა საშინლად დაძაბვას, რათა მოაწყოს გადამ-

წყვეტი უკანასკნელი ბრძოლა ოვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შეუძლია თუ არა ჩვენს პარტიას დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები იმ მდგომარეობის დროს, როგორშიც ის ამჟამად იმყოფება? ყოველმა კეთილსინდისიერმა ადამიანმა უყოყმანოდ უნდა უპასუხოს: არ შეუძლია!

პარტიის ერთიანობას ძირი ღრმადა აქვს გამოთხრილი, მისმა შინაურმა ბრძოლამ ყოველგვარი პარტიულობის საზღვარი გადალახა: ორგანიზაციული დისციპლინა ძირფესვიანად შერყეულია, პარტიის უნარი მწყობრი გაერთიანებული მოქმედებისა ოცნებად გადაქცეულა.

და მაინც პარტიის ამ სენს ზრდის სენად ვთვლით. კრიზისის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია სოციალ-დემოკრატიის ცხოვრების წრეობრივი ფორმიდან პარტიულ ფორმებზე გადასვლა; მისი შინაური ბრძოლის დედაარსს წარმოადგენს წრეობანისა და პარტიულობის კონფლიქტი. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება ამ სენს, ჩვენი პარტია შესძლებს ნ ა მ დ ვ ი ლ პარტიად გახდეს.

«უმცირესობის» სახელით პარტიაში შემჭიდროვდნენ ხხვადასხვაგვარი ელემენტები, შეკავშირებულნი შეგნებული თუ შეუგნებელი მისწრაფებით — შეინარჩუნონ წრეობრივი ურთიერთობანი, ორგანიზაციის ის ფორმები, რაც პარტიის შექმნამდე არსებობდა.

წინანდელი ყველაზე უფრო გავლენიანი წრეების ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც შეჩვეული არ არის იმ ორგანიზაციულ თვითშეზღუდვას, რასაც პარტიული დისციპლინა მოითხოვს, ჩვეულებისამებრ მიდრეკილებას იჩენს ერთმანეთში აურიოს საერთო-პარტიული ინტერესები და თავისი წრეობრივი ინტერესები, რომლებიც წრეების პერიოდში მართლაც შეიძლებოდა ხშირად დამთხვეოდა მათ, — მთელი რიგი ასეთი მოღვაწეები სათავეში ჩაუდგნენ წრეობანის შენარჩუნებისათვის ბრძოლას პარტიულობის წინააღმდეგ («ისკრის» ყოფილი რედაქციის ნაწილი, ყოფილი საორ-

განიზაციო კომიტეტის ნაწილი, «იუენი რაბოჩის» წინანდელი ჯგუფის წევრები და სხვ.).

მათი მოკავშირეები აღმოჩნდნენ ყველა ის ელემენტები, რომელნიც თეორიასა თუ პრაქტიკაში სცილდებოდნენ მკაცრი სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპებს, ვინაიდან მხოლოდ წრეობანას შეეძლო შეენარჩუნებინა ამ ელემენტების იდეური ინდივიდუალობა და გავლენა, პარტიულობა კი მათ გათქვეფას ან ყოველგვარი გავლენის წართმევას უქადდა (ეკონომისტები, რაბოჩეედელოელები და სხვ.). დასასრულ ოპოზიციის მთავარი კადრები გახდნენ საერთოდ ჩვენი პარტიის ყველა ის ელემენტები, რომლებიც უმთავრესად ინტელიგენტები იყვნენ. პროლეტარიატთან შედარებით ინტელიგენცია მუდამ უფრო ინდივიდუალისტურია უკვე თავისი ცხოვრებისა და მუშაობის ძირითადი პირობების გამო, რაც თავისი ძალების უშუალო ფართო გაერთიანების, ორგანიზებული შრომით, ერთად შრომით უშუალო აღზრდის საშუალებას არ აძლევს მას. ამიტომ ინტელიგენტურ ელემენტებს უფრო უძნელდებათ შეეგუონ პარტიული ცხოვრების დისციპლინას, და ისინი, რომლებიც ვერ სძლევენ ამ ამოცანას, ბუნებრივად აჯანყების დროშას აფრიალებენ აუცილებელ ორგანიზაციულ შეზღუდვათა წინააღმდეგ და თავიანთ სტიქიურ ანარქიულობას ბრძოლის პრინციპად აქცევენ, ამ ანარქიულობას უმართებულოდ გვიხატავენ, როგორც «ავტონომიისადმი» მისწრაფებას, როგორც «შემწყნარებლობის» მოთხოვნას და სხვ.

პარტიის საზღვარგარეთულ ნაწილს, სადაც წრეები შედარებითი ხანგრძლიობით განირჩევიან, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ელფერის თეორეტიკოსები, სადაც გადაჭრით სჭარბობს ინტელიგენცია, — პარტიის ამ ნაწილს უფრო მეტი მიდრეკილება უნდა გამოეჩინა «უმცირესობის» თვალსაზრისისადმი. ამიტომაც ის იქ მალე ნამდვილ უმრავლესობად იქცა. პირიქით, რუსეთმა, სადაც უფრო მძლავრად გაისმის ორგანიზებული პროლეტარების ხმა, სადაც პარტიული ინტელიგენციაც, მათთან უფრო ცოცხალ და მჭიდრო ურთიერ-

თობაში მყოფი, უფრო პროლეტარული სულისკვეთებით იზრდება, სადაც უშუალო ბრძოლის სიმძიმე უფრო მძლავრად გაგრძნობინებს მუშაობის ორგანიზებული ერთიანობის აუცილებლობას, — რუსეთმა გადაჭრით გაილაშქრა წრეობანის წინააღმდეგ, ანარქიული დეზორგანიზაციული ტენდენციების წინააღმდეგ. მან გარკვევით გამოხატა თავისი ასეთი დამოკიდებულება მათდამი კომიტეტებისა და სხვა პარტიული ორგანიზაციების მთელ რიგ განცხადებებში.

ბრძოლა ვითარდებოდა და მწვავდებოდა. და აი სადამდე მივიდა ის!.

პარტიული ორგანო, რომელიც ყრილობის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ყრილობის მიერ არჩეულ რედაქტორთა პირად დათმობათა წყალობით ხელთ იგდო «უმცირესობამ», პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ გადაიქცა!

ის ახლა ყველაზე უფრო ნაკლებად წარმოადგენს პარტიის იდეურ ხელმძღვანელს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველაზე უფრო მეტად — წრეობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელს პარტიულობასთან ბრძოლაში. ერთი მხრით, ის გრძნობს თავისი ძირითადი პოზიციის დაუშვებლობას პარტიის ინტერესების თვალსაზრისით და გაფაციცებით ეძებს ნამდვილსა და მოჩვენებითს უთანხმოებებს, რათა იდეურად დაფაროს ეს პოზიცია; ამ ძებნაში ის დღეს ერთ ლოზუნგს ეპოტინება, ხვალ მეორეს და სულ უფრო და უფრო მეტად იღებს მასალას პარტიის მემარჯვენე ფრთისაგან — «ისკრის» წინანდელ მოწინააღმდეგეთაგან, სულ უფრო და უფრო უახლოვდება მათ იდეურად, აღადგენს პარტიის მიერ უკუგდებულ მათს თეორიებს, პარტიის იდეურ ცხოვრებას აქანებს უკან პრინციპული გაურკვევლობისა, იდეური მერყეობისა და ყოყმანის, თითქოს, უკვე განვლილი პერიოდისაკენ. მეორე მხრით, ახალი «ისკრა» იმ მიზნით, რომ ძირი გამოუთხაროს პარტიული უმრავლესობის ზნეობრივ გავლენას, კიდევ უფრო მეტად ეძებს და ამხელს მის მუშაკთა შეცდომებს, საშინლად აზვიადებს ყოველგვარ ნამდვილ შეცდომას და ცდილობს პასუხისმგებ-

ლობა ამ შეცდომისათვის პარტიის მთელ უმრავლესობას დააკისროს, ებღაუჭება ყოველგვარ წრეობრივ ჭორს, ყოველგვარ ინსინუაციას, რასაც კი შეუძლია ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეებს, არ ზრუნავს ამ ჭორების არათუ შემოწმებაზე, არამედ ხშირად იმის გარკვევაზეც, თუ რამდენად დასაჯერია ყოველივე ეს. ამ მხრივ ახალი «ისკრის» მოღვაწეები იქამდე მივიდნენ, რომ უმრავლესობის წევრებს მიაწერენ არათუ სრულიად გაუგონარ, არამედ შეუძლებელ დანაშაულსაც, და ისიც არა მარტო პოლიტიკურ (მაგალითად: ც. კ-ის მიმართ წაყენებული ბრალდება, თითქოს ის ძალით შლის ორგანიზაციებს და ითხოვს მუშაკებს), არამედ საერთო-მორალური ხასიათის დანაშაულსაც (პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების მიმართ ბრალდების წაყენება, თითქოს ისინი სიყალბეს სჩადიან და ზნეობრივად ხელს უწყობენ სიყალბეს). ჯერ კიდევ არასოდეს პარტია არ ჩაფლულა სიბინძურის ისეთ მორევში, როგორიც შექმნა საზღვარგარეთულმა უმცირესობამ ახლანდელ პოლემიკაში.

როგორ მოხდა ყოველივე ეს?

თვითეული მხარის საქციელი შეესაბამებოდა მისი ტენდენციების ძირითად ხასიათს. პარტიის უმრავლესობა ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა პარტიის ერთიანობა და ორგანიზაციული კავშირი, ის მხოლოდ პარტიულ-ლოიალური საშუალებებით იბრძოდა და არაერთხელ წასულა დათმობაზე შერიგების გულისთვის. უმცირესობა ანარქისტულ ტენდენციას ატარებდა და არ ზრუნავდა პარტიულ მშვიდობასა და ერთიანობაზე. ყოველ დათმობას იგი შემდგომი ბრძოლის იარაღად აქცევდა. უმცირესობის ყველა მოთხოვნიდან აქამდე დაუკმაყოფილებელია მხოლოდ ერთი — შუღლის შეტანა პარტიის ც. კ-ში მისთვის ძალით თავსმოხვეულ უმცირესობის წევრთა კოოპტაციის გზით, — და უმცირესობის თავდასხმებიც უფრო მძვინვარე შეიქნა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. რაკი უმცირესობამ ხელში ჩაიგდო პარტიის ც. ო. და საბჭო, ივი მოურიდებლად იყენებს თავი-

სი წრეობრივი ინტერესებისათვის სწორედ იმ დისციპლინას, რომლის წინააღმდეგაც არსებითად იბრძვის.

მდგომარეობა აუტანელი, შეუძლებელი შეიქნა; მისი კიდევ უფრო გახანგრძლივება პირდაპირ დანაშაულია.

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის პირველ საშუალებად ჩვენ ვთვლით სრული გარკვეულობისა და გულახდილობის შეტანას პარტიულ ურთიერთობაში. ლაფსა და ბურუსში შეუძლებელია სწორი გზის პოვნა. ყოველმა პარტიულმა მიმდინარეობამ, ყოველმა ჯგუფმა აშკარად და გარკვევით უნდა თქვას, რასაც ფიქრობს პარტიის ახლანდელ მდგომარეობაზე და როგორ სურს თავი დააღწიოს მას. სწორედ ასეთი წინადადებით მივმართავთ ჩვენ ყველა ამხანაგს და პარტიის ყველა ელფერის წარმომადგენლებს. კრიზისიდან თავის დაღწევის პრაქტიკულ საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია მესამე პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა. მხოლოდ მას შეუძლია გაარკვიოს მდგომარეობა, გადასჭრას კონფლიქტები და კალაპოტში ჩააყენოს ბრძოლა. — უმისოდ უნდა მოველოდეთ პარტიის მხოლოდ პროგრესიულ გახრწნას.

ყველა მოსაზრება, წამოყენებული ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ, უცილობლად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

გვეუბნებიან: ყრილობა გათიშვას გამოიწვევსო. მაგრამ რატომ? თუ უმცირესობა შეურიგებელია თავის ანარქისტულ მისწრაფებებში, თუ ის მზადაა უმალ გათიშვა დაუშვას, ვიდრე პარტიას დაემორჩილოს, მაშინ ფაქტიურად ის უკვე გამოთიშული ყოფილა პარტიისაგან, და მაშინ აუცილებელი ფორმალური გათიშვის გაჭიანურება დიდი უგუნურებაა, რადგან ერთი ჯაჭვით შეკრული ორივე მხარე სულ უფრო და უფრო უაზროდ გაანიავებდა თავის ძალებს წვრილმან ბრძოლასა და კინკლაობაში, ზნეობრივად გამოიფიტებოდა და დაკნინდებოდა. მაგრამ ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია გათიშვის შესაძლებლობა. ორგანიზებული პარტიის ნამდვილი ძალის წინაშე ანარქისტულად განწყობილმა ელემენტებმა ქედი უნდა მოიხარონ და, ჩვენ ვფიქრობთ, მოიხრიან კიდეც, იმიტომ რომ დამოუკიდებელი ძალის შექმნას ისინი თვით თავი-

ანთი ბუნების გამო ვერ შესძლებენ. აღნიშნავენ შერიგების შესაძლებლობას უყრილობოდ. მაგრამ როგორი იქნება ეს შერიგება? საბოლოო კაპიტულაცია წრეობანის წინაშე, უმცირესობის კოოპტაცია ც. კ-ში და, მაშასადამე, ცენტრალურ დაწესებულებათა სრული დეზორგანიზაცია. მაშინ პარტია ცარიელი სიტყვა იქნებოდა, პარტიული უმრავლესობა იძულებული გახდებოდა თავიდან დაეწყო ბრძოლა. მერე უმცირესობა? აქამდე ყოველი მოპოვებული დათმობა მისთვის მხოლოდ დასაყრდენი იყო დეზორგანიზატორული მუშაობისათვის; მისი თვალსაზრისითაც კი ბრძოლა დიდად გასცილდა კოოპტაციის გარშემო წარმოშობილი კინკლაობის ჩარჩოებს; როგორ შეუძლია მას შესწყვიტოს ბრძოლა? და მით უფრო არ შესწყვეტს ის ამ ბრძოლას, თუ ყველაფერს არ დაუთმობენ. გვეუბნებიან: ყრილობა მიზანს ვერ მიაღწევს, იმიტომ რომ აქამდე ვერ გამოურკვევიათ უთანხმოებანიო. განა ახლა მათ გამორკვევაზეა საქმე, განა არევ-დარევა უფრო და უფრო არ იზრდება? უთანხმოებებს ახლა კი არ არკვევენ, არამედ ეძებენ და ჰქმნიან, და მხოლოდ ყრილობას შეუძლია ბოლო მოუღოს ამას. მხოლოდ მას შეუძლია მებრძოლ მხარეთა პირისპირ დაყენებით, იმით, რომ აიძულებს მათ გარკვეულად და აშკარად გამოსთქვან თავიანთი მისწრაფებები, — მხოლოდ მას ძალუძს სრული სიცხადე შეიტანოს პარტიულ მიმდინარეობათა და პარტიულ ძალთა ურთიერთობაში. მაგრამ ყრილობა შეიძლება გააყალბონ ორგანიზაციების დაშლის გზითო, აცხადებს უმცირესობა. ეს ყალბი ინსინუაციაა, ვუპასუხებთ ჩვენ, ინსინუაცია, რომლის სასარგებლოდ არც ერთი ფაქტი არ არის მოყვანილი. ფაქტები რომ ჰქონოდათ, უმცირესობა, რომლის განკარგულებაშიცაა პარტიული ორგანო, რა თქმა უნდა, უკვე შესძლებდა საჯაროდ გამოექვეყნებინა ისინი და, რაკი პარტიის საბჭო მის ხელთაა, სრული შესაძლებლობა ექნებოდა გამოესწორებინა კიდეც. დასასრულ, საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული რეზოლუცია, რომელიც არ აღნიშნავს ასეთი ფაქტების არსებობას წარსულში, მომავლისათვის მაინ შეუძლებლობის სრულ გა-

რანტიას იძლევა. ვინ დაიჯერებს ახლა ამ დაუჯერებელ ინსინუაციას? გამოსთქვამენ შიშს, ყრილობა მეტად დიდ ძალებსა და საშუალებებს მოაცდენს დადებითი მუშაობისაგანო. მწარე დაცინვაა! განა წარმოიდგენს კაცი ძალებისა და საშუალებების იმაზე მეტ მოცდენას, რასაც არეულობა გვაყენებს? ყრილობა აუცილებელია! ის აუცილებელი იქნებოდა მაშინაც კი, პარტიული ცხოვრება რომ ნორმალურად მიმდინარეობდეს, ვინაიდან განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში ვიმყოფებით, ვინაიდან შესაძლებელია მსოფლიო ამბებმა ჩვენი პარტიის წინაშე ახალი ამოცანები დააყენოს. ის ერთიორად აუცილებელია ახლანდელი პარტიული კრიზისის დროს, რათა პარტიამ პატიოსნად და გონივრულად დააღწიოს მას თავი, შეინარჩუნოს ძალები და დაიცვას თავისი სახელი და ღირსება.

რა უნდა გააკეთოს მესამე ყრილობამ არეულობის მოსასპობად, ნორმალური პარტიული ცხოვრების აღსადგენად? ამ მხრივ ყველაზე უფრო არსებითად მიგვაჩნია შემდეგი ცვლილებების მოხდენა, რომელთაც ყოველგვარი ლოიალური საშუალებებით დავიცავთ და გავატარებთ.

I. ც. ო.-ს რედაქციის გადასვლა პარტიული უმრავლესობის მომხრეთა ხელში. ასეთი გადასვლის აუცილებლობა, იმის გამო, რომ ახლანდელ რედაქციას აშკარად არ შესწევს უნარი დააყენოს ც. ო. საერთო-პარტიული ინტერესების დონეზე, საკმაოდ დასაბუთებულია. წრის ორგანო ვერ იქნება და არც უნდა იყოს პარტიის ორგანო.

II. რუსეთის საერთო ცენტრისადმი, ც. კ-სადმი ადგილობრივი საზღვარგარეთული ორგანიზაციის (ლიგის) დამოკიდებულების ზუსტად მოწესრიგება. ახლანდელი მდგომარეობა ლიგისა, რომელმაც თავისი თავი პარტიის მეორე ცენტრად გადააქცია, უკონტროლოდ განაგებს მასთან მიკედლებულ ჯგუფებს და ამავე დროს სრულიად უგულებელჰყოფს ც. კ-ს — ასეთი მდგომარეობა აშკარად არანორმალურია; ამას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

III. პარტიული ბრძოლის პარტიული წესებით წარმართვის გარანტირება წესდების გზით. ასეთი რეფორმის აუცილებლობა ცხადი ხდება ყრილობისშემდგომი ბრძოლის მთელი გამოცდილებით. საჭიროა პარტიის წესდებით უზრუნველყოფილ იქნას ყოველგვარი უმცირესობის უფლება, რათა ამ გზით უთანხმოების, უკმაყოფილებისა და გაღიზიანების მუდმივი და აურიდებელი წყაროები აყალმაყალისა და კინკლაობის ძველი წრეობრივი, ფილისტერული კალაპოტიდან გადაყვანილ იქნას ჩამოყალიბებული და რწმენის გულისთვის ღირსეული ბრძოლის ჯერ კიდევ უჩვეულო კალაპოტში. ასეთი შემობრუნების აუცილებელ პირობებს ჩვენ ვაკუთვნებთ შემდეგს. უმცირესობისათვის ერთი (ან მეტი) ლიტერატურული ჯგუფის შექმნის უფლების მინიჭება ყრილობებზე წარმომადგენლობის უფლებით; უაღრესად ფართო ფორმალური ვარანტიების მიცემა ისეთი პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ, რომელიც მიეძღვნება პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაობის კრიტიკას. ფორმალურად აღიარება კომიტეტების უფლებისა მიიღონ (საერთოპარტიული ტრანსპორტით) ის პარტიული გამოცემები, რომლებიც მათ ნებავთ. კომიტეტების პირად შემადგენლობაზე ც. კ-ის გავლენის უფლების ფარგლების ზუსტად განსაზღვრა. ჩვენ ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უკმაყოფილოთა ლიტერატურის გამოცემის ის ზომები, რომელთაც ც. კ. სთავაზობდა მეორე ყრილობის უმცირესობას, განმტკიცებულ იქნას წესდებით, რათა გაიფანტოს უმცირესობის მიერვე შექმნილი «საალყო წესების» მირაჟი, რათა აუცილებელი შინაპარტიული ბრძოლა წესიერ ფორმებში წარმოებდეს და დადებითს მუშაობას არ აფერხებდეს.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ ვამუშავებთ ჩვენს წინადადებებს, რადგან წესდების პროექტს კი არ ვაყენებთ, არამედ მხოლოდ პარტიის ერთიანობისათვის ბრძოლის ზოგად პროგრამას. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვხაზავთ წესდების ზოგიერთი კერძო, ჩვენი აზრით სასურველი, ცვლილების მიმართულებას და სრულიადაც არ ვიბოჭავთ ხელს გამოც-

დილების ახალ მითითებათა საფუძველზე მისი შემდგომი დამუშავების საქმეში. მაგალითად, აუცილებელია გარდავქმნათ პარტიის საბჭო, როგორც ისეთი დაწესებულება, რომელმაც პრაქტიკულად ცხადჰყო, რომ მისი ახლანდელი სახით არ შეუძლია შეასრულოს მის წინაშე დაყენებული ამოცანა— ცენტრების მუშაობის გაერთიანებისა და ამ მუშაობის მიმართ უმაღლესი კონტროლის განხორციელების ამოცანა. ის უნდა გადაიქცეს კოლეგიად, რომელსაც მთლიანად ირჩევს ყრილობა, და არა ამ ცენტრებზე მაღლა მდგომ სამედიატორო სასამართლოდ, რომლის მეხუთე წევრს ირჩევს ყრილობა, ცენტრები კი თავს იცავენ თავიანთი დელეგატების მეშვეობით. აგრეთვე, პარტიული კრიტიკის მითითებათა შესაბამისად, უნდა გადაისინჯოს წესდების 1-ლი პარაგრაფი პარტიის ფარგლების უფრო ზუსტად განსაზღვრის მხრივ და სხვ.

გამოვდივართ რა პარტიის ერთიანობისათვის ბრძოლის ამ პროგრამით, ვთხოვთ ყველა სხვა ელფერის წარმომადგენლებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას გარკვევით გამოთქვან აზრი თავიანთი პროგრამების საკითხზე, რათა შევქმნათ ყრილობისათვის სერიოზული და თანამიმდევრული, შეგნებული და გეგმაშეწონილი მომზადების შესაძლებლობა. სწყდება პარტიის არსებობის საკითხი, მისი სახელისა და ღირსების საკითხი: არსებობს თუ არა ის როგორც იდეური და რეალური ძალა, რომელსაც უნარი შესწევს გონივრულად მოაწყოს თავისი თავი იმდენად, რომ გამოვიდეს ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მუშათა მოძრაობის ნამდვილ ხელმძღვანელად? მთელი თავისი მოქმედებით საზღვარგარეთული უმცირესობა ამბობს: არა! და ისიც განაგრძობს ამ მხრივ მოქმედებას მტკიცედ, გადაჭრით, იმის იმედით, რომ რუსეთი შორსაა, რომ იქაური მუშაკები ხშირად იცვლებიან, რომ უმცირესობის ბელადები, მისი ლიტერატურული ძალები თითქოს შეუნაცვლებელია. ჩვენში იბადება პარტია! — ვამბობთ ჩვენ, როცა ვხედავთ მოწინავე მუშების პოლიტიკური შეგნების ზრდას, როცა ვხედავთ საერთო-პარტიული ცხოვრების

ასპარეზზე აქტიურად გამოსულ კომიტეტებს. ჩვენში იბადება პარტია, ჩვენში მრავლდებიან ახალგაზრდა ძალები, რომელთაც უნარი შესწევთ შესცვალონ და გამოაცოცხლონ ძველი ლიტერატურული კოლეგიები, რომელნიც კარგავენ პარტიის ნდობას; ჩვენში სულ უფრო და უფრო მატულობს იმ რევოლუციონერთა რიცხვი, რომლებიც პარტიული ცხოვრების მტკიცე მიმართულებას უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე წინანდელ ბელადთა რომელიმე წრეს. ჩვენში იბადება პარტია, და ვერავითარი ხრიკი და დაბრკოლება ვერ შეაჩერებს მის გადამწყვეტ და საბოლოო განაჩენს.

ჩვენი პარტიის ეს ძალები გვაძლევენ ჩვენ გამარჯვების რწმენას.

ამხანაგებო! დაბეჭდეთ და გაავრცელეთ ეს მოწოდება.

დაწერილია 1904 წ. აგვისტოს
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1904 წ.
აგვისტოში ცალკე ფურცლად

იბეჭდება ბროშურის —
«პარტიისადმი» ტექსტის მიხედვით.
ჟენევა, 1904 წ.

ცენტრალური კომიტეტის ხუთ წევრს

რუსეთში

1904 წ. აგვისტო

რსდმპ ც. კ-ის წევრებს გლებოვს, კონიაგინს[87], ტრავინსკის, ლოშადსა და ოსიპოვს.

დღეს, ც. კ-ის ბერლინელი აგენტის მეშვეობით, მივიღე ცნობა ც. კ-ის ოთხი (?) წევრის რუსეთში გამართული კრების გადაწყვეტილებათა შესახებ[88]. ეს გადაწყვეტილება არ შემიძლია კანონიერი გზით მიღებულად აღვიარო შემდეგი მოსაზრებებით:

1) განცხადება რეზოლუციის დასაწყისში — კრებას ც. კ-ის ყველა წევრი დაესწრო, ერთის (ე. ი. ჩემს) გარდაო, მ ა რ თ ა ლ ი ა რ ა რ ი ს. ვასილიევისა და ზვერევის დაპატიმრების შემდეგ, მიტროფანოვის[89] გადადგომის შემდეგ, ც. კ-ში კიდევ არის ერთი წევრი — ამხ. ოსიპოვი. ხმები მისი გადადგომის შესახებ არ გამართლდა: თვითონ ამხ. ოსიპოვს ცენტრალური კომიტეტის წევრად მიაჩნია თავი. იმავე აზრის ვიყავით ვასილიევი (რომელმაც მომწერა ამის შესახებ), ზვერევი და მე. ყოველ შემთხვევაში, ოსიპოვის ვითომ გადადგომის საკითხის გაურკვევლად, ც. კ-ის ოთხ წევრს უფლება არ ჰქონდათ გასულად ჩაეთვალათ იგი. უნდა დავუმატო, რომ არც ჩემთვის, არც ც. ო-სთვის, არც ც. კ-ის რო-

მელიმე საზღვარგარეთული აგენტისთვის არასდროს არ უცნობებიათ ფორმალურად ოსიპოვის გადადგომის შესახებ. ამავე დროს ოსიპოვი არ მიუწვევიათ კრებაზე.

2) მეც ასევე არათუ არ მიმიწვიეს კრებაზე, არამედ არც კი შემატყობინეს მისი მოწვევა, არ მაცნობეს განსახილველი საკითხები. რა თქმა უნდა, ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს საკითხები გადაწყვიტოს ხმების უმრავლესობით, მაგრამ არ შეიძლება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კანონიერი იყოს, თუ ყველა წევრს საშუალება არ მიეცა მონაწილეობა მიიღოს თათბირში და, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული აზრი წარადგინოს. მე ეს შესაძლებლობა წართმეული მაქვს ს რ უ ლ ი ა დ უ კ ა ნ ო ნ ო დ.

3) ც. კ-ის ოთხ წევრს არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება ჩემი და გლებოვის 1904 წლის 26 მაისის ხელშეკრულებისადმი, თუმცა ეს ხელშეკრულება და თანდართული ჩემი წერილი, გლებოვისა და ზვერევის თანხმობით, ეცნობა ც. კ-ის ყველა წევრს თხოვნით — პირდაპირ ეპასუხნათ ჩემთვის. ც. კ-ის უმრავლესობას სრული უფლება აქვს უმცირესობის მაიორიზირებისა, მაგრამ იმის უფლება სრულიადაც არა აქვს, რომ თავი აარიდოს უმცირესობის ოფიციალურ შეკითხვებს და უმცირესობის მიერ განსახილველად პირდაპირ დასმულ საკითხებს.

4) ზემონათქვამის საფუძველზე წინადადებას ვაძლევ ც. კ-ის ოთხ წევრს დაუყოვნებლივ მიპასუხონ: **a)** რა საბუთით არ მიიწვიეს კრებაზე ამხ. ოსიპოვი, ცენტრალური კომიტეტის წევრი? **b)** ასევე ჩემს შესახებაც? **c)** აღიარებენ თუ არა ისინი, რომ კოლეგიის უმრავლესობა ვალდებულია საერთო გადაწყვეტილებანი მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა უმცირესობა მოწვეულია თათბირზე და საშუალება აქვს თავისი აზრი გამოთქვას საკითხების განხილვისას და თავისი განსაკუთრებული აზრი წარადგინოს? **d)** აღიარებენ თუ არა ისინი, რომ ვალდებული არიან არსებითად გასცენ პასუხი

1904 წლის 26 მაისის ხელშეკრულებაში წამოყენებულ ყველა საკითხზე?

5) რადგან ც. კ-ის 4 წევრმა თავიანთი, უკანონოდ მიღებული, გადაწყვეტილება (ვითომ მთელი ც. კ-ის გადაწყვეტილება) აცნობა ც. ო-ს, მე იძულებული ვარ იმ პარტიულ მუშაკებს, რომელთაც ეს საკმაოდ ახლოს ეხებათ, მივმართო წერილით ცენტრალური კომიტეტის ოთხი წევრის მოქმედების საშუალებათა გამო.

ც. კ-ის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი რსდმპ ც. კ-ის აგენტებსა და კომიტეტთა წევრებს, რომლებიც ემხრობიან II პარტიული ყრილობის უმრავლესობას

ამხანაგებო! კონფლიქტი ც. კ-ის შიგნით იმდენად გაიზარდა, რომ ჩემს თავს ზნეობრივად ვალდებულად ვთვლი ვაცნობო ეს II პარტიული ყრილობის უმრავლესობის ყველა მომხრეს. ამ ნაბიჯის გადადგმას მაიძულებს როგორც ც. კ-ის ოთხი წევრის უკანონო მოქმედება, ისე იმის შიში, რომ მეორედ არ გადავდგა რაიმე გაუფრთხილებელი და პარტიისათვის საზიანო ნაბიჯი (რედაქციიდან ჩემი გამოსვლის მსგავსად) იმ თანამოაზრეებთან მოუთათბირებლად, რომლებიც ადგილობრივ ეწევიან მუშაობას, უკეთ იციან პარტიის ნამდვილი განწყობილება და საქმით და არა მხოლოდ სიტყვიერად გამოუცხადეს ომი ძველ საზღვარგარეთულ წრეობანას ახალგაზრდა პარტიულობის გულისთვის.

თუ რაში მდგომარეობს ც. კ-ის შიგნით არსებული კონფლიქტი, ამას დაგვანახვებს თანდართული 4 დოკუმენტი: 1) ც. კ-ის სამ წევრს — გლებოვსა, ზვერევსა და ლენინს შორის 1904 წლის 26 მაისს დადებული ხელშეკრულება; 2) ც. კ-ის წევრებისადმი ჩემი იმავე თარიღის წერილი; 3) დადგენილება, რომელიც მიიღო ც. კ-ის თითქოს ყველა წევრმა, გარდა ერთისა; 4) ჩემი პროტესტი ამ ვითომდა დადგენილების კანონიერების წინააღმდეგ [100].

მე ძალიან ვთხოვ ყველა ამხანაგს, რომლებიც ამ პარტიულ ბრძოლაში ჩვენს თვალსაზრისზე დგანან, დაკვირვებით წაიკითხონ ეს საგულისხმო დოკუმენტები და გულახდილად და ბოლომდე გამოთქვან თავიანთი აზრი მათ შესახებ. ჩემი მხრივ, მე თავს შევიკავებ და საჯაროდ არ გამოვალ პრესაში ამ საკითხებზე, თავს შევიკავებ, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ხნით, სანამ გავიგებდე რუსეთში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგის აზრს, ან სანამ ამ ნაბიჯის გადადგმას მოვლენები არ მაიძულებენ.

დავკმაყოფილდები რამდენიმე შეკითხვით პარტიისადმი, თუ ჩვენი ორგანიზაციის წევრები სთვლიან, რომ ჩვენ მართლაც გვაქვს პარტია: 1) დასაშვებია თუ არა პარტიაში, რომელიც ღირსია მუშათა პარტიის სახელწოდებისა, არსებობდეს ისეთი ც. კ., რომელიც არჩეულია უმრავლესობის მიერ და რომელიც უმრავლესობის პოლიტიკას «ჯგუფის» პოლიტიკად აცხადებს? 2) აქვთ თუ არა ზნეობრივი უფლება ჩვენი ნდობით სარგებლობდნენ ის ადამიანები, რომლებიც მარტის დეკლარაციაში ერთს ლაპარაკობენ, ხოლო ივლისში — სულ სხვას? — 3) ის ადამიანები, რომლებიც ც. კ-ის მეუმრავლესე 2 წევრის დაპატიმრებით სარგებლობენ და ფეხქვეშ თელავენ უმრავლესობის ინტერესებს? — 4) ის ადამიანები, რომლებიც ვითომ ჯგუფური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გულისთვის ლაპარაკობენ კონფერენციის შესახებ უმცირესობის ჯგუფთან, უმრავლესობას კი უგულებელყოფენ? — 5) ის ადამიანები, რომელთაც ეშინიათ ყრილობის მიერ მათი მოქმედების შეფასებისა და ამიტომ ბედავენ და პარტიას აშინებენ გათიშვით, ბედავენ «აუკრძალონ» პარტიის წევრებს მათი ელემენტარული უფლება ყრილობის მოწვევისათვის აგიტაციისა? — 6) ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი პარტიული კრიზისის ისეთ ბალღურ გაუგებლობას ააშკარავებენ, რომ სერიოზულად ამტკიცებენ ც. ო-ს «კანონიერებას» და საჯაროდ აცხადებენ ამ ც. ო-ს «მ ა ღ ა ლ» დონეს? — 7) ის ადამიანები, რომლებიც, პარტიის ნების წი-

ნაალმდეგ, შეგნებულად ცდილობენ ც. კ-დან გააძევონ პარტიული უმრავლესობის თანამიმდევარი მომხრეები?

დავამთავრებ თხოვნით — მიპასუხოთ ამ კითხვებზე და იზრუნოთ იმაზე, რომ საქმის ვითარება და ეს წერილი გააცნოთ პარტიის ყველა აქტიურ წევრს. ამ წერილის გამოქვეყნება ჯერჯერობით არა მგონია საჭირო იყოს.

ც. კ-ის წევრი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 5 (18) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი გლებოვს (ვ. ა. ნოსკოვს)

1904 წ. 11 სექტემბერი

პატივცემულო ამხანაგო!

თქვენ კვლავ იმეორებთ, რომ ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლის სურვილი გამოთქვა «ცენტრალურმა კომიტეტმა». ჩემი მხრივ, მეც უნდა გავიმეორო, რომ ეს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ზუსტი არ არის. როცა თქვენ ფორმალურად განაცხადეთ, ც. კ-ის ცნობილი დეკლარაცია მიღებულია ერთხმად ც. კ-ის სრული შემადგენლობით ერთი წევრის გამოკლებითო, მე დაუყოვნებლივ (ჯერ კიდევ 1904 წ. 18 აგვისტოს) გიპასუხეთ, ეს მართალი არ არის-მეთქი. დეკლარაციას ხელი მოაწერა ც. კ-ის სამმა წევრმა მასში ცოტა ხნის წინათ მყოფი ცხრა წევრიდან, მასთან ამ სამმა სრულიად უკანონოდ გამოაცხადა ც. კ-დან გამოსულად ამხ. ოსიპოვი, რომელმაც წერილობით განმიცხადა, ჩემს თავს წინანდებურად ც. კ-ის წევრად ვთვლიო. უკანონო იყო ამხანაგის გადამდგარად გამოცხადება მისთვის ახსნა-განმარტების მიუცემლად. ორივე მოსაზრება, რომლითაც თქვენ და ორი თქვენი კოლეგა იცავდით ამ უკანონობას, აშკარად უსაფუძვლოა. თქვენ იმოწმებდით იმას, რომ ც. კ-ის წარსულ მორიგ კრებაზე ამხ. ოსიპოვმა ფორმალურად განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ. ეს მართალი არ არის, ვინაიდან მაისის დამლევს

(ე. ი. რამდენიმე თვის შემდეგ ამ კრებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თებერვალსა თუ მარტში) ჩვენ ც. კ-ში ისევ 9 წევრი გვყავდა, რაც დადასტურებულია 1904 წლის 26 მაისის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს ც. კ-ის სამი წევრი, და წერილით, რაც დართული აქვს ამ ხელშეკრულებას *. თქვენ იმოწმებდით იმას, რომ ც. კ-ის ხსენებული კრების შემდეგ ამხ. ოსიპოვი შევიდა ერთს ადგილობრივ კომიტეტში, რის უფლებაც ც. კ-ის წევრს არ ჰქონდაო. ამაზე ამხ. ოსიპოვმა უფრო ადრე მიპასუხა წერილობით, აღნიშნულ ადგილას ადგილობრივ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად წავედი ც. კ-ის სწორედ იმ წევრთა წინადადებით, რომლებმაც ახლა გადამდგარად გამომაცხადეს, და ვმუშაობდი კომიტეტის არა როგორც ფორმალური წევრი. გარდა ამისა, კიდევაც რომ ადგილი ჰქონოდა ადგილობრივ კომიტეტში ც. კ-ის წევრის არასწორ, წესდებით დაუშვებელ შესვლას, მაინც არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ამ შეცდომის გამოსწორება უსათუოდ მოითხოვდეს ც. კ-დან გამოსვლას და არა ადგილობრივი კომიტეტიდან გამოსვლას. დასასრულ, თქვენ თვითონ იძულებული იყავით გამომტყდარიყავით წერილში ჩემდამი: ც. კ-ის სამი წევრის კრებას მოხსენდა, რომ ამხ. ოსიპოვის გადაყენების საკითხი სადავოაო. ც. კ-ის სამი წევრის მიერ ამ სადავო საკითხის გადაჭრა ოსიპოვის დაუსწრებლად და ოსიპოვის აზრის მოუსმენლადაც კი — აშკარა და აღმაშფოთებელი უკანონობა იყო. რა თქმა უნდა, ც. კ-ის სამ წევრს შეეძლოთ ევარაუდნათ, რომ მათ მხარს დაუჭერდა პარტიის საბჭო, რომელიც ხელში ჰყავდა ჩაჭერილი რედაქციას; რა თქმა უნდა, ც. კ-ის სამ წევრს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მათ მიერ ფორმალურად დადებულ თუ დუმილით აღიარებულ გარიგებას უმცირესობის მომხრეებთან საბჭოში. მაგრამ ამგვარი გარემოება უკანონობას კი არ მოსპობდა, არამედ, პირიქით, გააძლიერებდა პოლიტიკური ურიგობის ელემენტებით. სწორედ ასევე უკანო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 531 — 537. რ ე დ.

ნო იყო ც. კ-ის სამი წევრის მხრივ ამხ. ტრავინსკის გადადგომის მიღება, რის შესახებ უფრო ადრე, ვიდრე კრება მოხდებოდა, ც. კ-ის ზოგიერთმა წევრმა არაფერი იცოდა. თქვენ აქამდე ვერ მოგიციათ ჩემთვის სწორი ცნობები, ვის და როდის განუცხადეს ეს გადადგომა. თქვენ დაკმაყოფილდით ისეთი პასუხით, რომელიც დაცინვას ჰგავს: «ჰკითხეთ რუსეთის კოლეგიასო», ამ «კოლეგიის» (ისევ იმ სამთა კოლეგიის!) ადგილსამყოფელიდან კი თქვენ სულ ახლახან ჩამოხვედით და მასთან კავშირის დასამყარებლად თქვენს გარდა სხვა საშუალება არა მაქვს!!

ამრიგად, მე სადავოდ მიმაჩნია ც. კ-ის შემადგენლობისა და მისი უკანასკნელი კრების (რომელზეც მიღებულია «დეკლარაცია») კანონიერება. ამიტომ მე სრული უფლება მექნებოდა უპასუხოდ დამეტოვებინა თქვენი წინადადება ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლის შესახებ. მაგრამ ამ წინადადებას მე ვუყურებ როგორც გამოსულს არა ც. კ-საგან, არამედ პარტიის სამი წევრისაგან, და ჩემს მოვალეობად ვთვლი დასაბუთებული პასუხი გავცე მასზე. მით უფრო, რომ თქვენ იმოწმებთ ც. ო-ს რედაქციის მიერ თქვენდამი წერილობით გამოთქმულ სურვილს — მიხილონ რედაქტორთა რიცხვში.

თქვენ ფიქრობთ, რომ ც. ო-ს რედაქციაში ჩემი შესვლა «უზრუნველჰყოფდა პარტიაში თითქმის სრულ მშვიდობას, რაც მე ასე მწადია». ეს თქვენი «თითქმის» მეტად დამახასიათებელია! დიახ, მე მწადია მშვიდობა იყოს პარტიაში, მე ზავის წინადადებას ვიძლეოდი პრესის საშუალებით ჩემს «წერილში «ისკრის» რედაქციის მიმართ» («რატომ გამოვედი რედაქციიდან?») * 1903 წ. დეკემბერს. მე ზავის წინადადება კიდევ წამოვაყენე ოფიციალურად პარტიის საბჭოში 1904 წლის იანვარს **. ზავი არ იქნა მიღებული იმ პირობებით, რომელთაც მე მაშინ ვაყენებდი უმრავლესობის სახელით. უნდა

* იხ. ეს ტომი, გვ. 131 — 139. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 167 — 170. რ ე დ.

შევნიშნო, რომ წინააღმდეგ ახლანდელი მოდადქცეული თვალთმაქცური ფრაზებისა «ზავის» ჩამოგდებაზე, როცა ზავი ესმით როგორც სრული დათმობა უმცირესობისათვის, უმრავლესობის სრული უგულებელყოფა და ყრილობის სრული მივიწყება, მე სრულიად გარკვეულად აღვნიშნავდი საბჭოში, თუ როგორ მესმოდა ზავის ჩამოგდება პარტიაში. ც. კ-სგან საბჭოში გაგზავნილ მაშინდელ კოლეგასთან ერთად მე პირდაპირ განვაცხადე, ზავი მესმის როგორც იდეური ბრძოლის გაწმენდა ადგილუფროსობის ანგარიშებისგან, კინკლაობისა და ბრძოლის არაკეთილსინდისიერი ხერხებისაგან-მეთქი. დაე, ც. ო. ჰქონდეს უმცირესობას, ც. კ. — უმრავლესობას, — ვამბობდი მე მაშინ, — მოვუწოდოთ ყველას შესწყვიტონ ყოველგვარი ბოიკოტი, ყოველგვარი კინკლაობა ადგილუფროსობის, კოოპტაციის გამო და მოდით ამხანაგურად ვიმსჯელოთ ჩვენი უთანხმოებებისა და ყრილობაზე ჩვენი გათიშვის გამომწვევი მიზეზების შესახებ, მოდით შევაჩვიოთ პარტია პატიოსნად და ღირსეულად განიხილოს შინაური დავა-მეთქი. ჩემი მოწოდება აბუჩად აიგდეს პლეხანოვმა და მარტოვმა. მე არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ მათ მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება — არ გამოაქვეყნონ საბჭოს ოქმები (წინააღმდეგ საბჭოს უმცირესობის, სახელდობრ ც. კ-ის ორივე წარმომადგენლის მოთხოვნისა) და რომ ამ გადაწყვეტილებას ახლა (ფარულად) შეუერთდა ც. კ-ის სამი წევრი. ვინც თვალთმაქცურ ზავს აწყობს და ამავე დროს სარგებლობს რუს რევოლუციონერთა ცხოვრების ზოგიერთი გარდუვალი შემთხვევითი გარემოებით და ც. კ-დან აძევებს იმათ, ვინც სხვაგვარად აზროვნებს *, მას არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ პარტიის წევრებს დაუმალოს ღირსეული ზავის დროულად დადების ცდები. საბედნიეროდ, მე საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს უბად-

* ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება ამხ. ოსიპოვს. შემდეგ, რა თქმა უნდა, მეც, ვინაიდან წინადადება — შევიდე ც. ო-ს რედაქციაში უდრის წინადადებას გამოვიდე ც. კ-დან.

რუკი ფანდი, მიმართული პარტიის მოტყუებისაკენ, მიზანს ვერ მიაღწევს და საბჭოს ოქმები, ბოლოს და ბოლოს, დღის სინათლეს იხილავს.

მას შემდეგ, რაც რედაქციამ, რომელმაც ხელთ იგდო საბჭო, სიცილით უარჰყო ჩემი წინადადება ზავის ჩამოგდებისა, მე მაშინვე განვაცხადე, ერთადერთ პატიოსან გამოსავალად მიმაჩნია ყრილობის მოწვევა-მეთქი. უმცირესობის (და მათ შორის პლეხანოვის) ტაქტიკა — ხელში იყოლიონ ც. ო-ს რედაქცია და საბჭო, სიტყვიერად იყვნენ ამ ცენტრალურ დაწესებულებებში საერთოდ მთელი პარტიის ინტერესების წარმომადგენლად და ამავე დროს კი საქმით ეცადონ, ყრილობის გვერდის ავლით, ც. კ-ის გარდაქმნას უმცირესობის ინტერესების სასარგებლოდ, — ეს ტაქტიკა მე არ შემიძლია პატიოსან ბრძოლად მივიჩნიო. ასეთი ტაქტიკის მომხრეებთან არავითარი მორიგება არასდროს არ მქონია და არც შეიძლება მქონდეს. გარდა ამისა, იანვრიდან სავსებით გამოირკვა ახალი «ისკრის» — ჭორებისა და კინკლაობის, არეულ-დარეული მსჯელობისა და ოპორტუნისტებთან ლაქუცის, პირადი ანგარიშების გასწორებისა და უთანხმოებათა გამოძებნის ამ ცენტრალური ორგანოს ფიზიონომია. ახალი «ისკრა» რომ წრის ორგანო, ახალი «მიმართულების» ორგანოა, ამას ახლა ყველა ხედავს, ხედავს თვით რედაქციაც, რომელიც თავდაპირველად ცდილობდა «თანამომდევნობა» დაეცვა, ამჟამად კი სისტემატურად ლანძღავს ძველ «ისკრას». იბადება კითხვა, რა აზრით შეიძლება ახლა ზავზე ლაპარაკი? თუ მას გავიგებთ როგორც იდეური ბრძოლის გაწმენდას, კოოპტაციის გამო წარმოშობილი კინკლაობისაგან, მაშინ მე ახლაც სავსებით მზადა ვარ თანხმობა განვაცხადო ზავის დადებაზე და გავიმეორო ჩემს მიერ საბჭოში შეტანილი წინადადება. ხოლო თუ ზავს გავიგებთ როგორც იდეური ბრძოლის შეწყვეტას, ყოველგვარ მიმართულებას მოკლებული ახალი «ისკრის» მიმართულებასთან ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფიზიონომიასთან შერიგებას, ასეთი «ზავის» წამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უპრინციპო ან

თვალთმაქც ადამიანებს, ან ისეთებს, რომლებიც პარტიის ორგანოებს უყურებენ როგორც საბეჭდ ქაღალდს (**Druckerschwärze** — სტამბის საღებავს — როგორც ერთ-ერთმა «შემარიგებელმა» უწოდა ახალი «ისკრის» ლიტერატურას). თუ ახალი «ისკრის» რედაქტორები, რომლებმაც თითქმის მთელი თავიანთი «პრინციპული» პოზიცია პირადად ჩემზე თავდასხმად და იმის დევნად აქციეს, რასაც მათ «ლენინიზმი» უწოდეს, ჩემთან უთანხმოების გამოძებნად აქციეს, — თუ ისინი ახლა სურვილს გამოთქვამენ მიხილონ მე რედაქციაში, ამით ისინი თვითვე აღიარებენ, რომ თავიანთ ნაწერებს სერიოზულად არ უყურებენ, რომ მთელი ეს პოლემიკა მათ მხოლოდ «კოოპტაციისათვის» შეთხზეს და მზად არიან ყველა თავიანთი ახალი «პრინციპი» მიატოვონ, როგორც კი კოოპტაციას წარმატებით მიაღწევენ. ჩემს შესახებ კი ვიტყვი, რომ მე უარვყოფ, როგორც უღირს საქციელს, თვით იმის ვარაუდს, რომ უმრავლესობამ შესაძლებელია ხელი აიღოს პარტიულ ბრძოლაზე თავისი პოზიციისათვის, ბრძოლაზე მტკიცე მიმართულებისათვის, ბრძოლაზე წრეობანის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მე მიმაჩნია ჩემს ხელშეუვალ უფლებად და მოვალეობად უმრავლესობის პრინციპულ მომხრეებთან ერთად, რომელთა რიცხვი სულ იზრდება რუსეთში. ამ ბრძოლას, ჩემი აზრით, უნდა ვეწეოდეთ აშკარად, ვინაიდან კონფლიქტის ისტორიის $^{9}/_{10}$ უკვე გამოტანილია საზოგადოების წინაშე, და მისი ყოველგვარი შემდგომი დაფარვა საზოგადოებისაგან კრიზისის წვრილმანი და უაზრო გაჭიანურება იქნებოდა.

თქვენ იწერებით, რომ ჩემი შესვლა «ისკრის» ახლანდელ რედაქციაში «უეჭველად სურს მრავალ კომიტეტსაც». გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ თქვენ ამჯერადაც აშკარად არ ამბობთ სიმართლეს. ჯერ არც ერთ კომიტეტს, ბრძოლის ახლანდელ პირობებში, არ გამოუთქვამს ასეთი სურვილი. ასეთი სურვილი გამოთქვა მხოლოდ ც. ო-ს რედაქტორთა წრემ და ც. კ-ის სამმა წევრმა, რომლებსაც უდიდეს პოლიტიკურ სიბრძნედ მიაჩნიათ ის, რომ უმცირესობის წინაშე

ლანძღონ უმრავლესობა, ხოლო უმრავლესობის წინაშე — უმცირესობა. ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ მე ანგარიში უნდა გავუწიო არა ამა თუ იმ პოლიტიკანის ნებას, არამედ ნებას მთელი პარტიისას, რომელმაც თვით დააწესა თავისთვის ამ ნების ფორმალური გამოხატვის საშუალებაც: ყრილობა. ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ ხელმძღვანელი, რომელმაც გარკვეული გეზი აიღო ყრილობაზე და ამ გეზით მიჰყავდა პარტიის ერთი ნაწილი, ჰკარგავს პატივისცემის ყოველგვარ უფლებას და თვით იმის უფლებასაც, რომ სერიოზულად მოეპყრან მის სიტყვებს, თუ იგი თავის მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადადის.

თქვენი დამოწმება «მრავალი კომიტეტისა» უაღრესად ჰკუისსასწავლი და საგულისხმოა, მიუხედავად მისი... ჭეშმარიტებასთან შეუფერებლობისა. ეს დამოწმება მოწმობს, რომ კიდევ დარჩენილა პარტიული სინიდისის ნატამალი, მცირეოდენი შეგნება იმისა, რომ პარტიის მიერ დანიშნული თანამდებობრივი დაწესებულებანი ანგარიშს უნდა უწევდნენ ამ პარტიის ნება-სურვილს, როცა ცენტრების შემადგენლობისა და მიმართულების გარდაქმნას იწყებენ. თქვენ რომ ეს შეგნება დაბნელებული არ გქონდეთ იმ დაბნეული პოზიციის წყალობით, რომელიც თქვენ დაიკავეთ, ადვილად დაინახავდით, რომ არ არსებობს ნამდვილად მრავალი კომიტეტის ნამდვილი სურვილის ნამდვილად გაგების სხვა საშუალება, გარდა ყრილობისა. მაგრამ თუ თქვენი მხრივ «მრავალი კომიტეტის» დამოწმება პარტიული სინიდისის ნატამალს ამქლავნებს, ამავე დროს ეს დამოწმება ცხადზე უცხადესად მოწმობს სინიდისის ქენჯნასაც: თქვენ სწორედ იმიტომ გაშინებთ ასე საშინლად ყრილობა, რომ გრძნობთ აშკარა წინააღმდეგობას თქვენს საფათერაკო პოლიტიკასა და პარტიის ნება-სურვილს შორის.

ჩემს ზოგად მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ თქვენს მიერ წამოწყებული შერიგების ცდები ფარისევლურია, სავსებით ამტკიცებს მთელი რიგი დამატებითი ფაქტები. ც. კ-ის სამი წევრი ახლა აღტაცებულია ც. ო-ს «მაღალი დონით», მაშინ

როდესაც მარტში ც. კ-ის სწორედ ეს სამი წევრი განცხადებას წერდა, რომელშიც სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზოგიერთი პარტიული მწერალი (ც. ო-ს ახლანდელი რედაქციის უმრავლესობა) ოპორტუნიზმში გადავარდაო. ც. კ-ის ეს სამი წევრი «ზავზე» ლაპარაკობს და ამავე დროს სამხრეთის ბიუროს (ც. კ-ის აგენტთა კოლეგიას) შლის იმის გამო, რომ მასში მუშაობდნენ უმრავლესობის მომხრეები, რომლებიც კადნიერებას იჩენდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ ყრილობის სასარგებლოდ. ც. კ-ის სამი წევრი ორი მებრძოლი მხარის შერიგებაზე ლაპარაკობს და ამავე დროს კონფერენციას აწყობს ერთი მხარის წარმომადგენლებთან, მეორე მხარეს კი უგულებელჰყოფს. რა გარყვნილება შეაქვს პარტიაში ამ ცალკე, კერძო გარიგებებს, რომლებიც ეხებიან მთელი პარტიის საარსებო ინტერესებს და რომელთაც ასე გულმოდგინედ უმალავენ მას, თუმცა არ არსებობს არავითარი აუცილებლობა კონსპირაციული საიდუმლოებისა! რაოდენი ურთიერთუნდობლობა, ეჭვი შეაქვს პარტიის ზურგს უკან ჩადენილ ასეთ ყალთაბანდობას მთელ პარტიულ ცხოვრებაში! სწორედ დღეს ერთი ამხანაგი მწერს რუსეთიდან, თუ რა ხმები დადის ამ გარიგებათა გამო: უმცირესობა სამ ნაწილად გაიყოო, ამბობენ პარტიულ წრეებში; ერთი ნაწილი უწინარეს ყოვლისა მოითხოვს დანის და ტროცკის კოოპტაციას ც. კ-ში და მეტი არაფერი უნდა მოისმინოს; მეორე ნაწილი თანახმაა კონფერენციისა; მესამე კმაყოფილდება მხოლოდ ც. კ-ის დეკლარაციით, და ამ ნაწილს ეკუთვნიან იუჟნირაბოჩელები (რომლებიც პოპულარული ორგანოს დაარსებაში სრულიად სამართლიანად ხედავენ ყრილობის მიერ დახურული «იუჟნი რაბოჩის» შენიღბულ აღდგენას და მეტს არაფერს). მე არ ვიცი, რა არის მართალი ამ პარტიულ მითქმა-მოთქმაში. მაგრამ უმცირესობა რომ სხვადასხვაგვარი ჯგუფებისაგან შესდგება, რომ ამხ. ბრუკერი, მაგალითად, ალბათ, არავითარ მონაწილეობას არ იღებს უმცირესობის «ულტიმატუმებსა» და მთელ კოოპტაციურ კინკლაობაში, რომ «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფი მნიშვნელოვან თა-

ვისებურ ელფერს წარმოადგენს, ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია, რომელთაც იცნობს ყველა, ვისაც ჩვენი პარტიული ყრილობა შეუსწავლია. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რამდენი დამამცირებელი რამაა ცალკეულ ჯგუფთა ამ ვაჭრობაში, რაც პარტიის ზურგს უკან ხდება! განა საკვირველია, რომ ც. კ-ის სამი წევრის თვალთმაქცობა მათ მიმართ სრულ უნდობლობას იწვევს უმრავლესობის მხრივ, რომელიც განზე დგას ყველა ამ ყალთაბანდობისგან? განა საკვირველია, რომ «ზავს», დაწყებულს იმ ორგანიზაციების დაშლით, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ ყრილობის სასარგებლოდ, უყურებენ როგორც პარტიული საზოგადოებრივი აზრის სისტემატურად დამახინჯების შესავალს? რომ უმრავლესობა ვარაუდობს ც. კ-ის და ც. ო-ს (და, მაშასადამე, საბჭოს) გარიგებას კომიტეტებში უმცირესობის ძალით შეყვანის შესახებ, უმრავლესობის რეზოლუციების გამოუქვეყნებლობის შესახებ (პეტერბურგისა და ეკატერინოსლავის რეზოლუციები უკვე რამდენიმე თვეა დაკავებულია) და სხვ. და ა. შ.?

იმედი მაქვს, ახლა თქვენ მიხვდებით, თუ ახლანდელ პარტიულ სიტუაციაში რატომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია ც. ო-ს რედაქციაში ჩემს შესვლაზე.

თქვენი განცხადება, თითქოს მე «თავი შევიკავე» ხმის მიცემისაგან ც. კ-ში სამი წევრის კოოპტაციის საკითხში, მართალი არ არის. მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ «არჩევნები მომხდარად» იქნას აღიარებული. ეს ახალი უკანონობაა. ც. კ-ის ყველა სამი წევრი ვალდებულია განიხილოს ჩემი პროტესტი და მხოლოდ ამის შემდეგ აღძრას კოოპტაციის საკითხი. წესდების მიხედვით, კოოპტაცია ერთხმივია; მე თანხმობა არ გამიცხადებია. მაშასადამე, საბჭოში საქმის გადატანამდე ლაპარაკიც კი შეუძლებელია კოოპტაციის მომხდარად ჩათვლაზე. საბჭოს გადაწყვეტილება (თუ თქვენ უკანონოდ გადაიტანთ იქ

კოოპტაციის საკითხს, სანამ ც. კ-ის შემადგენლობას შეამოწმებდეს ც. კ-ის ყველა წევრი) უნდა მეცნობოს მე საბჭოს ოქმებთან ერთად.

მე ვერ გავიზიარებ თქვენს სინანულს იმის გამო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდით. ამხ. ოსიპოვის მიმართ თქვენი ყალთაბანდობისა და მოცემული სიტყვისადმი თქვენი დამოკიდებულების შემდეგ (1904 წლის 26 მაისის ხელშეკრულება) მე არავითარი ურთიერთობა თქვენთან, გარდა წმინდა ოფიციალურისა და მხოლოდ და მხოლოდ წერილობითისა, არ მსურს მქონდეს.

ც. კ-ის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ზოგიერთი შემოკლებით დაიბეჭდა 1904 წელს
ბროშურაში: ნ. შ ა ხ ო ვ ი.
«ბრძოლა ყრილობისათვის», ჟენევა

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს [101]

ამხ. როზა ლუქსემბურგის სტატია «Die Neue Zeit»-ის * 42-ე და 43-ე ნომრებში კრიტიკული გარჩევაა ჩემი რუსული წიგნისა ჩვენს პარტიაში არსებული კრიზისის შესახებ **. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო გერმანელ ამხანაგებს მათი ყურადღებისათვის ჩვენი პარტიული ლიტერატურისადმი, მათი ცდებისათვის გააცნონ ეს ლიტერატურა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ როზა ლუქსემბურგის სტატია «Neue Zeit»-ში მკითხველებს აცნობს არა ჩემს წიგნს, არამედ რაღაც სხვას. ეს შემდეგი მაგალითებიდან ჩანს. ამხ. ლუქსემბურგი, მაგალითად, ამბობს, რომ ჩემს წიგნში გარკვეულად და მკაფიოდ გამოიხატა ტენდენცია «ცენტრალიზმისა, რომელიც არაფერს ანგარიშს არ უწევს». ამრიგად, ამხ. ლუქსემბურგი ფიქრობს, რომ მე ვიცავ ერთ ორგანიზაციულ სისტემას რომელიღაც მეორის წინააღმდეგ. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. მთელი წიგნის მანძილზე, პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე, მე ვიცავ ყოველი შესაძლებელი პარტიული ორგანიზაციის ყოველი სისტემის ელემენტარულ დებულებებს. ჩემს წიგნში განხილულია არა ამა თუ იმ ორგანიზაციულ სისტემას შორის არსებული განსხვავების საკითხი, არამედ ის საკითხი, თუ როგორ უნდა ვიცავდეთ, ვაკრი-

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 239 — 530. რ ე დ.

ტიკებდეთ და ვასწორებდეთ ყოველ სისტემას ისე, რომ პარტიის პრინციპებს არ ვეწინააღმდეგებოდეთ. როზა ლუქსემბურგი შემდეგ ამბობს: «მისი (ლენინის) გაგების თანახმად, ც. კ-ს მიცემული აქვს რწმუნება მოაწყოს პარტიის ყველა ადგილობრივი კომიტეტი». ნამდვილად ეს სწორი არ არის. ჩემი აზრი ამ საკითხზე შეიძლება დოკუმენტურად იქნას დამტკიცებული პარტიული ორგანიზაციის წესდების ჩემ მიერ შეტანილი პროექტით. ამ პროექტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ადგილობრივი კომიტეტების მოწყობის უფლებაზე. პარტიის წესდების შესამუშავებლად პარტიულ ყრილობაზე არჩეულმა კომისიამ შეიტანა მასში ეს უფლება, და პარტიულმა ყრილობამ დაამტკიცა კომისიის პროექტი. ამ კომისიაში, ჩემსა და უმრავლესობის კიდევ ერთი მომხრის გარდა, არჩეული იყო პარტიული ყრილობის უმცირესობის სამი წარმომადგენელი, მაშასადამე, ამ კომისიაში, რომელმაც ც. კ-ს ადგილობრივი კომიტეტების მოწყობის უფლება მიანიჭა, სწორედ ჩემმა სამმა მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა. ამხ. რ. ლუქსემბურგმა ერთმანეთში აურია ორი სხვადასხვა ფაქტი. ჯერ ერთი, მან ერთმანეთში აურია, ერთი მხრით, ჩემი ორგანიზაციული პროექტი და კომისიის სახეშეცვლილი პროექტი და, მეორე მხრით, პარტიული ყრილობის მიერ მიღებული ორგანიზაციული წესდება; მეორე, მან ერთმანეთში აურია წესდების გარკვეული პარაგრაფის გარკვეული მოთხოვნის დაცვა (სრულიადაც არ არის სწორი, თითქოს ამ დაცვისას მე არაფერს არ ვუწევდი ანგარიშს, რადგან პლენუმზე მე არ გამოვსულვარ კომისიის მიერ შეტანილი შესწორების წინააღმდეგ) და იმ (ნამდვილად «ულტრაცენტრალისტური», არა?) თეზისის დაცვა, რომ პარტიული ყრილობის მიერ მიღებული წესდება მანამდე უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში, ვიდრე მას შემდეგი ყრილობა არ შესცვლის. ამ თეზისს («წმინდა ბლანკისტურს», როგორც ამას ადვილად შეამჩნევს მკითხველი) მე, მართლაც, ისე ვიცავდი ჩემს წიგნში, რომ «არაფერს ანგარიშს არ ვუწევდი». ამხ. ლუქსემბურგი ამბობს,

ვითომ, ჩემი აზრით, «ც. კ. პარტიის ერთადერთი აქტიური ბირთვია». ნამდვილად კი ეს მართალი არ არის. მე არასოდეს არ დამიცავს ეს აზრი. პირიქით, ჩემი ოპონენტები (პარტიის II ყრილობის უმცირესობა) თავიანთ ნაწერებში იმას მაბრალებდნენ, თითქოს მე საკმაოდ არ ვიცავ ც. კ-ის თვითმყოფობას, დამოუკიდებლობას და მეტისმეტად ვუმორჩილებ მას საზღვარგარეთ მყოფ ც. ო-ს რედაქციას და პარტიის საბჭოს. ამ ბრალდებაზე მე ჩემს წიგნში ვუპასუხე, რომ, როდესაც პარტიის საბჭოში პარტიული უმრავლესობა იყო გაბატონებული, ის არასოდეს არ ცდილა შეეზღუდა ც. კ-ის დამოუკიდებლობა; მაგრამ ეს მაშინვე მოხდა, როგორც კი პარტიის საბჭო გადაიქცა ბრძოლის იარაღად უმცირესობის ხელში. ამხ. როზა ლუქსემბურგი ამბობს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ აუცილებელია ერთიანი პარტია და მთელი დავა ტრიალებს მეტი თუ ნაკლები ცენტრალიზაციის საკითხის ირგვლივო. ნამდვილად კი ეს სწორი არ არის. ამხ. ლუქსემბურგი რომ გარჯილიყო და გასცნობოდა პარტიის იმ მრავალრიცხოვან ადგილობრივ კომიტეტთა რეზოლუციებს, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ, ადვილად მიხვდებოდა (ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჩემი წიგნიდან), რომ ჩვენში დავა უმთავრესად იმის გამო წარმოებდა, უნდა წარმოადგენდნენ თუ არა ც. კ. და ც. ო. პარტიული ყრილობის უმრავლესობის მიმართულებას. პატივცემული ამხანაგი კრინტსაც არ ძრავს ამ «ულტრაცენტრალისტურ» და «წმინდა ბლანკისტურ» მოთხოვნაზე და ამჯობინებს დეკლამაციას მთელისადმი ნაწილის მექანიკურად დამორჩილების წინააღმდეგ, მონური მორჩილების წინააღმდეგ, ბრმა მორჩილებისა და სხვა ამგვარ საშინელებათა წინააღმდეგ. მე დიდი მადლობელი ვარ ამხ. ლუქსემბურგისა იმ ღრმააზროვანი იდეის განმარტებისათვის, რომ მონური მორჩილება პარტიისათვის დამღუპველია, მაგრამ მსურს ვიცოდე, ნორმალურად მიაჩნია თუ არა ამხანაგს, შეუძლია თუ არა მას დაუშვას, უნახავს თუ არა მას რომელიმე პარტიაში, რომ ცენტრალურ ორგა-

ნოებში, რომლებიც თავის თავს პარტიულ ორგანოებს უწოდებენ, პარტიული ყრილობის უმცირესობა სჭარბობდეს? ამხ. რ. ლუქსემბურგი მე იმ აზრს მაწერს, რომ რუსეთში უკვე არსებობს ყველა წანამძღვარი დიდი და უკიდურესად ცენტრალიზებული მუშათა პარტიის ორგანიზაციისათვის. კვლავ ფაქტიური შეცდომაა. ამ აზრს მე არათუ არსად არ ვიცავდი ჩემს წიგნში, არამედ არც კი გამომითქვამს იგი. ჩემ მიერ წამოყენებული თეზისი რაღაც სხვას გამოხატავდა და გამოხატავს. სახელდობრ, მე ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ უკვე არსებობს ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ აღვიარებდეთ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებს და რომ უკვე დიდი ხანია განვლო იმ დრომ, როცა შესაძლებელი იყო პარტიული კოლეგიის შეცვლა კერძო წრით. მე მომყავდა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ზოგიერთი აკადემიკოსი ჩვენს პარტიაში თავის არათანამიმდევრობას და მერყეობას ამჟღავნებდა და რომ მათ არავითარი უფლება არა აქვთ თავიანთი უდისციპლინობა თავს მოახვიონ რუს პროლეტარს. რუსმა მუშებმა სხვადასხვა გარემოებაში უკვე არაერთხელ დაუჭირეს მხარი პარტიის ყრილობის დადგენილებათა დაცვას. პირდაპირ სასაცილოა, როცა ამხ. ლუქსემბურგი ამგვარ აზრს «ოპტიმისტურად» აცხადებს (თუ იგი უფრო «პესიმისტურად» უნდა ჩაითვალოს) და ამავე დროს ერთ სიტყვასაც არ ამბობს ჩემი დებულების ფაქტიურ საფუძველზე. ამხ. ლუქსემბურგი ამბობს, რომ მე ვაქებ ფაბრიკის აღმზრდელობითს მნიშვნელობას. ეს მართალი არ არის. მე კი არა, არამედ ჩემი მოწინააღმდეგე ამტკიცებდა, რომ მე პარტია ფაბრიკის მსგავსად მაქვს წარმოდგენილი. მე ჯეროვნად დავცინე მას და მისივე სიტყვებით დავამტკიცე, რომ იგი ერთმანეთში ურევს საფაბრიკო დისციპლინის ორ სხვადასხვა მხარეს, რაც, სამწუხაროდ, ამხ. რ. ლუქსემბურგსაც დაემართა *.

---

* იხ. რუსული ბროშურა: «ჩვენი გაუგებრობანი», სტატია «რ. ლუქსემბურგი კარლ მარქსის წინააღმდეგ».

ამხ. ლუქსემბურგი ამბობს, რომ მე რევოლუციური სოციალ-დემოკრატის ჩემი განსაზღვრით, როგორც კლასობრივად შეგნებული მუშების ორგანიზაციასთან დაკავშირებული იაკობინელისა, შეიძლება ითქვას, ჩემი თვალსაზრისი უფრო მოსწრებულად დავახასიათე, ვიდრე ამას რომელიმე ჩემი მოწინააღმდეგე შესძლებდა. კვლავ ფაქტიური შეცდომაა. მე კი არა, არამედ პ. აქსელროდი ლაპარაკობდა პირველად იაკობინელობაზე. აქსელროდმა პირველმა შეადარა ჩვენი პარტიული დაჯგუფებანი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელ დაჯგუფებებს. მე მხოლოდ შევნიშნე, რომ ეს შედარება დასაშვებია მხოლოდ იმ აზრით, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის დაყოფა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთად ერთგვარად შეესაბამება მონტანიარებად და ჟირონდისტებად დაყოფას-მეთქი. ამგვარ შედარებას ხშირად ახდენდა პარტიული ყრილობის მიერ აღიარებული ძველი «ისკრა». ძველი «ისკრა» აღიარებდა სწორედ ამგვარ დაყოფას და ებრძოდა ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას, «რაბოჩეე დელოს» მიმართულებას. როზა ლუქსემბურგი აქ ერთმანეთში ურევს XVIII და XX საუკუნის ორ რევოლუციურ მიმართულებას შორის არსებულ თანაფარდობას და თვით ამ მიმართულებათა გაიგივებას. მაგალითად, თუ მე ვამბობ, რომ მცირე შაიდეგი იუნგფრაუსთან შედარებით იგივეა, რაც ორსართულიანი სახლი ოთხსართულიანთან შედარებით, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე ოთხსართულიან სახლსა და იუნგფრაუს ვაიგივებ. ამხ. ლუქსემბურგს მხედველობის არედან მთლიანად გამოეპარა ჩვენი პარტიის სხვადასხვა მიმართულების ფაქტიური ანალიზი. მე კი ჩემი წიგნის ნახევარზე მეტს ვუძღვნი სწორედ ამ ანალიზს, რაც ჩვენი პარტიული ყრილობის ოქმებს ემყარება, და შესავალში ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. როზა ლუქსემბურგს სურს ილაპარაკოს ჩვენი პარტიის ახლანდელ მდგომარეობაზე და იმავე დროს სრულიად უგულებელჰყოფს ჩვენს პარტიულ ყრილობას, რომელმაც, სწორედ რომ ვთქვათ, ნამდვილი საძირკველი ჩაუყარა ჩვენს

პარტიას. ეს სახიფათო წამოწყებად უნდა იქნას აღიარებული! მით უფრო სახიფათოდ, რომ, როგორც ეს მრავალჯერ მაქვს აღნიშნული ჩემს წიგნში, ჩემი მოწინააღმდეგენი უგულებელყოფენ ჩვენს პარტიულ ყრილობას, და სწორედ ამიტომ ყველა მათი მტკიცება ყოველგვარ ფაქტიურ საფუძველს მოკლებულია.

სწორედ ასეთსავე ძირითად შეცდომას უშვებს ამხ. როზა ლუქსემბურგიც. ის მხოლოდ ლიტონ სიტყვებს იმეორებს და არც კი ცდილობს მათი კონკრეტული აზრი გაარკვიოს. ის სხვადასხვა საშინელებით გვაშინებს, თუმცა დავის ნამდვილი საფუძველი არ შეუსწავლია. იგი მე ზოგად ფრაზებს, საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებსა და მოსაზრებებს, აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს მაწერს და ცდილობს მიჩქმალოს შედარებითი ჭეშმარიტებანი, ისინი კი სასტიკად განსაზღვრულ ფაქტებს ეყრდნობიან და მეც მხოლოდ მათ ვიყენებ. ლუქსემბურგი შაბლონს მისაყვედურებს და ამასთან მარქსის დიალექტიკას შეღალადებს. ნამდვილად კი სწორედ პატივცემული ამხანაგის სტატია შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ გამოგონილ შაბლონებს, და სწორედ მისი სტატია ეწინააღმდეგება დიალექტიკის ანაბანას. ეს ანაბანა ამტკიცებს, რომ არავითარი განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. ამხ. როზა ლუქსემბურგი მედიდურად უგულებელჰყოფს ჩვენი პარტიული ბრძოლის კონკრეტულ ფაქტებს და დიდსულოვნად ეწევა დეკლამაციას ისეთ საკითხებზე, რომელთა სერიოზულად განხილვა შეუძლებელია. მე მოვიყვან უკანასკნელ მაგალითს ამხ. ლუქსემბურგის მეორე სტატიიდან. მას მოჰყავს ჩემი სიტყვები, რომ ორგანიზაციული წესდების ესა თუ ის რედაქცია შეიძლება ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცოტად თუ ბევრად ბასრი იარაღი იყოს*. თუ რა ფორმულირებებზე ვლაპარაკობდი მე ჩემს წიგნში და ვლაპარაკობდით ჩვენ ყველანი პარტიულ ყრილობაზე, ამაზე

* იხ. ეს ტომი, გვ. 331. რ ე დ.

როზა ლუქსემბურგი კრინტსაც არა ძრავს. ამხანაგი სრულიად არ ეხება იმას, თუ რა პოლემიკას ვაწარმოებდი მე პარტიულ ყრილობაზე, ვის წინააღმდეგ ვაყენებდი ჩემს დებულებებს. ამის ნაცვლად ის მოწყალებით მიკითხავს მთელს ლექციას ოპორტუნიზმის თაობაზე... პარლამენტარიზმის ქვეყნებში!! მაგრამ ოპორტუნიზმის ყველა განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ნაირსახეობათა შესახებ, იმ ელფერთა შესახებ, რაც მან რუსეთში მიიღო და რაზედაც ლაპარაკია ჩემს წიგნში, —ამის შესახებ მის სტატიაში ერთ სიტყვასაც ვერ ვპოულობთ. ყველა ამ, უაღრესად გონებამახვილი, მსჯელობიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: «პარტიის წესდება თავისთავად (?? გაიგე, ვისაც შეგიძლია) ოპორტუნიზმის საწინააღმდეგო რაღაც იარაღი კი არ უნდა იყოს, არამედ მხოლოდ მძლავრი გარეგანი საშუალება პარტიის ფაქტიურად არსებული რევოლუციურ-პროლეტარული უმრავლესობის ხელმძღვანელი გავლენის გატარებისათვის». სავსებით სწორია. მაგრამ რ. ლუქსემბურგი სდუმს იმაზე, თუ როგორ შეიქმნა ჩვენი პარტიის ფაქტიურად არსებული უმრავლესობა, ხოლო მე ჩემს წიგნში სწორედ ამაზე ვლაპარაკობ. იგი აგრეთვე იმის შესახებაც სდუმს, თუ რა გავლენას ვიცავდით მე და პლეხანოვი ამ მძლავრი გარეგანი საშუალების მეშვეობით. შემიძლია მხოლოდ დავუმატო, რომ მე არასოდეს და არსად არ მითქვამს ისეთი უაზრობა — რომ პარტიის წესდება «თავისთავად» იარაღია-მეთქი.

ჩემი შეხედულებების განმარტების ასეთ წესზე ყველაზე სწორი პასუხი იქნებოდა ჩვენი პარტიული ბრძოლის კონკრეტული ფაქტების გადმოცემა. მაშინ ყველასათვის ცხადი გახდება, თუ რა დიდად ეწინააღმდეგებიან კონკრეტული ფაქტები ამხ. ლუქსემბურგის ზოგად ფრაზებს და შაბლონურ აბსტრაქციებს.

ჩვენი პარტია შეიქმნა 1898 წლის გაზაფხულზე რუსეთში რამდენიმე რუსული ორგანიზაციის წარმომადგენელთა ყრილობაზე. პარტიას ეწოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ცენტრალურ ორგანოდ გამოცხადდა

«რაბოჩაია გაზეტა» [102]. «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირი» პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლობად გადაიქცა. მალე ყრილობის შემდეგ პარტიის ც. კ. დააპატიმრეს. «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემა მეორე ნომრის შემდეგ შეწყდა. მთელი პარტია გადაიქცა ადგილობრივ პარტიულ (კომიტეტებად წოდებულ) ორგანიზაციათა უფორმო კონგლომერატად. ერთადერთი კავშირი, რაც ამ ადგილობრივ კომიტეტებს აერთიანებდა, იდეური, წმინდა სულიერი კავშირი იყო. აუცილებლად უნდა დამდგარიყო უთანხმოებათა, მერყეობათა, გათიშვათა პერიოდი. ინტელიგენტები, რომლებიც ჩვენს პარტიაში გაცილებით უფრო მეტ პროცენტს შეადგენდნენ დასავლეთ ევროპის პარტიებთან შედარებით, მარქსიზმმა გაიტაცა, როგორც ახალმა მოდამ. ამ გატაცებამ ძალიან მალე ადგილი დაუთმო, ერთი მხრით, მონურ ქედის მოხრას მარქსის ბურჟუაზიული კრიტიკის წინაშე, მეორე მხრით, წმინდა პროფესიულ მუშათა მოძრაობას (გაფიცვებით გატაცება — ეკონომიზმი). ინტელიგენტურ-ოპორტუნისტულ და პროლეტარულ-რევოლუციურ მიმართულებათა შორის უთანხმოებამ საზღვარგარეთული «კავშირის» გათიშვა გამოიწვია. გაზეთი «რობოჩაია მისლ» და საზღვარგარეთული ჟურნალი «რაბოჩეე დელო» (უკანასკნელი რაოდენიმედ უფრო სუსტად) ეკონომიზმის გამომხატველი იყვნენ, ამცირებდნენ პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობას, უარჰყოფდნენ რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტების არსებობას. მარქსის «ლეგალური» კრიტიკოსები, ბატონები სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, ბულგაკოვი, ბერდიაევი და სხვ., გადაჭრით მარჯვნივ წავიდნენ. ევროპაში ვერსად ვერ ვნახავთ ჩვენ იმას, რომ ბერნშტეინელობა ასე მალე მისულიყოს თავის ლოგიკურ ბოლომდე, ლიბერალური ფრაქციის შექმნამდე, როგორც ეს იყო ჩვენში, რუსეთში. ჩვენში ბატონმა სტრუვემ დაიწყო «კრიტიკით» ბერნშტეინელობის გულისათვის, დაამთავრა კი ლიბერალური ჟურნალის «ოსვობოჟდენიეს» დაარსებით, ლიბერალურისა ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით. პლეხანოვმა და მისმა

მეგობრებმა, რომლებიც საზღვარგარეთული «კავშირიდან» გამოვიდნენ, დახმარება ჰპოვეს «ისკრისა» და «ზარიას» დამაარსებელთა მხრივ. ეს ორი ჟურნალი (რის შესახებ ამხ. როზა ლუქსემბურგსაც კი რაღაც სმენია) ეწეოდა «სამწლიან ბრწყინვალე კამპანიას» პარტიის ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული «მთის» კამპანიას სოციალ-დემოკრატიული «ჟირონდის» (ეს ძველი «ისკრის» გამოთქმაა) წინააღმდეგ, კამპანიას «რაბოჩეე დელოს» (ამხ. კრიჩევსკის, აკიმოვის, მარტინოვისა და სხვ.) წინააღმდეგ, ებრაელთა ბუნდის წინააღმდეგ, იმ რუსული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ამ მიმართულებამ გაიტაცა (პირველ რიგში პეტერბურგის ეგრეთწოდებული «მუშათა ორგანიზაციისა» და ვორონეჟის კომიტეტის წინააღმდეგ).

სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მხოლოდ წმინდა იდეური კავშირი კომიტეტებს შორის საკმარისი არაა. სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა ნამდვილად შემჭიდროებული პარტიის შექმნის საჭიროება, ე. ი. იმის შესრულება, რაც მხოლოდ დასახული იყო 1898 წელს. ბოლოს, 1902 წლის დამლევს შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც ამოცანად დაისახა პარტიის II ყრილობის მოწვევა. ამ საორგანიზაციო კომიტეტში, რომელიც შექმნა უმთავრესად «ისკრის» რუსულმა ორგანიზაციამ, ებრაელთა ბუნდის წარმომადგენელიც შევიდა. 1903 წლის შემოდგომაზე, როგორც იქნა, შესდგა II ყრილობა, რაც დასრულდა, ერთი მხრით, პარტიის ფორმალური გაერთიანებით, ხოლო მეორე მხრით, მისი გათიშვით «უმრავლესობად» და «უმცირესობად». ეს დაყოფა პარტიულ ყრილობამდე არ არსებობდა. ამ დაყოფის ახსნა შეუძლია მხოლოდ პარტიულ ყრილობაზე წარმოებული ბრძოლის დაწვრილებით ანალიზს. სამწუხაროდ, უმცირესობის მომხრეები (ამხ. ლუქსემბურგის ჩათვლით) ფრთხილად უვლიან გვერდს ამ ანალიზს.

ჩემს წიგნში, რომელიც ამხ. ლუქსემბურგმა ასე თავისებურად წარუდგინა გერმანელ მკითხველებს, 100 გვერდზე

მეტს ვუძღვნი ყრილობის ოქმების (რაც დაახლოებით 400 გვერდიან ტომს შეადგენს) დაწვრილებით განხილვას. ამ ანალიზმმა მაიძულა დელეგატები, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ხმები (ჩვენ გვყავდა დელეგატები ერთი ან ორი ხმით) ოთხ ძირითად ჯგუფად დამეყო: 1) უმრავლესობის ისკრელები (ძველი «ისკრის» მიმართულების მომხრეები) — 24 ხმა, 2) უმცირესობის ისკრელები — 9 ხმა, 3) ცენტრი (რომელსაც დაცინვით «ჭაობსაც» უწოდებენ) — 10 ხმა და, ბოლოს, 4) ანტიისკრელები — 8 ხმა, სულ 51 ხმა. მე ანალიზს ვუკეთებ ამ ჯგუფთა მონაწილეობას ყ ვ ე ლ ა იმ კენჭისყრაში, რასაც ადგილი ჰქონდა პარტიულ ყრილობაზე, და ვამტკიცებ, რომ (პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის) ყველა საკითხში პარტიული ყრილობა წარმოადგენდა ანტიისკრელთა წინააღმდეგ ისკრელთა ბრძოლის ასპარეზს «ჭაობის» სხვადასხვაგვარი მერყეობის პირობებში. ყველასათვის, ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი პარტიის ისტორიას, ცხადი უნდა იყოს, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ უმცირესობის ყველა მომხრენი (რ. ლუქსემბურგის ჩათვლით) მორცხვად თვალს არიდებენ ამ ბრძოლას. რატომ? სწორედ ეს ბრძოლა ცხადჰყოფს უმცირესობის ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელ სიყალბეს. პარტიულ ყრილობაზე ათეული საკითხების გამო ამ ბრძოლის მთელი დროის განმავლობაში, ათეულ კენჭისყრათა დროს ისკრელები იბრძოდნენ ანტიისკრელთა და «ჭაობის» წინააღმდეგ, «ჭაობისა», რომელიც მით უფრო გადაჭრით ემხრობოდა ანტიისკრელებს, რაც უფრო კონკრეტული იყო განსახილველი საკითხი, რაც უფრო დადებითად განსაზღვრავდა იგი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ძირითად აზრს, რაც უფრო რეალურად მიისწრაფვოდა ცხოვრებაში გაეტარებინა ძველი «ისკრის» ურყევი გეგმები. ანტიისკრელები (განსაკუთრებით ამხ. აკიმოვი და პეტერბურგის «მუშათა ორგანიზაციის» დეპუტატი ამხ. ბრუკერი, რომელიც მუდამ ეთანხმებოდა მას, აგრეთვე თითქმის ყოველთვის ამხ. მარტინოვი და ებრაელთა ბუნდის 5 დელეგატი) ძველი «ისკრის» მიმართულე-

ბის აღიარების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ძველ კერძო ორგანიზაციებს იცავდნენ, ხმას აძლევდნენ პარტიისადმი მათი დამორჩილების წინააღმდეგ, პარტიასთან მათი შეერთების წინააღმდეგ (ინციდენტი საორგანიზაციო კ-თან, «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის, «ჭაობის» უმნიშვნელოვანესი ჯგუფის დაშლა და სხვ.). ისინი იბრძოდნენ ცენტრალიზმის სულისკვეთებით შედგენილი ორგანიზაციული წესდების წინააღმდეგ (ყრილობის მე-14 სხდომა) და ყველა ისკრელს მაშინ ბრალს სდებდნენ — «ორგანიზებული უნდობლობა», «საგანგებო კანონი» და სხვ. საშინელებანი სურთ შემოიტანონო. ყველა ისკრელი, გამოუკლებლივ, დასცინოდა მაშინ ამას; გასაოცარია, რომ ახლა ამხ. როზა ლუქსემბურგი ყველა ამ გამონაგონს რაღაც სერიოზულ რამედ ღებულობს. საკითხთა უდიდეს უმრავლესობაში ისკრელებმა გაიმარჯვეს: ისინი სჭარბობდნენ ყრილობაზე, რაც ნათლად ჩანს ზემომოყვანილი ციფრობრივი ცნობებიდან. მაგრამ ყრილობის სხდომათა მეორე ნახევრის დროს, როცა უფრო ნაკლებად პრინციპული საკითხები სწყდებოდა, ანტიისკრელებმა გაიმარჯვეს, — ზოგიერთმა ისკრელმა ხმა მისცა მათთან ერთად. ასე მოხდა, მაგალითად, ჩვენს პროგრამაში ყველა ენის თანასწორუფლებიანობის საკითხზე; ამ საკითხში ანტიისკრელებმა თითქმის მოახერხეს საპროგრამო კომისიის დამარცხება და თავიანთი ფორმულირების გაყვანა. ასე მოხდა აგრეთვე წესდების პირველი პარაგრაფის საკითხშიც, როდესაც ანტიისკრელებმა «ჭაობთან» ერთად მარტოვის ფორმულირება გაიყვანეს. ამ რედაქციის თანახმად პარტიის წევრებად ითვლებიან არა მარტო პარტიული ორგანიზაციის წევრები (ასეთ რედაქციას ვიცავდით მე და პლეხანოვი), არამედ ყველა ის პირიც, ვინც პარტიული ორგანიზაციის კონტროლით მუშაობს *.

---

* ამხ. კაუტსკიმ მარტოვის რედაქციას დაუჭირა მხარი, ამასთან ის მიზანშეწონილობის თვალსაზრისზე დადგა. ჯერ ერთი, ამ პუნქტს ჩვენს პარტიულ ყრილობაზე იხილავდნენ არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, არამედ პრინციპული თვალსაზრისით. ამ სახით დააყენა საკითხი აქსელროდმა. მეორე, ამხ. კაუტსკი ცდება, თუ ფიქრობს, რომ რუსეთის

ასევე მოხდა ც. კ-ისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევის საკითხის გამო. 24 ისკრელმა შექმნა შემჭიდროებული უმრავლესობა; მათ გაიყვანეს რედაქციის განახლების დიდი ხნის წინათ მოფიქრებული გეგმა: ექვსი ძველი რედაქტორიდან არჩეულ იქნა სამი; უმცირესობაში შევიდა 9 ისკრელი, ცენტრის 10 წევრი და 1 ანტიისკრელი (დანარჩენებმა — 7 ანტიისკრელმა, ებრაელთა ბუნდისა და «რაბოჩეე დელოს» წარმომადგენლებმა — კიდევ უფრო ადრე მიატოვეს ყრილობა). ეს უმცირესობა იმდენად უკმაყოფილო დარჩა არჩევნებით, რომ გადასწყვიტა თავი შეეკავებინა დანარჩენ არჩევნებში მონაწილეობისაგან. ამხ. კაუტსკი სრულიად მართალი იყო, როდესაც მან რედაქციის განახლების ფაქტი შემდგომი ბრძოლის მთავარ მიზეზად მიიჩნია. მაგრამ მისი შეხედულება, რომ მე (sic! *) რედაქციიდან «გავრიცხე» სამი ამხანაგი, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ის სრულიად არ არის გაცნობილი ჩვენს ყრილობას. ჯერ-ერთი, აურჩევლობა ხომ სრულიად ის არ არის, რაც გარიცხვა, და მე, რა თქმა უნდა, ყრილობაზე არ მქონდა ვისიმე გარიცხვის უფლება; მეორეც, ამხ. კაუტსკის, მგონი, აზრადაც არ მოსდის, რომ ანტიისკრელთა, ცენტრისა და «ისკრის» მომხრეთა მცირე ნაწილის კოალიციის ფაქტსაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა არჩევნების შედეგზე. ვისაც არ სურს თვალი აარიდოს იმას, რაც ჩვენს ყრილობაზე მოხდა, მან უნდა გაიგოს, რომ ჩვენი ახალი დაყოფა უმცირესობად და უმრავლესობად მხოლოდ ვარიანტია ძველი დაყოფისა ჩვენი პარტიის პროლეტარულ-რე-

---

პოლიციური რეჟიმის დროს ასეთი დიდი განსხვავება არსებობს პარტიული ორგანიზაციის წევრობასა და ამგვარი ორგანიზაციის კონტროლით უბრალო მუშაობას შორის. მესამე, განსაკუთრებით შემცდარია რუსეთში არსებული ახლანდელი მდგომარეობის შედარება გერმანიაში სოციალისტების შესახებ საგანგებო კანონის მოქმედების დროს არსებულ მდგომარეობასთან [108].

* — ასე! რ ე დ.

ვოლუციურ და ინტელიგენტურ-ოპორტუნისტულ ფრთად. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერავითარი განმარტებით, ვერავითარი დაცინვით გვერდს ვერ აუვლი.

სამწუხაროდ, ყრილობის შემდეგ ამ გათიშვის პრინციპული მნიშვნელობა შეილახა კინკლაობით კოოპტაციის საკითხის გამო. სახელდობრ, უმცირესობამ არ მოისურვა ცენტრალურ დაწესებულებათა კონტროლით მუშაობა, თუ სამი ძველი რედაქტორი კვლავ კოოპტირებული არ იქნებოდა. ორი თვე გაგრძელდა ეს ბრძოლა. ბრძოლის საშუალებები იყო ბოიკოტი და პარტიის დეზორგანიზაცია. 12 კომიტეტმა (14-დან, რომელთაც ამის გამო თავიანთი აზრი გამოთქვეს) მკაცრად დაჰგმო ბრძოლის ეს საშუალებები. უმცირესობამ იმაზედაც კი უარი სთქვა, რომ მიეღო ჩვენი (ჩემს და პლეხანოვის მიერ წამოყენებული) წინადადება და თავისი თვალსაზრისი გამოეთქვა «ისკრის» ფურცლებზე. საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე საქმე იქამდე მივიდა, რომ ცენტრალური ორგანოების წევრებს პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს და გალანძღეს (თვითმპყრობელნი, ბიუროკრატები, ჟანდარმები, მატყუარები და ა. შ.). მათ ბრალს სდებდნენ, პირად ინიციატივას აბშობთ და გსურთ უსიტყვო და ბრმა მორჩილება შემოიღოთო და სხვ. პლეხანოვის ცდამ უმცირესობის ბრძოლის ასეთი წესი შეეფასებინა როგორც ანარქისტული, მიზანს ვერ მიაღწია. ამ ყრილობის შემდეგ პლეხანოვი გამოვიდა ეპოქის შემქმნელი და ჩემს წინააღმდეგ მიმართული სტატიით — «რა არ ვაკეთოთ» («ისკრის» 52-ე ნომერში). ამ სტატიაში ის ამბობდა, რომ რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად რევიზიონისტებთან ბრძოლას როდი უნდა ნიშნავდესო; ყველასათვის ნათელი იყო, რომ ის აქ ჩვენს უმცირესობას გულისხმობდა. შემდეგ ის ამბობდა, რომ ზოგჯერ საჭირო არ არის ვებრძოლოთ ანარქისტულ ინდივიდუალიზმს, რომლითაც ასე ღრმად არის გამსჭვალული რუსი რევოლუციონერიო; ზოგიერთი დათმობა ზოგჯერ საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ იგი დაიმორჩილო და გათიშვა აიცილოო. მე გამოვედი რედაქციიდან,

რადგან არ შემეძლო ასეთი შეხედულების გაზიარება, და უმცირესობის რედაქტორებიც კოოპტირებულ იქნენ. შემდეგ დაიწყო ბრძოლა ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციისათვის. ჩემი წინადადება — დადებული ყოფილიყო ზავი იმ პირობით, რომ უმცირესობას დარჩენოდა ც. ო., ხოლო უმრავლესობას — ც. კ., უარყოფილ იქნა. ბრძოლა გრძელდებოდა, «პრინციპულად» იბრძოდნენ ბიუროკრატიზმის, ულტრაცენტრალიზმის, ფორმალიზმის, იაკობინელობის, შვეიცერელობის (სწორედ მე მიწოდებდნენ რუს შვეიცერს) და სხვა საშინელებათა წინააღმდეგ. ჩემს წიგნში მე სასაცილოდ ავიგდე ყველა ეს ბრალდება და შევნიშნე, რომ ეს ან უბრალო კოოპტაციური კინკლაობაა, ანდა (თუ ეს პირობითად «პრინციპებად» უნდა იქნას აღიარებული) ოპორტუნისტული, ჟირონდისტული ფრაზებია და სხვა არაფერი-მეთქი. ახლანდელი უმცირესობა მხოლოდ იმას იმეორებს, რასაც ამხ. აკიმოვი და სხვა ცნობილი ოპორტუნისტები ამბობდნენ ჩვენს ყრილობაზე ცენტრალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ძველი «ისკრის» ყველა მომხრე იცავდა.

რუსეთის კომიტეტები აღშფოთებულნი იყვნენ ც. ო-ს კერძო წრის ორგანოდ, კოოპტაციური კინკლაობისა და პარტიული ჭორების ორგანოდ გადაქცევის გამო. გამოტანილ იქნა მრავალი რეზოლუცია, რომლებიც უსასტიკეს გაკიცხვას გამოთქვამდნენ. მხოლოდ ეგრეთწოდებულმა პეტერბურგის «მუშათა ორგანიზაციამ», რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, და ვორონეჟის კომიტეტმა (ამხ. აკიმოვის მიმართულების მომხრეები) გამოთქვეს თავიანთი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი კმაყოფილება ახალი «ისკრის» მიმართულების გამო. სულ უფრო მეტად გაისმოდა ხმები, რომლებიც III ყრილობის მოწვევას მოითხოვდნენ.

მკითხველი, რომელიც გაირჯება და ჩვენი პარტიული ბრძოლის პირველწყაროებს შეისწავლის, ადვილად გაიგებს, რომ ამხ. როზა ლუქსემბურგის მიერ გამოთქმული აზრები «ულტრაცენტრალიზმის», თანდათანობითი ცენტრალიზაციის აუცილებლობისა და სხვათა შესახებ კონკრეტულად და

პრაქტიკულად ჩვენი ყრილობის სასაცილოდ აგდებაა, ხოლო აბსტრაქტულად და თეორიულად (თუ შეიძლება აქ თეორიაზე ლაპარაკი) მარქსიზმის პირდაპირი გაუგვანებაა, მარქსის ნამდვილი დიალექტიკის დამახინჯებაა და სხვ.

ჩვენი პარტიული ბრძოლის უკანასკნელი ფაზისი იმით აღინიშნა, რომ უმრავლესობის წევრები ნაწილობრივ გარიცხულ იქნენ ც. კ-დან, ნაწილობრივ კი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ მათ არაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ. (ეს მოხდა ც. კ-ის შემადგენლობის ცვლილებათა წყალობით [104] და სხვ.). პარტიის საბჭომ (რომელიც ძველი რედაქტორების კოოპტაციის შემდეგ ასევე უმცირესობას ჩაუვარდა ხელში) და ახლანდელმა ც. კ-მა დაჰგმეს ყოველგვარი აგიტაცია III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ და ისინი უმცირესობის ზოგიერთ წევრთან პირადი შეთანხმებისა და მოლაპარაკების გზაზე გადადიან. ორგანიზაციები, მსგავსად, მაგალითად, ც. კ-ის აგენტების (რწმუნებულების) კოლეგიებისა, რომელთაც თავს ნება მისცეს ისეთი დანაშაული ჩაედინათ, როგორიცაა აგიტაცია ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ, დაშლილ იქნენ [105]. პარტიის საბჭოს და ახალი ც. კ-ის ბრძოლა III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ გამოცხადებულ იქნა მთელი ხაზით. უმრავლესობამ ამას უპასუხა ლოზუნგით: «ძირს ბონაპარტიზმი!» (ასეთი სათაური ჰქონდა ამხ. გალიორკის [106] ბროშურას, გალიორკისა, რომელიც უმრავლესობის სახელით გამოდის). იზრდება ისეთი რეზოლუციების რიცხვი, რომლებშიც ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიული დაწესებულებანი ანტიპარტიულ და ბონაპარტისტულ დაწესებულებებად ცხადდება. თუ რა თვალთმაქცობა იყო უმცირესობის მთელი ლაპარაკი ულტრაცენტრალიზმის წინააღმდეგ და ავტონომიის სასარგებლოდ, ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ უმრავლესობის ახალი გამომცემლობა, წამოწყებული ჩემს და ერთი ამხანაგის მიერ (სადაც დაიბეჭდა ამხ. გალიორკის ზემოხსენებული ბროშურა და ზოგიერთი სხვა), პარტიის გარეშე მდგომად იქნა გამოცხადებული [107]. ახალი გამომცემლობა უმრავლესობას ერთადერთ შესაძლებ-

ლობას აძლევს გასწიოს თავის შეხედულებათა პროპაგანდა, რადგან «ისკრის» ფურცლები მისთვის თითქმის დახურულია. და მიუხედავად ამისა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ პარტიის საბჭომ ზემოხსენებული გადაწყვეტილება გამოიტანა იმ წმინდა ფორმალურ საფუძველზე, რომ თქვენს გამომცემლობას არც ერთი პარტიული ორგანიზაციის რწმუნება არა აქვსო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მივიწყებულია ახლა დადებითი მუშაობა, რა დიდად დაეცა სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟი, რა დიდად დემორალიზებულია მთელი პარტია იმის გამო, რომ არარამდე იქნა დაყვანილი II ყრილობის ყველა გადაწყვეტილება, ყველა არჩევნები, აგრეთვე III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ იმ ბრძოლის გამო, რომელსაც პარტიის წინაშე პასუხისმგებელი პარტიული დაწესებულებები ეწევიან.

დაწერილია 1904 წლის სექტემბრის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

თავაზიანი ლიბერალი

Хотя услуга нам при нужде дорога,
Но за нее не всяк умеет взяться,
Не дай бог со Струве связаться,
Услужливый Струве опаснее врага!

ბ-ნ სტრუვეს «ოსვობოჟდენიეს» უკანასკნელ ნომერში (№ 57) დაბეჭდილია შემდეგი საგულისხმო სტრიქონები:

ეგრეთწოდებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შიგნით ფენებად დანაწილების პროცესი ახალ ფაზაში გადავიდა. უკიდურეს ცენტრალისტებს («ლენინელებს», «მაგრებს», «ბოლშევისტებს») ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ, ხოლო მათ მოწინააღმდეგეთა პოზიცია სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება — ყოველ შემთხვევაში საზღვარგარეთულ «კოლონიებში». «მენშევისტები» (მარტოველები) თითქმის ყველგან იმარჯვებენ, ხელთ იგდებენ პარტიული ორგანოების სულ უფრო და უფრო მეტ რაოდენობას, მაშინ როდესაც «ბოლშევისტებს» ეთიშებიან ჯგუფები და პირები, რომლებიც, თუმცა საბოლოოდ არ იღებენ უმცირესობის «პლატფორმას», მაგრამ არც ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს გამოთქვამენ და ცდილობენ მშვიდობის დამყარებას აქამდე მშფოთვარე პარტიაში. სცენაზე გამოდიან «შემარიგებლები», რომელთაც სურთ ბოლო მოუღონ ურიგო შეხლა-შემოხლას, როცა ადამიანებს არათუ სხვისა, არამედ საკუთარი თავისაც არა გაეგებათ რა. ამ «შემარიგებლების» გამოჩენა შეურიგებელ ცენტრალისტებს აიძულებს დააარსონ «გამომცემლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურისა, რომელიც ემსახურება მეორე პარტიული ყრილობის უმრავლესობის პრინციპული პოზიციის დაცვას». (ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის განცხადებანი.). ჩვენს წინაშეა ამ ახალი გამომცემლობის სამი პროდუქტი:

1) პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი. ჟენევა. 1904, გვ. 16. ფასი 20 სანტ., 15 პფ. 2) გ ა ლ ი ო რ კ ა. ძირს ბონაპარტიზმი! ჟენევა. 1904, გვ. 23. ფასი 25 სანტ., 20 პფ. 3) გ ა ლ ი ო რ კ ა დ ა რ ი ა დ ო ვ ი[108]. ჩვენი გაუგებრობანი. ჟენევა. 1904. ფასი 50 სანტ., 40 პფ. ამ სამი ბროშურის მთავარი შინაარსია ზოგიერთი იმ მართლაც არცთუ სავსებით უმწიკვლო მეთოდის კრიტიკული გაშუქება, რომელსაც «მენშევისტები» მიმართავენ «უმრავლესობასთან» ბრძოლაში და იმ თეზისის დაცვა, რომ მესამე ყრილობის მოწვევა პარტიული შეხლა-შემოხლის მოსაგვარებლად არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა.

«ბოლშევისტები» ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ, პარტიული ლოიალობის თვალსაზრისით, უფრო მტკიცე პოზიციაზე დგანან, მაგრამ ა რ ს ე ბ ი თ ა დ ჩამოუვარდებიან თავიანთ მოწინააღმდეგეებს. არსებითად უკანასკნელნი ა მ ჟ ა მ ა დ იცავენ რაღაც უფრო ცხოველმყოფელსა და ქმედუნარიანს, ვიდრე «ბოლშევისტები». მხოლოდ, სამწუხაროდ, ეს დაცვა წარმოებს არცთუ მთლად ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სრულიად ურიგოდ და ხშირად აშკარა უწესობამდე მიდის საშუალებათა არჩევაში. ასეთი ურიგო დაცვის მაგალითს წარმოადგენს «ისკრის» უკანასკნელი დროის უამრავი სტატია და ნ. ტ რ ო ც კ ი ს ამ დღეებში გამოსული ბროშურა: ჩვენი პოლიტიკური ამოცანები. (ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხები). ჟენევა. 1904, გვ. 107. ფასი 75 სანტ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბროშურაში ბევრგან გვხვდება სიტყვების ცარიელი რახარუხი, იგი სრულიად სამართლიანად იცავს ზოგიერთ იდეას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველები უკვე იცნობენ ბბ. აკიმოვის, მარტინოვის, კრიჩევსკისა და სხვ. ეგრეთწოდებული «ეკონომისტების» ნაწერებით. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზოგ ადგილას ავტორს კარიკატურამდე დაჰყავს უკანასკნელთა შეხედულება.

რამდენი ღვარძლია აქ ჩვენი პარტიის განსაცდელთა გამო! მაგრამ ლიბერალს, თავისი პოლიტიკური ბუნებით, არ შეუძლია ღვარძლიანი სიხარულით არ შეხვდეს სოციალ-დემოკრატიის დასუსტებას და დაშლას.

რამდენი ღრმად მოფიქრებული და გრძნობიერი სიმპათიაა აქ უმცირესობის აკიმოვისებურ შეხედულებათა ა რ ს ი ს ა დ მ ი! მაგრამ განა მართლაც რუსული ლიბერალიზმის ცხოველმყოფელობის, იდეური ცხოველმყოფელობის ერთადერთ იმედს სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის ცხოველმყოფელობა არ შეადგენს?

ბედი არ სწყალობთ ახალ «ისკრას» და მის მომხრეებს.

მოიგონეთ პლეხანოვის განთქმული, შესანიშნავი, ეპოქის შემქმნელი «რა არ ვაკეთოთ?». რა გონებამახვილად იყო მოფიქრებული ცბიერებისა და პირად დათმობათა ეს პოლიტიკა და რა უხერხულად გაება ხათაბალაში ჩვენი დიპლომატი. როგორი სისწორით შეამჩნია თანამიმდევარმა ოპორტუნისტმა, ბ-მა სტრუვემ, ახალი «ისკრის» «ფრიად მნიშვნელოვანი შეტრიალება». უფსკრულს ძველსა და ახალ «ისკრას» შორის ახლა თვით უკანასკნელის ხელმძღვანელნიც კი აღიარებენ.

მოიგონეთ პლეხანოვის ნარგიზისებური მტკიცება «ისკრის» 65-ე ნომერში: «აკიმოვი არავისთვის არ არის საშიში, ის ახლა ბელურებსაც კი ვერ დააფრთხობს ბოსტანშიო». პლეხანოვი ამ სიტყვებით არც ისეთ ლმობიერებას და დათმობას იჩენდა რაბოჩეედელოელთა მიმართ და ამავე დროს აცხადებდა, თითქოს ჩვენს პარტიულ ყრილობაზე «ორთოდოქსალური მარქსიზმის წინააღმდეგ მხოლოდ ვინმე აკიმოვი თუ ლაპარაკობდა». და აი ამ ნარგიზისებურ განცხადებათა შემდეგ მყისვე მ თ ლ ი ა ნ ა დ იბეჭდება ფურცელი ვორონეჟის კომიტეტისა, რომელიც, როგორც ყველას მოეხსენება, ეთანხმება ამხ. აკიმოვსა და ამხ. ბრუკერს, ამასთან გამოირკვა, რომ ახალი «ისკრის» რედაქციამ საზოგადოებას დ ა უ მ ა ლ ა (№ 61) ფურცლის მთელი პრინციპული ნაწილი, მთელი ეს თანაგრძნობა ახალი «ისკრის» მიმართ. ვინ დაემსგავსა ბელურას? რომელი პარტიული დაწესებულებაა ახლა ბოსტნის შესადარი?

მოიგონეთ ავტორი სტატიისა «დროა!» «ისკრის» 73—74-ე ნომრის დამატებაში. როგორც იმ შეხედულებათა გულახდილმა და პატიოსანმა წარმომადგენელმა, რომელთაც «ჭაობის» ყველა დელეგატი ატარებდა მთელ ჩვენს ყრილობაზე, ამ ამხანაგმა პირდაპირ განაცხადა — არ ვეთანხმები პლეხანოვსო, პირდაპირ გამოთქვა თავისი აზრი — «აკიმოვმა ყრილობაზე უფრო ოპორტუნიზმის აჩრდილის როლი შეასრულა, ვიდრე მისი ნამდვილი წარმომადგენლისაო». და საბრალო რედაქციას კიდევ და კიდევ უნდა განეცადა უნტერ-ოფიცრის

ერთგვარი ოპერაცია. რედაქციამ სტატიის — «დროა!» ავტორის მტკიცებას დაურთო შემდეგი შენიშვნა:

«ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. ამხ. აკიმოვის პროგრამულ შეხედულებას ოპორტუნიზმის აშკარა დაღი აზის, რასაც «ოსვობოჟდენიეს» კრიტიკოსიც აღიარებს მის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში, სადაც აღნიშნავს, ამხ. აკიმოვი ემხრობა «რეალისტურ», — იგულისხმე: რევიზიონისტულ, — მიმართულებასო».

მართლაც, რა მშვენიერი რამაა, არა? ამხ. აკიმოვის პროგრამულ შეხედულებებში, აკიმოვისა, რომელთანაც ერთად პროგრამის გარშემო დავაში თითქმის მუდამ ხმას აძლევდნენ ამხ. მარტინოვი, ბრუკერი და ბუნდელები, ძალიან ხშირად კი ჭაობის დელეგატებიც, არის ოპორტუნიზმი; ხოლო მის ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებებში არ არის ოპორტუნიზმი, — მგონი ასეა, ბატონებო, არა? იმიტომ ხომ არ სდუმხართ ამ უკანასკნელ შეხედულებათა შესახებ, რომ ახალმა «ისკრამ» დიდი ამბით წამოაყენა ახალი ორგანიზაციული უთანხმოებანი და თქვა სწორედ ის და მხოლოდ ის, რასაც უკვე წინათ ამბობდნენ ძველი «ისკრის» წინააღმდეგ მარტინოვი და აკიმოვი? იმიტომ ხომ არა, რომ ახალი ტაქტიკური უთანხმოებანიც, წამოყენებულნი უახლოეს დროში უახლესი «ისკრის» მიერ, მთლიანად იმის განმეორებას წარმოადგენენ, რასაც დიდი ხნის წინათ ამბობდნენ ძველი «ისკრის» წინააღმდეგ მარტინოვი და აკიმოვი? რა სასარგებლო იქნებოდა ხელახლა გამოგვეცა ამჟამად «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერი [109]!

და მერე ვინ გამოჰყავს თვით ახალი «ისკრის» რედაქციას მსაჯულად და მოწმედ ამხ. აკიმოვის წინააღმდეგ? — ბ-ნი სტრუვე. მსაჯული კარგია, ეს მართლაც სპეციალისტი, მცოდნე, ჩემპიონი და ექსპერტია ოპორტუნიზმის საკითხებში. მით უფრო ღირსშესანიშნავია ის შეფასება, რომელსაც თვით რედაქციის მიერ გამოწვეული ეს მოწმე აძლევს ტროცკის შეხედულებათა შინაარსს. ტროცკის ბროშურა კი გამოვიდა, ამას ნუ დაივიწყებთ, «ი ს კ რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი თ (№ 72, გვ. 10, სვეტი 3). ტროცკის ახალი შეხედულებანი — რედაქციის შეხედულება-

ნია, მოწონებულნი პლეხანოვის, აქსელროდის, ზასულიჩის, სტაროვერისა და მარტოვის მიერ.

სიტყვების ცარიელი რახარუხი და აკიმოვობა, ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, კარიკატურული სახით, — ასეთია ახალი «ისკრის» თანამგრძნობისა და მის მიერვე მოწვეული მსაჯულის განაჩენი.

თავაზიანმა ლიბერალმა ამჯერად უნებლიეთ სრული სიმართლე თქვა.

დაწერილია 1904 წლის ოქტომბერს

დაიბეჭდა ცალკე ფურცლად 1904 წლის ნოემბერს ჟენევაში

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა ნ. შახოვის ბროშურისა «ბრძოლა ყრილობისათვის»

მკითხველისთვის შეთავაზებულ ბროშურაში ჩვენ ვცდილობდით რაც შეიძლება სრულად მოგვეცა ის დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი პარტიის ადგილობრივ მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის დამოკიდებულებას თანამედროვე პარტიული კრიზისისადმი. ეს დოკუმენტები გადმოღებულია ნაწილობრივ უკვე «ისკრაში» დაბეჭდილი ტექსტიდან, ნაწილობრივ პირდაპირ ხელნაწერებიდან, და მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ხელნაწერთა ასეთ პირობებში შეგროვების გამო მათში არ შეიძლებოდა ზოგიერთი შეცდომა არ შეპარულიყო და რაიმე არ გამორჩენილიყო.

აქ დაბეჭდილი დოკუმენტების შინაარსი ტრიალებს ერთი ცენტრალური პუნქტის გარშემო, სახელდობრ: წრეობანასთან პარტიულობის ბრძოლის, ყრილობისათვის ბრძოლის გარშემო. თავდაპირველად ეს იყო ბრძოლა პარტიის მეორე ყრილობისათვის, მის გადაწყვეტილებათა აღიარებისა და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, შემდეგ ეს იყო ბრძოლა მესამე ყრილობისათვის, რაც პარტიის ერთადერთი შესაფერისი საშუალებაა თანამედროვე აუტანელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ჩვენ შევეცადეთ აგრეთვე დოკუმენტური მასალების საფუძველზე რაც შეიძლება სრულად წარმოგვედგინა პარტიის ახლანდელი ცენტრალური დაწესებულებების ბრძოლა მესამე ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

ჩვენი მუშაობა შემოიფარგლა დოკუმენტების მოყვანით (შეძლებისდაგვარად) ქრონოლოგიური წესით და სულ მოკლე განმარტებათა დართვით დოკუმენტებს შორის კავშირის აღსანიშნავად. კომენტარები მომავალი ლიტერატურის საქმეა. ხალასი ფაქტიური ცნობები ყრილობისათვის ბრძოლის შესახებ თვითონ მეტყველებენ თავის თავზე, და მათი შესწავლა ყველას და თვითეულს დაეხმარება შეიმუშაოს დამოუკიდებელი აზრი ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის შესახებ.

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში:
ნ. შ ა ხ ო ვ ი. «ბრძოლა ყრილობისათვის»,
ჟენევა

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ[110]

პროექტი

პარტიული კრიზისი დაუსრულებლივ გრძელდება და მისი გადაჭრა სულ უფრო და უფრო ძნელდება. უმრავლესობის მომხრეებს უკვე არაერთხელ გამოუთქვამთ პრესაში თავიანთი შეხედულებანი კრიზისის მიზეზებსა და მისგან თავის დაღწევის საშუალებაზე. 22-ის განცხადებაში *, რომელსაც მხარი დაუჭირეს მთელმა რიგმა კომიტეტებმაც (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, რიგის, პეტერბურგის, მოსკოვის კომიტეტებმა და კავკასიის კავშირმა), 19-ის დეკლარაციამაც [111] და უმრავლესობის საზღვარგარეთელმა წარმომადგენლებმაც, სრულად და ზუსტად არის გადმოცემული მისი პროგრამა. ყველასათვის, ვინც რამდენიმედ მაინც იცნობს კრიზისის მსვლელობას და ვინც რამდენიმედ მაინც აფასებს პარტიის სახელსა და ღირსებას, უკვე დიდი ხანია ცხადი შეიქნა, რომ შეუძლებელია არსებობდეს სხვა გამოსავალი, გარდა პარტიული ყრილობისა. მაგრამ ახლა პარტიულ უთანხმოებას კიდევ უფრო მეტად ამწვავებს ც. კ-ის ერთი ნაწილის ახალი დეკლარაცია და პარტიის საბჭოს ახალი გადაწყვეტილებანი. უმცირესობის მხარეზე გადასული წევრები ც. კ-ისა არ მოერიდნენ ც. კ-ის იმ წევრთა უფლებების უაღრესად უხეშ დარღვევას, რომლებიც უმრავლესობის მხარეზე დარჩნენ. ახალმა ც. კ-მა გამოაცხადა შერიგება ისე, რომ არათუ ანგარიში არ გაუწია უმრავლესობას, არამედ, პირიქით, სრულიად უგულებელჰყო იგი და შეუთანხმდა მარტოოდენ უმცირესობას, მასთან შეუთანხმდა კერძო ფარულ გარიგებათა

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 565 — 575. რ ე დ.

გზით. ვინც გულწრფელად ისურვებდა შერიგებას, ის უწინარეს ყოვლისა მოიწვევდა ყველა მებრძოლთ, მოდავეთ და უკმაყოფილოთ, ხოლო ასეთი მოწვევაა სწორედ პარტიული ყრილობა. მშვიდობაზე ილაპარაკო და ყრილობისა გეშინოდეს, შეარიგო და ამავე დროს გათიშვით შეაშინო უმცირესობის შესაძლებელი დამარცხების ეამო მესამე ყრილობაზეც, — ნიშნავს ითვალთმაქცო, ძალით მოახვიო თავს რუსეთის პარტიულ მუშაკებს საზღვარგარეთული წრის კაპრიზი, მშვიდობის მოგონილი ლოზუნგით გაამართლო სრული გამცემლობა უმრავლესობის მიმართ. მშვიდობის გულისთვის ახალი ც. კ. შლის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ისე გაკადნიერდნენ, რომ ყრილობის მოწვევა მოისურვეს. მშვიდობის გულისთვის ახალი ც. კ. არაპარტიულ ლიტერატურად აცხადებს უმრავლესობის გამოცემებს და უარს ამბობს დაუგზავნოს ისინი კომიტეტებს. მშვიდობის გულისთვის ახალ ც. კ-ს კინკლაობა შეაქვს პარტიის საბჭოს გადაწყვეტილებებში, საბჭოსი, რომელმაც გაბედა და პრესაში განაცხადა იმ ამხანაგების მატყუარობაზე, რომელთა მოქმედება ჯერ კიდევ არ გამოუძიებიათ და არც კი გარჯილან წაეყენებინათ მათ წინააღმდეგ აღძრული ბრალდებები. პარტიის საბჭო ახლა პირდაპირ აყალბებს პარტიის საზოგადოებრივ აზრს და მის გადაწყვეტილებას, როცა ყრილობის იდეისადმი აშკარად მტრულად განწყობილ ც. კ-ს ავალებს კომიტეტთა რეზოლუციების შემოწმებას, ეჭვის ქვეშ აყენებს ამ რეზოლუციებს, აჭიანურებს მათს გამოქვეყნებას, არასწორად ითვლის ხმებს, ითვისებს ყრილობის უფლებას — მანდატების გამოცხადებას არანამდვილად, დეზორგანიზაცია შეაქვს დადებითს მუშაობაში ადგილობრივი კომიტეტების წინააღმდეგ «პერიფერიის» ამხედრების გზით. ამავე დროს საერთო-პარტიული დადებითი მუშაობაც შეჩერებულია იმის წყალობით, რომ ც. კ-ის და ც. ო-ს ძალებს ნთქამს ბრძოლა ყრილობის წინააღმდეგ.

უმრავლესობის კომიტეტებსა და ორგანიზაციებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ შემჭიდროვდნენ ყრილობის მოწვევისა-



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა
ბიუროს შექმნის შესახებ». — 1904 წ.

დაპატარავებულია

თვის საბრძოლველად, პარტიის ეგრეთწოდებულ ცენტრალურ დაწესებულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც სინამდვილეში პირდაპირ აბუჩად იგდებენ პარტიას. ჩვენ ვიწყებთ ასეთს შემჭიდროებას და ვადგენთ უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს, ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, რიგის, პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტთა ინიციატივითა და თანხმობით.

ჩვენი ლოზუნგია — პარტიულობის ბრძოლა წრეობანის წინააღმდეგ, მტკიცე რევოლუციური მიმართულების ბრძოლა ზიგზაგების, არევ-დარევისა და რაბოჩეედელობის დაბრუნების წინააღმდეგ, ბრძოლა პროლეტარული ორგანიზაციისა და დისციპლინისათვის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ.

ჩვენი უახლოესი ამოცანებია — რუსეთსა და საზღვარგარეთ უმრავლესობის იდეური და ორგანიზაციული შემჭიდროება, ყოველმხრივ ხელის შეწყობა და განვითარება უმრავლესობის გამომცემლობისა (რაც ამხ. ბონჩ-ბრუევიჩმა და ლენინმა დაიწყეს საზღვარგარეთ), ბრძოლა ჩვენი ცენტრალური დაწესებულებების ბონაპარტიზმთან, კონტროლი მე-3 ყრილობის მოწვევის ზომების სისწორეზე, ხელის შეწყობა კომიტეტთა დადებითი მუშაობისათვის, რომლის დეზორგანიზაციას ახდენენ რედაქციის და ახალი ც. კ-ის აგენტები.

უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ თ ა ბ ი უ რ ო

ბიუროსთან კავშირურთიერთობის გაბმა შეიძლება რუსეთში არსებულ უმრავლესობის კომიტეტთა მეშვეობით და საზღვარგარეთ არსებული ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის გამომცემლობის მეშვეობით.

დაწერილია 1904 წლის
20 ოქტომბრამდე (2 ნოემბრამდე)

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საეროგბო კამპანია და «ისკრის» გეგმა[112]

დაწერილია 1904 წლის ნოემბერს

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად
1904 წლის ნოემბერს ჟენევაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

მხოლოდ პარტიის წევრთათვის

«ისკრის» რედაქციის ხელმოწერით ეს-ეს არის გამოქვეყნდა («პარტიის წევრთათვის») წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი. რუსეთი ჯერ არასოდეს არ ყოფილა კონსტიტუციასთან ისე ახლო, როგორც ახლაო, — აცხადებს რედაქცია და დაწვრილებით გადმოგვცემს «პოლიტიკური კამპანიის» მთელ გეგმას, იმ ლიბერალურ ერობელებზე ზედმოქმედების მთელ გეგმას, რომელნიც კონსტიტუციისათვის შუამდგომლობენ.

სანამ ახალი «ისკრის» ამ უაღრესად საგულისხმო გეგმას განვიხილავდეთ, გავიხსენოთ, თუ როგორ იდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ერობის ლიბერალური მოღვაწეებისადმი დამოკიდებულების საკითხი მას შემდეგ, რაც მასობრივი მუშათა მოძრაობა წარმოიშვა. ყველამ იცის, რომ მუშათა მასობრივი მოძრაობის თითქმის წარმოშობისთანავე ამ საკითხში წარმოებდა ბრძოლა «ეკონომისტებსა» და რევოლუციონერებს შორის. პირველნი იქამდე მიდიოდნენ, რომ პირდაპირ უარჰყოფდნენ ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობას რუსეთში, უგულებელჰყოფდნენ საზოგადოების ოპოზიციურ ფენებზე პროლეტარიატის ზეგავლენის ამოცანებს; იმავე დროს ისინი ზღუდავდნენ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის გაქანებას და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საზოგადოების ლიბერალურ ელემენტებს უთმობდნენ პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლს, ხოლო მუშებს «მეპატრო-

ნეებსა და მთავრობასთან ეკონომიურ ბრძოლას» უტოვებდნენ. ძველ «ისკრაში» რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მომხრეები იბრძოდნენ ამ მიმართულების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განიყოფება ორ დიდ პერიოდად: ლიბერალური ორგანოს, «ოსვობოჟდენიეს», გამოსვლამდე და მისი გამოსვლის შემდეგ. პირველ პერიოდში ჩვენ იერიში მიგვქონდა, უმთავრესად, ეკონომისტების შეზღუდულობის წინააღმდეგ, «ვაჯახებდით» მათ რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობის ფაქტს, რომელსაც ისინი ვერ ამჩნევდნენ, ხაზგასმით აღვნიშნავდით პროლეტარიატის ყოველმხრივი პოლიტიკური მოღვაწეობის ამოცანას, მის იმ ამოცანას, რომ ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოების ყველა ფენაზე, ამოცანას, რომ თავისუფლების მოპოვებისათვის ომში ავანგარდი გამხდარიყო. ამჟამად ამ პერიოდის და მისი ძირითადი ნიშნების გახსენება მით უფრო დროული და აუცილებელია, რაც უფრო უხეშად ამახინჯებენ მას ახალი «ისკრის» მომხრეები (იხ. ტროცკი «ჩვენი ბოლიტიკური ამოცანები», გამოცემული «ისკრის» რედაქციით), რაც უფრო მეტ სპეკულაციას ეწევიან ისინი იმით, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ჩვენი მოძრაობის ახლო წარსულის ისტორიას არ იცნობს.

«ოსვობოჟდენიეს» გამოსვლის დროიდან დაიწყო ძველი «ისკრის» ბრძოლის მეორე პერიოდი. როდესაც ლიბერალები დამოუკიდებელი ორგანოთი და განსაკუთრებული პოლიტიკური პროგრამით გამოვიდნენ, «საზოგადოებაზე» პროლეტარიატის ზეგავლენის ამოცანაც ბუნებრივად შეიცვალა: მუშათა დემოკრატია უკვე ვერ დაკმაყოფილდებოდა ლიბერალური დემოკრატიის მხოლოდ «შენჯღრევით», მისი ოპოზიციური სულის შერხევით; თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მას უნდა გაეხადა რევოლუციური კრიტიკა იმ ორჭოფობისა, რომელმაც ნათლად იჩინა თავი ლიბერალიზმის პოლიტიკურ პოზიციაში. ლიბერალურ ფენებზე ჩვენმა ზეგავლენამ მიიღო ბატონ ლიბერალების პოლიტიკური პროტესტის არათანამიმდევრობისა და უკმარისობის მუდმივი აღნიშვნის ფორმა (საკმარისია დავიმოწმოთ «ზარია», რომელიც აკრიტიკებდა ბ-ნ სტრუ-

ვეს წინასიტყვაობას ვიტეს ბარათისა *, და «ისკრის» მრავალრიცხოვანი სტატიები).

II პარტიული ყრილობის დროისათვის სოციალ-დემოკრატიის ეს ახალი პოზიცია ლიბერალიზმის მიმართ, რომელიც აშკარად გამოვიდა, უკვე იმდენად გამოირკვა და განმტკიცდა, რომ კითხვაც კი არავის დაბადებია იმის შესახებ, არსებობს თუ არა რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატია და მხარდაჭერას (და რანაირ მხარდაჭერას) უნდა ჰპოვებდეს თუ არა ოპოზიციური მოძრაობა პროლეტარიატის მხრივ. ლაპარაკი იყო მხოლოდ ამ საკითხზე პარტიულ შეხედულებათა ფორმულირების შესახებ; საკმარისად მიმაჩნია აქ აღვნიშნო ის, რომ ძველი «ისკრის» შეხედულებანი გაცილებით უკეთ იყო გამოხატული პლეხანოვის რეზოლუციაში, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ლიბერალური «ოსვობოჟდენიეს» ანტირევოლუციური და ანტიპროლეტარული ხასიათი, ვიდრე სტაროვერის აბნეულ რეზოლუციაში, რომელიც, ერთი მხრით, ეტანება (და სრულიად უდროოდ ეტანება) ლიბერალებთან «შეთანხმებას», ხოლო, მეორე მხრით, ასეთ შეთანხმებათა ფიქტიურ, ლიბერალებისათვის აშკარად შეუსრულებელ პირობებს აყენებს.

I

გადავიდეთ ახალი «ისკრის» გეგმაზე. რედაქცია აღიარებს ჩვენს მოვალეობას — სავსებით გამოვიყენოთ მთელი მასალა ლიბერალური დემოკრატიის გაუბედაობისა და ორჭოფობის საკითხზე, ლიბერალური ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა მტრული დაპირისპირების საკითხზე, გამოვიყენოთ «ჩვენი პროგრამის პრინციპული მოთხოვნების შესაბამისად». «მაგრამ, — განაგრძობს რედაქცია, — მ ა გ რ ა მ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, და სწორედ ახლანდელ ფაზისში, ჩვენი დამოკიდებულება ლიბერალური ბურჟუაზიისადმი გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ა მ ო ც ა ნ ი თ — მეტი სიმამაცე შევძინოთ მას და ვაიძულოთ შეუერთ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 5, გვ. 25 — 89. რ ე დ.

დეს იმ მოთხოვნებს, რითაც გ ა მ ო ვ ა (? გამოვიდა?) პროლეტარიატი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს». ჩვენ ამ უცნაურ ტირადაში ხაზი გავუსვით განსაკუთრებით უცნაურ სიტყვებს. მართლაც, როგორ არ უნდა ვუწოდოთ უცნაური იმას, როცა ერთმანეთს უპირისპირებენ, ერთი მხრით, ორჭოფობისა და ინტერესთა მტრობის ანალიზის კრიტიკას, ხოლო, მეორე მხრით, ამოცანას — სიმამაცე შევძინოთ და ვაიძულოთ შეუერთდესო? როგორ შეგვიძლია ჩვენ სიმამაცე შევძინოთ ლიბერალურ დემოკრატიას სხვაგვარად, თუ არა დემოკრატიის საკითხებში მისი ორჭოფობის ულმობელი ანალიზისა და გამანადგურებელი კრიტიკის შემწეობით? რამდენადაც ბურჟუაზიული (ლიბერალური) დემოკრატია ფიქრობს გამოვიდეს როგორც დემოკრატია და იძულებულიცაა გამოვიდეს როგორც დემოკრატია, იმდენად ის უცილობლად მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაეყრდნოს ხალხის რაც შეიძლება უფრო ფართო წრეებს. ეს მისწრაფება გარდუვალად წარმოშობს შემდეგ წინააღმდეგობას: რაც უფრო ფართოა ხალხის ეს წრეები, მით უფრო მეტია მათში პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების სრულ დემოკრატიზაციას, ისეთ სრულს დემოკრატიზაციას, რომელიც ძირის გამოთხრას უქადის საერთოდ ყოველგვარი ბურჟუაზიული ბატონობის ფრიად მნიშვნელოვან საყრდენებს (მონარქიას, მუდმივ ჯარს, ბიუროკრატიას). ბურჟუაზიულ დემოკრატიას თავისი ბუნებით არ ძალუძს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, მას თავისი ბუნებით უწერია გაუბედაობა და ორჭოფობა. სოციალ-დემოკრატები ამ ორჭოფობის კრიტიკით მუდმივ ბიძგს აძლევენ ლიბერალებს, ლიბერალურ დემოკრატიას აშორებენ და მუშათა დემოკრატიის მხარეზე იზიდავენ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების, აგრეთვე ნაწილობრივ წვრილი ბურჟუების სულ უფრო და უფრო მეტ რაოდენობას. მაშ როგორ შეიძლება ლაპარაკი: ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ ლიბერალური ბურჟუაზიის ორჭოფობა, მ ა გ რ ა მ (მაგრამ!) მისდამი ჩვენი დამოკიდებულება განისაზღვრება

ამოცანით — შევძინოთ მას მამაცობაო? ეს ხომ აშკარა დოშხალია, რაც მოწმობს ან იმას, რომ მისი ავტორები უკან იხევენ, ე. ი. უბრუნდებიან იმ დროს, როცა ლიბერალები საერთოდ ჯერ კიდევ არ გამოდიოდნენ აშკარად, როცა საჭირო იყო საერთოდ მათი გაღვიძება, შენძრევა, იძულება — ენა ამოეღოთ; — ან იმას, რომ ავტორებს ებადებათ აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს «მამაცობა შევძინოთ» ლიბერალებს პროლეტართა მამაცობის შემცირებით.

რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს აზრი, სარედაქციო წერილის შემდგომ პასუხშივე ის კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატული: «მაგრამ, — კიდევ და კიდევ შენიშნავს რედაქცია, — მაგრამ ჩვენ საბედისწერო შეცდომას დავუშვებდით, მიზნად რომ დაგვესახა დაშინების ენერგიული ზომებით ახლავე იძულებული გაგვეხადა ერობები ან ბურჟუაზიული ოპოზიციის სხვა ორგანოები მოეცათ, პანიკის ზეგავლენით, მთავრობისთვის ჩვენი მოთხოვნების წარდგენის ფორმალური დაპირება. ასეთი ტაქტიკა სახელს გაუტეხდა სოციალ-დემოკრატიას, იმიტომ რომ მთელ ჩვენს პოლიტიკურ კამპანიას რეაქციის ბერკეტად გადააქცევდა» (ხაზგასმა რედაქციისაა).

აი რაში ყოფილა საქმე! რევოლუციურ პროლეტარიატს ჯერ არც ერთი სერიოზული დარტყმაც კი არ უგემებია მეფის თვითმპყრობელობისათვის ისეთ მომენტში, როცა ის განსაკუთრებით ცხადად მერყეობს და როცა სერიოზული დარტყმა განსაკუთრებით აუცილებელია, განსაკუთრებით სასარგებლოა და შეიძლება გადამწყვეტი დარტყმა აღმოჩნდეს, და უკვე გამოჩნდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ბუტბუტებენ რეაქციის ბერკეტზე. ეს უკვე არა მარტო დომხალია, ეს პირდაპირ უგვანობაა. და რედაქცია ამ უგვანობამდე მივიდა, როცა სპეციალურად რეაქციის ბერკეტზე ლაპარაკისათვის მეტად მრისხანე საფრთხობელა შეთხზა. აბა ერთი იფიქრეთ: წერილში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული ორგანიზაციებისადმი ეს ხალხი სერიოზულად ლაპარაკობს ეროებელთა დაშინების ტაქტიკაზე და იმაზე, რომ ვაიძულოთ ისინი,

პანიკის ზეგავლენით, ფორმალური დაპირება მოგვცენ! ადვილი საქმე არ იქნებოდა თვით რუს დიდკაცებს, თვით ჩვენებურ უგრიუმ - ბურჩეევებს [113] შორის გვეპოვნა ისეთი გულუბრყვილო სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ასეთი საფრთხობელა შეაშინებდა. ჩვენ, რევოლუციონერთა შორის, გვყავს თავგამოდებული ტერორისტები, თავგანწირული ბომბისტები, მაგრამ ბომბიზმის უაზრო დამცველთა უაღრესად უაზრო დამცველსაც კი, მგონი, აქამდე არ წამოუყენებია წინადადება დაგვეშინებინა... ერობელები და პანიკა გამოგვეწვია... ოპოზიციაში. ნუთუ ვერ ხედავს რედაქცია, რომ ამ სასაცილო საფრთხობელათა შეთხზვით, ამ ბანალური ფრაზების წამოსროლით იგი აუცილებლად იწვევს გაუგებრობას და გაკვირვებას, ანაგვიანებს შეგნებას და არევ-დარევას იწვევს მებრძოლ პროლეტართა გონებაში? ცარიელ სივრცეში ხომ არ იფანტებიან ეს სიტყვები რეაქციის ბერკეტზე, დაშინების სახელგამტეხ ტაქტიკაზე, ისინი ეცემიან სპეციფიკურ, რუსეთის პოლიციურ ნიადაგზე, რომელიც უაღრესად შეგუებულია ღვარძლის აღმოსაცენებლად. რეაქციის ბერკეტზე ახლა ჩვენ მართლაც ყოველ გზაჯვარედინზე გველაპარაკებიან, მაგრამ გველაპარაკებიან «ნოვოე ვრემიას» წარმომადგენლები. დაშინების სახელგამტეხ ტაქტიკაზე ლაპარაკით ჩვენ მართლაც ყური გამოგვიჭედეს, — ბურჟუაზიული ოპოზიციის მშიშარა ბელადებმა და სხვამ არავინ.

აიღეთ პროფესორი თავადი ე. ნ. ტრუბეცკოი. მგონი, საკმაოდ «განათლებული» და — როგორც რუსი ლეგალური მოღვაწე — საკმაოდ «გაბედული» ლიბერალია. და როგორ უგვანოდ მსჯელობს ის ლიბერალურ «პრავოში» (№ 39) «შინაურ საშიშროებაზე», სახელდობრ უკიდურესი პარტიების საშიშროებაზე! აი იმის ცოცხალი მაგალითი, ნამდვილად ვინ არის ახლოს პანიკასთან, აი იმის თვალსაჩინო მაგალითი, ნამდვილად რა აშინებს ნამდვილ ლიბერალებს. ჰო, რა თქმა უნდა, მათ აშინებს არა ის გეგმა, «ისკრის» რედაქტორებს რომ დაესიზმრათ, არა ის გეგმა, რომ ფორმალური დაპირება წარმოათქმევინონ ერობელებს რევოლუციონერთა სასარგებლოდ (ბ-ნი

ტრუბეცკოი ერთს გადაიხარხარებდა, მისთვის რომ ეთქვათ ასეთი გეგმა არსებობსო), — მათ აშინებთ «უკიდურესი» პარტიების რევოლუციურ-სოციალისტური მიზნები, მათ აშინებთ ქუჩის ფურცლები, პროლეტარიატის რევოლუციური თვითმოქმედების ეს პირველი მერცხლები, პროლეტარიატისა, რომელიც არ შეჩერდება, იარაღს არ გაუშვებს ხელიდან, სანამ ბურჟუაზიის ბატონობას არ დაამხობს. ამ შიშს წარმოშობს არა სასაცილო საფრთხობელები, არამედ მუშათა მოძრაობის ნამდვილი ხასიათი, ეს შიში წარუშლელია ბურჟუაზიის გულში (ცალკეული პირნი და ცალკეული ჯგუფები, რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასათვლელი არ არის). აი რატომ ისმის ასეთი სიყალბე ახალი «ისკრის» მსჯელობაში ერობელთა და ბურჟუაზიული ოპოზიციის წარმომადგენელთა დაშინების სახელგამეტეხ ტაქტიკაზე. ბატონ ლიბერალებს ეშინიათ ქუჩის ფურცლების, ეშინიათ ყველაფრის, რაც ცენზიანი კონსტიტუციის ფარგლებს სცილდება და, რა თქმა უნდა, მუდამ შიში ექნებათ «დემოკრატიული რესპუბლიკის» ლოზუნგისა და შეიარაღებული საყოველთაო სახალხო აჯანყებისაკენ მოწოდებისა. მაგრამ შეგნებული პროლეტარიატი აღშფოთებით უკუაგდებს თვით იმ აზრსაც კი, რომ ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ ამ ლოზუნგსა და ამ მოწოდებაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია საერთოდ ჩვენს მოღვაწეობაში ვიხელმძღვანელოთ ბურჟუაზიის პანიკითა და შიშით.

აიღეთ «ნოვოე ვრემია» [114]. რა ნაზ არიებს არ მღერის ის რეაქციის ბერკეტის მოტივზე. «ახალგაზრდობა და რეაქცია, — ვკითხულობთ № 10285-ის «შენიშვნებში» (18 ოქტომბერს), — ...რაღაც არ ეგუება ერთმანეთს ეს სიტყვები, ამავე დროს კი არასაკმაოდ მოფიქრებულ მოქმედებას, აჩქარებულ გატაცებას და სურვილს — რადაც უნდა დაჯდეს დაუყოვნებლივ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტაში, შეუძლია ახალგაზრდობა ამ გამოუვალ ჩიხში მოამწყვდიოს. ამ დღეებში მომხდარი დემონსტრაცია ვიბორგის საპყრობილესთან, შემდეგ ცდა რაღაც საბაბით მანიფესტაციის გამართვისა უკვე დედაქალაქის ცენტრში, მოსკოვში 200 სტუდენ-

ტის გასეირნება ბაირაღებით და პროტესტებით ომის წინააღმ-
დეგ... აქედან გასაგებია რეაქცია... სტუდენტთა მღელვარებანი,
ახალგაზრდობის დემონსტრაციები, ეს ხომ მთელი ბენეფისია,
ეს საშუალებაა, მოულოდნელი, უდიდესი საშუალებაა რეაქ-
ციონერთა ხელში. აი მათთვის ნამდვილად ძვირფასი საჩუქა-
რი, რომლის გამოყენებას ისინი კიდევაც შესძლებენ. საჭირო
არ არის ასეთი საჩუქარი, საჭირო არ არის მოჩვენებითი (!!!)
ღობეების მტვრევა: ახლა კარებიც კი გაღებულია (ალბათ,
ვიბორგისა და სხვა საპყრობილეთა კარები?), ფართოდ არის
გაღებული!».

ეს მსჯელობანი განმარტებას არ საჭიროებენ. საკმარისია
მათი მოყვანა, რათა დავინახოთ, თუ რა უტაქტობაა ახლა ლა-
პარაკი რეაქციის ბერკეტზე, ა ხ ლ ა, როცა სრულიად რუსე-
თის საპყრობილის არც ერთი კარი ოდნავადაც კი არ არის
გაღებული მებრძოლ მუშათათვის, როცა მეფის თვითმპ-
ყრობელობა არავითარ, პროლეტარიატისთვის თუნდაც რამდე-
ნიმედ საგრძნობ, დათმობაზე არ წასულა, როცა მთელი ყურა-
დღება და მთელი ძალ-ღონე მიმართულ უნდა იქნას რუსი ხალ-
ხის მტერთან ნამდვილი და გადამწყვეტი შეტაკების მომზადე-
ბისაკენ. რა თქმა უნდა, ასეთი შეტაკების მარტოოდენ აზრიც კი
შიშსა და ძრწოლას ჰგვრის ბატონ ტრუბეცკოებს და ათასობით
უფრო ნაკლებ «განათლებულ» ბატონ ლიბერალებს. მაგრამ
ჩვენ სულელები ვიქნებოდით, ჩვენი მოქმედება რომ მათი
ძრწოლისთვის შეგვეფარდებინა. ჩვენ უნდა ვეფარდებოდეთ
საკუთარი ძალების მდგომარეობას, ხალხის მღელვარებისა და
აღშფოთების ზრდას, იმ მომენტს, როცა თვითმპყრობელობის
წინააღმდეგ პროლეტარიატის პირდაპირი შეტევა შეუერთდე-
ბა ერთ-ერთ სტიქიურ და სტიქიურად მზარდ მოძრაობას.

II

ზემოთ, როცა იმ საფრთხობელაზე ვლაპარაკობდით, რო-
მელიც ჩვენს რედაქციას დაესიზმრა, ჩვენ არ აღგვინიშნავს
მისი მსჯელობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი. რედაქ-
ცია თავს დაესხა სახელგამტეხ ტაქტიკას, რომელიც მიმართულ-

ლი იქნებოდა იქითკენ, რომ ერობის მოღვაწეებისაგან გამოგვეგლიჯა «ფორმალური დაპირება — ჩვენი მოთხოვნები წარუდგინოს მთავრობას». გარდა წინათ აღნიშნული შეუსაბამობისა, აქ უცნაურია თვით ის აზრი, რომ «ჩვენს» მოთხოვნებს, მუშათა დემოკრატიის მოთხოვნებს, ლიბერალური დემოკრატია უდგენდეს მთავრობას. ერთი მხრით, ლიბერალურ დემოკრატიას სწორედ იმის გამო, რომ იგი ბურჟუაზიული დემოკრატიაა, არასდროს არ შესწევს უნარი შეითვისოს, არ შესწევს უნარი გულწრფელად, თანამიმდევრად და გადაჭრით დაიცვას «ჩვენი» მოთხოვნები. ლიბერალებს კიდევაც რომ მოეცათ, «ნებაყოფლობით» მოეცათ, ფორმალური დაპირება ჩვენი მოთხოვნების წარდგენისა, რასაკვირველია, ისინი ვერ შესძლებდნენ ამ დაპირების შესრულებას, მოატყუებდნენ პროლეტარიატს. მეორე მხრით, ჩვენ რომ იმდენად ძლიერი ვყოფილიყავით, რომ შეგვძლებოდა სერიოზული გავლენის მოხდენა ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე საერთოდ და ბატონ ერობელებზე განსაკუთრებით, ასეთი ძალა ჩვენთვის სრულიად საკმაო იქნებოდა, რათა დამოუკიდებლად წარგვედგინა ჩვენი მოთხოვნები მთავრობისთვის.

რედაქციას ეს უცნაური აზრი კი არ წამოსცდა. არამედ იგი იმ აბნეული პოზიციის აუცილებელი შედეგია, რომელსაც ის დაადგა საერთოდ ამ საკითხში. უსმინეთ: «ცენტრალურ ფოკუსს და სახელმძღვანელო ხაზს... უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული ამოცანა... მნიშვნელოვანი ორგანიზებული ზეგავლენა მოვახდინოთ ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე»; «ლიბერალური ოპოზიციის ამა თუ იმ ორგანოსადმი მუშების განცხადების პროექტში» უნდა იყოს «განმარტება, რატომ მიმართავენ მუშები არა მთავრობას, არამედ სწორედ ამ ოპოზიციის წარმომადგენელთა კრებას». ამოცანის ასეთი დაყენება ძირიან-ფესვიანად მცდარია. ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, რა თქმა უნდა, «მოსახლეობის ყველა კლასში უნდა წავიდეთ», აშკარად და ენერგიულად უნდა ვიცავდეთ მთელი ხალხის წინაშე ჩვენს პროგრამას და ჩვენს უახლოეს მოთხოვნებს, უნდა ვცდილობდეთ ეს მოთხოვნები დავაყენოთ ბატონ ერობელთა

წინაშეც, მაგრამ ცენტრალური ფოკუსი და სახელმძღვანელო ხაზი ჩვენთვის უნდა იყოს ზეგავლენის მოხდენა სწორედ არა ერობელებზე, არამედ მთავრობაზე. «ისკრის» რედაქციამ ცენტრალური ფოკუსის საკითხი სწორედ რომ ყირამალა დააყენა. ბურჟუაზიული ოპოზიცია სწორედ იმიტომ არის მხოლოდ ბურჟუაზიული და მხოლოდ ოპოზიცია, რომ იგი თვითონ არ იბრძვის, არა აქვს თავისი პროგრამა, რომლის დაცვა აუცილებელი იყოს, რომ იგი დგას ორ მებრძოლ მხარეს შუა (მთავრობასა და რევოლუციურ პროლეტარიატს შუა, პლუს პროლეტარიატის მცირერიცხოვანი ინტელიგენტი მომხრეები), რომ იგი თავის სასარგებლოდ ვარაუდობს ბრძოლის შედეგს. ამიტომ, რაც უფრო ჩაღდება ბრძოლა, რაც უფრო ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ზეგავლენა მოვახდინოთ ჩვენს ნამდვილ მტერზე და არა იმ მოკავშირეზე, რომელიც შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ არის პირობითი, პრობლემატური, არასაიმედო და ორჭოფი მოკავშირე. უგუნურება იქნებოდა ამ მოკავშირის უგულებელყოფა, უაზრო იქნებოდა მიზნად დაგვესახა მისი დაშინება და დაფრთხობა, — ყოველივე ეს იმდენად აშკარაა თავისთავად, რომ ამაზე მსჯელობა უცნაურიცაა. მაგრამ ჩვენი აგიტაციის ცენტრალურ ფოკუსს და სახელმძღვანელო ხაზს უნდა წარმოადგენდეს, ვიმეორებ, არა ზეგავლენის მოხდენა ამ მოკავშირეზე, არამედ მტერთან გადამწყვეტი ბრძოლის მომზადება. როცა მთავრობა ერობას ელაქუცებოდა, უმნიშვნელო რამეებს უთმობდა, ამით მას ფაქტიურად ხალხისთვის ხომ ჯერ არაფერიც არ დაუთმია, მთავრობას ჯერ კიდევ სავსებით, სავსებით შეუძლია რეაქციას დაუბრუნდეს (უფრო სწორად რომ ვთქვათ, განაგრძოს რეაქცია), როგორც ეს ხდებოდა ხოლმე რუსეთში ათეულჯერ და ასეულჯერ ამა თუ იმ თვითმპყრობელის სწრაფწარმავალი ლიბერალური სულისკვეთების შემდეგ. ერობასთან ლაქუცის, ხალხისთვის თვალისახვევის, ცარიელი სიტყვებით მისი მიძინების სწორედ ასეთ მომენტში განსაკუთრებით უნდა ვერიდებოდეთ მელიის კუდს, განსაკუთრებული დაჟინებით უნდა მოვაგონებდეთ ყველას, რომ მტერი ჯერ კიდევ არ

არის მოტეხილი, განსაკუთრებული ენერგიით უნდა მოვუწოდებდეთ მტერთან ბრძოლის განგრძობისა და გაათკეცებისაკენ და არა იმისაკენ, რომ სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას მთავრობისადმი «მიმართვიდან» ერობისადმი მიმართვაზე. სწორედ ამჟამად ეს აშკარა მქაფავნი და თავისუფლების გამყიდველნი წელებზე ფეხს იდგამენ, რათა საზოგადოებისა და ხალხის ყურადღების ცენტრი მიმართონ ერობისაკენ, გამოიწვიონ ნდობა ერობისადმი, რომელიც სინამდვილეში სრულიადაც არ არის ნამდვილი დემოკრატიის ნდობის ღირსი. აიღეთ «ნოვოე ვრემია»: ზემოთ ციტირებულ სტატიაში თქვენ წაიკითხავთ ასეთ მსჯელობას: «ყველასათვის ცხადია, როცა შესაძლებელი გახდება ყველა ჩვენი ნაკლის თამამად და გულმართლად განხილვა, როცა ყოველ მოღვაწეს საშუალება ექნება თავისუფლად გაშალოს თავისი მოღვაწეობა, მალე ნაკლოვანებებსაც ბოლო მოეღება, და რუსეთი შესძლებს უშიშრად დაადგეს პროგრესისა და სრულყოფის იმ გზას, რომელიც მისთვის ასე აუცილებელია. ორგანიზაციის, ამ პროგრესის ინსტრუმენტის, გამოგონებაც კი აღარ არის საჭირო: ის უკვე არსებობს ერობის სახით, რომელსაც მხოლოდ (!!) ზრდის თავისუფლება უნდა მივანიჭოთ; ამ უკანასკნელშია ნამდვილი თვითმყოფი და არა სხვისგან გადმოღებული სრულყოფის საწინდარი». ასეთი და მსგავსი ლათაიები არა მარტო «შეზღუდული მონარქიისა და ცენზიანი კონსტიტუციისაკენ მისწრაფებას ფარავენ» (როგორც ამბობს რედაქცია თავისი წერილის სხვა ადგილას); ისინი პირდაპირ ამზადებენ ნიადაგს, რათა მთელი საქმე განისაზღვროს ერობის მიმართ გაღიმებით ისე, რომ მონარქიის არავითარი შეზღუდვაც კი არ მოხდეს!

ცენტრალურ ფოკუსად ერობაზე და არა მთავრობაზე ზეგავლენის წამოყენება ბუნებრივად ბადებს იმ სავალალო აზრს, რომელიც საფუძვლად დაედო სტაროვერის რეზოლუციას, სახელდობრ აზრს — ახლავე და დაუყოვნებლივ ვეძიოთ ბაზისი ლიბერალებთან რაიმე «შეთანხმებათათვის». «ახლანდელ ერობათა მიმართ კი, — ამბობს თავის წერილში რედაქცია, — ჩვენ ამოცანად უნდა დავისახოთ (!!), რომ მათ წარ-

ვუდგინოთ რევოლუციური პროლეტარიატის ის პოლიტიკური მოთხოვნები, რომლებსაც ისინი მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ, რათა რაიმე უფლება მაინც ჰქონდეთ ხალხის სახელით გამოვიდნენ და მუშათა მასების ენერგიული მხარდაჭერის იმედი იქონიონ». მუშათა პარტიის ამოცანების კარგი განსაზღვრა კია, თქვენმა მზემ! იმ დროს, როცა ჩვენს წინაშე სრულიად ნათლად ისახება მთავრობასთან ზომიერ ერობელთა შესაძლებელი და მოსალოდნელი კავშირი რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად (რედაქცია თვითონ აღიარებს ასეთი კავშირის შესაძლებლობას), ჩვენ ამოცანად უნდა «დავისახოთ» არა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ენერგიის გაათკეცება, არამედ ლიბერალებთან შეთანხმების კაზუისტიკური პირობების შემუშავება ურთიერთმხარდაჭერის შესახებ. თუ მე სხვა პირს ვუყენებ მოთხოვნებს, რომელთა მხარის დაჭერა მან სავალდებულოდ უნდა გაიხადოს, რათა უფლება ჰქონდეს ჩემი მხარდაჭერისა, მე სწორედ შეთანხმებას ვდებ. და ჩვენ ვეკითხებით ყველას და თვითეულს: სად გაქრა ლიბერალებთან შეთანხმების ის «პირობები», რომელთაც სტაროვერი თხზავდა თავის რეზოლუციაში* (რასაც ხელს აწერდნენ აგრეთვე აქსელროდი და მარტოვი) და რომელთა განუხორციელებლობა უკვე იწინასწარმეტყველეს ჩვენს ლიტერატურაში? ამ პირობებზე რედაქცია კრინტსაც არ ძრავს თავის წერილში. რედაქციამ ყრილობაზე რეზოლუცია გაიყვანა იმისათვის, რათა შემდეგ ის ნაყარი ქალალდის კალათში გადაესროლა. როგორც კი სცადეს პრაქტიკულად შესდგომოდნენ საქმეს, მაშინვე ცხადი გახდა, რომ სტაროვერის «პირობების» წაყენება ბატონ ლი-

* მოვაგონებთ მკითხველს, რომ ყრილობის მიერ (ჩემი და პლეხანოვის აზრის წინააღმდეგ) მიღებულ სტაროვერის რეზოლუციაში შეტანილი იყო ლიბერალებთან დროებითი შეთანხმების 3 პირობა: 1) ლიბერალები «აშკარად და არაორაზროვნად განაცხადებენ, რომ თვითმპყრობელურ მთავრობასთან ბრძოლაში ისინი გადაჭრით დგებიან სოციალ-დემოკრატიის მხარეზე»; 2) «ისინი თავიანთ პროგრამაში არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასისა და დემოკრატიის ინტერე-

ბერალ ერობელთა მხოლოდ ჰომერულ ხარხარს გამოიწვევდა.

გავყვეთ ქვევით. შეიძლება თუ არა საერთოდ პ რ ი ნ ც ი-პ უ ლ ა დ მართებულად ჩავთვალოთ მუშათა პარტიის წინაშე ამოცანის დაყენება — ლიბერალურ დემოკრატიას ან ერობელებს ისეთი პოლიტიკური მოთხოვნები წარუდგინოს, «რომელთაც იგი ვალდებულია მხარი დაუჭიროს, რათა რაიმე უფლება მაინც ჰქონდეს ხალხის სახელით გამოვიდეს»? არა, ამოცანის ასეთი დაყენება პრინციპულად უმართებულია და მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების დაბნელებას, მეტისმეტად უნაყოფო კაზუისტიკას იწვევს. ხალხის სახელით გამოსვლა — ეს ნიშნავს სწორედ დემოკრატის სახით გამოსვლას. ყოველ დემოკრატს (და მათ შორის ბურჟუაზიულ დემოკრატსაც) უფლება აქვს გამოვიდეს ხალხის სახელით, მაგრამ მას ამის უფლება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის თანამიმდევრად, გადაჭრით და ბოლომდე ატარებს დემოკრატიზმს. მაშასადამე, ყ ო ვ ე ლ ბურჟუაზიულ დემოკრატს «რაიმე უფლება მაინც აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს» (ვინაიდან ყოველი ბურჟუაზიული დემოკრატი იცავს, სანამ ის დემოკრატია, ამა თუ იმ დემოკრატიულ მოთხოვნას), მაგრამ იმავე დროს ა რ ც ე რ თ ბურჟუაზიულ დემოკრატს არა აქვს უფლება მთელი ხაზით გამოვიდეს ხალხის სახელით (ვინაიდან ამჟამად არც ერთ ბურჟუაზიულ დემოკრატს არ შესწევს უნარი გადაჭრით და ბოლომდე მიიყვანოს დემოკრატიზმი). ბ-ნ სტრუვეს უფლება აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს, რამდენადაც «ოსვობოჟდენიე» თვითმპყრობელობას ებრძვის. ბ-ნ სტრუვეს არავითარი უფლება არა აქვს ხალხის სახელით გამოვიდეს, რამდენადაც «ოსვობოჟდენიე» მელაკუდობს და თვალთმაქცობს, ცენზიანი კონსტიტუციით კმაყოფილდება, საერობო ოპოზიციას ათანაბრებს ბრძოლასთან, თავს არიდებს თანამიმდევარ და ნათელ დემოკრატიულ პროგრამას. გერმანელ ნაციონალ-ლიბერა-

სებს საერთოდ ანდა აბნელებენ მის შეგნებას»; 3) «თაკის ბრძოლა ლოზუნგად ისინი წამოაყენებენ საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას».

ლებს უფლება ჰქონდათ ხალხის სახელით გამოსულიყვნენ, რამდენადაც ისინი იბრძოდნენ მიმოსვლის თავისუფლებისათვის. გერმანელ ნაციონალ-ლიბერალებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ ხალხის სახელით გამოსულიყვნენ, რამდენადაც ისინი მხარს უჭერდნენ ბისმარკის რეაქციულ პოლიტიკას.

ამრიგად, მუშათა პარტიისათვის ამოცანის დაყენება, რომ მან ბატონ ლიბერალ ბურჟუებს წაუყენოს ისეთი მოთხოვნები, რომელთა მხარის დაჭერით მათ რაიმე უფლება მაინც ექნებათ ხალხის სახელით გამოვიდნენ, ეს ნიშნავს უგუნური და ბრიყვული ამოცანის შეთხზვას! ჩვენთვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს შევთხზათ რაიმე განსაკუთრებული დემოკრატიული მოთხოვნები იმათ გარდა, რომლებიც მოცემულია ჩვენს პროგრამაში. ამ პროგრამის მიხედვით ჩვენ ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ ყოველ (მათ შორის აგრეთვე ბურჟუაზიულ) დემოკრატს, რამდენადაც ის დემოკრატიზმს ატარებს; ჩვენ ვალდებული ვართ დაუნდობლად ვამხილოთ ყოველი დემოკრატი (მათ შორის სოციალისტ-რევოლუციონერიც), რამდენადაც ის სცილდება დემოკრატიზმს (თუნდაც, მაგალითად, თემიდან თავისუფლად გამოსვლის და გლეხის მიერ მიწის თავისუფლად გაყიდვის საკითხებში). ხოლო იმის ცდა, რომ წინასწარ განვსაზღვროთ, ასე ვთქვათ, დასაშვები სისაძაგლის ზომა, ვცადოთ წინასწარ დავაწესოთ, დემოკრატიზმიდან რანაირი გადახვევაა შესაწყნარებელი დემოკრატისთვის, რათა მას რაიმე უფლება მაინც ჰქონდეს გამოვიდეს როგორც დემოკრატი, — ეს ამოცანა იმდენად ჭკვიანურია, რომ უნებლიეთ ეჭვი გებადება, ჩვენს რედაქციას მის შეთხზვაში ამხ. მარტინოვი ან ამხ. დანი ხომ არ ეხმარებოდა.

III

რედაქცია თავის წერილში სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოსაზრებათა გადმოცემის შემდეგ დაწვრილებით გადმოგვცემს ოვის დიად გეგმასაც.

საგუბერნიო საერობო კრებები შუამდგომლობენ კონსტიტუციის შესახებ. ქალაქ N, X, Y-ის კომიტეტელები პლუს განვითარებული მუშები ადგენენ პოლიტიკური კამპანიის გეგმას «აქსელროდის მიხედვით». აგიტაციის ცენტრალური ფოკუსია ზეგავლენის მოხდენა ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე. ირჩევენ ორგანიზაციულ ჯგუფს. ორგანიზაციული ჯგუფი ირჩევს აღმასრულებელ კომისიას. აღმასრულებელი კომისია ირჩევს სპეციალურ ორატორს. ცდილობენ «უშუალოდ დაუახლოონ მასები საერობო კრებებს, თავი მოუყარონ მანიფესტაციას სწორედ იმ შენობასთან, სადაც ერობის ხმოსნების სხდომები იმართება. დემონსტრანტთა ნაწილი იჭრება სხდომის დარბაზში იმ მიზნით, რომ შესაფერ მომენტში, საამისოდ სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი ორატორის შემწეობით, სთხოვოს კრებას (? თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომელიც კრებას თავმჯდომარეობს?) ნება დართონ მას წაიკითხოს მუშების განცხადება. უარის მიღების შემთხვევაში ორატორი ხმამაღლა აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ კრებას, რომელიც ხალხის სახელით ლაპარაკობს, არ სურს მოუსმინოს სწორედ ამ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს».

ასეთია ახალი «ისკრის» ახალი გეგმა. ჩვენ ახლავე დავინახავთ, როგორ თავდაჭერილად აფასებს მის მნიშვნელობას თვით რედაქცია, მაგრამ ჯერ მოვიყვანოთ რედაქციის უაღრესად პრინციპული განმარტება აღმასრულებელი კომისიის ფუნქციების შესახებ:

...«აღმასრულებელმა კომისიამ წინასწარ უნდა მიიღოს ზომები, რათა რამდენიმე ათასი მუშის გამოჩენამ იმ შენობის წინ, სადაც ერობის ხმოსნების სხდომა მიმდინარეობს, და რამდენიმე ათეულის თუ ასეულის გამოჩენამ თვით შენობაში *არ გამოიწვიოს ერობელთა პანიკური შიში* (!!), რომლის გავლენით მათ შეუძლიათ მიაშურონ (!) და სამარცხვინოდ თავი შეაფარონ **პოლიციელებსა და კაზაკებს**, ამრიგად მშვიდობიანი მანიფესტაცია გადააქციონ უმსგავსო შეხლა-შემოხლად და ბარ-

ბარბაროსულ ცემა-ტყეპად და მთელი მისი აზრი დაამახინჯონ»... (რედაქციამ, როგორც ჩანს, თვითონ ირწმუნა სიზმრად ნახული საფრთხობელა. ფრაზის სიტყვასიტყვითი გრამატიკული აზრის თანახმად, რედაქციის აზრით ისე გამოდის, თითქოს ერობელები მანიფესტაციას ცემა-ტყეპად აქცევენ და ამახინჯებენ მის აზრს. ჩვენ დიდი აზრისა არა ვართ ლიბერალ ერობელებზე, მაგრამ მაინც რედაქციის პანიკური შიში ლიბერალების მიერ ერობის კრებაზე პოლიციისა და კაზაკების გამოძახების შესახებ ყოვლად სულელურად მიგვაჩნია. ყველამ, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია ერობის კრებას, მშვენივრად იცის, რომ ეგრეთწოდებული წესრიგის დარღვევის შემთხვევაში პოლიციას გამოიწვევს ან თავმჯდომარე — თავადაზნაურობის წინამძღოლი, ან მეორე ოთახში არაოფიციალურად მყოფი პოლიციის მოხელე. ან იქნებ აღმასრულებელი კომისიის წევრებმა ამ შემთხვევის გამო განუმარტონ უბნის ზედამხედველს, რომ ახალი «ისკრის» რედაქციის «გეგმაში» სრულიადაც არ შედის მშვიდობიანი მანიფესტაციის გადაქცევა ბარბაროსულ ცემა-ტყეპად?).

...«ასეთი სიურპრიზის თავიდან ასაცილებლად აღმასრულებელმა კომისიამ წინასწარ უნდა გააფრთხილოს ლიბერალი ხმოსნები... (რათა მათ «ფორმალური დაპირება» მისცენ — კაზაკებს არ გამოვიძახებთო?), რომ მზადდება მანიფესტაცია და აცნობოს მისი ნამდვილი მიზანი... (ე. ი. გააფრთხილოს, რომ ჩვენი ნამდვილი მიზანი სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ ბარბაროსულად გვცემონ და ამით აქსელროდის გეგმის აზრი დაამახინჯონ)... გარდა ამისა, იგი უნდა შეეცადოს ერთგვარი შეთანხმება (უსმინეთ!) მოახდინოს ოპოზიციური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან და პირობა დაადებინოს, თუ აქტიურ დახმარებას არ გაუწევენ, ყოველ შემთხვევაში თანაგრძნობით მაინც შეხვდნენ ჩვენს პოლიტიკურ აქტს. მათთან მოლაპარაკება აღმასრულებელმა კომისიამ უნდა აწარმოოს, რასაკვირველია, პარტიის სახელით, მუშათა წრეებისა და კრებების დავალებით,

სადაც არათუ განიხილავენ პოლიტიკური კამპანიის საერთო გეგმას, არამედ ანგარიშსაც აბარებენ მისი მსვლელობის შესახებ, — რა თქმა უნდა, კონსპირაციის მოთხოვნების სასტიკი დაცვით».

დიახ, დიახ, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ სტაროვერის დიადი იდეა ლიბერალებთან ზუსტად გარკვეული პირობების ბაზისზე შეთანხმების შესახებ იზრდება და მტკიცდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით. მართალია, ყველა ეს გარკვეული პირობა «დროებით» მაუდქვეშაა ამოდებული (ჩვენ ხომ ფორმალისტები არა ვართ!), მაგრამ სამაგიეროდ შეთანხმებას ვაღწევთ პრაქტიკულად, ვაღწევთ დაუყოვნებლივ, სახელდობრ: შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს — ა რ გ ა მ ო ვ ი წ ვ ი ო თ პ ა ნ ი კ უ რ ი შ ი შ ი.

როგორც არ უნდა ატრიალოთ რედაქციის წერილი, მასში ლიბერალებთან ყბადაღებული «შეთანხმების» ვერავითარ სხვა შინაარსს ვერ იპოვით, გარდა ჩვენს მიერ აღნიშნულისა: ან ეს არის შეთანხმება იმ პირობებზე, რომელთა მიხედვით ლიბერალებს უფლება აქვთ ხალხის სახელით გამოვიდნენ (და მაშინ თვით იდეა ასეთი შეთანხმებისა ფრიად სერიოზულად უტეხს სახელს მის წამომყენებელ სოციალ-დემოკრატებს), ან ეს არის შეთანხმება პანიკური შიშის გამოუწვევლობის შესახებ, შეთანხმება მშვიდობიანი მანიფესტაციისადმი თანაგრძნობის შესახებ, — და მაშინ ეს პირდაპირ ისეთი სისულელეა, რომლის შესახებ სერიოზულად ლაპარაკი ძნელია. ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე და არა მთავრობაზე ზედმოქმედების ცენტრალური მნიშვნელობის უაზრო იდეას არც შეეძლო სხვა რამემდე მივეყვანეთ, თუ არა აბსურდამდე. თუ ჩვენ შეგვიძლია მუშების მნიშვნელოვანი და მასობრივი დემონსტრაცია გავმართოთ საერობო კრების დარბაზში, — ჩვენ, რა თქმა უნდა, მას გავმართავთ (თუმცა თუ მასობრივი დემონსტრაციისათვის საჭირო ძალები გვეყოლება ბევრად უმჯობესი იქნებოდა ამ ძალებისთვის «თავი მოგვეყარა» არა საერობო, არამედ პოლიციელთა, ჟანდარმთა ან ცენზორთა საკრებულოს «შენობასთან»). მაგრამ ამავე დროს ერობის

მოღვაწეთა პანიკური შიშის მოსაზრებებით ხელმძღვანელობა, ამის შესახებ მოლაპარაკების გამართვა — უდიდესი უგუნურებაა, კომიკურზე კომიკურია. პანიკურ შიშს რუსეთის ერობის მოღვაწეთა მნიშვნელოვან ნაწილში, ალბათ, მათს უმრავლესობაში, ყოველთვის და აუცილებლად გამოიწვევს თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატის თვით სიტყვის შინაარსი. ერობელებთან წინასწარ ლაპარაკი ასეთი პანიკური შიშის არასასურველობის შესახებ — ეს ნიშნავს თავი ჩაიყენო ფრიად ყალბ და არასაკადრის მდგომარეობაში. სხვაგვარ პანიკურ შიშს აუცილებლად გამოიწვევს აგრეთვე ბარბაროსული ცემა-ტყეპა ან მისი შესაძლებლობის აზრი. მოლაპარაკების გამართვა ერობელებთან ამ პანიკური შიშის თაობაზე — დიდი უჭკუობაა, ვინაიდან ცემა-ცყეპას არასოდეს არც გამოიწვევს და არც თანაგრძნობით შეხვდება არც ერთი თუნდაც ყველაზე ზომიერი ლიბერალი, მაგრამ ეს მასზე სრულიადაც არაა დამოკიდებული. აქ საჭიროა არა «მოლაპარაკება», არამედ ძალის ფაქტიური მომზადება, არა ზეგავლენის მოხდენა ერობელებზე, არამედ სწორედ ზეგავლენის მოხდენა მთავრობასა და მის აგენტებზე. თუ ძალა არ არის, სჯობს დიად გეგმებზე ლაყბობას თავი დაანებო, ხოლო თუ ძალა არის, მაშინ სწორედ ეს ძალა უნდა დავუპირისპიროთ კაზაკებსა და პოლიციას, შევეცადოთ შევკრიბოთ იმდენი ხალხი და ისეთ ადგილას, რომ მან შესძლოს მოიგერიოს, ან თუნდაც შეაჩეროს მაინც კაზაკებისა და პოლიციის შემოტევა. და თუ ჩვენ უნარი შეგვწევს საქმით და არა სიტყვიერად მოვახდინოთ «მნიშვნელოვანი ორგანიზებული ზეგავლენა ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე», ეს უკვე უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, არა სულელური «მოლაპარაკებით» იმის შესახებ, რომ არ გამოვიწვიოთ პანიკური შიში, არამედ მხოლოდ ძალით, კაზაკებისა და მეფის პოლიციისთვის მასობრივი წინააღმდეგობის გაწევის ძალით, მასობრივი შეტევის ძალით, რომელიც შესძლებს ხალხის აჯანყებად იქცეს.

«ხალი «ისკრის» რედაქცია სხვანაირად უყურებს საქმის ვითარებას. იგი იმდენად კმაყოფილია შეთანხმებისა და მო-

ლაპარაკების თავისი გეგმით, რომ ვერ გამძღარა მისი ცქერით, მისი ქებათა-ქებით.

...აქტიური დემონსტრანტები უნდა იყვნენ «გამსჭვალულნი იმის შეგნებით, რომ ძირითადი განსხვავება არსებობს საერთოდ პოლიციის ან მთავრობის საწინააღმდეგო ჩვეულებრივ დემონსტრაციასა და იმ დემონსტრაციას შორის, რომლის უშუალო მიზანია აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლიბერალური ელემენტების პოლიტიკურ ტაქტიკაზე რევოლუციური პროლეტარიატის პირდაპირი ზეგავლენით (აი რა ყოფილა!) ახლანდელ (ხაზგასმა რედაქციისაა) მომენტში ...ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, საერთოდემოკრატიული (!!) ტიპის, დემონსტრაციების მოსაწყობად, რომელთა უშუალო მიზანს არ შეადგენს კონკრეტულად დაუპირისპიროს ერთიმეორეს რევოლუციური პროლეტარიატი და ლიბერალურ-ოპოზიციური ბურჟუაზია, როგორც ორი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, საკმარისია მხოლოდ ის, რომ ხალხის მასებში არსებობდეს ძლიერი პოლიტიკური მღელვარება»... «ჩვენი პარტია ვალდებულია გამოიყენოს მასების ეს სულისკვეთება აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ამ მასების თუნდაც ასეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაბალი ტიპის (უსმინეთ! უსმინეთ!) მობილიზაციისთვის». ...«ჩვენ პირველ (!) ნაბიჯებს ვდგამთ პოლიტიკური მოღვაწეობის ახალ (!) გზაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა მასების (NB *) ისეთი გეგმაშეწონილი ჩარევის მოწყობის გზაზე, რომლის უშუალო მიზანია ეს მასები დაუპირისპიროს ბურჟუაზიულ ოპოზიციას, როგორც დამოუკიდებელი ძალა. როგორც მისი მოპირდაპირე თავისი კლასობრივი ინტერესებით და იმავე დროს ისეთი ძალა, რომელიც სთავაზობს მას პირობებს (მერე რა პირობებს?) საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ენერგიული ბრძოლისათვის».

ყველა როდი ჩასწვდება ამ შესანიშნავ მსჯელობათა მთელ სიღრმეს. როსტოვის დემონსტრაცია [115], როცა ათასობით მუ-

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

შებს უმარტავენ სოციალიზმის მიზნებს და მუშათა დემოკრატიის მოთხოვნებს, — ეს «მობილიზაციის დაბალი ტიპია», ეს ჩვეულებრივი, საერთოდემოკრატიული ტიპია, აქ კონკრეტულად არ უპირისპირდება ერთიმეორეს რევოლუციური პროლეტარიატი და ბურჟუაზიული ოპოზიცია. მაგრამ აი, როცა სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი ორატორი, რომელიც დანიშნა აღმასრულებელმა კომისიამ, არჩეულმა საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, რაც შეუქმნიათ კომიტეტებსა და აქტიურ მუშებს, — როცა ეს ორატორი, ერობელებთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, ხმამაღლა პროტესტს განაცხადებს საერობო კრებაზე იმის გამო, რომ არ სურთ მოუსმინონ მას, მაშინ ეს იქნება ორი დამოუკიდებელი ძალის «კონკრეტული» და «უშუალო» დაპირისპირება, მაშინ ეს იქნება «პირდაპირი» ზეგავლენის მოხდენა ლიბერალების ტაქტიკაზე, მაშინ ეს იქნება «პირველი ნაბიჯის გადადგმა ახალ გზაზე». ღვთის შიში მაინც იქონიეთ, ბატონებო! მარტინოვსაც კი «რაბოჩეე დელოს» უცუდეს ხანებში საეჭვოა ასეთი უხამსობანი ეთქვას!

სამხრეთის ქალაქთა ქუჩებში გამართული მუშათა მასობრივი კრებები, ათეული მუშათა ორატორები, პირდაპირი შეტაკებები მეფის თვითმპყრობელობის ნამდვილ ძალასთან, — ეს «მობილიზაციის დაბალი ტიპია». ხოლო ერობის მოღვაწეებთან შეთანხმება ჩვენი ორატორის მშვიდობიანი გამოსვლის შესახებ, ორატორისა, რომელიც ვალდებულებას კისრულობს ბატონ ლიბერალების პანიკა არ გამოიწვიოს, — ეს «ახალი გზაა». აი ისინი, ახალი «ისკრის» ახალი ტაქტიკური ამოცანები, ახალი ტაქტიკური შეხედულებანი, რომლებიც ასე დიდი ამბით ამცნეს მთელ მსოფლიოს რედაქციის ბალალაიკინის[116] საშუალებით. მაგრამ ამ ბალალაიკინმა ერთი სიმართლე კი თქვა თავისდა უნებურად: ძველსა და ახალ «ისკრას» შორის მართლაც უფსკრულიაო. ძველ «ისკრას» არ ჰქონია სხვა სიტყვები, გარდა ზიზღისა და დაცინვის სიტყვებისა, იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც აღტაცებაში მოდიან, «როგორც ახალი» გზით, კლასთა ბუტაფორულად მოწყობილი

შეთანხმებით. ეს ახალი გზა უკვე დიდი ხანია ცნობილია ჩვენთვის სოციალიზმის იმ ფრანგი და გერმანელი «სახელმწიფო კაცების» გამოცდილების მიხედვით, რომელთაც ასევე მიაჩნიათ ძველი რევოლუციური ტაქტიკა «დაბალ ტიპად» და სიტყვები არ ყოფნით ქება-დიდება შეასხან «საზოგადოებრივ ცხოვრებაში გეგმაშეწონილ და უშუალო ჩარევას» მუშათა ორატორების მშვიდობიანი და თავმდაბალი გამოსვლის შესახებ შეთანხმების სახით, ოპოზიციური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთასთან მოლაპარაკების შემდეგ.

ლიბერალ ერობელთა პანიკური შიშის წინაშე რედაქცია თავის მხრივ ისეთ პანიკურ შიშს განიცდის, რომ მის მიერ შეთხზული «ახალი» გეგმის მონაწილეებს გულმოდგინედ ურჩევს «განსაკუთრებულ სიფრთხილეს». «თვითონ ამ აქტის ვითარებაში, როგორც გარეგანი სიფრთხილის უკიდურესი შემთხვევა, — ვკითხულობთ წერილში, — ჩვენ წარმოგვიდგენია მუშების განცხადების ფოსტით დაგზავნა ხმოსნებისათვის სახლში და ამ განცხადების დიდი რაოდენობით მიმოფანტვა საერობო კრების დარბაზში. ეს მხოლოდ იმათ შეაშფოთებს, ვინც ბურჟუაზიული რევოლუციონიზმის (sic! *) თვალსაზრისზე დგას, ვისთვისაც გარეგანი ეფექტი ყველაფერია, ხოლო პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებისა და თვითმოქმედების გეგმაშეწონილი განვითარების პროცესი — არაფერი».

ჩვენ ფურცლების დაგზავნისა და მიმოფანტვის გამო შეშფოთება არ გვჩვევია, მაგრამ მაღალფარდოვანი და უშინაარსო ფრაზიორობა ყოველთვის შეგვაშფოთებს. ფურცლების დაგზავნისა და მიმოფანტვის გამო სერიოზულად რომ ილაპარაკო პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებისა და თვითმოქმედების განვითარების გეგმაშეწონილ პროცესზე, — ამისათვის თვითკმაყოფილი უხამსობის გმირი უნდა იყო. ქვეყანა გაპყრუო ახალ ტაქტიკურ ამოცანებზე ყვირილით და მერე მთელი საქმე ფურცლების დაგზავნამდე და მიმოფანტვამდე დაიყვანო, —

* — ასეა! რ ე დ.

ეს მართლაც შეუდარებელი რამ არის; ეს უაღრესად დამახასიათებელია ჩვენი პარტიის ინტელიგენტური იერის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ახლა ისტერიულად გამოკიდებიან ახალი ტაქტიკური სიტყვის გამოძებნას მას შემდეგ, რაც მათმა ახალმა ორგანიზაციულმა სიტყვებმა მარცხი განიცადეს. და ისინი კიდევ ლაპარაკობენ, მათთვის ჩვეული თავმდაბლობით, გარეგანი ეფექტის ამაოებაზე. ნუთუ ვერ ხედავთ თქვენ, ბატონებო, რომ საუკეთესო შემთხვევაში, თქვენი ვითომდა ახალი გეგმის სრული წარმატების შემთხვევაში, ბატონ ერობელების წინაშე მუშის გამოსვლით მხოლოდ სწორედ გარეგანი ეფექტი იქნებოდა მიღწეული, ხოლო «ლიბერალური ელემენტების ტაქტიკაზე» ამნაირი გამოსვლის ნამდვილად «მნიშვნელოვანი» ზეგავლენის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ სასაცილო იქნებოდა? იქნებ პირიქით იყოს, იქნებ ლიბერალური ელემენტების ტაქტიკაზე ნამდვილად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს მუშათა იმ მასობრივმა დემონსტრაციებმა, რომლებიც თქვენ «ჩვეულებრივი, საერთოდემოკრატიული, დაბალი ტიპის» დემონსტრაციებად გეჩვენებათ? და თუ რუსეთის პროლეტარიატს ერთხელ კიდევ უწერია ლიბერალების ტაქტიკაზე ზეგავლენა მოახდინოს, დამერწმუნეთ, იგი ამ ზეგავლენას მოახდენს მთავრობაზე მასობრივი შეტევით და არა ერობის მოღვაწეებთან შეთანხმებით.

IV

საერობო კამპანია, დაწყებული პოლიციის მოწყალე ნებართვით, სვიატოპოლკ-მირსკის და მთავრობის ოფიციოზების ნაზი სიტყვები, ტონის აწევა ლიბერალურ პრესაში, ეგრეთწოდებული განათლებული საზოგადოების გამოცოცხლება, — ყოველივე ეს მუშათა პარტიის წინაშე ფრიად სერიოზულ ამოცანებს აყენებს. მაგრამ ეს ამოცანები სრულიად უკეღმართად არის ფორმულირებული «ისკრის» რედაქციის წერილში. სწორედ ახლანდელ მომენტში პროლეტარიატის პოლიტიკური საქმიანობის ცენტრალური ფოკუსი უნდა იყოს მთავრობაზე და არა ლიბერალურ ოპოზიციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოწყობა. სწორედ ახლა ყველაზე ნაკლებად შესაფერისია

მუშათა შეთანხმებანი ერობის მოღვაწეებთან მშვიდობიან მანიფესტაციებზე, — შეთანხმებანი, რომლებიც აუცილებლად ეფექტების წმინდა ვოდევილურ წარმოდგენად გადაიქცეოდა,— ყველაზე მეტად საჭიროა პროლეტარიატის მოწინავე, რევოლუციური ელემენტების დარაზმვა თავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის მოსამზადებლად. სწორედ ახლა, როდესაც ჩვენში კონსტიტუციური მოძრაობა იწყებს ყოველგვარი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, განსაკუთრებით კი რუსული ლიბერალიზმის ძველთაძველი ცოდვების მკვეთრად გამოაშკარავებას: უზომო ფრაზიორობის, სიტყვის ბოროტად გამოყენების, სიტყვისა, რომელიც საქმეს არ ეფარდება, მთავრობისადმი და მელური პოლიტიკის ყოველგვარი გმირისადმი წმინდა ფილისტერული ნდობის გამოაშკარავებას, — სწორედ ახლა განსაკუთრებით უტაქტობაა ფრაზები ბატონ ერობელების შეშინებისა და პანიკის არასასურველობაზე, რეაქციის ბერკეტზე და სხვ. და სხვ. სწორედ ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია რევოლუციურ პროლეტარიატში განვამტკიცოთ იმის ურყევი რწმენა, რომ ახლანდელი «განმათავისუფლებელი მოძრაობაც საზოგადოებაში» აუცილებლად და გარდუვალად ისეთივე საპნის ბუშტი აღმოჩნდება, როგორც წინანდელნი, თუ საქმეში არ ჩაერია ძალა მუშათა მასებისა, რომელთაც უნარიც შესწევთ და მზად არიან კიდეც აჯანყებისათვის.

პოლიტიკური მღელვარება ხალხის სულ სხვადასხვა ფენაში, რაც აჯანყების შესაძლებლობის აუცილებელ პირობას და მისი წარმატების საწინდარს, პროლეტარიატის თაოსნობის მხარდაჭერის საწინდარს წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო ფართოვდება, იზრდება და მწვავდება. ამიტომ დიდი უგუნურება იქნებოდა, ახლა რომ ვისმეს აზრად მოსვლოდა ყვირილი — დაუყოვნებლივ გადადით იერიშზეო, მოეწოდებინა. ახლავე დაირაზმეთ საიერიშო კოლონებადო[117] და სხვ. მოვლენათა მთელი მსვლელობა იმის საწინდარია, რომ უახლოეს მომავალში მეფის მთავრობა უფრო მეტად დაიბნევა, მის წინააღმდეგ გაბოროტება უფრო მრისხანე გახდება. მთავ-

რობა უცილობლად თავგზას დაკარგავს საერობო კონსტიტუციონალიზმის იმ თამაშშიც, რომელიც მან წამოიწყო. როგორც იმ შემთხვევაში, თუ იგი უმნიშვნელო დათმობებზე წავა, ისე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სრულიად არაფერს დასთმობს, უკმაყოფილება და გაბოროტება აუცილებლად უფრო და უფრო გაიზრდება. მთავრობას აუცილებლად თავგზა აებნევა მანჯურიის იმ სამარცხვინო და დანაშაულებრივ ავანტიურაშიც, რომელსაც პოლიტიკური კრიზისი მოჰყვება გადამწყვეტი სამხედრო დამარცხების შემთხვევაშიც და რუსეთისათვის ამ უიმედო ომის გაჭიანურების შემთხვევაშიც.

მუშათა კლასის საქმეა — გააფართოოს და განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია, გააათკეცოს აგიტაცია მასებში, ისარგებლოს მთავრობის ყოველგვარი შეტორტმანებით, იქადაგოს აჯანყების იდეა, განმარტოს აჯანყების აუცილებლობა ყველა იმ სანახევრო და წინასწარ განწირული «ნაბიჯის» მაგალითით, რაზედაც ამჟამად ასე ბევრს გაჰყვირიან. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მუშები უნდა გამოეხმაურონ ერობათა შუამდგომლობებს, მოაწყონ კრებები, მიმოფანტონ ხოლმე ფურცლები, იქ, სადაც საკმაო ძალა მოეპოვებათ, მოაწყონ დემონსტრაციები ყოველგვარ სოციალ-დემოკრატიულ მოთხოვნათა წასაყენებლად ისე, რომ ანგარიში არ გაუწიონ ბატონ ტრუბეცკოების «პანიკას», ყურადღება არ მიაქციონ ფილისტერების გოდებას რეაქციის ბერკეტზე. და თუ მაინცდამაინც რისკს გასწევთ წინასწარ ილაპარაკოთ და ისიც საზღვარგარეთიდან მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დემონსტრაციების (ვინაიდან არა მასობრივ დემონსტრაციებს უკვე სულ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ) შესაძლებელ და სასურველ უმაღლეს ტიპზე, თუ მაინცდამაინც შეეხებით ამა თუ იმ შენობის წინ დემონსტრანტთა ძალების კონცენტრაციის საკითხს, ჩვენ მივუთითებდით სწორედ იმ შენობებზე, სადაც სწყდება მუშათა მოძრაობის დევნის პოლიციური საქმეები, ჩვენ მივუთითებდით პოლიციის, ჟანდარმთა, საცენზურო სამმართველოთა შენობებზე, პოლიტიკურ «დამნაშავეთა» სატუსაღოებზე. ერობების შუამდგომლობათათვის მუშათა სერიოზული მხარდაჭერა უნდა მდგომა-

რეობდეს არა შეთანხმებაში იმაზე, თუ რა პირობებში შესძლებენ ერობის მოღვაწეები ხალხის სახელით ლაპარაკს, არამედ ხალხის მტრებზე დარტყმაში. და არც შეიძლება ეჭვი შეეიტანოთ იმაში, რომ ამნაირი დემონსტრაციის აზრს პროლეტარიატი თანაგრძნობით შეხვდება. მუშებს ამჟამად ყოველი მხრივ ესმით მაღალფარდოვანი ფრაზები და მყვირალა დაპირებანი, ისინი ხედავენ «საზოგადოებისათვის» თავისუფლების ნამდვილ — თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ნამდვილ — გაფართოებას (ერობათა ალაგმვის შესუსტება, შერისხულ ერობელთა დაბრუნება, ლიბერალური პრესის წინააღმდეგ მძვინვარების შემსუბუქება), მაგრამ მუშები სრულიად ვერას ხედავენ ისეთს, რაც მ ა თ ი პოლიტიკური ბრძოლის თავისუფლებას აფართოებდეს. პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რევოლუციური შეტევის გავლენით მთავრობამ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს ნება დართო თავისუფლებაზე ილაპარაკონ! კაპიტალის მონათა უუფლებობასა და დაბეჩავებას ახლა უფრო მკვეთრად ხედავენ პროლეტარები. მუშებს ყველგან არ მოეპოვებათ არც ორგანიზაციები პოლიტიკური საქმეების შედარებით თავისუფლად (რუსული თვალსაზრისით) განხილვისათვის, მუშებს არა აქვთ დარბაზები კრებებისათვის, მუშებს არა აქვთ თავიანთი გაზეთები, მუშებს არ უბრუნებენ საპყრობილეებიდან და გადასახლებიდან მათს ამხანაგებს. მუშები ახლა ხედავენ, რომ იმ დათვის ტყავის გაყოფას, — რომელიც მათ ჯერ კიდევ არ მოუკლავთ, მაგრამ რომელიც მათ და მხოლოდ მათ, პროლეტარებმა, სერიოზულად დასჭრეს, — ამ ტყავის გაყოფას იწყებენ ბატონი ლიბერალური ბურჟუები. მუშები ხედავენ, რომ ეს ბატონი ლიბერალური ბურჟუები მომავალი ტყავის გაყოფის დაწყებისთანავე უკვე უღრენენ და უბრდღვენენ «უკიდურეს პარტიებს», «შინაურს მტრებს» — ბურჟუაზიის ბატონობისა და სიმშვიდის ულმობელ მტრებს. და მუშები კიდევ უფრო მეტი გაბედულობით, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით აღსდგებიან, რათა დათვი მოჰკლან, რათა ძალით მ ო ი პ ო ვ ო ნ ის, რასაც, როგორც მოწყალებას, ჰპირდებიან ბატონ ლიბერალურ ბურჟუებს, — კრებების თავისუფლება, მუშათა

პრესის თავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ფართო და აშკარა ბრძოლის სრული პოლიტიკური თავისუფლება.

ამ პროშურას ჩვენ იმიტომ ვუშვებთ წარწერით: «მხოლოდ პარტიის წევრთათვის», რომ ასეთი წარწერითაა გამოშვებული «ისკრის» რედაქციის «წერილი». არსებითად, ისეთი გეგმის «კონსპირაცია», რომელიც უნდა ეცნობოს ათეულ ქალაქებს, უნდა გაირჩეს ასეულ მუშათა წრეებში, უნდა განიმარტოს საagიტაციო ფურცლებსა და მოწოდებებში, მხოლოდ სასაცილოა. ეს არის იმ კანცელარული საიდუმლოების ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც რედაქციისა და საბჭოს პრაქტიკაში უკვე აღნიშნა ამხ. გალიორკამ («ახალი გზით»). მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შეიძლებოდა გაგვემართლებინა სარედაქციო წერილის დაფარვა ფართო საზოგადოებისაგან საერთოდ და ლიბერალებისაგან განსაკუთრებით: ასეთი წერილი მეტისმეტად უტეხს სახელს ჩვენს პარტიას...

ამ ბროშურის მკითხველთა წრის შეზღუდვა იხსნება, რადგან ჩვენმა ეგრეთწოდებულმა პარტიულმა რედაქციამ გამოუშვა მისი პასუხი ვითომ პარტიის წევრთათვის, ნამდვილად კი ამ პასუხს აცნობს მხოლოდ უმცირესობის კრებებს და არ აწვდის პარტიის აშკარა, მეუმრავლესე წევრებს.

თუ «ისკრას» გადაუწყვეტია არ გვცნოს ჩვენ პარტიის წევრებად (და ამავე დროს ეშინია პირდაპირ სთქვას ეს), ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ შევურიგდეთ მწარე ხვედრს და საჭირო დასკვნები გავაკეთოთ ასეთი გადაწყვეტილებიდან.

1904 წ. 22 დეკემბერი



1. Ещё при II съезде и до него неоднократно предлагали, чтобы образовать (см. выше в отчете), параллельно при Бюро Комитета с самыми идейными противниками.

2. И может статься, дорогой Ленин, и в ближайшее время придется сделать, но на этот раз дальше дружбы и кое.

3. Пишу в Орел своим новым (см. выше) сим [illegible], что и в государственных отношениях [illegible] и сферах, как [illegible] и [illegible]
(Сонто [illegible] - см. выше)
(Предложение)

4. Заметки, отравления, возведения в принципы какой-нибудь. Абсолютно и отрицать, разрушений и [illegible] уже отмечены. Кто [illegible] [illegible] [illegible] и [illegible] [illegible].

5. Отношение [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible], как [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

6. Вопрос II съезда и [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

7. И может [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

თეზისები რეფერატისა შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

ჩემი რეფერატის თეზისები [128]

1. ჯერ კიდევ II ყრილობაზე ისკრელთა უმცირესობამ პრინციპული მერყეობა გამოიჩინა (ან შეცდომა დაუშვა), როცა არჩევნების დროს თავის იდეურ მოწინააღმდეგეებთან კოალიციაში აღმოჩნდა.

2. ყრილობის შემდეგაც, ლიგაშიც კი, უმცირესობა ძველი «ისკრის» თანამომდევნობას იცავდა, მაგრამ ნამდვილად სულ უფრო შორდებოდა მას.

3. პლეხანოვი თავის შემობრუნების (№ 52) დროს ცხადად ხედავდა, რომ უმცირესობა პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას შეადგენს და იბრძვის, როგორც ანარქისტული ინდივიდუალისტები.

(**Contra** * ვასილიევი და ლენინი წრეობანის შესახებ) **.

4. ჩვენი ორგანიზაციული ჩამორჩენილობისა და ყრილობის ორგანიზაციული დაშლის დაცვა, გამართლება, პრინციპად მიჩნევა, — ეს უკვე ოპორტუნიზმია. ახლა ვერავინ გაბედავს მხარი დაუჭიროს საზოგადოდ თეზისებს პროგრამის შესახებ **versus** *** წესდებისა **etc.** ****.

---

* — წინააღმდეგ. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 167 — 170. რ ე დ.

*** — მიმართ. რ ე დ.

**** — **et cetera** — და სხვ. რ ე დ.

5. უმრავლესობისათვის ეკონომიური ბრძოლის უგულებელყოფის, იაკობინელობის და მუშათა თვითმოქმედების უგულებელყოფის დაბრალება «რაბოჩეე დელოს» «ისკრაზე» თავდასხმების ყოვლად უსაფუძვლო განმეორებაა და მეტი არაფერი.

6. III ყრილობის შიში და მის წინააღმდეგ ბრძოლა აგვირგვინებს როგორც უმცირესობის, ისე შემარიგებლობის ყალბ პოზიციას.

7. საერობო კამპანიის გეგმაში «ისკრის» რედაქცია დაადგა განსაკუთრებით ყალბ და მავნე, უეჭველად ოპორტუნისტულ ტაქტიკურ გზას, როცა წამოაყენა პანიკის საკითხი, ქება შეასხა ერობელებთან შეთანხმებას მშვიდობიანი მანიფესტაციების ‘ძესახებ, როგორც ახალ ტიპს.

კამპანიის გეგმა დაკავშირებულია სტაროვერის მცდარ რეზოლუციასთან.

დაწერილია 1904 წლის
19 ნოემბერს (2 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინი. კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი ამხანაგებისადმი

(პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის)

ძვირფასო ამხანაგებო! დღეს საზღვარგარეთელ ბოლშევიკთა ვიწრო წრის კრებაზე საბოლოოდ გადაწყდა პრინციპულად უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი საკითხი პერიოდული პარტიული ორგანოს დაარსების შესახებ. ეს ორგანო მიეძღვნება უმრავლესობის პრინციპების დაცვას და განვითარებას იმ ორგანიზაციული და ტაქტიკური არეულობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც უმცირესობამ შემოიტანა პარტიაში, და მომსახურებას გაუწევს რუსეთის ორგანიზაციების დადებითს მუშაობას; ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ამჟამად თითქმის ყველგან მთელ რუსეთში დიდი გააფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული უმცირესობის აგენტების მხრივ. ბრძოლა, რომელსაც საშინელი დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში ესოდენ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, ბრძოლა, რომელსაც მთლიანად გათიშვის მეტად უტიფარი საშუალებებით და ხერხებით ეწევიან, თუმცა იმავე დროს თვალთმაქცურად დასტირიან გათიშვას პარტიის ეგრეთწოდებულ ც. ო-ში: ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა ბრძოლა პარტიული გზით გაგვეტარებინა, ჩვენ იანვრიდან ვიბრძვით ყრილობისათვის, როგორც ერთადერთი ღირსეული პარტიული გამოსავალისათვის აუტანელი მდგომარეობიდან. ახლა უკვე ცხადზე უცხადესი გახდა, რომ უმცირესობის მხარეზე გადასული ც. კ-ის თითქმის მთელი მოღვაწეობა მიმარ-

თულია ყრილობის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისაკენ, რომ საბჭო ყოველგვარ უაღრესად დაუშვებელ და შეუწყნარებელ ყალთაბანდობას მიმართავს ყრილობის მოწვევის გასაჭიანურებლად. საბჭო პირდაპირ ჰფუშავს ყრილობის მოწვევას: ვინც ამაში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულა მისი უკანასკნელი დადგენილებების წაკითხვით «ისკრის» 73 — 74 ნომრების დამატებაში, ის ამას დაინახავს ორლოვსკის (ამ დღეებში გამოსულ) ჩვენს ბროშურაში: «საბჭო პარტიის წინააღმდეგ» [119]. ახლა ცხადზე უცხადესი გახდა, რომ გაუერთიანებლად და ჩვენი ეგრეთწოდებული ცენტრალური დაწესებულებებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლად უმრავლესობას არ შეუძლია თავისი პოზიციის დაცვა, პარტიულობის დაცვა მის ბრძოლაში წრეობანის წინააღმდეგ. რუსეთის ბოლშევიკების გაერთიანება უკვე დიდი ხანია დააყენეს მათ დღის წესრიგში. მოიგონეთ ის უდიდესი თანაგრძნობა, რომლითაც შეხვდნენ 22-ის პროგრამულ (ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის პროგრამის აზრით) რეზოლუციას *; მოიგონეთ მოსკოვის კომიტეტის მიერ დაბეჭდილი (1904 წ. ოქტომბერი) 19-ის პროკლამაცია; დასასრულ, პარტიის თითქმის ყველა კომიტეტმა იცის, რომ სულ უკანასკნელ დროს მოხდა და ნაწილობრივ ახლაც ხდება მთელი რიგი კერძო კონფერენციები უმრავლესობის კომიტეტთა შორის [120], ხდება უაღრესად ენერგიული და გარკვეული ცდები მტკიცედ შემჭიდროვდნენ ერთმანეთს შორის უმრავლესობის კომიტეტები, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ თავგასულ ბონაპარტისტებს საბჭოში, ც. ო-სა და ც. კ-ში.

იმედი გვაქვს, სულ ახლო ხანში ეს ცდები (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს ნაბიჯები) გამოქვეყნდება ყველას საყურადღებოდ, როცა მათი შედეგები საშუალებას მოგვცემს მტკიცედ ვილაპარაკოთ იმაზე, რაც უკვე მიღწეულია. საგანგებო გამომცემლობის უქონლად უმრავლესობის თავდაცვა, რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელი იყო. ახალმა ც. კ-მა, როგორც, ალბათ, უკვე მოგეხსენებათ ჩვენი პარტიული ლიტერატურიდან,

* იხ. [illegible]

პირდაპირ გააძევა ჩვენი ბროშურები (და თვით უკვე აწყობილი ბროშურების გარეკანიც კი) პარტიული სტამბიდან და, ამრიგად, ეს სტამბა წრის სტამბად გადააქცია; მან უარჰყო საზღვარგარეთული უმრავლესობისა და რუსეთის კომიტეტების, მაგალითად, რიგის კომიტეტის, პირდაპირი წინადადება უმრავლესობის ლიტერატურის რუსეთში ჩატანის შესახებ. პარტიის საზოგადოებრივი აზრის გაყალბება სრულიად გარკვევით გამოიხატა, როგორც ახალი ც. კ-ის სისტემატური ტაქტიკა. გარდუვალად მოგვადგა კარს საკუთარი გამომცემლობის გაფართოების, საკუთარი ტრანსპორტის მოწყობის აუცილებლობა. კომიტეტებს, რომლებმაც ამხანაგური ურთიერთობა გასწყვიტეს ც. ო-ს რედაქციასთან (იხ. დანის აღსარება ჟენევის 1904 წ. 2 სექტემბრის კრების ანგარიშში [121] — საინტერესო ბროშურაა), არ შეეძლოთ და არ შეუძლიათ არსებობა პერიოდული ორგანოს უქონლად. პარტია უორგანოდ, ორგანო უპარტიოდ! ეს სავალალო ლოზუნგი, ჯერ კიდევ აგვისტოში წამოყენებული უმრავლესობის მიერ, ულმობლად მიგვითითებდა ერთადერთ გამოსავალს — საკუთარი ორგანოს დაარსების საჭიროებას. ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები, რომლებიც საზღვარგარეთ ჩამოვიდნენ რუსეთის მუშაკთა უმრავლესობის საარსებო საქმის დასახმარებლად, მოითხოვენ გამოყენებულ იქნან. მთელი რიგი რუსი პარტიული ლიტერატორებიც დაჟინებით მოითხოვენ საკუთარი ორგანოს დაარსებას. როცა ასეთ ორგანოს ვაარსებთ, ალბათ, «ვპერიოდის» სახელწოდებით, ჩვენ ვმოქმედებთ რუსეთის ბოლშევიკების მასასთან სრული თანხმობით, პარტიულ ბრძოლაში ჩვენს საქციელთან სრულიად შესაბამისად. ჩვენ ამ იარაღს ხელი მოვკიდეთ მას შემდეგ, რაც მთელი წლის განმავლობაში გამოვცადეთ ყველა, პირდაპირ ყველა უფრო მარტივი, პარტიისათვის უფრო ეკონომიური, მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის უფრო შესაფერისი გზა. ჩვენ სრულიადაც არ ვანებებთ თავს ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლას; პირიქით, ჩვენ გვსურს გავაფართოოთ, განვაზოგადოთ და მხარი დავუჭიროთ ამ ბრძოლას, გვსურს დავეხმაროთ კომიტეტებს გადაწყვი-

ტონ მათ წინაშე წამოჭრილი ახალი საკითხი ყრილობის მოწვევისა საბჭოს და ც. კ-ის გვერდის აქცევით, — საბჭოსა და ც. კ-ის ნება-სურვილის წინააღმდეგ, — საკითხი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ სერიოზულ განხილვას. ჩვენ აშკარად გამოვდივართ იმ შეხედულებათა და ამოცანების დასაცავად, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადმოცემულია მთელ რიგ ბროშურებში მთელი პარტიის საყურადღებოდ. როგორც ორგანიზაციულ, ისე ტაქტიკურ საკითხებში ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მტკიცე რევოლუციური მიმართულების სასარგებლოდ არეულობისა და მერყეობის წინააღმდეგ (იხ. პარტიული ორგანიზაციებისადმი ახალი «ისკრის» საშინლად არეულ-დარეული წერილი, დაბეჭდილი მხოლოდ პარტიის წევრთათვის და დაფარული საზოგადოებისაგან [122]). განცხადება ახალი ორგანოს გამოსვლის შესახებ გამოვა, ალბათ, დაახლოებით ერთ კვირაში, პირველი ნომერი — იანვრის 1-დან 10-მდე ახალი სტილით. სარედაქციო კოლეგიაში მონაწილეობას მიიღებს უმრავლესობის ყველა ის ლიტერატორი, რომლებმაც დღემდე თავი იჩინეს (რიადოვოი, გალიორკა, ლენინი, ორლოვსკი, რომელიც რეგულარულად მუშაობდა «ისკრაში» № 46-დან 51-მდე, როცა მას უძღვებოდნენ ლენინი და პლეხანოვი, და კიდევ მეტად ძვირფასი ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები). გავრცელების, აგენტურისა და სხვ. და სხვ. რთული საქმის პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის კოლეგია შედგენილი იქნება (ნაწილობრივ უკვე შედგა კიდეც) [123] რუსეთის მთელი რიგი კომიტეტების მიერ (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, კავკასიის 4 კომიტეტის და ჩრდილოეთის რამდენიმე კომიტეტისა, რომელთა შესახებ თქვენ მალე გაიგებთ დაწვრილებით) განსაზღვრული ამხანაგებისთვის განსაზღვრული ფუნქციების პირდაპირი დავალების საფუძველზე. ამჟამად ჩვენ მივმართავთ ყველა ამხანაგს და ვთხოვთ ყოველნაირად დაგვიჭიროს მხარი. ჩვენ იმ პირობით გავუძღვებით ორგანოს, რომ ის იქნება რუსეთის მოძრაობის და არავითარ შემთხვევაში საზღვარგარეთული წრის ორ-

განო. ამისათვის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად აუ-ცილებელია უაღრესად ენერგიული «ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ-ლ ი» დახმარება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლიტერატურული თანამშრომლობა რუსეთიდან. მე ხაზგასმით აღვნიშნავ და ბრჭყალებში ვსვამ სიტყვას «ლიტერატურული», რათა ერთბაშად მიაქციონ ყურადღება მის განსაკუთრებულ აზრს და თავიდან აიშორონ გაუგებრობანი, რაც მეტად ჩვეულებ-რივი მოვლენაა და საშინლად ვნებს საქმეს. ეს გაუგებრობაა, თითქოს სწორედ ლიტერატორებს და მხოლოდ ლიტერატო-რებს (ამ სიტყვის პროფესიული აზრით) შესწევთ უნარი წარ-მატებით მიიღონ მონაწილეობა ორგანოში; პირიქით, ორგანო მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველმყოფელი, როცა ხუთ ხელ-მძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არა ლიტერატორი. ძველი «ისკრის» ერთ-ერთი ნაკლი, რისგანაც მუდამ ვცდილობდი მეხსნა იგი (და რაც საშინლად გაიზარდა ახალ «ისკრაში»), ეს იყო სუსტი მუშაობა «ისკრაზე» რუსეთიდან. ყოფილა შემთხ-ვევა, როცა ჩვენ თითქმის ყოველთვის გამოუკლებლივ დაგ-ვიბეჭდია ყველაფერი, რაც რუსეთიდან გამოუგზავნიათ. ნამ-დვილად ცოცხალი ორგანო უნდა ბეჭდავდეს გამოგზავნილი მასალის ერთ მეათედს, დანარჩენს კი უნდა იყენებდეს ინ-ფორმაციისათვის და ლიტერატორთა მისათითებლად. აუცი-ლებელია, რომ ჩვენთან მიწერ-მოწერა ჰქონდეს პარტიულ მუშაკთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას, სახელდობრ, მი-წერ-მოწერა ჰქონდეს ამ სიტყვის ჩვეულებრივი და არა ლი-ტერატურული მნიშვნელობით.

რუსეთისაგან მოწყვეტილობა, წყეული საზღვარგარეთუ-ლი ჭაობის ჩამთრევი ატმოსფერო აქ იმდენად სულს უხუთავს კაცს, რომ ერთადერთი ხსნაა ცოცხალი ურთიერთობა რუსეთ-თან. დაე, ნუ დაივიწყებენ ამას ისინი, ვისაც არა მარტო სიტყ-ვიერად, არამედ საქმით სურს ჩვენი ორგანო მიიჩნიოს (და სურს გ ა ხ ა დ ო ს) მთელი «უმრავლესობის» ორგანოდ, რუ-სეთის მუშაკთა მასის ორგანოდ. დაე, ყველამ, ვინც ამ ორგა-ნოს თავის ორგანოდ სთვლის და ვისაც შეგნებული აქვს სო-

ტონ მათ წინაშე წამოჭრილი ახალი საკითხი ყრილობის მოწვევისა საბჭოს და ც. კ-ის გვერდის აქცევით, — საბჭოსა და ც. კ-ის ნება-სურვილის წინააღმდეგ, — საკითხი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ სერიოზულ განხილვას. ჩვენ აშკარად გამოვდივართ იმ შეხედულებათა და ამოცანების დასაცავად, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადმოცემულია მთელ რიგ ბროშურებში მთელი პარტიის საყურადღებოდ. როგორც ორგანიზაციულ, ისე ტაქტიკურ საკითხებში ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მტკიცე რევოლუციური მიმართულების სასარგებლოდ არეულობისა და მერყეობის წინააღმდეგ (იხ. პარტიული ორგანიზაციებისადმი ახალი «ისკრის» საშინლად არეულ-დარეული წერილი, დაბეჭდილი მხოლოდ პარტიის წევრთათვის და დაფარული საზოგადოებისაგან [122]). განცხადება ახალი ორგანოს გამოსვლის შესახებ გამოვა, ალბათ, დაახლოებით ერთ კვირაში, პირველი ნომერი — იანვრის 1-დან 10-მდე ახალი სტილით. სარედაქციო კოლეგიაში მონაწილეობას მიიღებს უმრავლესობის ყველა ის ლიტერატორი, რომლებმაც დღემდე თავი იჩინეს (რიადოვოი, გალიორკა, ლენინი, ორლოვსკი, რომელიც რეგულარულად მუშაობდა «ისკრაში» № 46-დან 51-მდე, როცა მას უძღვებოდნენ ლენინი და პლეხანოვი, და კიდევ მეტად ძვირფასი ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები). გავრცელების, აგენტურისა და სხვ. და სხვ. რთული საქმის პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის კოლეგია შედგენილი იქნება (ნაწილობრივ უკვე შედგა კიდეც) [123] რუსეთის მთელი რიგი კომიტეტების მიერ (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, კავკასიის 4 კომიტეტის და ჩრდილოეთის რამდენიმე კომიტეტისა, რომელთა შესახებ თქვენ მალე გაიგებთ დაწვრილებით) განსაზღვრული ამხანაგებისთვის განსაზღვრული ფუნქციების პირდაპირი დავალების საფუძველზე. ამჟამად ჩვენ მივმართავთ ყველა ამხანაგს და ვთხოვთ ყოველნაირად დაგვიჭიროს მხარი. ჩვენ იმ პირობით გავუძღვებით ორგანოს, რომ ის იქნება რუსეთის მოძრაობის და არავითარ შემთხვევაში საზღვარგარეთული წრის ორ-

განო. ამისათვის უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად აუ-ცილებელია უაღრესად ენერგიული «ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ-ლ ი» დახმარება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ,ლიტერატუ-რული თანამშრომლობა რუსეთიდან. მე ხაზგასმით აღვნიშნავ და ბრჭყალებში ვსვამ სიტყვას «ლიტერატურული», რათა ერთბაშად მიაქციონ ყურადღება მის განსაკუთრებულ აზრს და თავიდან აიშორონ გაუგებრობანი, რაც მეტად ჩვეულებ-რივი მოვლენაა და საშინლად ვნებს საქმეს. ეს გაუგებრობაა, თითქოს სწორედ ლიტერატორებს და მხოლოდ ლიტერატო-რებს (ამ სიტყვის პროფესიული აზრით) შესწევთ უნარი წარ-მატებით მიიღონ მონაწილეობა ორგანოში; პირიქით, ორგანო მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველმყოფელი, როცა ხუთ ხელ-მძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არა ლიტერატორი. ძველი «ისკრის» ერთ-ერთი ნაკლი, რისგანაც მუდამ ვცდილობდი მეხსნა იგი (და რაც საშინლად გაიზარდა ახალ «ისკრაში»), ეს იყო სუსტი მუშაობა «ისკრაზე» რუსეთიდან. ყოფილა შემთხ-ვევა, როცა ჩვენ თითქმის ყოველთვის გამოუკლებლივ დაგ-ვიბეჭდია ყველაფერი, რაც რუსეთიდან გამოუგზავნიათ. ნამ-დვილად ცოცხალი ორგანო უნდა ბეჭდავდეს გამოგზავნილი მასალის ერთ მეათედს, დანარჩენს კი უნდა იყენებდეს ინ-ფორმაციისათვის და ლიტერატორთა მისათითებლად. აუცი-ლებელია, რომ ჩვენთან მიწერ-მოწერა ჰქონდეს პარტიულ მუშაკთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას, სახელდობრ, მი-წერ-მოწერა ჰქონდეს ამ სიტყვის ჩვეულებრივი და არა ლი-ტერატურული მნიშვნელობით.

რუსეთისაგან მოწყვეტილობა, წყეული საზღვარგარეთუ-ლი ჭაობის ჩამთრევი ატმოსფერო აქ იმდენად სულს უხუთავს კაცს, რომ ერთადერთი ხსნაა ცოცხალი ურთიერთობა რუსეთ-თან. დაე, ნუ დაივიწყებენ ამას ისინი, ვისაც არა მარტო სიტყ-ვიერად, არამედ საქმით სურს ჩვენი ორგანო მიიჩნიოს (და სურს გ ა ხ ა დ ო ს) მთელი «უმრავლესობის» ორგანოდ, რუ-სეთის მუშაკთა მასის ორგანოდ. დაე, ყველამ, ვინც ამ ორგა-ნოს თავის ორგანოდ სთვლის და ვისაც შეგნებული აქვს სო-

ციალ-დემოკრატის — პარტიის წევრის მოვალეობა, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდოს ისე ფიქრის და მოქმედების ბურჟუაზიული ჩვეულება, როგორც ეს მიღებულია ლეგალური გაზეთების მიმართ: მ ა თ ი საქმეა დაწერონ, ხოლო ჩვენი საქმეა წავიკითხოთო. სოციალ-დემოკრატიულ გაზეთზე ყველა სოციალ-დემოკრატი უნდა მუშაობდეს. ჩვენ ვთხოვთ ყველას, განსაკუთრებით კი მუშებს, მოგვაწოდონ კორესპონდენციები. ფართო შესაძლებლობა მიეცით მუშებს წერონ ჩვენს გაზეთში, წერონ პირდაპირ ყველაფერზე, წერონ რაც შეიძლება მეტი თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ინტერესებსა და მუშაობაზე, — ამ მასალის უქონლად სოციალ-დემოკრატიული ორგანო არაფრად ეღირება, და სოციალ-დემოკრატიულის სახელწოდების ღირსიც არ იქნება. ჩვენ გთხოვთ, გარდა ამისა, მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ა გავმართოთ, შეგნებულად წეროთ არა უეჭველად კორესპონდენციები, ე. ი. არა დასაბეჭდად, არამედ რედაქციასთან ამხანაგური კავშირურთიერთობის დასამყარებლად და მისთვის ცნობების მისაწოდებლად, ცნობებისა არა მარტო ფაქტების, ამბების შესახებ, არამედ სულისკვეთებისა და მოძრაობის ყოველდღიური «არა საინტერესო», ჩვეულებრივი, რუთინული მხარის შესახებაც. სანამ საზღვარგარეთ არ მოხვდებით, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გვესაჭიროება ჩვენ ასეთი წერილები (და მათში კონსპირაციულიც ხომ სრულიად არაფერია, და კვირაში ერთხელ, ორჯერ ასეთი უშიფრო წერილის მოწერა, მართლაცდა, სავსებით შეუძლია ფრიად მოუცლელ კაცსაც). მაშ მოგვწერეთ მუშათა წრეებში გამართულ საუბრებზე, ამ საუბრების ხასიათზე, მეცადინეობის თემებზე, მუშების სულიერ მოთხოვნილებებზე, პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაზე, საზოგადოებაში, ჯარსა და ახალგაზრდობაში კავშირურთიერთობაზე, ყველაზე მეტი მოგვწერეთ მუშებს შორის არსებულ უკმაყოფილებაზე ჩვენს მიმართ, სოციალ-დემოკრატების მიმართ, მუშების საგონებელზე, მოთხოვნილებებზე, პროტესტებზე და სხვ. ახლა განსაკუთრებით საინტერესოა საქმის პრაქტიკული დაყენების საკითხები, და არც არსებობს სხვა საშუალება ამ საკითხებთან რედაქციის

გაცნობისა, გარდა გაცხოველებული, არა კორესპონდენტური, არამედ უბრალო ამხანაგური ხასიათის მიწერ-მოწერისა; რა თქმა უნდა, ყველას არ შესწევს უნარი და არც ხალისი აქვს წერისა, მაგრამ... ნუ ამბობ — არ შემიძლია, სთქვი — არ მინდა; ყოველთვის, თუ მოინდომებ, ყოველ წრეში, ყოველ სულ უმცირეს, თვით სულ მეორეხარისხოვან ჯგუფში (ხშირად მეორეხარისხოვანი ჯგუფები განსაკუთრებით საინტერესო არიან, ვინაიდან ზოგჯერ ისინი ასრულებენ საქმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, თუმცა უჩინარ ნაწილს) იპოვნი თითოოროლა ამხანაგს, რომელთაც შეუძლიათ წერა. აქ ჩვენ ძველი «ისკრის» გამოცდილებით ვისარგებლეთ და მდივნობა ერთბაშად ფართოდ დავაყენეთ, თქვენ კი გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში, რომ ყ ვ ე ლ ა, გამოუკლებლივ ყველა, ვინც მოთმინებით და ენერგიულად მოკიდებს საქმეს ხელს, ადვილად მიაღწევს იმას, რომ ყველა მისი წერილი ან ცხრა მეათედი ადგილზე მივიდეს. ამას ვლაპარაკობ ძველი «ისკრის» სამი წლის გამოცდილების საფუძველზე, რადგან «ისკრას» არა ერთი ასეთი კორესპონდენტი მეგობარი ჰყავდა (რომელიც ხშირად არავის არ იცნობდა რედაქციაში), ფრიად წესიერ მიწერ-მოწერას რომ ეწეოდა. პოლიციას უკვე დიდი ხანია აბსოლუტურად აღარ ძალუძს ხელში ჩაიგდოს საზღვარგარეთული წერილები (მხოლოდ შემთხვევით თუ უვარდებათ ხელში გამგზავნელის ექსტრაორდინარული დაუდევრობის გამო), და ძველი «ისკრის» მასალის უდიდესი ნაწილი ყოველთვის მოდიოდა სრულიად ჩვეულებრივი გზით ჩვენი მისამართით გამოგზავნილ ჩვეულებრივ წერილებში. განსაკუთრებით გვინდა გავაფრთხილოთ მიწერ-მოწერის მხოლოდ კომიტეტისა და მხოლოდ მდივნების ხელში კონცენტრაციის ხერხის უვარგისობის შესახებ. ასეთ მონოპოლიაზე უფრო საზიანო არაფერია. რამდენადაც მოქმედებაში, გადაწყვეტილების მიღებაში ერთიანობა სავალდებულოა, იმდენად უმართებულოა ის საერთო ხასიათის ინფორმაციაში, მიწერ-მოწერაში. ძალიან, ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ განსაკუთრებით საინტერესოა წერილები შედარებით «გარეშე» (კომიტეტებს მოცილებული)

ადამიანებისა, რომლებიც უფრო ახალი შთაბეჭდილებით ითვისებენ ბევრ ისეთ რამეს, რაც მეტისმეტად ჩვეულებრივია და მხედველობიდან ეპარება ძველ გამოცდილ მუშაკს. ჩვენთან მიწერ-მოწერის მეტი შესაძლებლობა მიეცით ახალგაზრდა მუშაკებს: ახალგაზრდობასაც, მუშაკებსაც, «ცენტრალისტებსაც» და სახელდახელო კრებებისა და მიტინგების ორგანიზატორებსა და უბრალო რიგით წევრებსაც.

მხოლოდ მაშინ და მხოლოდ ასეთი ფართო მიწერ-მოწერის პირობით შეგვიძლია ჩვენ ყველას საერთო ძალღონით გავხადოთ ჩვენი გაზეთი რუსეთის მუშათა მოძრაობის ნამდვილ ორგანოდ. დაბეჭითებით გთხოვთ წაიკითხოთ ეს წერილი ყველა და ყოველგვარ კრებაზე, წრეში, ქვეჯგუფში და სხვ. და სხვ., რაც შეიძლება ფართოდ, ჩვენ კი მოგვწერეთ, თუ როგორ შეხვდნენ მუშები ამ მოწოდებას. ჩვენ ძალიან სკეპტიკურად ვუყურებთ მუშათა («პოპულარული») ორგანოს და საერთო ხელმძღვანელი ინტელიგენტური ორგანოს ცალ-ცალკე არსებობის იდეას: ჩვენი სურვილია სოციალ-დემოკრატიული გაზეთი იყოს მთელი მოძრაობის ორგანო, რომ მუშათა გაზეთი და სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ერთ ორგანოდ შეერთდნენ. ეს მოხერხდება მხოლოდ მუშათა კლასის უაღრესად აქტიური მხარდაჭერის დროს.

ამხანაგური სალამით ნ. ლენინი

დაწერილია 1904 წლის
29 ნოემბერს (12 დეკემბერს)

დაიბეჭდა 1904 წლის
დეკემბერს ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ

დაწერილია 1904 წლის
9 (22) დეკემბერს

დაბეჭდა ცალკე ბროშურად
1905 წლის იანვარს ჟენევაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

«ისკრის» 77-ე ნომრის მეშვეობით ცენტრალური კომიტეტის სამი წევრი, რომელნიც მთელი ცენტრალური კომიტეტის სახელით ლაპარაკობენ, სამედიატორო სასამართლოში იწვევენ ამხ. N-ს [124] «პარტიის დეზორგანიზაციის მიზნით ყალბი განცხადების გაკეთების გამო». ეს ვითომ ყალბი განცხადება გაკეთებულია «ც. კ-ის იმ წევრის მეშვეობით, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია დეკლარაციის შემუშავებაში», ე. ი. ჩემი მეშვეობით. ვინაიდან ამ საქმესთან ახლო დამოკიდებულება მაქვს აგრეთვე იმის გამო, რომ ამხ. N-სგან რწმუნება მაქვს მიღებული, ჩემს თავს უფლებამოსილად და ვალდებულად ვთვლი მონაწილეობა მივიღო საქმის სამედიატორო სასამართლოს წესით გარჩევაში და შემდეგ ბრალდებას ვუყენებ ც. კ-ის წევრებს — გლებოვს, ვალენტინსა და ნიკიტიჩს.

მე ბრალს ვდებ მათ იმაში, რომ ისინი უკანონოდ, უმართებულოდ, ფორმალური და მორალური თვალსაზრისით შეუწყნარებლად მოქმედებდნენ ც. კ-ის სხვა თანაწევრების მიმართ და მთელი პარტიის მიმართაც.

რადგან ასეთი უმართებულო მოქმედება უაღრესად აჭიანურებს და ამწვავებს პარტიულ კრიზისს, მასთან მეტად უშუალო გავლენას ახდენს პარტიულ მუშაკთა მასაზე, — უცილობლად მიმაჩნია საქმის გარჩევის საჯაროობა ყველაფერში, რაც კონსპირაციულ საიდუმლოებას არ შეიცავს, და ამიტომ ვრცლად გადმოვცემ ჩემს ბრალდებათა შინაარსს.

I. მე ბრალს ვდებ ც. კ-ის სამ წევრს — ვლეზოვს, ვალენტინს და ნიკიტიჩს იმაში, რომ ისინი სისტემატურად ატყუებდნენ პარტიას.

1) მე ბრალს ვდებ მათ იმაში, რომ პარტიის II ყრილობის მიერ მინიჭებული ძალაუფლება მათ გამოიყენეს, რათა ჩაეხშოთ პარტიის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც გამოიხატა აგიტაციით III ყრილობის მოწვევისათვის. მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ ჩაეხშოთ ეს აგიტაცია, რაც პარტიის ყოველი წევრის ხელშეუვალ უფლებას შეადგენს. კერძოდ, მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ დაეშალათ სამხრეთის ბიურო ყრილობის სასარგებლო აგიტაციისათვის. მათ არ ჰქონდათ არც ფორმალური, არც მორალური უფლება გაკიცხვა გამოეტანათ ჩემთვის, როგორც პარტიის საბჭოს წევრისთვის იმ მიზეზით, რომ საბჭოში მე ხმა მივეცი ყრილობის სასარგებლოდ;

2) — იმაში, რომ მათ პარტიას დაუმალეს კომიტეტთა რეზოლუციები ყრილობის სასარგებლოდ, სპეკულაცია გასწიეს თავიანთადმი, როგორც უმაღლესი პარტიული დაწესებულების წევრთადმი, გამოხატული ნდობით და შეცდომაში შეჰყავდათ კომიტეტები, რომელთაც შეგნებულად არასწორად უხატავდნენ პარტიაში არსებულ საქმის ვითარებას. ისინი ხელს უშლიდნენ ჭეშმარიტების გამორკვევას, როცა უარს ამბობდნენ რიგის კომიტეტის თხოვნის შესრულებაზე — დაებეჭდა და გაევრცელებინა 22-ის რეზოლუცია, აგრეთვე რუსეთში შეეტანა უმრავლესობის ლიტერატურა, უარს ამბობდნენ იმ საბაბით, რომ ეს ლიტერატურა არაპარტიულიაო;

3) — იმაში, რომ ყრილობის წინააღმდეგ მათ მიერ გაჩაღებული აგიტაციის დროს ისინი არ მოერიდნენ ადგილობრივი მუშაობის დეზორგანიზაციასაც კი და პერიფერიას მიმართეს იმ კომიტეტების წინააღმდეგ, რომლებიც ყრილობის მოწვევას მოითხოვდნენ; ისინი ყოველმხრივ სახელს უტეხდნენ ამ კომიტეტებს ადგილობრივ მუშაკთა თვალში, რითაც ძირს

უთხრიდნენ კომიტეტისა და პერიფერიის ურთიერთნდობას, ყრომლისოდაც არავითარი მუშაობა არ შეიძლება;

4) — იმაში, რომ საბჭოში, ც. კ-ის დელეგატის მეშვეობით, მათ მონაწილეობა მიიღეს საბჭოს დადგენილებათა შედგენაში III ყრილობის მოწვევის პირობების შესახებ, დადგენილებათა, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს ყრილობის მოწვევა და ამრიგად შესაძლებლობა მოუსპეს პარტიას ნორმალურად გადაეჭრა შინაპარტიული კონფლიქტი;

5) — იმაში, რომ იმ დროს, როცა ისინი კომიტეტებს უცხადებდნენ — პრინციპულად ვეთანხმებით უმრავლესობის პოზიციასო, რომ უმცირესობასთან შეთანხმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ უმცირესობა ხელს აიღებს თავის ფარულ განცალკევებულ ორგანიზაციაზე და უარს იტყვის ც. კ-ში კოოპტაციაზეო, ამავე დროს პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ ფ ა რ უ ლ ა დ დ ა გ ა ნ ზ რ ა ხ მ ი ს ი ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ უთანხმდებოდნენ უმცირესობას შემდეგ პირობებზე: 1) უმცირესობის ტექნიკურ წამოწყებათათვის ავტონომიის შენარჩუნება; 2) უმცირესობის სამი ყველაზე თავგამოდებული წარმომადგენლის კოოპტაცია ც. კ-ში;

6) მე ბრალს ვდებ მათ იმაში, რომ ისინი თავიანთ ავტორიტეტს, როგორც უმაღლესი პარტიული დაწესებულების წევრნი, იყენებდნენ ჩრდილის მისაყენებლად თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთათვის. ისინი უსინდისოდ მოექცნენ ამხ. პ-ს [125], როდესაც ი ვ ლ ი ს შ ი დაადგინეს გამოეძიებინათ საქმე, ვითომ ის მოტყუებით გამოსულიყოს ჩრდილოეთის კომიტეტში და შემდგომ დ ღ ე მ დ ე (22 დეკემბერი) მისთვის ბრალდებაც კი არ წაუყენებიათ, თუმცა გლებოვს არაერთხელ უნახავს პ. და თუმცა იმავე გლებოვმა იკადრა, როგორც პარტიის საბჭოს წევრმა, და «ისკრაში» «მატყუარობა» უწოდა იმ ამხანაგის მოქმედებას, რომელიც მოკლებულია თავდაცვის საშუალებას. მათ შეგნებულად სთქვეს სიცრუე, როცა განაცხადეს, ლიდინი [126] არ იყო ც. კ-ის რწმუნებული (Vertrauensmann) პირიო. მათ შეცდომაში შეჰყავდათ პარ-

ტიის წევრები, რათა სახელი გაეტეხათ მათს თვალში ამხ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ექსპედიციის მხრივ მისი თანამშრომლებისთვის, როცა «ისკრაში» (№ 77) დაბეჭდეს განცხადება, სადაც აღნიშნულია (და ისიც არასწორად) ექსპედიციის მხოლოდ ერთი პასივი — და ეს მას შემდეგ, როცა მათ, თავიანთ რწმუნებულთა მეშვეობით, ამხ. ბონჩ-ბრუევიჩს წერილობითი მოწმობა მისცეს იმისა, რომ ის საქმეს სწორად აწარმოებდა და ანგარიშგებაც სრულ წესრიგზეაო.

7) მე ბრალს ვდებ იმაში, რომ მათ ისარგებლეს ც. კ-ის ყოფილი წარმომადგენლების, ამხ. ვასილიევის და ამხ. ზვერევის, საზღვარგარეთ არყოფნით, რათა სახელი გაეტეხათ პარტიული დაწესებულებებისთვის (რსდმპ ბიბლიოთეკისა და არქივისთვის ჟენევაში). ც. კ-ის ჩემთვის უცნობი «წარმომადგენლის» ხელმოწერით მათ «ისკრაში» მოათავსეს ცნობა, რომელშიც სრულიად დაამახინჯეს ამ დაწესებულებათა ისტორია და ნამდვილი ხასიათი.

II. გარდა ამისა, მე ბრალს ვდებ ც. კ-ის სამ წევრს, გლებოვს, ვალენტინსა და ნიკიტიჩს, მთელ რიგ მორალურადაც და ფორმალურადაც შეუწყნარებელ მოქმედებაში კოლეგიის თავის თანაწევრთა მიმართ.

1) მათ დაარღვიეს პარტიული ორგანიზაციისა და დისციპლინის ყოველგვარი საფუძველი, როცა (ამხ. გლებოვის მეშვეობით) წამომიყენეს ულტიმატუმი ც. კ-დან გასვლის ან ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციის შეწყვეტის შესახებ.

2) მათ დაარღვიეს ხელშეკრულება, დადებული მათი სახელით ც. კ-ის წევრის გლებოვის მიერ, როცა ც. კ-ის შემადგენლობის შეცვლის გამო ამ ხელშეკრულების შესრულება მათთვის ხელსაყრელი აღარ იყო.

3) მათ უფლება არ ჰქონდათ თავიანთ ივლისის სხდომაზე ამხ. N გამოეცხადებინათ ც. კ-დან გამოსულად ისე, რომ არ მოუსმენიათ არც მისი და არც ჩემი განცხადება, მით უფრო, რომ ც. კ-ის ამ სამი წევრისთვის ცნობილი იყო ჩვენი (ც. კ-ის 4

წევრის [127]) მოთხოვნა — სადავო საკითხი განეხილათ ც. კ-ის საერთო კრებაზე. ამხ. N-ის ც. კ-ის არაწევრად გამოცხადება არსებითადაც არ არის სწორი, ვინაიდან ც. კ-ის სამმა წევრმა ამასთანავე ბოროტად გამოიყენეს ამხ. N-ის პირობითი განცხადება (რომელიც ყველა ამხანაგს როდი შეატყობინეს).

4) ც. კ-ის სამ წევრს არავითარი უფლება არ ჰქონდათ დაემალათ ჩემთვის თავიანთ შეხედულებათა შეცვლა და თავიანთი განზრახვები. ამხ. გლებოვი მაისის დამლევს ამტკიცებდა, ჩვენი თვალსაზრისი გამოხატულია ჩვენს მიერ მარტში შედგენილ დეკლარაციაშიო [128]. ამრიგად, ივლისის დეკლარაცია, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება მარტის დეკლარაციისაგან, მიღებულ იქნა ჩემს ზურგს უკან, და გლებოვის განცხადებები სიცრუე იყო.

5) გლებოვმა დაარღვია ჩემთან დადებული პირობა, რომ ამსტერდამის კონგრესისადმი [129] წარსადგენ მოხსენებაში, რომლის დაწერა იკისრეს დანმა (ც. ო-ს დელეგატი) და მან, გლებოვმა (ც. კ-ის დელეგატი), — პარტიაში არსებულ უთანხმოებაზე ლაპარაკი არ იქნებაო. მოხსენება, რომელიც მარტო დანმა შეადგინა, სავსე აღმოჩნდა დაფარული პოლემიკით და მთლად გაჟღენთილია «უმცირესობის» შეხედულებებით. გლებოვს პროტესტი არ განუცხადებია დანის მოხსენების წინააღმდეგ და ამრიგად არაპირდაპირ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მოტყუებაში.

6) ც. კ-ის სამ წევრს არავითარი უფლება არ ჰქონდათ უარი ეთქვათ ჩემთვის განცხადება გამეკეთებინა და ჩემი განსაკუთრებული აზრი გამომექვეყნებინა პარტიული ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხზე. ივლისის დეკლარაცია ც. ო-ში დ ა-ს ა ბ ე ჭ დ ა დ გაიგზავნა უფრო ადრე, ვიდრე მე შესაძლებლობას მომცემდნენ გამომეთქვა აზრი მის შესახებ. 24 აგვისტოს მე პროტესტი გავუგზავნე ც. ო-ს ამ დეკლარაციის წინააღმდეგ. ც. ო-მ განაცხადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბეჭდავთ, თუ ამას მოისურვებს ც. კ-ის ის 3 წევრი, რომელთაც ეს დეკლარაცია დაწერესო. მათ ეს არ მოისურვეს, და ჩემი პროტესტიც მათ დაუმალეს პარტიას.

7) მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ უარი ეთქვათ ჩემთვის — ეცნობებინათ საბჭოს ოქმები და საშუალება წავრთმიათ ჩემთვის, ც. კ-დან ფორმალურად გამოურიცხავად, ყველა და ყოველგვარი ცნობების მიღებისა ც. კ-ში საქმეთა მსვლელობის შესახებ, რუსეთსა და საზღვარგარეთ ახალი აგენტების დანიშვნის შესახებ, «უმცირესობასთან» გამართულ მოლაპარაკებათა შესახებ, სალაროს მდგომარეობის შესახებ და სხვ. და სხვ.

8) მათ უფლება არ ჰქონდათ ც. კ-ში კოოპტაციით შეეყვანათ სამი ახალი ამხანაგი (შემარიგებლები), ამ კოოპტაციის საბჭოში გაუტარებლად, როგორც ამას მოითხოვს პარტიის წესდება იმ შემთხვევაში, როცა ერთხმივობა არ არსებობს, ამ შემთხვევაში კი ერთხმივობა არ იყო, რადგან მე პროტესტი განვაცხადე ამ კოოპტაციის წინააღმდეგ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

შინაპარტიულ კონფლიქტში ც. კ-ის პოზიციის დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროდ ვთვლი ყველას საყურადღებოდ გამოვაქვეყნო შემდეგი დოკუმენტები:

I. ა მ ხ ა ნ ა გ გ ლ ე ბ ო ვ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი «კ ო ლ ე გ ი ი ს» წ ე ვ რ ე ბ ი ს ა დ მ ი.

a) სექტემბერი.

«ც. ო-სთან და ლიგასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა გამორკვეული. ჩვენი განცხადების შემდეგ ისინი, უნდა ითქვას, გათავხედდნენ და მათი მადა მატულობს. ჩვენი მდგომარეობა აქ ძალიან ძნელია: საზღვარგარეთი ლიგის ხელშია, კერძო წყაროები კი ც. ო-ს ხელში, ამიტომაც ჩვენ ყელამდე ვალებში ვართ. გაჭირვებით შევიწროებული (ვალად მაწევს 9000-მდე), იძულებული ვარ სხვა რაიმე გამოსავალზე ვიფიქრო. ამიტომ წინადადებით მივმართე უმცირესობას დამისახონ მათთვის სასურველი რეფორმების პროექტი».

b) 7 სექტემბერი.

«გუშინ საღამოს ს-ს თანადასწრებით საქმიანი შეხვედრა მქონდა უმცირესობის სამ რწმუნებულთან: პოპოვთან, ბლიუმენფელდთან და მარტოვთან».

ამ კრებაზე, რომელიც, გლებოვის სიტყვით, «ზავის მოსამზადებელ პრელიმინარულ კრებად» გადაიქცა, განხილულ საკითხთაგან ღვნიშნავთ შემდეგს:

I. ორგანიზაციული ურთიერთობა საზღვარგარეთ.

«რუსეთის მოძრაობაზე ზრუნვას კისრულობს ც. კ., ც. ო. და ლიგა. ურთიერთ შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად, მუშაობით მეტი დაინტერესებისა და სრული ნდობის მოპოვებისათვის, საქმის გაძღოლის საერთო ხელმძღვანელობა ეკალება ც. კ-ის, ც. ო-ს და ლიგის წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას. ც. კ-ს აქვს ორი ხმა და veto-ს* უფლება...».

II. ტრანსპორტი.

«ც. ო. ექვემდებარება ც. კ-ის კონტროლს ერთგვარი ავტონომიის შენარჩუნებით. სახელდობრ: საზღვარგარეთ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ექსპედიცია, ც. კ-ის ექსპედიცია. თავისი ფარგლების გამგებლობა რჩება ც. ო-ს ხელში. ლიტერატურის განაწილება რუსეთში ეკუთვნის ც. კ-ს. უფრო მეტი ავტონომიური არსებობისათვის ც. ო-ს ეთმობა სამხრეთი. განკმარტავ. ც. ო-ს აქვს ტრანსპორტი. ც. ო. შიშობს, გამგეობის შეცვლის შემთხვევაში არ წაართვან გზა. ამიტომ ც. ო-ს თხოვნაა ორგანიზაციული საშუალებით უზრუნველყონ მისი გზა».

c) 7 სექტემბერი.

«საქმის გაძღოლის შესახებ გუშინ დადებული ხელშეკრულების გამო აქ საშინლად განრისხებულია დანი და, შესაძლოა, სხვებიც. აი რა ხარბი ხალხია. მოისურვეს აქ მოაწყონ საზღვარგარეთული კომიტეტი ც. ო-ს, ც. კ-ისა და ლიგის წარმომადგენელთაგან, რომელიც საზღვარგარეთ ყველაფერს გადაწყვეტს; რა თქმა უნდა, თვითეულს მხოლოდ თითო ხმა აქვს. არა უშავს რა, ხომ?»

d) სექტემბერი.

«თქვენს ყურადღებას მივაქცევ საბჭოს მიერ გამოთქმულ სურვილს შევსების შესახებ (საქმე ეხება საბჭოში ც. კ-ის წარმომადგენლობის შევსებას). მოგვიხდება ლენინის ნაცვლად სხვა ვინმეს არჩევა, რასაც ის, რა თქმა უნდა, უკანონოდ გამოაცხადებს. მე გირჩევდით საბჭოში აგვერჩია დანი ან დეიჩი, მასთან მკაცრად უნდა დავთქვათ, რომ მათ მხოლოდ იმის რწმუნება ეძლევათ, რომ საბჭოს სხდომებს დაესწრონ. ვფიქრობ, სხვა არავინაა რომ ავირჩიოთ».

II. ც. კ-ის (ამჟამად ც. კ-მიოფიციალურად კოოპტირებული) აგენტის წერილი ამხ. გლებოვისადმი:

---

* — აკრძალვის, აცილების. რედ.

4 სექტემბერი.

«დეკლარაციის გამო ისეთი დომხალი შეიქნა, რომ გარკვევა ძნელია. ერთი რამ ცხადია: ყველა კომიტეტი, გარდა ხარკოვისა, ყირიმისა, გორნოზავოდსკისა და დონისა, — უმრავლესობის კომიტეტებია. დონის კომიტეტი, მგონი, ნეიტრალურია, მაგრამ ეს ზუსტად არ ვიცით. «უმრავლესობის» კომიტეტებიდან — რიგის, მოსკოვის, პეტერბურგისა და ჩრდილოეთის კომიტეტებმა ც. კ-ს უნდობლობა გამოუცხადეს დეკლარაციის გამო, როგორც ეს წინათაც გაცნობე. სრული ნდობა ც. კ-ს გამოუცხადა კომიტეტების ძალიან მცირე რიცხვმა. დანარჩენებმა კი მას ნდობა გამოუცხადეს შერიგების საქმეში — იმ პირობით, რომ თუ არაფერი გამოვიდოდა, დაუყოვნებლივ მოეწვიათ სასწრაფო ყრილობა. ამ დანარჩენ კომიტეტთაგან ზოგიერთი შერიგების პირობად აყენებს იმას, რომ უმცირესობამ უარი თქვას თავისი თავის «მხარედ» ჩათვლაზე და, როგორც მხარის (?), კოოპტაციის მოთხოვნაზე. დახეთ, როგორი სურათია. თუ შერიგების ცდიდან არაფერი გამოვიდა, ც. კ. კარგავს კომიტეტთა უმრავლესობის ნდობას და, მაშასადამე, იძულებული იქნება უკვე თვითონ გასწიოს აგიტაცია ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ, რათა რწმუნებულება ჩააბაროს. **ხოლო კომიტეტთა განწყობილების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ყრილობაზე გავა დადგენილება 22-ის სულისკვეთების მიხედვით, ე. ი. რედაქციის გადაყენება და მისი გადაცემა უმრავლესობის ხელში, პარტიის საბჭოს შემადგენლობის შეცვლა და სხვ.** მაგრამ იმისათვის, რომ შერიგებამ დააკმაყოფილოს კომიტეტები, აუცილებელია არსებობდეს ერთი პირობა, რომელზეც უკვე გწერდი, — ეს ის, რომ უმცირესობამ მიიღოს დეკლარაცია და უარი თქვას თავისი თავის «მხარედ» ჩათვლაზე. თუ ისინი ამას შეასრულებენ, ვფიქრობ, ლენინი ნიადაგს დაკარგავს რუსეთში, და მშვიდობის აღდგენაც შესაძლებელი გახდება. შენმა ფრაზამ, რომ მარტოვთან საქმე «თანდათანა» გვარდებაო, გამაკვირვა. რედაქციის წევრთა ჯიუტობა პირდაპირ მაბრაზებს და, მიუხედავად მათდამი იდეური და სხვ. სიმპათიისა, ნდობას ვკარგავ მათდამი, როგორც პოლიტიკური «ბელადებისადმი». ორგანიზაციული საკითხი მათ სავსებით გამოარკვიეს, და მათი შემდგომი ჯიუტობა იმ დროს, როცა რუსეთიდან მხარს არ უჭერენ **(აქ უმცირესობა უძლურია)**, მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ისინი მხოლოდ ადგილებისათვის იბრძვიან».

ასეთია სავაჭრო გარიგების დასაწყისი. მისი ფინალი კი აი როგორია:

ც. კ. კომიტეტებს უგზავნის წერილს, რომლითაც მათ აცნობებს, რომ

«მოლაპარაკება დამთავრდება სულ უახლოეს მომავალში (სულ დიდ ორ კვირაში), ჯერჯერობით კი შეგვიძლია გაცნობოთ, რომ 1) ც. კ-ს თავის შემადგენლობაში არავითარი უმცირესობა არ შეუყვანია კოოპტაციით (ამის თაობაზე ვილაცას გაუვრცელებია ჭორი); ...3) უმცირესობასთან მოლაპარაკება იმგვარად წარმოებს, როგორც ვალენტინმა მოგახსენათ, ე. ი. თუ დათმობებზე ვილაპარაკებთ, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ უმცირესობის მხრივ და უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ც. ო-მ უარი თქვას ფრაქციულ პოლემიკაზე, დაშლილ იქნას უმცირესობის ფარული ორგანიზაცია, უარი თქვან ც. კ-ში წევრთა კოოპტაციაზე, ყველა წამოწყება (ტექნიკა, ტრანსპორტი, კავშირი) გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მშვიდობის აღდგენა პარტიაში. საფუძველი მაქვს იმედი ვიქონიო, რომ ეს ასეც მოხდება. ყოველ შემთხვევაში, თუ ახლა უმცირესობა გამოიჩენს სურვილს განაგრძოს თავისი ძველი პოლიტიკა, ც. კ. დაუყოვნებლივ შესწყვეტს მოლაპარაკებას და შეუდგება სასწრაფო ყრილობის მოწვევას».

ასე ამშვიდებს ც. კ. იმ კომიტეტებს, რომლებმაც მათ უნდობლობა გამოუცხადეს, ხოლო აი უმცირესობის «გამოჩენილ» მოღვაწეთა წერილები. ეს წერილები მიღებულია 1904 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ძველი სტილით.

«როგორც იქნა შევხვდით ამ მაწანწალებს. მათი პასუხი ასეთი იყო: ისინი თანახმანი არიან ჩვენი ტექნიკური დაწესებულებების ავტონომიისა; რაც შეეხება საგიტაციო კომისიას, წინააღმდეგნი არიან, რადგან ეს (აგიტაციის ხელმძღვანელობა) ც. კ-ის პირდაპირ ფუნქციად მიაჩნიათ და ამ გეგმას ამჯობინებენ ც. კ-ის რეფორმა მოახდინონ, **მაგრამ ამჟამად არ შეუძლიათ ოფიციალურად მოახდინონ კოოპტაცია და ფაქტიურ (არაოფიციალურ) კოოპტაციას სთავაზობენ უმცირესობის სამ პირს (პოპოვს, ფომინს, ფიშერს). რასაკვირველია, მე და X მაშინვე დავთანხმდით, და ამიერიდან მენშევიკური ოპოზიცია ოფიციალურად უქმდება.** თითქოს ლოდი მოვიშორე. ამ დღეებში უნდა მოხდეს მთელი ც. კ-ის კრება ჩვენთან ერთად, და შემდეგ ჩვენ დავნიშნავთ ყველაზე ახლობელი კომიტეტების კონფერენციას.

...ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ც. კ-ს დავეუფლებით და ისე წარვმართავთ, როგორც ჩვენ გვსურს. ეს მით უფრო იოლია, რომ ბევრი მათგანი უკვე მართებულად **სთვლის**

უმცირესობის პრინციპულ კრიტიკას... ყველა თანამიმდევარ მტკიცე კომიტეტში (ბაქოში, ოდესაში, ნიჟნი-ნოვგოროდსა და პიტერში) მუშები მოითხოვენ არჩევითს სისტემას. ეს აშკარა სიმპტომია უაღრესად მტკიცეთა აგონიისა».

ამასთან ერთად მიღებულია კიდევ მეორე წერილი:

«მოხდა შეთანხმება «უმცირესობის» რწმუნებულებსა და ც. კ-ს შორის. რწმუნებულებმა დაწერეს ბარათი. მაგრამ ვინაიდან წინასწარ არ შეკითხებიან «უმცირესობას», ბუნებრივია, თვით ბარათიც არ შეიძლება მთლად ხეირიანად ჩაითვალოს, რადგან მასში გამოთქმულია «ნდობა» ცენტრალური კომიტეტისადმი და არა მისი გამაერთიანებელი პოლიტიკისადმი; მასში ლაპარაკია პარტიაში გათქვეფაზეც, განცალკევებული არსებობის შეწყვეტაზეც, მაშინ როდესაც საკმარისია მხოლოდ მეორე. დასასრულ, ამ ბარათში არ ჩანს «უმცირესობის» «credo» *. ამის გამო გადაწყდა კიდევ გავატაროთ «უმცირესობის» ყველა ორგანიზაციაში რეზოლუცია «credo»-თი და მითითებული შესწორებებით, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ც. კ-თან ჩვენი რწმუნებულების შეთანხმება ფაქტად იქნას აღიარებული».

* * *

ფრიად შესაძლებელია, რომ დანაშაულზე წასწრებული პირნი, ამ დოკუმენტებით მხილებულნი, მათთვის დამახასიათებელი «მორალური გულისხმიერებით» ყოველივე ღონეს იხმარენ, რომ პარტიის ყურადღება დოკუმენტების შინაარსს აარიდონ და მათი გამოქვეყნების უფლების მორალურ საკითხზე გადაიტანონ. დარწმუნებული ვარ, პარტია ნებას არ მისცემს გააბიაბრუონ ასეთი თვალის ახვევით. მე ვაცხადებ, რომ ვკისრულობ მთელ მორალურ პასუხისმგებლობას ამ მხილებისათვის და ყველა საჭირო განმარტებას მივცემ სამედიატორო სასამართლოს, რომელიც განიხილავს საერთოდ მთელ ამ საქმეს.

---

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ცნობა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ[130]

მძიმე კრიზისს, რომელსაც ჩვენი პარტია განიცდის აგერ უკვე წელიწადნახევარია, მე-2 ყრილობის დროიდან დაწყებული, მოჰყვა გარდუვალი და დიდი ხნის გათვალისწინებული შედეგი, პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის სრული გაწყვეტა. ჩვენ აქ არ დავიწყებთ კრიზისის მძიმე ისტორიის განმეორებას და ფაქტების მოყვანას, რაც საკმაოდ გაშუქებულია პარტიულ ლიტერატურაში საერთოდ და რუსეთის კომიტეტებისა და კომიტეტთა კონფერენციების მთელ რიგ რეზოლუციებსა და განცხადებებში კერძოდ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთმა ასეთმა უკანასკნელმა კონფერენციამ, ჩრდილოეთის კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის, რიგის, ტვერის, მოსკოვის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტები, აირჩია ბიურო და დაავალა მას გამოსულიყო როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-3 მორიგი ყრილობის დაუყოვნებლივ მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი.

ამჟამად ბიურო, ეგრეთწოდებული ცენტრალური კომიტეტის საპასუხოდ კომიტეტების მიერ დანიშნული ყველა ვადის შესრულების შემდეგ, შეუთანხმდა სამხრეთის სამი (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის) და კავკასიის ოთხი კომიტეტის რწმუნებულებს. ბიურო ამჟამად გამოდის რო-

გორც საორგანიზაციო კომიტეტი და იმ ცენტრებთან შეუთანხმებლად, რომლებიც პარტიის მიმართ ანგარიშვალდებულნი არიან და პარტიის წინაშე პასუხისმგებლობას თავს არიდებენ, იწვევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-3 მორიგ ყრილობას.

რუსეთი ამჟამად გაუგონარ პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის და პროლეტარიატს ეკისრება თვითმპყრობელობასთან ბრძოლის უდიდესი ისტორიული ამოცანები. რუსეთში მომუშავე ყველა სოციალ-დემოკრატმა იცის, რა უზარმაზარი ზიანი მიაყენა ჩვენმა პარტიულმა დაქსაქსულობამ პროლეტარიატის ძალების ორგანიზაციისა და შემჭიდროების საქმეს, რა განუზომელი ზიანი განიცადა პროპაგანდის, აგიტაციისა და მუშების გაერთიანების საქმემ რუსეთში საზღვარგარეთული წრეობანის გამხრწნელი გავლენის წყალობით. და თუ არ არსებობს შესაძლებლობა გავაერთიანოთ საზღვარგარეთული წრეები და მათი მომხრენი, დაე, ყოველ შემთხვევაში, გაერთიანდეს რუსეთში მომუშავე ყველა სოციალ-დემოკრატი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მტკიცე მიმართულების ყველა მომხრე. ასეთი გაერთიანება ერთადერთი სწორი გზაა რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატის მომავალი სრული და მტკიცე ერთიანობისაკენ.

გაუმარჯოს რუსეთის, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

რაც შეეხება ყრილობის მოწვევის პირობებს, საორგანიზაციო კომიტეტი საჭიროდ სთვლის ყველას საყურადღებოდ გამოაქვეყნოს შემდეგი:

1) საორგანიზაციო კომიტეტი სცნობს, რომ მე-3 მორიგ ყრილობაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობის მიღების უეჭველი უფლება აქვს. რუსეთის ყველა იმ კომიტეტსა და ორგანიზაციას, რომლებიც დაამტკიცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-2 ყრილობამ (პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ნიკოლაევის, დონის, ეკატერინოსლავის, სარატოვის, ურალის, ჩრდილოეთის, ტუ-

ლის, ტვერის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ბაქოს, ბათუმის, თბილისის, გორნოზავოდსკის, ცომბირისა და ყირიმის კომიტეტებს).

2) საორგანიზაციო კომიტეტი სცნობს, რომ ყრილობაში მონაწილეობის მიღების პირობითი უფლება აქვთ იმ კომიტეტებს, რომლებიც დაამტკიცა ცენტრალურმა კომიტეტმა მეორე ყრილობის შემდეგ (სამეგრელოს, ასტრახნის, ორიოლ-ბრიანსკის, სამარის, სმოლენსკის, რიგის, კურსკის, ვორონეჟის კომიტეტებს, აგრეთვე საზღვარგარეთულ ლიგას). ყველა ეს კომიტეტი დამტკიცებულია იმ ცენტრების მიერ, რომლებმაც დაჰკარგეს პარტიის ნდობა. ჩვენ ვალდებული ვართ მოვიწვიოთ ისინი მე-3 ყრილობაზე, მაგრამ მხოლოდ თვით ყრილობას შეუძლია საბოლოოდ გადაწყვიტოს მათი მონაწილეობის (კომიტეტის სინამდვილის, სათათბირო ან გადამწყვეტი ხმის უფლების და სხვ.) საკითხი.

3) საორგანიზაციო კომიტეტი, რუსეთის კომიტეტთა უმრავლესობის სახელით, გამოთქვამს სურვილს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-3 მორიგ ყრილობაში მონაწილეობა მიიღოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყ ვ ე ლ ა როგორც საზღვარგარეთულმა, ისე რუსეთის ორგანიზაციამ და განსაკუთრებით ყველა იმ მუშათა ორგანიზაციამ, რომლებიც სთვლიან, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ეკუთვნიან. ამ უკანასკნელთა მონაწილეობა ჩვენ განსაკუთრებით სასურველად მიგვაჩნია იმიტომ, რომ პარტიულმა კრიზისმა და არჩევითობის საწყისისა და რაბოჩეედელური დემოკრატიზმის დემაგოგიურმა ქადაგებამ უკვე მთელი რიგი გათიშვა გამოიწვია. საჭიროა ვისარგებლოთ ყრილობით, რათა რუსეთის კომიტეტთა უმრავლესობის წარმომადგენლების მონაწილეობით შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ ეს გათიშვები ან შევასუსტოთ მათ მიერ გამოწვეული ზიანი.

4) ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს ყველას, ვისაც სურს ყრილობაში მონაწილეობის მიღება, დაუყოვნებლივ გამოგვეხმაურონ და კავშირურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან (ერთ-ერთი ზემოთდასახელებული 13 კომიტეტის მეშვეობით).

5) ყრილობაზე მიწვევის პირობები, სადავო შემთხვევაში, გარკვეული იქნება ორი უახლოესი კომიტეტის და მესამე პირის — საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის გადაწყვეტილებით.

6) იმ კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების ყრილობაში (სათათბირო თუ გადამწყვეტი ხმით) მონაწილეობის პირობებს, რომლებიც პარტიის მეორე ყრილობამ არ დაამტკიცა, გაარკვევს თვითონ მე-3 ყრილობა.

7) ყრილობის დროს და ადგილს დანიშნავს საორგანიზაციო კომიტეტი.

დაწერილია 1904 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები

1 «რ ს დ მ პ II ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა მ ბ ა ვ ი» ლენინმა დაწერა პარტიის II ყრილობის შემდეგ მენშევიკების გამთიშველი, დეზორგანიზატორული საქმიანობის წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის გამწვავების პერიოდში. ყრილობის ოქმების გამოქვეყნებამდე (1904 წლის იანვარში) «ამბავი» ერთადერთი დოკუმენტი იყო, რომელიც აშუქებდა II ყრილობის შედეგებს და რსდმპ გათიშვის მიზეზებს. — 1.

2 ლენინი იყენებს ცნობებს რსდმპ II ყრილობის იმ დელეგატების შესახებ, რომელთაც გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ და იყენენ ყრილობის მეორე სხდომაზე 1903 წლის 18 (31) ივლისს სამანდატო კომისიის მოხსენების დროისათვის. ამ დროისათვის ყრილობაზე ჩამოვიდა 42 დელეგატი: 33 დელეგატი — თითო ხმით, 8 დელეგატი — ორ-ორი ხმით და ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის 1 დელეგატს დროებით, მეორე წარმომადგენლის ჩამოსვლამდე, ჰქონდა აგრეთვე ორი ხმა. 22 ივლისს (4 აგვისტოს) ბუნდის მეორე დელეგატის ჩამოსვლის შემდეგ ყრილობას ესწრებოდა 43 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, მათგან 35 დელეგატი — თითო ხმით და 8 დელეგატი — ორ-ორი ხმით. — 5.

3 ტ — ბოლშევიკი პ. ა. კრასიკოვი (რსდმპ II ყრილობის ოქმების მიხედვით — პ. პავლოვიჩი). — 7.

4 «ბ ო რ ბ ა» — საზღვარგარეთული ლიტერატურული ჯგუფი, თავს აკუთვნებდა რსდმ პარტიას; დამოუკიდებელ ჯგუფად ჩამოყალიბდა 1901 წელს პარიზში. სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ტაქტიკისაგან ჩამოშორებისა, დეზორგანიზატორული მოქმედებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის უქონლობის გამო არ იქნა დაშვებული პარტიის II ყრილობაზე.

II ყრილობის გადაწყვეტილებით ჯგუფი «ბორბა» დაშლილ იქ-
ნა. — 8.

5 N (NN) — მენშევიკ ე. მ. ალექსანდროვას ფსევდონიმი (რსდმპ II ყრილობის ოქმების მიხედვით — შტეინი). — 8.

6 «გადამრბენი» — ი. ვ. ჩერნიშევი; თავდაპირველად იყო «ეკონომისტი», შემდეგ გადავიდა «ისკრის» საზღვარგარეთულ ორგანიზაციაში, 1903 წლის აპრილში კვლავ «ეკონომისტებს» მიემხრო. — 9.

7 Tagesordnung-ის კომენტარს ლენინი უწოდებს თავის შენიშვნებს პარტიის მეორე ყრილობის დღის წესრიგისა და რეგლამენტის პროექტის გამო, რომელსაც მან გაუკეთა სათაურად «რსდმპ II მორიგი ყრილობის პროგრამა». — 20.

8 სტაროვერი — მენშევიკ ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი. — 20.

9 «ზარია» — მარქსისტული მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი, სცემდა «ისკრის» რედაქცია 1901 — 1902 წლებში შტუტგარტში. გამოვიდა ოთხი ნომერი.

«ზარიაში» დაიბეჭდა ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». ჟურნალ «ზარიაში» იბეჭდებოდა აგრეთვე პლეხანოვის თეორიული სტატიები. — 21.

10 «რევოლუციონნაია როსსია» — ესერების გაზეთი, გამოდიოდა 1900 წლის დამლევიდან 1905 წლამდე. 1902 წლის იანვრიდან — ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო. — 27.

11 «ორი აპრილის საქმე» — იგულისხმება სტუდენტ ბალმაშევის მიერ 1902 წლის 2 (15) აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის მკვლელობა. — 27.

12 პეტრაშეველთა წრე შეიქმნა პეტერბურგში XIX საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსეთის მოწინავე უაზნო ინტელიგენციის წარმომადგენლები: ლიტერატორები, მასწავლებლები, სტუდენტები, წვრილი მოხელეები, ოფიცრები და სხვ. წრის მეთაური იყო მ. ვ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი — ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის ფ. ფურიეს მიმდევარი.

პეტრაშეველთა პოლიტიკური შეხედულებანი ერთგვაროვანი არ იყო, მაგრამ პეტრაშეველთა უმრავლესობა გამოდიოდა მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

პეტრაშეველთა წრესთან დაკავშირებული იყვნენ მწერლები მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, თ. მ. დოსტოევსკი და პოეტები ა. ნ. პლეშჩეევი, ა. ნ. მაიკოვი, ტ. გ. შევჩენკო და სხვ. — **34.**

13 სტატიას «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» აქვს ქვესათაური «წერილი პირველი». მაგრამ შემდგომი წერილები არ გამოქვეყნებულა. სტატია დაიბეჭდა აგრეთვე ცალკე ბროშურად მიმეოგრაფზე სათაურით «სტუდენტობისადმი. რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები (სოციალ-დემოკრატია და ინტელიგენცია)».

პოლიციის დეპარტამენტის 1904 — 1905 წლების დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებათა და ჩხრეკის დროს ლენინის ბროშურა ნახულ იქნა ეკატერინოსლავში, ნ.-ნოვგოროდში, ყაზანში, ოდესაში, არზამასში, სმოლენსკისა და მინსკის გუბერნიებში. — **35.**

14 «ს ტ უ დ ე ნ ტ ი» — რევოლუციური სტუდენტობის გაზეთი. გამოვიდა სამი ნომერი: № 1 — აპრილში, № 2 — 3 — 1903 წლის სექტემბერში. — **35.**

15 «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე» — ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის ორკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. შემდეგ «ოსვობოჟდენიელები» გახდნენ რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — კადეტების პარტიის — ბირთვი. — **35.**

16 ლენინის ამ გეგმით დაწერილი სტატიები ნახული არ არის. გეგმის უკანასკნელი აბზაცი — ბუნდის შესახებ — ლენინის მიერ განვითარებულია სტატიაში «ურცხვობის მაქსიმუმი და ლოგიკის მინიმუმი» (იხ. ეს ტომი, გვ. 56). — **54.**

17 ««ნ ო მ ა დ უ რ ი» პ ე რ ი ო დ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი» — სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების იდეური და ორგანიზაციული დაქსაქსულობის დასასრული. — **54.**

18 «პ ო ს ლ ე დ ნ ი ე ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — პერიოდული ბიულეტენი, სცემდა ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი 1901-დან 1906 წლამდე. — **57.**

19 ს ი ო ნ ი ზ მ ი — რეაქციულ-ნაციონალისტური მიმდინარეობა ებრაულ ბურჟუაზიაში. — **62.**

20 ც. კ-ის წევრი — თ. ვ. ლენგნიკი (ფსევდონიმები — ვასილიევი, კოლი). — 64.

21 «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» მეორე ყრილობა შესდგა 1903 წლის 13 — 18 (26 — 31) ოქტომბერს ჟენევაში; მოწვეულ იქნა მენშევიკების დაჟინებითი მოთხოვნით. ყრილობას დაესწრო უმრავლესობის მომხრე 15 დელეგატი (18 ხმა) ლენინის მეთაურობით, უმცირესობის მომხრე 18 დელეგატი (22 ხმა) და ერთი დელეგატი (2 ხმა), რომელიც არ ემხრობოდა არც ბოლშევიკებს და არც მენშევიკებს.

ყრილობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო ლენინის — რსდმპ II ყრილობაზე ლიგის დელეგატის მოხსენება. ლენინის შემდეგ გამოვიდა მარტოვი, რომელიც იცავდა მენშევიკების ოპორტუნიზმს და ცილს სწამებდა ბოლშევიკებს. ლენინმა და მისმა მომხრეებმა დასტოვეს ლიგის ყრილობა. იმის გამო, რომ ლიგის ყრილობა არ დაემორჩილა პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ც. კ-მა და საბჭომ იგი უკანონოდ გამოაცხადეს. — 67.

22 რეფერატი ნაციონალურ საკითხზე ლენინმა შემდეგ მოამზადა «ისკრისთვის» სტატიის სახით — «ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 564 — 576). — 74.

23 პპს (პოლონეთის სოციალისტური პარტია) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსდა 1893 წელს. — 74.

24 «განცხადება მარტოვის მოხსენების გამო» ლენინმა წაიკითხა «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» II ყრილობის მესამე სხდომაზე და გადაეცა ყრილობის ბიუროს ყრილობაზე მარტოვის მიერ წამოსროლილ ცილისმწამებლურ ბრალდებათა გასარჩევად სამედიატორო სასამართლო არ შესდგა, რადგან მარტოვი 1903 წლის 16 (29) ნოემბრის წერილში იძულებული იყო განეცხადებინა, ლენინის კეთილსინდისიერებასა და გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარებაო. — 86.

25 «შეუტანელი განცხადება» ლენინმა დაწერა «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» II ყრილობაზე წარსადგენად. ლიგის ყრილობის სხდომაზე 1903 წლის 16 (29) ოქტომბერს ლენინი მოკლე ზეპირი განცხადებით დაკმაყოფილდა. — 88.

26 «განცხადება პარტიის საბჭოს წევრისა და ც. ო-ს რედაქციის წევრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ» ლენინმა შეიტანა მას შემდეგ, რაც პლეხანოვმა აშკარად პირი იბრუნა მენშევიკებისაკენ და წინადადება წამოაყენა «ისკრის» რედაქციაში კოოპტაციით შეეყვანათ ყველა მისი ყოფილი რედაქტორი, რომელთა კანდიდატურები უარჰყო რსდმპ II ყრილობამ.

5 (18) ნოემბერს ლენინმა მიმართა პლეხანოვს და სთხოვა დაეგზავნა «ისკრაში» განცხადება «ისკრის» რედაქციიდან გამოსვლის შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 122). რედაქციის ცნობა მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების შესახებ დაიბეჭდა ახალი, მენშევიკური «ისკრის» 53-ე ნომერში 1903 წლის 25 ნოემბერს. — **94.**

27 ბუნდი — «ლიტვის, პოლონეთისა და რუსეთის ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი» — დაარსდა 1897 წელს; უმთავრესად აერთიანებდა რუსეთის დასავლეთი ოლქების ებრაელ ხელოსნებს. რსდმპ I ყრილობაზე, 1898 წლის მარტში, ბუნდი შევიდა რსდმ პარტიაში. რსდმპ II ყრილობაზე ბუნდელებმა მოითხოვეს აღიარებული ყოფილიყო ბუნდი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. მას შემდეგ რაც ყრილობამ უარჰყო ბუნდის ორგანიზაციული ნაციონალიზმი, ბუნდი პარტიიდან გავიდა.

1906 წელს, IV («გამაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ, ბუნდი კვლავ შევიდა რსდმ პარტიაში. ბუნდელები მუდამ მხარს უჭერდნენ მენშევიკებს და განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბუნდი ფორმალურად შედიოდა რსდმპ შემადგენლობაში, არსებითად კი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა. — **95.**

28 **«Die Arbeiterstimme»** («მუშათა ხმა») — გაზეთი, ბუნდის ცენტრალური ორგანო, გამოდიოდა 1897 — 1905 წლებში. — **95.**

29 ლენინს მხედველობაში აქვს მანიფესტი, მიღებული რსდმპ I ყრილობის მიერ 1898 წლის მარტს ქ. მინსკში. — **95.**

30 რსდმპ ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ ბუნდის ბრძოლის ეპიზოდი ლენინს გადმოცემული აქვს სტატიაში «ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია»» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 405 — 412). — **102.**

31 **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე.

1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. იგი ხშირად აძლევდა მითითებებს ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევის გამო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ. ჟურნალი კაუტსკიანურ შეხედულებებს ატარებდა და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ცენტრისტული პოზიცია ეჭირა და ფაქტიურად მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **104.**

32 ლენინს მოჰყავს მის მიერ თარგმნილი ციტატი ფრანგი ფილოლოგისა და ისტორიკოსის რენანის ნაწარმოებიდან **«Le judaïsme comme race et comme religion»** («იუდეველობა როგორც რასა და როგორც რელიგია»), რომელიც დაბეჭდილია წიგნში: **Discours et Conférences par Ernest Renan. Paris,** 1887, p. 373 (ერნესტ რენანი. სიტყვები და საჯარო ლექციები, პარიზი, 1887, გვ. 373). — **106.**

33 ვ. ვ. დ ა ნ ი ე ლ ა ი-ო ნ ი — ვ. პ. ვორონცოვისა და ნ. ფ. დანიელსონის — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგთა — ფსევდონიმები. — **110.**

34 მ ი ლ ი ე რ ა ნ ი — ფრანგი «სოციალისტ»-რეფორმისტი, 1899 წელს შევიდა რეაქციულ ბურჟუაზიულ მთავრობაში. — **113.**

35 «გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა» — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტი, წარდგენილი ლენინის მიერ ც. კ-ის სხდომაზე 1903 წლის 14 (27) ნოემბერს. ამ განცხადების გამო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რადგან ც. კ-ის ზოგიერთი წევრი მენშევიკების მიმართ შემარიგებელ დამოკიდებულებას იჩენდა. — **123.**

36 ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი მენშევიკებს წარედგინათ 1903 წლის 12 (25) ნოემბერს. ლენინმა ჯერ კიდევ 1903 წლის 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს) გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს წერილი, რომელშიც წინადადებას იძლეოდა წარედგინათ მენშევიკებისათვის შემდეგი პირობები: 1) სამი ყოფილი რედაქტორის კოოპტაცია რედაქციაში; 2) წინანდელი მდგომარეობის აღდგენა საზღვარგარეთულ ლიგაში; 3) ერთი ხმის დათმობა მენშევიკებისთვის პარტიის საბჭოში. ამ თავდაპირველ პირობებს მხარი არ დაუჭირეს შემარიგებლებმა — ც. კ-ის წევრებმა. ამავე წერილში ლენინმა დასახა და ც. კ-ს წინადადება მისცა იმავე დროს დაემტკიცებინა, მაგრამ ჯერჯერობით მენშევიკებისთვის არ ეცნობებინა,

ულტიმატუმის ძირითადი მუხლები, ე. ი. ის პრაქტიკული დათმობანი, რომლებიც შეიძლებოდა ცარ-ს დაეშვა მენშევიკების მიმართ: 1) «ისკრის» რედაქციაში ოთხი ყოფილი რედაქტორის კოოპტაცია; 2) ცარ-ის არჩევით ორი კაცის კოოპტაცია ცარ-ში; 3) წინანდელი მდგომარეობის აღდგენა საზღვარგარეთულ ლიგაში; 4) პარტიის საბჭოში ერთი ხმის დათმობა მენშევიკებისთვის. «ულტიმატუმის მიუღებლობის შემთხვევაში, — აღნიშნავდა ლენინი, — საჭირო იქნება ომი ბოლომდე. დამატებითი პირობა: 5) ყოველგვარი სასამართლოს, მითქმა-მოთქმისა და ლაპარაკის შეწყვეტა პარტიის მეორე ყრილობაზე და მის შემდეგ მომხდარი დავის გამო». ლენინის ეს წინადადებანი (გარდა დამატებითი პირობისა) შევიდა ცარ-ის 12 (25) ნოემბრის ულტიმატუმის შემადგენლობაში, მაგრამ რამდენადმე შერბილებულ იქნა ცარ-ის შემარიგებლად განწყობილ წევრთა მიერ.

მენშევიკებმა უარჰყვეს ცარ-ის ულტიმატუმი და პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ ომის გზას დაადგნენ.

ცარ-ის ულტიმატუმის შეფასება ლენინმა მოგვცა წიგნში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» (იხ. ეს ტომი, გვ. 467). — **123.**

37 «წ ე რ ი ლ ი «ი ს კ რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა ს» ლენინმა დაწერა პასუხად პლეხანოვის სტატიისა «რა არ ვაკეთოთ», რომელიც დაიბეჭდა «ისკრის» 52-ე ნომერში 1903 წლის 7 ნოემბერს. — **125.**

38 ლენინის წერილი «ისკრის» რედაქციის მიმართ — «რ ა ტ ო მ გ ა მ ო ვ ე დ ი «ი ს კ რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი დ ა ნ?» ცალკე ფურცლად დაიბეჭდა საზღვარგარეთ და არალეგალურად იბეჭდებოდა რუსეთში. პოლიციის 1904 — 1905 წლების დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ჩხრეკისა და დაპატიმრებათა დროს «წერილი» ნახეს მოსკოვში, ხარკოვში, ტულაში, ტომსკში, რიგაში, ნიკოლაევში, პოლტავაში, ასტრახანში, დონბასში. — **131.**

39 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «ნ ა ბ ი ჯ ი წ ი ნ, ო რ ი ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ (კ რ ი ზ ი ს ი ჩ ვ ე ნ ს პ ა რ ტ ი ა შ ი)» (იხ. ეს ტომი, გვ. 239 — 530). — **145.**

40 1903 წლის 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა «ისკრის» რედაქციაში კოოპტაციით შეიყვანა მენშევიკები მარტოვი, აქსელროდი, ზასულიჩი და პოტრესოვი. — **155.**

41 წერილის ავტორია რსდმპ ეკატერინოსლავის კომიტეტის წევრი, მუშა ნ. ე. ვილონოვი. მისი წერილის პასუხი ლენინმა გაგზავნა 1903 წლის 9 (22) დეკემბერს. — **158.**

42 «პარტიის წევრებს. მიმართვის პროექტი» — დაწერილია ლენინის მიერ 1904 წლის 1 იანვარს «ისკრის» 56-ე ნომერში დაბეჭდილ მარტოვის სტატიის გამო «სადღეისო საკითხი» (წრე თუ პარტია?)». — **159.**

43 რსდმპ საბჭოს სხდომები იმართებოდა 1904 წლის 15 — 17 (28 — 30) იანვარს. საბჭო მოწვეულ იქნა პლეხანოვის წინადადებით, «პარტიული ლიტერატურის გამოცემის დარგში ც. კ-ის და ც. ო-ს საქმიანობის შესათანხმებლად». საბჭოს სხდომებს ესწრებოდნენ ლენინი, პლეხანოვი, ლენგნიკი, მარტოვი და აქსელროდი.

ლენინმა ც. კ-ის სახელით წინადადება შეიტანა პირველად განეხილათ საკითხი «პარტიაში ნამდვილი მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობის აღდგენის ზომების შესახებ», ხოლო მეორედ — პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ. ლენინის მიერ დაყენებული ამ პრინციპული საკითხების განხილვას მიეძღვნა სწორედ პარტიის საბჭოს იანვრის სესია. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ც. კ-ის შემადგენლობაში მენშევიკთა კოოპტაციის შესახებ, გაილაშქრა პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და აგრეთვე მოიწონა მენშევიკური «ისკრის» დეზორგანიზატორული მოქმედება. საბჭოს იანვრის სესიის შემდეგ ლენინმა ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ 18 (31) იანვრის წერილში ც. კ-ის უმნიშვნელოვანეს ამოცანად წამოაყენა პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა. — **165.**

44 ტრავინსკი — რსდმპ ც. კ-ის წევრის გ. მ. კრჟიჟანოვსკის ფსევდონიმი. — **181.**

45 1903 წლის 12 (25) ნოემბრის ულტიმატუმის მესამე მუხლში ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლეოდა ც. კ-ის შემადგენლობაში კოოპტაციით შეეყვანათ უმცირესობის ორი წევრი. ცენტრალურ კომიტეტში იმ დროს შედიოდნენ ლენინი, კრჟიჟანოვსკი, ლენგნიკი, ნოსკოვი, გუსაროვი, ზემლიაჩკა, კრასინი, ესენი და გალპერინი. — **187.**

46 რუ — ლ. ე. გალპერინის ფსევდონიმი. — **191.**

47 «ც. კ-ის ქაღალდი», «ც. კ-ის აქტი» და «25 ნოემბრის დოკუმენტი» — ც. კ-ის 1903 წლის 12 (25) ნოემბრის ულტიმატუმი, რომელიც მენშევიკებს წაუყენეს ლენინის წინადადებით. — **195.**

48 წერილი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის წევრმა ლენგნიკმა (ვასილიევმა) «ისკრის» რედაქციას გაუგზავნა 1903 წლის 29 ნოემბერს (12 დეკემბერს), დაწერილია ლენინის მიერ. — **197.**

49 ლენინს მხედველობაში აქვს წერილი პოტრესოვისადმი 1903 წლის 31 აგვისტოს (13 სექტემბრის) თარიღით. ეს წერილი უმნიშვნელო შემოკლებით ლენინმა გამოაქვეყნა წიგნში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» (იხ. ეს ტომი, გვ. 434 — 435). — **197.**

50 ცენტრალური კომიტეტი ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან მუდმივი კავშირურთიერთობის დასამყარებლად საზღვარგარეთ გზავნიდა ლენგნიკს და კრჟიჟანოვსკის, რომელიც 1903 წლის ნოემბერს ჩავიდა მენშევიკებთან მოსალაპარაკებლად. — **199.**

51 ლენინს მხედველობაში აქვს სარატოვის, ოდესისა და სხვა კომიტეტები. სარატოვისა და ოდესის კომიტეტთა რეზოლუციები გამოქვეყნდა ნ. შახოვის ბროშურაში «ბრძოლა ყრილობისათვის», ჟენევა, 1904, გვ. 28. — **202.**

52 ზ ა გ ო რ ს კ ი — მენშევიკ ვ. ნ. კროხმალის ფსევდონიმი. — **212.**

53 ლენინს ციტატი მოჰყავს ი. ხ. ლალაიანცის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა ნ. კ. კრუპსკაიას 1903 წლის 24 დეკემბერს (1904 წლის 6 იანვარს). — **212.**

54 მ ა რ ტ ი ნ ი — მენშევიკ ვ. ნ. როზანოვის ფსევდონიმი. — **212.**

55 ლენინს ციტატი მოჰყავს კრასინის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ განყოფილებას 1904 წლის 1 (14) იანვარს. — **213.**

56 პირველ წერილში ცენტრალური კომიტეტის ექსპედიციის გამგე მენშევიკური «ისკრის» რედაქციას სთხოვდა, ცენტრალური კომიტეტისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად მაცნობეთ, სად იგზავნება «ისკრის» 50 ეგზემპლარი, რომელსაც რედაქცია ღებულობსო. მეორე წერილში ის უარს ამბობს ცენტრალური კომიტეტის უნებართვოდ მისცეს მარტოველებს «ისკრის» იმ 50 ეგზემპლარზე მეტი, რაც გამოყოფილი იყო რედაქციისათვის. — **214.**

57 ლენინს ციტატი მოჰყავს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის ლენგნიკის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა ცენტრალური ორგანოს რედაქციას 1903 წლის 14 (27) დეკემბერს. წერილი დაწერილი იყო ლენინის მიერ. — **215.**

58 **«Vorwärts»** («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო. გაზეთის გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი

ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც გაბატონებული იყვნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. — **215.**

59 ლენინს ციტატი მოჰყავს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის ლენგნიკის წერილიდან, რომელიც მან «ისკრის» რედაქციას გაუგზავნა 1903 წლის 26 დეკემბერს (1904 წლის 8 იანვარს). წერილის ციტირებული ნაწილი დაწერილია ლენინის მიერ. — **216.**

60 Z — ვ. ნ. კროხვალი. — **218.**

61 წიგნს «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში)» ლენინი ამზადებდა რამდენიმე თვის განმავლობაში, გულმოდგინედ სწავლობდა რსდმპ II ყრილობის სხდომათა ოქმებს და რეზოლუციებს, თვითეული დელეგატის გამოსვლებს და ყრილობაზე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, პარტიის ც. კ-ისა და საბჭოს დოკუმენტებს.

ლენინის წიგნმა მენშევიკთა გაბოროტება გამოიწვია. პლეხანოვმა ც. კ-ს მოსთხოვა გამიჯნოდა ლენინის წიგნს. ც. კ-ის შემარიგებლად განწყობილი წევრები ცდილობდნენ შეეფერხებინათ მისი დაბეჭდვა და გავრცელება.

ლენინის მიერ წიგნში — «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» განვითარებულ პარტიის ორგანიზაციულ პრინციპთა დამცველად გამოვიდა ამხანაგი სტალინი. ამ საკითხს მან მიუძღვნა სტატია «პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია», რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის იანვარში (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 1, გვ. 61 — 72), და მთელი რიგი სხვა ნაშრომები; ამავე დროს სტალინი პრაქტიკულად ატარებდა ლენინის ორგანიზაციულ პრინციპებს.

ლენინის წიგნი — «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», რომელიც საზღვარგარეთ გამოიცა, ფართოდ გავრცელდა რუსეთის მოწინავე მუშებს შორის. მას პოულობდნენ დაპატიმრებათა და ჩხრეკის დროს მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, სარატოვში, ტულაში, ორიოლში, უფაში, პერმში, კოსტრომაში, შჩიგრაში, შავლიაში (კოვნოს გუბ.) და სხვ. ეს ნაშრომი ლენინმა ხელახლა გამოსცა კრებულში «12 წლის მანძილზე» 1907 წელს (თავფურცელზე აღნიშნულია 1908 წ.). ახალ გამოცემაში ლენინმა ამოიღო მუხლები ი, ლ, მ, პ, ჟ, რაოდენიმედ შეამცირა სხვა მუხლები და აგრეთვე შეიტანა რამდენიმე დამატებითი შენიშვნა.

თხზულებათა ამ გამოცემაში ტექსტი სრულად იბეჭდება წიგნის 1904 წლის პირველი გამოცემის მიხედვით, აგრეთვე დატოვებულია ავტორის მიერ 1907 წლის მეორე გამოცემაში შეტანილი დამატებანი.

წიგნის — «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» შეფასება იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 56 — 63. — **239.**

62 «პ რ ა ქ ტ ი კ ო ს ი» (პ ა ნ ი ნ ი) — მენშევიკ მ. ს. მაკაძუბის ფსევდონიმები. — **246.**

63 1 9 0 2 წ ლ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა — რსდმპ კომიტეტთა წარმომადგენლების კონფერენცია, შესდგა 1902 წლის 23 — 28 მარტს (5 — 10 აპრილს) ბელოსტოკში. «ეკონომისტებსა» და ბუნდელებს განზრახული ჰქონდათ კონფერენცია პარტიულ ყრილობად გამოეცხადებინათ. ლენინის მიერ შედგენილ მოხსენებაში, რომელიც კონფერენციაზე წაიკითხა «ისკრის» წარმომადგენელმა, დამტკიცებული იყო, რომ ასეთი ყრილობა მომზადებული არ არის და უფლებამოსილი არ იქნებაო. კონფერენციამ შეჰქმნა რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის წევრთა უმრავლესობა მალე დაუპატიმრეს. რსდმპ II ყრილობის მომწვევი ახალი საორგანიზაციო კომიტეტი შექმნილ იქნა ფსკოვის თათბირზე იმავე წლის ნოემბერში. ბელოსტოკის კონფერენციის შეფასება ლენინის მიერ მოცემულია ««ისკრის» რედაქციის მოხსენებაში რსდმპ კომიტეტთა თათბირისათვის (კონფერენციისათვის)» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 108 — 120). — **247.**

64 პავლოვიჩი. «წერილი ამხანაგებისადმი რსდმპ მეორე ყრილობის შესახებ», ჟენევა, 1904. — **257.**

65 ს ო ტ ო კ ი ნ ი — ბოლშევიკ ნ. ე. ბაუმანის ფსევდონიმი; ლ ა ნ გ ე — ბოლშევიკ ა. მ. სტოპანის ფსევდონიმი. — **257.**

66 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ» — «ეკონომისტების» ჯგუფი; სცემდა იმავე სახელწოდების გაზეთს. გაზეთი გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა 16 ნომერი. რედაქტორობდა კ. მ. ტახტარევი და სხვ.

«რაბოჩაია მისლის» ჯგუფის, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის, შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა «ისკრის» ფურცლებზე მოთავსებულ სტატიებში და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **267.**

67 კ ო ს ტ რ ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკის ნ. ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი. — **284.**

68 იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 23. — **285.**

69 იგულისხმება ინციდენტი, რომელიც მოხდა ჰამბურგში 1900 წელს «კალატოზთა თავისუფალი კავშირის» წევრთა ჯგუფის საქციელთან დაკავშირებით; კალატოზთა ეს ჯგუფი გაფიცვის დროს, მიუხედავად ცენტრალური გაერთიანების მიერ აკრძალვისა, სანარდო მუშაობას ეწეოდა. კალატოზთა ჰამბურგის კავშირმა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში დააყენა საკითხი ჯგუფის წევრ სოციალ-დემოკრატთა შტრეიკბრეხერული საქციელის შესახებ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ც. კ-ის მიერ დანიშნულმა პარტიულმა სამედიატორო სასამართლომ დაჰგმო «კალატოზთა თავისუფალი კავშირის» წევრ სოციალ-დემოკრატთა საქციელი, მაგრამ უარჰყო პარტიიდან მათი გარიცხვის წინადადება. — **318.**

70 რსდმპ II ყრილობაზე «ისკრის» ორგანიზაციის წევრი იყო 16, მათგან 9 — უმრავლესობის მომხრე ლენინის მეთაურობით და 7 — უმცირესობის მომხრე მარტოვის მეთაურობით. — **339.**

71 ს ა ბ ლ ი ნ ა — ნ. კ. კრუპსკაიას ფსევდონიმი. — **243.**

72 ჰერცი — დ. ი. ულიანოვის ფსევდონიმი. — **351.**

73 ო ს ი პ ო ვ ი — ბოლშევიკი ქალის, რსდმპ ც. კ-ის წევრის რ. ს. ზემლიაჩკას ფსევდონიმი. — **405.**

74 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ II ყრილობაზე «ეკონომისტ» აკიმოვის გამოსვლა; აკიმოვმა უარჰყო «ისკრის» მიერ წარმოდგენილი პარტიის პროგრამა და ამის ერთ-ერთ საბუთად წამოაყენა ის მოსაზრება, რომ სიტყვა «პროლეტარიატი» პროგრამაში ნახმარია არა როგორც ქვემდებარე, არამედ როგორც დამატებაო. — **411.**

75 მ თ ა და ყ ი რ ო ნ დ ა — XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის ბურჟუაზიის ორი პოლიტიკური დაჯგუფების სახელწოდება. მთას — იაკობინელებს — უწოდებდნენ თავისი დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე უფრო მტკიცე წარმომადგენლებს, რომლებიც იცავდნენ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მოსპობის აუცილებლობას. ჟი-

რონდისტები, იაკობინელებისაგან განსხვავებით, მერყეობდნენ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის და მონარქიასთან შეთანხმების გზას ადგნენ.

«სოციალისტურ ჟირონდას» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიაში; პროლეტარულ იაკობინელებს, «მთას» — რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. — **424.**

76 ვ ო რ ო ნ ე ჟ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი დ ა პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს «მ უ შ ა თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა» «ეკონომისტების» ხელში იყო და მტრულად ეკიდებოდნენ ლენინურ «ისკრას» და მარქსისტული პარტიის აგების «ისკრის» ორგანიზაციულ გეგმას. — **427.**

77 ც. კ.-ი ს ა ხ ა ლ ი წ ე ვ რ ი — თ. ვ. ლენგნიკი. — **437.**

78 ო რ თ ო დ ო ქ ს ი — მენშევიკი ქალის ლ. ი. აქსელროდის ფსევდონიმი. — **461.**

79 ბ ა ზ ა რ ო ვ ი — მთავარი მოქმედი პირი ი. ს. ტურგენევის რომანისა «მამები და შვილები». — **464.**

80 «ისკრის» 53-ე ნომერში 1903 წლის 25 ნოემბერს ერთ და იმავე დროს დაიბეჭდა ლენინის «წერილი «ისკრის» რედაქციის მიმართ» (იხ. ეს ტომი, გვ. 125 — 130) და რედაქციის პასუხი, დაწერილი პლეხანოვის მიერ. წერილში ლენინი წინადადებას იძლეოდა გაზეთის ფურცლებზე განეხილათ პრინციპული უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. პლეხანოვმა უარი განაცხადა და ამ უთანხმოებას «წრეობრივი ცხოვრების კინკლაობა» უწოდა. — **465.**

81 ი გ რ ე კ ი — ც. კ-ის წევრის, შემარიგებელ ლ. ე. გალპერინის ფსევდონიმი. — **468.**

82 იგულისხმება შეხედულებანი «ლეგალური მარქსიზმის» წარმომადგენლის პ. ბ. სტრუვესი, რომლის წინააღმდეგ 1894 წლის შემოდგომაზე ლენინი გამოვიდა რეფერატით «მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში». — **473.**

83 ლენინს მხედველობაში აქვს «ისკრაში» დაბეჭდილი მარტოვის სტატია «ჯეროვნად ვემზადებით თუ არა?», რომელშიც მარტოვმა გაილაშქრა სრულიად რუსეთის შეიარაღებული აჯანყების მომზადების წინააღმდეგ და აჯანყების მომზადება გამოაცხადა უტოპიად და შეთქმულებად. — **477.**

84 გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დრეზდენის ყრილობა შესდგა 1903 წლის 31 აგვისტოს — 7 სექტემბერს (13 — 20 სექტემბერს). დრეზდენის ყრილობამ გაჰკიცხა რევიზიონისტები ბერნშტეინი, ბრაუნი, ჰიორე, დავიდი და სხვები, მაგრამ პარტიიდან არ გარიცხა, და ისინიც დაუბრკოლებლივ განაგრძობდნენ თავიანთი ოპორტუნისტული შეხედულებების პროპაგანდას. — **495.**

85 დედოვი — ლ. მ. კნიპოვიჩის, რსდმპ II ყრილობის უმრავლესობის მომხრის, ფსევდონიმი. — **522.**

86 ბორის, ლოშად, ვალენტინ, მიტროფან — შემარიგებლების ვ. ა. ნოსკოვის, ლ. ბ. კრასინის, ლ. ე. გალპერინისა და ფ. ვ. გუსაროვის ფსევდონიმები. — **531.**

87 ზვერევი — ბოლშევიკი ქალის, რსდმპ ც. კ-ის წევრის, მ. მ. ესენის ფსევდონიმი. — **536.**

88 ნიკიტიჩ — ლ. ბ. კრასინის ფსევდონიმი. — **537.**

89 კ. კაუტსკი «ისკრის» 66-ე ნომერში 1904 წლის 15 მაისს დაბეჭდილ წერილში წინადადებას იძლეოდა პარტიაში «დროებითი ზავის» დამყარებამდე არ მოეწვიათ პარტიული ყრილობა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებულ უთანხმოებათა განსახილველად. — **538.**

90 პარტიის საბჭოს სხდომები ჰქონდა 1904 წლის 31 მაისს და 5 ივნისს (13 და 18 ივნისს) ჟენევაში ლენინის, პლეხანოვის, ნოსკოვის, აქსელროდისა და მარტოვის შემადგენლობით. პირველ სხდომაზე საბჭომ განიხილა რუსეთის ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიის პარტიათაშორისი კონფერენციის მოწვევისა და ამსტერდამის მომავალი საერთაშორისო კონგრესის საკითხები. მეორე სხდომაზე განხილულ იქნა შინაპარტიული საკითხები: 1) პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა (ც. ო-ს და ც. კ-ის) უფლების შესახებ — უკანვე გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენლები პარტიის საბჭოდან; 2) წესდების მიხედვით ადგილობრივი კომიტეტის კოოპტაციისათვის საჭირო ხმების რაოდენობის შესახებ; 3) კომიტეტების კოოპტაციისა და ც. კ-ის უფლების შესახებ — ახალი წევრები შეიყვანოს ამ კომიტეტებში; 4) პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხზე პარტიული ორგანიზაციების მიერ ხმის მიცემის წესის შესახებ.

უმნიშვნელოვანეს შინაპარტიულ საკითხებზე პარტიის საბჭომ მიიღო მენშევიკური გადაწყვეტილებანი. — **541.**

91 პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი» წარმოიშვა 1900 წელს. სოციალ-დემოკრატიული პროგრამის აღიარებასთან ერთად პარტია «პროლეტარიატი» იცავდა ინდივიდუალური ტერორის აუცილებლობას. — **545.**

92 პარტიის საბჭომ რეზოლუცია მიიღო ერთხმად. — **552.**

93 «რ ა ს ს ვ ე ტ» — სოციალ-დემოკრატიული ფურცელი სექტანტებისთვის; გამოდიოდა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე. პირველი ნომერი გამოვიდა 1904 წლის იანვარში. მიუხედავად პარტიის საბჭოს 1904 წლის ივნისის დადგენილებისა ფურცლის გამოცემის შეწყვეტის შესახებ, უკანასკნელი მაინც გამოდიოდა 1904 წლის სექტემბრამდე. სულ გამოვიდა 9 ნომერი. — **560.**

94 იგულისხმება რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული 1904 წლის 23 ივნისს (6 ივლისს), რომლითაც პეტერბურგის კომიტეტმა მოითხოვა პარტიის III ყრილობის დაჩქარებით მოწვევა. — **560.**

95 ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის საბჭოს 1904 წლის 5 (18) ივნისის რეზოლუცია, რომლითაც ცენტრალურ კომიტეტს პარტიის ადგილობრივ კომიტეტებში ახალი წევრების შეყვანის უფლება ეზღუდებოდა. — **565.**

96 2 2 ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი ს თ ა თ ბ ი რ ი შესდგა ლენინის ხელმძღვანელობით შვეიცარიაში 1904 წლის აგვისტოს (ახ. სტ.). თათბირში მონაწილეობას იღებდა 19 კაცი, შემდეგ თათბირის გადაწყვეტილებებს შეუერთდა კიდევ 3 კაცი. თათბირმა მიიღო ეს მიმართვა «პარტიისადმი», რომელიც ბოლშევიკებისათვის გადაიქცა რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლის პროგრამად. — **576.**

97 კ ო ნ ი ა გ ი ნ — ლ. ე. გალპერინის ფსევდონიმი. — **576.**

98 იგულისხმება ც. კ-ის «ი ვ ლ ი ს ი ს დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა» — დადგენილება, მიღებული ც. კ-ის სახელით ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებელ კრასინის, ნოსკოვისა და გალპერინის მიერ 1904 წლის ივლისში. ის გამოქვეყნდა «ისკრის» 72-ე ნომერში 1904 წლის 25 აგვისტოს სათაურით «ცენტრალური კომიტეტის განცხადება». ამ დადგენილებით შემარიგებლები კანონიერად აღიარებდნენ პლეხანოვის მიერ კოოპტირებულ «ისკრის» რედაქციის მენშევიკურ შემადგენლობას და იცავდნენ მენშევიკების ოპორტუნიზმს. ც. კ-ის შემადგენლობაში მათ კოოპტაციით შეიყვანეს კიდევ სამი შემარიგებელი: ლიუბიმოვი, კარპოვი და დუბროვინსკი. შემარიგებლებმა გაი-

ლაშქრეს პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და დაშალეს ც. კ-ის სამხრეთის ბიურო, რომელიც აგიტაციას ეწეოდა ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. მათ ლენინს ჩამოართვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებები და აკრძალეს მისი ნაწარმოებების დაბეჭდვა ც. კ-ის კოლეგიის ნებადაურთველად.

«ივლისის დეკლარაციის» მიღება ნიშნავდა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებათა სრულ ღალატს ც. კ-ის წევრების — შემარიგებლების მხრივ და მათ აშკარად გადასვლას მენშევიკების მხარეზე. — **576.**

99 მ ი ტ რ ო ფ ა ნ ო ვ — ფ. ვ. გუსაროვის ფსევდონიმი. — **576.**

100 ლენინის მიერ დასახელებული დოკუმენტებიდან წერილი ც. კ-ის წევრებს, ხელშეკრულება ც. კ-ის სამ წევრს შორის და პროტესტი ც. კ-ის გადაწყვეტილების კანონიერების წინააღმდეგ — გამოქვეყნებულია ამ ტომში (იხ. გვ. 531 — 537 და 576 — 578). ც. კ-ის დადგენილება — ეს არის გადაწყვეტილება, მიღებული შემარიგებლების — კრასინის, ნოსკოვისა და გალპერინის მიერ 1904 წლის ივლისში («ივლისის დეკლარაცია»). — **579.**

101 ლენინის სტატია «ნ ა ბ ი ჯ ი წ ი ნ, ო რ ი ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ» (პასუხი როზა ლუქსემბურგის სტატიისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული საკითხები») გაეგზავნა კაუტსკის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოში «**Die Neue Zeit**»-ში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ კაუტსკიმ უარი განაცხადა მის მოთავსებაზე. — **592.**

102 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — სოციალ-დემოკრატების კიევის ჯგუფის არალეგალური ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის აგვისტოში და № 2 — იმავე წლის დეკემბერს (დათარიღებულია ნოემბრით). რსდმპ I ყრილობამ «რაბოჩაია გაზეტა» პარტიის ოფიციალურ ორგანოდ აღიარა. ყრილობის შემდეგ, პოლიციის მიერ სტამბის განადგურებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაპატიმრების გამო, გაზეთი აღარ გამოსულა. 1899 წელს მისი გამოცემის განახლების ცდების შესახებ იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 4, გვ. 247 — 249. — **599.**

103 გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გერმანიაში შემოიღეს 1878 წელს. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, მუშათა პრესა, კონფისკაციას უკეთებდნენ სოციალისტურ ლიტერატურას, დაიწყო სოციალ-დე-

მოკრატების გადასახლება. მუშათა მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით 1890 წელს ეს კანონი გააუქმეს. — **603.**

104 პარტიის მეორე ყრილობაზე ც. კ-ში აირჩიეს ლენგნიკი, კრჟიჟანოვსკი, ნოსკოვი. 1903 წლის ოქტომბერში (ახ. სტ.) ც. კ-ში კოოპტაციით შეიყვანეს ზემლიაჩკა, კრასინი, ესენი და გუსაროვი. იმავე წლის ნოემბერს ც. კ-ის შემადგენლობაში შევიდა ლენინი და კოოპტირებულ იქნა გალპერინი. 1904 წლის ივლის-სექტემბერში ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ახალი ცვლილებები მოხდა: ლენინის მომხრეები — ლენგნიკი და ესენი დააპატიმრეს. შემარიგებლები კრჟიჟანოვსკი და გუსაროვი გადადგნენ. შემარიგებლებმა კრასინმა, ნოსკოვმა და გალპერინმა, მიუხედავად ლენინის პროტესტისა, ც. კ-ის შემადგენლობიდან უკანონოდ გარიცხეს ზემლიაჩკა — უმრავლესობის მომხრე და ც. კ-ის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანეს სამი შემარიგებელი — ლიუბიმოვი, კარპოვი და დუბროვინსკი. ამ ცვლილებების შედეგად ც. კ-ში უმრავლესობას შეადგენდნენ შემარიგებლები. — **606.**

105 ლენინს მხედველობაში აქვს ც. კ-ის გადაწყვეტილება ც. კ-ის სამხრეთის ბიუროს დაშლის შესახებ, რომელიც აგიტაციას ეწეოდა პარტიის III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. — **606.**

106 გ ა ლ ი ო რ კ ა — ბოლშევიკი მ. ს. ოლმინსკი (ალექსანდროვი). — **606.**

107 ვ. ბ ო ნ ჩ-ბ რ უ ე ვ ი ჩ ი ს ა დ ა ნ. ლ ე ნ ი ნ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა ბოლშევიკებმა შეჰქმნეს მას შემდეგ, რაც «ისკრის» მენშევიკურმა რედაქციამ დახურა მათთვის გაზეთის ფურცლები და უარი განაცხადა იმ ორგანიზაციებისა და პარტიის იმ წევრთა განცხადებების დაბეჭდვაზე, რომლებიც იცავდნენ II ყრილობის გადაწყვეტილებებს და მოითხოვდნენ პარტიის III ყრილობის მოწვევას. გამომცემლობამ გამოუშვა მთელი რიგი ნაშრომები, მიმართული მენშევიკებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ: ნ. ლენინი. «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა»; გალიორკა. «ძირს ბონაპარტიზმი!»; ორლოვსკი «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», და სხვ. — **606.**

108 რ ი ა დ ო ვ ი — ფსევდონიმი ა. ა. მალინოვსკისა, რომელიც უფრო ცნობილია ბოგდანოვის გვარით. — **609.**

109 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე. გამოკიდა 12 ნომერი — ცხრა წიგნად.

«რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში (1901 წლის სექტემბერი), რომლის შესახებაც ლენინი ლაპარაკობს, დაიბეჭდა სტატიები მარტინოვისა — «მამხილებელი ლიტერატურა და პროლეტარული ბრძოლა» და კრიჩევსკისა — «პრინციპები, ტაქტიკა და ბრძოლა», რომლებიც აშკარად იცავდნენ «ეკონომიზმს». — **611.**

110 «ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ» რუსეთში გაიგზავნა 1904 წლის 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს) წერილში ბოგდანოვისადმი; არ დაბეჭდილა. — **615.**

111 «19-ის დეკლარაცია» გამოსცა რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა 1904 წლის ოქტომბერს სათაურით — «მიმართვა რსდმპ წევრებისადმი». ეს იყო გამოძახილი მიმართვისა «პარტიისადმი», რომელიც მიიღო 22 ბოლშევიკის თათბირმა ლენინის ხელმძღვანელობით. — **615.**

112 ლენინის ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» მიძღვნილია მენშევიკური «ისკრის» რედაქციის წერილის კრიტიკისადმი; ეს წერილი გამოიცა 1904 წლის ნოემბერს. ლენინის ბროშურის პასუხად რედაქციამ გამოუშვა მეორე წერილი პარტიული ორგანიზაციების მიმართ. ორივე წერილს ჰქონდა წარწერა: «მხოლოდ პარტიის წევრთათვის». მენშევიკური რედაქციის მიერ ამ მეორე წერილის მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკთა შორის გავრცელებამ ლენინი აიძულა დაეწერა დამატება ბროშურისადმი, რომელიც უკვე დაიბეჭდა და გავრცელდა კომიტეტთა შორის. დამატება ცალკე დაბეჭდეს ფერად ქაღალდზე და ჩააკრეს ბოლშევიკური გამომცემლობის საწყობში დარჩენილ ბროშურის ეგზემპლარებში. თარიღი «1904 წლის 22 დეკემბერი» ეკუთვნის მხოლოდ დამატების ტექსტს (იხ. ეს ტომი, გვ. 648, ორი ბოლო აბზაცი).

ლენინის ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» ფართოდ იყო გავრცელებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში: დაპატიმრებათა და ჩხრეკის დროს ის იპოვნეს სმოლენსკში, ბათუმში, რიგაში, სარატოვში, სუვალკსა და სხვა ქალაქებში. — **621.**

113 უგრიუმ-ბურჩეევი — გამოყეყეჩებული, ჭკუამოკლე დიდი მოხელის ტიპი, გამოყვანილი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებში — «ერთი ქალაქის ისტორია». «ჩვენებურ უგრიუმ-ბურჩეევებს» ლენინი უწოდებს ნიკოლოზ II სამეფო კარის ხროვის წარმომადგენლებს. — **628.**

114 «ნოვოე ვრემია» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბე-

რალური გაზეთი იყო, 1876 წლიდან კი გადაიქცა რეაქციონერ თავად-აზნაურთა და ბიუროკრატ-მოხელეთა წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთ ორგანოდ გახდა. — **629.**

115 როსტოვის დემონსტრაცია დაიწყო 1902 წლის 2 (15) ნოემბრის ეკონომიური გაფიცვით. გაფიცვა მალე გადაიზარდა პოლიტიკურ დემონსტრაციად, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 30 ათასამდე კაცი. გაფიცვას ხელმძღვანელობდა რსდმპ დონის ისკრული კომიტეტი. ლენინმა როსტოვის გაფიცვას მიუძღვნა სტატია «ახალი მოვლენები და ძველი საკითხები» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 340 — 347). — **641.**

116 ბალალაიკინი — პერსონაჟი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებისა — «თანამედროვე იდილია». ლიბერალი მოლაყბე, ავანტიურისტი და ცრუპენტელა. მენშევიკური «ისკრის» «რედაქციის ბალალაიკინს» ლენინი უწოდებს ტროცკის. — **642.**

117 ლენინს მხედველობაში აქვს «ეკონომისტების» («რაბოჩეედელოელეების») 1901 წლის გაზაფხულის ავანტიურისტული მოწოდებები — დაუყოვნებლივ იერიში მივიტანოთ «დესპოტიზმის ციხე-სიმაგრეზეო». — **645.**

118 რეფერატი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ ლენინმა წაიკითხა რუსი პოლიტიკური ემიგრანტების კრებებზე მალე მას შემდეგ, რაც დაწერა ბროშურა — «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა»: 1904 წლის 19 ნოემბერს (2 დეკემბერს) — პარიზში, 23 — 24 ნოემბერს (6 — 7 დეკემბერს) — ციურიხში და ამავე წლის 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) — ბერნში. — **651.**

119 ორლოვსკის (ვ. ვ. ვოროვსკის) ბროშურა «საბჭო პარტიის წინააღმდეგ» 1904 წლის ნოემბერს ჟენევაში გამოსცა ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის ბოლშევიკურმა გამომცემლობამ. — **654.**

120 1904 წლის სექტემბერ — დეკემბერში შესდგა ბოლშევიკურ ადგილობრივ კომიტეტთა სამი კონფერენცია: 1) სამხრეთისა (ოდესის, ეკატერინოსლავისა და ნიკოლაევის კომიტეტები); 2) კავკასიისა (ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები); 3) ჩრდილოეთისა (პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, რიგის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტები).

რსდმპ III ყრილობის მომზადების და მოწვევისათვის, ლენინის წინადადებით, კონფერენციებმა აირჩიეს უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გუსევი, ზემლიაჩკა. ლიადოვა, ლიტვინოვი და სხვ. უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდა ლენინი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1904 წლის დეკემბერს. — **654.**

121 1904 წლის 20 აგვისტოს (2 სექტემბერს) ჟენევაში კრება მოიწვიეს მენშევიკებმა ცენტრალური კომიტეტის ეგრეთწოდებული «ივლისის დეკლარაციის» მხარდაჭერის მიზნით. კრებაზე მიწვეული იყვნენ მენშევიკები და ბოლშევიკები. მაგრამ ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს კრებაში მონაწილეობაზე; ბოლშევიკების წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება — კრება უფლებამოსილი არ არის რეზოლუციები გამოიტანოს უმრავლესობისა და უმცირესობის სახელითო, და დასტოვა კრება. კრებაზე მენშევიკები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ რუსეთში პარტიის კომიტეტები ილაშქრებენ ცენტრალური კომიტეტის შემარიგებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და კომიტეტთა უდიდესი უმრავლესობა სრულიად უარს ამბობს მენშევიკური «ისკრის» რედაქციასთან კავშირის დაჭერაზეო. — **655.**

122 ლენინა ბხედველობაში აქვს 1904 წლის ნოემბერს მენშევიკური «ისკრის» მიერ გამოცემული «წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი». «წერილის» კრიტიკა იხ. ლენინის ბროშურაში «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» (იხ. ეს ტომი, გვ. 621 — 648). — **656.**

123 ლენინს ბხედველობაში აქვს უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. — **656.**

124 N — რსდმპ ც. კ-ის წევრი რ. ს. ზემლიაჩკა. — **663.**

125 ბ. — ბ. ა. კრასიკოვი. — **665.**

126 ლ ი დ ი ნ ი — მ. ნ. ლიადოვის ფსევდონიმი. — **665.**

127 ც. კ-ის 4 წ ე ვ რ ი — ვ. ი. ლენინი, თ. ვ. ლენგნიკი, მ. მ. ესენი და რ. ს. ზემლიაჩკა. — **666.**

128 დეკლარაციის შინაარსი იხ. ამ ტომში, გვ. 536 — 537. — **667.**

129 I I ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი ს კ ო ნ გ რ ე ს ი მიმდინარეობდა 1904 წლის 1 — 7 (14 — 20) აგვისტოს. მენშევიკებმა კონგრესს წარუდგინეს თავიანთი «მოხსენება რუსეთის სოც.-დემ.

მუშათა პარტიის დელეგაციისა ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს». მენშევიკების მოხსენების დასაპირისპირებლად ბოლშევიკებმა კონგრესს წარუდგინეს ცალკე მოხსენება ბროშურის სახით — «მასალები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში არსებული პარტიული კრიზისის გარკვევისათვის». ბროშურის შედგენასა და რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღო ლენინმა. — **667.**

130 «ცნობა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ» დაწერა ლენინმა 1904 წლის დეკემბერს და მაშინვე დაეგზავნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს წევრებს. ლენინის ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო ოფიციალურ «ცნობას მესამე პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ», რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «ვპერიოდის» მე-8 ნომერში 1905 წლის 28 (15) თებერვალს უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს ხელმოწერით. — **675.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1903* წლის სექტემბერი — *1904* წლის დეკემბერი)

1903

სექტემბრის პირველი ნახევარი.	ვ. ი. ლენინი წერს სტატიას «რსდმპ II ყრილობის ამბავი».
სექტემბერი, 12 — 15 (25 — 28).	ლენინი პლეხანოვთან ერთად ეთათბირება დანს უმცირესობასთან შეთანხმების პირობებზე. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.
სექტემბერი, 21 (ოქტომბერი, 4)	ლენინი პლეხანოვთან და ლენგნიკთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებს მარტოვთან, აქსელროდთან, პოტრესოვთან და ზასულიჩთან შეთანხმების საკითხზე. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.
სექტემბერი.	ლენინის სტატია — «რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები» გამოქვეყნდა გაზეთ «სტუდენტის» მე-2 — 3 ნომერში.
ოქტომბერი, 1 (14).	ლენინის სტატია «ურცხვობის მაქსიმუმი და ლოგიკის მინიმუმი» გამოქვეყნდა «ისკრის» 49-ე ნომერში.
ოქტომბერი, 13 — 17 (26 — 30).	ლენინი მონაწილეობას იღებს «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» II ყრილობის სხდომებში, ჟენევაში.
ოქტომბერი, 14 (27).	ლენინი ლიგის ყრილობის მეორე სხდომაზე გამოდის მოხსენებით პარტიის II ყრილობის შესახებ.

ოქტომბერი, 15 (28).	ლენინი ლიგის ყრილობის მესამე სხდომაზე პროტესტს აცხადებს მარტოვის მხრივ ბრძოლის არასაკადრისი ხერხების წინააღმდეგ, რის შემდეგ ლენინი და უმრავლესობის მომხრეები სტოვებენ ყრილობის სხდომას.
ოქტომბერი, 16 (29).	ლენინი ლიგის ყრილობის მეოთხე სხდომაზე გამოდის განცხადებით, რომ უარს ამბობს პარტიის II ყრილობის შესახებ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობასა და საბოლოო სიტყვაზე.
ოქტომბერი, 19 (ნოემბერი 1).	ლენინი გამოდის «ისკრის» რედაქციიდან, რათა გამაგრდეს პარტიის ც. კ-ში და ამ პოზიციიდან ურტყას ოპორტუნისტებს.
ოქტომბერი, 22 (ნოემბერი, 4).	ლენინის სტატია «ბუნდის მდგომარეობა პარტიაში» გამოქვეყნდა «ისკრის» 51-ე ნომერში.
ოქტომბერი, 24 ან 25 (ნოემბერი, 6 ან 7).	ლენინი მონაწილეობას იღებს ბოლშევიკთა ჟენევის ჯგუფის კრებაში, რომელიც გმობს პლეხანოვის გადასვლას მენშევიკების მხარეზე.
ნოემბერი, 5 (18).	ლენინმა დაამთავრა და პლეხანოვს გაუგზავნა სტატია «მონაროდნიკე ბურჟუაზია და განიავებული ნაროდნიკობა». სტატია გამოქვეყნდა «ისკრის» 54-ე ნომერში 1903 წლის 1 დეკემბერს.
ნოემბერი, 6 — 8 (19 — 21).	ლენინი კოოპტაციით შეჰყავთ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.
ნოემბერი, 12 (25).	ლენინი მონაწილეობას იღებს ცენტრალური კომიტეტის სხდომაში, ჟენევაში. მისი წინადადებით ც. კ. იმუშავებს მენშევიკებისათვის წარსადგენ ულტიმატუმს პარტიაში მშვიდობის დამყარების პირობების შესახებ.
ნოემბერი, 14 (27).	ლენინს ც. კ-ში შეაქვს განცხადება, რომლითაც პროტესტს აცხადებს პლეხანოვის მიერ «ისკრის» რედაქციაში ყოფილი რედაქტორების — მენშევიკების კოოპტაციის წინააღმდეგ.

ნოემბერი, 16 (29).	ლენინი შედის პარტიის საბჭოში როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი.
25 და 29 ნოემბერს (8 და 12 დეკემბერს) შუა.	ლენინი მენშევიკური «ისკრის» რედაქციას წერს ლია წერილს — «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?», რომელიც ცალკე ფურცლად იბეჭდება და რუსეთში იგზავნება.
ნოემბერი, 27 (დეკემბერი, 10).	ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მყოფი წევრებისადმი მოითხოვს პარტიის მესამე ყრილობის მოწვევას.
დეკემბერი, 9 (22).	ლენინი პროტესტს აცხადებს ც. კ-ის იმ ცნობის წინააღმდეგ, რომელიც დაეგზავნა კომიტეტებს მენშევიკებთან ზავის დამყარების შესახებ.
დეკემბერი, 17 (30).	ლენინი წერილში ცენტრალური კომიტეტის მიმართ მოითხოვს პარტიის ყრილობის მოწვევის საკითხში ც. კ-ის წევრთა პოზიციის გარკვევას.
31 დეკემბერზე (1904 წ. 13 იანვარზე) უფრო ადრე.	ლენინი წერს წინასიტყვაობას და ბოლოსიტყვაობას თავისი ბროშურისათვის — «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ».
წლის დამლევი.	ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ციმბირში გადასახლებულ ი. ბ. სტალინს. ამ დროიდან დაიწყო ლენინისა და სტალინის შორით ნაცნობობა.

1904

იანვარი, 4-ზე (17-ზე) უფრო გვიან.	ლენინი წერს პროექტს მიმართვისა «პარტიის წევრებს», რომელშიც აკრიტიკებს მენშევიკური «ისკრის» ოპორტუნისტულ შეხედულებებს.
იანვარი, 15 — 17 (28 — 30).	ლენინი მონაწილეობას იღებს პარტიის საბჭოს სხდომებში, ჟენევაში. გამოდის პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების და პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხზე.

20 და 25 იანვარს (2 და 7 თებერვალს) შუა.	ლენინი წერილში ც. კ-ის წევრ კრჟიჟანოვსკისადმი გაფრთხილებას იძლევა მენშევიკების მიერ ცენტრალური კომიტეტის ხელში ჩაგდების საშიშროებაზე და მოითხოვს ადგილობრივ კომიტეტებში დაიწყონ მზადება პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის.
იანვრის მეორე ნახევარი (თებერვლის დამდეგი).	ლენინი იწყებს მუშაობას იმ მიზნით, რომ დასაბეჭდად მოამზადოს წიგნი — «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან».
იანვრის დამლევი (თებერვლის პირველი ნახევარი).	ლენინი წერს პროექტს მიმართვისა «პარტიისადმი» — პარტიაში არსებული კრიზისისა და მენშევიკების გამთიშველი მოქმედების შესახებ.
იანვარი.	ლენინი ესაუბრება ბოლშევიკთა ჯგუფს ჟენევაში პარტიის პროგრამის საკითხებზე პროპაგანდის მოწყობის შესახებ.
თებერვალი, 7 (20).	ლენინი სწერს წერილს «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარის» შემდგენლებს და განმარტავს, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია «ისკრის» რედაქციიდან მისი გასვლა.
მარტი, 1 (14).	ლენინს განცხადება შეაქვს პარტიის საბჭოდან დროებით გამოსვლის შესახებ.
მარტი, 9 (22).	ლენინი გამოდის სიტყვით ჟენევაში სოციალ-დემოკრატების კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო პარიზის კომუნის წლისთავისადმი.
მარტის დამლევი (აპრილის პირველი ნახევარი).	ლენინი წერს პროექტს საპირველმაისო ფურცლისას, რომელიც გამოვიდა პარტიის ც. კ-ისა და ც. ო-ს ხელმოწერით.
მარტი — აპრილი.	ლენინი ჟენევაში ხელმძღვანელობს პარტიის წესდების შემსწავლელ სოციალ-დემოკრატიულ წრეს.
მაისი, 6 (19).	გამოდის ლენინის წიგნი «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში)».

მაისი, 13 (26).	ლენინი წერილით მიმართავს ცენტრალური კომიტეტის წევრებს ც. კ-ში უთანხმოებათა გამწვავების გამო. აცნობებს მათ, რომ დაბრუნდა პარტიის საბჭოში.
მაისი, 15 (28)-ზე უფრო გვიან.	ლენინი წერს გეგმას მიმართვისა «პარტიისადმი», რომელშიც კომიტეტებს მოუწოდებს გადაწყვიტონ პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხი.
მაისი, 31 და ივნისი, 5 (ივნისი, 13 და 18).	ლენინი მონაწილეობას იღებს პარტიის საბჭოს სხდომებში.
მაისი ან ივნისი.	ლენინი წერილს სწერს ბოგდანოვს და აკრიტიკებს მის წიგნს «ემპირიომონიზმს».
ივნისი, 11 — 12 (24 — 25).	ლენინი უკუაგდებს შემარიგებლის — ც. კ-ის წევრის ნოსკოვის წინადადებას შევიდეს «ისკრის» რედაქციაში და დათანხმდეს ც. კ-ში ორი მენშევიკის კოოპტაციას.
22 და 30 ივლისს (4 და 12 აგვისტოს) შუა.	ლენინი რედაქციას უკეთებს ბოლშევიკების მოხსენებას II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესისათვის.
ივლისის დამლევი (აგვისტოს პირველი ნახევარი).	ლენინის ხელმძღვანელობით შვეიცარიაში მიმდინარეობს 22 ბოლშევიკის თათბირი. თათბირი იღებს ლენინის მიერ დაწერილ მიმართვას «პარტიისადმი», რომელიც ბოლშევიკებისათვის ბრძოლის პროგრამად იქცა პარტიის III ყრილობის მოწვევის საქმეში.
აგვისტო, 5 (18).	ლენინი წერილში ც. კ-ის წევრებისადმი პროტესტს აცხადებს შემარიგებლების — ც. კ-ის წევრების მიერ მიღებული «ივლისის დეკლარაციის» წინააღმდეგ.

აგვისტო.	ლენინი ხელმძღვანელობას უწევს სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის ბოლშევიკური გამომცემლობის მოწყობის საქმეს.
	ლენინი წერილში უმრავლესობის კომიტეტებისადმი ურჩევს მათ შეუდგნენ კორესპონდენციების შეგროვებას ბოლშევიკების საზღვარგარეთული გამომცემლობისათვის.
სექტემბრის პირველი ნახევარი (მეორე ნახევარი).	ლენინი წერს სტატიას «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს».
22 სექტემბერზე (5 ოქტომბერზე) უფრო გვიან.	ლენინი წერილში ც. კ-ის სამხრეთის ბიუროსადმი წინადადებას იძლევა III ყრილობის მომზადებ საორგანიზაციო კომიტეტს დაერქვას უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო.
2 (15) ოქტომბერზე უფრო გვიან.	ლენინი წერს სტატიას «თავაზიანი ლიბერალი».
20 ოქტომბერზე (2 ნოემბერზე) უფრო ადრე.	ლენინი წერს პროექტს «ცნობისა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ».
1 და 8 (14 და 21) ნოემბერს შუა.	გამოდის ლენინის ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა».
19 ნოემბერზე (2 დეკემბერზე) უფრო ადრე.	ლენინი ჟენევაში პარტიის წევრთათვის კითხულობს რეფერატს თემაზე «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა».
ნოემბერი, 19 და 21 (დეკემბერი, 2 და 4).	ლენინი პარიზში რსდმპ წევრთა კრებაზე კითხულობს რეფერატს შინაპარტიულ მდგომარეობაზე და მონაწილეობას იღებს რეფერატის გარშემო გამართულ კამათში.
ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3).	ლენინი წერილში უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს წევრებისადმი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შექმნან ბოლშევიკური ორგანო საზღვარგარეთ.

ნოემბერი, 23 და 24 (დეკემბერი, 6 და 7).	ლენინი ციურიხში კითხულობს რეფერატს შინაპარტიულ მდგომარეობაზე.
ნოემბერი, 25 (დეკემბერი, 8).	ლენინი იმავე თემაზე რეფერატს კითხულობს ბერნში.
ნოემბერი, 26 (დეკემბერი, 9).	ლენინი ბრუნდება ჟენევაში.
ნოემბერი, 27 (დეკემბერი, 10).	ლენინი წერილში უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს წევრ ზემლიაჩკასადმი მოითხოვს სასწრაფოდ დაბეჭდონ რუსეთში ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ.
ნოემბერი, 29 (დეკემბერი, 12).	ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკების კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პარტიული უმრავლესობის ორგანოს — გაზეთ «ვპერიოდის» გამოცემის შესახებ. ლენინი წერს «წერილს ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის)».
29 ნოემბერზე (12 დეკემბერზე) უფრო გვიან.	ლენინი ღებულობს კავკასიის კომიტეტთა კონფერენციის რეზოლუციას პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ. კონფერენცია შესდგა სტალინის ინიციატივით. ლენინი წერილში კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი წინადადებას იძლევა შექმნან უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო.
დეკემბერი, 7 (20).	ლენინი თანხმობას აცხადებს კავკასიის კავშირის კომიტეტის თხოვნაზე — მონაწილეობა მიიღოს რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოში, გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაში», რომელიც გამოდიოდა სტალინის, წულუკიძისა და შაუმიანის ხელმძღვანელობით.
დეკემბერი, 9 (22).	ლენინი წერს ბროშურას «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ».

13 (26) დეკემბერზე უფრო ადრე. ლენინი ღებულობს ჩრდილოეთის კომიტეტების კონფერენციის რეზოლუციებს პარტიის III ყრილობის მოწვევისა და უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს არჩევის შესახებ.

დეკემბერი. ლენინი უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს წევრებს რუსეთში უგზავნის პროექტს «ცნობისა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის და რსდმპ III მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1903 წ.

რსდმპ II ყრილობის ამბავი . . . . . 1 — 25

წამოსცდათ!.. . . . . 26 — 32

გეგმა წერილებისა რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ . . . . . 33 — 34

რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები. წერილი პირველი . . . . . 35 — 53

მეოთხე პარტიული ყრილობა. სტატიის გეგმა . 54 — 55

შრცხვოობის მაქსიმუმი და ლოგიკის მინიმუმი. . 56 — 63

პროექტი ც. კ-ისა და ც. ო-ს რედაქციის მიმართვისა ოპოზიციის წევრებისადმი. ვარიანტი . . 64 — 66

რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის II ყრილობა, 1903 წლის 13—18 (26—31) ოქტომბერი . . . 67 — 87

1. წინასწარი შენიშვნები მოხსენებისათვის რსდმპ II ყრილობის შესახებ 13 (26) ოქტომბერს 69

I 69

II 69

III 70

IV 70

2. მოხსენება რსდმპ II ყრილობის შესახებ 14 (27) ოქტომბერს 72

3. განცხადება მარტოვის მოხსენების გამო 15 (28) ოქტომბერს 86

4. სიტყვა ლიგის წესდების შესახებ 17 (30) ოქტომბერს 87

შეუტანელი განცხადება . . . . . 88 — 93

განცხადება პარტიის საბჭოს წევრისა და ც. ო-ს რედაქციის წევრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ 94

ბუნდის მდგომარეობა პარტიაში . . . . . 95 — 109

მონარდნიკე ბურჟუაზია და განიავებული ნარდნიკობა . . . . . 110 — 121

რსდმპ ც. ო-ს რედაქციას 122

გამოუქვეყნებელი განცხადება . . . . . 123 — 124

წერილი «ისკრის» რედაქციას . . . . . 125 — 130

რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან? წერილი «ისკრის» რედაქციის მიმართ . . . . 131 — 139

წერილი რსდმპ ც. კ-ისა საზღვარგარეთული ლიგის ადმინისტრაციას, პარტიის ხელშემწყობ ჯგუფებს და პარტიის საზღვარგარეთ მყოფ ყველა წევრს . 140 — 144

შენიშვნა ახალი «ისკრის» პოზიციის გამო . . 145 — 147

1904 წ.

ფინასიტყვაობა ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» . 148 — 150

ბოლოსიტყვაობა ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» . 151 — 158

პარტიის წევრებს. მიმართვის პროექტი . . 159 — 163

რსდმპ საბჭო. 1904 წლის 15—17 (28—30) იანვარი . . . . . 165 — 218

1. პროექტი რეზოლუციისა პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების შესახებ, შეტანილი 15 (28) იანვარს 167

2. ც. კ-ის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრი, შეტანილი 17 (30) იანვარს . . . 173

3. პროექტი რეზოლუციისა პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ, 17 (30) იანვარი . 175

4. რეზოლუციების პროექტები, შეტანილი 17 (30) იანვარს 176

I 176

II 176

III 176

5. სიტყვები პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების შესახებ 15 (28) იანვარს . . . 177

I 177

II 179

III 182

IV 183

V 187

6. სიტყვები პარტიაში მშვიდობის აღდგენის ზომების შესახებ 16 (29) იანვარს . . . 190

VI 190

VII 196

VIII 200

IX 204

7. სიტყვები პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ 17 (30) იანვარს 207

I 207

II 207

III 208

8. სიტყვები პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ 17 (30) იანვარს 210
I 210
II 214
III 217
IV 218

პარტიისადმი. მიმართვის პროექტი . . . 219 — 225

«ისკრის» რედაქციიდან გასვლის გარემოებათა შესახებ . . . . . 226 — 233

პირველი მაისი. ფურცლის პროექტი . . . 234 — 238

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში) . . . . . 239 — 530

წინასიტყვაობა 241
ა) ყრილობის სამზადისი 246
ბ) ყრილობის დაჯგუფებათა მნიშვნელობა . . . 248
გ) ყრილობის დასაწყისი. — ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტთან 253
დ) «იუენი რაბოჩის» ჯგუფის დაშლა 264
ე) ინციდენტი ენათა თანასწორუფლებიანობის გამო . 268
ვ) აგრარული პროგრამა 278
ზ) პარტიის წესდება. ამხ. მარტოვის პროექტი . . 288
თ) კამათი ცენტრალიზმის შესახებ ისკრელებს შიგნით მომხდარ განხეთქილებამდე 299
ი) წესდების პირველი პარაგრაფი 304
კ) უდანაშაულოდ დასჯილნი ოპორტუნიზმის ცრუ ბრალდებით 336
ლ) კამათის გაგრძელება წესდებაზე. საბჭოს შემადგენლობა. 350
მ) დასასრული კამათისა წესდებაზე. ცენტრების კოოპტაცია. «რაბოჩეე დელოს» დელეგატების წასვლა . 358
ნ) არჩევნები. ყრილობის დასასრული 376
ო) ყრილობაზე ბრძოლის საერთო სურათი. პარტიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთა . 413

პ) ყრილობის შემდეგ. ბრძოლის ორნაირი ხერხი . . 432
ჟ) მცირე უსიამოვნებამ ხელი არ უნდა შეუშალოს დიდ სიამოვნებას 457
რ) ახალი «ისკრა». ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში 471
ს) ცოტა რამ დიალექტიკაზე. ორი გადატრიალება . 511
დ ა მ ა ტ ე ბ ა. ამხ. გუსევისა და ამხ. დეიჩის ინციდენტი 519

წერილი ც. კ-ის წევრებს . . . . . 531 — 535

ც. კ-ის სამი წევრის განცხადება . . . . . 536 — 537

პარტიისადმი. მ ი მ ა რ თ ვ ი ს გ ე გ მ ა . . . . 538 — 539

რსდმპ საბჭოს 1904 წლის 31 მაისი (13 ივნისი) და 5 (18) ივნისი . . . . . 541 — 552

1. სიტყვები პარტიათაშორისო კონფერენციის შესახებ 31 მაისს (13 ივნისს) 543
I 543
II 545

2. სიტყვები კომიტეტების კოოპტაციისა და ც. კ-ის უფლების შესახებ მათში ახალი წევრების შეყვანაზე 5 (18) ივნისს . . . 547
I 547
II 548
III 549

3. სიტყვა გაზეთ «რასსვეტის» შესახებ 5 (18) ივნისს 552

რისთვის ვილწვით? (პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი) . . . . 553 — 564

პარტიისადმი . . . . . 565 — 575

ცენტრალური კომიტეტის ხუთ წევრს. რ უ ს ე თ ში . 576 — 578

წერილი რსდმპ ც. კ-ის აგენტებსა და კომიტეტთა წევრებს, რომლებიც ემხრობიან II პარტიული ყრილობის უმრავლესობას . . . . . 579 — 581

წერილი ბლეგოვს (ვ. ა. ნოსკოვს) . . . . . 582 — 591

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს . . . . . 592 — 607

თავაზიანი ლიბერალი . . . . . 608 — 612

წინასიტყვაობა ნ. შახოვის ბროშურისა «ბრძოლა ყრილობისათვის» . . . . . 613 — 614

ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ. პროექტი . . . . . 615 — 619

საერობო კამპანია და «ისკრის» ბეგმა . . . 621 — 648

I 625

II 630

III 636

IV 644

თეზისები რეფერატისა შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. ჩემი რეფერატის თეზისები . 651 — 652

წერილი ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის) . . . 653 — 660

განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ . . . . . 661 — 668

დამატება 669

ცნობა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ . 674 — 677

შენიშვნები 679

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები 703

ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რსდმპ II ყრილობის ამბავი». — 1903 წ. 3

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ც. კ-ის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრი, შეტანილი პარტიის სახჭოს ხხდომაზე 1904 წლის 17 (30) იანვარს» 171

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» — 1904 წ. . . . . 240 — 241

71-ე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან.» — 1904 წ. 305

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ცნობა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნის შესახებ». — 1904 წ. 617

ვ. ი. ლენინის ხელნაწერი «თეზისები რეფერატისა შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ». — 1904 წ. 649

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-1949.
უე 04382. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. $45^{3}/_{8}$.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი
სტამბა. თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 1137.